გიორგი მჭედლიძე

ბაგრატ მესამის საქართველო

(ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ეპოქის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის მიმოხილვა).

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის
სააქციო საზოგადოება „სტამბის"
საბამომცემლო ცენტრი

ქუთაისი
1996

ვუძღვნი საფლავმიუგნებელი მამის–
ლეონიდე ვლადიმერის ძე მჭედლიძის
(1901–1937) ნათელ ხსოვნას, მისი
დაბადების 95-ე წლისთავზე.

წინამდებარე წიგნში გადმოცემულია ადრეული ფეოდალიზმის ხანის (IX–XIს.) საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ვრცელი სურათი.

ავტორი, თანადროული წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების გზით, შეეცადა გაეშუქებინა IX–XIს. საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები, ეჩვენებინა ძველი საქართველოს გამოჩენილი მეფეების— დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპექტები, წარმოეჩინა მათი როლი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში.

წიგნი ისტორიკოსების, სტუდენტი ახალგაზრდობისა და მშობლიური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვისაა განკუთვნილი.

რედაქტორი **დავით მუსხელიშვილი**—საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი



ბაბრად III

ნახატი გ. გიხეშორისა

წინათქმა

საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური მონარქია ბაგრატ III-ის მიერ შექმნილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომ ეს ქვეყანა ბაგრატ III-ის საქართველო იყო. თუმცა ეს ცნება-ფორმულა ძლიერ ტევადი მნიშვნელობისაა და ქრონოლოგიურად დიდად სცილდება მეფე-გამაერთიანებლის ცხოვრების წლებს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ბაგრატ III -ს ქვეყნის გამთლიანება ცარიელი ადგილიდან არ დაუწყია. თანაც მისი პოლიტიკური მიზნები და საქმიანობა იმდენად შორსგამჭვრეტელური იყო, რომ ნაყოფი მომდევნო ეპოქაში გამოიღო: დავით აღმაშენებლისა და. თამარის სახელმწიფო სწორედ მის მიერ შექმნილი საქართველოს ახალ ხარისხში ამაღლებას წარმოადგენდა. ბაგრატ III-მდე იგი ცალკეული ქვეყნების სახით არ.სებობდა. მან კი ერთ ქვეყნად — „საქართველოდ" გაერთიანებული დატოვა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიამ იშვიათად თუ იცის ასეთი დიდი გარდატეხა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ პროცესებში ხალხის როლის უგულვებელყოფა ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფას უდრის, ერებისა და სახელმწიფოების ისტორიაში დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიურ-კულტურული გარდაქმნები გამოჩენილ პიროვნებათა სახელებთანაა დაკავშირებული. ბაგრატ III-ს ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში. გარდა იმისა, რომ მის დროს მოხდა უდიდესი შემობრუნება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების სახით, ბაგრატ III-ის უშუალო მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ისეთი პრობლემის გადაწყვეტა, რის გარეშეც ეს გაერთიანება ეფემერული აღმოჩნდებოდა და მის მემკვიდრეებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდებოდათ. ამიტომ გამაერთიანებელი მეფის დამსახურების გასააზრებლად მთელი მისი მოღვაწეობის და მასთან დაკავშირებული მრავალი ისტორიული ასპექტის ყოველმხრივი მეცნიერული გამოკვლევაა აუცილებელი. ასეთი მუშაობა კი ჯერჯერობით ქართულ ისტორიოგრაფიაში არ შესრულებულა. ბაგრატ III-ის შესახებ ჩვენს მეცნიერებაში მონოგრაფიული გამოკვლევაც არ არსებობს. ამას თავისი მიზეზები აქვს. მათ შორის მთავარია ის, რომ ბაგრატ III-ის მოღვაწეობის ეპოქისა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ არსებული წყაროების სიმცირე მნიშვნელოვნად აძნელებს სრულყოფილ მეცნიერულ კვლევას.

მიუხედავად ამისა, ქართველი მეცნიერების მიერ შესწავლილი და დადგენილია მრავალი ფაქტი და მოვლენა, გამოკვლეულია საკითხთა ფართო წრე, რითაც მნიშვნელოვანწილადაა მომზადებული ნიადაგი, ბაგრატ III-ის შესახებ, განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნისათვის. მაგრამ ამ პრობლემატიკაში ჯერჯერობით მაინც ბევრი „თეთრი ლაქა" არსებობს. მაშასადამე, წინ კვლავ დიდი სამუშაოა შესასრულებელი. ეს თემატიკა თავის ახალ მკვლევარებს მოელის.

წინამდებარე წიგნში მიზნად დაგისახეთ თავი მოგვეყარა ჩვენთვის ხელმისაწვდომი მთელი იმ მასალისათვის, რაც ბაგრატ III-ისა და მისი სახელმწიფოს ისტორიის წარმოსადგენადაა საჭირო. ამით გვსურს მკითხველს გავუადვილოთ გაიაზროს ამ თემატიკასთან დაკავშირებული საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის, პოლიტიკური ვითარების, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლისა და კულტურის ისტორიის საკითხები. ასეთმა მიზანდასახულობამ წარმოშვა დაწვრილებითი თხრობის აუცილებლობა. სადაც ამის შესაძლებლობას შესასწავლი მასალა იძლევა, ჩვენ ვრცლად ვჩერდებით თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ვცდილობთ ავსახოთ მათი შესწავლის თანამედროვე ვითარება, წარმოვადგინოთ მკვლევართა მოსაზრებანი მათ შესახებ. ამასთან, დამოწმებულ მოსაზრებებს ჩვენ ყოველთვის როდი ვუკეთებთ კომენტარს. ასე ვიქცევით ორი გარემოების გამო. ერთი, ეს ხდება მაშინ, როცა წარმოდგენილ მოსაზრებას ვეთანხმებით. მეორე, მიგვაჩნია, რომ მკითხველს მასალას ვაწოდებთ თვითდაფიქრებისა და განსჯისათვის. ე. ი. არ გვინდა მას თავს მოვახვიოთ საკუთარი მოსაზრებანი, რომელზედაც კატეგორიული მსჯელობისათვის ხელთ არა გვაქვს სათანადო მასალა.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნზე მუშაობისას დიდძალ ლიტერატურას გავეცანით და მრავალ პრობლემაზე მოგვიხდა მსჯელობა, იგი მაინც ბაგრატ III-ს ეძღვნება. ნაშრომის სახელწოდება კი მიუთითებს, რომ ამ დიდი მეფის ღვაწლის შედეგი ახალი საქართველოს შექმნა იყო და ამ ქვეყანასა და მის გამაერთიანებელზე თხრობის ერთმანეთისაგან დაცილება არ შეიძლება. ამის გამო ჩვენ არ მოვერიდეთ იმასაც, რომ დასათაურება „ბაგრატ მესამის საქართველო" გაცილებით უფრო მეტ ვალდებულებას გვაკისრებს, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ მონოგრაფია მხოლოდ მეფე-გამაერთიანებლისადმი იქნებოდა მიძღვნილი.

ერთი შეხედვით, ბაგრატ III არ არის მაინცდამაინც პოპულარული მოღვაწე ჩვენი ისტორიისა. მისი პიროვნება, ასე თუ ისე, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის დიდებულ სახეებთან შედარებით, ჩრდილშია მოქცეული. ცხოვრებაში ასე ხდება: თუ შთამომავალი დიდია, ცოტათი ნაკლები სიდიდის მისი წინაპარი შეიძლება დავიწყებას მიეცეს. ასეთივე ბედი ეწია ბაგრატ მესამეს? არა, ვერ ვიტყვით, რომ იგი დავიწყებულია.

ეს სახელი ხომ თითქმის ყოველდღიურადაა სიტყვახმარებაში, თუნდაც მის მიერ ქუთაისში აგებული ტაძრის გამო.

ბაგრატის ტაძარი ხომ საოცარი ხუროთმოძღვრული ქმნილებაა, მაგრამ არა ნაკლებ საოცარია ის, რომ ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებულ ამ შედევრს ხალხმა მეფის სახელი უწოდა. საქართველოში (და სხვაგანაც) ბევრ მეფეს და დედოფალს აუგია ტაძარი, მაგრამ მას იშვიათად თუ შერქმევია ქტიტორის სახელი. უფრო მეტიც, ქართველი ხალხი შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ შენობათა, ციხესიმაგრეთა, ხიდებისა და ქვაბ-საცხოვრებელთა უმრავლესობას დიდი თამარ მეფის აგებულად მიიჩნევს, თუმცა ზოგი მათგანი თამარზე ადრე ან გაცილებით გვიანაც კია აგებული. მაგრამ ამ მეფის სახელი არც ერთ ტაძარს არ ჰქვია. ბაგრატის ტაძარს კი ხალხის ხსოვნაში სხვა სახელი არ გააჩნია.

ამ ფაქტში ყველაზე საგულისხმო გარემოება ის არის, რომ მაინცდამაინც ტაძარს დაუკავშირდა ბაგრატის სახელი. ტაძარს ხომ ხალხი ყველაზე წმინდას, ყველაზე ამაღლებულს და ყველაზე სანუკვარს ეძახის.[1]

ეგვიპტელებისა და მათი ფარაონებისათვის პირამიდები იყო ტაძრები. წიგნთა–წიგნი ბიბლია კი გვასწავლის, რომ ებრაელი ერის ბედნიერებაც და უბედურებაც ტაძართან იყო დაკავშირებული. ამ ხალხის ისტორიაშიც იღბლიან თარიღადაა მიჩნეული სოლომონის დიადი ტაძრის აგება (ძვ. წ. 586), ხოლო იუდეველთა დახსნა სამოცდაათწლიანი ტყვეობიდან ახალი ტაძრის იაჰვეს სახლის მშენებლობის დამთავრებით აღინიშნება (ძვ. წ. 516).[2]

ქრისტიანულ საქართველოში ბევრი ტაძარი იყო, მაგრამ ბაგრატისას, თავისი მნიშვნელობით, მხოლოდ სვეტიცხოველი თუ შეედრებოდა. იგი მარტო ლიტურგიის შესასრულებელ ადგილს კი არ წარმოადგენდა, ანდა მხოლოდ „ცაში ატყორცნილი სიმფონია ლოდებისა“ (კ. გამსახურდია) კი არ იყო, როგორც მოჩუქურთმებისა და მშვენიერების განსაბიერება, არამედ მისმა ამგებმა დიდმა მეფემ ბაგრატმა მას იმთავითვე საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს დანიშნულება მიანიჭა. ამის შესახებ გვამცნობს ტაძრის კურთხევის აღმწერი ანონიმი ქართველი მემატიანე.

ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო–ემბლემა! აი, რა არის ბაგრატი.

მისი აგებით აღინიშნა საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება: მი-

---

[1] ტაძრის ზოგადსენტენციურ არსს შესანიშნავად გამოხატავს ა. ნატროშვილი, რომელიც სვეტიცხოვლის არქიტექტურის შეფასებასთან დაკავშირებით წერს: «Она не льстит чувствам, но поражает душу; не заставляет восхищаться произведением рук человеческих, а напоминает человеку про величие Божье, про собственное ничтожество, про то, что вне храма нет ему спасения». (Натроев 1900:172).

[2] ამის შესახებ ვრცლად იხ. ა. ბოთოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ. 1991. დამოწმებულ ლიტერატურაზე მითითება ქვემოთ უყურებ ტექსტშია შეტანილი, ფრჩხილებში ჩასმით, ნაჩვენებია ავტორის გვარი, გამოცემის წელი და გვერდი. ხოლო მათი სრული რეკვიზიტები მითითებულია წიგნზე დართული გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში.

სი კურთხევით დაიწყო თვისებრივად ახალი ერა ქართველი ხალხის უხანგრძლივეს ისტორიაში, ერა, რომლის გვირგვინი შოთას „ვეფხისტყაოსანი" გახდა. ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარი რუსთაველის სიდიდის გენიოსია. მან და შოთამ ხელოვნებაში, ხოლო ბაგრატ III-მ და დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში სრულყოფილად წარმოაჩინეს ქართული ეროვნული გენიის ამოუწურავი შესაძლებლობანი.

ბაგრატ III-ის მიერ შექმნილი საქართველოს საბოლოო დაშლას მოჰყვა შედეგად ქუთაისის კათედრალის დანგრევაც. დანაწევრებულმა ქვეყანამ ტაძარს ვეღარ მოუარა, ვერ შეინარჩუნა. ამ ღვთის სახლის გავერანების შემდეგ საქართველოც ისევე კედლებჩალეწილი და დანგრეულია, როგორც თვით ბაგრატის ტაძარი. და რადგანაც ღვთაების განგების გარეშე ქვეყნად არაფერი ხდება და ღმერთმა კი საქართველოსა და ბაგრატის ტაძრის ბედი ასე დაუკავშირა ერთმანეთს, ღვთის ნება არის ნანგრევებისაგან მათი აღდგენაც: ღმერთი თავის ტაძარს არ გაწირავს, დანგრეულს არ დატოვებს. ასევე არ გაწირავს იგი თავისი მშობლის წილხვედრ საქართველოსაც.

ბაგრატის ტაძარი საქართველოს გაერთიანების ეპოქის ქართული საზოგადოების სულიერი კულტურის დონის მატერიალური განსახიერება იყო. იგი ბაგრატ III-ის მოღვაწეობის ნივთიერ ნაშთს წარმოადგენს. მაგრამ გამაერთიანებელი მეფის უმთავრესი საქმიანობა სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური მოღვაწეობა იყო. ამ სფეროში მას სიყმაწვილიდანვე დიდი წარმატებები ჰქონდა. იგი შეურიგებლად ებრძოდა, როგორც სამეფო–სამთავროთა მესვეურების სეპარატიზმს, ისე ფეოდალურ პარტიკულარიზმს. ამ ბრძოლაში ბაგრატ III-მ თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით, სიახლე შემოიტანა. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ იგი ვერ ითმენდა ყმადნაფიც მთავრებს და ერისთავებს, და მათ „მოსწრაფედ მორჩილად", ე. ი. დიდებულ–მოსაკარგავედ აქცევდა. „ეს იყო ის ახალი, — წერდა იგი — რაც ბაგრატს შემოჰქონდა" (**ბერძენიშვილი 1975 319**), ფეოდალური საზოგადოებისათვის ეს სიახლე მნიშვნელოვან გარდაქმნას წარმოადგენდა. პატრონყმობა თანდათან სტოვებდა ასპარეზს და ახალი სოციალური ფენის დამკვიდრება იწყებოდა. ბაგრატ III-ის ეს წამოწყება დავით აღმაშენებელმა დააგვირგვინა. იგი არა თუ მეფე–მთავრებს, ერისთავთერისთავებსა და ერისთავებსაც აღარ ამწესებდა მემკვიდრეობით მიღებულ თუ შემოერთებულ ქვეყნებში.

საგარეო–პოლიტიკურ სფეროში ბაგრატ III იყო, ვახტანგ გორგასალის დროინდელი კავკასიის ხალხთა გაერთიანების იდეის, ერთ–ერთი პირველი რეალურად განმახორციელებელი. მის ტიტულატურაში „რანთა მეფის" წოდების გაჩენა ცხადად მიუთითებს კავკასიის ალბანეთის დიდ ნაწილზე ბაგრატ III-ის კომპეტენციის უდავოდ გავრცელების შესახებ. დოკუმენტურად დასაბუთებულია მოსაზრება, რომ საქართველოს

ამ მეფეს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ერთი ნაწილიც მოხარკედ ჰყავდა დაქვემდებარებული (დ. მუსხელიშვილი).

ბაგრატ III-ის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ იგი სამართლის პირველი კოდიფიკატორი მეფეა საქართველოში. ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში მოთავსებულ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლო ნაწილში შეტანილია ოთხი მუხლი (99—103), რომლებიც, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, სამცხის ათაბაგების მიერ აღებულია გაცილებით უფრო ადრე შედგენილი კანონმდებლობიდან. ამ მუხლებში საქართველოს მეფის კომპეტენციაზეა საუბარი და არა სამცხე-საათაბაგოს ხელისუფლებზე. მეასე (ზოგიერთი პაგინაციით 99-ე) მუხლში მოხსენიებულია მეფე ბაგრატ კურაპალატი. ყველა მონაცემიდან ჩანს, რომ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ბაგრატ III (**ჯავახიშვილი 1982:87**). მაშასადამე, როგორც იქვე წერია, მეფე-გამაერთიანებელს შეუკრებია სამღვდელოება, დიდებულები, აზნაურები, „ჭკვიანი კაცნი“ და შეუდგენია სამართლის წიგნი, რომლის ერთი ფრაგმენტი, ვინაიდან ამ საკითხზე სხვა საკანონმდებლო დოკუმენტი არ არსებობდა, XIV ს-ში, სამცხის ათაბაგებს — ბექასა და აღბუღას, უცვლელად მოუთავსებიათ თავიანთი სამართლის წიგნში. რამდენადაც გიორგი ბრწყინვალემდე (1314—1346) კოდიფიცირებული სამართლის ძეგლებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევიათ,[1] ბაგრატ III პირველ სჯულმდებლად გვევლინება ქართველ მეფეთა შორის.

ბაგრატ III-ის კანონმდებლობის მოღწეულ მუხლებიდან ირკვევა, რომ თვით ისეთი ძლიერი მეფეც კი, როგორსაც იგი წარმოადგენდა, სამართლებრივი ნორმით ამბობდა უარს განესაჯა ეპისკოპოსი, თუნდაც მას დანაშაული თვით მეფის მიმართ ჩაედინა. ეს ხდებოდა „ამისათვის რომე მეორე მეფე, ეპისკოპოზი არს“ (**ქსძ 1963:464**). რაც ნიშნავს, რომ ეკლესიას ჯერ კიდევ დამოუკიდებლად უჭირავს თავი და „მეორე მეფობის“ პრეტენზია აქვს. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ კანონმდებლობაში მეფის ხელისუფლების მიერ ეპისკოპოსის განუსჯელობის მუხლი იქნა შეტანილი, მიუთითებს, რომ სამართალწარმოების პრაქტიკაში ასეთ პრეცენდენტს ჰქონდა ადგილი, ე.ი. იყო მეფის მიერ ეპისკოპოსის დასჯის შემთხვევა. რაც გვიჩვენებს: ეკლესიის საქმეებში სამეფო ხელისუფლების ჩარევის პროცესი დაწყებულია და ეკლესია თავს იზღვევს შევიწროებისაგან. როგორც ცნობილია, ამ დროიდან 100 წლის შემდეგაც კი დიდი ძალისხმევა დასჭირდა დავით აღმაშენებელს, რომ რუის-ურბნისის კრებაზე ეკლესიის მოღვაწეთა კალაპოტში ჩაყენებისათვის მიეღწია, ეს პროცესიც ბაგრატ III-ის დროს დაწყებული ჩანს.

როგორც ვხედავთ, ბაგრატ III მრავალმხრივ საინტერესო პოლიტიკო-

[1] ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ სამართლის წიგნები დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს „უეჭველია უნდა ყოფილიყო“ მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია (**ჯავახიშვილი 1982:84**).

სი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ეს წიგნი მის პიროვნებას, ეპოქასა და მის საქართველოს ეძღვნება. ავტორი შეეცადა თავისი შესაძლებლობის მიხედვით, გადმოეცა ბაგრატ III-ის დროს ჩვენი სამშობლოს ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა. ჩვენს წინაშე რთული და დიდად შრომატევადი პრობლემა იდგა. ამიტომ არ ვფიქრობთ, რომ მისი დაძლევა უნაკლოდ და სრულყოფილად შევძელით. პირუთვნელი მკითხველი თავად განსჯის თუ რისი მიღწევა შევძელით წინამდებარე წიგნში, ანდა რას აღარ ეყო ჩვენი ძალა და ამიტომ იგი ამ წიგნის ნაკლად დარჩა.

თავი პირველი

წყაროები და ისტორიოგრაფია

1. წყაროები

ქართული საისტორიო მწერლობის ვრცელ ფოლიანტებში ბაგრატ III-ის შესახებ თხრობას მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ერთადერთი წყარო, სადაც ამ დიდი მეფის მოკლე ბიოგრაფია და ღვაწლია გაღმოცემული, არის „ქართლის ცხოვრება“, მაგრამ იქაც ეს თემა სქემატურადაა გაშუქებული, რაც თვით „ქართლის ცხოვრების“ სპეციფიკურობითა და ამ კრებულის დანიშნულებით უნდა აიხსნებოდეს. ეს წიგნი ხომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა[1] და იქ, ცხადია, ყველა მეფეზე ვრცლად ვერ მოუთხრობდნენ მკითხველს.

„ქართლის ცხოვრება“ გამორჩეული წიგნია მსოფლიო საისტორიო მწერლობაში. მისი გამორჩეულობა რაიმე განსაკუთრებულობას კი არ ნიშნავს, არამედ ერთ გამოკვეთილ თავისებურებას, რომელიც მას ახასიათებს: ჰეროდოტედან მოყოლებული, საისტორიო თემებზე აურაცხელი თხზულებაა დაწერილი, მაგრამ მათ შორის ბევრი როდია ისეთი, სადაც ამა თუ იმ ხალხის ისტორია „სამყაროს გაჩენიდან“ ავტორ-შემდგენელის ცხოვრების დრომდე იყოს მოყვანილი და თანაც ამგვარ წიგნზე მოთხოვნილება XI–XII საუკუნეებში გაჩენილიყოს. „ქართლის ცხოვრება“ კი სწორედ ასეთი საისტორიო კრებულია.[2]

ამავე დროს „ქართლის ცხოვრება“ გამოირჩევა იმითაც, რომ მისი შევსება გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც, და როცა ეს „პატიოსანი წიგნი“ **(ქ. ცხ.1959:364)**, ქართველი ხალხის თავსდატეხილი უბედურების გამო, XIV ს-ის I მეოთხედიდან, „არღარა წერებულ იყო“, ოთხასი წლის შემდეგ, ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ „სწავლულ კაცთა“ კომისია შეადგინა წიგნის შეუყვნილი ადგილების გასამართავად და გაგრძელების დასაწერად.

ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ შედგენაში განმეორდა „ბიბლიის“ წერის

---

[1] **ქართლის ცხოვრება**, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955, გვ. 05 (ქვემოთ, ყველგან ტექსტში შემოკლებით — „ქ. ცხ.“)

[2] ეს ფაქტი კ. კეკელიძეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ახალ გზაზე დადგომის ნიშნად მიაჩნდა. „ამის გამო წერდა: „ჩვენში დაბადებულა მოთხოვნილება გაშუქებულ იქნეს ისტორიულად ჩვენი წარსული არა გარკვეულ რომელიმე მომენტიდან, როგორც ამას მიზნად ისახავდა, მაგალითად, სუმბატ დავითის ძე (VI საუკუნიდან), არამედ უძველესი პრეისტორიული ხანიდან“ (**კეკელიძე 1958 :252**).

დროს შემუშავებული პრაქტიკა — სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები და სხვადასხვა შეხედულებების მქონე ავტორები წერდნენ შინაარსობრივად ერთი დანიშნულების წიგნს.

„ქართლის ცხოვრების" პირველი კრებულის შედგენის თარიღზე სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო XII ს-ის I მეოთხედში. მაგრამ უფრო სწორი უნდა იყვნენ ის მკვლევარები, რომლებიც ამ კრებულის პირველ შემდგენლად XI ს-ის II ნახევრის მოღვაწეს ლეონტი მროველს მიიჩნევენ (**გრიგოლია 1960:228**).

ჯერჯერობით დაუდგენელია „ქართლის ცხოვრებაში" შესული საისტორიო ძეგლების ავტორები. ვიცით მხოლოდ ორი მათგანის (ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე) სახელები. დანარჩენთა შესახებ კი ვარაუდებია გამოთქმული. თვით ლეონტი მროველი პირობითადაა მიჩნეული სამი თხზულების ავტორად. მას მიეწერება კრებულში შესული: 1. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა", 2. „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა" და 3. „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი" ავტორობა. მაგრამ ლეონტი უფრო რედაქტორ–შემდგენელი უნდა იყოს. მას XI ს-ის 70-იან წლებში შეუდგენია „ქართლის ცხოვრების" კრებული, რომელშიაც, გარდა დასახელებული სამი თხზულებისა, შეუტანია ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა" (V—VIII საუკუნეთა ისტორია) და უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა" (VIII—XI საუკუნეების ისტორია).

ყველა დასახელებულ ძეგლში მოთხრობილია 54 მეფის შესახებ და მათგან ცალკე თხზულებები ეძღვნება მხოლოდ ვახტანგ გორგასალსა და არჩილს. თუ პირველი მათგანი მართლაც იყო ძველი საქართველოს გამოჩენილი მოღვაწე, არჩილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შეუმჩნეველ ფიგურადაც კი დარჩებოდა, ლეონტის დროს მისთვის ცალკე, თხზულება არ მიეძღვნათ. და ეს ხდება იმ ფონზე, როცა ანტიკური ეპოქის საქართველოს დიდი მოღვაწის, ერთიანი ქართველი სახელმწიფოებრიობის პირველი შემქმნელის, მეფე ფარნავაზის შესახებ თხრობა „ქართლის ცხოვრებაში", ცალკე სათაურითაც კი არ არის გამოყოფილი.[1]

რადგან ჩვენ არ ვიცნობთ ლეონტის, როგორც შემდგენელ–რედაქტორის მუშაობის პრინციპებს, ამიტომ ზევით ნათქვამის გამო მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას.

მოსალოდნელია, ლეონტის, როგორც სასულიერო პირს — რუისის ეპისკოპოსს, საჭიროდ მიეჩნიოს „ქართლის ცხოვრებაში", ამ „წმინდა წიგნში" **(ქ. ცხ. 1959 :272)** ცალკე მოეთხრო მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მეფეების შესახებ.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების" მომდევნო ეპოქის შედგენილობაც. XII ს-ში ამ კრებულში შეუტანიათ „ცხოვრება მეფეთ–მეფისა დავითისი" — დავით აღმაშენებლის ისტორია. XIII ს-ში კი მისთვის

[1] „ქართლის ცხოვრების" მეფეთა მიხედვით სათაურებად დაყოფა, რომელიც დღეს ასე ჩვეულებრივად გვიჭირავს, ეკუთვნის „სწავლულ კაცთა" კომისიას (იხ. კ. **გრიგოლია 1954:209**).

დაუმატებიათ თამარ მეფის ორი ისტორია („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა“ და ბასილი ეზოსმოძღვრის — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“)[1], როგორც ცნობილია ორივე ეს მეფე წმინდანად იყო შერაცხული.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ გასაგებია რატომ არ არის ცალკე თხზულებად „ქართლის ცხოვრებაში“ შესული საქართველოს გამაერთიანებელი მეფის — ბაგრატ III-ის ისტორია — იგი წმინდანად არ შეურაცხავთ.

თვით „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი, თითქოს ამ თემას ეხმაურებაო, სწორედ ბაგრატ III-ის შესახებ წერს: „უკეთუ ვინმე ინებოს თვითოეულად წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, მოუძლურდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედი წარმოვთქუ ჟამთა სიგრძისაგან არდავიწყებისათვის“ **(ქ. ცხ. 1955:282)**.

ჩვენამდე მოღწეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ორი ძეგლია, სადაც ბაგრატ III-ის შესახებაა მოთხრობილი. ერთი, ესაა უცნობი ავტორის თხზულება, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა „მატიანე ქართლისა“ უწოდა და, რომელშიაც გადმოცემულია VIII—XI საუკუნეების ისტორია; მეორე კი — ბაგრატიონთა გვარის მემატიანის სუმბატ დავითის ძის (თვითონაც ბაგრატიონის?) „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, **„მატიანე ქართლისა“** დაწერილი უნდა იყოს 1072—1073 წლებში **(ჯავახიშვილი 1977:204)**. მისი ავტორი უცნობია. ავტორის მსოფლმხედველობასა და ღირსებებზე მხოლოდ „მატიანე ქართლისას“ ტექსტის შესწავლის გზით შეიძლება მსჯელობა. ასეთი დაკვირვების შედეგად ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ავტორი თავის ეპოქასთან ახლომდებარე ფაქტებს უფრო ვრცლად აშუქებდა, ვიდრე ადრინდელს. ამიტომაა, რომ „VIII საუკუნიდან მოყოლებული ბაგრატ III-მდე (977 წ.), 200-ზე მეტი წლის ამბავი, 23 გვერდზეა მოთავსებული, ხოლო შემდეგი 160 წლისას 51 გვერდი უკავია: ბაგრატ III-ის მეფობის 36 წლის ისტორიას დათმობილი აქვს 12 გვერდი, გიორგი I-ის 13 წლის მეფობას — 7 გვერდი, დასასრულ ბაგრატ IV-ის 45 წლის მეფობას 28 გვერდი. ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა ისტორიკოსი თავის დროს, უფრო მეტი ცნობები ჰქონდა და ამის გამო ნაამბობიც უფრო ვრცელი და შინაარსიანია“ **(იქვე :199)**.

რაც შეეხება მემატიანის ღირსებებს, ბ-ნ ივანეს მიაჩნია, რომ „საზოგადოდ ჩვენი ისტორიკოსი მეტად მკაცრი, თავდაჭერილი მწერალია და მოთხრობის დროს არჩეულ თემას არას დროს არ გადაუხვევს, არც თავის პირად გრძნობას ან შეხედულებას გამომჟღავნებს ხოლმე“ **(იქვე :202)**.

უნდა შევნიშნოთ, რომ „მატიანე ქართლისას“ ავტორი მართლაც „მკაცრი და თავდაჭერილი მწერალია“, მაგრამ თავისი გრძნობების გამომჟღავნებაზე ყოველთვის როდი ამბობს უარს. მაგალითად, ძლიერ ემოციურად აქვს მას

[1] ვიდრე თამარის მეფობის ისტორია ცალკე დაიწერებოდა, დავით აღმაშენებლის მომდევნო პერიოდზე „ქართლის ცხოვრებაში“ შეუტანიათ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება, (სადაც გადმოცემულია—დემეტრე პირველის (1125—1156), გიორგი მესამის (1156—1184), თამარის (1184—1213) და გიორგი-ლაშას (1213—1222) ცხოვრება).

აღწერილი ბაგრატ IV მძევლობიდან დაბრუნების ამბავი. **(ქ. ცხ. 1955:290)**.

ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს ბაგრატ III-ის მისეული დახასიათებაც: „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოველითა გონებითა; ეკლესიათა მშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის" **(იქვე :282)**.

სხვა მეფეთა დახასიათების დროსაც აღმატებით ხარისხს ისტორიკოსი ხშირად მიმართავს. ასეთი მაგალითები უხვადაა „ქართლის ცხოვრების" პირველი ტომის 290—291, 315 და სხვა გვერდებზე, სადაც დახასიათებულია მეფეები გიორგი I (1014—1027), ბაგრატ IV (1027—1072).

თხზულების არა ერთი' ადგილიდან ჩანს, რომ „მატიანე ქართლისას" ავტორს მის მიერ აღებული ეპოქის შესასწავლად ხელთ ჰქონია მნიშვნელოვანი წყაროები. ზუსტად რომელი, ამჟამად შეუძლებელია ითქვას, მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა მაინც შეძლო ზოგადად ემსჯელა მათ შესახებ. **(ჯავახიშვილი 1977: 205—206)** რაც შეეხება ბაგრატ III-ს, დიდი მეცნიერი ფიქრობდა, რომ მემატიანეს მისი მეფობის შესახებ უხვი და ვრცელი ცნობები ჰქონია, გაცილებით მეტი, ვიდრე იგი ჩვენ გვამცნობს. ამას თვითონაც მკაფიოდ ამბობს ბაგრატის დახასიათების დროს **(იქვე :206)**. კონკრეტულად კი ბ-ნი ივანე, სხვა საკითხებზე მსჯელობისაგან განსხვავებით, ვარაუდსაც კი არ გამოთქვამს რა წყაროები შეიძლება ყოფილიყო მემატიანის ხელთ.

გარდა ფაქტობრივი მასალისა, რაც ავტორს აქვს გადმოცემული, ჩვენთვის ძვირფასია ის ქრონოლოგიური მონაცემები, რომლებსაც იგი აჩვენებს თავის თხზულებაში. „მატიანე ქართლისა" ამ მხრივაც ძლიერ საყურადღებო ძეგლია.

მეორე თხზულება, სადაც ბაგრატ III-ის მეფობის შესახებაა საუბარი, არის **სუმბატ დავითის ძის** „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" ეს ნაწარმოები უფრო გენეალოგიური ნუსხაა, ვიდრე ამ განთქმული დინასტიის მოღვაწეობის რამდენადმე სრულყოფილი გადმოცემა. ნაშრომი ძლიერ გადატვირთულია სახელებით, სქემატურია და ძნელად დასამახსოვრებელი. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: სუმბატის შრომა „მეტად მშრალი და ერთფეროვანია. განსაკუთრებით იქ, სადაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლობაზე, საგვარეულო მატიანითგან არის ცნობები ამოღებული, მკითხველს თვალები უჭრელდება ცარიელი სახელებისა და თარიღების გამო" **(იქვე: 196)**.

სხვაგან კი ბატონი ივანე ბრძანებდა: სუმბატის თხზულებაში, „მატიანესებური მოთხრობის წესის გამო, იმდროინდელი მესხეთის სამეფო წესწყობილებისა და შინაური ყოფა-ცხოვრების გამორკვევა ძალიან ძნელია: ჩამოთვლილია ვინ და როდის იყო ერისთავად, ერისთავ-ერისთავად, პატრიკიოსობა ან მაგისტროსობა, ანდა კურაპალატობა როდის მიიღო; აღნიშნულია ვინ როდის დაიბადა ან გარდაიცვალა, ზოგჯერ ისიც, ვინ ვის ებრძოდა. მაგრამ რანაირი დამოკიდებულება არსებობდა ამ ერისთავ-მამფალ-კუროპალატებს შორის, ერთი სიტყვითაც არ არის ნათქვამი. იქ

მკითხველს თვალწინ წარმოუდგება საგვარეულო მატიანის საკუთარი სახელებისა, თანმიმდევრობათა და ქრონიკონების თაბრუდამსხმელი თაიგული" **(ჯავახიშვილი 1983:113)**.

ძეგლს, ამ უარყოფითი მხარეების მიუხედავად, ორი დიდი ღირსება ახასიათებს: 1. სუმბატ დავითის ძის თხზულება სანდო და ჭეშმარიტი საისტორიო წყაროა. ამას ადასტურებს მისი ცნობების შედარება სხვა ქართველი ავტორების და უცხოელი ისტორიკოსების ცნობებთან და 2. არც ერთ სხვა ქართულ წყაროში არ მოიპოვება იმდენი ქრონოლოგიური მაჩვენებელი, რამდენიც „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთაში".

ექვ. თაყაიშვილის **(თაყაიშვილი 1890:12)** დროიდან გრძელდება კამათი იმის თაობაზე, რიგი ფაქტებისა და მოვლენების გაშუქების დროს, რომელი იყო პირველწყარო, სუმბატ დავითის ძე თუ „მატიანე ქართლისა". კ. გრიგოლია, ადარებდა რა ადგილებს ამ ორი ძეგლიდან, წერდა: „ყველაფერი ეს „მატიანე ქართლისაჲს" პირვანდელობაზე ლაპარაკობს და საზიარო ნაკვეთის იქედან მომდინარეობაზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი თუ სიტყვასიტყვით გადმოწერილი არა, ყოველ შემთხვევაში, „მატიანე ქართლისაჲს" მიხედვით გადმოკეთებული ჩანს" **(გრიგოლია 1954: 235)**.

კ. გრიგოლიას ამ მოსაზრებას დაეთანხმა და ახალი საბუთებით მისი განმტკიცება სცადა ს. ყაუხჩიშვილმა **(ქ. ცხ. 1955:034—039)**. ფილოლოგიური ანალიზის გზით საწინააღმდეგოს დამტკიცება მოინდომა გ. გელაშვილმა. მისი დასკვნით, „მატიანე ქართლისა" არ წარმოადგენს სუმბატის წყაროს. პირიქით, „მატიანეს ავტორი იყენებს სუმბატის თხზულებას **(გელაშვილი 1960:251—255)**.

ეს საკამათო საკითხი გადაწყვეტილად ჯერ კიდევ არ ითვლება (იხ. **ქსე, ტ. მე-9, გვ. 604)**.

ჩვენი აზრით, ეს პაექრობა გამოწვეულია ერთი დიდად მნიშვნელოვანი მომენტის გაუთვალისწინებლობით. მოკამათენი მხედველობაში არ იღებენ, რომ 1032 წელს გარდაცვლილ სუმბატ დავითის ძეს **(ჯავახიშვილი 1977:204)** არ შეეძლო გამოეყენებინა 1072—1073 წლებში დაწერილი „მატიანე ქართლისა" (იქვე:196).

ბაგრატ III-ის შესახებ სუმბატის მონათხრობი ყველა იმ ღირსებითა და ნაკლით ხასიათდება, რის გამოც უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ ამ ძეგლში ჩვენ ვპოულობთ ზოგიერთ ისეთ დეტალსაც, რომელიც არ გვეცოდინებოდა, სუმბატის მონათხრობის გარეშე. კერძოდ, ასეთია ცნობები ბაგრატის ურთიერთობის შესახებ ბაგრატიონების კლარჯეთის შტოსთან.[1]

აფხაზთა მეფეებისა და თვით ბაგრატ III-ის შესახებ ქრონიკულ ცნობებს შეიცავს ე.წ. „აფხაზთა ისტორია" მას ასეთი სახელწოდება მხოლოდ პირობითად შეიძლება დაერქვას. ივ. ჯავახიშვილს კი იგი „**მეფეთა დივანის**" სახელით აქვს დამოწმებული.

მისი მოპოვების ისტორია ასეთია. იერუსალიმის ცნობილმა პატრიარ-

[1] „მატიანე ქართლისაში" სუმბატის თხზულების ეს ადგილი ჩანართად გაუკეთებიათ ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცებს" **(ქ. ცხ. 1955:282—283)**.

ქმა დოსითეოსმა (1669—1707), თავის „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში", დიდძალი ცნობები შეიტანა საქართველოს შესახებ. ეს მასალა მას მოპოვებული ჰქონდა საქართველოში ორჯერ მოგზაურობის დროს (1658—1659 და 1681—1683წწ.). 1839 წელს დოსითეოსის ნაშრომში საქართველოს შესახებ მონათხრობი ამოკრიბა და ფრანგულ ენაზე გამოსცა მარი ბროსემ. დოსითეოსს იქ, სხვათა შორის, მოტანილი აქვს აფხაზთა მეფეთა სია, რომელიც სხვა წყაროებიდან ცნობილი არ იყო. იგი მიუთითებდა, რომ ეს ცნობები მან ამოიწერა ბაგრატ მეფის შედგენილი „აფხაზეთის ისტორიიდან"

მკვლევარები დაბეჯითებით ეძებდნენ ამ „აფხაზეთის ისტორიას". მაგალითად, დ. ბაქრაძე 1885 წელს გამოცემულ ვახუშტის „საქართველოს ისტორიის" შესავალში წერდა: აქამდე უცნობია „სად არის ბაგრატ მეფისაგან მე-X საუკუნეში შედგენილი „აფხაზეთის ისტორია", საიდანაც იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს მე-XVII საუკუნეში ადგილობრივ გამოუკრეფია თავისი ცნობებიო" **(ვახუშტი 1885:XXX)**.

1912 წელს ე. თაყაიშვილმა მოიპოვა ხელნაწერი კრებული, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს 1763—1793 წლებში. 1913 წელს ამ კრებულის აღწერილობა მან გამოაქვეყნა „ძველი საქართველოს" II ტომში. განყოფილებაში „საისტორიო მასალა", 76-ე ნომრით აღნიშნულია: „ცნობები აფხაზთა მეფეების შესახებ, ანუ ეგრეთწოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატისა"

ეს საისტორიო წყარო გადაუწერნებია ბაგრატ V-ის (1360—1393) მემკვიდრეს კონსტანტინე I-ს (1407—1411), რომელიც მინაწერში მიუთითებს: „ვპოე საჭურჭლესა ჭუთათის მდივანი. მეფეთა შინა ეწერა სახელები მეფეთა და დაძველებული იყო. და ახლად გადავაწერინე" **(ძველი საქართველო II:46)**.

ამ შენიშვნას აგრძელებს აფხაზი მეფეების სია, სადაც ჩამოთვლილია 20 მეფის სახელი, პირველი მეფე, ანოსიდან, მეოცე მეფე თეოდოსი უსინათლომდე. მეფობის რიგთან ერთად ნაჩვენებია რამდენი წელი იმეფა თითოეულმა მათგანმა. ამან საშუალება მისცა ე. თაყაიშვილს შეედგინა მათი მეფობის ქრონოლოგიური ტაბულა **(იქვე:52—53)**.

მეფეთა სიას ბოლოში აქვს მინაწერი: „ამათა შემდგომად ინება ღმერთმან და დავიპყარი მე ქვეყანა აფხაზეთისა, დედული ჩემი, ბაგრატ ბაგრატიონმან, ძემან სულ კურთხეულისა გურგენისამან, და ასულისა წულმან გიორგი აფხაზთ მეფისამან" **(იქვე:47)**.

ამ მინაწერსა და, საერთოდ, ძეგლს ე. თაყაიშვილი აფასებდა არა როგორც ისტორიას, არამედ, როგორც აქტს, მანიფესტს, რომლითაც ბაგრატ III „გვამცნევს მის მიერ კანონიერ გამეფებას თავის დედულეთში, ე. ი. აფხაზეთის სამეფოში, და იხსენიებს ყველა თავის წინამოადგილეებს" **(იქვე:48)**.

დოსითეოსს ხელთ ჰქონია ყველა ეს მასალა და მას იქედან ამოუწერია აფხაზ მეფეთა სია, ზოგიერთი სახელის ბერძნული ტრანსკრიპციით.

მიუხედავად სქემატური ხასიათისა, „მეფეთა დივანი" ერთადერთი მასა-

ლაა აფხაზეთის მეფეთა ე. წ. „ლეონიდების“ დინასტიის, თუნდაც ქრონოლოგიური მონაცემების აღსადგენად.

ბაგრატ III-ის ეპოქის შესასწავლად აუცილებელია **ვახუშტი ბაგრატიონის** „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გათვალისწინება. მართალია, ამ ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიაც ჩვენთვის საინტერესო ხანის ისტორიაა მოთხრობილი, ორიგინალური თხზულება არ არის **(თაყაიშვილი 1912:96)**, მაგრამ მეცნიერ ბატონიშვილს „ძველი ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ნუსხათაგან განსხვავებული ზოგი ისეთი ფაქტი აქვს დასახელებული, რომ მათთვის გვერდის ავლა ისტორიკოსს არ ეგების, რამდენადაც ვახუშტის შრომა არის „თავის დროისათვის მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ“ **(შესხია 1947:51)**.

X—XI საუკუნეების ისტორიისათვის პირველხარისხოვან ცნობებს გვაწვდიან საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრების აღმწერი ნაწარმოებები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ეს თხზულება დაწერილია 950 წელს **(ინგოროყვა 1954:10)**, მაგრამ იქ აღწერილი საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკური ვითარების, საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საკითხების ცოდნას დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თემის გაშუქებისათვის.

მართალია, პოლიტიკური დაშლილობის პერიოდშია დაწერილი, მაგრამ თანადროული სოციალური ურთიერთობის ისტორიისათვის ძვირფას მასალას გვაწვდის ბასილი ზარზმელის „ცხოვრება და მოქალაქეობა სერაპიონისი“. მკვლევარი ამ ძეგლში იპოვნის მდიდარ მასალას სამხრეთ საქართველოს ეკონომიკური, კულტურის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიისათვის.

ასევე უმნიშვნელოვანესი მოვლენებია აღწერილი გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“. რად ღირს ამ თხზულებაში დაცული თუნდაც ერთი ფაქტი -- დავით III კურაპალატის მიერ ბიზანტიისათვის სკლიაროსთან ბრძოლაში დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელიც აკაკის ბრწყინვალე პოემის — „თორნიკე ერისთავის“ შთაგონების წყარო გახდა.

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ახლებურ მნიშვნელობას იძენენ თანამედროვე პირობებში, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლების დროს, მარქსისტული იდეოლოგიისა და კომუნისტური პარტიის მიერ ამოჩემებული ათეიზმის გამო, საეკლესიო თემებზე წერა შეუძლებელი იყო. ახალ ვითარებაში კი აუცილებელია წინ იქნეს წამოწეული ქართული ქრისტიანული ეკლესიის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. აღმოიფხვრას ის ხარვეზი, რაც ამ მხრივ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ჰქონდა. ხალხის ისტორიის სრულყოფილი სურათის წარმოდგენა მისი სულიერი ცხოვრების ჩვენების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ქვემოთ შევეცდებით, შესაძლებლობის მიხედვით, გავაშუქოთ ბაგრატ III-ის ეპოქის რელიგიის ისტორიის საკითხებიც.

X ს-ის საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ბიზანტიის იმპერატორი **კონსტანტინე პორფიროგენეტი** (912—959). ეს ცნობები ქართველოლოგიაში კარგა ხანია განიხილება და მეცნიერულ ბრუნვაშია მოქცეული. მათ, როგორც პირველწყაროს, იყენებდნენ: მარი ბროსე, ი. მარკვარტი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და სხვანი. კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებებიდან სათანადო ადგილები ამოკრიფა და ბერძნულ – ქართული სინქრონული ტექსტი, 1952 წელს, „გეორგიკის" IV ტომის II ნაწილში, გაომოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა.

კონსტანტინეს ორიგინალური თხზულება „სახელმწიფოს მართვის შესახებ" წარმოადგენს მიმართვას თავისი შვილის რომანოზისადმი. სწორედ ამ ნაწარმოების 44, 45 და 46-ე თავები შეიცავენ საქართველოსთან დაკავშირებულ ცნობებს.

ს. ყაუხჩიშვილს თავისი გამოცემის შენიშვნებში რამდენჯერმე აქვს ხაზგასმული, რომ პორფიროგენეტი ამა თუ იმ ფაქტის გადმოცემისას ქართულ წყაროს ეყრდნობოდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტის მთელს მონათხრობში გამოყოფდი ორ საკითხს.

პირველი, შეეხება ბასიანის თემის კუთვნილების საკითხს. ეს მხარე დაპირისპირების საგანი ყოფილა არა მხოლოდ XI ს-ის დასაწყისში, როგორც ე. წ. „დავით კურაპალატის მემკვიდრეობის" ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მეორემ მოიიტაცა, არამედ ერთი საუკუნით ადრეც.

ბასიანი (მდ. არაქსის სათავეების მიმდებარე მხარე) არაბებმა წაართვეს ბიზანტიელებს. ქართველთა მეფისა და კურაპალატის ადარნასე I -ის დროს (888-923). მასსა და ბიზანტიას შორის მომხდარა შეთანხმება, რომ ტერიტორიები, რომელსაც ქართველები აგარიანებისაგან გაანთავისუფლებდნენ უნდა გადასულიყო კურაპალატის ან მისი ძმისწულის ადარნასეს[1] „ბრძანებლობისა და ბატონობის ქვეშ" **(გეორგიკა 1952:269)**.

ბიზანტიელები არ ასრულებდნენ ამ პირობას, რის გამოც ქართველებს შეუწყვეტიათ აქტიური მოქმედება. მაგრამ, როცა არაბებს წაართვეს თეოდოსიუპოლი (არზრუმი, ქართული — კარნუ-ქალაქი) ქართველებმა იგი დაიკავეს. კონსტანტინე არ აჩვენებს მონაწილეობდნენ თუ არა ამ ოპერაციაში ისინი და საყვედურობს მათ ბიზანტიელთა საწინააღმდეგო მოქმედებაში. მაგრამ იმპერატორი, ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, ამ შემთხვევაში „ობიექტური არ არის: თუ იბერიელებს არ მიუღიათ მონაწილეობა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორღა შეძლებდნენ ისინი თეოდოსიუპოლის ციხის ხელში ჩაგდებას?" **(იქვე: 273)**.

იმპერატორის პრეტენზიის უმართებულობა მისსავე გადაწყვეტილებაში აისახა: მან ბასიანის თემი ორად გაჰყო. არაქსის მარცხენა მხარე იბერიელებს მიაკუთვნა, მარჯვენა (თეოდოსიუპოლით) კი თავისთვის დაინარჩუ-

[1] ეს ადარნასე იყო პირველად დასახელებულის არა ძმისწული არამედ, ძისწული — შვილიშვილი.

ნა. ეს მორიგება მაინც ბიზანტიისთვის იყო სასარგებლო. ამიტომ დავით III კურაპალატმა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობისათვის მონაწილეობაში კონსტანტინეპოლის ხელისუფლებას „ზემონი ქვეყანანი“ და არაქსის მარჯვენა სანაპიროც მოთხოვა. როგორც ცნობილია, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა კიდეც.

მეორე, პორფიროგენეტის თხზულების 46-ე თავი — „იბერთა გენეალოგიისა და არდანუჯის ციხის შესახებ“, ს. ჯანაშიას განხილული აქვს ტაო–კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიის დასაზუსტებლად **(თსუ „შრომები“, ტ. XVIII, 1941, გვ. 69—86)**. მკვლევარი იძლევა მისთვის საინტერესო ადგილების საკუთარ თარგმანს. მათი ანალიზისას კი აჩვენებს იმ შეცდომებს, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტს აქვს დაშვებული.

ამ შეცდომების ნაწილი შემდეგ გაიმეორეს მ. ბროსემ, ი. მარკვარტმა და ივ. ჯავახიშვილმაც კი. ამის მიზეზი ის იყო, რომ დასახელებულთაგან პირველ ორს ხელთ ჰქონდათ ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ შევსებული „ქართლის ცხოვრება“, რომელშიაც არ იყო შესული სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ და მოკლებულნი იყვნენ ბიზანტიის იმპერატორის ცნობების ამ წყაროსთან შეჯერების შესაძლებლობას.

პორფიროგენეტი საგანგებოდ ჩერდება ბაგრატიონთა დინასტიის დავით წინასწარმეტყველიდან წარმომავალობისა და გვარის შიგნით ენდოგამიური ქორწინების დაშვებულობის შესახებ. ამ თემაზე ჩვენ ქვემოთ გვაქვს საუბარი.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ თხზულებაში მკვლევარი მნიშვნელოვან ტოპონიმიკურ და ისტორიულ–გეოგრაფიულ მასალას იპოვნის, ასეთების საუკეთესო მაგალითები აქვს ყურადღებამიქცეული ს. ყაუხჩიშვილს თავისი გამოცემის შენიშვნა–სქოლიოებში, რომლებიც ფაქტობრივად დამოუკიდებელ მინი ნარკვევებს წარმოადგენენ.

კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების — „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიებზე“, ს. ყაუხჩიშვილისეულ თარგმანში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იქ-დამოწმებული წესი, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო იბერიის კათალიკოსისათვის „უნეტარესის“ ეპითეტით მიემართათ **(გეორგიკა 1952: 293)**.

2. ისტორიოგრაფია

პირველი ცდა, ქართული და უცხოური წყაროების შეჯერების გზით, საქართველოს ისტორიის დაწერისა ეკუთვნის ჩვენი კულტურისა და ისტორიის დიდ მოამაგეს **მარი ფელისიტე ბროსეს** (1802—1880). მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ჩვენი თემისათვის ყველაზე უფრო საყურადღებოა „საქართველოს ისტორიის“ პირველი ნაწილი, სადაც ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი გადმოცემულია უძველესი დროიდან 1469 წლამდე.

ეს ნაშრომი ასე წარმოიშვა: საქართველოს ისტორიის მასალების ხანგრძლივი კვლევისა და ანალიზის შედეგად, მ. ბროსეს 1855 წელს რუსულ ენაზე დაუწერია ზემოთ დასახელებული წიგნი და იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისათვის წარუდგენია, აკადემიკოსთა ყოველწლიური მოხსენებების სახით, რომელსაც მაშინ დისერტაციას უწოდებდნენ.

იმავე, 1955 წლის აგვისტოში, აკადემიის ბიულეტენი იუწყებოდა: „მ. ბროსემ წარმოადგინა საქართველოს ძველი ისტორიის მიმოხილვა რუსულ ენაზე... ამ შრომის უმთავრეს ღირსებას შეადგენს ის, რომ ავტორს საქართველოს ძველს ისტორიაში შემოაქვს არა მხოლოდ უმთავრესი ფაქტები, ქართულ მატიანეში მოხსენებული, არამედ მრავალი სხვა წვრილმანი ამბები, აღმოჩენილი ძველი დროის ისტორიულ ნაშრომებში და უცხოელების ევროპელების და აზიელების წყაროებში" **(ციტირებულია—მთარგმნელის შენიშვნის მიხედვით)**.

ამ ნაშრომის ბროსესეული ხელნაწერი მის შვილს — ლავრენტის, თარგმნისა და გამოცემის უფლებით, გადაუცია ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლის სიმონ ღოღობერიძისათვის. სიმონის მამა ნიკოლოზი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი იყო. მან გ. შარაძის სტამბაში თავისი ხარჯით გამოსცა შვილის მიერ ნათარგმნი და განმარტებული „საქართველოს ისტორია".

მთარგმნელი შენიშნავს: „ამჟამად ჩვენ უფრო საჭიროდ ვპოვეთ მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიის" თარგმნა, რადგან ქართულ ენაზე არამც თუ ჩვენი ერის პრაგმატული ისტორია არ მოგვეძევა, არამედ—წესიერად შედგენილი სახელმძღვანელოც არ არის" **(მ. ბროსე 1895:II)**.

ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებს, რომ მისი შედგენისას მთავარი წყარო იყო „ქართლის ცხოვრება", მაგრამ მან ეს მატიანე „საისტორიო კრიტიკის წესის თანახმად" გამოიყენა და თანაც „ქართლის ცხოვრების" ცნობები საჭიროდ სცნო შეეთანხმებინა „უცხო ტომთ ნაამბობთან და მივიღებთ მხოლოდ მას, რაც არ იქნება წინააღმდეგი სხვა მეისტორიებისა, უკვე ცნობილია. დასასრულ—ქართულ მატიანეების ნაკლს შევკრებთ მოსაზღვრე აზიელების და აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, დასავლეთის ერთა ისტორიული წყაროებიდამ" **(იქვე:4)**.

სწორედ ამ პრინციპების დაცვითაა დაწერილი მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიის" ის მონაკვეთი, რომელიც ბაგრატ III-ის ეპოქის მოვლენებს შეეხება. თუმცა მთლიანად ეს თხრობა ზუსტად მიჰყვება „ქართლის ცხოვრების" სქემას. განსხვავება კი, რაც თვალში ეცემა დაკვირვებულ მკითხველს, ეს არის ახსნა იმისა, თუ რატომ ეწოდა ბაგრატს „მეფეთმეფე". „ბაგრატი იწოდებოდა მეფეთ–მეფედ იმიტომ, — წერს მ. ბროსე, — რომ ის დიდი ხანია, რაც აფხაზეთის მეფე გახდა" **(იქვე: 129—130)**. ცნობილი კია, რომ ეს ტიტული ბაგრატ მესამემ მხოლოდ მამამისის მეფეთა მეფე გურგენის გარდაცვალების (1008) შემდეგ მიიღო. ასევე სხვაგვარადაა ახსნილი 1001 წელს ბასილი კეისრის მიერ გურგენისათვის მაგისტროსის, ხოლო ბაგრატისათვის კურაპალატის ტიტულების მინიჭების შედეგი. ბროსეს

მიხედვით: „გურგენი ფრიად უკმაყოფილო დარჩა თავისი ნაწილით და მაშინვე წინაღუდგა ბასილს და თავს დაესხა დაბა ოლთისს" (**იქვე: 130**). სინამდვილეში კი იმპერატორის განზრახვა მამა–შვილს შორის შუღლის ჩამოგდებაში მდგომარეობდა, რასაც ვერ მიაღწია.

ასეთი განსხვავებანი პოლიტიკური სიტუაციის დეტალების ბროსესეულ გადმოცემასა და ამჟამად უტყუარად დამტკიცებულ მოვლენებს შორის სხვაცაა, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანი მათი აღნუსხვა კი არ არის, არამედ იმ დამსახურების ხაზგასმაა, რაც მ. ბროსეს, როგორც საქართველოს ისტორიის ერთ–ერთ პირველშემდგენელს, ახასიათებს.

წყაროების სისტემატიზაციის გზით, საქართველოს ისტორიის პრაგმატული კურსის ქართულ ენაზე გადმოცემის პირველი ცდა **დიმიტრი ბაქრაძეს** (1826—1890) ეკუთვნის. 1889 წელს გამოვიდა მისი „ისტორია საქართველოსი", სადაც თხრობა იწყება უძველესი დროიდან და მოდის X ს-ის დასასრულამდე. მართალია, ამ წიგნში ბაგრატ III-ის მეფობა არაა გაშუქებული, მაგრამ მისი ავტორის შეხედულებანი ამ ეპოქაზე მოცემულია ვრცელ განმარტებებსა და შენიშვნებში, რომლებიც დ. ბაქრაძემ გაუკეთა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის", 1885 წლის, მისეულ გამოცემას. ეს „განმარტებანი და ახლად შეძენილი არხეოლოგიური... ცნობები" (როგორც თვითონ უწოდებს) ავტორს ხშირად აქვს დამოწმებული და ზოგჯერაც თითქმის უცვლელად გადმობეჭდილი საკუთარ ნაშრომში.

ასე, რომ დ. ბაქრაძის მიერ ბაგრატ III-ის ეპოქის შესასწავლად გაწეული შრომის წარმოსადგენად ეს ორი წიგნი ერთმანეთს ავსებს და სრულყოფილ სურათს ჰქმნის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი ავტორი ამ ეპოქას თავის ზოგიერთ სხვა ნაშრომშიაც ეხება (**იხ. Бакрадзе1877 და 1882**).

დ. ბაქრაძემ პირველმა გამოიყენა ბაგრატ III-ის დასახასიათებლად „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების" მინაწერი: „ადიდენ ღმერთმან ბაგრატ აფხაზთა მეფე და ქართველთა კუროპალატი მსგავსად დავით ცხებულისა და მოსცა მას გონება მდაბალი და დათესულ არს გულსა მისსა სიყვარული ღვთისა,სიმდაბლე და სიმშვიდე მიუწუდომელი, მოწყალება გლახაკთა უშურველი და აღშენება ეკლესიათა და შეკრებაჲ ნაწილთა წმიდათაჲ" (**ბაქრაძე 1889:249**).

ბაგრატ III-ის სახებად მიაჩნია დ. ბაქრაძეს მის მიერვე აღწერილი ზარზმის ტაძრის ფრესკა (**იქვე:242.;შდრ.იქვე:268**).

თავის შტუდიებში დ. ბაქრაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ: „დავითმა (III, კურაპალატმა.— გ.მ.) თავის შვილობილის ბაგრატ მესამისათვის (თვითონ ხყო უშვილო) შეაერთა ერთ სამეფოდ ტაო, აფხაზეთი და ქართლი და თვით მის სიცოცხლეშივე ბაგრატი დაჯდა მეფედ[1] „...ამ ბაგრატიდამ იწყება მბწყინვალე დრო საქართველოს სამეფოსა" (**ვახუშტი 1885:138**).

[1] დავით მესამემ ბაგრატ მესამე გაამეფა ქართლში (975 წ.). აფხაზეთში ბაგრატი გამეფდა (978) დავითისაგან დამოუკიდებლად, როგორც დედამისის სამემკვიდროში. ტაოს ნაწილი კი მან მიიღო მხოლოდ მამის, გურგენ მეფეთა მეფის გარდაცვალების შემდეგ (1008).

საყურადღებო დაკვირვებები აქვს დ. ბაქრაძეს ისტორიული გეოგრაფიის სფეროშიაც, ცხადია, მისი ნაშრომების გამოქვეყნების შემდგომ, ბევრი რამ ახლებურად გაირკვა და დაზუსტდა, მაგრამ დ. ბაქრაძის მიერ საისტორიო მეცნიერების ამ დამხმარე დარგში გამოთქმული მოსაზრებანი და საერთოდ, მისი კონცეფცია, ყოველთვის დარჩება, როგორც მშობლიური ისტორიის შესწავლის მნიშვნელოვანი ეტაპი.

ამის დასადასტურებლად დავიმოწმებთ მის შემდგომ ნააზრევს: „საზოგადოდ ისტორიულ გეოგრაფიაში ხშირია იმგვარი მოვლენა, რომ სახელწოდება ერთი მხარისა ეძლევა და ეთვისება მეორე მხარეს შემთხვევით. აფხაზეთის ერისთავნი თუმცა ისხდნენ აფხაზეთში, მაგრამ როდესაც იმათ მიითვისეს მეფის ხარისხი, მაშინ იმათ თავიანთი რეზიდენცია გადაიტანეს ქუთაისს; თვით სახელწოდება აფხაზეთისა მისთვისეს მთელს იმერეთს; ამისათვისაც როდესაც ძველ მწერლობაში ვკითხულობთ: „აფხაზეთის სამეფო სახლი, აფხაზეთის კათალიკოსი, აფხაზეთის ერი, აფხაზეთის სამეფო", ამ სიტყვებით იგულისხმება „იმერეთის სამეფო სახლი, იმერეთის კათალიკოსი, იმერეთის ერი, იმერეთის სამეფო". სახელწოდება „იმერეთი" ხმარებაში შემოდის პირველად დავით აღმაშენებლის დროს" (**ვახუშტი 1885:132; შდრ. ბაქრაძე 1889:270**).

დ. ბაქრაძე შენიშნავს: „აფხაზნი, ჩერქეზების მონათესავე ტომი, აქ ცხოვრობდნენ ძველადვე და **ჩამოსულნი არიან მთებიდან** (ხაზი ჩემია.—გ. მ.), თუმცა არ ვიცით რა დროიდან" (**ვახუშტი 1885:132**). სხვა ადგილას კი იგი აზუსტებს: „ახლანდელის გამოკვლევით იგინი (აფხაზები.—გ.მ.) უბიხებითურთ შეადგენენ დასავლეთის კავკაზის ერთ მონათესავე გრუპპასა. ბერძენთ მწერალნი პირველად უჩვენებენ აფხაზებსა II საუკუნეში" (**ბაქრაძე 1889:271**).

იმის დასადგენად, თუ რას ნიშნავდა დავით კურაპალატისათვის ბიზანტიის იმპერატორის მიერ სკლიაროსზე გამარჯვებისათვის მოცემული „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი", დ. ბაქრაძე იშველიებს ასოჰიკის ცნობას, საიდანაც ვიტყობთ, რომ „საბერძნეთის სომხეთში" (დ. ბაქრაძის გამოთქმაა. —გ.მ.) გულისხმობდნენ: „ხახთი–არიჩს კლეე–სირიით, ჩორ–მაირს, კარინს (არზრუმს) ბასიანს და სევუკის ციხეს მარდახით, ხარკს და აპაჰუნიკს"[1] (**იქვე: 240—241**).

აფხაზეთის მეფეთა ქრონიკას — „მეფეთა დივანს" დ. ბაქრაძე „აფხაზეთის ისტორიად" იხსენიებს და იზიარებს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ცნობას, რომ ეს ძეგლი ბაგრატ მესამემ შეადგინა 992 წელს. (**იხ. ვახუშტი 1885:133; ბაქრაძე 1889:273--274**).

ბაგრატ მესამის ეპოქის ისტორიას **ივანე ჯავახიშვილი** (1876—1940) იხილავდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საერთო პრობლემასთან ერთად. ეს პრობლემა კი მან სრულიად ახლებურად დააყენა ქართულ ისტორიოგრაფიაში (**ლორთქიფანიძე 1963:10—11**).

[1] ამ რეგიონის გეოგრაფიულ არეალსა და ეთნოგრაფიულ ვითარებაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

სიახლე გაერთიანების ვრცელ ისტორიულ პროცესად გააზრებაში, ამ პროცესის ქრონოლოგიური საზღვრების გაზრდასა და მისი შესწავლისათვის ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნაში მდგომარეობდა. მისი კონცეფციის ყველა ეს კომპონენტი დაწვრილებითაა გაშუქებული „ქართველი ერის ისტორიის" II ტომში, „ქართული სამართლის ისტორიაში", „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიასა" და „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში" (**ჯავახიშვილი 1983, 1982, 1984, 1930 და 1977**).

მ. ლორთქიფანიძე ივ. ჯავახიშვილის დამსახურებას საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების კვლევის საქმეში ასეთ შეფასებას აძლევს: „ივ. ჯავახიშვილმა, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფეოდალური საქართველოს გაერთიანება განიხილა არა როგორც ცალმხრივი ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც ვრცელი ისტორიული პროცესი. მან გააფართოვა ამ პროცესის როგორც შინაარსობლივი, ისე ქრონოლოგიური საზღვრები. გაერთიანების ქრონოლოგიურ საზღვრებად ივ. ჯავახიშვილმა IX—XI საუკუნეები დასდო, მაგრამ გაერთიანების პროცესს ის VIII საუკუნიდან, ქართული ადრეფეოდალური სამეფო–სამთავროების ჩამოყალიბების დროიდან იწყებდა" (**ლორთქიფანიძე 1963:10**)

ივ. ჯავახიშვილის კონცეფციის მიხედვით, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ამიერკავკასიის მასშტაბის, მაშასადამე, მრავალეროვნული პროცესი იყო. „ქართლსა ზედა ბრძოლაში" სომხური სამთავროებიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

საქართველოს გაერთიანების უპირველეს პირობად ივ. ჯავახიშვილს ხელსაყრელი საგარეო პირობების შექმნა მიაჩნდა. შინააშლილობას არაბთა ხალიფატში დაემთხვა ხატმებრძოლება ბიზანტიაში. ორივე იმპერია თანდათან სუსტდებოდა, დაპყრობილ ქვეყნებზე თავის ხელისუფლებას წინანდებურად ვეღარ ახორციელებდა. ე. ი. პირობები თავისუფლების მოპოვებისათვის უკეთესი იყო. ამით სარგებლობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურები. „სარკინოზთა მოუძლურების გამო" მარტო ქართველი მეფე-მთავრები კი არა „თბილისის ამირებიც ცდილობდნენ ხალიფასაგან დამოუკიდებლობა მოეპოვათ" (**ჯავახიშვილი 1983:93**).

საგარეო წნეხის შესუსტებამ, ქვეყნის გაერთიანების მეორე პირობას — ეკონომიკურ გამოცოცხლებას შეუწყო ხელი. ცალკეული სამთავროები თანდათან წინაურდებიან, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიკურად. ამ პროცესს ბუღა თურქისა (853) და აბულ-კასიმის (914) დამსჯელი ექსპედიციებიც ვეღარ აფერხებენ.

მესამე დიდ დამამკვიდრებელ ფაქტორად, ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა VIII და IX—X სს. საქართველოს სულიერი ცხოვრებისათვის მეტად დამახასიათებელი და განსაკუთრებული ელფერის მიმცემი ძლიერი სამონასტრო მოძრაობა და ეკლესიის ბატონობა (**იქვე:116**).

დიდ მნიშვნელობას აძლევდა ივ. ჯავახიშვილი გამაერთიანებელი მეფის პირად თვისებებსა და პოლიტიკურ კურსს. მას სწორად მიაჩნდა ბაგრატ III-ის ღონისძიებანი ქართლში მტკიცედ დამკვიდრებისათვის. „ამიერითგან

— წერდა იგი,—საქართველოს გაერთიანების საქმე მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელი ნების პატრონს მეფეს ჩაუვარდა ხელში. დაუღალავად მუშაობდა იგი სამეფოს კეთილდღეობისათვის და არასდროს გარკვეულს გზას არ გადაუხვევდა, არც დაბრკოლების წინ შეჩერდებოდა და უკან დაიხევდა" (**იქვე:126**)

ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს საქართველოს გაერთიანების პროცესის შესწავლაში იე. ჯავახიშვილის დამსახურების უფრო ვრცლად გადმოცემა. ვფიქრობთ, ჩვენი ამოცანისათვის ნათქვამიც საკმარისია.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევას დიდი ენერგია შეალია **სარგის კაკაბაძემ (1886--1967)**. მისი ნაშრომების დიდი უმრავლესობა გამოუქვეყნებელი დარჩა (**ბადრიძე 1986:23**). გამოქვეყნებულთაგან ბაგრატ III-ის ეპოქას ეხება მისი — "Краткий обзор истории Грузии", რომელიც 1941 წელს გამოიცა. აქ სქემატურადაა განხილული ბაგრატ III-ის მეფობა, როგორც ჩანს, ნაშრომის მოცულობამ ავტორს საშუალება არ მისცა მრავალმხრივ გაეშუქებინა საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ეპოქა.

1927 წელს გამოცემულ ნაშრომში „შუა საუკუნეების საქართველოს სოციალ–ეკონომიკური საკითხებიდან" (რუს.ენაზე) და ზოგიერთ სხვა სტატიებში ს. კაკაბაძე ამტკიცებდა, რომ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება საქართველოში გვაროვნული წყობილების რღვევის საფუძველზე მომდინარეობდა.

ს. კაკაბაძე გულდასმით იკვლევდა წინა აზიაში საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობის გამოცოცხლების ასპექტებს, IX—X საუკუნეებში. რადგანაც მათ იგი ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოშობისა და აღმავლობის მთავარ მიზეზად რაცხდა.

გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ხელისუფალთა უფლებამოსილების თეორიული დასაბუთების ორიგინალური ცდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, **სიმონ ჯანაშიას** (1900–1947) ეკუთვნის. ივ. ჯავახიშვილთან და ნ. ბერძენიშვილთან ერთად გამოცემულ "საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში შევიდა მის მიერ დაწერილი პარაგრაფი — „ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარება დავით III-ის დროიდან დავით IV-მდე". ძირითადად აქ არის შეჯამებული ავტორის მოსაზრებანი ამ საკითხზე.

ს. ჯანაშია ამ ნაშრომში საგანგებოდ ეხება ბაგრატ III-ის მიერ მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის გატარებულ ღონისძიებებს. იგი შენიშნავს, რომ ტაო–კლარჯეთის ბაგრატიონების სახელმწიფო „ცალკეულ შინაგან დამოუკიდებელი და ურთიერთშორის სუსტად დაკავშირებული სამფლობელოებისაგან შედგებოდა". სახელმწიფოს მეთაური მხოლოდ პირველი იყო მეფეთა შორის „დავით III-ის ტიტული „მეფეთა–მეფე" ადასტურებდა მრავალი მეფის არსებობას, რომელთა შორის ერთი იყო უფროსი მეფე, მეფეთა მეფე" (**დასახ. სახ–ლო, 1948:191**).[1]

[1] ეს საკითხი ჩვენს მეცნიერებაში ამჟამად სხვაგვარადაა ახსნილი.

„ბაგრატ III, — კი ხაზს უსვამს ს. ჯანაშია, — დაჯერებული მომხრეა ახალი შეხედულებისა სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო წყობილებაზე" (**იქვე**). იგი შეუზღუდველი ერთმმართველობისაკენ მიისწრაფოდა და თავისი ხელისუფლება საქართველოს უდიდეს ნაწილზე გაანავრცო. „ამ მიზნისათვის კი იგი არ ერიდებოდა ყველაზე მკაცრ ღონისძიებებს. მათ შორის — თავისი უახლოესი ნათესავების მოსპობასაც კი" (**იქვე**: 192). იგი თავისი საქმიანობით ყოველმხრივ ნერგავდა იდეას, რომ ქვეყანას მხოლოდ ერთი მეფე შეიძლება ჰყავდეს და ტახტზედაც ერთადერთი მემკვიდრე დატოვა.

გაერთიანების ეპოქის საქართველოს ისტორიის კვლევისას ასევე დიდი მნიშვნელობისაა ს. ჯანაშიას ნაშრომები: 1. „კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ.", 2. „ტერმინ „ქართლის" ისტორია" (რუს.); 3. „ისტორიული ჰეშმარიტების დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ" (რუს.).

პირველ მათგანში განვითარებული ზოგიერთი მოსაზრების გამო, ჩვენ წყაროების მიმოხილვის დროს, უკვე გვქონდა საუბარი.

მესამე, ნაშრომში კი მოცემულია ნ. ტოკარსკის წიგნის „ძველი სომხეთის არქიტექტურის" კრიტიკა. ეს პოლემიკური პუბლიკაცია წარმოდგენს მეცნიერული ობიექტურობის იშვიათ ნიმუშს. მასში გამოაშკარავებულია ნ. ტოკარსკის ტენდენციურობა, მისი მოსაზრებების სიყალბე და უსაფუძვლობა. გაშუქებულია ტაო-კლარჯეთის ტერიტორიული კუთვნილების პოლიტიკური და კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მათზე მსჯელობის დროს ავტორი, მიკერძოებაში რომ ბრალი არ დასდონ, ძირითადად იყენებს ბერძნულ და სომხურ წყაროებს, ქართულს კი იშვიათი გამონაკლისის სახით. ს. ჯანაშიას ამ ნაშრომმა, როგორც ისტორიული სამართლიანობის აღდგენის საუკეთესო მაგალითმა, მაშინვე მიიპყრო მეცნიერული წრეების ყურადღება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალმა „ვოპროსი ისტორიიმ" (**ВИ, 1947,№5**) იგი დაუყოვნებლივ გადაბეჭდა მთლიანად.

მაგრამ ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ, ვ. მიხანკოვა შეეცადა ეჭვქვეშ დაეყენებინა მისი ზოგიერთი დებულება (**ВИ, 1950, №2**).

ამ ცილისმწამებლური წერილის ანტიპოდს წარმოადგენს ხელოვნების ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ა. იაკობსონის რეცენზია ნ. ტოკარსკის წიგნზე, რომელიც ჟურნ. „ვიზანტიისკი ვრემენნიკის" 1950 წლის №3-ში გამოქვეყნდა. ავტორს ტაო-კლარჯეთის ძეგლების ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგად გამოაქვს დასკვნა, რომ ისინი ქართულ კლასიკურ არქიტექტურას განეკუთვნებიან.

უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი ეს კამათი გამოწვეული იყო, ქართული კულტურის საკითხების გაშუქებაში, ნ. მარის მიერ მოცემული არაობიექტური შეფასების გამო. როცა 1950 წელს ნ. მარის ვულგარული თეორია მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, სურათი ნაწილობრივ შეიცვალა. მაგრამ სამხრეთ საქართველოს არქიტექტურის, კულტურის ისტორიისა და ეთ-

ნოგრაფია-ტოპონიმიკის საკითხები კვლავ არაერთხელ შუქდება არაობიექტურად. ამდენად, ს. ჯანაშიას დასახელებულ ნაშრომს დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

სხვაგვარი დანიშნულებით გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ მეცნიერული ღირებულების მიხედვით, იგივე შეიძლება ითქვას მის ნაშრომზეც — „ტერმინ „ქართლის" ისტორიის" შესახებ" (**ჯანაშია 1988**).

ნიკოლოზ ბერძენიშვილის კვლევის ძირითადი სფერო იყო საქართველოს ისტორიის ე. წ. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქა. მაგრამ თავისი მეცნიერული დიაპაზონით იგი იმდენად მრავალმხრივი და განმაზოგადებელი კონცეფციებით მოაზროვნე მკვლევარი იყო, რომ ხელეწიფებოდა უმნიშვნელოვანესი დაკვირვებებისა და დასკვნების გაკეთება ქართველი ხალხის მთელ ისტორიულ სვებედზე. ამიტომ ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების" მრავალტომეულში გაბნეულია ავტორის მოსაზრებანი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის პრობლემების გაშუქებისათვის ფუძემდებლურ დებულებათა მნიშვნელობა აქვთ.

ასეა ეს ბაგრატ III-ის ეპოქის მიმართაც: ნ. ბერძენიშვილის მიერ ამ თემაზე გამოთქმული ყველა მოსაზრებისა თუ ჰიპოთეზის შესახებ მსჯელობა ჩვენს მიზანსა და შესაძლებლობებს აღემატება, მაგრამ რამდენიმე დაკვირვების გაზიარება, ეპოქის შესწავლაში მეცნიერის წვლილის წარმოსადგენად, აუცილებლად და.სასარგებლოდ გვესახება.

1. ნ. ბერძენიშვილმა, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესწავლის ფონზე, გააშუქა პოლიტიკური ისტორიის ისეთი პრობლემები, როგორიცაა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურები და დანიშნულება (**ბერძენიშვილი 1975**).

2. დავით აღმაშენებლის წინარე ეპოქის კვლევისას ნ. ბერძენიშვილის ყურადღება მიიპყრო საზოგადოების განვითრების ხასიათისა და დონის საკითხმა. ამასთან დაკავშირებით მან საფუძვლიანად გამოიკვლია პატრონყმობის ინსტიტუტი, მისგან ბატონყმობაზე გარდამავალი საფეხური და ეს პროცესი დაუკავშირა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. (**იქვე**).

3. ნ. ბერძენიშვილმა ახლებურად გაიაზრა ბაგრატიონებისათვის „აფხაზეთისა" და ქართლის მნიშვნელობა. „დამახასიათებელია, — წერს იგი, — რომ XI საუკუნეში და შემდეგ, დასავლეთ საქართველო მეფის სახლთან დამოკიდებულების თვალსაზრისით უფრო „სამეფოდ" ითვლება, ვიდრე დანარჩენი ქვეყნები. ამას მოწმობს გამოთქმა „ძველი სამეფო" (ბაგრატ IV დროს, ამასვე მოწმობს ქუთაისი — „სახლი სამკვიდრებელი ჩუენი" (ოპიზართა სიგელი),... თბილისის აღებამდე ბაგრატიონები თავს „აფხაზთთა მეფეებად „გრძნობდნენ" (**იქვე:156**).

რაც შეეხება ქართლს, აქ ბერძენიშვილს აინტერესებს რით უნდა აიხსნას, რომ „კლარჯეთის ბაგრატიონებმა მიიღეს ტიტული „ქართველთა მეფე" რატომ არ ეწოდათ მათ კლარჯთა მეფე ისევე, როგორც კახთა ქორიკოზი, ან რანთა და კახთა მეფე, ან აფხაზთა ან სომეხთა მეფე". ქართველობის, რა უპირატესობა ჰქონდათ მათ შედარებით სხვებთან" საქმე ისაა, რომ სა-

ქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა ესაა „ბრძოლა ქართლსა ზედა". მერჩულეს ქართლი პოლიტიკური ერთეულია და არა ეთნიკური. იგი ზემოთ დასახელებულ „ქვეყნებზე" თანაბრად ვრცელდება, გარდა საკუთრივ ქართლისა: „აქ უამისოდაც ქართლი იყო, ყველგან სხვაგან კი ქართლი იყო იმიტომ, რომ იქ ჟამი ქართულად შეიწირებოდა". კლარჯეთის მფლობელებმა, „ქართველთა მეფის" ტიტულის დასაკუთრებით, წარსულში არსებული ქართლის — იბერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზია განაცხადეს და ახალი დიდი სახელმწიფოს (მერჩულეს „ქართლის") მესვეურობა მიიღეს (**იქვე: 284; შდრ. მუსხელიშვილი: 1980:41**).

4. ნ. ბერძენიშვილის კალამს ეკუთვნის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში შესული პარაგრაფები, რომლებშიაც ბაგრატ III-ის ხანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიაა გაშუქებული. მათი უფრო ვრცელი რედაქცია გამოქვეყნებულია ავტორის „საქართველოს ისტორიის საკითხების" VI ტომში.

1954 წელს გამოქვეყნდა **პავლე ინგოროყვას** (1893—1983) ნაშრომი „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა" უფრო ადრე იგიგაგრძელებებით იბეჭდებოდა „მნათობში" (1949—1952). ეს ფაქტი იმიტომ არის ხაზგასასმელი, რომ პ. ინგოროყვამ ნ. მარი ანტიქართული პუბლიკაციებისათვის მნიშვნელოვნად ადრე გააკრიტიკა, ვიდრე მისი განქიქება დაიწყებოდა ი. სტალინის ენათმეცნიერული ოპუსების „პრავდაში" დაბეჭდვის შემდეგ (1950წ.) პ. ინგოროყვა ნაშრომის სათაურში მითითებული საუკუნით არ შემოისაზღვრება. იგი ამ გამოკვლევაში აშუქებს უფართოეს საკითხთა სპექტრს, რომელთაც ზოგჯერ პირდაპირი კავშირი არა აქვთ გიორგი მერჩულეს ნაწარმოებთან. მაგრამ საქართველოს ისტორიის საკვანძო პრობლემებს განეკუთვნებიან.

პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეზე" მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მკვლევარმა, ამ მონუმენტური შრომის გამოქვეყნებამდე ორი ათწლეულით ადრე, ჩამოაყალიბა საკუთარი კონცეპტუალური დამოკიდებულება ქართველოლოგიური კვლევისადმი, რომელსაც იგი თანმიმდევრულად იცავდა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე.

პ. ინგოროყვას ამ თვალსაზრისმა თავისი ჩამოყალიბებული სახე მიიღო 1929—32 წწ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი". როცა იგი იწერებოდა, ქართველოლოგიაში დამკვიდრებული იყო ქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება. მათ ცნობებს მხოლოდ ანტიკურ, სპარსულ, სომხურ და ბიზანტიურ მასალებთან შედარების შემდეგ მიიჩნევდნენ სანდოდ. ამიტომ ქართული ცივილიზაციის ბევრი მოვლენა უცხოური წარმოშობისად ცხადდებოდა. ლეონტი მროველის მიერ დანერგილ ამ ტენდენციას, სოციალისტური მეთოდოლოგიის წყალობით, ჩვენს საუკუნეში, რუსოფილური მანკიერებაც დაემატა.

მაგრამ არსებობდა საწინააღმდეგო მიმართულებაც. შუა საუკუნეებში მისი შებაირახტრე იყო გიორგი მთაწმინდელი, ხოლო ახალ დროში — პავლე ინგოროყვა. მის სახელთანაა დაკავშირებული არა მარტო ქართული

ორიგინალური ძეგლებისადმი ნდობის აღდგენა, მათი სანდოობის კოეფიციენტის მაქსიმალიზება, არამედ უფრო მეტიც, ქართული მასალების საშუალებით მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების ისტორიის რიგი პრობლემების ახსნის შესაძლებლობის დამკვიდრებაც.

ავტორის ამ თვალსაზრისმა ფართო ასპარეზი ჰპოვა „გიორგი მერჩულეში".

რადგან ავტორი ამ 1150 გვერდიან წიგნში უამრავი პრობლემის, მოვლენისა და ფაქტის სრულიად ორიგინალურ ანალიზსა და შეფასებას იძლევა, შეუძლებელია მას ყველა მათგანი საჭირო სისრულით, საბუთიანობითა და უცილობელი ჭეშმარიტების ჩვენებით ჰქონდეს გადმოცემული, ყველა მისი დებულება უკამათოდ მისაღები იყოს, ამიტომ ამ ნაშრომმა მართლაც დიდი პაექრობა და აზრთა სხვაობა გამოიწვია.

მაგრამ რა ხარვეზებიც არ უნდა ჰქონდეს ამ უნიკალურ გამოკვლევას მისი დადებითი მხარეები განუზომლად დიდია. ამ თვალსაზრისით მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს: დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა სამეფოს"), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ეკლესიის ისტორიის, ეთნონიმიკის, ტოპონომიკისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ამ თემების გაშუქებაში „გიორგი მერჩულე" დღემდე შეუცვლელი გამოკვლევის მნიშვნელობას ინარჩუნებს. რამდენადაც მასში აღდგენილია ისტორიული ჭეშმარიტება სომხეთ–საქართველოს ისტორიული ტერიტორიების კუთვნილებისა და „აფხაზთა სამეფოს" უძველესი მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

ასევე აუცილებელია ამ ნაშრომის გათვალისწინება ბაგრატ III-ს წინარე ეპოქის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური და კულტურის ისტორიაზე მსჯელობის დროსაც.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხს საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა **მარიამ ლორთქიფანიძემ**. ამ ნაშრომში საკვლევად აღებული პრობლემა განხილულია ყოველმხრივად, არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მეცნიერული ანალიზის გზით.

საკითხის არსისადმი ღრმა წვდომამ ავტორს შესაძლებლობა მისცა მნიშვნელოვანი შედეგებისათვის მიეღწია, საგულისხმო დასკვნები გამოეტანა. იგი ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს საქართველოს გაერთიანების სოციალ-ეკონომიკურ წანამძღვრებზე, ამ გაერთიანების აუცილებლობაზე უცხოურ დამპყრობლებთან წარმატებული ბრძოლისათვის, კულტურასა და იდეოლოგიაზე, IX—X საუკუნეებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მ. ლორთქიფანიძეს საკმაო სისრულით აქვს გადმოცემული სამეფო-სამთავროების ისტორია პოლიტიკური გაერთიანების წინარე ხანაში.

რადგან ავტორი X ს-ის დასასრულზე ამთავრებს თხრობას, იგი ვრცლად არ ჩერდება ბაგრატ მესამესა და მის პიროვნებაზე, მაგრამ საკუთარ შეხედულებას გამაერთიანებელ მეფეზე გადმოგვცემს მის მიერვე დაწერილ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მესამე ტომის შესაბამის პარაგრაფებში.

ჩვენის აზრით, ამ თხრობაში მ. ლორთქიფანიძის მიერ ხაზგასმულია მისი დაკვირვებით შემჩნეული სიახლე, რომ ბაგრატ მესამე უკვე ამჟღავნებდა იმ კურსისაკენ მიდრეკილებას, რაც დავით აღმაშენებლის დროს პოლიტიკურ რეალობად იქცა. მხედველობაში გვაქვს მის მიერ წარმოჩენილი ფაქტი ბაგრატის დამოკიდებულებისა კლდეკარის ერისთავ რატისთან და აქედან გამოტანილი დასკვნა: „რატი არ უარყოფდა თავის მორჩილებას ბაგრატის მიმართ, მაგრამ ბაგრატს არ აკმაყოფილებდა მორჩილების ეს ფორმა. ბაგრატი ერთიან საქართველოს ქმნიდა, კლდეკარის ერისთავების ყმადნაფიცობის პირობით მორჩილება კი ვერ ეგუებოდა ერთიანი სახელმწიფოს წყობილებას" (**სინ 1979:158**). ამ ინტერესების შესაბამისად ბაგრატმა რატი ბაღვაშს ჩამოართვა კლდეკარი. იგი სამოხელეოდ გასცა და არა სამემკვიდრეოდ.

ძლიერ საყურადღებო მასალაა თავმოყრილი მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევაში, რომელსაც „გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს.—XIIIს. დამდეგამდე")" ჰქვია (**მ. ლორთქიფანიძე 1967**). ამ ნაშრომზე აქ არ ვიმსჯელებთ, ვინაიდან ქვევით იგი ფართოდ გვაქვს გამოყენებული და დამოწმებული.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დროს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონის შესახებ, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებისაგან, განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული **გიორგი მელიქიშვილს** (**მელიქიშვილი 1973**). მისი დაკვირვებით ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ღონე სხვადასხვაგვარი იყო არა მარტო საქართველოს ბარსა და მთას შორის, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, არამედ თვით ბარის რაიონებს შორისაც. მაგალითად, აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო) და კახეთი ფეოდალური განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ქართლი და ტაო-კლარჯეთი.

ამან, მკვლევარის აზრით, გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში ამ კუთხეების მიერ შესრულებულ როლზე. ფეოდალური განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი აფხაზეთი იყო წამყვანი პოლიტიკური ერთეული საქართველოს გაერთიანების პროცესში და არა ტაო-კლარჯეთი, როგორც ეს თითქმის დამკვიდრებულად ითვლება სპეციალურ საისტორიო ლიტერატურაში.

მარტო განვითარების დონე არ შეიძლებოდა გამხდარიყო რომელიმე მხარის გაერთიანების პროცესში წამყვან პოზიციებზე გასვლის მიზეზი. გ. მელიქიშვილს აფხაზთა სამეფოს მიერ ამ პოზიციების დაკავების მეორე პირობად ბიზანტიასთან ქართულ სამეფო-სამთავროთა ურთიერთობა მიაჩნია. „ტაო-კლარჯეთის სამთავრო, — წერს იგი, — ფაქტიურად ბიზანტიის კრეატურა იყო... აფხაზთა სამეფოს შექმნა, პირიქით, ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართული აქტი იყო და არსებითად მისგან ჩამოშორებას მოასწავებდა" (**იქვე:12--13**). ცხადია, ტაო-კლარჯეთს, როგორც ბიზანტიაზე დამოკიდებულ სამთავროს, არ შეეძლო წამყვანი ყოფილიყო ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებაში. აფხაზეთს კი ამისათვის გაცილებით უკეთესი საშინაო და საგარეო პოლიტიკური პირობები ჰქონდა.

მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ ტაოს მაშინდელი ხელმწიფე დავით III კურაპალატი არ უჭერდა მხარს აფხაზეთის მეთაურობით საქართველოს გაერთიანებას. თვითონაც მას ძალები არ ყოფნიდა არც აფხაზეთის შემოერთებისათვის (**იქვე:12**) და არც ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის (**იქვე:17**).

გ. მელიქიშვილს თავის ნაშრომში საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების სხვა საკითხებიც აქვს განხილული, მაგრამ ჩვენ ზემოთმითითებულზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მისი წიგნის გამოცემიდან 21 წლის შემდეგ, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (11 მარტი, 1994წ.) გამოქვეყნდა კ. გრიგოლიას რეცენზია, რომელშიაც სწორედ ეს დებულებებია გაკრიტიკებული[1].

ჩვენ პრინციპულ საკითხად არ მიგვაჩნია იმის გარკვევა, თუ დასახელებულ სახელმწიფოთაგან ვინ რომელს აჯობა საქართველოს გაერთიანების საქმეში. მაგრამ თუ საკითხს მაინც ამ თვალსაზრისით დავსვამთ, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ფაქტობრივი მდგომარეობა. იგი კი ასეთია: საქართველოს გამაერთიანებელი არის ბაგრატ III და, რამდენადაც იგი ამ პროცესს უძღვებოდა, როგორც „აფხაზთა მეფე" და არა ტაო-კლარჯეთის ხელმწიფე, გინა „ქართველთა მეფე" (იგი ასეთი გახდა მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდეგ, 1008 წელს), ამიტომ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „აფხაზთა სამეფოს" („ეგრისაფხაზეთის", როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებდა), ეგიდით მოხდა და არა ტაო-კლარჯეთისა.

რევოლუციამდელ რუს მკვლევართაგან ბაგრატ III-ის ეპოქის ნუმიზმატიკური მასალის გაანალიზების პირველი ცდა **ევგენი პახომოვს** (1880—1965) ეკუთვნის (**Е. Пахомов 1970:53—57**)[2]. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა არა იმდენად ბაგრატ III-ის მონეტის პახომოვისეული აღწერა-მიმოხილვა, არამედ პოლიტიკური ისტორიის საკითხები, რომლებიც ავტორს უფრო ვრცლად აქვს გაშუქებული, ვიდრე საკუთრივ მისი მონოგრაფიის სახელწოდებისათვის შესაფერი მასალა.

თუმცა ე. პახომოვი სწორედ პოლიტიკური ისტორიის შესახებ მსჯელობაში არაა ორიგინალური. იგი ამ საკითხებზე თხრობის დროს შენიშვნების გარეშე გადმოგვცემს მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის" ფრანგული ტექსტის რუსულ ინტერპრეტაციას. ამის გამო ის თავს ვერ აღწევს იმ უზუსტობების განმეორებას, რაც მ. ბროსეს, მის ხელთ არსებული წყაროების მცდარი ცნობების გამო მოსდიოდა და ზოგჯერ თვითონაც უშვებს ახალ შეცდომებს.

---

[1] მართლია ამ წერილს იმავე გაზეთში ოპერატიულად და არგუმენტირებულად უპასუხა გ. მელიქიშვილმა (1.4.1994), მაგრამ ასევე სასწრაფოდ მისი განმაქიქებელი წერილები გამოაქვეყნეს ზ. რატიანმა (გაზეთი „თბილისი" 6.6.1994) და გ.ყორანაშვილმა. ამ წერილებში იმდენი სუბიექტივისტური და წინასწარგანზრახული, განგებ შეთხზული მსჯელობებია, რომ მათი მეცნიერული პაექრობისათვის მიკუთვნება ძლიერ საეჭვოა.

[2] მისი ნაშრომის შესახებ იხ.:**И. А. Джавахов (Джавахишвили), Е. А. Пахомов «Монеты Грузии», ч. I (домонгольский период), «Христианский Восток», т. I, вып. I, СПб, 1912.**

მაგალითად, ე. პახომოვს დავით III კურაპალატი წარმოდგენილი ჰყავს „დასავლეთ საქართველოს თითქმის სრულუფლებიან ხელისუფლად" (იქვე:52). მაშინ, როცა დავით III-ის ხელისუფლება სწორედ დასავლეთ საქართველოზე არ ვრცელდებოდა. „აფხაზთა და ქართველთა პირველი მეფის" (სწორედ ასე უწოდებს) ბაგრატ III-ის გამეფების თარიღად აჩვენებს 980 წელს (იქვე: 53) და ა.შ.

ე. პახომოვის ნააზრევში უფრო ფასეულია დათარიღების მისეული ხერხი. მკვლევარის აზრით, მეფისათვის ახალი ტიტულის მინიჭება „დაუყოვნებლივ გახდებოდა ხოლმე ცნობილი მთელ საქართველოში" ეს კი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ როდის მიიღო ამა თუ იმ პირმა დასახელებული ტიტული და ამ გზით მეფის სახელთან ტიტულის მოხსენიებით შეიძლება განისაზღვროს წერილობითი ძეგლის (უფრო ზუსტად — მონეტის მოჭრის) თარიღი (იქვე:54--55). მკვლევარს იქვე მოჰყავს ასეთი გზით დათარიღების მაგალითები.

ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ფეოდალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ საგანგებო ნაშრომში რუსმა, სბჭოთა მეცნიერმა ა. ნოვოსილცევმა (ნოვოსილცევი1980) ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსების მიერ ამ პრობლემის კვლევაში ჩატარებული მუშაობის შეჯამება-შეფასება დაისახა მიზნად. განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ სამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ერთმანეთისათვის მიმსგავსების ცდამ არსებულ თავისებურებათა ნიველირება გამოიწვია. თვით ავტორს ეს მიღწევად მიაჩნია, რამდენადაც შეძლო ვრცელი რეგიონი ფორმაციების შესახებ მარქსისტული შეხედულების პროკრუსტეს სარეცელზე ჩაეტია და ემტკიცებინა, რომ ფეოდალიზაციის პროცესი ყველგან ერთიანი ფორმულით ვითარდებოდა. მაგრამ ამიერკავკასიაში, მარქსიზმის მიხედვით თითქოს არსებულ, ფეოდალიზმზე ადრინდელ მონათმფლობელურ ფორმაციას ვერ მიაგნო, ეს წყაროთა უქონლობას დააბრალა და აღიარა, რომ აქ გლეხობა მონობიდან კი არ წარმოშობილა, არამედ «...**главную роль в формировании феодальных отношений играла эволюция сельской общины**» (იქვე:184).

მართალია, ა. ნოვოსილცევის შრომის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი VIII საუკუნეს არ სცილდება, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესის საგარეო-ეკონომიკური პირობების გასაშუქებლად, მის წიგნს მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, ვინაიდან მასში შესწავლილია მეზობელ სომხეთსა და ალბანეთში (დღევანდელ აზერბაიჯანში), არსებული ვითარება.

ბაგრატ III-ის ეპოქის საქართველოს ისტორიის მრავალი პრობლემაა ახლებურად განხილული **დ. მუსხელიშვილის** ორნაწილიან მონოგრაფიაში „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები" (**ნაწ. I 1977; ნაწ. II 1980**) ავტორმა მიზნად დაისახა გაეშუქებინა. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის წარმოქმნის პროცესი, ისტორიული გეოგრა-

ფიის თვალსაზრისით. მაგრამ მისი გამოკვლევა გასცდა ამ მიზანს და, ორივე წიგნის გამოსვლის შემდეგ, მკითხველის ხელთ აღმოჩნდა არა მარტო ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შემცველი ნაშრომი, არამედ ისტორიული მეცნიერების სხვა სფეროებშიაც დიდი ინფორმაციულობით და მეცნიერული ანალიზის საუცხოო ნიმუშებით დამშვენებული მონოგრაფია. ნაშრომში, გარდა სათაურით გათვალისწინებული პრობლემებისა, განხილულია საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, კულტურისა და რელიგიის ისტორიის მრავალი საკითხი უძველესი დროიდან (ძვ. წ. V—IV ათასწლეულები) ახალი წელთაღრიცხვის X ს-ის ჩათვლით.

ასე ვრცელ ეპოქაზე საუბრისას მოსალოდნელი იყო ავტორს ხელიდან გაქცეოდა კვლევის ძირითადი მიზანი და ნაშრომი მეორეხარისხოვანი საკითხებით გადაეტვირთა. მაგრამ პირიქით, დ. მუსხელიშვილის მონოგრაფიისათვის დამახასიათებელია მოწოდებული მასალის დიდი კომპაქტურობა, მეცნიერული სიღრმე და მიზანმიმართული გადმოცემა. ავტორმა ამ გამოკვლევით შესანიშნავად გაამართლა ის დიდი იმედები, რასაც ნ. ბერძენიშვილი ისტორიულ გეოგრაფიაზე ამყარებდა, როცა საქართველოს ისტორიის ამ დარგს ქმნიდა.

ამ მონოგრაფიაში დასმულ და გადაწყვეტილ საკითხებზე უფრო კონკრეტული მსჯელობისაგან ჩვენ ამჯერად თავს ვიკავებთ, ვინაიდან წინამდებარე ნაშრომის თემატიკური თავისებურების გამო ქვევით არაერთხელ მოგვიხდება დავუბრუნდეთ მას.

მარქსისტული იდეოლოგიური წნეხიდან განთავისუფლების შემდეგ გამოცემულ თეორიულ ნაშრომთაგან ამ მიმოხილვაში ყურადღება გვინდა შევაჩეროთ **რ. გორდეზიანის** „ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემაზე" **(თბ., 1994)**. ეს გამოკვლევა, მართალია, განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, მაგრამ ქართული, ბერძნული, ძველაღმოსავლური წყაროებისა და თანამედროვე მეცნიერების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე აშუქებს ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების ეტაპებს, უძველესი დროიდან ადრეფეოდალური ხანის დასაწყისამდე.

ავტორის გამოკვლევით, ქართველთა ერთიანობის იდეას საფუძველი უკვე ბრინჯაოს ხანაში ჩაეყარა. ამ დროიდან მან რამდენიმე ეტაპი გაიარა. იყო ხოლმე პერიოდები, როცა საერთაშორისო თუ საშინაო ვითარების ზეგავლენით, ეროვნული თვითშეგნების ფორმირების პროცესი ფერხდებოდა. მაგრამ ძლიერი დეპრესიის დროსაც ერთიანობის გენეტიკური იდეა ცოცხლობდა და შესაბამისი პირობების წარმოშობისთანავე ახალი ძალით ვლინდებოდა.

რ. გორდეზიანის დაკვირვებით, ასეთი ვითარების გამო, საკმაოდ ბუნებრივი ჩანს, დიდი პოლიტიკური ქარტეხილებისა და საქართველოს დანაწევრების შემდგომ მისი კვლავ ერთ სახელმწიფო ორგანიზმად გაერთიანება, ან. წ. ა. X საუკუნიდან **(იქვე:17)**. ეს დაკვირვება, როგორც ვხედავთ, უშუალოდ ეხება ჩვენი ნაშრომის პრობლემას. კიდევ უფრო საყურადღებოა მისი მოსაზრება, რომ „ერის ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის ეროვნული

თვითშეგნება, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია ვიდრე, გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური ეკონომიკური და ზოგჯერ თავად ენობრივი ერთიანობის ფაქტორებიც კი" (იქვე:3).

ეროვნულ თვითშეგნებას ასეთი დიდი მნიშვნელობა მარტო ერის ჩამოყალიბებისათვის კი არა აქვს, არამედ იგი ასევე უმთავრეს პირობას წარმოადგენს ქვეყნის გაერთიანების პროცესის წარმატებით დამთავრებისათვის. ამ საკითხს ჩვენ ქვემდებარე ნაშრომში ცალკე პარაგრაფი მივუძღვენით (თავი IV, §3). იგი არსებითად რ. გორდეზიანის ამ ნაშრომის გათვალისწინებითაა შედგენილი.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლები სისრულითაა შესწავლილი ბაგრატ III-ისა და მისი ეპოქის საქართველოს ისტორიის ბევრი კარდინალური საკითხი. ლიტერატურა, რომელიც ჩვენს მიერ განხილულ მოვლენებს ეხება, ტექსტში ყველგან მითითებული გვაქვს. დამოწმებული ლიტერატურის სია კი თან ერთვის ამ მონოგრაფიას. ვფიქრობთ, ეს ჩვენ გვანთავისუფლებს იმ ავტორებისა და წიგნების თუნდაც ჩამოთვლის აუცილებლობისაგან, რომლებიც ამ მიმოხილვაში ვერ დავასახელეთ.

თავი მეორე

ტერიტორია და მოსახლეობა

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის კუთვნილება დიდი ხანია დავისა და ცილობის საგნადაა ქცეული. ჩვენი ხალხის მთელი ისტორია სწორედ მისი ისტორიულ-ტერიტორიული განსახლების შენარჩუნებისათვის ბრძოლას წარმოადგენს. არ ყოფილა ამ მცირე ქვეყნის სასაზღვრო კი არა, შიგა რეგიონიც კი, რომელიც მეზობლებს (მომხდურ მტერზე, რომ არაფერი ვთქვათ) თავისად არ გამოეცხიდებინოს და მისი მითვისება არ მოენდომებინოს. თუ ყველა ასეთ უსამართლო პრეტენზიას შევაჯამებთ, გამოვა რომ ქართველ ხალხს არც ისტორულ წარსულში და არც ამჟამად თავისი საცხოვრისი არ გააჩნია. ბაგრატ III-ის სიდიადე სწორედ ის იყო, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ისეთ გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოებრიობას, რომელსაც 250 წლის მანძილზე არა თუ ართმევდა ვინმე ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებს, არამედ იგი წარმატებით იბრძოდა საერთო კავკასიურ სახელმწიფოდ გადასაქცევად და გამაერთიანებელი მეფის მემკვიდრეების დროს კიდეც გახდა მაშინდელ მსოფლიოში უძლიერეს და უმდიდრეს ქვეყნად.

რადგან გაერთიანების წინა ხანაში, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე სამეფო-სამთავრო არსებობდა, ამიტომ იმ დროს ქართველი მოსახლეობის დაკავებული ტერიტორიის საერთო ფართობი და მცხოვრებთა რაოდენობა დადგენილი არ არის. თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებს გავითვალისწინებთ და მაშინ არსებული სამეფო-სამთავროთა ფართობების ჯამს გამოვიყვანთ, შეიძლება ორივე ზევით დასახელებული მონაცემის მიახლოებით ჩვენება, მაგრამ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ცდომილებისა და ეჭვისათვის მეტი საფუძველი გაჩნდება და შეიძლება ამას უფრო ნეგატიური ეფექტი ექნეს, ვიდრე პოზიტიური მეცნიერული ღირებულება.

ამის გამო, წინამდებარე ნაშრომის მოცემულ თავში ჩვენი მიზანია, თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების მიღწევების მიხედვით, ისტორიულ ჭრილში განვიხილოთ ქართველებით დასახლებული იმ ტერიტორიების შემადგენლობა და საზღვრები, რომლებიც შემდეგში გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოში შევიდა. ივ. ჯავახიშვილის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით (**ჯავახიშვილი 1989:6**), მიმოხილვას დავიწყებთ ჩრდილო- დასავლეთ სასაზღვრო რეგიონიდან.

I. „ძველო ეფრისი“ (ნიკოფსიიდან ეგრისწყალამდე).

ქართველ ტომთა განსახლების უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პუნქტად უძველესი დროიდანვე მიჩნეული იყო მდინარე და ქალაქი ნიკოფსია[1]. მეხუთე საუკუნის ბიზანტიელი ანონიმი ავტორი ამ ქალაქს მოიხსენიებს „ნიკოფსისის“ სახელწოდებით (გეორგიკა 1952:233), ხოლო იოანე საბანის ძე მას „ნაფსაჲს“ უწოდებს.

ამ ქალაქის უფრო ადრინდელი სახელი დაცულია მენიპესთან (I საუკუნე) და ფლავიუს არიანესთან (II საუკუნე). დასახელებულ ავტორებთან მას ჰქვია „ძველი ლაზიკა“. კლავდიუს პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“ ამ სახელწოდებას შეესაბამება „ქალაქი ლაზი“, ალბათ, „ლაზთა“

VIII ს-ის მიწურულიდან ნიკოფსია ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია.

კონსტანტინე პორფიროგენეტისთვისაც (X საუკ.), როგორც იგი წერს— „უკრუხიდან (მდ. ყუბანი) ნიკოფსის მდინარემდე, სადაც იმავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა“ (გეორგიკა1952:231).

---

[1] ნიკოფსია (უფრო ხშირად—ნიკოფსი) კარგად არის ცნობილი ქართულ წყაროებშიაც. იგი დღემდეა შემორჩენილი მდ „ნიგოფსუხეს“ სახელით და ლოკალიზებულია სტანიცა ნოვომიხაილოვსკაიას მახლობლად.

მდინარისა და ქალაქის სახელწოდება „ნიკოფსისი“ ჩერქეზული (ადიღეური) წარმოშობისად მიიჩნია ს. ჯანაშიამ (ჯანაშია 1959:119). ეს თეზისი არ გაიზიარა პ. ინგოროყვამ. მისი აზრით, ფსი (ფსა). ფასი, ფშა და ფოსო ფუძე-სიტყვები „ფართოდ ყოფილა გავრცელებული ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, დაწყებული აფხაზეთის მხარეებიდან — ვიდრე მესხეთამდე, ჭოროხის ხეობამდე და არაქსის სათავეებამდე“ (ინგოროყვა 1954:184). ისინი „არაა უცხოური წარმოშობისა, არამედ ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის“ (იქვე:185).

მკვლევარის ეს მოსაზრება მწვავე კრიტიკის საგნად გახადა ქ. ლომთათიძემ (ჟურნალი „მნათობი“ 1956, №12: 135—137). მან ფს (ფსა) ფუძე-სიტყვები, უეჭველად, „საკუთრივ ჩერქეზულად“ გამოაცხადა და მათი დას. საქართველოში გავრცელების გამო ამ ტერიტორიაზე „ჩერქეზული ელემენტის არსებობა“ დამტკიცებულად ჩათვალა.

ეს კრიტიკა სამართლიანად არ მიიჩნია გ. ახვლედიანმა („მნათობი“ 1957, №2:108--114). მისი აზრით, ქ. ლომთათიძის რეცენზიაში არასასურველი ტენდენციურობისაკენ მიდრეკილება იგრძნობა, „არა მგონია, — შენიშნავდა იგი,—რომ რეცენზენტისათვის და, მით უფრო საკითხის გარკვევისათვის, აუცილებელი და სასარგებლო იყოს „გიორგი მერჩულის“ აეტორის და გამოჩენილი მეცნიერის სახელის ისე შეუფერებლად ხსენება, როგორც ამას ძალიან ხშირად ადგილი აქვს პროფ. ლომთათიძის რეცენზიაში“ (იქვე:114).

საკითხის არსის შესახებ განსჯენებული აკადემიკოსი წერდა: „შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ ამ ძირის (ფსა.—გ. მ.) პირვანდელი საერთოობა ადიღეურსა და ქართველურ ენებში, ასეთი დაშვება პერსპექტივის მქონედ მიგვაჩნია — მეტადრე იმის შემდეგ, რაც აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაუკავშირა ერთმანეთს ფშა და ქართ. ფს — ფუძეები და ორიეეს დაუკავშირა ფშვ-ფუძე ... ხოლო პავლე ინგოროყვამ გადადგა შემდეგი ნაბიჯი ამ ფუძის ადიღ. ფუძეებთან დაკავშირების სახით“ (იქვე:113--114).

3. გ. შენელია

ნიკოფსის მდინარე არის ამ ქვეყნის სამხრეთი საზღვარი, ხოლო აქედან იწყება „აბაზგიის ქვეყანა“ მას უჭირავს 300 მილი და ვრცელდება სოტერიუპოლისამდე[1]. (**იქვე: 233**).

აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრად ნიკოფსიას აჩვენებენ ქართველი ავტორებიც. ლეონტი მროველის მონათხრობით: ადერკის მეფობის დროს წმინდა მოციქულები ანდრია და სვიმონ კანანელი მოვიდნენ: „აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა“ (**ქ. ცხ. 1955:38**). „ეს ცნობა, — მიუთითებდა ს. ყაუხჩიშვილი, — უნდა ემყარებოდეს იმ დროის წყაროს, როდესაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიელთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა“ (**გეორგიკა 1952:231**).

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებით დასტურდება, რომ ნიკოფსია კი იყო სასაზღვრო პუნქტი ჯიქეთთან, მაგრამ საქართველოში შედიოდა. გიორგი მთაწმინდელი ეუბნება პატრიარქს: „ერთი წმიდა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სიმონს ვიტყვი კანანელსა ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“ (**ძველი ქართული მოთხრობა, თბ., 1979:407**). იგივე ფაქტი იმავე „ცხოვრებაში“. სხვა ადგილზედაც (**გვ. 422**) დასტურდება.

პ. ინგოროყვას გამოკვლევით და მას ეთანხმება ს. ყაუხჩიშვილიც, VI—VIII საუკუნეებში ნიკოფსიაში მთავარეპისკოპოსი იჯდა. იგი კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. IX ს-ის 30-იანი წლებიდან აფხაზეთის საეკლესიო ოლქი და მათ შორის ნიკოფსიაც „გამოეყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და ზოგადად ქართულ ეკლესიას (ქართლის საკათალიკოზოს) დაუკავშირდა“ (**ინგოროყვა 1954:252; შდრ. გეორგიკა 1952:233**).

ქართულ-ბიზანტიური წყაროების მიმოხილვის შედეგად ს. ყაუხჩიშვილს უცილობლად მიაჩნია, რომ „აფხაზეთის (და მაშასადამე, დასავლეთ საქართველოს) ჩრდილო საზღვარი გადის ნიკოფსიასთან“ (**იქვე**).

„ძველი ლაზიკა“, ნიკოფსია მდებარეობდა მისივე სახელწოდების მდინარის ზღვასთან შესართავში. XIV—XVI სს. იტალიურ გეოგრაფიულ რუკებზე იგი აღნიშნულია „სანიას“ სახელწოდებით. ადიღელთა ზღვის სანაპიროზე ჩამოსახლების შემდეგ, ამ პუნქტს დაერქვა ნიგეფსუხო (ნიჩეფსუხვა) ახლა მას ჰქვია ნოვომიხაილოვსკაია. მდებარეობს ქ. ტუაფსედან ჩრდილო-დასავლეთით 47-ე კმ-ზე.

---

[1] ზოგი კომენტატორი ფიქრობს, რომ ესაა ბიჭვინთა (პიტიუნტი). პ. ინგოროყვა მას აიგივებდა ქ. სოხუმთან, დიოსკურიასთან (**ინგოროყვა 1954:120**). ს. ყაუხჩიშვილი არ ეთანხმება ამ იდენტიფიკაციას და მიაჩნია, რომ „სოტერიუპოლისის საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს“ (**გეორგიკა 1952:235**). ს. ყაუხჩიშვილი ამას წერდა 1952 წელს: 1954 წელს, როცა პ. ინგოროყვას „გეორგი მერჩულე“ გამოქვეყნდა, იქ მან დამატებით შეიტანა პარაგრაფი „სიტირიოპოლისა და ალანეთის შესახებ“ (**გვ. 349—363**). ამჯერად მკვლევარის დასკვნა ასეთია: „სოტირიოპოლი ან პითია არის პარალელური სახელწოდება ქალაქისა ოფი, რომელიც ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარეობს“ (**გვ. 252—253**).

ლეონტი მროველის ერთი ცნობით თარგამოსმა[1] თავის მერვე შვილს ეგროსს მისთვის კუთვნილი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრად უჩინა „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ (ქ. ცხ. 1955:5). რადგან ხაზარეთის მცირე მდინარეს ახლა ყუბანს ეძახიან (ჯავახიშვილი 1983:24) გამოდის, რომ თარგამოსიანთა განსახლების საზღვარი ნიკოფსიის ჩრდილოეთითაც ყოფილა გადაწეული. ამდენად თავად ნიკოფსია მხოლოდ უკიდურესი ჩრდილოეთი სასაზღვრო ორიენტირი კი არ არის, არამედ იგი „ეგრისის ქვეყანაში“ შემავალი სექტორის ცენტრიცაა.

იგივე ლეონტი ძვ. წ. IV—III საუკუნეების (ფარნავაზის ეპოქის) მოვლენების აღწერისას ეგრისისა და სვანეთის საერისთავოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად მდ. ეგრისწყალს აჩვენებს (ქ. ცხ. 1955:24). საზღვრის ასეთი გადმონაცვლება ლეონტის ასე აქვს ახსნილი: „ეგრის წულის ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“ (იქვე). ე.ი. იქაურ მოსახლეობას მხარი არ დაუჭერია ფარნავაზისა და ქუჯისათვის აზოს წინააღმდეგ აჯანყების დროს და ქვემო ეგრისი[2] ელინებს შეუნარჩუნებიათ.

საზღვარი ეგრისწყალზე, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდხანს ფუნქციონირებდა. თვით ლეონტის ჩვენებით მირიან მეფეს (IV საუკუნე) „აქუნდა ეგრისიც ეგრის წულამდე“ (იქვე:70). ამასვე ადასტურებს ჯუანშერი, როცა წერს, რომ ვახტანგ გორგასალის სიყმაწვილეში „ბერძენთა ჰქონდა ეგრის წყალს ქუემოთი კერძი ყოველი“ (იქვე: 146). მომდევნო თხრობაში იგი ამ საზღვარს ალექსანდრე მაკედონელის დროიდან დაწესებულად თვლის და მიუთითებს: „ეგრის წულითგან... საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდობითგანო“ (იქვე: 177)

მალე ვითარება შეცვლილა, იმპერატორს „ ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა ზითვად“ მიუცია ვახტანგისათვის, როცა გორგასალმა კეისარის ასული ელენე ცოლად შეირთო. აფხაზეთის დანარჩენი ნაწილი

---

[1] ვარაუდობენ, რომ კავკასიის ხალხთა ეთნარქი თარგამოსი არარატისა და მასისის მთებს შორის ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მოვიდა (გორდეზიანი 1994:10). ეს ვარაუდი ეყრდნობა შესაქმეთა წიგნში წარმოდგენილ გენეალოგიური სქემის შეკერებას ლეონტის თხზულებასთან (ნოე—ითეთი, თარში — თარგამოსი). უფრო ადრინდელად მიაჩნია ეს ფაქტი ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც კონკრეტულ თარიღს დასაბამითგანის 1758 წელს აჩენებს (ქ. ცხ. 1973:47), რაც ძვ. წ. 3846 წელს უდრის (5604-1758=3846).

[2] ქვეყნის ეს სახელწოდება სამეცნიერო მიმოქცევაში ნ. ბერძენიშვილის შემოტანილია. იგი თვლიდა, რომ ეგრისწყლის დასავლეთით მდებარე ქვეყანას „იმ ძველ დროს, რა თქმა უნდა, აფხაზეთი არ ერქვა. ასეთი სახელი მას გვიან შეერქვა იმ საფუძველზე, რომ აქ „აფხაზური“ ტომები ისხდნენ... სატომო საზღვარი ეგრის წყალი იყო“ (ბერძენიშვილი 1975:589). „მცირე ხაზარეთის მდინარემდე ეგროსის წილია (კოლხეთი), ეგრის წულამდე შიდა ეგრისია, ეგრის წულის ქვემოთ ალბთა „ჩუემო ეგრისია“ (ხაზი ჩემია.—გ მ.), არგვეთი (ფერსათი, გურია) ზემო ეგრისია და გარე ეგრისია“ (იქვე: 573).

ჩვენ მთლიანად ვუთანხმებით საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის გამოჩენილი მკვლევარის ამ მოსაზრებას, რის დასტურადაც წინამდებარე ნაშრომის მერე თავის პირველ სამ პარაგრაფს შესაბამისი დასათაურება მიეცათ.

(კლისურიდან ხაზარეთის მცირე მდინარემდე (ყუბანამდე) ვახტანგს, დათქმული პირობის მიხედვით, დაუბრუნებია სიმამრისათვის (**იქვე**).

გარდაცვალების წინ ვახტანგს უფროს შვილ დაჩისათვის უანდერძებია, რომ „საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურსა შუა, იგი თვით ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ" (**იქვე**:203—204).

დაჩის ერთი ძმა, ლეონი ადრე გარდაიცვალა, ხოლო მეორეს მირდატს მეფემ მაინც არ შეარჩინა ვახტანგისაგან ნაანდერძევი ქვეყანა. დაჩიმ „აღიღო მირდატისაგან ეგრის-წყალსა და კლისურსა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეოისა, და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკუარამდე" (**იქვე**: 205).

მაშასადამე, ქართველი მემატიანეები ეგრისწყალს დაბეჯითებით აჩვენებენ, როგორც სასაზღვრო მდინარეს. არსებითად იგი არის პოლიტიკური საზღვარი საბერძნეთთან, მაგრამ ეს მდინარე მათ (განსაკუთრებით ჯუანშერს) ეგრისისა და აფხაზეთის ეთნიკურ გამყოფადაც ესახებათ. ასეთმა ვითარებამ მოგვცა საბაბი, ამ პარაგრაფში განსახილველი რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრად სათაურშივე ეგრისწყალი გვეჩვენებინა.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ეგრისწყლის მიჩნევა ეთნიკურ საზღვრად, ჩვენ შევეცდებით ქვევით გავარკვიოთ. მაგრამ მანამდე საჭიროა შევჩერდეთ თვით ამ მდინარის ლოკალიზაცია-იდენტიფიკაციის საკითხზე.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ჰიდროგრაფიული ნომენკლატურა მდ. ეგრისწყალს არ იცნობს. ხოლო საკითხით, თუ რომელი მდინარე უნდა იგულისხმებოდეს, ამ სახელის ქვეშ, ლეონტი მროველიდან მოკიდებული, ისტორიკოსთა მრავალ თაობას აინტერესებდა.[1] მიუხედავად ამისა, „საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება და, როგორც ჩანს, წყაროების სიმცირისა და ინტერპრეტაციის სხვადასხვაობის გამო ვერც გადაიჭრება" (**მუსხელიშვილი 1977: 106**).

ლეონტისა და ჯუანშერის ცნობების შეჯერების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი დაეჭვებული იყო სად მდებარეობდა ეგრისწყალი, აფხაზეთში თუ კლარჯეთში.

დაეჭვება იმითაა გამოწვეული, რომ ეს ისტორიკოსები ყოველთვის გარკვევით როდი მიუთითებენ, რომ მათ ცნობებში მაინცდამაინც აფხაზეთის ეგრისწყალსა და კლისურაზეა საუბარი. ხოლო ასეთი დასახელების მდინარე და ტოპონიმიკური ერთეული არსებობს მდ. ჭოროხის აუზშიც (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე). უფრო მეტიც, კლარჯეთის ერთ კუთხეს „ეგრისიც" კი რქმევია (**ჯავახიშვილი 1983:23; შდრ. მუსხელიშვილი 1977:88 და 107**).

ასეთ პირობებში ბ-ნი ივანე დასახელებულ ჰიდრონიმებს მაინც საქარ-

---

[1] 1967 წლამდე ამ საკითხზე არსებული მოსაზრებანი და სპეციალური ლიტერატურის მითითება იხ. თ. ბერიძე 1967: 134--142.

თველოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორში ეთებდა და ეგოისწყალად მდ. ოხოჯი (მდ. ოქუმის წყლის მარჯვენა შენაკადი) მიაჩნდა. ამას იგი იმით ასაბუთებდა, რომ ლეონტის მიხედვით, ეგრისის მიერ აშენებულ ქალაქს მის დროს ბედია ერქვა. ხოლო ახლანდელ ბედია მდ. ოხოჯის სანაპიროზე მდებარეობს (**ჯავახიშვილი 1983:23**).

ე. ი. გამოდის, რომ, ლეონტის მიხედვით, ეგრისწყალი მის დროს ახლანდელ მდ. ოხოჯს ერქვა. ასევე უნდა ფიქრობდეს ვახუშტი ბაგრატიონიც, როცა იგი ეგრისის მიერ გაშენებულ ქალაქს, ლეონტი მროველის მსგავსად, ბედიად მიიჩნევს (**ქ. ცხ. 1973:780**).

მაგრამ XVIII ს-ის II ნახევარში ეგროსის მიერ გაშენებული ქალაქის სახელი ადგილობრივ ტოპონიმიკაში შემორჩენილი ყოფილა. გერმანელ მოგზაურსა და ექიმს თ. რაინეგსს (1744—1793) მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე ეგულებოდა ყველაზე დიდი ქალაქი ოდიშში — ეგერი. გასაგებია, რომ იგი ამ შემთხვევაში ქალაქ ზუგდიდს გულისხმობს. თ. ბერაძე შენიშნავს: „მან ალბათ გამოიყენა ადგილობრივი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ქალაქი ზუგდიდი ძველი ეგრისის ადგილას იყო გაშენებული." (**ბერაძე 1967:135**).

ეს ცნობა გამოუყენებია დავით ბატონიშვილს (1767—1819), რომლის მიხედვითაც: ეგროსმა „მიბაძა ძმებს და ააშენა ქალაქი ეგრისი, რომელსაც დღეს ზუგდიდი ეწოდება" (**იქვე**).

ზუგდიდის ეგრისთან გაიგივების მომხრეებისათვის ეგრისწყალი მდ. ენგური იქნება. ამას თეიმურაზ ბატონიშვილი (1782—1846) პირდაპირ აჩვენებს. „მდინარესაცა მისსა (ე.ი. ეგრისის ქვეყნისას — გ.მ.),— წერს იგი, — ეწოდების ეგრისის მდინარე ანუ ენგური" (**თ. ბაგრატიონი 1848:23**).

ეგრისწყლისა და ენგურის იგივეობას ეთანხმებოდა და ზოგიერთი ახალი საბუთით მის დამტკიცებას ცდილობდა ს. კაკაბაძეც (**კაკაბაძე 1924:16**). თ. ბერაძე რომელმაც, როგორც ზევით ვთქვით, ვრცლად მიმოიხილა ეგრისწყლის იდენტიფიკაციის შესახებ არსებული შეხედულებანი, აგრეთვე, ამ მდინარის ენგურთან გაიგივების დასკვნამდე მივიდა. მისი აზრით, ასეთი მტკიცება შემდეგნაირად საბუთდება: 1. „ლეონტი მროველის ქალაქ ეგრისში სწორედ ეგრის ტომის ცენტრი უნდა დავინახოთ, ხოლო ეგრის წყალი გვევლინება იმ მდინარედ, რომლის ნაპირზედაც ის მდებარეობდა" (**ბერაძე 1967:139**).2. ლეონტი გამოდის თავისი დროის, XI ს-ის სინამდვილიდან და მაშინ დაწინაურებულ ბედიას ძველ ეგრისთან აიგივებს. „ამიტომ ეგრის წყლის ლოკალიზაციის საკითხი ლეონტი მროველის ტექსტის მხოლოდ ფილოლოგიური ანალიზის შედეგად არ შეიძლება გადაიჭრას. საჭიროა ტოპონიმიკისა და არქეოლოგიის მონაცემთა გათვალისწინება" (**იქვე**); 3. მდინარეთა სახელები მყარი ტოპონიმებია. ეგრისწყალი ხელოვნური წარმოების ჰიდრონიმია. მასში „მნიშვნელოვანია ამ სიტყვის ფუძე ეგრ-ი. სწორედ ის უნდა იყოს შემორჩენილი დასავლეთ სამეგრელოს ერთერთ მდინარის სახელში. ეს მართლაც ასეა. ამგვარ სახელწოდებას ენგური წარმოადგენს" (**იქვე:140**). 4. არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით ენ-

გურის მარცხენა სანაპირო, ცენტრით ზუგდიდში, ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებშიც დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. „საინტერესოა ისიც, რომ უკანასკნელ დრომდე ხალხური გადმოცემა სწორედ ზუგდიდის მახლობლად დებს ადგილს ეგრისს" (**იქვე:141**). „თუ გავითვალისწინებთ ყველა ამ მონაცემს, დაასკვნის თ. ბერიძე — უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ლეონტი მროველის ეგრისწყალი სწორედ დღევანდელი ენგურია და პუნქტი ეგრისი მის ნაპირზეა საძებნი" (**იქვე**).

ჩვენ უფრო დასაბუთებულად და ჭეშმარიტად მიგვაჩნია მეცნიერთა მესამე ჯგუფის მოსაზრება ეგრისწყლის მდ. ღალიძგასთან გაიგივების შესახებ.

ასეთი იდენტიფიკაცია პირველად წამოუყენებია ნიკო დადიანს (1780—1834). მისი თქმით: „ეგრისის მდინარე ეწოდების ღალიძგას" (**ციტ. თ. ბერაძის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 136**).

არქანჯელო ლამბერტის მიერ 1654 წელს შედგენილი რუკის მონაცემებისა და ადგილობრივი ტოპონიმიკური მასალის ფილოლოგიური ანალიზის შედეგად, პ. ინგოროყვაც ეგრისწყალს მდ. ღალიძგასთან აიგივებდა. ჯერ ერთი, მიუთითებდა იგი, „ღალიძგა მეგრულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა" და მეორეც — „მდინარე ღალიძგას შერჩენილი ჰქონდა ძველი სახელწოდება ეგრის წყალი მე-17—18 საუკუნეებამდე" (**ინგოროყვა 1954: 128 და 175**),

ვახუშტისა და ნიკო დადიანის დამოწმებით, ღალიძგას ეგრისწყალთან გაიგივება დამტკიცებულად მიაჩნია არჩ. ბარამიძესაც (**ბარამიძე 1963:104**).

ზევით ჩვენ მოვიტანეთ დ. მუსხელიშვილის შეხედულება ეგრისწყლის იდენტიფიკაციის საკითხზე. ასეთი შედარებით სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მეცნიერმა თავის გამოკვლევაში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო დასახელებული მდინარის ლოკალიზაციას და უნდა ითქვას, რომ მისი კვლევა ამ მიმართულებით საკმაოდ წარმატებულიც აღმოჩნდა.

თავდაპირველად დ. მუსხელიშვილი არკვევს, რომ ეგრისწყალი წარმოადგენდა სასაზღვრო მდინარეს. „ქართლის ცხოვრების" ცნობების მიხედვით, იგი ასეთია ქუჯისა და მირიანის ეპოქაში, მაგრამ უფრო გამოკვეთილად — ვახტანგ გორგასლისა და მისი შვილის დაჩის დროს" ამგვარად,—წერს იგი, — ამ ცნობებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ V საუკუნის შუა ხანებამდე აფხაზეთსა და ეგრისს შორის საზღვარი ეგრისწყალზე გადიოდა, ხოლო „ეგრის წყლის ქვემოთ ყოველი" ე. ი. ეგრისწყალის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია ბერძნებს სჭერიათ" (**მუსხელიშვილი 1977:111**).

ბიზანტიელი მწერლების (არიანე, პროკოპი კესარიელი) მონათხრობის მიხედვით „ლაზებს (ეგრებს, მეგრელებს) ჩრდილო-დასავლეთიდან აფსილთა ტომი ესაზღვრებოდა" (**იქვე: 107**). ამიტომ უნდა გაირკვეს, სად გადიოდა მათ შორის საზღვარი. პროკოპის დაახლოებით მინიშნებული აქვს ეს ადგილიც (**გეორგიკა 1965: 126**). იგი ყოფილა, იქ სადაც შავი ზღვის სანაპიროს ნახევარმთვარისებური რკალის ევროპული ნაწილი მთავ-

რდება. ამ მინიშნების მიხედვით, დ. მუსხელიშვილს თვალსაჩინოებად გარემოებად მიაჩნია „რომ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს, მართლაც, ნახევარმთვარისებური მოხაზულობა სწორედ მდ. ღალიძგას შესართავთან მკვეთრად იხრება დასავლეთის მიმართულებით, შემდეგ კლაკნილად მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ“ (**მუსხელიშვილი 1977:108**). ამ კლაკნილის დასასრულს—ანაკოფიასთან იწყებოდა აფსილთა და აბაზგთა საზღვარი, ხოლო მის საწინააღმდეგო მხარეს — მდ. ღალიძგასთან უნდა ვივარაუდოთ, რომ აფსილთა დასახლება მთავრდებოდა და ლაზეთი (ეგრისი) იწყებოდა. მაშასადამე, პროკოპი კესარიელის „წარმოდგენით საზღვარი ლაზებსა და აფსილებს შორის მდ. ღალიძგაზე გადიოდა და, ამდენადვე, ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგენდეს ქართული წყაროების „ეგრისწყალს“ (**იქვე**).

V—VIII საუკუნეებში პოლიტიკური საზღვარი ბიზანტიასა და ქართლს (ეგრისს) შორის გადიოდა მდ. კელასურაზე. ამ საზღვარსა და მდ. ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორიას „შუა ქვეყანა“ („შუა სოფელი“) ეწოდებოდა. „ეს გარემოებაც, თავის მხრივ, ამოწმებს, რომ ქართული წყაროების „ეგრისწყალი“ უნდა იყოს იგივე დღევანდელი მდ. ღალიძგა, რომლის ეტიმოლოგიაც (ღალიძგა მეგრულად ნიშნავს კიდის ღელეს ანუ მიჯნის წყალს...), ბოლოსდაბოლოს, იმას მოწმობს, რომ იგი ოდესღაც სასაზღვრე მდინარე უნდა ყოფილიყო“[1] (**იქვე:112**).

დ. მუსხელიშვილის დასაბუთებანი, ეგრისწყალის მდ. ღალიძგასთან იდენტიფიცირების შესახებ, ასე ვრცლად იმიტომ მოვიტანეთ, რომ ისინი სავსებით მხარდასაჭერად მიგვაჩნია.

ჩვენი მხრით კი გვინდა შევნიშნოთ, რომ ენგურს ქართველი ისტორიკოსები სასაზღვრო მდინარედ არ დაასახელებდნენ, თუნდაც, მისი სიგრძის გამო. არ შეიძლება მთელს მის დინებაზე იგი თუნდაც პოლიტიკური საზღვარი ყოფილიყო, ხოლო ეთნოგრაფიული რომ არ იყო, ეს კარგადაა ცნობილი. ამასთან XI ს-ის ქართველ ისტორიკოსებს მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ ენგური მარტო „ეგრისწყალი“ არ იყო, მის აუზში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტომი — სვანები ცხოვრობდნენ და მდინარის სახელდების დროს მათი ხელაღებით უგულებელყოფა მათ რატომ უნდა მოეხდინათ. „ეგრისწყალი“ ხომ „ხელოვნურ-ლიტერატურული“ სახელწოდებაა (**ბერაძე 1967:140**) და არა სინამდვილეში არსებული ჰიდრონიმი? არც ისაა მოსალოდნელი, რომ თუ ენგურის სანაპიროზე ზუგდიდი ან რომელიმე სხვა დაწინაურებული ქალაქი არსებობდა, ლეონტი მროველს ეთქვა ეგროსის მიერ თავის სახელზე აშენებულ ქალაქს ახლა ბედია ჰქვიაო. ნუთუ მას არ ეცოდინებოდა, რომ ბედია ენგურის პირას არ მდებარეობს?

მაშ ასე, ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია იმ მკვლევართა მოსაზრებანი, რომლებიც ეგრისწყალს მდ. ღალიძგასთან აიგივებენ.

[1] საყურადღებოა, რომ მდ. ღალიძგა სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის დაწესებულ „ცოცხალ საზღვრად“ მიაჩნდა კავკასიაში რუსეთის მთავარმართებლობასაც. ამას მეთითებდა წერილში, 1834 წელს, ბარონი როზენი აფხაზეთის მთავარს მიხ. შარვაშიძეს (**Акты**, ტ. VIII, თბ., 1881:449).

მეცნიერება ეთნოგენეზის შესახებ ერთ-ერთი ურთულესია ადამიანის ცოდნის დარგთა შორის. ხალხთა წარმოშობის პრობლემა მით უფრო ძნელად ამოსაცნობი ხდება, რაც უფრო ადრე მიმდინარეობდა ეს პროცესი. საკითხის სირთულეს ისიც აღრმავებს, რომ ხალხთა უმრავლესობას ახასიათებს მიდრეკილება საკუთარი ისტორიის დაძველებისა. მხოლოდ მაღალგანვითარებული და დემოკრატიული წესწყობილების მქონე ერები თუ აღიარებენ, რომ ისინი ახლანდელ საცხოვრის ადგილზე მოსულნი არიან. ეროვნული ისტორიის არახანგრძლივობა არაელიტარულად ითვლება. მართალია, ახლადწარმოშობილი სახელების ეთნოგენეზის ამოცნობა დიდ სიძნელეებთან არაა დაკავშირებული, მაგრამ ამავე ერების მეცნიერები, „ეროვნულ თავმოყვარეობის" გამო, ასეთ კვლევას ან შეგნებულად, ანდა იძულებით არ ეწევიან, ხოლო ეთნოგენეზის საერთაშორისო სპეციალისტები ან ჩაურევლობის პოზიციაზე დგანან, ანდა მიკერძოებულობას იშვიათად თუ აღწევენ თავს.

ასეთ პირობებში შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ერების მმართველი ელიტა, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ზოგჯერ, თამაშობს რა ეროვნულ გრძნობებზე, ხალხის გულისმოგების მიზნით, სხვათა ტერიტორიას „უძველეს მშობლიურ მიწად" აცხადებს და ამით საკუთარ ხალხს ექსტრემიზმისაკენ უბიძგებს. როცა დიდ ერებს ასეთი გზით ვეებერთელა ტერიტორიები უპირავთ, ისინი სხვათა ანალოგიურ მისწრაფებას მოჩვენებით და დროებით უშერენ მხარს, რათა შემდგომ ისინიც თვითონ ჩაყლაპონ.

ეს მცირე ექსკურსი მკითხველს შეიძლება უადგილოდ მოეჩვენოს, მაგრამ იგი მთლიანად ეხება იმ ტერიტორიას, რომლის მოსახლეობის შესახებაც ჩვენ ამჯერად გვიხდება საუბარი, ე. ი. ნიკოფსიიდან ეგრისწყლამდე მდებარე რეგიონს.

ამ ტერიტორიის მდ. ფსოუს სამხრეთით მდებარე ნაწილს, დღეს „აფხაზეთი" ჰქვია. რითაც სარგებლობენ აფხაზი ულტრანაციონალისტები და მათ ოდითგანვე მხოლოდ თავიანთ კუთვნილ ტერიტორიად აცხადებენ. მათი მტკიცებებით ქართველები შავიზღვისპირეთის ამ სანაპიროზე ძლიერ გვიან, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მუჰაჯირობის შემდეგ არიან ჩამოსახლებული და მათ აფხაზეთში ცხოვრების უფლება არც აქვთ. აფხაზ სეპარატისტთა ეს მსჯელობა ღიმილის მომგვრელია და იუმორად დარჩებოდა, რომ რუსეთის ნეოიმპერიალისტური ძალების, განსაკუთრებით კი „ცივი ომის" დამთავრების შედეგად უქმად დარჩენილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, მხარდაჭერით იგი ქართველი ხალხის დიდ ტრაგედიად არ გადაქცეულიყო. აფხაზებს არაფრით არ სურთ ირწმუნონ, რომ ქართველები ამ მიწაზე მათ მოსვლამდე (სულ ერთია, როდის მოვიდნენ, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, თუ XVII—XVIII საუკუნეებში, ისინი აქ მაინც მოსულნი არიან) დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ და უწყვეტად განაგრძობდნენ ცხოვრებას იბერიულ-კავკასიური ერთობიდან მათი გა-

მოყოფის დროიდან.[1] თანაც , ქართველები ამ რეგიონში ყოველთვის შეადგენდნენ მოსახლეობის აბსოლოტურ უმრავლესობას.

რუსული იმპერიალიზმი, რომელიც 450 წელია სხვათა მიწების „შემოკრების" გზით ზრდის საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიას და, რომელმაც ამ ხნის მანძილზე შეძლო მიეტაცებინა ვეებერთელა ტერიტორია ვოლგისპირეთიდან წყნარ ოკეანემდე, უკანასკნელ ხანს ხელმოცარული აღმოჩნდა. სსრ კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან 14 დაჰკარგა და არც იმ დარჩენილ რუსეთის ფედერაციაში მიმდინარეობს ცენტრმიმსწრაფი, გამაერთიანებელი პროცესები. პირიქით, ფედერაციიდან გასვლას ესწრაფვიან არა მარტო ნაციონალური ავტონომიები, არამედ რუსული ოლქები, მხარეები და საგუბერნატოროებიც კი.

ამის საპირისპიროდ რუსულმა იმპერიალიზმმა, რომელსაც სტალინის დროიდან აქვს ჩამოყალიბებული მსოფლიოში ყველაზე მზაკვრული და ყველაზე კარგად ორგანიზებული საიდუმლო სამსახურები, ორი მიმართულებით წარმართა საქმიანობა. ერთი, თანდათანობით, ფარულად და შენიღბულად აღადგინოს იმპერია, სულ ერთია რა ერქმევა მას „სნგ", აზია-ევროპის სახელმწიფოთა კავშირი, სსრ კავშირი, თუ სხვა რამე და მეორე, ვიდრე ეს მოხდებოდეს, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს მათსავე ტერიტორიაზე შეუქმნას ნაციონალ-სეპარატისტული ზონები და ამ გზით დაიჭიროს ორი კურდღელი — ამ რესპუბლიკების მთავრობები დააჩოქოს, მორჩილი გახადოს და ხვეწნა დააწყებინოს იმპერიაში დაბრუნების თაობაზე, ხოლო სეპარატისტული მოძრაობების შედეგად ჩამოკვეთილი ტერიტორიები ან უბრალოდ შეაერთოს რუსეთთან, ანდა „რუსულენოვანი მოსახლეობის" საცხოვრებელ ზონად გამოაცხადოს და მათი დაცვის მიზნით, იქ რუსული არმია ჩააყენოს.

ორივე ამ მიზნის განხორციელების კლასიკური მაგალითი საქართველო გახდა. ჯერ ერთი, მან დაკარგა აფხაზეთი, რომლის ხელისუფლება ოცნებობს რუსეთის იმპერიაში შესვლაზე (ლოზუნგით: „ტბაში დახრჩობაზე უმჯობესი, ოკეანეში დახრჩობაა"), დაკარგა სამხრეთ ოსეთი, რომელიც არცთუ უპერსპექტივოდ ოცნებობს რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებაზე. ამ რეგიონებში ჩაყენებულია რუსეთის ჯარები, რომლებიც აფხაზებსა და ოსებს (ისინი ხომ „რუსულენოვანნი" არიან) იცავენ ქართველთა არარსებული აგრესიისაგან. მეორეც, რუსი სამხედროებისა და ჩრდილოეთ კავკასიელ მომთაბარეთა მიერ დამარცხებულად და დაჩოქებული საქართველოს მთავრობა ხვეწნით შევიდა „სნგ"-ში და თუ მოდიფიცირებული იმპერიის აღდგენა მოხერხდა, ალბათ, მასაც ვერ დააღწევს თავს.

ყველა ამ უბედურების თეორიული დასაბუთება აფხაზეთის და შიგა ქართლის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის) მოსახლეობის ეთნოგენეზის პრობლე-

[1] ვ. ჩართოლანს ეს დრო ჩ. წ. VI ათასწლეულით აქვს განსაზღვრული (ჩართოლანი 1992:75).

ძაძი ძევს. რუსეთის საიდუმლო სამსახურებისაგან შთაგონებულ ვაი-თეორეტიკოსებს არ სურთ აღიარონ, რომ ქართულ მოსახლეობას დასახელებულ რეგიონებში ცხოვრების, თუ უპირატესი არა ყველა სხვა ერის წარმომადგენლის თანაბარი უფლება მაინც აქვს.

ამ უფლების კანონიერების დამტკიცება მხოლოდ ისტორიული ვითარების შეშმარიტი სურათის აღდგენის გზით შეიძლება. დიდი რუსი ისტორიკოსი ნ. მ. კარამზინი ამბობდა: „ისტორიას ბოროტი მეხსიერება აქვსო". აქ ბოროტება იმაში მდგომარეობს, რომ ისტორია არაფერს არ ივიწყებს, ამიტომაც მისი სინამდვილე მტყუანისათვის ბოროტებაა, ხოლო მართლისათვის — სიკეთე.

ეთნოგენეზის პრობლემის სირთულისა და წერილობითი წყაროების სიმცირის გამო, ამ პარაგრაფის სათაურში მითითებული რეგიონის ეთნოპოლიტიკური ვითარების უდავო სურათის აღდგენა მნიშვნელოვნად გაძნელებულია და ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა შეხედულებების გამოთქმისა და პაექრობისათვის. მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე უკვე შექმნილია კარგად დასაბუთებული კონცეფცია, რომელიც ჩვენი აზრით, არცერთ ხალხს არ შეურაცხყოფს და არც რომელიმე ერს ხელოვნურად არ განადიდებს.

შეიძლება უფრო მეტიც ითქვას: საბჭოური და მათ შორის ქართული ისტორიოგრაფიაც აფხაზი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ, ზოგჯერ ერთგვარ მიკერძოებასაც კი იჩენდა ამ რეგიონის ისტორიის გაშუქებისას, რაც, ცხადია, ქართველი ხალხის წარსულის შესაბამისი ფაქტების მიჩქმალვის ხარჯზე ხდებოდა.

ამჟამად, როცა ჩვენ არავინ აღარ გვზოგავს და, პირიქით, ქართველი ხალხის ოდინდელ ტოლერანტობას ბოროტად იყენებენ, როცა ქვეყანა ეკონომიკურად განადგურებულია, პოლიტიკურად დაქვეითებული, ასიათასობით ლტოლვილი შიმშილითა და უპატრონობით იტანჯება, უსამართლობა იქნებოდა ძველებურად გვეკმია გუნდრუკი მტრად ქცეული მომხდური ვანდალისათვის და არ გაგვეხსენებინა მისთვის ისტორიული შეშმარიტება.

ამ შეშმარიტების აღსადგენად ჩვენ გამოვიყენებთ ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევებს, ბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილია ჩვენამდე მოღწეული. მაგრამ, როგორც პროფ. მ. ინაძე მიუთითებს: ისინი „განეკუთვნებიან სწორედ იმ ხანას, როდესაც აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ მოსახლეობაში იწყება და ინტენსიურად მიმდინარეობს საერთო ერთეულებიდან ეროვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი; ამდენად, აღნიშნულ ცნობებს, რაგინდ ნაკლული და ცალმხრივი არ უნდა იყვნენ ისინი, მაინც დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, რადგან მათი მეშვეობით გარკვეული შესაძლებლობა გვეძლევა თვალი გავადევნოთ ამ პროცესს, დაწყებული წინა და ადრეანტიკური ხანიდან—გვიანანტიკური ხანის დასასრულამდე და მის მომდევნო პერიოდშიც (**ინაძე 1992:7**).

თანამედროვე მეცნიერებაში ეჭვს არ იწვევს, რომ „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ ხანაში (ძვ. წ. VIII—VI ს.ს.) „მთელი სანაპირო ზოლი მდ. ყუბანის შესართავთან მდ. თერმე-ჩაის (ადრე თერმოდონი ერქვა.— გ.მ.) შესართავამდე ძირითადად ქართველ ტომებს ეჭირათ“ (**ყაუხჩიშვილი 1980:31**).

ყველაზე ადრინდელი თხზულება, რომელშიაც კოლხურ შავიზღვისპირეთზეა საუბარი, არის მითი არგონავტების შესახებ, მაგრამ იგი გვიანაა (ძვ. წ. III ს.) ჩაწერილი. ამიტომ ამ რეგიონის უძველესი არაპირდაპირი მოხსენიება ჰომეროსის (ძვ. წ. IX ს.) სახელთანაა დაკავშირებული. „ოდისეიაში“ იგი მოგვითხრობს, რომ „მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა, ყველასათვის სანუკვარმა, აიეტისაგან მომავალმა „არგომ“ გასცურა (პლანქტებში)[1] (ზღვა)“ (**ურუშაძე 1964:177**) და შეგვახსენებს არგონავტთა მითის რიგ პერსონაჟებსა და გეოგრაფიულ ორიენტირებს, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს კუნძული აიაია, „სადაც ჰელიოსი აღმასვლას იწყებს“ მკვლევართა აზრით, „სწორედ ეს უნდა იყოს ის აია, რომელიც შემდგომ, აია-კოლხეთის სახელით დამკვიდრდა ბერძნულ ლიტერატურაში (**მიბჩუანი 1989:189**).

ასე იხსენიებს მას ჰეროდოტე (484—425), რომლისთვისაც არგონავტების ლაშქრობის სარბიელი სწორედ აია-კოლხეთია. მისი თქმით: ელინები „გრძელი ხომალდით მიადგნენ აიას-კოლხეთს და მდინარე ფაზისს; შეასრულეს ის საქმენი, რის გულისთვისაც მოვიდნენ და აქედან მეფის ასული მედეა მოიტაცეს“ (**ურუშაძე 1964:281**).

საყურადღებოა თავად ის ფაქტი, რომ ჰომეროსის მიხედვით, არგო „ყველასათვის ცნობილი“ ხომალდია. „რომელიც იმაზე უნდა მიუთითებდეს, — შენიშნავს თ. მიქელაძე,— რომ „ოდისეას“ ლიტერატურულ ნაწარმოებად ჩამოყალიბების დროისათვის, ე. ი. ძვ. XI—X სს-ში[2] არგონავტების ამბავი საყოველთაოდაა ცნობილი. მეტიც, ავტორის თხრობის მიხედვით, ეს ამბავი ცნობილი იყო ტროას ომის დამთავრების მომენტშიც (დაახლ. ძვ. წ. 1260.— გ.მ.), ოდისევსის მგზავრობის დროს“ (**მიქელაძე 1974:82**).

არანაკლებ საყურადღებოა, რომ არგო, აიეტთან ყოფნის შემდეგ ბრუნდება. ე. ი. აიეტი იმავე ეპოქაში არანაკლებ ცნობილია, ვიდრე არგო. მართალია, ჰომეროსთან მისი ვინაობა არაა გარკვეული, მაგრამ „ოდისეის“სქოლიონებში დაზუსტებულია, რომ „აიეტი—კოლხთა მეფე, მედეას მამა, კირდეს ძმაა“ (**ურუშაძე 1964:178**).

ჰომეროსის თანადროულად კოლხეთის შესახებ ცნობები ჩნდება ასურულ და ურარტულ წყაროებშიც. ასურეთის მეფის ტიგლეთფილესერის

---

[1] პლანქტები — ყველაფრის შთანმთქაფი, მოძრაფი კლდეები. ვარაუდობენ ადგილს, შავი ზღვიდან ბოსფორის სრუტეში გასასვლელთან.

[2] ასე ათარიღებს თ. მიქელაძე ჰომეროსის ეპოქას (**მიქელაძე 1974:76**).

(1115—1077) წარწერაში პირველად იხსენიება კოლხურ ტომთა მსხვილი გაერთიანება „კილხი", რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის ურარტულ ძეგლებში „კოლხას" ან „კულხას" სახელით ფართოდაა ცნობილი (**სინ 1970:369—371**).

ჩვენთვის არაა ცნობილი რამდენად ვრცელდებოდა აიეტის თუ კილხას (კოლხას) სახელმწიფოთა კომპეტენცია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა დასაბუთებული, რომ „ჩრდილოეთ კავკასიონის ქედი იყო ბუნებრივი საზღვარი კოლხური ბრინჯაოს კულტურის მოქმედების სფეროსი" (**მიქელაძე 1974:41**).

ეს დებულება ჩვენთვის იმიტომაცაა საინტერესო, რომ არქეოლოგიური კულტურები, ჩვეულებრივ, ეთნიკურად ერთიანი გაერთიანებების მიერ იქმნებიან. რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს, რომ ტერიტორიამდე „სადაც წარსწუთების წუერი კავკასისა" გავრცელებული კოლხური კულტურა, ერთი ეთნიკური ერთობის შენამოქმედი იყო. ხოლო თუ ვინ იყვნენ ისინი, ამაზედაც პასუხს იგივე ზევით დამოწმებული მკვლევარი იძლევა. მისი ცალსახა დასკვნა ასეთია: „სრულიად უდავოა, რომ ლითონის ნაწარმიც და კერამიკული პროდუქციაც, რომელიც გამოყენებაშია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში და დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. II—I ათასწლეულებში, ზანურენოვან ეთნიკურ ერთობას ეკუთვნის" (**ჯქე:75**).

სწორედ ამ „ზანურენოვან ეთნიკურ ერთობას" ეძახდნენ ძველი ბერძნები „კოლხიდას". ხოლო ამ უკანასკნელში, არამარტო რიონის აუზს, არამედ მის ჩრდილოეთით მდებარე მხარეებს, თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით გულისხმობდნენ. ამას პირდაპირ აჩვენებს ძვ. წ. VI საუკუნის II ნახევრის ავტორი სკილაქს კარიანდელი, რომელიც კოლხეთის ქალაქებად თვლის დიოსკურიასს (თან. სოხუმი), გიენოსს (ოჩამჩირე), ფაზისს (ფოთი) და ჩამოთვლის ამ მხარის თითქმის ყველა მდინარეს (**ურუშაძე 1964:289**).

ფსევდო-სკილაქსის ცნობებში ასახული ამბები უფრო ადრინდელია, ვიდრე ჰეროდოტესი (**ყაუხჩიშვილი 1980:64**), ამიტომ ყურადღებას იქცევს დიოსკურიას ჩრდილოეთით მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური ვითარების მისეული გადმოცემა. იგი ტომთა ჩამოთვლას იწყებს ტანაისიდან (დღ. მდ. დონი)[1] და აჩვენებს, რომ დასახელებული ხალხი ცხოვრობდა შემდეგ, რაც უნდა ნიშნავდეს მიმართულებას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ჩამოთვლის თანამიმდევრობა ასეთია: სავრომატები, მეოტები, სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქაიები, ჰენიოხები, კორაქსები, მელანქნელელები, გედონები და კოლხები (**ურუშაძე 1964: 288—289**).

ჰეროდოტეს მიხედვით, ამ ტომების ნაწილი (სავრომატები, სინდები, მეოტები, მელანქნელელები, გედონები) სკვითიაში ცხოვრობდნენ, ნაწილს კი იგი საერთოდ არ იცნობს.

ფსევდო-სკილაქსის მონაცემებით მის მიერ ჩამოთვლილ ტომთა მიერ,

[1] ფსევდო-სკილაქსის გადმოცემით მდ. ტანაისიდან იწყებოდა აზია, ევროპა-აზიის კონტინენტების გამყოფად იგივე მდინარეს ასახელებდა სტრაბონიც (**სტრაბონი 1957:108**). პროკოპი კესარიელს კი ასეთად მდ. ფაზისი აქვს წარმოდგენილი (**გეორგიკა 1965:127**).

დაკავებული ტერიტორიის განსაზღვრა შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია სხვა ავტორთა ცნობების მოხმობა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი საკვლევი მუშაობაა ჩატარებული აქაიების, ჰენიოხების და კოლხების ვინაობის დასადგენად.

აქაიებს (აქეელებს) ფსევდო-სკილაქსის გარდა იცნობენ: არისტოტელე, სტრაბონი, აპიანე, ამიანეს მარცელინუსი, პლინიუსი, ოვიდიუსი და სხვა.

ყველა იმ ავტორის მიხედვით, რომლებიც აქაიების საცხოვრისს ეხებიან, ისინი ცხოვრობდნენ „შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთზე, მეოტების სამხრეთით და კოლხების ჩრდილოეთით, დაახლოებით დღევანდელი ტუაფსესა და სოჭს შორის“ (**ყაუხჩიშვილი 1980:33**).

თუ საცხოვრისის საკითხი გარკვეულია, სრულიად უცნობია ამ ხალხის ეთნიკური წარმომავლობა. აქაიები, როგორც ცნობილია ბერძნების ერთ-ერთი უძველესი ტომის სახელია. ამიტომ წყაროებში კავკასიელი აქაიები ბალკანეთიდან მოსულადაა მითითებული. ზოგი ავტორი (მაგ. სტრაბონი) ამ ცნობას აზუსტებს და მათ ორქომენიდან (ბეოტია) წამოსულებად მიიჩნევს.

მაგრამ იგივე ავტორები აქაიებს ახასიათებენ, როგორც ველურ ტომს, რომლებიც არ ერიდებიან მკვლელობასა და კაციჭამიობას. თანაც არ განმარტავენ ცივილიზებულმა ელინებმა როდის შეიძინეს ეს ბარბაროსული ჩვევები. რაც გვაფიქრებინებს, რომ აქაიების ასეთ დახასიათებაში ასახულია ბერძენი ავტორების ქედმაღლური დამოკიდებულება ყველა არაელინი, ე. ი. ბარბაროსი ხალხისადმი.

აქაიების სახელით ცნობილი ტომი დასახელებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა დაახლოებით არგონავტების ლაშქრობის დროიდან, ახ. წ. I საუკუნემდე. V საუკუნის ანონიმი ავტორის ცნობით აქაიების ყოფილ საცხოვრისზე მის დროს ცხოვრობდნენ ზიხები (ჯიქები). ე. ი. ჯიქებს დაუკავებიათ მათი ტერიტორია და მოუხდენიათ ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციაც.

ველურებად დახასიათებისა და აგრეთვე, იმის გამო, რომ სოჭი-ადლერის სექტორში არსებობდა მდინარისა და სოფლის სახელი „აქაიუსი“ („აქაია“) რაც შეიძლება აქ მცხოვრები მოსახლეობის ელინებად მიჩნევის საფუძველი გახდა ბერძენი მწერლებისათვის, თ. ყაუხჩიშვილს ამიტომ ეფიქრებინება, რომ აქაიები არაბერძნული ტომი იყო. ფანაც ისეთი, რომლის ეთნიკური წარმომავლობა და ადრინდელი სახელის დადგენა, წყაროთა უქონლობის გამო, ახლა აღარ ხერხდება (**იქვე:40**).

ბერძენ ავტორებთან უფრო ვრცელი მასალა მოიპოვება **ჰენიოხების** ვინაობის შესასწავლად. ისტორიოგრაფიაშიც მათზე ვრცელი ლიტერატურაა შექმნილი, მაგრამ საკითხი, ჯერჯერობით, მთლიანად გადაწყვეტილად მაინც ვერ ჩაითვლება.

ჰენიოხთა ვინაობით თავის დროზე დაინტერესებული იყვნენ: კისლინგი, ნიკო მარი, იოსებ ორბელი, პეტრე უშაკოვი და ივანე ჯავახიშვილი. ამავე საკითხს შეეხენ მომდევნო თაობების მკვლევარებიც: პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, ბ. გიგინეიშვილი, ალ. გამყრელიძე, თ. ყაუხჩიშვილი, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური, მ. ინაძე, ზ. ანჩაბაძე, თ. მიქელაძე, შ. ინალ-იფა, ნ. კეჭეყმაძე, თ. მიბჩუანი და სხვა. მათ შორის აზრთა სხვაობაა ჰენიოხების ეთნიკური კუთვნილების საკითხში. ი. ორბელს, ნ. მარს, გ. მელიქიშვილს, თ. მიქელაძეს ჰენიოხები ერთ-ერთ სვანურ ტომად მიაჩნიათ. ბოლო ხანებში ამ მოსაზრებას დაბეჯითებით იცავს თ. მიბჩუანი (**მიბჩუანი 1989:48--82**).

მკვლევართა უფრო დიდი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, მ. ინაძე, ალ. გამყრელიძე, ბ. გიგინეიშვილი, ნ. კეჭეყმაძე, თ. გამყრელიძე, (ნაწილობრივ მათკენ იხრება ნ. ლომოურიც.) ჰენიოხებს მეგრულ-ჭანურ ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებს.

ჰენიოხების საძ- ჯიქებად გამოცხადების არცთუ წარმატებული ცდა ეკუთვნის ზ. ანჩაბაძეს და შ. ინალ-იფას.

ჰენიოხების ქართველობაში ეჭვი არ ეპარებათ კისლინგს და თ. ყაუხჩიშვილს. პირველი მათგანი მათ სანებთან და ლაზებთან აკავშირებს. ხოლო მეორე — თავს იკავებს დაბეჯითებით თქვას სახელდობრ რომელი ტომია ჰენიოხი—ჭანი თუ სვანი (**ყაუხჩიშვილი 1980:74**).

პ. უშაკოვი ფიქრობდა და მას ეთანხმებიან გ. მელიქიშვილი, მ. ინაძე და თ. მიბჩუანი, რომ ჰენიოხები შეიძლება დაუკავშიროთ ურარტულ წარწერებში დასახელებულ იგანიეხს. ხოლო ივ. ჯავახიშვილის აზრით ჰენიოხების ეთნარქი იყო ბიბლიური ენოხი (ენუქი).

ჰენიოხების სვანურ სამყაროსთან მისაკუთვნებლად მნიშვნელოვანი ეთნონიმიკური და ტოპონიმიკური მასალა წარმოადგინა თ. მიბჩუანმა. მისი მსჯელობა სცდება საკუთრივ ჰენიოხთა მიერ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესრულებულ როლს და იგი მთელი ეგრისის წინაზანურ მოსახელეობას სვანურენოვნად აცხადებს. მას მოჰყავს ლეონტი მროველის განმარტება — „დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (**ქ. ცხ. 1955:27**) და იქვე მინაწერი — „ეგრისი სუანეთიაო“, ამატებს მას საკუთარ დაკვირვებას, რომლის მიხედვითაც ისტორიული ეგრისის ტოპონიმია დღემდე უამრავ გეოგრაფიულ სახელწოდებას ინახავს, საიდანაც დასტურდება, რომ ეგრისელებში თავდაპირველად სვანები იგულისხმებოდნენ. შემდეგში მოხდა მათი ზანების მიერ ასიმილირება და არაეგრისელმა სვანებმა მათ „ზანარ“ შეარქვეს, ხოლო მეგრელი („ეგრისელი“) ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ზანების სახელად იქცა, დანარჩენი არასვანური მოსახლეობისათვის. „დღევანდელი მეგრელების ფორმირება,—დაასკვნის იგი,— სვანური ეთნოსუბსტრატის ნიადაგზე მოხდა. ასევე ზანური ეთნოსუბსტრატი საფუძვლად დაედო დასავლეთ საქართველოს სხვა ქართველების: აჭარლების, გურულების და ნაწილობრივ იმერლების ფორმირების პროცესს“ (**მიბჩუანი 1989:153**).

ეს დასკვნა ჯერჯერობით სპეციალისტების მიერ აპრობირებული არ არის.

მისი გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ გამოცემულ ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომში, მ. ინაძე, თ. მიბჩუანის გამოკვლევას, საიდანაც ზევითმოტანილი ციტატა გვაქვს დამოწმებული, არც ახსენებს. მაგრამ მას დასაშვებად მიაჩნია, რომ „შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძვ. წ. V—II სს-ში მოსახლე ჰენიოხური ტომების ერთი ნაწილი, სავსებით შესაძლებელია, მართლაც სვანური წარმომავლობისა იყო“ (**ინაძე 1992: 12**).

რაც შეეხება უფრო ადრინდელ ვითარებას მ. ინაძე ემხრობა ჰენიოხების ურარტული ტექსტების იგანიეხთან გაიგივებას. მისი აზრით ჩილდირის ტბის სამხრეთით მდებარე იგანიეხი ტომთა დიდი გაერთიანება იყო, რომელმაც განსაკუთრებულ ძლიერებას ძვ. წ. VIII ს-ის შუახანებში მიაღწია. ამ პერიოდში „იგანიეხ-ჰენიოხი სახელწოდების მქონე ტომები ფართოდ უნდა ყოფილიყვნენ განვრცობილი ამიერკავკასიის სამხრეთ და დასავლეთ რეგიონებშიც“, მაგრამ შემდეგში კოლხებისაგან შევიწროებულ ჰენიოხთა ცალკეული ნაწილი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ ინაცვლებს. მათ ძვ. წ. VI საუკუნიდან დასახლება უხდებათ ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე, უნაყოფო ადგილებში, სადაც სოციალურ-ეკონომიკურად და პოლიტიკურად ქვევითდებიან. სტრაბონის გადმოცემით მათ ოთხი სატომო კავშირის ბელადი, „ბასილევსი“ ჰყავდათ, მაგრამ მაინც ინარჩუნებდნენ პირვანდელ ეთნოპოლიტიკურ სახელწოდებას „ჰენიოხი“ (**იქვე:13**).

იგანიეხისა და ჰენიოხების გაიგივებას უშვებს გ. მელიქიშვილიც (**სინ 1970:377,385**). მაგრამ პირველ მათგანზე ისე მცირე ცნობებია დაცული, რომ მათი ეთნიკური კუთვნილების გარკვევა შეუძლებელია. ხოლო თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღისპირეთში (რიზესა და ათინას სექტორში) ძვ. წ. I საუკუნეში გაძლიერებული „მაკრონებისა და ჰენიოხების სამეფოს“ შემადგენლობაში შემავალი ჰენიოხები იგანიეხის მემკვიდრენი იყვნენ, მაშინ ისინი ჭანური ეთნიკური ჯგუფის ტომებს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან არიანეს მიხედვით რომელსაც იმოწმებს მელიქიშვილი „ჰენიოხები მთიელი ჭანები ჩანან“ (**იქვე: 547**).

ჰენიოხების იგანიეხთან გაიგივების შეხედულების გაზიარების შემთხვევაში შუქი ეფინება ამ ტომებთან დაკავშირებულ ორ სადავო საკითხს. ერთი, ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ სვანური მოდგმისანი, რადგან ჩილდირის ტბის მოსაზღვრე რეგიონებში (სადაც ურარტული ცნობებით იგანიეხი მდებარეობდა) მაშინ არ მოიხსენიება არც ერთი ტომი, რომელიც სვანურის მონათესავედ შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ჭანურისა კი არიან (ლუსა(ლაზები?) ქათარზა (კლარჯები?) და შესაძლოა ვიტერუხიც). ჭანებად ჰენიოხების აღიარებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღისპირეთში ამ სახელწოდებით მოხსენიებულ ტომს წყაროები ჭანებს აკუთვნებენ.

მეორეც, სახელწოდება „ჰენიოხი“ ბერძენი მწერლების მიერ ახსნილია, როგორც „მეეტლე“, რადგან ეს სიტყვა ძველ ბერძნულ ენაზე მეეტლეს „ცხენის სადავის მპყრობელს“, „მხედარს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, როცა

შავიზღისპირეთში მოსულმა ბერძენმა კოლონისტებმა, აქ მცხოვრები ხალხის სახელი „ჰენიოხი“ (ან მასთან მიმსგავსებული სხვა სიტყვა) გაიგონეს, მათ იგი ახსნეს, როგორც მეეტლე. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კი მეეტლე ლაკონელი დიოსკურები (ტყუპი ძმები — კასტორი და პოლუქსი) თან ახლდნენ იასონს, როცა იგი ხელმეორედ მოვიდა კოლხეთში თავისი სიმამრის დასახმარებლად და მათმა მეეტლეებმა ფრიგიასმა და ამფისტრატოსმა აქ დააარსეს ქალაქი დიოსკურია. მეორე მხრივ ცნობილი იყო, რომ ეს ქალაქი ჰენიოხიაში მდებარეობდა. ამ ნიადაგზე ბერძნულ მწერლობაში გაჩნდა შეხედულება, რომ ქალაქ დიოსკურიასთან მცხოვრებ ხალხს სახელწოდება მისცეს, უფრო მეტიც ისინი აქ დაასახლეს კასტორისა და პოლუქსის მეეტლეებმა (**სტრაბონი 1957:118**). შემდეგ ეს მოსაზრება სხვადასხვა ვარიანტით ფართოდ გავრცელდა.

ცხადია, იგი არ შეიძლება მიღებულ იქნას ჰეშმარიტებად, რადგან „ჰენიოხები, ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომი“ (**ყაუხჩიშვილი 1980:76**) იყო. არსებობს მათი სახელის ამოხსნის რამდენიმე ცდა. ეს ამოხსნები საფუძვლად უდებს ჰენიოხების, ეთნიკური კუთვნილების გარკვევასაც. ჩვენ არ შევუდგებით ამ სატომო სახელის შესახებ არსებული შეხედულებათა გადმოცემას, მაგრამ, ვფიქრობთ, სწორია თ. მიბჩუანი, როცა წერს: „ჰენიოხ“ ტერმინი თუკი მომდინარეობს იგანიეხ სახელისაგან, მაშინ მისი ბერძნული წარმომავლობა წარმოუდგენელია, რადგან იგანიეხი გვხვდება ურარტულ წყაროებში ძვ. წ. VIII ს-დან. შეუძლებელია იმ დროისათვის ურარტულში ეს ტერმინი ბერძნულიდან შესულიყო“ (**მიბჩუანი 1989:83**). მაშასადამე თუ იგანიეხ-ჰენიოხის გაიგივება სწორია, მაშინ „ჰენიოხი“ ბერძნული მეეტლისაგან კი არ არის მიღებული, არამედ ტომის ადგილობრივი სახელისაგან, რომელსაც ადრე იგანიეხი ერქვა. ასეთი მსჯელობა, რომ ჰეშმარიტია ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ჰენიოხების მეეტლეებად გააზრება სათავეს იღებს სტრაბონიდან. ადრეული წყაროები ასეთ ახსნას არ იცნობენ და, თანაც, ეს სახელწოდება არ მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ჰენიოხებს. ე. ი. ამ სახელის მეეტლედ გააზრება ქალაქ დიოსკურიასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული.

იგანიეხ-ჰენიოხთა გაიგივება სვამს ერთ ძნელად გასააზრებელ საკითხსაც—როგორ მოხვდნენ ჩილდირის ტბის სამხრეთით მცხოვრები ჰენიოხები დიოსკურია—ბიჭვინთის სექტორში, სადაც ისინი დაფიქსირებული ჰყავს ბერძენ ავტორებს.

მ. ინაძის აზრი ამ საკითხზე ზევით უკვე გადმოვეცით. იგი ასეთ გადმონაცვლებას „კოლხთაგან შევიწროებით“ ხსნის. ასევე, ვაჩვენეთ თ. მიბჩუანის კონცეფციაც, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი სვანური მოდგმის ტომებით ყოფილა დასახლებული. მათში, ცხადია, ჰენიოხებიც იგულისხმებიან. ასე, რომ სავსებით ბუნებრივია, თუ ისინი დიოსკურია-ბიჭვინთის სექტორში ცხოვრობდნენ.

სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს თ. მიქელაძე. იგი ვარაუდობს, რომ მდ. რიონის აუზსა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სვანური მო-

სახლეობა სამხრეთიდან, პროტოხეთური გარემოცვიდან მოვიდა ათასი წლით ადრე, ვიდრე დასავლეთ საქართველოში ზანური ელემენტი იჩენდა თავს (**მიქელაძე 1974:19**). ამ უკანასკნელის გამოჩენა კი „რიონის ქვემო წელზე უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულსა და II ათასწლეულის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ", რაც დაკავშირებული უნდა იყოს ქართულ-ზანური, ერთობის დაშლასთან (**იქვე:72**).

ქართველმცოდნეობაში ზანურის ქართულიდან გამოყოფის ეს თარიღი შეწყნარებული არ არის. ასეთად ძვ. წ. I ათასწლეულს დასაწყისს — ძვ.წ. VIII საუკუნეს მიიჩნევენ. თავისი ნაშრომის სხვა ადგილას (**გვ. 23**), სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულ ამ შეხედულებას, თვით თ. მიქელაძეც არ თვლის საფუძველმოკლებულად. ჩვენი დაინტერესების საგანს კი ამჯერად თარიღის სისწორე—სიმრუდის გარკვევა კი არ შეადგენს, არამედ ისტორიულ კოლხეთში მოსახლეობის მონაცვლეობის ის ფაქტი, რომელიც მკვლევარის ზევითმოტანილ მსჯელობაშია გადმოცემული. რადგან იქ მეგრელ-ჭანებზე ადრე ისტორიულ კოლხეთში სვანურენოვანი ტომების მოსვლაა აღიარებული. გასარკვევი რჩება საკითხი ჰენიოხებს თ. მიქელაძე სვანებს მიაკუთვნებს თუ ჭანებს. ადრე იგი მათ ერთ-ერთ კოლხურ (მეგრულ) ტომად მიიჩნევდა, ხოლო ჩვენს მიერ დამოწმებულ შრომაში „ჰენიოხთა სვანი ტომების წრისადმი" მიკუთვნებისაკენ იხრება (**იქვე: 18**). თანაც, მიუთითებს, რომ ზან ტომთა მოსვლამ „გამოიწვია სწორედ სვანური მოსახლეობის თანდათან გადაადგილება ჩრდილოეთისაკენ" (**იქვე: 23**). ე. ი. აქ ახსნილია, როგორც სვანების (ჰენიოხების) რიონ-ენგურის აუზში მოსახლეობის ფაქტი, ისე მათი დღევანდელი აფხაზეთის, ტერიტორიაზე განსახლების მიზეზიც.

ჩვენ ახლა ალარ შევუდგებით ჰენიოხების დასახლებულ რეგიონში ცხოვრების შესახებ სხვა შეხედულებების გარჩევას. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს კამათს არ იწვევს. ხოლო უკვე გაღმოცემული მსჯელობა, ვფიქრობთ, უცილობლად აჩვენებს, რომ ჰენიოხები, სვანებად ვაღიარებთ მათ, თუ მეგრელ-ჭანებად, ქართველური მოდგმის ტომები იყვნენ.

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, (რაც მას განმტკიცებული აქვს შესაბამისი მაგალითებით) ბერძენი ავტორები თავიანთი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო და სკვითების საერთო რეპუტაციიდან გამომდინარე, უარყოფითად ახასიათებდნენ არა მარტო ჰენიოხებს, არამედ საერთოდ არაბერძნებს (მათ შორის მაღალკულტურულ კოლხებსაც), თორემ „კოლონიზაციამდე ფაზისში იმ მხარის მირტო არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე, ასეთი სავალალო მდგომარეობა არ ჩანს" (**ყაუხჩიშვილი 1980:63**).

მომდევნო ხანის ავტორები სტრაბონი (ძვ. წ. 64/63—ახ. წ. 23/24) და პლინიუსი (23—79) უფრო ვრცლად ახასიათებენ ჰენიოხების საქმიანობას. მაგალითად, სტრაბონი აღწერს როგორ ნავებს იყენებენ ისინი ზეკობრეობის დროს. ამ ნავებს სადაც 25 კაცი ეტეოდა, ბერძნები კამარებს (თაღიან ნავს) უწოდებენ. მათგან ჰენიოხები ფლოტებს ჰქმნიდნენ და თავს ესხმოდნენ ხან საბარგო ხომალდებს, ხანაც რომელიმე ქვეყანას, ან ქალაქს. ისინი ბატო-

ნობდნენ შავ ზღვაზე. აღწევდნენ ბოსფორამდე, სადაც მათ ვაჭრობაში შეღავათები ჰქონდათ. არასანაოსნო სეზონში ჰენიოხები მიწის დამუშავებით და ტყის რეწვით არიან დაკავებულნი. როცა ბოსფორიდან გამოქცეულმა მითრიდატე ევპატორმა (120—63) მათ ქვეყანაზე გაიარა, ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ, ისინი პონტოს მეფეს კეთილგანწყობილად შეხვდნენ (**სტრაბონი 1957: 118--119**). ამ შეხვედრიდან ჩანს, რომ ჰენიოხები არც ისე ველურები არიან, როგორც მათ არისტოტელე ახასიათებს. თუმცა ასეთი ქცევა იმითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ისინი რომის ხელისუფლებას არ სცნობდნენ (**იქვე:225**).

პლინიუსი კი ასახელებს „ჰენიოხთა მრავალსახელიან ტომებს", რაც ამ ტერმინის კრებსით მნიშვნელობას გულისხმობს და ეს საშუალებას აძლევს თ. მიბჩუანს „ჰენიოხი" ისეთივე დანიშნულების სიტყვად გაიგოს, როგორიც „კოლხი" (**მიბჩუანი 1989:63**), ე. ი. „ჰენიოხები" ტომთა გაერთიანება ყოფილა. რასაც სტრაბონი ადასტურებს, როცა წერს, რომ მათ ოთხი ბასილევსი (ე. ი. ტომის ბელადი) ჰყავდათ.

ჰენიოხთა შესახებ არსებული ცნობების ანალიზის შედეგად თ. მიბჩუანი თვლის, რომ მათი ტომთა გაერთიანება ისევე იყო გაბატონებული მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ახ. წ. II საუკუნემდე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში ალანები. „მართალია, — წერს იგი, — ჰენიოხებს კოლხებივით სახელმწიფო გაერთიანება არ შეუქმნიათ, მაგრამ პოლიტიკური ჰეგემონობა მთელს აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში კოლხთა სამეფოს შექმნამდე მათ ხელში უნდა ყოფილიყო" (**იქვე**).

მკვლევარის ეს მსჯელობა ჩვენ წინააღმდეგობრივად გვეჩვენება. თვით მისივე სიტყვით (**იქვე:64**) კოლხეთის სამეფო ძვ. წ. VI საუკუნეში შეიქმნა. ამ „საუკუნის დასაწყისადან მთელ აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში გაბატონდნენ კოლხები და თავიანთი პოლიტიკური გაერთიანების ქვეშ მოაქციეს აქ მოსახლე სხვა დანარჩენი ტომები". (**იქვე:79**). მაშ, როგორღა იყვნენ ჰენიოხები ჰეგემონი „მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ. წ. II საუკუნემდე?" განა დასაშვებია, რომ ერთ ადგილზე ორი პოლიტიკური გაერთიანება ბატონობდა? ცხადია, აქ ჰეიოხების სვანურ სამყაროსთან მიკუთვნების ავტორისეულმა მისწრაფებამ, სიფხიზლე დაუკარგა ისტორიკოსის დროში ორიენტაციის ალღოს.

ამავე მიზეზის გამოა იგი რომ ამბობს: „ჰენიოხებს კოლხებივით სახელმწიფო გაერთიანება არ შეუქმნიათ"-ო. თორემ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო", რომელიც ახ. წ. I საუკნეებში წარმოიშვა და იმდენად ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო, რომ რომაელები ცდილობდნენ მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, საჩუქრებით სურდათ გადმოებირებინათ მათი სამხედრო გვაროვნული არისტოკრატია და, როგორც ტაციტუსი გვაცნობებს, ახ. წ. 58 წელს, კიდეც გამოუყენებიათ ისინი სომხეთზე თავდასასხმელად (**სინ 1970:541**). რომთან „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფოს" მოკავშირეობა კარგა ხანს გრძელდებოდა. მაგალითად, 115 წელს

პართიაზე სალაშქროდ მყოფმა იმპერატორმა ტრაიანემ, დიონ კასიუსის ცნობით, საჩუქრები უძღვნა „ჰენიოხებისა და მახელონების მეფე ანხიალს“ (**იქვე:546**).

ამ სამეფოსათვის მკვლევარის მიერ გვერდის ავლა ორი მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული. ჯერ ერთი, იგი მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დაახლოებით რიზესა და ათინას სექტორში და, მაშასადამე, სვანებით დასახლებულ რეგიონს ძლიერ დაშორებული იყო. და მეორეც, ჰენიოხებთან ერთად სამეფოს შემქმნელი „მახელონები“—მაკრონებია, ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრები ჭანური მოსახლეობა“ (**იქვე: 547**), რომელთა მოკავშირეობაც ჰენიოხების ჭანურენოვნების ერთ-ერთი საბუთია. მით უფრო, რომ პლინიუსი „მახელონებისა და ჰეინოხების სამეფოს“ მიწა-წყალზე მცხოვრებ „სან-ჰენიოხებს“ ასახელებს (**იქვე**).

ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების მიხედვით კოლხეთის ჩრდილოეთ კიდეზე მცხოვრები ჰენიოხები უფრო ადრე ქრებიან ისტორიის ასპარეზიდან, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთისა. კისლინგის აზრით, ჩრდილოელმა ჰენიოხებმა (და ზოგმა სხვა ტომმა) ჯიქების (ალბათ, სხვა ადიღეელი ტომების) მოწოლის შედეგად მიატოვეს საკუთარი საცხოვრისები და სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს. ამ შეხედულებას თ. ყაუხჩიშვილიც იზიარებს (**ყაუხჩიშვილი 1980:75**).

სამხრეთელი ჰენიოხები კი, როგორც ვთქვით, მაკრონებთან ერთად ჰქმნიან სამეფოს, რომელმაც ახ. წ. II ს-ის მიწურულს შეწყვიტა არსებობა. ამ დროიდან ჰენიოხები აღარც ამ სექტორში მოიხსენებიან (**იქვე: 71**).

კისლინგ-ყაუხჩიშვილის ჰიპოთეზის შეწყნარების შემთხვევაში უნდა დავეთანხმოთ იმ შეხედულებასაც, რომ ჰენიოხები დიოსკურია-სოჭის სექტორში ადიღეელმა ტომებმა — ჯიქებმა, აფსილებმა და აბაზგებმა შეცვალეს. მაგრამ ჩვენ უფრო ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჰენიოხების ნაწილმა ზღვისპირა მხარიდან ჩრდილოეთის მიმართულებით წაიწიეს და დღევანდელი დას. იმერეთის, რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთისა და კოდორის ზემოწელზე გადაინაცვლეს (**მიბჩუანი: 1989:64**), ნაწილი კი აქ მომდევნო ხანაში მცხოვრებ ზანურ-სვანური ტომის სანიგების შემადგენლობაში შევიდა (**ინაძე 1992:45**).

გ. მელიქიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ არიანეს (95—175) ცნობათა მიხედვით, სანიგები იმავე რაიონში (სოხუმსა და სოჭს შორის) ცხოვრობდნენ, სადაც არტემიდორეს (ახ. წ. I—II სს.) თანახმად — ჰენიოხები. მისი დაკვირვებით, საინტერესოა ისიც, რომ იმავე ხანის ავტორები მემნონი და სტრაბონი ანალოგიურ სურათს გვიხატავენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, პირველი პონტოს შიდა რაიონებში ასახელებს სანიგებს და ლაზებს, მეორე კი—ჰენიოხებს და კოლხებს, ე. ი. მემნონის ლაზებს სტრაბონის კოლხები შეესაბამებიან, ხოლო ჰენიოხები — სანიგებს (**გ. მელიქიშვილი 1965-64**)[1].

1 გ. მელქიშვილს სანიგ-ჰენიოხთა იგივეობა დადასტურებული აქვს თავის სხვა ნაშრომშიაც (**სინ 1970:545**).

ასეთსავე დასკვნამდე მიდის თ. მიქელაძეც ერთის მხრივ პომპონიუს მელასა და პლინიუსის, ხოლო მეორეს მხრივ არიანესა და დიონ კასიოსის (ახ. წ. II—III ს.ს.) ცნობების შეჯერების შემდეგ (**მიქელაძე 1974:18**).

საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებდნენ ს. ჯანაშია და პ. ინგოროყვა. ს. ჯანაშია **ზან, წან, სან**, ფუძე—სიტყვებს ერთი ბუდიდან მომდინარედ და მეგრულ-ჭანურად თვლიდა. იგი იყენებდა ევსევი კესარიელის (260—340)[1] ტომთა ჩამოთვლაში ნახმარ გამოთქმას—„ სანნები, რომელთაც სანიგები ეწოდებათ“ (**გეორგიკა 1961:32**) და ეჭვი არ ეპარებოდა სანიგების მეგრელ-ჭანობაში. თანაც იგი ამტკიცებდა, რომ შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში „აფხაზთა დამკვიდრების უწინარეს უეჭველობით არის საგულისხმებელი“ ქართველური მოსახლეობის არსებობა მეგრელ-ჭანებისა და სვანების სახით (**ჯანაშია 1959:15**).

პ. ინგოროყვა საკითხს შემდეგნაირად უდგებოდა ჰენიოხი, სანიხი და სანიგი საისტორიო წყაროების მიხედვით არის სოხუმიდან ტუაფსემდე მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ერთი და იგივე ტომის სახელწოდება. ძვ. წ. V საუკუნიდან დაწყებული ვიდრე ახ. წ. II საუკუნემდე ეს სახელი გვხვდება ფორმით ჰენიოხი, ხოლო ამ დროდან, ჩვეულებრივ, იხმარება სანიხი ან სანიგი. „სახელწოდებანი — **ჰენიოხი, სანიხი, სანი** — მიღებული იყო სწორედ კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) ტომთა ჯგუფში, სადაც იგი ფართო გავრცელებით სარგებლობდა“. ამიტომ ისინი თავსთავად გვიჩვენებენ, რომ მათი მატარებელი ტომი ეკუთვნოდა ქართველთა კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) შტოს (**ინგოროყვა 1954:135**).

რადგან ჰენიოხი-სანიხი იყო კოლხურ-ლაზური ტომის სახელწოდება, გასაგები ხდება ანტიკური წყაროები რატომ უწოდებენ ჩრდილოელი ჰენიოხების ტერიტორიას ხან ჰენიოხების მიწა-წყალს და ხან—კოლხებისას. მაგალითად, მათი ერთი ნაწილის ჩვენებით, დიოსკურია ჰენიოხების მიწა-წყალზე მდებარეობდა, სხვებთან კი — „დიოსკურიას ეწოდება არა მხოლოდ ჰენიოხთა ქალაქი, არამედ ამავე დროს კოლხთა ქალაქი“. ასეთივე ვითარება იყო ბიჭვინთას მიმართ. ხოლო ტოპონიმიკა ჰენიოხ-სანიხთა მიწა-წყლისა „იხსნება ქართულის, ქართველური ენა-დიალექტების საშუალებით“ (**იქვე:136**). განსვენებულ მეცნიერს „გიორგი მერჩულეში“ „სპეციალური ექსკურსი“ აქვს ჩართული (**გვ. 146-188**), სადაც 136 ტოპონიმიკური ერთეულია ამოხსნილი ქართველურის საშუალებით. შეიძლება ზოგიერთი ეს ამოხსნა საეჭვო ან არასწორიც კი იყოს, მაგრამ, როგორც აკად. გ. ახვლედიანი წერდა: „სპეციალურ ექსკურსს“, ჩვენი აზრით, აქვს ზოგ თავის ნაწილში გადამწყვეტი მნიშვნელობა, მეტადრე — როცა სხვა წყარო არა გვაქვს“ (**ახვლედიანი 1957:107**).

საერთოდ კი პ. ინგოროყვას კონცეფციის ღირსებას ის წარმოადგენს, რომ მეცნიერმა მნიშვნელოვნად გადასწია ჰენიოხ-სანიგთა მიწა-წყლის ჩრდილოეთი საზღვარი და, როგორც ზევით უკვე ვწერდით, იგი სხვა მკვლე-

[1] იგი ქართულ მწერლობაში ევსებიოს პამფილელის სახელითაა ცნობილი, ამიტომ ს. ჯანაშიას IV ს-ის ავტორად ევსებიოსად ჰყავს დამოწმებული.

ვარების მიერ მითითებული მდინარე აქეუნტიდან (დღ.მდ. შახე) ტუაფსე-ნიკოფსიამდე გადაიტანა.

გვიანანტიკური წყაროების ანალიზის საფუძველზე მ. ინაძე იმ დას-კვნამდე მივიდა, რომ ახ. წ. I საუკუნიდან დღევანდელი აფხაზეთის ტერი-ტორიაზე მკვეთრი ეთნო-პოლიტიკური ცვლილებები იწყება. სახელდობრ, „მრავალი წვრილი ტომების შემცველი ჰენიოხთა გაერთიანება ქრება წყა-როებში და მათ ადგილს **სანიგთა სამთავრო** (ხაზი ჩემია.— გ.მ.) იკავებს" (**ინაძე 1992:45**).

მკვლევარის აზრით, „სანიგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი სადღე-ისოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს საისტორიო მეც-ნიერებაში, რადგან აფხაზთა სამთავროს შექმნამდე სანიგებს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი ეჭირათ და ამდენად, ბუნებრივია, რომ ისინი მონაწილენი იყვნენ გვიანანტიკური ხანის აფხაზეთის მოსახლეობაში მიმდინარე ეთნოპროცესებისა, წამყვან როლს ასრულებდნენ ისინი ამ მხარის პოლიტიკური და კულტურულ ცხოვ-რებაშიც" (**იქვე**).

სანიგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხს მ. ინაძე ადრეც იკვლევდა და იგი მათ მეგრელ-ზანურ ტომთა კავშირად ვარაუდობდა. 1992 წელს გა-მოქვეყნებულ ნაშრომში კი წერს: „სანიგთა სამთავრო, ისევე როგორც ჰენიოხ ტომთა კავშირები, შერეულტომიანი უნდა ყოფილიყო. სანიგთა სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილის მოსახელობა, ვფიქრობთ, ახლოს იდგა სვანურ ეთნიკურ სამყაროსთან და ენათესავებოდა კიდეც სვანთა მრავალ-რიცხოვან ტომებს... სამთავროს დასავლეთ ნაწილში, რომელიც მდ. შახემ-დე ვრცელდებოდა, უმთავრესად განსახლებული უნდა ყოფილიყო მეგ-რულ-ზანური ტომები" (**იქვე:46**).

მკვლევარს მიაჩნია, რომ ზანურ ელემენტს დიდი ხვედრითი წილი ჰქონდა სანიგთა სამთავროში. ამასთან იგი, ისევე როგორც პ. ინგოროყვა, ამ სამთავროს უკიდურეს დასავლეთ სექტორად არიანეს „ძველი ლაზიკის" (ნიკოფსიის) ჩათვლას უპერს მხარს და მიაჩნია, რომ „მეგრულ-ზანური (ლაზური) სატომო ბირთვის პოლიტიკური გავლენა ახ. წ. II საუკუნისათ-ვის შორს ვრცელდებოდა" (**იქვე: 47**).

მ. ინაძე მიუთითებს, რომ მიუხედავად შავიზღვისპირეთის დასახელებულ მონაკვეთში, ძვ. წ. II—I სს. დაწყებული ეთნოპოლიტიკური ცვლილებებისა, რაც ჯიქების ჩამოსვლა-დასახლებაში გამოიხატა, სანიგთა პოლიტიკური ერთეული ახ. წ. V საუკუნემდე განაგრძობდა არსებობას.

ჰენიოხებისა და სანიგების მეგრელ-ჭანებად გამოცხადების მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტია მათი განსახლების ტოპონიმიკის ზანური ნომენ-კლატურა. თუმცა ამ შეხედულების ერთ-ერთი მთავარი ამღიარებელი პ. ინგოროყვა, აფხაზეთის მხარეთა ტოპონიმების უმრავლესობას „ქართული ფუძე-ენის მეშვეობით ხსნის, ზანური კი მწირად აქვს წარმოდგენილი, სვა-ნური საერთოდ დაკვირვების მიღმა რჩება" (**მიბრუანი: 1989:85**).

ასეთი ვითარება გახდა საფუძველი ჰენიოხ-სანიგების სვანობის უარ-

ყრფისა. შ. ინალ-იფა პირდაპირ აცხადებდა: თუ ჰენიოხები სვანები იყვნენ, მაშინ რატომ არ ჩანს მათი კვალი აფხაზეთის ტოპონიმიკაშიო (**ინალ-იფა 1965:79**). თ. მიბჩუანის აზრით, „კატეგორიული განცხადება, რომ ჰენიოხებსა და სანიგებში არ შეიძლება სვანური ტომებიც ვიგულისხმოთ, რადგან მათი განსახლების ტერიტორიაზე სვანური წარმოშობის ტოპონიმები არ გვხვდება, სინამდვილეს არ შეეფერება“ (**მიბჩუანი 1989:85**).

თავისი ამ თეზისის განსამტკიცებლად თ. მიბჩუანმა სერიოზული კვლევა ჩაატარა. მან აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოავლინა და განმარტა ათეულობით სვანური ტოპონიმი და ეთნონიმი. თანაც, სვანურ ენაში იპოვნა ბევრი ტერმინის სინონიმი და ახსნა ისინი.

ასეთი კვლევა მას უფლებას აძლევს განაცხადოს: „თუ ჰენიოხების ეთნიკური ვინაობის გარკვევის საკითხში საქმეს მხოლოდ ეს აფერხებდა, მაშინ იგი ამჯერად გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოსო“ (**იქვე: 83**).

რაც შეეხება სახელწოდების სანიგ-ჰენიოხის ურთიერთმიმართებას მისი აზრით, ეს უკანასკნელი „ადგილობრივი წარმოშობის ტერმინი არ უნდა იყოს“. ხოლო თუ იგი მაინცდამაინც ადგილობრივი წარმოშობისაა, მაშინ სვანურის მეშვეობით უნდა აიხსნას. სვანურად „ჰელ“ ჰქვია ცეცხლს, ძლიერ გამონაშუქს, ძლიერ გამოსხივებას. იგი შეიძლება დავუკავშიროთ ბერძნულ **ჰელიოსს**, რაც მზეს, მზის ელვარებას ნიშნავს. **ხი** კუთვნილების მაჩვენებელი, ფართოდ გავრცელებული ურარტული სუფიქსია (დიაო-ხი, ტაო-ხი, კა-ხი, კოლ-ხი, ჯავა-ხი, მოს-ხი და სხვა). ჰელ-ში ლ შეიცვალა ნ ბგერით. დაემატა ბოლოსართი ოხი და მივიღეთ **„ჰენიოხი“**, რაც „სხივოსანს“, „მზიურს“ უდრის.

მაშასადამე, თ. მიბჩუანი ცდილობს „ჰენიოხი“, თუ იგი ადგილობრივი წარმოშობის სიტყვაა, სვანურ „ჰელზე“ ბერძნული „ჰელიოსის“ გავლენით ახსნას (**იქვე: 87**). მისთვის არც ისაა საეჭვო, რომ „ჰენიოხების განსახლება მოიცავდა აფსაროსიდან (თანამედროვე გონიო, ჭოროხის შესართავი) სებასტოპოლისამდე (დღევ. სოხუმი) ტერიტორიას“ (**იქვე:93**).

მათი დასახლების ადგილზე წყაროები მოიხსენიებენ სამხრეთში სანებს, ჩრდილოეთში—სანიგებს. „ესეც შეიძლება იმის დასტურია, რომ ჰენიოხებში მართლაც სანები (სანიგები) იგულისხმებიან“ (**იქვე:87**).

მაგრამ „სანი“ ყოველთვის ჭანად ან ზანად კი არ უნდა გავიაზროთ, არამედ სვანად. რადგან მეგრელები სვანებს „შონებს“ უწოდებენ, ხოლო თვითსახელია „მუშან“ ბერძენი ავტორები **შ** და **ზ** ბგერების ნაცვლად **ს-ს** ხმარობდნენ. ქართულში კი სვანურ-მეგრული **შ** გადადის **ს**-დ. ამდენად ბერძენი ავტორების სანები, ზანურად შანები (სვანური წარმოებით მუ-შანები) იქნებოდნენ, რაც ქართულად გამოითქმებოდა, როგორც სვანი. სანებიდან სანიგები, როგორ იწარმოება ძნელი მისახვედრი არაა.

პლინიუსი, მემნონი, არიანე სანიგების მიწა-წყალს დღევანდელ ბიჭვინთასა და ადლერს შორის აჩვენებენ. იმავე რაიონში ახ. წ. VII საკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ აფხაზებთან ერთად მოსახლედ სვანებია მითითებული. კლავდიოს პტოლემაიოსი ახლანდელი გაგრის სექტორში მცხოვრებლებად „სუანოკოლხებს“ ასახელებს.

სხვადასხვა დროს მცხოვრები ეს ავტორები ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებლებად, სამი სახელით მოიხსენიებენ ერსა და იმავე ხალხს — სვანებს. „სომხურ გეოგრაფიაში“ იგი ზუსტად ასე იწოდებოდა, არიანესთან და სხვებთან მათ სანიგები ჰქვია. ხოლო პტოლემაიოსის — „სუანოკოლხები“ უნდა გავიგოთ, როგორც კოლხეთში მცხოვრები სვანები (იქვე: 90)

ტოპონიმიკური მასალებისა და ბერძენ ავტორთა ცნობების ანალიზის შედეგად თ. მიბჩუანი რეალური საფუძვლის მქონედ თვლის „სანიგების ერთ-ერთ სვანურ ტომად აღიარების ვერსიას“ (იქვე: 86).

არიანეს მიერ სანიგების მიწა-წყლად მოხაზული ტერიტორიის „სომხური გეოგრაფიის“ ცნობებთან შეჯერების გზით, დ. მუსხელიშვილი ასევე სავსებით რეალურად მიიჩნევს, რომ „სვანები იგივე სანიგები უნდა იყვნენ“ (მუსხელიშვილი 1977:99).

„სომხურ გეოგრაფიაში“ ასახული ვითარება IV ს-ის მიწურულით და V ს-ის დასაწყისით თარიღდება (იქვე:95), აქ სვანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი მდ. ბზიფია, მაშინ როცა არიანეს მიხედვით II ს-ის 30-იან წლებში დიოსკურია-სებასტოპოლისის სექტორიც სანიგებით იყო დასახლებული. არიანეს „პერიპლუსის“ კომენტატორი (V ს.) გარკვევით წერს: „მდინარე აქეუტიდან (მდ. შახე.—გ.მ.) მდინარე აბასკამდე[1] სანიგები ცხოვრობენ“-ო.

დ. მუსხელიშვილი ამის გამო ვარაუდობს, რომ ამ ცნობებს შორის გასულ დროში (დაახლ. სამი საუკუნე), ადგილი ჰქონია „ზემოთხსენებულ ტომთა ამოძრავებას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით“ (იქვე:98), რაც დაკავშირებული იყო ეგრისის სამეფოს წარმოშობასთან.

პ. ინგოროყვას მტკიცებით, კი აფხაზეთის მხარეებში ამ დროს ასეთ მიგრაციული პროცესებს ადგილი არ ჰქონია. ოღითგანვე ეს მხარე დასახლებული იყო ქართველი ტომებით: მესხებით, კოლხებით, მეგრელ-ლაზებით და სვანებით. მათ შორისაც მნიშვნელოვანი ეთნიკური აღრევა არ მომხდარა. ოღონდაც კოდორის ხეობაში ადრე მცხოვრებ კოლხურ მოსახლეობას შერევია ჩამოსახლებული სვანები (მისიმიანები)[2]. ამის გამო მხარის სახელი „მისიმიანეთი“ გახდა. მოსახლეობა კი შერეული იყო (სვანურ-კოლხური ანუ სვანურ-მეგრული). მათს სალაპარაკო ენას აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) ცნობით „ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი წარმოადგენდა“ (ინგოროყვა 1954:145).

პ. ინგოროყვას ეს კონცეფცია, ემყარება იმ მისთვის ურყევ ფაქტს, რომ წყაროებში ახ. წ. I—II საუკუნეებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში მოხსენიებული აფშილები და აბაზგები ისეთივე ქართველური მოდგმის ტომები არიან, როგორც ქართები, ლაზები, ჭანები და სვანები.

---

[1] ინგოროყვას მიხედვით იგი უდრის მდ. მზიმთას (ინგოროყვა 1954:125), გ. მელიქიშვილი მას მდ. ფსოუს ძველ სახელად თვლის (სინ 1970:545), შ. ინაძე აიგივებს მდ. ბზიფთან (შ. ინაძე 1992: 49,57).

[2] ესაა ასახული ფავსტოს ბიზანტიელის „ეგერსიანებში“.

ვიდრე აფშილებისა და აბაზგების ეთნიკური კუთვნილების საკითხს შეეხებოდეთ საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ **მისიმიელებზე**. როგორც ვთქვით, ეს ტომი ცხოვრობდა წებელდის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. კოდორის ხეობის მთიანეთში, რომელსაც ახლა დალის (ლათას) ხეობა ჰქვია და ამის მიხედვით იქ მცხოვრებლებს სვანები დალარს (დალელებს) ეძახიან. ზოგიერთი ბიზანტიური წყარო მისიმიელებს ფუსტებად უხმობს (დალ და ფუსტ აქამდე შემორჩენილი ძველი სვანური ღვთაებებია). მათ ეჭირათ ტერიტორია, რომელზედაც „ხვდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში გადამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორიცაა მარუხის, ქლუხორისა და ნახარის გადასასვლელები" (**შუსხელიშვილი 1977:120**). ეს იყო უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო პუნქტები ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთსა და ეგრისში, აქედან კი ზღვით ან ხმელეთით ბიზანტიაში. ამ გზებით ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ ტომთა, მათ შორის ალანთა შემოტევა შავიზღვისპირეთში. ზოგჯერაც ბიზანტიელებს ამ უღელტეხილებით გადმოჰყავდათ ხოლმე დაქირავებული რაზმები.

ასეთ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული მისიმიანთა აჯანყება. 555 წელს ბიზანტიელმა სარდალმა სოტერიქემ დაქირავებული ალანებისათვის განკუთვნილი ფულის მიცემა მისიმიელთა ციხე ბუქლოოსთან მოინდომა. ადგილობრივი მცხოვრებლები დაეჭვდნენ, რომ ბერძენ სტრატეგოსს ამ ციხის მიცემა უნდოდა დაქირავებულთათვის და მას თავისი ორი წარჩინებული მიუგზავნეს პროტესტის გამოსაცხადებლად. სარდალმა მიგზავნილები გააჯოხვინა. მისიმიელები თავს დაესხნენ ბიზანტიელთა ბანაკს და იქიდან ცოცხალი არავინ გაუშვიათ. ბიზანტიელებმა ახალი შეიარაღებული ძალა გამოგზავნეს და თითქმის მთელი ტომი ამოწყვიტეს. რა ბედი ეწია გადარჩენილებს ცნობილი არაა. VIII საუკუნის შემდეგ წყდება მისიმიანთა ხსენება საისტორიო წყაროებში. ვარაუდობენ, რომ ისინი აფხაზებში შეერივნენ და ამ ხალხის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა (**ანჩაბაძე 1976:45**). ან კიდევ აქედან ისინი ყუბანის სათავეებში გადასახლდნენ. ამ რეგიონში ხომ შუა საუკუნეებში სვანთა განსახლება დადგენილ ფაქტად ითვლება (**მიბჩუანი 1989:29**).

მისიმიანთა აჯანყების შესახებ მასალა მხოლოდ აგათია სქოლასტიკოსთან (536—582) გვაქვს დაცული. მისივე გადმოცემით მისიმიანები აფსილთა ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. მათგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ და კოლხთა მეფის ქვეშევრდომები იყვნენ. მათ ბიზანტიელებთან ბრძოლაში 5 ათასი მამაკაცი, ამდენივე ქალი და უფრო მეტი ბავშვი დაკარგეს (**გეორგიკა 1936:86**).

მისიმიანთა ეპიზოდურმა გამოჩენამ დიდ სახელმწიფოთა (ბიზანტია, სპარსეთი) სამხედრო-პოლიტიკური შეჯახების ასპარეზზე, მათი საკითხით მკვლევართა დაინტერესება გამოიწვია. ს. ყაუხჩიშვილი სიტყვა მისიმიანს სვანთა თვითსახელის — მუშვანის სახეცვლილ ფორმად თვლიდა და მათ სვანურ ტომად მიიჩნევდა. ამავე მოტივითა და სვანეთში ძველი ღვთაებების დალისა და ფუსტის გავრცელების გამო, ბევრი სხვა მკვლევარიც იმავე აზრს იზიარებს. თუმცა არიან ისეთნიც, რომლებიც მისიმიანების

შერეულტომიანობას ვარაუდობს როგორც ვთქვით, პ. ინგოროყვა მათს სვანურ-მეგრულ ნარევობას უშერდა მხარს, ხოლო მ. ინაძეს ისინი აფსილთა და სვანთა ეთნიკურ შენაერთად მიაჩნია (**ინაძე 1992: 55**).

დ. მუსხელიშვილი იზიარებს მისიმიელების სვანურენოვნებასა და პოლიტიკური მოტივით ხსნის კლავდიოს პტოლემაიოსის „სუანოკოლხებსა“ და ფავსტოს ბიზანტიელის „ეგერსუანებს“ იგი წერს: „ესენი იყვნენ ეგრისის მიერ დამორჩილებული სვანები იმ სვანებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჯერ არ იყვნენ ეგრისს დაქვემდებარებულნი და რომელთა დამორჩილება მხოლოდ IV ს-ის დასასრულს მოხერხდა“ (**მუსხელიშვილი 1977:132**). მაგრამ მისიმიანეთი, ისევე როგორც აფშილეთი, ვასალური ერთეული კი არ არის, არამედ პირდაპირ ემორჩილება ეგრისის სამეფოს, მისი უშუალო პროვინციაა.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში ეთნიკური სურათის შეცვლა გამოიწვია ადიღეურ-ჩერქეზული ტომების ჩამოწოლამ. თუ ვიანგარიშებთ , რომ წყაროებში მოხსენიებული კერკეტები[1] იგივე ჩერქეზები არიან, მაშინ ამ მოდგმის ხალხის დასახლებულ სექტორში, ცხოვრება უფრო ადრეული ხანიდანაც უნდა ვივარაუდოთ. ყოველ შემთხვევაში დადასტურებულია, რომ „ჯერ კიდევ, ძვ. წ. II—I სს-ში დაწყებულა ჰენიოხების დასავლეთით ჯიქების (ბერძნული წყაროების ძიგების) ჩამოსვლა-დამკვიდრება“ (**ინაძე 1992: 47**).

ჯიქებს (ზიხებს, ძიგებს), ძვ. წ. VI—I საუკუნეების ავტორები საერთოდ არ იცნობენ. პირველი ვინც მათ ახსენებს არის სტრაბონი. მასთან აისახა რეგიონში მომხდარი ეთნიკური ცვლილებები. მაგალითად, თავდაპირვე-

---

[1] ლექსემა „კერკეტის“ ახლებური ახსნა მოგვცა გ. ერაძემ. მის მიხედვით ეს სიტყვა არ არის ადიღელთა თანამედროვე სახელის — „ჩერქეზის“ სინონიმი. „მე ვამტკიცებ, — წერს იგი,— რომ სიტყვა „კერკეტონი“ არ არის ეთნონიმი და არც ადიღეური წარმოშობისა (თანაბრად „პენიოხისა“ „აბასგისა“, „აბაზისა“ „აფსარისა“), იგი ქართველური სამყაროს სასაზღვრო-გასამხედროებული დასახლებების ერთ-ერთი ადრინდელი სახელია, გეოგრაფიულ-სტრატეგიულ დერეფნებში გამოყენებული!“ (**გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, №177**). ამის დასტურად მკვლევარი იმოწმებს სულხან-საბას „სიტყვის კონას“, სადაც „კერკეტნი“ განმარტებულია ღობის დარაჯებად.

გ. ერაძის მტკიცებით, ირანული წარმოშობის ეთნონიმი „ჩერქეზი“, ადიღელთა სახელად მხოლოდ XVI—XVII საუკუნეებში დამკვიდრდა. აქამდე კი ადიღელებს ქართულის მიხედვით გავრცელებული „ჯიქების“ სახელით იცნობდნენ. ამიტომ „არავითარი საერთო ტერმინ „ჩერქეზს“ „კერკეტთან“ არა აქვს არც აზრობრივად და არც ქრონოლოგიურად“

ასევე არ არის ეთნონიმი, იქვე განაგრძობს გ. ერაძე, მეგრულის მიხედვით გაფორმებული ქუთხური გამოთქმა აფსუა და მისი ლიტერატურული შესატყვისი „აფსარი“ „აფსარები“ წარმოადგენდნენ შენაერთებს საზღვრისპირა გასამხედროებული დასახლებებიდან... წარმომავლობით განეკუთვნებოდნენ მთიელ ზანებს და ამდენად იყვნენ სამეგროვანი (მეგრულ-აფსარ-ქართული)“: „აფსუა“ ჩრდილო კავკასიიდან დაბრუნებული ქართული სიტყვაა. „**აბაზგებისა და აფსუების ერთობლივი სახელი არის „აშვა და აშუა, კვლავ მეგრული ფორმებით**“ (იქვე).

გ. ერაძის ეს მოსაზრება მოგვაქვს, როგორც ერთ-ერთი ჰიპოთეზა ქართულ-აფხაზური პარადიგმების სფეროში და ამ დარგში ჩვენი არაკომპეტენტურობის გამო მისი კომენტარისაგან თავს ვიკავებთ.

ლად იგი წერს, რომ არტემიდორეს თანახმად, სანაპიროზე ცხოვრობდნენ კერკეტები (ეკავათ სანაპირო 800 სტადიონის სიგრძისა), აქაელები (500) და ჰენიოხები (1000 სტადიონი). შემდეგ იმოწმებს მითრიდატეს ისტორიკოსებს და ტომებს ჩამოთვლის ასეთი თანმიმდევრობით: აქაიები, ზიგები, ჰენიოხები, კერკეტები, მოსხები, კოლხები **(სტრაბონი 1957: 120)**.

თ. ყაუხჩიშვილი ეყრდნობა რა V ს-ის ანონიმს თვლის, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში" ზღვის პირას გაჩენილი ზიხები (ძიგები) შემდეგ ისე მომძლავრდნენ, რომ მოახდინეს მათი ასიმილაცია" **(ყაუხჩიშვილი 1980 : 38)**.

პლინიუს უფროსთან (24—79) მდ. ასტეფელოსის (მდ. კოდორი) და ხრისორიასის (მდ. კელასური) მიდამოებში ჩნდება აქამდე უცნობი ტომი აფსილები. ფლავიუს არიანეს მონათხრობის მიხედვით, ახ. წ. I ს-ის მიწურულს, მათ უკვე ჰყავთ იმპერატორ ტრაიანესაგან (98—117) დანიშნული „მეფე"—იულიანე. მკვლევართა აზრით, რომის მიერ აფსილების მფარველობა გამოწვეული იყო მათი სისუსტით მეზობელ სანიგებთან და ლაზებთან შედარებით **(სიხ 1970 : 546)**. თანაც, იმპერიას სურდა აფსილები გამოეყენებინა პოლიტიკურად დაწინაურებული და მომძლავრებული მეზობლების წინააღმდეგ, ამით განემტკიცებია თავისი პოზიციები ლაზთა სამეფოს ზურგში და მეთვალყურეობა დაეწესებინა აფსილთა მიწა-წყალზე მდებარე სტრატეგიულ გზებზე **(ინაძე 1992 : 53)**.

აფსილთა სამთავრო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, რომის მხრივ მხარდაჭერისა და მეზობელ ხალხებთან კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტების მეოხებით მნიშვნელოვნად დაწინაურდა. სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროცესმა თავის აღმავლობას ახ. წ. IV საუკუნეში მიაღწია. ამ დროიდან აფშილები უკვე ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში ჭვდებიან და ქრისტიანობას ღებულობენ.

ჩრდილო-დასავლეთით აფშილები ავიწროებენ სანიგებს. ეს პროცესი აისახა ქართულ წყაროებშიაც. თუ არიანესთან სებასტოპოლისი სანიგების ქალაქია, ჯუანშერის მონათხრობით: „შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიასა" **(ქ.ცხ. 1955 : 235)**. ე. ი. მურვან ყრუს ლაშქრობის დროს (VIII-ს ს-ის 30-იანი წლების მიწურულს) ცხუმი (ძველად—დიოსკურია-სებასტიპოლისი) უკვე აფშილთა ქალაქი იყო. ჩანს ისინი ამ ქალაქს უფრო ადრე, VI—VII სს-ში დაეუფლნენ **(ინაძე 1922 : 57)**.

არიანე აფსილებისა და სანიგების მეზობლად კიდევ ერთ ახალ ეთნიკურ ერთეულს-აბასგებს აბასკოის ფორმით იხსენიებს. იგი ზუსტად არ მიუთითებს მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას, მაგრამ ნახსენები აქვს მდ. აბასკოსი[1] რაც უნდა ნიშნავდეს, რომ იგი შეიძლება იყო საზღვარი სანიგებსა და აბაგებს შორის. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ რადგან წიფელდა აფსილთა ცრხე-ქალაქი იყო, აბსილები უფრო მთიან ადგილებში ცხოვ-

[1] მისი ლოკალიზაციის შესახებ იხ. ზევით.

რობდნენ. მათ აღმოსავლეთით ემეზობლებოდა სვანეთი და სკვიმნია (**ჯავახიშვილი 1951 137**).

პ. ინგოროყვა აბსილებსა და აფშილებს ერთმანეთთან აიგივებს, იმოწმებს არიანესთან შედარებით მოგვიანო ხანის ავტორთა ცნობებს და აფსილეთის საზღვრებს ასე აზუსტებს:

აღმოსავლეთით — წიბელი (წებელდა) და ფუსტა (მდებარეობდა მისიმიანეთის საზღვრის ზონაში); დასავლეთით — გუმისთის ხეობა, გარდა ქვემო სექტორისა; ჩრდილოეთით — კავკასიონის მთავარი ქედი დარიალის (დალის. — გ. მ.) გზით მარუხის უღელტეხილის სექტორში; სამხრეთით აბსილეთი კლასურის კედლის ხაზით შიდა ეგრისს ესაზღვრებოდა (**ინგოროყვა 1954 : 126**).

არიანე რომის იმპერატორ ადრიანეს (117—138) ატყობინებს აბასგთა მეფე რესმაგას ტახტი შენგან აქვს მიღებულიო. აბასგები ამაზე ადრე, რომ არ იხსენიებიან შავიზღვისპირეთში უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი აქამდე რომელიღაც დიდ ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ და უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ აქაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. რომმა აფშილების მსგავსად (ჩანს მათზე უფრო გვიან) ისინი გამოიყენა რეგიონში თავისი გავლენის გასაძლიერებლად. ამას უნდა ნიშნავდეს რესმაგას მიერ მეფობის მიღება და არა იმას, რომ იგი აბასგთა ქვეყანას იმპერატორის მიერ „მიღებული ძალაუფლების“ შედეგად მართავდა (**სინ 1970 : 548**).

ახ. წ. V—VI საუკუნეებში აბასგები პოლიტიკურად მოძლიერებულნი ჩანან. V ს-ის ანონიმი ავტორის მონათხრობის მიხედვით მათ სანიგებს წაართვეს მდ. აბასკოსიდან ანაკოფიამდე (ახალი ათონი) მდებარე ტერიტორია. პროკოფი კესარიელის (507 – 562) ცნობით კი მათ მდ. აბასკოსიდან მდ. აქეუნტამდე (შახემდე) სანიგების კუთვნილებაში დარჩენილი მიწა-წყალიც ხელთ იგდეს. ბიზანტიელი ავტორი აბასგების დასავლეთით ასახელებს ზიქებს (ჯიქებს, რომლებიც რომს აღარ ემორჩილებიან) და არა ადრე აქ მცხოვრებ სანიგებს (**გეორგიკა 1965 : 135**).

„ამრიგად,—ასკვნის მ. ინაძე,—ახ. წ. VI ს-ისათვის დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე იქმნება, ერთი მხრივ, სამეურნეო და კულტურის განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი აფსილთა, ეთნოპოლიტიკური ერთეული, ხოლო მეორე მხრივ, დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე აბაზგთა გაერთიანება“ (**ინაძე 1992 : 59**).

ახ. წ. VI ს-ში ბიზანტია-აბაზგეთის ურთიერთობაში მეორდება ის პროცესები, რასაც რომისა-აფსილეთის ურთიერთობაში ჰქონდა ადგილი IV ს-ში. ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე ავტოკრატორი (527—565), ლაზიკის მეფის საპირისპიროდ, დახმარებია აბაზგებს და მათი თავის მხარეზე უფრო მტკიცედ გადმობირების მიზნით ქრისტიანებად მიუქცევია ისინი (**გეორგიკა 1965 : 134**). თუმცა ამის შემდეგაც მათში წარმართობა არ მოშლილა. „სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონითაც აბასგები მეზობელ ლაზთა სამეფოსა და აფსილთა სამთავროს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ“ (**ინაძე 1992 : 58**).

VI ს-ის დასასრულს, ლაზიკის სამეფოს დასუსტების შემდეგ, აბაზგებმა ისარგებლეს ბიზანტიის დახმარებით და თავიანთი სამთავროს საზღვრებში მოაქციეს აბშილებიცა და სანიგებიც. აბაზგების სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის (VII—VIII სს.) ისინი აღარ ჯერდებიან „ძველთაგანვე" აგებულ ტრაქეის (ანაკოფიის) ციხე-სიმაგრეს, ბიჭვინთასა და სებასტოპოლისსაც ეპატრონებიან. ამ უკანასკნელში სამთავარეპისკოპოსო კათედრა არსდება (**ინგოროყვა 1954 235,238**). ადმინისტრაციულ ცენტრად კი ანაკოფია რჩება (**ლორთქიფანიძე 1990 : 16**).

ზევით, როცა ჩვენ თხრობა დავიწყეთ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მომხდარი ეთნიკურ-პოლიტიკური ცვლილებების შესახებ მივუთითეთ ადიღეურ-ჩერქეზული ტომების—ჯიქების ჩამოსახლება-დამკვიდრების თაობაზე და შეგნებულად არ ვიხმარეთ ენათმეცნიერული კლასიფიკაციით დამკვიდრებული ტერმინი „აფხაზურ-ადიღეური", რომელსაც იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახიდან ცალკე ჯგუფად გამოყოფენ, ადიღეურ-ჩერქეზული კი მისი ქვეჯგუფია (**ქსე, ტ. 5 69**). საქმე იმაშია რომ სამივე დასახელებული ეთნიკური ერთეულის (ჯიქების, აფსილების და აბაზგების) მიკუთვნება აფხაზურ-ადიღეური ეთნოსისადმი თანამედროვე მეცნიერებაში საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ჯიქების საკითხი უფრო გარკვეულია. დიდად არ დავობენ, რომ ისინი აფხაზურ-ადიღეური მოდგმის, ადიღეურ-ჩერქეზული ქვეჯგუფში შემავალ ტომს წარმოადგენდა[1] (**ქსე, ტ. 11 : 567**). რაც შეეხება აფსილებსა და აბაზგებს მათი ეთნიკური წარმომავლობის პრობლემა გასცდა მეცნიერების სფეროს და პოლიტიკური შეხლა-შემოხლის საგნად იქცა.

სათანადო მასალის უქონლობის გამო ამ საკითხზე კატეგორიული მსჯელობა შეუძლებელია. აფხაზ მეცნიერებსა და პოლიტიკანებს კი ჰგონიათ და სურთ ეს წმინდა მეცნიერული პრობლემა იარაღის საშუალებით გადაწყვიტონ.

მეცნიერული თვალსაზრისით, როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს, საკითხი ასე დგას: „მკვლევართა ნაწილი მათ ქართველურ ტომებად ხოლო ნაწილი ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ადიღურ ტომებად მიიჩნევს. ამასთანავე, გამოთქმულია ვარაუდი, რომ აფხაზ-აფშილები, ისეთივე ქართველური მოდგმის ტომები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახლე ეგრები (ლაზები), სვანები და სხვანი, ხოლო თანამედროვე აფხაზები XVII საუკუნიდან ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან" (**ლორთქიფანიძე 1990 : 7**).

ორივე ამ მოსაზრების მომხრეები საკითხზე მსჯელობის დროს ძირითადად აბაზგ-აბასხ-აფხაზ-აფსუა სიტყვების ლინგვისტურ-ფონეტიკურ ანა-

---

[1] ლ. ელნიცკის მიხედვით ზიხები წარმოშობით კავშირში არიან სავრომატულ ტომთან იაზიგებთან, რომლებიც აზოვის ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ე. ი. ისინიც სარმატები არიან (**ВДИ, 1947, №4, გვ. 209—210; შდრ ყაუხჩიშვილი 1957 : 253**).

ლიზს ეყრდნობიან. ვინც აღიარებს, რომ ფს ელემენტი უცხოა ქართულისათვის და ჩერქეზული წარმოშობისაა, იგი აბაზგ-აფხაზებს ადიღეური წარმოშობისად მიიჩნევს. ხოლო ვისი აზრითაც დასახელებულ სიტყვებში **სხ-ზხ** ძირებია მაწარმოებელი, მისთვის ამ ტომების ქართველურობა საეჭვო არ არის.

ლინგვისტური ანალიზის ისეთი ვირტუოზი, როგორიც ნიკო მარი იყო ენათმეცნიერების ისტორიამ იშვიათად თუ იცის, მან აბაზხ-აბასხ-ი მოსხსმესხს დაუკავშირა და აფხაზები ქართველურ კერძოდ, მესხური წარმომავლობის ტომად აღიარა.

ამ დებულების ყველაზე თავგამოდებული დამცველი იყო პ.ინგოროყვა, რისთვისაც მის დიდებულ წიგნს „გიორგი მერჩულეს" აფხაზებმა, 1957 წელს, აუტოდაფე მოუწყვეს. მან ლინგვისტური ანალიზისა და აუარებელი ანალოგიების მოყვანის გზით დაამტკიცა სიტყვა „აბასხის" მოსხისაგან წარმომავლობა, გააკეთა დიდძალი ტოპონიმიკური მასალის ანალიზი, რაც აჩვენებს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილთა ნომენკლატურა ქართველურია, დაიმოწმა ძვ. ბერძნული წყაროები და დაასკვნა: „ანტიკური ხანის ყველა ძველ წყაროში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე 1-ლ საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა აფხაზებს ეწოდება მხოლოდ სახელი მოსხი. (რაც შეეხება ტერმინებს აბასხი, აფხაზი, რაც დიალექტური სახესხვაობაა იმავე ძველი სატომო სახელწოდებისა „მოსხი",—ესენი ბევრად უფრო გვიან შემოდის ხმარებაში...)" (**ინგოროყვა 1954 : 137**).

უკანასკნელ ხანებში „აფხაზ-აბაზგ" და „აბაზა-აფსუა" ეთნონიმების წარმომავლობა და ეტიმოლოგიური კავშირი ლინგვისტური გზით ახსნა თ. გამყრელიძემ.

პირველი, რაც მან შენიშნა არის ის, რომ ანტიკური წყაროები „აფსილებსა" და „აბაზგებს" ცალ-ცალკე იხსენიებენ, ამიტომ ისინი „განსხვავებულ ეთნო-ენობრივ ერთეულებს უნდა წარმოადგენდნენ" (**გამყრელიძე 1991 : 7**). ამათგან „აფსილები" და „აფსილია" თანამედროვე აფხაზთა თვითსახელ „აფსუასთან" შეიძლება გავაიგივოთ. ხოლო „თუ ჩვენ ეთნონიმ **„აფსილ" —აფშილებში"** თანამედროვე **„აფსუა-აფხაზთა"** წინაპრებს... ვიგულისხმებთ, ამასვე ვერ ვიტყვით ბერძნულ-ქართულ წყაროების **„აბაზგ-აფხაზებზე"**, რომლებიც, ამდენად, **„აფსუა-აფშილებისაგან"** განსხვავებულ ეთნო-ენობრივ ოდენობას უნდა წარმოადგენდნენ" (**იქვე : 8**).

ლინგვისტურ ძიებას მკვლევარი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ქართულ და აღმოსავლურ წყაროებში დადასტურებული „აფხაზ-აბხაზ" ფორმა პირველადია და ბერძნული „აბასგ-აბაზგ" მისგანაა წარმოებული. ბერძნისათვის უცხოა **-ფხ—ბხ-** თანხმოვანთკომპლექსი და იგი შეიცვალა **-ზგ—ზღ-** ელემენტით.

რაც შეეხება აფხაზ-აბაზგების კრებსით სახელად ქცეულ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომთა სახელს „აბაზას" და ბერძნულ „აბაზგს" მათ შორის მიუხედავად ფონეტიკური მსგავსებისა, ეტიმოლოგიური კავშირი არ არსებობს (**იქვე : 9**).

„აბაზა“ სახელის ინტენსიურ-მახვილიან **აბაზა** ფორმას უნდა მოეცა ხმოვანრედუცირებული **აბზა** ვარიანტი, რომელმაც -„**ბზ**“- თანხმოვანთკომპლექსის -„ფს“- კომპლექსად დაყრუების შედეგად ისტორიულად დადასტურებული „**აფსა**“— ფუძე მოგვცა: **აფსა-უა—აფსუა**“ **(იქვე: 10—11)**.

ამ ეთნონიმით, რომელიც ადრიდანვე იჩენს, თავს „აფსილ-აფშილის“ ფორმით, აღინიშნებოდა აფხაზურ-ადიღური ტომი.

ხოლო „აფხაზ-აბხაზ“ ეთნონიმი პირველადი ფორმაა და თავდაპირველად დასავლურ-ქართველური წარმომავლობის სატომო სახელწოდება უნდა ყოფილიყო „ლაზ“-, „სან“-, „სანიგ“-, „მაკრონ“-, „ჰენიოხ“ და მისთანა ეთნონიმთა მსგავსად **“(იქვე: 13)**.

აფსუა—აფხაზები, რომ ამიერკავკასიის, აბორიგენები არ არიან ამას გარკვევით ადასტურებს რომაელი სწავლული და დიდმოხელე პლინიუს უფროსი (23/24—79). „ბუნების ისტორიის“ მეორე ტომში (გვ. 364) იგი წერს მრავალრიცხოვანი სკვითური ტომის „აბსოას“ შესახებ. ეს ცნობა სხვადასხვაგვარად იყო ინტერპრეტირებული. რუსულ ენაზე მისი გამომცემელი და კომენტატორი ლ. ელნიცკი ამ ტომების ადგილ-სამყოფლად აზოვის ზღვის მიდამოებს აჩვენებდა. ხოლო სახელი „აბსოი“ ჰომეროსთან დასახელებული „აბიების“, პტოლემაიოსის მიერ მოხსენიებული „აკიბას“ დამახინჯებულ ფორმად სურდა გაეხადებინა. იგი აქვე მიუთითებდა პლინიუსის ლონდონურ გამოცემას და აჩვენებდა, რომ იქ „აბსოას“ ნაცვლად თითქოს „ანთი“ წერია.

ასეთი „კომენტირების“ გამო მ. ინაძე 1960 წელს, ვარაუდობდა და იგივე გაიმეორა 1990 წელსაც, რომ პლინიუსს აბზოე ტომების საცხოვრისის განსაზღვრისას ხელთ არ ჰქონდა ზუსტი ორიენტირები და სწორია ლ. ელნიცკი, როცა მათი ლოკალიზაციის ადგილად უფრო დასავლეთით მდებარე აზოვის ზღვის სანაპიროს აჩვენებს **(ინაძე 1992 : 58)**.

აღმოჩნდა, რომ მ. ინაძე არც თუ სწორად ენდობოდა კომენტატორს, რომელიც წინასწარგანზრახულად ცრუობდა და პლინიუსის ამ ცნობას შეგნებულად მიიჩნევდა დამახინჯებულად. ჰეშმარიტება დადგენილია 1994 წლის 4 აპრილს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, გამოქვეყნებულ ნათელა ფოფხაძის წერილში — „სინამდვილე კი ასეთია“ ავტორმა პლინიუსის ნაშრომის ეს ადგილი სწორედ პროფ. რექემის ლონდონურ გამოცემაში შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ იქ და ყველა სხვა თარგმანში „აბსოი“ წერია და „ანთი“ არსად არ არის. ლ. ელნიცკის ლონდონის გამოცემის გვერდი 362 ნაცვლად 364-ისა განგებ, მკითხველის დასაბნევად აქვს მითითებული. და, რაც მთავარია, ნ. ფოფხაძემ ტექსტის ლათინური, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული გამოცემების ზუსტი თარგმანის გზით დაადგინა: „პლინიუსმა აბსოა ხალხი **კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირთან** (ხაზი ჩემია.—გ. მ) ახსენა და არა მის აღმოსავლეთ ნაპირებთან, როგორც ლ. ელნიცკიმ დაბეჭდა“ **(დასახ. წერილი)**.

ამ ჰეშმარიტების აღდგენის შემდეგ მეტ ფასს იძენს იმავე ტექსტში პლინიუსის მითითება აბსოების სკვითური ეთნოსისადმი მიკუთვნების შე-

სახებ. იგი წერს: კასპიის ზღვის შენაკადი მდინარის „ორივე მხარეს სკვითები ცხოვრობენ, რომლებიც ერთმანეთს ვიწრო კალაპოტით გადასასვლელით უკავშირდებიან: ერთ მხარეს ცხოვრობენ ნომადები და საერომატები სხვადასხვა სახელით, მეორე მხარეს—აბსოა ხალხი" (**ციტ. ნ. ფოფხაძის დასახ. წერილის მიხედვით**).

თუ მთელს ზემონათქვამს შევჯამებთ უნდა დავასკვნათ: ახლა აფხაზებად წოდებული ხალხი ამიერკავკასიის აბორიგენი არ არის. ისინი აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან მოსულნი.

ძნელი გადასაწყვეტია ამ მოსვლის თარიღი. უფრო სწორი იქნება თუ მათ ორჯერ მოსულად ჩავთვლით (**ლორთქიფანიძე 1990 : 36**). პირველად ეს მოხდა იმ დროს, როცა საერთოდ ივარაუდება ჩრდილო კავკასიიდან ადიღური ტომების ჩამოსახლება (**იქვე : 7**). ე. ი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. მაშინ, წერს მ. ინაძე, „წყაროების მიხედვით დღ. აფხაზეთის მთიანი ზონა ძირითადად სარმატული ტომებით დასახლებული მოჩანს, სარმატებში კი, როგორც ცნობილია, სხვა ჩრდილო კავკასიურ მთის ტომებთან ერთად იგულისხმებიან ჩერქეზულ-ადიღეური ტომებიც" (**ინაძე 1992 : 47**). ამ ციტატის ავტორი იქეთკენ იხრება, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით, ახ. წ. I—II სს-ში ჩრდილოეთ კოლხეთში გამოჩენილი სამივე ტომი (ჯიქები, აფსილები და აბაზგები) აფხაზურ-ადიღეურ ეთნოსს მიეკუთვნებოდა. რაც, როგორც ვნახეთ, ზევით ჩვენს მიერ დამოწმებული მკვლევარების დასკვნებით, აბაზგთა მიმართ არ მართლდება.

თვით მ. ინაძეც ვერ უარყოფს, რომ „აფხაზეთის შიდა რეგიონებში ძვ. წ. VI—II სს-ში ძლიერია კოლხური ელემენტი, ამასთან, აქვე სავარაუდოა მოსხური ეთნიკური ჯგუფების ბინადრობაც" (**იქვე: 64**). მოსხები აქ მოხვედრილან მიგრაციის გზით, ძვ. წ. VII ს-ში. „მომდევნო პერიოდშიც (ახ. წ. VI ს.) ჩრდილოეთ კოლხეთის მთიან რეგიონებში შეიძლება ვივარაუდოთ მესხური ტომების ბინადრობა, როგორც ზემოთ გაირკვა, მოსხებად წოდებული ერთ-ერთი ტომთაგანის განსახლება სავარაუდოა აფხაზეთის ტერიტორიაზე, დასავლურ-ქართული (ჭანურ-ზანური) და სვანური მოსახლეობის გვერდით" (**იქვე: 16**).

ის, რაც მ. ინაძისათვის სავარაუდოა სხვა მკვლევარებს არსებულ ფაქტად მიაჩნიათ. მაგ., თ. მიქელაძე მიუთითებს; „ის წყაროები რომელთაც მოსხები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ეგულებათ ამ მხრივ სრულ ნდობას იმსახურებენ". მისი აზრით მესხების ამ მხარეებში უეჭველი ბინადრობის დამადასტურებელია სვანეთში დამოწმებული ტოპონიმი მცხეთაშ (**მიქელაძე 1974 12**). ამასვე ასაბუთებს რიონის ზემოწელზე კოლხური კერამიკის გავრცელება, „ძვ. წ. VI ს-ის შუახანებიდან. ეს ის დროა, —წერს იგი,—როცა წერილობითი წყაროები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მოსხებს ასახელებენ" (**იქვე: 75**).

მართლაც, ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V ს.) და სტრაბონი (ძვ. წ. 64 — ახ. წ. 24) მოსხებს კერკეტების, ჰენიოხების და კოლხების მეზობლობაში

ასახელებენ[1] (**სტრაბონი 1957 : 120**). სტრაბონი იმასაც კი აზუსტებს, რომ სვანები მოსხებისაგან დასავლეთით ცხოვრობენ.

ახ. წ. VI ს-ის ბიზანტიელი ავტორი პროკოპი კესარიელი დეტალურად აღწერს „იბერიის ქვეშევრდომი მესხების" მოსაქმეობას და მიუთითებს რომ მათი საცხოვრისი „გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე", საიდანაც ჩამოდის მდინარე ფაზისი" (**გეორგიკა 1965 : 127**).

თ. გამყრელიძის მიერ შემჩნეული აფსილებისა და აბაზგების ეთნიკური განსხვავებულობის და ამ უკანასკნელთა ქართული სამყაროსადმი კუთვნილების, ნ. მარისა და პ. ინგოროყვას მიერ დამტკიცებული მოსხებისა და აბასხების იგივეობის მიხედვით, ანტიკური და ბიზანტიელი ავტორების ცნობების თანახმად, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, მესხების ჩრდილოეთ კოლხეთში განუწყვეტელი ცხოვრების გათვალისწინებით, დასაშვებად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ აბაზგები ქართველური მოდგმის ტომი, შესაძლოა, მესხები იყვნენ.

ასეთი დაშვების მოწინააღმდეგენი აყენებენ კონტრარგუმენტს: „თუ აბაზგ-აფხაზები წარმომავლობით ქართველები იყვნენ და აფსილების ეთნო-პოლიტიკური შერწყმა მათთან აფხაზთა ძლიერების ხანიდან უნდა ვიგულისხმოთ, მაშინ შერწყმა-შეერთებას საბოლოოდ უნდა მოჰყოლოდა აფსილთა ქართველ აფხაზებად გადაქცევა და არა პირუკუ, ამ პოლიტიკურად ძლიერ ქართველ აფხაზთა აფსუებად ქცევა" (**ინაძე 1992 : 63—64**).

ასეთი არგუმენტის გამო უნდა ითქვას შემდეგი: ჯერ ერთი, დასამტკიცებელია აბხაზთა ძლიერების ხანაში გადაიქცნენ თუ არა ქართველი აფხაზები აფსუებად. თუ, მაროლაც, პირუკუ მოხდა ეს.. ხომ თვით მ. ინაძე აფიქსირებს „VIII ს-იდან პოლიტიკურად ძლიერი აბაზგები თავის სამთავროს ფარგლებში აქცევენ აფსილებსაც, ჩაჩის ტომს გარდა, რომელიც ლაზებს შეერწყაო" (**იქვე: 60**). მეორე, ისიც ხომ უდავოა, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული დღ. აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველური იყო, მაშ საიდან ჩანს, რომ ქართველი-აბაზგები აფსუებად გადაიქცნენ? უფრო ლოგიკური არ იქნება თუ ვივივარაუდებთ, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, აფსილების შთამომავალთა მცირე ნაწილი კვლავ განაგრძობდა ცხოვრებას აბაზგების გამო აფხაზეთად წოდებულ ტერიტორიაზე და მათი მომძლავრება მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც „აფ-

---

[1] თ. ყაუხჩიშვილმა „სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ აუხსნელად" ჩათვალა ის ფაქტი რომ მოსხებს, რომლებიც ჰყოლოტეს მიხედვით, დარიოსის სატრაპიებში ტიბარენებთან, მაკრონებთან და მოსინიკებთან ერთად არიან ჩამოთვლილნი, ჰელანიკე მიტილენელი და სტრაბონი შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰენიოხების, კერკეტების და კოლხებს შორის მცხოვრებლებად ასახელებენ (**ყაუხჩიშვილი 1980 : 65**). ჩვენი აზრით კი ეს შოკლენა ტოპონიმიკური მასალის დამოწმებით, ჯერ კიდევ 1949 წელს ახსნა პ. ინგოროყვამ (**ინგოროყვა 1954 : 137 --142**), ხოლო თ. მიქელაძემ იგი მიიჩნია „კოლხეთის მთელი ადრეული ისტორიის მანძილზე" დიდი და მცირე ეთნოსების გადაადგილების შედეგად. „ამით უნდა აიხსნას, — მიუთითებს იგი, — სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული ეთნონიმიის თითქმის სრული განმეორების ცნობილი ფაქტი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში" (**მიქელაძე 1974 : 23 — 24**).

სართა ენაზე მოლაპარაკე ხალხი გვიან (XVII საუკუნიდან. — გ. მ.). ჩამოვიდა და დასახლდა საქართველოში" (**ლორთქიფანიძე 1990 : 30**). ჯერჯერობით ხომ ისტორიული დოკუმენტაციით ვერავინ შეძლო უარეყო ნ. ბერძენიშვილის მტკიცება, რომ გვიან შუა საუკუნეებში მთიელი აფხაზების შავიზღვისპირეთში რამდენიმე ნაკადად ჩამოსვლას, XVII საუკუნისათვის, შედეგად მოჰყვა ისეთი ცვლილებანი აფხაზეთის მოსახლეობაში, რის გამოც— „ამ ყოვლად უხვსა და ნოყიერ ქვეყანაში... აფხაზები უმთავრესად მეჯოგეობას მისდევდნენ და არა მიწათმოქმედებას" (**ბერძენიშვილი 1990 : 614**), „ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო", ოდითგანვე ქრისტიანული ქვეყანა გვაროვნული წყობილების სარწმუნოების — წარმართობის ამღიარებელი გამხდარიყო (**იქვე: 615**).

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: XVII საუკუნემდე, ვიდრე აქ მთიელები არ ჩამოსახლდნენ აფხაზეთს არავინ ასხვავებდა საერთოდ საქართველოს და საკუთრივ დასავლეთ საქართველოს დანარჩენი კუთხეებისაგან. „აღსანიშნავია ის გარემოება, — შენიშნავს მ. ლორთქიფანიძე, — რომ აფხაზს შუა საუკუნოვან საქართველოში არაქართველად არ თვლიდნენ"[1] (**ლორთქიფანიძე 1990 : 27**).

უცხოური მასალებით კი დასტურდება, რომ XVI ს-ში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს სამეგრელო ეწოდებოდა. კერძოდ, ასეა დატანილი ეს მხარე პორტუგალიის სამეფო კარის კარტოგრაფის დიეგო ჰომემის მიერ 1559 წელს, შედგენილ შავი ზღვის რუკაზე, რომელიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. მასზე „ტერიტორიას ნოვოროსიისკიდან დღევანდელ სამეგრელოს ჩათვლით დიდი ასოებით აწერია: „მინგრელია". ტერმინი „აფხაზეთი" ამ რუკაზე არ ფიგურირებს", წერს თ. მიბჩუანი 1994 წლის 3 მარტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ სტატიაში. აქვეა დაფიქსირებული ერთი გვიანდელი ასეთი ცნობა: „1907 წელს პეტერბურგში გამოცემულ ერთ-ერთ ენციკლოპედიაში სოჭა სამეგრელოდ იწოდება, რადგან იმ დროს იქ მოსახლე 35,5 ათასიდან უმრავლესობა იყვნენ მეგრელები".

თ. გამყრელიძემ ზევით ჩვენს მიერ დამოწმებულ გამოკვლევაში დაამტკიცა, რომ თანამედროვე აფხაზთა სახელს აფსაუა-აფსუას საფუძვლად უდევს სატომო სახელ „აბაზგიდან" ბერძნული ფონეტიკური ნორმების შესაბამისად წარმოშობილი — „აბაზა" და უდავოდ მიიჩნია „რომ აფსუა-აფხაზთა „აფხაზებად" სახელდება საკუთრივ ქართულენოვან სამყაროში მოხდა და აქედან გავრცელდა იგი სხვა თანამედროვე ენებში" (**გამყრელიძე 1991 : 14**). ამის შემდეგ მისთვის „გასარკვევია ოღონდ, თუ როდის დაუკავშირდა საქართველოში მკვიდრ „**აფსუებს**" ეს „**აფხაზი**" ეთნონიმი" (**იქვე**).

ჩვენ თავს ვერ ვიდებთ ამ საკმაოდ რთული საკითხის საბოლოოდ გარ-

---

[1] ასევე უოფილა საქართველოს გარეთაც. მაგ., ბიზანტიელი ფილოსოფოსი იოანე ცეცე (XII ს.) წერდა — „იბერები და აფხაზები ერთი ტომისანი არიან-ო."

კვევას, მაგრამ თუ XVII საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ შეცვლას გავითვალისწინებთ, მიგვაჩნია, რომ „აფსუებზე", „აფხაზ" ეთნონიმის დამკვიდრება ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მანამდე კი მათ აფსარები ერქვათ.

თითქოს ამას უნდა ადასტურებდეს დიდი თამარის ბიოგრაფიის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის განმარტება—უფლისწულ გიორგის მეტსახელი ლაშა „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა (აფსართა ენითა)-ო" (ქ. ცხ. 1959:58). მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ფრჩხილებში ჩასმული „აფსართა ენითა" XII ს-ის ქართველ ისტორიკოსს ეკუთვნის, რაც XVIII საუკუნემდელი ხელნაწერებით არ დასტურდება. ქართულ წერილობით ძეგლებში იქაურ მოსახლეობას, როგორც წესი აფხაზები ჰქვია, იშვიათი გამონაკლისით კი — „აფშილები" რას უწოდებდნენ ისინი მაშინ თავის თავს ჩვენ არ ვიცით. ხოლო, რადგან XVIII ს-ის რედაქტორმა განმარტა, რომ ლაშა აფსართა ენაზე განმანათლებელს ნიშნავს და ეს სიტყვა ახლანდელ აფხაზურშიც „ალაშა"—„ალაშარას" ფორმით სინათლის აღმნიშვნელია, უნდა ვიფიქროთ, რომ თამარ მეფის პირმშოს, გიორგის ზედსახელი სწორედ ამ ხალხის ენიდან მოდის. თანაც, რადგან XVIII ს-ის, რედაქტორი პირდაპირ ხმარობს „აფსართა ენითა" და არ განმარტავს, რომ ამ ხალხს ადრე სხვა სახელი ერქვა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი თანამედროვე აფსარები XIII საუკუნეშიაც ამავე სახელით იწოდებოდნენ.

სიტყვა ლაშას თანამედროვე აფხაზურში იმავე მნიშვნელობით შემონახვა, რაც მას გიორგი IV-ის დაბადების დროს ჰქონია არ ნიშნავს, რომ თამარმა იგი თავისი შვილისათვის მაინცდამაინც ამიერკავკასიაში მცხოვრები ხალხის ენისაგან აიღო. იმდროინდელ საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან არ გამორიცხავს შესაძლებლობას ქართველ მეფეს თავისი შვილისათვის იქაური სახელი შეერჩია[1]. განა ცოტაა მაგალითი, როცა პირწმინდა ქართველებს ბერძნული, სპარსული, არაბული, ებრაული, ჩერქეზული და სხვა სახელები ჰქვიათ?

აფსუა ერის შესახებ ჩვენეული ზეკითმოტანილი მსჯელობისაგან განსხვავებით, მ. ლორთქიფანიძე თავს იკავებს ამ საკითხის ცალსახა გადაწყვეტისაგან. ასევე იგი ეთნიკურად არ თიშავს ერთმანეთისაგან აფშილებს და აბაზგებს. მაგრამ მისი მსჯელობისაგან გამომდინარე საერთო დასკვნა ამ საკითხზე ჩვენს მსჯელობას იმდენად უახლოვდება, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მასზე მკითხველს ყურადღების შეჩერება. იგი წერს: „ისტორიულ-კულტურულად აბხაზები რომ ქართველები იყვნენ, ეს არ შეიძლება დავას იწვევდეს, ხოლო რაც შეეხება იმათ ვინც თავის თავს აფსუას უწოდებენ აქ ორი მოდელი შეიძლება არსებობდეს, თუ აბაზგ-აფსილები ქართველური მოდგმისანი იყვნენ,შემდეგ, როდესაც მოსულმა აფსუებმა დაიკავეს მათი საცხოვრებელი ადგილები (მათთან ერთად დასახლდნენ) ქართველები მო-

[1] ასეთივე დაკვირვება, მაგრამ ნაწილობრივ განსხვავებული ინტერპრეტაცია იხ. მ. ლორთქიფანიძესთან (1990 : 29).

სულებსაც „აფხაზებს" უწოდებდნენ. მაგრამ თუ აბაზგ-აფსილები წარმოშობით არ იყვნენ ქართველები და ეს ეთნიკური თვითშეგნება მათ შენარჩუნებული ჰქონდათ, მოსულმა მონათესავე აფსუებმა, გააძლიერეს საკუთრივ აფხაზური (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) ელემენტი, მოიტანეს საკუთარი ენა და ჩვეულები და მას შემდეგ, რაც შექმნილ ისტორიულ ვითარებაში გაიმარჯვა დეცენტრალისტურმა ტენდენციებმა თანდათან გაძლიერდა აფსუური თვითშეგნება და ჩამოყალიბდა აფსუათა ერი, რომელსაც ჩვენ აფხაზებს ვუწოდებთ" (**ლორთქიფანიძე 1990 : 35**).

ამით ჩვენ ვამთავრებთ თხრობას დღევარდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ეთნიკური კუთვნილების შესახებ. რაც შეეხება აბაზგ-აფხაზების მაშინდელ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას. იგი ამ მონოგრაფიის III--IV თავებში შეუძლია იხილოს მკითხველმა.

იმდროინდელ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე, გარდა დახასიათებულისა სხვა ტომებიც ცხოვრობდნენ. კერძოდ, ეგერლაზები, რომელთაც ძველი ავტორები საყოველთაოდ ცნობილი კოლხების უშუალო მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. მათ შესახებ ჩვენ მომდევნო პარაგრაფებში გვექნება საუბარი.

II. ეგრისი

ტერმინი ეგრისი იგივეა, რაც საეგრო, ე. ი. ეგრების ქვეყანა. ეგრი თავდაპირველად ტომის სახელი იყო. შემდეგ იგი ერქვა მიწა-წყალსაც, რომელიც ამ ტომს ჰქონდა ათვისებული. ტომის წევრსაც ეგრი ერქვა. აქედან მეორადი წარმოებაა მ-ეგრელი, ქვეყნისა — კ.ჯერ ეგრისი, შემდეგ სამეგრელო (**ბერძენიშვილი 1975 : 561**).

ქვეყნის სახელწოდება ეგრიდან ლეონტი მროველმა დაამკვიდრა ეთნარქის სახელი—„ეგროსი" (ისევე, როგორც ქართიდან—„ქართლოსი", კახეთიდან—„კახოსი", ჰერიდან—„ჰეროსი", ლეკიდან—„ლეკოსი" და მისთ.). თავად „ეგრი" როგორი წარმოშობისაა დაუდგენელია. ნ. ბერძენიშვილი ეჭვობდა ხომ არ იყოო ამ ტომის ტოტები — **გრ** (**იქვე**), მაგრამ ამ ორი თანხმოვნის კომპლექსში რა იგულისხმება არც მას განუმარტავს და არც სხვას.

ეგრისს ბერძნულ წყაროებში ლაზიკა ჰქვია. ძველი ქართველი ავტორები ამ სიტყვას არ იცნობენ. მხოლოდ თამარის ისტორიკოსი უწოდებს ჭანეთს ლაზიკას. ლაზიკა ლაზანიკას შეკვეცილი ფორმაა და სვანურად საზანოს ნიშნავს. იგი ქართული სა-ს ბადალი სვანური ლა-პრეფიქსით და ნათესაობის მაჩვენებელი კა-კე სუფიქსითაა ნაწარმოები. ნ. მარს მიაჩნდა, რომ ლაზი ზანების სვანური სახელ „ლა-ზან"-ისაგან („ზანთა ქვეყნიდან") არის წარმომდგარი.

უცხოურ წყაროებში ტერმინი „ეგრისი" არ ჩანს. ვარაუდობენ (თ. ბერაძე, ნ. ბერძენიშვილი), რომ სომხურში ქართულის გავლენით გადასულია შეუ-

კუმშველი ფუძითა და ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის გარეშე — ეგერ. მაგ.; მოვსეს ხორენაცთან გვაქვს — „ეგერელთა ქვეყანა" სომხური გეოგრაფიის" მოკლე რედაქცია „ეგერს" ხმაროპს კოლხეთის სინონიმად. ფავსტოს ბუზანდს მოხსენებული ჰყავს „ეგერსვანები"

ბერძენ მწერლებთან „ეგრისი" არ გვხვდება. „დამაფიქრებელია, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — რომ ამოდენა ლიტერატურაში ერთხელაც არ მოიპოვება „ეგრი" სახელი" (**ბერძენიშვილი 1975 : 502**).

თ. ბერაძე ეგრისის სახენაცვალ ფორმად თვლის პლინიუსის — „ქეგრიტიკის მხარეს" და პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" მოცემულ ცნობას: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალები და **ეკრიკტიკის ქვეყნის** (ხაზი ჩემია. — გ. მ.) მცხოვრებლები" (**ბერაძე 1967 138--139**).

დ. მუსხელიშვილს საეშვოდ არ მიაჩნია, რომ ეკრიკტიკა იგივე ეგრისია. მაგრამ მოტანილ ტექსტში დასახელებული მანრალები, მისი აზრით, მეგრელები კი არ არიან, არამედ „ზევით მდებარე ადგილებში" ე. ი. „ივერიის მომიჯნავე არგვეთის მცხოვრებლები — მარგველები" (**მუსხელიშვილი 1977 : 88**). ამასვე ადასტურებს „სომხური გეოგრაფია", სადაც ეგრისი ოთხი ქვეყნისაგან შედგენილ რეგიონადაა წარმოდგენილი. მათი ჩამოთვლა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ასეთი თანამიმდევრობითაა მოცემული: მანრილი, ეგრივიკა, ლაზივი და ჭანივი. მანრილი აქაც მარგვს-არგვეთს უდრის, რადგან ამ ქვეყანასა და ეგრივიკას (შიდა ეგრისს.—გ. მ.) შორის საზღვრად რიონია დასახელებული (როგორც ეს ქართული წყაროებითაც ცნობილია). თანაც ხომ არ შეიძლება მანრალებიც მეგრელები იყვნენ და ეგრივიკებიც. პირველი მათგანი მარგველებია, მეორენი—მეგრელები (**იქვე: 94**).

ლეონტი მროველის მიხედვით ეგრისის საზღვრებია: „აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა (მდ. ყუბანი. — გ. მ.), სადა წარსწუთების წუერი კავკასისა" (**ქ. ცხ. 1955 : 5**).

ჯუანშერის მონაცემებზე დაკვირვებით ნ. ბერძენიშვილი სამ ეგრისს გაარჩევდა: 1. „ქუემო ეგრისი" — მცირე ხაზარეთის მდინარიდან—ეგრის წყლამდე; 2. შიდა ეგრისი—აქედან მდ. რიონამდე; 3. გარე ანუ ზემო ეგრისი—ლიხის მთამდე, ე. ი. არგვეთი, ფერსათი, გურია (**ბერძენიშვილი 1975 : 573**).

პირველი მათგანის ე. ი. „ქუემო ეგრისის" (აწინდელი აფხაზეთის) შესახებ ჩვენ საკმაოდ ვრცლად შევჩერდით. ქვევით გვექნება საუბარი შიგა[1] ანუ საკუთრივ ეგრისზე. იგი იყო დასავლეთ საქართველოს ძირითადი ქვე-

---

[1] უფრო სწორია „შიგა" (შოთა: „მოიცვეს შიგა ქალაქი" (1202, 2), „კოკასა შიგან" (1094,4), მაგრამ ტრადიციულად, ძველთაგანვე იხმარება „შიდა" (ლეონტი: „აწ ჰქვიან შიდა ქართლი" (**ქ. ცხ. 1955 : 10**), „მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს — ფარსმან და შიდა ქალაქსა — კოს" (**იქვე 44**). ჯუანშერი: „სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისა" (**იქვე, 185**) და სხვ დამკვიდრებულია იგი თანამედროვე ქართველოლოგიაშიც. ამიტომ ჩვენ ქვევით არ დავარღვევთ ამ ტრადიციას.

ყანა. IV—VI საუკუნეებში მის ტერიტორიაზე არსებული ძლიერი სახელმწიფო ძველი კოლხეთის მემკვიდრედ აცხადებდა თავს. VI ს-ის ბერძენი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი ამის გამო წერდა: ლაზები „ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდო" (**გეორგიკა 1936 : 50**). ამ სტრიქონების ავტორის სიცოცხლეშივე გამოეცალა ლაზების სიამაყეს საფუძველი. ბიზანტია–სპარსეთის მიერ ეგრისში გაჩაღებულმა „დიდმა ომიანობამ" (542—562) საბოლოოდ დაასუსტა ლაზიკის სამეფო. დაიწყო მისი სამთავროებად დაშლა. პირველი გამოიყო და ბიზანტიის ვასალი გახდა აფხაზეთის სამთავრო, თავად ეგრისიც ვერ ასცდა იმპერიის მორჩილებას. ქვეყანაზე უფრო დამღუპველი გავლენა იქონია არაბთა სარდლის მურვან ყრუს ლაშქრობამ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ VIII ს-ის დასაწყისში ლაზიკაში ადგილობრივი ხელისუფლება აღარ არსებობდა. მთელი დასავლეთ საქართველო, აფხაზეთის სამთავროს გარდა, ქართლის ერისმთავრების სამფლობელოს წარმოადგენდა (**ОИГ 1988: 280**).

დასავლეთ საქართველოში დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში. დაახლოებით 778 წელს, აფხაზეთის მთავარმა ლეონ მეორემ ეგრისი (ლიხის მთამდე) შეიერთა, ტახტი ქუთაისში გადმოიტანა და თავი „აფხაზთა მეფედ" გამოაცხადა. მოკლე დროში ეს სამეფო ბიზანტიის ვასალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდა (**ბესსელიშვილი 1980 140**; იქვე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მითითება).

ამ პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად შიდა ეგრისი შედარებით მყარი გეოგრაფიული სივრცის მქონე ქვეყანა იყო. როდესაც ეგრისის სამეფოს საზღვრების ცვლილება ხდება ხოლმე, შიდა ეგრისი, ძირითადად, ერთსა იმავე ტერიტორიას მოიცავს. ასეა ეს ფარნავაზ-ქუჯის ეპოქიდან დაწყებული განვითარებული ფეოდალიზმის ხანამდე.

მართალია, ლეონტი მროველთან „შიდა ეგრისი" დასახელებული არ არის, მაგრამ, როგორც თ. ბერაძე შენიშნავს, ეს ტექსტის დამახინჯებით უნდა იყოს გამოწვეული. ლეონტი ფარნავაზის მიერ საერისთაოების განაწილების შესახებ წერს: „მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდან მთამდე, **რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი** და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ" (**ქ. ცხ. 1955 : 24**)[1]. თ. ბერაძე ამ ტექსტის ასეთ კონიექტურას გვთავაზობს: „მისცა ქუჯის ქვეყანა, ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, **რომელ არს შიდა (შინა) ეგრისი და სუანეთი**" (**ბერაძე 1967 132**). ჩემს მიერ ხაზგასმით გამოყოფილი ცვლილების აუცილებლობას ისიც ამტკიცებს რომ თუ ტექსტის პირველი ვარიანტის წაკითხვას ჩავთვლით სწორად, მაშინ ეგრისი რიონის აღმოსავლეთით აღარ გავრცელდება. რაც თვით ლეონტის მონათხრობს არ შეესაბამება. მას ხომ

[1] ქუჯის დროინდელი ეგრისის საზღვრების შესახებ იხ. **მ. თბაძე**, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ. 1994, გვ. 179.

რიონსა ლიხს შორის ეგრისში შემავალი კიდევ ერთი, მარგვეთის საერისთავო აქვს, დაფიქსირებული (ქ. ცხ. 1955 : 24).

ჯუანშერთან საკითხი უფრო გარკვეულია. ვახტანგ გორგასალის დროს მას დასახელებული ჰყავს: „სამნაღირ ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა (ხაზი ჩემია. — გ. მ.); და ბაკურ, ერისთავი მარგვისა და თაკუერისა" (იქვე : 185).

ნათქვამში ნაწილობრივ გარკვეულია შიდა ეგრისის საზღვრებიც. დასავლეთით ესაა შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით ეგრისწყალი[1], ჩრდილოეთით —სვანეთი, ხოლო აღმოსავლეთით საზღვარია მდ. რიონი. მართალია, „მატიანე ქართლისას" ავტორი „ეგრისს ვიდრე შორაპნამდე", (იქვე: 223) ცნობს, რაც თითქოს უნდა უარყოფდეს რიონის ეგრისის აღმოსავლეთ მიჯნად მიჩნევას, მაგრამ, როგორც დ. მუსხელიშვილმა განმარტა „შორაპანი ამ კონტექსტში პუნქტად კი არ იგულისხმება, არამედ არგვეთის ერთ-ერთ ცენტრად (ეგების მთლიანად არგვეთის ცენტრად?) თავისი „შესავალი ქვეყნით, რომელიც რიონამდე უწევდა" (მუსხელიშვილი 1980 : 78). იმავე მკვლევარის მიხედვით, ამ საზღვარმა შემდეგში (VIII ს-ში?), როცა ქუთაისის საერისთავო შეიქმნა, კიდევ უფრო აღმოსავლეთით ცხენისწყალზე გადაინაცვლა. რის დასტურადაც მას მოჰყავს „დავით და კონსტანტინეს წამებაში" გამოყენებული გამოთქმა: „ცხენის წყლიდან ვიდრე აფხაზეთამდე... ქვეყანა მეგრელთა", რაც გულისხმობს, რომ ცხენისწყლიდან აღმოსავლეთით უკვე ქართველთა ქვეყანაა, „რასაც თვით საერისთავოს ჩამოყალიბებაც გვაგულისხმევინებს" (იქვე: 79--80).

შიდა ეგრისს (ამ შემთხვევაში იგი შეიძლება გაიგივდეს საერთოდ ეგრისთან) შედარებით ცვალებადი საზღვარი ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთით. ცვლილებები ეხებოდა პოლიტიკურ საზღვარს, თორემ ეთნიკური — მდ. ღალისამდე (დღ. ყიზილ-ირმაქი) აღწევდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ხელთა გვაქვს ისეთი ავტორიტეტული და ობიექტური ავტორის ცნობა, როგორიც იოანე საბანის ძეა. მართალია, იმ ციტატაში, რომელსაც ჩვენ ახლა მოვიტანთ აფხაზეთზეა საუბარი, მაგრამ, როგორც ვთქვით,VIII ს-ის 80-იან წლებში (როცა იოანე საბანის ძე წერდა) ეგრისი აფხაზეთის სამეფოში შედიოდა და ამიტომ მათ ერთი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ჰქონდათ.

იოანე საბანის ძე ნერსე ერისმთავრისა და ჰაბოს აფხაზეთში მოსვლასთან დაკავშირებით წერს: „იხილა მან (ჰაბომ.—გ. მ.) ქვეყანაჲ იგი სავსეჲ ქრისტეჲს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათდა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ, მისაზღვრამდე ქალდიაჲსა, ტრაპეზუნტიაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეჲსაჲ და ნაფსაჲს ნავსადგური და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებლად ქრისტეჲს მსახურისა იონთა მეფისა" (ძეგლები 1964 : 59).

მკვლევართა შორის დავას იწვევს გამოთქმა „მისაზღვრამდე ქალდიაჲ-

[1] ამის შესახებ ვრცლად იხ. ამ თავის 1 პარაგრაფში.

სა". კ. კეკელიძე იშველიებდა 787 წლის საეკლესიო კრების აქტებს, სადაც ქრისტეფორე ხელს აწერს, როგორც ტრაპეზუნტისა და ფაზისის ეპისკოპოსი და ასკვნიდა, რომ ტრაპიზონი და მაშასადამე ქალდია, VIII ს-ის 80-იან წლებში, აფხაზეთის (ე. ი. დას. საქართველოს) სამეფოს საზღვრებში შედიოდა (**კეკელიძე /12935 : 28**).

ასეთივე მოსაზრება უფრო ვრცლად და დამატებითი საბუთების მოშველიებით გამოთქმული აქვს პ. ინგოროყვასაც. მისი განმარტებით „იოანე საბანისძის ეს ჩვენება — „მისაზღვრამდე ქალდიაჲსა" როგორც ირკვევა, ისე უნდა იქმნას გაგებული, რომ ქალდია (ხალდია) ამ დროს საქართველოს ნაწილი იყო" (**ინგოროყვა 1954 : 210**), „ეს უდავოდ დასტურდება მომდევნო წინადადებიდან: ტრაპეზუნტი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსა, და ნაფსაჲს ნავსადგური" (**იქვე: 211**). ამით განსაზღვრულია, განაგრძობს იგი, დას. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სამი პუნქტი: ყველაზე სამხრეთი ტრაპეზუნტი, ცენტრალური—ციხე-ქალაქი აფსარი (მდ. ჭოროხის ზონაში). ყველაზე ჩრდილოეთისა — ნიკოფსია.

ამის გათვალისწინებით, ტექსტი ახალ ქართულზე ინტერპრეტირებული უნდა იქნეს მხოლოდ ასე: „საზღვარი მათი (ე. ი. დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის" სამფლობელოსი) არის შავი ზღვა („ზღვა პონტოჲსა"), სამკვიდრებელი ქრისტიანებისა, სადამდისაც მიუწევს ქალდიის თემის საზღვარი („მისაზღვრამდე ქალდიაჲსა"). იქ (დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე) მდებარეობენ: ტრაპეზუნტი (სამხრეთ მიჯნასთან), აფსარი (შუაში), და ნაფსაჲს ნავსადგური (ჩრდილოეთ მიჯნასთან)" (**იქვე**).

ეს რაც შეეხება იოანე საბანის ძის ჩვენებას. ამის გარდა პ. ინგოროყვას თავისი მოსაზრების სასარგებლოდ მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: 1. ზევით დასახელებული 787 წლის მეშვიდე საეკლესიო კრების აქტები, საიდანაც ირკვევა, რომ „ფაზისი (ფოთი) და ტრაპიზონი ერთ მეტროპოლიას, ერთ საეპისკოპოსო კათედრას წარმოადგენს" (**იქვე: 212**). 2. VII—IX საუკუნეთა სომხური გეოგრაფია აჩვენებს, რომ კოლხეთის ე. ი. ეგრისის შემადგენელი ერთ-ერთი ქვეყანა არის „ჭანივი, რომელ არს ხალტეთი (ხალდია)" და მისი ზღვის სანაპიროზე მრავალი ნავსადგურია, „რომელთა შორის არს ტრაპეზუნტი" (**იქვე**). 3. იმავე სომხურ გეოგრაფიაში ეგრი ქვეყნის შემადგენლობაში დასახელებულია ათენი, რიზე და ტრაპიზონი, მაგრამ არაა დასახელებული კერასუნი, კოტიორა და პოლემონი. რაც ნიშნავს, რომ ქალაქთა ეს ორი ჯგუფი გაყოფილი იყო. პირველი, როგორც ვთქვით, კოლხეთში შედიოდა, ხოლო მეორე პოლემონის პონტოში. ეს დასტურდება მეშვიდე მსოფლიო კრების აქტებიდანაც. იქ კერასუნი, კოტიორა და პოლემონი პოლემონის პონტოს მეტროპოლიაშია ჩათვლილი. 4. „მას შემდეგ, რაც VIII ს-ის მეორე ნახევარში ტრაპიზონის მხარე დას. საქართველოს შემადგენლობაში შევიდა... ტრაპიზონის, მხარეზე" გავრცელდა დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდება — ლაზიკა, ლაზია. ეს უკანასკნელი აქამდე კოლხეთის შიდა ნაწილს ეკუთვნოდა და უცნობი იყო

ჭოროხის აუზში. ანტიკურ და ელინისტურ ხანაში ტრაპიზონის მხარეს ხომ ხალდია ერქვა (**იქვე: 212—214**).

„მისაზღვრამდე ქალდაჲსა"-ს კ. კეკელიძისა და პ. ინგოროყვასეული გაგების საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა ს. ჯანაშია. იგი ფიქრობდა, რომ იოანე საბანის ძე იძლეოდა ქალდიის ზოგადგეოგრაფიულ განმარტებას და ამიტომ წერდა „ქალდიის საზღვრებამდე" ხოლო **«такое разграничение Халдии и Абхазии в рассказе современника вполне естественно: Халдия представляла собою непосредственную часть империи, а Абхазия лишь вассально зависимое княжество» (ჯანაშია 1959 : 338)**. მაშასადამე, ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ ტრაპეზუნტი არ შედიოდა აფხაზეთის (დას. საქართველოს) სამეფოს შემადგენლობაში. ეს მოსაზრებები განიხილა მ. ლორთქიფანიძემ. მან მთავარ საბუთად არ ჩათვალა საკმათოდ გადაქცეული გამოთქმა. „რაც შეეხება, — წერს იგი, — იოანე საბანის ძის ცნობას „მისაზღვრამდე ქალდიაჲსა", აქ ტექსტის გაგების ამბავია და, როგორც ვხედავთ, ს. ჯანაშიას და პ. ინგოროყვას ეს ტექსტი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგოდ ესმით" (**ლორთქიფანიძე 1963 : 182**).

პ. ინგოროყვას სხვა საბუთების გამო მ. ლორთქიფანიძემ კონტრარგუმენტები წამოაყენა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ამგვარად, პ. ინგოროყვას მიერ მოტანილი საბუთები ან მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ (ექთეზისები) ან არ უპერენ მას მხარს. ასე რომ ექთეზისების (ასე ერქვა VII მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებს. — გ. მ.) ჩვენებათა თანახმად ტრაპეზუნტი სწორედ არ შედის აფხაზეოში, რაც თავის მხრივ მხარს უპერს იოანე საბანისძის ტექსტის ჯანაშიასეულ ინტერპრეტაციას" (**იქვე: 185**).

იოანე საბანისძის ცნობის მრვალმხრივი ანალიზი გააკეთა ნ. ბერძენიშვილმა. საზღვრების საკითხი მას აინტერესებდა იმის გასარკვევად, თუ რა მოცულობის ტერიტორიას გულისხმობდა მარტიროლოგი აფხაზეთში. ამ საკითხში იგი სრულ სოლიდარობას უცხადებს კ. კეკელიძეს, ს. ჯანაშიას და პ. ინგოროყვას... რომლებიც „თანხმობით სცნობენ, რომ ამ აფხაზეთში იოანე საბანის ძე მთელ დას. საქართველოს (ეგრის-აფხაზეთს) ჰგულისხმობს" (**ბერძენიშვილი 1975 : 563**).

ცნება „მისაზღვრამდე" სწორად გაგებისათვის ნ. ბერძენიშვილი იმოწმებს მათეს სახარების ანალოგიურ გამოთქმას და პ. ინგოროყვას განმარტებას სწორად თვლის. „სრულიად მოულოდნელი, — წერს იგი, — უცნაური და უწიგნური წერის მაგალითი იქნებოდა (რაც საბანის ძეს არასგზით არ ახასიათებს), თუ დავუშვებდით, რომ ავტორი უმიზეზოდ მოჰყვა იმაზე საუბარს, თუ რა ღირსშესანიშნავი ადგილებია აფხაზეთის მისაზღვრამდე ქალდიაში"... ასე, რომ ძალდაუტანებელი და „არახელოვნური გაგებით, აქ საბანის ძეს საუბარი აქვს ქალაქებსა და ადგილებზე, რომლებიც იპოებიან „ზღუაჲ იგი პონტოისაჲს" „საზღვართა", ხოლო შემოდიან პოლიტიკურად აფხაზეთში" (**იქვე: 565**).

შემდეგ ნ. ბერძენიშვილი იძლევა მაშინ შექმნილი პოლიტიკური ვითარების, ბიზანტია-აფხაზეთის ხელისუფალთა ურთიერთდამოკიდებულების

შეფასებას და კონტექსტში ჩაქსოვილი აზრის ლოგიკურ ახსნის ასკვნის: „ამრიგად, ტრაპეზუნტი აფხაზეთშია, მაშინ ქალდიაც აფხაზეთშია და „მისაზღვრამდე“ ნიშნავს მთელს ქალდიას და არა ქალდიამდე ქვეყანას“ (იქვე: 566).

დ. მუსხელიშვილი ამ კამათში არ ჩაბმულა, მაგრამ VIII ს-ის დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების დასახასიათებლად, მას დასჭირდა შეხებოდა „აფხაზთა სამეფოს“ უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის საკითხს და ამასთან დაკავშირებით დაემოწმებინა უკვე გამოთქმული მოსაზრებანი.

„რაც შეეხება უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთის საზღვარს,—წერს იგი,—აქეთკენ „აფხაზთა სამეფო“, როგორც ჩანს ჭოროხის შესართავამდე ვრცელდებოდა (იმოწმებს ს. ჯანაშიას.—გ. მ.). ის მოსაზრება, რომ ქალდია ტრაპიზონითურო ამ სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, არ უნდა იყოს სწორი და იოანე საბანისძის თხზულების სათანადო კონტექსტის არასწორ ინტერპრეტაციაზეა დამყარებული“ (იმოწმებს—ს. ჯანაშიას, ზ. ანჩაბაძეს, მ. ლორთქიფანიძეს.—გ. მ.; **მუსხელიშვილი 1980 :142**).

დ. მუსხელიშვილს მოჰყავს რამდენიმე ცნობა საისტორიო წყაროებიდან, რომლებიც მისი აზრით ადასტურებენ ბიზანტიასთან საზღვრის ჭოროხზე არსებობას. ჩვენი აზრით, ეს არგუმენტები მაინცდამაინც დამარწმუნებელი არ არის. განვიხილოთ ისინი ა) დ. მუსხელიშვილი ეყრდნობა ს. ყაუხჩიშვილის ნათქვამს, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტს ტრაქტატში „თემების შესახებ“ ასახული აქვს არა მისი თანამედროვე IX ს-ის მდგომარეობა, არამედ VII–VIII საუკუნეებისა. იმპერატორი კი მერვე თემად აღწერს „ეგრეთწოდებულ ხალდიის თემსა და მის დედაქალაქს, რომელსაც ტრაპეზუნტი ეწოდება“ (**გეორგიკა 1952:300**). ე. ი. ხალდია ბიზანტიის იმპერიის ცალკე თემია და იგი „აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ამის ასაღიარებლად რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. ჯერ ერთი, VII საუკუნეში ხალდია ცალკე თემი არ იყო. მეორე, „აფხაზთა სამეფომ“ ხალდია შეიერთა VIII ს-ის მეორე ნახევარში, ლეონ მეორის დროს (**ინგოროყვა 1954:208-215**) და მას იგი ჰქონდა IX ს-ის 40-იან წლებამდე. მოსალოდნელია სწორედ ამ დროიდან შეიქმნა ე. წ. ხალდიის თემი. მის აღწერაში კონსტანტინე პორფიროგენეტი არც ერთ VII—VIII საუკუნეთა ამბებს არ ახსენებს, სამაგიეროდ სხვა ნაშრომში, თავის თანამედროვე (X ს-ის შუახანები) სასაზღვრო ქალაქად ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით მდებარე ქ. სოტერიუპოლისს (ქ. ოფი) ასახელებს (**გეორგიკა 1952 : 233**). ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ VIII ს-ის დასასრულისათვის ბიზანტია-აფხაზეთის საზღვრის დასადგენად კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა ხალდიის თემის შესახებ არ გამოგვადგება.

ბ) მეორე დოკუმენტის დაწერის თარიღი და იქ გადმოცემული ამბების დრო დ. მუსხელიშვილს თვითონაც სავარაუდოთ მიაჩნია. საქმე ეხება „ორიენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობას“, სადაც ჩამოთვლილია შვიდი წმინდანიდან, რომელი სად გარდაიცვალა. მკვლევარს მოჰყავს ერთი და

•გივე ადგილი მარტვილობის კიმენური და სვინაქსარული რედაქციებიდან. პირველში ვკითხულობთ, წერს იგი, „მიერ (აფსაროსიდან. — გ. მ.) აღდგომილნი მყვანებელნი მათნი წარვიდეს სოფლად აწ ლაზეთად წოდებულად". „სვინაქსარულ რედაქციაში ეს ეპიზოდი ასეა გადმოცემული: აფსაროსიდან წამოსული „წმინდაჲ კვირიაკოს, მივიდა რაჲ საეგროსა ქუეყანასა". ამგვარად, როგორც ვხედავთ, აფსაროსი, რომელიც საერთო აზრით დღევანდელი გონიოს ადგილზე მდებარეობდა, ამ ძეგლის მიხედვით არ არის „ლაზთა სოფელში", ანუ „საეგროში", ეს კი მოწმობს, რომ მაინცდამაინც ჭოროხის სამხრეთი ტერიტორია გამორიცხულია უგრისიდან" (**მუსხელიშვილი 1980 : 142--143**). როგორც ვხედავთ, აქ გამორიცხვის წესითაა დასკვნა გამოტანილი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სვინაქსარულ ტექსტში არ წერია საიდან წამოვიდა წმ.კვირიაკოსი (**იხ. გეორგიკა 1952 : 414--415**). აფსაროსი კი ციტატის ავტორის მიერაა ჩამატებული და ამიტომ შეუძლებელია გავიგოთ იგი ეგრისს ეკუთვნის თუ არა. ამასთან გამორიცხვის წესი მხოლოდ ვარაუდია, მის მიხედვით პრინციპული დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.

გ) დ. მუსხელიშვილი იმოწმებს კონსტანტინე პორფიროგენეტს და ცდილობს დაადგინოს კონკრეტულად სად გადიოდა საზღვარი VIII—IX საუკუნეებში. ბიზანტიელი ავტორი წერს, რომ ბაგრატიონ უფლისწულთა ურთიერთდავის დროს ერთ-ერთმა მათგანმა მიიღო „ტიროკასტრონი (ყველისციხე.—გ. მ) და აჭარის წულის გასწვრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის (ბიზანტიის.—გ. მ.) მოსაზღვრე იყო კოლორისთან" (**გეორგიკა 1952 : 276**). ბატონ დავითს ამ პუნქტის გათანაბრება შესაძლებლად მიაჩნია „მდ. ყოროლისთავთან, რომელიც ბათუმის ჩრდილოეთით მოედინება ჭოროხის პარალელურად" (**მუსხელიშვილი 1980 144**). მიუხედავად მკვლევარის მიერ ამის დასაბუთებლად მოხმობილი ლოგიკური არგუმენტაციისა, ადგილი დაეჭვებისათვის მაინც რჩება. საქმე ისაა, რომ პორფიროგენეტის ტექსტის ქართულად მთარგმნელსა და გამომცემელს ს. ყაუხჩიშვილს კოლორი გაიგივებული აქვს კაბადოკიის საზღვარზე მდებარე დაბასთან, რომელსაც ასევე კოლორი ჰქვია (**გეორგიკა 1952 : 276**).

ვამთავრებთ რა მსჯელობას VIII—IX სს. მიჯნაზე საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებათა შესახებ, მიგვაჩნია, რომ მათ შორის შეშმარიტებასთან უფრო ახლოსაა კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვასა და ნ. ბერძენიშვილის მტკიცებანი. ამის სასარგებლოდ ჩვენ შეგვიძლია ის დამატებითი არგუმენტი მოვიშველიოთ, რომ თუ საბანის ძის ცნობას ისე გავიგებთ, თითქოს ტრაპიზონი არ ითვლებოდა აფხაზეთის შემადგენლობაში. მაშინ გამოდის: არც ნიკოფსია ყოფილა ამ სამთავროს ქალაქი. ეს კი, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შეშმარიტებად მიღებული შეხედულების ყველაზე თაეგამოდებულ მოწინააღმდეგეებსაც არ უარუყვიათ.

შიდა ეგრისი ეთნიკურად არაერთგვაროვანი ქვეყანა იყო. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მასში ზანები (ლაზ-მეგრელები) შეადგენდნენ. ქარ-

თული წყაროები აქაურ ეთნიკურ ვითარებაზე მაინცდამაინც არ ამხვილებენ ყურადღებას. ბერძენი ავტორები (ჰეროლოტე, ფსევდო-სკილაქსი, სტრაბონი) თუ ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ტომთა მრავლობას აღნიშნავენ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ერთ ქვეყანას კოლხიდას და მის მოსახლე ტომს-კოლხებს ასახელებენ. ეს, ცხადია, არაა არსებული ეთნიკური სურათის რეალური ასახვა. „კოლხები" და „კოლხიდა", რომელსაც დასახელებული ავტორები თავიანთ თხრობაში იყენებენ ზოგადეთნოპოლიტიკური მნიშვნელობის ტერმინებია და ფარავენ ყველა სხვა იმ ტომების სახელებს, რომლებიც ამ სახელწოდების მქონე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ. ნ. ლომოურს შეუძლებლად მიაჩნია იმის წარმოდგენა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ბიჭვინთა-სოხუმის რაიონიდან, ვიდრე ჭოროხის შესართავის სექტორამდე, მხოლოდ ერთი ტომი—კოლხები მოსახლეობდნენ, რომ აქ მდებარე ეს ვრცელი სახელმწიფო მხოლოდ ერთი ტომის—კოლხების ორგანიზაციას წარმოადგენდა. ცხადია ეს გამორიცხულია" (**ლომოური 1968 : 17**).

გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ ფართო მნიშვნელობის გარდა კოლხეთს ვიწრო მნიშვნელობაც ჰქონდა და იგი აღნიშნავდა „მდ. ფაზისის (რიონის) შესართავის ახლოს (მის ჩრდილოეთით) მდებარე ადგილებიდან, ვიდრე ჭოროხის შესართავის ახლოს (მის სამხრეთით) მდებარე ადგილამდე" მცხოვრებ ტომთა ადგილსამყოფელს (**სინ 1970 : 401 — 402**).

სხვა ბერძნული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის ანალიზის მეშვეობით, თ. მიქელაძე შიდა ეგრისის ტერიტორიაზე კოლხებს გარდა კიდევ ორი ეთნიკური ჯგუფის ბინადრობას ადასტურებს. ესენია: სვანური ტომები და მესხები. „სვანური ტომები ფაზისზე,—შენიშნავს იგი,— უნდა ვიგულვოთ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე მაინც" (**მიქელაძე 1974 : 20**). რაც შეეხება მესხებს, თ. მიქელაძის აზრით—„ძვ. წ. V საუკუნიდან მაინც ძვ. წ. I საუკუნემდე რაღაც გაბმული საისტორიო ტრადიციის არსებობაა სავარაუდო,... რომელიც მოსხების ჩრდილოეთში (იგულისხმება დღევანდელი მესხეთიდან.— გ. მ.) ბინადრობას ადასტურებდა", ხოლო მოგვიანო წყაროს (პროკოპი კესარიელი) მიხედვით „სრულიად ცხადია, რომ მესხურ ტომებს ა. წ. პირველ საუკუნეებში თანამედროვე რაჭა-ლეჩხუმი ეკავათ" (**იქვე : 22**).

მესხების (მოსხების) შესახებ ზევით უკვე გვქონდა საუბარი. ხოლო მათი დასავლეთ საქართველოში მოსვლასა და გავრცელებასთან დაკავშირებით კიდევ მოგვიხდება შეჩერება. სვანების ეთნიკური ისტორიის ზოგიერთ მომენტზე კი უკანასკნელ ხანებში საგულისხმო შეხედულებებია გამოთქმული. რაც, ვფიქრობთ, ღირს ვაქციოთ ყურადღებისა და განსჯის საგნად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვაპირებთ ვაღიაროთ იგი, ერთადერთ ჭეშმარიტებად.

საუბარია თ. მიბჩუანის ზევით უკვე არაერთხელ დამოწმებულ მონოგრაფიაზე, რომელშიაც ავტორის თქმით: „პრობლემაზე მუშაობის დროს

გამოყენებული, შეჯერებული და გაანალიზებულია ძველი აღმოსავლური (შუმერულ-აქადური, ასურული, ხეთური, ურარტული), ძველ-ებრაული, ძველბერძნულ-რომაული, სომხური და ქართული წერილობითი წყაროები. ასევე ტოპონიმიკური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა. გათვალისწინებულია უახლესი არქეოლოგიური მონაპოვარი და საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა" (**მიბჩუანი 1989 : 18—19**). ე. ი., როგორც ვხედავთ, მკვლევარს აქვს პრეტენზია მისი წიგნი წარმოადგინოს აქამდე საკითხზე არსებულ შეხედულებათა შემაჯამებელ გამოკვლევად.

თ. მიბჩუანის ძირითადი დებულება, რომელიც აშკარად არ იწვევს კამათს არის ის, რომ სვანები ძველად ბინადრობდნენ გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, ვიდრე ამჟამად (**იქვე: 11**). ამის დამადასტურებელი ბევრი არგუმენტი არსებობს და მათ შორის ის რის შესახებაც ზევით უკვე გვქონდა მსჯელობა—სვანური ტომების—ჰენიოხების გავრცელება შავიზღვისპირეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორებსა და რიონისპირეთში.

მაგრამ, ჩვენის აზრით, სათანადოდ დასაბუთებული არ არის და საკამათოა თ. მიბჩუანის მტკიცება, „რომ დღევანდელი მეგრელების ფორმირება სვანური ეთნოსუბტრატის ნიადაგზე მოხდა. ასევე ზანური[1] ეთნოსუბტრატი დაედო საფუძვლად დასავლეთ საქართველოს სხვა ქართველების: აჭარლების, გურულებისა და ნაწილობრივ იმერლების ფორმირების პროცესს" (**იქვე: 153**).

ამას, მისი აზრით, ამტკიცებს ისტორიული ეგრისის ტოპონიმია", რომელიც „უამრავ სვანურ გეოგრაფიულ სახელწოდებას ინახავს" (**იქვე: 152**) და ლეონტი მროველის ნათქვამი, ქართლის მეორე მეფე საურმაგმა თავისი დედულეთიდან ჩამოყვანილი დურძუკები „დასხნა მთიულეთს, დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი" (**ქ. ცხ. 1955:27**). ასეთ მტკიცებაში გათვალისწინებული არ არის: 1.ის ტოპონიმები, რომლებიც მიბჩუანს სვანურად მიაჩნია შეიძლება წარმოშობილი იყოს საერთო ქართველურიდან სვანურის გამოყოფამდე; 2. ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სხვადასხვა ხალხის განსახლების ტერიტორიაზე, კომპაქტურ ჯგუფებად მოსახლეობა გამორიცხული არ არის და ისინი ასეთ შემთხვევაში იქ ადგილებს თავის ენაზე არქმევდნენ სახელებს, რომლებიც მათი ასიმილაციისა თუ ახალი ბინადრების აქ მოსვლის შემდეგაც რჩებოდა; 3. ცნობილია რომ ლეონტისათვის მთელი დასავლეთ საქართველო იყო ეგრისი. მაშ, მისი ნათქვამი „ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი" ნიშნავს: საურმაგს დურძუკები დაუსახლებია არა მთელ ეგრისში, არამედ მისი იმ ნაწილის საზღვრამდე, რომელიც სვანეთად იწოდებოდა.

ნათქვამი როდი ნიშნავს თითქოს ჩვენ უარვყოფდეთ ძველად სვანების

[1] თ მიბჩუანის მიხედვით ზანები ასიმილირებული ეგრისელი სვანები არიან (**მიბჩუანი 1989: 152**) ე. ი. აქ იგულისხმება სვანური ეთნოსუბტრატი და არა ზანური.

უფრო ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებას, ვიდრე თუნდაც გვიან შუა საუკუნეებში. ჩვენ მხოლოდ მთელი დას. საქართველოს სვანთა ნაბინადრად გამოცხადება მიგვაჩნია შეუძლებლად.

თ. მიბჩუანი ისეა გატაცებული მის მიერვე ჰიპოთეზის სახით წამოყენებული დებულების მტკიცებით, რომ ზოგჯერ ციტირების დროსაც ვერ იცავს სიზუსტეს. მაგალითად, თავისი ნაშრომის 152-ე გვერდზე მას ბრჭყალებში ჩასმული აქვს შემდეგი წინადადება: „ეგრისის და სვანეთის საერისთავო მოიცავდა მდ. რიონისა და ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორიას". სქოლიოში კი მითითებული აქვს „ქართლის ცხოვრების" 24-ე და დ. მუსხელიშვილის „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხების" (თბ., 1977) 113-ე გვერდები. მითითებულ ადგილებზე კი თ. მიბჩუანის მიერ ბრჭყალებში ჩასმული წინადადება არ არსებობს. ლეონტი გვაცნობებს „და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი" (**ქ. ცხ. 1955 : 24**). დ. მუსხელიშვილი კი წერს. „როგორც ირკვევა, მაშასადამე, საკუთრივ ეგრისის, ეთნოგრაფიული ფარგლები ადრე საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოისაზღვრებოდა რიონით, დასავლეთიდან ზღვით, ჩრდილო-დასავლეთიდან მდ. ეგრისწყლით (ღალიძგა), ხოლო ჩრდილოეთიდან სვანეთით და ლეჩხუმით" (**მუსხელიშვილი 1977 : 113**).

ასევე არაკორექტულად ეპყრობა ბ-ნი თ. მიბჩუანი ჯუანშერის მიერ მხოლოდ ერთგან ნახმარ ფრაზას—„სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა" (**ქ. ცხ. 1955 : 185**). მკვლევარი ამას იყენებს ასეთი საერისთავოს ფარანავაზ მეფიდან მოყოლებული 1000 წელზე მეტი ხნის მანძილზე არსებობის საბუთად და ამ საერისთავოში სვანური ეთნოსის უპირატესობის შთაბეჭდილების შესაქმნელად, ცვლის ჩამოთვლის მემატიანისეულ პრინციპს, ხშირად ბრჭყალებში წერს: „სუანთა და ეგრისის საერისთაო" ნაცვლად ჯუანშერის „ეგრისისა და სუანეთისა" (**იხ. მისი დასახ. ნაშრომი გვ. გვ. 149, 161, 162, 163 და ა. შ.**).

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება ეგრისის შიგა რაიონებში სვანთა ოდითგანვე მოსახლეობის ფაქტი. ოღონდ გარკვეული არ არის სამხრეთით რომელ სექტორამდე აღწევდა მათი განსახლება. ნ. ბერძენიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: სვანურ თქმულებებში დაცულია ცნობა „რომ ფოთი ძველ დროში სვანეთისა იყო, რომ სვანური მოსახლეობა ფოთს უწვდა. ფოთი რა მოგახსენოთ და სვანეთი რომ გარკვეული ნიშნით ზღვას უწვდა, ეს ცნობილია ლიტერატურითაც ...ხობის წყლის მარჯვენა სანაპიროს ტოპონიმიკაც ხომ საოცარ სიმრავლეს ავლენს სვანური ტოპონიმებისას" (**ბერძენიშვილი 1975 : 431**).

თ. მიქელაძე ასევე ტოპონიმიკური მასალის გამო წერს: „ამრიგად, სვანურ ტომთა კვალს აშკარად გადაეკვლება თვალი რიონის აუზში, შესაროავიდან თითქმის სათავეებამდე, ენგურსა და ცხენისწყალს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, რამდენადმე აღმოსავლეთითაც ცხენისწყლის ხაზიდან, თვით ენგურის ხეობაში, რომლის ზემო წელი დღესაც მათ უკავიათ და ჩრდილო-დასავლეთით მერმინდელ აფხაზეთში, ისტორიული ცხუმის მიდამოებში" (**მიქელაძე 1974 : 12**).

თ. ძიბჩუახი გაცილებით აფართოებს ამ არეალს. „თუ ჩვენს მიერ გამოვლენილ სვანურ ტოპონიმიკურ მასალას გავითვალისწინებთ,—ასკვნის იგი,—მაშინ სვანური ტომების განსახლების არეალი კიდევ მეტი ტერიტორიის მომცველია. მდ. ჭოროხის ხეობიდან გაგრა-ბიჭვინთის სექტორამდე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორია მოფენილია სვანური წარმოშობის ტოპონიმებით“ (**ძიბჩუანი 1989 : 210**).

ამ დასკვნის საილუსტრაციოდ მკვლევარი იწყებს ბათუმიდან და წარმოგვიდგენს სვანურენოვან ტოპონიმებს აჭარაში, გურიაში, ფოთის მიდამოებში, სამტრედიის, აბაშის, სენაკის, ხობის, ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის რაიონებში. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს განვსაჯოთ ტოპონიმების ძიბჩუანსეული ამოხსნის ავ-კარგი.

საერთო შთაბეჭდილების სახით კი უნდა შევნიშნოთ, რომ სვანურენოვანი ტოპონიმები იმ ადგილებში გაცილებით მეტია, სადაც სვანთა მოსახლეობა წერილობითი წყაროებითაც არის დადასტურებული. მაგალითად, ჭოროხის ქვემოწელი არის ის სექტორი სადაც არიანეს მიხედვით ცხოვრობდნენ სვანურენოვნად მიჩნეული სამხრეთელი ჰენიოხები, ამიტომ ბათუმსა და მის მახლობლად თ. ძიბჩუანს აღრიცხული აქვს 18 ტოპონიმი, რომელთაც იგი სვანურის მეშვეობით ხსნის. მაგრამ იქ, სადაც წერილობითი ცნობებით სვანების ბინადრობა არაა დადასტურებული, შესაბამისი ტოპონიმები ნაკლებია. მაგალითად, სამტრედიის რაიონში—ორი, აბაშისაში—4, სენაკისაში—2, ზუგდიდისაში—1, ჩხოროწყუსაში—3 და ა. შ. სამაგიეროდ, თანდათან მატულობს მათი რაოდენობა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, მხარეში, სადაც ჰენიოხები, სანიგები, მისიმიანები და სხვა სვანური ტომები ცხოვრობდნენ. გალის რაიონში სვანურენოვანია—8 ტოპონიმი, ოჩამჩირისაში—8, გულრიფშისაში—7, აჭარის სასოფლო საბჭოში (ისტორიული მისიმიანეთი)—34 და ა. შ. რა თქმა უნდა რაოდენობრიობით ზოგადი დასკვნის გამოტანა მეცნიერებაში სერიოზულ ქმედებად არ ითვლება, მაგრამ, როცა წერილობითი წყაროებისა და ტოპონიმების რაოდენობა, ერთმანეთს ავსებს, ამის გაუთვალისწინებლობაც ჭეშმარიტებას დაგვაცილებდა.

შიგა სამეგრელოს ტოპონიმთა შორის, ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებსა და თანამედროვე მკვლევართა წრეებში, ერთ-ერთი პოპულარულია ფაზისი. ასე იწოდებოდა მდინარეც და მის შესართავთან მდებარე ქალაქიც. დაინტერესება ფაზისით არგონავტების დროიდან იწყება. ძვ. წ. VIII საუკუნეში მცხოვრები ბერძენი მწერალი ჰესიოდე „თეოგონიაში“ მოგვითხრობს რომ არგონავტები კოლხეთში ფაზისის გავლით შეცურდნენ (**ურუშაძე 1964 : 191**). ესაა კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი მოხსენიება. აქამდე ქვეყანა სადაც არგონავტებმა ილაშქრეს აია-დ (აიაია-დ) იწოდებოდა, ელინურ თქმულებებში.

მდინარე და ქალაქი ფაზისი კი წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. VI ს-ის II ნახევარი—V ს-ის I

მეოთხედი) „ჰერიპლუსის“ ფრაგმენტებში. სადაც ძვ. წ. IV საუკუნის ანონიმის გადმოცემით ასეთი ცნობა ყოფილა გადმოცემული: „მელანჭენელების შემდეგ არის კოლხთა ტომი. ქალაქი დიოსკურისი, ელინური ქალაქი გვინეოსი (ვარაუდობენ დღ. ოჩამჩირე.—ვ. მ.)... მდინარე ფაზისი და ელინური ქალაქი ფაზისი“ (**ყაუხჩიშვილი 1961 : 258**). მ. ბერძნიშვილი შენიშნავდა, რომ „სკილაქსის ეს ცნობა უტყუარია და ეჭვმიუტანლად ადასტურებს ფაზისის VI ს-ის მეორე ნახევარში არსებობას“ (**ბერძნიშვილი 1969 : 122**).[1]

იგივე ცნობა პასუხს იძლევა სხვა პრობლემატურ საკითხზედაც — თუ დღევანდელი რომელი მდინარე იგულისხმება ანტიკური ხანის ავტორების მიერ დასახელებულ მდ. ფაზისში. ცნობილია, რომ ასეთად მოიხსენიებდნენ მდინარეებს: არაქსს, ჭოროხს, ყუბანს და რიონს[2]. სკილაქსი კი პირველია იმ ავტორებს შორის ვინაც კოლხეთში აჩვენებს მდ. ფაზისს და აზუსტებს, რომ ელინური ქალაქი ფაზისიც იქვეა.

სახელწოდება „ფაზისი“ ადგილობრივ არსებული სახელის ბერძნული ფორმაა. ლინგვისტური ანალიზის გზით გ. მელიქიშვილმა დაადგინა, რომ ბერძნების მიერ რიონის შესართავთან კოლონიის დაარსების დროისათვის (ძვ. წ. VIII—VI სს). აქ სვანურენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. სწორედ მათ წიაღშია წარმოშობილი სახელწოდება **ფაშდ**, რომლის ბერძნული შესატყვისობაა—ფაზისი, ქართული იქნებოდა ფათი, მეგრული-ფოთი (**Меликишвили 1966 : 85**).

თ. მიბჩუანი არ უარყოფს ამ მოსაზრებას, მაგრამ თავის მხრივ იძლევა სიტყვა ფაზისის კიდევ ორ შესაძლო ახსნას 1. არსებობს სამკურნალო ბალახი, რომელსაც ფაზ ჰქვია. ხოლო ადგილს, სადაც იგი ხარობს—ფაზიშ (იშ კუთვნილების მაწარმოებელი სვანური სუფიქსია). ბერძნულში შ ბგერა არ არის, ამიტომ მათებურად გამოითქმოდა „ფაზისი“ (**მიბჩუანი 1989:241**). 2. სვანური პანთეონი იცნობს ღვთაება ფუშდს (ვარიანტები—**ფუსდ, ფუსტ**). მისი სახელი მეგრულად გამოითქმება **ფუთ**, ქართულად კი—**ფოთ**. „შესაძლოა,— წერს თ. მიბჩუანი,—ფოთის ტერიტორიაზე მოსახლე სვანებს გააჩნდათ ფუსტის სახელობის საკულტო ნაგებობა, რომლისგანაც შემდეგ ამ ადგილმა მიიღო სახელი ფუთი, იგივე ფოთი“ (**იქვე 243**). ვფიქრობთ, ეს ლინგვისტური და ტოპონიმიკური ძიებები ადასტურებენ, რომ აწინდელი რიონის შესართავთან ბერძნული კოლონიზაციის დროისათვის სვანურენოვანი მოსახლეობა ბინადრობდა.

იგივე დასტურდება წერილობითი წყაროებითაც. თ. ყაუხჩიშვილმა გააანალიზა არისტოტელეს „პოლიტიების“ კომპილატორის ჰერაკლიდეს (ძვ.

---

[1] საკვირველია მიგვაჩნია შევხიშნოთ, რომ ბ-ნ მაქსიმეს სკილაქსის ტექსტი არც ციტირებული და არც საკუთარი ინტერპრეტაციით წიგნში გადმოცემული არა აქვს. რის გამოც ძკითხველისათვის გაუგებარი რჩება რას ნიშნავს მისი ნათქვამი: „სკილაქსის ეს ცნობა“. ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს წიგნის გამოცემის დროს დაშვებულ შეცდომასთან. ამ ლაფსუსის გასწორების მიზნით ჩვენ ციტატი მოვიტანეთ ს. ყაუხჩიშვილის პუბლიკაციიდან.

[2] ვრცლად ამის შესახებ იხ. **მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 89—98.**

წ. II ს-ნე) ნაშრომის ფრაგმენტი, სადაც ნახმარია გამოთქმა: „ფაზისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ... შემდეგ კი მილეტელები“ და დაასკვნა: „რეალურად ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში ის წერია, რომ ოდესღაც, თავდაპირველად კოლონიზაციამდელ ეპოქაში ფაზისში ჰენიოხები ცხოვრობდნენ“ (**ყაუხჩიშვილი 1980 : 62**). ჰენიოხები კი, როგორც ვიცით, სვანურენოვანი ტომები იყვნენ.

რაც შეეხება კოლხეთის ტერიტორიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეებში სვანთა განსახლებას, ამის შესახებ ჩვენ ზევით უკვე საკმაოდ ვრცლად ვიმსჯელეთ.

როგორც აღვნიშნავდით, მიუხედავად დას. საქართველოს ტერიტორიაზე სვანებისა და მესხების ფართოდ განსახლებისა, შიდა ეგრისის მოსახლეობის ძირითად მასას მაინც ზანები წარმოადგენდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა შიდა კოლხეთში ლაზთა (ზანთა) განსახლების თაობაზე. გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ლაზები კოლხეთის ტერიტორიაზე შედარებით გვიან, მთიდან ბარში მოსახლეობის ჩამოწოლის პროცესში გამოჩნდნენ. „ცენტრალურ კოლხეთში მთიელთა ჩამოსახლება,—წერს იგი,—როგორც ჩანს ხდებოდა არა მარტო ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდანაც, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან, სადაც აგრეთვე გვაროვნული წყობილების შლის პროცესში მყოფი მეომარი მოსახლეობა სახლობდა. ესენი უმთავრესად დასავლურ-ქართული (ჭანური) ტომები იყვნენ... ეტყობა აქ სწრაფად ხდება ამ ტომების კონსოლიდაცია, იქმნება დიდი ტომთა კავშირები“ (**სინ 1970 540**). ისინი ისე ძლიერნი იყვნენ, რომ პომპეუსის ძლევამოსილმა არმიამაც მათთან ვერაფერი გააწყო. ამიტომ არჩევდნენ ან არ შეხებოდნენ მთიელებს, ანდა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ მათთან. ადგილობრივ ხელისუფლებს, პონტოს მმართველებს, კიდევ უფრო შეზღუდული შესაძლებლობანი ჰქონდათ მთიელთა მორჩილებაში მოსაყვანად. „ყველა პირობებში ადგილი აქვს მთიელთა ინტენსიურ ჩამოსახლებას ბარის რაიონებში... ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა ზოლში აქტიური როლის შესრულებას იწყებენ ლაზები[1]. ეს მეგრულ-ჭანური ტომიც შეიძლება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან ჩამოსახლდა“ (**იქვე**).

ამ პროცესმა გარკვეული პოლიტიკური შედეგები გამოიწვია, რომმა ვერ შეძლო კოლხეთის საკუთარ პროვინციად გადაქცევა და ახალი მოსახლეობის „ჩამოწოლამ“ განაპირობა რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის შექმნა. რომელთაგან არიანე (ახ. წ. II ს.) ასახელებს „მახელონებისა და ჰენიოხების“, „ლაზების“, „აფშილებისა“ და „აბაზგების“ სამეფოებს.

გ. მელიქიშვილის ამ შეხედულებას არ იზიარებს ნ. ლომოური. მისი

---

1 ეხება რა ლაზების უფრო ადრინდელ ისტორიას გ. მელიქიშვილი ფრთხილობს, მაგრამ მაინც ეთანხმება პ. უშაკოვს, რომელიც ურარტელი მეფეების იშუთინის და მენუას (ძვ. წ. IX ს-ის დამლევს) წარწერებში მოხსენებულ ლუსას ტომს ლაზებთან აიგივებდა. ხოლო თვითონ ამ ტომის ლოკალიზაციას ოძრხესა და კლარჯეთის მეზობლად გარაუდობს (**სინ 1970 : 382--383**).

აზრით ის საბუთი, რომ ჩამოსახლებულად ჩათვლილი ტომები კოლხეთის ტერიტორიაზე, ახ. წ. დამდეგამდე, წყაროებში არ იხსენიებიან, მაინცდამაინც, მყარი არ არის. ბერძენი მწერლები ბიჭვინთიდან ჭოროხის შესართავამდე ერთ ხალხს —კოლხებს იმიტომ ასახელებენ, რომ აქ მათი სახელმწიფო არსებობდა. „კოლხეთის ერთიანი სახელმწიფოს არსებობის ხანაში,—შენიშნავს იგი,—ძველი წყაროები არ ასახელებენ ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ტომებს" (**ლომოური 1968 : 17**). შემდეგ ვითარება იცვლება. კოლხეთი ხდება რომის, პონტოს და ბოსფორის სახელმწიფოების ბრძოლის ასპარეზი. ეს არღვევს კოლხურ ტომთა, ისედაც სუსტ კონსოლიდაციას. ხდება მათი დამოუკიდებლობის ზრდაც. თანაც რომი უფრო დაინტერესებულია და უკეთ ეცნობა აქაურ რეალურ მდგომარეობას. ამის გამო რომაულ მწერლობაში უფრო დაწვრილებითი ცნობები ჩნდება ამ რეგიონის შესახებ. „კერძოდ ჩნდება ცნობები იმ ტომთა შესახებაც, რომლებიც მანამდეც მოსახლეობდნენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მათი სახელწოდებანი იფარებოდა კოლხებისა და კოლხეთის ზოგადი სახელით" (**იქვე : 18**).

ნ. ლომოურის აზრით, თუ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჯიქების ჩამოსახლება წამდვილი ფაქტია, ხოლო აფშილებისა და აბაზგების ჩამოსახლების საწინააღმდეგო პირდაპირი ცნობები არა გვაქვს, გაცილებით უფრო რთულად დგას სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხი. ანტიკური წყაროები აქ მცხოვრებ იმდენ ტომს ასახელებენ, რომ მათი რეალური მნიშვნელობის გარკვევა ძალზე ძნელია. ეს თეზისი (და მას არ უარყოფს გ. მელიქიშვილიც) ყველაზე უფრო გამოკვეთილად ვრცელდება ლაზებზე. მათი დაკავშირება „ლუშასთან", ნ. ლომოურის აზრით „მეტად ხელოვნურად გამოიყურება და ვერ ჩაითვლება საკმარის საბუთად ამ ტომთა გაიგივებისათვის და მათი გადასახლების მტკიცებისათვის" (**იქვე: 21**).

მაშასადამე, ნ. ლომოურის შეხედულებით, ლაზები ოდითგანვე ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ისინი იგულისხმებიან იმ ტომებში, რომლებიც სახელწოდება „კოლხეთში" იყო გაერთიანებული. ეს მოსაზრება გასაზიარებელია, თუნდაც იმიტომაც, რომ გ. მელიქიშვილის აღიარებით ჩამოსახლებული მთიელები, მართალია, ნაწილობრივ სდევნიდნენ ბარის ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ ზოგჯერ ენით მათთან ახლომდგომები ერეოდნენ მათში და პოლიტიკურ ერთეულებს ჰქმნიდნენ. ასეთის მაგალითად იგი სწორედ ლაზებს ასახელებს. მსგავსი ვითარება იყო, წერს იგი, „კერძოდ ლაზების გავრცელების ტერიტორიაზე, სადაც უკვე დიდი ხნის მანძილზე მეგრულ-ჭანური (ზანური) კოლხური ტომები მოსახლეობდნენ" (**სიხ 1970 : 541**). ე. ი. ახლადმოსულებსა და დამხდურებს შორის ფაქტობრივი განსხვავება არ ყოფილა.

მაგრამ ამის გარდა, ნ. ლომოურის მოსაზრების სასარგებლოდ აჩვენებს სხვა ფაქტებიც: ჯერ ერთი, ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ლაზების დასახლებები ვრცელდებოდა ნიკოფსიამდე და თვით ამ ქალაქის აღრინდელი

სახელი „ძველი ლაზიკა“ იყო, რაც ადასტურებს მემკვიდრეობითობას მათსა და კოლხებს შორის, როგორც ამას აგათია სქოლასტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავდა **(გეორგიკა 1936 : 50)**. მეორეც, კოლხეთის მიწა-წყალზე წარმოშობილი ზევით დასახელებული სამეფოები (მათ შორის ლაზთა სამეფო) ჩამოყალიბდნენ იმ ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ტერიტორიაზე, რომლებიც ადრე კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში არსებობდნენ „სკეპტუხიების“ სახით და თავიდანვე ავლენდნენ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩამოყალიბების ტენდენციას. ლაზთა სამეფო რომ კოლხეთის დაშლის შედეგად შექმნილ პოლიტიკურ ერთეულებში, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მტკიცე სახელმწიფო იყო, ვფიქრობთ, ადასტურებს ამ პოლიტიკური ერთეულისათვის სახელის მიმცემი ტომის ადგილობრივ ცხოვრებისა და ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციების არსებობას.

მართლაც, ბიზანტიელი ავტორები არაერთხელ მიუთითებენ ამის შესახებ. მაგალითად, არიანეს ერთ-ერთი კომპილატორი (ახ. წ. V ს.) ამტკიცებს: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყალამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და (მერე) გადაერქვათ ლაზებიო“ **(გეორგიკა 1965 : 6)**.

კოლხეთისა და ლაზიკის დახასიათება ბერძენ და ბიზანტიელ მწერლებთან დაახლოებით იდენტურია. ამიტომ თუ გვინდა წარმოვადგინოთ, როგორი საცხოვრებელი პირობები, მეურნეობა და ტიპურად დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდათ ამ ტომებს, უნდა გავეცნოთ სწორედ ამ ავტორთა ცნობებს. ეს მასალა სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და არაერთხელაა დამოწმებული მკვლევართა მიერ. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. თანაც, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიღება და უკრიტიკოდ გაზიარება არსებულ რეალობას მნიშვნელოვნად დაგვაცილებს. მაგრამ ვითვალისწინებთ რა, რომ ასეთი მუშაობა ქართულ მეცნიერებაში უკვე შესრულებულია, ჩვენი ნაშრომის სპეციფიკის გამო, ამჯერად კონტრარგუმენტების მოტანისაგან თავს ვიკავებთ.

კოლხების წარმოშობით, მათი ყოფით და ტრადიციებით დაინტერესებულა „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე (484—425). მისი მონათხრობიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იგი ნამყოფია კოლხეთში. „კოლხები,—წერს იგი,—ცხადია ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი იმაზე უწინ, ვიდრე სხვათაგან მოვისმენდი და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს. კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონ ასე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემანები არიან და ხუჭუჭთმიანები. მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხისაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინდაცვეთას... კიდევ სხვა რამის თქმაც შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ

კოლხები და ეგვიპტელები ამზადებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ" (**ჰეროდოტე 1975 : 156**).

როგორც ვხედავთ ეს ცნობა მაინცდამაინც დამაჯერებელი არ არის, მასში უფრო საყურადღებოა მითითება სელის წარმოებაზე. ხოლო სხვა ადგილიდან ჭეშმარიტებადაა მიღებული ჰეროდოტეს ნათქვამი, რომ კოლხები მოსახლეობდნენ სასპერების ზემოთ (ე. ი. ჩრდილოეთით) ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი (**იქვე: 262**).

სხვა ასპექტით იხილავს კოლხეთს ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე, განთქმული ექიმი ჰიპოკრატე (460—377). დაახლოებით 424 წელს, მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ დაწერილ თხზულებაში „ჰაერსა, წყალსა და ადგილთა შესახებ" იგი გადმოგვცემს: „ხოლო ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ (შემდეგი მაქვს სათქმელი): ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და (მათი) ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისაგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ (აქ ნაყოფი) არ მწიფდება. წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით — მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, (რადგან) სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან. (ამ ქვეყანაში) წლის დროები დიდად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან არც სიცხის მხრივ და არც სიცივის მხრივ. აქ ბევრი სამხრეთის ქარი ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა. ხოლო ეს ზოგჯერ ძლიერად და სასტიკად უბერავს და ცხელია. ამ ქარს უწოდებენ „კენხრონს" ჩრდილოეთის ქარი (აქამდე) თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როდესაც უბერავს, ის სუსტი და წუნარია" (**ყაუხჩიშვილი 1965 : 45—47**).

მ. ბერძნიშვილს მიაჩნდა, რომ კოლხეთის (ამ ქვეყანას ჰიპოკრატე „ფაზიანებს" უწოდებდა) ჰიპოკრატესეული დახასიათება გადაჭარბებით უარყოფითია და საჭიროა მას დავუპირისპიროთ ახ. წ. IV ს-ის მწერლის ავენიუსის ნათქვამი: „ნაყოფიერი ეგვიპტიდან გამოძევებული გამრჯე კოლხები სთესენ და მოსავალს მაღალი კლდის ფრიალოებზედაც კი იმკიანო" (**ბერძნიშვილი 1969 : 31**).

ვფიქრობთ, ასეთივე მნიშვნელობისაა ისტორიკოს ჭსენოფონტის

(430—355) მონათხრობიც, რომლის მიხედვითაც კოლხები მრავალრიცხოვანი და შეძლებული ხალხია. მათ ქვეყანაში გავლისას „ბერძნები დაბანაკდნენ მრავალ სოფელში, ხორაგით, რომ იყო საკმარისი“ ცხოვრობენ ისინი მთებსა და ბარშიაც. ბარში მცხოვრებლები მშვიდობიანი ხალხია. მათ ბერძნებისათვის ხარები დაუკლავთ და ისე გამასპინძლებიან. მთაში მცხოვრები კოლხები კი მეომრულად განწყობილი ტომია. მათ ბრძოლის, მარაოალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც მწყობრი საბრძოლოდ ტაქტიკა აქვთ დამუშავებული.

ბარში ბინადარი კოლხები კოშკების მსგავსად ნაგებ, ბოძებიან სახლებში ცხოვრობდნენ. ეს იმიტომ, რომ მათი ქვეყანა წვიმიანია. მიწა ნესტით და სისველითაა გაჟღენთილი. მოსახლეობა ძირითადად იკვებება: პურით, ღომით, მოხარშული წაბლით, ხილით და ხორციო. საკვებად იყენებენ დამარილებულ ზღვის ღორის ქონს. შუმ ღვინოს არ სვამენ. იგი მლაშეა. წყალგარეული კი გემოიანი და სურნელოვანია (**ქსენოფონტი 1967 V, 2 და 24**).

კოლხური სამშენებლო საქმის ვრცელი დახასიათება ეკუთვნის რომაელ არქიტექტორს ვიტრუვიუსს (ძვ. წ. I ს.). „კოლხთა ხალხი პონტოში ხეტყის სიუხვის გამო,—წერს იგი,—პირდაპირ ღედამიწაზე ალაგებს მარჯვნივ და მარცხნივ მთელ-მთელ ძელებს და ამ ორ წყებას შუა ტოვებს აღგილს, ძელების სიგრძის ოდენას; შემდეგ ამ ორ წყებათა ორივე ბოლოში ალაგებს გარდიგარდმო ორ სხვა წყებას; ამრიგად შემოევლება წრე მათ შუა მდებარე ბინას (ე. ი. საცხოვრებელ ფართობს). შემდეგ კოლხები ოთხივე მხარეზე—შენაცვლებით ორ ერთი მეორის მოპირდაპირე მხარეზე ალაგებენ ზედ ძელებს ისე, რომ კუთხეებს აერთებენ და კედლებს წარმოქმნიან, და ფუძის შვეულად აგებენ ქოხებს, ხოლო ხარვეზებს, რაც რჩება ძელებს შუა. მასალის სისქის გამო, ისინი ავსებენ ნაფოტებით და თიხით“ (ციტირებულია: **ბერძნიშვილის მიხედვით 1969 : 32**).

რომაელი არქიტექტორის მიერ აღწერილი მშენებლობის ეს წესი, როგორც გ. ჩიტაია გადმოგვცემს, ჩვენს დრომდე ყოფილა შემორჩენილი ქვაბლიანში (ალიგენის რაიონი)[1].

ლაზების რომაელებთან პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობის შესახებ საგანგებოდ ჩერდება პროკოპი კესარიელი. იგი გვიამბობს: „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ და არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს... ისე რომ არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს, და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად,—რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს—და მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ

1 გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მიმომხილველი“, თბ., 1926, გვ. 145.

რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მარილი ჰქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რამე სიკეთე; ისინი მხოლოდ აწვდიდნენ ტყავსაფარებს, ტყავებს და მონებს და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდნენ" (**გეორგიკა 1965 : 72--73**).

გაცილებით დაწვრილებითაა დახასიათებული ლაზები აგათია სქოლასტიკოსთან: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზე მბრძანებლობენ: ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომელიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონის სახე მიუციათ" (**გეორგიკა 1936 : 50--51**).

ბერძენ და ბიზანტიელ ავტორებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ეგრისის ბუნებრივი სიმდიდრეც. მათ ცნობებში, უპირველესყოვლისა, წინა პლანზეა წამოწეული ამ ქვეყნის სიმდიდრე ტყეებით. ხე-ტყე მათ აინტერესებდათ, როგორც გემსაშენი მასალა. „დაბურულ ტყეებზე", როგორც ვნახეთ, ლაპარაკობდა ჰიპოკრატე. სტრაბონი კი ასე მსჯელობდა: „ქვეყანაში (კოლხეთში.—გ. მ.) კარგი ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა (მოიპოვება) ნავთსაშენი ყოველივე მასალა: რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის: (ქვეყნის) გარეოაც კი გააქვთ" (**სტრაბონი 1957 : 123--124**).

როგორც ვხედავთ, სტრაბონის გადმოცემით, კოლხეთის გემთსაშენ მასალებს საექსპორტო დანიშნულებაც ჰქონია. უნდა ვიფიქროთ, რომ, ალბათ, გემების აგებისათვის გამოიყენებოდა კოლხების მიერ უხვად მოპოვებული ფისი და ცვილიც.

ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა: „ფაზისში არისო პატარა ძროხები, რომელთაგან თითოეული ბლომად იძლევა რძესო" დიდი ფილოსოფოსის ეს ცნობა არქეოლოგიური მასალითაც არის დადასტურებული (**ბერძნიშვილი 1969 : 36**).

კოლხეთში ადრევე აუთვისებიათ მდინარეთა მიერ ჩამოტანილ ქვიშრობიდან ძვირფასი ლითონების მოპოვების თავისებური წესი. სტრაბონი მოგვითხრობს: „ამბობენ რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვთ, ხოლო ბარბაროსები (სვანები.—გ. მ.) აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს ვერძზე" (**სტრაბონი 1957 : 26**). ახ. წ. II საუკუნის ავტორი აპიანე ასეთსავე ცნობას სხვაგვარი ვარიანტით იძლევა: „მრავალ წყაროს,—წერს იგი,—კავკასიიდან ჩამომდინარეს, თან მოაქვს შეუმჩნეველი ოქროს ქვიშა; მახლობლად მცხოვ-

რებნი წყალში უშვებენ ცხვრის ხშირმატყლიან ტყავებს და აგროვებენ მათზე მიკრულ ოქროს ქვიშას. იქნებ ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც" „ოქრომრავალ" კოლხეთში ძვირფასი ლითონის მოპოვების ბერძენ ავტორთა მიერ აღწერილი წესი, რომ ნამდვილად არსებობდა და გვიანამდე იყო შემორჩენილი, ამის დემონსტრაცია მოუწყვეს ცნობილ ინგლისელ მოგზაურს ტიმ სევერინს, 1984 წელს, მდ. ენგურის პირზე მცხოვრებმა სვანებმა.

ზევითმოტანილ ჰეროდოტესა და სტრაბონის ცნობებში კოლხების ერთერთ სიმდიდრედ დასახელებულია სელი და კანაფი. ჰეროდოტე განსაკუთრებით აღნიშნავდა კოლხური სელის მაღალ ხარისხს. მისგან მიღებული ტილო ცნობილი ყოფილა სარდონულის სახელით და წარმატებით უწევდა მეტოქეობას ძველ სამყაროში განთქმულ ეგვიპტურს. მაშასადამე, კოლხური ტილოს ხარისხზე მსჯელობა იმასაც გულისხმობს: იგი იმდენი რაოდენობით მზადდებოდა, რომ საექსპორტო საგანიც იყო. ე. ი. ამ პროდუქციის წარმოებაში ჩართული იყო მრავალრიცხოვანი და კარგად დახელოვნებული მეწარმეთა ჯგუფები.

ძველი ბერძენი ავტორები ყურადღებას უთმობენ ეგრისის კიდევ ერთ, თავისებურად ეგზოტიკურ, სიმდიდრეს—კოლხურ ხოხობს. რომელზედაც დიდი მოთხოვნილება ყოფილა ბერძნულ და რომაულ არისტოკრატიულ საზოგადოებაში. გემოვნებიანი მომხმარებელი ამ დელიკატესში დიდ საფასურს იხდიდა. მ. ბერძნიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა და დაადგინა იმ ავტორთა სია, რომელთაც ეს ფრინველი ჰყავდათ მოხსენიებული. ასეთი აღმოჩნდა 14 (**ბერძნიშვილი 1969 : 36—37**). მისივე აზრით: ინტერესს არაა მოკლებული არც ის, რომ ძველ სამყაროში ამ ფრინველის სახელი. მდინარის და გავრცელებულობის მიხედვით შერქმეული, უცვლელად გავრცელდა ბერძნულსა და ლათინურში, ხოლო აქედან გადავიდა ევროპულ ენებშიაც. ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს ევსტათე თესალონიკელის სიტყვები: „ფაზიანიდან მგონი, მიიღეს თავისი სახელი ხოხბებმა, იმიტომ, რომ იქ მრავლად ბუდობენ" (**იქვე: 37**).

კოლხეთთან და შემდეგ ლაზიკასთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობის საგანი იყო მონების გაყვანა. მართალია, იშვიათი შემთხვევაა, როცა კერამიკულ ნაწარმზე ან მონათა სიაში კოლხია დასახელებული, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ კოლხეთი, რომელიც არ შედიოდა აქემენიდების იმპერიაში და მაინც ხუთ წელში ერთხელ სპარსეთს უგზავნიდა 100 გოგონას და ამდენსავე ვაჟს, აქედან გასაყვანი მონების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობაზე მიუთითებს (**ჰეროდოტე 1975 : 227**).

ბერძენი მწერლების ცნობების გათვალისწინებით, ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა კოლხი (ლაზი) მეომრის აღჭურვილობა. მისი აზრით იგი საკმაოდ პრიმიტიული ყოფილა და შედგებოდა ხის მუზარადის, პატარა ხარისტყავგადაკრული ხის ფარის, მოკლე შუბისა და ხანჯლისაგან (**Джавахишвили 1905 : 64; შდრ. ჰეროდოტე 1975 : 435**).

ეგრისის (ლაზიკის) პოლიტიკური ისტორიის შესახებ ჩვენ ქვევით მოგვი-

წევს მსჯელობა. ამჯერად კი საჭიროდ ვთვლით შევნიშნოთ, რომ, როგორც თ. ბერაძემ გამოიკვლია ამ ქვეყნის ადრეული შუა საუკუნეების ხანის სახელწოდება—ლაზიკა, დაახლოებით XI საუკუნიდან შეიცვალა ტერმინით „სამეგრელო“ **(ბერაძე 1967 142)**. მას ეს პროცესი ასე ესახება: ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთ-ერთი მოსახსენებლიდან ჩანს, რომ ლაზიკას საეგროსთან აიგივებდნენ. (დოკუმენტში წერია: „ქრისტეს მოწამეთა შორეული ექსორიობად დაასაჯა ლაზიკიანად წოდებულსა სოფლებსა ესე იგი არს საეგროს“).[1] საეგროს იცნობს თამარის ისტორიკოსიც, მისი მნიშვნელობა ცხადია. იგი აღნიშნავს ეგრების ქვეყანას. „XII საუკუნისათვის ტომობრივი სახელი ეგრი დიდი ხანია შეცვლილი იყო მეგრელით“. ამიტომ საეგროც შესაბამისად უნდა შეცვლილიყო სამეგრელოთი. ე. ი. **ის** სუფიქსით ნაწარმოები ეგრის-ი, ხელოვნურად შეიცვალა უფრო თანამედროვე გეოგრაფიული პრეფიქს—სუფიქსით **სა-ო**-თი და მივიღეთ „სამეგრელო“ **(იქვე: 143)**. ამ ტერმინის ხმარების პირველ მაგალითად მკვლევარს მოჰყავს ადგილი მაქსიმე აღმასარებლის ცხოვრების კიმენური რედაქციიდან, რომელიც ექვთიმე ათონელის, კალამს ეკუთვნის და, სადაც წერია: „ღვთით დალოცვილმან მეფემან და ყოველთა ბჳეთა და მთავართა... სამართლიანად განჩინებად ესე განვაჩინეთ... წარგავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და პყრობილობასა კერძოდ სამეგრელოსა... და წარავლინა ექსორიობად სამეგრელოს“...[2] **(იქვე : 142)**.

ისედაც ცხადია, მაგრამ ჩვენ სხვა დოკუმენტიდანაც **(გეორგიკა 1941 40)** ვიცით, რომ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნახსენები ქვეყანა „სამეგრელო“ იგივე ბერძნული ლაზიკაა და იგი იხმარება დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დიდი ნაწილის შიდა და ქვემო ეგრისის მნიშვნელობით.

VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი პროკოპი კესარიელი ლაზიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიიჩნევს მოხირისს. ქართული წყაროები ასეთი სახელწოდების რეგიონს არ იცნობენ. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მისი იდენტიფიკაციის რამდენიმე ცდა.

პროკოპის თხზულების ქართულად მთარგმნელი და გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი მოხირისს ცხენისწყალსა და რიონს შორის მდებარე მიწა-წყლად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ეს იყო მხარის სახელი და არა ქალაქისა **(გეორგიკა 1965 : 208--209)**. მაგრამ პროკოპი ერთგან ამავე სახელით ქალაქსაც იხსენიებს.[3] ახასიათებს რა ფაზისის მარჯვნივ მდებარე ლაზიკის ქალაქებს იგი წერს: „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“ **(იქვე: 101)**. ამიტომ ს. ყაუხჩიშვილმა პროკოპის მიერ აღწერილი საომარი ოპერაციებით მოცულ მხარეში ჩამოთვა-

---

[1] თ. ბერაძე იმოწმებს კ. კეკელიძის „ეტიუდების“ III ტომს, თბ., 1955, გვ. 300.

[2] დამოწმებულია: კ. კეკელიძე, კომენტ., თბ., 1918. გვ. 93.

[3] დ. მუსხელიშვილი ამ ქალაქთან აიგივებს პტოლემაიოსის მიერ დასახელებულ ქალაქ მეხლესოსს (ვარ. მეხრესოსი) და შესაძლებლად მიაჩნია, რომ იგი შეიძლება იყოს სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლაგომთან დამოწმებული მუხურას ციხე **(მუსხელიშვილი 1977 : 88)**.

ლა მოხირისთან მიმსგავსებული ტოპონიმები: მუხურა (სკანდის ჩრ-ით), მუხური (ერთი— სენაკთან, მეორე— ჩხოროწყუს რაიონში) და მუხურჩა (მარტვილის რაიონში), მაგრამ ვერც ერთი მათგანი გეოგრაფიული მდებარეობით და მნიშვნელობით პროკოპის მიერ აღწერილს ვერ მიუსადაგა და ივარაუდა: „ამ რაიონში დღეს ეს სახელწოდება „მოხირისი" (მუხირისი) თითქოს აღარ ჩანს (შესაძლებელია ამის გადმონაშთს წარმოადგენდეს სოფელ „მუხიანის" სახელწოდება-ო)" (**იქვე: 209**).

ბ-ნ სიმონს ამ ვარიანტზე უფრო სარწმუნოდ მიაჩნდა ნ. ბერძენიშვილის მიერ 1930 წელს, სოფელ დაბლა გომთან, სამხარეო მცოდნეო ძიებების შედეგად, აღმოჩენილი ტოპონიმი მუხური, რომლის „აღმოსავლეთით 4—5 კმ. მანძილზე მუხურის ციხეც მდებარეობს" (**იქვე: 210**).

ამ ლოკალიზაციამ ევროპელი ქართველოლოგების ყურადღებაც მიიქცია. ბელგიელი მეცნიერი პ. პეეტერსი წერდა: „ბატ. ყაუხჩიშვილი არც კი მოელის, ალბათ რომ მთელი ქვეყნის მეცნიერები დაეწაფებიან ამ ახალ ინფორმაციას, ისევე როგორც სხვა სასარგებლო ცნობებს, რომელთაც აწვდის მათ მისი ნარკვევი" პეეტერსი განსაკუთრებით „სასარგებლო ცნობად" თვლიდა იმას, რომ: „მუხირისი იყო ნამდვილად ლაზეთის მიწა-წყალზე და მოიცავდა ქუთაისის მხარის ერთ ნაწილს. აქ იყო აგრეთვე იმავე სახელწოდების ციხე, რომელიც მდებარეობდა ერთი ღღის სავალზე ქუთაისსა და არქეოპოლისს შუა" (**იქვე: 110**).

პროკოპისა მონათხრობის დამსრულებლის, აგათია სქოლასტიკოსის ცნობების ანალიზის საფუძველზე, ს. ყაუხჩიშვილმა ისიც დაადგინა, რომ ქუთაისი და მოხირისი ერთ სტრატეგიულ ხაზზე მდებარეობენ და „რიონზე (ქუთაისში) დაბანაკებული ჯარისათვის მოხირისი მატერიალურ, სასურსათო ბაზას წარმოადგენს" (**იქვე: 209**).

ზევით ნათქვამიდან, ალბათ, სწორი იქნება თუ გამოვიტანთ დასკვნას, რომ მოხირისი იყო ციხე-ქალაქი, მდებარე სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვან ადგილზე ქუთაისსა და არქეოპოლისს შორის. მანვე მისცა სახელწოდება რიონის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ვრცელ რეგიონს. ამას ადასტურებს ნ. ბერძენიშვილის შემდეგი დასკვნა: „მოხირისი რამდენიმე ერთეული უნდა ყოფილიყო: ქვილიშეთის ქვეყანა (ხომულის ქვეყანა), ქუთაისის ქვეყანა, ოჩხომურის ქვეყანა (ფართე გაგებით მოხირისი მთელ ვაკეს მოიცავდა და უფრო მეტს)... ციხე მაშინ უქვეყნოდ არ წარმოიდგინებოდა და ამიტომ იყო, რომ ქვეყანას ციხის სახელი ერქვა, ხოლო ციხეს ქვეყნის სახელი" (**ბერძენიშვილი 1975:515**).

პრობლემატურია თვით სახელწოდება „მოხირისის" ეტიმოლოგიის საკითხიც: მკვლევართა მოსაზრებანი ამ თემაზე შეჯამებული აქვს გ. ჟორდანიას. სურათი ასეთია: ალ. ცაგარელის განმარტებით მუხური მეგრული სიტყვაა და ნიშნავს კუნძულს. ი. ყიფშიძის მიხედვით მას იმავე ენაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. სახელდობრ: „მხარე, კუთხე, კუნძული, ქვეყანა". ა. თოდუას მიერ მოწოდებულ ცნობით: „მუხურით" აღნიშნავენ „ორ მდინარეს შორის მოქცეულ მიწას", ანუ მუხურო განმარტებულია, რო-

გორც „კუთხე, მხარე", მ. ალავიძის „ლეჩხუმურ ლექსიკონში" მუხური არის „სახლის კუთხე" (გ. ჟორდანია 1956:58-59).

როგორც ვხედავთ დასახელებულ განმარტებათა შორის დიდი შინაარსობრივი სხვაობა არ არის. ამიტომ გ. ჟორდანია უდავოდ თვლის: „მეგრულად „მუხურს" აქვს საზოგადო სახელის მნიშვნელობა. იგი აღნიშნავს ქვეყანას, კუთხეს, მხარეს" (იქვე: 58). ოღონდაც, მას გასარკვევად მიაჩნია საკითხი ეს საზოგადო სახელი რეგიონისას შემთხვევით დაემთხვა, თუ იგი წარმოშობილია, რომელიღაც „ძველი ხალხის საზოგადო სახელისაგან" იგი იმოწმებს რამდენიმე ანალოგიურ შემთხვევას (ტაოხებიდან წარმოშობილი მხარის სახელი ტაო, მესხებიდან სამცხე, კოლხებიდან—კოლხეთი, ვენეტებიდან—ვენეცია, ლივებიდან—ლივონია და მრ. სხვ.) და დაასკვნის „ხალხებისა და ტომების ეთნიკური სახელწოდებიდან ადგილის (ქალაქების, ოლქების, ქვეყნების) სახელწოდებების წარმოშობის შემთხვევები არ არის იშვიათი" (იქვე: 59). ამდენად, „სავსებით შესაძლებელია ასევე გადასულიყო „მეხურლებ"-ის სახელწოდება „მოხირისზე", „მუხურისზე" „მუხურზე" ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი სახელწოდება ადგილისა საკმაოდ ხშირია და თანაც გავრცელებული ჩანს გარკვეულ რაიონში" (იქვე: 60).

ხოლო, რაც შეეხება საკითხს თუ ვინ იყვნენ თვით „მუხურელნი", სწორედ ამის ამოხსნას ეთმობა პატ. გ. ჟორდანიას დამოწმებული მონოგრაფია. „მუხურელნი" ავტორს მიაჩნია ისეთივე წარმოშობის ტერმინად როგორიცაა „მეგრელი", „მეგვიპტელი", და თვლის, რომ ამ სიტყვით აღინიშნებოდა „ხური", „ხურიტი" ხალხი (ვინაობის აღმნიშვნელი ქართული მე პრეფიქსისა და ელ სუფიქსის ხურ-ზე დართვით მრ. რიცხვში მიიღება მე-ხურ-ელ-ნი).

ძველი აღმოსავლეთის ისტორიულად ცნობილი სახელმწიფო „ურარტუ დასახლებული იყო ხურის მოდგმის ხალხით, ხურიტებით" (იქვე: 29). ძველი ასირიისა და ურარტუს მეტოქის „დიაუხის სამეფოს მოსახლეობა ეთნიკურად ახლოს უნდა მდგარიყო ხური-ურარტულ ტომებთან, და ამ ადგილების მოსახლეობის ძირითად ბირთვს ხური ურარტელი ტომები წარმოადგენდნენ"... „ქვეყნის სახელი „დიაუხი" ხურიტული სახელია" (იქვე: 67).

ურარტუსა და დიაუხის სახელმწიფოების დასუსტების „შემდეგ დაწყებულა კოლხას სამეფოს გაფურჩქვნა. მის ფარგლებში მოექცა შავი ზღვის სამხრეთისა და აღმოსავლეთის სანაპირო ტერიტორიის ნაწილი" (იქვე). კოლხეთის სახელმწიფოს მოსახლეობა გახდა კულტურული მემკვიდრე დიაუხის ცივილიზაციისა. ამ პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესში ეთნიკური და ენობრივი ნაკადების ფართოდ გავრცელებას ჰქონდა ადგილი. ა. სვანიძისა და გ. მელიქიშვილის მიერ მოკვლეული მასალებით სიტყვები: ყირა (მიწა) (А. Сванидзе 1937 : 41), ივრი (ბატონი), თარი (ძლიერი), არი (მომეც) და სხვ. ქართულში ხური—ურარტულიდანაა შემოსული (სინ 1970 : 398).

დიაუხისა და კულხას მეშვეობით ხურიტების გავლენა უპირატესად კოლხეთის ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო. „უდავოა,—წერს გ. ჯორდანია,—რომ ეს ხურის მოდგმის დიაუხის ხალხი დატოვებდა თავის კვალს როგორც სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიკაში (სადაც გვხვდება მემატიანის „ჰური“ ქაჯთა ქალაქი)[1], ისევე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაშიც, სადაც საფიქრებელია, ამ ხური ხალხისაგან არის წარმომდგარი „მოხირისის“, „მუხურის“ სახელწოდება“ (**გ. ჯორდანია 1956 : 62**).

დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას, რომ მოხირისი იყო ქალაქი (თუ ციხე) და შემდეგ მისი სახელი დაერქვა საკმაოდ ვრცელ, ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიონს. თანაც გავიხსენოთ: პეეტერსი ყაუხჩიშვილის კვალდაკვალ ასკვნის—„მუხირისი... მოიცავდა ქუთაისის მხარის ერთ ნაწილსო“.[2] ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, მთლად ზუსტი არ უნდა იყოს „მუხირისის“ „სამოქალაქოსა“ და „ქუთაისის ქვეყნის“ სინონიმებად გამოცხადება და მით უფრო წყაროებში დაუდასტურებელი კომპოზიტის „ქუთათისის - „მუხირისის“ სამეცნიერო ნომენკლატურაში შემოტანა.

გ. ჯორდანიამ მუხურისთან დაკავშირებული, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დასახელებული, ტოპონიმების რიცხვი ოთხიდან ათამდე გაზარდა (**ჯორდანია 1956 : 56--58**). ზოგი ახლად დასახელებული პუნქტი, ალბათ, „გეორგიკის“ შემდგენისთვისაც იყო ცნობილი, მაგრამ მისი ძიება შეეხებოდა „დიდი ომიანობის“ დროს საბრძოლო ოპერაციებით მოცულ ტერიტორიას, და არა მთელ კოლხეთს, რომლის მიწა-წყალსაც მიმოიხილავს „მეხურელნის“ ავტორი.

ჩვენი აზრით „მუხურ“ ფუძის მქონე ტოპონიმების არსებობა მდ. ზუსას სათავეებიდან მდ. ბზიფის ხეობამდე მიუთითებს, რომ გ. ჯორდანიას ვარაუდი ხურიტიზმების ქართველურ სამყაროში გავრცელების გზის შესახებ დასაზუსტებელია. როგორც ვთქვით, მისი აზრით ეს მოხდა „ხური მოდგმის დიაუხი ხალხის“ მიერ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დატოვებული კვალის შედეგად. მაგრამ ამ შემთხვევაში პასუხგაუცემელი რჩება კითხვა ჰორორხის აუზში მცხოვრებმა ხალხმა, როგორღა გაავრცელა თავი-

---

[1] იგულისხმება ლეონტი მროველის ცნობა: ჯავახოს „აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური“ (ქ. ცხ. **1955 : 10**). და მისივე: „ესე ყოველნი (იგულისხმება ჭუკი, ოვსები, ანტიოქელი სომხები.—გ. ძ.) შეკრიბნა ფარნავაზ და მიუგება ნაქალაქევსა თანა არტანისა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (იქვე: **23**). ლეონტის პირველი ცნობა ვახუშტის მცდარად აქვს გაგებული. ამიტომ წერს: „ჯავახეთის მტკვარსა ზედა, სამხრეთისაკენ, კიდეზედ არს წუნდა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღუდვილი, ჯავახოს მცხეთოსის ძემან. ამასვე უწოდეს ჰური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთა ტუნი და მერე ეწოდა ქაჯთა ციხე“ (ქ. ცხ. **1973 670**).

ლეონტის ორგზის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ჰური ანუ ქაჯთა ქალაქი იყო არტანში და არა ჯავახეთში. ეს სახელი მიეკუთვნებოდა ნაქალაქევს და არა წუნს (წუნდას).

2 ორივენი კი ეყრდნობიან პროკოპისა და აგათიას მონათხრობს რომელშიაც, მართალია, ჭუთაისი და მოხირისი ხშირად იხსენიება ერთად, მაგრამ ყოველთვის ნიშნავს ორ სხვადასხვა დასახელებულ პუნქტს და არა ქალაქსა და მის მხარეს.

სი გავლენა ნაქერალას ქედიდან (საიდანაც გამოედინება მდ. ზუსა) ბზიფის ქედამდე?[1]

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოვიშველიოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული შეხედულება ქართველური მოსახლეობის სამხრეთიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაკადებად გავრცელების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ ნაკადს მესხები შეადგენდნენ.

გ. მელიქიშვილს მესხების (მუშკების) თავიანთი ძირითადი საცხოვრისიდან (ფრიგიიდან) აყრის მიზეზად ურარტუს მეფე რუსა II-ისა და მისი მოკავშირეების კიმერიელების მიერ, ძვ. წ. 676 წელს, მესხების დამარცხება მიაჩნია. მისი ვარაუდით ბრძოლის დროს „მესხების ნაწილი ალბათ გაიჟლიტა, ნაწილი კი აიყარა და ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთს შეაფარა თავი... შემდეგ მესხები აქედან კიდევ უფრო ჩრდილოეთით გავრცელდნენ. მესხური სამოსახლონი უნდა გაჩენილიყო, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ერთ-ერთი ასეთი მესხური სამოსახლო გაჩნდა ალბათ დღევანდელი მცხეთის ტერიტორიაზეც" (**სინ 1970 395**). როგორც ვხედავთ, მკვლევარი აღიარებს მესხთა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების ფაქტსაც, ოღონდაც, მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში (**იქვე: 397**). რასაც მისი აზრით ადასტურებს მდ: ხანისწყლის ხეობაში მდებარე ციხე-ქალაქი „დიმნა", რომლის აგება ფარნავაზს მიეწერება, ხოლო სახელი „დიმნა", გურიაში დაცული ტოპონიმი „ტელეფისი" და ზოგიერთი სხვა მცირე აზიური წარმოშობისად ითვლება. მათი შეტანა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარა აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ჰეგემონიის ამ რეგიონზე გავრცელების გამო (**იქვე: 396—397**). იბერიაში კი მცირე აზიური რელიგიური შეხედულებები და ეთნო-ტოპონიმიკა მუშქების (მესხების) შემოტანილად ითვლება.

მაგრამ ეს იყო ერთი ნაკადი. მ. ინაძე კი, როგორც უკვე ვთქვით თვლის, რომ ურარტელთა მიერ მუშქების სამეფოს განადგურებას შედეგად მოჰყვა ქართველური ტომების—ბიძერების, კატარზების გადანაცვლება კულხას ყოფილი სამეფოს ცენტრისაკენ. ამ „ეთნო-პოლიტიკურ პროცესებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სამხრეთით მდებარე ოლქებიდან კოლებად წოდებული ტომის და მესხთა ერთი ნაკადის მიგრირება ჩრდილოეთ კოლხეთის მთაგორიან ადგილებისაკენ" (**ინაძე 1992 : 19**).

კოლხეთის ვრცელ ტერიტორიაზე მესხთა განსახლებას ადასტურებს არა მარტო ტოპონიმიკური („მცხეთაში"—სვანეთში) და საკულტო მასალა (ტელეფინუშის ხსენება სვანურ საგალობლებში), არამედ ძველი ბერძნული წერილობითი ძეგლებიც. მაგალითად, ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V

---

[1] გ. ჯორდანიას დაზუსტებული აქვს გეოგრაფიული კოორდინატებიც მდ ზუსას სათავეში ლოკალიზებული სოფ. მუხურას განედია 42°—20', გრძედი კი—43°-6', ხოლო ბზიფის ქედზე მდებარე მთა მუხურშასი შესაბამისად—58—30 და 43—30. (**ჯორდანია 1956:47 და 58**).

ს.), ფსევდო—სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. VI ს.), პალიფატე აბიდოსელი (ძვ. წ. IV ს.) მოსხებს მოიხსენიებენ კერკეტების (ჩერქეზების), ჰენიოხების, კორაქსების (კოლხების?), ქარიმატების მეზობლებად. დასახელებული ტომები კი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ. მითრიდატეს ისტორიკოსების დამოწმებით ამასვე ადასტურებს სტრაბონიც. მაშასადამე, მესხების ჩრდილოეთ კოლხეთში ბინადრობის შესახებ „ძვ. წ. V საუკუნიდან მაინც ძვ. წ. I საუკუნემდე რაღაც გაბმული საისტორიო ტრადიციის არსებობაა სავარაუდო“ (**მიქელაძე 1974 : 22**).

ახ. წ. VI საუკუნეში კი პროკოპი კესარიელი საგანგებოდ ჩერდება „იბერიის ქვეშევრდომ მესხებზე, რომელთა მხარე „სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწისმუშები არიან და იქ ვენახებიც არის“ მათი მთებიდან ჩამოდის მდინარე ფაზისი. იგი „პონტოს ერთვის ნახევარმთვარა ნაპირის (ე. ი. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს.—გ. მ.) შუაში“ (**გეორგიკა 1965 : 127**). „მაშასადამე,—დაასკვნის თ. მიქელაძე,—სრულიად ცხადია, რომ მესხურ ტომებს ახ. წ. პირველ საუკუნეებში თანამედროვე რაჭა-ლეჩხუმი ეკავათ“ (**მიქელაძე 1974 : 22**).

მესხთა ამ ნაკადის გავრცელებას დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე ისეთივე შედეგები მოჰყვა, როგორიც ისტორიული იბერიის მიწა-წყალზე. კოლხეთის ეთნონიმიკასა და ტოპონიმიკაში ეს აისახა სახელების: მეხურელნი, მოხირისი, მუხურა, მუხურჩა, მუხურშა, მცხეთაში, დიმნა, ტელეფინუს და სხვ. შემოტანა — დამკვიდრებაში.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის მესხთა ეთნიკური კუთვნილების საკითხიც. რა თქმა უნდა იგულისხმება მათი კუთვნილება ქაროულ ეთნიკურ ჯგუფებთან: ქართებთან, ზანებთან და სვანებთან.

ნ. ბერძენიშვილი არაერთხელ შენიშნავდა, რომ მესხებს საკუთარი ენა გააჩნდათ (**ბერძენიშვილი 1975 : 245**), რომ ქართიზაციის პროცესი ეხებოდა არაქართ მესხების „ცალკე ტომს“ (**იქვე: 405**), რომ მესხები ეთნიკურად ისევე შორს იდგნენ იბერიელებისაგან, როგორც „აფშილია, სკვიმნია და სვანია საკმაოდ შორს იდგნენ ლაზებისაგან“ (**იქვე: 487**), რომ მესხები ისევე არაქართი ტომი იყო, როგორც სანები, ალვანელები (ჰერები), შანები, ეგრები, თუშები და სხვ. (**იქვე: 364**). ამ შენიშვნებიდან ირკვევა, რომ ბ-ნი ნიკო მესხებს არაქართ ტომად მიიჩნევდა. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით არ დაუკონკრეტებია იგი მათ ზანებად თვლიდა თუ სვანებად.

გ. მელიქიშვილი განიხილავს ჰეკატეოს მილეტელის (ძვ. წ. VI ს.) სახელით მოღწეულ ტექსტს, რომელშიაც მესხები „კოლხურ ტომად“ იხსენიებიან, მაგრამ ეს იმ დროინდელ ჩანაწერად არ მიიჩნია, როცა მეგრელ-ჭანებსა და ქართებს შორის ენობრივი განსხვავება ჯერ კიდევ არ იყო და წერს: „ამიტომაც მოსხების „კოლხურ ტომად“ მოხსენიება... მათ ქართველობაზე მიუთითებს და მეგრულ-ჭანურ წარმოშობაზე არაფერს ლაპარაკობს“-ო (**სინ 1970 : 397**).

იმავე წყაროს ანალიზით საწინააღმდეგო დასკვნამდე მიდის თ. მიქე-

ლაძე. მისი აზრით, პეკატეოს მილეტელი იმ დროს ცხოვრობდა, როცა ზანურ-ქართული ერთობის დაშლა ორი საუკუნის დაწყებული იყო. „ასეთ ვითარებაში,—წერს იგი,—მესხების ქართებად მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება თუ ტერმინში **კოლხური** აღმოსავლეთ-ქართული ეთნიკური ერთობის აღმნიშვნელი ცნება ვიგულისხმეთ, მაგრამ საქმე ისიცაა, რომ არათუ **კოლხი**, არამედ შეიძლება, **იბერ**ეთნიკური ცნებაც არ აღმოჩნდეს ქართის შესატყვის სახელწოდებად" (**მიქელაძე 1974 24**). შემდეგ თ. მიქელაძე იშველებს ძველ ქართულ წყაროებს და გამოაქვს დასკვნა, რომ მათი ანალიზი „შესაძლებელს ხდის იბერების მოსხურ ტომად გააზრებასაც" (**იქვე: 25**). თავისსავე ნათქვამს უმატებს მოსხების შესახებ არსებულ მასალას სტრაბონის „გეოგრაფიიდან", იმოწმებს დიდძალ ტოპონიმიკურ და ეთნონიმიკურ ნომენკლატურას და მიიჩნია, რომ „მესხსა და ქართს შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ უნდა იყოს გამართლებული" (**იქვე: 30**).

თ. მიქელაძის მსჯელობას უფრო საბუთიანს ხდის მის მიერ შესრულებული კოლხური არქეოლოგიური კულტურის მეცნიერული ანალიზი. ბრინჯაოს იარაღისა და კერამიკული მასალის შესწავლის გზით მან დაამტკიცა, რომ მოსხების განსახლების ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძები აუცილებელს ხდიან მესხეთში კოლხური კულტურის კიდევ ერთი კერის არსებობა ვაღიაროთ. ხოლო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს და რიონის ზემოწელზე კოლხური ბრინჯაოს იარაღები და კერამკა ჩნდება ძვ. წ. VI ს-ის შუახანებიდან, „როცა წერილობითი წყაროები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მოსხებს ასახელებენ" (**იქვე: 75**).

მაშასადამე თ. მიქელაძე მესხებს მეგრულ-ჭანური ეთნოსის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს.

განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს თ. მიბჩუანი. იგი იმოწმებს ნ. მარს, რომელიც სვანებს (მშანებს) მოსხებთან აიგივებდა, ანალიზს უკეთებს დღ. სვანეთის ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებს, „რომელთა ახსნა მხოლოდ ძველი ქართული ენის მეშვეობით თუ შეიძლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სვანურით" (**მიბჩუანი 1989 : 32**) და დაასკვნის, რომ მათი სახით სვანეთში შემონახულია ძველი ქართული ანუ, როგორც ნ. მარი უწოდებდა „მესხურ-სვანური ენა" (**იქვე: 42**).

მაშასადამე, თ. მიბჩუანისათვის უეჭველია სვანურენოვანი „მოსხების ბინადრობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და რიონის ზემო წელზე" (**იქვე: 47**).

უნდა შევნიშნოთ, რომ თ. მიბჩუანის მიერ გაანალიზებული ტოპონიმიკური მასალა ძლიერ საგულისხმოა, მაგრამ მისი საშუალებით მესხების სვანური ეთნიკური სამყაროსადმი მიკუთვნება მეცნიერული თვალსაზრისით სარისკო საქმეა. იგი უფრო იმას ამტკიცებს, რომ სვანურ ენაში დალექილი და შემონახულია ამ ენის ქართველურიდან გამოყოფის წინარედროინდელი ლექსიკა, რომელიც თავს იჩენს, როგორც ონომასტიკა—ტოპონიმიკაში, ასევე ორივე ენის სტრუქტურულ-გრამატიკულ წყობაში.

ვფიქრობთ, მესხების ეთნიკური კუთვნილების შესახებ ჩვენს მიერ მი-

მოხილული მთელი მასალა საფუძველს იძლევა დაეშვებისათვის, რომ მესხები მართლაც არ იყვნენ ქართები. ამაზე უნდა მიუთითებდეს X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის მიქელ მოდრეკილის საგალობლებში ნახსენები ზედსართავის „მეხურის" ინტერპრეტაცია. მ. ჯანაშვილი მას სიტყვა „სომეხურის" შემოკლებად მიიჩნევდა. ნ. მარი კი ამ სიტყვას თარგმნიდა „месхский"-დ, ე. ი. „მესხურად".

კ. კეკელიძე სიტყვა „მეხურს" უკავშირებდა ტერმინ „მეხურელნს" და კითხულობდა „ხომ არ ისესხა მან (ექვთიმე მთაწმინდელმა.—გ. მ.) ეს ტერმინი, როგორც ეროვნების აღმნიშვნელი, თავისი ძმის მიქელ მოდრეკილისაგან, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავის სტიხარში დაუსახელებია საგალობელნი მეხურნი, ბერძნული და ქართულნი" (**თსუ შრომები, ტ. VIII, 1938, გვ. 10**). რაც შეეხება ტერმინ „მეხურნი"-ს, მისივე თქმით, იგი ბერძნული სიტყვის—ხმისგან უნდა იყოს წარმოშობილი. ე. ი. სწორი არ არის ნ. მარი, როცა მას „მესხურად" კითხულობს, რადგან მიქელ მოდრეკილი ქართულ საგალობლებს ასევე ქართულ, ე. ი. მესხურ საგალობლებს არ დაუპირისპირებდა.

როგორც გ. ჟორდანია შენიშნავს, ეს არგუმენტები ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან ექვთიმე მთაწმინდელი ქართველის ქვეშ საქართველოს კი არ გულისხმობდა, არამედ იბერიელს. ე. ი. საკმაოდ მოსალოდნელია მას მესხური, როგორც იბერიულისაგან განსხვავებული ცალკე დაესახელებინა (**ჟორდანია 1956 : 67**).

ჩვენ ეს მსჯელობა საკმაოდ ლოგიკურად მიგვაჩნია. მით უფრო, რომ მას მხარს უჭერს ისეთი გამოჩენილი ავტორიტეტი, როგორიც იყო ნ. მარი. ამიტომ ვფიქრობთ მიქელ მოდრეკილის მიერ მესხური საგალობლების ბერძნულისა და ქართულისაგან განსხვავებულად მიჩნევა, მესხთა არაქართებად ჩათვლის მაჩვენებელია. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ მესხები უძველესი დროიდანვე ზანურ-ჭანურ სამყაროში ბინადრობდნენ (**ОИГ 1989 : 220**), მაშინ მათი ამავე ეთნიკური ჯგუფისადმი მიკუთვნება სრულიად მისაღებ ჰიპოთეზად გვესახება.

III. ბარე ეგრისი (არგვეთი, გურია, თაკვერი)

მართალია, იგი სამი დამოუკიდებელი ერთეულისაგან შედგებოდა, მაგრამ მისი ერთად განხილვა იმითაა გამართლებული, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში აქ ეთნიკურად ერთიანი—ქართი მოსახლეობა ბინადრობდა. რაც შეეხება ამ ეთნოსის განსახლების ტერიტორიას და საზღვრებს იგი ხშირი ცვლილებებით ხასიათდებოდა.

1. არგვეთი

მიუხედავად ზემო იმერეთის მთაგორიანი ლანდშაფტისა, აქ ადრევე განვითარებულა სოფლის მეურნეობის სამი დარგი: მევენახეობა, ხვნა-თესვითი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა (**ლომთათიძე 1955 : 358**). მევე-

ნახეობის არსებობის დასტურად მიიჩნევენ ბორში აღმოჩენილ ქვევრ-სამარხებს, რადგან მათ აშკარად ეტყობა ხშირი რეცხვისა და ღვინის ხანგრძლივად დგომის კვალი. რაც გ. ლომთათიძის დასკვნით „მოწმობს ბორიმელის ხეობაში... იმ დროს მევენახეობა-მეღვინეობის და კერძოდ, ღვინის დაყენების წესის განვითარების მაღალ დონეს" (**იქვე: 359**).

ამ მხარეში ხვნა-თესვის განვითარებაზე უნდა მიუთითებდეს ბორში აღმოჩენილ ნიველებზე ხარის კულტის დამადასტურებელი გამოსახულებანი და ხარის სამარხი. ასეთი კულტის არსებობა, ჩვეულებრივ, ხვნა-თესვითი მიწათმოქმედების, თანმდევი ფაქტია. ამ დარგის განვითარებას აქ ხელს შეუწყობდა ბორიმელას ხეობაში კარგი სახნავ-სათესი მიწების სიუხვეც.

ბორიმელას ხეობის გეობოტანიკური პირობები, ბორში მოპოვებული ხარის სამარხი, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვების ძვლები, ხარისა და ცხვრის გამოსახულებები, ცხვრის საკრეში მაკრატელი ამ რეგიონში მესაქონლეობის დაწინაურებასაც უეჭველს ხდის (**იქვე**).

გარე ეგრისის უძველესი მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებაზე ძლიერ მწირი ცნობები გვაქვს. თუ ლეონტი მროველს დავუჯერებთ პირველი თარგამოსიანების ეპოქაში, ლიხის მთის დასავლეთი მთლიანად ეგრ მოსახლეობას ეკავა.

ძვ. წ. VIII–VI ს.ს. აქ მომხდარა მესხური მოსახლეობის ინფილტრაცია (იხ. ზევით). რაც დასტურდება ახალი ტოპონიმების (დიმნა, ტელეფისი...) წარმოშობით. ძვ. წ. IV–III სს. გარე ეგრისის ქართიზაციის პროცესი საკმაოდ შორს წასული ჩანს. ლეონტი მროველის მიხედვით ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი აქ აგებს შორაპანისა და დიმნას ციხესიმაგრეებს. ნ. ბერძენიშვილი ამ ცნობას ასე ხსნიდა: „შორაპანიც და დიმნაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წინაკლასობრივი დროის გორაებია და ამდენადვე—ზანური ტომის საცხოვრისი იბერიის დიდი ექსპანსიის ხანაში („ფარნავაზის ეპოქა"), შესაძლებელია ამ გორაებს იბერიელები დაეუფლნენ, ციხე-ქალაქებად აქციეს და შემდგომში ექსპანსიისათვის საყრდენ პუნქტებად გაიხადეს" (**ბერძენიშვილი 1975: 469**). ამით აიხსნება, რომ ლაზების მიერ აგებული შორაპანი[1] ლეონტიმ ფარნავაზს მიაწერა. როგორც ირკვევა მის დროს არსებობდა გადმოცემა იბერთა მეფის მიერ არგვეთში მშენებლობის წარმოებაზე და იგი ისტორიკოსმა წერილობით გადმოსცა. ამ გადმოცემაში ასახულია სამხედრო დემოკრატიის ხანის დასასრულისა და იბერიის სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესი.

ამ პერიოდში იბერიის „დიდი ექსპანსია" ეგრისში გრძელდება. „როდესაც მცხეთის სამეფო დაარსდა, მისი პოლიტიკური საზღვრები შორაპნამდე მოიწია და მაშასადამე, შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ იბერიული მოსახლეობის არგვეთში დამკვიდრება ამ ხანას ემთხვევა. თუ არა შორაპ-

---

[1] სტრაბონისა (**სტრაბონი 1957:128**) და პროკოპი კესარიელის (**გეორგიკა 1965:185**) ცნობების ინტერპრეტაციის ნიადაგზე, შორაპანსა და სკანდას ნ. ბერძენიშვილი ლაზების მიერ აგებულ ციხე-ქალაქებად თვლიდა (**ბერძენიშვილი 1975:443**).

ნის (და დიმნას) აგება ფარნავაზის მიერ გაუგებარია: სტრატეგიულად შორაპანი თავდაცვითი ციხეა: ის ყვირილა-ძირულა-ჩხერიმელას გზებით შეჭოსეულთაგან იცავს კოლხეთს, ხოლო თუ ქართულ გადმოცემას გავიზიარებდით, უნდა გვივარაუდნა, რომ ფარნავაზმა კოლხეთის ამ ნაწილზე საბატონოდ ააგო ეს „სანაპირო“ ციხეები... საყრდენი ციხეები კოლხეთზე შეტევისათვის“ (იქვე: 442-443).

მართალია, არქეოლოგიური გათხრების შედეგები აჩვენებენ, რომ „ძირითაღი მშენებლობა ვარდციხეში III საუკუნეში განხორციელდა, სკანდაში IV ს., შორაპანში კი V საუკუნეში (**ლომოური 1968:99**), მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამ ადგილებში გამაგრებული პუნქტების უფრო აღრე არსებობის ვარაუდს.

შორაპანისა და დიმნას აგებით დ. მუსხელიშვილი უფრო გვიან მომხდარი ფაქტის ახსნის საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევა. მისი აზრით: ეგრისის მიმართ უძველესი დროიდანვე დაწყებული ქართლის სამეფოს პოლიტიკური აგრესიის შედეგად შეიქმნა არგვეთის თუ შორაპანის საერისთავო, რომელიც თავისთავად პლაცდარმს წარმოადგენდა, შემდგომი ექსპანსიისათვის ვაკე იმერეთის ტერიტორიისაკენ. ამით ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერია მუდმივი საფრთხის ქვეშ მოექცა. ეს კი იწვევს სამეფოს პოლიტიკური ცენტრის ქუთაისიდან უფრო დასავლეთით ციხე-გოჯში გადანაცვლებას „შემთხვევითი არ უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების“ მოწმობა, — წერს იგი, — რომ მაშინ როდესაც პირველი ქართველი მეფე, ფარნავაზი არგვეთში შორაპანსა და დიმნას (დღ. დიმს) აშენებს, მისი მოკავშირე და ვასალი, ეგრისის მფლობელი ქუჯი, აშენებს ციხე-გოჯს“ (**მუსხელიშვილი 1980: 83**).

როგორც ჩანს, ეს შეხედულება სწორია ლაზიკის სამეფოს გაძლიერების პროცესისათვის (ძვ. წ. IV ს.) უფრო აღრინდელი ვითარება კი გვაფიქრებინებს, რომ ქართლის პოლიტიკურ აგრესიას დასავლეთ საქართველოში წინ უძღოდა ქართი მოსახლეობის მიგრაცია და ამ ნიადაგზე ადგილობრივი ზანური ეთნიკური ელემენტის ასიმილაცია. ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ასეთი პროცესის წარმატებას ხელს უწყობდა საერთო ქართული ენობრივი სამყაროდან ზანურის გამოყოფის ჯერ კიდევ დაუმთავრებლობა. რამაც დააჩქარა და შედარებით უმტკივნეულო გახადა მიგრირებულთა აბორიგენებთან შეთვისება. თითქოს ამას უნდა ასახავდეს ქუჯის სიტყვები, რომლითაც მან ფარნავაზს მიმართა: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა; და შენ გმართებს უფლობა ჩემი... და უკეთუ მოგვეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“ (**ქ. ცხ. 1955: 22**). უფროს-უმცროსობის, ე. ი. პატრონყმობის ეს შეგნება გარეგნულად, როგორც ვხედავთ, ნებაყოფილობითია, ხოლო ფაქტობრივად, რომ მთლად უმტკივნეულოდ არ მიდიოდა ამას აჩვენებს სასაზღვრო ციხესიმაგრეების მთელი სისტემის შექმნა (შორაპანი, დიმნა, სკანდა...).

მაგრამ ქართლი ამაზე არ შეჩერდა. ფარნავაზმა ქუჯს საერისთავოდ მთელი დასავლეთ საქართველო არ მისცა. რიონსა და ლიხს შორის მან

დააწესა მარგვის საერისთავო (იქვე:24). ჯუანშერის ცნობით, მისი ტერიტორია ვახტანგ გორგასლის დროს ფართოვდება. მას დასახელებული ჰყავს „ბაკურ ერისთავი მარგვისა და თაკუერისა" (იქვე: 185). ასეთი გაერთიანება, ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს, რომ ამ დროს თაკუერიც გაქართებულია. მაგრამ ქართი მოსახლეობის ამ მხარეში მიგრაციის პროცესი, როგორც სწორად შენიშნავს დ. მუსხელიშვილი, დამთავრებული არ არის. თუმცა, მას ამჯერად (VIII-ის II ნახ.), პოლიტიკური ექსპანსიის სახე კი არა აქვს, არამედ იგი გამოწვეულია არაბთა ბატონობის დამყარებით აღმოსავლეთ საქართველოში (მუსხელიშვილი 1980:83). ამ დროს არგვეთის საერისთავო ჩამოცილებულია ქართლზე. იგი აფხაზეთის სამთავროში უნდა შემოდიოდეს. დას. საქართველოში ჰეგემონობა მოპოვებულ ამ სამთავროს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უკეთესი პირობები შეექმნა. მართლაც, აქ ყალიბდება მეურნეობრივად მძლავრი რაიონი (მოხირისი, ანუ ვაკე იმერეთი) და ამ ბაზაზე კვლავ წინაურდება შედარებით დაქვეითებული ქ. ქუთაისი.

გარე ეგრისის ქართიზაციის პროცესზე თავისი მოსაზრება ნ. ბერძენიშვილს გამოთქმული აქვს პროკოპი კესარიელის, „სპეციალურ მიმოხილვასთან" (ბერძენიშვილის გამოთქმაა) დაკავშირებით. მისი აზრით: „რაღაც დროს, ვიდრე ლაზთა სამეფო წარმოიშვებოდა (თუ ეგრთა ტომის ჰეგემონობა შეიქმნებოდა) კოლხთა ტომის ჰეგემონობა დაეცა... ამავე ხანებში თანდათან წინ წამოიწია სხვა კუთხე (ნაკლებად დაზიანებული) და პოლიტიკური ჰეგემონობა დაიჩემა, რასაც უეჭველია საფუძვლად ედო სამეურნეო ეკონომიკური დაწინაურებაც" (ბერძენიშვილი 1975:487). ამას შედეგად მოჰყვა ტომობრივი გამოკვეთილობის მოშლა. უახლოესი მონათესავე ტომები ერთიმეორეს შეერწყნენ, ხოლო არგვეთში, ფერსათში, ვანში, საჯავახოში, გურიასა და აჭარაში თანდათანობით და ბუნებრივად ადრევე შემოთესლებული იბერიელები არაბთაგან შევიწროებულმა ლტოლვილთა ახალმა ტალღამ კიდევ უფრო გააძლიერა.

მხოლოდ ამის გათვალისწინებით შეიძლება, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის იმ ვარაუდის ახსნა, რომ VIII—IX საუკუნეებში ამოდენა ქვეყნის გაქართება მოხდა. რომ აქ უკვე დიდი ხანია მცხოვრები ქართი მოსახლეობა არ დახვედროდათ, ეგრის- აფხაზეთის სამეფოს დაწინაურება-მორჩმულობის ხანაში, ეს შეუძლებელი იქნებოდა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ კუთხეში (გურია, კახაბერი) მართალია, ამ დროსაც ლაზი მოსახლეობა ცხოვრობდა, მაგრამ იმდენად შეთხელებულ-შემცირებული იყო, რომ გარედან მოსულებთან სიმბიოზის დროს ამ უკანასკნელთა ეთნიკური კუთვნილება ხდებოდა. მოსულის სიძლიერეს რელიგიის ენა, სახელმწიფო ენა და კულტურა განაპირობებდა. „თუ ეს ′არა, სრულიად არაა სავარაუდებელი, რომ კოლხეთში ჩასახლებული იბერიელები იბერიელებადვე დარჩებოდნენ" (იქვე: 488).

ნ. ბერძენიშვილმა განსაზღვრა ამ პროცესის გეზი და ვადები. „მივარდნილ კუთხეში (ფაზისის სამხრეთით), — აღნიშნავდა იგი, — ბუნებრივია,

ადვილად იკვლევდა გზას იბერთა მოახალშენეობა აჭარიდან, სამცხიდან, არგვეთიდან... VI ს-ში ეს პროცესი დამთავრებული არაა" **(იქვე)**. რადგან იბერიზაცია მჭიდროდ უკავშირდებოდა ქართულ ქრისტიანობას, ქართულ დამწერლობას და ქართულ სახელმწიფოებრიობას, იგი „მაშასადამე, ქრონოლოგიურადაც უპირატესად V–X საუკუნეებზე მოდის"**(იქვე)**. ამასთან მკვლევარი მიუთითებდა, რომ დასახელებული თარიღი არ ნიშნავს სიმბიოზის სიძველის უარყოფას. იგი არც იბერიზაციის პროცესში რელიგიურ-კულტურული უპირატესობებს და პოლიტიკურ ჰეგემონობას მიიჩნევდა საკმარისად. ამისათვის უამთავრეს პირობად მას მოსახლეობის ჩამოსახლება მიაჩნდა.

ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ პროკოპის ე. წ. „სპეციალურ მიმოხილვაში" არგვეთი ცალკე არაა მოხსენიებული. ეს იმიტომ „რომ პროკოპი ლაზიკაში იბერიელებს არ ხედავს და არც ლაზებს იბერიაში. გამოდის, რომ არგვეთი მას საკუთრივ იბერიის ნაწილად ეგულება" **(იქვე:486)**. „ასეთ კონტექსტში, — განაგრძობდა იგი, — არგვეთის ცალკე მოუხსენებლობა მხოლოდ იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ იბერიის ეს ნაწილი ლაზთა ეთნიკურად მონათესავედ (პროკოპის. — გ. მ.) არ ეჩვენება" **(იქვე:487)**.

არგვეთის იბერიზაციის პროცესი საკმაოდ ძველი დაწყებული ჩანს. ამის დამადასტურებელ წერილობით ცნობებზე ჩვენ უკე გვქონდა საუბარი. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური მასალაც, კერძოდ, ჯ. ნადირაძის დასკვნის მიხედვით — „მოდინახეზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ძეგლები რვაასი წლით უხნესია აქვე გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშებზე, მაგრამ ამ ორი ეპოქის კულტურებს შორის შეინიშნება გარკვეული მსგავსება" **(ნადირაძე 1972:55)**. ხოლო ორივე ისინი, „არქიტექტონიკითა და მხატვრული სტილით ძალიან უახლოვდებიან მცხეთის გვიანანტიკური ხანის მდიდრულ სამარხებში... აღმოჩენილ ამ სახის ნაწარმს" **(იქვე:53)**.

ამ დასკვნის სისწორე სხვა მაგალითებითაც შეიძლება იქნას დადასტურებული, მაგრამ აქ მოსალოდნელია დაისვას კითხვა ამ მსგავსების პირველწყაროს შესახებ, ანუ ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მცხეთის ოქრომჭედლობა და კერამიკაა შექმნილი კოლხურის გავლენით. ეს კითხვა კანონიერი იქნებოდა იმ შემთხვევაში კოლხური მოსახლეობა რომ გავრცელებულიყო, ან კოლხეთის ექსპანსია მომხდარიყო იბერიაში. ვიცით, კი რომ ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო პროცესს.

V–VI საუკუნეების საირხეში (ლომინაურის უბანში) აღმოჩენილი სამეთუნეო ნაწარმის შესწავლის შედეგად სპეციალისტები ასკვნიან, რომ „იგი სრულიად განსხვავდება დას. საქართველოს სამეთუნეო ნაწარმისაგან და აღმოსავლეთ საქართველოს სახელოსნოებზე მიუთითებენ" **(ნადირაძე 1972:76)**.

ვფიქრობთ, ეს დასკვნა დასმულ კითხვაზე პასუხთან ერთად მიგრაციის პროცესის არსსაც კარგად აჩვენებს და ადასტურებს ნ. ბერძენიშვილის

ნათქვამს — „ქაროის ტომის გაძლიერების, მისი ხალხად ქცევის ვიოარებაში ქართი წინ მიიწევდა აღმოსავლეთით, დასავლეთით და იქაური ტომების ქართიზაციას ახერხებდა. არგვეთი და რაჭა, სამოქალაქო და ვაკე, გურია და აჭარა თუ მეგრელები არ იყვნენ, ზანები მაინც იყვნენ, ე. ი. დასავლურ ქართველური ტომები, რომლებიც გათქვიფა და შეიერთა ქართის ტომმა. უძველესი დროიდან ვიდრე ჩვენი წ. ა. VII—VIII საუკუნეებამდე (და შემდეგაც) მიმდინარეობდა ეს პროცესი" (**ბერძენიშვილი 1975:365**).

იბერიის სამეურნეო-კულტურული და ეთნიკური ექსპანსიის თანმდევი პროცესი იყო ქართლის სამეფოს პოლიტიკური წარმატებანი კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციებში. ჯ. ნადირაძის გამოკვლევათა მეოხებით ახლა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ძველი კოლხეთის სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, კერძოდ ძვ. წ. VI—IV სს., ახლანდელი ზემო იმერეთის რეგიონი ამ სახელმწიფოს ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა. ხოლო ძველი ძვ. წ. III საუკუნიდან, როცა ქართლის სახელმწიფოს გაძლიერება ხდება და ეს ქვეყანა საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოდის, მის შემადგენლობაში „შევიდა ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციები. მათ შორის იყო არგვეთის საერისთავო" (**ნადირაძე 1990:153**).

გარე კოლხეთში ადრეანტიკური ხანიდანვე ხდება სავაჭრო, სამეურნეო და საკულტო ცენტრების დაწინაურება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი და მნიშვნელოვანი ჩანს საირხე (ქ. საჩხერიდან სამი კმ-ით სამხრეთით მდებარე სოფელი). მისი აყვავების ხანა ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის პერიოდს. იგი მოიცავს ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს (**იქვე 152**). ამავე პერიოდში დაწინაურებული ჩანს ციხე-დაბები: მოდინახე (სამ კმ-ზე საირხის ჩრდილოეთით), სვერი (18 კმ-ზე საირხის ჩრდილო-დასავლეთით), წინასოფლის ციხე (20 კმ-ზე საირხის დასავლეთით).

მომდევნო ხანაში (ძვ. წ. III საუკუნიდან) ხდება ახალ დასახლებებისა და გამაგრებული პუნქტების დაწინაურება. ესენია: შორაპანი, დიმნა, სკანდა, ბორი... გარე ეგრისის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ყალიბდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული — არგვეთის საერისთავო.

ბერძენი ავტორები, მათ შორის უფრო გამოკვეთილად პროკოპი კესარიელი, ხაზგასმით აღნიშნავენ ამ მხარის ეკონომიკურ სიდუხჭირეს.[1] მაშ საიდან გაჩნდა ამდენი დაწინაურებული ციხე-დაბა და ასე მდიდრული არქეოლოგიური მასალა, რომელიც აღმოჩენილია ამ მხარეში და, რაც შეიძლება მხოლოდ ნაწილი იყოს იმისა რის პოვნასაც არქეოლოგები მომავალში შეძლებენ?

[1] პროკოპი. მაგალითად, შენიშნავს: სკანდასა და შორაპანს „ლაზები ძველად დიდი გაჭირვებით იცავდნენ, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და ადამიანებს ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის შიტანა" (**გეორგიკა 1965:185**). კოლხები მხოლოდ ქვრიმით (ფეტვისნაირი მცენარე) იკვებებოდნენ და ამას შეგუებულნი იყვნენ. გ. ცქიტიშვილის ვარაუდით, პროკოპის მიერ აღწერილი სურათი მას შემდეგაა შექმნილი, რაც შორაპანმა კავშირი დაკარგა ირგვლივ მდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონთან (**ცქიტიშვილი 1964:104**).

ეს ვითარება აისახება ზემო იმერეთის რეგიონში მეტალურგიის მძლავრი კერების უძველესი დროიდანვე ჩამოყალიბებით და აქ გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზების არსებობით.

ვფიქრობთ, პროკოპი ამუქებს სურათს, როცა ლაზების მხოლოდ ქვრიმით საზრდოობაზე ლაპარაკობს. გ. ცქიტიშვილმა სამართლიანად შენიშნა, რომ ამ მხარეში აღმოჩენილი ხელსაფქვავები და ტოპონიმი „ნაზანდურევი," არგვეთში ხორბლის კულტურის გავრცელებულობაზე მიუთითებს **(ცქიტიშვილი 1964:104)**.

შენიშნულია, რომ კოლხეთს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ადრეანტიკური ხანის, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან **(ლორთქიფანიძე 1966:91)**. მართალია, ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის დამამტკიცებელი მასალა უფრო უხვია, მაგრამ სპარსულ და სირიულ ნაკეთობათა აღმოჩენილი ნიმუშებიც საკმარისია ასეთივე ურთიერთობის არსებობის დასამტკიცებლად. ჯ. ნადირაძე მიუთითებდა, რომ საირხელი მოსახლეობისათვის აქემენიდური ნაკეთობებიც კარგად იყო ცნობილი. „აღმოსავლური გავლენები გამომჟღავნებულია ოქრომჭედლობის ნიმუშებზე წარმოდგენილ რელიგიურ სიუჟეტებში, იგრძნობა აგრეთვე ამ დარგის ხელოვნების ცალკეული დეტალების მხატვრულ დამუშავებაში. სავაჭრო ურთიერთობის უცილობელ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებული სირიული სახელოსნოებიდან მომდინარე ოქროს თასი" **(ნადირაძე 1990:149)**.

აღმოსავლურ-დასავლური გავლენა ადგილობრივი ნაკეთობებზე და იმპორტული მასალაც საირხესა და, საერთოდ არგვეთში, ხვდებოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზებით. როგორც ირკვევა ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში გარე ეგრისის მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები რამდენიმე გზით უკავშირდებოდა გარესამყაროს. ხოლო „ელინისტური ხანიდან, —წერს ო. ლორთქიფანიძე, — როდესაც ვაჭრობა იღებს „მსოფლიო" ხასიათს და სავაჭრო ურთიერთობის პროცესში იქცევა არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზიის, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა ინდოეთიდან ფასისამდე" **(ლორთქიფანიძე 1966:49)**.

საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი ამ გზის ზოგიერთი მონაკვეთი და განშტოება. ნ. ლომოური, IV საუკუნეში, კასტორიუსის მიერ შედგენილ რუკასა და სტრაბონის ცნობებზე დაყრდნობით ყურადღებას აჩერებს გზაზე, რომელიც იწყება სომხეთში (ქ. არტაშეტს), გვერდს უქცევს ფარავნის ტბას, გაივლის ქ. წუნდას, ოძრხეს, ზეკარის (რკინის ჯვრის) უღელტეხილით გადმოდის კოლხეთში და შემდეგ მდ. კურშევეთისა და ხანისწყლის ხეობით როდოპოლისთან (ვარდციხესთან) მდ. რიონამდე აღწევს **(ლომოური 1958:107–108)**.

ვარდციხიდან ყვირილის აყოლებით არანაკლებ მნიშვნელოვანი გზა გადიოდა. „სვირ-შორაპანზე გამავალი ეს გზა უდავოდ ნაწილია იმ გზისა, —

მიუთითებს ნ. ლომოური, — რომელიც დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა და რომელიც სტრაბონის ცნობით, სწორედ შორაპანზე გადიოდა და შემდეგ სურამის უღელტეხილით აღმოსავლეთ საქართველოს აღწევდა" **(იქვე:110)**.

ჯ. ნადირაძე შენიშნავდა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ტრასაზე სურამის უღელტეხილით გზის გადასვლას უპირატესობას ანიჭებდნენ, ვინაიდან ფონას უღელტეხილი ძნელად გადასასვლელი იყო, „მაგრამ სადღეისოდ წერილობით წყაროებთან ერთად ანგარიში უნდა გაეწიოს არქეოლოგიურ მასალებს და ამ გზის მთავარ მონაკვეთად შორაპან-საჩხერე-ალი-გორის ტრასა უნდა მივიჩნიოთ" **(ნადირაძე 1990:152)**.

მკვლევარის აზრით, ამ მონაკვეთის უპირატესობას უნდა ადასტურებდეს სტრაბონის ცნობა, სადაც იგი ლაპარაკობს ყვირილის ხეობაში გამავალი გზის გასწვრივ აღმართულ დახშულ კლდეებზე. ასეთი რამ, შენიშნავდა ჯ. ნადირაძე, სავარაუდო გზაზე არსად არაა, გარდა ჭიათურა-საჩხერის 14 კმ-იანი მონაკვეთისა, სადაც „ვიწრო ხეობას ორივე მხრიდან თავს დაჰყურებს 100—150 მ სიმაღლის შვეული კლდეები, რომლებიც მთავრდება სოფ. კალვათასთან" **(იქვე:151)**.

ანტიკურ ეპოქაში ყვირილის ხეობაში სატრანზიტო გზის არსებობაზე მსჯელობისას ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ შუა საუკუნეებში ეს გზა, რომელიც სტრაბონის მიხედვით 120 ხიდს საჭიროებდა[1], მივიწყებული იყო და მდინარის გალმა-გამოღმა სოფლებზე იყო გადატანილი.

ჯ. ნადირაძე ეთანხმება ამ მოსაზრებას და ასეთად მიაჩნია „ულევისა" და „დიდწიფელას" გზები. ეს უკანასკნელი გაივლიდა ბოსლევს, კაცხს, ჭიათურას, საჩხერეს. აქ კი იგი სამ ტოტად იყოფადა: ერთი, მდ. ჯრუჭულას ხეობით გადიოდა რაჭაში, აქედან კი მამისონის უღელტეხილით ჩრ. კავკასიაში. მეორე, ჯალაბეთის გადასასვლელით შიგა ქართლის მთიანეთში. მესამე, გაივლიდა საჩხერე-კორბოულს, ჯვარ-კორტოხის გადასასვლელით ქ. ალს ჩავიდოდა და გორისაკენ მიემართებოდა **(იქვე:152)**.

არგვეთზე გამავალ გზებზე ასე დაწვრილებით ამიტომ შევჩერდით, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მხარის სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ დაწინაურებაში. „გზის საბოლოოდ გადაქცევა სავაჭრო გზად, — ასკვნის გ. ცქიტიშვილი, —. და დასახლებული პუნქტების ქალაქად გადაზრდა ერთმანეთის განმაპირობებელი პროცესებია და პარალელურად მიმდინარეობენ" **(ცქიტიშვილი 1964:86)**. მართლაც, ხანისწყალ-ყვირილას ხეობებზე გამავალ სატრანზიტო გზებზე, ვაჭართა მიმოსვლის გახშირებასა და ვაჭრობის გაცხოველებას, თან მოჰყვა ძველი ციხე-დაბების რესტავრა-

---

[1] ჯ. ნადირაძეს საჭიროდ მიაჩნდა სტრაბონის ამ ცნობის დაზუსტება „ძნელი დასაჯერებელია 60 კმ მანძილზე, — წერდა იგი, — რაც არ უნდა მიხვეულ-მოხვეული ყოფილიყო მდინარე, მასზე 120 ხიდი აეშენებინათ. უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ცნობაში ნაგულისხმევია ბოგირები და მცირე ხიდები, აშენებული ხრამებზე და პატარა მდინარეებზე (ნადირაძე 1990:150—151).

ცია-რეკონსტრუქცია და ახალი საფორტიფიკაციო თუ სამეურნეო დანიშნულების დასახლებული პუნქტების მშენებლობანი.

ეს ციხე-დაბები ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობით ისეთივენი იყვნენ, როგორი მნიშვნელობის გზებზედაც ისინი მდებარეობდნენ, ვითარცა ამ გზების დამცველი და საკონტროლო პუნქტები. ამ მოსაზრების სისწორეს კარგად აჩვენებს გ. ცქიტიშვილი შორაპანისა და დიმნას მაგალითზე **(იქვე:85)**. შორაპანი იდგა მაგისტრალური სავაჭრო-სატრანზიტო გზის ყელში და ამიტომ დიდი მასშტაბის ციხე-ქალაქი იყო. ხოლო შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ოძრხე-ზეკარ-ვარციხის გზაზე გაბატონებულ მდგომარეობაში მყოფი დიმნა, გაცილებით მცირე მოცულობის ციხეს წარმოადგენდა. შორაპანს სხვა უპირატესობაც ჰქონდა: იგი იყო მთავარი მარეგულირებელი „ცხვრის გზაზე", რამდენადაც იმერეთის საზაფხულო საძოვრების 50% ლომსიათხევზე მოდიოდა, ხოლო ამ საძოვრებზე საქონლის გარეკვა გზის ყელზე მდებარე ციხისთავის ნებართვის გარეშე არ მოხერხდებოდა. „ამდენად შორაპანი მთისა და ბარის ეკონომიკური ურთიერთობის მარეგულირებელი და მეთვალყურე იქნებოდა. მაშასადამე, პირველყოვლისა ვაკე იმერეთის ეკონომიკა მასზე იქნებოდა დამოკიდებული" **(იქვე:92)**.

შორაპანის დაწინაურება დაკავშირებულია კოლხეთსა და იბერიაზე გამავალ გზებზე რომის სავაჭრო ინტერესების ზრდასთანაც. სწორედ ახ. წ. I საუკუნის II ნახევრიდან შეიმჩნევა რომაული იმპორტისა და მონეტების მომრავლება იბერიაში. სტრაბონის ცნობით, შორაპანი ამ დროს დიდი ციხე-ქალაქია. „(ამ) სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა" **(სტრაბონი 1957:123)**.

ამ ცნობის ჭეშმარიტება დაადასტურა საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ, 1949 წელს, შორაპანში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად (ხელ-ლი ს. უაუხჩიშვილი). ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის გ. ცქიტიშვილის დასკვნით: „თუ VI ს-ის ზედა და ქვედა ციხეებს მთლიანად ზედა ციხედ გავიგებთ უძველესი ხანისათვის, მაშინ შორაპანის ციხე მართლაც დიდი იქნება, რომელიც შორაპან ქალაქის მოსახელობას, საჭიროების შემთხვევაში მთლიანად დაიტევდა" **(ცქიტიშვილი 1964:82)**. მისივე აზრით შორაპანი ამ რეგიონში მდებარე სხვა ციხესიმაგრეებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი ელინისტური ხანის ნამდვილი ციხე-ქალაქი[1] იყო. რომელსაც გარდა საფორტიფიკაციო ნაგებობებისა (ზედა აკროპოლი და ქვედა ციხეები), გააჩნდა მრავალდაგოვანი სამშენებლო სახელოსნოები, ქარვასლა-ფუნდუკები, ბაზარი, ნავთსადგომი და ჰქონდა საკმაოდ მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონი (სოფლები შროშა, საღვინე, სანახშირე). „ქალაქში ხდებოდა , — მიუთითებს იგი, — ცალკეული უბნების მეურნეობის დარგების მიხედვით დასპეციალება. ზოგ შემთხვევაში მეურნეობის ზოგიერთი დარგი მთელი

[1] ჯ. ნადირაძე სამართლიანად ანსხვავებდა ერთმანეთისაგან ციხე-ქალაქსა და ციხე-დაბებს; იხ. **მისი 1990:139**.

სოფლების დასაქმებაც ხდებოდა, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სტაბილური მოთხოვნილების არსებობით იყო განპირობებული" (**ცქიტიშვილი 1990:93**).

უნდა ვიფიქროთ, რომ ლეონტის მიერ ასე საგანგებოდ აღნიშნული ფაქტი — შორაპნისა და დიმნას ციხეების მარგვის ერისთავთერისთავისათვის აშენების თაობაზე — მიანიშნებს დასავლეთისაკენ ქართის ექსპანსიის ორი მიმართულებით — „ფონისა" და „ზეკარის" უღელტეხილებით განხორციელებაზე. ორივე ეს პუნქტი მდებარეობდა ე. წ. „ლომსიათხევში", რომელიც არქეოლოგიური მასალების მიხედვით საკმაოდ მდიდარ და მრავალდარგოვან სასოფლო-სამეურნეო რაიონად წარმოგვიდგება (**იქვე:94**).

სახელწოდება „ლომსიათხევში" გ. ცქიტიშვილი ყურადღებას მიაქცევს მის მეორე ნაწილს — ხევს და ასკვნის, რომ იგი „წინაფეოდალური ხანის ადმინისტრაციული ერთეულია" (**იქვე:75**). მასვე აქვს ჩაწერილი აღგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული ლომსიათხევში შემავალი სოფლების სიის ორი (მოკლე და ვრცელი) ვარიანტი. მეორე ვარიანტში ჩამოთვლილი სოფლები გ. ცქიტიშვილს რუკაზედაც აქვს დატანილი, საიდანაც ჩანს, რომ ლომსიათხევი ესაა მდინარეების ჩხერიმელას, მისი ძირულასთან შეერთებისა და ამის ყვირილასთან ხერთვისიდან ხანისწყლის დასავლეთ სანაპირომდე მდებარე ტერიტორია[1]. დაახლოებით ასევე საზღვრავს ვახუშტიც ლომსიათხევს, რომელიც ბატონიშვილ-ისტორიკოსს საჩხეიძოს „სვირის ზეითს აღმოსავლეთ კერძოს" ტერიტორიად აქვს წარმოდგენილი (**ქ. ცხ. 1973:772**).

ვახუშტისავე ცნობით, მისი დროინდელი საჩხეიძო (რომელშიაც ლომსიათხევი შედიოდა) „არგუეთის სამხრით არს... პირველად არგუეთადვე წოდებული" სამკვიდროა (**იქვე**), ე. ი. ლომსიათხევი ძველ არგვეთში შემავალი ტერიტორიული ერთეულია.

როგორც ვიცით, არგვეთი ფარნავაზის დროიდან საერისთავოა. დასადგენია სად იყო მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი: ჯ. ნადირაძეს იგი საირხეში ეგულებოდა. ძვ. წ. III ს-ში საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოვიდა ქართლი. „რომლის შემადგენლობაში, — წერდა იგი, — შევიდა ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციები. მათ შორის იყო არგვეთის საერისთავო, რომლის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად საირხეა საგულვებელი" (**ნადირაძე 1990:153**).

გ. ცქიტიშვილს სადავოდ არ მიაჩნია, რომ „არგვეთი და ლომსიათხევი ქართლის სამეფოს ტერიტორიაა, ამ სამეფოს ჩამოყალიბების პირველ ხანებიდანვე" (**ცქიტიშვილი 1964:86**). მაგრამ მისი აზრით, „საჩხერე ცალკე ქვეყანაა" ფარნავაზმა კი თავისი ადმინისტრაციის წარმომადგენლები ერისთავის რანგში, „არგვეთის ერთ-ერთი მძლავრ თემში — ლომსიათხევში" დასვა (**იქვე:87**).

---

[1] გ. ცქიტიშვილი ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში ლომსიათხევს შედარებით უფრო მცირე ტერიტორიას აკუთვნებდა. მის დასავლეთ საზღვარს სოფ. ბორსა და კლდეეთს შორის ატარებდა (**ცქიტიშვილი 1955:310**).

სოფ. ბორში აღმოჩენილ თასზე წარწერის განხილვისას იგი კიდევ უფრო აზუსტებს თვის მოსაზრებას. ახ. წ. II ს-ის ამ წარწერაში იხსენიება „ბუზმიჰრ კეთილი პიტიახში" იმოწმებს რა მის ხელთ არსებულ მონაცემებს, გ. ცქიტიშვილი დაასკვნის: „ბუზმიჰრ პიტიახშის ლომსიათ-ხევის, ე. ი. შორაპნის ერისთავად მიჩნევა და ბორის მის ერთ-ერთ რეზიდენციად აღიარება სავსებით მისაღები გარემოებაა" **(იქვე:95)**.

ამ ციტატის ავტორს შენიშნული აქვს, რომ ბორში მჯდომ იბერიის ერისთავს შეუძლებელია არ ჰქონოდა ციხესიმაგრე, რომელიც დაიცავდა მის საგამგებლო ტერიტორიას. ადრე ასეთად იგი მიიჩნევდა ბორის ახლოს მდებარე ქვითკირის ციხის ნანგრევებს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მწყერის ციხეს" უწოდებს. ასეთი მტკიცება ემყარებოდა ამავე ავტორის ზევით დამოწმებულ იმ მოსაზრებას, რომ ლომსიათხევის საზღვარი ბორსა და კლდეეთს შორის გადიოდა. ე. ი. შორაპანი არ შედიოდა არგვეთის პიტიახშ-ერისთავების[1] საგამგებლოში **(ცქიტიშვილი 1955:310)**.

საკითხის შემდგომი კვლევისას გ. ცქიტიშვილმა დაადგინა, რომ ბორში მჯდომი ხელისუფალი მონაპირე ერისთავი კი არ იყო, როგორც ადრე ფიქრობდა, არამედ საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის სჯარო ხელისუფალს წარმოადგენდა და მას შორაპნის კი არა დიმნას ციხეც კი ექვემდებარებოდა, „თავის ქვეყნით, ხანისწყლის ხეობით" **(ცქიტიშვილი 1964:94)**.

ამის შემდეგ შეიცვალა მისი შეხედულება „მწყერისციხის" ბორის ერისთავთა ციხესიმაგრედ აღიარების შესახებ და მან თავისი აზრი ასე ჩამოაყალიბა: „ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ლომსიათ-ხევის საერისთაოს ცენტრი იყო შორაპანი. ბუზმიჰრ პიტიახში ფარსმან II-ის ერისთავია. და ამ ერისთავის ერთ-ერთი რეზიდენცია და საგვარეულო სამარხავი შორაპნის სანახებში ლომსიათ-ხევის სოფელ ბორში არსებულა" **(იქვე:95--96)**.

ბორს, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე ერთი ოლქის, იბერიის საპიტიახშოს, ცენტრად ვარაუდობს ნ. ლომოურიც **(ლომოური 1968:63)**.

დ. მუსხელიშვილი იმოწმებს „მატიანე ქართლისას" ავტორის შენიშვნას, რომლის მიხედვითაც, ბიზანტიის კეისრისაგან გამობრუნებული მეფე არჩილი „დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპანამდე" რის გამოც მკვლევარის აზრით „სავარაუდოა, შორაპანი ამ კონტექსტში პუნქტად კი არ იგულისხმება, არამედ არგვეთის ერთ-ერთ ცენტრად (ეგების მთლიანად არგვეთის ცენტრად?) თავისი „შესავალი ქვეყნით" რომელიც რიონამდე უწვევდა" **(მუსხელიშვილი 1980:78)**. მაშასადამე, მკვლევარს შესაძლებლად

---

[1] პიტიახში ქართული ერისთავის სპარსული შესატყვისია. იგი სიტყვა-სიტყვით „ქვეყნის თავს" ნიშნავს. პიტიახშების ფუნქცია ქვეყნის (სახელმწიფოს) პროვინციის გამგებლობა იყო, რადგან ბორელი ბუზმიჰრი პიტიახშადაა მოხსენიებული, მას ერისთავებთან ათანაბრებენ. მის საგამგებლოს კი ძველი იბერიის ერთ-ერთ პროვინციად თვლიან **(ცქიტიშვილი 1955:308)**.

პიტიახშის ნაწილობრივ განსხვავებული გაგება აქვს დ. მუსხელიშვილს. იგი განმარტავს რომ საპიტიახშო სამარკგრაფოა **(Мусхелишвили 1975:23)**. სამარკგრაფო კი მსხვილი სასაზღვრო ადმინისტრაციული ოლქს წარმოადგენდა **(ჭაჭანაძე, ტ. VI, გვ. 444)**. მაშასადამე, ასეთი გაგებაც ადასტურებს, რომ არგვეთი იბერიის სასაზღვრო-ადმინისტრაციულ ოლქი იყო.

მიაჩნია შორაპნის აღიარება მთელი საერისთავოს ცენტრად. ამის გამოა, რომ იგი თავის ნაშრომებში ხშირად ხმარობს გამოთქმას — „შორაპან-არგვეთის საერისთავო“

ცხადია, შორაპნის ძლიერების ხანა ელინისტურ ეპოქაზე I—III საუკუნეებზე მოდის. მომდევნო პერიოდში ქვეყნის დაწყებულმა ფეოდალიზაციის პროცესმა ქალაქებისა და „შემავალი ქვეყნების“ ურთიერთგათიშვა გამოიწვია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმთავრესი დარგი მიწათმოქმედება გახდა. ეს ადრე არსებული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის მოშლას იწვევდა. აზნაურ-წარჩინებულები მიწის დიდ ფართობებს ეუფლებოდნენ და თვითკმარ ნატურალურ მეურნეობებს — ფეოდალურ მამულებს ჰქმნიდნენ. ამ პროცესებს შედეგად ძველი ქალაქების დაქვეითება მოჰყვა. მოიშალა იმ ერისთავთა ბუდეებიც, რომლებიც ვერ შეეგუნენ ახალ პირობებს. უკეთ შესწავლილობის გამო ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ არმაზის ხევის პიტიახშები, რომლებიც სასახლე-სამარხებიანად ემსხვრეპლნენ დაწყებულ პროცესს **(ლომთათიძე 1955:374)**.

ახ. წ. III საუკუნის დასასრულს, ასევე მოიშალა შორაპნის ერისთავთა ბუდე ბორში. ამისათვის „ხელშემწყობი პირობები იქმნებოდა აგრეთვე შორაპან-ლომსიათხევზე გამავალი საერთაშორისო გზის მნიშვნელობის დაცემა, რასაც ხელი უნდა შეეწყო შორაპანსა და რიგ სხვა პუნქტებში საქალაქო ცხოვრების დაქვეითებისათვის“ **(ცქიტიშვილი 1964:103)**.

ამ პროცესებს პოლიტიკური ცვლილებებიც თან დაერთო. გაძლიერდა ეგრისის სამეფო, რომელმაც შეძლო სპარსელებისაგან შევიწროებული ქართლისათვის კოლხეთის აღმოსავლური პროვინციები წაერთმია და საზღვარი ლიხის მთამდე გადაეტანა. IV საუკუნის დამდეგიდან V ს-ის 70-იან წლებამდე არგვეთი ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში ექცევა **(მესხელიშვილი 1977:101)**.

ასეთ პირობებში, როგორც ირკვევა, შორაპანის საერისთავო მოიშალა. მის ადგილზე ახალი ფეოდალური ერთეულები აღმოცენდა—„საჩხერის ქვეყანა“ და „ლომსიათხევი“. პირველმა მათგანმა არგვეთის საერისთავოს სახელი შეინარჩუნა.

ვახტანგ გორგასალმა არგვეთი კვლავ ქართლს დაუმორჩილა. ჯუანშერის გადმოცემით მან ძლევამოსილად ილაშქრა დასავლეთ საქართველოში. აიღო იგი ციხე-გოჯამდე. იქ ჩაყენებული ჰყავდა ერისთავები. ერთი მათგანი იყო „ბაკურ ერისთავი მარგვისა და თაკუერისა“ **(ქ. ცხ. 1955)**[1]. ამ

---

[1] ნ. ლომოური უარყოფს ამ ცნობების სისწორეს. მისი აზრით, სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლი ვახტანგი, არ დაუპირისპირდებოდა ბიზანტიას, რომელსაც ამ დროს ეგრისი ექვემდებარებოდა. ეგრისში ლაშქრობას ვახტანგი ვერც შინაპოლიტიკური მიზეზების გამო შეძლებდა **(ლომოური 1968:82 — 83)**. მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი არაპირდაპირი საბუთებით ჯუანშერის ცნობების უარყოფა საშართლიანო არ არის. მით უფრო, რომ მეამტიანე ვახტანგის ანდერძის გადმოცემისას, განმეორებით და ხაზგასმით აჩვენებას, რომ მისი ქვეყანა საბერძნეთამდე ერცელდებოდა. საზღვარი, კი ბიზანტიასთან კლისურაზე გადიოდა. გორგასალმა ხომ „საზღვარი აფხაზეთისა, რომელ მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურას შუა“ როგორც

ცნობების მიხედვით გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ „დასავლეთ საქართველოს გარკვეული რაიონები, მათ შორის არგვეთი (მარგვი) და სვანეთიც ქართლის შემადგენლობაში შესულა ვახტანგ გორგასალის დროს" (Меликишвили 1959:386).

VI ს-ში ქართლმა ლიხთიმერეთი კვლავ დაჰკარგა. პროკოპი კესარიელის და აგათია სქოლასტიკოსის ცნობებში შორაპანი და სკანდა ლაზიკის ქალაქებადაა წარმოდგენილი.

ეგრისის სამეფოს დაცემის, ჰერაკლე კეისრის ძლევამოსილი ლაშქრობებისა და არაბთა შემოსევების შემდეგ „საქართველოს ტერიტორია შედარებით წვრილ, ერთმანეთისაგან თითქმის სრულიად დამოუკიდებელ სამთავროთა კრებულს წარმოადგენს" **(მუსხელიშვილი 1980:83--84)**. დამოუკიდებელ სამთავროდ მოსჩანს არგვეთიც. მისი მთავრები ძმები დავით და კონსტანტინე, მათი მარტვილობის ავტორის მიხედვით, არავითარ ქვეშევრდომულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებენ, ანაკოფიაში მყოფი ქართლის ერისმთავრების, არჩილისა და მირის მიმართ, თუმცა ისინი „მატიანე ქართილისას" გადმოცემით, დასავლეთ საქართველოს სუზერენებადაც ითვლებოდნენ **(იქვე: 84)**.

ჩვენი თხრობის ამ კონკრეტული თემისათვის პოლიტიკურ ვითარებაზე უფრო საინტერესო ეთნიკური სურათის წარმოდგენაა. დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, პროკოპის ცნობის მიხედვით, „არგვეთის გარდა შესამჩნევი ქართიზაცია ამ დროს (VI ს-ის 50-იანი წლებისათვის. — გ. მ.) არც გურიისა და არც ვაკე იმერეთის ტერიტორიაზე არ არის სავარაუდო" **(იქვე:65)**.

მაგრამ VIII ს-ის 30 იან წლებისათვის სურათი უკვე შეცვლილი ჩანს. დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში „ცხენის წყლიდან ვიდრე აფხაზეთამდე ქუეყანა მეგრელთა" ვრცელდება. ე. ი. სამეგრელოს დასავლეთ საზღვარი აფხაზეთია, ხოლო აღმოსავლეთი—ცხენისწყალი. ჯუანშერს აფხაზეთ-საქართველოს საზღვრად კლისურა აქვს დასახელებული **(ქ. ცხ. 1955:235)**. ამას იქით, გვაცნობებს იგი, არის „ქუეყანა აფხაზთა" მაშინ, ვარაუდობს დ. მუსხელიშვილი, „ცხენისწყალს აქეთაც რაღაც სხვა „ქვეყანა" უნდა იყოს და კერძოდ, ჩვენი აზრით, „ქვეყანა ქართუელთა"... მაშინ მარტვილობის ჩვენება, ვფიქრობთ, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უნდა გავიგოთ, ე. ი. .. ეთნოგრაფიული ეგრისის „ქუეყანა მეგრელთა" მხოლოდ ცხენისწყლამდე მოდის" **(მუსხელიშვილი 1980:79)**.

ნათქვამით, ვფიქრობთ, გაირკვა, რომ დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, 100—150 წელიწადში, რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე

დედულეთი, მეორე ცოლისაგან, დედოფალ ელენესაგან შეძენილ ვაჟებს უანდერძა **(ქ. ცხ. 1955:203**; იგივე ფაქტია გადმოცემული 205-ე გვერდზე). ცხადია, რადგან ეგრისწყალსა და კლისურას შუა მდებარე აფხაზეთი ვახტანგისაა, შეუძლებელია ლიხიდან ეგრისწყლამდე მდებარე ქვეყანა (ეგრისი) მისი არ ყოფილიყო. გორგასალს ხომ აქ ორი ერისთავი ჰყავდა ჩაყენებული მარგვისა და თაკუერისა ბაკური და „სამნაღირ ერისთავი შიდა ეგრის და სუანეთისა" **(იქვე:185)**.

ტერიტორიაზე, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში გარდატეხა მომხდარა. სწორედ შენიშნავს დ. მუსხელიშვილი, რომ ეს დროის მცირე მონაკვეთია ასეთი პროცესისათვის, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ იმერეთსა და გურიაში ქართული მოსახლეობის გაჩენა დაკავშირებული იყო ადგილობრივთა ნაწილობრივ გახიზვნასა და ხაზართა და არაბთა შემოსევების გამო აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა მძლავრი ტალღების დასავლეთში მიგრაციასთან. ამ გადასახლების პირდაპირი ანალოგიაა ქართლის ერისმთავრების არჩილისა და მირის გადასვლა ეგრის-აფხაზეთში და მათი იქ დამკვიდრება **(ქ. ცხ. 1955:234–236)**.

რადგან ქართიზაციის პროცესი VIII ს-ის 30-იან წლებში, იმერეთსა და გურიაში ასე შორსაა წასული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არგვეთში იგი უფრო ადრე დასრულდებოდა.

მაგრამ, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, ამ ახალ დროში (ფეოდალიზმში) ფეოდალური ერთეულები ჩნდებიან არა ეთნიკურ-ტომობრივი ნიშნით, არამედ სწორედ საკუთრივ ფეოდალური ურთიერთობის ნაყოფს წარმოადგენენ. მართალია, ეს ფეოდალური ერთეულები ხშირად ეთნიკურ სახელებს ატარებენ, მაგრამ ეს სახელები ძველი ვითარების ასახვაა, ძველად არსებულის გადმონაშთია, თანაც მათ გვერდით არიან ისეთი სამთავროებიც (მაგ. არგვეთი, გურია, აჭარა, თაკუერი), რომლებიც ეთნიკურ სახელს არ ატარებენ. ხოლო ისინი, რომელთაც ძველი (ეთნიკური) სახელი შემორჩათ არსად „ახალ ტერიტორიას არ ემთხვევიან" **(ბერძენიშვილი 1975:149)**.

როგორც უკვე ითქვა VIII–IX სს-ში საქართველო წვრილი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამთავროებით იყო მოფენილი, ეს ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგს წარმოადგენდა და თვით ფეოდალური სამთავროების გამარჯვების შემდგომი აღმავლობის ხანის დიდ მომავალსაც ნიშნავდა.

ამ პროცესის პროდუქტი იყო ძველი სახელწოდების მქონე არგვეთის საერისთავოც. დავით და კონსტანტინეს შემდგომ ხანაში აქ პირველ მთავრად იხსენიება აფხაზთა მეფის გიორგის (861–868) ძმის დემეტრეს ძე[1], რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ გიორგის ცოლს მოუკლავს **(ქ. ცხ. 1955:278)**. მისი რეზიდენცია საჩხერესთან ახლომდებარე სოფელ ჩიხაში ყოფილა **(იქვე)**.

მომდევნო პერიოდში არგვეთის ერისთავებად გ. ცქიტიშვილს ბაღვაშები მიაჩნია **(ცქიტიშვილი 1964:91)**. რაც წყაროებით არ მტკიცდება.. ამ გვარის წარმომადგენლები მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ და არგვეთში ადმინისტრაციული ხელისუფლება ჰქონდათ თუ არა არ ჩანს. დოკუმენტში, რომელსაც პატ. მკლევარი იმოწმებს, ლაპარიტ ბაღვაში კი

[1] ამ ერისთავის სახელს მემატიანე არ აჩვენებს. გ. ცქიტიშვილი შეცდომით წერს, რომ „IX საუკუნეში, აფხაზთა უფლისწული დემეტრე არგვეთის ერისთავად" იყო დაწესებულიო **(ცქიტიშვილი 1964:91)**;

იწოდება ერისთავად, მაგრამ იგი მის წინაპრებს თრიალეთში აქვთ მიღებული და არა არგვეთში. ასე, რომ ჩვენ არ ვიცით ვინ იყვნენ არგვეთის ერისთავები, ზევითმოხსენებული აფხაზი უფლისწულის შემდეგ.

2. თაკვერი

ჯუანშერის ცნობით: სპარსეთს მიმავალმა ვახტანგ გორგასალმა სამეფო დაუტოვა შვილს — დაჩის და 7 წარჩინებულს, რომელთაგან ერთი იყო „ბაკურ ერისთავი მარგვისა და თაკუერისა" **(ქ. ცხ. 1955:185)**. ე. ი. არგვეთი და თაკვერი V საუკუნეში ერთი საერისთავო ყოფილა.

რა პრინციპით უნდა მომხდარიყო მათი გაერთიანება?

ნ. ბერძენიშვილი ეპოქის მიხედვით განასხვავებდა ერთმანეთისაგან „ქვეყნების" საერისთავოებად გაერთიანების პრინციპებს. მისი დასკვნით: ფარნავაზიდან მოკიდებული ვახტანგ გორგასლის ხანამდე საერისთავოების შექმნაში მოქმედებდა ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნობის პრინციპი **(ბერძენიშვილი 1975:154)**. ამავე პრინციპს დ. მუსხელიშვილი მოქმედად მიიჩნევს VIII ს-ის დასასრულისათვისაც. „ცნობილია, — წერს იგი, — რომ ქართული ფეოდალური საერისთავოები, როგორც წესი, ეთნიკურ-ტომობრივი, ანუ თემობრივი პრინციპის მიხედვით იქმნებოდა. ამას მოწმობს, პირველ რიგში, ჩვენთვის ცნობილ საერისთავოთა სახელწოდებანი" **(მუსხელიშვილი 1980:144)**.

თუ ამ დებულებას თაკვერზე გავავრცელებთ გამოდის, რომ არგვეთთან გაერთიანების დროისათვის იგი გაჩართულებული იყო.

სხვაგვარი წარმოდგენა აქვს ამ საკითხზე თ. მიბჩუანს. იგი იმოწმებს ჯუანშერის მიერ სამთავროების ჩამოთვლას. იღებს მათგან ორს. ერთი, ესაა — ზევით დასახელებული არგვეთისა და თაკვერის, ხოლო მეორე, შიდა ეგრისისა და სვანეთის საერისთავოები. მიუთითებს, რომ ეთნიკური პრინციპის მიხედვით გაერთიანების შემთხვევაში, სვანეთი და თაკვერი უნდა შესულიყვნენ ერთ საერისთავოში, რადგან მისი აზრით, თაკვერი იგივე ლეჩხუმია, ხოლო „ლეჩხუმი რომ V საუკუნეში სვანურენოვანი იყო, ეს საეჭვო არაა. ლეჩხუმი, — განაგრძობს იგი, — სვანურენოვანი იყო ჯერ კიდევ შარდენის საქართველოში მოგზაურობის დროს, ე.ი. XVII საუკუნეში" **(მიბჩუანი 1989:174)**.

თუ იმის რკვევას დავიწყებთ რატომაა გაერთიანებული არგვეთი და თაკვერი, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ გაერთიანებას სხვა წყარო არ იცნობს, ხოლო თვით ჯუანშერი სხვა ადგილას, იმავე ეპოქაში, თაკვერსა და არგვეთს ცალ-ცალკე საუხუცესოებად ასახელებს **(ქ. ცხ. 1955:241)**. მაშასადამე, პირველი დასახელება იმით უნდა აიხსნას, რომ ჯუანშერმა თავის ეპოქაში (XIს.) უკვე გაჩართებული თაკვერი საკმაოდ შესაძლებლად მიიჩნია გაეერთიანებინა არგვეთთან.

რაც შეეხება თაკვერისა და ლეჩხუმის იგივეობას ეს ასე მარტივად გადასაწყვეტი საკითხი არ არის.

როგორც ვარაუდობენ, „სომხური გეოგრაფიის“ მოკლე რედაქციაში (VII ს-ნე) მოხსენიებული „თაკუერინი“, „რაჭველებს“ უნდა აღნიშნავდეს, ხოლო „ჩქუმნი“, „ლეჩხუმლებს“ **(მუსხელიშვილი 1980:146)**.

ნ. ბერძენიშვილს, საეჭვოდ მიაჩნია თაკვერის არგვეთთან მიერთება ვახტანგის დროს, მაგრამ ამ ცნობას ძვირფასად თვლიდა, რადგან იგი „რაჭის“ ქვეყნის არარსებობას და თაკვერის უშუალოდ არგვეთთან მეზობლობას ადასტურებს. რაც ნიშნავს, „რომ არგვეთსა და თაკვერს შორის „რაჭა“ არ იყო, რომ თაკვერი რაჭასაც მოიცავდა“ **(ბერძენიშვილი 1975:154)**.

რომ „თაკუერის სახელი ვრცელდებოდა რაჭაზედაც“ ამას არც თ. მიბჩუანი უარყოფს. ოღონდაც მას მიაჩნია, რომ „ონის დღევანდელი რაიონი სვანურენოვანი ხალხით“ იყო დასახლებული **(მიბჩუანი 1989:72)** და „იგი XV საუკუნის ბოლომდე სვანეთის ტერიტორიას წარმოადგენდა“ **(იქვე:31)**. ამის დასადასტურებლად იგი იყენებს ტერმინ „რაჭას“ ა. შანიძისეული[1] ახსნისაგან განსხვავებულ ეტიმოლოგიას. იგი ასეთია: ამჟამინდელი ამბროლაურის რაიონი ოდესმე დასახელებული იყო ჭანებით. მათ ზემოთ, ონის რეგიონში, მცხოვრებმა სვანურენოვანმა ხალხმა მათ „ლაჭან“ ე. ი. საჭანო უწოდეს. „ლაჭან“ ტოპონიმი საბოლოოდ ქართულ მეტყველებაში დამკვიდრდა ფორმით რაჭა“ **(იქვე: 72)**.

რაჭის ოდინდელი მოსახლეობის სვანურენოვნების მაჩვენებელი, მისივე თქმით, არის დღემდე შემორჩენილი „სვანური არქიტექტურული სტილის კოშკები“ და უხვად შემონახული ტოპონიმია — ჭიორა, გლოლა, ღები, რაჭა და სხვა **(იქვე:31)**.

მაშასადამე თ. მიბჩუანის მიხედვით, სვანურენოვანი თაკვერი იყო არამარტო ლეჩხუმი, არამედ რაჭის დღევანდელი ონის რაიონიც, რაც შეეხება ახლანდელ ამბროლაურის რაიონს იგი ჭანური მოსახლეობის საცხოვრისს წარმოადგენდა, ხოლო თაკვერს ეკუთვნოდა თუ არა ამის შესახებ მკვლევარი გარკვევით არ წერს. ჩვენი აზრით, მისი არც ის მოსაზრებაა სათანადოდ დასაბუთებული, რომ ლეჩხუმმა XIX ს-მდე შემოინახა სვანური ენა **(იქვე:164)** და მთელი ზემო რაჭა სვანურენოვანი ხალხით დასახლებულ რეგიონს წარმოადგენდა.

თ. ბერაძის აზრით, თაკვერის სახელით სვანეთის აღმოსავლეთით მდებარე ვრცელი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული წარმოიდგინებოდა. „ეს ვრცელი ერთეული, — წერს იგი, — სამი, შედარებით მცირე, ქვეყნისაგან შედგებოდა: საკუთრივ თაკუერი, ლეჩხუმი (ამ პერიოდის ბიზანტიური წყაროების სკვიმნია) და რაჭა“, რომელიც შეიძლება ცალკე პუნქტის სახელწოდებაც იყო“ **(ბერაძე 1975:138)**.

თავისი თემის ამოცანებიდან გამომდინარე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაზე იგი არ მსჯელობს.

ამ საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, „რომ „თაკუერი“ საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ სახელი „რაჭა“ შემოიღეს და თაკუერი კი

[1] ა. შანიძე ფიქრობდა, რომ ტერმინი „რაჭა“ მომდინარეობს „რატშადან“ და გულისხმობს რატის, რატიანების მამულს, **(შანიძე 1979:86—88)**.

ლეჩხუმს შერჩა" (**ჯავახიშვილი 1983:52**). ამისდაკვალად ქსე-ში ვკითხულობთ: „ადრეფეოდალურ ხანაში „თაკუერი" ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ფართო მნიშვნელობით ახლანდელ რაჭა-ლეჩხუმს მოიცავდა, ვიწრო მნიშვნელობით — ცხენისწყლის აუზის შუა წელსა და მდ. ლაჯანურის ხეობას შორის მდებარე ტერიტორიას" (**ტ. 4,გვ. 575**).

როგორც ვთქვით, VII ს-ის „სომხური გეოგრაფია" ერთმანეთისაგან განასხვავებს „თაკუერსა და ჩქუმნს" უფრო ადრე (VI ს-ნე) პროკოპი კესარიელი ამ რეგიონში იცნობს სკვიმიას და სვანიას (**გეორგიკა 1965:126**). სვანიაში იგულისხმება ვრცელი ტერიტორია, რომელშიაც ზემო რაჭაც შედის (**ბერძენიშვილი 1975:539**). სკვიმნია[1] კი გაიგივებულია ლეჩხუმთან.[2] ვინაიდან, ბერძნული სკვიმია ქართულ ჩხუმ-ცხუმის მიახლოებითს გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს (**ს. ყაუხჩიშვილი**).

ამ მონაცემების ანალიზისა, ე. თაყაიშვილისა და მ. ქალდანის მოსაზრებების გათვალისწინებით, დ. მუსხელიშვილს საეჭვოდ არ მიაჩნია „რომ „თაკუერი" რაჭის უძველესი სახელწოდება უნდა ყოფილიყო" (**მუსხელიშვილი 1980:146**). ხოლო VI ს-ში სკვიმია-ლეჩხუმი ცალკე ერთეულს წარმოადგენდა. „უფრო გვიან, თაკუერი (რაჭა) პოლიტიკურად ლეჩხუმსაც მოიცავს და ამიერიდან ამ უკანასკნელსაც, უმთავრესად, თაკუერი, ეწოდება" (**იქვე:147**).

თ. მიბჩუანი „თაკუერს" სვანურიდან მომდინარე ტერმინად თვლის. სვანური „თაკუ" ქართულად ბაწარი ყოფილა. „-ერ, აგრეთვე, სვანური სუფიქსია. „თაკუერ" ნიშნავს ბაწარას ხეობას", წერს იგი (**მიბჩუანი 1989:164**). მაგრამ , ვფიქრობთ, ერ მაწარმოებელი სუფიქსი არც ქართულისთვისაა უცხო (წალვერი, სადგერი, სვერი, ტობანიერი, ჩხერი, ეწერი, შულავერი, ცხავერი და მისთ.) და „თაკუ" რაღა ბაწრად უნდა გავიგოთ როცა ქართულში მისი შესატყვისი თოკი უფრო გავრცელებულად ითვლება (**რუსთაველი: „წავალ თოკთა მოსასხმელად"**).

ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა: პროკოპის მიერ სკვიმიას სვანეთისაგან გამოყოფა ეთნიკურად მათს განსხვავებულობას, შეიძლება ნიშნავდესო. თორემ „როცა ლაზიკის ომი დამთავრდა, რატომ სვანეთივით სკვიმია არ დარჩა სადავოდ"-ო, კითხულობდა იგი (**ბერძენიშვილი 1975:489**).

ამის მიზეზად, ალბათ, უნდა ჩავთვალოთ სკვიმნიელთა გაქართების თვალსაჩინოება. სკვიმია-ლეჩხუმზე თაკუერის გავრცელება მიუთითებს, რომ ეს პროცესი რაჭის გზით შემოსულა ცხენისწყლის ხეობაში. შედარებით ძნელი ასახსნელია აქაც მოსახლეობის მიგრაციას ჰქონდა ადგილი, თუ სხვა რამ მიზეზის გამო მოხდა ეს. უფრო მოსალოდნელია, რომ ეს იყო ქარ-

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ პროკოპის ზოგიერთ გამოცემაში ნახმარ „სკვიმნიაში" ნ ზედმეტია (**გეორგიკა 1965:126**). ს. ჯანაშიას აზრით, იგი არ უნდა იყოს ზედმეტი, რადგან ფორმა ლეჩხუმის გარდა არსებობს მისი შესატყვისი „ჩხუმნი" (**ჯანაშია 1952:100**). ნ. ბერძენიშვილი ორივე ფორმას იყენებს.

[2] ლე — სვანური სადაურობის მაწარმოებელი თავსართია, ე. ი. „ლეჩხუმი" „საჩხუმოს" შეესაბამება.

თლის კულტურულ-რელიგიური და ადმინისტრაციული ზემოქმედების შედეგი. საქმე ისაა, რომ ვერც კოლხეთმა და ვერც ლაზიკამ ვერ შეძლეს მათს სახელმწიფოებში შემავალი ცალკეული ტომების გაკოლხება ან გალაზება და ერთეროვან ხალხად ჩამოყალიბება. მაშინ, როცა ქართლის განვითარება სწორედ ასეთი გზით წავიდა. მართალია, ამ პროცესის ინტენსიურობა V—IX საუკუნეებზე მოდის, მაგრამ ეს არ უარყოფს მისი დაწყების სიძველეს. VIII საუკუნისათვის „გვაროვნულ-ეთნიკურ გაერთიანებათა ნაცვლად ხალხები ჩამოყალიბებულან, მცირე გაერთიანებები ქრებიან, ურთიერთს ერწყმიან“ (იქვე:170). ამ პროცესის შედეგად იქმნება „საქართველო.“ დასავლეთ საქართველოს „დიდი ნაწილი გაქართებულია, — იქვე განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, — ქართული ენა და ქართული ფოდალური კულტურა გაბატონებულია, ქვეყნის გაქართების ტენდენცია ძლიერად იკვლევს გზებს (რაჭა, თაკვერი, ვაკე, გურია..)“

თაკვრის ქართიზაციისავის ყველა , უკვე მითითებულ მიზეზებთან ერთად, ხელი უნდა შეეწყო მის ტერიტორიაზე გამავალ მამისონის უღელტეხილის გზას, რომლითაც სპარსეთისა და ბიზანტიის დაინტერესება ძლიერ გაიზარდა ლაზიკაში „დიდი ომიანობის“ დროს (542—562 წწ.) და კარგახანს არ შეწყვეტილა მეომარ მხარეთა შორის ზავის გაფორმების შემდეგაც.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს მხედველობაშია მისაღები ორი გარემოება. ერთი, ეს არის პროკოპის მიერ ხაზგასმული ქუთაისისა და უქიმერიონის, როგორც სკვიმნია-სვანეთის გზების ჩამკეტი სტრატეგიული პუნქტების მნიშვნელობა. ვისაც ეს ციხეები[1] უჭირავს მის ხელთაა ლაზიკა (გეორგიკა 1965:222) და იგი ბატონობს დასახელებულ გზებზეც (იქვე:197). ქუთაისიდან ეს ხორციელდებოდა მდ. რიონის ხეობით, უქიმერიონიდან კი — ნაქერალას გადასასვლელით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გზებით მარტო მოლაშქრეები კი არ მოძრაობდნენ, არამედ ქართველ მიგრირებულთა ნაკადებიც, რომლებიც მთიან სოფლებში თხლად მოსახლე მცხოვრებთა რიგებს ავსებდნენ. იქ ქართული ენა, ქრისტიანული რწმენა და ეროვნული ერთიანობის შეგნება შეჰქონდათ. ამით ხორციელდებოდა ბარისა და მთის კულტურულ-ეკონომიკური კავშირურთიერთობა, რომელსაც შედეგად მთისა და ბარის „ხევების“ ერთ მთლიან „ქვეყნად“ ჩამოყალიბება მოჰყვა (მუსხელიშვილი 1980:105).

ადრეფეოდალურ ეპოქაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობანი დიდი ხნის მანძილზე იყო შენარჩუნებული. დ. მუსხელიშვილი ამის დასადასტურებლად იმოწმებს ერთ სვანურ დოკუმენტს, რომელიც 1490—1503 წლებით თარიღდება. ამ საბუთიდან ნათლად ჩანს, თუ ზემო

---

[1] პროკოპის მიხედვით ქუთაისის ციხე და უქიმერიონის ერთი და იგივე არაა. „ქუთაისის მახლობლად, — წერს იგი, — კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად „უქიმერიონი“ (გეორგიკა 1965:196). ს. ყაუხჩიშვილმა დაამტკიცა, რომ უქიმერიონი „ქუთაისის ნაწილი არაა“ და სხვაგანაა საძებარი (იქვე:203). ნ. ბერძენიშვილი უქიმერიონთან გასაიგივებელ მრავალ პარიანტთაგან იხრებოდა ცუცხვათის ციხის სასარგებლოდ (ბერძენიშვილი 1975: 519--521).

ეს საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელად გარკვეული არ არის.

სვანეთი რამდენად იყო დამოკიდებული დასავლეთ საქართველოს საკომუნიკაციო საშუალებებზე. განსაკუთრებით — ლეჩხუმის გზაზე. ირკვევა, რომ ათასწლეულის მანძილზე არ შეცვლილა არა მარტო ეკონომიკური ურთიერთობა მთასა და ბარს შორის. არამედ ის სამიმოსვლო ტრასაც, რომლითაც ეს ურთიერთობა ხორციელდებოდა: „კერძოდ, -- დაასკვნის დ. მუსხელიშვილი, — კარგად ჩანს რომ მაგისტრალური გზა, რომლითაც არა მხოლოდ ქვემო სვანეთი, არმედ ე. წ. ბალს ზემო (ანუ თავისუფალი) სვანეთიც ანუ ენგურის ზემო წელიც, როგორც პროკოპი კესარიელის დროს, ასევე შუა საუკუნეებში ძირითადად ცხენისწყლის ხეობით (ლეჩხუმით) იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ბართან" **(მუსხელიშვილი 1977:143)**.

მეორე, რაც ამ საკითხზე მსჯელობისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ასევე სამხედრო რანგს განეკუთვნება. საქმე ისაა რომ თაკვერს არ დაუკარგავს სტრატეგიული მნიშვნელობა პროკოპის მომდევნო კიდევ ექვსი საუკუნის განმავლობაში. თამარის მემატიანის, „ისტორიანისა და აზმანის" ავტორის ცნობით, იგი „სამხედრო ერთეულად წარმოიდგინებოდა" **(ბერძენიშვილი 1975:534)**. ლეჩხუმის, როგორც ტიპურად ჩამოყალიბებული სამხედრო ერთეულის არსებობაზე მიუთითებს იქ დღემდე შემორჩენილი ციხესიმაგრეთა კომპლექსი. სამართლიანად მიაჩნია დ. მუსხელიშვილს, რომ ამ ციხეების შესწავლა და მათი ისტორიულ-გეოგრაფიული ფუნქციის გარკვევა, ინტენსიური საველე მუშაობისა და არქეოლოგიური ძიების გარეშე შეუძლებელია. ეს სამუშაო ქართველ ისტორიკოსებს მომავალში აქვთ შესასრულებელი. მაგრამ ჩვენი ამჟამინდელი თხრობისათვის ის ზოგადი აღწერა და მოსაზრებებიც საკმარისია, რაც პატივცემულ მკვლევარს 1969 წლის საველე მუშაობის შედეგების მიხედვით აქვს გადმოცემული **(მუსხელიშვილი 1977: 123--129)**.

დ. მუსხელიშვილს ლეჩხუმში შესწავლილი აქვს მურის, ორბელის, ზუბის, ისუნდერის, გვესოს ციხეები. ლეჩხუმი ორი ხეობისაგან შედგება—მდ. ლაჯანურისა და ცხენისწყლის შუაწელის ხეობებისაგან. ორივე ეს ხეობა ერთ დროს ცალ-ცალკე ხევები იქნებოდნენ. ადრეფეოდალურ ხანაში ხევების ცენტრს ციხეები წარმოადგენდა. ორბელის ციხე ლაჯანურის ხეობის პოლიტიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო. იგი ორი ტრასის გზაგასაყარზეა. ერთი, დასავლეთის მიმართულებით მიდის ცაგერში. მეორე — ჩრდილოეთით — სვანეთში. ლაჯანურის ხეობიდან ცხენისწყლისაკენ მიმავალ გზას, უკვე ამ ხეობაში იცავს მურის ციხე. იგი ცაგერთან, ორი „ხევის" (მთისა და ბარის) საზღვარზე დგას.

ცაგერიდან სამხრეთით, დაახლოებით 14 კმ-ზე, ცხენისწყლის პირას აგებულია ზუბის ციხე. „ზუბის ციხეს, — მიუთითებს დ. მუსხელიშვილი, - უეჭველია, ცხენისწყალზე მომავალი მაგისტრალის კონტროლი ჰქონდა დაკისრებული" **(იქვე:126)**. მისი „ქვეყანა" უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთით მოსაზღვრე ველი და შესაძლებელია, მთელი ლეჩხუმიც. მის ირგვლივ არსებულ ნაგებობათა კომპლექსის მიხედვით იგი ფეოდალის რეზიდენციაა,

ციხე-დარბაზია. მკვლევარი აყენებს ჰიპოთეზას, რომ VII ს-ის ბიზანტიელი მწერლის თეოდოსი განგრელის მიერ მოხსენიებული „თაკვერის ციხე", სწორედ ზუბის ციხე უნდა იყოს, ამასვე კარგად უდგება „ციხე თაკვერის ვახუშტისეული ლოკალიზაციაც" **(იქვე)**.

ისუნდერის ციხე ზუბის ციხის სამხრეთით 3 კმ-ზე მდებარეობს. იგი „თაკვერის ციხის" (ზუბის ციხის) ფორპოსტს წარმოადგენდა.

ცაგერის ახლოს, დასავლეთით, კიდევ ერთი გვესოს ციხეა დამოწმებული. იგი სხვა შესწავლილ ციდატელებისაგან გამოირჩევა იმით, რომ მის კომპლექსში შედის მოზრდილი ეკლესია. ამის გამო დ. მუსხელიშვილი მას ცაგერის საეპისკოპოსოს შესაძლო ცენტრად ვარაუდობს.

როგორც ვხედავთ, ლეჩხუმის შედარებით მცირე ტერიტორიაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ციხესიმაგრეებია ნაგები[1]. რაც, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ძველი სკვიმნიის ოდინდელ სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამის გარდა, მის გზებს დიდი როლი უნდა შეესრულებიათ, როგორც საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადასარეკ ტრასებსაც. ციხეებს კი მხოლოდ თავდაცვის მიზნით არ აგებდნენ. მათ ასეთი ტრასების მაკონტროლებელი ფუნქციაც ეკისრებოდათ. ამით ისინი ბარის მიერ მთის სამეურნეო ათვისების, ხელშემწყობ ბერკეტებს წარმოადგენდნენ. ციხეებს ამიტომაც გზაგასაყარ პუნქტებსა და ხეობების შესასვლელებში აშენებდნენ. ამ დებულების საუცხოო ილუსტრაციაა ლეჩხუმის ის ციხესიმაგრეები, რომლებზედაც ზევით შევაჩერეთ ყურადღება. დ. მუსხელიშვილი ამის გამო შენიშნავს: „VI—VII სს. უცხოურ წყაროებში მოხსენიებული ეგრისის ციხეებს (წებელდა, ჩხალთა, ბოკერი, თაკვერის თუ სვანეთის ციხეები და სხვა.) დაახლოებით იგივე სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები უნდა ჰქონოდათ (ე. ი. მთისა და ბარის „ხევების" ერთ მთლიან „ქვეყნად" ჩამოყალიბება. — გ.მ.), როგორც ივერიისას" **(მუსხელიშვილი 1980:106)**.

რაც შეეხება რაჭას, იქაური საფორტიფიკაციო ნაგებობები ჯერჯერობით შესწავლილი არაა. მაგრამ ამ მხარეში ძლიერ უხვადაა წარმოდგენილი ადრე და შუა ფეოდალური ხანის საკულტო ნაგებობები. მათ შორის უძველესად თ. ბერაძე თვლის აგარის ეკლესიას. იგი VI საუკუნისაც კი შეიძლება იყოს **(ბერაძე 1975:134)**.

ადრეფეოდალური ხანის რაჭაში საფორტიფიკაციო ნაგებობების სიმცირე და ეკლესიების მრავალრიცხოვნება ქართული მოსახლეობის მიერ მხარის ადრევე ათვისებაზე უნდა მიუთითებდეს. ეს რომ ასე იყო იქედანაც ჩანს, რომ დვალეთის, სვანეთის, ლეჩხუმისა და „საჩხერის ქვეყნის" ქართიზაცია და გაქრისტიანება აქედან ხორციელდებოდა. ადრეფეოდალური ხანის

[1] ვახუშტი ამათ გარდა, მისი აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვან დეხვირის ციხეს ასახელებს, მაგრამ, როგორც დ. მუსხელიშვილი წერს, ამ სოფლის ლეჩხუმისათვის მართლაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის მიუხედავად, იქ ნაკოშკარებია, რომელთაც მოსახლეობა „ნაციხვარებს" უწოდებს, ხოლო სხვა რამე მნიშვნელოვანი ნაგებობის ნაშთი არა სჩანს **(მუსხელიშვილი 1977:129)**.

ციხესიმაგრეების სიმცირე კი იმით უნდა აიხსნას, რომ ამ დროს ჩრდილო კავკასიიდან რაჭაში გადმოსასვლელები დიდი საფრთხეს არ წარმოდაგენდნენ. იქ მცხოვრები დვალები აგრესიულად არ იყვნენ განწყობილი ქედგადმოღმელებთან. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით დვალეთი ხომ იბერიის სახელმწიფოს შექმნიდანვე (ძვ წ. IV-III სს.) საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა **(ქსე, ტ.3 გვ. 490)**.

ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ ბარის მიერ მთიანი რაჭის ათვისება დიდი წინააღმდეგობების გარეშე მოხდა. ხოლო ეგრისის „დიდი ომიანობის" დროს იქ გამავალი გზებით დიდი დაინტერესების მიუხედავად, მეომარმა მხარეებმა ამ რეგიონში მტკიცედ ვერ მოიდგეს ფეხი, სიმაგრეები სადაც გარნიზონებს ჩააყენებდნენ ვერ ააგეს და მთავარი შესასვლელების (უქიმერიონი (ცუცხვათი?), ქუთაისი) ჩაკეტვით დაკმაყოფილდნენ.

ბარის მიერ მთის სამეურნეო ათვისების პროცესმა ეთნიკური ცვლილებებიც გამოიწვია. იგი ახლადათვისებული რეგიონების ქართიზაციის დაჩქარებაში გამოიხატა. ნ. ბერძენიშვილი დაასკვნიდა: „ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში ჩვენ რეალურად ვგრძნობთ, რომ ლიხთ იქითი და განსაკუთრებით ამ ქვეყნის ბარ-ზეგანი ერთი კულტურის „ქვეყანაა" **(ბერძენიშვილი 1975:602)**. მკვლევარი აჩვენებს იმ ნაკადების მიმართულებებს, რომლებითაც მიგრაცია ხორციელდებოდა. „ამ დროს, — წერს იგი, — ხდებოდა ამ დაზიანებული ტერიტორიის (იგულისხმება პროკოპის მიერ აღწერილი ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს დაზარალებული პროვინციები. — გ.მ.) დასახლება სამცხე-არგვეთიდან (საჩინო-საჯავახო), სამცხიდან (ზემო გურია) და „ეგრის ქვეყნიდან" (ბათომის ქვეყნიდან)— ქვემო გურია... ამავე ხანებში ქართლის ელემენტი თაკვერსაც ასახლებს" (ხაზი ჩემია — გ.მ.; **იქვე: 599)**.

როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილს ეგრისის, დასახელებულ ყველა მხარისათვის აქვს ნაჩვენები მიგრაციული პროცესების მიმართულება, თაკვერისათვის კი ასეთს არ მიუთითებს, თუმცა მას ამ პროცესში ჩართულად მიიჩნევს. ასეთივეა მისი მსჯელობა მომდევნო ხანის მოვლენებზედაც. განიხილავდა რა არაბთა შემოსევის მნიშვნელობას, მოსახლეობის გადაადგილების პროცესში, იგი ასკვნიდა: „ფაქტი კი ის აღმოჩნდა, რომ IX—X საუკუნეებში ეს მხარე[1] (და კიდევ უფრო მეტიც: რაჭა-ლეჩხუმი და მოხერისის ერთი ნაწილი...) უკვე ეთნიკურად იბერიული ხდება" **(იქვე: 488)**.

3. გურია

ლაზიკიდან გამოყოფილ ერთეულთა შორის გ უ რ ი ა წყაროებში შედარებით გვიან მოიხსენიება. დ. ბაქრაძე მისი ცალკე პროვინციად დასახელების თარიღად VII ს-ის მეორე ნახევარს თვლიდა **(ბაქრაძე 1987:91)**.

[1] იგულისხმება მდ. რიონის სამხრეთით, მესხეთ-აჭარის ქედამდე მდებარე მხარე.

ნ. ბერძენიშვილს გურია ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგად წარმოშობილ ახალ ქვეყნად მიაჩნდა **(ბერძენიშვილი 1975:159)**.

დ. მუსხელიშვილის აზრით, VIII ს-ის პირველი ნახევარი არის მნიშვნელოვანი ეტაპი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ელემენტის დამკვიდრებისა, რასაც უკავშირდება ტერმინ „გურიას“ გაჩენა. ამ დროს საბოლოოდ ყალიბდება ახალი ეთნოგრაფიული ერთეულები (იმერეთი, გურია), როგორც აღმოსავლეთ ქართული ეთნიკური ჯგუფების ამ რეგიონში დიფუზიის შედეგი **(მუსხელიშვილი 1980:80)**.

პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის მიერ აღწერილი მოვლენები და საომარი მოქმედებანი, ძირითადად, გურიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ავტორები სახელწოდება „გურიას“ არ იცნობენ. გამორიცხვის წესით უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მაშინ არ იხმარებოდა. ე. ი. არ არსებობდა, უფრო გვიან შექმნილია, თორემ პროკოპი მშვენივრად ასხვავებს ეთნიკურად აქაურ მოსახლეობას ლაზებისაგან. იგი გარკვევით აჩვენებს, რომ სვანეთ-ლეჩხუმის საზღვრებიდან დაწყებული, ვიდრე მესხეთამდე, ლაზთა და იბერთა შორის ცხოვრობენ „ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები“ **(გეორგიკა 1965:127)**. აქ იგულისხმება მთიანი აჭარა-გურიის და ზემო იმერეთის მოსახლეობა. „ლაზებისაგან განსხვავებულ ამ „მესხურ“ მოსახლეობაში, — შენიშნავს გ. მელიქიშვილი, — ქართულენოვანი მოსახლეობაა სავარაუდებელი“ **(სინ 1970:424)**.

მესხური გავლენა გურიაში შესამჩნევი ყოფილა ვახუშტის დროსაც. მეცნიერი ბატონიშვილი ამ მხარის აღწერისას აუცილებლად თვლის შენიშნოს: „ენა მათი, რომელსაც უბნობენ, მესხური და არა იმერთაებრ“ **(ქ. ცხ. 1973:789)** არისო.

არქეოლოგიური მასალისა და ტოპონიმიკის დამოწმებით, თ. მიქელაძეს დადგენილი აქვს, რომ გურია-აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთში ქართულ ონომასტიკონს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი, ცხადია დაიწყო გაქართების პროცესთან ერთად და ხანგრძლივად მიმდინარეობდა. მართალია, მისი შემოსაზღვრა ერთი ან ორი საუკუნით ჭირს, მაგრამ „ინტერსიული გაქართების ხანად ფარნავაზის მეფობის დრო უნდა მივიჩნიოთ, ე.ი. ძვ. წ. IV-III სს“ **(მიქელაძე 1974:73 — 74)**. მაშასადამე გურიაში ჰანური ეთნოსის გაქართების პროცესი გაცილებით უსწრებდა წინ ამ „ქვეყნის“ სახელწოდების წარმოშობა-დამკვიდრებას.

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა რომ ვახუშტიზე ადრე გურიის საზღვრების შესახებ „არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება“, მაგრამ „გურია ეხლაც არსებობს და დაახლოებით იგივე საზღვრები ექნებოდა, რაც მერმე ჰქონდა“-ო **(ჯავახიშვილი 1983:51)**.

ვახუშტი კი წერს: „მზღვრის ამას გურიას: **აღმოსავლით** მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, **სამხრით** ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული **დასავლით**, აჭარა-გურიას შორისი, **ჩრდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავლით** შავი ზღუა“ **(ქ. ცხ. 1973:789)**. როგორც ვხედავთ, გურიის საზღვრები სამი მხრით

ბუნებრივი (ფიზიკურ-გეოგრაფიული) ხასიათისაა და იგი მნიშვნელოვანი ცვლილებებისაგან დაზღვეული იყო.

შედარებით ცვალებადი უნდა ყოფილიყო გურიის აღმოსავლეთი საზღვარი. ნ. ბერძენიშვილს, ჯუანშერის მიერ საუხუცოების ჩამოთვლის მიხედვით, დასაშვებად მიაჩნდა, რომ VIII ს-ში გურია ფერსათის ქვეყანასაც შეიცავდა და ხანისწყლამდე აღწევდა **(ბერძენიშვილი 1975:559)**. გურიის ასეთი საზღვრები შეიძლება VIII ს-ში კი არა თვით ჯუანშერის დროსაც იყო. ხოლო თუ რას წარმოადგენდა იგი ჯუანშერიდან ვახუშტამდე, როგორც აღვნიშნეთ, ძნელი დასადგენია.

გვიანფეოდალურ ხანაში მოხდა არა მარტო ცნება „გურიის" დაკონკრეტება, არამედ ამ სახელის მქონე ქვეყნის ტერიტორიული შემცირება. რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფით გურიას ოზურგეთის მაზრა ეწოდებოდა. მისი საზღვრები დომბრი ბაქრაძეს, 1873 წლისათვის, ასე აქვს მოხაზული: **„სამხრეთით** აჭარა-ახალციხის სახელით ცნობილი ქედი, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება, მას აჭარა-გურიის ქედი ეწოდოს... **აღმოსავლეთით** ამ ქედის გაგრძელება, რომელიც მეფისწყაროს მწვერვალიდან გამოყოფს დაბალ ჩოხატაურის მთის ტოტს, რომელიც ჯერ ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო შემდეგ დასავლეთით მიემართება, თანდათანობით დაბლდება და ბოლოს ზღვისპირა მხარეში იკარგება... **დასავლეთით** შავი ზღვა, **ჩრდილოეთით**... რიონის მარცხენა ნაპირი... ახლა საზღვარი მიჰყვება მდ. ფიჩორს, რომელიც სახრეთიდან მიერთვის პალიასტომს" **(ბაქრაძე 1987:88)**. ამ ციტატის ავტორს საჭიროდ უცვნია სამხრეთის საზღვრის დაზუსტება და ამ მიზნით ასეთ განმარტებას იძლევა: „როგორც ცნობილია, აჭარა-გურიის ქედზე გადის სასაზღვრო ხაზი რუსეთსა და თურქეთს შორის (იგი შეიცვალა 1878 წელს. — გ. მ.), ხაზი, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ შავი ზღვისაკენ მიემართებოდეს იმავე ქედის გაყოლებით ჭახათის მწვერვალიდან ჩრდილო-დასავლეთით უხვევს და ვაკეზე გადის, მიჰყვება უმნიშვნელო მდინარე ჩოლოქის დინებას" **(იქვე)**. ამ საზღვრებში მოქცეულია საქართველოს ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფის სამი — ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონები.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით გურია თავიდანვე არ წარმოადგენდა ვრცელ ქვეყანას. ნ. ბერძენიშვილი მას მდინარეების კინტრიშნატანებ-სუფსის აუზებით შემოსაზღვრავდა. მისივე თქმით — პეტრას დასავლეთით ჭოროხამდე სხვა ქვეყანა იყო. ასევე ცალკე ქვეყანას წარმოადგენდა მდ. ხევისწყლის აუზი-საჯავახო **(ბერძენიშვილი 1975:478)**. ხოლო საკუთრივ გურია სამი „ქვეყნისაგან" შედგებოდა, რომელთაც თავ-თავისი საეპისკოპოსო ცენტრები ჰქონდათ, კერძოდ: „ჯუმათის (სუფსის ქვეყანა), შემოქმედის (ნატანების ქვეყანა) და პატარა ხინოს (კინტრიშის ქვეყანა) საეპისკოპოსოები" **(იქვე:479)**.

როგორც ვთქვით, პროკოპი კესარიელი (VI ს.) არ იცნობს გურიას. მისი გადმოცემით მდ. ფაზისის მარცხენა კიდეზე არის ლაზიკა, რომელიც ევროპაშია, ხოლო მარჯვენა (სამხრეთი) აზიური სანაპირო იგივე ქვეყანაა,

მაგრამ აქ „არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა, მოხსენების ღირსი, გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ“ **(გეორგიკა 1965:127)**. ამ უციხო და უდაბო მხარეში, ალბათ, მხოლოდ გურია იგულისხმება, თორემ იგი საუცხოოდ იცნობს ამ „ქვეყნის“ გარეთ, რიონის მარცხენა სანაპიროზე, მდებარე „უველაზე შესანიშნავ ქალაქებს“ როდოპოლისს და მოხირისს **(იქვე: 101)**.

ამ ცნობით ისიც დასტურდება, რომ VI საუკუნეში (და უფრო ადრეც) გურია ლაზიკაში შედიოდა. ფერდალურ ურთიერთობათა განვითარებას ამ მხარეში თან ერთვოდა ქართიზაციის პროცესი. „ფეოდალური რევოლუცია“ ამ პროცესს თუ აჩქარებდა, თორემ არ აფერხებდა. ვინაიდან ქართის ეთნიკურ გავლენაში მოხვედრილი ტომები განვითარების დონით უტოლდებოდნენ იბერიას, რაც ხელს უწყობდა სოციალურ შერწყმას. „ასეთი შერწყმა ამიერიდან კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდოდა წინ (და მართლაც VI—VII საუკუნეებში ვაკესა და გურიაში ჯერ კიდევ ნარევი მეტყველება იყო: ჯიმანსტარო, ჯიხანჯირი, ციხისძირი...)“, შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი **(ბერძენიშვილი 1975:405)**.

გურია პირველად ჯუანშერთან მოიხსენიება VIII ს-ის I ნახევრის მოვლენათა აღწერისას. იგი ეგრისთან, სვანეთთან, თაკვერთან და არგვეთთან ერთად „საუხუცესო“ ქვეყნად დაუტოვა, არაბთაგან ლტოლვილმა ქართლის მეფემ მირმა, თავის უმცროს ძმას არჩილს **(ქ. ცხ. 1955:241)**. აქ გურია ცალკე ქვეყანაა, თანაც თავისი მნიშვნელობით იგი თანაბარია ჩამოთვლილი სხვა საგამგეო ერთეულებისა.

„ეგრისის ეს ნაწილი, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — აქამდეც იგრძნობოდა ცალკე ქვეყნად (ეს შეინიშნება პროკოპისთანაც), თუმცა პოლიტიკურად ეგრისში იგულისხმებოდა“ **(ბერძენიშვილი 1975:156)**. აფხაზთა ერისთავის ლეონ II-ის დასავლეთ საქართველოში გამეფებამდე (დაახლ. 786 წ.), გურია ოძრხის საერისთავოს შემადგენლობაში ყოფილა. ვახუშტის გადმოცემით: „ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა მაშინ (გურულები. — გ.მ.).. განდგნენ და მიერთნენ ლეონს“ **(ქ. ცხ. 1973:789)**.

ამ დროიდან ვითარება იცვლება საერისთავო ქვეყნები ტომობრივი ნიშნით კი არ ყალიბდებიან, არამედ ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სამეურნეო-ადმინისტრაციული პრინციპების მიხედვით. ზევითაც ვთქვით და კვლავ ვიმეორებ, რომ ეს არ მოასწავებდა ტომობრივ-გვაროვნული მომენტის სრულ უარყოფას. მაგრამ იგი ისე გადამწყვეტი უკვე აღარ იყო, როგორც წინაფეოდალურ ხანაში. ცხადია, ფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბება ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა. იგი ადრეფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის დროს ისახებოდა და ფეოდალური წარმოების წესის გამარჯვების შემდეგ დამთავრდა, ამიტომაც იყო, რომ საერისთავოთა მნიშვნელოვან ნაწილს ძველი ტომობრიობის დროინდელი სახელები შემორჩა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, უთუოდ სახელმძღვანელოდ მისაღები დაკვირვება აქვს ნ. ბერძენიშვილს. „ასე რომ ადრეფეოდალური ხანის ეს

ტერიტორიები, — დაასკვნიდა იგი, — სამთავროები ამავე ფეოდალური ურთიერთობის ნაყოფია. IX ს-ში ჩვენ ჯერ კიდევ ვხედავთ, რომ ეს სამთავროები შედარებით მცირე ერთეულებია და შემდეგ ურთიერთობის გართულება-განვითარებასთან ერთად ეს ერთეულებიც იზრდებიან, მსხვილდებიან, ვიდრე, ბოლოს, ზოგი მათგანი მთელ სამეფოდ არ იქცევა. ზოგიერთი კიდევ ატარებს ძველ სახელს (ეთნიკურს), მაგრამ არსად ეს ძველი სახელი ახალ ტერიტორიას არ ემთხვევა. სვანთა საერისთავო ოდნავაც ვერ მოიცავს ძველ სვანეთს, ეგრისი ოდიშად იქცა და ოდიშის საერისთავო ოდნავადაც ვერ შეიცავს ყველა მეგრელს, აგრეთვე აფხაზთა საერისთავოც; გურიის საერისთავო არც ეთნიკურად არც ტერიტორიულად არაა ერთი რამ, ასევე არგვეთი და სხვა და სხვა" **(ბერძენიშვილი 1975:149)**.

ბ-ნი ნიკო სხვა ადგილას კვლავ უბრუნდება გურიის ეთნიკური ვითარების საკითხს და გარკვევით მიუთითებს, რომ გურიის გაქართების პროცესი „საბოლოოდ დასრულებული IX საუკუნის დასაწყისშიაც არ იყო" **(იქვე: 409)**.

აღსანიშნავია გურიისათვის დამახასიათებელი ერთი გარემოებაც. ამ ქვეყანას ადრეფეოდალურ ხანაში გამოკვეთილად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე ან პოლიტიკური ცენტრი არ ჰქონდა. ჯუანშერი მიუთითებდა, რომ არჩილ მეფემ (VIII ს-ის შუახანები) „აღაშენა ციხე საზღუარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა" **(ქ. ცხ. 1955:243)**, მაგრამ არ ასახელებს, რომელი იყო ეს ციხე. ნ. ბერძენიშვილს სავარაუდოთ ასეთად პეტრა (ქაჯთა ციხე) მიაჩნდა **(ბერძენიშვილი 1975:560)**, მაგრამ უარყოფდა პეტრა-ფიჩვნარის ფეოდალურად გაერთიანებული გურიის „ცენტრად" აღიარების შესაძლებლობას **(იქვე: 478)**.

მიუხედავად ადრეულობისა (IV—V სს.) ასეთ „ცენტრად", ვფიქრობთ, ვერ ვაღიარებთ სოფელ შუხუთთან (ლანჩხუთის რაიონი) არქეოლოგების მიერ შესწავლილ ლაზი წარჩინებულის აგარაკსაც. იგი უფრო პროკოპის მიერ მარცხენა რიონისპირეთის უარყოფითად დახასიათების საწინააღმდეგო ფაქტად და გურიის მოისპირეთის მჭიდროდ დასახლების სამტკიცებლად გამოდგება **(შუსხელიშვილი 1977:104)**, ვიდრე ამ ქვეყნის რაიმე რეზიდენციის აქ არსებობის მისანიშნებლად.

ტოპონიმების ამოსაცნობად ერთ-ერთი აღიარებული პრინციპია ანალოგიური მაგალითების მოხმობა. გურიის მიმართ ასეთი ანალიზი მოცემული აქვს ნ. ბერძენიშვილს. მისი აზრით, ქართული სამოხელეო-ადმინისტრაციული ტერმინოლოგია უფრო ხშირად დაკავშირებულია არა მხარის, არამედ სარეზიდენციო პუნქტის სახელთან. ეს სახელი გამოუკლებლივ ხდება ხოლმე მხარის სახელდების წყაროც. ამ უკანასკნელის მაგალითებია: სოფ. ქართლი და მხარე ქართლი, ქალაქი ჰერეთი და მხარე ჰერეთი, სოფელი ოდიში და მხარე ოდიში. ამავე რეზიდენციის სახელიდან იწარმოება საურთო-ადმინისტრაციული, თუ საეკლესიო-იერარქიული წოდებანი (თორელი, თმოგველი, სურამელი, გიშელი, ფანასკერტელი, ცხუმელი, ქუთათელი და მისთ). ეს ვითარება გვავალებს ვიფიქროთ, რომ „გურია" ეწოდებოდა არა მარტო მხარეს, არამედ თავდაპირველად ამ მხარის ერთ-ერთ

პუნქტს" **(ბერძენიშვილი 1964:340)**. ამ პუნქტიდან უნდა იყოს' წარმომდგარი მხარის სახელი „გურია" და მისი ერისთავთერისთავის წოდება „გურიელი"

ერთადერთი ტოპონიმი, რომელიც ამ ტერმინს უახლოვდება არის ოზურგეთის რაიონის სოფელი გურიანთა. მაგრამ იქ მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომელიც ამ სოფელის გურიის რეზიდენციად მიჩნევისათვის გამოდგებოდეს აღმოჩენილი არაა. ამიტომ ნ. ბერძენიშვილი გურიანთასთან აკავშირებდა ვაშნარ-სპონიეთს, სადაც მოღწეულია ციხისა და ტაძრის ნანგრევები.[1] თუმცა იმასაც მიუთითებდა, რომ ეს პუნქტი პროკოპის დროს, რომ არსებულიყო იგი ბერძენ მწერალს აღუნიშნავი არ დარჩებოდა. მაშასადამე, იგი ან VII ს-ის შემდეგდროინდელია ან იმ ხანაში, იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მოხსენიებად არ ღირდა **(ბერძენიშვილი 1975:489)**.

გურიანთას გურიის შესაძლო ცენტრად ცნობს დ. მუსხელიშვილიც **(მუსხელიშვილი 1980:147)**. გურიის სამთავროს წარმოშობას კი იგი დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთის ურთიერთობისათვის გამონაკლისად მიიჩნევს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ პატივცემულ მეცნიერს აღმოსავლეთ საქართველოს საერისთავოების ჩამოყალიბების საფუძვლად მიაჩნია, ეკონომიკური ურთიერთობების ნიადაგზე, ბარისა და მთის ერთ ფეოდალურ ქვეყნად გაერთიანება. დასავლეთ საქართველოში კი ეს ტენდენცია გაცილებით უფრო სუსტად ვლინდება და აქ მთისა და ბარის-ქვეყნები ცალ-ცალკე ყალიბდებიან. გურიის საერისთავოს გამონაკლისობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ორი განსხვავებული ლანდშაფტის შერწყმის ნიადაგზე წარმოიქმნა. „გურია, — წერს იგი, — მთასაც მოიცავს და ბარსაც და გარკვეული თვალსაზრისით ერთ ეკონომიკურ მთლიანობას შეადგენს" **(იქვე:153)**. ეს ასე არ მოხდა ეგრისისა და სვანეთის, ან ეგრისისა და გურიის შემთხვევაში; მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ეკონომიკური კავშირი (სამეგრელოდან საქონელს საზაფხულო საძოვრებზე გურიის მთებში ერეკებოდნენ) ადრევე არსებობდა. ამ შემთხვევაში, ალბათ, მთავარი როლი პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად ეთნიკურმა მომენტმაც ითამაშა. საქართველოს გაერთიანების დროისათვის გურიის მოსახლეობის გაქართება ისე შორის იყო წასული, რომ ეს მხარე ცალკე ფეოდალურ ქვეყნად წარმოიქმნა. ეგრისს კი თვითონ უხდებოდა ზრუნვა ეთნიკური და

---

[1] ვაშნარზე (ოზურგეთთან ახლოს) ქართველ არქეოლოგებს შორის აზრთა სხვაობა არსებობს. ერთნი (ვ. ლეჩხონაძე), მას გამაგრებულ მონასტრად თვლიან, მეორენი (გ. ლომთათიძე) — ციხე-ქალაქად. ამ შეხედულებების მომხრენი მშენებლობის დაგეგმარებით, ტექნიკით, სამშენებლო მასალით, კერამიკით, ქვის დამუშავების ოსტატობით და მარმარილოს „სამოსელით" ვაშნარს უკარმას ადარებენ **(სინ 1973:208)**, ხოლო იქ შესწავლილი ბაზილიკური ტიპის ტაძარი ბიშვინთის მსგავსად მიაჩნიათ. მათი მტკიცებით, იგი შეიძლება ჩაითვალოს „ეგრისში შემავალი ერთ-ერთი მოზრდილი ქალაქის (მერძინდელი გურიის) ცენტრალიზებული ქალაქის დამამშვენებლად" **(იქვე:564)**. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ „ცენტრალიზებულ ქალაქს" წყაროები არ იცნობენ. ე. ი. მათ მიხედვით არ მტკიცდება, რომ გურიის ერისთავთერისთავის რეზიდენციას ვაშნარი წარმოადგენდა.

პოლიტიკური თავისთავადობისათვის. თუმცა პირველი მათგანი ძველი ლაზიკის ყოფილი ტერიტორიის ერთ ნაწილზე შეინარჩუნა, მეორე დაკარგა და თვითონ გადაიქცა საერისთავოდ.

ამ პროცესის ანალიზის შედეგად ნ. ბერძენიშვილს, კანონზომიერი დასკვნა აქვს გამოტანილი. „საქართველოს" წარმოშობა „ქართის ჰეგემონობას მოასწავებდა, — წერდა იგი, — და არა ქართული ენის მიერ ყველა სხვა სატომო თუ სახალხო ენების ასიმილაციას. მეგრულმა, სვანურმა, აფხაზურმა, როგორც პატუა ენებმა გაუძლეს და დღემდე თავი მოიტანეს. ვერ გაუძლეს ჰერებმა და კავკასიანთა ზოგმა ტომმა... ვერ გაუძლეს არგვეთელებმა, რაჭველებმა, თაკვერელებმა, სამოქალაქომ, ფერსათმა, გურიამ, აჭარამ" **(ბერძენიშვილი 1975:251)**.

ამით ჩვენ ვამთავრებთ, გარე ეგრისის ისტორიული გეოგრაფიის უმთავრეს საკითხებზე, თანამედროვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ძირითადი შეხედულებების გადმოცემას.

IV ქართლი

ქართლი საქართველოს დედა-ქვეყანაა. ისტორიულ-გეოგრაფიულად იგი სამ მხარედ იყოფოდა: ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და ზემო ქართლი. მათგან სწორედ ქვემო ქართლია ის „ჭიპი", სადაც ქართული სახელმწიფოებრიობა ჩაისახა და ქართული ეროვნული კულტურის აკვანი დაირწა[1] აქ არის ძველი ქართლის ორივე დედაქალაქი — მცხეთაც და თბილისიც. აქედან ორჯერ მოხდა საქართველოს გაერთიანება ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასალის დროს. აქაა დაბადებული და დავაჟკაცებული ქართველთა ერთიანობის („ქართველობის") მარადიული შეგნება.

ეთნიკური ქართლი სამი მხრიდან ბუნებრივი საზღვრითაა შემოფარგლული. მისი დასავლეთი საზღვარი სურამის ქედია, ჩრდილოეთი — კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთი — მდ. არაგვი და მისი შესართავის შემდეგ, მდ. მტკვარი. ივ. ჯავახიშვილი სამხრეთის საზღვარსაც ბუნებრივი მიჯნით — ბამბაკის (ერევნის) მთებით გამოყოფდა **(ჯავახიშვილი 1989:21,33)**. ამ მთების სასაზღვრე მიჯნად არსებობის საბუთად, იგი სხვა ცნობებთან, ერთად, იმოწმებს ვახუშტის შემდეგ გამონათქვამს: „სომხითისა, ერევნისა და ამისი (ე. ი. ბამბაკის. — გ.მ.) გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსამდე (მდ. არაქსამდე. — გ.მ.) მივალს" **(ქ. ცხ. 1973:309.)** ეს საზღვარი პირობითია, რადგან ისტორიული ზემო ქართლი არტაანის

---

[1] ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით „ტერმინი „ქართლი" ჩვენ შეიძლება გარკვეულად დავუკავშიროთ „ქვემო ქართლს" **(ბერძენიშვილი 1975:224)** ისტორიულ-გეოგრაფიულად კი — „ოდესმე „ქართლი" მხოლოდ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყანას ერქვა" **(იქვე: 276)**.

დასავლეთითაც ვრცელდებოდა და სამხრეთითაც. ამ და ზოგიერთ სხვა საზღვრებთან დაკავშირებული ასპექტების გასარკვევად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ქართლის ზევით ჩამოთვლილი მხარეების ურთიერგამიჯვნისა და შიგა დაყოფის საკითხებზე.

I. ქვემო ქართლი

ასეთი სახით ქვეყნის ეს სახელწოდება ქართულ წყაროებში იხსენიება XIV ს-ის ამბების გადმოცემასთან დაკავშირებით. „მივიდა მძლავრიცა ლანგ-თემურ სპითა მრავლითა და ურიცხვითა, და შევლო ქვემო ქართლი დიდითა ოხრებითა, წვითა და ქცევითა", ვკითხულობთ „ახალი ქართლის ცხოვრების" მეორე ტექსტში. **(ქ. ცხ. 1959:469)**.

უფრო ადრე ქვემო ქართლი არაპირდაპირაა დასახელებული თამარის პირველ ისტორიაში. „ისტორიანისა და აზმანის" ავტორი თამარის ნაქმრევის, რუსი უფლისწული გიორგის მომხრეთა აჯანყების აღწერისას ახსენებს „ზემო ქართლს" **(იქვე:51)**. იგივე ავტორი სხვაგან სამხრეთ საქართველოს „ზემოთა და ქვემოთა" მხარეებად ჰყოფს. „მატიანე ქართლისა" კი მესხეთს „ზემო ქვეყანას" უწოდებს **(ქ. ცხ. 1955:292)**.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით მკვლევარები (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, დ. ბერძენიშვილი) ვარაუდობენ, რომ „ზემო ქართლის" („ზემო ქვეყნის") ტერმინოლოგიურ მიმოქცევაში ყოფნა გულისხმობდა „შუა" და „ქვემო ქართლის" არსებობასაც.

„ქვემო ქართლს" „მტკუარსა სამხრით ქართლის" სახით იცნობს ლეონტი მროველიც **(იქვე:43)**.

დ. ბერძენიშვილი აჯამებს რა ამ საკითხზე არსებულ სათანადო ცნობებს, ტერმინის ასეთი განვითარების თანამიმდევრობას იძლევა: „ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სახელი უძველესი დროიდანვე ყოფილა „ქვენა სოფელი", „ქვემო ქვეყანა" შემდეგ კი „ქვემო ქართლი"[1] **(ბერძენიშვილი 1979:18)**.

ქვემო ქართლის საზღვრების დაწვრილებითი მოხაზულობა კ. ხარაძეს ასე აქვს წარმოდგენილი: „ქვემო ქართლის დასავლეთი საზღვარი თრიალეთის ქედის ბაკურიანის მონაკვეთიდან სამხრეთით დაუყვებოდა, შარავაშეთის მთით ტაბისყურის ტბას მოიქცევდა, შემდეგ ფარავნის ტბას შუაზე ჭრიდა და ჯავახეთის ქედს... მერიდიანულად მიუყვებოდა. შემდეგ საზღვარი ნიალისყურის მთის ნაწილს და ბაბას მთას გასდევდა. ჩრდილოე-

[1] ტერმინების განვითარების ასეთ თანმიმდევრობას მხარს უჭერდა ივ. ჯავახიშვილი. მისი თქმით გარკვეული ტერიტორიის აღსანიშნავად თავდაპირველად „სოფელი" იხმარებოდა. VIII საუკუნიდან იგი შეცვალა „ქუეყანამ" ნ. ბერძენიშვილი კი წერდა: „მიწა-წყლის აღსანიშნავად, ჩვენ გვგონია, უძველეს დროსვე ყანა, ქვეყანა იხმარებოდა, ოღონდ ის არ იყო განსაზღვრული მიწა-წყალი... იმთავითვე სოფელი ეწოდებოდა" **(ბერძენიშვილი 1975:100)**. სხვაგან კი იგი ამბობს: „ყანა" და „ქვეყანა", რა თქმა უნდა, უფრო უწინ უნდა არსებულიყო ვიდრე „სოფელი"-ო **(იქვე:86)**.

თის საზღვარი მთლიანად თრიალეთის ქედს გაუყვებოდა თხემური მონაკვეთით და ჩრდილო ტოტით ვერეს ხეობას მოიქცევდა დიდუბემდე, აქედან საზღვარი მტკვარს ხევძმარამდე აუყვებოდა. ხევძმარით საზღვარი მთაგორებს მიადგებოდა და სამხრეთისკენ დაუხვევდა. სწორედ აქედან იწყებოდა აღმოსავლეთი საზღვარი, გადაჭრიდა ლოჭინის ხევს, სამგორის მთაგრეხილით მრავალწყაროს მიადგებოდა, აქეღან დავითგარეჯის მთაგრეხილით მწარე წყლამდე, მწარე წყლით მდ. მტკვრამდე. სამხრეთის საზღვარი ბერდუჯისა და ერევნის მთაგრეხილების შესაყარიდან მიემართებოდა აბოცის მთაგრეხილამდე" **(ხარაძე 1991:5)**.

პ. ინგოროყვას ისტორიული ქვემო ქართლი (იგი მას სამხრეთ ქართლს უწოდებდა) წარმოდგენილი ჰქონდა ძირითად და სანაპირო პროვინციებისაგან შემდგარ ქვეყნად. პირველში იგი გულისხმობდა იმ ტერიტორიას, რომელიც უცვლელად მიეკუთვნებოდა ქვემო ქართლს (დაახლოებით უდრის კ. ხარაძის მიერ შემოსაზღვრულ ტერიტორიას) და მისი გამოანგარიშებით მოიცავდა 12480 კვ. კმ-ს. ხოლო სანაპირო პროვინციების ჩათვლით სულ ეს მხარე იქნებოდა 18660 კვ. კმ. **(ინგოროყვა 1954:453)**.

ქსე-ს მიხედვით ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორია ძირითადად მოიცავს ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფის ბოლნისის, დმანისის, გარდაბანის, მარნეულის, თეთრი წყაროსა და მათ მომიჯნავე ტერიტორიებს **(ტ. 10, გვ.516)**. კ. ხარაძე ამას უმატებს წალკის რაიონს მთლიანად, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების ნაწილს **(ხარაძე 1991:5)**. წალკის რაიონის მთლიანად ქვემო ქართლად გამოცხადება სწორი არ არის, რადგან იგი ისტორიულ ჯავახეთშია და მაშასადამე, ზემო ქართლს ეკუთვნის (ამაზე ქვევით), მაგრამ შეუძლებელია არ დავეთანხმოთ პატივცემულ მკვლევარს, როცა იგი აუცილებლად თვლის ხაზი გაუსვას ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილის (ბერდუჯ-ბამბაკისა და ყაიყულის უმეტესი მონაკვეთების) სომხეთის საზღვრებში მოქცევის ფაქტს **(იქვე)**. ამის აღნიშვნა მით უფრო აუცილებელია, რომ სომხურ გამოცემებში, ეს ტერიტორია უბოდიშოდ არის გამოცხადებული ისტორიულ სომხურ მიწა-წყლად, მის ერთ-ერთ უმშვენიერეს და არარატის დაბლობის შემდეგ ეკონომიკურად ყველაზე მძლავრ რაიონად (იხ. სერია—«Советский Союз, Армения», М. 1966:240).

ლეონტი მროველის მიხედვით, ქვემო ქართლი მთელ ქართლთანაა გაიგივებული. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა ლეონტი აჩვენებს ყველა სხვა „ქართლების" (კახეთი, კუხეთი, სამცხე, კლარჯეთი, შავშეთი და სხვა) სახელებს. მხოლოდ გარდაბოს-გაჩიოსის და უფლოსის წილს გააჩნიათ სხვა, საკუთარი სახელი. ამიტომ „უნდა ვიფიქროთ, რომ რეალურ-ისტორიულად „ქართლი" სწორედ ეს ქვეყანა იყო" **(ბერძენიშვილი 1975:241)**.

ლეონტისვე ეკუთვნის ცნობა ქვემო ქართლის შიგა სტრუქტურული ერთეულების შესახებ. იგი მეფე ფარნავაზის ადმინისტრაციულ რეფორმასთან დაკავშირებით, ამ რეგიონში ათავსებს ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოებს. იგივე ერთეულებს ვახტანგ გორგასალის დროს უცვლე-

ლად ასახელებს ჯუანშერიც **(ქ. ცხ. 1955:185)**. მაგრამ ლეონტის ცნობა ჩვენთვის საინტერესო იმითაა, რომ იქ ნაჩვენებია ამ საერისთავოთა ტერიტორიული მოცულობა. მემატიანე რიგის მიხედვით ჩამოთვლაში მიუთითებს: „მესამე გაგზავნა **ხუნანისა** (ხაზი ჩემია. — გ.მ.) ერისთავად და მისცა ბერდუჯის (დღევ. ძეგამ-ჩაი.—გ.მ.) მდინარისთგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანამდის, რომელ არს გარდაბანი, მეოთხე გაგზავნა სამშვილდის ერისთავად და მისცა სკვირეთის მდინარითგან (მდ. ვერე.— გ.მ.)[1] ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი" **(იქვე:24)**. ამ ცნობებში დასახელებულია ოთხი ტოპონიმი რომელთა ეთნარქები ლეონტისავე ადრინდელი მონათხრობიდანაა ცნობილი. მის მიხედვით, სამშვილდე და ხუნანი დააარსა ქართლოსმა, ხოლო მისმა შვილებმა — გარდაბოსმა და გაჩიოსმა თავისი სახელების შესაბამისი ეთნონიმები დატოვეს **(იქვე:8--9)**.

ამათგან ორის იდენტიფიკაცია არაა საჭირო, რადგან მათი თანამოსახელე დასახლებული პუნქტები დღემდე არსებობს,[2] ხოლო „ხუნანს აღსტაფის წყალსა და თაუზ-ჩაის შორის ვარაუდობენ" **(დ. ბერძენიშვილი 1979:23)**. სრულიად დაუდგენელია გაჩიანის მდებარეობა. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი მას ცურტავთან აიგივებს, მაგრამ ჯერჯერობით არც ამ პუნქტის ლოკალიზაცია მოხერხდა. ვარაუდობენ, რომ იგი მდებარეობდა გაგის ციხის მიდამოებში, ახლანდელი მარნეულის რაიონის სოფლების ყაჩაღანისა და ყუჩის ახლოს.

სამშვილდის საერისთავოში ლეონტი ათავსებს **ტაშირსა და აბოცს**. პირველი მათგანი სხვა წყაროებში ორგვარი —ფართო და ვიწრო გაგებით იხსენიება. ფართო გაგებით იგი ზოგჯერ მთელ ქვემო ქართლს ნიშნავდა. ხოლო ვიწრო გაგებით — „საკუთრივ ტაშირი ლორეს ზეგანია, მდ. დებედას მარცხენა შენაკადის მდ. კამენკას ანუ ძოროგეტის ხეობა" **(პესხელიშვილი 1977:148)**.

ლეონტი იცნობს ტაშირის ორივე გაგებას. უკვე მოტანილ ციტატაში იგი გაფართოებულ მნიშვნელობას ხმარობს. სამშვილდის საერისთავო სკვირეთის მდინარიდან მთებამდე ვრცელდება. ეს მთები მესხეთის ქედის აღმოსავლეთი გაგრძელებაა, რომელსაც ახლა ტაშირის სერი ჰქვია. ხოლო გამოთქმა „რომელ არს ტაშირი და აბოცი", დ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, მთელი სამშვილდის საერისთავოს აღსანიშნავადაა ნახმარი **(ბერძენიშვილი 1979:32)**.

ამავე მკვლევარს დამოწმებული აქვს ადგილი ლეონტის მონათხრობიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მემატიანე ამ ცნებას ვიწრო გაგებითაც ხმარობს,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი მდ. ბერდუჯს დებედასთან (რუს. კამენკასთან) აიგივებდა **(ჯავახიშვილი 1983:32)**.

[2] გადარბანი ქსუანაც იყო და პუნქტიც. როგორც ვარაუდობენ, დაბა გარდაბანი უფრო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, ვიდრე დღევანდელი ქალაქია. დ. ბერძენიშვილის ლოკალიზაციით, იგი შეიძლება იყოს ქცია-მტკვრის შესაყარში მდებარე პუნქტი, სადაც შემორჩენილია ნანგრევები და რომელსაც არაბულენოვან წყაროებში ყალა-იბნ-ქალდანად (გარდაბოსიანთ ციხედ) მოიხსენიებენ **(ბერძენიშვილი 1979:24)**.

სადაც მხოლოდ „სომხეთის საზღვრად მყოფი ტაშირის ზეგანია ნავარაუდევი" (იქვე:33).

ტაშირს ეკავა სომხეთის ქედის თხემის სამხრეთით მდებარე სივრცე ლორეს ვაკის ჩათვლით. მას შუაზე კვეთდა მდ. ტაშირის წყალი (ახლანდელი ძორაგეთი ანუ კამენკა), დებედას მარცხენა შენაკადი. „ჩრდილოეთიდან მას ლოქის მთა ესაზღვრებოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — ლელვარისა, დასავლეთიდან — ყარაღაჯის, ხოლო სამხრეთიდან —ბამბაკის მთები" (იქვე:51). ეს პროვინცია „ახლა (სოფ ირგანჩაის რაიონის გამოკლებით) სომხეთის ტერიტორიაზეა" (ხარაძე 1981:114). ადრეფეოდალურ ხანაში მისი ცენტრი იყო ოძუნი. „სადაც დღესაც დგას ცენტრალურ გუმბათიანი ტაძარი VIII ს-ისა" (ბერძენიშვილი 1979:51).

ლეონტი აბოცს სხვა ამბებთან დაკავშირებითაც ახსენებს. ქართლოსის, ცოლმაო, გადმოგვცემს იგი „გაჩიოსს მისცა ორბის ციხე (სამშვილდე. — გ.მ.) და სკვირეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა" (ქ. ცხ. 1955:9). დაახლოებით ამასვე იმეორებს იგი IV ს-ის ერთი მოვლენის გადმოცემისას, როცა წერს: „ქართლის მეფემ რანის ერისთაჲს მისცა „სამშვილდითგან მიღმართ ქვეყანანი ვიდრე თავამდე აბოცისა" (იქვე:130).

სომხურ წყაროებში აბოცი მოიხსენიება აშოცად. „ეს მთებით შემოზღუდული ზეგანი ტაშირის დასავლეთით მდებარეობდა, —წერს დ. ბერძენიშვილი, — და მისგან ყარაღაჯის მთით იყო გამოყოფილი. ჩრდილოეთიდან მას ნიალისყურის მთა საზღვრავდა, დასავლეთიდან — აღბაბისი, სამხრეთიდან კი — ბამბაკ-ერევნის მთები" (ბერძენიშვილი 1979:53). ამ მხარეს XV ს-ში შურაველის სახელით მოიხსენიებდნენ. უფრო გვიან კი ყაიყული დაერქვა. ვახუშტიც ამ სახელით იცნობს მას.

აბოცი ანუ ყაიყული (მდ. ახურიანის აუზი) ახლა სომხეთის რესპუბლიკის ამასიისა და გუკასიანის რაიონებს შეადგენს (ხარაძე 1991:114).

ლეონტის ცნობები ქვემო ქართლის შესახებ (და საერთოდაც) რეტროსპექტულია. ე. ი. მას თავისი თანამედროვე ვითარება გადააქვს წარსულში. უფრო ადრინდელი ქართული წყარო კი ქართლის შესახებ არ მოგვეპოვება. ამიტომ მკვლევარები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად უცხოურ წყაროებს მიმართავენ.ამ თვალსაზრისით ერთერთ პირველ ცნობად ითვლება სტრაბონის მონათხრობი ანტიოქოზის (242-187) სარდლების, სომხეთის სამეფოების დამაარსებლების, არტაქსიასა და ზარიადრის მიერ იბერებისათვის პარიადრეს მთების კალთების, ხორზენესა და გოგარენეს წართმევის შესახებ (სტრაბონი 1957:185). სწორედ აქ დასახელებული „გოგარენე" ითვლება ქვემო ქართლის შესატყვისად. მას უფრო გვიანდელ სომხურ წყაროებში „გუგარქი" ჰქვია. სტრაბონს იგი განსაზღვრული აქვს „მტკვრის გადაღმა" მდებარე ტერიტორიად, რაც „მტკვრის მარჯვენა ნაპირს, მტკვრის სამხრეთს გულისხმობს" (მესხელიშვილი 1977:146 — 147).

დ. ბერძენიშვილს მოცემული აქვს სახელწოდება „გოგარენე-გუგარქის" ასეთი ახსნა:„ესაა უძველესი ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინი, — წერს

იგი, — რომელშიც ადამიანის წარმომავლობის მეგრულ-ჭანური სუფიქსი „არ"-ი გვაქვს შემორჩენილი „გოგ-ელ, გუგ-ელის" მნიშვნელობით[1] **(ბერძენიშვილი 1979:21)**.

სომხები უძველესი დროიდანვე ქართველებს „გუგარელების" სახელით მოიხსენიებდნენ. ეს დასტურდება მათი ისტორიკოსების მოსე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის (Xს.) ნაწერებიდან. პირველთან გუგარელთა ბდეხში (პიტიახში) ივერიელთა მთავარია, ხოლო მეორე — „საგანგებოდ ჩამოთვლის სომეხთა მეზობელ ხალხებს: ბერძნებს, მეგრელებს, გუგარელებს და უტიებს. ეს უკანასკნელნი იგივე ალბანელები არიან, ხოლო გუგარელნი ცხადია, ქართველთა სინონიმად იხმარება" **(მუსხელიშვილი 1977:151)**.

გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ამ ტერმინის ფუძე „გოგ"-ი სკვითური წარმოშობისაა და იგი შეიძლება მიუთითებდეს ქვემო ქართლში სკვითების ჩასახლების ფაქტზე **(Меликишвили 1959:224)**

დ. მუსხელიშვილის ვარაუდით კი გუგარელები „ეს იყო ერთ-ერთი ქართული ტომი, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა სომხებს" **(მუსხელიშვილი 1977:151)**.

ზოგიერთი სომეხი მკვლევარის გარდა თითქმის არავის არ ეპარება ეჭვი, რომ გოგარენე-გუგარქი სომეხთა მიერ მის ანექსიამდე და შემდეგაც ქართული ქვეყანა იყო და მის მოსახლეობას ძირითადად ქართველები შეადგენდნენ.

„იბერიის ეს ძველი მიწა-წყალი...,— აღნიშნავდა პ. ინგოროყვა, — თუმცა ანტიკურ ხანაში ერთხანს მოწყვეტილი იყო საქართველოს, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობა აქ ამ ხნის მანძილზე საგრძნობლად არ შეცვლილა: გოგარენ-გარდაბანის პროვინცია თავიდანვე ყოფილა ქართული მხარე და შემდეგაც ძირითადში ქართულ მხარედვე დარჩენილა" **(ინგოროყვა 1954:476)**.

გუგარეთის ტერიტორიული მოცულობა წყაროებში სხვადასხვაგვარადაა აღწერილი. VII ს-ის „სომხური გეოგრაფიის" მიხედვით, გუგარქი მთელ სამხრეთ საქართველოს მოიცავს **(მუსხელიშვილი 1977:146)**. სტრაბონის „გეოგრაფიის" მონაცემთა შესწავლის შედეგად ს. ჯანაშიამ გაარკვია, რომ ქართლ-სომხეთის საზღვარი მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ მთებზე გადიოდა. ჭოროხის ხეობა, „მტკვარი იბერიის უღიდესი მდინარე, ალბანეთის საზღვრებამდე მთელი მისი აუზი (შენაკადებით) იბერიის ფარგლებში შედიოდა" **(ჯანაშია 1952:255)**.

ცხადია, ჰქონდა ხოლმე ადგილი სომხეთის მიერ ქართლის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცებას, მაგრამ გუგარეთი, ძირითადად, ლორე-ტაშირს მოიცავდა. ამის გამო დ. მუსხელიშვილი წერს: ამ ქვეყნის

[1] პ. ინგოროყვა პირველად ფორმად ვარაუდობდა „გაგარენს" და მას მხარის მთავარი ციხე-ქალაქის — გაგის სახელიდან წარმოშობილად თვლიდა. გაგიდან იწარმოება „გაგარი" რაც გაგელს ნიშნავს. მისი პარალელური ფორმებია ოპიზარი, ოდიშარი და სხვ **(ინგოროყვა 1954:469)**.

ფარგლები „შემოისაზღვრება არსებითად ალგეთ-ქციის, ხრამისა და დებედას აუზების ტერიტორიით. ე.ი. ფაქტიურად გუგარქის ტერიტორია დაემთხვევა ქართულ-სომხური წყაროების ფართოდ გაგებული ტაშირის ფარგლებს"[1] **(მუსხელიშვილი 1977:149)**.

X საუკუნიდან ქართულ წყაროებში ქვემო ქართლის აღსანიშნავად ეთნიკურ-გეოგრაფიული ცნება **სომხითი** იხმარება. ამ ლექსემას ერთ-ერთი პირველი იყენებს არსენ საფარელი. ხოლო თუ, როგორ შემოვიდა იგი ეთნო-პოლიტიკურ მიმოქცევაში შესწავლილი აქვს ნ. ბერძენიშვილს. იგი ამტკიცებს, რომ VIII—X სს-ში „სომხითი ჯერ კიდევ არ ერქვა ქვემო ქართლს." ამიტომაც ლეონტი მას ამ ქვეყნის აღსანიშნავად იყენებს. გარდაბანს,სამშვილდეს, ტაშირსა და აბოცს იგი აერთიანებს „სამშვილდის (და გარდაბნის?) საერისთავოში, რომელიც გვიან სომხითად იწოდებოდა" **(ბერძენიშვილი 1975:302)**.

ჯუანშერი ტერმინ „სომხითს" არმენიის მნიშვნელობით ხმარობს, თუმცა მის დროს ქვემო ქართლს უკვე სომხითს უწოდებდნენ.

„ეპისტოლეთა წიგნის" იმ ნაწილის მიხედვით რომელიც VII—VIII სს-ს განეკუთვნება, ქვემო ქართლში პოლიტიკური და საეკლესიო ხელისუფლება ქართლისა იყო, ამიტომ მას არ შეიძლებოდა სომხითი წოდებოდა.

ასეთი შესაძლებლობა გაჩნდა, როცა ამ მხარეში კვირიკიანთა (ლორე-ძორაგეთის) სამეფო დაარსდა (X ს-ის დასასრული). „ამის შედეგად იყო, რომ ქვეყანას სომხითი ეწოდა, თუ არ ასე, როგორ უნდა გავიგოთ, რომ ჰაიები (სომხები. --გ.მ.) ამ ქვეყანას გუგარქს, ქართლს, კანგარს და რაგინდას რას ეძახიან და არც ერთხელ არ მოიხსენიებენ არც ქართული „სომხითით" და არც სომხური ჰაიასტანით" **(იქვე:304)**.

ასეთსავე დასკვნამდე მიდიოდა ივ. ჯავახიშვილი, როცა გუგარეთის სომეხთაგან მეორედ გამოხსნის შედეგებს აჯამებდა. იგი არ უარყოფდა, რომ „დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით სომხობა წინანდელთან შედარებით უფრო უნდა გამეღავნებულიყო, მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა... „სომხითი" ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებსა და ლორეს ველსაც და საყურადღებოა ისიც, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართულ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს" არ

---

[1] გოგარენეს სხვაგვარ ლოკალიზაციას იძლევა პ. ინგოროყვა. რომლის მიხედვითაც, გოგარენე იყო „შედარებით მცირე მოცულობის რაიონი — გარდაბანის მხარე, რომელიც საქართველოს შორეულ პერიფერიას მდებარეს განჯის რაიონში წარმოადგენდა". მასში შედიოდა ძორსა და კოლბის უბნები. მაგრამ „არ შედიოდა არც ქვემო ქართლის ძირითადი პროვინციები ტაშირი და თრიალეთი, არ შედიოდა აგრეთვე არც ჯავახეთ-არტაანი, არ შედიოდა მესხეთის არც ერთი მხარე" **(ინგოროყვა 1954:458)**. მკვლევარს აღდგენილი აქვს გოგარენე-გარდაბანის საზღვრებიც. დასავლეთით ეს ყოფილა მდ. ქურდ-ეაჭრის (ახლა ინჯა) ხევი; აღმოსავლეთით მდ. ბერდუჯი (ძეგამი), ზოგჯერაც — მდ. კოტმანი (შამქორის წყალი); ჩრდილოეთით — მდ. მტკვარი; სამხრეთით — ბამბაკის (ერევნის) მთები (იქვე: 471; იხ. აგრეთვე რუკა 455-ე გვერდზე).

ეძახდნენ. პირიქით ისინი ლორე-ტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ... ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავიანთი პოლიტიკური ბატონობისდა მიუხედავად თვით ქვეყანას სომხებიც თავის თავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდნენ“ **(ჯავახიშვილი 1989:27)**.

„ქართველთა ველი“ ეს სომხური წყაროების „ვრაც დაშტია“ „ეს უკანასკნელი კი — დ. ბერძენიშვილის განსაზღვრით, — ქციის, მაშავერის, შულავერის წყლისა და დებედას ქვემო დინებას მოიცავდა“ **(ბერძენიშვილი 1979:24)**. ე. ი. „ვრაც დაშტი“ არის ის დაბლობი, რომელიც მოქცეულია ქცია —დებედას შორის და მათ ქვემო დინებაზე.

ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია სტრაბონთან დაცულ აპოლოდორის ცნობას, რომ მის დროს (ძვ. წ. I ს) იბერიას არმენიისაგან არაქსი გამოყოფდა. ამის გამო ბ-ნი სიმონი დაასკვნიდა: „არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ არაქსის ჩრდილოეთით მდებარე რაიონები იბერიამ დაჰკარგა ტიგრან II-ის (95-56წწ. — გ.მ.) დროს“-ო **(ჯანაშია 1952:257)**.

დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით, ამავე ხანებში „სომხეთის სამეფოს ჩრდილო საზღვრების უზრუნველსაყოფად აქ იქმნება ე. წ. საპიტიახშო, სასაზღვრო სამთავრო გუგარქისა, რომლის მეთაურიც, გუგარქის პიტიახში ე. წ. „სამხედრო განრიგში“ სომხეთის ჩრდილო მხარის მხედრობაში პირველ ადგილზე იხსენიება 9500 მხედრით **(მუსხელიშვილი 1977:152)**.

გუგარეთი ქართლმა დაიბრუნა IV ს-ის II ნახევარში **(ინგოროყვა 1954:461)**. ჯუანშერის ცნობით აქ საერისთავოა — ცენტრით სამშვილდეში. მაგრამ „შუშანიკის წამების“ მიხედვით ეს მხარე საპიტიახშოს წარმოადგენს, რომლის რეზიდენცია ცურტავია.

ეს ვითარება ასახულია სომხურ წყაროებში. ლაზარე პარფელი ცნობილ ვარქსენის მამას, პიტიახშ არშუშას (Vს-ის 30—50-იანი წწ.) ქართლის მთავრად მოიხსენიებს **(ლ. ჯანაშია 1962:107)**. მასვე „გუგარელთა პიტიახშს“ და ტაშირის მთავარს უწოდებს მოსე ხორენელი, ხოლო კორიუნთან არშუშა ტაშირის მთავარია **(მუსხელიშვილი 1977:164)**.

თავად „ვარსქენი ქართული ადმინისტრაციული წესწყობილების მიხედვით, — წერს დ. მუსხელიშვილი, — ფაქტიურად, იგივე სამშვილდის ერისთავი უნდა ყოფილიყო, ამას გარდა, ერანის შაჰისაგან შესაძლებელია გაცილებით მეტი კომპეტენციაც ჰქონოდა დაკისრებული“ **(მუსხელიშვილი 1980:49 — 50)**. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ჯუანშერი სპარსეთიდან დაბრუნებულ ვარსქენს შაჰისაგან „ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა“[1] დანიშნულ წარმომადგენლად აცნობს მკითხველს **(ქ. ცხ. 1955:216)**.

---

1 ამ ცნობის მიხედვით სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის საპიტიახშოში პერეთიც შედიოდა (ი. აბულაძე, ე. თაყაიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი). თ. პაპუაშვილი პერეთსა და რანის გაიგივების შეუძლებლობის გამო უარყოფს ამ მოსაზრებას და ეთანხმება ს. ჯანაშიას, რომელსაც პერეთი საპიტიახშოს მხოლოდ მეზობელ ქვეყნად მიაჩნდა **(პაპუაშვილი 1970:104)**.

რაც შეეხება ვარსქენის კომპეტენციას, თ. პაპუაშვილი იმოწმებს კ. კეკელიძეს , ვისი აზრითაც, ქართლის პიტიახშო „ვარსქენი ამავე დროს იყო მაგე მთელი კავკასიის კუსტაკისა“,

როგორც ვთქვით, ქართლის პიტიახშის რეზიდენციას ცურტავი წარმოადგენდა. სომეხი ავტორი უხტანესი გარკვევით წერს — „ცურტავი სამკვიდრებელი იყო გუგარელთა დიდი პიტიახშის, ჩრდილოეთის მხარეთმპყრობლისა“-ო **(უხტანესი 1975:69)**.

ცურტავის ადგილმდებარეობა დაზუსტებული არაა. უხტანესის მიხედვით წინანდელ ცურტავს „ახლა ეწოდება გაჩიანი. მაშინ სავსე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი იყო, ხოლო ახლა შემცირებული და ზომიერი დაბაქალაქია ... მხარეში, რომელსაც „ვრაც დაშტი“ ჰქვია“ **(იქვე: 67)**. ამ ცნობით ცურტავის იდენტიფიკაციის საკითხი ვერ წყდება, რადგან, როგორც ზევით შევნიშნეთ, არც გაჩიანის ზუსტი ლოკალიზაცია არსებობს. უხტანესის ნათქვამით მხოლოდ იმის დადგენა შეიძლება „რომ ცურტავი (მერმინდელი გაჩიანი) „ქართველთა ველშია“ საძიებელი“ **(დ. ბერძენიშვილი 1979:120)**.

ქვემო ქართლის ქართულ და სომხურ წყაროებში დასახელებულ ორ ცენტრს — სამშვილდეს და ცურტავს, ჰაბიბ-იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ არაბული ნუსხა (VII ს-ის შუახანები), მესამეს — მანგლისს უმატებს. ეს დ. მუსხელიშვილს აძლევს საბაბს ქვემო ქართლი, ამ დროს, ერთ პროვინციად „მანგლისის ქვეყნად“ წარმოიდგინოს **(მუსხელიშვილი 1980:49)**.

არაბთა ბატონობის საბოლოოდ დამყარება ქართლში VIII ს-ის 30-იანი წლებით თარიღდება **(ჯანაშია 1952:378)**. თავიდან ისინი გადასახადების აკრეფით უფრო დაინტერესებული იყვნენ, ვიდრე ადმინისტრაციული სტრუქტურის შეცვლით. მაგრამ შემდეგ, როგორც ს. ჯანაშია ხსნიდა, ადგილებზე წამოწყებული წინააღმდეგობის მოძრაობისა და ცენტრიდანული ძალების გაძლიერების გამო, არაბები თავის წარმომადგენლებს ნიშნავენ დაპყრობილ ქვეყნებში.

VIII ს-ის მეორე ნახევარში ხალიფატმა დააარსა თბილისის საამირო. მკვლევართა ერთი ნაწილის (დ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე) აზრით, მასში მთელი ქვემო ქართლი შედიოდა. დ. ბერძენიშვილი კი ამტკიცებს, რომ თბილისის საამირო ამ მხარის მხოლოდ ნაწილს მოიცავდა **(ბერძენიშვილი 1979:65)**. ქვემო ქართლის ეპიგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით იგი VIII ს-ში საამიროს ტერიტორიიდან გამორიცხავს სამშვილდეს, თავისი ქვეყნით. IX ს-ში ასეთსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ბოლნისი და მდ. ქციის ხეობა **(იქვე:67)**. იმავდროულად თბილისის ამირას, ვინმე გაბულოცს, დროებით დაუმორჩილებია გბრდაბანი. „საერთოდ კი გარდაბანი თბილისის საამიროში არ უნდა ყოფილიყო“ **(იქვე)**.

X საუკუნეში საამიროს ავიწროებენ სომეხი ბაგრატუნები, კლდეკარის ერისთავები და აფხაზეთის მეფეები. „ამრიგად, — დაასკვნის დ. ბერძენიშვილი, — თუ თვალს გავადევნებთ თბილისის საამიროს საზღვრებს ქვემო ქართლში, ვნახავთ, რომ აღმოსავლეთ მხარეს იგი მტკვარზე და მის მარცხენა

ამ ტომაც შორეული დარუბანდიც მის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და ამის გამო იგი წყაროებში „ერისთავად რანისა“ იწოდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ჰერეთი კი არა თვით „რანი ქვემო ქართლის საპიტიახშოში შედიოდა“ **(იქვე: 104--105)**.

სანაპიროზე ივარაუდება. სამხრეთიდან ის ძირითადად ქციის ხრამამდე აღწევდა" (**იქვე**) მომდევნო ხანებში თბილისის საამიროს ტერიტორია კიდევ უფრო შეიზღუდა.

ცვალებადი უპირატესობით, მაგრამ უფრო წარმატებულად ეუფლებიან ქვემო ქართლს სომეხი ბაგრატუნები. IX საუკუნის მიწურულსა და X საუკუნის 20-იან წლებში მათს მფლობელობაში აღმოჩნდა სამშვილდის საერისთავო, მდ. ვერეს ზემო წელამდე და ხუნანის საერისთავო.

XI ს-ის 70-იან წლებში ანისელ ბაგრატუნებს გამოეყო კვირიკიანთა ტაშირ-ძორაგეთის სამეფო. რომლის დედაქალაქი, მეფე დავით გურგენის ძის დროს (989-1048), გახდა სამშვილდე. ერთხანს მან დმანისიც იგდო ხელთ და თბილისიც დაიმორჩილა, მაგრამ შემდეგ მისმა ბიძამ, ანისის მეფე გაგიკმა მას ტაშირი , სამშვილდე, გაგი და ქართველთა ველი ჩამოართვა (**იქვე:71**).

ეს გაგიკი იყო ბაგრატ III- ის მოკავშირე განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, XI საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში, მოწყობილი ლაშქრობის დროს. მაგრამ მას აქედან დიდი მოგება ვერ უნახავს. სუმბატ დავითის ძე აღნიშნავს, რომ ამ ლაშქრობის შემდეგ ბაგრატ III-მ „ადრაბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო, **სომხითისა** ხელმწიფებითა ნებიერად განაგებდა"-ო (**ქ. ცხ. 1955:382**) მაშასადამე, ირკვევა, რომ ბაგრატს სომხითზე ხელისუფლება გააჩნდა. გაგიკი მასზე დაქვემდებარებულ ქვეყანას განაგებდა.

ისტორიული ქვემო ქართლი ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ მოწინავე რეგიონს ამიერკავკასიაში. აქ იყო სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (**ბერძენიშვილი 1964:365**).

„არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება, რომ ქვემო ქართლის ტერიტორია დასახლებული იყო ქვედა პალეოლითის დროიდან (**გ. ავალიშვილი 1974:16**). იქ აღმოჩენილია მუსტიესა (წოფი I) და მეზოლითური (მდ. ყარაბულათის ხეობაში) ძეგლები. ქვემო ქართლი ითვლება მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთ ლოკალურ რაიონად (**იქვე:19**). ხოლო თრიალეთური კულტურის განვითარების ცენტრი სწორედ აქ იყო.

ო. ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის I ნახევარში უნდა ჩასახულიყო ქართული ეთნიკური ელემენტი (**ჯაფარიძე 1969:212**). ხოლო ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში იწყება ქართულ-ზანური ერთობის დაშლა. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რჩებიან ქართველი ტომები და ისინი აქ ქმნიან გვიანბრინჯაოს ხანის კულტურას (**გ. ავალიშვილი 1974:27**). სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად თრიალეთის მბრწყინვალე კულტურის მატარებელი ტომები ამ პერიოდში განვითარების დონით გაცილებით მაღლა იდგნენ, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა ტომები (**ჯაფარიძე 1969:236**).

აღმოჩენილი საბრძოლო იარაღის სიუხვის გამო არქეოლოგები ასკვნიან, რომ „ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში და I ათასწლეულის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველო განსხვავდება დასავლეთისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს მეომარ-მებრძოლი მოსახლეობა ზის“ (**გ. ავალიშვილი 1974:47**). ამ მოსახლეობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იარაღია ადგილობრივი ტიპის საბრძოლო ცული, რომელიც კულტის ობიექტამდეა აყვანილი და ამ დანიშნულებისათვის მინიატურული ფორმითაც კი მზადდება (**იქვე**).

დადასტურებულია, რომ „ქვემო ქართლისა და ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე გათხრილ სამარხებში შეინიშნება იარაღის სიმრავლე შედარებით ჭურჭელთან თუ სამკაულთან, ხოლო შიდა ქართლში (მცხეთა-სამთავროს მაგალითზე) კი პირიქით“, წერს გ. ავალიშვილი. მაშასადამე, ისტორიული ქვემო ქართლი წარმოადგენდა თავისებურ თავდაცვით სექტორს სამხრეთ ამიერკავკასიაში გაძლიერებული სახელმწიფოების აგრესიის შესაჩერებლად და მტკვრის სანაპიროზე მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად.

ასეთ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართველ ტომთა ის მსხვილი გაერთიანება, რომლის დამარცხება და დაპყრობა ვერ შეძლეს ურარტუს მეფეებმა მათი სახელმწიფოს ძლევამოსილების ხანაში (**Меликишвили 1954:407**).

ქვემო ქართლის დაწინაურებას მხარის უპირატესი განვითარების შესაძლებლობანი განაპირობებდა. რეგიონის მთიანი და მთისწინა ტერიტორია საუკეთესო საშუალებას იძლეოდა მესაქონლეობის განვითარებისათვის. მტკვარ-არაქსის კულტურის აღმავალი განვითარების ხანაში „მაღალ საფეხურზე ადის მესაქონლეობა (ჯოგში მსხვილფეხა საქონლის ჭარბობით)“, ხოლო ამ „კულტურის ბოლოს ვითარდება მეცხვარეობა და ხდება მაღალმთიანი რაიონების ათვისება“ (**ავალიშვილი 1974:20**). აქ საქონელს ზაფხულობით აძოვებდნენ. გვიან შუმოდგომასა და ზამთარში, „როდესაც ქვემო ქართლის ველები ბალახით იფარებოდა და არც სიცივე აწუხებდათ ადგილობრივებს, მაშინ თვით ბუნების მიერ შექმნილი ეს საუცხოო საზამთრო საძოვრები საქონლით იფარებოდა, რომელიც მთელ ზამთარს აქაურ ზონებში ატარებდა“ (**ბერძენიშვილი 1979:8**). ამასთან „აღმოსავლეთ საქართველოსა და ქვემო ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდანვე სარგებლობდა ყარაიაზისა და მის ქვემო სტეპებით“. სადაც საიალაღოდ მოყვანილი საქონლისათვის შერჩეული ჰქონდათ გზები და გადასასვლელი ფონები მტკვარზე (**იქვე:9**).

მაგრამ მხოლოდ მესაქონლეობის (მით უფრო საიალაღე მესაქონლეობის) დაწინაურება ქვეყნის ცივილიზაციის წინსვლას ვერ განაპირობებს. ამისათვის აუცილებელია განვითარებული მიწათმოქმედების არსებობა. ხოლო ეს უკანასკნელი დიდადაა დამოკიდებული მელითონეობაზე, ლითონის სამეურნეო იარაღის წარმოებაზე.

ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისეულით. „აქ გავრცელებულია სპილენძის, მანგანუმის, რკინისა და სხვა ბუდობები, აგრეთვე ნაირგვარი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები“ (**ხარაძე 1991:8**). ეს კი ჯერ

კიდევ ენეოლითის დროიდან ქმნიდა შესანიშნავ პირობებს ლითონის იარაღის წარმოებისათვის (**ბერძენიშვილი 1979:11**).

ადგილობრივი მოსახელობის მიერ სპილენძისა და რკინის იარაღის დამზადებას აიოლებდა მადნის ზედაპირული გამოსავლების სიხშირე და სანახშირე ტყის სიჭარბე. „ამიტომაცაა, — შენიშნავს დ. ბერძენიშვილი, — რომ რკინის სადნობი ქურები აქ გვხვდება წინარეანტიკური ხანიდან მოყოლებული, ვიდრე XIX ს. დასასრულამდე“ (**იქვე**).

დებედას ხეობაში მოიპოვებოდა სპილენძი, ოქრონარევი ქვიშა და ტყვიანარევი ვერცხლი. რკინის მადნის სიმდიდრით გამოირჩეოდა ბოლნისის ხეობა. „აქ 30-მდე უბანია რკინის მადანის გამოსავლისა და ძველი გამონადნობის კვალით“ (**იქვე:12**).

საუცხოო საამშენებლო მასალაა ბოლნური ტორფი. ლორეში არსებული თიხისაგან საუკეთესო აგურისა და კრამიტს ამზადებდნენ.

„რკინა მთლიანად ცვლის ტექნიკური მელითონეობის ჩვევებს და ქმნის ახალ ეტაპს მელითონეობის განვითარებაში“ (**ავალიშვილი 1974:112**). ამან, განსაკუთრებით კი, რკინის სახნისის ფართოდ გავრცელებამ მიწათმოქმედების მნიშვნელოვნად დაწინაურებას შეუწყო ხელი.

ქვემო ქართლში, სადაც მოსახლეობა ძვ. წ. V—IV ათასწლეულებიდან ეწეოდა დამჯდარ მიწათმოქმედებას, რკინის მელითონეობის განვითარებას შემდეგ ეს დარგი მნიშვნელოვნად დაწინაურებული ჩანს. მემინდვრეობის შედარებით გვიანდელი მონაცემების დ. ბერძენიშვილისეული ჩამოთვლით „აქ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი; იყო ბამბა, თამბაქო და სელიც; მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, „ხოლო კანაფი უმუშაკოთ“ მოდიოდა“ (**ბერძენიშვილი 1979:9**).

მემინდვრეობის ეს დარგები მორწყვაზე იყო დამოკიდებული. ქვემო ქართლის მდინარეთა ქვემო წელი მრავალი მცირე და მოზრდილი არხებით ყოფილა მოფენილი, რომელთა ნაშთები ახლაცაა შემორჩენილი (**ხარაძე 1991:7**).

მთიან სექტორებში მიწათმოქმედებისათვის შეზღუდული პირობები იყო. იქ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, შვრია და სელი. ეწეოდნენ მეფუტკრეობას.

ქვემო ქართლის მდინარეთა ფართო ჭალებში მოსახლეობა მრავალფეროვან მეურნეობას ეწეოდა. ვენახ-ხილიანი ზონა ხეობათა თითქმის შუა დინებამდე აღწევდა. მოჰყავდათ საუცხოო ხარისხის ხორბალი. თბილი და უქარო ხეობები მებოსტნეობისთვისაც ხელმისაწვდომი იყო. „მეღვინეობა-მევენახეობის წამყვან როლზე აქაურ მიწათმოქმედებაში მეტყველებენ წერილობითი წყაროები, თუ მატერიალური კულტურის ნაშთები: მარანსაწნახელები და ქვევრები რომლებიც თითქმის ყოველი ნასახლარის გვერდით გვხვდება“ (**ბერძენიშვილი 1979:10**).

ვფიქრობთ, ქვემო ქართლის შესახებ ჩვენი მონათხრობი კარგად აჩვენებს იმ პოტენციურ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაც ამ მხარეს წილად ჰხვდა საქართველოს ისტორიაში. ქვემო ქართლის მოსახლეობა არაბთა შემოსევებისა და ხანგრძლივი ბატო-

ნობისაგან წელში კარგად გამართული არ იყო, როცა უკვე გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში მყოფს, თურქ-სელჯუკთა ურდოების ახალი დიდი დარტყმის მოგერიება მოუხდა. დავით აღმაშენებლის მარჯვენისა და ქრისტეს ჯვრის მადლით, მან ამ განსაცდელსაც გაუძლო და შაჰ-აბასის მიერ ანექსიამდე საქართველოს ძლევამოსილ „მეწინავე სადროშოდ“ დარჩა.

2. შიდა ქართლი

„შიდა ქართლი“ მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქვეყნის ისტორიული სახელწოდება იყო. მან, როგორც ჩანს, შეცვალა უფრო ძველი სახელწოდება — „ზენა სოფელი“ და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცნება.

„ზენა სოფლისა“ და „შიდა ქართლის“ ძველ წერილობით ძეგლებში ურთიერთმიმართების ისტორია საგანგებოდ შეისწავლა ს. ჯანაშიამ.

ამ ცნებების ადრეული იდენტიფიკაცია ეკუთვნის ლეონტი მროველს, რომლის მიხედვითაც, უფლოსმა თავისი წილხვედრს „არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი“ (ქ. ცხ. 1955:10). ეს უკანასკნელი, როგორც „ტექნიკური ტერმინი“ (ს. ჯანაშია) ლეონტის გამოყენებული აქვს ფარნავაზის ადმინისტრაციულ „რეფორმასთან“ დაკავშირებით. აქ „შიდა ქართლის“ ტერიტორიული საზღვრები „გაზიდულია აღმოსავლეთისაკენ“ (ს. ჯანაშია) და სპასპეტად დადგენილს ეძლევა ქვეყანა „ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი“ (იქვე:24).

ჯუანშერი იცნობდა „ზენა სოფელს“—რომელ არს ქართლი“ ამ ქვეყანას მეფე არჩილი, ძმის ანდერძისამებრ, მზითვად აძლევს მირის მესამე და მეოთხე ქალიშვილების ქმრებს (იქვე:242).

ს. ჯანაშიამ ჯუანშერის მონათხრობის კონტექსტზე დაკვირვებით დაადგინა, რომ ამ ავტორის „ზენა სოფელი“ იგივე მროველის „შინა ქართლია“, „მაგრამ ცოტაოდენ შემცირებული სახით: მასში არ შედის, ყოველშემთხვევაში, თრიალეთი, მანგლისხევი და თბილისი თავისი რაიონით“ ჯუანშერის „ზენა სოფლიდან“ ასევე გამორიცხული უნდა იყოს მცხეთა და მისი მიდამოებიც“ (ჯანაშია 1952:282).

„ზენა სოფელი“ ხშირად მოიხსენიება ათცამეტ ასურელ მამათა ცხოვრებაშიც, რომლებიც ჩვენამდე გვიანდელი რედაქციებითაა მოღწეული, „მაგრამ უეჭველია ეყრდნობიან უფრო ძველ ცნობებს“ (იქვე). მაგალითად, აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების (იგი უძველესია ასურულ მამათა ცხოვრებებს შორის) „ზენა სოფელი“ ს. ჯანაშიას ინტერპრეტაციით „მეტნაკლებად ემთხვევა ლეონტი მროველის ზენა სოფელს“ (იქვე: 295).

მართალია, კონსტანტი-კახას მარტვილობაში ნახსენები ზენა სოფლის

სანახების ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება, მაგრამ „უეჭველია, — წერდა ს. ჯანაშია, — ზენა სოფელი აქ ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს მერმინდელს „ზემო ქართლს", ე. ი. სამცხე-ჯავახეთსა და მათს სამხრეთით მდებარე თემებს"[1] (იქვე: 298).

სომხური ანონიმური გეოგრაფიის ნომენკლატურით, „ზენა სოფელს" ქართლის „ზემო ქვეყანა" შეესაბამება. ეს ტერმინი ნაწარმოები უნდა იყოს სომხეთიდან ჩრდილოეთის აღსანიშნავად. ამიტომაა, რომ ამ ქვეყანაში ჩათვლილია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე კანტონები: მანგლისისა და ბოლნისის ხევები და საფიქრებელია—თბილისიც.

დასახელებული მასალების მიმოხილვის შემდეგ ს. ჯანაშია დაასკვნის: „ამრიგად, „ზენა სოფლის" ძველი ცნების გეოგრაფიული მნიშვნელობა დადგენილად უნდა ჩაითვალოს — იგი მეტნაკლებად საშუალო საუკუნეების „შიდა (შინა)" ქართლს ემთხვევა" (იქვე:299).

ნ. ბერძენიშვილს სადავოდ არ მიაჩნდა, რომ შიდა ქართლს უძველეს დროს „ზენა სოფელი" უნდა რქმეოდა და თანაც, რომ თვით ეს ცნება ქართული მეტყველების სამყაროშია გაჩენილი. კერძოდ, იგი გამორიცხავდა არა მარტო ქვემო ქართლის „ზენა სოფელში" ჩათვლას, არამედ მცხეთა და მისი რაიონი, მღ. რეხულამდე ამ რეგიონში შემავლად არ ეგულებოდა და ამიტომ მისთვის „ზენა სოფლის" მცხეთიდან შერქმევის შესაძლებლობას დასაშვებად თვლიდა (**ბერძენიშვილი 1975:325**).

„შერქმევა ამ სახელისა, -- წერდა იგი,— ზენა-ქვენასი — „ნეიტრალური" საშუალო პუნქტიდან არის სავარაუდებელი და იქ, ამ პუნქტში ამ დროს იყო ქართული მეტყველება" (იქვე: 326).

ს. ჯანაშია კი პირიქით ფიქრობდა: „არც თბილისი და არც მცხეთა ამ ძველი დაყოფის ამოსავალ საორიენტაციო პუნქტებად არ გამოდგება"-ო (**ჯანაშია 1952:301**).

სამაგიეროდ, როცა გაჩნდა ახალი ცნებები: „ზემო", „შიდა" და „ ქვემო ქართლი" გასაგები გახდა, რომ მთავარი საორიენტაციო პუნქტი, აქ მტკვარია, ხოლო შიდა ქართლი ცენტრალური პროვინციაა. იგი „გაგებული იქნა, როგორც „შუა ქართლი", რომლის კომპონენტებად ბუნებრივად გამოვიდნენ „ზემო ქართლი" და „ქვემო ქართლი"[2] (იქვე).

ს. ჯანაშიას მიაჩნდა და მას ეთანხმებოდა ნ. ბერძენიშვილიც, რომ „ში-

---

[1] გვიან შუა საუკუნეებში გაჩნდა კიდევ ერთი „ზემო ქართლი". ასე იწოდებოდა შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთით მდინარე ლიახვის მარჯვენა სანაპიროთია შემოფარგლული, სოლო სამხრეთით—ლოღლაურისა და ტირიფონის ვაკეთა ჩრდილო კიდეებით ახლ ეს ქვეყანა მოიცავდა ე. წ. მდ. ფაროხის ხეობებს. „შიდა ქართლის ეს ნაწილი, — წერს ჯ. გვასალია,— XVI-XVII სს-დან, მას შემდეგ რაც თურქეთმა დაიპყრო სამხრეთი საქართველო — ზემო ქართლი, იწოდება ზემო ქართლად" (**გვასალია 1989:35**).

[2] როგორც ირკვევა, ქვეყნის მიმართ არსებობდა „ზემოსა" და „ქვემოს" სხვაგვარი გაგებაც. იგი გვხვდება ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულ ოპიზის სიგელსა და „მატიანე ქართლისაში". ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის ურთიერთობის შესახებ იქ ვკითხულობთ: „და ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძოსა დაუკლებლად... სოლო ბაგრატს აქუსდა ლიხსა და ქვემოთ კერძი დაწყობით" (ქ. ცხ. 1955:304). ამ ფრაზის ანალიზისას ნ. ბერძენიშვილი ასკვნიდა

და ქართლი" სრულიად გარკვეული ტერიტორიაა და ეს დეფინიცია უნდა წარმოშობილიყო; როგორც „გარე ქართლთან დაპირისპირებული ცნება" (**ჯანაშია 1952:300; ბერძენიშვილი 1975: 327**). მაგრამ ასეთი გამოთქმა მხოლოდ იგულისხმებოდა, იგი წერილობით ძეგლებში არ გვხვდება.

ოღონდაც, განსხვავებით თავისი კოლეგისაგან, ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა: „ტერმინი შიდა ქართლი გვიანი წარმოშობის არაა, როგორც ამას ლეონტი მროველი ვარაუდობს, არამედ ძველია და წარმოშობილია, ეთნიკური ქართლის არსებობის უძველეს დროს" (**იქვე**).

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნ. ბერძენიშვილის აზრით, თავიდან ქართლი მხოლოდ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყანას წარმოადგენდა. აქ კი გვინდა დავუმატოთ, რომ იგი ლ. მროველის ცნობების დამოწმებით ასკვნიდა: „მაშასადამე, პირველად მოშენდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლი, ხოლო შემდეგ შიდა ქართლი"-ო (**იქვე:276**).

ს. ჯანაშიას სამეცნიერო მიმოქცევაში ჩვეულებრივად მიაჩნდა შიდა ქართლის საკუთრივ ქართლთან გაიგივება (**ჯანაშია 1952: 391**). ნ. ბერძენიშვილი კი „ზენა სოფელს" „უფლოსის შიდა ქართლს" უწოდებდა (**ბერძენიშვილი 1975:326**). ხოლო „საკუთრივ ქართლი"...,— მიუთითებდა იგი, — ესაა უფლოსის ქართლი („შიდა ქართლი..."): მხოლოდ უფლოსის წილს ამ ქართლს არ ჰქვიან სხვა სახელი გარდა „ქართლისა" (**იქვე:384**).

„შიდა ქართლი" ქართულ ქვეყნებს შორის ერთადერთია, რომლის ტერიტორია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სხვა ეთნიკური ჯგუფების მიერ საცილობელი არ ყოფილა, მაგრამ წერილობითი წყაროების მიხედვით მისი საზღვრები, ქვეყნის პოლიტიკური ვითარების მიხედვით, მაინც განიცდიდა სერიოზულ ცვლილებებს.

შიდა ქართლის, ისევე როგორც საერთოდ ქართლის, დასავლეთი საზღვარი იყო „სურამის ქედი, რომელსაც მაშინ სხვადასხვა ნაწილში ღადო და ლიხი ეწოდებოდა" (**ჯანაშია 1952: 284**). ამ ციტატის ავტორი ფიქრობდა, რომ ჩრდილოეთის საზღვარი ასევე ემთხვეოდა „ერთიანი ქართლის ჩრდილოეთის საზღვარს — კავკასიონს" (**იქვე**). მაგრამ დ. მუსხელიშვილის აზრით, აქაც ჰქონდა ადგილი ცვლილებებს. კერძოდ, თუ ადრე საზღვარი მართლაც კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა, ძვ. წ. IV საუკუნისათვის მთის პროვინციების (დვალეთი, თრუსო, ხევი, პირიქითი ხევსურეთი, თუშეთი) შემომტკიცების საქმეში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. „უკვე ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, თუ უფრო ადრე არა, ხევი დარიალის ხეობით ქართლის სამეფოს საზღვრებშია, ხოლო ჩვ. წ. I საუკუნეში კი აქ უკვე გზის ჩამკეტი ციხესიმაგრეა დადასტურებული"

„ზემოსა და ქვემოთ-ში იგულისხმება არა მარტო აღმოსავლეთ საქართველო, არამედ დასავლეთ საქართველო" (**ნ. ბერძენიშვილი 1975: 65**).

ასეთივე შინაარსისა უნდა იყოს იმავე წყაროში ბაგრატ III-ის მიერ ჭუთაისის ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით შემდეგი ნათქვამი: მეფემ „შემოკრიბნა... ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოს მისისა მყოფნი" (**ქ. ცხ. 1955:281**). ამ ფაქტის შესახებ ჩვენ ქვევით უფრო ვრცლად მოგვიწევს შეჩერება.

(**მუსხელიშვილი 1977:168**). ასევე ანტიკურ ხანაში შემოვიდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში დვალეთი და თრუსო (**ქსე, ტ.3 გვ. 430**). შეიძლება სადავოდ ჩათვალო დასახელებული „ხევები“ რამდენად ეკუთვნოდნენ შიდა ქართლს, მაგრამ ქართლის სამეფოში შემოსულ ამ ერთეულებს და შიდა ქართლს შორის, რომ იმ დროს ეთნო-პოლიტიკური გამყოფი მიჯნა არ არსებობდა, ეს უკვე სადავო აღარ არის. „ამგვარად, — ასკვნის დ. მუსხელიშვილი,— უკვე ძვ. წ. I საუკუნეში ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვარი შორს არის ჩრდილოეთით გაზიდული კავკასიონის მთავარ ქედს იქით“ (**იქვე**).

შიდა ქართლის აღმოსავლეთ საზღვრად ლეონტი მროველს ნაჩვენები აქვს არაგვი. ეს ცნობა ჩვენ ზევით ნაწილობრივ უკვე დავიმოწმეთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მთლიანად მოვიტანოთ იგი, რადგან მასში აღმოსავლეთ საზღვრის სამხრეთი პუნქტების შესახებ ორი სხვადასხვა აზრია დამოწმებული. „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას, — წერს მემატიანე, — და ეპყრა ქუეყანა **არაგვითგან და ტფილისითგან** ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრამდე. და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, **არაგვითგან და არმაზითგან** (ხაზი ორივეგან ჩემია.— გ. მ.) ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას — სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი“ (**ქ. ცხ. 1955:10**). ე. ი. ხაზგასმული ადგილების მიხედვით გამოდის, რომ უფლოსის სამკვიდრო ტფილისამდე ვრცელდებოდა, შიდა ქართლი კი არმაზამდე. მაშასადამე „შიდა ქართლი უფლოსის სამფლობელოს მხოლოდ ნაწილს შეადგენს“ (**გვასალია 1976:141**).

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მსჯელობაში ასახულია ორი სხვადასხვა პერიოდი. ელინისტურ ხანაში, როცა მცხეთაში გადაიტანეს ტახტი, ბუნებრივია, სასაზღვრო პუნქტად ჩათვლილიყო არმაზი. ხოლო გვიან, ლეონტის დროს, როცა თბილისმა, როგორც დედაქალაქმა აშკარად დაჯაბნა მცხეთა, მემატიანემ იგი გამოაცხადა სამიჯნე პუნქტად. ხომ არ შეიძლებოდა ქართლის სატახტო ქალაქი „ცენტრალურ პროვინციაში“[1] არ ჩათვლილიყო.

ნ. ბერძენიშვილს ლეონტიდან ზევით მოტანილ ცნობაში არსებული სხვაობის მიზეზად ის მიაჩნია, რომ „საზღვარი ამ ორ ქვეყანას (ქართლისა და კახეთს. — გ. მ.) შორის მთლად ნათელი არ იყო“ (**ბერძენიშვილი 1975:340**). ხოლო „მატიანე ქართლისას“ ავტორის მონაცემებზე დაყრდნობით, მის თანადროულ საზღვრად მდ. ქსანს გულისხმობს (**იქვე: 341**). მაგრამ ეს უნდა იყოს პოლიტიკური საზღვარი, რაც კახეთის ქორეპისკოპოსების გაძლიერებამ გამოიწვია და მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. თორემ ქართლსა და კახეთს შორის საზღვრად ლეონტიც მტკვარს და არაგვს ასახელებს და ვახუშტი ბატონიშვილიც (**ქ. ცხ. 1973:223**).

რაც შეეხება შიდა ქართლის სამხრეთ საზღვარს, იგი კიდევ უფრო მერ-

[1] ს. ჯანაშიას გამოთქმაა. სხვაგან იგი უფრო აზუსტებს ქართლის სამეფოსათვის ამ პროვინციის მნიშვნელობას და აიგივებს რა ორ ცნებას წერს: „შად ქართლი“ ე. ი. ცენტრალური ქართლი“ (**ჯანაშია 1952:301**).

ყევი იყო. როგორც ლეონტის ზევით მოტანილი ციტატიდან ჩანს იგი უფლოსის სამკვიდროს სამხრეთის საზღვრად ფარავნის („ფანავრის") ტბას თვლის. მაგრამ შიდა ქართლის („ზენა სოფლის") განსაზღრისას ფარავანი აღარაა დასახელებული. ჯ. გვასალიამ შენიშნა, რომ „უფლისციხის, ურბნისის და კასპის ამ ადგილას მოხსენიება ეჭვს არ ტოვებს, რომ ზენა სოფელი (შიდა ქართლი) უსათუოდ გულისხმობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ანუ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას" (**გვასალია 1976:141**). ამის დასტურად მას მოჰყავს იმავე ლეონტის ცნობა აღერკი მეფის მიერ თავისი ძის ქართამისათვის მიცემული სამკვიდროს შესახებ, სადაც შიდა ქართლი განსაზღვრულია, როგორც „ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი" (**ქ. ცხ. 1955:43**). სხვათაშორის დამოწმებული ტექსტის მიხედვით (მცხეთაც, მუხრანით) ქართამის საუფლოში შედის.

შიდა ქართლის სამხრეთის საზღვრის მერყეობა ბ-ნი ჯ. გვასალიას ნააზრევშიაც აისახა. როგორც ვნახეთ 1976 წელს ამ პროვინციას იგი „მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნად" განსაზღვრავდა. ქსე-ს 1986 წელს გამოცემულ მეათე ტომში გამოქვეყნებულ სტატიაში კი წერს: „ისტორიული შიდა ქართლი მოიცავდა ტერიტორიას... სამხრეთით— ფარავნის ტბამდე. მდ. მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმამხარი ერქვა" (**გვ. 744**). ეს „გაღმამხარი" მას შეტანილი არა აქვს შიდა ქართლის სასპასპეტოში შემავალი ადმინისტარციული ერთეულების, ხევების ჩამოთვლაშიც. რომელიც ასე გამოიყურება: „მდ. თერგის სათავეები ეჭირა წანარეთის ხევს; არაგვის სათავეში ცხოვრობდა წირქანის თემი; მის სამხრეთით მთიულთკარამდე მდებარეობდა ცხავატი, უფრო სამხრეთით ანანურამდე — ჭართლის თემი, ხოლო მდ. ნარეკვავისპირა მიწები და დუშეთ-ბაზალეთის პლატო შედიოდა ბაზალეთში. ცხრაძმის ხევში ქსნის ხეობის ზედა წელის (ცხრაძმა, ქარსოხი, ჯამური, ჭურთა) გარდა შედიოდა მდინარეების — ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის სათავეები. ქსნის ხევი ქსნის ხეობის შუა წელს გარდა მოიცავდა ლეხურისა და მეჯუდის შუა ნაწილებს. მეჯუდისა და ლეხურას ქვემო დინებებს შორის მოქცეულ ტერიტორიას ეწოდებოდა რეხა; პატარა ლიახვსა და მეჯუდას შუა წელს შუამდებარე ტერიტორია ქმნიდა გვერდისძირს, ხოლო პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა საცხუმეთი. დვანის წყლისა და ფრონეს მიდამოებს ეწოდებოდა დვანის ველი; ხოლო დიდ ლიახვზე მდებარეობდა აჩაბეთის ხევი" (**გვასალია 1976:143--144**).

ცხადია, არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ რაღაც პერიოდში ე. წ. „გაღმა მხარი" მიეთვლებოდა „ზენა სოფელს" („შიდა ქართლს"). თუმცა, უფრო სწორად უნდა მივიჩნიოთ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ შიდა ქართლი ეს იყო მცხეთის ზემოთ ქვეყანა, მცხეთის გამოკლებით. მდ. რეხულას დასავლეთით კასპ- უფლისციხით. ასეთი გაგების დროს კარგად ჩანს, თუ რას ნიშნავს „ზენა სოფელი" და „ქვენა სოფელი" (**ბერძენიშვილი 1975:325**).

„შიდა ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდან ქართველური იყო" (**გვასალია 1976:145**). ნ. ბერძენიშვილი გაარჩევდა „წმინდა (არანარევი) ქართული ტომების სამკვიდროს" და იმ ტერიტორიას, სადაც უცხო მოდ-

გმისა და ქართველური ტომები ერთად ცხოვრობდნენ. შიდა ქართლი მას არანარევი ქართული ტომების სამკვიდროში არა აქვს ჩათვლილი (**ბერძენიშვილი 1975: 366**). რაღგან მას მიაჩნდა: „გარკვეულ დროს (შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში) აწინდელი ტაო-კლარჯეთის, სამცხის და **თვით შიდა ქართლის** (ხაზი ჩემია. — გ. მ.) დიდი (დასავლეთი) ნაწილი მეგრულ- ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა აღმოსავლურ ქართული ტომების გვერდით" (**იქვე**).

ჯ. გვასალიას მიერ შესწავლილი ტოპონიმიკური მასალა სავსებით ადასტურებს ამ მოსაზრებას. თანაც, მეგრულ-ჭანურთან ერთად მას დაძებნილი აქვს სვანური ტოპონიმებიც. რაც საფუძველს აძლევს დაასკვნას: „ტოპონიმთა უმრავლესობა ქართულ საფუძველზე იხსნება. რამდენიმე ტოპონიმს აქვს მეგრულ-სვანურ-ქართული ან მეგრულ-ქართული პარალელური ფორმები" (**გვასალია: 1967:51**).

შიდა ქართლის მთიანი რაიონების ტოპონიმიკაში სვანური ელემენტის სიჭარბეს დაბეჯითებით ამტკიცებს თ. მიბჩუანი. მის მიერ სვანურის საშუალებით აქაური ტოპონიმების ახსნა მიზნად ისახავს არა ამ რეგიონის უძველესი მოსახლეობის სვანურენოვნობის დამტკიცებას, არამედ წანარების სვანური ეთნიკური სამყაროსადმი მიკუთვნების დასაბუთებას. ამ მიზნით იგი ტოპონიმიკურ მონაცემებთან ერთად განიხილავს წანარების შესახებ არსებულ წერილობით წყაროებსა და ეთნო-ლინგვისტურ მასალას. მის მიერ მიღებულ დასკვნაზე ჩვენ კახეთის მთიანეთის შესახებ ოხრობის დროს მოგვიწევს შეჩერება. ამჯერად კი შევნიშნავთ, რომ თ. მიბჩუანის ძიების შედეგები დამაჯერებლად მოჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის განცხადებას: თერგის სათავეებში და დარიალის ხეობაში წანარები სწორედ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოვიდნენ (**მიბჩუანი 1989:126**). ე. ი. გამოდის, რომ წანარები თავდაპირველად აღმოსავლეთ შევიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ. დაახლოებით, ძვ. წ. VI-V საუკუნეებიდან, გადაინაცვლეს ცხენისწყლის ხეობაში. შემდეგ, „მთლიანად თუ არა მათი დიდი ნაწილი იმიერკავკასის მთის ზოლს დაეუფლა მდ ყუბანისა და თერგის სათავეებს შორის" (**იქვე**), ხოლო აქედან დარიალის ხეობით „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თითქმის შიდა ქართლამდე და ნაწილობრივ კახეთის ტერიტორიაზე" შემოაღწიეს (**იქვე:127**).

ვფიქრობთ, ერთი ტომის (თუნდაც ტომთა გაერთიანების) ასეთი ოდისეა უფრო უკეთ საჭიროებს დასაბუთებას, ვიდრე ეს დამოწმებულ მკვლევარს აქვს მოცემული.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმების ზანურ და სვანურ პარალელებს უფრო სწორი უნდა იყოს ჯ. გვასალია, როცა წერს: „არაა სავალდებულო, რომ ზანურისა და სვანურის იერის მატარებელი ყველა ტოპონიმი ზანებისა და სვანების შემოქმედების ნაყოფი იყოს. შესაძლოა, რომ ზოგი ფუძე და პრეფიქსული წარმოება, რომელიც დაცულია ამ ენებში, ძველად საერთო ქართველურის კუთვნილებას წარმოადგენდა (**გვასალია 1976:147**).

ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალას. ასეთი მასალის ანალიზის გზით საკუთრივ შიდა ქართლის მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობის გარკვევის ერთ-ერთი სერიოზული მეცნიერული ცდა ეკუთვნის დ. მუსხელიშვილს. მან განაზოგადა ხოვლეგორის, ცხინვალის „ნაცარგორის", სამთავროს (მცხეთა) არქეოლოგიური (კერამიკა) მონაპოვრები, შეაჯერა იგი წერილობით წყაროებთან (ჰეროდოტე IV, 37). ე. წ. „ტოტე-მისტურ" ტოპონიმიკასთან და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „გვიანბრინჯაო — ადრერკინის პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კულტურა, არსებითად სწორედ აღმოსავლელი ქართველი ტომების კუთვნილი უნდა ყოფილიყო" (**მუსხელიშვილი 1977:72**). დასკვნის ამ სახით ჩამოყალიბებამდე ორი გვერდით ადრე ბ-ნ დავითი აზუსტებს, რომ მას მხედველობაში აქვს: „მაინცდამაინც შიდა ქართლის ტერიტორია" და „აღმოსავლეთ ქართველ ტომებში" „უეჭველად „იბერები" ანუ ქართველები" იგულისხმებიან (**იქვე:70**),

ამასთან, პატივცემულ მკვლევარს აუცილებლად მიაჩნია შენიშნოს, რომ, ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ე. ი. შიდა ქართლშიაც) იმთავითვე მხოლოდ ქართველი ტომები როდი ცხოვრობდნენ. გავიხსენოთ: ამასვე ამბობდა ნ. ბერძენიშვილი, როცა მოსახლეობის „ნარევობაზე" მიუთითებდა. კერძოდ, სტრაბონის მიერ დასახელებულ „იბერიელ" სარმატებს შიდა ქართლის მთაში მცხოვრებ ფხოველებს, ჭართლელებს და დვალებს მიაკუთვნებდა და ამით ბერძენი ავტორის მიერ იბერიის სახელმწიფოში შემჩნეულ ტომობრივ სახვადასხვაობას ხსნიდა (**ბერძენიშვილი 1975:275**).

შიდა ქართლის მოსახლეობის შესახებ ჩვენს ნათქვამს თუ შევაჯამებთ ასეთ სურათს მივიღებთ: ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში მთელ ტერიტორიაზე (უფრო ჭარბად კი მტკვრის სანაპიროზე, ვაკეში, მდ. ქსანისა და არაგვის ქვემო წელზე) ცხოვრობდნენ ქართები (იბერები), დასავლეთ პერიფერიაზე—მეგრელ-ჭანები, მთიან სექტორში—სვანები, ფხოვ-ჭართალ-დვალები.

ამ ტომთა შორის უკვე შუა ბრინჯაოს ხანაში მნიშვნელოვნად დაწინაურებულია ქართის ტომი. მას მეტი ორგანიზებულობა, უკეთესი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, განვითარებული მეურნეობა (მესაქონლეობა, მეხორბლეობა, მეტალურგია) აქვს. რაც „მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა" და საშუალებას აძლევდა შუა ამიერკავკასიიდან შეეტია „სხვა მოძმე და არა მოძმე" ტომებისათვის, ჩაეყლაპა ისინი. „**და მოხდა უდიდესი ნახტომი: ქართის ტომმა მცხეთა დაიპყრო და აქ შექმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა**"[1] (**იქვე:237**). „ქართის ტომმა გათქვიფა და გააქართა არა ერთი არაქართი

[1] ნ. ბერძენიშვილს დადგენილი აქვს ამ პროცესის ადგილი და დროც: „მიმდინარეობდა ბრძოლა (შერწყმა), — წერდა იგი,— ამ ნარევი ტომების ტერიტორიაზე, რაც, როგორცჩანს,

ტომი ჰერები, კავკასიანელები იბერები, ეგრები, მესხები“ ამით დაჩქარდა და განვითარდა ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ქვემო ქართლის, მცხეთისა და ზენა სოფლის (შიდა ქართლის) მიერ საფუძველდადებული პროცესი (**იქვე:250**).

როგორც აღნიშნული გვქონდა, ქართული კულტურის საწყისები ქვემო ქართლის ტერიტორიაზეა საძიებელი. მაგრამ ქართიზაციის პროცესში ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული შიდა ქართლსაც. მათ შორის დამაკავშირებელი და ორგანიზაციული რგოლის ფუნქციას ნ. ბერძენიშვილი მცხეთა-არმაზს აკუთვნებდა.

ამ კავშირში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ძველთაგანვე არსებულ გზას, რომელიც „ყარსნის გავლით ქართლის ყელს გადაივლიდა და არმაზის ციხის ძირით, ქართლის ხევით შიდა ქართლში შედიოდა... ის უველაზე მარჯვედ აკავშირებდა შიდა ქართლს („ქართლის ხევით“) ქვემო ქართლთან —გაჩიან გარდაბანთან“ (**იქვე:213**).

შიდა ქართლისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მის ტერიტორიაზე გამავალ საერთაშორისო დაინიშნულების გზებს. უმნიშვნელოვანეს სამიმოსვლო არტერიაზე, დარიალზე კონტროლის განხორციელება ხომ მხოლოდ ამ რეგიონიდან შეიძლებოდა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და იმიერკავკასიის ველებიდან დამუქრებული სკვით-სარმატალანთა აგრესიის შეჩერება ხომ უდიდესი საზრუნავი იყო ჯერ ურარტუს სახელმწიფოსა და შემდეგ აქემენიდური სპარსეთისათვის. ამან გაზარდა დარიალის სამხრეთით მდებარე ქართლის ხევებისა და ხეობების როლი, ხელი შეუწყო სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლას (**გვასალია 1967:14**).

მაგრამ გზებსა და გარე ეკონომიკური ურთიერთობებს დიდი სამეურნეო ეფექტის მოტანა მაშინ შეუძლია, როცა ქვეყანას ამისათვის საკუთარი ბუნებრივი პირობები და რესურსები გააჩნია. შიდა ქართლი, რომ ამ მხრივაც ოდითგანვე გამოირჩეოდა, თუნდაც იქედან ჩანს, რომ ჯერ კიდევ ლეონტი მროველისათვის იგი იყო „უმჯობესი ქვეყნისად“ (**ქ. ცხ. 1955:8**), ხოლო არქეოლოგიური შეუსწავლელობის მიუხედავად (**ბუსხელიშვილი 1977:69**), მკვლევართა ხელთ არსებული მასალები შესაძლებელს ხდიან სრული დამაჯერებლობით ვამტკიცოთ, შიდა ქართლში ბრინჯაოსა და ადრებრინჯაოს ხანაში, ბიკულტურული მეურნეობის (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა)

მხოლოდ რკინის ხანაში დასრულდა ქართის ტომების გამარჯვებით და მთელი ეს სადავო ქვეყნები იბერიაში (ქართლში) შევიდა“ (**ბერძენიშვილი 1975: 367**).

აქაური ეთნიკური ვითარება სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი ექვ. თაყაიშვილს. მისი აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძვ. ხანაში ცხოვრობდნენ მესხები. ისინი მტკვრის ჩრდილოეთით, შიდა ქართლში, ძვ. წ. VI-V საუკუნეებში შეცვალეს იბერებმა. ხოლო ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში, მეფობის გაუქმების შემდეგ ჰეგემონობა თანდათან გადავიდა ქართების ხელში. „იბერები და ქართები ენობრივად უფრო ახლო იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ლაზ-ჭანები და მეგრელები, მაგრამ კილოკავებით მაინც გამოირჩეოდნენ“ (**თაყაიშვილი 1948:106**).

საკმაოდ მაღალ დონეზე არსებობა. ხოლო ასეთი მეურნეობა საზოგადოების განვითარების დაწინაურებულობაზე მიუთითებს.

შიდა ქართლი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით სამ ზონად იყოფა. აქ არის მაღალი და საშუალო სიმაღლის მთები, ალპური და სუბალპური საძოვრები, რაც ინტენსიური მეურნეობის, განვითარების კარგ საფუძველს წარმოადგენდა. დადასტურებულია, რომ ამ ზონაში მეცხვარეობის გვერდით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მსხილფეხა მესაქონლეობას (**გვასალია 1967:22**). აქაური საიალაღე საძოვრების თავისებურება ის იყო, რომ იქ პირუტყვი არა მარტო ზაფხულში იკვებებოდა, არამედ საზამთროდ თივის დამზადებაც შეიძლებოდა.

მთიდან ბარზე გარდამავალი ზონის ტყის მასივებში, ხევისა და წყაროს წყლით მდიდარ, ქარებისაგან მთებით დაცულ ხევებში, მემინდვრეობისა და მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი კლიმატი სუფევს. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მოსახლეობას გამომუშავებული ჰქონდა მეურნეობრიობის წარმოების შესაბამისი წესი. „არსებული მიწათმოქმედების კულტურა, — წერდა გ. ჩიტაია ქართლის 1948 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგებში, — წარმოადგენს რთულსა და მთლიან სისტემას, რომლის ცალკეული ელემენტები მუშავდებოდა და ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე“ ჯ. გვასალიას კი აქაური მემინდვრეობის თავისებურებების ასახვა დაძებნილი აქვს ტოპონიმიკაში. იგი ჩამოთვლის ადგილთა ისეთ სახელებს, როგორიცაა: ახო, ბეღელეთი, კალო, ნაფეტვარი, ნაქერალი, სასვიე და მისთანანი, მიაჩნია რა ისინი ქსნის ხეობაში მემინდვრეობის ოდითგანვე არსებობის „მეტყველ მოწმეებად“ (**იქვე:21**).

ქართლის მემინდვრეობის, მევენახეობისა და მეხილეობის მნიშვნელოვან რაიონს ძველთაგანვე წარმოადგენდა მთისწინა ზონა და ვრცელი ვაკე. მდინარეების — ლიახვის, ქსნისა და არაგვის ხევებსა და მათ შენაკადების შუა წელზე, „შედარებით მარტივი შრომითი ჩვევებისა და ერთი თემის (ხევის) სამუშაო ძალის გამოყენების პირობებში“ (**იქვე:15**) შესაძლებელი იყო მორწყვის საშუალებით საკმაოდ მყარი ყოველწლიური მოსავლის მიღება. მევენახეობის დონის დამადასტურებელია ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქვევრ-საწნახლებისა და მარნების აღმოჩენა, არა ერთ პუნქტში. ასევე — „ქსნიდან გამოყვანილი თელოვანის არხის გამოტანას, სწორედ მევენახეობის განვითარების ინტერესები განსაზღვრავდა“ (**იქვე: 21**).

ქართლის ანუ ტირიფონის ვაკის მიწათმოქმედებისათვის გამოყენება მხოლოდ მორწყვის გზით შეიძლებოდა. თანაც მისი მცირე დახრილობა მოსახერხებელ პირობებს ჰქმნიდა არხების გაყვანისათვის. სარწყავი სისტემების შექმნას აქ მცხოვრებლები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში შედგომიან. ამ დროის უნდა იყოს, — ვარაუდობს ჯ. გვასალია, — ურბნისის ზედა არხისა და ტირიფონის არხის გრანდიოზული რუსხმულები“ (**გვასალია 1982: 35**). ეს უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო საქმე განვითარებას

პოულობს ფეოდალიზმის ხანაშიაც. „როდესაც სპეციალისტების ვარაუდით, ჟინვალთან უნდა ყოფილიყო გამოყვანილი სარწყავი არხი, რომლის წყალი შესაძლოა აღწევდა სამგორის ველამდე“ (**გვასალია 1975: 67**).

შიდა ქართლის მოსახლეობისათვის უცხო არ იყო ხელოსნობაც. არქეოლოგიური მონაპოვრები ადასტურებენ მის მრავალდარგიანობას. სხვადასხვა ეპოქის მოპოვებულ მასალაში გვხვდება ოქრომჭედლობის, სამჭედლო საქმის, კერამიკის, მესელეობის, საფეიქრო, სამღებრო საქმის განვითარების მაჩვენებელი ექსპონატები.

ლეონტი მროველის ცნობის თანახმად, შიდა ქართლი ფარნავაზის დროს ქართლის სასპასპეტროში შევიდა. ჯუანშერის მიხედვით, ასეთივე სტატუსი აქვს მას ვახტანგ გორგასლის მეფობაში (**ქ. ცხ, 1955: 185**). VIII საუკუნეში არჩილის რეფორმის დროს „ზენა სოფელი რომელ არს ქართლი“ ორ საერისთავოს შორისაა გაყოფილი (**იქვე: 249**). IX ს-ში, მეჯუდის ხეობის სოფ. ბიეთში დაფიქსირებულ საამშენებლო წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. „არაა გამორიცხული, —ვარაუდობს ჯ. გვასალია, —რომ ერისთავთ-ერისთავი იოანე იყო მთელი ქართლის ერისთავი“ (**გვასალია 1976: 144**). ყანჩაელების ზეობა არცთუ ხანგრძლივი ყოფილა. X საუკუნისათვის ქართლში დაწინაურებულნი ტბელები ჩანან. ამ დროს უკვე გაჩაღებულია „ბრძოლა ქართლსა ზედა“, რომლის საბოლოო შედეგის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს თამაშობს აფხაზთა მეფის მიერ ერისთავად მოვლინებული, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნება, იოანე მარუშის ძე.

3. ᲖᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

ასე ეწოდებოდა XVI საუკუნემდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. პირდაპირი გამოთქმით „ზემო ქართლი“ ნახმარი აქვს თამარის პირველ ისტორიკოსს-„ისტორიათა და აზმათა“ ავტორს (**ბერძენიშვილი 1985: 4**). უფრო ადრეულ წყაროებში კი ამ მხარის აღსანიშნავად გამოყენებულია „დასავლეთი ქართლისა“ (ჯუანშერი), „ზემო ქვეყანა“, „ზემო კერძო (მხარე)“ ან უბრალოდ — „ზემო“ („მატიანე ქართლისა“).

XV საუკუნიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად დამკვიდრდა ტერმინი „სამცხე-საათაბაგო“, რომელმაც XVI საუკუნეში საერთოდ შეცვალა „ზემო ქართლი“. მართალია ძველი ქართული წყაროები ტოპონიმ „მესხეთს“ არ იხსენიებენ, ამ სახელწოდებამ შემდგომში მაინც უპირატესი გავრცელება ჰპოვა. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს საზოგადო სახელად ზემო ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენო“ (**ჯავახიშვილი 1989:42**).

პ. ინგოროყვა ზემო ქართლის სინონიმად თვლიდა „მესხეთის მხარეებს“, რომელიც მოიცავდა მტკვრის აუზს, სათავეებიდან ბორჯომის ხეობამდე;

ჭოროხის აუზს; აჭარის წყლის ხეობამდე; არაქსის ხეობის სანაპიროზე. პლაკაციოის, დასავლეთ ევფრატის ხეობის სანაპიროზე მდებარე სექტორს — „ქაროლის ყელს". მთელი ეს ტერიტორია უდრის 34230 კვ. კმ-ს. მათ შორის ახლა საქართველოს საზღვრებშია 7115 კვ. კმ. ხოლო თურქეთის ფარგლებში 27115 კვ. კმ. **(ინგოროყვა 1954:297)**.

ბუნებრივ- ტერიტორიული და ნაწილობრივ ეთნიკური თავისებურებების გამო ზემო ქაროლი მრავალ თემად იყოფოდა. ეს ვახუშტისაც აქვს შემჩნეული. იგი წერს: მცხეთოსმა „ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღვამდე უწოდა ზემო ქართლი" რომელიც შვილებს შორს ასე გაანაწილა: „ოძრახოსს მისცა ტაშისკარის ზეითი და მტკურის დასავლეთი, ვიდრე ზღუამდე, — რომელ არს აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო; და ამათ ადგილებსა უმეტეს ეწოდა ზემო ქაროლი. ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკუარის აღმოსავლეთი, ვიდრე ოავაღმდე მტკუარისა, მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოსს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი და არიან ამ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკუარის აღმოსავლეთი" **(ქ. ცხ. 1973: 656--657)**.

ვახუშტის მიერ დასახელებულთაგან ივ. ჯავახიშვილს სანაპირო თემებად მიაჩნდა: „ჯავახეთ-აბოცი[1] არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი" **(ჯავახიშვილი 1989:43)**.

პ. ინგოროყვა, VIII—X საუკუნეებში, ზემო ქართლის (მესხეთის მხარეების) ტერიტორულ ერთეულებათ ასახელებს 9 მხარეს: სამცხეს, ჯავახეთს, არტაანს (არტაან-კოლას), აჭარას, ნიგალს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს და სპერს **(ინგოროყვა 1954:300)**. მასვე აქვს დადგენილი ყველა ამ მხარის ტერიტორიული მოცულობა, საზღვრები და ახლანდელი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური კუთვნილება.

დ. მუსხელიშვილი სტრაბონის "მოსხიკეს" ზემო ქართლთან აიგივებს და მის ტერიტორიულ ერთეულებს მდინარეთა ხეობების მიხედვით ასეთნაირად ყოფს: „ზემო ქართლში შედიოდა შემდეგი ერთეულები: სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი და კოლა—მტკვრის ზემო წელზე, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი—ჭოროხის ზემო წელზე" **(ქსე, ტ. 4, გვ. 511)**. როგორც ვხედავთ აქ აჭარა არაა ჩათვლილი ზემო ქართლის შემადგენლობაში. ამის ახსნა მკვლევარს სხვაგან აქვს მოცემული, საიდანაც ვიტყობთ, რომ აჭარა „მოსხიკეში" შემავალ თემს წარმოადგენდა, მაგრამ იგი სტრაბონის დროს „კოლხეთის წილი უნდა ყოფილიყო" **(მუსხელიშვილი 1977:58)**.

როგორც ითქვა ზემო ქართლის ტერიტორიის დიდი ნაწილი ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია მოხვედრილი. მასზე ქართულ ისტორიოგრაფიაში იშვიათად ჩერდებიან ხოლმე და ამ მხარის ადრეული

---

[1] აბოცს ივ. ჯავახიშვილის ოქმით, ძველად პალაკაციოსაც ეძახდნენ. გვიან კი—ყაიყულს მისი შენიშვნით, იგი „ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა, მაგრამ უფრო ხშირად... ქვემო ქართლის საზღვრებში იყო მოქცეული" **(ჯავახიშვილი 1989:44)**. ამიტომ მის შესახებ ზევით უკვე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

ისტორია ჩვენი მკითხველისათვის ნაკლებადაა ცნობილი, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ ადრეფეოდალური ხანის მესხეთის თემების („ქუეყნების") ისტორიული გეოგრაფიის ზოგადი მიმოხილვა.

ჯ. სამცხე

იგი იყო მტკვრის ხეობაში მდებარე ზემო ქართლის ძირითადი მხარე. დასავლეთით მას საზღვრავდა თორი და ჯავახეთი, სამხრეთით — არტაანი, აღმოსავლეთით—შავშეთი და აჭარა, ჩრდილოეთით—არგვეთი და გურია. ლეონტის ცნობით, ფარნავაზის დროს, სამცხე აჭარასთან ერთად ოძრხის საერისთაოში შედიოდა (ქ.. ცხ. 1955: 24). ჯუანშერს დასახელებული ჰყავს „ბივრიტიან, ერისთავი ოძრხისა", მაგრამ მის საგამგებლო ტერიტორიას არ განსაზღვრავს.

ტერმინ სამცხეს იცნობს სუმბატ დავითის ძე (იქვე:375) და „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი (იქვე:270).

ლეონტი მროველი ერთ ადგილზე სამცხეს განსაზღვრავს, როგორც „ქუეყანას ოძრხევისას", ხოლო მის მცხოვრებლებს „ოძრხეველთ" უწოდებს" სომეხთა სპასპეტმა სუმბატ ბივრიტიანმაო,—წერს იგი,—„აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრხევისასა, რომელს ეწოდების სამცხე. ადგილსა, რომელსა ჰქვიან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსა" (იქვე:47). ამ ცნობასთან დაკავშირებით ნ. ვაჩნაძე შენიშნავს: „როგორც ჩანს, ამ ხანისათვის სამცხე ერთ ტერიტორიულ ერთეულს შეადგენს, რომლის ცენტრიც ოძრხეა (ოძრხევი?), რის გამოც ალბათ, თვით ქვეყანას „ქუეყანა ოძრხევისა" ეწოდება (ვაჩნაძე 1975:129).

სამცხე არა ერთხელაა მოხსენიებული გიორგი მერჩულესა და სერაპიონ ზარზმელის თხზულებებში, რომლებიც X საუკუნის ძეგლებს წარმოადგენენ.

ივ. ჯავახიშვილს სამცხის საზღვრები ასე ჰქონდა წარმოდგენილი:„სამცხე საკუთრივ იწყებოდა ტასის კართან და თავდებოდა არსიანის მთასთან. ჩდილოეთით მას საზღვრავდა „მთა ღადოსი"[1], რომელიც ქაროლის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს საზოგადო საზღვრად ითვლებოდა" (ჯავახიშვილი 1983:56). მაშასადამე, აქ გარკვეულია სამცხის სამი — აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი საზღვრები. სამხრეთის საზღვრის შესახებ წყაროებში პირდაპირი მითითება არ არსებობს. ვახუშტიც კი მას მკაფიოდ არ არკვევს. ივ: ჯავახიშვილს იგი დადგენილი აქვს გამორიცხვის წესით: რადგან სუმბატ დავითის ძე ამბობს, რომ ასპინძა სამცხის ხევს ეკუთვნოდა, ხოლო „ისტორიანის და აზმანის" მიხედვით, ნიალის ველი და ხინგრის წყალი ჯავახეთის მიწა-წყალია — „მაშასადამე, ამ ორ ადგილს შუა ვგონებ ხერთვისის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო სამცხის სამხრეთი საზღვარი" (იქვე).

[1] ღადო ეწოდებოდა ახლანდელ აჭარა-ახალციხის ქედს, „ამ ადგილიდან (ბორჯომის ხეობიდან — გ. შ.) მოყოლებული, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ლიხის მთების მიმართულება ერთბაშად იცვლება და პირს დასავლეთისაკენ იქცევს. ლიხის მთების ამ გაგრძელებას „ღადო" ერქვა" (ჯავახიშვილი 1983:17).

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სამცხე „ქართლის სანახებად“ იწოდება. ხანძთიდან (კლარჯეთიდან) წამოსულთათვის იგი „კერძონი ქართლისათა“-ა **(Mapp1911: ლვ)**, ე. ი. საკუთრივ ქართლია.

სახელწოდება სამცხე აჩვენებს, რომ იგი მესხთა ქვეყანა იყო. პ. ინგოროყვას მიხედვით, მესხები იგივე იბერიელები არიან, ე. ი. ძირითადად ქართულ ტომს შეადგენენ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, კი ქართიზაციის პროცესი ისევე შეეხო მესხურ-ზანურ ტომებს როგორც ჰერებსა და მარგველებს. „უცხოელების მოწმობანი (სტრაბონი, პროკოპი...) და სხვა რიგი ცნობები თანხმობით უჩვენებენ, — წერს იგი,— რომ ეს პროცესი მეტად ადრე დაწყებულა და საკმაოდ გვიან დასრულებულა“ იგი დაწყების ვადად ვარაუდობდა „სამხედრო დემოკრატიის“ პერიოდს. მართალია, „მესხები VI საუკუნისათვის საბოლოოდ შემოდიან ქართლის ერთეულში, თუმცა ეს პროცესი მესხეთის ამა თუ იმ კუთხეში საბოლოოდ დასრულებული IX საუკუნის დასაწყისშიაც არ იყო“ **(ბერძენიშვილი 1975:409)**.

სამცხე ბუნებრივი პირობებით მაინც და მაინც არ ანებივრებდა ადამიანს. „მთელი სამცხე წერდა ივ. ჯავახიშვილი, — მოფენილია მაღალი მთებით. იგი იყო „ქვეყანა კლდოვანი“, მაგრამ, როგორც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდანაა ჩანს, „დაბურული ტყით მოცული ყოფილა. მეცხრე საუკუნეში იგი „ულაწი“ და მიტოვებული იყო და საზოგადოდ იქ „ადგილნი მცირედ კაცრიელნი“ ყოფილა და მერე კი X—XII ს., ქაოლითგან გადმოსულ ახალშენებით მშიდროდ იყო დასახლებული“ **(ჯავახიშვილი 1983:56)**.

სხვაგვარი წარმოდგენისაა სამცხეზე ნ. ვაჩნაძე. „აღნიშნული პროვინცია სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძველთაგანვე დაწინაურებული ყოფილა, — წერს იგი, — ამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მისი ჰავა, ნიადაგი და საერთოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა“ **(ვაჩნაძე 1975:32)**.

თუ „ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაში“ სამცხეზე გამავალ სავაჭრო-სამიმოსვლო გზებს ვიგულისხმებთ, მაშინ მკვლევარის ნათქვამი შეიძლება მისაღებად მივიჩნიოთ, რამდენადაც სამცხე ამ მხრივ, მართლაც, მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენდა. „სამცხიდან გზები მიდიოდა, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — ლიხთიმერეთს, გურიაში, აჭარაში, შავშეთში, ერუშეთ-არტაანში, ჯავახეთში, ქართლში“ **(ბერძენიშვილი 1966:84)**. ამ გზებს შორის განსვენებულ მეცნიერს , უველაზე მნიშვნელოვნად ის მიაჩნდა, რომელიც მდ. ოძრხეს ხეობიდან რკინის ჯვრით, მდ. ხანისწყლის ხეობით ვარციხეში გადადიოდა. „რკინის ჯვრის გზა ერთი მთავარი მაგისტრალთაგანი იყო, — აღნიშნავდა იგი, — სამხედრო-პოლიტიკურთან ერთად, მას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ბიზანტიიდან (ანატოლიიდან) და განსაკუთრებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებიდან, უმთავრესად ამ მიმართულებით შედიოდნენ ლიხსიქით საქართველოში“ **(იქვე: 86—87)**.

მართალია, ძველი წერილობითი ძეგლების ცნობები არ შემოგვნახვია, მაგრამ მდ. ქვაბლიანის ხეობის ზემო წელიდან გზები, როგორც ჩანს, გოდერძისა და ურემას უღელტეხილებით აჭარასა და გურიაშიც გადადიოდა. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ ანდრია პირველწოდებული სამცხეში

რკინის ჯვარ-ოძრხეს გზით კი არა, „არამედ გოდერძ-ქვაბლიანით შეიძლება მხოლოდ შემოსულიყო“ (იქვე:89).

ს. ჯანაშიას ეს გზა ქვაბლიანის ხეობის (და მთელი სამცხისათვის) მეტად მნიშვნელოვან არტერიად მიაჩნდა. „ამ რაიონის დაწინაურებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, — აღნიშნავდა იგი, — რომ აქ ძველთაგანვე გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი გზა, რომელიც არსიანის ქედის გადალახვით, აჭარა-შავშეთსა და ზღვისპირთან აკავშირებდა სამცხე-ჯავახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს“ (ჯანაშია 1952:448).

სამცხიდან გზა, — წერს ნ. ვაჩნაძე,— სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით არტაანისაკენ მიდიოდა. არტაანი დიდი და მნიშვნელოვანი მაგისტრალების საკვანძო პუნქტი იყო“ (ვაჩნაძე 1975:32).

ისტორიულ სამცხეში რამდენიმე ციხე-ქალაქი და სამონასტრო ცენტრი არსებობდა. როგორც ჩანს, ამ მხარეში ადრიდანვე დაუარსებიათ საეპისკოპოსო ეპარქია. მისი ცენტრი აწყური იყო. პ. ინგოროყვა ამტკიცებდა, რომ აწყურის ეპისკოპოსი ესწრებოდა დვინის 506 წლის საეკლესიო კრებას (ინგოროყვა 1954:442). მისი აზრით, ეს კათედრა დაარსებული უნდა იყოს V–VI საუკუნეთა მიჯნაზე (იქვე: 393) ასეთივე აზრისანი იყვნენ ამ საკითხზე ს. კაკაბაძე და კ. კეკელიძეც.

აწყური გარდა საეკლესიოსი სამცხის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საფორტიფიკაციო ცენტრიც ყოფილა (ვაჩნაძე 1975:118). გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა მისი საგვარეულოს მამაკაცების შტო. ამას მოჰყვა მაწყვერელის როლის მნიშვნელოვანი ზრდა. ჩორჩანელის დის ლატავრის შვილებს— სულას, ბეშქენსა და ლაკლაკის შორის გამუდმებული ბრძოლა ატყდა. ამით მათ ერთმანეთი დაასუსტეს. მხარეში ძლიერი საერო ხელისუფალი აღარ იყო. ამით გზა გაეხსნა სასულიერო ხელისაფალს — მაწყვერელს. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით იგი სამცხის ლაშქრის სარდალია და მეფისა და ლიპარიტ ბაღვაშის ბრძოლაში მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ როლს თამაშობს: ჯერ მეფის მხარეზეა, ხოლო, როცა შეატყობს, რომ გამარჯვების სასწორი ლიპარიტისკენ იხრება — „გამოექცა მაწყვერელი მეფესა და შეეზრახა ლიპარიტს“ (ქ. ცხ. 1955:300). ნ. ვაჩნაძის ვარაუდით მაწყვერელის ხელისუფლების ასეთი გაზრდისათვის სამცხეში სათანადო პირობები IX ს-ის II ნახევარში არსებობდა. რადგან მაშინ ეს მხარე ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემომტკიცებული ბაგრატიონებს (ვაჩნაძე 1975:127).

სამცხის მხარის უძველეს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი ოძრხე. ლეონტის ძიხედვით, იგი მცხეთოსის შვილს ოძრახოსს დაუარსებია. ფარნავაზის დროს ოძრხე საერისთავოს ცენტრი იყო. ასევე დარჩა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ვახტანგის მეორე ცოლი და ორი ვაჟიშვილი წუნდის ერისთავმა ნაზარმა, კლარჯეთის ერისთავმა არტავაზმა და ოძრხეს ერისთავმა ბივრიტიანმა, მეფის ანდერძის თანახმად, წამოიყვანეს დასავლეთ ქართლში, სადაც მათი საზაფხულო რეზიდენცია წუნდა იყო, ხოლო საზაფხულო ოძრხე (ქ. ცხ. 1955:204). არაბთა ბატონობის ხანაში ეს ქალაქი ძლიერ დაქვეითებულა. ნ. ვაჩნაძე ჯუანშე-

რის ცნობაზე დაკვირვებით ასკვნის, რომ VIII საუკუნის 40-იანი წლებისათვის ოძრხე მხოლოდ წარსულში სახელოვანი ქალაქის უმნიშვნელო ნაშთს წარმოადგენდა **(ჯაჩნაძე 1975:133)**.

IX ს-ის 80-იანი წლებისათვის „მატიანე ქართლისა" სამცხეში სამ მნიშვნელოვან ციხეს — ოძრხეს, ჯუარის ციხესა და ლომსიანთას ასახელებს **(ქ. ცხ. 1955:261)**. აქედან ორი უკანასკნელის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი გუარამ მამფალის (გარდ. 882 წ.) აგებულია, მაგრამ მათი მდებარეობა არაა დადგენილი. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ვერ გამოვარკვიე სამცხის სახელდობრ რომელს კუთხეში უნდა ყოფილიყო გვარამ მამფალის მიერ აშენებული „ჯუარის ციხე"-ო[1] **(ჯავახიშვილი 1983:57)**. ხოლო (ლომსიანთა მისი თქმით „ეხლანდელ ლომიანთას უდრის" [2] ვახუშტი კი ლომსიას ახალციხესთან აიგივებდა. მისი საბუთი მარტივი იყო: „ვინათგან ისახელების რა ახალციხე ცხოვრებასა შინა, — შენიშნავდა იგი, — არაღა მოიხსენების მერმე ლომსია" **(ქ. ცხ. 1973:663)**.

ნ. ბერძენიშვილი ამის გამო წერდა: „ვახუშტის არგუმენტები საკმაო არაა... ვახუშტის თავისი მოსაზრების დასაცავად დასჭირდებოდა დაემტკიცებინა, რომ გუარამ მამფალის მიერ აგებული ციხე ლომსიანთა XI ს-ში ისე საფუძვლიანად გადაკეთდა, რომ მას სახელიც გამოუცვალეს და ახალციხე უწოდეს... ჩვენ ჯერჯერობით... ვფიქრობთ, რომ სამცხის ეს ნაგვიანევი ცენტრი — ახალციხე (ციხეცაა და ქალაქიც) მხოლოდ XI—XII საუკუნეებშია წარმოქმნილი" **(ბერძენიშვილი 1966:84)**.

სამცხის ისტორიულ სიძველეთაგან ცალკე აღნიშვნის ღირსია „ოძრხის წყლის დასავლეთით (მდებარე.—გ. მ.) ზანავი, ჩორჩანი და ზარზმა დიდებული მონასტერი, ქართული ხელოვნების ერთ საუკეთესო ძეგლთაგანი" **(ჯაჩნაძე 1983:57)**. ყველა ესენი იმავე სახელწოდებით მდებარეობენ მდ. ფოცხოვის შენაკადის ქვაბლიანის ხეობაში. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიხედვით ჩორჩანისა და ზანავის სანახებში აქაურ დიდ მთავარს — გიორგის ჰქონდა მრავალი ტაძარი (სასახლე) და კარავი (მცირე სასახლე)[3].

ქალაქთა, ციხეთა, ტაძართა და სასახლეთა მშენებლობა დიდძალი ეკონომიკური რესურსების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული. სამცხეში ასეთის შესაძლებლობანი არა მარტო ფეოდალურ ურთიერთობათა განვითა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ „ჯვარის ციხე ქართულ საისტორიო მწერლობაში არაერთგზის იხსენიება". მას ზოგჯერ „ციხის ჯვარიც" ეწოდება. თორელთა ციხისჯვარელობა „გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ორ ციხის ჯვართან: 1. თორში და 2. სამცხეში, სადღაც ოძრხის ახლოს ფერსათს იქიდან გადმოსულ გზაზედ" **(ბერძენიშვილი 1966:87)**. მაშასადამე, გვარამის აგებული „ციხის ჯუარი" ოძრხეს მახლობლად თუ და „უეჭველია აქ ის ფერსათ-ღადოზე გარდამავალ გზას მეთვალყურეობდა" **(იქვე:83)**.

[2] მითითებულ გამოცემაში წერია-„ლომიანთა". ნ. ბერძენიშვილს კი „ლომსიანთა" ამოუწერია. ამაჟე შეცდომას ამეორებს ნ. ჯაჩნაძეც **(იხ. მისი 1975:133)**. გეოგრაფიული პუნქტი ლომიანთა არ არსებობს. „სამწუხაროდ ჩვენს ხელთ არსებულ აწინდელ რუკებზე ლომიანთა ვერ ვპოვეთ"-ო წერდა ნ. ბერძენიშვილი **(მისი 1966:84)**.

[3] დამოწმებულია ბასილი ზარზმელის თხზულების ნ. ჯაჩნაძისეული პუბლიკაციის მიხედვით **(ჯაჩნაძე 1975:157)**.

რებისა და საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ძლიერების პერიოდში იყო, არამედ მონღოლთა-ბატონობის დროინდელ ძნელბედობის ხანაშიაც. ამის დასტურს წარმოადგენს XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე აგებული საფარის წმ. საბას სახელობის დიდებული სავანე და ზარზმის ჩვენამდე მოღწეული მთავარი ტაძარი, XIV საუკუნის დასაწყისისა. რომლებიც თავისი ხუროთმოძღვრული ღირსებებით ტოლს არ უდებენ X—XII საუკუნეთა ქართული არქიტექტურის საჭკეთესო ნიმუშებს. სწორედ საფარისა და ზარზმის მსგავსი „მესხეთის ბრწყინვალე არქიტექტურა XIII—XIV საუკუნეებისა“ და ამავე ეპოქაში შექმნილი ქართული საისტორიო და სამართლის „უნიკალური ძეგლები“ ჰქონდა ს. ყაუხჩიშვილს იმის საბუთად, რომ განეცხადებინა: მატერიალური და სულიერი დაზარალების გამო „ბევრი რამ კულტურის მონაპოვართაგან განადგურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სიცოცხლის მაჯისცემა კიდევ ძლიერი იყო“-ო და ამის გათვალისწინებით მოეთხოვა გადასინჯულიყო „ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში წინათ არსებული შეხედულება XIII—XIV საუკუნეებზე, როგორც დაცემის ხანაზე“ **(ქ. ცხ. 1959:023)**.

XIV საუკუნეში, სამცხეში, რომ აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით უკეთესი ეკონომიკური პირობები იყო ამას ჟამთააღმწერლის მიერ ვახტანგ III-ის მეფობაში (1302-1308) შექმნილი სიდუხჭირის შესახებ მონათხრობიც გვიჩვენებს. „იქმნა პურს მოკლება..., — წერს იგი, — ესდენ განძვირდა შიმშილი, რომელ მძორსა არაწმინდისა ურიდოდ ჰამდეს... ყრმანი მკვდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვდიან, და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქვეყნად ბეჭასა, სადა — იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“ **(ქ. ცხ. 1959:310)**.

ამ ცნობასთან დაკავშირებით დ. მუსხელიშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „ მართალია, აქ ქართლისათვის სრულიად განსაკუთრებული ვითარებაა აღწერილი, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ სამცხისათვის ხორბალი სასაქონლო წარმოების საგანია, რომლითაც იგი ამარაგებდა მეზობელ მხარეებს და მათ შორის ქართლსაც“ **(მუსხელიშვილი 1980:207)**.

ნ. ვაჩნაძე კი იმავე მონათხრობს სამცხეში მემინდვრეობის განვითარების დასტურად იმოწმებს **(ვაჩნაძე 1975:37)**. ამ მხარეში მემინდვრეობა და მევენახეობის დაწინაურება 8 საუკუნით ადრე აქვს დაფისქირებული პროკოპი კესარიელს. მესხეთი, აღნიშნავდა იგი, „სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის“ **(გეორგიკა 1965:127)**.

როგორც ირკვევა, მესხეთში, განსაკუთრებით, მის დასავლეთ ნაწილში, კარგი პირობები ყოფილა მესაქონლეობის განვითარებისათვის. ნ. ვაჩნაძეს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან ამოკრებილი აქვს იმ ცხოველთა სახელები რომლებიც გიორგი ჩორჩანელის კარზე ჰყოლიათ. „სახედართა, მროწეულთა, ჯორების, კარაულების და სხვა მრავალგვარი საქონლის არსებობა“, მეტყველებს „მიწათმოქმედების გვერდით VIII—IX სს. სამცხის მეურ-

ნეობაში მესაქონლეობის განვითარებაზე", -- აღნიშნავს იგი **(ვაჩნაძე 1975:39)**.

სამცხეში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა ხელოსნობაც. განსაკუთრებით კი — სააღმშენებლო საქმე. ამ დარგის მუშაკთა ისეთი პროფესიული წოდებანი როგორიცაა: „ხურო", „ქვითხურო", „კირითხურო", „გალატოზი", „ხუროთმოძღვარი" ფართოდაა გამოყენებული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, მშენებლობათა აღწერის დროს. ამასთან ისეთ მნიშვნელოვან ნაგებობას, როგორიც იყო ზარზმის მონასტერი, ბასილი ზარზმელის გადმოცემით, მშენებლობის დაწყებიდან „შემდგომად სამისა წლისა სრულქმნიან" და „შეამკობენ ყოვლითა განგებითა" **(იქვე:177)**, რაც მშენებელთა მაღალპროფესიულობაზე მეტყველებს.

ბ. ჯავახეთი.

ზემო ქართლის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე თემი იყო ჯავახეთი. იგი ზაბახას სახელით იხსენიება ურარტუს მეფის არგიშტი I-ის ძვ. წ. 785 წლის წარწერაში **(სინ 1970:376)**.

ურარტული წარწერის ზაბახა, რომ ჯავახეთს ნიშნავს ეს მარტო ფონეტიკური მსგავსებით კი არ დასტურდება, არამედ ამ სახელის მქონე მხარის მდებარეობის ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე დამთხვევითაც **(დ. ბერძენიშვილი 1985:75)**.

ივ. ჯავახიშვილს ჯავახეთის საზღვარებზე საუბრისას საჭიროდ მიუჩნევია აღენიშნა, რომ ლეონტი მროველსა და ვახუშტის იგი ზუსტათ შემოწერილი არა აქვთ. ამიტომ თვითონ ამ საკითხის გასარკვევად სხვა წყაროებს იშველიებს. ასეთი გზით მან გაარკვია, რომ ჯავახეთის აღმოსავლეთი საზღვარი ფარავნის ტბა იყო, მაგრამ „უფრო ჩრდილოეთითაც, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ჩრდილო-აღმოსავლეთითაც ქვეყანა ჯავახეთს ეკუთვნოდა" **(ჯავახიშვილი 1983:57)**. ჯავახეთის ჩრდილოეთი საზღვარი მას დადგენილი აქვს სამცხის სამხრეთ საზღვარზე მსჯელობის დროს. მაშასადამე, როგორც ზევით ვთქვით **(იხ. გვ.143)** იგი გადიოდა ხერთვისის ჩრდილოეთით. შედარებით მარტივად სწყვეტს ბ-ნი ივანე დასავლეთის საზღვრის საკითხს. იგი ამბობდა: „ამ ქვეყნის დასავლეთის საზღვარიც არსიანის მთა იყო"-ო. ჯუანშერისა და ლეონტის არაპირდაპირ ცნობებზე დაკვირვების გზით კი ის ვარაუდობდა: „ჯავახეთის სამხრეთი საზღვარი დაახლოებით წყაროსთავის გასწვრივ უნდა ყოფილიყო"-ო **(იქვე:58)**.

პ. ინგოროყვას ჯავახეთის ტერიტორიის უფრო ვრცელი ნაწილი შეჰქონდა „მესხეთის მხარეებში", მაგრამ მიაჩნდა, რომ ზოგჯერ „ზემო ჯავახეთი (ფარავნის უბანი) ადმინისტრაციულად ქვემო ქართლთან ყოფილა დაკავშირებული" **(ინგოროყვა 1954:453)**. ამ უბნის ფართობი, მისი გამოთვლით, შეადგენდა 1620 კვ. კმ-ს. ისტორიული ჯავახეთის მხარეს იგი განიხილავდა არტაანთან ერთად და მათ ფართობს ზემო ჯავახეთს გარდა განსაზღვრავდა და 7186 კვ. კმ-ით. რაც შეეხება საზღვრებს პ. ინგოროყვას იგი მოტანილი აქვს სამაზრო დაყოფის დროინდელი ადმინისტრაციული ერთე-

ულების მიხედვით და ამდენად სურათის წარმოსადგენად ამ ერთეულების საზღვრების აღდგენაა აუცილებელი, რაც ამჯერად საჭიროდ არ მიგვაჩნია, ვინაიდან ხელთა გვაქვს დ. ბერძენიშვილის მიერ უკანასკნელ ხანს მოცემული ასეთი განსაზღვრება:

„ფიზიკურ-გეოგრაფიულად ჯავახეთი სამხრეთიდან ნიალისყურსა, — წერს იგი, — აღმოსავლეთიდან სამსრისა და გულთოვლისა, ჩრდილოეთიდან კი შარავანდეთის ქედებით იყო შემოზიღულული; დასავლეთით ჯავახეთი მტკვრის მარცხენა სანაპიროზედაც ვრცელდებოდა; აქ საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის გადიოდა წყალგამყოფ მთებზე, რომლებიც სამცხის ხევებს ჩრდილოეთით უქცევდა პირს, ჯავახეთისას კი — სამხრეთ–აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით. ეს მთებია კასრისა და გუმბათისა, სადაც ქარზამეთის ხევი იღებს სათავეს, ყარა-ჩაგილა და თოხლი-იურთი ბუზმარეთის მიდამოებში და ვანის მთა, რომლის განშტოება დადეშსა და ბნელასთან ჩამოდის მტკვარზე“ **(ბერძენიშვილი 1989:70)**.

ვახუშტი ჯავახეთს „მტკვრის შემდინარის მდინარეთა და ქვეყანათა“ შორის ათავსებს **(ქ. ცხ. 1973:675)**. მტკვრის ხეობაზე გამავალი მაგისტრალი აკავშირებდა ერთმანეთთან ზემო და ქვემო ქართლს, რაც ჯავახეთზე გავლით ხორციელდებოდა.

ჯავახეთის სხვა მდინარეები მცირეწყლიანია. მათ შორის უდიდესია ჯავახეთის მტკვარი, რომელიც ვახუშტის თქმით „გამოსდის ფანავრის ტბას და მოერთვის საღამოს ტბასა, კუალად გამოდის საღამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლეთ-სამხრეთს შუადამ ჩრდილოეთ- დასავლეთს“ შორის **(იქვე:669)**. იგი ხერთვისთან უერთდება მტკვარს.

როგორც ჩანს, ამ მდინარის „შუადამ ჩრდილო-დასავლეთს“ მიმდინარე მონაკვეთი ჰყოფდა ჯავახეთს ქვემო და ზემო ნაწილებად. დ. ბერძენიშვილი ჯავახეთის გაყოფის თაობაზე ასეთ განმარტებას იძლევა: „ზემო ჯავახეთი“ სწორედ ქართული წყაროების „ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე“ უნდა იყოს. იგულისხმება, რომ დანარჩენი ჯავახეთი, ე. ი. „ქვემო ჯავახეთი იქმნებოდა მტკვრის ნაპირიდან სამცხემდე და ნიალის ველი“ **(ბერძენიშვილი 1975:90)**.

ლეონტის მიხედვით მცხეთოსის შვილმა ჯავახოსმა მამისაგან მიიღო ქვეყანა „ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა“ **(ქ. ცხ. 1955:10)**.

იგივე მემატიანე ფარნავაზის მიერ საერისთაოების გამოყოფაზე თხრობის დროს ამბობს: „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად და მისცა ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელი არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“ **(იქვე: 24)**.

წუნდა საერისთავოს ცენტრია ვახტანგ გორგასალის დროსაც. მაგრამ ამ საერისთავოში ჯავახეთი მთლიანად აღარ უნდა შედიოდეს. ვახტანგმა ქვეყანა „ტასისკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე“ **(ქ. ცხ. 1955:203)** დაუტოვა მეორე ცოლისაგან შეძენილ ვაჟებს. ასე, რომ დანარჩენი ჯავახეთი ტახტის მემკვიდრის საკუთრება იყო. ჯავახეთის

ასე გაყოფის მიზეზად დ. ბერძენიშვილი თვლის იმას, რომ იგი იყო „უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი საძოვარი სამეფო დომენისა" (**ბერძენიშვილი 1985:77**). მაგრამ ქართლის მეფემ მალე დათმო ჯავახეთის კიდევ ერთი ნაწილი „ფანავარითგან მტკუარამდე", რომელიც თავის ნახევარძმებს გაუცვალა კლისურასა და ეგრისწყალს შორის მდებარე ქვეყანაში („ქვემო ეგრისში").

სამი საერისთავოსაგან (წუნდის, ოძრახესა და კლარჯეთისა) შეიქმნა საერისთავოთა გაერთიანება—„დასავლეთი ქართლისა". იგი მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა (**იქვე:79**). „დასავლეთისა ქართლისა" ხელისუფლები იყვნენ დაჩის ნახევაძმები ლევან და მირდატი. ისინი არ იწოდებოდნენ მეფეებად, მაგრამ არც ჩვეულებრივი ერისთავები იყვნენ. ერქვათ „ერისმთავარი". „და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა, დაჩი მეფისა" (**ქ. ცხ. 1955:205**).

მომდევნო ხანაში მირდატის დისწული გურამ ბაგრატიონი გაერთიანებული კლარჯეთ-ჯავახეთის მთავრად ინიშნება, ბიზანტიის კეისრის მიერ (**იქვე:218**). VII საუკუნეში ჯავახეთი, ისევე როგორც მთელი ქართლი არაბთა ბატონობის ქვეშ მოხვდა. IX საუკუნიდან მცირე წყვეტილების გარდა ბაგრატიონთა სამფლობელოშია: აქ ამარცხებს აშოტ კურაპალატი არაბთა მდევარს. მის ძეს გუარამ მამფალს „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი და ბრძოლა სარკინოზთა" (**იქვე:257**). 883 წლიდან ჯავახეთი აშოტ კურაპალატის უფროსი ძის — ადარნასეს შთამომავლების მფლობელობაშია.

რადგან ჯავახეთი უაღრესად მნიშვნელოვანი სტატეგიული ტერიტორია იყო (**მუსხელიშვილი 1980:223**), საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი მხარეები ენერგიულად იბრძოდნენ მისი ხელში ჩაგდებისათვის. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებზე დაყრდნობით დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ 941 წელს, გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრეობისათვის გაჩაღებული ბრძოლის შედეგად, სამცხე-ჯავახეთი მაშინდელი „აფხაზთა მეფის" გიორგი მაგისტროსის ხელში გადავიდა (**იქვე:224**).

ჯავახეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას ნ. ბერძენიშვილი უპირატესად მასზე გამავალი გზებით ასაბუთებდა. „უკვე X ს-ის II ნახევრიდან, — წერდა იგი, — ჯავახეთი აფხაზ მეფეთა საუფლისწულო ტერიტორია იყო... აღმ. საქართველოს სამეფო-სამთავროებთან და ქართლის დიდგვაროვნებთან ბრძოლაში, აფხაზ მეფეთა ხელში უშუალოდ მყოფი ჯავახეთი დიდ უპირატესობას უქმნიდა უკანასკნელთ. ის ყოფდა და იგივე აერთიანებდა სამხრ.-დას. საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსთან. ჯავახეთის მფლობელ აფხაზთა მეფეს ხელი ადვილად მიუწვდებოდა სამხრეთსა და აღმ. საქართველოს ყოველ მხარეს. მის ხელში იყო. მთავარი გზები. სამხრეთიდან (სომხეთი) თუ სამხრეთ- დასავლეთიდან (ბიზანტიიდან). ჯავახეთზე გამოვლით შემოდიოდნენ ეს გზები „აფხაზეთში" (სამცხით), შიდა ქართლში (სამცხით, თრიალეთით), მცხეთა-თბილისში (თრიალეთ-მანგლისით) და კახეთში. გამტარი გზების სიმრავლით და ცენტრალური

მდებარეობით მხოლოდ თრიალეთი თუ შეედრებოდა ჯავახეთს" **(ბერძენიშვილი 1964:52--53)**.

ამ სტრიქონების ავტორის ნაშრომში „გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში", 114-ე გვერდზე, საგანგებოდ აქვს ჩართული ჯავახეთის გზების ამსახავი სქემა. გზების მთავარ კვანძად მასზე ახალქალაქია აღნიშნული. „სამცხიდან ჯავახეთს მთავარი გზა მტკვრის პირით მიდიოდა, — განმარტავს იგი,— ხერთვისთან ის განშტოვდებოდა. ერთი შტო ჯავახეთის მტკვრის პირით ახალქალაქს, ხოლო მეორე არტაანის მტკვრის მარჯვენა ნაპირით წუნდას გაივლიდა" **(ბერძენიშვილი 1966:95)**.

ახალქალაქიდან გზა რამდენიმე მიმართულებით განშტოვდებოდა. თბილისისაკენ მარშრუტი ასეთი იყო: ახალქალაქი — არაგოვა- ბარალეთი- ტაბისყური- რეხა- გუნიაყალა (ძვ. წალკა. —გ. მ.) — მანგლისი- თბილისი **(იქვე:98)**. ეს გზა წარმოადგენდა ტაო-კოლა-არტაანიდან, კარწახის ტბით მომავალი მაგისტრალის გაგრძელებას. „ძირითადად ამ გზით ხდებოდა ურთიერთობა ბიზანტიისა საქართველოსთან და სპარსეთთან **(დ. ბერძენიშვილი 1985:97)**. თვით ახალქალაქის დაწინაურებასაც ამ გზაზე მიმოსვლის გააქტიურებას უკავშირებენ **(ჭილაშვილი 1970:89)**.

ახალქალაქის გადაქცევა ზემო ჯავახეთის ცენტრალურ პუნქტად, გარდა გზების გადანაცვლებისა, გამოწვეული იყო ამ მხარის ეკონომიკური დაწინაურებით.

ჯავახეთის ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო მესაქონლეობა. აქაურ საზაფხულო საძოვრებს ადგილობრივი მოსახლეობის გარდა საქართველოს სხვა მხარეების მეჯოგეებიც იყენებდნენ. ამას ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ამ მხარეში „ზამთარი მკაცრი უნდა ყოფილიყო, ზაფხული კი გრილი და საამო. მაღლობი მდებარეობის წყალობით აქ ზაფხულში, მეტადრე ჯავახეთსა და კოლა-არტაანში საუცხოო ბალახი იცოდა და მშვენიერი საძოვრები იყო, რომლითაც საქართველოს სხვა თემების მესაქონლეებიც სარგებლობდნენ" **(ჯავახიშვილი 1930:146)**.

„საქონლის საძოვარზე ჯავახეთში ამოყვანა კი, — წერს დ. ბერძენიშვილი, — თუ რამდენად ძველი წესია, ეს ჩანს აქაური ყორღანებიდან, მესაქონლე ტომების ბელადების საფლავებიდან. ისინი ამ საძოვრებზე ზოგან ჯგუფურად, ზოგან ცალ-ცალკეა" **(ბერძენიშვილი 1985:73)**. ამ პროცესს, რომ უწყვეტი ხასიათი ჰქონდა, ამაზე მიუთითებს იმავე ყორღანებზე ქრისტიანული საფლავების არსებობა. ე. ი, ბრინჯაოს ხანასა და ფეოდალური ეპოქაში (და უფრო გვიანაც) მესაქონლეები ერთი და იგივე საძოვრებით სარგებლობდნენ.

ჯავახი მეურნეებისათვის მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო მემინდვრეობა. აქ მიწის 2/3 მუშავდებოდა. მორწყვა არ სჭირდებოდა ახალქალაქის პლატოსა და ბუზმარეთ — ნიალის ველს **(იქვე:72)**. მოჰყავდათ: ხორბალი, ქერი, შვავი, შვრია და სელი. სელს ზეთის წარმოებისათვისაც იყენებდნენ. გარდა ყოველდღიური მოხმარებისა, იგი საჭირო იყო საკულტო სამსახურის შესასრულებლადაც.

მეურნეობის სხვა დარგები ნაკლებ განვითარებული იყო. მეხილეობა და მებოსტნეობისათვის საჭირო პირობები უმთავრესად მტკვრისპირა სოფლებში ჰქონდათ. აქ მორწყვა მოსახერხებელი იყო და მსხალს, ვაშლს, ქლიავსა და თუთას აშენებდნენ.

მეურნეობის განვითარების თავისებურებებისა და ტერიტორიული მღებარეობის გამო, ჯავახეთი დიდად იყო დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე. საქართველოს გაერთიანების დროისათვის იგი კლარჯეთის სამთავროს შემადგენელი ნაწილიდან, „აფხაზთა მეფეების“.ხელში აღმოჩნდა. მაგრამ, როგორც ჩანს მაინც კლარჯეთის მთას წარმოადგენდა“ **(იქვე:92)**.

სატომო სახელი „ჯავახი“ ურარტული „ზაბახას“ შემდეგ, თითქმის 20 საუკუნე, აღარ გვხვდება წერილობითი ძეგლებში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობდა. იგი საკმაოდ ადრე ქცეულა საკუთარ სახელად. „ჯავახი“, — ვარაუდობს დ. ბერძენიშვილი, — უნდა რქმეოდა არმაზის ერთერთ ერისთავს“ **(იქვე: 126)**. საკმაოდ გავრცელებულად ითლება ამ ძირიდან მომდინარე ტოპონიმებიც.

ანტიკური და ფეოდალური ხანიდან შემორჩენილი ტოპონიმიკა ჯავახეთში უმთავრესად ქართულია. „შეინიშნება ზანური ენის ნაკვალევიც **(იქვე:125)**. ამის შესაბამისია ბრინჯაოს ხანის ინვენტარიც. იგი ატარებს თანადროულ, როგორც დასავლეთ ქართული, ისე აღმოსავლეთ ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ჯავახეთი კოლა-არტაანთან ერთად პერიოდულად დაპყრობილი ჰქონდა ხოლმე სომხეთს. ამან გავლენა მოახდინა ეთნიკურ ვითარებზედაც. ეს აისახა ტოპონიმიკაშიც. ჯავახეთის ძველი ცენტრის წუნდას სახელი სომხური წარმოშობისაა. ღრტილაში, XI ს-ში, ჩატარებული სომეხ და ქართველ ღვთისმსახურთა პაექრობის პერსონიფიკაცია და მათი მრევლის შემადგენლობა აჩვენებს, რომ აქ „სომხური ყოფილა მოსახლეობის ნაწილი“. მაგრამ „მიუხედავად ამისა ჯავახეთში არ შემოგვრჩენია უძველესი სომხური წარწერები, ასეთები აქ მხოლოდ ქართული ჩანს“ **(იქვე:126)**.

ჯავახეთის შესახებ საუბრის დასასრულ საჭიროა ითქვას, რომ აქ ორი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: წუნდისა და წყაროსთავისა. ჯუანშერის ცნობის მიხედვით; წუნდის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა ვახტანგ გორგასალმა. 506 წლის დვინის საეკლესიო კრების „ეპისტოლეთა წიგნში“ კი წუნდის ეპისკოპოსი არ იხსენიება. ჯავახეთიდან იქ აღინიშნება კუმურდოელი და წყაროსთაველი ეპისკოპოსები. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ წუნდის საეპისკოპოსო კათედრა კუმურდოში იყო. ვახუშტის მიხედვითაც მეფე მირიანის მიერ მოწვეულ ბერძენ კალატოზებს ტაძარი კუმურდოში აუგიათ და არა წუნდაში, როგორც ამას ლეონტი მროველი იტყობინება. მეცნიერი ბატონიშვილი მიუთითებს: კუმურდოში „იჯდა ეპისკოპოსი მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისს ზეითისა“ **(ქ. ცხ. 1973:670)**.

რაც შეეხება წყაროსთავის ტაძარს, იგი აუგია ვახტანგ გორგასლის უმცროს ვაჟს — მირდატს. როგორც ჩანს, მის დროსვე გამხდარა იგი საე-

პისკოპოსო ცენტრი. აქაური ეპისკოპოსის სამწყსო, გარდა კუმურდოს ეპისკოპოსის კომპეტენციის გარეშე დარჩენილი ჯავახეთისა, ყოფილა არტაანის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ნაწილი, ე. ი. ამ მხარის თითქმის ნახევარი **(ბერძენიშვილი 1985:120)**. დანარჩენი არტაანი, ერუშეთის საეპისკოპოსოში შედიოდა. ასეთი განაწილება დამკვიდრებული უნდა იყოს იმ დროდან, როცა არტაანი წუნდის საერისთავოში იყო გაერთიანებული.

გ. არტაანი

ეს თემი ჩვეულებრივ კოლასთან ერთად მოიხსენიება ხოლმე. ამ უკანასკნელს ზოგჯერ ურევენ მისი მსგავსი სახელწოდების მქონე, ჭოროხის აუზში მდებარე უბანში—კოლში. ასეთის მაგალითად პ. ინგოროყვას მოჰყავს ცნობილი მეცნიერის ილ. აბულაძის შტუდიები, სადაც ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის პოპულარული ნიმუშის „მარტვილობა ცხრათა კოლაელთა"-ს სიუჟეტის განვითარების ადგილად მიჩნეულია ტაოს კოლი. უნდა იყოს კი არტაანის კოლა, რომელიც მტკვრის სათავეებში მდებარეობდა **(ინგოროყვა 1954:413)**.

ამ საკითხის გარკვევის მიზნით პ. ინგოროყვამ ვრცლად მიმოიხილა შესაბამისი ქართული და სომხური წერილობითი ძეგლები. რის შედეგადაც მან დაადგინა, რომ „კოლი, იმიერ ტაოს მთავარი კანტონი (უბანი. — გ. მ.), ცხადია, არის დაბა იშხანის ზონა" იგი ესაზღვრებოდა მდინარე ჭოროხს. ხოლო „მტკვრის ხეობაში მდებარე კანტონი კოლა წყაროებში ყოველთვის მოიხსენიება, როგორც ნაწილი არა ტაოსი, არამედ არტაანის მხარისა, რომელთანაც იგი ერთ ერთეულს წარმოადგენს" **(იქვე:495)**.

ასეთი შეხედულების გამო მკვლევარი არტაან-კოლას განიხილავდა, როგორც ერთ ეთნიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს და კმაყოფილდებოდა იმის აღნიშვნით, რომ „ისტორიული არტაანის მხარე ამჟამად მთლიანად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული" **(იქვე: 300)**. ესაა მიზეზი იმისა, რომ არტაან-კოლას ტოპონიმიკა და ისტორიული გეოგრაფია სრულიად შეუსწავლელია. ამისათვის მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. ამდენად ამ საკითხზე სპეციალური ლიტერატურა არ შექმნილა.

1878-დან 1918 წლამდე, არტაანის ოლქი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ამ დროს გაჩნდა მხარის შესწავლის რეალური პირობები. კოლა-არტაანზე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მოიპოვებოდა ქართულ საისტორიო მწერლობაშიც. ასე მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილი შეეცადა არტაანისა და კოლას შესახებ ცალ-ცალკე ემსჯელა, მიმოეხილა მათი ისტორიული საზღვრები და ღირსშესანიშნავი ადგილები.

არტაანი ჯავახეთის სამხრეთით მდებარე ქვეყანა იყო. „ამიტომ ჯავახეთის სამხრეთი საზღვარი არტაანის ჩრდილოეთი საზღვარი იქმნება", წერდა იგი **(ჯავახიშვილი 1983:59)**. დასავლეთ საზღვარი არსიანის მთაზე გადიოდა. სამხრეთით მას კოლა ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით კი — მთა, რომ-

ლის სახელს ვახუშტი არ აჩვენებს, მხოლოდ მიუთითებს, რომ იგია „ამისა (არტაანისა. — ი.ჯ.) და ფოსოს' შორისი“ **(იქვე:60)**.

ვახუშტი არტაანს ასე ახასიათებს: „ხოლო არს არტაანი ვაკე და უტყეო, ბალახუუავილიანი, მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი და მთანიცა უტყეონი, მცირე არუნალთაგან კიდე“ **(ქ. ცხ. 1973:674)**.

არტაანი მტკვარზე მდებარე ქვეყანა იყო. ეს მდინარე მას ორად ჰყოფდა. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე და ჟამთააღმწერელი იცნობენ „ზენა“ და „ქვენა“ არტაანს. რაც მის მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე მდებარე ნიწილებს უნდა ნიშნავდეს **(ბერძენიშვილი 1985:77)**. ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს დ. ბაქრაძის მიერ სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავართა სამრევლოების აღწერილობაში ნათქვამს, რომ წყაროსთაველის სამწყსო იყო „მტკუარს აქეთი არტაანი“ და ასკვნის: „უეჭველია უნდა მტკუარის იქითაც ყოფილიყო; ე. ი. არტაანს მტკუარის ორთავე ნაპირას ჰქონია მდებარეობა“ **(ჯავახიშვილი 1983:58)**. გაყოფის შესახებ ეს ცნობა გვიჩვენებს იმასაც, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპირო წყაროსთაველის საეპისკოპოსოში შედიოდა, ხოლო დანარჩენი „ტლაშოს ზეითი სულა, არტანი კოლის საზღვრამდინ“ ერუშელის სამწყსოს წარმოადგენდა **(ბაქრაძე 1987:77)**.

კოლას ივ. ჯავახიშვილი არტაანის შემდეგ ცალკე განიხილავს (ვახუშტისთანაც ასეა!) და მხოლოდ მისი საზღვრების აღნიშვნით კმაყოფილდება. იწყებს რა კოლას საზღვრებზე საუბარს მაშინვე მიმართავს ვახუშტის და მოჰყავს შემდეგი ადგილი მისი „აღწერიდან“: „აღმოსავლით (კოლას საზღვარია. — გ.მ.) მთა ყარსისა, რომელი მდებარეობს ყალნუს მთიდამ ნიალის ყურის მთამდე, დასავლეთ-სამხრეთს შუადაამ აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის დასავლით მზღვრის კოლას არსიანის მთა, და აწ ყალნუდ წოდებული, რომელსა ზედა გარდავლენან გზანი ბანას... ჩრდილოთ მზღვრის კოლას არტან-კოლას შორისი მცირე მთა“ **(ქ. ცხ. 1973:675)**.

კოლა მტკვრის სათავეში მდებარე ქვეყანა იყო. ლეონტი მოგვითხრობს: „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანავარითგან თავადმდე მტკუარისა, რომელ არს ჯავახეთი, კოლა და არტანი“ **(ქ. ცხ. 1955:24)**. როგორც ზევით უკვე გვქონდა აღნიშნული, ჯუანშერის გადმოცემით, V საუკუნის მიწურულს, არტაან-კოლაზე ვრცელდებოდა წუნდის ერისთავის ნაზარის კომპეტენცია **(იქვე:185)**.

ქართული წყაროებით კოლა არტაანთან არის დაკავშირებული, იმდენადაც კი, რომ ზოგჯერ არტაანში კოლაც იგულისხმება. „ადრეულ შუა საუკუნეებში,— შენიშნავს დ. მუსხელიშვილი ,— ცნება არტაანისა ზოგჯერ ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა და ფარავდა კოლას“ **(მუსხელიშვილი 1977:161)**. „სომხურ გეოგრაფიაში“ დაცული ცნობის მიხედვით კი კოლა

[1] ყარსის მთიდან კარწახის ტბაში ჩამდინარე ფოსოს წყალზე მდებარე მიკროქვეყანა, ვახუშტის მიხედვით, იყო ფოსო ანუ ჩუღურეთი. (ჩუღურეთ თურქული სიტყვაა. ქართულად ნიშნავს— ორმოს, ფოსოს, დაცემულ ადგილს). „ამ ფოსოს,— აღწერს იგი, — აქუს აღმოსავლით მთა ნიალის-ყურისა, სამხრით მთა ყარსისა, დასავლით მთა არტანისა მასპას შორისი, ჩრდილოთ მთა ნიალის-ყურისავე. წყაროსთავის სამხრით, რომელსა გასჭრის წყალი ფოსოსი. და ჴრს ესე ფოსო უფუნახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოვლითა მოსავლითა, პირუტყვით და კაცითა“ **(ქ. ცხ. 1973:670)**.

ტაოს კანტიონი (უბანი, ხევი) იყო და სომხეთში შედიოდა. ეს „უნდა ასახავდეს IV საუკუნის მეორე ნახევრის ან V ს-ის დასაწყის პერიოდს" **(იქვე:163.)** V საუკუნეში კოლა ერუშეთის (არტაანის) საეპისკოპოსოშია **(ქ. ცხ. 1955:192)**, ე.ი. იგი ქართველებს დაუბრუნებიათ. იმავე ჯუანშერის ცნობით „ვახტანგ გორგასალის დროს კოლა ქართლის სამეფოს ერთ-ერთ ხევს წარმოადგენდა" **(მუსხელიშვილი 1977:163)**. ასევე დარჩა იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე. სომეხი ისტორიკოსის ლევონდის (VIII ს.) გადმოცემით „კოლა ქართლის სამეფოს ტერიტორიაა" **(იქვე:161)**.

გორგასალის უმცროს მემკვიდრეთა (მირდატიანთა) დროს, კოლა-არტაანი ახლადშექმნილი „დასავლეთ ქართლის" საერისმთავროს შუაგული ქვეყანა იყო. მირდატის დისწული გუარამ ბაგრატიონი ქართლის ერისთავებს ბერძენთა კეისარმა „მოსცა მეფედ", „რომელი მთავრობდა კლარჯეთსა და ჯავახეთს" **(ქ.ცხ.1955:218)**.

აშოტ პირველის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა საკურაპალატო" ურთიერთშორის სუსტად დაკავშირებულ სამფლობელოებად დაიშალა **(საქართველოს ისტორია 1948:154)**. კოლა-არტაანი, IX საუკუნის დასასრულს, გურგენ I კურაპალატის მამულში შედიოდა **(ქ. ცხ. 1955:379)**. მისი გარდაცვალების შემდგე არტაანი თანამიმდევრობით ეკუთვნოდათ: გურგენის შვილს ადარნასეს (გარდ 896 წ.) შვილიშვილს — დავით ერისთავთერისთავს (გარდ 908 წ.) და ამის ბიძას — აშოტ კუხს, რომლის უშვილოდ გარდაცვალების (918 წ.) შემდეგ მამა-ბიძების მამულების ერთადერთი მემკვიდრე გურგენ დიდი ერისთავთერისთავი (918—941) გახდა.

„ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, — წერს დ. მუსხელიშვილი,— რომ გურგენ ერისთავთ-ერისთავი ფლობდა შავშეთს, არტაანს, ჯავახეთს და აგრეთვე კლარჯეთსაც" **(მუსხელიშვილი 1980:191)**. მასუდის ერთი ცნობის მიხედვით მანვე დაადგინა, „რომ მტკვრის სათავე, ე. ი. პროვინცია კოლა აგრეთვე მისი (გურგენის. — გ.მ.) სამფლობელოა" **(იქვე:192)**.

კონსტანტინე პორფიროგენეტის გადმოცემით (უფრო ვრცლად ამის შესახებ ქვევით) კოლა—არტაანი იბერიის კურაპალატის სამფლობელოში შემავალ ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა **(გეორგიკა 1952:291)**.

ეხება რა „ჯავახეთის (კოლა-არტაანითურთ) გაერთიანებას კლარჯეთის ერთ სამთავროში", დ. ბერძენიშვილს საჭიროდ მიაჩნია ხაზი გაუსვას ამ ფაქტს, როგორც ბარისა და მთის ეკონომიკურ კავშირს. ჯავახეთსა და კოლა-არტაანს იგი განიხილავს „როგორც მთას, ხოლო კლარჯეთსა და ჭოროხის აუზს როგორც ბარს" **(ბერძენიშვილი 1985:79)**. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ასეთმა ეკონომიკურმა კავშირებმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების წარმატებით დამთავრებას, ბაგრატ III-ის დროს.

კუმურდოს 264 წლის წარწერიდან ირკვევა, რომ ჯავახეთს აფხაზთა მეფე მართავს ერისთავის მეშვეობით, რომლებიც მარუშიან-ვარდანიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდნენ **(მუსხელიშვილი 1980:224)**. ეს ის დროა, როცა ტაოს მფლობელი დავით III კურაპალატი თავის სამფლობელოს საზღვრების

გაფართოებისთვის ენერგიულად იბრძვის. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეზობელ კოლა-არტაანს იგი არ დათმობდა. „მატიანე ქართლისაში“ აღწერილია დავით კურაპალატის და ბაგრატ III -ის მამის გურგენის შეტაკების დროს, ტაოს მფლობელის დლივში დიდი ლაშქრით დაბანაკება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჯავახეთის ეს მნიშვნელოვანი ცენტრი მის სამფლობელოს წარმოადგენდა, ეს კი თუ მთლად ჯავახეთისა არა, მისი ერთი ნაწილის „ქართველთა საკურაპალატოში“ ყოფნას მაინც ნიშნავდა. მართლაც, იმავე წყაროში, უფრო გვიანდელი ამბების გადმოცემის დროს ნათქვამია: გიორგი პირველი დამარცხების გამო იძულებული გახდა ბიზანტიის კეისრისათვის მიეცა **„ჭუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთსო“ (ქ. ცხ. 1955:288)**. თუმცა, როგორც „ქართველთა მეფეს“ არტაან-ჯავახეთზე ხელი მიუწვდებოდა ბაგრატ II-საც **(მუსხელიშვილი 1980:183)**.

გარდა უკვე დასახელებული საეპისკოპოსო ცენტრებისა და ციხე-ქალაქებისა კოლა-არტაანში მნიშვნელოვანი პუნქტები იყო ქალაქები: ,არტაანი, ნაქალაქევი[1], კოლა; სოფლები: დიდი ოროტანი, დადაშო და ხორტევანი. ზოგიერთ მათგანში ვახუშტი აღნიშნავს „დიდ-შუენიერ გუნბათიანი“ ეკლესიების არსებობას. ივ. ჯავახიშვილს კი საჭიროდ მიაჩნია დაასახელოს „ლავრა ოთხთა ეკლესიათა“ **(ჯავახიშვილი 1983:60)**. თუმცა არაფერს ამბობს მისი აშენების თარიღზე.

პ. ინგოროყვა კოლასა და არტაანის მოსახლეობას მესხურ ტომს მიაკუთვნებს. მისი აზრით, იყვნენ „საკუთრივ მესხნი“ და „სხუანი თემისანი... მესხსნი“. ამ უკანასკნელთ წარმოადგენდნენ არტაანელნი და კოლაელნი. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად იგი იმოწმებს ქართული წყაროებს **(ინგოროყვა 1954:539)**.

ლ. აჭარა

ისტორიული აჭარა ზღვისპირა ქვეყანას წარმოადგენს. ლეონტი მროველს დასახელებული აქვს მისი მხოლოდ აღმოსავლეთი და დასავლეთი საზღვრები. კონკრეტულად კი — „ნოსტეს თავიდან ზღუამდის“ **(ქ. ცხ. 1955:24)**. ისტორიკოსის სხვა მონათხრობიდან ჩანს, რომ ნოსტე მდინარეა, მაგრამ რომელი ახლაც არაა დადგენილი. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ აჭარის აღმოსავლეთ საზღვარი არსიანის ქედზე გადიოდა **(ჯავახიშვილი 1983:61)**. ვახუშტი აჭარის საზღვრების შესახებ ასეთ მონაცემებს გვაწვდის: „მზღვრის (აჭარას. — გ.მ.) აღმოსავლით მთა აჭარისა და ზარზმას შორისი; და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამხრით მთა აჭარისა და ლიგანის ხევს შორისი; დასავლით მდინარე ჭოროხი; ჩრდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი“ **(ქ. ცხ. 1973:676)**. ამ „შორისებს“

[1] ლეონტი მროველი ამ პუნქტის შესახებ წერს, რომ ჯავახოსის მიერ აგებულ ნაქალაქევს „ერქუა მაშინ ჭაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ **(ქ. ცხ. 1955:23)**. მ. ბროსე ვარაუდობდა, რომ იგი უნდა გაიგივდეს ძველ არტაანთან, ან უფრო—წუნდასთან **(გეორგიკა 1952:265)**.

ივ. ჯავახიშვილთან სახელები ჰქვია. „ჩრდილოეთით ქვეყანას, – წერდა იგი,— რასაკვირველია, აჭარის მთები საზღვრავდნენ, ხოლო სამხრეთით ჯერ შავშეთის ქედი, ხოლო მერე სამხრეთ დასავლეთით მდ. ჭოროხი“ **(ჯავახიშვილი 1983:61)**.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი წინააღმდეგ ლეონტისა, ზღვამდე არ აღრცელებს აჭარას. ი. სიხარულიძეც ვარაუდობს, რომ „შესაძლებელია ამ მხარის ერისთავის საგამგიოს ერთ დროს მართლაც ასეთი განვრცობა ჰქონოდა დასავლეთით, მაგრამ აჭარა ისტორიულად აჭარის წყლის ხეობას აღნიშნავდა“ **(სიხარულიძე 1958:21)**.

ქსე-ში ამის თაობაზე მითითებულია: „ისტორიული აჭარა... მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავამდე. „აჭარის ხევი“ ორ. ძირითად ნაწილად იყოფოდა: ზემო აჭარად ანუ ზეგნად და ქვემო აჭარად“ **(ქსე,. საქართველოს სსრ, 1981, გვ. 326)**.

არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ ადამიანი აჭარის ტერიტორიაზე ნეოლითის ეპოქიდან ცხოვრობს. გვიან ბრინჯაოს და ადრერკინის ხანაში „აჭარის მიწა-წყალი ჰენიოხთა მსხვილი გაერთიანების ფარგლებში შედიოდა“ **(სიხარულიძე 1958:21)**. ძვ. წ. VIII საუკუნიდან კი კულხას (კოლხეთის) სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა.

ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოს საერისთაოებად დაყოფის დროს, როგორც ლეონტი მროველი იტყობინება, აჭარა ოძრხის ერისთავს ეკუთვნოდა. ი. სიხარულიძე ეჭვობს, რომ აჭარა ქართლის სამეფოს შექმნიდანვე მის ფარგლებში შედიოდა. მკვლევარის აზრით, „აჭარა იბერიის შემადგენლობაში საგულისხმებელია არა უადრეს ძვ. წ. II საუკუნისა“ **(იქვე:22)**.

როგორც ზევით ლაზების შესახებ თხრობისას ვთქვით, „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, ამ ტომებს ეკავათ ტერიტორია ჭოროხის შესართავიდან რიონამდე. დ. მუსხელიშვილი წყაროს დასახელებულ ადგილში ასახულ ვითარებას IV ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს **(მუსხელიშვილი 1980:95)**. ესაა, ეგრისის სამეფოს ძლიერების ეპოქა, როცა მის შემადგენლობაში ჭანეთიც შემოდიოდა. მაშასადამე, აჭარის ვაკე ნაწილი მაინც ეგრისს უნდა კუთვნებოდა, ხოლო დანარჩენი, ალბათ, ოძრხის ერისთავის ბივრიტიანის საგამგებლოში იყო, რომელიც შემდეგ „დასავლეთი ქართლისა“ საერისთავროში გაერთიანდა **(ქ. ცხ. 1955:205)**.

სომეხი ავტორის ვარდან დიდისა და „მატიანე ქართლისას“ ცნობების შეჯერებით, დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ აჭარა აშოტ კურაპალატის მამამ ადარნასემ ვახტანგ გორგასალის შთამომავლებისაგან „ნასამალად“ „იცვალა“, ე. ი. „ნაწილობრივ მაინც ფლობდა შავშეთს, აჭარას, ნიგალს, ასისფორს, არტაანს, ქვემო ტაოს და სხვა მამულებსაც“[1] **(მუსხელიშვილი 1980:157)**.

[1] ი. სიხარულიძეს ეს ადარნასე შეცდომით ნერსე პირველის ძე ჰგონია **(იხ. მისი დამოწმ. ნაშრ. გვ.23)**. სინამდვილეში, ადარნასე ბაგრატიონი იყო. მის მამას სომხური წყაროების მიხედვით ერქვა ვასაკი **(მუსხელიშვილი 1980:156)**. მურვან ყრუს შემოსევის დროს ადარნასე სომხეთიდან შემოეიდა ქართლში. გახდა არჩილ „მეფის“ ვასალი. გარდაიცვალა კლარჯეთში.

ი. სიხარულიძის აზრით, როცა აშოტ კურაპალატმა „ქართლის სამეფოს ჩაუყარა საფუძველი „ეს სამეფო ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა, მის ფარგლებში ერთიანდებოდა აჭარაც“ **(სიხარულიძე 1958:23)**. ამის შემდეგ აჭარა აშოტის მემკვიდრეების ხელშია. მას თანამიმდევრობით ფლობენ: გურგენ I, ადარნასე, აშოტ კუხი და გურგენ დიდი ერისთავთერისთავი.

თავად ტიტული ერისთავთერისთავი გულისხმობს, რომ მისი საგამგებლო საერისთავოებისაგან შედგებოდა. მართლაც კონსტანტინე პორფიროგენეტის (912-959) გადმოცემით, იბერიის კურაპალატს 4 ერისთავი ექვემდებარებოდა: ვერიასახისა, კარბანტაის, ყუელისა და აჭარისა **(გეორგიკა 1952:291)**. დ. მუსხელიშვილმა დაადგინა, რომ ვერიასახის საერისთავო ესაა შიდა ქართლისა, კარანტაის—კოლა-არტაანისა **(მუსხელიშვილი 1980:182--185)**. ორი დანარჩენი ტექსტშივე გარკვეულია: „სრულიად უცილობელია, რომ ყუელის საერისთავოში, მაინცდამაინც, სამცხე უნდა იგულისხმებოდეს“ **(იქვე:182)**. რაც შეეხება მეოთხეს „ეს არის რამდანადაც ვიცით უნიკალური ცნობა აჭარის საერისთავოს არსებობის შესახებ, რაც თავისთავად რა თქმა უნდა სავარაუდო იყო“ **(იქვე:181)**. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობაში ასახულია „IX ს-ის ბოლო მეოთხედზე უფრო ადრინდელი ვითარება“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დასახელებული საერისთავოები მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდნენ. „პირუკუ... ისინი უფრო ძველად არსებობდენენ და სავარაუდოა — უკვე აშოტ დიდის დროს“ **(იქვე:186)**.

საინტერესოა ისიც, რომ გვირგვინოსანი ისტორიკოსი ხაზს უსვამს „იბერიის კურაპალატის“ საკუთარ კომპეტენციაში შემავალ და „სხვა“ ერისთავების მეშვეობით სამართავი ტერიტორიების არსებობას. ერთ-ერთი ასეთია აჭარა.

XI ს-ის დასაწყისში კლარჯეთში (არტანუჯში) დაწინაურებულა აბუსერიძეთა ფეოდალური საგვარეულო. როცა ბაგრატ III-მ „კლარჯი ხელმწიფენი“ თმოგვის ციხეში გამოკეტა, მათი ყოფილი სამფლობელოს მმართველად სწორედ ამ გვარის წარმომადგენელი დასვა. „აჭარას მესხეთის სხვა თემებთან (არტანუჯი, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე) ერთად“ ეს მოხელე მართავდა **(სიხარულიძე 1958:24)**.

ტოპონიმ აჭარას პ. ინგოროყვა უკავშირებდა აქ მცხოვრები ტომის სახელს. მას მიაჩნდა, რომ „ძველ ქართულში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ისეთი სახეობა, როდესაც გეოგრაფიულ სახელწოდებას თავში ერთვის „ა“ ან „ე“. ასეთის მაგალითია სატომო სახელი „ჭანი“, საიდანაც წარმოშობილა „ჭანეთი“ და „ა-ჭან-რა“ **(ინგოროყვა 1954:138)**. ე. ი. ა-ჭან-რა იგიე სა-ჭან-რო, სა-ჭან-ოა.[1]

ეს მსჯელობა ჩვენთვის საინტერესოა არა ტერმინის ეტიმოლოგიის თვალსაზრისით[2], არამედ იმის მტკიცებით, რომ აჭარა ჭანების ქვეყანას

[1] მათი ზეობის თარიღები იხ. ზევით, გვ. 155.

[2] ამ ეტიმოლოგიას არ ეთანხმება ი. სიხარულიძე. მისი აზრით „აჭარა.ა-ა სუფიქს-პრეფიქსული წარმოების სახელია. მისი ძირეული მასალაა ჭ... იგი წყალს უკავშირდება. აჭარაც პირველადი ჩანს მდინარისათვის, ხოლო მირქმეული და მეორადია ოლქისათვის“ **(სიხარულიძე 1958:144)**.

ნიშნავს, მაგრამ ამის აღიარებაც ბევრ საკითხს ტოვებს გაურკვევლად. ჯერ ერთი, როგორ მოხდა, რომ ერთი ტომის (ჭანის) მიწა-წყალს, ერთნაირი გააზრების მქონე ორი განსხვავებულად გაფორმებული სახელი შეერქვა. მეორეც, თუნდაც გავიზიაროთ ი. სიხარულიძის მოსაზრება, რომ აჭარა პირველად მდინარეს შეერქვა და შემდეგ მხარეს, დასადგენი რჩება როდის მოხდა ეს და ცხოვრობდნენ თუ არა მაშინ ამ უბანში ჭანები. ეს საკითხები ეტიმოლოგების მიერ ჯერჯერობით გარკვეული არ არის.

ჭანები მრავალტომიანი ხალხი იყო. ეს აისახებოდა მათს განსახლებაშიაც და დიალექტთა სიმრავლეშიც **(ჯანაშია 1959:180)**. ბერძნულ წყაროებში ჭანები სანებად (ფორმით „სანნი") მოიხსენიებიან. პირველად მათ სტრაბონთან ვხვდებით. იგი წერს, რომ სანებს უწინ მაკრონებს უწოდებდნენ **(სტრაბონი 1957:203)**.

სტრაბონის ეს ცნობა უნდა ჰქონდეს მხედველობაში ევსტათი თესალონიკელს, როცა გადმოგვცემს: „მაკრონები, პონტოელი ხალხი, — ვეხირების სამხრეთით მოსახლეობენ. მათ ჩვენ ეხლა ვუწოდებთ სანნებს, ანუ უფრო მდაბიურად ჭანებს" **(ციტ. ს. ჯანაშიას მიხედვით, 1959:18)**.

„სახელწოდება ჭანი, — წერს ი. სიხარულიძე — მოგვიანებით დაფარა და გამონდევნა ლაზმა, მაგრამ იგი სრულ გაქრობას მაინც გადაურჩა და ბოლომდე შემოინახა თავი" **(სიხარულიძე 1959:24)**.

ლაზები, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ყველაზე ადრე მემნონთან იხსენებიან I—II ს-ში. თუ თავიდან იგი ერთ, შედარებით პატარა ტომს აღნიშნავდა, შემდეგ ფართო მნიშვნელობა შეიძინა. „მეხუთე საუკუნეში, — მიუთითებდა ს. ჯანაშია, — მაინც საბოლოოდ დამკვიდრდა ლაზის ახალი მნიშვნელობა ტერმინ ლაზიკესთან ერთად. „ლაზი" უდრის თანამედროვე „მეგრელს", ლაზიკა კიდევ აღნიშნავს საკმაოდ დიდ სამეფოს" **(ჯანაშია 1959:26)**. ლაზიკა (ლაზეთი) ზანების ქვეყანას ნიშნავს. ს. ჯანაშია ვარაუდობდა, რომ ზანი „ჩაყლაპა ლაზმა". ი. სიხარულიძე კი ამტკიცებს, რომ კი არ ჩაყლაპა, არამედ „ზანი შეცვალა ლაზმა", რაც შეეხება თანამედროვე „მეგრელს" იგი არ უდრის „ლაზს". უფრო სწორია, რომ ლაზეთის „სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ თანამედროვე მეგრელთა წინაპრები" **(სიხარულიძე 1959:25)**.

ტოპონიმი „ჭანეთის" შესასწავლად მნიშვნელოვანი კვლევა აქვს ჩატარებული პ. ინგოროყვას. იგი შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიას „დაწყებული ჭოროხის შესართავიდან — ვიდრე მდინარე თერმოდონამდე" სამხრეთ კოლხეთს უწოდებს. მას ჰყოფს სამ — რიზეს, ტრაპიზონისა და კერასუნ-ფარნაკიის მხარეებად. ანტიკურ ხანაში რიზეს მხარეს ეწოდებოდა სანეთი ანუ სანიგეთი, როცა იგი ლაზეთის შემადგენლობაში შევიდა, მას მიეკუთვნა სახელწოდება ლაზია **(ინგოროყვა 1954:203)**.

ტრაპიზონის მხარის უძველესი სახელი იქ მცხოვრები ხალიბების მიხედვით იყო ხალდია. შუა საუკუნეებში ეს ტერიტორია იწოდებოდა ხალდია-ჭანეთად **(იქვე)**.

კერასუნ-ფარნაკიას ადრეული სახელი ყოფილა ხალიბია-ტიბარინია, მოგვიანებით კი — „პონტოს მხარენი" (იქვე:268).

„ამათგან, — დაასკვნის პ. ინგოროყვა,—ჭანეთი არის ზოგადი სახელწოდება მთელი სამხრეთ კოლხეთისა" (იქვე:267). ამასთან, ერთი სელჯუკური წყაროს მიხედვით არსებობდა „სრულიად ჭანეთი" და „საკუთრივ ჭანეთი". ეს უკანასკნელი ეწოდებოდა ქვეყნის დასავლეთ ნაწილს, რომელშიაც თუ არ შედიოდა აჭარა, მისი მეზობელი ნამდვილად იყო.

როგორც ვხედავთ ტერმინი „ლაზიკა" ჯერ მხოლოდ რიზეს მხარეს მიეკუთვნებოდა და ისიც ლაზთა სახელმწიფოს ძლიერების დროიდან. „ხოლო მომდევნო ხანაში, როდესაც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს შეუერთდა ტრაპიზონის მხარე, ეს სახელწოდება ლაზიკა-ტრაპიზონის მხარეზედაც გადავიდა" (იქვე:214).

ეგრისის სახელმწიფოს დასუსტების შემდეგ თანდათან ვიწროვდება და ისტორიულ კოლხეთში, როგორც მხარის სახელი, საერთოდ ქრება ტერმინი „ლაზიკა". „ აფხაზთა მეფეების" მიერ დასავლეთ საქართველოს შეერთების დროიდან (IX ს-ნე) ეს ქვეყანა „აფხაზეთად" მოიხსენიება. შიდა ეგრისის მიმართ კი — „სამეგრელო" მკვიდრდება.

რაც შეეხება ტერმინების ლაზისა და „მეგრელის" ურთიერთმიმართებას, ისინი სინონიმებად ითვლებოდა არა მარტო აწინდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე, არამედ ტრაპიზონის (ხალდიის) მხარეშიაც. პ. ინგოროყვა იმოწმებს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების თხზულებების ადგილებს, სადაც ტრაპიზონის (ლაზიას) მხარე დასახალებულია, როგორც „სოფელი (ქვეყანა) მეგრელთა", ან „სანახები სამეგრელოსათა" (იქვე:215).

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ XI ს-ში არ ეეშვებოდათ ლაზებისა და მეგრელების იგივეობა. მაშასადამე, ს. ჯანაშიას ზევით ციტირებული იდენტიფიკაცია: „ლაზი" უდრის „თანამედროვე" მეგრელს", რომელიც ი. სიხარულიძემ დაიწუნა, ჭეშმარიტებას შეესაბამება.

როგორც ვხედავთ, აჭარას ჩრდილო-დასალეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მჭიდროდ ემეზობლებოდა მეგრულ-ჭანური მოსახლეობა. ამ ვითარებამ ასახვა ჰპოვა აჭარის ტოპონიმიკაში. იგი საგანგებოდ აქვს შესწავლილი ი. სიხარულიძეს. მისი დასკვნით, აჭარის ოთხ რაიონში (ქედის, შუახევის, ხულოს და ბათუმის) „ადგილთა სახელების უმთავრესი ნაწილი საკუთრივ ქართული წარმოშობისაა (სარფის გამოკლებით, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ჭანურ სახელებს უჭირავს), ქართველურ ენებიდან მომდინარე ტოპონიმიკური სახელებიდან ხშირად გვხვდება. ზანური (მეგრულ-ჭანური)."[1] რაც შეეხება ქვემო გურიას (ასე უწოდებს ავტორი ქობულეთის რაიონსა და ბათუმის რაიონის ერთ ნაწილს), „საკუთრივ ქართული წარმოშობის სახელების გვერდით გვხდება ზანურის საკმაოდ სქელი ფენა" (მისივე 1959:11), რომელიც აქაური ტოპონიმიკის უძველესი დანაშრევია. ეს გარემოება კი იმით აიხსნება, რომ „ეს კუთხეც მთელ დასავლეთ და სახრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად

[1] ი. სიხარულიძე 1958:37.

ზანურისა და მის მონათესავე სხვა ენებზე, თუ იმათ დაილექტებზე მოლაპარაკე ქართველი ტომებით იყო დასახლებული" (იქვე:12).

აჭარის ტოპონიმიკაში სვანურ დანაშრევებს იძიებს თ. მიბჩუანი. "მას გადმოცემული აქვს იქაური 18 ტოპონიმის სვანურის მეშვეობით ახსნა. მათში შედის, რამდენიმე ისეთიც, რომელთაც ი. სიხარულიძე ქართულით ან ზანურით ხსნის. ასეთია კერძოდ, ბათუმი (სიხარულიძე 1959:87; მიბჩუანი 1989:215) და სხვა.

ეკლესიურად აჭარა თავდაპირველად ტბეთის ეპარქიაში შედიოდა. წერილობით წყაროებში (ნოტიციებში) არაერთხელ იხსენიება პეტრას საეპისკოპოსო. ა. ინაიშვილის აზრით არქეოლოგების მიერ ციხისძირის აკროპოლისში გამოვლენილი სამნავიანი, ხუთწახნაგა ბაზილიკა შეიძლება ყოფილიყო პეტრას საეპისკოპოსო ტაძარი (ა. ინაიშვილი 1971:105—106). საფიქრებელია, რომ აჭარა ერთ დროს ამ საეპისკოპოსოს სამწყსო იყო. XI საუკუნის დასაწყისიდან კი ნამდვილად ვიცით, რომ ქვემო აჭარა ქუთაისის ეპარქიაში მოექცა (კსე, საქართ. სსრ, 1981, გვ. 326).

აჭარის ღირშესანიშნავ ადგილთაგან ვახუშტი ასახელებს მხოლოდ მცირე ქალაქის მსგავს დაბას—ქედას (ქ. ცხ. 1973:676). ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს ცნობების სიმცირეს და ასევე ერთ პუნქტს დანდალოს აჩვენებს (ჯავახიშვილი 1983:61).

დღეს აჭარაში ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მრავალი ძეგლია გამოვლენილი და შესწავლილი. მათგან საკმარისია დავასახელოთ: ციხისძირი-პეტრა[1], ფიჩვნარი, აფსაროსი, ბობოყვათი, (მესხელიშვილი 1980:195). ბათუმის შემოგარენში მდებარე ე. წ. „თამარისის ციხე" (უნდა იყოს პროკოპის მიერ მოხსენიებული ლოსორიონი) და სხვა.

ე. ნიგაზი.

ასე იწოდებოდა მდ. ჭოროხის ქვემოწელზე მდებარე თემი. ვახუშტისთან მას „ლიგანის ხეობა" ჰქვია. „გურჯისტანის ვიალეთის დავთარი"—„ლი-

[1] მკვლევართა უმრავლესობა პროკოპი კესარიელის მიერ არაერთხელ დასახელებულ და აღწერილ ციხეს— პეტრას დღევანდელ ციხისძირთან აიგივებს. არის ბათუმთან მისი იდენტიფიკაციის ცდებიც. ამ უკანასკნელ ხანს გ. გრიგოლიამ ყველა ისინი უარყო და წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ პეტრა მდებარეობდა მდ. ჭოროხის სამხრეთით „დაახლოებით 30 კმ-ზე ხოფას შემოგარენში" (გრიგოლია 1989:81).

საისტორიო ლიტერატურაში პეტრასთან არის გაიგივებული ვახუშტის მიერ გურიაში ჩაქვის წყალზე მითითებული „ქაჯეთის ციხე" (ჯანაშია 1949:39; შდრ სიხარულიძე 1959:102). ი. სიხარულიძე ფიქრობს, რომ ვახუშტი ცდება, როცა ამ ციხეს ჩაქვის წყალზე ასახელებს, სხვამხრივ მისი აღწერა სწორია. თუ გ.გრიგოლიას დავთანხმებით და პეტრას ხოფთან ვიგულვებთ, მაშინ ციხისძირი უნდა ჩავთვალოთ ვახუშტისეულ „ქაჯთა ციხედ". არქეოლოგიურმა ძიებებმა დაადასტურეს, რომ ციხისძირი გაცილებით ძველი ქალაქია, ვიდრე პეტრა იყო. იგი ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ყოფილა გორა-ნამოსახლარი, რომელზედაც შემდგომ ქალაქი უნდა წარმოშობილიყო (გრიგოლია 1989:43).

„ქაჯის ციხის" ლოკალიზაციის სხვაგვარი ცდა ეკუთვნის პ. ინგოროყვას. იგი მას, ნ. მარის დამოწმებით, თეოდოსიოპოლის (არზრუმის) სანახებში მდებარე „კეკეს ციხესთან" აიგივებს (ინგოროყვა 1954:61). დ. მესხელიშვილი უშვებს, რომ „კეკეს ციხე"... შესაძლებელია ქართული „ქაჯის ციხის" დამახინჯება იყოს და მას ახლა „ყარასუს (ევფრატის სათავის) შენაკად ქეჩაინ-სუზე მდებარე დაბა ქეჩი" ცალიდეს (მესხელიშვილი 1980:195). ს. ყაუხაშვილს იგი ეგულვებოდა „დაახლოებით იქ, სადაც, ევფრატის სათავეებთან, ამჟამად „აშყალა" მდებარეობს (ბეროგია 1952:266).

ვანად" იხსენიებს. ასეა — მოგვიანო ხანის ქართულ და რუსულ წყაროებშიაც. იგი პირველად მოიხსენიება XI საუკუნეში, სუმბატ დავითის ძესთან და „მატიანე ქართლისას" ავტორთან.

ვახუშტის, როგორც ჩანს, „ლიგანის ხეობის" შესახებ ძლიერ მცირე ცნობები ჰქონია და ამიტომ მის მოკლე აღწერას იძლევა. მეცნიერი ბატონიშვილის მიხედვით ლიგანის ხევი ესაა ართვინის სანახები, ჭოროხის იმიერ და ამიერ, ერგეს[1] საზღვრამდე.

ი. სიხარულიძე თვლის, რომ ნიგალის (ლიგანის) საზღვარი უფრო სწორად აქვს მოხაზული დ. ბაქრაძეს, რომელსაც ასეთად ერგე კი არა, ჭოროხისა და აჭარის ხერთვისი მიაჩნია, რადგან „სწორედ ესაა ნიგალ-ლიგანის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით" **(სიხარულიძე 1958:29: შდრ. ბაქრაძე 1987:40)**. რაც შეეხება იმას დანარჩენი სამი მხრივ თუ სად იწყებოდა და მთავრდებოდა ნიგალის მიწა-წყალი, ჯერჯერობით ამაზე არავის უმსჯელია.

პ. ინგოროყვას ეს საკითხი ახალი უცნობის შემოტანით აქვს გადაწყვეტილი. იგი წერს: „ნიგალი (ნიგალის ხევი) მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში და მოიცავდა ართვინის პროვინციას" **(ინგოროყვა 1954:300)**. ხოლო ართვინის პროვინცია, როგორ საზღვრებში იყო მოქცეული, ამას უკვე აღარა აჩვენებს. „გიორგი მერჩულეს" 301-ე გვერდზე ჩართულ რუკაზე კი ნიგალს ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვრავს შავშეთი, აღმოსავლეთით— კლარჯეთი, სამხრეთით — ქვემო სპერი, დასავლეთით —„საკუთრივ ლაზიაზღვისპირა კლარჯეთი". ასე, რომ, როცა ამ მხარეების (ქვეყნების) შესაბამის საზღვრებზე გვექნება საუბარი, მაშინ გამოიკვეთება, რომელ ადგილებში ემეზობლებოდნენ ისინი ნიგალს.

ვახუშტის მიხედვით, ნიგალის ხეობა ყოფილა „თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულითა, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებული" **(ქ. ცხ. 1973:680)**. ზომიერი ჰავა და ნაყოფიერი ნიადაგები მშვენიერი პირობებს ქმნიდნენ ყოველგვარი მარცვლეულის მოყვანისათვის მთისა და ბარის „ახლორება" (მეტად ახლოს ყოფნა) მესაქონლეობის განვითარებას უწყობდა ხელს და მხარეს „შუენიერად აღმშული აგარაკებით" გამოარჩევდა **(იქვე:681)**.

ნიგალის მოსახლეობას შეადგენდნენ მესხები, რომელთაც სათემო დანაწილების მიხედვით, ჟამთააღმწერლის დამოწმებით, პ. ინგოროყვა „ნიგალის-ხეველებს" უწოდებს **(ინგოროყვა 1954:539)**. თავისი ნაშრომის სხვა ადგილას მკვლევარი განმარტავს, რომ ეს „ნიგალისხეველნი" შერეული ქართ-იბერიელები და მეგრელ-ჭანები შეიძლება ყოფილიყვნენ. რამდენადაც „სომხურ გეოგრაფიაში" (VII–IX სს). ნიგალი დასახელებულია „ეგრის" (ეგრისის) ნაწილად, ხოლო სუმბატ დავითის ძის თხზულების მარიამ დე-

[1] ერგე, ვახუშტი ბაგრატიონს ისეთივე დასახელებულ პუნქტად აქვს წარმოდგენილი, როგორც ბათუმი და გონია. მისი მონაცემებით: ბათუმის „ზეით ჭოროხის ჩრდილოსაჲ კიდესა ზედა, არს ერგე" **(ქ. ცხ. 1973:793)**.

დოფლისეული ვარიანტის შენიშვნაში აშოტ კურაპალატის მკვლელებად დასახელებული ნიგალისხეველნი, „მეგრელებად" მოიხსენიებიან **(იქვე:449)**.

მართალია, არც ერთი ეს მონაცემი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისათვის საბუთად არ გამოდგება, მაგრამ ნიგალში შერეული მოსახლეობის არსებობა, მათი ჰანეთ-ლაზეთის ახლო მეზობლობის გამო, გამორიცხული არ არის.

ლეონტი მროველი ნიგალს არ ახსენებს, მაგრამ მის მიხედვით ეს თემი ოძრახოსის სამფლობელოში, შემდეგში ოძრხეს საერისთაოში იგულისხმება **(ქ. ცხ. 1955:24)**.

ჯუანშერთან ვახტანგ გორგასლის საერისთავოების ჩამოთვლის დროს ნიგალი უნდა შედიოდეს არტავაზ კლარჯეთის ერისთავის საგამგეოში, რადგან „ყოველ კლარჯეთში" შედიოდა ტერიტორია „ზღვითგან ვიდრე არსიანთამდე, და ხევნი რომელნი მოსდგამნან ღადოთა" **(იქვე: 177)**. მათში კი უთუოდ ნიგალის ხევიც უნდა ჩაითვალოს.

ტაო-კლარჯეთის სამთავროშია ნიგალი აშოტ კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების დროსაც **(იქვე:378)**. ასეთივე სტატუსი ჰქონებია მას საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების წინაც **(სიხარულიძე 1958:29)**.

ნიგალი შედიოდა ანჩის საეპისკოპოსოში, რომელიც დაარსებული უნდა იყოს არაბთა შემოსევის წინარე ხანაში. დვინის საეკლესიო კრებაზე (506 წ) დამსწრე იბერიის 24 ეპისკოპოსთა შორის ანჩის ეპისკოპოსი არ მოიხსენიება. მაგრამ გიორგი მერჩულეს ცნობით, კლარჯეთში დიდ მშენებლობათა დაწყების დროისათვის (IX ს-ის I მეოთხედი), ანჩის ტაძარს უკვე დიდი ხნის ისტორია ჰქონია. მურვან ყრუს მიერ ტაო-კლარჯეთის აოხრებისას კლარჯეთის მოსახლეობა ისე შემცირებულა, რომ ორი საეპისკოპოსო დაცლილა და გაუქმებულა. მათი მრევლი შეუერთებიათ გადარჩენილი ანჩის საეპისკოპოსო კათედრისათვის **(ინგოროყვა 1954:314)**. გრიგოლ ხანძთელისა და მის თანამოღვაწეთა მეოხებით ტაო-კლარჯეთის ხელახალი აღორძინების შედეგად ამ მხარეში, IX—X საუკუნეებში, არსდება ახალი, ტბეთისა და იშხანის საეპისკოპოსოები. ამის შემდეგ ანჩის საეპისკოპოსოში შედის: შიდა კლარჯეთი, კლარჯეთის 12 სავანეთა მხარე და ნიგალის ხევი **(იქვე:379)**.

ამ საზღვრებში ანჩის საეპისკოპოსომ იარსება შვიდი საუკუნის მანძილზე, XVII საუკუნის შუა ხანებამდე, თურქთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობამდე.

აქ, XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა ანჩისხატის განთქმული კარედი **(ჯავახიშვილი 1983:301)**, რომლის მომწედელი ზედწარწერის მიხედვით არის ბექა ოპიზარი.

ვ. ფაფეთი

იგი ცალკე ქვეყნად ვერ ჩამოყალიბდა, მაგრამ ნიგალისაგან განსხვავებით წყაროებში ხშირად მოიხსენიება კლარჯეთთან ან არტაანთან ერთად, რაც მის უფრო დიდ მნიშვნელობაზედაც მიუთითებს. მხარემ სახელწო-

დება მიიღო დაბისაგან, რომელიც მისი ადრინდელი ცენტრი იყო. შავშეთის წყალი ჰქვია მდინარესაც, რომელიც ამ თემში ჩამოედინება. იგი ერთვის ჭოროხის მარჯვენა შენაკადს იმერხევს, რომელსაც ბაგრატ IV-ის სიგელის მიხედვით, იმ დროს, ასევე შავშეთის წყალი რქმევია **(ინგოროყვა 1954:309)**.

ვახუშტის ჩვენებით, „მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, სამხრით მზღვრის კლდე არტანუჯსა და შავშეთს შორისი , ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდამ დასავლეთად, ვიდრე კნინღა ჭოროხამდე... დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩრდილო მთა, არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე“ **(ქ. ცხ. 1973:680)**. ვახუშტის აზრთა ეს საკმაოდ რთული კონსტრუქცია ქსე-ში მარტივადაა გადმოცემული. არის შავშეთი, ვკითხულობთ იქ, „შემოსაზღვრული არსიანის მთით, არტანუჯის მასივით და მდ. ჭოროხით“ **(ტ. 10, გვ. 675)**.

ივ. ჯავახიშვილს ბუნდოვნად მიაჩნდა ვახუშტის მიერ დადგენილი შავშეთის დასავლეთის საზღვარი, ვერ დაედგინა აღწევდა თუ არა ამ მიმართულებით შავშეთი ზღვის სანაპიროს. მაგრამ „მიჯნიანი“ ანუ მაჯახელი, რომ ამ მხარის საზღვრებში იყო ეს კი არ ეეჭვებოდა **(ჯავახიშვილი 1983:62)**.

ი. სიხარულიძე სწორად თვლის მიჯნიან-მაჯახელის შავშეთის შემადგენლად მიჩნევას. ვახუშტის მიერ დადგენილი შავშეთის დასავლეთი საზღვარი, მისი თქმით, „ზედმიწევნით სწორად არის განსაზღვრული“, რადგან იგი „მართლაც ჭოროხის ხეობასა და შავშეთის გამყოფ მთების ზოლს გასდევს მაჯახლისპირ-გვარას გაყოლებით“ **(სიხარულიძე 1958:28)**.

ვახუშტი შავშეთს ახასიათებს, როგორც მთაგორიან მხარეს. სადაც ნაყოფიერ მიწაზე ვენახსა და ხილთან ერთად ვარგობს „ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი“ არიან **(ქ. ცხ. 1973:680)**.

პ. ინგოროყვას გამოკვლევის მიხედვით, შავშეთის მოსახლეობის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: VIII საუკუნემდე, ისევე როგორც კლარჯეთისა, შავშეთის ქართული მოსახლეობა მოიხსენიებოდა კლარჯებად. ამ დროიდან, როცა შავშეთი ცალკე ადმინისტრაციული სამმართველო ერთეული გახდა, აქ მცხოვრებლებს ეწოდათ „შავშნი“. მაგრამ „ირკვევა, რომ შავშები არ წარმოდგენდნენ ცალკე სატომო ერთეულს, არამედ ისინი იმავე კლარჯთა ტომის განშტოებას ეკუთვნოდნენ“ **(ინგოროყვა 1954 : 448)**.

ლეონტი მროველის ცნობით შავშეთი თავდაპირველად ოძრახოსის სამფლობელოში შედიოდა. აქ მას აუგია ციხე თუხარისისა, რომელიც ვახუშტის მიხედვით, არის „ტბეთის პირისპირ, ჩრიდლოეთიკერძ მდინარის გაღმა“ **(ქ. ცხ. 1973:679)**. ქართლის საერისთავოების ჩამოყალიბების შემდეგ შავშეთი კლარჯეთის საერისთავოში შედიოდა.

„მატიანე ქართლისას“ ავტორი მას ადარნასე ბაგრატიონის (აშოტ I-ის მამის) „ნასამალში“ სხვა მხარეებთან ერთად ჩამოთვლის. ამ დროიდან შავშეთი აშოტისა და მისი შთამომავლების რომელიმე შტოს ეკუთვნის ხოლ-

მე. ამათგან მხარეში დიდმნიშვნელოვანი მშენებლობა ჩაუტარებია აშოტ კუხს (896-918), რომლის დროსაც აუგიათ ტბეთის კათედრალი — „ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმნილება" (**ინგოროყვა 1954: 381**). რომელიც გ. ყაზბეგის თქმით: „თვით რომსაც კი დაამშვენებდა".

სუმბატ დავითის ძის ცნობით აშოტ კუხმა „განასრულა იგი (ტბეთის ტაძარი.—გ. მ.) ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე" (**ქ. ცხ. 1955:380**). ეპისკოპოს სტეფანე მტბევარს ტბეთში შეუქმნია მნიშვნელოვანი ლიტერატურული სკოლა, სადაც მომდევნო ეპოქაში მოღვაწეობდნენ: ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი და ცნობილი ქართველი მწერალი დავით ტბელი. თვით სტეფანეს, ერისთავთერისთავის აშოტ კუხის შეკვეთით დაუწერია „ცნობილი ჰიმნოგრაფიულ-ისტორიული ნაწარმოები—მარტვილობა გობრონისი" (**ინგოროყვა 1954 : 100**).

შავშეთის სოფელ ნორგიალიდან იყო წარმოშობით, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დიდ მეუდაბნოედ (მარტოდმყოფად) მოხსენიებული, ბერი მიქელ პარეხელი, რომელიც თავდაპირველად ბერად შემდგარა შავშეთის მეზობლად მდებარე მიძნაძორის მონასტერში (**იქვე: 332**).

გიორგი მურჩულეს თხზულებაში დაცულია აგრეთვე ცნობა შავშეთელი ფეოდალის, ერისმთავარ გაბრიელ დაფანჩულის შესახებ. იგი ყოფილა ხელშემწყობი გრიგოლ ხანძთელისა, ხანძთის მონასტრის მშენებლობაში. „ასევე გაბრიელ დაფანჩულის თანამოღვაწეობით დაუარსებია გრიგოლ ხანძთელს გუნიათლის სავანე შავშეთში" (**იქვე: 382**). ეს დაბა, მისი სანახები, აგრეთვე, სოფლები ხანძთის მახლობლად დაფანჩულთა საგვარეულოს მამულს შეადგენდა.

ტბეთის აშენებამდე, VIII—IX საუკუნეებში შავშეთი, ანჩის საეპისკოპოსოში შედიოდა (**იქვე: 314**), ხოლო IX ს-ის ათიანი წლებიდან, აშოტ კუხის მიერ ტბეთის საეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ, შავშეთი მაშახელის ხეობის მითვლით და ზემო აჭარა, ამ კათედრის სამწყსო გახდა (**იქვე: 379**).

8. ქლარჯეთი

ამ ქვეყნის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში შუა საუკუნეების ხანის ცნობები მეტი გვაქვს ვიდრე ახალი[1]. ვახუშტი თავის აღწერაში კლარჯეთის ქვეყანას ცალკე არ გამოყოფს. ხოლო პოლიტიკური ისტორიის გადმოცე-

[1] XIX ს-ის 70-იანი წლებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ შეიქმნა რამდენიმე ნაშრომი. რომელთაგან უფლაზე მნიშვნელოვანია: **Г. Казбеги, Три месяца в Турецкой Грузии, 1874; А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материалы по археологии Кавказа, III. 1893; Д. Бакрадзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 г. по поручению Акад. Наук. в Чороxский бассейн, в Батуми, Артвин и Артанудж, Записки имп. Акад. наук, т. XXXVII, кн. I, СПб., 1802; Е. Такайшвили, Археологические экспедиции, разыскания и заметки, II, 1905; Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, СПб., 1911.**

მისას გამოთქმა „სამცხე-კლარჯეთი“, შემდგომში „სამცხე-სააოაბაგოს“ შემცველ ტერმინად აქვს გამოყენებული. მეცნიერი ბატონიშვილის მონაცემებით თავდაპირველად ეს ქვეყანა არ შედიოდა ქართლოსიანთა სამკვიდროში, „არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკუდილისა“ (ქ. ცხ. 1973 : 657).

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, რადგან კლარჯეთი შავშეთის სამხრეთით მდებარეობდა „ამიტომ შავშეთის სამხრეთის საზღვარი კლარჯეთისათვის ჩრდილოეთის საზღვარი იყო“ სამხრეთისა კი—„არც ვახუშტისა სცოდნია დანამდვილებით“, მაგრამ „მატიანე ქართლისას“ ავტორის ერთი შენიშვნით ხეკრებულთა ტაოში შედის, ე. ი. ამ ორ მხარეს შორის გამყოფი ხეკერთ-დაღის მთები უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1983 : 63).

შედარებით ზუსტად შეიძლება განვსაზღვროთ კლარჯეთის დასავლეთი მიჯნა: იგი ლეონტისა და ჯუანშერის შენიშვნის მიხედვით შავი ზღვა იყო. მათ მიერვეა ნაჩვენები აღმოსავლეთი საზღვარიც—მთა „არსიანთა“ მაგრამ ეს უფრო ზოგადია, რადგან ამ მთის რა მონაკვეთზეა საუბარი ძნელი დასადგენია. არც ვახუშტი აჩვენებს გარკვევით ამ უბანს. მისი მინიშნებით—„დასავლით მთა არზრუმისა ბასიანს შორის განვლილი ზღუამდე“, არის ეს მიჯნა (ქ. ცხ. 1973 : 657).

პ. ინგოროყვას მიხედვით კლარჯეთი, რომელიც მდ. ჭოროხის ქვემო წელზე არტანუჯ-იმერხევისწყლის ხეობაში მდებარეობდა (ინგოროყვა 1954 430), უფრო მცირე მხარედაა წარმოდგენილი (იხ. იქვე ჩართული რუკა, გვ. 301) და დასავლეთით არათუ ზღვამდე აღწევდა, არამედ მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზედაც არ ვრცელდებოდა.

ქსე-ში გამოქვეყნებულ სტატიაში დ. მუსხელიშვილი კლარჯეთის მხოლოდ ორ (აღმოსავლეთ და დასავლეთ) მიჯნას აჩვენებს. რომელთა, მიხედვით ეს მხარე „მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ტ. 5 : 544).

პ. ინგოროყვას კლარჯეთის შავ ზღვამდე გავრცელება იმ შემთხვევაში მიაჩნდა შესაძლებლად, როცა საერისთავოზე გვაქვს საუბარი. იგი წერს, რომ ერთეულში სახელწოდებით „კლარჯეთის საერისთავო“ ანუ „კლარჯეთი“ იგულისხმება შემდეგი მხარეები—ერთად აღებული: ა) საკუთრივ კლარჯეთი; ბ) შავშეთი (—ვიდრე არსიანის მთამდე); გ) ნიგალი: დ) „საზღვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო სპერი); ე) ამიერი ტაო; ვ) „ზღვისპირა კლარჯეთი“ანუ „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ (ინგოროყვა 1954 : 440).

ვახუშტისათვის სახელწოდება „კლარჯეთის“ წარმოშობა უცნობია, ამიტომ იგი, როგორც ხშირად სხვა შემთხვევაშიაც, ახლაც მიამიტურ ახსნას იძლევა, რომ ეს ტერმინი შეიძლება მოდიოდეს ადგილ მდებარეობის „ღუარჭნილობისაგან“ (ქ. ცხ. 1973 : 657). სხვაგან კი მიუთითებს, რომ მოსალოდნელია ეს სახელი „დაბებთა და ქალაქებთაგან“ ეწოდაო (იქვე : 658). დ. მუსხელიშვილი იზიარებს ამ მეორე ვერსიას „სახელწოდება კლარჯეთი“, მოდის დაბა კლარჯეთიდან“, ვკითხულობთ ქსე-ში (ტ. 5 : 544).

პ. ინგოროყვას ახსნით, „კლარჯეთი“ სატომო სახელის კოლხის დიალექ-

ტურ სახესხვაობას წარმოადგენს. „კოლხი“ ისევეა მიღებული, როგორც ტაოხი, ჯავახი, კახი. „დაბოლოება „ხი“ გამოხატავს იმავე შინაარსს რასაც სუფიქსი „ელი“. ამ უკანასკნელს აქვს ვარიანტი „არი“ (მაგალითად, „ოდიშ-ელი“—„ოდიშ-არი“, „ცხუმ-ელი“—„ცხუმ-არი“, „ოპიზ-ელი“—„ოპიზ-არი“ ასევე: „კოლა-ელი“—„კოლ-არი“ ზანურში (მეგრულ-ჭანურში) ბგერა „რ“ გადადის ბგერაში „ჯ“ (თავდაპირველად რთული ბგერა „რჯ“). ამ გზით—„ზანური ფორმა სახელისა „კოლარი არის „კოლ-არჯი“. „ამრიგად, ყველა ეს სახელწოდებანი „კოლხი“, „კოლაელი“, „კოლარი“ და „კოლარჯი“ („კლარჯი“) ერთი და იმავე სატომო სახელის დიალექტურ სახესხვაობას წარმოადგენენ“ **(ინგოროყვა 1954 : 437)**.

ივ. ჯავახიშვილს კლარჯეთი დახასიათებული აქვს, როგორც „მეტად კლდოვანი, დაბურული ტყით მოცული ქვეყანა“, სადაც „ბარი ადგილი სრულებით არ მოიძებნებოდა და ნიადაგიც კლდოვანი იყო“, ამიტომ იქ არც სახნავ-სათესი მიწები ჰქონდათ და არც სათიბი არ მოიძებნებოდა **(ჯავახიშვილი 1983 63)**. მხარის კლდოვანება და მთა-გორიანობა პ. ინგოროყვას თავდაცვისათვის მისი გამოყენების ხელსაყრელ პირობად მიაჩნდა **(ინგოროყვა 1954 : 43)**. რაც შეეხება მეურნეობისათვის გამოსადეგობას მას ხაზგასმული აქვს, რომ „პარხალის მთების კალთები, როგორც ცნობილია, განთქმულ საძოვრებს წარმოადგენდნენ“ **(იქვე : 482)**. ივ. ჯავახიშვილს საჭიროდ მიაჩნდა საგანგებოდ აღენიშნა: „ქართველ ახალშენთა (მოახალშენეთა.—გ. მ.) გასაოცარმა შრომის მოყვარეობამ და ჭირნახულობამ ეს მკაცრბუნებოვანი ქვეყანა მშვენიერ აყვავებულ ადგილად აქცია. რომლის დიდებული ნაშთები ახლაც აკვირვებს ადამიანს“-ო **(ჯავახიშვილი 1983 : 63)**.

კლარჯეთელ მეურნეთა შრომისმოყვარეობა ვახუშტისაც ჰქონდა შენიშნული. მისი ცნობების გამოყენებით, დ. მუსხელიშვილი მიუთითებს აშ მხარეში „ბარისა“ და „მთისათვის“ დამახასიათებელი სპეციფიკურობის არსებობაზე. მართალია, წერს იგი, „ჭოროხის აუზი ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფართობის ნაკლებობას განიცდის“, მაგრამ აქაური მიწათმოქმედები საირიგაციო მიწათმოქმედებას კარგად უთავსებდნენ ტერასულს. განთქმული საირიგაციო სისტემა იყო პარხალში. ირწყვებოდა კლარჯეთის სოფლების დიდი ნაწილიც.[1] „და რაც მთავარია, მთელი ამ საირიგაციო სისტემის შემოქმედი, მასთან დაკავშირებული ტოპონიმიკის მიხედვით, ძველი ქართული მოსახლეობაა“ **(მუსხელიშვილი 1980 : 201—202)**.

ამ მოსახლეობამ კლარჯეთში შექმნა არა მარტო საირიგაციო სისტემა და განავითარა მიწათმოქმედება, არამედ გაშალა დიდი საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობა, გაიყვანა გზები და ხიდები. მისი სამეურნეო საქ-

[1] ნ. მარი საჭიროდ თვლის საგანგებოდ შეჩერდეს კლარჯეთის მოსახლეობის შრომისმოყვარეობისა და მორწყვითი მიწათმოქმედების არსებობაზე, მას მიერ ნახულ კლარჯეთის სოფლების უმრავლესობაში.' ამასთან მთელი ეს საირიგაციო ქსელი, მისი თქმით,. უდავოა, რომ „ქართველების მიერაა შემუშავებული“ **(Марр 1911 : 172)**.

მიანობის ნათელი მოწმობაა „ქვითნაგები ან კლდეში გამოკვეთილი საწნახლები" და ტოპონიმიკა, სადაც ნ. მარის გადმოცემით, შემორჩენილა ადგილთა სახელები: „საფუტკრე", „სამაჭრეთი", „დიდვენახი", „სარკინეთი" და სხვ. **(Марр 1911 : 202)**.

კლარჯეთის ყველაზე ადრეული მოხსენიება ურარტუს მეფე არგიშტი I-ის ხანას (786—764) უნდა განეკუთვნებოდეს: ეს მეფე წერს, რომ დიაუხის წინააღმდეგ ბრძოლაში (დაახლოებით ძვ. წ. 785 წ.) მისი მოკავშირე ამიერკავკასიის სხვა ტომთა შორის ქათარზაც იყო. გ. მელიქიშვილის განმარტებით „ქათარზას" გაიგივება კლარჯეთთან „ფონეტიკურად ადვილად ასახსნელია", მით უფრო, რომ ეს სახელი ფორმით „კოტარძენე" შემორჩენილი ყოფილა 10 საუკუნის შემდეგაც, ვინაიდან ამ უკანასკნელს კლავდიოს პტოლემაიოსაც იხსენიებს. ხოლო გოდერძის უღელტეხილი ჩვენს დრომდე არსებობს **(სინ 1970 : 382)**.

დ. მუსხელიშვილი კლავდიოს პტოლემაიოსის კატარძენეს, რომელიც „კორაძენეს" ფორმით იკითხება, სტრაბონისეულ ხორძენესთან აიგივებს **(მუსხელიშვილი 1977 : 60)**. ეს უკანასკნელი კი მდ. ევფრატის სათავესა და პოროხის შუა მდებარე ტერიტორია იყო და პოროხისა და მდ. მტკვრის სათავეებიანად ტაოს შემადგენლობაში შედიოდა **(იქვე : 55—56)**.

დასახელებულ ტოპონიმთა იდენტიფიკაციის დროს დადგენილი ტერიტორიული სხვაობების მიუხედავად, ერთი რამ ცხადია—სატომო ერთეულების სახელები დაწყებული ქათარზით და დამთავრებული კლარჯეთით ქართულ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება, რადგან ყველა მათგანის ახსნა მხოლოდ ამ ენაზე შეიძლება და ისინი ასეცაა დღემდე გაგებული.

ეს ფაქტი მიუთითებს, რომ კლარჯეთი უძველესი დროიდანვე ძირეული ქართული ქვეყანა იყო. აქაურ ქართველებს, როგორც ქართული ისე სომხური წყაროები „კლარჯებს" უწოდებენ. ამ წყაროების ანალიზის შედეგად პ. ინგოროყვა ასკვნიდა: „კლარჯეთის მოსახლეობას შეადგენდა ქართველი ტომი—კლარჯები, სხვა მოსახლეობა, გარდა ამ კლარჯთა ტომისა, კლარჯეთში არ მოიხსენება"-ო **(ინგოროყვა 1954 : 348)**.

ტაო-კლარჯეთის უძველესი მოსახლეობის ქართველურობას არც ნ. მარი უარყოფდა, ოღონდაც იგი მას „თუბალ-კაინურს ანუ იბერიულ-ჭანურს" უწოდებდა **(Марр 1911 : II)**. თანაც მიაჩნდა, რომ VI ს-ში სომხური მოსახლეობის იმიგრაციის შედეგად ისინი გადაგვარდნენ (**перерождались**) სომხებად, შემდეგ კვლავ იაფეტიდებად, მაგრამ ქართველებად, ბოლოს კი –თურქებად **(იქვე:III)**, ე. ი. ნ. მარი პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც ამ მხარეში მოხდა, აიგივებდა, ეთნიკურთან.

ვფიქრობთ, ამჯერად საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ყოველ პოლიტიკურ ცვლილებას როდი ახლავს ხოლმე თან ეთნიკური ცვლილებებიც. ოღონდაც, საჭიროა აუცილებლად აღვნიშნოთ: ნ. მარის დებულება მართალიც რომ იყოს, კლარჯეთზე მაინც არ გავრცელდებოდა, რადგან იგი არასოდეს არ ყოფილა სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში და, ამიტომ სომხურ ეთნოსს ამ მხარეში, შუა საუკუნეებში, არასოდეს არ ეპირა

გაბატონებული მდგომარეობა. მაშასადამე, იაფეტიდთა გასომხებასა და კვლავ გაქართველებას კლარჯეთში ადგილი არ ჰქონდა.

არმენოფილთა რამდენიმე თაობის მტკიცება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვრცელი რეგიონების სომხეთის სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადების შესახებ, ემყარება სტრაბონის ცნობას: სომხეთმა მათი პირველი მეფეების არტაქსიასა და ზარიადრის (ძვ. წ. II ს-ნე) დროს ჩამოაჭრეს „იბერებს-პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის" **(სტრაბონი 1957 : 189)**. გოგარენე-გუგარქის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა. რაც შეეხება პარიადრეს მთის კალთებსა და ხორძენეს ეს ტერიტორიები ტაოში შედიოდნენ და არა კლარჯეთში **(მუსხელიშვილი 1977 : 55--56)**. ამდენად, კლარჯეთის ქართული მოსახლეობის სომხებად „გადაგვარების" სამტკიცებლად ეს ფაქტი აღარ გამოდგება. ამიტომ ძალაში უნდა დარჩეს პ. ინგოროყვას ზევით მოტანილი მტკიცება—„კლარჯეთის მოსახლეობას შეადგენდა ქართველი ტომი—კლარჯები".

ამასვე ადასტურებს კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო ნაგებობანი, რომელთა წარწერებისა და არქიტექტურის ქართულობას ნ. მარიც ვერ უარყოფს და ცდილობს ეს ფაქტი აქაური სომხების ქალკედონისტობით ახსნას **(Марр 1911 : XVI)**.

ნ. მარი თავს თვლიდა რა შეუვალ ავტორიტეტად ეთნიკურ, განსაკუთრებით კი, სომხურ-ქართული ფილოლოგიის ლინგვისტურ საკითხებში, არ ერიდებოდა დეკლარაციულ განცხადებებს და თავისი წინასწარგანზრახული თეორიული თარგის შესაბამისად სწყვეტდა ამ მეტად ფაქიზ პრობლემებს. ასეთ დეკლარაციულ განცხადებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს მისი მტკიცება, რომ თითქოს თვით გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში იყოს ნათქვამი **«что грузинский язык в Кларджетии был лишь церковным, а не разговорною речью всего населения даже в половине X-го века, когда писал Георгий Мерчул» (იქვე)**. უფრო ძნელია აეხსნათ რას ემყარება მისი ასეთი მტკიცება — **«Грузинские монахи и в Кларджии нашли армянские монастырские постройки в состоянии полного разорения или запущенности после какого-то разрушения» (იქვე-XV)**. როგორც ვხედავთ, ავტორისათვის ის კი არ არის სათუო კლარჯეთის მონასტრები, რომ სომხური იყო, არამედ გასარკვევია რის გამოა ისინი დანგრეულ-განადგურებული. ფაქტობრივად კი ისტორიაში ელემენტარულად გარკვეული პიროვნებისათვის სრულიად ცხადია, რომ მთელი კლარჯეთის ტერიტორია დარბეულ იქნა არაბთა დამსჯელი ექსპედიციის მიერ, VIII ს-ის 30-იან წლებში და ეს „დიდება" მიეწერება ამ ექსპედიციის სარდალს—მურვანს, რომელსაც ქართველმა ხალხმა განუსჯელი სიმკაცრისათვის „ყრუ" შეარქვა, ხოლო რაც შეეხება კლარჯეთის სამონასტრო ნაგებობების სომხურობას წინააარაბულ ეპოქაში, ამის დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს და არც ნ. მარს მოაქვს ისინი, მაგრამ მისმა მტკიცებამ, რომ უდავო ობიექტურობის შთაბეჭდილება მოახდინოს, ნ. მარი იქვე უმატებს: გ. მერჩულეს ცნობით მთელ მხარეში მხოლოდ ოპიზის მონასტერღა არსებობდა **„по всей видимости уже**

грузинский»-ო. ცხადია, ეს «уже» ნიშნავს, რომ ოპიზა ადრე სომხური მონასტერი ყოფილა.

გიორგი მერჩულის ძეგლი და სხვა ქართული წყაროები საწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევიან. პ. ინგოროყვა მათი შესწავლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე: „ოპიზა არის უძველესი სავანე არა მხოლოდ კლარჯეთში, არამედ საერთოდ საქართველოში. ვახტანგ გორგასალის მატიანის უწყებით... ოპიზა დაარსებულა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში“ **(ინგოროყვა 1954 : 340)**. მკვლევარის ეს დასკვნა ემყარება ჯუანშერის ცნობას, რომელშიაც საუბარია მარტო ოპიზის კი არა, რიგ სხვა მშენებლობებზედაც. ჯუანშერი წერს: ვახტანგის მოხელემ, კლარჯეთის ერისთავმა „აღაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი რომელ არს ოპიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობნისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზისა, და ქმნა იგი ქუაბად“ **(ქ. ცხ. 1955 : 178)**.

მაშასადამე, ვახტანგის დროს კლარჯეთში მშენებლობებს კომპლექსური ხასიათი ჰქონია: აუგიათ ციხესიმაგრეები, მონასტერი და ეკლესიები. ეს მშენებლობანი მიმდინარეობდა ვახტანგის დავალებით და მემატიანის ცნობით, მას თავიდანვე გარკვეული მიზანი ჰქონდა. გორგასალს იგი ასე განუსაზღვრავს: „უკეთუ განძლიერდნენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“ **(იქვე)**.

მერე ქართული ძეგლი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება უფრო აკონკრეტებს საკითხს. მასში უშუალოდაა დასახელებული ოპიზის მშენებელი ოსტატები. „აღეშენა რაჲ წმინდაჲ და დიდი უდაბნო ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი“, წერს ბასილი ზარზმელი **(ვაჩნაძე 1975 : 153)**.

ოპიზის მომდევნო ისტორია პ. ინგოროყვას ასე აქვს წარმოდგენილი: VI ს-ში ოპიზაში მოღვაწეობდა მიქელ პარეხელი. აქ მიუღია განათლება გიორგი მაწყვერელს, რომელიც VII ს-ის პირველ ნახევარში ხელმძღვანელობდა რა აწყურის საეპისკოპოსო კათედრას. იმავდროულად იყო სამცხის მხარის გამგებელი. VIII საუკუნის 30-იან წლებში, ოპიზა გავერანდა მურვან ყრუს დამარბეველი ლაშქრობის შედეგად, მაგრამ, როგორც გიორგი მერჩულის თხზულებიდან ჩანს, მისი „მცირე ეკლესია ნათლისმცემლისა“ გადარჩენილია. ხოლო მთავარი ტაძარი, კლარჯეთის სავანეთაგან პირველი, განუახლებია მის წინამძღვარს სამოელს. 780 წლის ახლოს ოპიზაში ქართლიდან გადმოვიდა და დამკვიდრდა გრიგოლ ხანძთელი. მას და მის მხლებლებს კლარჯეთში აღდგენილი დახვდათ ერთადერთი ოპიზის სავანე **(ინგოროყვა 1954 : 340—341)**.

ბასილი ზარზმელის თხზულების საშუალებით ირკვევა კლარჯეთის მეორე მნიშვნელოვანი მონასტრის—პარეხის მშენებლის ვინაობა და აგების თარიღი. იგი აუგია ზევით ხსენებულ მიქელ პარეხელს, რომელიც ყოფილა „მოწაფე დიდი შიოსი საკვირველ-მოქმედისაჲ“ **(ვაჩნაძე 1975 : 153)**, ე. ი. შიო მღვიმელისა. ეს უკანასკნელი კი მოღვაწეობდა VI ს-ის I მეოთხედში. ე. ი. პარეხი აგებულია არაუგვიანეს VI საუკუნისა.

ასე, რომ წინაარაბულ ხანაში, კლარჯეთში ჩატარებული საერო თუ საკულიერო მშენებლობანი, ქართულ სამყაროში ქართველ მოღვაწეთა მიერაა განხორციელებული და მათს მთელ მომდევნო ისტორიაში სხვა ერის რომელიმე წარმომადგენლის რაიმე მონაწილეობა არ აღინიშნება.

ამასთან აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ამ დებულების საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად სომხურ წყაროებში არავითარი მონაცემები არ არის დაცული. უფრო მეტიც, თანადროული სომხური წერილობითი ძეგლების ანალიზის შედეგად პ. ინგოროყვა საფუძვლიანად დაასკვნიდა: „კლარჯეთი სომხეთისათვის უცხო მხარეს წარმოადგენდა"-ო, ვინაიდან, რაიმე მნიშვნელოვანი კლარჯეთიდან (საგვარეულოები, მოღვაწეები, დასახლებული პუნქტები, საეკლესიო მეტროპოლები, განთქმული სავანეები და სხვ.) „სომხურ საისტორიო წყაროებში ერთხელაც კი არაა მოხსენებული" **(ინგოროყვა 1954 : 418)**

უფრო მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ აქვს ეს საკითხი გარკვეული დ. მუსხელიშვილს, სტრაბონის ზევითმოტანილი ცნობის განხილვასთან დაკავშირებით. იგი ასკვნის: „ცხადია, კლარჯეთი და არტაან-ჯავახეთი სომხეთს არ ეკუთვნის-ო" **(მუსხელიშვილი 1977 : 58)**. ე. ი. კლარჯეთი სომხეთის შემადგენლობაში არ შედიოდა არა თუ უფრო გვიან, ადრეფეოდალური ხანაში, არამედ სტრაბონის მიერ აღწერილ დროსაც, ძვ. წ. II—I საუკუნეებში.

ქართლში მეფობის გაუქმების დროისათვის, როცა სპარსელებმა მთელი ჩვენი ქვეყანა ხელთ იგდეს, კლარჯეთი ვახტანგ გორგასალის უმცროს მემკვიდრეებს უშირავთ. ჯუანშერი გვამცნობს: „ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდესა შინა კლარჯეთისათა" **(ქ. ცხ. 1955 : 21)**.

მურვან ყრუს მიერ მესხეთის მოოხრების შემდეგ კლარჯეთის ხელისუფლად ადარნასე ბაგრატიონი ჩანს. იგი თავიდან ბიზანტიის სამსახურში ყოფილა და მათ დაუდგენიათ „ერისთავად არეთა სომხეთისათა" მურვანის შემოსევის დროს თავი შეუფარებია გუარამ კურაპალატთან კლარჯეთში. შემდეგ არჩილ II ქართლის მეფეს შეუწყალებია და მისთვის შულავერი და არტაანი მიუცია საერისთავოდ **(იქვე 243)**. უკეთ უნდა იყოს წასული მისი საქმე არჩილის შვილის ჯუანშერის დროს, რომელსაც ადარნასეს ასული ლატავრი შეურთავს ცოლად, მართლაც, „მატიანე ქართლისას"—ცნობით 780-იანი წლებისათვის მისი სამკვიდრო ყოფილა კლარჯეთის, შავშეთის, აჭარის, ნიგალის, ასისფორის, არტაანის და ქვემო ტაოს მესამედი **(იქვე: 251)**. გ. მამულია ადარნასეს მიერ ამ მიწების მიღებას იმით ხსნის, რომ ადარნასე თვითონ უნდა ყოფილიყო სიძე (ქალიშვილის ქმარი) „ვახტანგ გორგასალის სახლის ჩამომავლის გუარამ კურაპალატის" **(მამულია 1976 : 121)**. თუმცა, მკვლევარისავე შენიშვნით, წყაროები ამ კურაპალატის მხოლოდ ორ შვილს ასახელებენ—ვაჟს, რომელსაც ასევე გუარამი რქმევია და ქალს, რომელიც არჩილ II-ს ჰყავდა ცოლად. მაშასადამე, ადარნასე ბაგრატიონის მეუღლე მხოლოდ საგულისხმებელია გუარამ კურაპალატის

ქალიშვილად. ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მიუთითებს ის ფაქტი, რომ როცა არჩილის მეუღლემ, ჯუანშერის დედამ, მისი შვილისაგან ადარნასეს ქალიშვილის ლატავრის შერთვა გაიგო, თავიდან არ მოიწონა ეს ფაქტი, რადგან ახლადდაქორწინებულები დეიდაშვილები იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც გაითვალისწინა ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან ჩამომავლობა, ყველაფერი თავის ადგილზე აღმოჩნდა. ვინაიდან, ძველებრაული წესჩვეულებით ასე ახლობელთა ქორწინება დაშვებული იყო **(იქვე)**.

ჯერ კიდევ ჯუანშერის სიცოცხლეში „...იცვალა ადარნასე ბაგრატიონმან ნასამალი... და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად მუნ მოკუდა" **(ქ. ცხ. 1955 : 251)**.

„ამ საკმაოდ ბუნდოვანი" (დ. მუსხელიშვილი) ცნობიდან, ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ კლარჯეთს ადარნასე ბაგრატიონის სამფლობელოში ცენტრალური ადგილი უჭირავს და მართალია, ადარნასეს რაღაც მიზეზის გამო მიუტოვებია („იცვალა") თავისი „ნასამალი", მაგრამ დაიტოვა კლარჯეთი, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

მამის სიკვდილის შემდეგ იწყება აშოტ I-ის აღზევება. „კლარჯეთი უფრო გვიან ხანაში,—აღნიშნავდა პ. ინგოროყვა,— მე-9—10 საუკუნეებში, გახდა კულტურული და პოლიტიკური ცენტრი .იბერიისა", რაც შემთხვევით არ იყო ამ მხარის მთელი წინა ისტორიით **(ინგოროყვა 1954 : 450)**.

კლარჯეთზე საუბრის.დასასრულს უპრიანია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ არტანუჯის შესახებ. როგორც ზევით მოტანილი ცნობებიდან ვიცით, იგი აგებული იქნა ვახტანგ გორგასალის დავალებით. აქამდე კლარჯეთის მხარის პოლიტიკური ცენტრი იყო მდ. ჭოროხზე მდებარე ციხე-ქალაქი თუხარისი. V ს-ის მეორე ნახევრიდან არტანუჯი ხდება კლარჯეთის ერისთავის რეზიდენცია. VIII ს-ის 30-იან წლებში იგი არაბებმა დაანგრიეს.

აშოტ კურაპალატის კლარჯეთში დამკვიდრების შემდეგ არტანუჯი „გაანაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი" **(ქ. ცხ. 1955 : 377)**.

აშოტის დროს არტანუჯი „ქართველთა საკურაპალატოს" ცენტრს წარმოადგენდა. როცა მისმა შვილებმა მამის მემკვიდრეობა გაინაწილეს არტანუჯმა, ცხადია, დაჰკარგა პირველი ქალაქის მნიშვნელობა. დაიწყო ამიერტაოს ცენტრის ბანას დაწინაურება. გურგენ ერისთავთერისთავის ზეობაში (918—941), არტანუჯს ერთხელ კიდევ გაუჩნდა შანსი „არათუ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი გამხდარიყო" **(მუსხელიშვილი 1980 : 194)**. კონსტანტინე პორფიროგენეტის დახასიათებით, „ადრანუჯის ციხე" ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც და დაბა-ქალაქიც: და იქ მოდის საქონელი ტრაპიზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან, და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის" **(გეორგიკა 1952 278—279)**. ამ ცნობაზე, არაბულ წყაროებსა და ნუმიზმატიკურ

მასალებზე დაყრდნობით დ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ არტანუჯი გვევლინებოდა პირველ რიგში „ქართველთა სამეფოს არა მხოლოდ პოლიტიკურ ცენტრად... არამედ მის ერთ-ერთ ეკონომიკურ ცენტრადაც“ **(მუსხელიშვილი 1980 : 194)**. მაგრამ ამ ქალაქის ასეთი აღზევება ხანმოკლე გამოდგა. რადგან კლარჯეთს არ გააჩნდა ბარის ფართო და მძლავრი ზონა, არ მოხერხდა ამ მხარისათვის არტანუჯის ერთადერთ პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება. მან ვერ გაუძლო ამ მხრივ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ქუთაისის კონკურენციას და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სატახტო ქალაქი, ბაგრატიონთა კუთვნილი მამული არტანუჯი კი არა, ბაგრატ III-ის „დედული“, „აფხაზთა სამეფოს“ ცენტრი, ქუთაისი გახდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატის ღონისძიებებს დასავლეთ საქართველოში ლეგიტიმურობის პრობლემა გვარიანად აფერხებდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, დედის—გურანდუხტის აფხაზეთში ჩაყვანა მეფეს სწორედ ამიტომ ეჩქარებოდა **(ბერძენიშვილი 1975 : 185)**. იგი ხომ „აფხაზთა სამეფოს“ ტახტის მემკვიდრე მხოლოდ დედის ხაზით იყო.

არტანუჯმა, მართალია, დაჰკარგა დედაქალაქად გახდომის შანსი, მაგრამ თურქ-სელჯუკთა შემოჭრამდე, მაინც მნიშვნელოვან ქალაქად დარჩა. მემატიანეს საჭიროდ მიაჩნია „დიდი თურქობის“ დროს (1080 წ.), აოხრებულ ქალაქთა შორის მხოლოდ ქუთაისი და არტანუჯი დაასახელოს **(ქ. ცხ. 1955: 319)**. დედაქალაქთან ერთად მოხსენიება, ცხადია, არტანუჯის მნიშვნელობაზე მიუთითებს. როგორც ირკვევა, ამის შემდეგ ეს ქალაქი იმდენადაც კი ვეღარ აღდგა, რომ მესხეთის მხარეთა ცენტრობა მაინც შეენარჩუნებინა. ეს ფუნქცია, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს თურქთა მიერ მიტაცებამდე და მის შემდეგაც, ახალციხეს ჰქონდა მიკუთვნებული.

თ. ტაო

ქართულ წყაროებში ეს მხარე ხშირად მოიხსენიება მრავალობითი რიცხვით—„ტაონი“, „ტაოთა“ სახით, რადგან იგი ორი იყო: ამიერ (ქვემო) და იმიერ (ზემო) ტაო. პ. ინგოროყვას მიხედვით, ასეთ გაყოფას პოლიტიკური მოტივი დაედო საფუძვლად: „ამიერ ტაო“ საქართველოს შემადგენლობაში შემავალს, ერქვა, „იმიერი“ კი—სომხეთისაში **(ინგოროყვა 1954 : 493)**. დ. მუსხელიშვილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და ვარაუდობს, რომ ტაო „ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით განიყოფებოდა ორ ნაწილად“ **(მუსხელიშვილი 1980 : 169)**. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „ტაოთა გამყოფ ბუნებრივ ხაზს ბანა-ოლთისის წყალი წარმოადგენდა **(ჯავახიშვილი 1983 : 65)**.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დასახელებული ტაოს ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, პარხალის საზღვრები ზუსტი არ უნდა იყოს. ამის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ვახუშტსაც, როგორც ეტყობა, ტაოს საზღვრები მხოლოდ დაახლოებით სცოდნია“-ო **(იქვე: 66)**. მეცნიერ ბატონიშვილს

ტაოს სახღვრები ასე აქვს წარმოდგენილი — „მზღვრის ამას (ტაოს.—გ. მ.): აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამხრით თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩრდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა" **(ქ. ცხ. 1973 : 684)**. აქ აღმოსავლეთის საზღვრად მდ. ჭოროხია დასახელებული, მაშინ როცა ტაო, თითქმის მთლიანად, ჭოროხის აღმოსავლეთით მდებარეობდა.

დ. მუსხელიშვილი, რომელსაც ეკუთვნის ქსე-ში ტაოს შესახებ შესული სტატია, საზღვრებზე საერთოდ არაფერს ამბობს. შენიშნავს მხოლოდ—ტაო იყოო „მხარე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, მდ. ჭოროხის შუა დინებაზე" **(ტ.9, გვ. 658)**.

უფრო ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში დ. მუსხელიშვილს ტაო „სომხური გეოგრაფიის" მიხედვით, ყოველმხრივ ბუნებრივად ქედებით შემოსაზღვრულ ტერიტორიად აქვს წარმოდგენილი. ეს შემოსაზღვრა დღევანდელი ნომენკლატურით ასეთია: „სამხრეთიდან—ჩახირ-ბაბას ქედით არაქსის ზემო წელისაგან და მესჯითის მთის მიმდებარე ქედით —ევფრატის სათავეებისაგან. აღმოსავლეთიდან (კოლის პროვინციისაგან) და ჩრდილოაღმოსავლეთიდან (კლარჯეთისაგან)—არსიანის ქედით; ჩრდილო-დასავლეთიდან (მურღულისაგან)—მაღარა დაღის ქედით, (იგივე „ორჯოხის მთა"); ჩრდილო-დასავლეთიდან (ჭანეთისგან)—ლაზისატან-დაღის და პარხალ-დაღის ქედით" **(მუსხელიშვილი 1980 : 161)**.

პ. ინგოროყვა ტაოს ბუნებრივ ან პოლიტიკურ საზღვრებზე პირდაპირ არ მსჯელობს. „სომხური გეოგრაფიის" ცნობების მიხედვით კი ცალკე განსაზღვრავს იმიერ ტაოში შემავალ კანტონებს (უბნებს). ასეთი ყოფილა რვა **(ინგოროყვა 1954 : 493)**. „რაც შეეხება ამიერ ტაოს, ე. ი. ოლთისი-ბანას პროვინციას,—წერს მკვლევარი,—იგი მოიცავდა მდინარე ოლთისის-წყლის ხეობას მამროვანის კარებიდან მოკიდებული ვიდრე ტაოს კარამდე"[1] **(იქვე: 497)**.

ვარაუდობენ, რომ უძველეს წერილობით ძეგლებში ტაო პირველადაა მოხსენიებული დაიაენის სახელით, ასურეთის მეფის ტიგლეთფილესერ I-ის ძვ. წ. 1112 წლის წარწერაში. უფრო გვიან კი ურარტელები ამ ქვეყანას „დიაუხს" უწოდებდნენ. ძვ. ბერძენი ავტორი ქსენოფიონტე 401 წლის ამბების აღწერისას საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს ტაოხების შესახებ. სამივე ეს ტოპონიმი (დაიაენი, დიაოხი, ტაოხი) და ამ ქვეყნის მმართველთა ჩვენამდე მოღწეული სახელები (მეფეები—სენი, ასია...), გ. მელიქიშვილის აზრით, ხურიტულ ელფერს ატარებს **(სინ 1970 : 364)**. აუცი-

---

[1] ტაოსკარი დასახელებული აქვს ვახუშტისაც. „თორთომის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოს კარი, ანუ ტაო" **(ქ. ცხ. 1973 : 684)**, წერს იგი. დ. მუსხელიშვილს ნიშანდობლივად მიაჩნია, რომ აქ ტაოსკარი გაიგივებულია ტაოსთან. რაც უნდა ნიშნავდეს, რომ ტაოსკარი „თავდაპირველ „ხევს" წარმოადგენდა, რომლის სახელიც შემდეგ გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელდა", ე. ი. ტაოსკარი „თავდაპირველი" ტაო იყო **(მუსხელიშვილი 1980 : 167)**.

ლებელია აღინიშნოს, რომ ქსენოფონტეს ტაოხები მოხსენიებული ჰყავს ქართველი ტომების ხალიბების, სკვითინებისა და სხვებთან კონტექსტში, რაც მათი ეთნიკური ნათესაობით უნდა იყოს გამოწვეული.

„ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ტაო შედიოდა კოლხეთის სამეფოს გაერთიანებაში,—წერს დ. მუსხელიშვილი,—ამავე პერიოდში აქ უნდა დაწყებულიყო აღმოსავლურ-ქართული ტომების მიგრაცია და კულტურული ზეგავლენა. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს—ქართლის სამეფოს წარმოქმნის (ძვ. წ. IV—III სს.) ხანაში ტაო მისი ორგანული ნაწილი იყო" **(ქსე, ტ. 9, გვ. 658)**.

ზევითმოტანილი სტრაბონის ცნობის თანახმად, ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში, სომხეთმა „იბერებს—პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის" ჩამოაჭრა **(სტრაბონი 1957 1.89)**. ამის მიხედვით არმენოფილი მკვლევარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიას და ქვემო ქართლს იმდენად ხანგრძლივი დროის მანძილზე თვლიან სომხეთის სახელმწიფოში შემავლად, რომ იქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილის გასომხება, უეჭველ ფაქტად მიაჩნიათ.

სპეციალურ ლიტერატურაში იმაზედაც დიდი დავაა ატეხილი თუ რა მოცულობის ტერიტორიას წარმოადგენდა პარიადრის კალთები და ხორძენე[1].

ს. ჯანაშიას იდენტიფიკაციით, პარიადრის მთიანეთი და ხორძენე მიახლოებით იყო ზემო ევფრატის აუზში მდებარე, თანამედროვე გიუმიშხანესა და ბაიბურთის თემები **(ჯანაშია 1952 : 98)**.

სომეხი ისტორიკოსი ნ. ადონცი პარიადრის მთიანეთს ტაოსა და სპერის (დღევ.ისპირის) მხარეში ათავსებდა **(სინ 1970:457)**.

პ. ინგოროყვას გამოკვლევის თანახმად, სტრაბონთან და სხვა ანტიკურ ავტორებთან, პარიადრის მთებს ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა. ვიწრო მნიშვნელობით პარიადრის მთები რქმევია „პონტოს მთებს, დაწყებული მდ. იეშილ-ირმაკის (დღევ. კელკიტ-ჩაი.—გ.მ.) შესართავის ზონიდან—ვიდრე ტრაპიზონის მხარემდე, და მის პარალელურს სამხრეთ ქედს, რომელიც გაჰყოფს მდინარე იეშილ-ირმაკის ხეობას ღალისის ხეობიდან", ფართო მნიშვნელობით კი— „ეწოდებოდა, როგორც პონტოს მთების ზემოთ მოხსენებულ სექტორს, ისე მცირე კავკასიონის მთების სისტემას, რომელიც გასდევს ევფრატისა და არაქსის ხეობათა ჩრდილო ნაწილებში" **(ინგოროყვა 1954 : 485—486)**. ხორძენეს შესახებ მისი მოსაზრება ასეთია: „ხორძენეს პროვინცია მდებარეობდა მდინარე ევფრატის ხეობაში, სახელდობრ მდ. ევფრატის შემდინარის გაილის სათავეებში" **(იქვე: 433)**.

გ. მელიქიშვილი იმოწმებს ს. კაკაბაძეს და ხორძენე, გოგარენის (ქვემო ქართლის) დასავლეთით მდებარე, ისტორიული მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის მომცველ პროვინციად მიაჩნია. „რაც შეეხება პარიადრის მთიანეთს,—შენიშნავს იგი,—თითქმის ყველა მკვლევარი მას მოგვიანო პარხალს

[1] გოგარენეს შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

უკავშირებს—სატალასა და ბაიბურთის ჩრდილოეთით გადაჭიმული მთის ქედს, რომელიც ზღვის სანაპიროს პარალელურად მიიმართება შებინ-ყარაჰისლარიდან მდ. ჭოროხის შესართავისაკენ" **(სიხ 1970 : 457)**.

პარიადრის მთებისა და ხორძენეს იდენტიფიკაცია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრინციპული საკითხია. ამიტომ მასზე საგანგებოდ ჩერდება დ. მუსხელიშვილი. იგი ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც პარიადრის მთებს პარხალის მთებთან აიგივებენ და აზუსტებს, რომ ამ მთების დღევანდელი სახელწოდებაა ლაზისტანის ქედი **(მუსხელიშვილი 1977 : 55)**, „რომელიც რკალისებურად გასდევს პარალელურად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირს და ჭანეთს (დღ. ლაზისტანს) გამოჰყოფს ჭოროხის აუზისაგან" **(იქვე; 56)**.

ხორძენეს ტერიტორიული განსაზღვრისათვის დ. მუსხელიშვილი იშველიებს ბერძენი ისტორიკოსის აპიანეს (II ს-ნე) მონათხრობს მითრიდატე ევპატორის ევფრატის სათავეებში ლაშქრობის შესახებ, რომელშიაც დასახელებულია ხოტენე და ხოტენელები. „კონტექსტიდან აშკარაა, რომ ხოტენე... არის დაახლოებით ევფრატის სათავესა და ჭოროხს (აფსარსს) შორის მდებარე ქვეყანა"

ხოლო ამ ცნობის სტრაბონის ნათქვამთან შეჯერების „ნიადაგზე აშკარა ხდება, რომ აპიანეს ხოტენე არის იგივე სტრაბონის ხორძენე... რამდენადაც ევფრატის სათავესა და ჭოროხს შუა ტერიტორია უპირატესად ტაოს წარმოადგენს, ამიტომ ცხადია, რომ ხორზენე, მაინცდამაინც, ამ ტერიტორიას გულისხმობს, ჭოროხისა და მტკვრის სათავეებიანად, რასაც აქ დამოწმებული ტოპონიმი „ხორზიანის ველი" მეტყველებს" **(იქვე: 55--56)**. მკვლევარის საერთო დასკვნით, ხორზენე (იგივე ხოტენე) იყო მხარე ჭოროხისა და მტკვრის სათავეებში. ე. ი. ის ტერიტორია, რომელიც ადრეფეოდალურ ხანასა და საქართველოს ერთიანი მონარქიის არსებობისას ტაოდ და კოლად იწოდებოდა.

ხორძენეს ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ განხილულ მოსაზრებათა ავტორების უმრავლესობა და ზოგიერთი სხვა მეცნიერიც, უდავოდ მიიჩნევენ სტრაბონის ცნობას პარიადრის მთიანეთის, გოგარენესა და ხორძენეს, ძვ. წ. II—I საუკუნეებში, სომხეთის მიერ მიტაცების შესახებ. მაგალითად, დ. მუსხელიშვილის განმარტებით, ხორძენეს სახით, ეს ნიშნავდა, რომ სტრაბონის „დროს სპერი, ტაო და კოლა სომხეთს მიეერთებინა" **(იქვე: 59)**. „I—II საუკუნეებში ხორძენე კვლავ ქართლის შემადგენლობაში იყო. III—IV სს-ში ხორძენეს ისევ სომხეთი დაეუფლა. ხორძენეს ერთი ნაწილი (კოლა) ქართლს საბოლოოდ V საუკუნეში შეუერთდა, დანარჩენი (ტაო) VIII საუკუნეში" **(ქსე, ტ. 11 : 502)**.

მკვლევართა ამ უნისონში გამონაკლისს წარმოადგენს პ. ინგოროყვა. როგორც ზევით შევნიშნავდით, იგი ხორძენეს მდ. ევფრატის შენაკადის გაილის სათავეებში ათავსებდა. ამიტომ გამორიცხავდა ტაოსა და კოლას ამ მხარესთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ამ გამორიცხვისათვის მკვლევარს სხვა საბუთიც მოჰქონდა: პარიადრის მთები, მისი აზრით, არ

უდრიდა პარხალის მთებს. ეს უკანასკნელი სტრაბონთან „სკიდისეს“ („შქვიდისის“) მთების სახელითაა ცნობილი. ამიტომ ტაო და კოლა, რომლებიც პარხალის მთებს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდნენ, არ მდებარეობდნენ პარიადრის მთების კალთებზე და არც სომხეთის შემადგენლობაში ყოფილან (**ინგოროყვა 1954 : 486**). პ. ინგოროყვა განუმარტავს არ ტოვებს პარიადრის მთების საკითხსაც. მისი ლოკალიზაციით ამ მთების კალთები იყო არაქსის „სამხრეთით მდებარე კუთხე. მდინარე არაქსის სათავეების ზონა“ (**იქვე: 487**).

ტაო, როგორც ცნობილია, ჭოროხის აუზში მდებარე ქვეყანაა და იგი არ შეიძლება გავაიგივეთ ევფრატის ხეობაში მდებარე ხორძენესა და პარიადრეს მთებთან, საიდანაც სათავეს იღებს მდ. არაქსი. ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ არგუმენტაციასთან ერთად, პ. ინგოროყვას სხვა წყაროების მონაცემებიც მოჰყავს და დაასკვნის: „ტაოს მხარე მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, არ შედიოდა სომხეთში, არამედ საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული“ (**იქვე**).

კიდევ უფრო გამორიცხულია, მკვლევარის აზრით, ახ. წ. I—II საუკუნეებში, ტაოს და საერთოდ იბერიის მხარეების რომელიმე ნაწილის სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა, რადგან ეს იყო ქართლის სამეფოს ძლიერების ხანა, როცა ქართველი უფლისწულები სომხეთის მეფეებადაც კი იყვნენ აღზევებულნი და რომაელი ისტორიკოსების (ტაციტუსის, დიონ კასიუსის და პლინიუსის) ცნობებით, ევფრატის სათავეებიც კი იბერიას ეკუთვნოდა (**იქვე: 489**).

პ. ინგოროყვას დასაშვებად მიაჩნდა, რომ ტაოს მხოლოდ ერთი ნაწილი (მამიკონელთა ქვეყანა—ტაოს ჭანური სექტორი), II საუკუნის მიწურულიდან IV საუკუნის დასასრულამდე, პოლიტიკურად იყო დაკავშირებული სომხეთთან. V—VIII საუკუნეებში ხელიდან ხელში გადადიოდა ირანელებს, ბიზანტიელებსა და არაბებს შორის. VIII ს-ის 30-იან წლებში იგი სასტიკად მოაოხრა მურვან ყრუმ (**იქვე: 490**).

მურვან ყრუს შემდეგდროინდელი ტაოს აღმავლობა დაკავშირებულია აშოტ I კურაპალატის სახელთან (გარდ. 826 წ.). არაბთაგან განდგომილი და ბიზანტიაზე თავშეფარებული აშოტი თავდაპირველად შავშეთსა და კლარჯეთს ეუფლება. აქ მომძლავრებული იგი თავის სამფლობელოს განავრცობს. „მატიანე ქართლისას“ დამოწმებით, მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „აშოტის დროს სამთავროს ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი“ (**სინ 1973 : 449**). სუმბატ დავითის ძის ცნობით კი აშოტ დიდი „ეუფლა ქვეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ (**ქ. ცხ. 1955 : 377**), ე. ი. მას ხელთ ჰქონია შიდა ქართლი, თბილისის საამიროსა და კახეთის საქორეპისკოპოსოს ნაწილი მაინც. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ ასე მრავალი თემისაგან (და მათ შორის ქართლის დიდი ნაწილისაგან) შემდგარ სამთავროს მხოლოდ ტაო-კლარჯეთი ჰქვია. ხოლო, როცა აშოტის გარდაცვალების შემდეგ ეს ტერიტორიები მისმა

შვილებმა გაიყვეს, უფროსობა (ჯერ კურაპალატობა და შემდეგ „ქართველთა მეფობა") ტაოს შტოს წარმომადგენლებს დარჩათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შუათანა ძმის ბაგრატის შთამომავლები იყვნენ. ნაცვლად იმისა, რომ აიხსნას რა იყო ტერმინ „ტაო-კლარჯეთის" ქართულ ისტორიოგრაფიაში ასე პოპულარულად გახდომის მიზეზი, მკვლევარები მას შინაარსობრივად უფრო ტევადი გამოთქმით—„ქართველთა სამეფოთი" ცვლიან. ამ მოსაზრების თავგამოდებული დამცველი იყო პ. ინგოროყვა **(ინგოროყვა 1954 : 39)**. შესაწყნარებლად თვლის ამ პოლიტიკური ერთეულისათვის „ქართველთა საკურაპალატოს" ან „ქართველთა სამეფოს" დარქმევას მ. ლორთქიფანიძეც **(ლორთქიფანიძე 1963 : 208)**. დ. მუსხელიშვილი დროსაც კი განსაზღვრავს როდის რა უნდა ეწოდოს „აშოტ დიდის მიერ შექმნილ სამთავროს, რომელსაც ჩვეულებრივ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ტაო-კლარჯეთის სამთავროს უწოდებენ, რაც ნათლად არ გამოხატავს არც მის გეოგრაფიულ ფარგლებს და არც შინაარსს, ამიერიდან ვუწოდოთ, IX ს-სთვის—„ქართველთა საკურაპალატო", ხოლო X საუკუნის დასაწყისიდან — ქართველთა სამეფო" **(მუსხელიშვილი 1980 : 188)**. ასეთი განცხადებების მიუხედავად, დასახელებული მკვლევარები, ჩვენს მიერ დამოწმებულ შრომებშიაც კი „ტაო-კლარჯეთს" უფრო ხშირად ხმარობენ აშოტის მიერ შექმნილი სახელმწიფოს აღსანიშნავად, ვიდრე „ქართველთა სამეფოს" (იხ. მათი დასახ. ნაშრომების საძიებლები. მ. ლორთქიფანიძისა, გვ. 301, ხოლო დ. მუსხელიშვილისა—269).

როგორც ცნობილია, „ქართველთა მეფის" ტიტული ტაოს ბაგრატიონებმა აღიდგინეს. ეს პატივი ერგო ადარნასე ბაგრატიონს (888—923). შემდეგაც იგი მათ არ გაუშვიათ ხელიდან. ასე იწოდებოდნენ დავით ადარნასეს ძე (923—937), მისი ძმა ბაგრატი (937—945). ცამეტწლიანი უმეფობის ხანის შემდეგ 958—994 წწ. „ქართველთა მეფის" ტიტული ბაგრატ III-ის პაპას ბაგრატ II-ს ეპირა. ისიც ტაოს ბაგრატიონებიდან წარმოდგებოდა. მამამისი სუმბატი ადარნასეს მესამე ვაჟი გახლდათ.

არც „ქართველთა კურაპალატობა" და არც „ქართველთა მეფობა" აბსოლუტური ხელისუფლების ფლობას არ ნიშნავდა. ჯერ კიდევ აშოტ დიდის პირველ მემკვიდრეებში უმცროსი ძმა გვარამ მამფალი (გარდ. 882 წ.) უფრო ვრცელი მიწების მფლობელი იყო, ვიდრე მისი დანარჩენი ძმები **(ქ. ცხ. 1955 : 287; შდრ. მუსხელიშვილი 1980 : 189)**. ასევე ძლიერი ხელისუფალი იყო გურგენ ერისთავთერისთავი (918—945), რომელსაც „შავშეთ-კლარჯეთის, სამცხე-აჭარის და კოლა-არტაან-ჯავახეთის მფლობელად" ვარაუდობენ **(მუსხელიშვილი 1980 : 192)**. მაგრამ ბაგრატ III-ის წინა ბაგრატიონებს შორის ყველაზე გამორჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს დავით III ადარნასეს ძე (966—1001) წარმოადგენდა. მან და მისმა ძმამ ბაგრატმა მამა აიძულეს ბერად აღკვეცილიყო **(ქ. ცხ. 1955 : 381)**. 966 წელს, ძმის, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, ერისთავთერისთავობა დავითმა მიიღო. შემდეგ მას ბიზანტიური ტიტული მაგისტროსობა მისცეს. 979 წელს კი კურაპალატობა უბოძეს. თავი რომ დავანებოთ მის დიდ წვლილს სა-

ქართველოს გაერთიანების საქმეში, დავით III პოლიტიკურ აქტივშია „დაბოუკიდებელი პოლიტიკური, ერთეულის, ტაოს სამეფოს ჩამოყალიბება" **(სინ 1973 : 475)**. მისი ხელისუფლების სიძლიერეზე მეტყველებს ისიც, რომ იგი „უბრალოდ „ქართველთა კურაპალატი" კი არ არის, როგორც მისი წინამორბედი ბაგრატიონები იყვნენ, არამედ „ყოვლისა აღმოსავლისა კურაპალატია" **(ბაქრაძე 1889 : 244)**.

დავით დიდის პოლიტიკურ მასშტაბებს აჩვენებს ის ფაქტი, რომ მას არა მარტო საქართველოს საკითხების გადაწყვეტა ხელეწიფება, არამედ იგი ასევე კომპეტენტური და ავტორიტეტული პიროვნებაა საერთაშორისო მასშტაბითაც. ბიზანტიის ხელისუფლები ხომ მათთვის მოუგვარებელი პრობლემების სამხედრო გზით გადასაჭრელად, ტაოს მეფეს, როგორც ერთერთ მხსნელს მიმართავენ.

ამ საკითხებზე ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით მოგვიწევს შეჩერება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ის გვინდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ამ ხელისუფლის ეროვნული კუთვნილება მიაჩნდა გაურკვეველად ნ. მარს. რუსი ბიზანტინისტებისათვის ეს არ იყო პირველად შეხვედრილი პრობლემა, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ იგი საეშვოც კი არ უნდა გამხდარიყო ბაგრატიონთა გვარის ისტორიაში ისე მშვენივრად გარკვეული მეცნიერისათვის, როგორსაც ნ. მარი წარმოადგენდა. მას შესანიშნავად მოეხსენებოდა, რომ დავით III ტაოს ან ტაიკის კურაპალატი კი არ იყო, არამედ „ყოვლისა აღმოსავლისა კურაპალატის" ტიტულს ატარებდა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ პიროვნების ეროვნული კუთვნილება იმის მიხედვით კი არ წყდება, თუ რომელი ხალხი იჩენს მის მიმართ სიმპატიებს[1], არამედ ამ შემთხვევაში მთავარია: შთამომავლობა, თვითონ რომელ ერს აკუთვნებდა თავს და რომელი ხალხის კულტურის მშენებლობაში მონაწილეობდა. ამ მხრივ დავით დიდის პიროვნებას არავითარი საიდუმლოებით მოცული (**загадочный**) მხარეები არ აქვს.

ტაო ადრეფეოდალურ ხანაში იყო ქართული სამონასტრო და საერო არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. VII საუკუნეში აქ ააგეს ბანას ტაძარი, რომელიც საეპისკოპოსო კათედრის სამყოფელი გახდა. IX საუკუნეშია აშენებული იშხანი, და ხახულის მცირე ეკლესია. დავით III კურაპალატი არა მარტო დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო, არამედ დიდი მშენებლობების წამხალისებელსა და ავტორიტეტსაც წარმოადგენდა. მის დროსაა აშენებული კლასიკური ხანის ქართული არქიტექტურის ისეთი მშვენებები, როგორიცაა: ოშკის მთავარი ტაძარი, ხახულის მთავარი ტაძარი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. მეფე დავითის ხელქვეითები მშენებლობას

[1] ნ. მარი ამასთან დაკავშირებით შემდეგს წერდა: «Нам представлялась загадочною даже такая богато обрисованная историческая фигура X-го века, как таоский или тайский куропалат Давид. Смущало наличие равномерно сильных к нему симпатий и со стороны армян, и со стороны грузин. Не поддавался решению к обоюдному удовольствию казавшийся реально важный вопрос, кто же, наконец, он был, армянин или грузин» (Марр 1911:XIV)..

ეწუვიან ტაოს გარეთაც: მაგალითად, ზარზმის მონასტრის ეგვტერის ამგები ივანე სულას ძე, როგორც თვითონ წერს, ერთ-ერთი მეთაური ყოფილა დავით დიდის მიერ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ წარგზავნილ ლაშქარში **(Таканшвили 1905 : 19)**.

დავით III-ის და ტაოელი მოღვაწეების როლს ნ. ბერძენიშვილი ასეთ შეფასებას აძლევდა: „ქალკედონისტი დავით კურაპალატი ბიზანტიის კულტურულსა და პოლიტიკურ სამყაროში ქართული ეროვნული შეგნების მესაჭე და მოღვაწეა, ქართულ ენას დავითის ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის აქ განსაკუთრებულ როლს, თამაშობს (ამის მოწმობაა ტაოელი ქართველების ეს განსაკუთრებული ზრუნვა ქართულ ენაზე, ქართულ კულტურაზე. ათონზე ტაოელთა იდეა ბატონობს...). დავითის ფული ქართული ზედწერილით, დავითის მშენებლობა (ქართული წარწერანი), დავითის დროშაჯვარი ქართული წარწერით, დავითის ქვეყანაში ქართული სავანეები (ხახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია), დავითის დაუცხრომელი ზრუნვა ქართული ქრისტიანული ლიტერატურის გამდიდრება-გავრცელებისათვის, ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამ მეფის პოლიტიკაში ქართულ ენას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა აკისრია" **(ბერძენიშვილი 1965 : 23--24)**.

ტაძარ-მონასტრებზე შემორჩენილი წარწერები, ტოპონიმიკის ძირითადი ნაწილი, ქართული წერილობითი ძეგლები, ბიზანტიური და სომხური წყაროების ნაწილი აშკარად ადასტურებს, რომ ტაო ოდითგანვე ქართველებით დასახლებული, ქართული ქვეყანა იყო. პ. ინგოროყვა, რომლის მოსაზრებითაც, ტაოს ერთი ნაწილი (იმიერტაო) მცირე ხნით (II ს-ის შუა წლებიდან IV ს-ის უკანასკნელ მეხუთედამდე) მოექცა სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში და იქ ადგილი ჰქონდა სომეხთა მიგრაციას, მაინც დარჩა ქართულ ქვეყნად, ვინაიდან მისი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველები-ტაოხები იყვნენ. მიუთითებს რა ორ შემთხვევაზე, როდესაც წყაროებით დადასტურებულია ტაოში სომხური მიგრაცია, მკვლევარი ასკვნის: „რასაკვირველია, ეს და სხვა ასეთი სპორადული, ცალკეული შემთხვევები უცხო ელემენტის ჩამოსახლებისა ვერ შეცვლიდა და არც შეუცვლია იმიერი ტაოს ეთნოგრაფიული სახე" **(ინგოროყვა 1954 : 499)**.

სპეციალურ ლიტერატურაში ამ დებულების საწინააღმდეგო უფრო დასაბუთებულ მტკიცებას ჩვენ არ ვიცნობთ და, ვფიქრობთ, იგი არც არსებობს.

ტაოში ორი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: იშხანისა და ბანასი. პირველი მათგანის დაარსების დროდ დ. მუსხელიშვილი IX საუკუნეს ასახელებს, ხოლო ბანას საეპისკოპოსო X საუკუნეში დაფუძნებულად მიაჩნია **(მუსხელიშვილი 1980 : 164)**.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, მ. ლორთქიფანიძე აზუსტებს ამ კათედრების დაარსების დროსა და დამაარსებლებს. იშხანის კათედრა VII საუკუნიდან არსებობდა. შემდეგ იგი „დაქვრივებულა" და აღუდგენიათ აშოტ დიდის, შუათანა შვილის, ბაგრატ კურაპალატის დროს

(826—876). მისი პირველი ეპისკოპოსი იყო საბა (საბან) იშხნელი (**Марр 1911 : 3; შდრ. ლორთქიფანიძე 1963 : 209**). ბანას კათედრა კი დააარსა ბაგრატ I-ის შვილი შვილმა ადარნასე ქართველთა მეფემ (888—923). ამ კათედრათა დაფუძნებას პოლიტიკური მოსაზრებები განაპირობებდა. სამცხესა, ჯავახეთსა და კლარჯეთში საეპისკოპოსოთა საკმაოდ ხშირ ქსელი იყო. ტაო კი ამ მხრივ ჩამორჩებოდა. ხოლო, როცა აქაურმა ბაგრატიონებმა კურაპალატობა და ქართველთა მეფობა დაიმისეს, მათთვის ეპარქიების ქონება პრესტიჟული საკითხი გახდა. იშხანი და ბანა, საკმაოდ ახლომდებარე პუნქტები იყო, მაგრამ ბანა, როგორც ტაოს ბაგრატიონთა პოლიტიკური ცენტრი, მათ საეპისკოპოსო კათედრადაც აქციეს და იქ ააგეს ტაძარი „რომელიც კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უდიადეს მიღწევას წარმოადგენს" (**ინგოროყვა 1954 : 389**).

ი. სპერი

სპერი ქართულ თემთა შორის ერთ-ერთი ნაკლებშესწავლილთა რიცხვს განეკუთვნება. ამას პ. ინგოროყვა უკვე 40-იან წლებში შენიშნავდა (**ინგოროყვა 1954 : 505**). მას შემდეგაც ამ მხარის ისტორია არავის ურკვევია. რასაც თავისი მიზეზები განაპირობებს. ამათგან უმთავრესი ისაა, რომ ეს ქართული მხარე, სადაც ფაქტობრივად დაირწა ქართული ცივილიზაციის აკვანი, მხოლოდ ეპიზოდურად იყო ხოლმე საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნაწილი და ამჟამადაც უცხო ქვეყნის შემადგენლობაშია. ქვეყნისა, რომელთან ურთიერთობაც მხოლოდ უკანასკნელ ხანს იძლევა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ისტორიის მეცნიერული კვლევის საშუალებას.

ს. ჯანაშიას განმარტებით, სახელწოდება „სპერში" შემონახულია ძველ ქართველ ტომთა გაერთიანების— სასპეირების სახელი (**ჯანაშია 1952 : 56**). ეს სავსებით მისაღები მოსაზრებაა. მაგრამ მისი სწორად გაგებისათვის უნდა გავითვალისწინოთ ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც „გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ჩნდება წარმოებითი კოლექტივი, იქმნება ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა (გვარი), რომლის სახელიც, ბუნებრივია, იმავე კოლექტივის სახელი იქნება... დროთა განმავლობაში კოლექტივი იზრდება, ახალ ერთეულებად იყოფა, ჩნდება ტომი. სატომო ქვეყნის სახელად, ბუნებრივია, უპირატესობის მქონებელი გვარის სახელი გამოვიდეს" (**ბერძენიშვილი 1975 : 23**). გვარის სახელი კი იმ პუნქტის[1] (გორა, ხევი, სერი...) მიხედვით წარმოიშობა, რომელიც მისი საცხოვრისი იყო (**იქვე: 113**).

---

[1] ქართულ საისტორიო ტრადიციაში პუნქტის (უფრო გამოკვეთილად— ცენტრის) სახელებიდან ქვეყნის სახელის წარმოშობის ახსნა ლეონტი მროველიდან მომდინარეობს. მაგრამ მას იმდენად სისტემური სახე აქვს ვახუშტისთან, რომ ნ. ბერძენიშვილი მეცნიერი ბატო-

მაშასადამე, სპერმა კი შემოგვინახა ტომთა გაერთიანების სასპეირის სახელი, მაგრამ ეს უკანასკნელი სპერისაგან ქართული დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსის „სა“-ს მეშვეობით უნდა იყოს წარმოშობილი, და მართალია, ჰეროდოტე მას „სასპეირების“ სახით ხმარობს, მაგრამ ქართულად სავარაუდოა „სასპერ“-ო გამოითქმოდა.

საბოლოოდ გარკვეული არც ტერმინ სპერის წარმოშობაა. ს. ჯანაშია მისი ამოცნობისათვის განიხილავს ძველ ბერძნულ წყაროებში ამ სახელის აღსანიშნავად ხმარების სხვადასხვა შემთხვევებს (ჰეროდოტე—სასპეირ, სტეფანე ბიზანტიელი—საეირ) და ასკვნის, რომ მათში „ქვეყნის, სახელმწიფოს სახელწოდებაა, თვით მოსახლეობაზე გადატანილი“ და ეს შეცდომად მიიჩნია (**ჯანაშია 1952 : 62**). მისი აზრით „სპერი“ მწიგნობრული წარმოშობისაა და მისი, ენობრივი განმარტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გვიანდელ-რომაული ხანის მწერლის სტეფანე ბიზანტიელის ჩვენებას: „სასპეირები—ხალხია პონტოს მხარეში, რომელიც ამჟამად იწოდება... საეირებად“. ე. ი. პ-არი, რომელიც ჰეროდოტე-ქსენოფონტე-სტრაბონის ფორმებში ბ-ს გადმოსცემდა, აქ შეცვლილია ვ-ით. მაშასადამე არსებობდა საბერ-საეირ ფორმებიც. „სახელწოდება,—განაგრძობს ს. ჯანაშია,—საბერ-საეირი, თაბალ-თუბალის ჯგუფს ეკუთვნის“ (**ჯანაშია 1952 64**). ამ ჯგუფიდან, კერძოდ კი, „ტიბარენიდან“, მას, როგორც ცნობილია, ქართველთა თვითსახელის—„ქართველის“ სინონიმი „იბერი“ გამოჰყავდა. მისი მტკიცებით: „ბევრად უფრო დამაჯერებელი უნდა გვეჩვენოს ის მოსაზრება, რომელიც მრავალგზის ყოფილა გამოთქმული სხვადასხვა მეცნიერის... მიერ იბერის ნათესაობის შესახებ ტიბარენ-თან“ (**ჯანაშია 1959 58**).

ს. ჯანაშიამ შეისწავლა ასეთი ხალხის შესახებ ბერძნულ წყაროებში არსებული ცნობები. მათ იცნობს: ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, სტეფანე ბიზანტიელი, ევსევი კესარიელი. ზოგიერთ მათგანთან ეს ეთნონიმი ორი სუფიქსით იხმარება. მაგალითად, სტრაბონთან ვხვდებით ტიბარენს და ტიბარ-ან-საც.

უფრო მარტივად წყვეტდა ამ საკითხს პ. ინგოროყვა. მისი აზრით სპერის ერთი ნაწილის (ქვემო სპერის) მოსახლეობას იბერები შეადგენდნენ. ამიტომ საესებით მისაღებია სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილი მოსაზრება, რომ „თვით სახელწოდებაც ამ მხარისა სპერი, //სბერი//, ჰიბერი დაკავშირებულია იბერთა სატომო სახელთან“ (**ინგოროყვა 1954 : 90**).

ამ მოსაზრების დასაბუთება, როგორც ვთქვით, ს. ჯანაშიას ეკუთვნის.

ნიშვილის ეტიმოლოგიებს „ქვეყნის სახელის წარმოშობის თეორიას“ უწოდებს (**ბერძენიშვილი 1975 : 116**).

მიუხედავად ამისა ჩვენ გვიძნელდება ვამტკიცოთ, რომ ქვეყნის სახელი სპერი ფეოდალური ხანის ქალაქ სპერიდან (ახლანდელი ისპირიდან) არის წარმოშობილი. უფრო ცხადია, რომ ამ მხარის სახელიდან გამომდინარეობს ტოპონიმი „სპერის ზღუა“, რაც შუა საუკუნეებში ქართულად „შავ ზღვას“ აღნიშნავდა და მოწმობს, რომ ეს ქვეყანა მის სანაპიროზედე ვრცელდებოდა.

როცა იგი წყაროებში ტერმინ „ტიბარენის" სხვადასხვა ფორმით გამოყენებას აჯამებს ისინი დაჰყავს ძირამდე—ტიბარ, ტაბერ, ტაბარ, ტიბერ, ჰიბერ, იბერ **(ჯანაშია 1959:63)** აქ, მართალია, არც სასპეირი და არც საბირსავირი ჩანს, მაგრამ მათ მაინც აქვთ კავშირი მოტანილ მსჯელობასთან.

საქმე იმაშია, რომ ბერძნული წყაროები აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას „იბერების" სახელწოდებით იცნობენ. ქვეყნის ეს სახელი გვხვდება პლატონთან (428—348) და არისტოტელესთან (384—322), მაგრამ დაუდგენელია იგი პირინეის იბერიას ეხება, თუ კავკასიისას. იბერ-ქართების შესახებ, ეშვიოუტანლად მსჯელობს ძვ. წ. II ს-ის ავტორი აპოლოდორე. ამის შესახებ ვიცით ისეთი სანდო წყაროდან, როგორიც სტრაბონია. თვით სტრაბონთან კი იბერიელები საკმაოდ სრულად არიან დახასიათებულნი. ყველა აქედან ჩანს, რომ იბერები დიდი ხნის ისტორიის მქონე ხალხია. ასეთ პირობებში ისმება კითხვა: მაშ, რატომ არ ახსენებს მათ „ისტორიის მამა" ჰეროდოტე (484—425)? ამ კითხვაზე ს. ჯანაშიას პასუხი ასეთია: „მერმინდელი იბერ-ქართები ჰეროდოტეს მოთხრობაში „სასპეირების" სახელით გვევლინებიან" **(ჯანაშია 1952 : 51)**.

ეს პასუხი გამომდინარეობს ჰეროდოტეს „ისტორიის" ტექსტზე დაკვირვებიდან. კერძოდ, კი მისი მონათხრობიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მეწამული ზღვიდან შავ ზღვამდე მხოლოდ ოთხი ხალხი ცხოვრობდა. იგი წერს: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდ. ფაზისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე" **(ჰეროდოტე 1975 : 265)**.

დასახელებულთაგან სამი ხალხის—სპარსელების, მიდიელების და კოლხების ტერიტორია კარგადაა ცნობილი. ამის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს სასპეირების ქვეყანაც. დ. მუსხელიშვილის აზრით ჰეროდოტეს, ცნობაში ასახული უნდა იყოს ძვ. წ. VI ს-ის ვითარება. „ხოლო თვით ცნობა კი ისეა გასაგები,რომ „სასპერების" სახით არსებობს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული, რომელიც აკონტროლებს კოლხეთსა და მიდიას შორის არსებულ ვრცელ ტერიტორიას. ეს უკანასკნელი, უეჭველია, უნდა მოიცავდეს ყოფილი ურარტუს სამეფოს ჩრდილო პროვინციებს... შესაძლებელია ცნება „სასპერებისა" მოიცავდა თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოსაც" **(მუსხელიშვილი 1977 : 69)**.

ვარაუდს, რომ სასპერების ქვეყანაში აღმოსავლეთ საქართველოც შედიოდა, მხარს უჭერს გ. მელიქიშვილიც **(Меликишвили 1959 : 233)**.

ჰეროდოტეს ცნობების შედარებითი ანალიზის ნიადაგზე ს. ჯანაშია ხაზგასმით განმარტავდა, რომ „ჰეროდოტეს სასპეირები მერმინდელი ბერძენი მწერლების იბერები არიან". რაც შეეხება მათი ქვეყნის ტერიტორიულ

მდებარეობას „უფლება გვაქვს დავასკვნათ, — წერდა იგი,—რომ მეექვსე-მეხუთე საუკუნეების მიჯნაზე სასპეირებს უპირავთ ევფრატის სათავეები, და არზრუმის მხარე, მიახლოებით— ერზინჯანამდე, ჭოროხის აუზის ზემოთა ნაწილი, არაქსის აუზის მთელი ზემოთა და შუა ნაწილი და, საფიქრებელია, რომ მერმინდელი იბერიის, საკუთრივ ქართლის, უმნიშვნელოვანესი ნაწილიც, იქნებ უკვე იმ დროის სასპეირების გავლენა კავკასიონამდე სწვდებოდა“ **(ჯანაშია 1952:57)**.

ვითარება შეცვლილია სტრაბონის აღწერილობაში. ამ დროს სომხები უკვე ჩრდილო-აღმოსავლეთით არიან გადმონაცვლებულნი. მათ ურარტუს სამეფოსა და სასპეირების ყოფილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი უპირავთ. ისინი არ სჯერდებიან მიღწეულს და სტრაბონის ცნობით იბერიას აჭრიან პროვინციებს. ამის თარიღად ავტორი ძვ. წ. II ს-ს ასახელებს. მაგრამ როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა აქ ასახული უნდა იყოს ტიგრან II-ის (95—56) დროინდელი ვითრება, როცა სომხეთი მნიშვნელოვნად გაძლიერდა და გაფართოვდა. ამ ვარაუდის რეალობას თვით სტრაბონი უნდა ადასტურებდეს, როცა აპოლოდორის ცნობის დამოწმებით, ძვ. წ. II ს-ში, იბერიისა და არმენიის საზღვარი არაქსზე გაჰყავს. თავად კი აღწერს რა მთელ რიგ ხალხებსა და ქვეყნებს, მათ შორის ასახელებს სისპირიტიდას, რომელიც ს. ჯანაშიას აზრით „სასპირთა ქვეყნის სახელწოდების რამდენადმე განსხვავებული ფორმაა“ **(იქვე: 58)**. ხოლო საქართველოს მხარედ იდენტიფიკაციისას სისპირიტიდა, მისივე სიტყვით „მეტნაკლებად ემთხვევა ფეოდალური ხანის ქართულ სპერსა და თანამედროვე ისპირს“ **(იქვე: 256)**.

რადგან სტრაბონი სისპირიტიდას სომხეთის ფარგლებში იხსენიებს, წერს ს. ჯანაშია „ცნობა უნდა გავიგოთ, ჩანს ისე, რომ სისპირიტიდა—სპერი ეკუთვნოდა სომხეთს“. ტაო კი, რომელიც ჯერ კიდევ ქსენოფონტეს დროს (ძვ. წ. 401 წ) გამოეყო სასპერებს, „უკვე იბერიის ფარგლებში მოდიოდა“ **(იქვე)**.

სპერის სომხეთის შემადგენლობაში ყოფნა სხვაგვარი მონაცემების გათვალისწინებით აქვს არგუმენტირებული დ. მუსხელიშვილს. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ ლეონტი მროველს ტაო და სპერი (ჭოროხის ზემო დინების აუზი) ქართველი ხალხის განსახლების ტერიტორიიდან აქვს გამორიცხული ნიშნავს, რომ მემატიანე თავისი ისტორიის შესაქმნელად სარგებლობდა ძველი წყაროთი, რომელსაც იგი, „როგორც ირკვევა, ფრიად ობიექტურად იყენებდა“, თორემ XI ს-ში, როცა ლეონტი წერდა, „ტაო წარმოადგენდა ქართული კულტურის ერთ-ერთ მოწინავე კერას“ და ეს ფაქტი, რომ ისტორიკოსს ძველ პერიოდზე გადაეტანა, ჭოროხის ზემო წელს იგი „ქართველი ხალხის ოდინდელი განსახლებისათვის შემოსაზღვრულ ძირითად ტერიტორიაში“ შეიტანდა **(მუსხელიშვილი 1977 : 80)**.

ამ ფაქტითაც მტკიცდება, რომ „ქართლის სამეფომ ეს ტერიტორია (გოგარენე—ქვემო ქართლთან ერთად) „ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში დაჰკარგა და საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა, რომ იგი კვლავ უკან დაებრუნებინა“ **(იქვე)**.

ტაოს შესახებ თხრობის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მოსაზრებას ქართველებით დასახლებული ვრცელი ტერიტორიების სომხეთის მიერ ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში მიტაცების შესახებ, არ იზიარებდა პ. ინგოროყვა. თავისი ამ მოსაზრების ზევით უკვე მოტანილ დასაბუთებებთან ერთად სპერის მიმართ მას დამოწმებული აქვს ახალი არგუმენტები. მათ შორის ძირითადია სტრაბონისეული „სისპირიტისის"[1] სპერთან გაიგივების შეუძლებლობა, რაც უველაზე ადრე შეუნიშნავს ი. მარკვარტს. ასეთ გაიგივებას ხელს უშლის „ის გარემოება", რომ სტრაბონს სისპირიტისის მეზობლად დასახელებული აქვს კალახენისა და ადიაბენის მხარეები, რომლებიც ტიგროსის აუზში მდებარეობენ. მათ „ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრებოდა, —წერდა პ. ინგოროყვა,—ძველს ისტორიაში კარგად ცნობილი მხარე შუპრია ანუ სუპრია, იგივე სიპრია (სიპირიტი, სისპირიტი, ისპირიტი), სუ-ბარების ძველი მიწა-წყალი (სახელდობრ ის ტერიტორია ტიგროსის ხე-ობისა, რომელიც XI—IX საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა ეჭირათ მუსხებს)" **(ინგოროყვა 1954 : 507)**.

„ამრიგად, სტრაბონის ამ სრულიად გარკვეული ჩვენების თანახმად ჭოროხის ხეობა (და მათ შორის სპერის მხარე), რომელიც მთლიანად მოსხის მთების ჩრდილოეთით მდებარეობს, ეს იყო საქართველოს ნაწილი და არა სომხეთის ნაწილი" **(იქვე : 510)**.

რაც შეეხება სისპირიტისის მხარეს მას სტრაბონი სომხეთის ძირეულ ნაწილად თვლის და ეს არცაა გასაკვირი, რადგან იგი ტიგროსის ხეობაში მდებარე ქვეყანა იყო და თავიდანვე სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა **(იქვე)**.

სპერს ინგოროყვა სამ ზონად ყოფდა. **ა. ზემო სპერი**, მისი განსაზღვრით, „მოიცავდა ჭოროხის ხეობის სათავეებს, ვიდრე ქალაქ ბაიბერთამდე". **ბ. „შუა სპერი"** მოიცავდა ჭოროხის ხეობაში მდებარე ღართის ველს და მის მიმდგომ ხეობას". გ. **ქვემო სპერი**, „მოიცავდა ჭოროხის ხეობას ღართის ველს ქვემოთ, ე. ი. ჭოროხის ხეობის იმ ნაწილს სადაც მდებარეობს ქალაქი სპერი" **(იქვე: 513)**.

ისევე, როგორც იმიერტაოს შემთხვევაში, პ. ინგოროყვა არ უარყოფდა სპერის ერთი მეოთხედი ნაწილის—ზემო სპერის ყოფნას სომხეთის შემადგენლობაში. მაგრამ მიაჩნდა, რომ ამას ადგილი ჰქონდა არა ძვ. წ. II ს-ში, არამედ ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებიდან IV ს-ის დასაწყისამდე. IV—VIII სს-ში სპერის ეს ნაწილი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაშია. IX ს-დან მას ქართველები იბრუნებენ **(იქვე: 512)**.

სპერის სხვა ზონები ყოველთვის ქართველურ ქვეყნებში შედიოდა. შუა სპერი დაკავშირებული იყო შანეთთან. ხოლო სპერის ძირითადი მხარე ქვემო სპერი „ყოველთვის იბერიის (ქართლის) ნაწილად ითვლებოდა, იგი კარგად არის ცნობილი ძველ-ქართულ საისტორიო წყაროებში. ჯუანშერის ქრონიკაში, მას ეწოდება „საზღვარი ქართლისა სპერი" **(იქვე: 513—514)**. ადრე ფეოდალურ ხანაში ქვემო სპერი კლარჯეთის საერისთავოს შემადგენლობაში ითვლებოდა.

---

[1] ასე ჰქვია ამ მხარეს სტრაბონთან.

ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში ზოგიერთი კორექტივი შეაქვს დ. მუსხელიშვილს. იგი არაფერს ამბობს სპერის ზონებად დაყოფაზე და მიაჩნია, რომ ეს მხარე ჭოროხის ზემოწელიდან შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. როგორც ვთქვით, იგი თვლის, რომ ძვ. წ. II საუკუნეში, სპერი სხვა ძველ ქართულ პროვინციებთან (ტაო, გოგარენე) ერთად სომხეთმა მიიერთა. „შემდგომ პერიოდში იგი კვლავ ქართლს ეკუთვნოდა, IV—V სს-ში ისევ სომხეთი ფლობდა.: VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დასაწყისში ქართლის გამგებლობაში მოექცა. VII ს-ის 20-იან წლებიდან სპერს ბიზანტია დაეუფლა. XII—XIII სს-ში სპერი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში იყო" **(ქსე, ტ. 9, გვ. 511),**

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ქრონიკალურ ჩამოთვლაში გამოტოვებულია სპერის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი. ესაა ის ხანა, როცა სპერს ბაგრატიონები ფლობდნენ. სრულიად უეჭველია, რომ აშოტ I კურაპალატის ხელისუფლება სპერზედაც ვრცელდებოდა **(სინ 1973 : 449)**. ამ დროიდან უნდა იყოს დამკვიდრებული ჯუანშერის მონათხრობში შემონახული განსაზღვრება, რომ „სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი" საბერძნეთთან მოსაზღვრე მხარეს წარმოადგენდნენ **(ქ. ცხ. 1955 : 226)**. აშოტ კურაპალატის მოკვლის შემდეგაც „სპერი მისი რომელიმე მემკვიდრის ხელქვეითი პროვინციაა **(სინ 1973 : 468)**. რაც შეეხება დავით მესამის ეპოქას მაშინდელი ვითარება მ. ლორთქიფანიძეს ასე აქვს წარმოდგენილი: „იმიერტაო ჩრდილო ბასიანითურთ, თორთომი და სპერი X ს-ის 60-იანი წლებიდან დავით დიდის სამფლობელოს შეადგენს" **(იქვე: 476)**.

დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.) ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ, კურაპალატის ანდერძის თანახმად, მისი „მამული დაიპყრა". წყაროების მიხედვით შეუძლებელია ზუსტად გაირკვეს რა იგულისხმება კეისრის მიერ მიტაცებულ „მამულში", დავით კურაპალატის მთელი სამეფო თუ ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობისათვის მიღებული მიწები („ზემონი ქვეყანანი"), მაგრამ დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის ხანგრძლივი ისტორია უფრო იმას ადასტურებს, რომ სპერი ბიზანტიელებმა მიისაკუთრეს. მ. ბერძნიშვილი წყაროს დაუსაბელებლად შენიშნავს, რომ ზღვისპირა კლარჯეთი „საქართველოს შემადგენლობაშია, სპერი კი ბიზანტიას დარჩა"-ო **(სინ 1979 : 65)**. ბიზანტიისაგან იგი სელჯუკების ხელში აღმოჩნდა. მათ კი დავით აღმაშენებელმაც ვერ წაართვა. თამარის დროს სპერი ტრაპიზონის საკეისროში შევიდა.

ის ფაქტი რომ ჰეროდოტეს სასპეირები იბერებთან არის გაიგივებული, თავისთავად აჩვენებს მათს ეთნიკურ კუთვნილებასაც—სასპერები (შემდგომში— იბერები) ქართველური მოდგმის ტომები იყვნენ. ამასვე ადასტურებს სტრაბონიც. მის მიერ დასახელებული თემები, რომლებიც სომხებმა იბერებს მისტაცეს, ცხადია, იბერებით დასახლებული მიწები იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძენი ავტორი სპერის სომხების მიერ იბერებისაგან „ჩამოჭრაზე" კი არ ილაპარაკებდა, არამედ კუთვნილის დაბრუნებაზე. თანაც, სტრაბონი მიუთითებს, რომ გარდა ქართველებისა სომხებმა მიწები ჩა-

მოაჭრეს მიდიელებს, ხალიბებს, მოსინიკებს, კატაონებს, სირიელებს. და, თურმე, ამ მიტაცებულ მიწებზე მცხოვრებნი „ყველანი ეხლა ერთ ენაზე ლაპარაკობენ“ **(სტრაბონი 1957 : 189)**. თავი რომ დავანებოთ ამდენი სხვადასხვა ხალხის ასე მცირე ხანში (დაახლოებით ერთ საუკუნეში) ერთ ენაზე მოლაპარაკედ გადაყვანის შეუძლებლობას, ამ ცნობაში აშკარად ჩანს, რომ ეს ხალხები ძველ თავთავიანთ ენაზე მეტყველებდნენ. ამის დასტურად ს. ჯანაშია იმოწმებს თვით სტრაბონის მონათხრობს არმენიელების წარმოშობის შესახებ. სადაც არმენიელების მამამთავარი არმენი გამოყვანილია ალექსანდრე მაკედონელის უმცროს თანამედროვედ, ხოლო მისი თანამგზავრები, რომელთა სახელებს სტრაბონი არ აჩვენებს, დასახლებულან აკილისენესა და სისპირიტიდაში და საფუძველი დაუდვიათ აქაური მოსახლეობისათვის. „არმენის თანამგზავრები,—წერდა ს. ჯანაშია,—მაშასადამე, იბერების ეთნარქებად იყვნენ მიჩნეული“. ამ ეთნარქების სტრაბონის მიერ მოუხსენებლობას მეცნიერი იმით ხსნიდა, რომ მათს სახელებსა და „ხალხის სახელწოდებას შორის არ იყო ისეთი შინაგანი კავშირი, როგორიც არმენსა და არმენიას შორის“ და სტრაბონის მონათხრობზე დაკვირვების მიხედვით ვარაუდობს, რომ იბერების ერთ-ერთი ეთნარქად აქ იასონი იგულისხმება.

ასეთი მსჯელობიდან ს. ჯანშიას გამოაქვს დასკვნა, რომ არმენის თანამგზავრები, რომლებიც აკილისენასა და სისპირიტიდაში დასახლდნენ იყვნენ აქაური მოსახლეობის „ე. ი. სწორედ **სასპერ-იბერების,** წინაპრები, იმიტომ, რომ როგორც ვნახეთ ეს პროვინციები იბერების ძველისძველი და მშობლიური თემები იყო, ხოლო სისპირიტიდაში ანუ სპერში იბერები, რა თქმაუნდა მესამე საუკუნეში, ძვ. წ., ჯერ კიდევ კომპაქტური და ძირითად ეთნიკურად გაბატონებული მოახლეობის სახით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი“ **(ჯანაშია 1952 : 73)**.

შეიცვალა თუ არ ვითარება სომხეთის მიერ იბერიული თემების მიტაცების შემდეგ? პ. ინგოროყვა თვით სომეხი ისტორიკოსების— მოსე ხორენელისა (დაახლ. VII ს.) და სტეფანოს სივნიელის (VIII ს.) დამოწმებით ამტკიცებდა, რომ ტაოსა და სპერის იმ ნაწილებში, რომლებიც სომხებმა ჩამოაშორეს იბერიას, ენობრივ-ეთნიკური ცვლილებები არ მომხდარა. პირველად დასახელებული ისტორიკოსი წერდა, რომ „სომხეთის დასავლეთ სანაპიროზე არისო ის მხარე, სადაც უკვე არ ისმისო სომხური ენა“ **(ინგოროყვა 1954 90)**, ხოლო მეორის აზრით, „სპერში გავრცელებული იყო არა სომხური, არამედ ადგილობრივი დიალექტი“ **(იქვე: 515)**.

ეს მოსაზრებანი პ. ინგოროყვას მოტანილი აქვს სპერის მხარის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად, რომლის მიხედვითაც, ქვემო სპერის მოსახლეობა მას მიაჩნდა იბერიელებად, ხოლო შუა და ქვემო სპერისა —ჰანებად. მისი აზრით, ყველა მონაცემის მიხედვით, ასეთი მტკიცების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. იგი არ უარყოფს, რომ ზემო სპერი არცთუ ხანგრძლივი პერიოდით შედიოდა სომხეთის შემადგენლობაში, მაგრამ „სომხების ჩამოსახლებას ადგილი არ ჰქონია და არც სომხური ენას მიუ-

ღია აქ გავრცელება. ზემო-სპერი მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც თავიდანვე იყო, ისე შემდეგაც დარჩენილა ქართულ მხარედ" **(იქვე: 514)**.

თუ მივიღებთ მხედველობაში სპერის მთელი მომდევნო ხანის ისტორიას და თუნდაც აქაური მოსახლეობის დღევანდელ ეთნიკური შემადგენლობას, ს. ჯანაშიას და პ. ინგოროყვას მტკიცებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს: სპერი უძველესი დროიდანვე იყო ქართული მხარე და იგი ასეთადვე დარჩა იქაური მოსახლეობის გვიან საუკუნეებში გამაჰმადიანების მიუხედავად.

V. კახეთ-ჰერეთი

1. კახეთი (კუხეთითურთ)

თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შუა საუკუნეებში კახეთი ერქვა, ადამიანი ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში ცხოვრობდა. ხოლო ბრინჯაოს ხანიდან შეიმჩნევა მოსახლეობის მატება და ბინადარ სამოსახლოთა ძლიერი კერების აღმოცენება **(პაპუაშვილი 1982 : 7)**. ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპზე, უკვე ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ ქართული არქეოლოგიური კულტურის ის ვარიანტი, რომელსაც კ. ფიცხელაური იორ-ალაზნის კულტურას უწოდებს **(ფიცხელაური 1973 : 170)**. ამ რეგიონში მოპოვებული რკინის ხანის ლითონისა და კერამიკული ნაწარმი ადასტურებს ბრინჯაოს ეპოქის მასალებთან მემკვიდრეობითობას, რაც საფუძველს აძლევს არქეოლოგებს დაასკვნან, რომ მარტო აქ კი არა მთელს აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება „მატერიალური კულტურის განუწყვეტელი განვითარება. ხოლო, რადგან ყველა „წამყვანი იარაღი ამ პერიოდიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნა.—გ. მ.) ერთ საფუძველზეა წარმოშობილი (კახური იარაღის ბაზაზე), შესაძლებლად მიგვაჩნია ეს ფაქტი ამ მხარეში დიდი გაერთიანების შექმნის მანიშნებლად ვივარაუდოთ" **(იქვე: 191)**.

კ. ფიცხელაური იქვე მიუთითებს, რომ სოციალური განვითარების თვალსაზრისით ეს უნდა ყოფილიყო მონათესავე ტომთა პოლიტიკური გაერთიანება, რომელთა წიაღში ხდებოდა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სტაბილიზება.

ამ ფაქტის გვიანდელ ასახვას უნდა წარმოადგენდეს ლეონტი მროველის მონათხრობი თარგამოსიანთა და კერძოდ, ქართლოსისა და მისი მემკვიდრეების შესახებ. ამ გადმოცემის ერთი ნაწილი ჩვენ ზევით უკვე მოვიხსენიეთ, როცა ქართლზე გვქონდა საუბარი. ამიტომ განმეორება, რომ არ მოგვიხდეს ახლა მხოლოდ სამ ეთნარქ-ეპონიმს შევეხებით. ლეონტის მიხედვით ისინი ეთნიკურად განსხვავებულნი, მაგრამ მონათესავენი არიან და ამიტომ მემატიანის მიდგომაც მათ მიმართ სხვადასხვაგვარია. ჰეროსი ქართლოსის ძმაა და ამდენად უფლებრივად მასთანაა გათანაბრებული,

თუმცა მის მიერ მამისაგან მიღებული ტერიტორია გაცილებით მცირეა, ვიდრე ქართლიოსის. ლეონტის მიხედვით, თარგამოსმა „ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკუარისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა“ (ქ. ცხ. 1955 : 5). ჰეროსის ეს სამკვიდრო შემდეგ დაიყო თუ არა, ლეონტის მიხედვით, ცნობილი არაა. რაც შეეხება ქართლოსს მას 5 ვაჟი ჰყავდა: მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს და გაჩიოს. მამის სიკვდილის შემდეგ მათ მიიღეს თავიანთი ქვეყნები. „ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, —წერს ლეონტი,—რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, შესართავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა. ხოლო კახოს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა“ (იქვე: 9).

მაშასადამე, დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე ლეონტი ათავსებს სამ ერთეულს, ისტორიულ-გეოგრაფიულად კი აქ კიდევ სამი „ქვეყანა“ არსებობდა: „წუქეთი—დაახლოებით დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის მხარე (ძველი საინგილო), დაღესტნის მთიანეთითურთ; სუჯეთი—ივრის მარცხენა სანაპირო, მის შუა წელზე (დაახლოებით დღევანდელი გარეკახეთი); კამბეჩანი—დაახლოებით დღევანდელი ქიზიყი“ (პაპაშვილი 1982 : 5).

ივ. ჯავახიშვილი VII—XII ს-ის საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვაში კუხეთს ცალკე ქვეყნად არ გამოყოფს. მისი აზრით ლეონტი მროველს არეული აქვს კუხეთ-კახეთის საზღვრები. იგი მემატიანის ზევითმოტანილ ტექსტს კუხოსის წილხვედრილი ქვეყნის შესახებ ასე ასწორებს: „კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა, (ალაზნისა და მტკუარს შუა)“ (ჯავახიშვილი 1983 : 40).

დ. მუსხელიშვილს ახალი კორექტივი შეაქვს მოტანილ ტექსტში. მას მიაჩნია, რომ ლეონტი მროველის ისტორიულ-გეოგრაფიულ შეხედულებების მეთოდიკური სპეციფიკურობის მიხედვით, დაზიანებული ადგილი „უნდა აღდგენილიყო ამგვარად: „მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსშუა“ (მუსხელიშვილი 1967 : 58), კახეთის მთა მისი ლოკალიზაციით არის იალნო-ზედაზნის ქედი (მუსხელიშვილი 1966 : 19). ე. ი. ლეონტის მიხედვით „კუხეთი არის ტერიტორია, რომელიც დასავლეთიდან ისაზღვრება არაგვით, ჩრდილოეთიდან—იალნო-ზედაზნის ქედით, ხოლო სამხრეთიდან მტკვრით“ (მუსხელიშვილი 1967 58). როგორც ვხედავთ, მემატიანე არ აჩვენებს აღმოსავლეთის საზღვარს. ამ ხარვეზს ავსებს ვახუშტი, რომელსაც კუხოსის კუთვნილი ქვეყანა შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული: „აღმოსავლით მთა კახეთისა; სამხრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გასწვრივ გულგულამდე; დასავლით მტკუარი და არაგვ; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ შორის ქვეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო“ (ქ. ცხ. 1973 : 523).

თუ პირველი ქართლოსიანების დროს კუხეთი და კახეთი ცალ-ცალკე

ქვეყნებია, მომდევნო ხანებში ისინი უმთავრესად ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენენ. მაგალითად, ასეთი ვითარებაა ქართლის სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV—III ს-ის მიჯნა), ლეონტის გადმოცემით ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა „გაგზავნა მეორე კახეთსა ერისთავად, და მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი" (ქ. ცხ. 1955 : 24). კახეთ-კუხეთის ერთიანობა გაგრძელებულა ახ. წ. IV საუკუნემდე. ბაქარ მეფეს იგი საუფლისწულოდ მიუცია რევის შვილებისათვის. ბაქარმა მოიყვანა, წერს მემატიანე „ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად" (იქვე : 131). ვახტანგ გორგასალის მეფობისას, ჯუანშერი კუხეთის პატრონად ასახელებს მირიანს და გრიგოლს, რომლებიც „იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისავე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი" (იქვე: 159). მაგრამ ვახტანგის ერისთავთა ჩამოთვლაში მემატიანეს უკვე დასახელებული ჰყავს „დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა" (იქვე: 185). ამის შემდეგ ქართულ წყაროებში კუხეთი დამოუკიდებელ ერთეულად აღარ ჩანს. ვახუშტის შენიშვნით, 787 წელს ქართლის მეფის არჩილის შვილის ჯუანშერ ერისთავთერისთავის გარდაცვალების შემდეგ „განდგა გრიგოლი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად" (ქ. ცხ. 1973 : 557).

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ კუხეთი „რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო დაკავშირებული კახეთთან ამიერიდან, როგორც დამოუკიდებელი ერთეული აღარ არსებობს" (მუსხელიშვილი 1980 : 132). ამის შემდეგ კუხეთის ცნება კახეთმა გადაფარა, ხოლო წყაროებში „კუხეთი" უკანასკნელად XII ს-ში იხსენიება (მუსხელიშვილი 1967 : 114). ამ მოსაზრებებს მთლიანად იზიარებს კ. ფიცხელაურიც (ფიცხელაური 1973 : 195).

ზევით დავიმოწმეთ ლეონტი მროველის ცნობა კახოსის მიერ მამის გარდაცვალების შემდეგ მიღებული სამამასახლისო მხარის შესახებ. იქ წერია, რომ კახოსს წილხვდა ტერიტორია „კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელი არს საზღუარი ჰერეთისა". ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „აქ საკუთარი სახელებიცა და საგეოგრაფიოც დამახინჯებულია და არაფრის გაგება არ შეიძლება"-ო (ჯავახიშვილი 1983 : 40) და ტექსტს ასე ასწორებდა: „კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთას შორის, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა" (იქვე). ამ შესწორების შემდეგ კახეთის ტერიტორიული მოცულობა უფრო გავრცელებულია, მაგრამ ზოგიერთი დაზუსტება მაინცაა საჭირო. იგი ეხება ერწო-თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთს, რომელიც დ. მუსხელიშვილის აზრით, „გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს და კახეთის პოლიტიკური გავრცელების შედეგად უნდა მივიჩნიოთ". თორემ „უძველესი კახეთი უნდა ვივარაუდოთ, მოიცავდა ივრის ხეობის ზემო წელს, დაწყებულს ერწო-თიანეთიდან, ვიდრე უჯარმამდე" (მუსხელიშვილი 1977 : 180). ე. ი. თავდაპირველად კახეთი შედარებით მცირე ქვეყანა იყო. შემდეგში კი მოხდა მისი ტერიტორიული მოცულობის მნიშვნელოვა-

ნი ზრდა და მის შემადგენლობაში მოექცა არა მარტო ერწო-თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი, არამედ კუხეთი მთლიანად და ჰერეთის გარკვეული ნაწილი. კახეთის ასეთი გაფართოების მიზეზად დ. მუსხელიშვილს მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა მიაჩნია. სახელდობრ, აქ გადიოდა უმოკლესი გზები. ერთი მათგანი (ჩრდილოეთიდან სამხრეთის მარშრუტით) ერწო-თიანეთ-ფშავ-ხევსურეთს აკავშირებდა, განვითარებული მიწათმოქმედების მქონე, ბართან. ხოლო მეორე (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) გომბორის უღელტეხილით—ჰერეთთან (იქვე).

ამ ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების ცვლის შესაბამისად, იცვლება ტერმინ „კახეთის" მნიშვნელობაც. თუ საკუთრივ კახეთი ფარნავაზის საერისთავოს დროისა, „ივრის" ხეობის ზემო წელს და ალაზნის ზემო წელს მთიანეთითურთ წარმოადგენდა (პაპუაშვილი 1982:5), კახეთის სამთავროს შექმნის შემდეგ (VIII ს-ის დასასრული), „ტერმინ კახეთის მნიშვნელობა ფართოვდება და ამიერიდან ის უკვე კახეთ-კუხეთ-გარდაბნის, ანუ მთელი ფეოდალური სამთავროს აღმნიშვნელ სახელად იქცევა (ლორთქიფანიძე 1963:147). ხოლო მას შემდეგ რაც კახეთის ქორეპისკოპოსები ჰერეთს იერთებენ (XI ს-ის დასაწყ.) ტერმინ კახეთში ჰერეთიც იგულისხმება.

თვით ტერმინ „კახეთის" ეტიმოლოგიის ამოხსნა გაცილებით რთული საკითხია. ამ სიტყვის ბოლოსართი—ეთ-ი ადგილს აღნიშნავს. ე. ი. კახეთი კახების (კუხეთი—კუხების) სამშობლოა, მათი საცხოვრისია. რაც შეეხება დარჩენილ ძირს კახ-ს, ამის გამო ნ. მარი მიუთითებდა, რომ ხ-ი ქართულ ტომთა სახელებს ახასიათებს და ასეთის მაგალითად მოჰყავდა კოლ-ხ-ი, კა-ხ-ი, მეს-ხ-ი, ჯავა-ხ-ი, ტაო-ხ-ი. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, გ. მელიქიშვილის ახსნით, „ხი" კუთვნილების აღმნიშვნელი ურარტული[1] სუფიქსია" (სინ 1970 : 382). ამ განმარტებების მიუხედავად სიტყვის არსი მაინც ამოუცნობი რჩება. ამდენად, სწორად შენიშნავს თ. პაპუაშვილი: „სახელთა ფუძეების (კახ-კუხ) უფრო ვიწრო მნიშვნელობა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია"-ო (პაპუაშვილი 1982 : 11).

2. ჰერეთი

ისტორიულ კახეთს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ჰერეთი. ლეონტი მროველის გადმოცემით ჰეროსი იყო თარგამოსის მეექვსე შვილი. მამამ „ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკუარისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თავისი ჰერეთი. და მის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი" (ქ. ცხ. 1955 : 5). დ. მუსხელიშვილის აზრით ჰერეთი წყაროებში V ს-ში იხსენიება (ქსე, ტ. 11. გვ. 628). გ. მელიქიშვილი კი ეთანხმება ნ. ბერძენიშვილს, რომელიც ვარაუდობდა, რომ ურარტული წყაროების

[1] სხვაგან დაზუსტებული აქვს, რომ ეს სუფიქსი ხურიტულია (სინ. 1970 : 364).

„ერია(ხი)ში“ „შეიძლება საქმე გვქონდეს ძველი ქართული წყაროების ჰერთა ტომის სახელთან“ **(სინ 1970 : 383),**

ტერმინი „ჰერეთი“ ქართულ წყაროებში გვხდება „ერეთის“ სახითაც. „ჰერეთს“ და „ჰეროსს“ იცნობენ სომხური წყაროებიც. იქ ისინი იხმარება, როგორც ქართულში დაცული გამოთქმით, ისე ვარიანტებითაც („ჰერეან“, „ჰერტან“ და სხვა).

საბოლოოდ დაუდგენელია „ჰერეთის“ ეტიმოლოგია. ნ. მარი, რადგან ამ სიტყვის ფუძეში ჰერ(ვარ.ჰირ) არის, -უკავშირებდა მას ოსების თვითსახელის ფუძეს ირ-ს და ფიქრობდა რომ ეს ტერმინი შეიძლება არაიაფიტური წარმოშობისა ყოფილიყო, ხოლო ჰერები თავდაპირველად არ იყვნენ იაფეტიდები.

კ. კეკელიძე „ჰერეთს“ განიხილავდა, როგორც ძველ ქართულ მწერლობაში იბერიის შემცვლელ ქართულ სიტყვას. მისი თქმით კლასიკურმა მწერლობამ და სომხებმა არ იციან ტერმინი იბერია. სამაგიეროდ ვხვდებით ქვეყნის სახელ ჰერეთს, რომელიც მოიცავს კახეთს, კუხეთს და ქართლის ნაწილს, მაშასადამე, გეოგრაფიულად იბერია და ჰერეთი ერთმანეთს ჰფარავენ, ისინი ფონეტიკურადაც ჰფარავენ ერთმანეთს, იმოწმებს რა ნ. მარს, მას მოაქვს ფონეტიკური კომბინაციების მაგალითები ქართული ჰერეთიდან ბერძნული ჰვერიას მიღებისა და ასკვნის: „ამნაირად, ფონეტიკურად და გეოგრაფიულად ქართული ჰერეთი უნდა იყოს კლასიკურ მწერალთა იბერია“-ო.

ს. კაკაბაძეს საკითხის ასე დასმა ადრე დასაშვებად მიაჩნდა, მაგრამ შემდეგში (1925 წ.) აღარ იზიარებდა ამ მოსაზრებას, რადგან ქართველთა უძველესი წარმოდგენით, ჰერეთი მცირე ალაზნის (იორის) შესართავიდან აღმოსავლეთით მდებარეობდა და ამდენად მისი იბერიასთან გაიგივება შეცდომას წარმოადგენდა.

ს. ჯანაშიას ვარაუდით, ჰერეთს ქართველები ეძახდნენ მეზობელ ალბანეთს. სხვა ხალხებისათვის ეს სახელი ამ მნიშვნელობით უცნობი იყო. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელი „ჰერი“ გადმოტანილია მერმინდელ მოსახლეობაზე. რაც შეეხება „ჰერ“ ძირისაგან ნაწარმოებ სიტყვათა საკითხს, განსვენებულ მეცნიერს იგი დაუმუშავებლად მიაჩნდა **(ჯანაშია 1952 : 101).**

„ჰერეთის წარმოშობა-მნიშვნელობის შესახებ მკვლევართა.ამ შეხედულებების მიმოხილვის **(პაპუაშვილი 1970 : 109--112)** შედეგად, თ. პაპუაშვილი ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე ვერ მიდის და მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს, რომ სატომო სახელი „ჰერი“ ქართულ სამყაროს განეკუთვნება და შეიძლება უკავშირდებოდეს ტერმინ ერს. საქართველოს მთიანეთში ხომ თავისუფალ მოსახლეობას „ჰეროვანი“ ერქვა (შდრ. მეგრული „ჰერაბიმი“ და დიდი ოჯახის აღსანიშნავი „ერები“). თუ ეს ასეა, მაშინ „ჰერეთი“ სოციალური შინაარსის შემცველიც გამოდის. „ჰერეთში საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით,—განაგრძობს იგი,—დიდი ხნის განმავლობაში ძლიერად იყო წარმოდგენილი თავისუფალ მწარმოებელთა ფენა,

რომლის აღსანიშნავად, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იხმარებოდა ადგილობრივი, ძველი ქართული სახელწოდება „ერი" და აი, ქვეყანას რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, გარკვეულ პერიოდში, „ერი" შეადგენდა, ეწოდა „ჰერ-ეთი" ასე რომ სახელწოდება „ჰერეთი—სოციალური შინაარსის შემცველი ცნებაც უნდა იყოს" **(იქვე: 112)**.

რამდენადაც „ ჰერეთის" სახელწოდების მქონე ქვეყანას მხოლოდ ძველი ქართული წყაროები იცნობენ, მისი საზღვრებისა და ტერიტორიის დადგენა ძირითადად მხოლოდ ამ წყაროების მიხედვით შეიძლება.

როგორც ვიცით, ჰეროსის სამამასახლისო ქვეყანა ქართლში არ შედიოდა. ჰერეთი ფარნავაზის მეორე საერისთავოს (კახეთ-კუხეთის) მხოლოდ აღმოსავლეთ საზღვრადაა მოხსენიებული, ე.ი. კვლავ ქართლს გარეთაა. ჯუანშერის ცნობით კი ვახტანგ გორგასალის შვიდ წარჩინებულთა შორის მესამე იყო „გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა" **(ქ. ცხ. 1955 : 185)**. მაშასადამე, ჰერეთი V ს-ის II ნახევარში უკვე ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. ამასვე ადასტურებს „სომხური გეოგრაფიაც" დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით იქ დასახელებული „ორი კანტონის (ეხნი და ბეხი.—გ. მ.) სივრცე არის სწორედ ის ტერიტორია, რომელსაც ქართული წყაროები საკუთრივ ჰერეთის სახელით აღნიშნავდნენ. ქართული ჰერეთი (დასავლეთ ალვანეთი) V ს-ის მეორე ნახევრამდე მართლაც არ შემოდიოდა ქართლში უშუალოდ და მის ვასალურ ერთეულს წარმოადგენდა" **(მუსხელიშვილი 1977 : 188)**..

მაგრამ ისტორიული ჰერეთი უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე დასახელებული ორი კანტონი (საკუთრივ ჰერეთი) იყო. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალის დროს სპარსთა მეფის, ხუასროს ქართლზე შემოტევისას[1] კამბეჩანი, ველისციხე და ჭერემი კახეთში არ შედიოდა **(ქ. ცხ. 1955 : 201)**, ე. ი. ჰერეთის ნაწილს შეადგენდნენ.

ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ჰერეთის საზღვარი კახეთთან ხშირ ცვლილებებს განიცდიდა. მაგრამ ლეონტისა და ვახუშტის ცნობებზე დაყრდნობით მისი აღდგენა მაინც შესაძლებელია. თ. პაპუაშვილის გამოკვლევით, ჰერეთის დასავლეთი საზღვარი (ე. ი. კახეთის აღმოსავლეთი მიჯნა) შემდეგნაირად შეიძლება იქნეს კოორდინირებული: იგი იწყებოდა ხუნანთან (ქცია-მტკვრის შესართავში) „ჭ. ხუნანიდან საზღვარი გადიოდა მტკვრის გასწვრივ იმ ადგილამდე, სადაც მას მარცხნიდან, მდ. მწარე-წყალი, შეერთვის. ამის შემდეგ საზღვარი მიჰყვებოდა მწარე-წყალს რომელიც გადასერავდა ყარაიას ველს და მიაღწევდა მდ. იორამდე... აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, შემდეგ მიჰყვებოდა თურდოს ხეობას, ალაზნამდე... და აქედან ზევით მდ. შტორის დინების აყოლებით, ვიდრე კავკასიონის ქედამდე" **(პაპუაშვილი 1970 : 100)**.

ჰერეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრებს ბუნებრივი მიჯნები —კავკასიონის ქედი და მდ. მტკვარი წარმოადგენდა. თ. პაპუაშვილს, იგივე

[1] ანაქრონიზმია, რადგან ხუასრო I ანუ შირვანი სპარსეთის შაჰი იყო 531—579 წწ. , ვახტანგ გორგასალი კი გარდაიცვალა არაუგვიანეს 502 წლისა.

ქართველი ავტორების ცნობების კრიტიკული გააზრებით, ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი ასეთი სახით აქვს დადგენილი: „იგი იწყებოდა იორისა და ალაზნის შესართავთან, ხორანთასთან, შემდეგ საზღვარი მიდიოდა ალაზნის პირს ჩრდილოეთის მიმართულებით იმ ადგილამდის საცა ალაზანს გიშის წყალი ერთვის. აქედან სასაზღვრო ხაზი მდ. გიშის წყალს გასწვრივ მისდევდა ჯერ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით, მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედში იდო“ **(იქვე: 101)**.

ასეთია ისტორიული ჰერეთის საზღვრები. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით ქართლი ჯერ კიდევ სამხედრო დემოკრატიის ხანიდან უტევდა სამი მიმართულებით. კერძოდ, აღმოსავლეთის მიმართულებით ეს უშუალოდ კახეთ-ჰერეთს ეხებოდა. ხოლო ფეოდალური ურთიერთობის დროს ხდება „დამორჩილებული ტომების შემდგომი დამორჩილება და ექსპანსიის კიდევ უფრო გავრცელება **(ბერძენიშვილი 1975 : 358)**.

ეს პროცესი, რომ ადრევე დაიწყო ამას სტრაბონიც ადასტურებს, რომელსაც „ჰერული ქვეყანა“—კამბეჩანი (მისი ტრანსკრიპციით—„კამბისენე“) დასახელებული აქვს, როგორც მხარე, „სადაც იბერებსა და ალბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები“ **(სტრაბონი 1957 131)**. ამ ცნობის გამო ნ. ბერძენიშვილი ასკვნიდა, რომ „იბერიელები უკვე დიდი ხანია ძველ ეთნიკურ საზღვარს გადასულიყვნენ და ღრმად შეჭრილიყვნენ ალბანიაში აღმოსავლეთის მიმართულებით“ **(ბერძენიშვილი 1975 : 622)**. სტრაბონს შეეყრდნობა გ. მელიქიშვილი, როცა ალბანური (ჰერული) ქვეყნის კამბეჩანის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილად ქართველებს მიიჩნევს **(Меликишвили 1959 : 123)**.

დ. მუსხელიშვილს ადრეფეოდალურ ხანაში, ჰერეთის ტერიტორიის ქართლის სამეფოს მიერ შემოერთება, ნაჩვენები აქვს პოლიტიკური საზღვრების თანდათან აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლების პროცესად. „თუკი უძველეს დროს საზღვარი,—წერს იგი,—ქართლისა და ალვანეთის სამეფოებს შორის დაახლოებით რუსთავ-გომბორის ხაზზე და შემდეგ თურდოს და შტორისხევის ხაზზე გადიოდა, ჩვ. წ-ის პირველ საუკუნეში ეს მიჯნა ალაზნის ქვემო წელზე იყო გაწვეული, ხოლო IV ს-ის მეორე ნახევარში დღევანდელი ყარაიის ველი, გარეჯის მონასტრების კომპლექსის ტერიტორია, მდ. იორის ქვემო დინების მარცხენა სანაპირო სოფ. ბოდბემდე, შიგნიკახეთის და ალაზნის გაღმა მხრის ნაწილი უშუალოდ ქართლის სამეფოში შემოდიოდა. ალვანეთის სამეფოს დასავლეთი ნაწილი ვასალურ დამოკიდებულებაში დარჩა ქართლთან“ **(მუსხელიშვილი 1977 169)**.

ეს ვასალური მხარეები ვახტანგ გორგასალის დროს „უშუალოდ შემოერთებული და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად, ჰერეთის საერისთავოდ ჩამოყალიბდა“ **(იქვე: 214)**.

ასეთი ვითარების გამო ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ჰერეთი სულ უფრო და უფრო „კახეთში“ შემოდის... ასე რომ, როცა VII—VIII საუკუნეებში და შემდეგ ჰერეთის საერისთავო და შემდეგ „ჰერეთის სამეფო“ წარმოიშვის, ეს არის არა **ეთნიკური რეალობა, არამედ ტრადიცია**, რომლის შინაარსი

უკვე მრავალი საუკუნეა რაც ქართული ეროვნული სინამდვილეა“ **(ბერძენიშვილი 1975 : 622)**. ამიტომაც, მისი სიტყვით, „ადრეფეოდალური ხანის ჰერეთი სრულიადაც არაა იდენტური ძველი ეთნიკური ჰერეთისა და ეს ამ დროს უკვე თავიდან ბოლომდე ქართულია, გაქართულებულია“ **(იქვე: 148)**.

წყაროების სიმცირის გამო გაძნელებულია დადგინდეს ჰერეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა. ქართულ, სომხურ და ბერძნულ წყაროებში ისინი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ დასახელებულნი არიან, რაც შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ჰერეთი (ფართო გაგებით ალბანეთი) ეთნიკურად ერთობ ჭრელი მხარე იყო, მრავალტომიან (ზოგიერთი ცნობით 26 ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ) ქვეყანას წარმოადგენდა. ხოლო, რადგან მათ დამწერლობა არ გააჩნდათ, ენასა და კულტურაზე მეცნიერული წარმოდგენის შექმნა მხოლოდ ჰიპოთეტურად შეიძლება. ამ ძნელი ცნობების ნაწილობრივ შესავსებად მკვლევარები ტოპონიმიკურ მასალებს იყენებენ.

თ. პაპუაშვილს დადგენილი აქვს, რომ იბერიის (ქართლის) მეზობლად ცხოვრობდნენ ჰერული ტომები: წადები (სუჯები), ჭილბები, ლბინები (ელარბიელები) და თვით ჰერები, რომლებიც ტომთა ყველაზე დიდ გაერთიანებას ედგნენ სათავეში და ქვეყანამაც სახელი მათგან მიიღო **(პაპუაშვილი 1970 : 78)**.

მკვლევარები ჰერეთის მოსახლეობის ქართულ ეთნიკურ სამყაროში შემოსვლის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ნ. მარს ასეთად რელიგიური, უფრო სწორად, კონფესიური მრწამსი მიაჩნდა. იგი აღნიშნავდა, რომ ალბანეთში მიმდინარეობდა ბრძოლა ქალკედონისტებსა და ანტიქალკედონისტებს შორის. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გაიმარჯვა ქალკედონისტობამ და გაქართველდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი კი გაცილებით ადრე გახდა სომხური, ანტიქალკედონისტური ეკლესიის ხვედრი.

ზ. იამპოლსკი უარყოფს მეზობელი ხალხების ქართველებისა და სომხების როლს აზერბაიჯანელი ერის წარმოშობის პროცესში და მიაჩნია, რომ ეს ერი არის ძველი ადგილობრივი ტომების შთამომავალი.

თ. პაპუაშვილი თვლის, რომ ნ. მარის შეხედულება მოითხოვს დაზუსტებას, რადგან ჰერული ტომების „გაქართველებაში“ მთავარი კონფესიური მომენტი კი არ იყო, არამედ იბერებისა და ჰერების ეთნიკური ახლო ნათესაობა **(იქვე: 79)**. ხოლო ზ. იამპოლსკი ცალმხრივ აშუქებს საკითხს, რამდენადაც აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი აქვს შესრულებული „ძველი ალბანეთის სწორედ იმ მოსახლეობას, რომლებმაც განიცადა რა ქართული და სომხური კულტურის ძლიერი გავლენა, მიიღო ისლამი და საურთიერთო ენად გადაიქცა თურქულ-აზერბაიჯანული“ **(იქვე: 81)**.

დ. მუსხელიშილის აზრით აბორიგენების გაქართველების ათასწლოვან პროცესს ჰქონდა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეთნიკური ასპექტები. ახ. წ. IV საუკუნიდან მათ დაემატა ახალი რელიგია—ქრისტიანობა, რომელ-

თან ერთადაც ქართული ენა და ქართული დამწერლობა ღრმა ფესვებს იდგამდა ადგილობრივ მოსახლეობაში (Мусхелишвили 1982 : 28).

ქართველი ტომების ჰერეთში უშუალო შეღწევის პროცესს კარგად აჩვენებს აქაური ქართული ტოპონიმიკა. ბერძენი მწერალი პტოლემაიოსი (II ს.) ალბანეთის ტერიტორიაზე ასახელებს „ქალაქ ტელებს“, რომელიც თელავთან არის გაიგივებული. თელავი კი ქართული სიტყვა „თელვა“-საგან წარმოდგება. ასევე ძველი ტოპონიმია—„კახთუბანი“, სადაც VIII ს-ში ორგუმბათიანი ეკლესიაა აგებული. ეს ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე. რაც შეეხება ამ მდინარის მარცხენა (აღმოსავლეთ) სანაპიროს აქ აგრეთვე გვაქვს ქართული ტოპონიმი „გავაზნი“, რომელსაც ახლა ახალსოფელს უწოდებენ და სადაც დგას VI ს-ში აგებული ტეტრაკონქი. ამჟამინდელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კი არსებობს რაიონული ცენტრი კახი, რომელიც ძველ ქართულ საბუთებში XI ს-დან იხსენიება. ეს და სხვა ტოპონიმიკური მასალა, მკვლევარის დასკვნით, ადასტურებს ქართული და ბერძნული წყაროების ცნობებს დასავლეთ ალბანეთში აღმოსავლეთ ქართველ ტომთა თანდათანობითი შეღწევის შესახებ (იქვე: 23).

ჰერეთში აღმოსავლეთ ქართული კულტურის გავრცელების ფაქტს თვალსაჩინოს ხდის საკუთრივ ჰერეთში უკვე IV ს-დან დაწყებული ფართო საეკლესიო მშენებლობა, მაგალითისათვის ასახელებენ, ჰერემის (IV ს.), ზეგანის (V ს.), ძველი გავაზის (VI ს.), ვაზისუბნის (VIII ს.) გურჯაანის (VIII-IX სს.) ტაძრებს. ამათსავე რიგსა და ეპოქას განეკუთვნება კამბუჩანში აგებული ბაზილიკები— ბოდბესა (VIIს) და ხირსაში (V—VI სს.) და VIII—IX საუკუნეთა გუმბათიანი ეკლესიები ხირსასა და ოზაანში (იქვე: 21).

ყველაფერი ეს ადასტურებს იმ ღრმა კულტურულ-ისტორიულ კავშირებს რაც ქართველებსა და ჰერებს შორის არსებობდა. თ. პაპუაშვილის აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალოდ ორი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობასთან, არამედ „ჰერების ეთნოკულტურული სახის ფორმირებაში ქართული ელემენტი მონაწილეობდა არა როგორც გარეგანი, უცხო ფაქტორი, არამედ როგორცშინაგანი ორგანული ფაქტი, ქართული ელემენტი ჰერეთისათვის ნიადაგქვეშა ფენა იყო. ქართულმა სუბტრატმა განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად ჰერების ეთნიკური სახე... ჰერებისა და იბერების უმჭიდროესი კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია ჰერეთში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, ქართული სოციალური წყობა, ქართული ჩვეულები, ეთიკა, სარწმუნოება, ენა“ (პაპუაშვილი 1970 : 93).

წყაროების მონაცემების თანახმად ისტორიულ ჰერეთში საკუთრივ ჰერეთს გარდა შედიოდა, რამდენიმე ტერიტორიული ერთეული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: კამბეჩანი, საუკეთი და წუქეთი. შევჩერდეთ მათზე მოკლედ.

ა. კამბეჩანი

ტოპონიმი კამბეჩანი (კამბეჩოვანი, კამბეჩინი) წარმომდგარია შინაური პირუტყვის—კამეჩისაგან. XV საუკუნიდან ეს მხარე წყაროებში „ქიზიყის“ სახელწოდებით უფრო ხშირად გვხვდება. ამჟამად გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამ სახელითვე მოიხსენიება.

დ. მუსხელიშვილის ლოკალიზაციით კამბეჩანი „გადაშლილი იყო მდ. იორის ქვემო დინების ორივე ნაპირზე ალაზანსა და მტკვარს შორის“ **(მუსხელიშვილი 1977 : 186)**. მაშასადამე, გარკვეულია, რომ კამბეჩანი მდებარეობდა მდ. მტკვრის ჩრდილოეთით. იგი მოიცავდა ყარაიას ველის ქვემო ნაწილს, მდინარეების—იორისა და ალაზნის ქვემო დინებაზე მდებარე ტერიტორიას. ახლანდელი დაყოფით, დაახლოებით, ეს იქნება სიღნაღისა და დედოფლის წყაროს რაიონები.

არაქართულ წყაროებში ამ ქვეყნის სახელწოდებას ქართული „კამბეჩანი“ უდევს საფუძვლად, ყველაზე ადრე მას იხსენიებს სტრაბონი, როგორც ზევით ვნახეთ, „კამბისენეს“ ფორმით. არაბ ავტორებთან გვაქვს—„კამბიზანიც“ და „კამიბარანიც“ სომხურ წერილობით ძეგლებში კი—„ქამბეჭანი“-ცა და„კაბიჭანი“-ც **(პაპუაშვილი 1970 : 34)**.

სტრაბონს კამბეჩანი სამჯერ აქვს ნახსენები, მაგრამ მისი ეს ლაპიდარული გამოთქმები ძლიერ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. როგორც ვნახეთ, მათი საშუალებით ცხადი ხდება, რომ კამბეჩანში ეჯახებოდა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის ინტერესები. ამასთან, ირკვევა კამბეჩანის მდებარეობა, როგორც მდინარე ალაზნის აუზის, იბერიასა და ალბანეთის ერთმანეთისაგან გამყოფი ქვეყნისა. თვით „კამბისენე“ ყოფილა „უწყლო და ოღრო-ჩოღრო“ დასასრულ, სტრაბონი მიუთითებს, „რომ ხორზენე და კამბისენე (არმენიის.—გ. მ.) უკიდურესი ჩრდილოეთი (მხარეები) არიან და განსაკუთრებით თოვლიანი. (ესენი) ეკვრიან კავკასიის მთებს და იბერიას და კოლხიდას“ **(სტრაბონი 1957 : 188)**.

ამ ცნობაში კამბეჩანის უკიდურეს ჩრდილოეთად გამოცხადება არ ნიშნავს, რომ იგი სომხებით დასახლებული, სომხეთის თემი იყო. როგორც სამართლიანად მიუთითებს დ. მუსხელიშვილი ე. წ. „მტკვარს იქითა სომხეთი“, რა თქმა უნდა, არასოდეს არ არსებულა“ **(Мусхелишвили 1982 : 25)** და სტრაბონის მიერ სომხეთის „უკიდურეს ჩრდილოეთად“ კამბეჩანის მოხსენიება იმას ნიშნავს, რომ ამ კანტონის მხოლოდ ერთ, შედარებით მცირე (სამხრეთ), ნაწილში იყო შეჭრილი სომხეთი **(იქვე: 19)**.

სტრაბონის ამ ცნობის განხილვისას გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ მასში „არეკლილია იბერიის პოლიტიკური სისუსტის პერიოდი, როდესაც მისი სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ზოგიერთი ოლქი მეზობელ არმენიის საზღვრებში მოექცა“ **(სინ 1970 : 586)**. კერძოდ, ტიგრან მეორის დროს გაძლიერებულმა სომხეთმა დროებითი ბატონობა მოიპოვა კამბეჩანზე, მაგრამ „მიუხედავად სომეხთა პოლიტიკური ბატონობისა, კამბეჩანში ამ დროს ადგილი არ ჰქონია ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურად გასომხებას“ **(Меликишвили 1959 : 127)**.

თ. პაპუაშვილის აზრითაც, სტრაბონის „ამ ცნობაში ჩვენ საქმე გვაქვს გარკვეული პერიოდის პოლიტიკური ვითარების ასახვასთან“ და ამიტომ მასზე დაყრდნობით კამბეჩანი არ შეიძლება ჩაითვალოს სომხურ პროვინციად **(პაპუაშვილი 1970 : 37)**. პირიქით, ტიგრან მეორის დროსვე, აღნიშნავს იგი, სომხეთის კონტროლი და გავლენა კამბეჩანზე შესუსტდა. ამის

დამაღასტურებელია დიონ კასიოსის მონათხრობი პომპეუსის ალაზნის გაღმა ალბანეთში გალაშქრების შესახებ, საიდანაც ივარაუდება „რომ უკვე პომპეუსის ლაშქრობათა პერიოდში კამბეჩანი იბერიას ეკუთვნის" **(იქვე: 39)**.

ეს ვარაუდი სწორი უნდა იყოს, რამდენადაც ტიგრან II-ის მეფობის ბოლო ხანებსა და განსაკუთრებით, მისი გარდაცვალების (ძვ. წ. 56 წ.) შემდეგ სომხეთი იმდენად დასუსტდა, რომ ისეთ შორსმდებარე პროვინციებზე კონტროლი, როგორიც კამბეჩანი იყო, აღარ შეეძლო. იბერია კი განაგრძობდა წინსვლას აღმოსავლეთისაკენ, რაც ასახულია დიონ კასიუსის ზევით მოხსენიებულ ცნობაშიაც.

სადავო საკითხია გაგრძელდა თუ არა ასეთი ვითარება ახ. წ. I ს-ის 70-იან 80-იან წლებში. თ. პაპუაშვილი ლეონტის ცნობის ინტერპრეტაციით, რომელიც ქართლის მეფეებს აზორიკ და არმაზელის კამბეჩანში დაბანაკებას შეეხება **(ქ. ცხ. 1955 : 45–46)** დაასკვნის: „ახ. წ. I საუკუნის 70—80-იან წლებში კამბეჩანი საკუთრივ ქართლის საზღვრებში არის შემოსული"-ო **(პაპუაშვილი 1970 : 40)**. იგი იქვე აკრიტიკებს დ. მუსხელიშვილს, რომელიც იმავე ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ „ამ დროისათვის მტკვარ-იორს შორის ნაწილი კამბეჩანისა ჯერ კიდევ არ უნდა იყოს შემოსული საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში"-ო **(მუსხელიშვილი 1966 : 47)**. ასეთი მოსაზრება თ. პაპუაშვილის აზრით გამოწვეულია ლეონტის მონაცემების ერთმანეთისაგან მოწყვეტით და არჩეული ნაწილის არასწორი განმარტებით. 1982 წელს დ. მუსხელიშვილი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს, მაგრამ თავისი მოსაზრება არ შეუცვლია და შენიშნავს, რომ თ. პაპუაშვილის არგუმენტაცია ამ საკითხზე „არა მარტო არადამჯერებელია, არამედ უსაფუძვლოც" **(Мусхелишвили 1982 : 77)**.

როგორც ვხედავთ, ორივე მკვლევარი თავისი შეხედულების სასარგებლოდ იყენებს ერთსა და იმავე ტექსტს. დ. მუსხელიშვილი თვლის, რომ არასერიოზულობაა, როცა I საუკუნეში მეფეთა მიერ ნათქვამი სიტყვები, ჩაწერილი XI საუკუნის ისტორიკოსის მიერ, თ. პაპუაშვილს სტენოგრაფიული სიზუსტის ტექსტად მიაჩნია და მისი მნიშვნელობით კამბეჩანს საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში შემოსულად აცხადებს. ეს მტკიცება მართლაც არ არის მთლად უზადო ჰეშმარიტება, მაგრამ თვით ბ-ნ დავითს, როგორც უკვე ვთქვით, ხომ უეჭველად მიაჩნია კამბეჩანის ერთი ნაწილის ქართლის სამეფოს საზღვრებში სტრაბონის დროიდან (თუ უფრო ადრე არა) შემოსვლა და რატომ არ შეიძლება მეფეები აზორიკი და არმაზელი სწორედ იქ მდგარიყვნენ ბანაკად, როცა სომეხ მხედართმთავარ სუმბატ ბივრიტიანს მუქარას უთვლიდნენ? ე. ი. თუ კამბეჩანი „საკუთრივ ქართლი" არ იყო I საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ისტორიულ-გეოგრაფიულად მისი ქართლის სამეფოს საზღვრებიდან მთლიანად გამორიცხვა ჰეშმარიტებას არ უნდა შეესაბამებოდეს.

კამბეჩანის II—III საუკუნეების პოლიტიკური ისტორიისათვის წერილობითი ცნობები არ მოიპოვება. არქეოლოგიური მასალების სქემატური განხილვის შედეგად, თ. პაპუაშვილის მიხედვით, „კამბეჩანის იბერიასთან

პოლიტიკური და კულტურული შერწყმა უკვე მომხდარი ფაქტია. კამბეჩანი ამ დროს ეთნიკურად ქართული ქვეყანაა" **(პაპუაშვილი 1970 : 41)**.

IV საუკუნეში კამბეჩანის ქართლის პოლიტიკური გავლენის ქვეშ ყოფნას ადასტურებს წერილობითი ცნობები ნინოს მისიონერული მოღვაწეობის შესახებ და სუჯეთ—კამბეჩანის საზღვარზე, ბოდბეში წმ. ნინოს საფლავზე ამ დროს აგებული სამრეკლო **(Мусхелишвили 1982-29)**.

კამბეჩანის ისტორიის შესახებ V საუკუნის II ნახევარში ჩვენამდე მოღწეულია წინააღმდეგობრივი ცნობები, სომხურ-ენოვანი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი „ალვანეთის ისტორიაში" აჩვენებს, რომ ალბანეთის მეფე ვაჩაგან III-მ (487—510), კამბეჩანში ადგილ-ადგილ დაადგინა ეპისკოპოსები და ხუცესები. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი კი გვაცნობებს, რომ კამბეჩანის მთავარ ქალაქ ხორნაბუჯში ვახტანგ გორგასალმა საეპისკოპოსო კათედრა დააარსა **(ქ. ცხ. 1955 : 199)**. მისივე ცნობით, მეფემ თავის უფროს ვაჟს დაჩის „მისცა... ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარსა **აღმოსავლით" (იქვე)**. მაშასადამე, გამოდის, რომ ერთსა და იმავე დროს კამბეჩანზე ორი მეფის და ორი სხვადასხვა ეკლესიის კომპეტენცია ვრცელდებოდა.

დ. მუსხელიშვილის ინტერპრეტაციით, მიუხედავად იმისა, რომ ვაჩაგან III V ს-ის 80-იან წლებში, იქ საეკლესიო რეფორმას ატარებს, კამბეჩანი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ალბანეთის ორგანულ ნაწილად, იგი გამოცალკევებული ერთეულია. იმავე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში კი კამბეჩანი, რომელიც უკვე „ივერიზებულია", პოლიტიკური თვალსაზრისითაც იბერიის ორიგინალურ ნაწილს (საუფლისწულო მამულს) წარმოადგენს **(Мусхелишвили 1982 : 29)**.

შედარებით სხვაგვარად ხსნის ამ ფაქტს თ. პაპუაშვილი. ჯერ ერთი, მისი აზრით, ვახტანგის საქმიანობა უფრო ადრინდელ ხანას უნდა შეეხებოდეს, ვიდრე ვაჩაგან III-ისა, რომელიც ტახტზე 487 წლის შემდეგ დაჯდა. მეორე, მოსე კალანკატუელი აჩვენებს, რომ ალბანეთის მეფემ სამღვდელო პირნი „ადგილ-ადგილ დაადგინა და არა მთელ კამბეჩანში. რაც უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი ალაგ-ალაგ დარჩენილ, ჯერ კიდევ გაუქართველებელ ალბანურ მოსახლეობას ემსახურებოდნენ. მესამეც, ისტორიკოსი განასხვავებს ეპისკოპოსთა და ხუცესთა ალბანეთსა და კამბეჩანში დადგენის ფაქტებს. პირველში იგი დიდი სისასტიკით და მრისხანებით ჩატარებულა. კამბეჩანზე თხრობისას კი ეს ფაქტი სრულიად უბრალო ამბადაა.გადმოცემული. „ეს ჩვენის აზრით,—აღნიშნავს თ. პაპუაშვილი,—გამოწვეული იყო იმით, რომ ალბანეთი ვაჩაგანის საკუთარი ქვეყანა იყო, კამბეჩანი კი არა" **(პაპუაშვილი 1970 : 44)**

როგორც არ უნდა იქნეს ახსნილი ეს ფაქტი, ერთი რამ ცხადია: V საუკუნე მნიშვნელოვან ნიშანსვეტად დარჩა კამბეჩანის ისტორიაში. ვახტანგ გორგასალის მიერ იქ გატარებული ღონისძიებების შედეგად ეს მხარე მკვიდრად შეივიდა ქართულ კულტურულ და პოლიტიკური გავლენის სფეროში.

ამას ადასტურებს 506 წელს შედგენილ ივერიის ეპისკოპოსთა სიაში ხორნაბუჯის ეპისკოპოსის დასახელება. იქვეა მოხსენიებული მეორე ქარ-

თველი იერარქი „ბოდბელი ეპისკოპოსი ლაზარე"-ც. ბოდბის სამწყსოში კი, ვახუშტის გადმოცემთ, შუა საუკუნეების სიგრძეზე სხვა ტერიტორიებთან ერთად მთელი კამბეჩანიც შედიოდა (ქ. ცხ. 1973 : 542).

VI—X საუკუნეებში კამბეჩანი, რომ არა მარტო კონფესიურად, არამედ პოლიტიკურადაც ქართლის სამეფოს განუყოფელ და ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა ამას გვიმოწმებს XI საუკუნის ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე, რომელსაც გადმოცემული აქვს ხორნაბუჯის ერისთავის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება, VI საუკუნის ბოლოს. „ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს,—გვაცნობებს მემატიანე,—და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი" (ქ. ცხ. 1955 : 374).

მემატიანის ცნობით, ფილისტიმიდან (ურიასტანიდან) შვიდი ძმა ბაგრატონიანი წამოვიდა. მათგან ოთხი შემოვიდა ქართლში. „გუარამი განაჩინეს ერისთავად", საჰაკი „წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს". ასამმა და ვარაზვარდმა კი „დაიპყრეს კამბეჩანი და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათი მთავრობენ მას შინა" (იქვე : 373).

უკანასკნელი ფრაზა მიუთითებს, რომ კამბეჩანში ბაგრატიონები სუმბატ დავითის ძის დრომდე (XI ს-ის 30-იანი წლები) მთავრობდნენ. თ. პაპუაშვილს ეს ცნობა აუთენტიკურად მიაჩნია და ვარაუდობს, „რომ VI საუკუნის მეორე ნახევრიდან კამბეჩანი ცალკე ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში „მთავარი" ედგა და, რომ კამბეჩანს, როგორც დამოუკიდებელ ფეოდალურ სენიორიას, ცენტრით ხორნაბუჯში, ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელნი XI საუკუნის მესამედამდე (1032 წ.) ფლობდნენ, ე. ი. ადრეფეოდალური ხანის ისტორიის თითქის მთელ მანძილზე" (პაპუაშვილი 1970 : 281),

ამ ციტატის ავტორი განიხილავს რა კამბეჩანის მომდევნო საუკუნეების ისტორიის შესახებ არსებულ ცნობებს, ხაზს უსვამს კამბეჩანის ცალკე ფეოდალურ ერთეულად არსებობის ფაქტს. მისი შეხედულებით, ასეთი ვითარება გრძელდებოდა VII—VIII სს-ში. VIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან კი კამბეჩანი ჰერეთის სამთავროს საერისთავო გახდა (იქვე: 282—283).

დ. მუსხელიშვილს სუმბატ დავითის ძის მიერ გუარამ ქართლის ერისმთავრის ბაგრატიონად გამოცხადება აშკარა ტენდენციურობად მიაჩნია. მაგრამ ოთხი ძმის მოღვაწეობის თარიღად VI ს-ის II ნახევრის ჩათვლას სწორად მიიჩნევს, რადგან მემატიანის მიერ მოხსენიებული ბაჰარ ჩუბინი კონკრეტული ისტორიული პიროვნებაა[1] (მუსხელიშვილი 1967 103).

რაც შეეხება ბაგრატიონთა VI საუკუნიდან XI საუკუნემდე უწყვეტ ხელისუფლებას კამბეჩანში, ამაში დ. მუსხელიშვილს კორექტივები შეაქვს. მისი

[1] „ბაჰრამ ჩუბინე, სასანური ირანის ცნობილი მხედართმთავარი, აზუბაიჯანის მარზპანი, ბაჰრამ-ბარ-ბაჰრამგუშნასპი (ჩუბინედ წოდებული). სწორედ VI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. იგი ჰორმიზდ IV (579—590) და ხუსრო II ფარვიზის (590—628) თანამედროვე იყო" (პაპუაშვილი 1970 : 183).

აზრით, კამბეჩანი იბერიის ორგანული ნაწილია VI ს-ის II ნახევრიდან VII ს-ის შუა ხანებამდე (**Мусхелишвили 1982 : 30**). „მაგრამ იმავე VII საუკუნის შუახანებიდან მდგომარეობა იცვლება“ მოსე კალაკანტუელის მიერ გადმოცემულ „ალბანეთის ნახარართა სიაში“ შეტანილია ვაჩან ვარაზ-იოქ -ანიანი, რომელიც კამბეჩანში სახლობს. ე. ი. „ალვანური, ჩვენის აზრით,—წერს იგი,—ავთენტიკური წყაროდან გამომდინარეობს, რომ იგივე მხარე (კამბეჩანი.—გ. მ.) ალბანეთისაა“ (**მუსხელიშვილი 1980 : 68**).

VIII ს-ის 40-იანი წლებიდან მდგომარეობა კვლავ იცვლება. კამბეჩანი (ჰერეთთან ერთად) კვლავ უბრუნდება ქართლს. ასეთი მტკიცების საფუძველს იძლევა ჯუანშერის თხზულებაში ჩართული ექსცერპტი[1], რომელიც „მეფე“ არჩილის (VIII ს-ის შუა ხანები) მოღვაწეობას ეხება. იქ ვკითხულობთ „წარმოვიდეს ტაროონით შაკიხად სამნი ძმანი და დაემკვიდრნენ მუნ ბრძანებითა არჩილისათა... ვიდრე გულგულამდის“ (**ქ. ცხ. 1955 : 244**). განიხილავს რა მემატიანის ამ მონათხრობს დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ არჩილმა სამ ძმას, რომლებიც ბაგრატიონები უნდა ყოფილიყვნენ, სამფლობელოდ მისცა შაკიხი გულგულამდე (თურდოს ხეობამდე). ხოლო რადგან ეს სოფელი კახეთ-ჰერეთის საზღვრად ითვლებოდა „ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ანონიმის მიხედვით ბაგრატონიანებს არა მარტო შაკიხი დაუმკვიდრებიათ, არამედ შიგნიკახეთიც (ალაზნის მარჯვენა სანაპირო) თურდოს ხევამდე, ე. ი. ქართული ჰერეთის ნაწილიც. მაგრამ რამდენადაც შიგნიკახეთსა და შაქს შორის კამბეჩანის ვრცელი ტერიტორიაა გადაჭიმული, ამდენად საგულისხმოა, რომ წყაროს თვალსაზრისით კამბეჩანიც მათ მფლობელობაში უნდა მოხვედრილიყო“ (**მუსხელიშვილი 1980 : 67**).

როგორც ამ მსჯელობიდან ირკვევა მოხსენიებულ სამ ძმას შაკიხთან ერთად კამბეჩანიც მიუღიათ. რაც ნიშნავს, რომ არჩილის დროს, VIII საუკუნის შუა ხანებში, კამბეჩანი ქართლის მეფის კუთვნილი ტერიტორია ყოფილა.

VIII საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო ქართლის ადრეფეოდალური სახელმწიფოს დაშლა. პირველი მას გამოეყო მისი უდიდესი აღმოსავლეთი პროვინცია ჰერეთი. კამბეჩანიც მის შემადგენლობაში შევიდა.

ასე, რომ სუმბატ დავითის ძის ზევითმოტანილი ცნობა კამბეჩანში ბაგრატიონთა გვარის VI საუკუნის II ნახევრიდან XI საუკუნის 30-იან წლებამდე „მთავრობის“ შესახებ, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მთელი ამ პერიოდის მანძილზე კამბეჩანის ქართლის შემადგენლობაში უწყვეტი ყოფნის ფაქტი.

მოსახლეობის შემადგენლობით და კულტურულ-ეთნოგრაფიულად კამბეჩანი ქართულ მხარეს წარმოადგენდა. დ. მუსხელიშვილი ითვალის-

---

[1] მის შესახებ: **ბ. ინგოროყვა**, ლეონტი მროველი ქართველ ისტორიკოსი VIII საუკუნისა, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 143 და შმდ.; **ნ. ბერძენიშვილი**, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, სის, ტ. III, თბ., 1966, გვ. 254; **დ. მუსხელიშვილი**, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 90—93.

წინებს რა კამბეჩანის განვითარების პოლიტიკურ და ეთნიკურ პროცესებს, ძველ არქიტექტურასა და ეპიგრაფიკას, ამასთან იმ ფაქტს, რომ თავდაპირველად იგი ალბანური ქვეყანა იყო დაასკვნის: „VII საუკუნეში კამბეჩანის მოსახლეობა შეიძლება ჯერ კიდევ შერეული იბერიულ-ალვანური იყო მცირე სომხური ელემენტის შენარჩუნებით“ (**Мусхелишвили 1982 : 31**).

მომდევნო ხანებში ქართული კულტურის მომძლავრება კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება. მაგალითისათვის გამოდგება სოფელ ოზაანიდან 2—3 კმ-ის დაშორებით „მდებარე ქართულ ხუროთმოძღვრების მეტად საყურადღებო ძეგლი, ოზაანის „ამაღლების“ ცენტრალურგუმბათოვანი ტაძარი, რომელიც შექმნილია IX საუკუნეში“ (**პაპუაშვილი 1970 : 290**), ეს ტაძარი, სპეციალისტების შეხედულებით, ბევრი რაიმეთი არის ღირსშესანიშნავი. აღნიშნავენ მისი საკურთხევლის იატაკის კერამიკული შორნაკეცებით შემკობას. რაც „პირველი და უჩვეულო მაგალითია ქართულ ისტორიულ არქიტექტურაში. მისი ანალოგები სხვა ძეგლებზე მოგვეპოვება“ არანაკლები ყურადღების ღირსია XI ს-ის მიწურულის ოზაანის „ამაღლების“ ფრესკული მხატვრობა, რომელიც „გვერდით უდგება ყინცვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ცნობილ მხატვრობას“ (**იქვე: 291**). ოზაანის ტაძრის ქტიტორთა ფრესკა ძლიერ დაზიანებულია, ამიტომ შეუძლებელია დადგინდეს ვინ იყვნენ ისინი. მაგრამ შემორჩენილია მხატვრის სახელი—მიქელი.

კამბეჩანის IX საუკუნის ქართული ეპიგრაფიკიდან აღნიშვნის ღირსია მაღაზანის (საბერეების) გამოქვაბულთა კომპლექსში მდებარე ეკლესიაში. 970 წლით დათარიღებული წარწერა, რომელიც მხატვრის ვედრებას შეიცავს. 1975 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის (ხელ-ლი გ. გაფრინდაშვილი) შეუსწავლია ეს გამოქვაბულთა კომპლექსი. იქ ამოკითხულ ფრესკულ წარწერათა უმრავლესობა ქართული აღმოჩნდა. მხოლოდ ერთ ეკლესიაშია სამი სომხური წარწერა, დანარჩენი იქაც ქართულია. მოჰყავს რა ეს მასალა დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ საბერეების უდაბნოში, IX—X სს. ჩქეფდა კულტურული შემოქმედება, რომელშიც ქართველებს გარდა ქმედითად მონაწილეობდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, სახელდობრ—სომხებიც (**Мусхелишвили 1982 : 28**).

ზევით მოცემული მსჯელობის შემდეგ ჩვენ სავსებით დასაბუთებულად მიგვაჩნია დ. მუსხელიშვილის დასკვნა, რომელიც ჰერეთის შესახებაა გამოთქმული, მაგრამ მასში კამბეჩანიც იგულისხმება. „მაშასადამე,—აღნიშნულია იქ,—ქართული საეკლესიო არქიტექტურა IV—IX საუკუნეებისა, ისევე, როგორც ქართული ეპიგრაფიული მასალა VII—X საუკუნეებისა, აღმოჩენილი მთელი ჰერეთის ტერიტორიაზე (ვიწრო გაგებით, ე. ი. კამბეჩანის ჩათვლით) მთელი სიცხადით აჩვენებს, რომ ამ პერიოდის ადგილობრივი მოსახლეობის (ჰერების, სუჯების და სხვ.) კულტურა აღმოსავლურ-ქართულ კულტურას წარმოადგენდა, ხოლო ამ მოსახლეობის ენა—ყოველშემთხვევაში სახელმწიფო და საეკლესიო—ასევე ქართული იყო“ (**იქვე : 24**).

ამ მხარეს ასეთი სახელი ეწოდება ჰერული მოდგმის ტომის—სუჯების გამო. მან „ქუეყნის“ სახით ჩამოყალიბება ვერ მოასწრო, რადგან ეს ტომი საკმაოდ ადრე (IV ს.) შეერწყა აღმოსავლეთ ქართველურ ტომებს—ქართებსა და კახებს. ამავე მიზეზის გამო, მართალია, სუჯებს სხვადასხვა სახელით ხშირად იხსენიებენ ქართველი, სომეხი, არაბი და ბერძენი ავტორები, მაგრამ მათსა და მათი ქვეყნის შესახებ ძლიერ მწირი ცნობები მოგვეპოვება. თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც სუჯების ვინაობისა და საცხოვრისის დადგენა სპეციალური კვლევის საგნად, მხოლოდ თ. პაპუაშვილმა გაიხადა. ჩვენც ამ მონათხრობში ძირითადად მის მონაცემებს ვეყრდნობით.

სუჯები ყველაზე ადრე მოხსენიებული უნდა ჰყავდეს პლინიუსს (62—114 წწ.). თუ ჩავთვლით, რომ მის მიერ დასახელებული „სოდების“ ტომი შეესატყვისება სომხური წყაროების „წოთებს“, ხოლო ეს უკანასკნელნი ქართული წყაროების სუჯები იყვნენ.

სომხურ წყაროებში კი სუჯებს პირველი ახსენებს მოსე ხორენელი (VII ს.). იგი ალბანეთის მკვიდრი მოსახლეობიდან, ძირითადად ოთხ ტომს ჩამოთვლის. ესენია: უტიები, გარდმანელები, წავდეელები და გარგარელები. ჩვენს მიერ ხაზგასმული ტომი წავდეელები გაიგივებულნი არიან სუჯებ-თან.

წავდეელებს იცნობს მოსე ხორენელის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი ეღიშეც. მას კავკასიაში მობინადრე ხალხებთან: სომხებთან, იბერებთან, ალბანელებთან და ლბინებთან ერთად დასახელებული ჰყავს წავდეელები, რომელთა ქვეყანასაც წათეიცს უწოდებს და მიუთითებს, რომ ისინი მის დროს (V ს-ის II ნახ.) გაქრისტიანებული ყოფილან. თ. პაპუაშვილი თვლის, რომ თუ წათეიცს გადმოვაქართულებთ „მივიღებთ წოთეთ-წავდეეთს“ **(პაპუაშვილი 1970 : 64)**.

პლინიუსს კი, როგორც ვთქვით, წოთი „სოდი“ ფორმით აქვს ნახმარი, რაც ახლოს დგას ქართულ სუჯთან, რომელიც ზოგიერთ ქართულ წყაროებში „სოჯის“ სახით არის ტრანსკრიფიცირებული. მაშასადამე, წავდეელები — წოთები — სოდები შეიძლება დავუკავშიროთ ქართული წყაროების სუჯებს **(იქვე: 66--67)**.

არც სომხურ და არც ბერძნულ წყაროებში „რაიმე ცნობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა განგვესაზღვრა წავდეელთა ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა... არ მოიპოვება“ **(იქვე: 64--65)**.

ასეთი მონაცემები დაცული უნდა ჰქონოდა X ს-ის სომეხ ისტორიკოსს უხტანესს, მაგრამ მისი თხზულების მესამე ნაწილი „მოქცევა წოდებისა“ დაკარგულია. „როგორც თვით უხთანესი ამბობს თავისი შრომის შესავალში,—წერს თ. პაპუაშვილი,—III ნაწილში მას მოთხრობილი ჰქონია წადების მონათვლის ამბავი, მათ ქვეყნაში შემავალი ოლქების მთავარი სოფლების, ქალაქების და ციხე-სიმაგრეების შესახებ“ **(იქვე: 65)**.

უხტანესის შრომის გამოცემასთან დაკავშირებით მ. ბროსე შეეცადა დაედგინა წადების (სუჯების) ადგილმდებარეობა. იგი ამ ტომს უტიელებად თვლიდა და რადგან სხვა ხელმოსაკიდი მასალა არ ჰქონდა, ამიტომ ლოკალიზაციაშიც შეცდა.

წადების (წავდეელების) სუჯებთან გაიგივების შემდეგ მათი საცხოვრისის დადგენა ქართული წყაროების საშუალებით მოხერხდა.

წმინდა ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ". გადმოგვცემს, რომ მას ქრისტიანობა გაუვრცელებია სუჯეთშიაც. ამ თხზულების შატბერდულ ვარიანტში სწერია: „ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს. და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით. და გარდავიდა კახეთა და დადგა ქცელ დაბას. და მოიყვანნა კახნი მთავარნი და მონათლნა" **(ძეგლები 1964 : 89)**. ეს ფაქტი მცირე განსხვავებითაა გადმოცემული ჭელიშურ ვარიანტში. სამაგიეროდ მის მეორე ნაწილში დამატებულია საგულისხმო პასაჟები: 1. „და იყო მათვე ჟამთა შინა მირიან მეფისათა, რაჟამს მოინათლა სოჯი დედოფალი და მისთანა მთავარნი მრავალნი ხელსა შინა ნინოჲსსა ბოდს შინა" **(იქვე: 99)**; 2. სუჯების დედოფალმა სვეტიცხოველს შესწირა „ქალაქი კნინ ბარათიანი (რაბათიანი—ასწორებს თ. პაპუაშვილი) და დაბაჲ დიდი ბოდისი" **(იქვე)**.

ამ მონაცემების ინტერპრეტაცია საშუალებას აძლევს თ. პაპუაშვილს დაასკვნას: „არ შევცდებით, თუ სუჯებისა და მათი ქვეყნის ლოკალიზაციას მოვახდენთ მდ. იორის შუა დინების აუზში" **(პაპუაშვილი 1970 : 68)**. ეს მოსაზრება ეყრდნობა სუჯების გაქრისტიანების დროს დასახელებულ სამ პუნქტს: კხოეთს, კაწარეთსა და ბოდს.

„კხოეთი" ესაა—კუხეთი, რომელშიაც ერთი ხევის (გავარის) სახით სუჯეთიც შედიოდა **(მუსხელიშვილი 1982 : 36)**.

ნინოს ცხოვრების მიხედვით კაწარეთი და მისი მიმდგამი მხარე ყოფილა სუჯების განსახლების ტერიტორია. ეს შუა საუკუნეების კახეთში ცნობილი პუნქტია. აქ იჯდა „კაწარელად" სახელდებული ეპისკოპოსი, რომელიც დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ოქმებში 24 ქართველ ეპისკოპოსთა შორისაა მოხსენიებული. მისი სამწყსო ვახუშტის ცნობით იორის შუა წელიდან ერწომდე ვრცელდებოდა **(ქ. ცხ. 1973 : 90)**. „კაწარეთი ანუ გვიანდელი საისტორიო წყაროების სამება,— წერს თ. პაპუაშვილი,—როგორც ცნობილია, მდებარეობს მდ. იორის მარცხენა ნაპირას, სოფ. ხაშმის ჩრდილო დასავლეთით, 7—8 კმ. მანძილზე. უფრო ზუსტად: კაწარეთი (სამება) მდებარეობს მარცხენა ნაპირას ე. წ. სამების ხევისა, რომელიც მარცხნიდან ერთვის ე. წ. ლაფნისწყალს, ივრის ტოტს" **(პაპუაშვილი 1970 : 68)**.

სუჯების გავრცელების არე მხოლოდ კაწარეთის შემოგარენით არ განისაზღვრებოდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მიხედვით სუჯების დედოფალმა დიდი დაბა ბოდი შეწირა მცხეთის ტაძარს. ე. ი. მისი ხელისუფლება და მაშასადამე, სუჯების ტერიტორია ბოდამდეც ვრცელდებოდა. ბოდი დღევან-

დელი სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბეა[1]. ლეონტის ბოდისი კუხეთში ეგულვება. მისი გადმოცემით „წმინდა ნინო... მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, დაყვნა მუნ დღენი რაოდენნიმე“ **(ქ. ცხ. 1955 126)**. და აგრეთვე: „მივიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისასა“ **(იქვე: 128)**.

ის ფაქტი, რომ ბოდბე იორის ხეობის სოფელია სუჯების ამ მდინარის მონაპირეობაზე მიუთითებს. ამასვე ადასტურებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც. თურქ სელჯუკთა სულთანმა მალიქ-შაჰმა გიორგი მეორეს კახეთისა და ჰერეთის დასაპყრობად ლაშქარი გამოატანა. მეფემ ვეჟინს ალყა დაარტყა. მაგრამ ციხის აღება ვერ შეძლო. თვითონ იმერეთს გაბრუნდა. მხარე კი თურქებს მიუტოვა ასაოხრებლად. „არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, —წერდა მემატიანე,—არამედ ლაშქრთა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოხრდა მუნ დღეინდელად დღემდე“ **(ქ. ცხ. 1955 : 322)**. დავითის ისტორიკოსის ამ სამწუხარო მონათხრობიდან ირკვევა, რომ ქვეყნის სახელი სუჯეთი ჯერ კიდევ მოქმედი გეოგრაფიული ტოპონიმი იყო და ეს ქვეყანა ივრისპირეთის ორგანულ ნაწილს შეადგენდა.

სუჯეთის ვითარების შესახებ, IV ს-ის I ნახევარში, მირიანის მეფობის დროს, მნიშვნელოვანი ცნობა აქვს დაცული ლეონტი მროველს. მირიანმაო, წერს იგი, „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას“ **(ქ. ცხ. 1955 : 70—71)**. ამ ცნობიდან დ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ უჯარმის საგამგეო საუფლისწულოდ გარდაქმნილა, რომელშიც ამ დროს საკუთრივ კახეთს გარდა შედიოდა, კუხეთი, ე. ი, რუსთავის საერისთაო და აგრეთვე შემოერთებული ჰერეთის ნაწილიც—სუჯეთი ბოდბიანად **(მუსხელიშვილი 1967 : 60)**.

ქრისტიანობის გავრცელების მომდევნო ხანიდან სუჯეთის შესახებ ცნობა

---

[1] ბოდის (ბოდინის) ასეთ ლოკალიზაციას არ იზიარებდა ს. კაკაბაძე. მისი აზრით, ბოდბე ისტორიულ ჰერეთშია, ხოლო ბოდისი სადაც წმ. ნინო გარდაიცვალა, კუხეთის დაბა იყო. ამის გამო დაბა ბოდისისა და დღევ. სოფ. ბოდბის გაიგივება შეუძლებელია. მისი მტკიცებით ბოდისი არის სახელწოდება სოფ. ნინოწმინდისა, რომელშაც ეს სახელი მიიღო მეფე მირიანის მიერ ქართველთა განმანათლებლის სასატივცემულოდ აგებული ტაძრისაგან.

თ. პაპუაშვილი განიხილავს რა ს. კაკაბაძის ამ შეხედულებას არ ეთანხმება მას, ვინაიდან მისი აზრით, დაბა ბოდისის ადგილმდებარეობის ძიება სხვადასხვა წყაროში „გვიანდელი გადამწერლების საქმე უნდა იყოს. ეს გარემოება კი აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ბოდის (ბოდინის) ლოკალიზაციის გარკვევისას“ **(პაპუაშვილი 1970 : 127)**.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ რადგან ბოდი (ბოდისი) სუჯების ქვეყანას ეკუთვნოდა, სუჯები კი ჰერული ტომია, ეს დაბაც ჰერეთში ყოფილა. თანამედროვე ბოდბეც ისტორიულ ჰერეთში მდებარეობს. დ. მუსხელიშვილის განმარტებით, „სოფ. ბოდბე IV საუკუნეში მდებარეობდა ჰერეთის კანტონების სუჯეთისა და კამბეჩანის საზღვარზე“ **(Мускелишвили 1982 : 28)**. წყაროებში არა მარტო ბოდის ადგილმდებარეობაა სხვადასხვა ქვეყანაში ნაჩვენები, არამედ თვით ამ ქვეყნების (კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის) საზღვრებიც კი ერთმანეთშია არეული **(პაპუაშვილი 1970 : 127)**. ეს არაა გადამწერლების ბრალი, არამედ ხდებოდა რა ამ ქვეყნების ისტორიული ჩამოყალიბება, მათი საზღვრები და შემადგენლობაც იცვლებოდა **(ბერძენიშვილი 1975 : 14)**, მაშასადამე ბოდის (ბოდინის) ნინოწმინდაში გადატანის აუცილებლობა არ არსებობს.

ჩართულია ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან სპრსეთის შაჰის იეზდიგერდ III-ის (438—457) ურთიერთობის ამსახველ გადმოცემებში.

სომეხი ისტორიკოსი ელიშე გადმოგვცემს, რომ კუშანებისაგან შევიწროებულმა იეზდიგერდმა დახმარების შესახებ მოწოდებანი დაუგზავნა ამიერკავკასიის ხალხებს. მათ შორის დასახელებულია წავდეებიც (სუჯებიც).

სუჯები არ გამორჩენილან იმ ზოროასტრ მოგვთა შემოსევისაგან იმავე იეზდიგერდმა, რომ გამოგზავნა ამიერკავკასიის ქრისტიან ქვეყნებში, მიაღებინა რა მაზდეიანობა ქართველთა, ალბანელთა, სომეხთა თავკაცებს. ელიშეს ცნობით, მოვლინებულთა შორის 700-ზე მეტი მოგვი იყო. სომეხი ისტორიკოსის ექსპრესიული მონათხრობი თ. პაპუაშვილს ასე აქვს გადმოცემული: „გზაში, სანამ სომხეთის საზღვრებს მოაღწევდნენ, მოგვები წილს ყრიდნენ და წინასწარ გებულობდნენ, თუ რომელ ჯგუფს, რომელი ქვეყანა შეხვდებოდა თავიანთი მოძღვრების საქადაგებლად, ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ შაჰის ბრძანება მარტო სომხეთს კი არ შეეხებოდა, არამედ იბერების, ალბანების, ლბინების, და წოდების (სოჯების) ქვეყნებსაც" (**პაპუაშვილი 1970 : 136**).

მირიანის მიერ რევისათვის შექმნილი საუფლისწულო, ჯუანშერის ცნობის მიხედვით, არსებობას განაგრძობს ვახტანგ გორგასალის დროსაც.

მართალია, ჰერეთს ცალკე ერისთავი ჰყავს—გრიგოლი, კახეთსა და კუხეთს—დემეტრე, მაგრამ მათ სხვებთან ერთად ვახტანგმა „შეჰკედრა ძე თვისი დაჩი,. და უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა" (**ქ. ცხ. 1955 : 185**). შემდეგ დაჩის საუფლისწულოდ განისაზღვრა ქალაქი ჰერემი, ნეკრესი, ხორნაბუჯი და „ყოველი ქუეყანა მტკუარისა აღმოსავლით" (**იქვე: 199**).

VI საუკუნის II ნახევარში, სუჯეთი კვლავ უჯარმის საგამგეოში (უფრო სწორად—კახეთში) შედის. ჯუანშერი მოგვითხრობს: „შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისანი, ვახტანგის ძისანი, რომელსადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და **ჰერეთი ოორითგან**, (ხაზი ჩემია.—გ. მ.) და დასხდეს უჯარმოს"... (**იქვე: 219**). ხაზგასმული ადგილი მიუთითებს, რომ უჯარმის საუფლისწულოში, როგორც ორნახევარი საუკუნის წინათ, ჰერეთი ახლაც იგულისხმება (**მუსხელიშვილი 1967:62**).

მაგრამ ამავე ცნობაში ისიცაა საინტერესო, რომ მემატიანე უკვე პირდაპირ აღარ ახსენებს სუჯეთს (სოჯეთს), მას აქ „იორისპირა ჰერეთი" ჰქვია, სხვაგან იგი კუხეთად მოიხსენიება, ბოლოს კი მის სახელს (ისევე როგორც ჰერეთის ძირითადი ნაწილისას) ფარავს კახეთი. ამ პროცესს თანდათანობითი და ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. მაგალითად; დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, „ჰერეთის ტერიტორია ივრის მარცხენა სანაპიროზე მაინც ვიდრე ბოდბემდე IX საუკუნეში და შემდეგაც უპირატესად კუხეთად იწოდებოდა. იშვიათად კახეთად ან სუჯეთად" (**იქვე: 112**).

სუჯები ჰერული მოდგმის ტომს წარმოადგენდნენ. ეს ტომები კი ქართველთა მონათესავენი იყვნენ. ნ. მარის, მიხედვით ენათა იაფეტურ ოჯახში

შედიოდნენ, ხოლო თანამედროვე კლასიფიკაციით, თვით წავდეელები იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს მიეკუთვნებოდნენ **(პაპუაშვილი 1970:66)**.

სხვა ტომებთან ჰერებთან, ლბინებთან, ჭილბებთან ერთად, სუჯები „ჰერეთის ტერიტორიაზე განსახლებული ჩანან, უფრო ადრეული პერიოდიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. ა. I ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან მაინც“ **(იქვე: 115)**.

ჰერების შესახებ ლეონტი მროველის ცნობების რეტროსპექტრული განხილვის გზით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალბანეთის ტომთა გაერთიანებაში შემავალი სუჯების ტომი, VI ს-ის II ნახევარში, აქემენიანთა სპარსეთის ხელქვეითი გახდა. თუ ჰეროდოტეს მიერ დარიოს პირველის XI სატრაპიაში შემავალ კასპიელებში, მთელი ალბანეთის ტომთა გაერთიანებას ვიგულისხმებთ, მაშინ ლეონტის ეს ცნობა უფრო არგუმენტირებული გახდება.

ქართლის ადრეკლასობრივი სახელმწიფოს შექმნის (ძვ. წ. IV ს-ის მიწურული) შემდეგ, ჩქარი ტემპით წავიდა იბერთა ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ. ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქართული მიგრაცია ალაზნის ზემოწელის აღმოსავლეთითაა მიღწეული. აქ საფუძველი ეყრება ქ. ნეკრესის მშენებლობას. მართალია, ჰერეთის სამხრეთ ნაწილში ამ დროს სომხური აგრესია მძლავრობს, მაგრამ იგი იორის შუა წელს არ შეხებია. მაშასადამე, სუჯეთი ქართველთა განსახლების სფეროში ექცევა.

ამ პროცესებთან დაკავშირებით დ. მუსხელიშვილის დამაჯერებლად დასაბუთებული მოსაზრება ასეთია: **«Политическое расширение Иверии в сторону Албании сопровождалось также этнической, если можно так выразиться, диффузией иверийцев, точнее, собственно восточно-грузинских племен, т. е. тех же гугаров армянских источников. С другой стороны, в древнейшую же эпоху должна была начаться и ассимиляция албанских племен (эров, суджов и т. д.)» (Мусхелишвили 1982:17)**.

ამ მოსაზრებას, პროცესის დათარიღებით, უფრო კონკრეტულ სახეს აძლევს თ. პაპუაშვილი. იგი წერს: „თავდაპირველად წადები (სუჯები) ალბანურ ტომთა კავშირში შედიოდნენ უტიელებთან, გარგარებთან და გარდმანელებთან ერთად. შემდეგში კი ადგილი აქვს წადების (სუჯების) **ეთნიკურ-პოლიტიკურ შერწყმას იბერებთან** (ხაზი ჩემია.—გ. მ.). ეს პროცესი IV საუკუნეში ძირითადად დასრულებულად შეგვიძლია ვივარაუდოთ“ **(პაპუაშვილი 1970:69)**.

როგორც ვნახეთ, IV საუკუნეში, სუჯეთში ქართლიდან მოვიდა ახალი რელიგია ქრისტიანობა. რაც ქართული ენისა და კულტურის გავრცელებით, ქართული ეთნოსისა და პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრებას განაპირობებდა. იგივე ფაქტი ხელს უწყობდა ეთნიკური თვითშეგნების გამომუშავებას, რამდენადაც შუა საუკუნეებში რელიგია ერთადერთი მეთოდოლოგია იყო, რომელიც ადამიანის აზროვნების იდეოლოგიურ ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. ხოლო რელიგიური კუთვნილება, ამა თუ იმ საეკლესიო

ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება, ხშირად განსაზღვრავდა ცალკეულ პირთა, თუ ადამიანთა ჯგუფების ეთნიკურ ვინაობას.

ამით იყო დაინტერესებული ქართლის მაშინდელი პოლიტიკური ხელისუფლება, როცა ქრისტიანულ-მისიონერულ მოღვაწეობას, ჯერ კიდევ სხვა ქრისტიანული ქვეყნების მიერ აუთვისებელ, თავისი საზღვრების აღმოსავლეთით მცხოვრები ტომებისაკენ წარმართავდა. მას, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა შეგნებული რა კულტურულ-პოლიტიკური და ეთნიკური შედეგები უნდა მოჰყოლოდა ამ პროცესს. „ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების ფაქტიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ იბრძოდა ქართლის სამეფო ხელისუფლება და ქრისტიანული ეკლესია იმისათვის, რათა საბოლოოდ გააერთიანებინა მონათესავე ჰერული ტომები: ჰერები, სოჯები, ელარბიელნი და ჭილბები“ **(იქვე: 128)**.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლება მხოლოდ სამისიონერო მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდა. პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი ანდერძს ტოვებს წმინდად დაიცვან ნინოს საფლავი ბოდბეში. მეუღლეს იგი უბარებს: „აჰა ესერა მე წარვალ, ვინაჲცა მოვედ, და შენ, ნანა, უკეთუ მოგეცეს შენ ღმრთისამიერი ჟამი ცხოვრებისა შემდგომად ჩემსა, განყავ სამეფოჲ ჩემი ორად და მიიღე ბოდს სამარხოსა წმიდისა ნინოჲსსა, რათა ჟამთა სიგრძემან და შეცვალებამან არაოდეს შეარყიოს ადგილი იგი“ **(ძეგლები 1964:162)**. ამ ანდერძის შესასრულებლად, როგორც ჩანს, იმთავითვე (IV საუკუნეში) წმ. ნინოს საფლავზე, ბოდბეში აუგიათ პატარა სამრეკლო. აქვეა—VII ს-ის ბაზილიკაც **(Мусхелишвили 1982:29)**.

ამ მხარის ეკლესიურ-ადმინისტრაციული ათვისებისათვის ზრუნვა მომდევნო ხანებშიაც არ შეწყვეტილა. ჯუანშერი გვიმოწმებს, რომ ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებულ საეპისკოპოსოთა შორის ერთ-ერთი იყო ნინოწმინდისა **(ქ. ცხ. 1955: 199)**. დ. მუსხელიშვილის მითითებით ნინოწმინდის საეპისკოპოსო სუჯეთში იყო დაარსებული **(მუსხელიშვილი 1977:211)**.

ნინოწმინდაში შემონახულია VI ს-ში აგებული საკათედრო ეკლესია, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის ქვაზე დაცულია უცნობი ანბანით შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა. მას აკად. ა. შანიძე „ჰერულს“ უწოდებდა. დ. მუსხელიშვილის ვარაუდით წარწერის შემსრულებელი არა ქართველები, შეიძლება სუჯები ყოფილიყვნენ **(Мусхелишвили 1982:23)**.

VII საუკუნიდან ჰერეთ-ალბანეთში ჩაღდება ბრძოლა ქალკიდონისტებს (დიოფიზიტებს) და ანტიქალკედონისტებს (მონოფიზიტებს) შორის. ფაქტობრივად ეს იყო ქართული და სომხური ეკლესიებისა და აქაური პოლიტიკოსების მეტოქეობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბატონობისათვის. ეს ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, უშუალოდ ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ (608 წ.). არსენ საფარელის მოწმობით, ჰერები და სიუნიელები ერთხანს კი გამოყოფიან სომხებს, მაგრამ შემდეგ კვლავ მათს მხარეზე გადასულან. მაგრამ ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. როცა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლე II-მ

ილაშქრა ქართლში (627 წ.), მაშინ მისი მოკავშირე ხაზარები ალბანეთში შეიჭრნენ. ალბანეთმა ბიზანტიის იმპერატორის სუვერენობა აღიარა. მათი მთავარი ვარაზ-გრიგოლ მიხრანიდი ეახლა ჰერაკლეს, თავი მის ვასალად სცნო და აღიარა ქალკედონური ქრისტიანობა. იმავე საუკუნის დასასრულს, კვლავ ბიზანტიის მხარდაჭერით ჰერეთ-ალბანეთში ქალკედონისტები მძლავრობენ.

ვითარება დროებით შეიცვალა VIII ს-ის დამდეგს, როცა სომეხთა კათალიკოსმა ელია არჭიშელმა, ხალიფა ალ-მალიქის დახმარებით, შეძლო ალბანეთის დიოფიზიტი კათალიკოსი ნერსეს-ბაკურისა (684—704) და დედოფალ სპრამას დასჯისათვის მიეღწია. ამის შემდეგ „სომეხთა კათალიკოსმა ელიამ ჰერეთ-ალბანეთის საეკლესიო და საერო მმართველ წრეებს ჩამოართვა სიგელი, წერილობითი პირობა, რომ ისინი ამიერიდან ერთგული იქნებიან წმ. გრიგოლის სარწმუნოებისა და იერარქიულადაც სომეხთა საკათალიკოსო ტახტს დაემორჩილებიან“ **(პაპუაშვილი 1970:166)**.

მათი ბედი გაუნაწილებია სუჯეთსაც: რასაც ჩვენ ვიტყობთ XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში“, 821 წლით დათარიღებული, შემდეგი ფაქტიდან: ვინმე „მღვდელი ფარსმან კაკელი, გამოეყო სომხებს და მან იბერიელთა სარწმუნოებაზე მოაქცია წონდეელები, ანუ წადის მცხოვრებნი, რომელნიც ახლა ბერძენები (ე. ი. ქალკედონისტები) არიან“-ო (ციტ. **პაპუაშვილის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 167**). მაშასადამე, წადები (სუჯები) აქამდე სომეხი მონოფიზიტების რწმენაზე მდგარან და ახლა ფარსმანს ქალკედონისტურ სარწმუნოებაზე დაუბრუნებია. IX საუკუნის 80—90-იანი წლებში კი სომხური ეკლესიიდან მთელი ალბანეთი განმდგარა.

X საუკუნის შუა წლებისათვის, ქალკედონისტებსა და ანტიქალკედონისტებს შორის ჰერეთში მიმდინარე ბრძოლიდან საბოლოოდ გამარჯვებული ქართული ეკლესია გამოვიდა **(იქვე: 168)**. ეს ბრძოლა გარდა ეკლესიურისა პოლიტიკური ორიენტაციისათვის ჭიდილსაც წარმოადგენდა. ჰერეთი (მასში შემავალი სუჯეთით) ქართული გავლენის სფერო გახდა.

8. ᲬᲣᲯᲔᲗᲘ

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ეს ქვეყანა „წახურისა“ და „წახეთის“ სახელითაც მოიხსენიება. XIX საუკუნიდან კი ამ მხარის აღსანიშნავად, იქ მცხოვრები ქართველი ტომის—ინგილოებისაგან ტოპონიმი საინგილო დამკვიდრდა **(ბერძენიშვილი 1966:253)**.

წუქეთის შესახებ მწირი წერილობითი ცნობები მოგვეპოვება, ხოლო სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება საერთოდ ჰერეთსა და კერძოდ კუხეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ წარმოებულა **(პაპუაშვილი 1970:358)**.

წყაროები, სადაც წუქეთზეა ლაპარაკი, არ იძლევიან საშუალებას ზუსტად იქნეს განსაზღვრული წუქეთის საზღვრები. ამიტომ მკვლევართა შო-

რის აზრთა სხვადასხვაობაა მისი ადგილმდებარეობის დადგენის საკითხში. ეს მოსაზრებანი განხილული აქვს თ. პაპუაშვილს. მისი თქმით: „ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და დ. მუსხელიშვილი სწორად, მაგრამ ერთობ ზოგადად განსაზღვრავენ წუქეთის ადგილმდებარეობას. მათი შეხედულებით წუქეთის ქვეყანა მდებარეობდა დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე (აზერბაიჯანის სსრ), იგი წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს" **(იქვე: 47)**.

სხვა მკვლევართა (მ. ლორთქიფანიძე, ს. ერემიანი, პ. ინგოროყვა) მიერ ამ საკითხზე გამოთქმული შეხედულებების გაკრიტიკების შემდეგ, მას მოაქვს ჯუანშერის თხზულების დასასრულს ჩართული ანონიმი ავტორის მონათხრობი „მეფე" არჩილის საქმიანობის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: არჩილი „დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, ...და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხოასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი" **(ქ. ცხ. 1955:243)**. ამ ცნობაში მოხსენიებულია რამდენიმე ტოპო—და ეთნონიმი. კერძოდ „კასრი" არის დასახლებული პუნქტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში. ხოლო თუშები და ხუნძები საქართველოსა და დაღესტანში მცხოვრები ტომებია. მაშასადამე, წუქეთი ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინცია იყო და მისი „მთავრის სამფლობელო მოიცავდა აგრეთვე დაღესტნის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, ეს უნდა ყოფილიყო მდ. სამურის ზემო წელი, ე. წ. წახურის სამფლობელო" **(პაპუაშვილი 1970:49)**.

როგორც ვხედავთ, წუქეთის ადგილმდებარეობა აქაც ზოგადადაა მოხაზული. რადგან ადრინდელი ხანის წერილობით ძეგლებში უფრო ზუსტი ლოკალიზაციისათვის სხვა ცნობები არაა დაცული, მკვლევარი მიმართავს გვიანი ხანის მონაცემებს. ეს ცნობები რეტროსპექტულად იმიტომ შეიძლება იქნას გამოყენებული, რომ წუქეთი იმთავითვე ცალკე საერისთავო იყო. გვიანაც ავტონომიურ ერთეულს (სამოურავო, სასულთნო) წარმოადგენდა და ამიტომ მის ტერიტორიულ მოცულობას დიდი ცვლილებები არ განუცდია, ე. ი. თუ დადგინდება გვიანი ხანის ამ რომელიმე ერთეულის ადგილმდებარეობა, მისი გავრცელება ადრეფეოდალური პერიოდის წუქეთზედაც შეიძლება.

თ. პაპუაშვილი ვახუშტი ბაგრატიონის, XVI—XVII საუკუნეთა რუსი და ქართველი ელჩების ჩანაწერების, XVIII ს-ში შედგენილი „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერის" და აგრეთვე, 1869-1874 წწ. „ზაქათალის მხარის წოდებრივ საადგილმამულო კომისიის ჟურნალების" მონაცემთა შეჯერებით ადგენს, რომ წუქეთი ანუ გვიანი ხანის „ელისუს სასულთნო ორი ნაწილისაგან შედგებოდა: წახურის სამფლობელოსა და საკუთრივ ელისუს სასულთნოსაგან"[1]. პირველში შედიოდა მდ. სამურის აუზში

[1] სახელწოდება „ელისუს" შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: მოსე კალანკატუელის გადმოცემით, ელისე იყო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ალბანური ქვეყნების განმანათლებელი იგი მოღვაწეობდა I საუკუნეში. მაქის ქვეყანაც მან მოაქცია ქრისტიანობაზე და მისი რეზი-

მდებარე სოფლები: წახური, მუსლიახი, სიუგუტი, ხიახი, მიხიხი, კურდული, გილმსი და, აგრეთვე, კავკასიონის ქედის სამხრეთით განლაგებული სოფლები — ზერნა და ლექეთი (**იქვე: 50**).

წახურის სამფლობელოს სამხრეთი ტერიტორია ეკავა საკუთრივ წუქეთს (ელისუს სასულთნოს). „ჩრდილოეთით მას საზღვრავდა,—შიუთითებს თ. პაპუაშვილი,—კავკასიონის მთავარი ქედი, დასავლეთით მდ. ყაფიჩაჲ, სამხრეთით მდინარეები ალაზანი და ეგრი-ჩაი (გიშის წყალი), აღმოსავლეთით მდ. ყანი-ყობი („სისხლიანი ღელე", „სისხლიანი ზეკი"), რომლის გადალმა უკვე შაქის ქვეყანა იწყებოდა" (**იქვე: 51-52**).

დ. მუსხელიშვილი არ ჯერდება „ციხე-ქალაქ უჯარმაში" მოცემულ წუქეთის ლოკალიზაციას და ამ საკითხს კვლავ უბრუნდება „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების" მეორე ნაწილში. აქ იგი „ქართლის ცხოვრების" ცნობის მიხედვით წუქეთს მთიან ქვეყნად ვარაუდობს: „კიდევ მეტი, ამ ამონაწერიდან (იგულისხმება ზევით ჩვენს მიერ მოტანილი ციტატა „ქართლის ცხოვრების" I ტომის 243-ე გვერდიდან.-გ.მ) შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ჩრდილო კავკასიონის მთიანეთს თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავეებამდე, უმთავრესად, წუქეთი ეწოდებოდა" (**მუსხელიშვილი 1980:65**). ვახუშტის ცნობების ანალიზით მკვლევარს ისიც აქვს ნაჩვენები რა იგულისხმება „სამხრეთ კავკასიონის ბარში". იგი განაგრძობს: „ძველი წუქეთის დაბლობი ნაწილი მოთავსებული იყო დაახლოებით მდინარეების ყაფიჩაისა და კიშს შორის"-ო[1] (**იქვე: 67**).

წუქეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ წყაროებში ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებია დაცული.

ეხება რა ახ. წ. IV საუკუნის II ნახევრის ვითარებას დ. მუსხელიშვილი თვლის, რომ „ალვანეთის სამეფოს დასავლეთი ნაწილი, (....საკუთრივ ჰერეთი—შიგნი-კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი,.გაღმა მხარის აღმოსავლეთი ნაწილი, დაწყებული სოფ. ყვარლიდან საინგილოს ჩათვლით) ვასალურ

დენია გისში (გიშში) ააგო და „მოკაზმა ეკლესია". შემდეგში ელისე კერპთთაყვანიმცემლებმა გიშის მახლობლად მდებარე ველზე მოკლეს. იგი წმინდანად ჩაირიცხა. გაჩნდა მისი კულტი. ვახუშტი „გიშის ეპისკოპოსს „მწყემსად ელისენის, წუქეთისა და შაკიხისად" მოიხსენიებს. კ. კეკელიძე ვარაუდობდა: შეიძლება წმინდა ელისეს შესახებ „ამ გადმოცემამ მისცა საფუძველი ელისენის სახელწოდებას"-ო (**კეკელიძე 1945:318**). აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი სოფლის სახელი „ელისუ". ხოლო, როგორც დ. მუსხელიშვილი შენიშნავს—„ალის სულთანის, ანუ ელისუს, ანუ კაკის სულთანის ცენტრი ქუმუხის ხეობაში იყო კაკს (დღ. კახი) ზემოთ სოფელ ელისუში" (**მუსხელიშვილი 1980:66**), სასულთნოსაც ეს სახელი დაერქვა. იგი გაჩნდა XVII საუკუნეში, მას შემდეგ რაც შაჰ აბასმა კახეთის სამეფოს წუქეთის სასულთნო ჩამოაცილა და იგი ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გახდა (**ბერძენიშვილი 1966:265**).

[1] რაც შეეხება თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფას პატივცემულ მეცნიერს იგი ერთსა და იმავე ნაშრომში სხვადასხვაგვარად აქვს განსაზღვრული. კერძოდ მისი «Из исторической географии»-ს 32-ე გვერდზე წუქეთი მინიშნებულია—«Кахский р-оп. Аз. ССР с прилегающей горной частью Дагестана», ხოლო 66-ე გვერდზე ვახუშტის ცნობა გიშელი ეპისკოპოსის სამწყსოს შესახებ ასე განსაზღვრული: იგი ყოფილა— «Пастырем Элисени (Белоканский, Закатальский и Кахский р-оны Аз. ССР—Д. М.), Цукети (Русульский и Ахтырский р-ны Дагестанской АССР—Д. М.) и Шакихи (Древний Шаки)».

დამოკიდებულებაში დარჩა ქართლთან" **(მუსხელიშვილი 1977:169)**.

შემდეგი ხანის ცნობა ჩვენ ზევით დავიმოწმეთ ჯუანშერის ჩანართიდან. იქ წერია: „მეფე" არჩილმა „პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფეს წუქეთი" **(ქ. ცხ. 1955:243)**. ამის მიხედვით მკვლევარები ასკვნიან, რომ „წუქეთში მთავარი იჯდა ჯერ კიდევ V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს და მაშინ წუქეთი „საკმაოდ მსხვილ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა" **(თ. პაპუაშვილი 1970:298; შდრ. მუსხელიშვილი 1977:214)**.

რა სტატუსი ჰქონდა ამ ფეოდალურ სენიორიას ძნელი დასადგენია. როგორც ვხედავთ, ჯუანშერი მის ხელისუფალს „მთავრად" იხსენიებს. თ. პაპუაშვილი თვლის: „ჰერეთის ისტორიის მაგალითით დასტურდება, რომ „მთავრობით" იხსენიებდენ შედარებით უფრო დიდი ხელისუფლების მქონე ერისთავებს" **(იქვე:309)**. მაგრამ ქართული წყაროები „მთავრობას" საერთოდ უფროსობის მნიშვნელობითაც ხმარობენ. მაგალითად, „ძეგლი ერისთავთა"-ში ერისთავის კომპეტენციას წარმოადგენს „მთავრობა... მათ ხევთა" **(მესხია 1954:346)**.

თუ ეს „მთავარი" ერისთავს ნიშნავდა, ჯუანშერის მიერ ჩამოთვლილ ვახტანგის საერისთავოებში წუქეთი არაა ნახსენები. დ. მუსხელიშვილი მაინც თვლის, რომ წუქეთი ვახტანგის მიერ დაარსებული ორთაგან ერთი ახალი საერისთავოთაგანი იყო **(მუსხელიშვილი 1977:215)**. ეს სავსებით დასაშვები ჰიპოთეზაა, ვინაიდან ჯუანშერის სია ვახტანგის ადრეულ ხანას ეხება (უფლისწული დაჩი იმ დროს ხუთი წლისაა) და საერისთავოების ნაწილი შეიძლება შემდეგში შეიქმნა. თანაც მემატიანის ჩამონათვალის სრულყოფილებაში ეჭვს ბადებს ის, რომ მასში დასახელებულია „ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა", ე. ი. ქვემო ქართლისა. მაშინ, როცა ეს რეგიონი იმ დროს ცურტავის საპიტიახშოში შედიოდა, სადაც პიტიახშად V ს-ის 50—80-იან წლებში ვარსქენი იყო. მაშასადამე, თუ ადარნასეს და ვარსქენს სხვადასხვა დროის მოღვაწეებად არ ჩავთვლით გამოდის, რომ ერთ საერისთავოს ორი ხელისუფალი ჰყავდა. თუ არა და სამშვილდე თავისი ქვეყნით უნდა გამოვრიცხოთ ქართლის საპიტიახშოდან, რაც ვარსქენის, როგორც ქართლის პიტიახშის საგამგეო ტერიტორიის მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევდა.

საერისთავოების შექმნას სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე განაპირობებდა. ადრე არსებული „ხევები" ვეღარ უზრუნველყოფდნენ სახელმწიფოს მიერ მათ წინაშე დასმულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები კი გამომდინარეობდნენ, როგორც სამეურნეო, ისე სამხედრო-პოლიტიკური ამოცანებიდან. პირველ მათგანში შედიოდა მთისა და ბარის ურთიერთობის მოგვარება, რაც უმთავრესად მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფაში მდგომარეობდა. „მეცხვარეობის განვითარებისათვის საჭირო იყო არა მარტო იალაღების ქონება,—წერს დ. მუსხელიშვილი, —არამედ საკმარისი ფართობი საზამთრო საძოვრებისათვის, რაც რა თქმა უნდა, მხოლოდ ბარში მოიპოვება. ეს ეკონომიკური

ფაქტორი მნიშვნელოვანწილად აპირობებდა ქართლის ბარისა და მთიანეთის ურთიერთობას და საბოლოო ჯამში, ამ ორი კუთხის ერთ ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას" **(იქვე: 217)**. თავდაპირველად საერისთავოები ამ პრინციპის გათვალისწინებით იქმნებიან და არა ეთნიკურისა, როგორც ეს VIII—IX საუკუნეებიდან და საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დროსაც იყო.

მეორე და მთავარი ამოცანა, რაც საერისთავოს უნდა შეესრულებინა, სამხედრო პოლიტიკურს წარმოადგენდა. ერისთავებს ევალებოდათ ლაშქრის ორგანიზაცია და მეფის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა.

ამ ამოცანების მიხედვით იქმნებოდნენ საერისთავოები V ს-ის II ნახევარშიაც. „ვახტანგ გორგასალის საერისთავოები,—წერს დ. მუსხელიშვილი,—ძირითადად, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები იყო დამყარებული ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპზე" **(იქვე: 215)**.

თუ ამ ამონაწერის მიხედვით განვიხილავთ წუქეთის საერისთავოს შექმნის შესაძლებლობას, იგი სავსებით კანონზომიერ ფაქტად წარმოგვიდგება. დადგენილია, რომ „მთისა და ბარის ურთიერთობას...ვახტანგ გორგასალის საშინაო პოლიტიკაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა **(იქვე: 219)**. მან მთიანეთის ბართან დამაკავშირებელი ერთ-ერთ მაგისტრალზე პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნებისათვის ააგო ქალაქი უჯარმა და დროებით იქ გადაიტანა სამეფოს რეზიდენცია.

წუქეთში საერისთავოს დაარსება ანალოგიურ მიზანს ისახავდა. ჯერ ერთი, თვით ეს საერისთავო მთასაც შეიცავდა და ბარსაც. ასე, რომ მათი ურთიერთობა უნდა მოეგვარებინა. მეორეც წუქეთზე გადიოდა ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი, რომელიც ჰერეთს მთიან დაღესტანთან აკავშირებდა. თ. პაპუაშვილი მიიჩნევს რა ამ გზას ჰერეთის ბარის დაღესტნის ტომებთან შემაერთებელ გასავლელად, წერს: „აღნიშნული გასასვლელი გიშის-წყლის ხეობიდან მდინარე სამურისა და მისი შენაკადების აუზებში გადადიოდა, ხოლო აქედან კი იგი უშუალოდ დარუბანდს უკავშირდებოდა"-ო **(პაპუაშვილი 1970: 343)**.

მართალია, მოგვიანო ხანას (IX ს.) ეხება, მაგრამ ამ მხარეში გამავალი გზების დახასიათებისა და სასანურ-არაბულ მონეტების შესწავლაზე დაფუძნებით, წუქეთში შემავალი ხუძანხისა და ბარის ურთიერთობის შესახებ, კარგად დასაბუთებული დასკვნა აქვს მოცემული დ. მუსხელიშვილს. „მაწიმის ხეობით გზა გადადის შუა დაღესტანში,—აღნიშნავს იგი,—ხუნზახში (ავარიის ყოისუს ხეობა), კერძოდ ანწუხის თემში. ხუნზახში გზა გადადის აგრეთვე ლაგოდეხიდან, გავაზ-არეშიდან (დღ. ახალსოფელი და მთის ძირი), კატეხიდან და ბელაქნიდან. ზემოხსენებულის შედეგად, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ხუზანხის გარკვეული ნაწილიც მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ჰერეთის ბართან და, რომ ამდენადვე, ამ უკანასკნელის პოლიტიკური გავლენაც დაღესტნის მთიანეთზე სრულიად რეალური იყო" **(მუსხელიშვილი 1980:94)**. ეს მოსაზრება თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ V საუკუნის II ნახევრის ვითარებასაც.

ზევითნაჩვენებმა მდებარეობამ განაპირობა ის, რომ წუქეთის საერისთავო საუკუნეების მანძილზე იქნა შენარჩუნებული, როგორც მნიშვნელოვანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული.

წუქეთს უნდა შეეხებოდეს ჯუანშერის მონათხრობი ვახტანგ გორგასალის მემკვიდრის დაჩის დროინდელი (VI ს-ის I მეოთხედი) ერთი ფაქტის შესახებ: „ამავე მეფემან დაჩი,—წერს იგი,—დაჰპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოპატელნი" **(ქ. ცხ. 1955:205)**. როგორც ვხედავთ, მთიელთა გაქრისტიანების ეს ცდა წარუმატებლად დამთავრებულა. ალბათ, სამეფო ხელისუფლებას მაშინ ძალები არ ეყო ამ აქციის განსახორციელებლად. მაგრამ ქართლის პოლიტიკური და საეკლესიო წრეები ამ მხარის შემომტკიცებისათვის ქრისტიანობის გავრცელებას ისე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ორი საუკუნის შემდეგ, როცა ამისათვის უკეთესი პირობები შეიქმნა, ეს ამოცანა, ძალის გამოყენებით წარმატებით გადაუჭრიათ. ჯუანშერის ჩანართში „მეფე" არჩილის მიერ ქალაქ ნუხპატის აშენების შემდეგ ნათქვამია: „ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მზეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა (იგულისხმება ქართველთაგან ყრუდ წოდებული არაბი სარდალი მურვან იბნ-მუჰამედი.—გ. მ.) მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლა არჩილ იგინი". **(იქვე: 244)**,

მართალია, ნუხპატის ზუსტი ლოკალიზაცია ჯერჯერობით არ მოხერხდა, მაგრამ „ნუხპატელნ"-ში წუქეთის მოსახლეობა უნდა იგულისხმებოდეს, რადგან მათ ეს სახელი მოსალოდნელია, ახლადაშენებული ქალაქისაგან შეერქვათ (უფრო შესაძლებელია ამ ქალაქს შეერქვა მათ მიხედვით—ნუხპატი) და თანაც, ჩვენთვის ხომ უკვე ცნობილია: მეფე დაჩის დროს „მთიელთა კახეთისათა" რომ „ნოპატოელნი" ერქვათ.

არჩილის წუქეთში მოღვაწეობის შესახები ადგილი „ქართლის ცხოვრებიდან", ზევით ჩვენ უკვე განვიხილეთ, როგორც ვახტანგ გორგასალის დროს წუქეთის საერისთავოს დაარსების დამადასტურებელი ცნობა. მაგრამ იქ უფრო მეტია მოთხრობილი თვით არჩილის საქმიანობაზე. კერძოდ, მემატიანე არჩილს გარდა ნუხპატისა მიაწერს, კასრისა და ლასკუატის ხევში ციხის აშენებას.

თ. პაპუაშვილის ლოკალიზაციით გეოგრაფიული პუნქტი კასრი მდებარეობდა „თანამედროვე კახის რაიონში. კერძოდ, იგი მდებარეობს სოფელ თოფახის სამხრეთ-დასავლეთით, აქ, მაღალ ქედზე, ე. წ. საყარაულოს მთაზე დღემდე შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კასრის საყდარს უწოდებს" **(პაპუაშვილი 1970: 175)**.

ვახუშტის ცნობით ზუსტდება მეფე არჩილისაგან ლაკუასტის ხევში აგებული ციხის ადგილმდებარეობაც. იგი წერს: „მაწის წყლის ჩრდილოთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწაყალისა და აწ უქმი. ამის ზეით, ჩრდილოთ კერძ, ველსაზედა ციხე ლაკუათისა, მდ (44.—გ.მ.) მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული; მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოხერი"

(ქ. ცხ. 1973:543--544). თ. პაპუაშვილს ლაკვათი (ლაგოეთი) ლაგოდეხთან აქვს იდენტიფიცირებული, მაგრამ იგი მისი აზრით წუქეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა (პაპუაშვილი 1970:325).

რამდენადაც ვახუშტის უშუალო ჩვენებით, მაწის წყალი ხუძანხიდან გამოედინება (იქვე: 543), ხუნძანხი კი წუქეთში შედის, მაწის წყლის ჩრდილოეთით მდებარე ციხე ასევე წუქეთში უნდა ჩავთვალოთ. რაც შეეხება არჩილის მიერ ლაკუასტის ხევში აგებულ ციხეს, თუ ის, მართლაც, ლაგოდეხთან უნდა გაიგივდეს, მაშინ გამოდის, რომ იგი „ქართული წყაროებით ცნობილი მაჭის ციხე უნდა იყოს“ (მუსხელიშვილი 1980:94).

თ. პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ „არჩილის სახელთან არის დაკავშირებული ჰერეთის ადმინისტრაციული მოწყობა“. მეფის საქმიანობის ეს მხარე შეეხო წუქეთსაც. როგორც ვიცით, როცა არჩილი „დაჯდა წუქეთს“ მან „პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა (თანამ. ავარიელთა.—გ. მ.) ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი“ (ქ. ცხ. 1955:243). მაშასადამე, აბუხოასროს შეუნარჩუნებია ხელისუფლება და საგამგეო ქვეყანა.

იგივე წყარო აშუქებს მომდევნო ეპოქის ისტორიასაც. „არჩილისავე დროს,—შენიშნავს თ. პაპუაშვილი,—ადგილი ჰქონდა ემიგრაციის, მესამე ტალღას[1] კლარჯეთიდან, და რაც უფრო საყურადღებოა ჩვენთვის ამჯერადაც ემიგრაციის აღნიშნული ტალღა მიმართულია ჰერეთის ტერიტორიისაკენ“ (პაპუაშვილი 1970:177). საუბარია ანონიმის ცნობაზე, რომელიც შეეხება იმ პიტიახშთა ნაწილს რომელნიც „არა შეეშუნეს კლარჯეთს“. მათი „ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავთაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ“ (ქ. ცხ. 1955:244).

ვახუშტი ბაგრატიონი წუქეთში დამკვიდრებულ პიტიახშს ცვლის ადარნასე ბრმის ძმისწულებით, ხოლო აბუხუასროს ქვრივ ნათესავს, აბუხუასროს ცოლით, რომლის შვილებსაც შემდეგ ჰერეთი შაკიხიდან გულგულამდე დაუპყრიათ. მისი გადმოცემა ასეთია: „არამედ ჰერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწუნეს თუალნი მამის ძმასა, და არჩილ მოწამემან მიუბოძა ამას შაკიხი და ცოლი აბუხოსროსი; და ამის ძეთა დაიპყრეს შაკიხიდამ გულგულამდე“ (ქ. ცხ. 1973:557).

უკანასკნელ ცნობას თ. პაპუაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ამას თავისი მიზეზი აქვს. საქმე იმაშია, რომ IX საუკუნის დასაწყისში არაბულ და სომხურ წყაროებში მოიხსენიება შაქის მფლობელი, „მეტად

---

[1] პირველ მიგრაციად მკვლევარი თელის ადარნასე ბრმის ძმისწულის ადარნასე ბაგრატიონის მოსვლას არჩილთან. მისთვის მეფეს სავასალოდ მიუცია შულავერი და არტანი (ქ. ცხ. 1955:243).
მეორე „ტალღა“ იყო იმავე ადარნასე ბრმის კიდევ სამი ძმისწული, რომელნიც არჩილის ვასალობის პირობით დაემკვიდრნენ შაკიხიდან (შაქიდან) გულგულამდე (იქვე: 244).

ენერგიული პიროვნება საჰლ იბნ სუმბატი" ხოლო თუ ვენდობით და მივიღებთ ვახუშტის ცნობას იმის შესახებ,—"შენიშნავს მკვლევარი,—რომ არჩილმა ადარნასეს შაკიხთან ერთად მისცა აბუხოსროს ცოლი, რომელთა შვილებმა დაიპყრეს ტერიტორია „შაკიხიდან გულგულამდე", მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, „რომ იბნ სუმბატი იყო ამ ადარნასეს და აბუხოსროს ქვრივის—ერთ-ერთი შვილის სახელი" **(პაპუაშვილი 1970:186)**. მაშასადამე, გამოდის, რომ ეს უკანასკნელი „ეკუთვნოდა ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთ შტოს" **(იქვე)**.

საჰლ-იბნ-სუმბატი კარგად ცნობილი ფიგურაა ჰერეთის ისტორიაში. მოსე კალანკატუელის გადმოცემით, ჰერეთის ამ მთავარმა შვილთან ადარნასესთან ერთად, 822 წელს, ილაშქრა მარჯვენა ნაპირის ალბანელ მთავართა წინააღმდეგ. ადარნასემ მოკლა უკანასკნელი მიჰრანიდი ვარაზ-თრდატი, ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი სპრამა, ხოლო საჰლ-იბნ-სუმბატმა „არრანშაჰისა" ანუ „რანთა მეფის" ტიტული მიიღო **(იქვე: 188)**.

IX საუკუნის 20-იან წლებში საჰლ-სუმბატს მჭიდრო კავშირი დაუმყარებია, არაბთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ, ჰურიმიტების ბელადთან ბაბექთან. მაგრამ შემდეგ, როცა ჩათვალა, რომ ბრძოლის სოციალურმა ხასიათმა გაძდააჭარბა განმათავისუფლებელს, ჩამოსცილდა ამ მოძრაობას, სათავეში ჩაუდგა სომხეთისა და ალბანეთის ფეოდალებს და 12 წლის განმავლობაში (831—843) ციხესიმაგრე გოროზში (ახლა გორისი) გამაგრებული „არ ცნობდა არც ბაბექს და არც არაბებს" **(იქვე: 190)**. 837 წელს დამარცხებულმა ბაბექმა თავი შეაფარა საჰლ-სუმბატს, მან კი იგი შეიპყრო და ხალიფას გადასცა.

თავიდან ხალიფატმა დიდად დააფასა საჰლ-სუმბატის ეს სამსახური და მას მიუმატეს საგამგეო ტერიტორია და მდიდრულადაც დააჯილდოვეს, მაგრამ, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ, 852 წელს, „იგი თავის ვაჟ ადარნასესთან ერთად დააპატიმრეს და ამიერკავკასიის სხვა მთავრებთან ერთად... ბაღდათში გაგზავნეს, როგორც ტყვე" **(იქვე: 191)**.

ეს აბუხუასროს ქვრივის შესაძლო შთამომავლის შესახებ. მაგრამ როგორც ირკვევა თვით აბუხუასროც არ გადაგებულა უმემკვიდრეოდ. დ. მუსხელიშვილი ყურადღებას აქცევს შემოქმედის მონასტერში ზარზმიდან გადმოტანილ ერთ ფირფიტას, რომელზედაც 1008 წლის თარიღით მოიხსენიება ვინმე ბახტიშორ ხუასრო მეფე. „ჩვენი აზრით,—წერს დ. მუსხელიშვილი,—ბახტიშორ ხუასრო მეფე უნდა იყოს იგივე „ბუხტ-იშო სარირის მფლობელი", რომელიც იხსენიება 1025 წლისათვის" **(მუსხელიშვილი 1980:238)**. სარირი, მისივე განმარტებით, დაღესტანშია „დღევანდელი ავარიის ყოისუს ხეობა, ანუ ქართული წყაროების ხუნზახი-„ღუნძეთი" **(იქვე: 239)**.

ამ ფაქტის გამო ბუნებრივად გაგვახსენდება „მეფე" არჩილის ვასალი აბუხუასრო „რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა ყოველთა წარმართთა მის მთისათა" .დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ ბახტიშორ ხუასრო ხუნზთა მეფის „უშუალო" წინაპარი სწორედ ეს აბუ—ხუასრო

იყო. „ამას არა მხოლოდ მათი მფლობელობის თანხვედრა გვავარაუდებინებს,—შენიშნავს იგი,— არამედ მათი სახელწოდებათა, უკეთ ტიტულთა ინდენტურობაც" **(იქვე.241)**. „ხუასრო" ღუნძთა მთავრების, ერთგვარ ტიტულს წარმოადგენდა", რაც მემკვიდრეობით გადადიოდა და საუკუნეების მანძილზე მეორდებოდა.

მაშასადამე, ქართული წყაროების მიხედვით გამოდის, რომ აბუხუასროს წინაპრებს მემკვიდრეობით შეუნარჩუნებიათ „მეფობა" წუქეთის მთავრობა კი აბუხუასროს ცოლის (თუ ნათესავის ცოლის) მეორე ქმრისათვის მიუბოძებია წმ. მოწამე არჩილს. გამთავრებულის შვილები არ დაჯერებულან მხოლოდ წუქეთს და შაკითხიდან გულგულამდე ჰერეთი უგდიათ ხელთ.

წმ. მოწამე არჩილის ხანაში[1] წუქეთი იმდენად დაწინაურებული და ეკონომიკურად მომძლავრებული ქვეყანა ყოფილა, რომ აქ შესაძლებელი გამხდარა მნიშვნელოვანი საერო და საეკლესიო მშენებლობის განხორციელება. „წუქეთი სამეფო დომენში შედიოდა,— წერს თ.პაპუაშვილი,—ამიტომ სავსებით ბუნებრივი და გასაგებია არჩილის მიერ აქ გატარებული ენერგიული ღონისძიებანი მიმართული ქალაქების დაარსებისაკენ და ძლიერი სტრატეგიული ცენტრების შექმნისაკენ" **(პაპუაშვილი 1970: 299)**. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არჩილის დროს აგებული ციხე-ქალაქები და ტაძრები მიუთითებენ სააღმშენებლო ხელოვნების მნიშვნელოვნად დაწინაურებაზე. „ცხადია, რომ აღნიშნულ ციხე-ქალაქთა მშენებელნი, რომლებიც საფიქრებელია ადგილობრივი ოსტატები იყვნენ, კარგად იცნობდნენ იმდროინდელ საქალაქო-საფორტიფიკაციო არქიტექტურას და ფართოდ იყენებდნენ მის ხერხებს საკუთარ ქალაქთმშენებლობაში" **(იქვე)**.

წუქეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, კახეთის არქიტექტურასთან ერთად, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, შესწავლილი, აქვს გ. ჩუბინაშვილს[2]. მისი და არქიტექტურის ისტორიის სხვა სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექეთის ტაძარი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონი). ამის გარდა საეკლესიო არქიტექტურის მნიშვნელოვან ნიმუშებად ითვლება ყუმის სამეკლესიანი ბაზილიკა და კახ-ბაშის ბაზილიკა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოღწეული (შემორჩენილია მხოლოდ ბალავერი და კედლის მცირე ნაწილი), მაგრამ მაინც შესაძლებელია მისი თავდაპირველი სახის რეკონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც ვარაუდობდნენ, რომ იგი VIII საუკუნის შუა ხანების ძეგლია **(იქვე: 301)**.

---

[1] არჩილის მოღვაწეობის თარიღზე ქართულ მეცნიერებაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ვახუშტი ბაგრატიონისა და დ. ბაქრაძის ქრონოლოგიით, არჩილი მოღვაწეობდა 668-718 წწ.; პ. ინგოროყვას მიხედვით—732—759 წწ.; ქ. კეკელიძისა და მ.ლორთქიფანიძის აზრით, არჩილი აწამეს 787 წლის შემდგომ. დ. მუსხელიშვილის არჩილის „მეფობას" 705—745 წწ. ვარაუდობს. თ. პაპუაშვილი ეთანხმება და თავის გამოკვლევებში ემყარება ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ „არჩილი ქვეყანას მართავდა VIII საუკუნის 40-50-იან წლებში და მეცის სახელსაც ატარებდა" **(პაპუაშვილი 1970:175)**. ეფიქრობთ, ეს ზოგადად განსაზღვრული თარიღი სინამდვილეს შეესაბამება. არჩილის მოღვაწეობის ხანის უფრო დაზუსტება კი არ ხერხდება.

[2] იხ Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 130 და შმდ.

რაც შეეხება ლექეთის ტეტრაკონქს მისი შექმნა მიჩნეულია კოლოსალურ შემოქმედებით აქტად (გ. ჩუბინაშვილი). ლექეთის ტაძრის აღმშენებელმა, წერს თ. პაპუაშვილი, „დაამუშავა ისეთი რთული არქიტექტურული თემა ხუროთმოძღვრებაში, როგორიც არის ტეტრაკონქი წრეში მოთავსებული, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით“ **(იქვე)**. ასეთი კონსტრუქციული ტიპის არქიტექტურული ძეგლები შედარებით მცირეა. არქიტექტურის სპეციალისტები ლექეთის ტაძართან ერთად ასახელებენ კიდევ ოთხ ძეგლს: ტაო-კლარჯეთში—იშხანი (VII ს-ის 30-იანი წლები); ბანა (VII ს-ის შუა ხანები); სომხეთში—ზვარტონცი (VII ს-ის შუა წლები) და ანისის წმ. გრიგოლის ტაძარი (1001 წელი).

არქიტექტურის ისტორიის შესახებ არსებული გამოკვლევების ზოგიერთი ავტორი, სუბიექტივისტური პოზიციებიდან გამომდინარე ლექეთის ტაძრის ქტიტორისა და საამშენებლო სტილის საკითხების განხილვისას აშკარად მცდარ მოსაზრებებს აყენებს, ისინი განხილული და გაკრიტიკებული აქვს თ. პაპუაშვილს **(იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ. 301-306)**. მისი სავსებით სამართლიანი მოსაზრებით, თუ ლექეთის ტაძრისათვის მისი ხუროთმოძღვრის მიერ ნიმუშის აღების საკითხი დადგება, ასეთად უნდა ყოფილიყო იშხანი და ბანა და არა ზვარტონცი.„ჩვენი მოსაზრება რეალურ საფუძველს რომ არ არის მოკლებული,—წერს იგი,—ეს სხვა მონაცემებიდანაც დასტურდება. VIII საუკუნეში „სწორედ იმ ხანაში, როდესაც ლექეთის ტაძარია აგებული ტაო-კლარჯეთის კულტურის ნაკადი ძლიერად უნდა შეჭრილიყო წუქეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში“ **(იქვე: 305)**. ამ მოსაზრებას ადასტურებს წუქეთში VIII ს-ის I ნახევარში ტაო-კლარჯეთიდან მიგრაციის ის ფაქტები, რომლებზედაც ჩვენ უკვე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, იმიგრირებულებს ლექეთის ტაძრის ხუროთმოძღვრის ყურადღება შეეძლოთ შეეჩერებინათ მათთვის კარგად ცნობილ ძეგლებზე—იშხანსა და ბანაზე და არა სომხურ ტაძარ ზვარტონცზე.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ვახუშტის მიხედვით წუქეთი შედიოდა გიშის ეპისკოპოსის სამწყსოში. ამ საეპისკოპოსოს XIII საუკუნეზე უფრო ადრე არსებობის შესახებ პირდაპირი ცნობა წყაროებში არ გვხვდება. მაგრამ ლექეთის ტეტრაკონქის აღმომჩენი და პირველი შემსწავლელი,ა. ხახანაშვილი ფიქრობდა, რომ ეს ტაძარი უნდა ყოფილიყო გიშის საეპისკოპოსოს ცენტრი **(მუსხელიშვილი 1982:49)**, რაც, როგორც ამ ტაძრის მნიშვნელობაზე, ისე გიშის საეპისკოპოსოს სიძველეზედაც მეტყველებს.

როგორც სომეხი ისტორიკოსი ლევონდი გვაცნობებს, 764 წელს, ხაზართა ხაკანს არაბების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მარბიელი ლაშქარი გამოუგზავნია.მემატიანე ასახელებს 7 გავარს, რომელიც ხაზარებს დაუპყრიათ „ქართველთა მფლობელობის ქვეყნიდან“. მათ შორის მეოთხედ დასახელებულია წუქეთი **(იქვე: 120)**. მაშასადამე აქამდე წუქეთი ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში ყოფილა.

VIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლის საერისმთავროს გამოეყო

ჰერეთის სამთავრო. წუქეთი ამის შედეგად „ქართლის საერისმთავროს საზღვრებში დარჩენილა, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც“ (იქვე: 125).

შემდეგ კი თუ მთელი წუქეთი არა ხუნზახი და წახური მაინც ჰერეთის სამთავროში შესულა. ზუსტად როდის მოხდა ეს ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ვახუშტის ორი ცნობა ამაში გვარწმუნებს. ერთის მიხედვით ჰერეთის სამთავროს მაჭის საერისთავოში[1] მას ჩათვლილი აქვს „ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუძანხითურთ“. მეორე ცნობა კი ჩვენ არაერთხელ დავიმოწმეთ. მასში მითითებულია, რომ ჰერეთის მეთაური მღვდელთმთავარი, გიშის ეპისკოპოსი იყო—„მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა“. ამ ცნობების მიხედვით გასაზიარებელია თ. პაპუაშვილის მოსაზრება, რომ: „IX—X საუკუნეებში წუქეთი (უღრის გიშის საერისთაოს) ჰერეთის სამეფოს, ერთ-ერთი საერისთაოს წარმოადგენდა“ (პაპუაშვილი 1970:306). ჰერეთის სამთავროში შესვლის შემდეგ ცალკე წუქეთის შესახებ თხრობის გაგრძელების საჭიროება აღარ არსებობს. ამიტომ ჩვენ დავასრულებთ მსჯელობას იმის აღნიშვნით, რომ ბაგრატ III-ის დროს „თუშეთი, დიდოეთი და წახური (ე. ი. წუქეთი.—გ. მ.) საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში იყო მოხვედრილი“ (ბესსელიშვილი 1980:235).

კახეთისა და ჰერეთის შესახებ თხრობას ჩვენ ქვევით კვლავ დავუბრუნდებით, როცა საუბარი გვექნება ამ ორი ქვეყნის ერთ სამეფოდ გაერთიანებამდელი პერიოდის (IX-X სს.) ისტორიაზე.

[1] თ. პაპუაშვილის დაკვირვებით, ჰერეთის საერისთაოთა სიაში ვახუშტის არ შეაქვს გიშის საერისთავო; თუმცა მან იცის „გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა“ მკვლევარის ვარაუდით, ვახუშტის ასე მოქცევის მიზეზი ის იყო, რომ მისივე გადმოცემით, ჰერეთის მეფეს „კვირიკე დიდს გიშელთა გაშგებლობაში მყოფი ქვეყანა გადაუცია მაჭის ერისთავებისათვის“ (პაპუაშვილი 1970:310).

მეურნეობა და სოციალური ვითარება

საქართველოს გაერთიანების დროინდელი სოციალური წყობილება ქართულ ისტორიოგრაფიაში დახასიათებულია, როგორც ადრეფეოდალურიდან განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი (**ლორთქიფანიძე 1963:259**) ანუ, როგორც დამოწმებულმა ავტორმა ბოლო ხანებში დააზუსტა საქართველოს „გაერთიანება დაემთხვა განვითარებული ფეოდალიზმის საწყის პერიოდს (**ОИГ1988:368**)[1].

საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისის კონცეფცია ჩამოაყალიბა ს. ჯანაშიამ. იგი იყო პირველი მათ შორის ვინაც „ახლებური, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით, საქართველოს ძველი ისტორიის კვლევა-ძიება ახალ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა..მისი ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოს პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ხასიათის, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა-გამარჯვების საკითხები" (**სი61970:72**). ს. ჯანაშიას ამ კონცეფციაში მთავარი ადგილი ეჭირა საქართველოში მომხდარ „ფეოდალურ რევოლუციას", რომელმაც „წარმოების განუვითარებელი მონათმფლობელური წესი შეცვალა ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობით" (**ჯანაშია 1949:170—171; შდრ. საქართველოს ისტორია 1946:86**). ეს შეხედულება საყოველთაოდ აღიარებული იყო ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გარკვეული კორექტივით, რომელიც მასში გ. მელიქიშვილმა შეიტანა. ეს შესწორება შეეხება ქართლში მონათმფლობელური წყობილების არსებობის საკითხს. ს. ჯანაშიას აზრით სტრაბონის წინა საზოგადოება საქართველოში მონათმფლობელური იყო (**იქვე: 154**). გ. მელიქიშვილი კი მიიჩნევს, რომ იბერიაში „მონათმფლობელობამ საკუთრივ წარმოების პროცესში ვერ დაიკავა გაბატონებული ადგილი" (**სი6 1970:499**). ხოლო „იბერიის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ სტრაბონის ცნობათა..: ინტერპრეტაციის შედეგად ირკვევა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ადრეკლასობრივ საზოგადოებასთან, რომელშიც ჯერ კიდევ ძალზე ძლიერია პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთები" (**იქვე:495**)[2]. ე. ი. ფეოდალური წყობილება ქართლში წარმოიშვა არა მონათმფლობელურ საზოგადოებაში მომხდარი

---

[1] ამ შრომას ჩვენ ვიმოწმებთ, როგორც ერთ-ერთ ბოლო ხანს გამოქვეყნებულს, თორემ ანალოგიური მოსაზრებანი გამოთქმული აქვთ სხვა ავტორებსაც. მათ შესახებ იხ. გ. მელიქიშვილი 1973:25--26

[2] გ. მელიქიშვილი, რომ ამ თვალსაზრისზე უკანასკნელ ხანებამდე დგას ამის დასტურია დამოწმებული წიგნის 1989 წელს გამოცემული რუსული თარგმანი, სადაც ციტირებული ადგილი ზუსტად ძველებურადაა დატოვებული (**ОИГ 1989:292**), მაშინ, როცა ამ გამოცემაში ზოგიერთი დებულებები ან ახლებურადაა ინტერპრეტირებული, ანდა შემოკლებულია.

„რევოლუციის“ შედეგად,[1] არამედ იგი წარმოადგენდა საზოგადოების შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის პროცესს, „რომელსაც აქ ფეოდალური ურთიერთობის, ფეოდალური წყობილების ჩამოყალიბებისაკენ მივყავდით“ (იქვე:499).

ეს შეხედულება მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის უარყოფამდე საყოველთაოდ გაზიარებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. თანაც, იმავე მეთოდოლოგიის მოთხოვნით ყოველთვის ხაზგასმით აღინიშნებოდა კლასობრიობისა და კლასობრივი ბრძოლის წინწამოწევის აუცილებლობა, რისი შეუსრულებლობაც ყველა მეცნიერებისათვის, განსაკუთრებით კი, ისტორიკოსისათვის ჰეშმარიტების გაყალბებად და პარტიულობის, თითქოს ობიექტური პრინციპების, ღალატად ითვლებოდა, მისგან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით.

ასეთმა დოგმატურმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ისტორიის ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების განვითარება და ამით ისტორიკოსებს საშუალება წაართვა ობიექტურად გამოეკვლიათ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი საფეხური, როგორსაც ფეოდალიზმი წარმოადგენდა.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ახლა თითქოს ყველაფერი თავიდან იყოს დასაწყები, ანდა რაც გაკეთებულია მთლიანად უარსაყოფია. ისტორია თავისთავად ობიექტური მეცნიერებაა, მას თავისი განვითარების კანონზომიერებები აქვს. წარსულში მომხდარი, ადგილით და დროით განსაზღვრული ფაქტები და მოვლენები „ჯიუტნი“ არიან, ვინაიდან მათი შეცვლა არ შეიძლება. მათი პრაგმატული გადმოცემაც კი ჰეშმარიტების აღდგენის უზარმაზარ შესაძლებლობას შეიცავს, ხოლო სწორი ანალიზი და ინტერპრეტაცია კიდევ უფრო ზრდის ამ შესაძლებლობებს. ასე, რომ ქართული მეცნიერების მიღწევებს ფეოდალიზმის კვლევის დარგში მარქსისტული „ჩენჩის“ ჩამოცილება, კლასობრიობისა და კომუნისტური პარტიულობის დოგმებისაგან განთავისუფლება სჭირდება. ძირითადი მოსაზრებები და დებულებები, რომლებიც მკაცრ ფაქტოლოგიას ეყრდნობა შესანარჩუნებელი და გასაზიარებელია.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით IX—X საუკუნეების საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას შეიძლება a priori ვთქვათ, რომ ამ დროს ევოლუციურად მიმდინარეობდა წარმოშობილ ფეოდალურ ურთიერთობათა ზრდის პროცესი, რომელსაც არ მოჰყოლია წინათ არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური მსხვრევა. აღმავლობის პროცესში მყოფი ახალი ურთიერთობანი, რაიმე მნიშვნელოვანი კლასობრივი შეჯახებების გარეშე იკავებდნენ წამყვან ადგილს საზოგადოებრივ ცხოვ-

[1] ს. ჯანაშია საქართველოში „ფეოდალური რევოლუციის“ მსვლელობაში დიდი ძვრებისა ისტორიული გარდატეხის პერიოდად VI საუკუნეს მიიჩნევდა (ჯანაშია 1949:1). ლ. ჭილაშვილმა ეს თარიღი ორი საუკუნით ადრე გადასწია. „მთელი რიგი მონაცემების მიხედვით ჩანს,—წერს იგი,—რომ ფეოდალური რევოლუცია საქართველოში IV საუკუნის შუახანებშია მომხდარი“ (ჭილაშვილი 1970:4).

რებაში და თავის შესაბამის პოლიტიკურ ზედნაშენს აყალიბებდნენ. ამ ზედნაშენის სახელმწიფოებრივი ფორმის გამოვლინება თავდაპირველად იყო ის შედარებით წვრილი სამეფო-სამთავროები, რომლებიც ქართველი ხალხის მიერ განსახლებულ ტერიტორიაზე წარმოიშვნენ და შემდგომში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის საფუძველი გახდნენ. მათი სოციალური ბუნებისა და როლის შესახებ ქვევით მოგვიწევს საუბარი. ამჯერად კი ჩვენს ხელთ არსებული მასალების გამოყენებით, ყურადღებას შევაჩერებთ გაერთიანების წინარე პერიოდის მეურნეობის მდგომარეობაზე, რამდენადაც ეკონომიკა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განმსაზღვრელი საფუძველთა-საფუძველია.

1. ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობა

როგორც ყველა სხვა ქვეყნის, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს. რამდენადაც ეს გარემო არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი იყო, ქვეყნის სოფლის მეურნეობაც შესაბამისად მრავალდარგიანობით გამოირჩეოდა. საქართველოს გეოგრაფიულ გარემოს, გამყინვარების მომდევნო დროიდან, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია, ამიტომ მისი დახასიათებისათვის შესანიშნავი პირობები გვაქვს. რასაც ვერ ვიტყვით ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობაზე, რომლის შესასწავლადაც, როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა, წერილობითი ხასიათისა „არაფერია შენახული" **(ჯანაშია 1949:90)** და ამ ნაკლის შევსება არქეოლოგიური მონაპოვრების გამოყენებით ხდება.

საქართველოს პირველი ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის. ქვეყნის ტერიტორიის მთად და ბარად დაყოფას მეცნიერი ბატონიშვილი სამეურნეო ეფექტიანობასაც უკავშირებდა. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ვახუშტის ეს კონცეფცია გაცილებით ადრინდელი შეხედულებებიდან მომდინარეობდა და მას ასეთ შეფასებას აძლევდა: „ვახუშტის თხრობიდან ჩანს, რომ უძველეს დროიდან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლების თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და მარცვლეულის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისათვის კი სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა", საფიქრებელია, რომ ძველ ძეგლებშიც მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად კი არა, არამედ ამნაირადვე მთისა და ბარის ზოლებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი" **(ჯავახიშვილი 1980:294)**.

თანამედროვე-ისტორიულ -გეოგრაფიულ გამოკვლევებშიც, არსებითად, შენარჩუნებულია რეალური ვითარების ამსახველი, ლანდშაფტური ზონების ეს ძველად შემუშავებული, ზოგადი გამიჯვნა.

მაგალითად, დ. მუსხელიშვილს ეს საკითხი შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: „ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიას ყოფენ სამ მკვეთრადგამიჯნულ არედ (დიდი კავკასიონის მაღალმთიან მასივად, ანტიკავკასიონის მთიან მასივად და მთათაშორის რიონ-მტკვრის დეპრესიად), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გეოგრაფიული კომპონენტების მთელი კომპლექსით—კლიმატი, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა, ჰიდროლოგიური თავისებურებანი)“ (ОИГ 1988:382).

ამ ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს შესაბამისი იყო საქართველოს ცალკეული მხარე-კუთხეების („ქუეყნების“) სამეურნეო განვითარების შესაძლებლობანი, რომელზედაც მკითხველს ჩვენ უკვე ვუამბეთ.

მეურნეობის განვითარებაზე გეოგრაფიულ კომპონენტთა შორის უველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კლიმატს. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოზე, რომელიც მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანაა (კიკვიძე 1976: 23). ამ თვალსაზრისით საქართველო ორ კლიმატურ—დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონებადაა გაყოფილი.

დასავლეთ საქართველო სამი მხრივ მთებით შემოსაზღვრული მხარეა და მისი მხოლოდ დასავლეთი, შავიზღვისპირა მხარეა გახსნილი. ჩრდილოეთიდან—კავკასიონის ქედი ხელს უშლის. აქ პოლარული ცივი ჰაერის მასების შემოჭრას, ხოლო აღმოსავლეთის (შუა აზიის უდაბნოს) ცხელი ხორშაკის გავრცელებისაგან მას იცავს ქართლ-იმერეთის ანუ ლიხის ანუ სურამის ქედი.ამიტომ რბილ, ნოტიო კლიმატს აქ განსაზღვრავს შავი ზღვა. დასავლეთ საქართველოს ჰავა, ძირითადათ, ხმელთაშუაზღვის კლიმატის თვისებებს ინარჩუნებს, მაგრამ მისგან გამოირჩევა უფრო მაღალი სინატიფით, ნალექების მეტი სიუხვით და მშრალი ზაფხულის სეზონის უქონლობით. ასეთ ზონას ახასიათებენ, როგორც სუბტროპიკული კლიმატის სარტყელში შემავალს.

აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა ხასიათდება კონტინენტურიდან სუბტროპიკულზე გარდამავალად. სურამის ქედი ანელებს შავი ზღვის გავლენას. აღმოსავლეთ და სამხრეთის მხარეებიდან კი ეს რეგიონი ღიაა მშრალი კონტინენტური ჰაერის მასებისათვის. ამიტომ კასპიისპირეთსა და აზერბაიჯანში წარმოშობილი ცხელი ჭარები საგრძნობ გავლენას ახდენს ქართლ-კახეთის კლიმატზე, დასავლეთთან შედარებით აქ ნალექების რაოდენობა თითქმის განახევრებულია. დაახლოებით ასეთივეა ჰაერის სინოტივეც.

საქართველოს ორ დიდ კლიმატურ ოლქად ზევით წარმოდგენილი დაყოფა პირობითია. აქ კლიმატის ცვლილებაში შემჩნეულია, რომ იგი მეტნაკლები სხვაობებით მშრალდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მთიდან ბარისაკენ.

ადამიანმა ამ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან შეგუებული საქმიანობა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის დროიდან დაიწყო. დადგენილია, რომ მიწათმოქმედების განვითარებას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა დაბრკოლება ხვდებოდა და მათ დასაძლევად

სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიება იყო საჭირო. „ბუნებრივია რომ მიწათმოქმედების ხასიათი და სამიწათმოქმედო ტექნიკა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში განსხვავებულია“ **(კიკვიძე 1976:12)**.

ამის შესაბამისად დასავლეთ საქართველოში განვითარებული იყო ურწყავი მიწათმოქმედება. მესაქონლეობა კი საკვები ბაზის უქონლობის გამო აქ ძლიერ შეზღუდულ სახეს ატარებდა.

მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით შუა ბრინჯაოს ხანამდე, თითქმის ანალოგიური მდგომარეობა სუფევდა აღმოსავლეთ საქართველოშიაც. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც ადრე ბრინჯაოს ხანისადაა მიჩნეული, ურწყავი მიწათმოქმედების კულტურა იყო **(იქვე:49)**. მესაქონლეობის განვითარებაზე აქაც ზედმეტია საუბარი, რადგან ეს დარგი დიდადაა დამოკიდებული მიწათმოქმედებაზე. არაინტენსიურ ურწყავ მიწათმოქმედებას კი პირუტყვისათვის საკვები ბაზის შექმნა არ შეუძლია.

ვითარება არსებითად იცვლება შუა ბრინჯაოს ხანიდან, როცა მოსახლეობამ აითვისა, მთისწინა ზონა, სადაც მორწყვის მარტივი სისტემით შეიძლებოდა მოსავლის მოყვანა. და, თანაც, იყო მიწათმოქმედების მოურწყველად წარმოების პირობებიც **(იქვე: 89)**. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ „შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოსახლეობა თანდათან იწერს აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა ზოლს და ბარს“ **(იქვე: 92)**, სადაც თითქმის ყველგან მართავს საირიგაციო სისტემას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მორწყვის ადგილი მ. გეგეშიძეს ასე აქვს განსაზღვრული: „მორწყვა განხილული უნდა იქნეს, როგორც ერთერთი ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიება საქართველოს ბარისა და მთის მიწათმოქმედებაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა წყლის სამეურნეო მნიშვნელობა მასში შემავალი გაუხსნელი (სატივტივებელი), თუ გახსნილი ნივთიერების მიხედვით. წყლის შლამის (ლამი, ლეკა) გამოყენება საქართველოს მიწათმოქმედებაში ფართოდ გავრცელებული და უძველესი მოვლენა ჩანს“ **(გეგეშიძე 1961:229)**.

მორწყვის საქმის მოგვარება მარტო მიწათმოქმედების საჭიროებით კი არ იყო განპირობებული, არამედ იგი აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მესაქონლეობისთვისაც. ამ თვალსაზრისით ხაყურადღებოა ი. კიკვიძის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც, თავდაპირველად წყალს სათიბებისა და საძოვრების მოსარწყავად იყენებდნენ, ხოლო მორწყვის გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ ნათესების მორწყვაზედაც გადავიდოდნენ **(კიკვიძე 1976:40)**.

როგორც ვხედავთ, წარმოებითი მეურნეობის ორივე დარგის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების ახალი დონის მიღწევა, მათი ინტენსიურ მეურნეობად გადაქცევა, მორწყვით მიწათმოქმედებაზე გადასვლამ დააჩქარა. საირიგაციო საქმიანობასთანაა დაკავშირებული მოსახლეობისა და დასახლებების საგრძნობი ზრდა, შუა ბრინჯაოს დასასრულიდან ანტიკური ხანის ჩათვლით. არქეოლოგიური ძიებების გზით ეს პროცესი თვალსაჩინოდაა დადასტურებული შუა ქართლის მთისწინა ზონაში,

მდინარე დებედასა, და მისი შენაკადების ხეობებში. იორ-ალაზნის აუზში (იქვე: 87-90). ურწყავი მიწათმოქმედება კვლავ რჩება მეურნეობის ძირითად დარგად დასავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მთისძირა სექტორსა და გარე-კახეთში. ამავე ხანებში აშკარად გამოკვეთილია მესაქონლეობის უპირატესი განვითარების ზონები: ქვემო ქართლის ვაკე, წალკის, ზურტაკეტის პლატოები, ყარაიასა და გარდაბნის ველები (იქვე).

სარწყავი მიწათმოქმედება შრომატევადი საქმიანობაა. რუსა თუ არხის გაყვანა ერთ ოჯახს ან გვარს არ ხელეწიფება. ამ საქმეში მუშაკთა დიდი კოლექტივი უნდა იქნეს ჩართული. ეს საქმე იმდენად რთულია, რომ ს. ჯანაშია ვარაუდობდა ქართლის რუსხმულების გაყვანაში მონათა დიდი კონტიგენტების მონაწილეობას (ჯანაშია 1949:155).

ი. კიკვიძე, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა საქართველოში მიწათმოქმედების წარმოშობისა და განვითარების ისტორია, კატეგორიულად და სავსებით სწორად ასკვნიდა: აღმოსავლეთ საქართველოს „ბარის სამიწათმოქმედოთ ათვისება დიდი საირიგაციო მშენებლობის გარეშე არ შეიძლება"-ო. ამას იგი შემდეგნაირად ხსნიდა: „ზემო-შიდა ქართლი აღმ. საქართველოს ვაკეებში შედარებით ზომიერი კლიმატის შემცველია. უფრო მშრალი და ინტენსიური სარწყავებია ქვემო ქართლის ვაკე, ყარაია-გარდაბანის ველები, სამგორის ველი, ივრის და ალაზნის ქვემო ნაწილი და სხვა ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მიწათმოქმედება მთლიანად განსაზღვრული იყო ირიგაციით. ამიტომ ბარის ინტენსიური დასახლება გვიან იწყება, უკვე ადრეკლასობრივი საზოგადოების პირობებში, როდესაც დიდი მასშტაბის, სამუშაოების საორგანიზაციოდ შესაბამისი ინსტიტუტი არსებობს. ეს ინსტიტუტი ქართლის ძველი სამეფოა, რომელსაც, ალბათ, ეკუთვნოდა ინიციატივა, სარწყავი სისტემების მშენებლობის ხელმძღვანელობა კი უშუალოდ ტაძრებს უნდა ეკისრათ" (კიკვიძე 1976:121).

მორწყვის სისტემების შექმნაში ცენტრალიზებულ ხელისუფლებას მ. გაგეშიძეც დიდ როლს ანიჭებდა. მისი თქმით საქართველოში ანტიკურ ხანაში ასეთი სისტემების შექმნა იმანაც განაპირობა, რომ აქ სამეფო ხელისუფლება ფეოდალიზმამდე ჩამოყალიბდა (გაგეშიძე 1961:145).

ტაძრები მართლაც გამოდიან აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეზე ძირითადი საირიგაციო მშენებლობების ფაოსნებად და ჩამტარებლებად. ეს ტაძარს ხელეწიფება, რადგან მას დიდძალი უფასო მუშახელი ჰყავს და თანაც, დაინტერესებულია ამ საქმის წარმატებით, რაც მას საშუალებას აძლევს დიდი მემამულე და მესაკუთრე გახდეს (კიკვიძე 1976:116).

შიდა ქართლის ვაკეზე სამი დიდი სარწყავი ერთეულია. ესენია: დოლაღაურის, ტირიფონისა და მუხნარის ველები. სარწყავი სისტემების გატანა აქ გაცილებით უფრო ძნელია ვიდრე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვინაიდან ველების ტაფობის გადალახვა რუსხმულების[1] გარეშე არ შეიძლება.

[1] რუსხმული ჰქვია დაბლობიდან მაღლობზე წყლის ასაყვანად, მაღლა აშენებულ რუს.

დოლაღაურის ველი ანტიკურ ხანაში უკვე ირწყვებოდა. აქ დადასტურებულია ყაიბულის ზედა და ქვედა რუების არსებობა, რომლებიც ვრცელ ტერიტორიას რწყავდნენ. დოლაღაურის ველზე ამათ გარდა მოქმედებდა ფციადან და ფრონეღან გამოტანილი რუები, რომლებიც არადეთის მიწებს ასარწყავებდნენ. დასახელებულ რუთაგან, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ზედა რუ. მისი „სიგრძე 5 კმ-ია, სიმაღლე 8 მ, ფუძის სიგანე-80 მ., მის მოსაწყობად 300 ათასი კბმ. მიწა უნდა შეეზვინათ" **(იქვე: 125)**. ასეთი დიდი სამუშაოს ჩატარება ისე მცირე დასახლების მიერ, როგორიც ადრეანტიკური ურბნისი იყო, ვერ მოხერხდებოდა. ი. კიკვიძე ვარაუდობდა, რომ ურბნისთან გორაზე აღმოჩენილი ძვ.წ. III საუკუნის ნაგებობის ნაშთი ტაძარი უნდა ყოფილიყო. „მაშინ რუს გამოღება უნდა მომხდარიყო ძვ. წ. II—I საუკუნეებში" **(იქვე:126)**.

ტირიფონის ველი შიგა ქართლის ცენტრში მდებარეობს. ამ ველზე ანტიკური ხანის რაიმე დიდი დასახლება არა ჩანს. მტკვრის სანაპიროზე მდებარე მნიშვნელოვან პუნქტთაგან კი ხელოვნური მორწყვით ყველაზე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო უფლისციხე, ვინაიდან „ტირიფონის ველი უფლისციხის სასოფლო-სამეურნეო უბანია" **(იქვე: 128)**. ამ დასახელებას სხვა სავარგულები არ გააჩნია. მაშასადამე, ტირიფონის სარწყავი არხი უფლისციხის ინიციატივითაა გატანილი. ამ საქმეში არამცირედი იქნებოდა იმ სამლოცველოს (ტაძრის) როლიც უფლისციხის დასავლეთით ყანთლის ხევში რომაა აღმოჩენილი. რაც შეეხება არხის გატანის დროს „შეიძლება ტირიფონის სარწყავი სისტემა ელინისტური ხანით დავათარიღოთ" **(იქვე)**.

ანტიკურ ხანაშივე ყველაზე ინტენსიურად ირწყვებოდა მუხრანის ველიც. „ეს რაიონი,—წერდა ს. ჯანაშია,— შესაძლებელია ყოფილიყო ძველი ქართლის მეფეთა ძირითადი და, იქნებ, უძველესი დომენი" **(ჯანაშია 1949:264)**. ბ-ნი სიმონი წილკნელის „ცხოვრებაზე" დაყრდნობით. ვარაუდობდა რომ ამ რაიონში ახ. წ. VI საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე გაუყვანიათ არხი **(იქვე)**.

ი.კიკვიძეს კი დადგენილი აქვს, რომ მუხნარის ველს, ელინისტურ ხანაში, სამი რუ რწყავდა. ერთი ეს იყო ს. ჯანაშიას მიერ დასახელებული ე. წ. „საგლახო რუ",რადგან ისინი სამეფო დომენში გაედინებოდნენ და „სეფე მიწებს რწყავდნენ, ცხადია, ეს არხები ქართლის მეფის ხარჯით და ძალებით იქნებოდა აგებული. ამის შესახებ ი. კიკვიძე წერდა: „სამივე რუ ქმნის მუხრანის ერთიან სარწყავ სისტემას ისე, რომ ბარდავიდან ვიდრე კვერნაქამდე და კვერნაქის სამხრეთით ირწყვება სამიწათმოქმედოდ გამოსადეგი ყოველი მიწის ნაკერი, ამიტომ მცხეთისა და „სეფე სახლის" როლი სამივე არხის გატანაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს" **(იქვე: 129)**.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ძველი ქართული ტრადიციაც. „მოქცევაჲ ქართლისაში" ვკითხულობთ, რომ ნასტაგისის რუ (იგივე მუხრანის დიდი რუ) ალექსანდრე მაკედონელმა გაიტანა, როცა იგი სარკინე ქალაქს უშედეგოდ ებრძოდა **(ძეგლები 1964:81)**. მაგრამ რამდენადაც ალ. მაკედონე-

ლი ქართლში არასოდეს ყოფილა, წყარო მას უნდა მიაწერდეს, ისევე როგორც ბევრ სხვა ღონისძიებას, სამეფო ხელისუფლების მიერ მუხრანის ველზე არხის გაყვანასაც. ვფიქრობთ, თუ აქ მოქმედი პერსონაჟები შეცვლილია, ასეთი ოპერაცია არ ჰგავდება მოქმედების დროსა და მიზეზს. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მუხრანის დიდი რუ ელინისტური ხანის დასაწყისშია გატანილი. ხოლო იგი, რომ ვენახის მორწყვას ემსახურებოდა ეს ფაქტი წყაროში რამდენიმეჯერაა ხაზგასმული.

რამდენიმე მნიშვნელოვანი სარწყავი სისტემა მოქმედებდა მუხრანის ველიდან აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში. ანტიკურ ხანაში ჯვარი—ზედაზნის ფერდობების მოსარწყავად გამოიყენებოდა მდ. არაგვიდან ჟინვალთან სათავის მქონე რუ. რომელიც შუა საუკუნეებშიც მოქმედებდა და სამგორის ველსაც რწყავდა (**კიკვიძე 1976:133**).

ამავე ხანაში დადასტურებულია სარწყავი არხის არსებობა, რომელიც დიღმის მასივ-დასახლებასა და მის მიდამოებს რწყავდა (**იქვე: 134**).

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ხდება რუსთავისა და მისი ჩევის დაწინაურება. რაც ასევე სარწყავი მიწათმოქმედებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ქალაქი გაშენდა და გაიზარდა იმ ადგილას, საღაც რუს სათავე იყო, რომელიც კუთხეში ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების ბედს სწყვეტდა (**იქვე**).

დ. შუსხელიშვილის გამოკვლევით, უჯარმას დაწინაურების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ის, რომ იგი იორის აუზის მრწყველ რუების სათავეებში მდებარეობდა (**შუსხელიშვილი 1966:27**).

ამ რუების სისტემის შექმნის დროდ ი. კიკვიძეს ანტიკური ხანა მიაჩნდა. „ამ ხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო სარწყავ სისტემათა ის ჯაჭვი,—წერდა იგი,—რომელსაც ეყრდნობა იორის აუზის ინტენსიური მიწათმოქმედება. ნინოწმინდის რუ, გიორგიწმინდის რუ, სიღარიბის რუ, ხალაჯების რუ და მრავალი სხვა—ქმნიან სარწყავი არხების საკმაოდ ხშირ ქსელს, რომელიც რწყავს ივრის მიმდგომ ველს ნინოწმინდიდან ვიდრე მანავამდე" (**იქვე: 136**).

სიდიდითა და ექსპლოატაციის სირთულით საქართველოში ყველას აჭარბებდა, ანტიკურ ხანაში გატანილი, ალაზნის არხი. მისი სიგრძე შეადგენდა 119 კმ-ს და რწყავდა 53 ათას კვ. კმ-მდე ფართობს. ე. ი, ფაქტობრივად მთელ ალაზნის ველს. „ბუნებრივია,—წერს ი. კიკვიძე,—რომ ასეთი დიდი არხის გატანას და შემდეგ ექსპლოატაციას ერთი ნება, საკმაოდ ძლიერი ხელისუფლება სჭირდება. ასეთი ხელისუფლების მქონე ინსტიტუტი. სავარაუდოა, ქართლის სამეფო სახლი და სტრაბონის მიერ ალბანეთში აღნიშნული მთავარის ტაძარი იყო" (**იქვე:137**). ეს ტაძარი ს. ჯანაშიას ვარაუდით უნდა არსებულიყო დღევანდელი ალავერდის ტაძრის ადგილზე (**ჯანაშია 1949:157**).

ანტიკური ხანის სარწყავი სისტემების შესახებ შედარებით ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ ფაქტობრივად მათ განსაზღვრეს აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ასპექტები, მე-

ტად ხანგრძლივი დროის მანძილზე. სოციალურ სფეროში ეს იყო კერძო საკუთრების ფაროდ დამკვიდრება სოფლის მეურნეობის ორივე უმთავრეს დარგში — მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში, ხოლო ეკონომიკაში—ის გარდატეხა რაც ორივე ამ დარგში მოხდა ინტენსიურ მეურნეობად მათი გადაქცევის სახით.

მიწათმოქმედებაში კერძომესაკუთრულ მეურნეობაზე გადასვლა ყველაზე კარგად ჩანს მევენახეობის მაგალითზე. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოში წარმოების არც ერთ დარგს ისე არ გაუზრდია კერძომესაკუთრეობის ტენდენცია მიწაზე, როგორც მევენახეობას, რომლის ინტენსიფიკაციაც მჭიდროდ უკავშირდებოდა „მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურას“ (**ბერძენიშვილი 1964: 395**).

ი. კიკვიძე სამართლიანდა ეკამათებოდა იმ არქეოლოგ-ისტორიკოსებს, რომლებიც ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში, კავკასიაში მევენახეობა-მებაღეობის განვითარებას ვარაუდობდნენ[1]. ამ დროს როცა მეურნეობაში მორწყვა არ იყო გამოყენებული, მევენახეობა-მებაღეობის წარმოება არ შეიძლებოდა. „განა სპეციალისტმა შეიძლება დაუშვას,—წერდა იგი, — რომ წალკისა და ჯავახეთის პლატოებზე ვენახი ხარობდა და ურბნისში, შიდა ქართლის ცენტრში, სადაც სიცხისაგან სარდაფში მიწაში ჩაგდებულ ქვევრებშიც ფუჭდება ღვინო, შეიძლება იგი ფარცხისებურ ნაგებობებში იატაკზე მდგარ ჭურჭელში ინახებოდეს“ (**კიკვიძე 1976:82**).

ამის გარდა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მევენახეობა-მეხილეობა ვერ ურიგდება წარმოების კოლექტიურ წესს და კერძო ინიციატივას მოითხოვს. და როცა მიწაზე თემური საკუთრება არ არის შემაგრებული სარწყავი მიწათმოქმედებით, კერძო ინიციატივით გაშენებული ბაღი და ვენახი კერძო საკუთრებაში გადადის.

სამეურნეო სპეციფიკურობის გამო „ვენახი და ბაღი აღმოსავლეთ საქართველოში პირველად ტაძრის მამულებში უნდა გაშენებულიყო,—აღნიშნავდა ი. კიკვიძე,—ტაძარს უფასო მუშახელი ჰყავს და მის ხელშივეა სწორედ სარწყავი წყალი და სხვა. ამიტომ განვითარება ისეთი შრომატევადი დარგისა, როგორიც მევენახეობაა, შედარებით უმტკივნეულოდ უნდა მომხდარიყო. ვენახის გაშენება მალე მეთემეების სარგებლობაში გამოყოფილ ნაკვეთებზედაც უნდა დაწყებულიყო. ვენახი დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვს, რომლის ნაყოფს მეურნე მრავალი წელი იმკის. ამიტომ ცდილობს, რომ მისი გაშენებული ვენახი იქნება თუ ბაღი, მუდმივად მისი და მისი შვილების სარგებლობაში იყოს. სავსებით ცხადია, რომ ერთი და იმავე ნაკვეთის ერთი ოჯახის სარგებლობაში ხანგრძლივად ყოფნა მას ფაქტობრივად, კერძო საკუთრებად აქცევს. ყოველი მებაღე-მევენახე ამისათვის იბრძვის. ამავე დროს კარგი ბაღი და ვენახი ყოველთვის შეიძლება ვაჭრობის საგნად იქცეს“ (**იქვე:116**).

---

[1] ეს ვარაუდი ემყარება თრიალეთის დიდ ყორღანებში მოპოვებული ოქრო-ვერცხლის თასების ღვინის სასმისებად, ხოლო მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში აღმოჩენილ სამყურა ჭურჭლების ღვინის დასაყენებელ ქვევრებად მიჩნევას.

ეს ვრცელი ამონაწერი თვალნათლივ აჩვენებს თუ, როგორ აჩქარებდა მევენახეობა-მებაღეობა მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებას. მაგრამ ეს პროცესი მნიშვნელოვანი სიძნელეებითაც ხასიათდებოდა. ამის მიზეზი იყო, ის რომ ვენახს გაცილებით ინტენსიური მორწყვა ჭირდება, ვიდრე სხვა რომელიმე კულტურას. წყალი კი თემისაა, მეთემეთა დიდი მასის მიერაა გაყვანილი და თანაც, ყოველწლიურად ასეთივე მასის მხრივ მოვლა-პატრონობა ჭირდება. ვენახი შეიძლება ერთმა ოჯახმა გააშენოს, მაგრამ მორწყვას ეს ოჯახი ვერ უზრუნველყოფს. არხის გატანას, ასევე გამოიყენებას თემის, შეიძლება მთელი ხევის შრომა დასჭირდეს. ეს ვითარება სათემო მიწების კერძო პირთა ხელში გადასვლას აბრკოლებს, მიუხედავად ამისა მაინც ადგილი აქვს მევენახეობის მძლავრ განვითარებას. რაც, როგორც ი. კიკვიძე შენიშნავდა, „მოწმობაა იმისა, რომ აღმოსავლეთ ქართულმა ტომებმა გამოსავალი ამ მდგომარეობიდანაც გამონახეს" არქეოლოგების მიერ ნამოსახლარებზე ქვევრების მასობრივად გავრცელება, ვენახების კერძო მფლობელობაში მოქცევის საბუთია **(იქვე)**. ერთი გამოსავალი შექმნილი ჩიხიდან უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ სახლის მიერ კულტმსახურების უზურპაცია. რის შედეგადაც სათემო მიწების საუკეთესო ნაწილი უზურპატორი სახლის უსასყიდლო მფლობელობაში, ფაქტობრივ კუთვნილებაში გადადიოდა.

ეს კერძო მესაკუთრული ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება მეურნეობის შემდგომი განვითარებისას, როდესაც, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა „ეკონომიკურად დაწინაურებული სახლები და პირველ თავში მეუფე-მამასახლისის სახლი გადადგამს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაბიჯს. ის ინდივიდუალურად აწესრიგებს დიდი ველის მორწყვის საქმეს და co ipso ამ მორწყულ ველსაც როგორც მესაკუთრე ეუფლება" **(ბერძენიშვილი 1964:424)**.

სარწყავი სისტემების შექმნა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მესაქონლეობაზედაც. ვენახებისა და ბაღების გამრავლება, ბუნებრივია, საყანე ნაკვეთებისა და საძოვრების ხარჯზე ხდებოდა. ყანების ვენახებით შეცვლა მოსახლეობის საკვების შემცირებას გამოიწვევდა, ვინაიდან ყანა უფრო საჭირო საკვებ პროდუქტს იძლევა ვიდრე ვენახი. ამ ვითარებისათვის შეგუება შეუძლებელი იყო. მოსახლეობა საკომპენსაციოდ ახალ სამიწათმოქმედო სავარგულებს ითვისებდა და მათ გასარწყავებას ახდენდა. რაც ფაქტობრივად ბარში საზამთრო საძოვრების მნიშვნელოვან შევიწროებას მოასწავებდა. ეს ართულებდა დამოკიდებულებას მიწათმოქმედებსა და მესაქონლეებს შორის. მესაქონლეებს ან მომთაბარეობისათვის უნდა დაენებებინათ თავი და მიწათმოქმედებით მოპოვებული საკვებით დაკმაყოფილებულიყვნენ, ანდა მთაში გადასახლებულიყვნენ, სადაც ალპური საძოვრებისა და სათიბების ხარჯზე პირუტყვის შენახვა შესაძლებელი იყო.

საქართველოს მთიანეთი არქეოლოგიურად მოლიანად შეუსწავლელია და ამიტომ დოკუმენტალურად რაიმე მოსაზრების დამტკიცება ვერ ხერხდება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ზედაპირულად მოპოვებული არქეოლო-

გიური ნივთები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ჩვენი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებზე, უფრო ადრინდელი ხანისა არ არის, სავარაუდებელს ხდის ამ მხარის მოსახლეობის მიერ ათვისების დროდ გვიანანტიკური ხანა მივიჩნიოდ. ამ მოვლენას ი. კიკვიძე ინტენსიური მიწათმოქმედების მომთაბარე მესაქონლეობასთან შეუთავსებლობით ხსნიდა. სწორედ ამიტო არის, — წერდა იგი, — რომ მომთაბარენი ბარიდან ნელ-ნელა იდევნებიან და ადრეფეოდალურ ხანაში საბოლოოდ იკავებენ საქართველოს მთიანეთს, ქმნიან რა იქ, მესაქონლე ხეობებს (იქვე: 150).

დიდი ველების გასარწყავებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ რუკაზე. ურწყავი მიწათმოქმედების კრიზისმა მოსახლეობა გორა-ბორცვებიდან და მთისწინა ზონიდან ბარში ჩამოიყვანა: „ანტიკურ ხანაში, — წერდა ი. კიკვიძე, — მიმდინარეობს ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისების პროცესი, რომელსაც თითქმის ყველგან გასარწყავებით იწყება“ (იქვე: 139) ბარის სამეურნეოდ ათვისებამდე ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს ხევი წარმოადგენდა. მის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობდა უკვე არსებული გეოგრაფიული გარემო. ხევი — სამეურნეო ერთეული და ხევი — გეოგრაფიული ერთეული ერთმანეთს ემთხვეოდა. თანაც ხევი, როგორც სამეურნეო ერთეული მთაც იყო და ბარიც. რკინის ხანაში ხევი ახლებურად ეწყობა. „ხევს ქმნის ამა თუ იმ მდინარის ხეობა, ამ მდინარიდან გამოღებული სარწყავი რუებით“ (იქვე:146).

იგივე პრინციპი ედება საფუძვლად ანტიკურ ხანაში წარმოშობილ ქალაქებსაც. დიდი სარწყავი სისტემები ქალაქს, როგორც სამეურნეო ერთეულს საკუთარი ქვეყნის შემოკრების პერსპექტივას უქმნის. ამ ქვეყნის სივრცე დამოკიდებულია იმ სარწყავი სისტემის სიდიდეზე, რომელსაც იგი აკონტროლებს. ე. ი. ყალიბდება ახალი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულები. იგივე სარწყავი სისტემა თვით ქალაქზედაც მოქმედებს. ქვეყანასა და ქალაქს შორის დამოკიდებულება არაერთგვაროვანი ხდება.

სარწყავი მიწათმოქმედების, კერძოდ მევენახეობის განვითარებამ, როგორც ვთქვით, კერძომესაკუთრული მეურნეობის წარმოშობა დააჩქარა. რამაც ფეოდალიზაციის პროცესი გამოიწვია. ამან ქალაქებს გამოაცალა ქალაქობის ეკონომიკური საფუძველი და იგი გასაფლების გზაზე დააყენა. მაგრამ მიუხედავად ამისა, „ამ დროს განსაკუთრებით ძლიერდებიან ის პუნქტები, რომლის ეკონომიკური საფუძველი ადრე სოფლის მეურნეობა იყო“ (იქვე: 147) და ეს ანტიკური ქალაქები მაინც ბატონობენ მათ ქვეყნებზე, ვინაიდან „ეს გასაფლებული ქალაქები სარწყავი წყლის პატრონები არიან“ (იქვე), ანდა რუს სათავე მათ ხელშია, იმ ქვეყნის მეურნეობის ბედი, რომელსაც ეს არხი რწყავს ამის მიხედვით წყდება.

უფრო მერყევი გახდა იმ ქალაქების ბედი, რომელთა ბატონობა კულტით იყო განპირობებული. მართალია, რადგან სარწყავი წყალი მათი ღვაწლის შედეგს წარმოადგენდა, ისინი უფლებებს მანამდე ინარჩუნებდნენ ვიდრე საკულტო ცენტრებად რჩებოდნენ, მაგრამ სამეფო ხელისუფლების

წარმოშობის მომენტში ეს ხელისუფლება ტაძრებსაც ეპატრონება („ამანვე ფარნავაზ შექმნა, კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა"; **ქ. ცხ. 1955:25**). ხოლო მომძლავრების შემდეგ „მას თავისი ხელისუფლების გასამტკიცებლად ტაძარზე ძლიერი ძალა — შეიარაღებული რაზმი, მხედრები ჰყავს". **(კოკვიძე 1976: 145)**. მეფის ხელისუფლება, რომელიც ახალ თავის კულტს ქმნის, ბუნებრივად უპირისპირდება ძველი კულტის თაყვანისმცემელ ტაძარს. „ სამეფო სახლსა და ტაძარს შორის სხვაობა კიდევ უფრო ღრმავდება და წარმოიშვება კონფლიქტი" **(იქვე)**. იგი ტაძრების სრული მარცხით დარსულდა. სამეფო ხელისუფლებამ ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადა. ტაძრის მთელი ქონება და მასთან ერთად მათი კუთვნილი სარწყავი სისტემები მეფის ხელში გადავიდა. ასე გადაწყდა იმ ქალაქების ბედი, რომელთა საკუთარ ხევ-ქვეყანაზე ბატონობა კულტით იყო განპირობებული.

მაგრამ ფეოდალურ ხანაში ურბანიზაცია უფრო შესამჩნევი პროცესია. ესეც მიწების გასარწყავებაზეა დამოკიდებული. უკვე გვიანანტიკური ხანიდან ციხე-ქალაქებით იფარება მთისა და ბარის ის შესაყარი პუნქტები, რომლებიც არხების სათავეებთან მდებარეობენ. „მათ ხელშია ბარის სამეურნეო სიძლიერის წყარო და ბუნებრივად ბატონობენ ამ არხებით მორწყულ ქვეყანაზე" **(იქვე: 147)**.

ცხადია, ფეოდალური ქალაქის წარმოშობასა და განვითარებას სხვა, უფრო მთავარი, სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები აქვს. რასაც ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით, მაგრამ ზოგიერთი პუნქტის აღზევებასა და ხევ-ქვეყნების ცენტრებად გადაქცევაში, საირიგაციო ნაგებობათა მნიშვნელობის გათვალისწინება, აუცილებელია აღმოსავლეთ საქართველოში ფეოდალური ქალაქის გენეზისის ნამდვილი სურათის სრულყოფილად წარმოდგენისათვის.

როგორც ვხედავთ, მორწყვითი მიწათმოქმედების განვითარებამ მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ადამიანის საქმიანობის ბევრ სფეროში. უდავოა ისიც, რომ სოფლის მეურნეობის შედარებით ახალი დარგის — მევენახეობის წინსვლასთან ერთად, ამ პროცესს შედეგად მოჰყვა ნაყოფიერების ზრდა მემინდვრეობასა და მეხილეობაში. შეიქმნა მტკიცე საკვები ბაზა მესაქონლეობისთვისაც. ასე, რომ ადრეფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დამამთავრებელ პერიოდს ქართული სოფლის მეურნეობა თვისობრივად ახალ დონეზე მდგომი შეხვდა.

„IX—X საუკუნეების საქართველო, — წერს მ. ლორთქიფანიძე, — განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. განვითარების მაღალ დონეზეა მემინდვრეობა, მებაღეობა,მებოსტნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა" **(სიხ 1973:323)**.

ამ პერიოდის ეკონომიკური აღმავლობა არ იყო რეგიონალური ხასიათისა. არაბთა დიდი იმპერიის — სახალიფოს დაშლას შედეგად მოჰყვა რიგი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა. ამ პოლიტი-

კურ ფენომენს საფუძვლად ედო არა მარტო სეპარატისტული მისწრაფებანი, არამედ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა ცალკე ეკონომიკურ ერთეულებად გადაქცევა. პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ კი ახალი სამეურნეო აღმავლობა გამოიწვია. წინა აზიაში, IX—X საუკუნეებში, საწარმოო ძალთა ზრდის მიზეზად მიჩნეულია ფეოდალურ სახელმწიფოებში აკრეფილი გადასახადების გამოყენება ირიგაციის განვითარებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პროგრესისა და შედარებით მშვიდობიანი პერიოდის დადგომის გამო გლეხობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესებით (Всемирная история, т. III, მ. , 1957:119).

სახალიფოს დაშლას და არაბთა ბატონობის შესუსტებას ანალოგიური ეფექტი ჰქონდა საქართველოშიაც. რადგან ჩვენი ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად იყო დაკავშირებული მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იქ დაწყებულმა სამეურნეო აღმავლობამ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზედაც დადებითად იმოქმედა. მაგრამ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ადგილობრივ ეკონომიკურ პოტენციალსა და ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობას ჰქონდა.

მართალია, ამ დროს საქართველო ერთიანი ქვეყანა არ იყო, მაგრამ რამდენადაც არაბთა შემოსევები და ბატონობა ქართველი ხალხით დასახლებული ტერიტორიის უდიდეს ნაწილს შეეხო, ამდენად მთელს ამ ტერიტორიაზე მეურნეობის აღდგენისათვის თითქმის ერთნაირი სახის სამუშაოები იყო ჩასატარებელი. ამას ემატებოდა მემინდვრეობის, მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობისათვის ახალი ტერიტორიების გაზრდის აუცილებლობა. ამ მიზნით ტყეების გაკაფვა, ყამირის დამუშავება, გვალვიანი სტეპის გასარწყავება, დამლაშებული მიწის ამოშრობა. ამ დიდად შრომატევადი საქმიანობის წარმატებით შესასრულებლად მოსახლეობის მრავალრიცხოვნება და, რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესება იყო საჭირო.

არაბთა გადაშენების მომდევნო შედარებით მშვიდობიან პერიოდს, რომ მოსახლეობის მომრავლება მოჰყვა შედეგად, ამას ადასტურებს მესხეთ-ჯავახეთში, ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთში, ქართლსა და კახეთში ახალი დაბა-ქალაქების რიცხვის ზრდა, ძველი ცენტრების გამოცოცხლება და დიდი თუ მცირე საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსების მშენებლობის გაჩაღება. ამ სამუშაოების შესრულება მრავალრიცხოვანი სამუშაო ძალის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ასევე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო იარაღის გაუმჯობესების სფეროში მიღწეული წარმატებაც. საკითხი ეხება მიწის დასამუშავებელი იარაღის — ერქვანის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, მისი გუთნით შეცვლას.

საკამათო საკითხია: როდის მოხდა ეს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა და მას სხვა მეცნიერებიც ეთანხმებიან, რომ ქართული წყაროებში სიტყვა „გუთანი“ XIII ს-ის შუა წლებამდე არ დასტურდება. მაგრამ ეს არ უნდა

ნიშნავდეს, რომ ამ სახელის მქონე სახვნელი იარაღი უფრო ადრე არ არსებობდა. დიდი მეცნიერი ამის გამო წერდა: „მე-XIII ს. შუა წლებში ეს ტერმინი იმდენად ჩვეულებრივი სიტყვაა, რომ მიწის ერთეულის სახომადაც კი არის ქცეული (ავტორს მხედველობაში აქვს „გუთნეული“. — გ. მ.). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „გუთანი ამაზე კარგა ხნით უწინარეს უნდა იყოს შემოსული, მე- XII ს-ში მაინც“ **(ჯავახიშვილი 1930:159)**.

განსვენებული მეცნიერი რადგან თვით ტერმინი გუთანი, დაბადების ძველ ქართულ თარგმანებში არ გვხვდება, ამიტომ ეძიებდა მის შემცველს XII ს-ზე ადრე და ძველ ქართულ ტექსტებში დაცული სამიწათმოქმედო იარაღების სახელების ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ასკვნიდა: „მაშასადამე, სახვნელი იარაღის ერთადერთ ზოგად სახელად „ერქუანი“ ყოფილა და ასევე იყო დიდხანს შემდეგ საუკუნეებშიც“-ო **(იქვე)**. ამასთან იგი არ ეთანხმებოდა სულხან-საბა ორბელიანს, ვისაც „გუთანი“ სომხურ სიტყვად მიაჩნდა.

სიტყვა „გუთანის“ ეტიმოლოგიითა და მისი, როგორც სასოფლო იარაღის რაობით დაინტერესებული იყო გ. ჩიტაიაც. იგი თვლიდა, რომ „გუთანი“ ძველი ტერმინია, „რომელიც თავდაპირველად პრიმიტიულ ხევსურულ აჩაჩის ტიპის სახვნელ იარაღს აღნიშნავდა. შემდეგში ამ იარაღის დაწინაურებასთან ერთად გუთანი დიფერენცირებულად მთის — გუთანს, ორბელა გუთანს და ბარულ გუთანს განეკუთვნება“ **(ჩიტაია 1940:497)**.

„გუთნის“ შესახებ ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩიტაიას შეხედულებების გამოყენებით და აგრეთვე ორიგინალურ ქართულ ძეგლებში დადასტურებული მასალის მიხედვით ამ საკითხზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მ. ლორთქიფანიძეს. უპ. ყოვლისა იგი დაინტერესდა საკითხით თუ რამ გამოიწვია სახვნელი იარაღების სახელთა ის მონაცვლეობა, რომლის შესახებაც ზევით უკვე ითქვა. „ერქვანიც“ და „გუთანიც“ ქართული სიტყვებია. ეს უკანასკნელი შესულია თითქმის ყველა კავკასიურ ენაში. რაც დადასტურებული აქვს აჭარიანს თავის ცნობილ „სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში“, მიუხედავად სხვამხრივ ამ ნაშრომის პროსომხური ტენდენციურობისა.

ირკვევა, რომ ტერმინოლოგიური ცვლილება გამოწვეული იყო სახვნელი ირაღის გაუმჯობესებით, რაც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ერქუანისათვის ფამფალაკ-გოგორების დამატებაში გამოიხატა **(ჯავახიშვილი 1930:191)**. „ძნელი წარმოსადგენელი არ უნდა იყოს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ახალ მონაპოვარს სასოფლო მეურნეობაში. ამ გაუმჯობესებამ მომუშავე საქონელს მძიმე ტვირთი შეუმსუბუქა და აქამდე ორევით საზიდი შედარებით ადვილ ასამოძრავებელ იარაღად აქცია იმისდა მიუხედავად, რომ ერქუანთან შეადრებით გუთანი. რა თქმა უნდა, უფრო მძიმე იყო. ეს, რასაკვირველია, მხვნელისათვისაც ენერგიის ეკონომიის მომარაგებას მოასწავებდა. იმის გარდა, რომ გუთანი მიწისმოქმედს გაცილებით მაგარი ნიადაგის სათანადო სიმაღლეზე მოხვნის საშუალებას აძლევდა, ვიდრე ერქუანი“ **(იქვე: 204)**.

როდის უნდა მომხდარიყო ეს ცვლილება? როგორც ვთქვით, ყველაზე აღრეულ ასეთ თარიღად ივ. ჯავახიშვილი XII საუკუნეს ასახელებდა. მ. ლორთქიფანიძეს მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ამ ქრონოლოგიაში. იგი „დიდი გუთნის“ დამკვიდრების დროდ IX–X საუკუნეებს ვარაუდობს. ამას იგი ასაბუთებს იმ ფაქტით, „რომ VIII ს. შუიდან მოყოლებული სახალიფოში ვრცელდება მძიმე რკინის სახნისიანი გუთანი, რომელშიც 8 უღელი იყო შებმული. ასე, რომ ეს მოვლენა ჩვენში, იმ ეკონომიკურ აღმავლობასთანაა დაკავშირებული, რაც VIII—IX სს-ში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში საერთოდ საგრძნობია“ **(ლორთქიფანიძე 1963:27)**.

სახალიფოში 8 უღლიანი გუთნის VIII ს-ის შუახანებიდან გავრცელება „დიდი გუთნის“ სიძველის სერიოზული არგუმენტია, მაგრამ საკითხის ასე დასმისას გასარკვევი ხდება ამ ტექნიკური გაუმჯობესების სადაურობის საკითხი, რომლის კატეგორიულად გადასაწყვეტადაც არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება. ისე კი, გუთანი, რომ ქართულში საკმაოდ ძველად არსებული ტერმინია, ამას გამოთქმა „გუთნისდედაც“ აჩვენებს. როგორც ცნობილია, იგი ახლა მამაკაცს მიემართება, მაგრამ „იმ უხსოვარი დროის ნაშთია, როდესაც მიწას ჯერ კიდევ დედაკაცები ხნავდნენ და სახვნელითაც ისინივე მუშაობდნენ“ **(ჯავახიშვილი 1930:263)**.

ქართული „დიდი გუთანი“ მხოლოდ ტექნიკურად გაუმჯობესებულ იარაღს კი არ წარმოადგენდა, არამედ მისი გაკეთება და გამოყენება დიდ ხარჯებთან და მუშახელის სიმრავლესთანაც იყო დაკავშირებული. ამიტომ იგი გამომყენებელი შრომით კოლექტივების ეკონომიკურ სიმძლავრესაც აჩვენებდა. ამაზე სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის გ. ჩიტაიას შემდეგი მონათხრობი: „საშუალო ზომა გუთნეულისა ჩვეულებრივ უდრის 15,8 მ. მისი სახნის-საკვეთელი 20 კგ. იწონის. იგი საჭიროებს 16–24 ხარ-კამეჩს, 4–6 მუშახელს, ჯამბარას ღვედს, სამატებს, უღლებს 8–12 ცალს და აპეურებს 16–24 ცალს. სხვა ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ოთხი უღლისთვის საჭირო ერთ ღვედს ორი კამეჩის ტყავი უნდება. რვა უღლიანი გუთნეულისათვის ოთხი კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ღვედია საჭირო, ხოლო 12 უღლიანისათვის ექვსი. ერთი კამეჩის ტყავი საჭიროა ჯამბარას დასამაგრებლად. ამით შედგა 7 კამეჩის ტყავი. ნედლეულის გარდა ხარჯები ახლდა ღვედის დაწვნასაც“ **(ციტ. ლორთქიფანიძე 1963:26-27 მიხედვით)**.

ქართული „დიდი გუთანი“ ძირითადად გავრცელებული იყო ქართლის ვაკეზე. აქ მის გამოყენებას განაპირობებდა ადგილობრივი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და თემური მიწათსარგებლობის პრინციპი. ასეთი გუთნეული აქაურ დიდ სოფლებში 8–10 ცალი მაინც იყო **(ლორთქიფანიძე 1967:30)**. „გუთნეული, — აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე, — შეპირობებული იყო მოდგამის ინსტიტუტის არსებობით, მსხვილი დასახლების ტიპით (800–1000 და მეტი კომლი) და ერთობის სახლით“ **(იქვე)**.

როგორც ვხედავთ, ქართული „დიდი გუთნის“ გავრცელების არეალი არცთუ ისე ფართო იყო. „სასოფლო მეურნეობის თვალსაზრისით არამცთუ მიზანშეწონილი არ იქნებოდა,—მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი,—ხში-

რად შესაძლებელია სწორედ საზიანოც კი გამხდარიყო ფხვიერი და ადვილად მოსახნავი მიწა რომ მიწისმოქმედს მძიმე გუთნით მოჭარბებულ სიღრმეზე მოეხნა, იმგვარადვე როგორც ეკონომიური თვალსაზრისით საზარალო იქნებოდა, რომ სოფლის მეურნეს ნახნავზე ტყუილ-უბრალოდ მეტი შრომა და ენერგია დაეხარჯა ... ყოველ სახნავ მიწას ნიადაგის თვისებისდა მიხედვით სჭირდება დამუშავება" **(ჯავახიშვილი 1930:173)**.

ამის შესაბამისად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო იარაღის წარმოება ორი მიმართულება შეიმჩნეოდა. ერთი — საქართველოს ნიადაგების მრავალფეროვნების შესაფერისი სახვნელი საშუალებების შემუშავება-წარმოება და მეორე —კონსერვატიზმი, რაც გამოიხატებოდა იარაღის ტექნიკური გაუმჯობესების შემდეგ წინამორბედი სახეობის საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებაში. ეს უკანასკნელი ტენდენცია საქართველში უძველესი დროიდანვე ხმარებაში დანერგილი იარაღის სრულყოფილებაზე მიუთითებს. ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებდა ძველი დროის ეთნოგრაფიული ცოდნის ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიც სტრაბონი გახლდათ. იგი კოლხეთსა და იბერიას მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყნებად ახასიათებდა. მას მოჰყავდა რა ამ საქმეში ჩამორჩენილობის მაგალითად ალბანეთი, სადაც ნიადაგს ისეთი ხის იარაღით ამუშავებდნენ, რომელსაც რკინა სახვნელზედაც კი არ ჰქონდა, მაშინდელ საქართველოში მთლიანი ხის სახვნელების არსებობის შესახებ არას ამბობდა. „ამიტომ უნდა ვიფიქროთ, — როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, — რომ იბერიასა და კოლხეთში იმ დროს გავრცელებული იარაღი და მიწის დამუშავების წესი ბერძნულისაგან არსებითად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო: რთული შემადგენლობისა და აგებულების, რკინის სახნისიანი სახვნელი, მაშასადამე, უნდა სცოდნოდათ" **(იქვე: 203)**. ხოლო ბერძნებს, რომ ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქიდან მოყოლებული; გაუმჯობესებული რკინის სახვნელიანი გუთანი ჰქონდათ, ეს ბერძნულ ისტორიოგრაფიაში უდავო ფაქტად ითვლება და ამის შესახებ ჰესიოდე და თვით სტრაბონიც გარკვევით გვაცნობებენ.

მაშასადამე, ძველი დროიდანვე მიმდინარეობდა საქართველოს ნიადაგების შესაბამისი სხვადასხვა სახის იარაღის შემუშავება და თანაც, ახალი გაუმჯობესებული სახვნელის პრაქტიკაში დანერგვის შემდეგაც, ძველი სახეობა ხმარებიდან არ გამოდიოდა. ეთნოგრაფების მიერ დადასტურებულია, რომ ერთსა და იმავე მეურნეს ზოგჯერ ორი და რამდენიმე სახის სახვნელი ჰქონდა. „ცხოვრების სინამდვილემ, — წერდა ივ. ჯავახიშვილი,— ქართველ ხალხს სახვნელის განვითარებისა და გაუმჯობესების სხვადასხვა საფეხურის გამომხატველი და სხვადასხვა სირთულის მქონებელი სახეობა დღევანდლამდისაც შეუნარჩუნა. ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმად აქცია" **(იქვე: 174)**.

სახვნელი იარაღების მრავალგვაროვნებამ მათი წარმოშობისა და გამოყენების მიხედვით მეცნიერული კლასიფიკაციის აუცილებლობა გამოიწვია. ქაროული სახვნელების მიმართ ეს პრობლემაც ივ. ჯავახიშვილმა შეასრუ-

ლა. მისი დასკვნით: „სახნავი იარაღები უნდა სამ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფს მხოლოდ სახნისიანი სახვნელები ეკუთვნიან, მეორეს — სახნის - საკვეთელიანი და მესამეს — სახნის-საკვეთელ-ფრთიანი. ქართულ სახვნელეთაგან პირველ ჯგუფს ოქოჩა, კავი, ჩუთ-კავი, ოჩოჩა, აჩაჩა და არონა; მეორე ჯგუფს ჯილღა და მესამე ჯგუფს ერქუანი და გუთანი ეკუთვნიან" **(იქვე: 209)**.

ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩიტაიას და გ. ჯალაბაძის გამოკვლევებში დადგენილია საქართველოს რომელ რეგიონში რა სახვნელი იარაღი გამოყენებოდა. ამ საკითხის გააზრების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ამა თუ იმ იარაღის რომელიმე მხარისათვის მიწერის გააბსოლუტება არ შეიძლება, ზოგიერთ მათგანში ერთდროულად გამოიყენებოდა რამდენიმე იარაღი, ისევე როგორც ერთი და იგივე — სხვადასხვა მხარეში.

ერქუანი და მისი გაუმჯობესებული სახე გუთანი, რომ ქართლის ვაკეზე იხმარებოდა უკვე ვთქვით. ქვემოთ ქართლში გავრცელებული იყო ჩუთკავი, ოჩოჩა —რაჭაში, აჩაჩა — კახეთში, არონა — მესხეთში. აქვე ხმარობდნენ ჯილღას, რომელიც სახნის-საკვეთლიანი იარაღი იყო და მასში 4-5 უღელი ხარი ებმებოდა. ყველაზე მარტივი და უძველესი სახვნელი იარაღი იყო ოქოჩა. მის მეგრულ ვარიანტს წარმოადგენდა ოგოფა (კასტელთანაცაა დამოწმებული). იმერეთში ყველაზე გავრცელებულია ოქოჩასავით ერთუღელიანი— კავი.

ირკვევა, რომ მარტივი სახვნელების აგებულების პრინციპი და სახელწოდებანიც კი ოქოჩასაგან მოდის, ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „აგებულების ნიშანდობლივი თვისებებით, სიმარტივითა და მხოლოდ-სახნისიანობითაც და ფონეტიკურადაც „ოგაფა", „ოჩოჩა", „აგაფა" "აჩაჩა," ერთი-და-იმავე სახეობის სახვნელების სახელებად უნდა ვიცნათ, რომელთა ბგერითი სახენაცვლობა, ან დიალექტურ ნიადაგზე, ან დროთა განმავლობაში უნდა იყოს „ოქოჩა"-საგან წარმოშობილი" **(იქვე: 199)**.

სახვნელ იარაღებს გარდა მიწის დასამუშავებლად გამოიყენებოდა თოხი. ადრე ფიქრობდნენ, რომ თოხი მარტო ბაღჩა-ბოსტანში და ყანის გამარგვლის დროს იხმარებოდა. მაგრამ გიორგი მთაწმინდელის თხზულების მიხედვით, ბულგარელებისაგან შევიწროებული ქართველი ბერები მთიან ადგილებში საყანე მიწას თოხით თესდნენ **(ძველი ქართული მოთხრობა 1979:356)**. ე. ი. ეს იარაღი X—XIII საუკუნეებში პირველადი დამუშავებისთვისაც გამოიყენებოდა. ეს დანიშნულება მას ამ დროისათვის არც ახალი შეძენილი უნდა ჰქონდეს და არც მომავლისათვის დაუკარგავს. რუსი დესპანი თ. ელჩინი (იმოგზაურა 1640 წ.) იტყობინება, რომ სამეგრელოში მთაგორიან ადგილებსა და ბორცვებზე პური მოსახლეობას თოხით დამუშავებულ ყანებში მოჰყავდთო **(Белокуров 1888:377)**. სამეგრელოს სინამდვილეში ამასვე ადასტურებს არქანჯელო ლამბერტი **(XVII ს-ის 50-იანი წწ.; იხ. მისი სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938:50)**.

ამ მასალის ანალიზის შემდეგ ივ. ჯავახიშვილის დაასკვნიდა: „უცილობლად მტკიცდება, რომ თოხი საყანური მიწის დასამუშავებელი ერთი, ამასთანავე უძველესი იარაღთაგანი იყო"-ო **(ჯავახიშვილი 1930:212)**.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დამოწმებულია თოხის ნაირსახეობა „ორთოხი" ნ. ჯაჩნაძე მას ხსნის, როგორც ორპირ თოხს (**ჯაჩნაძე 1975:226**). მაგრამ ვფიქრობთ, იმ სამუშაოს შესრულება რასაც სერაპიონი ამ იარაღით აკეთებს თოხით, თუნდაც ორპირათი შეუძლებელია. სერაპიონმჯო, წერს ბასილი ზარზმელი, „აღიღო ხელითა თვისითა ორთოხი რკინისაჲ და გამოაქანდაკა ჯუარნი ლოდსა რათმე დიდ-დიდთა" (**ძეგლები 1964:329**). როგორც ჩანს, სერაპიონს უფრო წერაქვი უჭირავს ხელთ, ვიდრე ორპირა თოხი. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის არა იმის გარკვევაა საინტერესო რა სახის იარაღით კვეთდა ლოდზე ჯვარს სერაპიონი, არამედ თვით ტერმინ „ორთოხის" IX საუკუნეში არსებობა. ხოლო რადგან „ორთოხი" აშკარად კომპოზიტია, ამაზე ადრე ცალფა სიტყვა „თოხი" უნდა სცოდნოდათ.

თოხის გავრცელებულობაზე მიუთითებს ისიც, რომ ქართველურ ენებსა და დიალექტებში მას უამრავი შესატყვისი აქვს. ის გარემოება, რომ სვანურად თოხს „ბერგ" ჰქვია, ხოლო მეგრულად „ბარგუა" იგივეა რაც ქართული თოხნა, ივ. ჯავახიშვილს აფიქრებინებს, რომ „თოხს უნდა „ბარგიც" რქმეოდა ოდესღაც", ე. ი. ამ სიტყვაში გ-ს გაქრობით (შდრ: „მორგვი" და „მორი", „კარგი" და „კაი") უნდა იყოს წარმოშობილი მიწის სათხრელი იარაღის სახელი „ბარი"

ნათქვამიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოში მიწის დასამუშავებელი იარაღები დიდი მრავალსახეობით ხასიათდებოდა. ასევე მრავალფეროვანი იყო სამუშაოთა სახეების ამსახველი ტერმინოლოგია. ეს უველაფერი ივ. ჯავახიშვილს საფუძველს აძლევდა ხაზგასმით აღენიშნა ქართველი ხალხის ოდინდელი შრომისმოყვარეობა და დაესკვნა: „მიწის დასამუშავებელი იარაღებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინის სიუხვე იმ ინტენსიური მუშაობის გამომხატველი და მაუწყებელია, რომელიც ამ დარგში საქართველოში უძველესი დროითგან ყოფილა"-ო (**ჯავახიშვილი 1930:215**).

სოფლის ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი იყო წისქვილი. წყლის წისქვილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება. საქართველოში მეტალურგიის ადრიდანვე დაწინაურებისა და დაქანებული კალაპოტის მდინარეების სიხშირის გამო, ასეთი წისქვილების გამოყენება უკვე ძვ. წ. პირველი ათასწლეულიდანვე დაიწყო. წერილობით წყაროებში კი პირველი ცნობები წყლის წისქვილის შესახებ VII საუკუნიდან გვხვდება (**ლორთქიფანიძე 1967:30**). არაბების მიერ დაპყრობილ ქართლში დაწესებულ სხვა გადასახადთა შორის წისქვილებზე გადასახადიცაა დაფიქსირებული.

უფრო ადრინდელი საბუთები არა გვაქვს, ხოლო X ს-დან მოყოლებული, შემორჩენილი დოკუმენტებში ადგილის განსხვისების დროს ყანასთან, ვენახთან, საძოვართან და წყალთან ერთად წისქვილიც სახელდება, როგორც სამეურნეო ერთეულის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ეს კი ნიშნავს, რომ წისქვილი ადრე თემის საკუთრება იყო. ხოლო როცა ეს თემი კერძო მესაკუთრეთა ხელში მოხვდა, გლეხის სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისაგან განსხვავებით, იგი პატრონის კუთვნილებაში გადავიდა.

წულის წისქვილი თავის დროისათვის საკმაოდ რთულ ტექნიკურ აღჭურვილობას წარმოადგენდა. მისი აგება დამოკიდებულ იყო ღერძიანი ბორბლის წულის საშუალებით ბრუნვის მიღწევაზე. ძნელი დასამუშავებელი იყო ქვის დოლაბი. მისი მოსაკოდად გადმოღებაც კი სპეციალურ მოწყობილობას მოითხოვდა (**გეგეშიძე 1956:142**). ამიტომ წულის წისქვილი ცალკეული გლეხის საკუთრება ვერ იქნებოდა. მის ქონებას იგი არა მარტო ეკონომიკურად ვერ შეძლებდა, არამედ ვერც მოემსახურებოდა. X ს-ის დასაწყისში ცხრაძმის ხევისუფლებმა რამინმა და გიორგიმ წისქვილი ააგეს და მას „სამსახოვ"-რად რვა კაცი მიუჩინეს' (**ქსძ 1965:5**).

მარცვლეულის დაფქვა მარტო წულის წისქვილით როდი ხდებოდა. ძველთაგანვე იყენებდნენ ხელის მარტივ საფქველებს. ისინი, ცხადია, ცალკეული კომლის საკუთრებას წარმოადგენდნენ.

კაცობრიობისა და კერძოდ, ძველი ქართული სოფლის ცხოვრება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბორბლიანი ტრანსპორტის არსებობის გარეშე. საერთოდ, ბორბლის მნიშვნელობის შესახებ გ. ჩიტაია მოხდენილად წერდა: „ჩვენ რომ ერთი წამით წარმოვიდგინოთ ბორბლის გარეშე ძველი და თანამედროვე ცივილიზაცია, მეტად არასანუგეშო სურათს მივიღებთ. ჩვენ არ გვექნებოდა არამც თუ ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალებები— ურემი, ეტლი და სხვა, არამედ არ გვექნებოდა ისეთი მანქანები როგორიცაა წისქვილი, მორგვი კერამიკისათვის, სარწყავი არხი, ორთქლმავალი და სხვა. ბორბლის გამოყენების გარეშე ძნელი წარმოსადგენია ოდნავ მაინც მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრება" (**გაზ. „ლიტერატ. და ხელოვნება" 1947, №45**).

როგორც ვხედავთ, აქ ბორბლის საქმიანობის თითქმის ყველა დარგში გამოყენებაზეა საუბარი, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მაინც — ტრანსპორტში. ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალებანი არის ორ და მრავალბორბლიანი. საზიდრები, რომლებიც ტრანსპორტის ყველაზე ადრინდელი სახეა, იყო ორბორბლიანიც და ოთხბორბლიანიც. საქართველოში საზიდართა სახეებს შორის ყველაზე უფრო გავრცებულს წარმოადგენდა ურემი. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ურემი ჩვენს ქვეყანაში ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან მოიხმარებოდა. მისი, როგორც „ორბორბლიანი ტრანსპორტის მტკიცედ დამკვიდრება უნდა განპირობებინა საქართველოს ტერიტორიაზე მეურნეობის ხასიათსა და რელიეფს" (**გეგეშიძე 1956:131**).

ქართული ორბორბლიანი ურემის ორი სახეობა არსებობდა: საბარო ურემი და საძნე ურემი. იყო ნაკლებგავრცელებული — ცაალუღელი და ღერძკალა.

ძველად, ყოველგვარ სატრანსპორტო საშუალებას თავისი გავრცელების ტერიტორია ჰქონდა. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ „ბორბლიანი საზიდის ძირითადი სახეობა ქართული ორბორბლიანი ურემი გავრცელებულია საქართველოს ბარსა და, ნაწილობრივ, ზეგან ადგილებში. ქართული ორბორბლიანი ურ-

მის გავრცელების არეს წარმოადგენს: კახეთის ვაკე, ქართლ-კახეთის ზეგანი (საინგილოს ჩათვლით), შიდა და ქვემო ქართლის ვაკეები, ქვემო იმერეთი, კოლხეთის დაბლობი" (იქვე: 32).

ქართულ საზიდარ საშუალებებსა და სახვნელ იარაღებს განვითარების თითქმის ერთნაირ გზა აქვთ განვლილი. ვინაიდან, სამეურნეო-ეკონომიკური პირობები და სამეურნეო იარაღები ერთმანეთს განაპირობებენ, სამეურნეო იარაღების გაუმჯობესება ეკონომიკის აღმავლობას უწყობს ხელს, ხოლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია იარაღების ახალ კოსტრუქციულ გაუმჯობესებას მოითხოვს. ეს კარგად მტკიცდება იმ მაგალითითაც, „როდ დიდი გუთნის მასშტაბის მეურნეობაში გამოყენებული ყოფილა დიდი ურემი (ან როგორც ქიზიყში უწოდებდნენ აჯამი ურემი), რომელსაც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა მიწათმოქმედების დაწინაურების საქმეში, როგორც ერთი კომპლექსის კომპონენტსა და დიდ გუთანთან თანაარსებულ ელემენტს" (იქვე:39).

ძნელი დასადგენია რა სახისა იყო ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებსა და აბოს წამებაში მოხსენიებული ურმები, მაგრამ ვარძიის ფრესკაზე (XII ს.), რომ დიდი ზომის ქართული ორბორბლიანი ურემია გამოსახული ეს თვალნათლივ ჩანს. ამიტომ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ტრანსპორტის ამ სახეობის არსებობა უფრო წინარე ხანაშიაც დოკუმენტურადაა დადასტურებული.

ბორბლიან ტრანსპორტში გრვითი მოძრაობაა გამოყენებული. მაგრამ არსებობს, აგრეთვე, ისეთი საზიდი საშუალებები, რომელნიც სრიალით, თრევით გადაადგილდებიან. არის ამათი შერეული სახეც. მათი კონსტრუქცია ემყარება, როგორც გორვის, ისე თრევის პრინციპს. ასეთთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია აჩაჩა ურემი, ანუ ჩოჩიალა ურემი, ან როგორც იმერეთში ეძახიან ფრჩხილა ურემი[1].

„აჩაჩა ურემი წერდა, — მ. გეგეშიძე, — გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს გორაკ-ბორცვიან ადგილებში, ზემო იმერეთიდან მოყოლებული ქვემო იმერეთის მაღლობის ჩათვლით, რაჭაში, ლეჩხუმსა და მთიან სამეგრელოში" (იქვე:32). ურმის ეს სახე, შედარებით მარტივი კონსტრუქციისაა, ვიდრე ორბორბლიანი ქართულ ურემი, ამიტომ მისი სიძველე ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

როგორც ახლახან ვთქვით, ბორბლიანი ტრანსპორტის გარდა, არსებობს უბორბლო საზიდარი საშუალებებიც, ასეთთა ჯგუფში მ. გეგეშიძეს ჩამოთვლილი აქვს: „ე. წ. ნალო, სათარი, სათრიელი, ლაშკანი, ფრჩხილე და მარხილის კონსტრუქციის მრავალი სახეობა: მარხილი-მარხილე, ლეკმარხილა, თურში, თავკავი, ცალუღელად ხიზეკი, ლაქიმი, ციგა"(იქვე: 30). ამათგან ყველაზე გავრცელებულია მარხილი (იმერეთსა და რაჭაში თავკავსაც ეძახიან). იგი გამოიყენება აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, აჭარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსა და სამცხე-თრიალეთის უკიდურეს მთიანეთში.

[1] მისგან განსხვავებით, ამ კუთხეში ორბორბლიან საბარო ურემს „ხელნა ურემს" ეძახიან.

საქართველოში თითქმის ყველა საზიდარ საშუალებაში ძირითად გამწევ ძალას ხარი წარმოადგენდა. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ ტომებში გავრცელებულ მსხვილფეხა საქონლის კულტში (ვ. ბარდაველიძე). საისტორიო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, სახნავი მიწათმოქმედების წარმოშობა-განვითარებისათვის სამი ფაქტორის არსებობა იყო აუცილებელი: სახვნელის, მაცვლეულისა და ხარის. ამ დებულების უდავოდ აღიარების მიუხედავად, მ. გეგეშიძეს უფრო სწორად მიაჩნია, რომ „ტვირთის გაწევა და მისი გაძღოლა ადამიანს სახვნელზე ადრე საზიდში უნდა ესწავლა“ **(იქვე:99)**.

საქართველოში სხვა გამწევ ცხოველებს შორის ხართან შედარებით ნაკლებად გამოიყენებოდა კამეჩი, ცხენი და სახედარი. ცხენი ტვირთგამწევზე უფრო მეტად შესაჯდომ ფუნქციას ასრულებდა.

მხოლოდ გამწევი ძალა იყო, მაგრამ ტერიტორიულად შეზღუდული გავრცელება ჰქონდა კამეჩს. იგი შედარებით ფაქიზ მოვლა-პატრონობას მოითხოვს, მაგრამ თუ ეს პირობები დაცულია, კამეჩი ორჯერ უფრო ძლიერი ტვირთგამწევია, ვიდრე ხარი. ფიქრობენ, კამეჩი კავკასიაში შედარებით გვიანაა შემოყვანილი. კერძოდ, ეს არაბთა დაპყრობების დროიდან უნდა მომხდარიყო[1]. „კამეჩს ვხვდებით ქართლში, კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში“ **(იქვე:98)**.

ნათქვამის განმაზოგადებელი შეჯამებას, ვფიქრობთ, კარგად მიესადაგება მ. ლორთქიფანიძის შემდეგი დასკვნა: „ამგვარად, — წერს იგი, — გლეხის საკუთრებასა თუ განკარგულებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, გამწევი ძალა, და გადაზიდვის საშუალებანი, ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული მიწის მორწყვა-განაყოფიერების ჩვევებთან ერთად საშუალებას აძლევდნენ გლეხებს მაქსიმალურად გამოეყენებინათ მათ მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთები“ **(ლორთქიფანიძე 1967:34)**.

მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ზევით ვთქვით, მიწათმოქმედების წარმოება-განვითარებისათვის აუცილებელი იყო კიდევ ერთი ფაქტორი — მარცვლეული.

თანამედროვე მეცნიერებაში ამიერკავკასია, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, ისე ისტორიული თვალსაზრისითაც „განიხილება კულტურულ მცენარეთა ევოლუციის დიდი დამოუკიდებელი მნიშვნელობის კერად“ **(გეგეშიძე 1961:163)**. ბოტანიკური კვლევის შედეგად მეცნიერებაში შეთანხმებულნი არიან იმაშიაც, რომ მიწათმოქმედება თავდაპირველად მთებში ჩაისახა და, რომ მთის ზონის შედარებით მცირე ტერიტორიაზე, ადგილი აქვს მცენარეთა ყველაზე მეტ პოლიმორფიზმს, რაც მთაში ეკოლოგიური პირობების მრავალფეროვნებითაა გამოწვეული.

საქართველოს კულტურული მცენარეულობის მიმართ ეს დებულება მ. გეგეშიძეს შემდეგნაირად აქვს დაკონკრეტებული: „ქართული პურეულის ძირითადი სახეობანი წარმოშობით უმთავრესად საქართველოს მთას

[1] ამ მოსაზრებაში დაეჭვების საფუძველს იძლევა სტრაბონის მიერ „კამბისენეს“ ახ. წ. I საუკუნეში მოიხსენიება. ასე, რომ იგი გადასახედია.

განსაკუთრებით ე. წ. შუამთის ზოლს უკავშირდებიან. ამასთან ერთად, დამახასიათებელ და ერთ-ერთი ნიშანდობლივ თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ ეკოლოგიურად სახეობანი უმთავრესად ტენის მოყვარენი ან ჭარბი ტენის ამტანნი არიან" **(იქვე:169)**.

ამრიგად, საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და ქართველი მეურნის გონიერი მოღვაწეობის შედეგად ძველთაგანვე იყო გაკულტუროსნებული თავთავიან მცენარეთა მდიდარი სპექტრი.

საკვებ მცენარეებსა და მარცვლეულებს ივ. ჯავახიშვილი ორ თვისებრივად განსახვავებულ ჯგუფად ჰყოფდა: „ადამიანის საკვებ და პირუტყვის საკვებ მცენარე-მარცვლებად" **(ჯავახიშვილი 1930:318)**. ასევე მარცვლეული მცენარეები სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ძირითადად ორ ჯგუფად იყოფებიან „ცერცვთაგანთა" (ე. ი. პარკოსანთა.—გ. მ.) და „ხუარბალთაგანთა" (ბალახოვანთა. – გ. მ.) ჯგუფებში.

„ხორბლეული" პურეულის ზოგადაღმნიშვნელ სიტყვად მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს და განმარტავდა, რომ „ხუარბალი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია ყველა იმ სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულის აღსანიშნავად, რომელთაგანაც პურს აცხობენ ხოლმე" **(იქვე: 319)**.

პურეული კი საქართველოში არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით იყო წარმოდგენილი. თანაც ეს კულტურა ადგილობრივი წარმოშობისაა. „ჯარგა ხანია მეცნიერების ყურადღება მიიპყრო იმ საკვირველმა ფაქტმა, – აღნიშნავს მ. გეგეშიძე,—რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყანაში არ მოიპოვება ხორბლის იმდენი სახეობა, რამდენიც საქართველოსა და სომხეთში, და რომ ამ სახეობათა თითქმის ნახევარი ენდემურია. აქვეა აღმოჩენილი ენდემური ვალური ხორბალიც" **(გეგეშიძე 1961:164)**.

ხორბლეულის ყველაზე გავრცელებული სახე საქართველოში დოლის პური იყო. მას ძველად ოფქლს უწოდებდნენ. იგი ვარგობდა მთიან ზონაში და დაბლობშიაც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით — „ოფქლი შემოდგომაზე, ნათესი ხუარბალი"—ა. მ. გეგეშიძის დახასიათებით — „დოლის პურის პრაქტიკულად მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მისი კარგი შეგუებულობა მძიმე, ღარიბ ნიადაგებთან და მისი მოყვანის შესაძლებლობა, როგორც ურწყავად, ისე სარწყავ პირობებში. ამასთან ერთად დოლის პური საკმაოდ მაღალი დაფქვისა და ცხობის უნარიანობით ხასიათდება" **(იქვე:168)**.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „დოლი" საქართველოში ძველთაგანვე დამკვიდრებული სიტყვაა და იგი „ხორბლეულის" სახელი ყოფილა" „დოლი" ოფქლს უდრიდა. ხოლო „ხორბლეულის ყველაზე უფრო გავრცელებული და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ძველ საქართველოში, უეჭველია, ოფქლი იყო" **(ჯავახიშვილი 1930:325)**.

განსვენებული მეცნიერი დოლის პურის დიდ ღირსებად თვლიდა მის მრავალსახეობას (30-32 სახე), რამდენდაც ცალკეული სახე შეხამებული იყო ყოველგვარ ნიადაგთან და კლიმატთან. ითესებოდა ვაკე ადგილებიდან დაწყებული ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრ სიმაღლეზედაც. ამიტომ,

წერდა იგი, „დოლისპური, როგორც აღმოსავლეთს, ისევე დასავლეთ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. ქართლის ყანების უმრავლესობა, 80%, სწორედ ამ ხორბლეულით არის დათესილი"-ო (**იქვე:337**). დოლის პურის ასე, გავრცელებულობის ერთ-ერთი მიზეზი მისი გვალვა გამძლეობაა (**გეგეშიძე 1976:169**).

„იფქლი" ხშირად გვხდება ბიბლიის V—VI საუკუნეების თარგმანებში. რამდენჯერმეა იგი მოხსენიებული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. ამავე ძეგლში ტოპონიმი „დოლის ყანაჲ"-ცაა დამოწმებული, რაც X ს-ში ხორბლეულის ამ სახის გავრცელების დოკუმენტურ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს (**ჯავახიშვილი 1930:332**).

თუ დოლის პური საშემოდგომო კულტურას წარმოადგენდა, „დიკა გაზაფხულ — ნათესი ხვარბალი" იყო (ს.ს. ორბელიანი). ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „დიკაჲ" იფქლის პარალელურად გვხვდება დაბადების ძველ- ქართულ თარგმანებში (**იქვე:328**). ამავე ფორმით („დიკაჲ") დამოწმებულია იგი გიორგი მთაწმინდელთანაც. ეს უველაფერი ამ საგაზაფხულო ხორბლის ძველთაგანვე გავრცელებულობაზე მიუთითებს.

სპეციალისტები თვლიან, რომ საქართველოში დიკა არათუ ძველთაგანვე გავრცელებული ხორბლეულია, არამედ იგი აქ წარმოშობილი და ჩამოყალიბებული უძველესი კულტურაა (**დეკარპელევიჩი 1938:28**). ეს მცენარე კარგად არის შეგუებული შუა მთის ზოლს და აქვე ჩამოყალიბებულად ითვლება. ეკოლოგიურად დიკა მთის ჰავის ხორბალია. მისი გავრცელების არედ მიიჩნევენ: მესხეთ-ჯავახეთს, სვანეთს, ზემო რაჭას, ლიახვის, ქსნის, არაგვის, იორის ხეობებს, თრიალეთს. ამ რაიონებში იგი წმინდა სახითაა. მისი შერეული ნათესები კი დამოწმებულია სომხეთში, დაღესტანსა და აღმოსავლეთ თურქეთში. (**გეგეშიძე 1961:160**).

დიკას დაბლობ ადგილებზედაც თესავენ, მაგრამ რადგან იგი ვერ იტანს სიცხეს და არც გვალვაგამძლეა, ასეთ პირობებში ნაკლებ მოსავალსაც იძლევა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ დიკას გავრცელების არე ადრე უფრო ფართო იყო, ვიდრე ახლა არისო. „დიკა მაღალი არეს პირობების მოჭარბებულ ნოტიობასაც კარგად იტანს, – წერდა იგი, — და სოკოვანი დაავადებაც უველაზე ნაკლებ ემჩნევა. ამის წყალობით დიკას, სხვა პურეულთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება და ... 900-1000 მეტრის სიმაღლითგან მოყოლებული უკვე დიკაა ნათესებში გაბატონებული" (**ჯავახიშვილი 1930:330**).

ქერი ძველად საქართველოში საგრძნობლად გავრცელებული კულტურა ჩანს. ამას ადასტურებს მისი სახელწოდების „ქერის" უძველესი დროიდან დღემდე ხმარება. „ქრთილეული[1] მთელ საქართველოში მოიპოვებოდა, — აღნიშნავდა, ივ. ჯავახიშვილი, —, და ეხლაც არსებობს იმ ადგილებს გარდა, სადაც სიმინდის სრულმა გაბატონებამ სასოფლო მეურნეობიდან მთლიანად არ გამოდევნა" (**იქვე:358**).

ჩამოთვლილი მარცვლეული საკვებად უმთავრესად დაფქვილი და პურად გამომცხვარი გამოიყენებოდა. გამონაკლისი სახით მათ ხარშავდნენ

[1] ქერი მარცვლეულის ამ სახეობაში შედის.

კიდეც. მაგალითად, „ასლს ძირითადად საკორკოტე დანიშნულება ჰქონდა“ (გეგეშიძე, 1961:167). მაგრამ საქართველოში ითესებოდა მარცვლეული, რომელიც მხოლოდ მოხარშული გამოიყენებოდა. ასეთი იყო ბრინჯი. ეს კულტურა ჩვენს ქვეყანაში შედარებით გვიან, „IX საუკუნიდან შემოსულად უნდა ვიგულისხმოთ“ (ჯავახიშვილი 1930:360).

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ამ კულტურის სხვადასხვა სახელების მიხედვით ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს მარცვლეული ჩვენში სხვადასხვა გზით შემოსული უნდა იყოს. „ბრინჯი“ გადმოქართულებული სპარსული „ბირინჯია“ და ეს აჩვენებს, რომ იგი აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთიდან გავრცელებულა. ასევე ამ მცენარის მეგრული სახელი „ორგზა“, რომლის ძველი ფორმაა „ორჯზა“ კლასიკური ბერძნული „ორინდა“-დან ნაწარმოები ჩანს და გვაფიქრებინებს, რომ „ბრინჯის კულტურა დასავლეთ საქართველოში უნდა საბერძნეთის გზით იყოს შემოსული... ბიზანტიის ჰეგემონიის ხანაში“ (იქვე).

დასავლეთ საქართველოში ბრინჯის მოყვანისათვის, ნიადაგების მეტი ტენიანობის გამო, საუკეთესო პირობები იყო. ამას აღნიშნავს ვახუშტი, როცა მიუთითებს, რომ სამეგრელოში „ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად“. ხოლო არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) გადმოცემით, აქ მოწეული ბრინჯი არა მარტო მეგრელებს ჰყოფნით, „არამედ მიაქვთ ოსმალეთის გემებსაც, რომელნიც აქ მოდიან (ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა 1938:55). რადგან ბრინჯის კულტურა ნესტის მოყვარულია აღმოსავლეთ საქართველოში იგი მხოლოდ ინტენსიური რწყვის ადგილებში ითესებოდა. ის ფაქტი, რომ ქართულში დამკვიდრდა სპასრულიდან შემოსული „ბრინჯი“ და არა მეგრულის მიერ ბერძნულიდან შეთვისებული „ორიზა“, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს კულტურა აღმოსავლეთ საქართველოშიაც საგრძნობლად გავრცელებული იყო.

ვარაუდობენ, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სათავე დაუდო ფეტვისნაირებმა (ფეტვი, ღომი) და ჭვავმა. ესენი უძველესი კულტურები უნდა იყოს (ჯავახიშვილი 1930:364). ისინი, ალბათ უპირატესად ითესებოდა დას. საქართველოში, სადაც ნიადაგის დიდი სინოტივის პირობებში, თავთავიანი კულტურების თესვა ბარში შეუძლებელი იყო, ხოლო მთიან ზონაში მხოლოდ ფეტვისნაირნი და ჭვავი მოდიოდა. ეს უკანასკნელი კოლხეთში არქეოლოგიურად დადასტურებული კულტურაა, ხოლო არუხლოს გორის ენეოლითურ ნამოსახლარაზე აღმოჩენილია ღომის მარცვლები.

ზევით ნათქვამის გამო ბუნებრივად ისმება კითხვა, რატომ ვტოვებთ მხედველობიდან თავთავიანი კულტურების მოყვანისათვის ეკოლოგიურად ისეთ გამოსადეგ რეგიონებს როგორცაა ზემო იმერეთი, რაჭა და ლეჩხუმი, სადაც პალეობოტანიკოსები უძველესი დროიდანვე ვარაუდობენ ხორბლის ენდემური ჯიშების არსებობას? საქმე ისაა, რომ ენეოლითის ხანაში, როდესაც ჩვენ ზევით დასახელებული კულტურებს ვგულისხმობთ მიწათმოქმედების საფუძველდამდებად საქართველოში, ჩამოთვლილი რეგიონები „საერთოდ დაუსახელებელია, ყოველშემთხვევაში, ჯერჯერობით ნეოლითის

ხანის ძეგლები ამ რეგიონში მიკვლეული არ არის" (კიკვიძე 1976:15). ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ იქ ხორბლეულის გავრცელება უფრო გვიანდელი მოვლენაა.

საქართველოში ძველთაგანვე ფართოდ გავრცელებული ყოფილა მიწათმოქმედების დარგები: მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. სარწყავი მიწათმოქმედებისა და მევენახეობის ურთიერგავლენაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ამ დარგის განვითარების სხვა საკითხების ვრცლად განხილვას მევენახეობის კულტურის დიდი სირთულისა და სპეციფიკურობის გამო, ჩვენ აქ ვერ შევუდგებით. ისტორიულ-ეკონომიკურ ასპექტში მოკლედ და ზოგადად შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხს.

თავდაპირველად მევენახეობის ადგილისა და როლის შესახებ, ქართველი ერის თვითმყოფობის შენარჩუნების საქმეში. დიდი ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას „საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის" (ივ. ჯავახიშვილი 1986:618) და მიუთითებდა მის დიდ როლზე „ქართველი ერის სოციალური წესწყობილებისათვის" (იქვე: 303). მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ მის მიერ ამ მხრივ ნათქვამი საკმარისი არ იყო და ამ თემაზე მსჯელობისათვის დაბრუნებას კვლავ აპირებდა. სამწუხაროდ ეს მან ვერ მოასწრო.

მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართული ისტორიული მეცნიერება მრავალმხრივ გამდიდრდა ახალი გამოკვლევებით. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კვლევასაც. მაგრამ, ჯერჯერობით, სათანადოდ შესწავლილი არ არის ამ ეკონომიკის და კერძოდ, მევენახეობის როლი ქართველი ხალხის ისტორიულ გამძლეობასა და მისი, თუ გნებავთ, ფიზიკურ განადგურებისაგან გადარჩენაში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საბჭოთა პერიოდში, ერთადერთი ცდა ქართველი ხალხის ისტორიული გამძლეობის სქემატურად გაშუქებისა ეკუთვნის მ. დუმბაძეს. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" IV ტომში შესულია მისი შენიშვნები ამ თემაზე (გვ. 821-824). მაგრამ იქ ამ გამძლეობის საფუძვლად დასახელებულია: ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მაჰმადიან აგრესორათა სისუსტე, ქართული ეკლესიის ბრძოლა ქრისტიანობის დასაცავად, აგრესორთა პირველი დარტყმის მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ მიღება და საერთოდ, ქართველი ხალხის „გმირული ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისათვის", მაგრამ არაფერია ნათქვამი იმ ეკონომიკურ ბაზისზე რამაც ნამდვილად იხსნა ქართველი ხალხი აგრესორთა მიერ ასიმილაციისაგან.

ილია ჭავჭავაძე კი ეკონომიკით იწყებდა. კითხვაზე თუ რამ იხსნა ორი ათასი წლის მანძილზე მუდმივ ომსა და ვაი-ვაგლახში მყოფი ქართველი ხალხი „რომ მტვრისაგან მტვრად არ აღგვილიყო?" მას მიაჩნდა: „ამის პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს"-ო (თხზ.,ტ. IV, გვ. 176). ქართული ეკონომიკის საფუძვლად კი იგი ვენახსა და ხილნარს თვლიდა. „ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ჰხარობს, — წერდა იგი, — ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია. ასე რომ

ბევრჯერ ჩვენს გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული. ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს და დიდს დროს თხოულობს. ვენახსა და ხეხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც **ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩობის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ.** ჩვენებურ გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს... ღრმად ჩაქდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა" **(თხზ. ტ. VI, გვ. 188--189).**.

დიდი ილიას ეს ნააზრევი საერთოდ დიდად საყურადღებოა ქართველი ერის ისტორიული გამძლეობის მიზეზების შესასწავლად, მაგრამ ჩვენთვის, ამჯერად, განსაკუთრებით ძვირფასია ის წინადადება, რომელიც ხაზგასმით მოვიტანეთ. ვინაიდან, იქ ვენახისა და ხილნარის მხოლოდ ეკონომიკურ დანიშნულებაზე კი არ არის ნათქვამი, არამედ უფრო მნიშვნელოვანზე—ისტორიულ ღირებულებაზე, რაც ვენახისა და ხეხილის ბაღის წინაპართა გარჯის, ჯაფისა და მხნეობის წმინდა სალაროდ გამოცხადებაში გამოიხატება.

შეიძლება გადაჭარბებად ჩაგვეთვალოს, მაგრამ ჩვენ უფრო მეტიც გვინდა ვთქვათ: მევენახეობა იყო მთავარი სასოფლო-სამეურნეო დარგი, რომელმაც ქართველ ხალხს ეროვნული თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. და ეს მოხდა არა მარტო ამ დარგის ეკონომკური შედეგიანობის, მისი ნაყოფიერი ეფექტურობის გამო, არამედ იმ თვისების გამო რასაც დიდი ილია თაობიდან თაობაზე გარდამავალ ოფლის წმინდა აუზს უწოდებდა, რომელიც უფრო ზნეობრივი ნორმა იყო, ვიდრე ფიზიკური ფაქტორი. ამიტომაც, გაანაგრძობდა იგი, ზევით მოტანილ წინადადებას: „ძნელია ჩვენში გლეხკაცობის ადგილიდან დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაულობა, რომელსაც «оброшняжничество» [1] ჰქვიან."

ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობის „განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაც და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომაა, რომ თემურლენგმა XIV ს. დამლევს და შემდეგ XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქაროველოში ვენახების გაკაფვა -ამოგდება უბრძანეს" **(ჯავახიშვილი 1986:618).**

მტერი ამით მარტო ეკონომიკურ ეფექტს როდი აღწევდა. სამცხე-საათაბაგოში, სადაც მათ ზვრების მოსპობას ძირითადად მიაღწიეს, ხალხი გაამაჰმადიანეს, რაც ფაქტობრივად მათს ქართული ეროვნულ-კულტუ-

[1] ამ სიტყვის სრულყოფილი ქართული შესატყვისი. თუთ დიდ ილიასაც ვერ უნახავს, რადგან იგი ჩვენ უმდიდრეს ენაში არც არსებობს.

რული სამყაროდან მოწყვეტას უდრიდა. ხოლო გარე კახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც თურქმანული ტომი ჩამოსახლდა, მან გამაჰმადიანების მიუხედავად, რომელიც ღვინის მიღებას მკაცრად კრძალავს, მევენახეობას მიჰყო ხელი და მადლიან ქართულ მიწაზე დიდებულ მოსავალსაც ღებულობს.

ასე რომ მევენახეობა ქართველი კაცისათვის მარტო სამეურნეო საქმიანობა არ არის. იგი ქრისტიანობის წინარე ხანაში კულტი იყო **(კიკვიძე 1976:120)**. და ახალი რელიგიის მიღების შემდეგაც, ქართველის ფსიქიკაში დარჩა შეუცნობელ ძალად, რომელიც დიდად განსაზღვრავდა მისი ცხოვრების წესსა და ადგილს ამ ქვეყნიურ სამყაროში. მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ კარგად შეიგნო ეს. ღვინო ქრისტეს სისხლად გამოაცხადა და პურთან ერთად, საღმრთო საიდუმლოების ზიარების ორთაგან ერთ კომპონენტად აქცია.

ვაზი საღვთო მცენარედ მარტო საქართველოში არ გამოუცხადებიათ. ივ. ჯავახიშვილს დამოწმებული აქვს ბერძნული თქმულება ვენახის წარმოშობის შესახებ, სადაც ყურძნის წარმოშობა ძაღლს უკავშირდება. ვაზის შემქმნელ ძაღლში თქმულება ვარსკვლავ სირიუსს გულისხმობს. განსვენებულ მეცნიერს მიაჩნია, რომ ძაღლი აქ შემთხვევითაა ჩართული და ეს ტერმინოლოგიური აღრევის შედეგია. გარეულ ვაზს ქართულად კრიკინა ჰქვია. გაშინაურებულს კი ვენახი. ალბათ ქართველმა კაცმა მარტივად აუხსნა უცხოელს, რომ ვენახი კრიკინასაგანაა წარმოშობილი. ამ სიტყვის მეორე ნაწილი „კინ"-ა ბერძნულად ძაღლს ნიშნავს, პირველი („კრინე") შეიძლებოდა ბერძნულ კვიროსად (პატრონად) მიეღოთ. „გარეული ვაზის სახელის კრიკინა-ს ასეთი გააზრიანების შემდგომ ხალხის ფანტაზია შექმნიდა თქმულებას, რომ შინაური ვაზი ძაღლის (კინე)პატრონისაგან (კურ) არის წარმომდგარი" **(ჯავახიშვილი 1986:683)**.

ამ ინტერპრეტაციის გაზიარებას ხელს უშლის ერთი ძნელად ასახსნელი გარემოება: როგორ მოხვდა ქართული „კრიკინა" საბერძნეთში, ძველი წელთაღრიცხვის VI ს-ში, როცა ამ თქმულების ჩამწერი ჰეკატეოს მილეტელი ცხოვრობდა და რაც უფრო სათუოა, გარეულ ვაზს მაშინაც „კრიკინა" ერქვა?

რაც შეეხება ძაღლისა და სირიუსის გაიგივებას, ეგვიპტელი ასტროლოგების წარმოდგენით, სირიუსი დიდი ძაღლის თანავარსკვლავედის ყველაზე კაშაშა ვარსკვლავი და ღვთაება იყო. მის გამოჩენას უკავშირებდნენ ნილოსის ადიდებასა და ეგვიპტური სამეურნეო წლის დასაწყისს **(იხ. ჩემი, ქრონოლოგიის ძირითადი საკითხები, თბ., 1978, გვ. 49)**, რაც ნილოსის ადიდების მისგან მაცოცხლებელი შლამის ჩამოტანისა და თესვა-აღმოცენების მაუწყებელი იყო. და არაა გამორიცხული ვაზის შექმნაც მისთვის მიეწერათ. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ვაზი ეგვიპტესა და საბერძნეთში ღვთაება სირიუსისაგან წარმოქმნილ კულტურად ჰქონიათ წარმოდგენილი.

როცა ივ. ჯავახიშვილი მევენახეობის ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა

და ქონებრივ კეთილდღეობაში უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე წერს, მიუთითებს: „რომ მიწა-წყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად, მთად და ბარად გაყოფა... სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული. სადამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საიდანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზითგან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული“ (**ჯავახიშვილი 1986:303**). ამასთან ერთად, იგი აღნიშნავდა, რომ მევენახეობა, როგორც განსაკუთრებულ ცოდნასთან და შორსგამჭვრეტელობასთან დაკავშირებული საქმიანობა, სოფლის მეურნეობის განვითარების უმაღლესი დონის მაჩვენებელი დარგია (**იქვე**).

ბიბლიის ძველი ქართული თარგმანებიდან ჩანს, რომ ვაზი უფრო გვიანდელი ტერმინია, ვიდრე ვენახი. დაახლოებით XI—XII საუკუნეებში ვენახის მნიშვნელობა შეცვლილია. მცენარის სახელად ვაზი დარჩა, ხოლო ვენახი „უკვე ვაზებით დარგული ბაღის აღმნიშვნელი გამხდარა“ (**იქვე: 305**). თუმცა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მას ძველი მნიშვნელობა შემდეგაც დარჩა და „ხშირად ვენახი ახლაც ვაზსა ნიშნავს“ (**იქვე: 304**).

ვაზი თავისთავად მხვიარა მცენარეა, სხვა ხეებს ეხვევა და მაღლა ადის. „მაგრამ, ამ მცენარის ბუნებისა და ზოგიერთი თვისების შესწავლის შემდგომ, ადამიანი დარწმუნდა, რომ მისი საშუალო ტანის ბუჩქად დაყენება ეკონომიურად, მოსავლიანობის თვალსაზრისით, სჯობია. ამიტომ დაბლარი ვაზის კულტურაც გაჩნდა“ (**იქვე: 321**). ასეთი ვენახი აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. მაგრამ საქართველოში არის კუთხეები სადაც დაბლარი მევენახეობა ან სრულებით შეუძლებელია, ანდა ხელსაყრელი არ არის. ამიტომ აქ მაღლარ ვენახს, ანუ როგორც მას იმერეთში უწოდებენ ბაბილოს აშენებენ. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის მიხედვით, შეიძლება დადგენილ იქნეს დასავლეთ საქართველოს რომელ კუთხეში, როგორ ვაზს აყენებდნენ. ირკვევა, რომ დაბლარი ვენახი იმერეთის ვაკე ნაწილში ყოფილა გავრცელებული. ხოლო მაღლარი—სამეგრელოში, გურიაში, ოკრიბასა და სოფელ სვირიდან აღმოსავლეთით მდებარე იმერეთში. ასე, რომ დასავლეთ საქართველოში მაღლარი მევენახეობა აჭარბებდა დაბლარს. ეს ბუნებრივი პირობებით იყო გამოწვეული, თორემ ქართველმა მეურნემ კარგად იცოდა, რომ დაბლარი მევენახეობა ინტენსიური, მაღალმოსავლიანი კულტურაა, ხოლო მაღლარი — ექსტენსიური, ნაკლებპროდუქტული.

ძველ საქართველოში, რომ ვენახის დაბლარად დაყენება, მისი სარზე აკვრა და გაფურჩქვნა ფართოდ გავრცელებული აგროკულტურა ყოფილა ამას ადასტურებს გიორგი მოაწმინდელი. მისი გადმოცემით, ათონელი ბერები სამონასტრო ვენახს სწორედ ასე ამუშავებდნენ. რადგან მონასტერში საქართველოს ყველა კუთხიდან წასული ბერები დაბლარ მევენახეობას ეწეოდნენ „ამისვე მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ X—XI ს-ში თვით საქართველოშიც ასევე უნდა ყოფილიყო“ (**იქვე: 353**).

ვაზის ჯიშების სიუხვისა და უმდიდრესი ამპელოგრაფიული ტერმინო-

ლოგიის არსებობის გამო, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: „რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, მევენახეობის ცოდნისა და საქმიანობის დონეც უეჭველია მაღალი უნდა ყოფილიყო" **(იქვე: 617)**.

დიდი მეცნიერს ფაქტობრივად მოუხდა ქართული ამპელოგრაფიის შექმნა, მან გამოაელინა და შეისწავლა ყურძნის 420 ჯიში—სახეობა **(იქვე: 488)**. დაადგინა თითქმის ყველა მათგანის ღირსება თუ ნაკლი და მიაჩნდა, რომ მაღალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა „ქართველი მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმა-შეწონილი და მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო" **(იქვე: 616)**.

მევენახეობის დანიშნულება მარტო ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ იყო. ღვინის გატანა ხდებოდა, როგორც საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. VI საუკუნეში ამ მხრივ არსებული ვითარების შესახებ ს. ჯანაშია აღნიშნავდა: „ღვინის გამო შეიძლებოდა მხოლოდ მოგვეგონებინა, რომ იგი საიმპორტო საგანი იყო მეზობელ ეგრისში, მაშასადამე, სათანადო საბაზრო მოთხოვნილება მეზობელ ქვეყნებში არსებობდა, და ქართლის მევენახეებს ვაჭარი ეყოლებოდა" **(ჯანაშია 1949:93)**. ივ. ჯავახიშვილი კი საგარეო ბაზარზე ქართულ ღვინოზე დიდ მოთხოვნილებას ამ პროდუქტის მაღალი ღირსებებით ხსნიდა **(ჯავახიშვილი 1986:618)**. ეს მას მიაჩნდა იმის მიზეზად, რომ „ქართული ღვინო უძველეს დროიდანვე საექსპორტო საგანს შეადგენდა" **(იქვე: 303)**.

ქართველი გლეხი არა მარტო ვაზ-ყურძნის მაღალკულტურული მოვლა-მოყვანით იყო განთქმული, არამედ ღვინის დაყენების ტექნოლოგიასაც შესანიშნავად ფლობდა. ამის მაჩვენებელია ყურძნის დასაწური ინვენტარისა და ღვინის შესანახი ჭურჭლეულის ის სრულყოფილება, რაც ადრეული საუკუნეებიდანვეა დადასტურებული. ამასვე მიუთითებს არქეოლოგიური ძიებების შედეგად მოპოვებული მარან-საწნახლების სიმრავლე.

როგორც ირკვევა, არსებობდა საოჯახო და წლიური მოსავლის შესანახი მარანი. პირველი, საცხოვრებელ სახლში გამოყოფილ სათავსოს წარმოადგენდა და ყოველ ოჯახს ჰქონდა. წლიური მოსავლის შესანახი მარანი, ეზოში ან უშუალოდ ვენახის ტერიტორიაზე ეწყობოდა. „საქართველოში X საუკუნემდე ღია ტიპის მარნები იყო გავრცელებული. X საუკუნიდან კი ვრცელდება ბახურული ტიპის მარანი. ბახურული ტიპის მარანი, როგორც წესი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა დადასტურებული—დასავლეთ საქართველოში კი—ღია მარნებია გავრცელებული. თუმცა, როგორც X საუკუნის ნიკორწმინდელის დაწერილიდან ჩანს, ბახურული მარანი დასავლეთ საქართველოშიაც სცოდნიათ" **(ლორთქიფანიძე 1967:37)**.

ღვინო იმდენად აუცილებელი კომპონენტი ყოფილა ქართველი კაცის რაციონში, რომ მარნების მოწყობა საჭიროდ მიუჩნევიათ დროებით სახიზარებსა და მიუვალ მღვიმეებში. ასეთია ლეონტი მროველის მიერ XI ს-ის მეორე ნახევარში აგებული თრეხვის (კასპის რაიონი) სახიზარ გამოქვაბულში და ზოგიერთი სხვაგან მოკვლეული მარნები **(იქვე)**.

გადახურულ სასაწნახელე შენობას აგებდნენ ქვითკირისას და ხისასაც. ნიკორწმინდელი თავის დაწერილში ხაზს უსვამს, რომ სამ სოფელში (მეტეხარას, ზნაკუას და ხიღშს) აუგია „სასაწნახელე ქვითკირი“. რაკი იგი ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს იგულისხმება, რომ სასაწნეხლე სხვა მასალისაგანაც კეთდებოდა. სასაწნახელეში ქვევრებიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მაჭრის შესანახავად მაინც, ვინაიდან საწნახელიდან ტკბილი ღარის საშუალებით პირდაპირ ქვევრში ჩადიოდა **(ჯავახიშვილი 1986:640)**.

გაარჩევენ სამგვარ საწნახელს: კლდეში ნაკვეთს, კირხსნარით ნაშენებს და ხისას. ნიკორწმინდელის ზევით დასახელებულ სამივე სასაწნახელეში „შეშის“ ე. ი. ხის საწნახელები ყოფილა **(ქსძ 1970: 28 და 30)**. თანაც იქვეა ნათქვამი, რომ მეტეხარასა და ხიღში ქვითკირის საწნახლებიც გაუკეთებიათ, პირველში — ერთი, მეორეში — ორი; ზნაკვაში ხის გარდა კიდევ ორი ყურძნის საწნეხი ჰქონიათ, მაგრამ ამათი მასალის რაობა მითითებული არ არის.

დამოწმებულ დოკუმენტში მარანი და სასაწნახლე ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგალითად, ნიკოლაოს წმინდაში ჩატარებულ მშენებლობათა შორის ნაჩვენებია — „მარანი ქვითკირისაა“ (1), რომელშიაც „ჭური ნავარძული ივ“ (16) დაუფლავთ **(იქვე: 28)**; საწირეში კი — ერთი ათჭურიანი „მარანი მუხისაჲ“ **(იქვე: 33)**.

დიდი ილიას ზევით დამოწმებულ ციტატაში მევენახეობასთან ერთად ქართული ეკონომიკის წამყვან დარგად მებაღეობა-მეხილეობაა ღასახელებული და ეს არსებული სინამდვილის ამსახველი ფაქტია, რაღგანაც მეხილეობას ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ძველთაგანვე დიდი ადგილი ეჭირა.

მებაღეობა-მეხილეობა მიწათმოქმედების უძველესი დარგია. ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შეიმუშავა გარეული ხეხილის გადმორგვისა და მოვლა-გაშინაურების მდიდარი ცოდნა-ჩვევები. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის საწარმოო გამოცდილება და მიღწეული შედეგები. იგი თვალსაჩინო ხასიათისაა საერთო ქართული მასშტაბითაც და საყურადღებოა ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებითაც.

მებაღეობა-მეხილეობის დარგის ყველაზე ღირებული მიღწევა კულტურულ მცენარეთა რიცხობრივი სიმრავლე და მრავალფეროვნებაა. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, სიძველის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ენდემური ჯიშების არსებობა და ბევრ შემთხვევაში მათი ახლო კავშირი შესაბამისი ჯიშის ბუნებრივ პირველად სახეობასთან.

ქართველი ხალხის ხანგრძლივი სამეურნეო მოღვაწეობის შედეგად, საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილია ხილის მრავალგვარი სახეობა, შემუშავებულია კულტურულ მცენარეული პროდუქტის საკვებად გამოყენება-დამზადების უნიკალური ხერხები და ტექნოლოგია. „ხილს ნედლად ხმარობდნენ, – წერდა მ. გეგეშიძე, – და გარდა ამისა მისგან წლის საზრდოდ აკეთებდნენ ტყლაპს

(ტყემლის, ქლიავის, ჭანჭურის, თუთისას), ტკბილის კვერს (ყურძნის, თუთის, ვაშლის, მსხლისას), ბაქმაზს (ბროწეულის. თუთის, ქლიავის და ყურძნისას), ჩურჩხელას (ნიგვზის, ოხილის, ნუშის, ჩირისა და ჩამიჩისაგან), ნუგბარ ხილად ახმობდნენ: ყურძენს, თუთას; ხმელ ხილად. ჩირად აკეთებდნენ :ვაშლს, მსხალს, ქლიავს, ატამს, ლეღვს, შეჭამნდისათვის კურკად ახმობდნენ: კვირინჩხას, შვინდს, ღოღნაშოს, ალუბალს და სხვას" **(გეგეშიძე 1967:171-172)**.

მარტო აქ ჩამოთვლილიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი მრავალფეროვანი იყო მეხილეობის სპექტრი საქართველოში და კიდევ რამდენი რამაა მასში გამოტოვებული. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩამოთვლილ კულტურულ მცენარეთაგან არც ერთი არაა ახალი გამოყვანილი. ისინი თითქმის უკლებლივ არსებობდნენ ადრეული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში.

ამაში მკითხველი შეიძლება დარწმუნდეს ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" შესაბამისი ნაწილის გაცნობისას **(ჯავახიშვილი 1986:685—719)**, რომელიც ავტორს, მართალია, დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ისტორიის შესასწავლად უმდიდრეს ფაქტობრივ მასალას შეიცავს.

ქართველი მეურნის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მებოსტნეობა-მეხილეობას. ამ დარგის ლოკალურობისა და სპეციფიკურობის გამო მის შესახებ ქართულ წყაროებში ძლიერ მცირე ცნობებია დაცული. მაგრამ, რამდენადაც ცალკეული ბოსტნეულის მოყვანა დიდ აგროკულტურულ ღონისძიებებს არ მოითხოვს, ბოსტნეული ადამიანის კვებისათვის აუცილებელი კომპონენტია. მისი განვითარების მაღალი დონის არსებობა საქართველოში, სადაც ბუნება ამის საუკეთესო პირობებს ქმნის, გარანტირებული იყო. ამ ჰიპოთეზის რეალურად მიღება საეშვოდ არ გახდება თუ ერთხელ მაინც გადავავლებთ თვალს ივ. ჯავახიშვილის იმ წიგნს, რომელშიც ჩვენს ქართულ მიწაზე ვარგებული ბოსტნეულის 70-ზე მეტი სახეობაა განხილული.

მიწათმოქმედებასთან ერთად სოფლის მეურნეობის მეორე ძირითადი დარგი არის **მესაქონლეობა**. გაარჩევენ ბინადარ და მომთაბარულ მესაქონელობას. საქართველოში ორივე ეს დარგი არსებობდა. მომთაბარული მესაქონლეობის განვითარებისათვის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხებს ჩვენი შესაძლებლობის მიხედვით ზევით უკვე შევეხეთ. საოჯახო მეცხოველეობის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართველებს უძველესი დარგიდანვე ჰყავდათ მოშინაურებული და მეურნეობაში იყენებდნენ ძროხას, ხარს, ცხენს, ცხვარს, თხას, ღორს. როგორც ვთქვით, არაბთა შემოსევების დროიდანვე ჰყავდათ კამეჩიც. გლეხის ოჯახში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოშინაურებულ ფრინველს, უფრო ნაკლები—კურდღელს.

პირუტყვი გამოიყენებოდა გამწევ ძალად. მესაქონლეობა იძლეოდა ხორცს, რძეს, ტყავს, ნართს. წყაროები სდუმან არათუ ქვეყანაში პირუტყვის სა-

ერთო რაოდენობის შესახებ, არამედ ოჯახებში საქონლის საშუალო რიცხვის თაობაზეც კი. მაგრამ ასურელი და ურარტული მეფეების მიერ დიაოხიდან და კულბადან წაგვრილი პირუტყვის მრავალრიცხოვნება გვაფიქრებინებს, რომ მეცხოველეობა ძველ საქართველოში მეურნეობის ჩამორჩენილი დარგი არ ყოფილა.

2. „ქუეყანისა მოქმედნი"

სოფლის მეურნეობაში დაკავებულ ადამიანთა საზოგადოების ნაწილს, რომელსაც ახლა გლეხობას ვეძახით, ძველ საქართველოში სხვადასხვა სახელი ჰქონდა. როგორც ჩანს, სოფლის მკვიდრი მიწათმოქმედი ყველა კატეგორიის მოსახლეობის ზოგად სახელს „ქუეყანისა მოქმედნი" წარმოადგენდა. თვით ტერმინი „გლეხი" ქართულ წყაროებში გვიან (IX ს-ნე) ჩნდება. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „გლეხი" თავდაპირველად არ ყოფილა ქართულ მწერლობაში და შემდეგ შემოსულა **(ჯავახიშვილი 1982:206)**. მაგრამ რა დროსაც არ უნდა იყოს ეს სიტყვა დამკვიდრებული, იგი ყოველთვის ნიშნავდა თავისუფლებადაკარგულ, ბეგარავალდებულ, წვრილ მესაკუთრეს. „ქუეყანისა მოქმედი" კი თავისუფალიც და არა მებეგრეც შეიძლება ყოფილიყო.

როგორც ვიცით, სტრაბონის დროს ქართული საზოგადოება წოდებებად („გენოსად", გვარად) არის დაყოფილი. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვან მესამე—„მხედართა და მიწათმოქმედთა" გვარს, ს. ჯანაშიას სიტყვით, „ძველებურად „ერი" ერქვა, მაგრამ ეხლა უკვე ამ ერს ის ძალა აღარ ჰქონდა, რაც პირველყოფილ-თემური წყობილების დროს" **(საქართველოს ისტორია, 1948:56)**.

წინარეფეოდალურ საზოგადოებაში „ერს" ორგვარი გაგება ჰქონდა. იგი ხალხსაც აღნიშნავდა და ჯარსაც. ეს მნიშვნელობა მან ნაწილობრივ ადრეულ შუა საუკუნეებშიაც შეინარჩუნა, მაგრამ გაცილებით უფრო ვიწრო მასშტაბით. ახლა მას სოციალური დანიშნულება აქვს შეძენილი. თუ იგი „ხალხს" აღნიშნავს მასში აღარ შედიან ერისთავები, მთავრები, აზნაურები, საერთოდ წარჩინებულები და მონები. ხოლო „ლაშქრის" მნიშვნელობით, ერი—ყველა მეომარია.

მაგრამ ამ დროს ერი ხალხის აღსანიშნავად მსაზღვრელის გარეშე თითქმის აღარ გამოიყენება. ასეთი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაში იწერება „ყოველი ერი", რაც თავისთავად ერის ნაწილ-ნაწილ არსებობაზე მიუთითებს. მაგრამ გვხვდება გამოთქმა „წვრილი ერი", რომლითაც საზოგადოების დაბალ საფეხურზე მდგომი ნაწილი აღინიშნება. იგი ს. ჯანაშიას აზრით, VI საუკუნეში სოფლის მოსახლეობის ძირითად კატეგორიას შეადგენს და „უმეტეს წილ შემთხვევაში მას ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს თავისი სამამულო უფლებები, ჩვეულებრივად თემური მიწათმფლობელობის ფორმით, ნაწილობრივ კერძო საკუთრების სახითაც" **(ჯანაშია 1949:102)**.

დამოწმებულ ციტატაში ნაწილობრივ უკვე მინიშნებულია ამ წოდების

ზოგად-უფლებრივი მდგომარეობა. უფრო კონკრეტულად მათი განსაზღვრის შესაძლებლობას წყაროები არ იძლევა. გვიანი ხანის მონაცემების ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ნათქვამს შეიძლება დაემატოს, რომ „წვრილი ერის“ ვალდებულებანი ძირითადად გარე ეკონომიკურ—პოლიტიკურ ნიადაგზეა დაფუძნებული, რამდენადაც პირველყოფილი-თემური წყობილების დროს ხალხის მიერ არჩეულ „უხუცესთა“ უფლებები, ახლა უზურპირებულია სახელმწიფო მოხელეთა, თუ ცალკეულ წარჩინებულთა მიერ. ვალდებულებებში ახლა შედის ისეთი სახელმწიფო გადასახადები როგორიცაა: ლაშქრად წასვლა, ნატურალური გამოსაღები, მონაწილეობა ციხეთა და ხიდების მშენებლობაში, ციხისთავის საზრდო, საჩუქრები და სხვა. ეს ყველაფერი გარეგნულად ნებაყოფლობითი ხასიათისაა, ფაქტობრივად კი სავალდებულოა.

„ქონებრივად „წვრილი ერი“ საშუალოდ ან მცირედ შემძლე პირებისაგან შესდგება,—წერდა ს. ჯანაშია,—ღარიბ-ღატაკთა გაჩენასაც მათ წრეში საკმაო შესაძლებლობა მოეპოვება“ (იქვე: 272).

„წურილ ერს“ V საუკუნის ამბებთან დაკავშირებით ხმარობს XI ს-ის ისტორიკოსი ჯუანშერი (ქ. ცხ. 1955:145). ხოლო „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი თავისი თანადროული (XI ს.) მოვლენების აღწერისას იყენებს ამ გამოთქმას (იქვე: 292). ა. ბოგვერაძე შენიშნავს, რომ „ამდენად ის შეიძლება ძველი ტერმინი არც იყოს“, მაგრამ მთავარია, რომ ჯუანშერს ასეთი „ერი“ ქართლში ადრიდანვე ეგულება და, უეჭველია, ამაში არ ცდება“ (ბოგვერაძე 1979:204). ჯუანშერი რეალურ ვითარებას ასახავს. მან იცის რაცაა ტრადიციული „ერი“, მაგრამ ასეთი აღარ არსებობს. საზოგადოების უფლებები დაკნინებულია. ამიტომ სახელიც მისი შესაფერისი ჩნდება. „თვით სახელწოდება „წვრილი“,—შენშნავდა ს. ჯანაშია,—რომელიც აშკარა კნინობითის მნიშვნელობას ატარებს უკვე მოწმობს ამას. ცხადია, რომ ეს სახელი ზევიდან არის დარქმეული. იგი...წარჩინებულთა ტერმინია „დაბალ“, „პატარა ხალხის აღსანიშნავად“ (ჯანაშია 1949:272). საზოგადოების ამ ნაწილს კარგად ახსოვდა რა ფავისი ჩამომავლობა თავს კვლავ „ერს“ ეძახდა. ამის საბუთია მეთოთხმეტე საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალეს დროს ,მთის თავისუფალი მოსახლეობის მიერ თვითსახელად „ჰეროვანის“, ე. ი. „ერის“ გამოყენება (იქვე).

სუმბატ დავითის ძესთან სოფლის მოსახლეობის აღსანიშნავად „ერნი მსოფლიონი“ იხმარება. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „იმისდა მიხედვით, თუ სად ჰქონდა ადამიანს მუდმივი ბინა და სადა ცხოვრობდა, მას „მსოფლიონი“ ან „მდაბიონი“ ეწოდებოდა, როდესაც სოფლის მცხოვრები იყო“ (ჯავახიშვილი 1982:197). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ იცნობს ორივე ამ ტერმინს. მაგრამ ისინი მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის ჩვენებას როდი ნიშნავდა, არამედ ერთსა და იმავე ავტორთანაც კი სხვადასხვაგვარი შინაარსის შემცველი იყო. მაგალითად, იმავე გიორგი მერჩულესთან, ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, გულისხმობს „ისეთ პირთ, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბლა იდგნენ, დაბალ წოდებრივ ან საზოგა-

დოებრივ წრეს ეკუთვნოდნენ" (იქვე: 198). „სოფლური" რომ დაბალღირსეულს, მდაბიურს, დაბალ წრეზე მიკუთვნებულს ნიშნავდა ჩანს ეფრემ მცირის გამონათქვამიდან—უბრალო ენით აზრის გამოსახატავად „სოფლურითა სიტყვითა" ვწერო.

ძველ ქართლში სასოფლო თემის არსებობის დასადასტურებლად გ. მელიქიშვილი განიხილავს ტერმინ „მდაბიურ"-ის არსს. ამისათვის იგი „სოფლისა" და „დაბის" ურთიერთკავშირს ეხება. მისი აზრით, „ქართლის უძველესი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო სატაძრო ტიპის (ჯერ საგვარეულო, შემდეგ სასოფლო-ტერიტორიულში გადაზრდილი) თემების არსებობა. „სოფელშიც" ამგვარი თემების სახელწოდებაა დასანახი" (სინ 1970:574).

მომდევნო ხანაში ამ ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა და სხვადასხვა მოცულობის ერთეულის აღმნიშვნელი გახდა („მხარისა", „ქვეყნისა", „მსოფლიოსი"...), მაგრამ იგი განაგრძობდა ფუნქციონირებას „თემის", „ტერიტორიული ერთეულის" აღსანიშნავადაც. „რამაც განაპირობა ამ ტერმინის თანდათანობითი დამკვიდრება სოფლის აღსანიშნავად, და ადრეგავრცელებული ტერმინის „დაბის" განდევნა" (იქვე: 575),

„დაბის" ადრინდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „მიწა" საერთოდ, შემდეგ—„დამუშავებული მიწა"და ვიდრე მას სოფელი შეცვლიდა იგი დასახლებულ ადგილს აღნიშნავდა. მაგრამ დაბა სრულად ამის მერმეც არ გამოსულა ხმარებიდან. ამიტომ ამ ტერმინებიდან იწარმოვა „მსოფლიონიც" და „მდაბიონიც" (ვარ.: მდაბიო, მდაბური, მდაბიორი).

მაოგან „მდაბური" თანამეთემეს მნიშვნელობით იხმარება VI ს-ის ძეგლში „ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში". ამ თხზულების ერთ-ერთი მოქმედი პირის ასურელი სტეფანეს მიმართ, „ასურნი მთავარნი კაცნი" იყენებენ გამოთქმას, რომ იგი, „ჩუენი მდაბური არის"-ო. ამ ფრაზის გაგება არ შეიძლება ისე, თითქოს ესტატე მათი სოფლელია, რადგან „მთავრებიცა" და სტეფანეც მცხეთაში მცხოვრები ასურულებია და თუ მათ სოფლელებად გამოვაცხადებდით სწორი არ ვიქნებოდით. უფრო სავარაუდოა, რომ ქართლის ქალაქებში და მათ შორის მცხეთაში სირიელებს (ასურელებს, არამეელებს) თავიანთი თემები ჰქონოდათ. „ასურნი მთავარნი კაცნი" სწორედ ამგვარ თემის მეთაურებს წარმოადგენდნენ,—ვარაუდობს გ. მელიქიშვილი,—ამიტომაც მათი სიტყვები იმის შესახებ რომ სტეფანე „მათი მდაბიურია" შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ იგი მათ თემს ეკუთვნოდა, მათი თემის წევრი იყო" (იქვე: 577), ე. ი. „მდაბური" ამ შემთხვევაში ეთნიკურ-რელიგიური შინაარსის შემცველი ტერმინია, მაგრამ თუ იგი ქალაქის მცხოვრებთა მიმართ გაიაზრებოდა, როგორც არა უბრალოდ ქალაქში მცხოვრები, არამედ „მეთემე", მაშინ გამოდის, რომ იგი ქალაქის მცხოვრებთა მიმართ, სოფლის თემიდან უნდა იყოს შემოტანილი.

რადგან ირკვევა, რომ „მდაბური" ძველ ქართლში „მეთემეს" ნიშნავდა, ამ ტერმინის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში ხმარება „ძველ ქართლში სასოფლო თემის არსებობის ერთ-ერთი მოწმობაა" (იქვე).

ძნელი დასადგენია ადრეფეოდალურ ხანაში, რომელი სოციალური ჯგუფები შედიოდნენ „წვრილ ერში", „მდაბიორებში" ა. ბოგვერაძე აღნიშნავს, რომ არააზნაურულ ფენას ამ დროს ეკუთვნოდნენ „მხედრები" და „მსახურნი". მათ გარდამავალი საფეხური ეჭირათ წარჩინებულებსა და მშრომელ მოსახლეობას შორის. და, რადგან, „წვრილ ერს" „აზნაურ-ფეოდალებისაგან მკვეთრად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდა", ამ უკანასკნელთა სამსახურში მყოფი „მხედრები" და „მსახურები" საეჭვოა, რომ მათ ფენას მივაკუთვნოთ. მაგრამ „წვრილი ერი", „მხედრებისა" და „მსახურების" სარეზერვო ფონდს კი ნამდვილად წარმოადგენდა (**ბოგვერაძე 1979:204--205**).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკვლევარის ეს დებულება, მისი ნაშრომის წერის დროს მტკიცედ დამკვიდრებული მარქსისტული დოგმების იმ მოთხოვნის გავლენითაა გააზრებული, რომელიც საზოგადოების შიგნით ანტაგონისტური დაპირისპირებათა აუცილებელ გამოვლენას გულისხმობდა, თორემ მოსალოდნელია, რომ ადრეფეოდალურ ხანაში „წვრილ ერს" მხედრები და „მსახურები" კი არა, აზნაურთა ერთი ნაწილიც კი მიეკუთვნებოდა. რამდენადაც, სოციალური დიფერენციაცია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ძლიერ შორს წასული, ასე, რომ პატივცემულ ა. ბოგვერაძისაგან ეჭვს ქვეშ დაყენებულ მემატიანეს შეეძლო ბინქარან მოგვისაგან გაბრიყვებულ, ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასულ „წურილ ერში", სამხედრო და მსახურეული ფენის ფართო სპექტრი ეგულისხმა.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარჩინებული ფენები, პირველყოფილ-თემური წყობილებიდან მოყოლებული, ომებისა და ლაშქრობების დროს დაწინაურებული პირებისაგან, რიგითი მეთემეებისაგან გამოყოფის გზით წარმოიშობოდა და, მართალია, ადრეფეოდალურ საზოგადოებაში სიმდიდრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა, მაგრამ პიროვნებისა და ადამიანთა ცალკეული ჯგუფების სოციალურად დაწინაურებაში სამხედრო საქმესა და ლაშქრობაში დამსახურებასაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ბოლოს და ბოლოს თვით ქონებისა და საკუთრების ზრდაც ხომ ამ საქმიანობაში წარმატებაზე დიდად იყო დამოკიდებული. ასე, რომ ა. ბოგვერაძე სწორია, როცა „მხედრებსა" და „მსახურებს" „წვრილი ერიდან" წარმოშობილებად თვლის. მაგრამ, ვფიქრობთ, იგი არ შეცდებოდა, თუ მათ ამავე ფენის შემადგენლობაში ჩათვლიდა.

„მხედრები", რომ „წვრილ ერში" შემავალ ფენას წარმოადგენდა ეს მათი ა. ბოგვერაძისეული დახასიათებიდანაც ჩანს. „მხედრები" ჩვეულებრივ წვრილი მიწათმფლობელები იყვნენ,—წერს იგი,—რომლებიც საკუთარი ცხენითა და შეიარაღებით გამოდიოდნენ, რადგან იმ მიწას, რომელსაც ისინი ფლობდნენ, მისი მფლობელის ეს მოვალეობა ედო ბეგარად" (**იქვე: 209**). ამასვე ადასტურებს სტრაბონის ცნობაც, რომლის მიხედვითაც, მხედრები და მიწათმოქმედები ერთ „გენოსში" არიან გაერთიანებულნი. ე. ი. მხედრებს, მიწათმოქმედი თავისუფალი „ერის" შემადგენელი ის ფენაა, რომლის მოვალეობას „მოლაშქრეობა" წარმოადგენდა. იგი საკმაოდ მრავალ-

რიცხოვანი ყოფილა. ამაზე გარდა სტრაბონის მიერ მისი გამოკვეთილად აღნიშვნისა, მიუთითებს ცხენების სამარხებისა და ცხენების გამოსახულებიანი საკულტო ნივთების ისეთი მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩენა, რომ მკვლევარებს საშუალება ეძლევათ ქართლში ცხენის კულტის არსებობაზე იმსჯელონ **(სინ 1970:571)**. ცხენი კი უპირატესად, საომრად გამოსაყენებელი ცხოველი გახლდათ, ძველ ქართულ ენაში „მხედრის" სინონიმად „ცხენოსანი" იყო დაფუძნებული **(ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 521)**.

რამდენადაც ჩვენი წყაროები ამის გარჩევის საშუალებად იძლევიან, იყენენ მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული მხედრები. პირველებს „თოროსნები" ერქვათ და საბრძოლო მწყობრში წინა რიგები ეჭირათ. „მხედრობა", განსაკუთრებით მისი მძიმედ შეიარაღებული ნაწილი, როგორც მნიშვნელოვანი ქონების მფლობელი, მუდმივ სარეზერვო ფონდს წარმოადგენდა აზნაურ-წარჩინებულთათვის. ამის მაგალითი ჩვენ გვაქვს ჯუანშერის მონათხრობში. ვახტანგ გორგასალმაო, წერს იგი, „წარჩინებულ ქმნნა მხედარნი, მსახურნი მხნედ და გამოცდილნი წყობასა" **(ქ. ცხ. 1955:158)**. ა. ბოგვერაძის აზრით ეს წარჩინებულობა აზნაურად აღზევებას ნიშნავდა. რაც უკავშირდებოდა „მამულ-დედულ ქონებასთან ერთად" შესაფერისი ოდენობის მიწის წყალობა-ბოძებას **(ბოგვერაძე 1979:210)**.

მაგრამ „მხედართა" უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ფეოდალურად დაქვემდებარებულ ფენაში გადადიოდა. აზნაურ-წარჩინებულთა მომრავლებისა და მომძლავრების, წვრილი სამეფო-სამთავროებისა და საერისთავოების წარმოშობის შემდეგ, „მხედრებმა" უშუალოდ მეფის სამსახურიდან, მათთან გადაინაცვლეს. მეფის ნაცვლად ახლა მათი „უფალი" რანგით დაბალი ხელისუფალი იყო. „ფეოდალური ვასალიტეტის სისტემის განვითარებას „მხედრები" ერისთავ-მთავრებისა და აზნაურ წარჩინებულების „ყმობამდე" მიჰყავდა, რომელთა სამსახური პატრონის წინაშე არსებითად აღარ განსხვავდებოდა ასევე პატრონყმულ დამოკიდებულებაში მოქცეული „მსახურთა" ფენის მოვალეობისაგან, **(იქვე)**. ამ მოსაზრების, ავტორს მიაჩნია, რომ „მსახურებმა თანდათან ჩაყლაპეს მხედართა ფენა და ამიტომ „მხედრები", როგორც მოლაშქრე ფენა ადრეფეოდალური ხანის ბოლოსათვის წყაროებში აღარ ჩანს.

მაგრამ ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში იბადება კითხვა: საიდან გაჩნდა ნ. ბერძენიშვილის მიერ საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში მყოფად დასახელებული „მდაბიორ-მოლაშქრეთა... ჯარი", რომელიც განსვენებული მეცნიერის აზრით მუდმივად იდგა მეფის კარზე? **(ბერძენიშვილი 1973:91)**. ანდა თუ არა ყოფილი მხედრები, ვინ უნდა ვიგულისხმოთ „პროტესტატებად", ბ-ნი ნიკოს მიერ გიორგი მესამის დროინდელი (1156—1184) საშინაო ვითარების დასახასიათებლად ჩამოყალიბებულ შემდეგ დებულებაში: „არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ ერთ მთლიან პროტესტს წარმოადგენდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფართო ფენა, გლეხად გადაქცევის წინააღმდეგ უიმედო ბრძოლაში რომ გლახაკობა -მეკობრეობას მიმართავდა" **(იქვე:71)**.

თუ XII ს-ის II ნახევარში მოლაშქრეთა „ფართო ფენა" ჯერ კიდევ არსებობდა, მაშინ, ორი საუკუნით ადრე, „მხედარ"-მოლაშქრეთა გაქრობისა და „მსახურთა" შორის მათ სრულ გათქვეფაზე საუბარი ნაადრევი გამოდის.

თავისთავად „მსახურთა" სოციალური კატეგორია ერთ-ერთი უველაზე ადრე წარმოქმნილად ითვლება. ნ. ბერძენიშვილი მათი წარმოშობის შესახებ წერდა: „ტერმინი მსახური მოწმობს, რომ ის პატრიარქალური მონობის აღმნიშვნელი ტერმინია: სახლისეული და მან ვერ მოასწრო, ჩანს, ჩვენში შემდეგ საფეხურზე ასვლა და მისი განვითარება სულ სხვა გზით წავიდა" სახელწოდებებს შორის სხვაობა იმითაა გამოწვეული, რომ „მონა" უცხოა[1] და მის შემოსვლამდე უკვე არსებობდა ანალოგიური ინსტიტუტი მსახური და მსახურება... შემდგომი განვითარება, როგორუ ჩანს, სულ სხვადასხვა იყო ამ ორი ინსტიტუტისა (მონისა და მსახურისა) და ისინი შემდგომ ხანებში, ფეოდალურ პირობებში, სულ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს" **(ციტ: ა. ბოგვერაძის დამოწმ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 205--206)**. თუმცა ორივემ შეინარჩუნა დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან. „მსახურში ამ დროს... (XI ს-ის II ნახ.—გ.მ.) იგულისხმებოდა ადამიანი (სოციალური ფენა თუ პირი) უპირატესად სამხედრო ფუნქციით" **(ბერძენიშვილი 1979:84)**.

---

[1] ტერმინ „მონას" ეტიმოლოგია საბოლოოდ დადგენილი არ არის. ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, იგი ძველი სპარსული წარწერების maniya-ს შეიძლება უკავშირდებოდეს. ეს უკანასკნელი კი „საცხოვრებელს". სახლს ნიშნავდა. მაგრამ ძველ სპარსულში მონების სხვადასხვა კატეგორიის აღსანიშნავად სხვა ტერმინსაც ხმარობდნენ. მაგალითად, ელამური „კურტაზი", გ. მელიქიშვილს განმარტებით, გულისხმობდა: „სოფლის მეურნეობაში, აღმშენებლობასა და ხელოსნობაში, მეფის ‚დიდებულთა და თვით მეთემეთა შეძლებული ნაწილის მეურნეობაში გამოყენებულ მონებს' **(სინ 1970:611)**. კოლხეთიდან და, ალბათ, ქართლიდანაც, აქემენიდების სპარ. სეთში, ხუთ წელიწადში ერთხელ 100 ვაჟსა და 100 გოგონას აგზავნიდნენ. მათი სახელწოდება იქ უნდა ყოფილიყო „კურტაზი" (ანუ სპარს. „მანიუა"). „შეიძლება ქართულმა სამყარომ ამ დროს და ამ გზით შეითვისა აღნიშნული ტერმინი მონათა აღსანიშნავად" **(იქვე)**. არსებობს სხვა ჰიპოთეზაც, რომლის მიხედვითაც, ქართული მონა კრეტაზე დამოწმებულ ძველბერძნულ ტერმინს „მნოას" უნდა უკავშირდებოდეს. რაც მნიშვნელობით სახლს უახლოვდება. ასევეა ლათინურშიაც. რომში „ფამილიას" ოჯახს ეძახდნენ, ხოლო „ფამილუს" მონას ნიშნავდა. „მონისა" და სახლის ერთი ძირიდან მომდინარეობა, როგორც ვ. დონდუა განმარტავდა, აიხსნება იმით, რომ „მონათმფლობელის „სახლსა" და მეურნეობაში მონა „ნივთად" ითვლებოდა" **(საქართველოს ისტორია, 1958:69)**.

საქართველოში, ჩვეულებრივ, ვარაუდობენ პატრიარქალური მონობის არსებობას. რაც საოჯახო მეურნეობაში მონის შრომის გამოყენებას ნიშნავდა. მაგრამ იბერიაში, სადაც საზოგადოებრივი განვითარება მნიშვნელოვნად იყო წინ წასული და, აგრეთვე, ახ. წ. I საუკუნიდან, მონათმფლობელურ რომთან განსაკუთრებულად ახლო კონტაქტების წყალობით, მონურმა შრომამ საგრძნობი ხვედრითი წილი მოიპოვა. გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ თუ სოფლის მეურნეობაში მონური შრომის გამოყენება საკმაოდ შეზღუდული მასშტაბებით წარმოებდა, მას ფართოდ იყენებდნენ მშენებლობებსა და ხელოსნობაში. ამ დროის გრანდიოზული თაყდაცვითი ნაგებობები და სასახლეები მასობრივი მუშახელის გამოყენების გარეშე ვერ გაკეთდებოდა. ასეთების ძირითადი კონტიგენტი კი მონები იყვნენ. არმაზციხის, უფლისციხის, გორის ციხის ანტიკური ფენის, სევსამორას, ნეკრესის, მცხეთის და სხვა „ასეთ გრანდიოზულ მშენებლობებზე ფართოდ იყენებდნენ მონათა შრომას **(სინ 1970:613)**.

მაგრამ მონობა საქართველოში მაინც ვერ გახდა წამყვანი და ვერ შექმნა წინაპირობები განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოების შექმნისათვის.

ხოლო „მონა ამ დროს (XII ს-ის I მეოთხედი.—გ. მ.) ეწოდებოდა განსაკუთრებით მეომართა დაქირავებულ წრეს, მეფის გვარდიას" **(იქვე:96)**.

ა. ბოგვერაძე უარყოფს ვ. დონდუას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოში „მსახურები" თავდაპირველად მონებს უნდა რქმეოდათ. მისი აზრით, ამას წყაროები არ ადასტურებენ და სინამდვილეში საქმე გვაქვს შებრუნებულ შემთხვევასთან, „როცა „მონა" შეცვლილია „მსახურით" რაც გამოწვეული იყო მონის მდგომარეობის თანდათანობით ცლილებით ფეოდალური ურთიერთობის პირობებში" **(ბოგვერაძე 1979:205)**.

ს. ჯანაშია „მსახურებს" „ტაძრეულებთან" აიგივებდა. (ტაძარი ძველად სასახლეს ერქვა. მისგან წარმოიშვა „ტაძრეული"—ტაძრის მსახური. ისევე როგორც „მსახურია" ნაწარმოები იმავე სასახლისაგან, უფრო სწორად სახლისაგან). „ესენი არიან პირნი,—წერდა იგი,—წარმოშობით, ალბათ, უმეტეს წილ შემთხვევაში „წვრილ ერისაგან", რომელნიც მეფის ან დიდი აზნაურის კარზე რამე სამსახურს ასრულებდნენ" **(ჯანაშია 1949:278)**. განსვენებულ მეცნიერს მიაჩნდა, რომ „მსახურები" გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდნენ „წვრილ ერსა" და „წარჩინებულთა"; ანუ „აზნაურთა" შორის. მეფის ან დიდი აზნაურის კარზე „მსახურს" გააზნაურების შესაძლებლობა ჰქონდა.

მ. ბერძნიშვილი განვითარებული ფეოდალიზმის დროინდელი წყაროების მოშველიებით, მსახურთა ორ ფენას გაარჩევს: „მსახურნი, რომელიც მის პატრონს აზნაურიშვილად ჰყავს და მსახურნი, რომელიც მის პატრონს მსახურად ჰყავს" **(ბერძნიშვილი 1970:98)**. პირველი სამხედრო სამსახურს ასრულებს, ხოლო მეორის „საქმიანობა გლეხის საქმიანობას ემსგავსება" **(იქვე:101)**. განსხვავებაა მათი სისხლის ფასშიაც. „აზნაურიშვილის მსახურის" სისხლი 12000 თეთრი ღირს (ე. ი. უტოლდება აზნაურის სისხლს). ხოლო ჩვეულებრივისა —1000 თეთრი (იმდენი, რამდენიც პატრონის „სიკეთესა ზედა" მქონე გლეხისა). ნათქვამი მსახურის ორმაგ ბუნებას აჩვენებს. „ამ ორმაგი ტენდენციის გამო მსახური,—დაასკვნის მ. ბერძნიშვილი,—გარდამავალი საფეხურია სოციალურ კიბეში—ერთი მხრივ ის ლამობს აზნაურთა წრეს გაუტოლდეს, მეორეს მხრივ ეკონომიური შეუძლებლობა მას გლეხობისაკენ ეზიდება" **(იქვე:102)**.

გარდა სამხედრო სამსახურისა მსახურები, რომ სხვა მოვალეობასაც ასრულებდნენ ამის მინიშნება დადასტურებულია იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობაში". ერთი მსახური იქ პოლიციურ ფუნქციებს ასრულებს. ვარსქენს იგი მიჩენილი ჰყავს შუშანიკისათვის. იაკობის თქმით, სატყრობილეში ჩამწყვდეულ შუშანიკზე ზედამხედველობა და „კრძალულად დაცვა მისი ერთითა მსახურითა" ხორციელდება. სხვა მსახურები პიტიახშის სასახლეში გარდა წესრიგის დაცვისა ყოველდღიურ დავალებებს არსულებენ. სპარსეთიდან დაბრუნებული ვარსქენი შიკრიკს უგზავნის თავის აზნაურებსა და მსახურებს, რათა შეეგებოს მას და სამფლობელოს საზღვრებში შემოსული პიტიახშის ერთგულება გამოხატონ. ვარსქენი ნებისმიერად ექცევა მსახურებს, იქამდეც კი, რომ მათი სიკვდილით დასჯაც

კი შეუძლია. ამის გამო ა. ბოგვერაძე ფიქრობს, რომ მსახურები „ყოველმხრივ დამოკიდებული არათავისუფალი ხალხია, მაგრამ, როგორც თვითონვე შენიშნავს, ვარსქენის საგანგებო უფლებებით აღჭურვილობის გამო, მის სასახლეში შექმნილი ატმოსფერო არ შეიძლება ტიპურად ჩავთვალოთ და საერთოდ „მსახურთა“ ფენაზე განვაზოგადოთ..

ს. ჯანაშია უბრუნდება რა „მსახურისა“ და „ტაძრეულის“ ურთიერთმიმართების საკითხს შენიშნავს, რომ მათ შორის „არსებული სხვაობის დეტალური გარკვევისათვის კონკრეტული მასალა გვაკლია“ ხოლო, რადგანაც „ტაძარი“ სემანტიკური მნიშვნელობით სახლზე უფრო „მაღლა“ იდგა, მოსალოდნელია ტაძრეულებიც უფრო მაღალი მდგომარეობისანნი ყოფილიყვნენ ვიდრე მსახურებიო **(ჯანაშია 1949:279)**.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ტაძრეულები“ მეფის კარზე მყოფ ლაშქარს ერქვა. მისი უფროსი ერისთავი იყო **(ბერძენიშვილი 1979:15)**. სოციალური შემადგენლობით კი ისინი საკმაოდ მრავალფეროვან. მასას წარმოადგენდნენ. „ტაძრეული (ანუ სახლეული),—წერდა იგი,—შედგებოდა როგორც სეფეწულთაგან (უფლისწულები-სამეფო გვარი, სამეფო სახლის შვილები), აგრეთვე მეფის სახლის (ტაძრის) მსახურთაგან (უკანასკნელნი, საფიქრებელია, სეფეწულთ ემსახურებდნენ ომის დროს). „ტაძრეულთა“ სიმრავლე-სიმკვრივე დამოკიდებული იყო მეფის (მისი „სახლის“, „ტაძრის“) ძლიერებისაგან. უეჭველია, ტაძრეულნი ომში მეფის დროშის გარშემო იყვნენ, მეფის უახლოეს ძალას წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, ჯარის ეს ნაწილი ყველაზე პრივილეგირებული უნდა ყოფილიყო და ეს არა მარტო იმიტომ, რომ სოციალურად პირველი წრე იყო წარმოდგენილი (უფისწულები), არამედ იმიტომაც, რომ მათი დანიშნულება განსაკუთრებული იყო... ტაძრეულები განასახიერებდნენ არა მარტო „კაკალ გულს“ საგარეო ომის დროს, ის ცენტრალისტური ტენდენციების განსახიერებაც იყო, მეფის ხელისუფლების საყრდენი (განსაკუთრებით) ძალა იყო საშინაო ურთიერთობისასაც“ **(იქვე: 41)**.

გ. მელიქიშვილი „ტაძრეულებს“ წვრილი ერისაგან წარომშობილ სოციალურ ფენად თვლის. „მაგრამ, ეს ფენა უნდა შედგენილიყო აგრეთვე ყოფილი, თავისუფლებამოპოვებული მონებისაგან, რომლებიც სამეფო რაზმებში მონაწილეობდნენ“ **(სინ 1970: 608)**.

მკვლევარი „ტაძრეულებს“ სომხური „ვოსტანიკების“ ანალოგიურ წოდებად მიიჩნევს და, რადგან ეს უკანასკნელი ძველ სომხურ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, უფრო უკეთ არის შესწავლილი, „ტაძრეულთა“ დასახასიათებლად ამ მასალას იყენებს. თავდაპირველად გ. მელიქიშვილი განმარტავს, რომ „ოსტან შადი ბაჰმან“ სასანიანთა ირანში ნიშნავდა ერთ-ერთ სამეფო პროვინციას. იგი სამეფო კარის საკუთარ სამფლობელოს წარმოადგენდა. აქ „ვოსტანი“ იხმარებოდა სამეფო ოლქებისა და ქალაქების აღსანიშნავად.

ქართული სამყაროსათვის ტერმინი „ვოსტანი“ უცხო იყო. აქ მას ცვლიდა ტერმინი სეფე, რომელიც თავდაპირველად „სამეფო გვარს“, „სამეფო კარს“ ნიშნავდა. ხოლო შემდეგ ყველაფერი იმის გამოსახატავად „იხმა-

რებოდა რაც სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. ერთ-ერთი ასეთის მაგალითს წარმოადგენდა „სეფე ქვეყანა“. მაგრამ ძველ ქართულ ტოპონომიკაში გვხვდება ტერმინი „ვოსტანიც“ როგორც ცნობილია ქ. რუსთავის ძველი სახელწოდება იყო „ბოსტან ქალაქი“ ამის გამო ყურადღებას იქცევს ორი რამ. ერთი, აშკარაა: ქალაქის სახელწოდება „ბოსტანი“ უკავშირდება ირანულ-სომხურ „ვოსტანს“ და მეორე, ირკვევა, რომ „რუსთავი და მისი ოლქი (კუხეთი) IV—V სს. სამეფო დომენი უნდა ყოფილიყო“ **(იქვე: 605)**. ამას „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ცნობა ადასტურებს. მაგ., „ჯუანშერის გადმოცემით, მირიან მეფის ძის რევის მემკვიდრეები ფლობდნენ კუხეთს და იჯდნენ რუსთავში **(ქ. ცხ. 1955:159)**. „ყოველივე ეს, — წერს გ. მელიქიშვილი,—გასაგებს ხდის რუსთავის სახელწოდებას: „ბოსტან ქალაქი“, ე. ი. „ვოსტან ქალაქი—სამეფო ქალაქი“ **(სინ 1970:605)**.

„ვოსტანიდან“ იწარმოება „ვოსტანიკი“ „ვოსტანიკები“ თავისუფალი მიწათმოქმედები იყვნენ და სამეფო მიწაზე ცხოვრობდნენ. მიწის ეს ნაკვეთები მათ მიცემული ჰქონდათ მხოლოდ პირობით, მემკვიდრულ მფლობელობაში. ამით ისინი დაკავშირებულნი იყვნენ სამეფო ხელისუფლებასთან და სამეფო ცხენოსანი ჯარის ნაწილს შეადგენდნენ. „ვოსტანიკებთან“ თავისი მნიშვნელობით და მოვალეობით ახლო იდგნენ ქართული წყაროების „ტაძრეულნი“ როგორც ითქვა, ისინი სასახლის („ტაძრის“) მიმართ სხვადასხვა სამსახურს ასრულებდნენ. „პირველ ყოვლისა,—აღნიშნავს გ. მელიქიშვილი,—ეს იყო სამხედრო სამსახური. თუ ძველსომხურ „ვოსტანიკებთან“ ანალოგიის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ, რომ სწორედ მათგან დგებოდა უმთავრესად სამეფო რაზმები და „ტაძრეულებიც ამგვარი რაზმების წევრებს წარმოადგენდნენ“ **(იქვე: 607)**.

„ტაძრეულებზე“ მსჯელობის დროს მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არჩილ „მეფის“ მიერ მათი უფლებრივი სტატუსის არსებითად შეცვლას. საქმე იმაშია, რომ ექსცერპტში, რომელიც ჩართულია ჯუანშერის თხზულებაში აღნიშნულია: „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყუნა იგინი“[1] **(ქ. ცხ. 1955:243)**.

ნ. ბერძენიშვილი ამ აქტს ეპოქალურ მოვლენად მიიჩნევდა. რადგან იგი ფეოდალიზმის პრინციპის გამარჯვებას ნიშნავდა. „ტაძრეულთა გააზნაურებით,—წერდა იგი,—მეფემ საბოლოოდ უარყო მეფის ხელის ის დამოუკიდებლობა აზნაურებისაგან, რაც მას ტაძრეულთა მყოლს ცოტად თუ ბევრად ახასიათებდა. ამიერიდან მეფე მხოლოდ აზნაურთა ხელის განმასახიერებელი იყო და კონფლიქტიც შეუძლებელი“ **(ბერძენიშვილი 1979: 41)**.

ეს რაც მეფის ხელისუფლებას შეეხება. თვით ტაძრეულებს გააზნაუ-

---

[1] არჩილის „ტაძრეულთა“ რაოდენობა ამ დროს ცნობილი არაა. ცოტა ხნით ადრე კი (ანაკოფიის ციხეში მისი და მირის ყოფნის დროს) მას მასთან ერთად ჰყავდა სამი ათასი ტაძრეული **(ბერძენიშვილი 1979:40)**.

რებასთან ერად მიეცათ მიწა. ხოლო თუ რა პირობით მიეცა იგი მათ, ამის შესახებ გ. მელიქიშვილი ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ამიერიდან ეს იყო მხოლოდ ყოფილი სამეფო მიწა და სამხედრო სამსახური განაპირობებდა ამ ყოფილი ტაძრეულების, ახლა უკვე აზნაურების მიერ ველ-მინდვრების, სოფლების ფლობას. ესენი იყვნენ უკვე „ლენური მიწათმფლობელები", რომლებადაც იქცნენ ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით ძველი სომხეთის ვოსტანიკებიც" **(სინ 1970:607)**.

მაგრამ აქ საკითხის კიდევ ერთი მხარე იქცევს ყურადღებას. ტაძრეულებისათვის მიწების ბოძება აჩვენებს, რომ მეფემ მათ საკუთარი მიწები გაუნაწილა. სხვისი ქონების გაცემის უფლება მას არ გააჩნდა. ე. ი. კახეთი, რომელიც მან „მიუბოძა" ტაძრეულებს მისი დომენი, „სეფე ქვეყანა", „ვოსტანი" იყო.

აქედან გ. მელიქიშვილი კიდევ ერთ ასეთ დებულებას გვაწვდის: „ამ აღმოსავლურ ოლქებში სამეფო მიწათმფლობელობის პოზიციების სიმტკიცე, რომელიც ასე მკაფიოდ იჩენს თავს ზევითმოტანილი მასალების მიხედვით, უნდა აიხსნას უძველეს ხანებში აქ დიდი სატაძრო მამულების არსებობით, რომლებიც გაქრისტიანების შემდეგ (IV ს. დასაწყისი), ძირითადად ალბათ სამეფო კარის, სახელმწიფოს ხელში გადავიდნენ" **(იქვე: 606)**.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, არჩილმა რომ ტაძრეულები „აზნაურ ყვნა", ეს მათს განთავისუფლებას ნიშნავდა **(ბერძენიშვილი 1979:49)**. ზევით კი ჩვენ მოვიტანეთ მისივე ციტატა, რომელშიაც იგი მეფეს ამ ღონისძიებით აღიარებდა „აზნაურობის ხელის განმასახიერებლად", ე. ი. მათზე უფრო მეტად დამოკიდებულად, ვიდრე იგი ტაძრეულების გააზნაურებამდე იყო.

ა. ბოგვერაძე არჩილის ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების შედარებით უფრო სხვაგვარ შეფასებას იძლევა. „მე არ ვარ იმ აზრის,—წერს იგი,—რომ ტაძრეულების მფლობელებად ქცევა ერთდროული აქტი იყო და არა თანდათანობითი ამბავი, მაგრამ ზემორე ცნობა ძველი ტაძრეულების ბუნებაში გარკვევისათვის სიმართლეს არ ჩანს მოკლებული. ამასთან ეს „აზნაურ ყვნა" რას უნდა ნიშნავდეს? მათ განთავისუფლებას, თუ აზნაურული (ფეოდალური) წესით მსახურებაზე გადაყვანას? უფრო სწორი ეს უკანასკნელი მოსაზრება ჩანს, რადგან „აზნაურყოფა" „განთავისუფლების" აზრით, პირველ ყოვლისა, სამეფო სახლზე ტაძრეულების ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან თავისუფლება უნდა ყოფილიყო, რასაც, უეჭველია, არჩილის მოქმედება არ ისახავდა მიზნად. პირიქით, ეპოქის ვითარების შესაფერისად, ტაძრეულები ამიერიდან ტაძრის სამსახურს აზნაურული წესით მოიხდიან იმ მიწების ფლობის საფუძველზე, რომელიც მათ ძველთაგანვე სამეფო კახეთში მიიღეს" **(ბოგვერაძე 1979:208)**.

არჩილის ღონისძიება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველა ტაძრეული აზნაურთა წოდებაში გადადიოდა. მათ ერთ ნაწილს გაღასვლა უხდებოდა სოციალური კიბის იმ ყველაზე ქვედა საფეხურზე მყოფთა შორის, რომელთაც „მდაბიორნიც" ანდა „ერნი მსოფლიონი" ეწოდებოდათ.

ივ. ჯავახიშვილმა არა მარტო „მდაბიონის“ და „მსოფლიონის“ ეტიმოლოგია გაარკვია, არამედ მათი სოციალური სტატუსითაც დაინტერესდა. წყაროების ანალიზის გზით მან დაადგინა, რომ ყველა „მდაბიონი“ როდი იყო თავისუფლებადაკარგული. „მაგალითად,—წერდა იგი,—თავისუფლად ჩანს სერაპიონ ზარზმელის მამა, მაგრამ უმრავლესობას, განსაკუთრებით IX ს-იდან მოყოლებული, თანდათანობით ყმობის უღელი დაედო და „აზნაურის ყმა“-დაც იქცა“ **(ჯავახიშვილი 1982:206)**.

როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს „ჩვენ ხელთ არა გვაქვს ადრეფეოდალური ხანის სამართლის ძეგლები, რათა მათი საშუალებით ვიკვლიოთ ადრეფეოდალურ ხანაში სასოფლო თემის დაშლისა და თავისუფალ მეთემეების გლეხებად ქცევის პროცესი“ **(ლორთქიფანიძე 1963:71)**, მაგრამ მოგვიანო ხანის ნარატული წყაროებისა და ეთნოგრაფიული პარალელების მიხედვით ზოგადი სურათის ნაწილობრივ აღდგენა მაინც ხერხდება.

„მდაბიორთა“ სოციალური მდგომარეობის გასარკვევად ივ. ჯავახიშვილმა მოიმარჯვა რუის-ურბნისის კრების ძეგლის-დების ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ვამცნებთ ყოველსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, **აზნაურსა და მდაბიორსა**, მღვდელთა და ერისკაცთა“ და სხვათა,რომ მავნე სენსა თავი დაანებონო **(ქსძ 1970:123)**. ამ ტექსტზე დაკვირვების გზით დიდი მეცნიერი ასკვნიდა: „თითოეულს ამ ცნებათა ჯგუფთაგანი ორი უკიდურესი, მაღალი და დაბალი, წერტილია აღნიშნული და ამის გამო აზნაურს ვითარცა წოდებათა შორის პირველს დაპირისპირებული ჰყავს „მდაბიორი, რომელიც, მაშასადამე, აქ უკვე წოდებრიობის ან საზოგადოებრივი წყობილების დაბალ საფეხურზე მდგომარედ არის ნაგულისხმევი“ **(ჯავახიშვილი 1982:198)**.

რუის-ურბნისის ძეგლისდება XII ს-ის დასაწყისის ძეგლია. როგორც ბნი ივანე ბრძანებს „აქ უკვე“ „მდაბიორები“ წოდებრივად დაბალ საფეხურზე დგანან. უფრო მეტიც, რადგან ისინი „აზნაურებს“ უპირისპირდებიან, ამ დროს მათ თავისუფლება, ცხადია, დაკარგული აქვთ. მაგრამ მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე ეს ასე როდი იყო. აზნაურთა მიერ თავისუფალ მეთემეთა დაყმევების პროცესი გრძელდებოდა და „ძალიან ძნელია ზღვარის გადება, ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის, სად მთავრდება „მდაბიო“, როგორც იურიდიულად პირადად თავისუფალი მწარმოებელი და სად იწყება „მდაბიო“—პირადად თავისუფლება დაკარგული მწარმოებელი“ **(ლორთქიფანიძე 1963:74)**.

ეხებოდა რა საზოგადოებრივი კლასების განლაგებას VII-IX საუკუნეებში ს. ჯანაშია წერდა: „მოსახლეობის უმრავლესობას სოფლის მიწის მუშები შეადგენდნენ, რომელთაც ჩვეულებრივად მდაბიურებს ეძახდნენ. ისინი ამა თუ იმ მთავარსა და დიდ აზნაურს ემორჩილებოდნენ. ასეთი მთავარი და დიდი აზნაური მდაბიურების „უფალი“ იყო. ამ უფალს ეკუთვნოდა დაბა, ესე იგი სოფელი, მთელი თავისი მიწა-წყლით“ **(საქართველოს ისტორია, 1948:149)**.

ა. ბოგვერაძე არ უარყოფს, რომ „ფეოდალები „მდაბიურთა" „უფლებად" და „პატრონებადაც" ითვლებოდნენ", მაგრამ მისი აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი „ყმები" იყვნენ. ყმების ფეოდალური ვალდებულება ლაშქრობა-მონადირეობაში მონაწილეობასა და მასპინძლობაში მდგომარეობდა, „რაც არსაიდან არ მტკიცდება, რომ „მდაბიორების" მოვალეობა ყოფილიყო" **(ბოგვერაძე 1979:218)**. ამასვე უნდა ნიშნავდეს, განაგრძობს მკვლევარი, ის ფაქტი, „რომ მას შემდეგ, რაც „მდაბიურები" გადავიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან, „ყმები" უშუალო მწარმოებელთა წრიდან კიდევ კარგა ხანს ჩანან წყაროებში. საფიქრებელია, ამის გამო, რომ „ყმები" იგივე „მდაბიურები" კი არ იყვნენ, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ „მდაბიურთა" საზოგადოებიდან გამოსული და კიდევ მეტად „მსახურთა", „მხედართა" და „ერისგანთა" სოციალური ფენები, რომლებიც გარკვეული ხანიდან ვასალურ დამოკიდებულებაში შედიან" **(იქვე)**.

ამ სტრიქონების ავტორს „მდაბიურები" სტრაბონისეულ „მეოთხე გენთან" ჰყავს გაიგივებული და მათ მოვალეობად მიაჩნია სამეუფეო დაბებში, რომლებიც შემდეგ აზნურების მამულებადაც იქცნენ, კოლექტიური სამეურნეო საქმიანობა. ხოლო რაც შეეხება რუის-ურბნისის კრების ძეგლის-წერაში აზნაურის საპირისპიროდ დასახელებულ „მდაბიორს", აქ უკვე „ეს სიტყვა, უეჭველია, „გლეხის" მნიშვნელობით იხმარება", რაც იმის დამადასტურებელია, რომ ადრე „მდაბიური" იხმარებოდა ქვეყნის მოქმედის მნიშვნელობით **(იქვე: 217)**.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ბოგვერაძე განაგრძობს რა თავისი ამ დებულების დასაბუთებას აღნიშნავს—„გლეხი აქ შემთხვევით არ ჩნდება იმ მწარმოებლის მნიშვნელობით, რომელიც ფეოდალის მიწაზე უშუალოდ იყო მიმაგრებულიო", ამ მტკიცებას დასაბუთება მაინც აკლია. ვინაიდან, ტერმინი „გლეხი" უკვე IX საუკუნიდანაა ხმარებაში შემოსული და XII ს-ის ავტორმა მის აღსანიშნავად რაღა „მდაბიური" დაწერა? მკითხველს ხომ შეეძლო ამ სიტყვის წაკითხვისას „გლეხს" გარდა სხვა „მდაბიურიც" ეგულისხმა. მაგალითად, თავისუფალი მეთემე, რომელიც ასევე „ქუეყანის მოქმედი" გახლდათ და ჯერ კიდევ სოფლის მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს შეადგენდა.

ივ. ჯავახიშვილი, რომ მიუთითებდა „მდაბიურნი" ორ ფენად დანაყოფება, მათგან ნაწილი იურიდიულად თავისუფალია, ნაწილი კი არათავისუფალიო, აი, სწორედ ამ არათავისუფალ ნაწილს წარმოადგენდა „გლეხობა"

გლეხობის, როგორც სოციალური ჯგუფის ერთ-ერთი სხარტი განსაზღვრება ეკუთვნის ნ. ბერძენიშვილს. მართალია, მასში განვითარებული ფეოდალიზმის დროინდელ გლეხზეა საუბარი, მაგრამ ამ წოდების ნიშან-თვისებები, მისი წარმოშობის დროიდან იმდენად კონსერვატული იყო, რომ ერთი ან ორი საუკუნის მანძილზე მათ დიდი ცვლილებები არ განუცდიათ. და, ამდენად, ქვევით მოტანილი დებულების გავრცელება, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის გლეხობაზე თავისუფლად შეიძლება. როგორც გან-

სვენებული მეცნიერი განმარტავდა: „გლეხი XII ს-ის დასაწყისს ეწოდება გარკვეულ კლასს, დაბეგრილს, სოციალურ კიბეზე უმდაბლესს, ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, მიწაზე მიმაგრებულს, ომში გამავალს მსუბუქი იარაღით“ **(ბერძენიშვილი 1979:98)**.

ს. ჯანაშია ვარაუდობდა, რომ გლეხობა VI ს-ში ჯერ კიდევ მცირერიცხოვან წოდებას წარმოადგენდა, „რომელიც უკვე ბატონყმურ მდგომარეობაში იმყოფება“ **(ჯანაშია 1949:102)**. რაც შეეხება უფრო ადრინდელ (სტრაბონის დროინდელ) ვითარებას, მაშინ „გლეხი“ მხოლოდ სამეფო სახლზე უმურად დამოკიდებულ მიწათმოქმედს ერქვა, იგი სტრაბონის „მეოთხე გენოსში“, ე. ი. „მდაბიო ხალხში“ შედიოდა. და, რადგან „გლეხები“ მაშინ მხოლოდ სეფე სახლს ჰყავდა. ამიტომ ისინი „მესეფე გლეხებად“ იწოდებოდნენ“ **(საქართველოს ისტორია, 1948:76)**.

ეს უკანასკნელი გამოთქმა ჰიპოთეტური რეტროსპექტივაა, რადგან IX ს-მდე წყაროებში ვერ ვხვდებით არათუ „მესეფე გლეხებს“, არამედ უბრალოდ „გლეხსაც“ კი[1].

ტერმინ „გლეხის“ ეტიმოლოგია ჯერჯერობით გაურკვეველია. ნ. მარი ქართულ სიტყვებს—„გლეხი“, „გლახა“ და სომხურ „გრეჰიკს“ („მდაბიო ხალხის“ აღსანიშნავად იხმარებოდა) ეთნიკურ ტერმინს „კოლხს“ უკავშირებდა. ანალოგიურ თვალსაზრისს „კოლხი“ სახელის, ასურულ წყაროებში „კილხის“ ფორმით წაკითხვასთან დაკავშირებით, აყენებს გ. მელიქიშვილიც **(სინ 1970:603)**. მაგრამ იგი არ ეთანხმება ნ. ადონცსა და ჰრ. აჭარიანს, რომელთა მიხედვითაც, „გლეხი“ თითქოსდა მომდინარეობს სომხური „გრეჰიკიდან“ რაც შეეხება გლეხის „გლახადან“ წარმოშობას გ. მელიქიშვილს მიაჩნია, „რომ აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა დიალექტურ ვარიანტებთან. თუ ეს ასეა, ეს მოწმობს ქართულ სამყაროში ამ ტერმინის სიძველესა და მის ღრმა ფესვებზე“ **(იქვე: 602)**.

---

[1] ტერმინ „გლეხის“ ქართულ მატიანეებში პირველად ხმარების შემთხვევად მიჩნეულია XI ს-ის ისტორიკოსის ჯუანშერის მონათხრობი, რომელიც ვახტანგ გორგასალის ჯორჯანელში ლაშქრობას შეეხება. „ჯორჯანეთის უმკვიდროდ გადაქცევის შედეგად, გვაცნობებს მემატიანე: „მიერითგან იქმნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი“ **(ქ. ცხ. 1955: 187)**.

რაც შეეხება სხვა წერილობით ძეგლებს (შელქისედეკ კათალიკოსის სიგელი, ნიკორწმინდელის „დაწერილი“ და სხვ.), რომლებშიაც „გლეხია“ ნახსენები, ისიხიც XI საუკუნეზე ადრინდელი არ არიან. გამონაკლისს წარმოადგენს „ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა შიოშღვიმისაგან“, რომელიც პირველი გამომცემლის (ი. ჯორდანია) მიერ დათარიღებულია 890—913 წლებით. მასში დასახელებულია „ორი გლეხი: შუილას-ძე და ტარიკას-ძე“ **(ქსძ 1965:3)**. მაგრამ ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია რიფსიმეიანთა ეპიზოდის ძველ ქართულ თარგმანს, რომელიც VII—IX სს. მიეკუთვნება და სადაც ვხვდებით ასეთ გამოთქმას: „და აზნაურნი იგი ადრეულად გლეხითურთ ეტანებოდეს“... ეს ტერმინი უფრო ადრე შემჩნეული ჰქონდა ი. აბულაძეს, მაგრამ იგი თვლიდა, რომ აქ გლეხი არ ნიშნავს მიწათმოქმედს. ს. ჯანაშიამ კი მიუთითა, რომ „გლეხის“ აზნაურის საპირისპიროდ ხმარება „ტერმინს აშკარად აძლევს უკვე წოდებრივ მნიშვნელობასაც“ **(ჯანაშია 1949:162)**. ბატონმა სიმონმა თარგმანის „შესრულების თარიღად მისი ადრინდელი მიჯნა VIII საუკუნე მიუთითა. ტექსტის „შემსწავლელი და გამომცემელი ილ. აბულაძე VIII—X საუკუნეებს აჭვესებდა. ჩვენ კი, როგორც ამას „ფავნელის დაწერილიც“ ემოწმება, „გლეხის“ ქართულ ტექსტებში პირველად ხმარების დროდ ვიღებთ შუალედურ IX საუკუნეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც. მათი უმრავლესობა განხილული აქვს ა. ბოგვერაძეს. მას საეჭვოდ მიაჩნია „გლეხის" კოლხთა სახელიდან მომდინარეობა. მაგრამ თვლის, რომ „გლეხის" „გლახასთან" კავშირურთიერთობა საკმაოდ ადრეულ ელფერს ატარებს. „გლახაკი" საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული ტერმინია და „მას უმთავრესად ეკონომიკური შინაარსი ჰქონდა, ვინემ სოციალური" მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში სადაც ქონებრივი შესაძლებლობა განსაზღვრავდა პიროვნების საზოგადოებრივ მდგომარეობას „შეუძლებელია, რომ „გლახაკს" სოციალური ელფერი არ ჰქონოდა მიღებული" **(ბოგვერაძე 1979:225)**.

ამ მოსაზრების დასადასტურებლად ა. ბოგვერაძე იმოწმებს ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებას მუხრანის უძველესი რუს ერთი მონაკვეთის სახელწოდებაზე—„საგლახო". „ეს უნდა იყოს ის რუ,—წერდა განსვენებული მეცნიერი,—რომელიც გლახებს (თუ გლეხებს) ურწყავდა მიწებს ან, უფრო სწორად, იმ ადგილებზე მოედინებოდა, რომელიც გლახებით (თუ გლეხებით) იყო დასახლებული. უნდა დავუშვათ ისიც, რომ იმ ძველ დროს გლახა (თუ გლეხი) ეწოდებოდა მიწისმოქმედი საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, გარკვეულ ფენას, ხოლო მიწისმოქმედთა სხვა ფენას ასეთი სახელი არ ეწოდებოდა. სხვაგვარ ვითარებაში რუს ასეთი ტერმინი („საგლახო".—გ. მ.) ვერ გაჩნდებოდა" **(ბერძენიშვილი 1964:417)**.

ასეთი მიმოხილვის შემდეგ ა. ბოგვერაძე აღნიშნავს, რომ „ტერმინი „გლეხი" ჩვენამდე მოღწეული უძველესი მნიშვნელობით აშკარად „გლახაკს" ენაცვლება" და ამ ტერმინების ეტიმოლოგიურად დაკავშირებას შესაძლებლად სცნობს. მით უფრო, რომ სპარსოლოგ მ. ანდრონიკაშვილის ლექსიკოგრაფიული კვლევითაც, ორივე ეს სიტყვა ერთი სპარსული ფუძიდან მომდინარე ყოფილა **(ბოგვერაძე 1979:226)**.

„გლახაკისა" და „გლეხის" ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი იმოწმებს ოსურ ენაში ამ ტერმინის, რომელიც იქ ქართულიდან უნდა იყოს შესული, ორგვარ მნიშვნელობას. როგორც იგი წერს, „ოსური ენის დიგორულ დიალექტში „გრელეხ" „მონას" ნიშნავს, ხოლო „გოელეხურ", „საცოდავს", „ჩამოფლეთილს" და ა. შ." **(სინ 1970:601)**.

ბატონ გიორგის ასევე მეტად საყურადღებოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია ტერმინი „საგლეხო" კერძოდ იგი ხევსურეთში მიემართებოდა ბრძოლის შედეგად ერთი თემის მიერ დამორჩილებულ მეორე თემს, რომელსაც „საყმო-საგლეხო" ვალდებულებებს ასრულებინებდნენ. აღნუსხულია ისეთი შემთხვევებიც, როცა დაუძლურებული თემი „ნებაყოფლობით" შედიოდა ძლიერის მფარველობაში და „საყმო-საგლეხო" ხდებოდა. თუ ამ მოვლენის გარდა სოციალურისა, ტერმინოლოგიურ მხარესაც გავითვალისწინებთ და, თანაც, ჩავთვლით, რომ საქმე გვაქვს ძლიერ ადრე წარმოშობილ ურთიერთობასთან, მაშინ „უძველეს ხანაში დაქვემდებარებული თემის სახელწოდების არსებობა შეიძლება მხოლოდ „საგლეხოს" ფორმით გავიგოთ" **(იქვე)**. მაშასადამე, ეს ტერმინი საკმაოდ ადრეა წარმოშობილი.

მაგრამ „გლეხების“ ნარატულ ძეგლებში XI საუკუნემდე მოუხსენებლობას თავისის ახსნა გააჩნია. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ამის მიზეზი „მოთხრობილ ამბებში მათი მონაწილეობის მიუღებლობით“ კი არ უნდა აიხსნას, არამედ იმით, რომ „ავტორებს არ აინტერესებდათ მწარმოებელთა სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა“, პირადად თავისუფალი თუ არათავისუფალნი იყვნენ ისინი და რამდენადაც მაშინ ასეთთა შორის დიდი ზღვარი არც არსებობდა, ამიტომ სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე მყოფთათვის ისინი იყენებდნენ ტერმინებს—„მდაბიო“ და „მსოფლიო“ ხოლო საბუთებში, რომ უფრო ადრე ჩნდება ტერმინი „გლეხი“ ეს ბუნებრივია. საბუთი იურიდიული დოკუმენტია და იქ, რომ „მდაბიო“ დაეწერათ და არა გლეხი, მაშინ ფავნელს შეულიას ძისა და ტარიკას ძის განკარგვის უფლება არ ექნებოდა. ფეოდალს მხოლოდ პიროვნული უფლება დაკარგული პირის გაჩუქება-გაყიდვის უფლება აქვს. ასეთი კი საერთოდ „გლეხები“ კერძოდ ზევით დასახელებული პირები არიან **(ლორთქიფანიძე 1963:77)**.

გ. მელიქიშვილის შეხედულებით, ადრეულ ძეგლებში ტერმინ „გლეხის“ მოუხსენებლობა იმას კი კი არ ნიშნავს,ჩრომ იგი „ქართული მწერლობისათვის უცხო იყო“, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა **(ჯავახიშვილი 1982:206)**, არამედ მან თანდათანობით განდევნა ხმარებიდან მოსახლეობის ძირითადი მასის აღსანიშნავი სხვა ტერმინები („მსოფლიონი“, „მდაბიო“, „წვრილი ერი“ და სხვ.). „ეს ტერმინები ხომ აღნიშნავდა იურიდიულად თავისუფალ მიწათმოქმედთ,—წერს იგი,—სასოფლო თემების წევრებს, რომელთა დამორჩილება ინტენსიურად მიმდინარეობდა ადრეფეოდალური ხანის მანძილზე. ამ ტერმინების შეცვლა ტერმინ „გლეხით“. რომელიც ადრე მონურ მდგომარეობაში მყოფ მიწათმოქმედს აღნიშნავდა, ჩვენ სავსებით კანონზომიერი და მრავლისმთქმელი გვეჩვენება. სწორედ ამაში შეიძლება ვეძებოთ ადრეფეოდალური ხანის დასასრულს ტერმინ „გლეხის“ წინაპალანზე გამოსვლის ახსნა და არა იმაში, რომ ქართული სამყაროსათვის აქამდე იგი სრულიად უცხო იყო“ **(სინ 1970:602)**.

სხვაგვარი შეხედულებისაა ამ საკითხზე ა. ბოგვერაძე. „ჩემი აზრით,—წერს იგი,—ტერმინი „გლეხი“ (და არა უფლის მიწაზე დასმული მწარმოებელი) VII—VIII საუკუნეებამდე არ უნდა ჩნდებოდეს“ **(ბოგვერაძე1970:222)** და სავსებით კანონზომიერია, რომ ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში იგი არ იხმარება. უძველეს ნათარგმნ ძეგლებში მას აქვს „გლახაკის“, „ღარიბის“ მნიშვნელობა. მაგრამ, რადგან ‘გლეხი“ ასე თუ ისე მესაკუთრედ ითვლებოდა, იგი არასოდეს არ იხმარება გლახაკის ეკონომიკურ შინაარსით. „ერთი სიტყვით,—დაასკვნის იგი,—ის რომ „გლეხი“ VII—VIII საუკუნეებამდე არ ჩანს არც ჩვენს ძეგლებში და ისიც, რომ უძველეს ნათარგმნ ძეგლში „გლეხი ჯერ კიდევ არაა იმ შინაარსის, რაც IX საუკუნიდან აქვს მიღებული, ამ ტერმინის თავდაპირველობას მხარს არ უნდა უჭერდეს“ **(იქვე)**.

ამასთან, ა. ბოგვერაძე ხაზს უსვამს, რომ მას ტერმინი გლეხი ჰგონია გვიან გაჩენილი და არა მიწათმოქმედი, რომელსაც იგი აღნიშნავდა. მისი

აზრით, მეფისა თუ ერისთავ-მთავრების აგარაკებზე „დასმული“ მწარმოებლები, რომლებიც მიწის მეპატრონის სასარგებლოდ ნატურალურ თუ შრომით ვალდებულებებს იხდიდნენ, ადრეკლასობრივ ხანიდანვე გაჩნდნენ და საკმაოდ მრავალრიცხოვან სოციალურ ჯგუფადაც ყალიბდებოდნენ, მაგრამ „რა ერქვათ მათ მაშინ დანამდვილებით არ ვიცით („მსხემი“? „მუშაკი“?) ყოველ შემთხვევაში მეეუვება რომ მათ „მდაბიური“ ან „გლეხი“ ეწოდებოდათ“ **(იქვე: 224)**.

მაგრამ ადრეფეოდალური ხანის დასასრულს ტერმინების უბრალო ცვლა კი არ მომხდარა, არამედ მიწათმოქმედთა საზოგადოებაში დამკვიდრებულმა სოციალურმა განშრევებამ გამოიწვია შესაფერი ტერმინის საჭიროება. „მდაბიო“, „მუშაკი“, „მსხემი“, „ამბოხი“, „უაზნო“, „წვრილი ერი“ თანდათან გაქრა, როგორც სოციალური ფენა. ეს ტერმინებიც „გლეხმა“ შეცვალა და, როგორც გ. მელიქიშვილი მიუთითებს, იგი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე „აღნიშნავდა მიწათმოქმედი მოსახლეობის... მეტად მრავალრიცხოვან ნაწილს, რომელიც სრულ ფეოდალურ დამოკიდებულებაში იყო მოქცეული (ყმა-გლეხობა)“ **(სინ 1970:598)**.

ამ ციტატაში „გლეხთან“ დაწყვილებული სიტყვის „ყმის“ შესახებ გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ იგი დასავლეთ საქართველოდანაა შემოსული **(იქვე)**. მისი ეტიმოლოგია და მნიშვნელობა, პატრონყმობის პრობლემასთან დაკავშირებით, შესწავლილი აქვს ივ. ჯავახიშვილს. ტერმინი „ყმა“,—წერდა იგი,—რომელსაც განსაზღვრული პირად და უფლებრივ დამოკიდებულებაში მყოფი ადამიანის აღსანიშნავად ხმარობდნენ ხოლმე წარმოსდგა სიტყვისაგან „ყმა“, რაც ძველს ქართულ მწერლობაში, ...ბავშვს ნიშნავს“ **(ჯავახიშვილი 1982:226)**.

თავდაპირველად „ყრმა“ ორივე სქესის მცირეწლოვან ბავშვს აღნიშნავდა, შემდეგ კი მხოლოდ—ვაჟებს. ბ-ნ ივანეს მოჰყავს სულხან-საბას განმარტება, რომლის მიხედვითაც ყრმა ერქვა ხუთმეტიდან ოც წლამდე ასაკის ვაჟს, ხოლო აქედან ოცდაათ წლამდე ხნისას უწოდებდნენ ჭაბუკს და იქვე შენიშნავს: იოანე საბანის ძე ჰაბოზე ამბობს, რომ იგი „იყო ყრმა-ჭაბუკ ვითარ ათვრამეტისა წლისა, გინა უკნინეს ათშვიდმეტი წლისა“, რომელსაც ნერსე ერისთავს მსახურად დაუდგაო. მაშასადამე ჭაბუკად შეიძლებოდა კაცი უკვე 17 წლიდანაც კი წოდებულიყო. ხოლო „ყრმა“ შეიძლებოდა ახლად დაბადებულ ბავშვსაც წოდებოდა. მაგალითად, ჟამთააღმწერლის თქმით დედოფალი „გვანცა მიუდგა და შუა ყრმა და უწოდა დიმიტრი“ ტერმინ „ყრმის“ ასეთი მნიშვნელობით გამოყენების ნიმუშები განსვენებულ მეცნიერს მრავლად მოჰყავს ბიბლიის ძველქართულ თარგმანებიდან და დაასკვნის: „მარტო ის გარემოებაც, რომ ტერმინი „ყმა“ სიტყვა „ყრმისაგან“ არის წარმომდგარი, გვაფიქრებინებს, რომ ყმათა პირადი უფლება ცოტად თუ ბევრად მაინც შეზღუდული უნდა ყოფილიყო“ **(იქვე: 227)**. ეს დებულება გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ „ყრმის“ სოციალური დანიშნულებით (ე. ი. „ყმად“) გამოყენების შემთხვევაშიც კი, იგი მიუთითებდა, რომ ამ ტერმინში მთავარი იყო მცირე ასაკოვ-

ნებაზე ხაზგასმა, ე. ი. ვისაც ის მიემართებოდა ესაჭიროებოდა „მამა“, „უფალი“, გამზრდელი, მეურვე, „პატრონი“ თვითონ კი გასაზრდელი ანუ „წული“, „შვილი“ იყო. ამ თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა ა. ბოგველრაძის შენიშვნა, რომ „ყმა“ თავდაპირველად იყო პატრონყმური კიბის უკანასკნელ საფეხურზე მდგომი „შვილი“ ანუ „წული“, რომლის მეგრულ შესატყვისად მას, ს. ჯანაშიაზე მითითებით, დამოწმებული აქვს „ჭკორია“ და მასთან სემასოლოგიურად დაკავშირებული „პატრონჭკოლარა“ **(ბოგველრაძე 199:214)**.

სოციალური გაგებით „ყმა“ ქვეშევრდომსაც ეწოდებოდა და სხვის მფარველობის ქვეშ მყოფ პირსაც. პატრონყმობის პირობებში „ყმები“ სახელითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით განიხილავს „შეწირულ“, „ნებიერ“, „სიგელოსან“ და სხვა კატეგორიის ყმების უფლება—მოვალეობებს და აანალიზებს ცნობებს, რომლებიც ძველ ქართულ წყაროებშია დაცული მათ შესახებ. ამ ექსკურსის წინ მას აუცილებლად მიაჩნია განაცხადოს: „ქვემომოთუვანილი მაგალითების დედააზრის გასათვალისწინებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ძველს ქართულ საბუთებში ხშირად „ყმა“-ს მაგიერ „გლეხი“ იხმარებოდა და „გლეხი“ ყმასა ჰნიშნავს“-ო **(ჯავახიშვილი 1982:230)**.

როცა „ყმის“ მნიშვნელობით „გლეხია“ ნახმარი ამ შემთხვევაში საუბარია პირად დამოკიდებულებაში მოხვედრილ მწარმოებელზე. „ყმის“ ეს მნიშვნელობა მისი თავდაპირველი მდგომარეობის ამხსნელია. ამ სახელის მჭონე პიროვნების მდგომარეობა „მონისას“ უახლოვდებოდა, იგი, უეჭველია, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი ძალა იყო. ამიტომაა „ყმას“ გვიან გავრცელებული ტერმინი „გლეხი“ რომ ენაცვლება, ხოლო შემდეგ ყმა და გლეხი სინონიმები ხდება, ან კომპოზიტის სახით (ყმა-გლეხობით) გამოიყენება. პატრონყმობის პირობებში კი „ყმა“ ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია. „გლეხისაგან“ განსხვავებით იგი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ყველა კატეგორიის სოციალურ ჯგუფის წარმომადგენელს შეიძლება ეწოდოს და ეწოდებოდა კიდეც, ამ საკითხზე ჩვენ ქვევით კიდევ მოგვიწევს მსჯელობა[1]. ამჯერად კი განვაგრძოთ საუბარი იმ ყმებზე, რომლებიც გლეხობის კატეგორიას ეკუთვოდნენ.

საზოგადოების ამ ნაწილისათვის სიტყვები „ყმა“ და „გლეხი“ სინონიმებია, მაგრამ საკუთრივ „გლეხი“ მოღწეულ წერილობით ძეგლებში მისი გამოყენების დროიდან, თავისუფლება-დაკარგული, სხვის საკუთრებაში გადასული პიროვნების აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინია. გვიან კი იგი ზოგად მნიშვნელობასაც იძენს და სოფლად მცხოვრები მიწათმოქმედი მოსახლეობის აღსანიშნავად იხმარება.

---

[1] პატრონყმობის პირობებში ყმასა და გლეხს შორის განსხვავება, ცხადია, არსებობდა. იგი წაიშალა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. მ. ბერძნიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს: „ყმა—თავდაპირველად თავისუფალი პირი, ფეოდალზე დაქვემდებარებული და გლეხი—იმთავთვე თავისუფლებას მოკლებული, ასევე ფეოდალზე დაქვემდებარებული. საბოლოო ანგარიშში ყმა გლეხთა (ბეგარის გადამხდელი, თავისუფლება მოკლებული) რიგებში ერთიანდება“ **(ბერძნიშვილი 1970:83)**.

გლეხის სხვის საკუთრებად ქცევა, ე. ი. პირადი თავისუფლების დაკარგვა მისი **მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.** ნაწილობრივ დამოკიდებულებაში მყოფი მიწათმოქმედი, მაგალითად, ისეთი რომელსაც პატრონის მიწიდან წასვლის უფლება აქვს, გლეხად ვერ ჩაითვლება. ასეთი შემთხვევის გამო ჯეშმარიტად ლოგიკურია მ. ბერძნიშვილის ნათქვამი: „ვისაც პატრონის მიწიდან წასვლა შეუძლია, ის არც პატრონის საკუთრებას არ წარმოადგენს და რაკი პატრონისა არ არის—არც გლეხია" **(ბერძენიშვილი 1970:18)**.

ნარატულ წყაროებში ადრეფეოდალურ ხანაში გლეხთა უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კონკრეტული ცნობები არ გვხვდება. ცხადია, მაშინ საგრძნობი იყო ნაწილობრივ დამოკიდებული მიწათმოქმედთა რიცხვი. XI ს-ის ძეგლებში კი სადაც გლეხების უფლებრივ მდგომარეობაზეა მინიშნებული, ისინი უკვე იურიდიულად უუფლებო, სხვის საკუთრებად ქცეული პირები არიან. ეს რელიეფურად ჩანს „ნიკორწმინდელის იადგარში" (1071—1080), სადაც შესყიდულ თუ შეწირულ გლეხთა მიწისა და სხვა ქონების ჩამოთვლისას მოხსენიებულია გლეხები საკუთარი სახელითაც და ზოგჯერ პატრონის (მაგ., „ჯინჭარაის ძისა", „ვახტაგნისა" და სხვ.) სახელით **(ქსძ 1970:27—28)**. ამ დოკუმენტში მოხსენიებული ყველა გლეხი პირადად დამოკიდებულადაა ნავარაუდევი, მაგრამ გლეხის პატრონის სახელით დასახელება პირდაპირ მიუთითებს მათს იურიდიულ უფლებადაკარგულობაზე.

მ. ბერძნიშვილი ამ ფაქტს ასეთ კომენტარს უკეთებს: „ეს გარემოება ერთი მხრივ იმის მეტყველი დადასტურებაა, რომ გლეხი სხვისი საკუთრებაა, თავისუფლება დაკარგული აქვს და მეორეს მხრივ მაჩვენებელია იმისა, რომ გლეხს საკუთარი მიწის გაყიდვა არ შეუძლია პატრონის ნებართვის გარეშე. გლეხის პატრონი არის იურიდიული პასუხისმგებელი გლეხის მიერ ჩატარებული ყიდვა-გაყიდვის აქტისა" **(ბერძნიშვილი 1970:20)**.

ეს დებულება უნდა გავრცელდეს იმ გლეხებზედაც, რომლებიც პატრონის გარეშე არიან დასახელებული არა მარტო დამოწმებულ დოკუმენტში, არამედ იმ ეპოქის სხვა საბუთებშიაც, რადგან „გლეხთა მასას შორის არა გვხვდება არც ერთი, რომლის სოციალური დამოკიდებულება პატრონისაგან დროებითი ხასიათისა იყოს" **(იქვე)**. მაშასადამე, რამდენადაც ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში გლეხად წოდებული პირები სრულად არიან დამოკიდებულნი თავიანთ პატრონზე, ისინი ყმა-გლეხთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

ზევით, ნარატულ წყაროებში გლეხის ადრეულ მოხსენიებასთან დაკავშირებით, ჩვენ დავიმოწმეთ ჯუანშერის მონათხრობი ვახტანგ გორგასალის ჯორჯანეთში ლაშქრობის შესახებ. ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს მემა-

ტიანის შემდეგი მინიშნება—დაპყრობილ ჯორჯანეთში „ყოვლად უმკვიდრო ყვეს და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავი სპარსთანი. და მიერითგან იქმნნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი“ (ქ. ცხ. 1955:187). აქ ჯუანშერი გლეხად ქცევაში ჯორჯანთა მიერ მხოლოდ თავისუფლების დაკარგვის აღნიშვნას კი არ თვლის საკმარისად, არამედ მიუთითებს მათს საბეგრო ვალდებულებაზე სპარსთა წინაშე, როგორც გლეხის ეკონომიკური დაქვემდებარების მაუწყებელზე.

ჯუანშერის თანამედროვე სხვა წყაროებიდანაც ჩანს, რომ მებეგრეობა გლეხის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება იყო. მაგალითად, „ნიკორწმინდელის იადგარში“ ვხვდებით ასეთ ადგილებს: „ვიყიდე ვენახი... და მივეც გლეხსა საბეგროდ“ (ქსძ 1970:32); „მოვიგე მიწაჲ; და მივეც გლეხსა საბეგროდ“ (იქვე: 33); „გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გარდაიხდიდის (იქვე: 30). მართალია, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ საბეგროდ გაცემა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გლეხის დაყმევებას, ამისათვის საჭირო იყო საბატონო მიწის ამღებ გლეხს ყმობა თვითონვე ეკისრა (ჯავახიშვილი 1982:231), მაგრამ „გლეხობა“ ხომ იმას ნიშნავდა, რომ იგი თავისუფლებადაკარგული მიწათმოქმედი იყო, ხოლო რადგან ახლა მებეგრეც ხდებოდა, რა თქმა უნდა, ყმურ დამოკიდებულებაში ექცეოდა.

ამდენად, გლეხთა საერთო დამახასიათებელი **მეორე ძირითადი ნიშანი მებეგრეობა**, ბეგარის გადახდა იყო (ნ. ბერძენიშვილი 1965:51; მ. ბერძნიშვილი 1970:23).

ბეგარის ინსტიტუტის წარმოშობის შესწავლა ს. ჯანაშიამ წამოიწყო. მან ახსნა, რომ ბეგარა ირანული ტერმინია („ბექარამადან“—სამუშაოზე გასვლას). თავდაპირველად ქართლში იგი შემოსული უნდა იყოს ირანული ხარკის ერთ-ერთ სახედ, როგორც მოსახლეობის შრომითი ვალდებულება დამპყრობლის სასარგებლოდ. როცა ქვეყანა მჩაგვრელის უღელს იცილებს, მის მიერ დაწესებულ გამოსაღებებს, ადგილობრივი გაბატონებული კლასი თავის სასარგებლო ვალდებულებად გადააქცევს ხოლმე. ეს მით უფრო მოსახერხებელია თუ ვალდებულება გატანას არ ექვემდებარება. ე. ი. ღირებულებას ან საქონელს კი არ წარმოადგენს, არამედ სამუშაოს სახითაა შესასრულებელი. „ასეთი მეტამორფოზი საქართველოს მერმინდელ ისტორიაში ჩვეულებრივი ამბავია, — წერდა ს. ჯანაშია,—ამ შემთხვევაში სწორედ ბეგარას მოხდის აღწერილი ცვლილება მოხდა იმიტომ, რომ იგი თავისი ხასიათით ადგილობრივ განსახორციელებელი გამოსაღები იყო ... (მისი გაგზავნა არ შეიძლება)“ (ჯანაშია 1949:103).

რაც შეეხება ამ ვალდებულების სოციალურ არსს, ბეგარა ს. ჯანაშიას თქმით, იყო „ერთი საშუალებათაგანი“ „წვრილი ერის“ ზედმეტი შრომის მითვისებისა ფეოდალების მიერ“ (იქვე). ქართულ წყაროებში ბეგარის ხსე-

ნება XI საუკუნიდან ხშირდება. ამიტომ სპეციალურ საისტორიო ლიტერატურაში მას XI—XII საუკუნეების მოვლენების გადმოცემისას ეხებიან ხოლმე. ს. ჯანაშია კი ბეგარის დაწესების დროდ VII საუკუნეს ვარაუდობდა. ამის საბუთად მას მიაჩნდა ჯერ ერთი, მეზობელ სომხეთში ბეგარის VII საუკუნის შუა წლებიდან ფუნქციონირების ფაქტი **(იქვე)**. და მეორეც, ბეგარა და ზოგიერთი სხვა ტერმინის ირანულობა მიუთითებს, რომ ისინი ჩვენში შემოსული არიან, როცა ქართლი ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო და მის მიერ დაწესებულ ვალდებულებებს იხდიდა. ხოლო არაბთა ბატონობის დამყარების შემდეგ შემოდის და ვრცელდება არაბული გადასახადები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები. მაგ., ღალა, სუხრა, ხარაჯა, კაბალა, ნადი, ხასი, მალი, ულუფა, ხიზანი და სხვ. **(იქვე:104)**. არაბთა ბატონობა ქართლში VII ს-ის II ნახევრიდან იწყებს დამკვიდრებას. ეს ნიშნავს, რომ ამაზე ადრე მოქმედებდა ირანული საგადასახადო სისტემა და ტერმინოლოგია.

მ. ლორთქიფანიძეც ვარაუდობს, რომ „ბეგარა VI—X საუკუნეებში საქართველოშიც არსებობდა" **(ნ. ლორთქიფანიძე 1963:80)**, მაგრამ მანვე მიაქცია ყურადღება, რომ აღმოსავლურ წყაროებში ყველგან ბეგარის (შრომის ვალდებულების) მნიშვნელობით სარაბული ტერმინი „სუხრა" იხმარება. იგი დამოწმებულია VII—X საუკუნეების არაბ ავტორთა ნაწარმოებებში. „არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ მნიშვნელოვანმა გარემოებამ, —შენიშნავს იგი,—რომ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეშიც „სუხრა" ბეგარის სინონიმური მნიშვნელობით იხმარება" **(იქვე)**.

ასეთი მნიშვნელობითაა „სუხრა" ნახმარი შიომღვიმის XI ს-ის II ნახევრის საბუთში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი უფრო ადრე არ ფუნქციონირებდა. მისი გავრცელება უნდა მომხდარიყო თბილისის საამიროდან, რადგან იგი არაბთა პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა ქართლში. მაგრამ ეს საამირო არა მარტო პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, არამედ აქ მოქმედებდა აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ფეოდალური ურთიერთობანი. „არაბული წყაროებიდან კარგად ჩანს,—აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე,—რომ თბილისის საამიროში ქართულ მიწათმფლობელობასთან ერთად გავრცელებული იყო არაბული მიწათმფლობელობის წესიც" **(ლორთქიფანიძე 1967:46)**.

რადგან „სუხრა" ისეთივე შრომითი ვალდებულების აღმნიშვნელი ტერმინი იყო, როგორც „ბეგარა", წყაროებში ვხვდებით არა მარტო ერთმანეთის სანაცვლოდ გამოყენების, არამედ ერთსა და იმავე ხანის ძეგლში მათი პარალელურად ხმარების შემთხვევებსაც, თანაც ანგარიშგასაწევია, რომ „სუხრა", როგორც არაბთა საამიროს გზით შემოსული ტერმინი უფრო

გვიანაა (VIII—X სს) გავრცელებული. თუმცა, როგორც ბეგარის ისე მისი „შინაარსი ჩვენში უკვე VI საუკუნიდან, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების დროიდან არსებობდა" **(იქვე)**.

იყო თუ არა ამ ტერმინების ქართული სინონიმი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჭირს, რადგან VI—VIII საუკუნეთა ქართული დოკუმენტები, რომლებშიაც ადრეფეოდალური ხანის ურთიერთობა აისახებოდა და შესაბამისი ტერმინოლოგია იქნებოდა დაცული, ჩვენამდე მოღწეული არ არის. გვიანდელი ხანის წყაროების შესწავლის შედეგად შრომითი ვალდებულების აღსანიშნავად ნახმარ ტერმინად მ. ლორთქიფანიძეს—„სამუშაო" მიაჩნია. ამის დამადასტურებლად მას მოაქვს შესაბამისი ადგილი გიორგი მესამის (1156—1184) ერთი სიგელიდან, სადაც „სამუშაო" სასეფო ვალდებულებადაა ნაგულისხმევი **(ლორთქიფანიძე 1963:82)**. გიორგი II-ის 1072 წლის საბუთში კი პირდაპირაა მითითებული ამ ქართული, სპარსული და არაბული ტერმინების სინონიმური მნიშვნელობის შესახებ. იქ ვკითხულობთ „... რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჰირებითა სამსახური უქნევია ანუ სამუშაო ანუ სუხრაი" **(ჭსძ 1965:11)** მაგრამ, შენიშნავს მკვლევარი, „სამწუხაროდ გლეხთა შრომითი ვალდებულების აღსანიშნავად ეს ქართული ტერმინი სამუშაო ჩვენთვის საინტერესო ხანის ქართულ წყაროებში ძალიან იშვიათად გვხვდება. და თუ არ ვცდებით, ამ ორი შემთხვევის გარდა არც უნდა იყოს დამოწმებული" **(ლორთქიფანიძე 1967:44)**.

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს იმასაც, რომ „სუხრა" მხოლოდ ორ ქართულ საბუთშია დამოწმებული (გიორგი II-ის 1072 წლის შეუვალობის განახლების სიგელი შიომღვიმისადმი და დავით აღმაშენებლის ანდერძი) და ამიტომ მას შესაწყნარებლად მიაჩნია ვარაუდი, რომ „სუხრა" საქართველოში „სპეციალური შრომითი ვალდებულების—„სამეფო სამუშაოს" მნიშვნელობით დამკვიდრდა" **(იქვე: 47)**.

ასევე ყურადსაღებია მეცნიერის მოსაზრება, რომ „ბეგარა" და „სუხრა", მართალია, აღმოსავლური წარმოშობის ტერმინებია, მაგრამ მათი მნიშვნელობა ენდემურ ქვეყნებსა და საქართველოში განსხვავებული იყო. რასაც აღმოსავლურ და ქართულ ფეოდალიზმს შორის არსებული განსხვავება განაპირობებდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალური მეურნეობა არ არსებობდა, ანდა მეტად მცირე მასშტაბისა იყო, ამიტომ ბეგარაში იგულისხმებოდა ციხეების, სასახლეების ასაგებად, გზების გასაყვანად, სარწყავი არხების გატანაზე მუშაობა. ფეოდალურად უკეთ განვითარებულ საქართველოში კი, გლეხს ამ სამუშაოების გვერდით, უფრო ხშირად, ფეოდალის პირად მეურნეობაში მუშაობა ევალებოდა. „ბეგარა და სუხრა უეჭველია XI საუკუნემდეც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, —ასკვნის მ. ლორთქიფანიძე,—რა მნიშვნელობითაც იხმარება ის ჩვენთვის ცნობილი სრუ-

ლიად გარკვეული ხანის (XI—XII სს-ის გ. მ.) საბუთებში. ოღონდ ბეგარა ადრეფეოდალურ ხანაში ეკისრებოდა მწარმოებელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, როგორადაც გვაქვს ჩვენ საქმე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში" **(ლორთქიფანიძე 1963:83)**.

ამგვარად, ბეგარა საქართველოში სრულდებოდა, როგორც საზოგადოებრივ სამუშაოებში მონაწილეობის, ასევე გლეხის ბატონის მიმართ შრომითი ვალდებულების მოხდითაც.

მ. ბერძნიშვილი გლეხის ამ ვალდებულებებს ერთ ცნებაში—„ბეგარა-სამსახურში" აერთიანებს და შემდეგნაირად განმარტავს მას: „სამსახური გულისხმობს გლეხის შრომით ვალდებულებას ფეოდალის წინაშე. ბეგარა კი გამოხატავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც გლეხს.აწვა როგორც ბატონის მიწაზე მჯდომს, ბატონის მიწის დამმუშავებელს" **(ბერძნიშვილი 1970:23)**.

ფეოდალიზმის არსებობის მთელ პერიოდში სამი სახის ბეგარა არსებობდა: შრომითი, ნატურალური და ფულადი. რამდენადაც „წმინდა ფორმით რენტის ეს სამი სახე მხოლოდ ეკონომიურ თეორიაში არსებობს" **(ლორთქიფანიძე 1967:43)**, ფეოდალიზმის განვითარების დონის შესაბამისად მათი შერეული ფორმები მოქმედებდნენ. ადრეფეოდალურ ხანაში, როგორც ყველაზე მარტივი, შრომითი ბეგარა იყო გაბატონებული, თუმცა არსებობდა ნატურალური და ფულადი გამოსაღებებიც. ეს სპეციალურ ლიტერატურაში უდავო დებულებად ითვლება. უფრო ძნელი დასადგენია, როგორი იყო ბეგარის ოდენობა, რამდენი დღე, მართებდა გლეხს მუშაობა. XI—XIII საუკუნეთა ქართული საბუთები გვიჩვენებენ, რომ გლეხის ვალდებულებები შესამჩნევად რთულდებოდა. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ: თავდაპირველად ბეგარა შედარებით მსუბუქ სახეს ატარებდა და გლეხს მისი მოხდა, მაინცდამაინც, არ უნდა გაჭირვებოდა. ამიტომ იყო, რომ „წვრილი ერის" ზოგიერთი წარმომადგენელი ნებაყოფლობით შედიოდა პატრონის მფლობელობაში და ბეგარას კისრულობდა, თუმცა ეს თავდაპირველად ყმურ მდგომარეობაში შესვლას ნიშნავდა და არა „გაგლეხებას". ასე იქცევა მაგალითად „ნიკორწმინდელის იადაგარის" პერსონაჟი წონელა. მან „...მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წმიდა ნიკოლაოსს და ყოველთა წელიწადთა მოსცემს მარილსა ლიტრა ლ (30)-სა" **(ქსძ 1970:32)**.

ნ. ბერძენიშვილის აზრით „მოკიდება" ამ შემთხვევაში მფარველობაში შესვლას ნიშნავდა **(ბერძენიშვილი 1966:126)**. სხვა ადგილას კი იგი განმარტავს, რომ „მოკიდებულნი" ორი კატეგორიისანნი იყვნენ—„თანასწორნი და სოციალურად მეტნაკლებად დამოკიდებულნი. იურიდიულად ეს უკანასკნელი კატეგორიაც თავისუფალი იყო" **(იქვე: 34)**. რაც შეეხება წონელას, თუ დავუშვებთ (როგორც ამას ერთ შესაძლო შემთხვევად ნ. ბერძენიშვილი თვლის), რომ იგი აქამდეც ნიკორწმინდის „მონასტრის შვილი" იყო, მაშინ მის მიერ ბეგარის ნებაყოფლობით დაკისრება, პატრონყმურ ურთიერთობაში შესვლას აუცილებლად გულისხმობდა. ასე, რომ მფარველობაში

შესვლა წონელას (და მის სახლს) მებეგრედ აქცევს. გახდა თუ არა იგი ამის შემდეგ პიროვნულ უფლებადაკარგული გლეხი, წყაროს მიხედვით ეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ აქამდე, რომ მას დიდი მანძილი აღარ აქვს დარჩენილი, ამის ვარაუდი ნამდვილად შეიძლება.

„ნიკორწმინდელის იადგარში" წონელა გამონაკლისია არა მარტო თავისი „მოკიდებულობით", არამედ ბეგარის ნატურალური სახით გადახდითაც. ამ საბუთში დასახელებული ბეგარის სხვა გადამხდელი პირები რა სახის ვალდებულებას ასრულებენ დოკუმენტიდან არა ჩანს. საერთო სურათიდან ირკვევა, რომ ნიკორწმინდელის მიერ დასახელებული პირების უმრავლესობა მიწათმოქმედები არიან. **(ბერძნიშვილი 1970:27)**. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ბეგარა ასეთსავე საქმიანობასთან იქნებოდა დაკავშირებული.

მიწათმოქმედი გლეხების ბეგარის ძირითად სახეს სამინდვრე მუშაობა წარმოადგენდა. მათ ვალდებულებაში შედიოდა: მუშაობა მეპატრონის მიწაზე გაზაფხულისა და შემოდგომის ხვნა-თესვისას, მონაწილეობა მოსავლის აღება-შენახვის დროს, ვენახისა და ხეხილის მოვლა და სხვა.

ასეთი სახის ბეგარის განსაზღვრის ყველაზე ადრინდელი საბუთი არის ფავნელთა სიგელი (IX ს.), რომელშიაც ვკითხულობთ: „დავიდევ ერთი ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი, და თუ (ი)' გრივი გამოვიდეს, ცხრა გრივი პატრონსა და მეათე ცხეველელთა" **(ქსძ 1965:4)**, ე. ი. ცხეველელებს სამინდვრე სამუშაოს სახით ევალებათ—თითო დღე ანაეულზე, ლეწვასა, მკაზე მუშაობა. დოკუმენტიდან არ ჩანს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ საუბარია კვირაში ერთ დღეს მუშაობაზე და არა დასახელებულ სამ სეზონში შესასრულებელ სამუშაოებში მხოლოდ სამი დღით მონაწილეობაზე. ამას ადასტურებს მომდევნო ეპოქის საბუთები. მათი შესწავლის საფუძველზე მ. ბერძნიშვილმა დაადგინა, რომ შემორჩენილია გლეხების სახელწოდებები—„მეორშაბათე გლეხი", „საკვირაო გლეხი" ასეთი სახელები თავისთავად გულისხმობს, რომ იქნებოდნენ „მესამშაბათე", „მეოთხშაბათე" და ა. შ. გლეხები **(ბერძნიშვილი 1970:24)**, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ მისვლოდნენ მიწათმფლობელს და კვირაში ერთ დღეს მის სასარგებლოდ ემუშავათ. სხვა დღეებში ისინი თავისუფალნი იყვნენ. მათგან გამოსარჩევია მხოლოდ „საკვირაო გლეხის" საკითხი, რადგან „...კვირა დღეს მუშაობა გამორიცხული უნდა იყოს (ქრისტიანული რელიგია კრძალავს კვირა დღეს მუშაობას). ქ უნდა იგულისხმებოდეს გლეხის მოვალეობა პატრონის სასარგებლოდ იმუშაოს წელიწადში რამდენიმე კვირა" **(იქვე)**.

ამ მოსაზრების ავტორს მიაჩნია, რომ გლეხების ეს სახელწოდებანი XII—XIII საუკუნეების საბუთებში უკვე გადმონაშთის სახითაა ნახმარი. ამ

[1] ი ჩამატებულია გამომცემლის მიერ და ნიშნავს აოს. ცხეველეთი და კიდევ სამი სხვა სოფელი მეფემ, ბარდავს ბრძოლაში მონაწილეობისათვის, ფავნელს უბოძა. ფავნელმა შიომღვიმეს შესწირა. მონასტერი, როგორც სოფლის პატრონი, მიქაელ მემღვიმის სახით, ბეგარას უწესებს ცხეველელებს.

დროისათვის გლეხთა ვალდებულებანი გაცილებით შეცვლილი და გაზრდილია. ისინი პატრონს მთელი წლის მანძილზე თითქმის ყოველდღიურად ემსახურებიან. „მეორშაბათე გლეხი ისეთივე პირობებში მოქცეულად მოიხსენიება, როგორც ყველა სხვა გლეხი. მისი სახელწოდება კი მხოლოდ მისი წინაპრის გაგლეხების ისტორიის მაუწყებელია" **(იქვე)**.

ეს სახელწოდება იმაზედაც მიანიშნებს, რომ „ადრეფეოდალურ ხანაში საგლეხო ვალდებულებანი შედარებით მსუბუქი იყო" **(ლორთქიფანიძე 1963:86)**. ამ თეზისის სისწორეში ეჭვი არ უნდა დაბადოს ფავნელის საბუთიდან ზევით მოტანილი ციტატის მეორე ნაწილმა, რომლის მიხედვითაც, გალეწვის შედეგად მიღებული მოსავლის ცხრა მეათედს პატრონი იტოვებდა, სოფელს კი მხოლოდ ერთი მეათედი ეძლეოდა. მართალია, ეს ძლიერ მცირე ნაწილია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს გლეხიც არ მუშაობდა დიდხანს პატრონის მიწაზე. თანაც მას მიწის ნაკვეთიც ჰქონდა მიცემული პირადი გამოყენებისათვის და ასეთ პირობებში გასამრჯელოს მიღებას, ალბათ, მხოლოდ სიმბოლური ხასიათი თუ ჰქონდა.

ბეგარა გულისხმობდა სამინდვრე სამუშაოების შესრულებას გლეხის მიერ მეფის სასარგებლოდ, მის მამულში. დადგენილი არაა თუ რამდენი დრო მართებდა მას ასეთი სამუშაოსათვის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ოდენობით საბატონო ბეგარას უთანაბრდებოდა. ოღონდაც, მას შემდეგ, რაც შეუვალობის უფლების გავრცელება მოხდა ფეოდალურ (უფრო ადრე და ხშირად სამონასტრო) მამულებზე, იმუნიტეტის მქონე საფეოდალოები სამეფო ვალდებულებებისაგან, მათ შორის სამინდვრე სამუშაოებისაგანაც განთავისუფლდნენ.

ბეგარას, რომელსაც გლეხი მეფის მამულში სამინდვრე სამუშაოების სახით იხდიდა „სასეფო" ერქვა. „სასეფო მუშაობა,—წერს მ. ლორთქიფანიძე,—გარკვეული რეგულარული მოვალეობა უნდა ყოფილიყო გლეხისა. მაგრამ სამეფო მამულში ამ სამუდამოდ გადაკვეთილ მუშაობასთან შესაძლებელია, გლეხს ცალკეული შემთხვევის გამო მეფის მამულში საგანგებო სამუშაოც დაკისრებოდა" **(ლორთქიფანიძე 1967:52)**.

საგლეხო ვალდებულებების სხვა სახე იყო მემამულისა და მეფის საამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა. ასეთი ბეგარა ზოგ შემთხვევაში გლეხს საეროო ნორმის ფარგლებში უნდა შეესრულებია. მაგრამ პატრონი ცდილობდა ცალკე დაეწესებია იგი. ზევით მოტანილი ციტატის მიხედვით, ფავნელი სწორედ ასე იქცეოდა—ცხეველელებს ერთი დღის „ციხის ბეგარს" უკვეთავდა. თუმცა შეიძლება აქ სპეციფიკურ შემთხვევასთანაც გვქონდეს საქმე, რადგან ფავნელის სიტყვით: „დაუწყეს ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება, დავდგი ხევსა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით; და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხეველელთა ჰქონდეს" **(ქსძ 1965:4)**. ჩნდება კითხვა „ციხისა ბეგარი" ფავნელმა ცხეველელებს იმის სანუფშოდ ხომ არ დაუწესა, რომ მათ საფრთხის შემთხვევაში „უკეთესი სახიზნო" გაუჩინა?

უფრო მოგვიანო ხანის დოკუმენტებშიაც გვაქვს ბეგარის სახით გლეხების სამეფო სამუშაოებში მონაწილეობის დავალდებულების შემთხვევები, მარამ ზოგიერთი მათგანი დროებითი ხასიათისაა. მაგალითად, დემეტრე I-ს

(1125—1156) მუხრანის მშენებლობის დროს, რუეთისა და სხალტების მცხოვრებთათვის ერთ თვეში ერთ დღეს მუშაობა დაუვალებია. გიორგი მესამე (1156—1184) მათ უხსნის ამ ბეგარას, როცა საკელე სამუშაოებსა და რთველის მოწევაში (ჭურების რეცხვა) ვალდებულებებს უცვლელად უტოვებს **(ქსძ 1965:22)**. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა დროებითი ვალდებულება იყო. ვადის გასვლის შემდეგ გლეხი მისგან თავისუფლდებოდა, მაგრამ ეს განთავისუფლებაც მეფის განკარგულებით უნდა მომხდარიყო. ასე, რომ მ. ლორთქიფანიძე სწორად შენიშნავს—„...განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მშენებლობის წარმოების დროს, მათ (გლეხებს.—გ. მ.) საგანგებოდ დაევალებოდათ ხოლმე ასეთ მშენებლობაში მონაწილეობის მიღება"-ო. მაგრამ არა გვგონია ასეთივე სახისა იყოს მისი ვარაუდი—„სხალტებისა და რუეთის გლეხებისათვის მეფე დემეტრეს მიერ დაკისრებული „სამუშაოს" მოხსნა—... გიორგი III-ის მიერ შიომღვიმის მამულებისათვის შეუვალობის მიცემას" შესაძლებელია უკავშირდებოდესო **(ლორთქიფანიძე 1967:53)**. ეს თეზისი მაშინ იქნებოდა მისაღები მეფეს, რომ ყოველგვარი ვალდებულება მოეხსნა შიომღვიმის მამულებად ნაწყალობევი სოფლებისათვის. გიორგი მესამე კი წერს: „ნუცა რუეთსა და სხალტბასა და ნუ რომელსა სოფელსა მათსა რაი ექნევის ნურაი სამუშაოი ჩუენი სასეფოი, თუნიერ საჩნავი გუემსახურან ორი დღე რუეთელთა, შიოის-უბნელთა და ჩიქუნურელთა, ამან სამმან სოფელმან, და ორი დღე სამკალი ამათვე სამთა სოფელთა: რუეთმა, შიოის-უბანმა და ჩიქუნურთა, ოთხთა ჭურისა მრეცხელთა სხალტბელთა მარანსა ჩუენსა ტყე-კორათა მოსცემდეს სამსა კუირასა" **(ქსძ 1965: 22)**. როგორც ვხედავთ, მებეგრეები ყველა გადასახადისაგან კი არ არიან განთავისუფლებულნი, არამედ სასეფო სამუშაოთა ნაწილისაგან, რომელიც მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. სხვების შესრულება კი მათ ამის შემდეგაც ევალებოდათ.

საბუთის იგივე ადგილი მ. ბერძნიშვილს კომენტირებული აქვს, როგორც გლეხობის ორმაგი დაქვემდებარების პრეცედენტი. იგი წერს: ტექსტში დასახელებული სოფლების „მცხოვრები გლეხები მიწიანად, თუმცა მღვიმეს ეკუთვნიან და სასეფო გამოსაღებებისაგან თავისუფლები არიან, მაგრამ მეფის სასარგებლოდ მაინც მართებთ მუშაობა-სამკალი და სახნავი" **(ბერძნიშვილი 1960:150)**. ტექსტის ასეთი ინტერპრეტაცია გამორიცხული არ არის, მაგრამ იგი ჩვენეულ გაგებას არ ეწინააღმდეგება.

შრომითი ბეგარის სამინდვრე სამუშაოებიდან რამდენიმე განსხვავებული სახეა დამოწმებული „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში". მაგალითად, სოფელ ძარღუას ერთ-ერთ მცხოვრებზე ნათქვამია, რომ იგი იყო „მსრბოლი გზათა შორთა" **(ვაჩნაძე 1975:182)**, ე. ი. შიკრიკი—მალემსრბოლი. ასეთი მოვალეობის შესრულება, როგორც ჩანს ყველას არ შეეძლო, ამიტომ ბასილი ზარზმელის თქმით, როცა ეს „მსრბოლი" ბერად შედგა, სოფლისათვის იგი იმდენად დიდი დანაკლისი იყო, რომ თანასოფლელებმა („კაცთა და მეგობართა") უფალს შესჩივლეს ამ „სახმარი კაცის" საერო ცხოვრებაში დაბრუნების სასურველობა.

შიკრიკობა–მალემსრბოლობასთან ახლომყოფი პირები, ოღონდაც მრავალრიცხოვანნი, იყვნენ იმავე ძეგლში დასახელებული „მკვირცხლ-მავალნი“. ამ უკანასკნელთა მოვალეობა მარტო შიკრიკობის შესრულება კი არ ყოფილა, არამედ მათვე ევალებოდათ გზების „გამზადება“—მოწყობა. გიორგი ჩორჩანელი ასეთ პირებს აგზავნის „რაჲთა მზა-ყუნენ გზანი მიმყვანებელნი“ სერაპიონ ზარზმელის ადგილსამყოფელამდე, რომელიც აქამდე „ულუაწ“ და „უვალ ადგილს“ წარმოადგენდა **(იქვე : 159)**. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ამ კატეგორიის სამსახური იყო „მოწიგნორობაც“ მისი განმარტებით—„სიტყვა „მოწიგნარი“ შიკრიკს ნიშნავს და ამდენად „მოწიგნარი“ ისეთი გლეხი უნდა იყოს, რომელსაც პატრონის სამსახურის შესრულება შიკრიკობით ევალება“ **(ლორთქიფანიძე 1967:54)**.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ვალდებულების კიდევ ერთ სახეს ვხვდებით, ესაა მეგზურობა და პატრონის განკარგულების შესრულებაზე მეთვალყურეობა. სერაპიონმა და მისმა თანამოღვაწეებმა გიორგი ჩორჩანელს მონასტრის ასაგებად ისეთი ტერიტორია გამოძალეს, რომელიც ჯერ ამ მთავარს არ ეთმობოდა მისთვის და შემდეგ იქვე მცხოვრებ „საძმოს“ არ სურდა დაეკარგა. მართალია, მთავარმა დააიმედა ბერები. „გულპყრობილ იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანაშემწე ოჭუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდგომ ჩუენდა ადგილსა ამათ, რომელთა გეგუულების დაპყრობად“-ო **(ვაჩნაძე 1975:162)**, მაგრამ საქმე, რომ ასე მარტივად არ იყო თვითონაც უწყოდა. ამიტომ მოიხმო ერთი თავისი მხლებელი ჭაბუკი და უთხრა: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითაგან ვიდრე მწუხრამდე (რაოდენი) შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინაითგან ადგილსა ამას წადიერ არიან. და თუ უკუეთუ ვინმე იპოოს დამაბრწეველ მათდა უცხოებისათვის, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისამებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“ **(იქვე:161-162)**. მაშასადამე, ჭაბუკის მოვალეობაა: ბერებს აარიდოს შესაძლო უკმაყოფილებანი და ყველას გააცნოს, რომ ადგილის „დაპყრობისა“ და მონასტრის აგების უფლება მათ გიორგი ჩორჩანელისაგან აქვთ მიცემული. ეს მისი მოვალეობა იყო, თორემ შემდეგ აღმოჩნდა, რომ მან აქ გზები კარგად არც იცოდა. ამის გამო შეშფოთებული სერაპიონი, რომელსაც სურს რაც შეიძლება სწრაფად იაროს, რათა „ადგილსა მას დროსა“ მივიდეს, ეუბნება იას სახელით გაცნობილ კაცს: „ნუ წახუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჭაბუკი ესე უმეცარ არს ადგილთა ამათ“-ო **(იქვე: 164)**. და შემდეგ ამ იას მეგზურობით განაგრძეს „გარე-შემოწერით შემოვლა სიმგრგუალე მათ ადგილთა“ **(იქვე: 162)**.

ახალი მეგზურის შოვნის მიუხედავად „ჭაბუკი იგი მოძღუარი“ მათთან დარჩა ბოლომდე. იგი აცნობდა მთავრის გადაწყვეტილებას შემხვედრებს და მისი მეოხებით, გარდა ერთი შემთხვევისა, ბერებს წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. დასასრულ, როცა ბერებმა ადგილის შემოვლა დაამთავრეს, სერაპიონს ჰკითხა ხომ არ დააბარებდა მას რაიმეს მთავართან. ზარზმელს არაფერი აღმოაჩნდა სათხოვნელი. როგორც ჩანს ჭაბუკის მოვალეობა უნაკ-

ლოდ იყო შესრულებული, და „იგი მოძღვარი“ (ამ შემთხვევაში მეგზურს ნიშნავს.—გ. მ) ვალდებული იყო ამის შესახებ მოეხსენებინა პატრონისათვის. რაც მან გააკეთა კიდეც, როცა „მირაი-წია ჭაბუკი იგი წინაშე მთავრისა“ **(იქვე: 168)**.

ასეთი ვალდებულებანი საგანგებო ხასიათისა იქნებოდა. მას, ზოგჯერ, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ამის მაგალითია გიორგი ჩორჩანელის მეგზური. რომელიც „ადგილთა ამათ უმეცარი“ აღმოჩნდა.

ასევე არასაველე-სავენახე ვალდებულებებს განეკუთვნებოდა მეწისქვილეობა, წყაროს-მკაზმველობა, ჭურის რეცხვა, შინაური პირუტყვის მოვლა და სხვა მომსახურებითი ხასიათის სამუშაოები.

ზოგიერთი სამუშაო, რომელიც ერთი შეხედვით იოლი საქმე მოჩანს, საკმაოდ შრომატევადი ყოფილა. ანტონ ჭყონდიდელმა „დიდითა ღუაწლითა“ და „საფასო ჲ დ თა“—შიო მღვიმის უდაბნოსათვის წყარო გამოაყვანინა. მისი მოვლა-პატრონობა მინდობილი ჰქონდა ორ კომლ გლეხ ქოსაისძეებს. რომლებიც საკმაოდ ძლიერი მეურნენი ყოფილან. ისინი ერთ ფუძე მიწაზე ისხდნენ და მონასტერმა წყაროს კაზმისათვის კიდევ 12 დღიური მიწა დამატებით გამოუყო. მაგრამ „ესენი ოდენ არა ეყოფოდნენ მკაზმავად წყაროსა“ ამიტომ „ერთი მეორეშაბათე გლეხი სახელით პატარ და მეორე გლეხი, გარეთმოსრული ჭაჩაბურაისძე ესენიცა წყაროსვე მიუყენეთ მკაზმავად“ **(ქსძ 1965:32)**. მაშასადამე, უკვე გამოყვანილ წყაროს მოვლა-პატრონობაც საკმაოდ რთული საქმე ყოფილა. ნათქვამი უფრო დამაჯერებელი გახდება თუ გავიოვალისწინებთ მ. ბერძნიშვილის მოსაზრებას—„ჩანს ამ გლეხს ჭაჩაბურაისძეს წყლის მკაზმელის—ჭუჭანკის სპეციალობა ჭონდა“ **(ბერძნიშვილი 1960:154)**. სავარაუდოა: მონასტრის კრებულმა ეს „გარეთმოსული“ გლეხი იმიტომ შეიკედლა, რომ იგი სწორედ იმ საქმის მცოდნე იყო, რაც მათ ესაჭიროებოდათ და მას თავისი ოსტატობით შეეძლო რამდენიმე არმცოდნე მუშაკი შეეცვალა.

წყლის მკაზმველობა, მეწისქვილეობა, ბაზიერობა და სხვა ასეთი სისტემატური მსახურება ბატონთან, მ. ლორთქიფანიძის აზრით, საგანგებო ვალდებულებების რიგს განეკუთვნებოდა: იმოწმებს რა ზევით მოტანილ ცნობას გლეხ ქაჩაბურაისძეზე წყლის მკაზველობის დაკისრების შესახებ, იგი წერს: „ეს არის ამ კომლის ერთადერთი ვალდებულება ჩანს ასეთი საგანგებო დავალების შემთხვევაში გლეხის კომლი თავისუფლდებოდა სხვა მოვალეობისაგან“-ო **(ლორთქიფანიძე 1967:55)**.

ძველ საქართველოში ადამიანის სქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო ნადირობა. გარდა ნანადირევის საკვებად გამოყენებისა, მას სამხედრო საქმეში ნადირობის მონაწილეთა წვრთნის დანიშნულებაც ჰქონდა. პატრონის ნადირობაში გლეხის მონაწილეობა ბეგარად იყო გადაკვეთილი. ფავნელი მას „მისაცემელთა“ შორის პირველად ასახელებს: „წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის ბეგარა ჩვენი მოსაცემელი“-ო აწესებს იგი **(ქსძ 1965:4)**. ნადირობაში მონაწილეობა გლეხის სასეფო მოვალეობაც იყო. სამეფო ნადირობაში გასვლა ბეგარაში შედიოდა.

თუ შევაჯამებთ ნათქვამს გლეხობის შრომითი ვალდებულებების შესახებ მივალთ დასკვნამდე, რომ იგი ადრეფეოდალურ ხანაში, მაინცდამაინც მძიმე არ ყოფილა. სამუშაოთა სახეობები კი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მ. ლორთქიფანიძე ჩამოთვლის შემდეგ სახეებს: „მუშაობა ხვნა-თესვასა და მოსავლის აღებაზე (მკა, ლეწვა, ცეხვა და სხვა); მუშაობა ვენახისა და ბაღის კრეფაზე, ჭურის რეცხვა, მონაწილეობა სამშენებლო სამუშაოებსა და ნადირობაში, აღნიშნულს გარდა საგანგებო სამუშაო ვალდებულებანია ხელოსნობით სამსახური (კალატოზობა, მჭედლობა, წყლის მკაზმველობა და სხვა)" **(ლორთქიფანიძე 1967:55)**.

მარქსიზმი თვლიდა რომ გლეხისათვის ამ ვალდებულებების დაკისრება გარეეკონომიკურ იძულებას წარმოადგენდა. ეს თეზისი ადრეფეოდალური ხანისათვის, როცა გლეხობის დაყმევების პროცესი დამთავრებული არ არის და გლეხობა ჯერ კიდევ არაა მიმაგრებული მიწაზე, არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ფეოდალი გლეხს ბეგრავს მისთვის მიწის ნაკვეთის პირად სარგებლობაში მიცემისათვს და ეს უკვე აღარაა გარეეკონომიკური იძულება, რამდენადაც მიწა ამ შემთხვევაში გლეხის შემოსავლის წყაროა და მაშასადამე, ეკონომიკურ ფენომენადაა ქცეული.

ადრეფეოდალურ ხანაში გარდა შრომითისა ნატურალური რენტაც მოქმედებდა. ნატურალური ვალდებულებების სახეებისა და ოდენობის განსაზღვრა, წყაროებში ცნობების დაუცველობის გამო, უფრო მეტად გაძნელებულია, ვიდრე შრომითი ბეგარისა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ IX—X საუკუნეებში გლეხის ვალდებულებების ორივე ეს სახე ერთნაირი ოდენობისა იყო. დისპროპორცია მათ შორის ნატურალურის სასარგებლოდ მოხდა ადრეფეოდალურიდან განვითარებულზე გარდამავალ პერიოდში. ქართულ სოფელში ნატურალური გადასახადის ყველაზე გავრცელებული სახეები უნდა ყოფილიყო-ღალა (გადასახადი მოსავალზე) და კულუხი (—ღვინოზე). ორივე ამ გამოსაღებით გლეხი იბეგრებოდა, როგორც მებატონის, ისე მეფის (სახელმწიფოს) სასარგებლოდ.

იმავე ფავნელთა საბუთში, რომელიც ჩვენ დავიმოწმეთ ცხეველრელთა საველე სამუშაოების და ნადირობის ბეგარის დაწესებასთან დაკავშირებით, გადაკვეთილია: „ბეგარა ჩვენი მოსაცემელი,—წერს ფავნელი,—კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეშამადი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი ღვინო" **(ქსძ 19-65:4)**.

ღალის ეს ოდენობა მიუთითებს, რომ იგი ერთ-ერთი სახეა ე. წ. „სამასპინძლო" გადასახადისა. გარდა თავისი „მისაცემლისა" ფავნელი გლეხებს უკვეთავს „ცხირელი ხელოსნის" გამოკვებას, „თუ რამე ცხირელსა ხელოსანსა გუერდსა შესაპოვარი გედვას, აშმევდე რასა ბეგრობისათუის, ღალასა ნუ გააკლევინებ; სიარული არა შეუძლოს, აიკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შინგან გაიყვანე" **(იქვე)**. ეტყობა ფავნელს ცხეველრეთში ბეგარის ამკრეფი მოხელე არა ჰყავს. იგი მეზობელი სოფლიდანაა, ამიტომ ცხეველრელებს მისი გამასპინძლება და სოფლის საზღვრამდე მიყვანა ევალებათ.

რაც შეეხება კულუხს, ადრეფეოდალურ ხანაში, მისი ოდენობის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს. XIII ს-ის მასალის მიხედვით მ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ იგი მოსავლის მეოთხედს შეადგენდა. მოსალოდნელია ამ დროს ღალის ოდენობა უკვე გაზრდილი იყო, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ღალა მოსავალზე გადაიკვეთება და არა გლეხისათვის მიცემულ მთელ ფუძეზე.

გარდა ღალისა და კულუხისა გლეხი იხდიდა სხვა ნატურალურ გამოსაღებებსაც. როგორიც იყო: გაღასახადი საძოვრით სარგებლობისათვის, ბაჟი და საკორშე გამოსაღები, ძღვენი ქორწილსა და გასვენებაში, ბატონისა და მეფის გამასპინძლება, გადასახადი სამართლის წარმოებისათვის და სხვა **(ლორთქიფანიძე 1967: 58--60)**.

შრომითი და ნატურალური ბეგარის გარდა სახელმწიფო და საბატონო გლეხები იხდიდნენ საეკლესიო და განსაკუთრებული დანიშნულების სამოხელეო გადასახადებს **(ბერძნიშვილი 1964: 137)**.

პირდაპირი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ შემოვლითი გზით ხერხდება დადგინდეს ადრეფეოდალურ ქართლში ფულადი გადასახადის არსებობა. როგორც ს. ჯანაშიამ გამოიკვლია ჯერ კიდევ ირანელთა ბატონობის ხანაში (VI—VII სს.) „ფულადი, ცენტრალური დანიშნულების გამოსაღები" ხარკი იკრიბებოდა **(ჯანაშია 1949:103)**. მოსახლეობა ფულადი სახით იხდიდა არაბულ გადასახადებს—ჯიზიას და ხარაჯას **(ჯანაშია 1952:383)**. „ეს გარემოება,—მიუთითებს მ. ლორთქიფანიძე,—უფლებას იძლევა ვივარაუდოთ ამ დროს ჩვენში ფულადი გადასახადის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაბებს გაუძნელდებოდათ მოსახლეობაზე ერთბაშად ფულადი გადასახადის გაწერა" **(სინ 1973: 363)**.

სხვა საქმეა საიდან შოულობს გლეხი ფულს. ასეთი გადასახადები, ცხადია, გარკვეულ დრომდე ხელს უწყობდა სასაქონლო მეურნეობის განვითარებას. გლეხს გარდა ხარკისა, ხომ საბატონო და სახელმწიფო გაღასახადებიც უნდა გაესტუმრებინა, რაც ძლიერ ძაბავდა მის ქონებრივ შესაძლებლობებს. რა უნდა გაეყიდა მას ისეთი, რომ მარტო ჯიზიაში გათვალისწინებული ერთი დინარი გადაეხადა. რაც დაახლოებით პირველი მსოფლიო ომის წინანდელ 5 ოქროს მანეთს უდრიდა **(ჯანაშია 1952:383)**. სასაქონლე შესაძლებლობების ასეთ დაძაბვას მხოლოდ მრავალმუშახელიანი და ძლიერი მეურნეობები უძლებდნენ. „ზოგი კი ერობაშად იყლიტება... ქონებრივი უთანასწორობა იზრდება ბევრად უფრო სწრაფად" **(იქვე)**, მაგრამ ფეოდალური მეურნეობის განვითარებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს და იგი ნატურალური მეურნეობის ფარგლებში ჩაკეტილი რჩება. ასეთია ის მონაცემები, რაც ადრეფეოდალური ეპოქის საქართველოში ფულადი რენტის არსებობის ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა.

ცხადია, შუა საუკუნეების გლეხობა ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენდა. მაგრამ ადრეფეოდალურ ხანაში, ვიდრე იგი საბოლოოდ დაყმევებული არ იყო, გაცილებით მცირე რაოდენობის ფენებად (კატეგორიებად) იყოფოდა. როგორც ითქვა, სახელწოდება „გლეხი" გვიან ჩნდება წყაროებში,

ამიტომ მის ადრინდელ კატეგორიებზე მსჯელობა შეუძლებელია. XI—XII საუკუნეების წერილობით ძეგლებში აღირიცხება, რამდენიმე სახელი რომლებიც „გვიჩვენებენ ამ სახელწოდებათა მქონე პირთა მდგომარეობის წარმოშობას“ **(ბერძნიშვილი 1960:144)**. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ამ სახელწოდების კატეგორიაში მუდმივად რჩებიან, მათი ერთიდან მეორეში გადანაცვლება ისევე მოსალოდნელია, როგორც კვლავ ძველ ვითარებაში დარჩენა.

მ. ბერძნიშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ეს საკითხი, მხოლოდ XI—XII საუკუნეთა მდგომარეობას ეხება. ცხადია, მის მიერ ჩამოთვლილ კატეგორიათა ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა და ეს პროცესი უფრო ადრეულ ხანაშიც მიმდინარეობდა, მაგრამ მის მიერ დახასიათებული გლეხთა კატეგორიები (შეწირული, ნასყიდი, სიგლოსანი, ნებიერი, მკვიდრი, ნაწყალობევი...) უკვე ყმა-გლეხობას წარმოადგენს. ე. ი. გლეხობის თვისებრივად ახალი სახეა და ადრეფეოდალური ხანის შესახებ მსჯელობის დროს მათზე საუბრის გაგრძელება სრულყოფილ ტიპოლოგიურ სურათს ვერ წარმოგვიდგენს. ამიტომ გლეხთა კატეგორიებზე მსჯელობის დროს ჩვენ, ამჯერად, დავკმაყოფილდებით იმის აღნიშვნით, რომ ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს მოსახლეობის ეს უდიდესი ნაწილი—გლეხობა, ისევე, როგორც უფრო გვიან, ძირითადად სამ მფლობელს ეკუთვნოდა, ანუ იყო გლეხობის სამი სახე: სამეფო (სახელმწიფო), საბატონო და საეკლესიო. მათი ცალ-ცალკე დახასიათება კი წინამდებარე წიგნის პრობლემატიკიდან გამომდინარე საჭიროდ არ მიგვაჩნია.

3. აზნაურ-წარჩინებულნი

მარქსისტული მეთოდოლოგიის ბატონობის ხანაში არც ერთ წოდებას არ უწვნევია ისეთი უმართებულო ძაგება, როგორიც თავადაზნაურობას ხვდა წილად. არადა ამ წოდების წარმოშობა და არსებობა საზოგადოების განვითარების ისეთივე პროგრესი იყო, როგორც ამჟამად კერძო მესაკუთრე მეწარმეებისა, რომლებიც დაჭირავებულს ფულად ანაზღაურებას აძლევენ, განსხვავებით აზნაურობისა, რომელიც გლეხს თავის საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთს აძლევდა და ამის საფასურად შრომით, ნატურალურ თუ ფულად რენტას ახდევინებდა.

აზნაურთა ფენისა და სახელწოდება „აზნაურის“ წარმოშობის შესახებ ლეონტი მროველთან ისეთივე ხალხური (უფრო პრიმიტიული) ეტიმოლოგიაა წარმოდგენილი, როგორც ბევრი სხვა განმარტება. ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის დაპყრობის შემდეგ ამ ქვეყანაში პატრიკად (მმართველად-მამასახლისად) დატოვა მაკედონელი აზონი „და მისცა ასი ათასი მხედარი ჰრომით („=საბერძნეთს“.—გ. მ.)“ **(ქ. ცხ. 1955 : 18)**. აზო „კაცი ძნელი და მესისხლე“ გამოდგა. მან თავის მეომრებს უბრძანა გაეწყვიტათ „ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი“ ქართველები და „ჰრომთა ზედა იყო მესისხლე“

(იქვე : 20). ფარნავაზმა და ქუჯიმ აჯანყება მოუწყვეს აზონს. იგი მათ დაამარცხეს და მოკლეს. ამ ბრძოლაში ფარნავაზის მხარეზე გადმოსული იყო „ჰრომნი ათასი მხედარნი“ რადგან. მათ აზონთან ბრძოლაში საგრძნობი დამსახურება ქონდათ, ქართველთა მეფემ ისინი „განჰყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა დაიპყრა კეთილად... და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“ (იქვე: 26). აი, ასე გაჩნდნენ, თითქოს, აზნაურნი ქართლში, ე. ი, მათი სახელი უკავშირდება აზონს. რამდენადაც ეს ტერმინი ხელოვნურადაა გამოგონებული, უფრო მოსალოდნელია მის წარმოშობას შებრუნებული სახე ჰქონოდა: ლეონტის დროს ქართლში იყო აზნაურთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი წოდება და მემატიანემ მისი სახელის ფუძის მიხედვით ფარნავაზის წინა ქართლის მმართველად გამოიყვანა აზონი,' იმ მიზნით, რომ აქედან შემდგომ ქართველ წარჩინებულთა უცხოური წარმომავლობა და მათი სახელის ეტიმოლოგია აეხსნა. ასე, რომ ივ. ჯავახიშვილი შემთხვევით როდი შენიშნავდა ლეონტი მროველის ამ თეორიული პოსტულატის „ხელოვნურად შეთხზულობაზე“ (ჯავახიშვილი: 1982 : 171).

ტერმინ „აზნაურის“ ახსნა თავის დროისათვის სცადეს მ. ბროსემ და ნ. მარმა. ფრანგი ორიენტალისტი ამ სიტყვას სომხური „აზნასაგან“ წარმოშობილად მიიჩნევდა. ნიკო მარი კი იმავე აზნას, რომელიც გვარს ნიშნავს, უმატებდა „ურ“ ან „ვერს“, ე. ი. „შვილს“ და ხსნიდა, რომ „აზნაურის პირველადი მნიშვნელობა გვარისშვილი, გვარიანი უნდა ყოფილიყო“ (იქვე).

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „აზნაურის“ პირველი ნაწილი „აზანა“ ან „აზინა“ უნდა ყოფილიყო. იგი კი უკავშირდება სპარსეთში აქემენიდების დროიდან გავრცელებულ ტერმინ „ზანას“, რომელიც გვაროვნობათა კავშირს და ერსა ჰნიშნავდა“ აქედან მოსალოდნელია იგი „ა“ თავკიდურის გარეშე იყო შემოსული ქართველურში. ამას შეიძლება ადასტურებდეს მეგრული „ზინო-სქუა“, რომელსაც აფიქსი „ა“ აკლია და უფრო ძველი ფორმის ელფერსაც ატარებს. „ამნაირად,—დაასკვნიდა ივ. ჯავახიშვილი.—„აზნაური“ თავდაპირველად გვაროვნებათა კავშირის, ერის შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, და ამასთან დაკავშირებით თავისუფალის მნიშვნელობა ჰქონდა“ (იქვე: 172).

ტერმინი „აზნაური“ასევე ირანული წარმოშობისად ესახებოდა ს. ჯანაშიასაც. (ჯანაშია 1952:209).

ამ სიტყვის, როგორც ირანულიდან მომდინარის ეტიმოლოგიაზე საგანგებოდ ჩერდება მ. ანდრონიკაშვილი. ირანულ ფუძე „აზნა“-ზე ქაროული ბოლოსართის „ურ“-ის დართვით წარმოშობილი, სიტყვა „აზნაურის“ პირ-

---

[1] აზონს („ქართლის მოქცევის“-აზოს) ისტორიულ პირად ვერ მივიჩნევთ. მიუხედავად იმისა, რომ გ. მამულიას ვარაუდით, სახელი აზო უკავშირდება ძველმესხეთურ წყაროებში მოხსენიებულ დაიაენ-დიაუხის მეფეების სიებისა და ასიას სახელებს და, ამდენად, აზო, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, არიან ქართლის მეფის ძეს წარმოადგენდა, წარმოშობით ჭოროხის ხეობის იმ სახლებიდან უნდა ყოფილიყო, სადაც დაიაენ-დიაუხი მღუბარეობდა. არიან ქართლისა და დაიაენ-დიაუხის იდენტიფიკაციის საბუთი კი ის არის, რომ ჭოროხის ხეობის ქვემო წელზე გადიოდა აქემენიდების ირანის სატრაპიაში შემავალი და არშემაკლი ქართველური წარმოშობის ტომების საზღვარი (მამულია 1979:94)

ველად მნიშვნელობად მას მიიჩნია: ცნობილი, ჩინებული, წარჩინებული, ხოლო თავისუფალი—შემდეგში შეძენილი მნიშვნელობაა **(ანდრონიკაშვილი 1966 : 220–221)**.

იგივე მკვლევარი თვლის, რომ ირანული სიტყვა „აზნა" შეიძლება დაუკავშირდეს მეორე ირანულ სიტყვას „ზანი"-ს, რაც გვარს, ტომს ნიშნავს, მაგრამ ქართულ წყაროებში მათგან ნაწარმოები ტერმინის „აზნაურის" გვარის ან ტომის მნიშვნელობა დაცული არ არის.

ა. ბოგვერაძის აზრით „ამ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას „შეუძლია ქართულში მისი შემოსვლის დრო დაახლოებით მიგვანიშნოს" **(ბოგვერაძე 1979 169)**. მაგრამ თვით „საკითხი „აზნაურის" თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ გადასაწყვეტად საკმაოდ ძნელი ჩანს" **(იქვე)**.

სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლებში, „აზნაურის" ხმარების დროისათვის ამ ტერმინს ორივე მნიშვნელობა, როგორც ცნობილის, ჩინებულის, წარჩინებულის, ისე, თავისუფალისა, უკვე შეძენილი აქვს.

ა. ბოგვერაძის მოსაზრებით, უცხოური აზნაურის შემოსვლამდე ჩვენში ამ სოციალური ფენის აღსანიშნავად „თავისუფალი" იხმარებოდა. „თავისუფალი" ორი ნაწილისაგან „თავისი" და „უფალი" შედგება. „თავის" ამოსავალია არქაული ქართული „თუისი" ან „თვისი", რაც, როგორც სოციალური ტერმინი ძლიერ ძველია. „ამით,—წერს გ. მამულია,—„თვისის" სოციალური ინსტიტუტის არქაულობა დასტურდება ლინგვისტურადაც, რადგან „თვისი" ის არის, ვინც „თავ"-ს ეკუთვნის, ვინც თუ-ის-ა არის" **(მამულია 1979 : 33)**. ქართველურ ენებში სოციალური ინსტიტუტის „თვი"-სის პარალელური ფორმებია: ჭანური—თის (თავი) და მეგრული თური (სახლიშვილი).

გ. მამულიას გამოკვლევით, რომელიც ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებს ეყრდნობა, სოციალურ ინსტიტუტ „თვისში" შედიოდნენ ძმა, და, მამა, ბიძა, ბიძაშვილი, დისშვილი, დის შვილიშვილი და პაპის დისშვილი" **(იქვე: 32)**. ჩანს მკვლევარმა წყაროთი ვერ დაადასტურა თორემ აქვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ძმისშვილი, პაპა და პაპის დაც. ვინაიდან, დისშვილისა და პაპის დისშვილის ჩათვლის შემთხვევაში მათი გამოტოვება უაზრობა იქნებოდა.

„თვისის" კონტრაგენტური ტერმინი და სოციალური ჯგუფი იყო „უცხო" იგი, როგორც ირკვევა, თავდაპირველად აღნიშნავდა იმათ ვინც „თვისში" ე. ი. ნათესავთა ექვს-შვიდ თაობაში არ შედიოდა. გარეთმოსულის ან ტყვედმოყვანილის მნიშვნელობა მან შემდგომში შეიძინა.

სიტყვა „თავისუფალის" მეორე ნაწილი—„უფალი"-ც სოციალური წარმოშობისაა და გარკვეული თვალსაზრისით „თვისს" უკავშირდება. ამის თქმის უფლებას ის იძლევა, რომ თვისი და ნათესავი სინონიმებადაა მიჩნეული **(იქვე: 43)**.

ნ. ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული ისტორიულ-გეოგრაფიული სქემის მიხედვით, პირველყოფილი-თემური წყობილების ბოლო საფეხურ-ე

ქართლის მოსახლეობა გამაგრებულ გორებზე ცხოვრობდა. გორებზე მსხდომი პატრიარქალურ-გვაროვნული კოლექტივის ძირითად-სოციალურ უჯრედს ექვსი-შვიდი თაობის ნათესავთა გაერთიანება წარმოადგენდა. იგი ჯერ კიდევ არ იყო სოციალურად და ეკონომიკურად დიფერენცირებული. მათი შემკრები და გამაერთიანებელია ღვთაება, რომელიც ნაყოფიერებას განასახიერებდა და აღმართული იყო ბორცვის საგანგებოდ გამაგრებულ თხემზე, სადაც ეს კოლექტივი სახლობდა. ამას ადასტურებს „ნათესავი", რომელიც ძველ ქართულ სოციალურ ტერმინთა შორის ყველაზე არქაულსა და გაჯერცელებულს წარმოადგენდა და გენეტიკურად ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული. გ. მამულიას ეს კავშირი შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: „ნათესავი ის არის, ვინც თესვის (ნა-თეს-ავ-ში გამოიყოფა ძირი-თეს-, შდრ. თეს-ლ-ი), ანუ განაყოფიერების შედეგად არის მიღებული. სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის გარშემო შემოკრებილი ნათესავი ნაყოფიერების ღვთაებისადმი „შვილად" ითვლებოდა და ნათესავში შემავალი შვილები ნაყოფიერების ღვთაების „შვილობის" საფუძველზე ნაყოფიერების ღვთაების კუთვნილ მიწა-წყალზე ისხდნენ" **(იქვე: 43)**.

ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამეურნეო დაწინაურება თვალსაჩინო ხდება. დასახელებული ათასწლეულის შუა ხანებში ვითარდება მორწყვითი მიწათმოქმედება, რაც ამ დარგის ინტენსიფიკაციას უწყობს ხელს.ამავე დროს ხმარებაში შემოდის ხის კავი და ლითონის თოხი. ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელი ხდება სტაბილური მოსავლის მიღება მოურწყავ ნაკვეთებზედაც კი, რაც განაპირობებს სამიწათმოქმედო სავარგულების მაქსიმალურ ათვისებას. მთისძირა ზოლი და ბარი თანდათანობით მჭიდროდ სახლდება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგებით დასტურდება, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში, II ათასწლეულის დასაწყისში, შესამჩნევი ხდება „აღმოსავლეთ საქართველოს გორებზე მსხდომ ნათესავთა შორის სოციალური განშრევების დაწყება" **(იქვე: 48)**. ქონებრივი უთანასწორობა აშკარაა ამ პერიოდის თითქმის ყველა შესწავლილ სამაროვანზე.

ლეონტი მროველის სქემის მიხედვით, კავკასიის ხალხთა ეთნარქმა თარგამოსმა თავის რვა შვილს „განუყო ქუეყანა და ნათესავი თვისი" ასევე იქცევა ქართლოსიც. იგი სამფლობელოებს უნაწილებს ხუთ შვილს, ხოლო მცხეთოსი იმეორებს თავის წინაპართა ქმედებას. მან სამ შვილს (უფლოსს, ოძრახოსს და ჯავახოსს) „განუყო მათ ქვეყანა და ნათესავი მათი ყოველი" ასეთი გზით, ქართლში წარმოშობილ „ქუეყანათა" ჰეგემონებად „ქართლოსიანნი ნათესავნი" გვევლინებიან, ისინი აძლევენ სახელს აქ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო წარმონაქმნებს. მაგრამ საბოლოოდ ყველა მათგანს ფარავს ერთი, „ქართლის მთის" სახელი, რადგან სწორედ ამ „გორაზე" მსხდომი ნათესავი გახდა დანარჩენების „უფალი".

ჩვენი ინტერესების სფეროს სცილდება იმის კვლევა, თუ რა განაპი-

რობებდა ცალკეული ნათესავების აღზევებას ან დაცემას, მაგრამ ამ პროცესში, რომ გადამწყვეტი როლი დაპყრობით ოპერაციებს ჰქონდა, ეს ეშვს არ იწვევს.

ს. ჯანაშიას მოსაზრებით, დაპყრობას აწარმოებდა სოციალურად კარგად დიფერენცირებული საზოგადოების ხელისუფლება. და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სტრაბონის „გენის"—ლაოის (მონების) წარმოშობისა და მიწების ფონდის გამარჯვებული მხარის ხელში მოხვედრის საქმეში **(ჯანაშია 1952: 166)**.

მაგრამ ეს უფრო გვიანდელი პროცესია. შედარებით ადრინდელი კი გ. მამულიას ასე აქვს წარმოდგენილი: „დაახლოებით ძვ. წ. XII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაწყებული სოციალური დიფერენციაციის პროცესი გორებზე მსხდომ ნათესავთა, ურთიერთობას უკავშირდება, რადგან ნათესავთა ურთიერთდაპყრობის, შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში ყალიბდებიან კლასობრივი საზოგადოების ძირითადი სოციალური და ეკონომიკური კატეგორიები—„უფალი", „მეფე" (მეუფე), „სეფე", „სეფეწული", „სეფეკაცი", „მესეფე", „სახლეული", „სოფელი" და „სეფობა" **(გ. მამულია 1979 : 53--54)**.

დასახელებული კატეგორიების აღმნიშვნელ ტერმინებში გამოყოფენ—ფ—მორფემას და მას „მფლობელის" (ბატონის) აღმნიშვნელად მიიჩნევენ. „უფალში" იგი წარმოდგენილია—უ—პრეფიქსით. ასევეა ძველი ქართული სიტყვა „სუფევაჲ"-ში, რომელიც ბატონობას ნიშნავს.

მკვლევარები—უფ— ძირზე მსჯელობის დროს, უფრო ხშირად ამახვილებენ ყურადღებას სიტყვა სოფელზე. დაწერილობისა და გამოთქმის დღევანდელი ფორმით მასში —უფ-- აღარაა წარმოდგენილი. მაგრამ ფიქრობენ, რომ თავდაპირველად იგი გამოითქმოდა ს-უფ-ელ-ი, ან სა-უფ-ელ-ი ფორმითაც. თუ ეს ასე იყო მისი იმდროინდელი მნიშვნელობა ადვილად აიხსნება. ეს არის ის რაზედაც ვინმეს უფლება ვრცელდება. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით „სოფელი" ევსტათი მცხეთელის ცხოვრების მიხედვით, „ქვეყნის" სინონიმი და მასთან ერთდროულად გაჩენილი ტერმინია. იგი არის „(—ამა თუ იმ საზოგადოების ქვეყანა,—წერდა იგი,—დაჩემებული ქვეყანა, ამ საზოგადოების უფლებებში მყოფი ქვეყანა, მისი სასუფეველი, მისი „საბრძანებელი"). რა ურთიერთობაშია ერთიმეორესთან სოფელი და სასუფეველი? უკანასკნელი, ცხადად ჩანს, წარმოსდგება **სუფევა** ფუძისაგან. სოფლის ფუძე თითქო არის სოფ (ელ დეტერმინატივი სუფიქსია), რომელიც დაიშლება ე პრეფიქსად და უფ ძირად ს-უფ-ე-ლ-ი (თუ სა-უფ-ელი?). ასე რომ სოფელი და სუფევა ერთი და იგივე ფუძიდან (სა—უფ—სოფ, სუფ) ამოდიან და ძირიც ერთი აქვთ—უფ, **სა-სუფევ-ელი**" **(ბერძენიშვილი 1975 : 79)**.

—ფ— მორფემიდან ნაწარმოები „მფლობელის" აღმნიშვნელი სოციალური დანიშნულების ტერმინები—„უფალი", „მეფე" (მეუფე), „სეფე", „მესეფე" ნათესავთა მიერ ურთიერთდაპყრობის ხანაში წარმოიშვნენ და არა ქართლის სამეფოს დაარსების პერიოდში, ან მის შემდეგ.

ამ ტერმინების საჭიროება, არ არსებობდა იმ დრომდე, ვიდრე ნათესავ-

თა შორის ურთიერთდაპყრობის პროცესი დაიწყებოდა. მაშინ ყოველი ნათესავი გამაგრებული ბორცვის გარშემო მდებარე თავის მეურნეობას საკუთარი ძალით ამუშავებდა. ეს კონტიგენტი თანასწორუფლებიანი იყო და მათთვის განსხვავებული ტერმინის საჭიროება არ არსებობდა. ვითარების გამოსახატავად „მამასახლისიც“ საკმარისი იყო. შემდეგ კი, როცა ნათესავთა ურთიერთდაპყრობის პროცესი შორს წავიდა, საჭირო გახდა ახალი ტერმინი. ასეთი იყო „უფალი“ „უფალი“ სოციალური განვითარების იმ ეტაპზე უნდა გაჩენილიყო,—წერს ა. ბოგვერაძე.—როცა პატრიარქალური „სახლი“-ს ცნება და აქედან გამომდინარე „სახლეულთა“ შინაარსი იმდენად გაფართოვდა, რომ ტერმინი „მამასახლისი“ უკვე ვეღარ გამოხატავდა ამ გაზრდილი სახლის წევრებთან გართულებული სოციალური ურთიერთდამოკიდებულების აზრს. შემდეგ ეს ტერმინი, ბუნებრივია, ცალკეული „სახლის“ ფარგლებიდანაც გამოვიდა და გვართა კავშირების ანუ ტომის და ტომთა გაერთიანების მეთაურის პოლიტიკური შინაარსიც შეიძინა“ **(ბოგვერაძე 1979:184)**.

ზევით ჩვენ მოვიტანეთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ქართული „აზნაურის“ მეგრული შესატყვისის „ჟინოსქუას“ შესახებ. ამ სიტყვის სოციალური დანიშნულების საინტერესო ახსნას იძლევა გ. მამულია. მის მიხედვით „ჟინო“ ქართულად ზენას ნიშნავს. ჟინო-სქუა ზენაიშვილს უდრის. მისი კონტრაგენტია დოლმახორე-გლეხი, რაც პირდაპირ თარგმანში დაბლა მცხოვრებს შეესატყვისება. ეს ტერმინოლოგიური ნიუანსი ამართლებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც „უფალი მაღლა, გორაზე აღმართულ ციხეში ცხოვრობდა, უფალის, ეპითეტათ ძველქართულში „ზენა“ გვხვდება, სახლეული კი ქვემოთ, დაბლა, სახლობდა და ამის გამო მდაბიური, მდაბიო, სოციალურად დამცრობილის სინონიმი იყო“ **(იქვე: 61)**.

სოციალური დიფერენციაციის წინარე ხანაში ყოველ გორას ნათესავში ძმათა შორის უხუცესი—მამასახლისი განაგებდა. იგი, როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლებით იყო აღჭურვილი. როცა ნათესავთა ურთიერთდაპყრობის შედეგად ცალკეული გორებისაგან ხევები შეიქმნა, მათ სათავეში ხევისუფალი მოექცა. საზოგადოების განვითარების დონის შესაბამისად ხევისუფლები კულტის მსახურის მოვალეობებს იშორებენ, „რაც იქედან მტკიცდება, რომ ღმერთის აღმნიშვნელი ცნება უფალი—ვიდრე იგი ძველ ქართულში ღმერთის აღმნიშვნელ ცნებად იქცეოდა, საერო ხელისუფლების აღმნიშვნელი ცნება იყო“ **(იქვე)**.

მართალია „უფალზე“ საუბარი საგრძნობლად გაგვიგრძელდა, მაგრამ მის ეტიმოლოგიასა და მნიშვნელობასთან ერთად, ჩვენ შევეცადეთ ქართლში სოციალურად დაწინაურებული წოდების წარმოშობის საკითხიც გადმოგვეცა.

მომდევნო პერიოდის მოვლენები ჩვენ ასე წარმოგვიდგება: ხევისუფლებისა და მათი „ნათესავნის“ ძირითადი ფუნქცია სამხედრო საქმე ხდება. ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ხევები პირნციპულად უფრო დიდ გაერთიანებაში ქვეყანაში შედიან და მათ ერთი უფალი—მეფე უდგებათ სათავეში. ამ დროს ისინი სამხედრო სამსახურისათვის პრივილეგიას ღებულობენ,

წარჩინებულად და კეთილშობილად გადაიქცევიან. მათ მეფის გარდა უფალი არა ჰყავთ, თავისუფალი არიან. მათს ახლანდელ მდგომარეობას ქართული ტერმინი „თავისუფალი", მისი განსაზღვრულობის, გამო ვეღარ გადმოსცემს და იგი იცვლება ირანული „აზნა"—დან ნაწარმოები „აზნაურით" **(ბოგვერაძე 1979: 171)**.

თუ როღის მოხდა ეს ცვლილება საკმაოდ რთული გასარკვევია. ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო წერილობითი ძეგლის „შუშანიკის წამების" მიხედვით, „აზნაური" უკვე დამკვიდრებული ტერმინი ჩანს. სტრაბონის მიერ აღნიშნული იბერიის „გენებში", ეს წოდება არ იხსენიება. მისი ეროი ნაწილი შეიძლება იგულისხმებოდეს პირველ გვარში, უმრავლესობა კი—მესამეში. ჩანს მის დროს, ისინი ვისაც ახლა ჩვენ „აზნაურობას" ვუწოდებთ, ცალკე წოდებად ჩამოყალიბებული არ იყო, ანდა სტრაბონის კლასიფიკაცია სრულყოფილი არ არის.

ა. ბოგვერაძის ვარაუდით „აზატების" ფენა თვით ირანშიაც კი, საიდანაც ეს ტერმინია ნასესხები, პირველად მხოლოდ შაპურ I-ის დროიდან (241—273) იხსენიება. „ამის გათვალისწინებით,—წერს იგი,—საფიქრებელია, რომ „აზნაურები" ქართლის საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე ინტენსიურად უნდა ჩნდებოდნენ მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან. მათი სოციალური წინაპრები უნდა იყვნენ ის „მხეღრები" თუ „მეომრები ანუ ქართული „ერის" მუდმივ მოლაშქრე ნაწილი, რომელიც ამ ნიშნით უკვე ნაწილობრივ დაშორებოდა სამხედროვალდებულ „ქუეყნის მოქმედთ" **(იქვე: 173)**.

ამ დებულების გასაკონტროლებლად ჩვენ სხვა მასალა არა გვაქვს. იგი შეიძლება არსებითად სწორად მივიჩნიოთ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ V საუკუნისათვის ამ წოდების დიფერენციაცია ისე შორსაა წასული, რომ ჩანს მას წარმოშობიდან საკმაოდ ხანგრძლივი გზა აქვს განვლილი.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ჩერდებოდა იაკობ ხუცესის მიერ „დიდდიდნის" ეპითეტით მოხსენიებულ აზნაურებზე და წერდა: „აზნაურნი დიდდიდნი" ცხადყოფს, რადგან დიდი აზნაური თავისთავად ჩვეულებრივი, ან მცირე აზნაურის არსებობასაც ჰგულისხმობს და ამნაირად თვით თავისუფალი მოსახლეობაც ერთნაირ და ერთიან სოციალურ ერთეულად აღარ გამოდის, არამედ უფროს-უმცროსის ერთეულებად დაყოფილი ჩანს" **(ჯავახიშვილი 1982: 172)**.

ამ დებულებისათვის დამარწმუნებლობის მისაცემად, ბატონი ივანე მიუთითებს, რომ ამ დროს დიდ აზნაურს, რომლის მაგალითიცაა ვარსქენ პიტიახში, ჰყავს მრავალრიცხოვანი ამალა, საკუთარნი აზნაურნი, მსახურნი, მონები,თვითონ უფლად იწოდება, მისი მეუღლე კი—დედოფლად. დიდი აზნაურის სახლობის წევრებიც შესაფერისი სოციალური ტერმინებით მოიხსენიებიან. ქალებს ჰქვიათ: „სეპური დედანი"[1] და „სეფე ქალი", ვაჟებს—„სეფეწული"

[1] ივ. ჯავახიშვილი განმარტავდა, რომ იაკობის მიერ მოხსენიებული „ზეპური დედანი", „სეპურის" დაშახინჯებული ფორმაა. ეს უკანასკნელი კი სპარსული „ვისპურის" გადმოქართულებული ვარიანტია, მას თავდაპირველი „ვი" აქვს ჩამოცილებული და სახლის შვილს ნიშნავს **(ჯავახიშვილი 1982: 173)**.

ივ. ჯავახიშვილი იმასაც ვარაუდობდა, რომ თავდაპირველად აზნაური წოდებრიობის აღმნიშნველი ტერმინი არ ყოფილა. მან ეს ფუნქცია შემდეგ შეიძინა. როდის „დანამძვილებით თქმა ძნელია". ე. ი. აზნაური ორმაგი შინაარსის მქონე სიტყვაა. იგი წოდებასაც აღნიშნავდა და ზოგადი ეპითეტიც იყო სოციალურად დაწინაურებული საზოგადოებისა. ასეთივე მნიშვნელობებით იხმარებოდა აზნაურის პარალელურად ქართული ტერმინი „წარჩინებული" მაგრამ აზნაური და წარჩინებული სინონიმები არ არის. ყველა აზნაური წარჩინებული როდია. მაშინ როცა წარჩინებული აუცილებლად უნდა იყოს აზნაური. წარჩინების ბოძება იმ პირისათვის, რომელსაც იგი აქამდე არ ჰქონდა, მის აზნაურის რანგში აყვანას ნიშნავდა. მაგალითად, ჯუანშერის ცნობა, რომ ოვსებზე გამარჯვებულმა ვახტანგ გორგასალმა „წარჩინებულ ქმნა მხედარნი, მხნედ მსახურნი", სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მათთვის აზნაურობის მინიჭებას **(ბოგვერაძე 1979:179)**.

მ. ბერძენიშვილის განმარტებით—„წარჩინებული" აზნაურის გარკვეულ სახეობას კი არ მიუთითებს, არამედ ზოგადად საზოგადოების სხვა ნაწილებთან შედარებით აზნაურთა საზოგადოების სხვა ნაწილებთან წარჩინებულობას" **(ბერძენიშვილი 1970:34)**.

წარჩინებულის გარდა აზნაურის ეპითეტად „ჩინებულიც" გვხვდება. ორივე ეს სიტყვა ხმარებაშია IX—X საუკუნეებიდან. ამ დროს ისინი გამოიყენება აზნაურთა დაწინაურებული ნაწილის აღსანიშნავად. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში კი იგი მიემართება აზნაურთა წოდების უველაზე უპირატეს, განსაკუთრებულად დაწინაურებულ ნაწილს. ამ დროიდანვე სხვებთან უპირატესობის აღსანიშნავად ამ ტერმინებს ახალი ნიუანსი შეუძენიათ. ს. ს. ორბელიანის მიხედვით: „ჩინებული ესე არს, რომელთა ბრძანება აქვნდეს დარბაზს მისვლისა; ხოლო წარჩინებული მათში უაღრესი" **(ორბელიანი 1966:318)**. ე. ი. ამ წოდებების მქონე პირი გარკვეული პატივის მქონეა, მას შეუძლია დარბაზის სხდომაზე დასწრება.

წარჩინებულთა ეს პატივი იგულისხმება ჯუანშერის შემდეგ მონათხრობში: ვახტანგ გორგასალმა, წერს იგი **„მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველი ქალაქად** (ხაზი ჩემია.—გ. მ.). (მეფე) დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე. და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებთა და ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე" **(ქ. ცხ. 1955:147)**. მაშასადამე, წარჩინებულებს თუნდაც ისინი არ ცხოვრობდნენ სატახტო ქალაქში, მაინც იწვევენ და სამეფო ბჭობას ასწრებენ. მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა: წვეულებაზე მსხდომთაგან ორი ეპისკოპოსის გარდა უველა სამხედრო ადმინისტრაციული მოხელეა. ეს კი უნდა მიუთითებდეს, რომ წარჩინებულთა წოდება ამ კატეგორიის ხალხში შარბობს. ჩვენ ხომ სხვაგანაც ვნახეთ, რომ ვახტანგმა „წარჩინებულ ჰქმნა მხედარნი, მხნედ მსახურნი" ცხადია, V საუკუნეში აზნაურ-წარჩინებულნი ჯერ კიდევ არ არიან ჩამოყალიბებული მსახურეულ წოდებად, მაგრამ ჯუანშერის დროს ეს პროცესი საკმაოდ შორსაა წასული და XI

საუკუნის ისტორიკოსი რეტროსპექტულად გადმოსცემს უკვე ფაქტად ქცეულ ვითარებას. ამასთან, მემატიანის ეს გადმოცემა მიუთითებს, რომ სამხედრო სამსახური იყო ის ფართო ასპარეზი, სადაც სოციალურ კიბეზე დაწინაურება უფრო ხელმისაწვდომი გახლდათ, ვიდრე საქმიანობის რომელიმე სხვა დარგში.

სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით აზნაურ-წარჩინებულთა მასა, უკვე ადრეფეოდალური ხანიდანვე არ ყოფილა ერთგვაროვანი, ხოლო განვითარებულსა და გვიანი ფეოდალიზმის დროს მისი დიფერენციაციის პროცესი გაცილებით შორს წავიდა (**ჯავახიშვილი 1982:200; ლორთქიფანიძე 1960:296; მ. ბერძნიშვილი 1970: 32; ბოგვერაძე 1979:179**).

როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ იაკობ ხუცესი აჩვენებს, რომ მის ღროს იყვნენ „აზნაურნი დიდ-დიდნი" და „სეფეწულნი" ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორს (VI ს.) დასახელებული ჰყავს: „ქართლისა მთავარნი", „სეფეწულნი"; გიორგი მერჩულეს (X ს.)—„დიდებულნი აზნაურნი" და „ნათესავით აზნაურნი" გიორგი II-ის სიგელში (XI ს-ს 70-იანი წწ.) ვხვდებით—„აზნაურ-მემამულეთა" და „აზნაურ მოსაკარგავენი", და ა. შ.

თუ ჩამოთვლილ „აზნაურებს" იერარქიულ კიბეზე დავაყენებთ მათ შორის ყველაზე მაღლა აღმოჩნდება „მთავარი". ს. ჯანაშიას აქვს ნაცადი მისი განსაზღვრება. მაგრამ იგი არა გვგონია ზოგადად „მთავრის" შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად გამოდგეს, რადგან მკვლევარი მოცემულ შემთხვევაში, აფხაზეთის მთავრის ტიტულის შესახებ მსჯელობდა და ამან კვალი დაამჩნია მის მოსაზრებას. იგი წერს: „**Первый** (მთავარი.—გ. მ.) **обозначает династа, владительную особу, небольшого суверена, местного «князя»** (**ჯანაშია 1952:337**). აქ დასახელებული დინასტი, როგორც მთავრის პირველი ნიშანი, ცხადია, ადრეფეოდალური ხანის მთავრებისათვის, სრულიადაც არ არის სავალდებულო და დამახასიათებელი. მაგალითად ავიღოთ ერთერთი კლასიკური მათ შორის ბასილი ზარზმელის პერსონაჟი—გიორგი ჩორჩანელი. მას ახასიათებდა ს. ჯანაშიას მიერ დასახელებული ყველა ნიშანი, მაგრამ არ იყო „დაინასტი" ასეთი მაგალითები სხვაც შეიძლება დავიმოწმოთ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დინასტიურობა მთავრისათვის აუცილებელი ნიშანი არაა. მთავარი, შეიძლება იყოს, ისიც ვინც ასეთი არ არის, მაგრამ წარჩინების სხვა მაჩვენებლები აქვს.

ვფიქრობთ, ს. ჯანაშიას მიერ მთავრის დასახასიათებლად დასახელებული პირველი ნიშნის („დინასტი") მიხედვით, მთავრები კატეგორიებად უნდა დაიყოს. ასეთ შემთხვევაში „დინასტი" მთავრები დანარჩენთა შორის ყველაზე წინამდგომნი აღმოჩნდებიან. ნათქვამის დასადასტურებლად კვლავ წყაროებს მივმართოთ. გიორგი მერჩულე აშოტ კურაპალატს რამდენჯერმე უწოდებს „ხელმწიფეს" და „მეფეს", მაგრამ მიუხედავად ამისა მას ამ ხელისუფლისათვის დამცირებად არ მიაჩნია უსურვოს, რომ „არაჲ მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა"-ო.(**Марр 1911:**იზ), ანდა საკმაოდ ზეაწეულ ტონებში წარუდგინოს აშოტი მკითხველს და მისი „მთავრობა" ამ

პიროვნების აღმატების მაუწყებლად დაასახელოს. აი, როგორ იკითხება ეს ადგილი: „და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ დიდი, ბაგრატუნიანი აშოტ კურაპალატი. კეთილმორწმუნეჲ რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ჟამთა“ **(იქვე: იბ)**. ასევე, მთავრებად მოიხსენიებს გიორგი მერჩულე აშოტ კურაპალატის სამივე ვაჟს, ხოლო უმცროსს მათ შორის გუარამ მამფალს „დიდ მთავარსაც კი უწოდებს **(იქვე: მთ)**. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ისინი იმავდროულად „ხელმწიფეებია“, უფრო მეტიც გუარამი ერთხელ „დიდ ხელმწიფედაც“ იწოდება **(იქვე: იც)**. პ. ინგოროყვა, ეპითეტ „დიდს“ამ შემთხვევაში, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლებში მამფალის განსაკუთრებულ დამსახურებათა გამო მიკუთვნებულ თიკუნად მიიჩნევს **(ინგოროყვა 1954:73)**. მაგრამ ჩვენთვის ეს ზედწოდება კი არ არის საინტერესო, არამედ აშოტისა და მისი მემკვიდრეების „მთავრობის“ „ხელმწიფობასთან“ გაიგივება, რაც პირველის მფლობელთა უმაღლეს წოდებრივ საფეხურზე დგომაზე მიუთითებს. თანაც, მათი „ხელმწიფობა“ ხელისუფლების ფლობას ნიშნავს, ისინი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის მმართველები არიან.

ტერმინ „მთავრის“ „მატიანე ქართლისაჲ“ში“ რამდენიმე პირისადმი მიმართებასთან დაკავშირებით მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ეს ძეგლი „IX—X სს. მოვლენების თხრობისას „მთავრობით“ პოლიტიკური ხელისუფლების მქონე პირებს იხსენიებს“ **(ლორთქიფანიძე 1960:231)**.

წყაროებში გვხვდება უფრო დაბალი რანგის მთავარი. კერძოდ, ზევით დასახელებულ გიორგი ჩორჩანელს, ჰყავს „საკუთარნი მთავარნი“. ასევეა აშოტ კურაპალატიც. მასაც მთავრები ექვემდებარებიან. ამ „საკუთარ მთავრებს“, რა თქმა უნდა, ხელისუფლება არა აქვთ. ისინი უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო თუ პატრონი მთავრის მოხელენი არიან. ზოგ მაოგანს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია შეიძლება ჰქონდეს მიცემული საგამგეოდ. ზოგის კომპეტენციაშიც მხოლოდ ერთი სოფლის პყრობა შედის. მ. ბერძნიშვილს შესწავლილი აქვს შემთხვევები, როცა ასეთ მიკრომთავრობასაც კი მემკვიდრეობითი სახე აქვს, „მამა-პაპა ერთიდაიგივე პოსტის მფლობელებად გვევლინებიან“ **(ბერძნიშვილი 1970:45)**.

ივ. ჯავახიშვილი აზნაურთა შორის უმაღლეს საფეხურზე მყოფად „დიდებულ აზნაურებს“ ახასიათებს, რადგან „მეფის შემდგომ პირველი ადგილი მათ ეკუთვნოდათ“ **(ჯავახიშვილი 1982:210)**. მასვე აქვს წყაროებიდან დამოწმებული ადგილები, რომელთა მიხედვითაც „დიდებული მთავარსა ნიშნავს“ **(იქვე: 208)**.

ნ. ბერძენიშვილი კი სხვაგვარად მსჯელობდა. მისი აზრით: „საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანების შემდეგ გაქრენ მთავრები და გამრავლდნენ დიდებული აზნაურები“ **(ბერძენიშვილი 1973:64)**. ამ დებულებას არ შეესაბამება „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები, რომელთა მიხედვითაც, „მთავარი“ XII—XIII საუკუნეებშიც მიემართება არა მარტო პიროვნებებს, არამედ წარჩინებულთა ჯგუფსაც. მაგალითად, თამარის პირ-

ველ ისტორიკოსთან ზაქარია მხარგრძელი ლორის თემის, მთავრად არის მოხსენიებული. იგი წერს: „მიიცვალა ზაქარია ამირსპასალარი... მთავარი თემისა ლორისა... არავინ იყო მხნედ გამოჩენილი მთავარი უმეტესად" (ქ. ცხ. 1959:111). ჟამთააღმწერელი გვამცნობს: ქეთაღუ ყაენმა „ხუტლუბუღა და სხუანი მთავარნი საქართველოსანი დაუტოვა მუღანს" (იქვე: 296). მისივე გადმოცემით დემეტრე მეფემ ურდოში წასვლის წინ: „ყოველთა მთავართა, რომელნი არა თანა წარჰყენეს, შეველღრნა შვილნი თვისნი" (იქვე: 288). აქედან ჩანს, რომ მთავრები ცალკეული პიროვნებების გარდა სხვანიც არიან. ასე, რომ ისინი მაინცდამაინც არ გამქრალან. ამასთან დამოწმებული ადგილები ადასტურებენ ივ. ჯავახიშვილის ზევითმოტანილ თეზისს დიდებულებისა და მთავრების იგივეობის შესახებ.

ვ. დონდუა დიდებულ აზნაურს გენეტიკურად დიდ აზნაურთან აკავშირებდა. „დიდი აზნაური მამაპაპეულ საქონებელზე იჯდა,—წერდა იგი,—ზოგიერთ დიდ აზნაურს ამის გარდა მთავრისგან „წყალობად" ჰქონდა მიღებული „დიდება", ე. ი. მიწა–ადგილი ზედ მოსახლე მდაბიორებით თუ გლეხებით. ასეთ აზნაურს **დიდებული აზნაური** ეწოდებოდა" (საქ. ისტორია 1958:127). ავტორის მიერ აღნიშნულ აზნაურთა ამ კატეგორიების მემკვიდრეობითობის გარდა, აქ ჩვენთვის საყურადღებოა: 1. დიდებულ აზნაურს „დიდებას" წყალობს მთავარი და 2. „დიდება" არის მიწა-წყალი. ამ ინტერესს იწვევს იმავე სახელმძღვანელოს 186-ე გვერდზე, ამ საკითხის შედარებით განსხვავებული ახსნა. იქ წერია: „დიდება" ეწოდებოდა მეფის მიერ აზნაურისათვის თანამდებობის მინიჭებას და ამ თანამდებობასთან დაკავშირებით ყმა-მამულის წყალობას" როგორც ვხედავთ, მთავარს აქ მეფე ენაცვლება, ხოლო მიწა-წყალის მაგივრად თანამდებობა და ყმა-მამულია. უეჭველია ეს მეორე განმარტება სრულყოფილიცაა და უფრო სწორიც. იგი საესებით შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის შემდეგ მოსაზრებას: „დიდება" ძველად თანამდებობასა და ამ თანამდებობაზე დაფუძნებულს პატივს ჰნიშნავდა... ამისდა მიხედვით ცხადია, რომ „დიდებული" დიდი ხელისუფლებით დაჯილდოებული და აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო, ე. ი. „დიდებული" იმავე დროს დიდი მოხელე იქმნებოდა" (ჯავახიშვილი 1982:208).

ივ. ჯავახიშვილის ამ ციტატაში დიდებულის განმარტება აზნაურისაგან დამოუკიდებლად რომ არის გადმოცემული, ამან არ უნდა შეგვიქმნას ილუზია, რომ მას ეს ორი წარჩინება, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჰქონდა წარმოდგენილი. პირიქით, მას წყაროებიდან მოაქვს რამდენიმე მაგალითი, სადაც „დიდებულნი აზნაურნია" დაფიქსირებული და ხაზგასმით შენიშნავს: „დიდებულება აზნაურობასთანაც ყოფილა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ყოველს, ეჭვს გარეშეა, რომ თვითოეული აზნაური „დიდებულად" არ ითვლებოდა, და ამდენად, „დიდებული" განსაკუთრებული აზნაურობისაგან განსხვავებული ჯგუფის წევრის აღმნიშვნელი ტერმინი იყო"-ო (იქვე: 209). მაშასადამე, დიდი მეცნიერი, დიდებულს მოხელეობასთანაც აკავშირებს და წოდებასთანაც. მაგრამ ორივე მათგანთან კავშირი პირობითია, მემკვიდრეობით არ გადადის. პიროვნება დიდებული, რომ

გახდეს აზნაური უნდა იყოს და „დიდება"(მოხელეობა) უნდა მიიღოს, ამათგან აზნაურობა მემკვიდრეობით გადადის, მოხელეობა არა. ამიტომ „დიდებულება" წოდება არ არის. იგი პიროვნულია. „დიდებულება წოდება არ იყო — ხაზს უსვამდა ივ. ჯავახიშვილი,--და დადებულნი ცალკე წოდებას კი არა, არამედ მხოლოდ ცალკე წრეს წარმოადგენდნენ" **(იქვე; 211)**.

მართალია, დიდებულება წოდება არ იყო, მაგრამ ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელია თანამდებობის (ხელის) ერთ გვარზე შეყინვის ტენდენცია. რის გამოც „დიდებაც" მამიდან შვილზე გადადიოდა. ასე იყო ქვემო ქართლის პიტიახშების თანამდებობა. რომლის შესახებაც გ. მამულია წერს: „ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის—მირიანის გარდაცვალების შემდეგ, ლეონტი მროველის ცნობით, სამშვილდის საერისთავოს მიწა-წყალი მიიღო,მირიან მეფის „თვისმა"--ფეროზმა, რომლის ჩამომავლები, ჯუანშერის მოწმობით, პიტიახშობით იყვნენ ცნობილნი. კ. თუმანოვმა და ა. ბოგვერაძემ დაადგინეს, რომ ქვემო ქართლის IV—VII საუკუნეთა პიტიახშები ფეროზიანები იყვნენ" **(მამულია 1979:143)**.

გ. მამულიასვე აქვს გამოთქმული მოსაზრება ოძრხის ერისთავ ბივრიტიანებზე, ძვ. წ. II საუკუნიდან V საუკუნის მიმწუხრამდე, მემკვიდრეობით გადასვლის შესახებ. სათანადო მასალის მიმოხილვის შემდეგ იგი დაასკვნის: „ბივრიტიანთა სახლისშვილები თავის უძველეს მამულში—ოძრხის საერისთავოში ჩანან. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის ერისთავი ბივრიტიანი იყო" **(იქვე: 146)**.

უფრო გვიანდელი ხანის შესახებ ერთ გვარზე დიდებულობის შეყინვის მაგალითები დამოწმებული აქვს მ. ბერძნიშვილს. პირველი ეხება ბაგრატ IV-ის (1027—1072) ერთგულ სულა კალმახის ერისთავს. მან, როგორც ცნობილია, მეფის ურჩი თრიალეთის ერისთავი ლიპარიტი და მისი შვილი ივანე შეპყრობილი მოჰგვარა მეფეს. რისთვისაც ბაგრატმა მას უბოძა ციხისჯვარი და ოძრხე. ციხისჯვარი მემკვიდრეობით გადადიოდა სულას შთამომავლებზე და ისინი ამიერიდან ციხისჯვარელებად იხსენიებიან. თამარის დროს, როცა 1190 წელს, გიორგი რუსის ტახტზე ხელახლა აყვანის მიზნით მეფეს მოელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გაენუდგა, ერთადერთი ვინაც მესხ დიდებულებში თამარის ერთგული დარჩა იყო ივანე ციხისჯვარელი. იგი, რომ სულა კალმახელის შთამომავალია ამას თამარის ისტორიკოსის შემდეგი მონათხრობი ადასტურებს: გიორგი რუსის მხარდამჭერი იყო ყველა მესხი დიდებული აზნაური „თვინიერ ივანე ციხისჯვრელისა, რომელსაც ყუარყუარეცა ეწოდების. ესე დამაგრდა თვისითურთ მოკიდებულითურთ, ვითარ გუარ ეყოდა მომგონებელსა სულასა ერთგულობისასა, რომელ ბაღუაშსადა ზედა უერთგულა ბაგრატს" **(ქ.ცხ. 1959:49)**. „ამით დგინდება, ერთი საგვარეულოს,—წერს მ. ბერძნიშვილი,—ერთი ფეოდალური სახლის ხელში დიდებულის უწყვეტი არსებობა მთელი 150 წლის მანძილზე" **(ბერძნიშვილი 1970: 50)**.

იმავე ეპოქიდან მეორე მაგალითია მხარგრძელთა გვარი. აქ უკვე ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა „გარკვევით ჩანს მხარგრძელთა სახლის

ყოველი წევრის დიდებულობა„ **(იქვე)** საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. პირველი მხარგრძელები სარგისი და ზაქარია საქართველოში XII საუკუნიდან ჩანან. სარგისი თამარის ამირსპარსალარი იყო. ასე რომ მისი დიდებულება საეჭვო არ არის. ამავე რანგში არიან აღზევებულნი სარგისის შვილები ზაქარია და ივანე. ზაქარიას ძე შანშე მანდატურთუხუცესია. ამ სახელოს იღებს მისგან მისი შვილი ზაქარია, რომელიც დავით ულუს დროს ამირსპასალარიც ხდება. მისი ძმა ივანე კი მანდატურთუხუცესად მოიხსენიება. რაც შეეხება ივანე ათაბაგის მემკვიდრეებს, მისი ვაჟი—ავაგი ამირსპარსალარი და ათაბაგი იყო. მას ერთადერთი ქალი დარჩა—ხუაშაქი. რომელიც მამის მემკვიდრე ლორის თემის (ამირსპარსალარის სახელოს) მთავრად მოიხსენიება, სომხურ ეპიგრაფიკაში **(იქვე: 51)**.

ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითები საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ დიდებულება ფეოდალურ გვარებში თავისი პატივით (მოხელეობით) და ყმა-მამულის ფლობით მემკვიდრეობითი გახდა და ამიტომ აღარ განვაგრძობთ მ. ბერძნიშვილის მიერ მოხმობილი სხვა მაგალითების ჩამოთვლას.

მ. ლორთქიფანიძე დიდებულთა კატეგორიას სხვა მხრიდან უდგება. მას მიაჩნია, რომ „XI საუკუნიდან, როგორც ჩანს, „დიდებულება"-ს „აზნაურობისაგან" ცალკე ფენის სახით გამოყოფის ტენდენცია ემჩნევა. ხოლო მიწის მფლობელობის სამამულო სისტემის გამარჯვება ქმნის პირობებს, დიდებულ აზნაურთა ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბებისათვის **(ლორთქიფანიძე 1960:228)**.

უფრო ადრეული ხანისათვის კი იგი იხილავს გიორგი მერჩულეს მონათხრობს აშოტ კურაპალატის დიდებული აზნაურის—გიორგი დაფანჩულის შესახებ და ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ არც ამ ფეოდალის მიმართ და არც სხვა შემთხვევაში გიორგი მერჩულე დიდებულს აზნაურისაგან არ გამოყოფს. თანაც, იგი აშოტ კურაპალატის შვილებს, ისევე როგორც გაბრიელ დაფანჩულს „დიდებულებით" იხსენიებს და ამიტომ ასკვნის: „X ს. როდესაც ეს თხზულება იწერება „დიდებულები" ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი „აზნაურებისაგან"-ო **(იქვე)**. ჩვენი მხრით შეგვიძლია დავამატოთ, რომ „დიდებულება" აზნაურობას არათუ ადრეფეოდალურ ხანაში, არამედ შემდეგაც არ გამოყოფია და ცალკე ფენა არ შეუქმნია. ასეთი ფენის ჩამოყალიბებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ გვიანი ფეოდალიზმის ხანის თავადობას სახელგადარქმეულ დიდებულებად ჩავთვლით; ეს კი დამატებით დასაბუთებას მოითხოვს.

გიორგი მერჩულეს ძეგლში აზნაურთა კიდევ ერთი კატეგორიაა მოხსენიებული—„ნათესავით აზნაური". ეს ეპითეტი მიეკუთვნება ხანძთის მამასახლისს არსენს, რომლის შესახებაც ნათქვამია: „იყო ჟამთა მას ხანძთას წინამძღვრად მამად არსენი. ნათესავით აზნაური" **(Марр 1911: ლგ)**. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით ასეთი პიროვნება „ჩამომავლობით იყო აზნაური და არა მეფის წყალობით აღზევებული" **(ჯავახიშვილი 1982. :200)**. თანაც, ეს აზნაურობის ცალკე ფენა არ იყო. იგი „აზნაურ მემამულეთა" ჯგუფში შედიოდა, რამდენადაც ძველ ქართულში „მემამულე" მემკვიდრეს

ნიშნავდა, ეს უკანასკნელი შთამომავლობაზე გადადიოდა, რომელიც ნათესაობის ყველაზე ცხადი ფორმაა.

ა. ბოგვერაძე შენიშნავს, რომ „ნათესავით აზნაური", როგორც იგი განმარტებულია 1958 წელს დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში", სინამდვილეში არ არსებობდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ორჯერ მოხსენიებული „ნათესავით აზნაური" შთამომავლობით აზნაურთა კატეგორიის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ იყო გამოთქმა აზნაურული წარმოშობის ბერ-მონაზონთა აღსანიშნავად" **(ბოგვერაძე 1979: 178—179)**, რათა ხაზი გაესვათ მოცემული პიროვნების მაღალი წარმოშობისათვის, რასაც მონასტრებში არამცირედი მნიშვნელობა ჰქონდა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მსჯელობა შეიძლება სინამდვილესთან ახლოს იყოს, მაგრამ ნათესაობა-მემკვიდრეობას, რომ აზნაურთა წრეებში საერთოდ უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამის უარყოფა ჰეშმარიტებასთან ნამდვილად ძლიერ დაგვაცილებდა.

როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი „ნათესავით აზნაურებს" „აზნაურთა მემამულეთა" ჯგუფს აკუთვნებდა, ამ უკანასკნელთა არსებობას, რამოდენიმე წყაროდან მოტანილი მაგალითებით ასაბუთებდა და დაასკვნიდა: „აზნაური მემამულენი„ მაშინ ისეთ აზნაურებს შეიძლებოდა რქმეოდათ სახელად რომელთაც აზნაურობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდათ და წინაპართაგან დამკვიდრებული ჰქონდათ, ანუ რომელნიც „ნათესავით" აზნაურები იყვნენ **(ჯავახიშვილი 1982:207)**.

რამდენადაც „აზნაური" ადრეფეოდალური ხანის ფეოდალთა კლასის საერთო სახელწოდებაა, ამ წოდებაში უნდა ჩაითვალოს ერისთავთერისთავი და ერისთავიც. ისინი უპირველესყოვლისა სამეფო მოხელეები არიან და ამ მხრივ მათ გაცილებით მეტი ფუნქციები აქვთ, მაგრამ ერისთავთერისთავი და ერისთავი „ამავე დროს სოციალური შინაარსის ცნებაცაა" **(ბერძნიშვილი 1970:58)**. ამ მოსაზრების სისწორეს ხელს ვერ შეუშლის ის ფაქტი, რომ წყაროებში ჩამოთვლის დროს ერისთავთერისთავი, ერისთავი და აზნაური ცალ-ცალკე არის ხოლმე დასახელებული და ჩვეულებრივ არაა მითითებული, რომ ესა თუ ის ერისთავი წოდებით აზნაური იყო. ერისთავი და მით უფრო ერისთავთერისთავი, რომ სხვა წოდებიდან ვერ იქნებოდა, ეს აშკარაა. ასე, რომ მათი აზნაურობა თავისთავად იგულისხმება. თანაც, ამ დებულებას ასაბუთებს მ. ბერძნიშვილის მოსაზრება, რომ „აზნაური ვალდებულია უზრუნველჰყოს თავისი გლეხებიდან გადასახადების დროზე მოკრება და აგრეთვე ამ გლეხთაგან სამხედრო და შრომითი სამსახურის შესრულება. ამ მოვალეობის გათვალისწინებით აზნაური ადმინისტრაციულ მოხელეთა შორის უნდა ვივარაუდოთ" **(იქვე: 57)**. აზნაურის ადმინისტრაციულ მოხელეობას პირდაპირ ადასტურებს ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელი, სადაც საუბარია მოხელეთა სასარგებლოდ არსებულ გადასახადთაგან განთავისუფლებაზე და სხვა ასეთ გამოსაღებთა შორის დასახელებულია „გამოსავალი...სააზნაუროჯ"

ცხადია, აზნაური თავისი სამოხელეო მოვალეობების მასშტაბით ერის-

თავს ვერ შეედრება. მათ შორის სუბორდინაციული დამოკიდებულება არსებობს. რომელსაც მ. ბერძნიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: „სოციალურად ერისთავი და ერისთავთერისთავი ერთი ფეოდალური კლასის ცალკეულ საფეხურებს აღნიშნავენ. ასევე აზაურიც. იგი იმავე კლასის უმდაბლეს საფეხურზე მდგომია. ფეოდალური კლასის ამ სამ საფეხურს შორის დამყარებულია აგრეთვე უფლებრივი დამოკიდებულებაც. ერისთავთერისთავი ბატონობს ერისთავებსა და აზნაურებზე; ერისთავი—აზნაურებზე, სამივე მათგანი გლეხებზე" **(იქვე: 58)**.

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ერისთავზე უფრო ადრინდელი ტერმინი იყო ერისმთავარი, რაც „ორწილედი" სიტყვაა და თავდაპირველად ჯარის უფროსს ნიშნავდა" **(ჯავახიშვილი 1982: 329)**. შემდეგ იგი სამოქალაქო თანამდებობად იქცა. მთავარმა სხვა უფრო მაღალხარისხოვანი ფუნქცია შეიძინა, ხოლო შედარებით დაბალი რანგის მოხელეს სახელად ერისთავი შერჩა. რაც შეეხება ერისთავთერისთავს შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეს თანამდებობა IX საუკუნიდან არსებობდა. იგი მთავრებსა და ერისთავებს შორის მყოფი მოხელეა. „ძეგლი ერისთავთა"-ს მიხედვით „ერისთავთ-ერისთავს ჰქონდა „მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრ არიან" მის საბრძანებელში" **(იქვე: 330)**. ერისთავთერისთავი უფრო სამხედრო ფუნქციების მქონე მოხელე იყო. იმავე წყაროში მითითებულია, რომ ყველა ზემოთ დასახელებულნი ხელქვეითი უნდა ყოფილიყვნენ „თანა მოლაშქრე ერისთავთ-ერისთავისა" ე. ი. მისი სარდლობით უნდა გასულიყვნენ ბრძოლაში.

ისევე, როგორც მთავრები, ერისთავთერისთავები სახელმწიფოში გავლენიანი და ქონებრივადაც შეძლებული პირები იყვნენ. საქართველოს ისტორია კარგად იცნობს განდიდებული და აღზევებულ ერისთავთერისთავების მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლის ბევრ მაგალითს.

ლეონტი მროველის გადმოცემით, პირველი საერისთავოები ქართლში ფარნავაზ მეფემ გაამოყო. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ეჭვი, რომ იგი შეიძლება არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს და ვახტანგ გორგასალის დროს რეალურად არსებული საერისთავოების რეტროსპექტული ანარეკლი იყოს **(სინ 1970:651)**. ნ. ბერძენიშვილი თავს იკავებდა ემსჯელა ფარნავაზისა და ვახტანგის დროის საერისთავოების შესახებ არსებული ცნობების რეალურ-ისტორიულობაზე, „მაგრამ მოხსენიებული საერისთავო ტერიტორიები ფარნავაზისა და ვახტანგის დროს, რეალურ-ისტორიული მგონია"-ო წერდა იგი **(ბერძენიშვილი 1975: 154)**.

რამდენადაც საერისთავოები ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპით ერთიანდებოდნენ და ასეთთა არსებობა ფარნავაზის დროიდან საეჭვო არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ სათავეში მყოფი ხელისუფალიც ეყოლებოდათ. ერქვათ თუ არა მათ მაშინვე „ერისთავი" ძნელი სავარაუდოა, მაგრამ იგი, რომ ერთ-ერთი უძველესი სამოხელეო ტერმინია ეს უკვე საეჭვო აღარ არის, რამდენადაც „მხედართმთავრისა" და „განმგებლის" მნიშვნელობით იგი უკვე ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში გვხვდება **(ილ. აბულაძე,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., **1973, გვ. 150—151)**.

ამასვე კარგად ეთანხმება ნ. ბერძენიშვილის ვარაუდი: „ერისთავი თავდაპირველად მცირე სამხედრო-ადმინისტრაციულ მოხელეს ეწოდებოდა და შემდეგ ხდება მისი გამსხვილება“ **(ბერძენიშვილი 1975:115)**. უფრო კონკრეტული კი მისი შემდეგი მტკიცებაა: „მეფეს კი არ დაუსხავს, ერისთავები, როგორც ამას ნაგვიანები წყაროები გადმოგვცემენ, არამედ ერისთავები მეფის უწინ გაჩნდნენ“ **(იქვე: 141)**.

საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრებით საერისთავოები ხევების გაერთიანების გზით შეიქმნა **(იქვე: 74)**. „ძეგლი ერისთავთა“-ში ეს აშკარად ჩანს. იქ წერია. რომ კეისარმა ცხრაზმისხევის ერისთავს „მიუბოძა შვიდნი ესე ხევნი განსაგებლად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა“-ო **(ქსძ 1965:104)**. ერისთავების უმთავრეს შემოსავალს საგანგებოდ დაწესებული გადასახადი „საერისთავო გამოსავალი“ შეადგენდა, მაგრამ უკვე ადრეფეოდალური ხანიდან შეიმჩნევა ერისთავთა სწრაფვა საერისთავოების საგვარეულო კუთვნილებად გადაქცევისაკენ. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ისინი ამისათვის გარეშე ძალასაც იყენებდნენ, ასეთის მაგალითად მას მოჰყავს სპარსეთის შაჰის ქოსრე ამბარვეზის (590—628) მიერ ქართლის ერისთავებისადმი „მამულების შვილთაშვილამდე დაწერა“ ასევე ქართლის ერისმთავარმა გუარამ კურაპალატმა (VI ს.) „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთაოთაგან მათთა. რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ქონდეს სიგელნი მკვიდრობისათვის“. ივ. ჯავახიშვილი ამის მიხედვით შენიშნავდა, რომ უმეფობის პერიოდში „უცხო მებატონის ძალას... მართლაც შეეძლო თვის-თვისად გამდგარ ერისთავთათვის განსაკუთრებული მფარველობა გაეწია და ამ გზით მათი „შეუცვლელობისათვის“ ნიადაგი მოემზადებინა და ხელი შეეწყო“ **(ჯავახიშვილი 1982:335)**.

ბატონი ივანე ამასთან ერთად, წყაროთა სიმცირის გამო, შეუძლებლად მიიჩნევდა დაედგინა სასახიდების ბატონობამდე „საქართველოში ერისთავობა მართლა პირადი ხელისუფლება იყო თუ იქნებ მაშინაც შეუცვალებელნი იყვნენ?“ **(იქვე)**. იოანე საბანის ძის გადმოცემით კი ირკვევა, რომ VIII საუკუნეში ერისთავობა უკვე თვით ერისთავებს საგვარეულო კუთვნილებად მიაჩნდათ.

ერისთავის თანამდებობისა და საერისთავოს საგვარეულო კუთვნილებად გადაქცევის ტენდენციას მძიმე დარტყმა მიაყენა ბაგრატ III-მ. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით მან არა ერთხელ და ორჯერ „ურჩნი თვისნი სცუალა დიდებისაგან, ადგილთა მათთა განადიდნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებით მისთა“ **(ქ. ცხ. 1955:278)**.

მაგრამ ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა. იმავე „მატიანეში“, რომ ზევითხსენებული სულა კალმახის „ერისთავადაც“ არის მოხსენიებული და „პატრონადაც“. ეს ფაქტი ნ. ბერძენიშვილს შემდეგნაირად აქვს ახსნილი: „სულა კალმახის ერისთავიც იყო და პატრონიც. ამ ორ ტერმინში საუცხოოდ ჩანს ფეოდალური შეთავსება ორცნებოვანებისა, სახელმწიფო სამართლის ცნება (ერისთავი) და კერძო სამართლის ცნება (პატრონი). ძველად იყო ერისთავი კალმახისა. ის თანდათან გახდა მისი პატრონიც

(სიუზერენი). ამ დროს უკვე ერისთავობა პატრონობას (სიუზერენობას) გულისხმობს, ხოლო პატრონობაში იგულისხმება მესაკუთრეობაც. ასევე იყვნენ სხვებიც" **(ბერძენიშვილი 1979:84)**.

განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში ცალკეულ საგვარეულოზე ერისთავობისა და ერისთავთერისთავობის თანამდებობის შეყინვის მრავალი ფაქტი აქვს შესწავლილი მ. ბერძნიშვილს **(ბერძნიშვილი 1970:52--55)**, რადგან ისინი ქრონოლოგიურად სცილდებიან ამ წიგნში განხილულ პერიოდს, ჩვენ მკითხველის ყურადღებას მათზე აღარ შევაჩერებთ. დასკვნა კი, რომელიც მკვლევარს აქვს მიღებული დამოწმებული მასალის ანალიზის შედეგად, შეიძლება გავრცელდეს ადრეფეოდალური ხანის ბოლო პერიოდზედაც, ამიტომ მისი მოხმობა ეპოქის სურათის სისრულისათვის საჭიროდ მიგვაჩნია. „სამემკვიდრეოდ დაუფლება მსხვილი სახელმწიფოებრივი და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობისა (ვაზირობა და ერისთავობა).,—წერს მკვლევარი,—ერთი საგვარეულოს მიერ ამ საგვარეულოს აზნაურთა მთელი მასიდან უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა და ცალკე წოდებად ჩამოყალიბების საშუალებას იძლეოდა" **(იქვე: 55)**.

ამასთან, ერისთავობის სამემკვიდრეოდ დაუფლებაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საუბარია არა მთელი საერისთავოს პატრონიალურ სენიორიად გადაქცევაზე, არამედ ცალკეული საგვარეულოების მიერ ამ თანამდებობის (ხელის) „მამულობით", მემკვიდრეობით ფლობაზე. რაც, როგორც ი. ანთელავა აღნიშნავს, „არ ნიშნავს იმას, რომ ერისთავი საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლიდან გადაიქცევა კერძო სამართლის სუბიექტად" **(ანთელავა 1983:176)**. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერისთავი, როგორც საჯარო ხელისუფალი, თავისი თანამდებობის აღსასრულებლად თავისავე საერისთავოში გარკვეულ ტერიტორიასაც იღებდა და საერისთავო „ხელზე" მკვიდრობა, ამ „საკარგავის" მამულად გადაქცევასაც ნიშნავდა. ე. ი. აღნიშნული მიწა–ადგილი მამიდან შვილზე ისევე გადადიოდა, როგორც ერისთავობა.

ყველა ერისთავისა თუ ერისთავთერისთავის სახელო ერთნაირი ღირსებისა და ტერიტორიული მოცულობისა არ იყო. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა „მათ შორის ზოგი უფრო საპატიოდ იყო ცნობილი. ზოგს კიდევ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა"-ო **(ჯავახიშვილი 1982:336)**. მათ შორის უფრო საპატიო ის საერისთავო იყო, რომელიც წინათ სამეფოს წარმოადგენდა, მაგრამ საქართველოს გაერთიანების შემდეგ სამეფო მოიშალა და საერისთავოდ გადაიქცა. ასეთ ერისთავთერისთავს ტიტული „მჯდომი მეფეთა ადგილისა" მიეკუთვნებოდა და „ეს კი საქვეყნოდ გამგე ხელისუფალთათვის, რასაკვირველია, უაღრესი პატივისცემა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც" **(იქვე)**.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ყველა ერისთავი საქვეყნოდ გამრიგე მოხელე არ იყო. ამის საბუთად მას მოაქვს შემდეგი ადგილი „ნინოს ცხოვრებიდან": ნინომ „...წარიყვანა იაკობ მღვდელი საბერძნეთით მისრული და ერისთავი ერთი" წყაროში ნათქვამი არ არის, მაგრამ იგულისხმება, რომ მას დიდი

ძალა ჰყავს ჯარის სახით. იგი დაყვება ნინოს ქართლში, ერწო-თიანეთში, კუხეთში, კახეთში. მას წინააღმდეგობას ვერ უბედავენ, ემორჩილებიან, ინათლებიან, წარმართულ სალოცავებს აღარ იცავენ. ზოგი გარბის კიდეც მისგან და იმალება. ბატონი ნიკო აგიოგრაფის ამ გადმოცემის კომენტარისას შენიშნავს: „ჩანს ერისთავი ტექნიკური გამოთქმაა და ნიშნავს ჯარის ერთეულს მისი უფროსით. ეს ერისთავი ტერიტორიული სამხედრო ერთეულის უფროსი არ არის... ასეთი ერისთავი, უნდა ვიფიქროთ, მეფის კარზე მყოფი ლაშქრის „ტაძრეულების“ უფროსი შეიძლება მხოლოდ ყოფილიყო“-ო **(ბერძენიშვილი 1979:15)**. მაშასადამე, ერისთავად საგანგებო დავალების მქონე მოხელეც შეიძლება წოდებულიყო, მაგრამ მას ლაშქრის მეთაურობის თავიდანვე მიკუთვნებული ფუნქცია, ამ შემთხვევაში არათუ ეკარგება, არამედ, პირიქით, გაძლიერებულიც აქვს.

ჩვენი ზევით გადმოცემული მსჯელობა ძირითადად შეეხება ერისთავს, როგორც სოციალურ კატეგორიას. ხოლო იგი, ვითარცა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი ცალკე მსჯელობის საგანია.

ერისთავთერისთავისა და ერისთავისაგან, როგორც ადმინისტრაციული მოხელე, აზნაური იმით განსხვავდება, რომ მას სახელმწიფო მოხელის თანამდებობა მიკუთვნებული არა აქვს, მაგრამ იგი, როგორც ერისთავის ხელქვეითი გარკვეულ უბანს განაგებს. ეს აუცილებლადაა მისი კუთვნილი მამული. ხოლო დამატებით იმ შემთხვევაში თუ საგამგებლოდ მინდობილი აქვს—სამეფო ციხე, ხევი, დაბა, სოფელი. აზნაურთა ეს ნაწილი ამ წოდების საშუალო და წვრილ ფენებს ეკუთვნის, მათ თანადროულ ძეგლებში „უციხო აზნაურის“ სახელით მოიხსენიებენ. ასეთის მაგალითი XI საუკუნიდან გვაქვს. კერძოდ, ამ საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ტაოელი აზნაურების დიდი ჯგუფი ბიზანტიის კეისარს კონსტანტინე VII-ს ეახლა. სუმბატ დავითის ძის ცნობით ესენი იყვნენ: „ვაჩე კარიპის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე და ამათ თანა უმთავრესნი აზნაურნი ტაოსა. რომელნიმე ციხოვანი და რომელნიმე უციხონი“ **(ქ. ცხ. 1955:388)**. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ციხოვანად“ ის აზნაური ითვლებოდა, რომელსაც საკუთარი ციხე ჰქონდა, მაშინ ნათელი გახდება რამოდენა განსხვავება იყო მათსა და „უციხო“ აზნაურებს შორის. ქსე-ში ამასთან დაკავშირებით ნაოქვამია—„დიდებული აზნაური“ და „ციხოვანი“ ანუ „ციხის უფალი აზნაური“ მეტნაკლებად ერთი და იგივე იყო“ **(ტ. 1, გვ. 214)**. მ. ბერძნიშვილს დამოწმებული აქვს ბექას სამართლის მიერ დაწესებული ნორმა, რომლის მიხედვითაც „ციხოსან-მონასტროსანი“ აზნაურის სისხლი 20 ათასი თეთრი ღირს, ხოლო „უციხოსი“ 12 ათას თეთრად ფასობს **(ბერძნიშვილი 1970:61—62)**.

ციხის ფლობა, როგორც ქონებრივი, ეკონომიკური კატეგორია, ფაქტობრივად, პოლიტიკურ საკითხს შეერწყმოდა. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ციხეა ქვეყნის პოლიტიკური ბედის გადამწყვეტი და ეს იმიტომ, რომ სწორედ ეს ციხეა ქვეყნის სოციალური განვითარების შედეგიო“ **(ბერძენიშვი-**

ლი 1975:194). აქ „ქვეყნის“ ქვეშ ციხის მიმდგამი ტერიტორია, ხევი იგულისხმება, ციხეს თავისი „ხევით“ უძლიერესი გვარის წარმომადგენელი აზნაური პატრონობს. ხევში ამ გვარის გარდა სხვა აზნაურებიც სახლობენ და ამ ძლიერი გვარის გავლენას განიცდიან **(იქვე: 123)**. ციხე აძლევს მის მფლობელს გვარს.

ეს, რომ ასეა ჩანს ნ. ბერძენიშვილის მიერ „მატიანე ქართლისაჲდან“ ამოწერილი ადგილიდან, საიდანაც ამის გარდა პოლიტიკურ ბრძოლაში ციხეების მნიშვნელობის შესახებაც გვექმნება შთაბეჭდილება. ამონაწერი ასეთია: „კახთა მეფემ წააგო გიორგი მეფესთან ბრძოლაში. კახეთის ციხეები „აფხაზებმა“ დაიჭირეს. კვირიკე ბოჭორმაში იყო და კახეთის დატოვებას აპირებდა. „მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუელნი და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვირიკეს, დაუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირეთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი, დაარღვივნეს შურის-ციხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კვირიკე მაძულსა თვისსა“ **(იქვე: 122—123)**. ამ ციტატის კომენტირებისას მკვლევარი მიიჩნევს, რომ აქ დასახელებული აზნაურები სადაურობით აღინიშნებიან. „ხოლო ეს სადაურობა იმ მთავარ პუნქტს უკავშირდება, საიდანაც ამ ხევის მმართველობა ხორციელდება, სადაც ხევისუფლები სხედან, სადაც მათ ციხე აქვთ და ასეა იმიტომ, რომ ეს ციხე, ეს პუნქტი არის ახლა ყოვლის განმსაზღვრელი. ასეთი სახელები მარტო იმას კი არ ნიშნავს ახლა რომ პირები ამ პუნქტებიდან არიან, არამედ იმას უპირველესყოვლისა, რომ ეს პირები ამ პუნქტების მთავრები არიან, ამ პუნქტებში მდებარე ციხეების პატრონები არიან“ **(იქვე: 125)**.

„მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობებში ყურადღებას იქცევს ციხეთა დიდი სიმრავლე. „მთელი ქვეყანა ციხეებში ჩამსხდარის შთაბეჭდილებას ქმნის“ ამას ორი მხარე აქვს. ერთი, ეს ციხეები „თავადი ციხის“—თავციხის უფლებით, აზნაურ ტაძრეულით სარჩენად და ბრძოლაში გასაყოლად ციხეში „შემავალ“ შედარებით მცირე ხევებს აწევს მხრებზე; მეორე, ქვეყანა პოლიტიკურად ამ ციხეებითაა ძლიერი. „ქვეყნის დაპყრობა ამ ციხეების ხელში ჩაგდებით შეიძლება მხოლოდ“ **(იქვე: 131)**.

აზნაურების სოციალური და ეკონომიკური უპირატესობის მაჩვენებელი არის მათ მიერ დაბებისა და ვრცელი სახნავ-სათესი ფართობების ფლობა. ასეთის მაგალითები ქართული მწერლობის ადრინდელ ეტაპზე ნათარგმნი ძეგლებიდან დამოწმებული აქვს. ა. ბოგვერაძეს. მოხმობილი ტექსტიდან ჩანს, „რომ აზნაურს აქვს საკუთრებაში „დაბაც“ და „მოგებული ყანებიც“ **(ბოგვერაძე 1979:176)**, ცხადია, იქ მცხოვრები მოსახლეობით. ძნელი დასადგენია როგორია ურთიერთობის ფორმა ამ აზნაურებსა და „მდაბიურებს“ შორის. ა. ბოგვერაძე ვარაუდობს, რომ ეს უნდა იყოს „სამიწო ურთიერთობა, არა პიროვნული დამოკიდებულებისა, არამედ თემობრივი. მაგრამ საგულისხმოა, რომ განსხვავება აზნაურსა და მდაბიორს შორის საგრძნობლად დიდია. ეს უკანასკნელნი არიან „შვილნი უგუნურთა და

უპოვართა", ხოლო ანდრიანემ[1] მათთან არ უნდა ჭაათანაბროს თავი, ვინაიდან იგი აზნაურია და მდიდრის შვილია. აქ აშკარად დამამცირებელიც კია დაპირისპირება. მდაბიურები უგუნურები არიან თავიანთი უპოვარობის გამო.

თუ მკვლევარის მიერ ნახმარ „სამიწო ურთიერთობას" საადგილმამულო ურთიერთობად გავიგებთ, მაშინ, ჯერ კიდევ V—VIII საუკუნეებში, როცა დამოწმებული ძეგლებია თარგმნილი, საქმე გვაქვს ფეოდალური ურთიერთობის უნივერსალური ფორმის, როგორც მას საქართველოში უწოდებენ—პატრონყმობის, ე. ი. ევროპული ვასალიტეტის ადრეულ საფეხურთან.

ფეოდალური საზოგადოების განვითარების ამ ადრეულ საფეხურზე, ყოველ შემთხვევაში, VIII საუკუნემდე, ურთიერთობის ეს ფორმა ჯერ კიდევ არ არის სისტემად გნვითარებული (იქვე: 177). ამ ურთიერთობის აღსანიშნავად X საუკუნიდან შემოდის ტერმინი „პატრონყმობა" მანამდე კი შინაარსის მიხედვით მისი აღმნიშვნელი „უფალმონობა" უნდა ყოფილიყო.

პატრონყმობა ერთ-ერთი ნაკლებშესწავლილი სოციალური ფენომენია ქართულ ისტორიოგრაფიაში (ლორთქიფანიძე 1962:14). მის შესახებ მეცნიერული კვლევის პირველი ხნული ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა. მაგრამ ჩვენში მარქსისტული მეთოდოლოგიის დანერგვის, განსაკუთრებით, „სკპ ისტორიის მოკლე კურსში" ხუთი საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციის კანონიკურად გამოცხადების შემდეგ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ფეოდალური ფორმაციის ყველა ქვეყნისათვის უნიფიკაციის ნორმირებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ქართული ფეოდალიზმი უნდა შესწავლილიყო რუსული ფეოდალიზმის თარგზე. რუსული ფეოდალიზმი კი პატრონყმობის სისტემას არ იცნობდა.

„წინამარქსისტულად" მოაზროვნე ივ. ჯავახიშვილი კი პატრონყმობას იმთავითვე უდარებდა დასავლეთ ევროპის ვასალიტეტის სისტემას. მან დაადგინა, რომ „ვასალობა" პირად „ყმობას" უდრიდა, ხოლო დამოკიდებულების მეორე ფორმა „კი ქონებრივი თვისებისა იყო და ბენეფიციუმი ერქვა" (ჯავახიშვილი 1982:249). ბენეფიციუმს ქართული „შეწყალება" შეესაბამებოდა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც იყო. იგი გარდა დასაჩუქრებისა, რასაც „შეწყალება" ნიშნავდა წარმოადგენდა „პატრონის მიერ ყმისადმი უძრავი ქონებისა და მოსახლეობის ბოძებას, რისთვისაც ყმას ვალად ედვა პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება" (იქვე). ტერმინ „ბენეფიციუმის" მაგივრად სამხრეთ საფრანგეთში ლათინური „ფეუდუმ" იხმარებოდა. აქედან იგი ევროპის სხვა ქვეყნებშიაც გავრცელდა. XI საუკუნეში იგი უკვე იხმარებოდა. XIII საუკუნიდან „ფეუდუმმა" ბენეფიციუმი მთლიანად გამოდევნა. ასე „წარმოდგა თვით ის სიტყვაც რომელიც დასავლეთ ევროპის საპატრონყმო წესწყობილების (ე. წ. ფეოდალიზმი) აღსანიშნავად იხმარება" (იქვე:250).

---

[1] ასე ჰქვია ნათარგმნი ძეგლის ერთ-ერთ პერსონაჟს.

ასეთი ტერმინოლოგიური ექსკურსის გარდა, ბატონი ივანე საჭიროდ სცნობდა აღენიშნა: „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს შეწყობილებას, ე. წ. ფეოდალიზმს. როგორც საქართველოს პატრონყმობა, ისე დასავლეთ ევროპაშიც ფეოდალური წესწყობილობა სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების საზოგადო მოვლენა იყო, საერთო თვისება ჰქონდა“ (იქვე: 249).

სიტყვა პატრონი „პატონის“ ფორმით, X ს-ის ძეგლის—„ფავნელთა სიგელის“, XV საუკუნეში გადაწერილ ხელნაწერშია დაცული. ეს არის ამ ტერმინის ყველაზე ადრეული ხმარების ჩვენამდე მოღწეული შემთხვევა.

პატრონი ლათინური „პატრონუს“-იდანაა ნაწარმოები. მაგრამ გაურკვეველია რა გზით გავრცელდა იგი ქართულში. ის, რომ I—III სს-ში შემოსულიყო, როცა საქართველოში რომაელები ბატონობდნენ, მაშინ რაღაც გზით XI საუკუნებამდე ნახავდა ასახვას ქართულ წერილობით ძეგლებში. შეუძლებელია „პატრონი“ ბიზანტიის გზით გავრცელებულიყო, ვინაიდან „საქართველოს „პატრონყმობის“ დაწესებულების ეს ნიშანდობლივ გამომხატველი სიტყვა ბიზანტიაში გავრცელებული არ ყოფილა“ (იქვე: 257).

სიტყვა პატრონს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ნიშნავდა: მფარველს, მეურვეს, მზრუნველს, კერძო მესაკუთრეს, ე.ი. მფლობელს. ეს ტერმინი მეფესაც მიემართებოდა. იგი „ქართლის ცხოვრების“ ავტორებთან იხმარება დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მიმართ.

„ყმის“ წარმოშობის თაობაზე ჩვენ ზევით უკვე შევაჩერეთ ყურადღება. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტერმინით პატრონყმობის პირობებში აღინიშნებოდა ქვეშევრდომი, რომელიც თვითონ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვისი პატრონი. ეს რამდენიმე საფეხურიანი ყმობა იყო. ასე რომ მეფის გარდა სახელმწიფოში, პატრონყმობის პირობებში ყველა ყმას წარმოადგენდა. უკანასკნელ საფეხურზე მყოფი ყმა გლეხი იყო. მას, ცხადია, ყმა არ ჰყავდა. „ამნაირად,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,—თითქმის მთელი საქართველო მეფისგან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე „პატრონყმობის“ უღელში იყო შებმული და ცხოვრების ტვირთს ეზიდებოდა“ (იქვე:228).

დიდი მეცნიერის ეს დებულება ასახავს ფეოდალიზმის იმ პერიოდს, როდესაც პატრონყმობა საბოლოოდ გადაიზარდა ბატონყმობაში და საყოველთაო ფენომენად გადაიქცა. ადრეფეოდალურ ხანაში კი იგი საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთი წყობა (уклад) იყო და ამდენად ჯერ კიდევ საგრძნობლად დიდი რაოდენობით არსებობდნენ მოლაშქრე მდაბიორთა, თავისუფალ მეთემეთა და ტაძრეულთა ფენები, რომლებიც პატრონყმობის უღელში არ იყვნენ შებმულნი.

ისიც აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი პატრონყმურ ურთიერთობას განიხილავს; როგორც ყოველგვარ დამოკიდებულებას ერთი პიროვნებისას მეორეზე და მას აიგივებს საერთოდ ფეოდალიზმთან. დასავლეთ ევროპაში კი ქართული პატრონყმობის შესაბამისი ვასალიტეტის საფუძველს საადგილმამულო ურთიერთობაზე დამყარებული პირადი დამოკიდებულება წარ-

მოადგენდა. როგორც წესი, სენიორისადმი ვასალის ვალდებულებას სამხედრო სამსახური შეადგენდა.[1] რისთვისაც თავდაპირველად იგი გარდაცვალებამდე პირად საკუთრებაში ღებულობდა მიწა-წყალს—ბენეფიციუმს, რომელიც შემდეგში მემკვიდრეობით საკუთრებად ფეოდად (ლენად) გადაიქცა. ვასალური დამოკიდებულება ფორმდებოდა ორმხრივ სასარგებლო ხელშეკრულებით, რომლის დადებაც უკავშირდებოდა განსაკუთრებულ რიტუალის—ომაჟის დაცვას. ვასალი ვალდებული იყო თავისი ხარჯით, გარკვეული ვადით (დაახლ. 40 დღე წელიწადში) შეესრულებინა სამხედრო სამსახური. მონაწილეობა მიეღო სენიორის სასამართლოსა და კურიაში (საბჭოში), გამასპინძლებოდა სენიორსა და მის ამალას და მეპატრონის ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში მონაწილეობა მიეღო მის გამოსყიდვაში. სენიორი თავის მხრივ ვალდებული იყო, გარდა ფეოდის (ლენის) მიცემისა, თავისი ვასალის პიროვნება და ქონება დაეცვა. ვასალური დამოკიდებულება არ ბღალავდა მფარველობაში შესულის პირად თავისუფლებას.

თავისი კონცეფციის შესაბამისად, ივ. ჯავახიშვილი იხილავს ყმური დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ისეთსაც, რაც ჩვენის აზრით, ურთიერთობის ამ რიგს არ ეკუთვნის. ასეთებია: ნასყიდი, ნებიერი, დავალიანებით თავისუფლებადაკარგული, შეწირული და სიგელოსანი გლეხები.

მაგრამ გარდა ამისა მას შესწავლილი აქვს „შეწყალებისა" და „დალოცვის" წესიც, რაც აშკარად დასავლეთ ევროპული ვასალიტეტის შესაბამისი ინსტიტუტია. ამ გარემოებას მეცნიერი თავიდანვე ანგარიშგასაწევად მიიჩნევს. „ქართული „პატრონყმობის" სრულის ბუნებისა და დამახასიათებელ თვისებათა შეგნებისათვის სწორედ რომ „შეწყალებ"-ისა და „შეწყალებული"-ს მნიშვნელობის გათვალისწინებაა საჭირო. „შეწყალება" პატრონყმობის აუცილებელი და არსებითი თვისება იყო"-ო, მიუთითებდა იგი **(ჯავახიშვილი 1982:236).**

„შეწყალება" ძველი ქართული სამართლის მიხედვით ოანამდებობის ბოძებას და წყალობას ნიშნავდა. იგი მიემართებოდა საზოგადოების ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომ პირებს. მაგალითად, თამარ მეფის დროს ტაოელ მეფეთა ადგილზე „შეწყალებული" იყო გუზანი. დაახლოებით იმავდროულად მსახურთუხუცესის ივანე მხარგრძელის შეწყალება იმაში გამოიხატა, რომ მას მისცეს „საპატიო კაენი და კაიწონი გელაქუნითა და სხუათა მრავალთა სახარჯოთა ქალაქთა და ციხეთა" ამ მეორე შემთხვევა-

---

[1] ს. ჯანაშია „პატრონყმობას სამხედრო სამსახურის პირობით არსებული საადგილმამულო ურთიერთობად განიხილავდა. იგი წერდა, რომ „პატრონყმობა არ ფარავს მთელს საზოგადოებრივ ურთიერთობას. კერძოდ-ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასების ურთიერთობას" **(ჯანაშია 1952: 434).** ნ. ბერძენიშვილის აზრით, „პატრონყმობა არ ნიშნავს ურთიერთობას მწარმოებლებსა და ფეოდალებს შორის, არამედ იგი არის ფეოდალური კლასის შიგნით არსებული საადგილმამულო ურთიერობის, ამსახველი პირობითი ტერმინი". რომელიც ფაქტობრივად ადრეულ ფეოდალიზმს ალნიშნავს და შეესაბამება **(ბერძენიშვილი 1973:60).**

ში მარტო მოხელეობის ბოძებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ქვეყნებისა და ქალაქების მიცემასთანაც.

წყაროები ადასტურებენ, რომ არსებობდა შეწყალების სხვადასხვა წესი. „ახლად დალოცვა" ნიშნავდა, რომ პიროვნებას აქამდე „შეწყალება" მიღებული არ ჰქონდა. ხოლო თუ იგი უკვე იყო „შეწყალებული", ე. ი. მიღებული ჰქონდა მოხელეობა ან „სახარაჯო" ქვეყანა, მაშინ მისი დალოცვა ხდებოდა „მომატებითა". „ისტორიანისა და ზმანის" ავტორი ამას საგანგებოდ უსვამს ხაზს. იგი წერს: „შეიწყალნეს თვითეული თვისითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა და რომელნიმე მომატებითა" **(ქ. ცხ. 1959:55)**. ბოძებული თანამდებობა, ან მიწა-მამული განსაზღვრავდა „შეწყალების" ხარისხსაც. „ყმა შეიძლებოდა ან მარტივად „შეწყალებული" ყოფილიყო, ან „აღმატებით შეწყალებული" **(ჯავახიშვილი 1982:240)**.

თუ დას. ევროპაში ვასალური ხელშეკრულების გაფორმება „ომაჟის" რიტუალს უკავშირდებოდა, საქართველოში „შეწყალება" დაკავშირებული იყო დალოცვასთან. „დალოცვა",—წერდა ივ. ჯავახიშვილი—უეჭველია თან სდევდა ყოველი მოხელეობის ბოძებას: როდესაც ვისმე თანამდებობას უბოძებდნენ მას ამ მოხელეობაზე „დალოცავდნენ ხოლმე და თანაც „საპატიო" მამულიც გადაეცემოდა" **(იქვე: 237)**. როგორც ჩანს, შემუშავებული იყო „დალოცვის წესი". მისი შესრულების შემდეგ მოხელე ითვლებოდა „წყალობა-ხელდასხმულად". საეკლესიო ტერმინ „ხელდასხმის" საერო თანამდებობის ბირებზე გავრცელების შემთხვევები, ივ. ჯავახიშვილს აფიქრებინებდა, რომ „დალოცვის წესი" მტკიცედ შემუშავებულ ნორმას წარმოადგენდა.

„დალოცვის წესის შემადგენელი ნაწილი იყო ინვესტიტურის ნიშნების გადაცემა. მაგალითად, მანდატურთუხუცესს აძლევდნენ არგანს; მოლარეთუხუცესს—ბეჭედს; ამირსპასალარს—ხმალს და ა. შ. საფიქრებელია, ერისთავად და ერისთავთერისთავად „შეწყალება—დალოცვის" დროს, ამ მოხელეებს დროშასთან ერთად, რაც უკვე დადასტურებულია, სხვა ნიშნებიც გადაეცემოდათ. მართალია წყაროები ამ საკითხზე დუმან, მაგრამ დაახლოებით ასეთივე, ოღონდ მცირე მასშტაბისა უნდა ყოფილიყო შეწყალება—დალოცვის რიტუალი დაბალი რანგის მოხელეთა მიმართ.

„შეწყალების" დროს მიღებულ სამფლობელო ქვეყანასა და მამულს „საპატიო" ეწოდებოდა. ამის გარდა „შეწყალებულს" ერთგულებისათვის ეძლეოდა „სახარაჯო". იგი შეიძლებოდა ყოფილიყო „საკუთარი" და „სანახევრო" მაგრამ ბოძების ყველაზე უკეთესი ფორმა იყო სამსახურისათვის „საპატიოსა" და „სახარაჯოს" მამულობით დამტკიცება. როცა სულა კალმახელმა ბაგრატ IV-ს ლიპარიტ ბაღვაში დატყვევებული მიჰგვარა, მეფემ „ამის მსახურებისა ნაცვლად უბოძა მამულობით ციხისჯვარი და ოძრხე, ბოდო კლდითა და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღუდელ-მოძღვრენი და რაცა უნდოდა" **(ქ. ცხ. 1955:305)**. „ნაწყალობევი" ქონების იურიდიული სტატუსი იცვლებოდა ხოლმე. პირადად ნაწყალობევიდან „პატრონს" შეეძლო „ყმის" მემკვიდრეებისათვის ზოგი რამ დაეტოვებინა. მაგ., როცა

ამირსპასალარი გამრეკელი გარდაიცვალა თამარ მეფის ბრძანებით „თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა“ (ქ. ცხ. 1959:55). ცხადია, გამრეკელს თმოგვს გარდა სხვა „ნაწყალობევი“ ქონებაც ექნებოდა. მეფეს იგი მისი შვილებისათვის დაუტოვებია.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფაქტები სხვაცაა ჩვენამდე მოღწეული, ივ. ჯავახიშვილს მაინც მიაჩნდა, რომ „დროთა განმავლობაში „სამამულოდ“ ქცეული (ქონება.—გ. მ.) მაინცდამაინც „შეწყალებულისა“ და მისი შთამომავლობის სრულ საკუთრებად არ ითვლებოდა“ (ჯავახიშვილი 1982:244). „პატრონის“ ნებადაურთველად „ყმას“ არ ჰქონდა „ნაწყალობევის“ გაყიდვის, გასხვისების, გაცვლისა და შეწირვის უფლება. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ქონების მესაკუთრედ, თუნდაც იგი „მამულობით“ ყოფილიყო მიღებული „ბოლოს და ბოლოს მხოლოდ „პატრონი“ ითვლებოდა და არა „შეწყალებული“ (იქვე). ანუ, რფგორც ნ. ბერძენიშვილი განსაზღვრავდა „პატრონი მესაკუთრეს არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ სიუზურენს“ (ბერძენიშვილი 1979:78).

„შეწყალებული“ ყმის უპირველესი მოვალეობა იყო სამხედრო სამსახური. ივ. ჯავახიშვილი ამის თაობაზე აღნიშნავდა: „ლაშქრობისა და ბრძოლის დროს „ყმები“ მოვალენი იყვნენ „პატრონებს“ მიჰშველებოდნენ და თავთავიანთი „პატრონთა“ გვერდით და მეთაურობით ეომნათ“ (ჯავახიშვილი 1982:239) და იმოწმებდა თამარის ისტორიკოსის სიტყვებს ნათქვამს ერთერთი ბრძოლის აღწერისას: რომ ომში უსწრობდა პატრონი „ყმასა“ და ყმა პატრონსა“-ო. მისი აზრით, საქართვ„ელოს მხედრობა ტომობრივად იყო დაყოფილი. მაგრამ გარდა ამისა ჯარის დარაზმვა პატრონყმურადაც ხდებოდა (იქვე: 249).

ომსა და სალაშქრო საქმეს, ძლიერი ცენტრალიზებული მონარქიის პირობებში, დიდი მიმზიდველობა ჰქონდა არა მარტო ნადავლის მოპოვების თვალსაზრისით, არამედ ბრძოლაში გამოჩენილი დამსახურებისათვის, მეფის მიერ „ერთგული ყმების“ „შეწყალების“ გამოც. მსხვილი „ყმა“ ფეოდალები ამ დროს დიდძალ „შეწყალებას“ ღებულობდნენ.

მოვალეობის მეორე სახეს წარმოადგენდა პატრონის თანხლება. მეფეს გადაადგილების დროს თან ახლდნენ მაღალი რანგის მოხელენი და დიდებულნი წარჩინებულნი. „დიდ აზნაურსა და მოხელეს „პატრონს“ ამგვარ ამალაში აზნაურნიც კი ჰყავდა ხოლმე. მათ ეწოდებოდათ „აზნაურნი თანამყოლნი“ და თავიანთი პატრონის დაცვა ედვათ ვალად“ (იქვე: 240).

„შეწყალება-დალოცვა“ „პატრონის“ ხელში დიდ იარაღს წარმოადგენდა. მისი საშუალებით „პატრონი“ თავის ერთგულ „ყმებს“ ეკონომიკურად აძლიერებდა და დასაყრდენ ძალას იძენდა. ეს ასე იყო უკვე ადრეფეოდალიზმის დროს.

მაგრამ „ნაწყალობევის“ მამულად გადაქცევის ტენდენციამ საბოლოოდ მსხვილი მოხელე-ფეოდალების ძლიერი ფენა წარმოშვა. მათ ხელში არა მარტო დიდმა ქონებამ მოიყარა თავი, არამედ დიდმა პოლიტიკურმა ხელისუფლებამაც. „ნაწყალობევი“ დიდი აზნაური ივიწყებდა მისი წინაპრების

„ყმურ“ მდგომარეობას და „გახელმწიფებისაკენ“ მიისწრაფოდა. ვარდან დადიანი არ დაჯერდა მსახურთუხუცესობას და მთელი დასავლეთ საქართველოს „უცილობლად ქონებას“ (ქ. ცხ. 1959: 49). ყუთლუ არსლანისათვის ცოტა აღმოჩნდა მეჭურჭლეთუხუცესობა და „ლორეს მეფეთა ადგილზე“ დასაჯდომად იყო გამზადებული (იქვე: 31); ივანე მხარგრძელისათვის საკმარისი არ გახდა შეთავაზებული ამირსპასალარობა, რაც „ლორეს მეფეთა ადგილზე ჯდომას“ ნიშნავდა და ათაბაგობა გამრსძალა პატრონს (იქვე: 110)... ასეთი ცნობილი და უცნობი მაგალითები საკმარისადაა და შეგვიძლია გავიზიაროთ მათი გათვალისწინებით მიღებული მოსაზრება, რომ „შეწყალების წესი... ძირს უთხრიდა თვით იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა იმოდენა ძალა შეალიეს“ (ჯავახიშვილი 1982:247). მაგრამ ეს დებულება ყველა „შეწყალებულს“ არ შეეხება და როგორც ნ. ბერძენიშვილი ასაბუთებდა „ძირის გამოთხრისაკენ“ მისწრაფება მსხვილ საპოხელეო-ფეოდალურ არისტოკრატიას ჰქონდა. „გახელმწიფება-გამთავრებისაკენ“ იგი ილტვოდა, თორემ „სამთავროს მცირე ერისთავები და დიდებული აზნაურები (მათი „მოკიდებულითურთ“), რომელთაც თვალში არ მოსვლოდათ ერისთავთერისთავის გახელმწიფება, ებრძოდნენ მას და ამ ბრძოლაში დასაყრდენს მეფის ერთგულებაში ეძებდნენ“ (ბერძენიშვილი 1973: 95). ასეთი მეფის მომხრე და „პატრონის“ ერთგული ძალები გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით იყო ადრეფეოდალური ხანის დასასრულს და ამან განაპირობა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესის წარმატება.

მკვლევარების ერთი ნაწილი პატრონყმობას მჭიდროდ უკავშირებს, „საკარგავების“; როგორც პირობითი მიწათმფლობელობის სისტემის არსებობას (ბოგვერაძე 1961: 68; ლორთქიფანიძე 1962:14). „სპეციალისტებს შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ პატრონყმობის საბირკველს მიწათმფლობელობის საკარგავების სისტემა წარმოადგენდა“, შენიშნავს მ. ლორთქიფანიძე. „საკარგავს“ იგი აიგივებს „წყალობა-შეწყალების“ ინსტიტუტთან და ამიტომ ორივე ისინი პირობითი მიწათმფლობელობის ფორმად მიაჩნია (ლორთქიფანიძე 1963:58).

მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია საწინააღმდეგო შეხედულებაც. იგი ეკუთვნის შ. მესხიას. მან გამოწვლილვით შეისწავლა საკარგავის შესახებ არსებული შეხედულებანი, მოღწეული ძველი ქართული წერილობითი ძეგლები და იმ დასკვნამდე მივიდა, „რომ „საკარგავი“, როგორც ტერმინი თავიდანვე არ აღნიშნავდა მიწის ფეოდალური მფლობელობის რაიმე ფორმას“ (მესხია 1982:341): „ამ მდგომარეობის გამო „საკარგავის“ ხმარება უფრო ადრინდელი პერიოდისათვის (XI ს-მდე.—გ. მ.) დამახასიათებელი მიწათმფლობელობის ფორმების გადმოსაცემად გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს“ (იქვე: 347).

შ. მესხიამ გაარკვია, რომ საკარგავი დასავლეთ ევროპულ ბენეფიციუმს, ან რუსულ „პომესტიეს“ კი არ ნიშნავდა, „არამედ განსაგებლად, სამართავად მიცემულ ქვეყანას, ქალაქს თუ სახელოს“ (იქვე: 349). „მოსაკარგავე“

თავისი წოდებრივი კუთვნილებით აზნაურია, მაგრამ საქმიანობით იგი ისეთივე მოხელეა, როგორც ერისთავთერისთავი, ერისთავი, ციხისთავი დ ხევისუფალი. იერარქიულად ისინი ერისთავთერისთავების, ერისთავების და მემამულე აზნაურების შემდეგ დგანან. მაგრამ წინ არიან ციხისთავებსა, ხევისუფლებსა და სხვა მოხელეებზე (იქვე: 366).

„საკარგავი" მარტო სამოხელეოდ მიცემული ქვეყანა როდი იყო, არამედ იგი იხმარებოდა ფულადი სარგოს, გასამრჯელოს და სხვა მსგავსთა მნიშვნელობითაც. ე. ი. „საკარგავს" ორგვარი გაგება ჰქონდა. „საკარგავი" ნიშნავდა, როგორც სამოხელეოდ,—წერდა შ. მესხია,—საგამგეოდ, სამართავად გაცემულ გარკვეულ ტერიტორიას, ქალაქს, ასევე სარგოს, ფულად გასამრჯელოს, „საკარგავის" ასეთი ორგვარი მნიშვნელობა შემთხვევით არ შეიძლება წარმოშობილიყო და იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ საკარგავად მიღებული ტერიტორიის, ქალაქის თუ სახელოს გამგებლობა, ე. ი. მოხელეობის ეს სახე, სარგოთი, რენტით, ძირითადად ფულადი სარგოთი ნაზღაურდება" (მესხია 1982:365—366).

„საკარგავი" და „მოსაკარგავეობა", როგორც სამოხელეო ინსტიტუტი XI—XII საუკუნეებში არსებობდა. სამეფო ხელისუფლებას დიდი ბრძოლა უხდებოდა ადრე არსებული სამოხელეო ინსიტუტების, განსაკუთრებით, ერისთავების წინააღმდეგ. VI საუკუნეში ქართლში მეფობის გაუქმების დროიდან, ერისთავებს საერისთავო ქვეყნების მამულებად გადაქცევის საქმეში ხელშემშლელი აღარავინ ჰყავდათ. ქვეყანა „მრავალმთავრობამ" მოიცვა (ქ. ცხ. 1955: 250). მაგრამ არაბთა ბატონობის პირობებში ქართლი, როგორც დაპყრობილი ქვეყანა მაინც ინარჩუნებდა მთლიანობას.

ხოლო, როცა თბილისის საამირო დამოუკიდებელი გახდა, „მთავრებისა" და ერისთავების შემაკავებელი ძალა აღარ არსებობდა. ისინი „გახელმწიფდნენ". „მეფე" არჩილი იძულებული გახდა საერისთავო მიწები მათთვის „მზითვად" მიეცა. ეს სამეფოს მიწა-წყლის ნახევრის ერისთავებისათვის „ყმადნაფიცობის" პირობით, რეალურად კი სამემკვიდრეოდ გადაცემას ნიშნავდა. ბაგრატიონმა ხელისუფლებმა მედგრად შეუტიეს ქვეყნის დაშლის ამ რეციდივს. აშოტ დიდი კურაპალატი გადაჰყვა კიდეც ამ ბრძოლას. ბაგრატ III კი მასში გამარჯვებული გამოვიდა. მან „გახელმწიფებული" ერისთავები ისევ მოხელეებად აქცია, ხოლო ახლადშემოერთებულ ტერიტორიებზე თავისი ნებით ნიშნავდა ხელისუფლებს.

„მატიანე ქართლისაჲს" ავტორის თქმით: ბაგრატ III-მ მრავალგზის „ურჩნი თვისნი შეცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა" (იქვე: 278).

„აი სწორედ ამ პერიოდში,—ვარაუდობდა შ. მესხია,—ახლადწარმოქმნილ ერთიან სამეფო ხელისუფლებსა და დრომოჭმულ, გადაგვარებულ სამოხელეო ინსტიტუტებს შორის ბრძოლის პერიოდში უნდა იყოს წარმოქმნილი ახალი სამოხელეო ინსტიტუტი—საკარგავი, სამართავი, განსაგებელი და მოსაკარგავე——ამ საკარგავის ქვეყნის გარკვეული ტერიტორიის თუ სხვ. მართვის, განგების ხელისუფლებით აღჭურვილი მოხელე" (მესხია 1982:370).

ამდენად „საკარგავი" არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც პირობითი მიწათმფლობელობის ფორმა და ამიტომ იგი ვერც „პატრონყმობის საძირკველი" იქნებოდა. ამ ინსტიტუტს იგი მხოლოდ იმდენად განეკუთვნებოდა, რამდენადაც მოსაკარგავე, ვითარცა მოხელე „მეფე-პატრონის" „ყმას" წარმოადგენდა.

რამდენადაც „საკარგავი" და „მოსაკარგაველობა" პატრონყმობას არ განეკუთვნება და იგი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ წარმოშობილი ინსტიტუტია, ჩვენი ზევითგადმოცემული მსჯელობა მის შესახებ საერთო წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისად მიგვაჩნია და უფრო ვრცლად მასზე თხრობას აღარ გამოვუდგებით.

საქართველოში რამდენადმე სრულყოფილად იყო წარმოდგენილი პატრონყმობის (ვასალიტეტის) ფეოდალურ-იერარქიული კიბე. ამის მაგალითად, ჩვეულებრივ ასახელებენ „ვეფხისტყაოსანს", სადაც ოთხსაფეხურიანი კიბე ანუ, როგორც ა. ბარამიძე უწოდებდა რგოლია წარმოდგენილი: „მეფე როსტევანი, მისი ყმა ავთანდილი, ავთანდილის ყმა შერმადინი, შერმადინის ყმა"... **(ბარამიძე 1966:160)**. პატრონყმური ქვეშევრდომობის თითქმის ამდენივე ხარისხი შეგვიძლია დავიმოწმოთ ისტორიული წყაროებითაც. ატენის სიონის XI ს-ის წარწერაში ასეთი ვითარებაა გადმოცემული: „მე გორგანელმან', მირიანის ყმამან თარხონის ძისამან, ატენის ციხისთავმან, ავაგენ ატენს სახლნი და ქოლბაგი, მას ჯამსა, ოდეს-ადიდენ ღმერთმან,—ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწყასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, სეფესა ზოგარსა შინა ქალაქისა შენებად. გაუმარჯვა ღმერთმან და ბედმან მეფეთ მეფობისა მათისამან... შეგვიწყალა მეფობამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკვდრად ნებიერობით გვიბოძა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებად შეეძლო" **(ჯორდანია 1892:206)**. ამ ტექსტის მიხედვით პატრონყმური კიბე ასეთია: მეფე ბაგრატ IV, მისი ყმა დიდებული აზნაური მირიანი, მირიანის ყმა ატენის ციხისთავი გორგანელი, რომელიც იგულისხმება აზნაურია და თავისი ყმები ჰყავს. არაა გამორიცხული ციხისთავ-აზნაურს ყმად აზნაური ჰყავდეს. ეს უკანასკნელი კი გლეხის პატრონი იყოს. მაშასადამე XI საუკუნეში საქმე გვაქვს საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებულ იერარქიულ კიბესთან.

იმის გამო, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართულ პატრონყმობას დასავლეთ ევროპულ ფეოდალიზმთან აიგივებდა, მათი შედარებისას განმასხვავებელ თავისებურებად მას მიაჩნდა საქართველოში ფეოდალური მამულების არასრულყოფილი იმუნიტეტი ანუ, როგორც ქართულად იგი იწოდებოდა—შეუვალობა.

საფრანგეთსა და გერმანიაში „სენიორი" თავისი მამულის უზენაესი სასა-

[1] ასე კითხულობდა დაჭარაგმებულ სახელს „გ-რგ ნლმან" თ. ჯორდანია. ამ ქარაგმის ამოხსნაზე უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ატენის ციხისთავისთანა ყმები მირიანს სხვებიც ჰყოლია („მირიანს და ყმათა მისთა") და, აგრეთვე, ისიც აღსანიშნავია, რომ სახელდებით დასახელებული პიროვნება ციხისთავია. ე. ი. სამხედრო სამსახურს ასრულებს პატრონის მიმართ. ასეთი სამსახური კი პატრონყმობის დროს ვასალის ძირითადი მოვალეობაა.

მართლო და ფისკალური ხელისუფალი იყო, იგი ასრულებდა იქ მართლმსაჯულებასა და გადასახადებს კრეფდა. მეფე მის ამ უფლებებში ვერ ჩაერეოდა. „შეუვალობა“, — როგორც ი. ჯავახიშვილი შენიშნავდა, — ნიადაგს აცლიდა სახელმწიფოს მთლიანობას, სრულებით ამცირებდა მეფის უფლებას და სახელმწიფო სამართლის უძვირფასეს ნაწილს ძირს უთხრიდა“ (**ჯავახიშვილი 1982:252**).

საქართველოშიაც მოქმედებდა შეუვალობის ინსტიტუტი, მაგრამ იგი ძლიერ შეზღუდული სახისა იყო და არასოდეს საყოველთაოდ არ გადაქცეულა. „ამასთანავე,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,—იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეხებოდა და სასამართლო შეუვალობა საქართველოში არას დროს არ ყოფილა. გადასახადების შეუვალობაც უმეტესად საეკლესიო და სამონასტრო ყმებს ჰქონდათ მინიშნებული“ (იქვე). რაც შეეხება კერძომესაკუთრეთა ყმებს, მათგან სახელმწიფო გადასახადებს მეფის მოხელეები კრეფდნენ, პატრონს ამ საქმეში ჩარევის არავითარი უფლება არ ჰქონდა.

დასავლეთ ევროპაში სამართალწარმოებაზე და გადასახადის გაწერა-აკრეფაზე ფეოდალების მხრივ იმუნიტეტის არსებობა, ივ. ჯავახიშვილს იქაური სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სამართალის დაცემის გამოვლინებად მიაჩნდა. საქართველოს ამ მხრივ, მისი აზრით, უპირატესობა ჰქონდა. ეს უპირატესობა განივთებული იყო იმით რომ „სახელმწიფო სამართლის ორი უზენაესი გამოხატულება, მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლება, მეფეს მტკიცედ ეპყრა“ (**იქვე: 254**).

ერთგვარი გამონაკლისი ქართულ სამართალწარმოებაში იყო ეკლესია-მონასტრები. მათ სასამართლო შეუვალობის უფლება ჰქონდათ. საეკლესიო ყმები მათსავე სასამართლოს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ეს უფლება ეკლესიას, როგორც პატრონყმურ სტრუქტურას ისე კი არ ჰქონდა მინიშნებული, არამედ იგი, როგორც რელიგიური დაწესებულება, საერო ხელისუფლებას არ უნდა დაქვემდებარებოდა.

შეუვალობის ინსტიტუტზე საუბრის დასასრულს საჭიროა აღინიშნოს, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, მეფის ხელში მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერა-აკრეფის უფლების თავმოყრა, სახელმწიფოს მთლიანობის-შენარჩუნების მძლავრი იარაღი იყო. ასე, რომ საქართველოს გაერთიანების პროცესში ბაგრატ III-ის მიერ ცალკეული სამეფო-სამთავროების შემოერთება მარტო ტერიტორიების თავმოყრა კი არ იყო, არამედ შემოერთებული ქვეყნების ხელისუფალთათვის იმუნიტეტური უფლებების ჩამორთმევასაც წარმოადგენდა, რაც სეპარატიზმისათვის მძლავრი საფუძვლის გამოცლას ნიშნავდა.

წინაფეოდალურ ხანაში საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქია აღრიცხული. აღმოსავლეთ საქართველოში ასახელებენ: არტაანს, გაჩიანს, თუხარისს, კასპს, მოვაკანს, მცხეთას, ოძრხეს, რუსთავს, სამშვილდეს, სარკინეს, ურბნისს, უფლისციხეს, წუნდას, ხუნანს და ჰერეთს ანუ ხორანთას **(მესხია 1983:57)**; დასავლეთში: აიას, ტრაპეზუნტის, კერასუნტის, ნიკოფსეს, ბათომის, ფაზისის, დიოსკურიას (ცხუმის), ეგრისის (ბედიას), ვანის, ციხე-გოჯის, შორაპნის არსებობა ეჭვს არ იწვევს.

ქართული საისტორიო ტრადიცია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების დაარსების ახსნას ისახავს მიზნად. ცხადია, ეს ახსნა, რომ მეცნიერულ ჭეშმარიტებად იქცეს საჭიროა მისი სხვა წყაროებთან შეჯერება. მაგრამ, როგორც შ. მესხია შენიშნავდა წყაროების დღევანდელი მდგომარეობა „ჩვენ ამჟამად თითქმის არავითარ შესაძლებლობას არ გვაძლევს შევამოწმოთ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მონაცემების სისწორე და განვსაზღვროთ ამა თუ იმ ქალაქის წარმოშობის დრო“ **(იქვე)**.

ქართულმა არქეოლოგიურმა მეცნიერებამ ქალაქების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ზოგიერთი ქალაქის ისტორია კარგადაც არის გამოკვლეული, მაგრამ დასახელებული ქალაქების უმრავლესობა კვლავ შეუსწავლელი რჩება და მათი ერთი ნაწილი (მაგ., გაჩიანი, მოვაკანი, სარკინე, ხორანთა...) ჯერჯერობით ლოკალიზებულიც არ არის. ასეთი ვითარება უმთავრესად იმ ქალაქების მიმართაა, რომლებიც ელინისტურ ხანაში საკმაოდ მსხვილი ცენტრები იყვნენ, მაგრამ აღრეფეოდალურ ხანაში არა მარტო კრიზისი დაუდგათ, არამედ საერთოდ შეწყვიტეს არსებობა.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, „ფეოდალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი შედეგია, რომ ქალაქებში მკვეთრად ეცემა საქალაქო მეურნეობა“ **(ჭილაშვილი 1970:7)**. ეს პროცესი თანდათანობითი განვითარების ხასიათს ატარებს და საქალაქო მეურნეობის ცალკეული სახეები ინერციით კვლავ განაგრძობენ ფუნქციონირებას, რაც ძველი ქალაქების დიდი ნაწილის არსებობასაც განაპირობებს. „IV—V საუკუნეებში,—წერს ლ. ჭილაშვილი,—ქართული ქალაქების ისტორიაში გარდამავალი ხანაა. ეს არის დრო, როდესაც შერწყმულად ვხვდებით, როგორც ანტიკურ, ისე ფეოდალურ ელემენტებს“ **(იქვე)**.

გარდამავალ პერიოდში ძველ ქართულ ქალაქებში თანდათანობით იმარჯვებს სოფლისათვის დამახასიათებელი მეურნეობის სახეები. მართალია, ქალაქებში ვაჭრობა და ხელოსნობა კვლავ შედარებით მაღალ დონეს ინარჩუნებს და ამიტომ ისინი კვლავ ქალაქების სახელით მოიხსენიებიან, მაგრამ ეს უფრო ტრადიციის გავლენა უნდა იყოს, ვიდრე რეალური ვითარების ასახვა.

არქეოლოგიური ძიებები ნათელს ხდიან, რომ VI—IX საუკუნეებში „ქალაქის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის დარგებს. განსაკუთრებით, მიწათმოქმედებას და მევენახეობა-მეღვინეობას“ **(იქ-**

ვე: 11). ამდენად, საქალაქო მეურნეობის დაცემა, რაც ამ დროს საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა, არ ნიშნავდა ქალაქის ეკონომიკის დაკნინებას. ამ მოსაზრების ავტორის ლ. ჭილაშვილის მიხედვით, მურვან ყრუს შემოსევის დროს რიგი ქალაქების (მცხეთა, კასპი, ურბნისი, ხორანთა და სხვ.) არსებობის შეწყვეტაში არაბთა ბატონობის დამყარება „განმსაზღვრელად ვერ გამოდგება". მან მხოლოდ დააჩქარა მიმდინარე პროცესი. „მურვან ყრუმ ბოლო მოუღო ძველ ქალაქებს,—დაასკვნის იგი,—რომლებიც ფეოდალიზაციის პროცესით დაკნინებულნი იყვნენ და მხოლოდ მცირე ბიძგიღა იყო საჭირო მათი დაცემისათვის" (იქვე), რაც შეეხება ამ ქალაქების აღდგენას, ეკონომიკური საფუძვლების უქონლობის გამო, იგი შეუძლებელი იყო. „გარდამავალ ხანაში,—მიუთითებს იგივე ავტორი,—ისევე როგორც შემდგომ პერიოდში, ვიდრე IX საუკუნემდე, საქართველოში არ არსებობდა პირობები ქალაქების (როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრების) წარმოშობისათვის" (იქვე: 8).

ამავე საკითხზე განსხვავებული შეხედულებისა იყო ფეოდალური ეპოქის საქართველოს ქალაქების ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი შ. მესხია. იგი არ უარყოფდა, რომ „ძველი ციხე-ქალაქების გაქრობა ფეოდალიზაციის პროცესს და ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვებას უკავშირდება", მაგრამ თვლიდა, რომ „ადრეფეოდალურ ხანაში თავიანთი მნიშვნელობა შეინარჩუნა წინაფეოდალური ხანის ზოგმა ქალაქმა" და VI—X საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ახლების წარმოშობის პროცესსაც (მესხია 1983: 32). თანაც, ეს პროცესი ურთიერთშენაცვლების სახეს ატარებს. თბილისი VI—VIII საუკუნეებში აღორძინდა მცხეთის დაცემის შემდეგ (იქვე: 80--82), ამავე ხანებში ქუთაისი წინაურდება და იჭერდა ციხე-გოჯის ადგილს (იქვე: 83), V საუკუნეში ქალაქდება უჯარმა, VI საუკუნეში—ლარგვისი, V—VI საუკუნეებში—ვარდციხე, VI—VII საუკუნეებში მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ვაშნარი და ა. შ. მაშასადამე, საქართველოში ამ დროსაც გრძელდებოდა ქალაქების დაარსება და „ხელახლა წარმოშობა"

„ასეთ ქალაქებად,—წერდა შ. მესხია,—VI—X სს. ჩანან ტრაპეზუნტი, პეტრა, ბათომი, ფოთი (ძველი ფაზისი), ცხუმი (ძველი დიოსკურია), ბიჭვინტა (ძველი პიტიუნტი), ნიკოფსე, არტაანი, თუხარისი, ოძრხე, რუსთავი, სამშვილდე, უფლისციხე, წუნდა, ხუნანი, შორაპანი" (იქვე: 92).

რა თქმა უნდა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ IX საუკუნიდან ფეოდალური ქალაქების წარმოშობის პროცესი უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს, მაგრამ წარმოების ახალ წესსა და საკუთრების ახალ ფორმას არც VI—IX საუკუნეებში მოუსპია ძველი ქალაქების აღორძინებისა და ახალის წარმოშობის შესაძლებლობანი. ხოლო თუ რატომ მოხდა, რომ ელინისტური ხანის ზოგიერთმა ქალაქმა ვერაფრით შეძლო ხელახლა აღორძინება, ამის მიზეზების ძებნა თითოეულის მიმართ ცალ-ცალკეა საჭიროა.

ამ მოსაზრებას თვალსაჩინოდ ადასტურებს ლ. ჭილაშვილის მიერ შესწავლილი მცხეთისა და თბილისის მაგალითი. პატივცემული მკვლევარი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ მცხეთა ფეოდალური ქალაქისათვის

საჭირო კომპონენტებით თბილისს არა თუ ჩამორჩებოდა, არამედ სჯობდა კიდეც. კერძოდ, მას მუხრანის ველისა და არაგვის ხეობის სახით ჰქონდა უკეთესი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, მისი დაცვა მშვენივრად იყო მოგვარებული, რადგან ქედებსა და ორ მდინარეს შორის მდებარე ქალაქს, მაღალ, კლდოვან ქედზე განლაგებული ძლიერი ციტადელი გუშაგობდა, თუ თბილისზე გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა, მცხეთა ამ გზაზედაც იჯდა და დარიალ-კახეთ-თრიალეთის გზების საკვანძო პუნქტსაც წარმოადგენდა. ამათ გარდა, მცხეთა იყო საეკლესიო ცენტრიც, რაშიაც მას თბილისი ვერ გაუტოლდებოდა **(ჭილაშვილი 1970:50—52)**. მაგრამ მაინც „მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჯ განდიდებოდა“ **(ძეგლები 1964:95)**.

ლ. ჭილაშვილი თბილისის დაწინაურების მიზეზად პოლიტიკურ მომენტს მიიჩნევს. სპარსელები ცდილობდნენ თბილისში დამკვიდრებას, იქ პიტიახში დასვეს. ვახტანგ გორგასალი ენერგიულად იღვწოდა თბილისის დაუფლებისათვის. ამის გამო პიტიახშის რეზიდენციამ ცურტავში გადაინაცვლა. „ვახტანგ გორგასალის პოლიტიკურმა ზრახვებმა საბოლოოდ განსაზღვრა თბილისის მომავალი ბედი“ მცხეთა თმობს პოზიციებს, თბილისი დედაქალაქად იქცევა. თბილისის აღზევების გადამწყვეტი მიზეზი იყო ახალი ფეოდალური კლასის, აზნაურობის მიერ პოლიტიკური ბატონობის მიღწევა. თბილისი ამ სოციალური ძალის დასაყრდენი გახდა. ძველმა ანტიკურმა ქალაქმა მცხეთამ მიუხედავად მთელ რიგ ფაქტორებში უპირატესობისა, მასთან მეტოქეობას ვერ გაუძლო და დაეცა. თბილისის დაწინაურება, ძირითადად პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული, „თუმცა იგი არც სხვა ფაქტორებს იყო მოკლებული, (ეკონომიკური, გეოგრაფიული, სტრატეგიული). აქედან მოყოლებული თბილისი ქართლის სამეფოს და მთლიანად საქართველოს ცენტრად იქცა“ **(ჭილაშვილი 1970: 55)**.

მკვლევარი რა თქმა უნდა არ ცდება, როცა თბილისის დაწინაურებაში პოლიტიკურ მომენტს ძირითად როლს ანიჭებს. მაგრამ, ვფიქრობთ, საჭირო იყო სხვა ისეთი ფაქტორების დასახელებაც, რომელთაც თბილისს მცხეთასთან უპირატესობა ჰქონდა. თორემ პოლიტიკური ფაქტორი, როგორც ცნობილია ზედნაშენურია და წარმავალი. მართლაც, თბილისი, 523 წელს, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ვითარცა პოლიტიკური ცენტრი კარგა ხნით ხდება მეორეხარისხოვანი. მაგრამ, როგორც ქალაქი ზრდას მაინც განაგრძობს. ამაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ეკონომიკურმა ფაქტორებმა შეასრულეს. მათგან ერთი იყო ვაჭრობისა და ხელოსნობის დაწინაურება, რომელიც მცხეთაში აშკარად ვერ განვითარდა. ხოლო მეორე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (ველა, წავკისი, ორთაჭალა) თვით ქალაქის ტერიტორიაზე არსებობა, რითაც მცხეთა მას ვერ შეედრებოდა. ამ ფაქტორებმა სტაბილური ბაზა შექმნეს თბილისის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის და მისი ძლიერ პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევის ეკონომიკური საფუძვლებიც გახდნენ.

ვფიქრობთ, მცხეთის დაცემისა და თბილისის ამაღლების ეს მაგალითი, მართლაც, გამოდგება ჩვენი ზევით გამოთქმული იმ მოსაზრების საილუსტრაციოდ, რომ ანტიკური-ქალაქების დაცემისა და ფეოდალური ქალაქების წარმოშობის შესახებ, ყოველი ქალაქის მიმართ ცალ-ცალკე უნდა ვიმსჯელოთ, რადგან აქ საქმე გვაქვს ისეთ თავისებურებებთან, რომელთა ყველა ქალაქისათვის კანონზომიერებად გამოცხადებამ შეიძლება სწორ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანოს.

წინაფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები ციხეებიდან წარმოიშვნენ **(შესხია 1983:69; ჭილაშვილი 1968:80)**. შემდეგ კი ისინი გადაიქცნენ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად, ე. ი. თავდაპირველად ქალაქს თავდაცვის ფუნქცია ჰქონდა.

ფეოდალურ ეპოქაში ქალაქები სამეურნეო და ადმინისტრაციული ერთეულებია. მას ციხე სწორედ ამ ფუნქციების წარმატებით შესრულებისათვის სჭირდება. ადრეულ შუა საუკუნეებში „აშკარად ჩანს,—წერს ლ. ჭილაშვილი,—არნახული გაქანება სოფლის მეურნეობისა, განსაკუთრებით მიწათმოქმედება-მემინდვრეობისა და მევენახეობისა... სოფლის მეურნეობის დარგების განუხრელი ზრდა, ქალაქებს აქცევდა მსხვილ მიწათმოქმედების ცენტრად" **(ჭილაშვილი 1970: 64)**.

ვფიქრობთ, ამან განსაზღვრა, რომ VI—VIII საუკუნეებში საქართველოში გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ქალაქების წარმოშობის პროცესი რამდენადმე შეფერხდა.

IX საუკუნიდან ვითარება იცვლება. იქმნება ახალი სოციალური გარემო. „ამიერიდან ქალაქი კვლავ ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრია, იგი საქალაქო მეურნეობის ბუდეა" **(იქვე: 82)**.

ამ დონემდე, რომ მისულიყო ახალ სოციალურ ძალებს დრო სჭირდებოდა. პროცესი გააჩიანურა საგარეო პირობებმაც: სპარსელების, ბიზანტიელების, ოსებისა და, განსაკუთრებით, არაბთა პერმამენტულმა შემოსევებმა. როგორც ცხოვრების ყველა სფერო, ქალაქების წარმოშობა-განვითარებაც შეფერხდა. VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნის I ნახევრისათვის კი ქვეყნის სამეურნეო განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ შემაფერხებელმა პროცესებმა საერთო აღმავლობის შეჩერება ვეღარ შეძლეს.

სხვა სფეროებში წარმატებებთან ერთად ამას შედეგად მოჰყვა ქალაქების წარმოშობის პროცესის ის გაინტენსივება, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში „ახალქალაქობას" უწოდებენ.

„ახალქალაქობის" გარეგნულ შედეგებზე შეიძლება ვიმსჯელოთ ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის საქართველოში ქალაქების არნახული რაოდენობრივი ზრდის მიხედვითაც. შ. მესხია მიუთითებდა, რომ X საუკუნისათვის „საქართველოში არსებობდა შემდეგი ქალაქები: ქუთაისი, ვარდციხე, ვაშნარი, შორაპანი, ტრაპიზუნტი, პეტრა, ბათომი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსე, თბილისი, უჯარმა, ხორნაბუჯი, ჭერემი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ოლთისი, თმოგვი, ახალციხე, წუნდა, თელავი, რუსთავი, სამშვილდე, ოძრხე, უფლისციხე, ხუნანი, არტაანი და თუხარისი" **(მესხია (1983:93)**.

ამ ქალაქების ერთ ნაწილზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი საქართველოს ტერიტორიული ერთეულების განხილვისას. მცხეთისა და თბილისის შესახებაც ამავე პარაგრაფში შევჩერდით. ჩვენი თემის სპეციფიკურობის გამო ყველა ქალაქის დაარსებისა და ზრდის ისტორიის გადმოცემის საჭიროება არ არსებობს. ჩვენს ისტორიაში შესრულებული განსაკუთრებული როლის გამო, მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ქ. ქუთაისზე[1].

ნ. ბერძენიშვილს ქუთაისი „ახალქალაქების" რიგში აქვს ჩათვლილი **(ბერძენიშვილი 1975:493)**. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ანტიკურ ხანაში არ არსებობდა. განსვენებულ მეცნიერს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა, რომ უძველეს დროში ამ ადგილზე მდებარეობდა რიონის სანავსადგურო ქალაქი აია, რომელსაც, როგორც სხვა საზღვისპირო „ქალაქებს" (ფაზისი, დიოსკურია, ვანი, დაბლაგომი) საკუთარი „ქვეყანა" არ გააჩნდა და ამიტომ ისიც და სხვებიც ვითარცა „საკუთარი ეკონომიკის არმქონენი, უსახელოდ მიილივნენ" **(იქვე: 492)**. ადრეფეოდალური ხანის ქუთაისი კი ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი საკუთარი ქვეყნის მქონე „ყველაზე შესანიშნავი" ქალაქია, „რომელმაც თამამად დაიჭირა პოლიტიკური ცენტრის ადგილი" **(იქვე: 525–526)**.

ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები ქალაქის გაშენებისათვის მდ. რიონის იმ ადგილზე, სადაც ქუთაისი მდებარეობს ერთ-ერთი ხელსაყრელთაგანია მთელს ხეობაში. მდ. რიონი ორ კლდოვან სანაპიროს შორის იმდენად ვიწროვდება, რომ აქ ხიდის აგება პრიმიტიული ტექნიკის პირობებშიაც კი შესაძლებელი იყო. მდინარის მარჯვენა სანაპირო ისეა აღმართული თითქოს ციტადელის ასაგებად გამზადებულ ხელოვნურ პიედესტალს წარმოადგენს. ამ გორაზე მდებარე ციხექალაქი სამი მხრიდან (სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი) თითქმის მიუვალია. მთლად ღია მისასვლელი არც დასავლეთის მხრიდანაა და ამიტომ აქ აგებული ზღუდეკედელი მცირე ძალით თავდაცვის კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. ასეთი ხელსაყრელი-სტრატეგიული პოტენციალი გამოყენებული იყო მიმდებარე მხარეზე ქუთაისის ფაქტობრივი გაბატონებისათვის. ამის მეოხებით იგი აკონტროლებდა დიდ სავაჭრო სატრანზიტო გზას, რომელიც შავიზღვისპირეთიდან (ფაზისიდან) რიონ-ყვირილას აყოლებით ქ. ალზე გაივლიდა და მტკვრის მაგისტრალს უერთდებოდა. ქუთაისი კეტავდა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთისაკენ მიმავალ სამიმოსვლო და საქონლის გასარეკ გზებსაც.

„უაღრესად მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით, სტრატეგიულად ხელსაყრელი მდგომარეობით, მასზე გამავალი მრავალრიცხოვანი გზებით, რომლითაც ქუთაისი, უკავშირდება როგორც საკუთრივ დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოსა და მთელ კავკასიურ და აღმოსავლურ სამყაროს", განპირობებული იყო ქუთაისის დამკვიდრება კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად, აღ-

---

[1] ვრცლად ძველ ქუთაისის შესახებ: კრ., ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბ.—ქუთ., 1994.

ნიშნავს მ. ლორთქიფანიძე (**ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბ.--ქუთ., 1994:95--96**).

„ახალქალაქობის“ პერიოდი ქუთაისისათვის ახ. წ. IV საუკუნიდან იწყება (**ო. ლანჩავა, იგივე კრებული, გვ. 61**). ამ დროიდან იგი ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი ხდება. შემდგომში კი თანდათან განაგრძობს ზრდა-განვითარებას. ადრეფეოდალური ქალაქის გაძლიერება დიდად იყო დამოკიდებული მის სასოფლო-სამეურნეო ბაზაზე. ამ მხრივ ქუთაისის უპირატეს მდგომარეობაში ყოფნას გვიდასტურებს პროკოპი კესარიელი. მისი თქმით, ქუთაისის ციხის ახლო მდებარეობს მოხირისი, „კოლხიდის მიწა-წყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას“ (**გეორგიკა 1965:194**).[1] ეს მოწმობაც რომ არ გვქონდეს თანამედროვე მონაცემებითაც ვიცით, რომ იმერეთის ვაკე გეგუთ-ვარციხე-ბაშის მიდამოებში ნაყოფიერი სავარგულებით საკმაოდ მდიდარი მხარეა.

„ახალქალაქობის“ პერიოდში ქუთაისის დაწინაურებას, ჩვეულებრივ, უდარებენ ხოლმე თბილისის ამაღლებისა და მცხეთის დაცემის ფაქტს. აი, რას წერდა მაგალითად შ. მესხია: „დასავლეთ საქართველოში, ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, დაახლოებით იმგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. ქუთაისი თანდათან ძლიერდება, ის მალე უპირველეს ქალაქად იქცევა და ახალი, დასავლეთ-ქართული გაერთიანების—აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ხდება. ამასთან დაკავშირებით, სრულდება აგრეთვე ძველი, მონათმფლობელური კოლხეთის დედაქალაქის ციხე-გოჯის დაცემის პროცესიც“ (**მესხია 1983:83**).

დ. მუსხელიშვილი კი არ კმაყოფილდება ამ ფაქტის მხოლოდ კონსტატაციით და იკვლევს მის გამომწვევ მიზეზებს. მისი აზრით კოლხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ ქუთაისიდან ციხე-გოჯში პოლიტიკური ცენტრის გადატანა, ქართლის სამეფოს მიერ ეგრისის მიმართ განხორციელებული აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით მოხდა. ციხე-გოჯი მიუხედავად სამეურნეო თვალსაზრისით ჩამორჩენილობისა, როგორც დასავლეთით მდებარე, ამ ფუნქციას უკეთ შეასრულებდა.

მაგრამ VIII საუკუნიდან ვითარება იცვლება. მურვან ყრუსაგან შევიწროებული იბერიის მოსახლეობა, მასიურად გადადის იმერეთსა და გურიაში და მხარეს მდ. ცხენისწყლამდე მთლიანად აქართებს. ამასთან, მურვან ყრუს რბევების მიუხედავად, დასავლეთ საქართველოში ხელახლა იწყება სამეურნეო აღმავლობა, შენიშნავს დ. მუსხელიშვილი და ასკვნის: „დასავლეთ საქართველოს ყველაზე უფრო მძლავრი სამეურნეო რაიონის ბუნებრივი ცენტრის, ქუთაისის დაწინაურება, ქვეყნის ეკონომიკურ და შემდეგ პოლი-

[1] მოხსრისს ნ. ბერძენიშვილი შემდგომი ხანის „ქუთაისის ქვეყნის“ შემადგენლად თვლიდა. „ქუთაისის ქვეყანა,—წერდა იგი,—ჯერ კიდევ პროკოპი კესარიელთან ჩანს მოხირისის სახით“ (**ბერძენიშვილი 1975:527**).

ტიკურ ცენტრად გადაქცევა ასეთ ვითარებაში სრულიად გარდაუვალი იყო, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ქუთაისი აღსდგა არა, როგორც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი, არამედ ქართლისა და ამასთანავე ცხადია, როგორც ამ უკანასკნელის კულტურის დასავლეთ საქართველოში გავრცელების მძლავრი ფორპოსტი" **(მუსხელიშვილი 1980: 86)**.

მ. ლორთქიფანიძეს დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესი ქუთაისის ხელახლა გადედაქალაქების ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია **(დასახ. კრ., გვ. 104)**. იგი ასაბუთებს სხვა მომენტებსაც. კერძოდ, პირველი ესაა—მურვან ყრუს მიერ ციხე-გოჯის დიდი დანგრევა" **(იქვე: 105)**, მეორე—„ქართლის ერისმთავრები ციხე-გოჯის გვერდით ქუთაისსაც უქმნიან სატახტო ქალაქის სტატუსს, ციხე-გოჯსა და ქუთაისში ფლავენ სამეფო საგანძურს, ეშენებიან ციხე-გოჯსა და ქუთაისში, მაგრამ თანდათან უპირატესობას ქუთაისს აძლევენ, აქ იქმნიან საფლავს" **(იქვე: 106)**. ეს პროცესი საუკუნენახევარს გრძელდება, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობიდან—მირისა და არჩილის მამის სტეფანოზის ქუთაისს გადმოსვენება-დაკრძალვამდე.

დაახლოებით VIII საუკუნის 40-იანი წლების დასასრულიდან, როცა აფხაზთა ერისთავი ლეონი არჩილის ვასალი და შემდეგ სიძე (ძმისწულის ქმარი) გახდა, „ქუთაისი უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის ჩათვლით სამეუფეო ქალაქია" **(იქვე: 109)**.

VIII საუკუნის მიწურულს კვლავ იცვლება ქუთაისის სტატუსი. ხოსროვანთა უმემკვიდრეოდ გადაშენების შემდეგ, აფხაზთა მთავარი ლეონ II მეფის ტიტულს ღებულობს და ტახტი ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოაქვს. მისი „ხელისუფლების მთელ დასავლეთ საქართველოზე გავრცელების შემდეგ ქუთაისი ამ დასავლეთ ქართული სახელმწიფოს ერთადერთ დედაქალაქად იქცევა" **(იქვე: 111)**.

ამით დამთავრდა ერთი ეტაპი ქუთაისის ხელახლა აღზევების პროცესში. მომდევნო ეტაპზე მიმდინარეობს ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის. ამ ბრძოლაში სამეფო-სამთავროთა შორის ყველაზე დიდი წარმატება ეგრის-აფხაზეთის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) სამეფოს ჰქონდა. მისი სატახტო ქალაქი ქუთაისიც გაერთიანების მთელი პროცესის მანძილზე, ე. ი. IX საუკუნიდან თბილისის გათავისუფლებამდე, 1122 წელს, „სრულიად საქართველოს" (ივ. ჯავახიშვილის გამოთქმაა) დედაქალაქის სტატუსით ფუნქციონირებდა.

ფეოდალური ქალაქი, მიუხედავად მასში სოფლის მეურნეობის ელემენტების მნიშვნელოვნად წარმოდგენისა, როგორც თავდაცვითი და სამეურნეო ერთეული რთული სტრუქტურული აღნაგობისა იყო. ქალაქთა უმრავლესობა საქართველოში მდინარეთა ნაპირებზეა აგებული. პოლიტიკური ან თავდაცვითი პირველადი ფუნქციით. არსებობდა ისეთი ქალაქებიც, რომელთაც სავაჭრო-სატრანზიტო გზებისა და სარწყავი სისტემების მეთვალყურე-მარეგულირებელთა დანიშნულება ჰქონდათ. ამ პრინციპების მიხედვით ყალიბდებოდა მათი ტოპოგრაფიული აღნაგობა და გარეგნული იერსახე. ამიტომ ქალაქის გარეგნული სახის შესწავლით შე-

საძლებელი ხდება მისი წარმოშობის მიზეზებისა და დასახლების რაგვარობის დადგენაც. ქალაქების ტოპოგანლაგება ასახავს იმ სოციალურ გარემოსა და პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც მოცემული პუნქტისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ ფეოდალურ ქალაქებს გააჩნდათ ზოგადი, ყველა ასეთი ერთეულისათვის საარსებოდ აუცილებელი კომპონენტები. ასეთთა შორის პირველი იყო ციხე.

ციხე, ქალაქისათვის არა მარტო აუცილებელი ერთეულია, არამედ მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ქალაქი იქ წარმოიშობა, სადაც ადრე ციხე იყო. უფრო მეტიც, გამოთქმულია ჰიპოთეზა რომ უცხოურ სიტყვა „ქალაქის" ქართულში შემოსვლამდე, ამ ტიპის დასახლებულ პუნქტებს ციხე ერქვა. ა. აფაქიძე ვარაუდობს და მას მხარს უჭერს ლ. ჭილაშვილიც, რომ „ქალაქზე" უწინარესი ადგილობრივი ტერმინი გალავნით შემოზღუდული უძველესი დასახლების აღსანიშნავად ქართული „ციხე" უნდა ყოფილიყო" **(ჭილაშვილი 1968:79)**.

ციხისა და ქალაქის არა ტერმინოლოგიურ, მაგრამ წარმომავლობითს კავშირზე საგანგებოდ მიუთითებდა შ. მესხია. ქალაქის განვითარების პირველსახედ მას ციხე მიაჩნდა და ირწმუნებოდა—„საქართველოს ქალაქები თავიანთ საწყისებს ციხეებიდან იღებენ"-ო **(მესხია 1983:69)**.

ამ დებულების გაზიარებით, ლ. ჭილაშვილის აზრით, შეიძლება თვით ტერმინ „ციხის" ეტიმოლოგიაც გაირკვეს. საქმე ისაა, რომ ციხის პირველსახეა ის ძველი გამაგრებანი, რომლებიც თითქმის ყველა ძველ გვაროვნულ დასახლებას ჰქონდა. მათი თანდათანობითი განვითარების გზით წარმოიშვა ციხე. საქართველოში თავდაპირველი თავდაცვითი ნაგებობანი, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ძირითადად კეთდებოდა ღობეწნულისა და ალიზისაგან. ალიზი იგივე თიხა (მეგრ. დიხა, დიხაშხო), გამაგრებულ ადგილს დაერქვა. ქართულში იგი შეიძლება შემორჩა „ციხის" (მისი პარალელები უნდა იყოს იმერეთში გავრცელებული ტოპონიმები—ჩიხა, ჩხარი, ჩიხორი, საჩხერე), მეგრულში კი „ჯიხას" სახით. „თიხა-ალიზით მშენებლობის განვითარების გამო,—წერს ლ. ჭილაშვილი,—იბადება კითხვა, რომ არ არის „ციხე" დაკავშირებული თიხასთან, შესაბამისად მისგან ნაწარმოებ თხრილთან (თიხა-თხრილი), რომელიც ასევე მთავარი ნიშანი იყო ციხის მოწყობისათვის" **(ჭილაშვილი 1968:81)**.

ფეოდალური ქალაქის იერსახისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს, მისი უბნებად დანაწილება წამოადგენდა. უბნები ყალიბდებოდნენ და იწოდებოდნენ სოციალური, ეთნიკური, მცხოვრებთა მოსაქმეობისა და ქალაქის შემოგარენში შემოსული სოფლების სახელების მიხედვით. მაგრამ ქალაქების ტერიტორიული ზრდისა და იქ საქალაქო მეურნეობის აღმავლობის მიუხედავად, ყველა ქალაქში ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო, უმთავრესად უძველესი დასახლების. ადგილზე აღმოცენებული, ციხის უბანი.

„ფეოდალური ხანის ქალაქებში ტიპურს გამაგრებული ქალაქები წარმოადგენდნენ,—აღნიშნავდა შ. მესხია,—ფეოდალური წყობის ბატონობის ხანაში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქი თავდაცვითი ნაგებობის

გარეშე წარმოუდგენელი იყო. იგი ქალაქს არა მარტო გარეშე მტრებისაგან იცავდა, არამედ ორგანიზებული თავდაზნაურობის შემოტევისაგანაც... ციხე ფეოდალური ქალაქის ერთი აუცილებელი ნიშანი იყო" (**მესხია 1983: 610**).

ამ ციტატის ავტორის დაკვირვებით ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში ქალაქების, სასიმაგრო ნაგებობანი ძირითადად ხისაგან შეღგებოდა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად იგი იმოწმებს X ს-ის სომეხ ისტორიკოსს თომა არწუნს, რომლის გადმოცემითაც, ბუღა თურქმა (853 წ.) მთლიანად დაწვა თბილისი, სადაც არა მარტო სახლები, არამედ ქალაქის ზღუდეები და კედლებიც კი ფიჩვისა და ნაძვის ადვილად დასაწვავი ხით იყო ნაგები (**იქვე**).

არა გვგონია განსვენებული მეცნიერის ეს ვარაუდი მთლად სწორი იყოს. საქართველოს ადრეფეოდალური ქალაქების (თბილისის, ქუთაისის, უჯარმის, უფლისციხის, ჰერემის, არტანუჯის და მრავალ სხვათა) დღემდე შემონახული, არქეოლოგიური ძიებების შედეგად გამოვლენილი, ციხეები და მათი ზღუდე-გალავნები ძირითადად კვადრების მშრალი წყობით ან ქვითკირით ნაგები სახისაა. არქეოლოგები და არქიტექტორები ხაზგასმით აღნიშნავენ მათი მშენებლების მაღალ ოსტატობასა და საფორტიფიკაციო საქმის დიდ ცოდნას. აი, მაგალითად, რას წერს უჯარმის შესახებ ლ. ჭილაშვილი: „უჯარმის არქიტექტურა უნიკალურია. შენების ტექნიკა, გეგმარება, პროპორციები საამშენებლო საქმის მაღალ დონეზე მიუთითებს... გალავანი ნაგებია თლილი ქვით, საკმაოდ გულმოდგინედ და გაწაფული ხელით" (**ჭილაშვილი 1970:37**). ცოტა ქვევით იგი განაგრძობს: „უჯარმის ნაგებობების მშენებლობაში უპირველეს ყოვლისა იქცევს ყურადღებას საამშენებლო მასალის გულმოდგინე დამუშავება, ქვის პრა, გათლა სწორკუთხა კვადრებად და შენება" (**იქვე: 38**).

უჯარმის მაგალითი ჩვენ აქ მოვიტანეთ, ვინაიდან ეს ციხე თითქმის პირვანდელი სახით (V ს.) არის მოღწეული. რაც შეეხება თბილისს, რომელიც უამრავჯერ არის დანგრეული, მართალია იქ მშენებლობის ტექნიკა სრულიად შეცვლილია, მაგრამ ლ. ჭილაშვილის მტკიცებით, „თბილისისა და უჯარმის ციხეებს აშკარად ეტყობათ ერთი ხელი.გორგასალის დამსახურება აქ დიდია. სრულიადაც არ არის გამორიცხული თბილისის ციხე ყოფილიყო ისევე მწყობრად ნაგები თლილი ქვებით „გორგასლურად", როგორც უჯარმის ზღუდე გალავნები, ანდა ჰერემის შენობები. ციხეების გეგმარების მსგავსება და წერილობითი ცნობების მონაცემები ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებენ" (**იქვე: 57**).

ჭ. ქუთაისის ძველი თავდაცვით ნაგებობათა სისტემაც ქვის მასალითაა ნაშენები. ო. ლანჩავას დაკვირვებით ქუთაისის „სასიმაგრო მშენებლობის პირველ ეტაპზე (III—IV სს.—გ. მ.) ზღუდე-გალავნის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით" (**ლანჩავა 1994: 61**). ხოლო V საუკუნის 60-იან წლებში განცდილი ნგრევის შემდეგ „სულ მალე დგება დიდი განახლების პერიოდი (V-VI საუკუნეების მიჯნა). კვლავ უმთავრესი ყურადღება სასიმაგრო სისტემის აღდგენა-განახლებას ეთმობა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია და თვალსაჩი-

ნო. იგი საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების გვირგვინია ფეოდალური ეპოქის ქუთაისში. ამ დროს განახლებამ მოიცვა მთელი სასიმაგრო სისტემა. იგი განხორციელდა დიდკვადროვანი წყობით ვარდისფერ დუღაბზე, ზოგან რეტიკულატით"(?) **(იქვე: 71)**.

უჯარმის, თბილისის, ქუთაისის სასიმაგრო ნაგებობათა შესახებ, ჩვენს მიერ დამოწმებული მოსაზრებანი აჩვენებენ, რომ მათი მშენებლობის დროს ძირითადი მასალა იყო ქვა და არა ხე.

ქალაქის დაგეგმარებაზე დიდ გავლენას ახდენდა რელიეფი, სადაც იგი იყო განლაგებული. რადგან ქალაქების უმრავლესობა მდინარეებზე მდებარეობდა, ქალაქის განაშენიანების მთავარი აქცენტები მდინარეთა სანაპიროს რელიეფთან შეფარებით იყო ორიენტირებული.

სხვა ქალაქებთან და რეგიონებთან დამაკავშირებელ არტერიებთან ერთად, „რაც მთავარია ფეოდალური ქალაქებისათვის, მდინარეები მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ" **(მესხია 1983: 609)**. ამ მოსაზრების უეშმარიტად აღიარებისათვის საკმარისია მოვიგონოთ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მდ. მტკვარს თბილისისათვის, მდ. რიონს—ქუთაისისათვის, მდ. მტკვარსა და მდ. ლიახვს—გორისათვის, მდ. ჯავახეთის მტკვარს—ახალქალაქისათვის, მდ. ფოცხოვს—ახალციხისათვის, მდ. მტკვარს—აწყურისათვის, მდ. ყვირილას—შორაპნისათვის და ა. შ. ზოგიერთ ამ ქალაქთან მდ. მტკვარი და რიონი სანაოსნოდაც კი იყო გამოყენებული. ამის თაობაზე ჩვენამდეა მოღწეული ადრეული (ანტიკური ხანისა) და გვიანფეოდალური ეპოქის წერილობითი წყაროები.

ირკვევა, რომ ქალაქები თავდაპირველად მდინარეთა მხოლოდ ერთ ნაპირზე იყვნენ გაშენებულნი. მაგრამ დროთა განმავლობაში მდინარეთა მეორე ნაპირის მხოლოდ დასახლება კი არ განხორციელდა, არამედ ზოგან სასიმაგრო ნაგებობანიც შეიქმნა. ასე მოხდა ეს თბილისში, სადაც მარჯვენა ნაპირის დამრეცი ფერდის ზედა ნაწილში, ქედზე, V საუკუნეში აიგო დედა-ციხე, ხოლო იმავდროულად საკმაოდ დიდი ტერიტორია-ფერდობები მტკვრის სანაპირომდე დასახლდა და შემოისაზღვრა გალავნით. ქალაქის ამ უბანს მოგვიანებით ეწოდა „კალა". ამ დროსვე უნდა იყოს გაჩენილი მოსახლეობა შიდა-ციხის გვერდითაც. VI საუკუნის დასაწყისისათვის თბილისის ორი ძირითადი ნაწილია ჩამოყალიბებული—ციხე და ქალაქი **(ჯანაშია 1949: 12)**.

„VI საუკუნიდან,—წერს ლ. ჭილაშვილი,—წერილობით მონაცემების მიხედვით, თბილისს უჩნდება მესამე ნაწილიც. თბილისის ციხის პირდაპირ მდებარე ადგილი, თანამედროვე მეტეხი და ავლაბარი" **(ჭილაშვილი 1970:59)**. მეტეხსა და ავლაბარს თავისი ციხე და გალავან-კოშკი იცავდა **(მესხია 1983:610--613)**.

თითქმის ანალოგიური იყო ქ. ქუთაისის განაშენიანების ისტორიაც. IV საუკუნის დასაწყისიდან მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ახლა რომ „უქიმერიონის" გორას ეძახიან, კლდოვან ბორცვზე, შენდება შიდა-ციხე, რომლის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხედის ფორმისაა. მისი ფართობი 0,6 ჰექტარია" **(ლანჩავა 1994: 61)**.

IV ს-ის შუა ხანებიდან აღინიშნება ქუთაისის ციხე-ქალაქის გაფართოება და ინტენსიური მშენებლობა. „ზღუდე გალავანში, რომლის პერიმეტრი 1200 მეტრია, ეკუთვნა 4 ჰექტარი ფართობი. ქალაქის განვრცობა-განვითარება მოხდა ციტადელიდან ჩრდილო-დასავლეთით, ამისათვის აქ უველა პირობა არსებობს და, განსაკუთრებით კი, ხელსაყრელი რელიეფი, რომელიც ქალაქის ზრდის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა“ **(იქვე: 64)**.

ქ. ქუთაისის გაფართოება-გამაგრების შემდგომი ეტაპი V საუკუნეზე მოდის. გარდა იმისა, რომ მაშინ „ძველი ფორტიფიკაციის ადგილზე მნიშვნელოვანი ფართობის შემოზღუდვით შენდება „დიდი ქუთაისის“ დიდი ციტადელი. ამავე პერიოდში დაიწყო ქვედა ქალაქის გამაგრება გალავნის კედლებით... ამრიგად, გალავნის კედლებით შემოზღუდული ქალაქი სამნაწილიანი გახდა: შიდაციხესა და შიდაქალაქს დაემატა ქვედა ქალაქიც, რომელიც მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზეც გადადიოდა **(იქვე: 69)**.

ასე რომ ვერ გავიზიარებთ ლ. ჭილაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „გარდამავალ ხანაში დაწინაურებულ პუნქტთაგან მრავალნაწილიანობა მხოლოდ თბილისს ახასიათებს“. ეს მისი აზრით გამოწვეული იყო თბილისის ქალაქად ჩამოყალიბების თავისებურებით, რაც გამომდინარეობდა თანდათანობითი ზრდით და არა მასთან „ცალკეული პატარ-პატარა სამოსახლოების“ შეერთება-კონსოლიდაციიდან. მაშასადამე, თბილისის, როგორც „ქალაქის ზრდა ხდებოდა ძირითადად ერთი წერტილიდან“ **(ჭილაშვილი 1970:60)**.

ქ. ქუთაისის ზრდის ისტორიის ზევით გადმოცემული სურათიდან, ვფიქრობთ, ჩანს, რომ ეს პროცესი ქუთაისში დროისა და განვითარების თავისებურებით თან ხვდებოდა თბილისისას.

ქალაქის სასიმაგრო ნაგებობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქალაქის კარებს. ისინი დაცვის ფუნქციებთან ერთად საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. კარები აკავშირებდა ქალაქს გარე სამყაროსთან. კარებს, რომ თავდაცვით დანიშნულებასთან ერთად, ეკონომიკური და სხვა ქვეყანა-მხარეებთან საკომუნიკაციო ფუნქციაც ეკისრებოდა, ეს „კარგად აისახა თვით კარების სახელწოდებაშიაც. მაგ., „განჯის-კარი“ შემთხვევით როდი ეწოდებოდა თბილისის უველაზე მთავარ კარს, რომლითაც ქალაქში სამხრეთიდან მომავალი გზები შემოდიოდა, ე. ი. რომლითაც იგი არა მარტო განჯას, არამედ სამხრეთის სხვა ქალაქებსაც უერთდებოდა“ **(მესხია 1983:629)**.

ქალაქების კარების რაოდენობა დამოკიდებული იყო მათს მდებარეობასა და სიდიდეზე. მაგალითად, არაბი ისტორიკოსის ტაბარის (X ს.) ცნობით, თბილისს 5 კარი ჰქონდა: „მოედნის კარი“, „კარის კარი“, „მცირე კარი“, „რაბათის“ თუ „ციხის კარი“ და „სოღდებელის[1] კარი“ **(იქვე: 625)**.

---

[1] სოღდებელი ეწოდებოდა თანამედროვე მეტეხსა და აღლაბარს. არაბი გეოგრაფების გადმოცემით, ამ ადგილზე შაჰ ხოსრო ანუშირვანს (531-579) დაუსახლებია სპარსული ტომი სოღდები. ამიტომ უბანს ეწოდა მათი სახელი. გამოთქმულია სხვა ვარაუდიც: „სახელი ნაწარმოები უნდა იყოს ქართული საგოდებლისაგან. საგოდებელი ერქვა აქ არსებულ ქალაქის სასაფლაოს. ყოველ შემთხვევაში ასე აქვს მითითებული იოანეს საბანის ძეს“ **(ჭილაშვილი 1970:59)**.

შ. მესხიამ დაადგინა ზოგიერთი ამ კარის ადგილი და სახელი გვიანფეოდალურ ხანაში. კერძოდ, ტაბარის მიერ მოხსენიებული „კარის კარი“, მისი აზრით, უნდა იყოს ზევით დასახელებული „განჯის კარი“; მოედნის კარს შეესატყვისება ვახუშტის „აღწერის“ „აბანოს კარი“; „უდავოა, რომ ტაბარის მიერ მოხსენებული „სოღდებელის კარი“ სავსებით შეესატყვისება გვიანფეოდალურ წყაროებში მოხსენებულ „ავლაბრის კარს“ (იქვე: 526).

ადრეფეოდალური ხანის ქუთაისის ორი კარია დღეისათვის შესწავლილი. მთავარი მათგან ყოფილა გალავნის დასავლეთ მხარეზე მდებარე „ბჭისკარი“. ამ „შესასვლელს ორმაგი პარალელური კედელი იცავდა,—აღწერს ო. ლანჩავა,—შესაბამისად იგი წყვილი კარით იყო ჩაკეტილი. კედლებს შორის მანძილი 1,5 მეტრია. კარიბჭისაკენ მოემართებოდა კირხსნარით მოკირწყლული ქუჩა, რომელიც რელიეფის სირთულის გამო ტერასებად ყოფილა გამართული“ (ლანჩავა 1994:62).

უკეთაა შემონახული ე. წ. „ცოტა კარი“ იგი წარმოადგენს მოზრდილი კვადრებისაგან შედგენილ სწორკუთხა ჩარჩოს, რომლის სიმაღლე ორი და სიგანე ერთი მეტრია. V საუკუნეში მისთვის გარედან ოვალური ფორმის ბურჯის მსგავსი მინაშენი გაუკეთებიათ, რომელშიაც მეორე კარი ჩაუდგამთ. „ცოტა კარი“ ქუთაისის შიდა ციხეში საიდუმლო შესასვლელს წარმოადგენდა და იმ წყაროსთან დამაკავშირებელი საშუალებაც იყო, საიდანაც მეციხოვნენი სასმელი წყლით მარაგდებოდნენ (იქვე).

როგორც ვთქვით, ციხე და სასიმაგრო ნაგებობანი ქალაქების ძირითად უბანს შეადგენდა. განაშენიანების ამ ნაწილში ფეოდალური საზოგადოების წარჩინებული ფენა ცხოვრობდა. მოსახლეობის ძირითადი მასა კი შიდაციხის გვერდით იყო განლაგებული. მაგრამ ქალაქების ზრდასთან ერთად ბინადართა რაოდენობაც იზრდება და თანდათანობით სახლდება ზღუდის გარეთაც. იგი აქ თავდაპირველად ქმნის გარეუბანს, რომლის მორიგი ზრდის შემდეგ ახლად დასახლებული ტერიტორია გარეუბანი ხდება, ხოლო ადრინდელი კი ქალაქის ფარგლებში ექცევა. X საუკუნეში ასეთი ვითარების ამსახველი გადმოცემა გვაქვს ბიზანტიის კეისართან კონსტანტინე პორფიროგენეტთან (912—959). მას თავისი თანადროული არტანუჯი სამნაწილიან ქალაქად აქვს წარმოდგენილი. „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ და დაბა-ქალაქიც“, აღნიშნავდა იგი (გეორგიკა 1952:278). ციხე ამ შემთხვევაში საერთოდ ქალაქს ნიშნავს და ციტადელსაც გულისხმობს. რაც შეეხება „რაბატს“ მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. წყაროს მთარგმნელისა და გამომცემლის ს. ყაუხჩიშვილის აზრით „რაბატი“ სპარსული სიტყვაა და გამაგრებულ ადგილს აღნიშნავს (იქვე). ს. კაკაბაძე მას მიიჩნევდა ქალაქის ცენტრალური ადგილის ტოლფარდად. ს. ჯანაშია ამ სიტყვის უფრო სწორ ექვივალენტად გარეუბანს თვლიდა. ლ. ჭილაშვილი ეთანხმება ვ. ბარტოლდს, რომელსაც არაბული სიტყვა „რაბადი“ ახსნილი ჰქონდა, როგორც გარეუბანი, სადაც თავდაპირველად ქალაქის შუაგულიდან გადასული მოსახლეობა ცხოვრობდა, ხოლო ქალაქის გაზრდის კვალდაკვალ, იგი ძირითადი საცხოვრებელი უბანი გახდა.მაშასადა-

მე, „რაბადი“ გარეუბანია გარკვეულ დროს,—წერს ლ. ჭილაშვილი,—შემდეგ იგი ექცევა ქალაქის ფარგლებში, ისე, რომ სახელი გარეუბნისა კვლავ რჩება“ (**ჭილაშვილი 1970:107**).

შ. მესხია რაბათს რუსული **посад**-ის შესატყვისად გულისხმობდა და მას „ციხის უბნიდან“ იმით განასხვავებდა, რომ იქ თავს იყრიდნენ „ქალაქის დაბალი ფენების წარმომადგენლები, ვაჭრები და ხელოსნები“ (**მესხია 1983:630**).

ტერმინ „რაბატს“ იცნობს XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერიც. მისი ფიქმით, უჯარმის რაბათი ზღუდის შიგნით მოქცეული უბანი ყოფილა (**ჯ. ცხ. 1955:201**).

როგორც ვხედავთ, ციხესთან ერთად ქალაქის ძირითად უბანს რაბათი შეადგენდა. „მაგრამ თვით ეს უკანასკნელიც ცალკე უბნებად იყო დანაწილებული“ (**მესხია 1983:630**). ამ უბნების სახელწოდებათა შესახებ, ადრეფეოდალურ ხანაში, ძლიერ მცირე ცნობებია შემორჩენილი. თუ ზოგი რამ ვიცით ისიც თბილისის უბნების შესახებ. სხვა ქალაქებისა კი იშვიათ გამონაკლისთა გარდა სრულიად უცნობია. თბილისის ერთ უბანზე „სოლდებელზე“ უკვე ვისაუბრეთ. მეორე და შეიძლება უფრო ძველი უბანი იყო „კალა“ V—VII საუკუნეებში იგი გარეუბანს წარმოადგენდა. „მაგრამ როცა თბილისის მოსახლეობა გაიზარდა, კალა ჯერ ახალ ქალაქად იქცა (VIII—XIII სს), ხოლო შემდეგ ცენტრალურ ნაწილად“ (**იქვე: 632**). ასეთი ვითარების გამო, ივ. ჯავახიშვილი ქალაქის მდებარეობის მიხედვით დაყოფაზე მსჯელობისას, ცალკე გამოყოფდა: წინა-უბანს, შუა-უბანს და გარე-უბანს (**ჯავახიშვილი 1946:36**).

შედარებით მცირე უბნების წარმოშობას მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრება, მათი საქმიანობა ედო საფუძვლად. მაგრამ არამცირედი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის ტომობრივ-სარწმუნოებრივ კუთვნილებასაც. უბანს სახელწოდება ზოგჯერ ამ ნიშნით ერქმეოდა. ასეთი გზითაა გაჩენილი „ურიათა უბანი“, „მოგვთა (სპარსთა) უბანი“, „ქართველთა უბანი“ და სხვ.

კიღევ უფრო ნაკლები მასალა გვაქვს ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქალაქის ქუჩების შესახებ. ცხადია, უბნები ქუჩებისაგან შედგებოდა, მაგრამ დასახელებულ ხანაში ქუჩების შექმნა-განაშენიანებას, რომ გეგმაზომიერი ხასიათი არ ექნებოდა ეს უდავოა.. ძველ ქართულ ქალაქებში მოკირწყლული ქუჩების არქეოლოგიური ძიების გზით აღმოჩენა იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. ხოლო სადაც იგი შესწავლილია საქალაქო ცხოვრების მაღალი დონის უცილობელ დასტურად ითვლება.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების მმართველობისა და პოლიტიკური წყობილების საკითხი ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად შესწავლილი. ამის მიზეზად სათანადო წყაროების უქონლობას ასახელებენ (**სინ 1979:119**). ჩვენ ჯეროვნად ისიც კი არ ვიცით, როგორ იყო გადაწყვეტილი ქალაქების კუთვნილების საკითხი. უფრო მოგვიანო დროისათვის (XI—XII სს.). შ. მესხია ზოგადად აცხადებს, რომ „საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი მეფის და დიდებულების ხელში იყო“-ო (**იქვე: 116**). მაგრამ

ჯერ ერთი, იგი არას ამბობს იმის შესახებ თუ, როგორი ვითარებასთან გვქონდა საქმე უფრო ადრეულ ხანაში, საქართველოს გაერთიანებამდე და მეორეც, გაურკვეველი რჩება იმ ქალაქების კუთვნილების საკითხი, რომელთა შესახებაც წყაროებში უშუალოდ არ არის მითითებული, რომ ისინი მეფის კუთვნილებას წარმოადგენდნენ.

XI—XII საუკუნეებიდან ხშირდება ცნობები ქალაქების დროებით საკუთრებაში გადაცემის შესახებ. დიდებული აზნაურები სამსახურის სანაცვლოდ, სხვა საკარგავის მსგავსად, ქალაქებსაც იღებდნენ. ეს შედეგად მოჰყვა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების დამკვიდრებას. ხოლო თუ რა ვითარება იყო ამ მხრივ ადრეფეოდალურ ხანაში რთული დასადგენია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადგან, იმჟამად, მიწების სამსახურისათვის გაცემას ფართო გავრცელება არ ჰქონდა და აზნაურობა მხოლოდ იმკვიდრებდა უფლებას სამამულო თუ სალენო ქონებაზე, ქალაქებზედაც მათი პრეტენზიები მოკრძალებული უნდა ყოფილიყო და ამ პუნქტების უმრავლესობა მეფის საკუთრებად რჩებოდა. ამას ადასტურებს ლეონტის, ჯუანშერისა და ვახუშტის ცნობები, რომელთა მიხედვითაც ქალაქების მშენებლებად მხოლოდ მეფეები გვევლინებიან.

რაც შეეხება ადრეფეოდალური ხანის ქალაქების მმართველობის საკითხს, ამ მხრივაც მსჯელობა მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება. ერთერთი ვარაუდი გამოთქმული აქვს ჯ. კოპალიანს. „საინტერესოა ქალაქების მმართველობის საკითხი შუა საუკუნეების საქართველოში.—წერს იგი,—როგორც ვიცით ადრეულ ხანაში ქალაქებს ციხისთავები განაგებდნენ, როგორც სამეფო მოხელეები, მაგრამ XII საუკუნიდან ქალაქის გამგებლად „ამირა" მკვიდრდება" **(კოპალიანი" 1982:14)**. ამ მოსაზრებას ჩვენ ვარაუდი იმიტომ ვუწოდეთ, რომ მისი ავტორის მიერ იგი, დოკუმენტირებული ისევე არაა, როგორც ის ფაქტი, რომ „XII საუკუნიდან ქალაქის გამგებლად „ამირა" მკვიდრდება"

ნ. ბერძენიშვილის კონცეფციით, ადრეფეოდალური „საზოგადოება წარმოადგენდა ქვეყანას, რომლის„ცენტრიც" არის მისი ქალაქი. ასე რომ ესა თუ ის ქალაქი უქვეყნოდ არ წარმოიდგინება" **(ბერძენიშვილი 1975:135)**. ქვეყანას თავდაპირველად სათავეში მამასახლისები ედგნენ, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ „უბრალო მოხელე ერისთავად იქცნენ" **(იქვე: 150)**.

ამის მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვეყნის „ცენტრ" ქალაქს თავდაპირველად მამასახლისი (ხევისუფალი) ედგა სათავეში, ხოლო შემდეგ ერისთავი. რაც შეეხება ციხისთავს, როგორც შ. მესხია სამართლიანად განმარტავს, იგი „ციხესიმაგრის გარნიზონის უფროსი" იყო **(სინ 1979:120-121)**. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებული საქალაქო მმართველობის არსებობა არცაა სავარაუდო. ამიტომ მოსალოდნელია ზოგან ერისთავსა და ციხისთავს ერთი და იგივე პირი წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში ციხისთავი მართლაც იქნებოდა ქალაქის გამგებელი.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელია შ. მესხიასა და ი. სურგულაძის მოსაზრებანი მოურავის სამოხელეო თანამდებობის შესახებ. პირველი მათგანი ასეთი თანამდებობის მოხელეს, საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებამდე არსებულად მიიჩნევდა **(მესხია 1983:169)**. მეორე, კი ფიქრობდა, რომ მოურავი, როგორც კონკრეტული სამოხელეო ინსტიტუტის აღმნიშვნელი ტერმინი X—XI საუკუნეებში იხმარებოდა. ე. ი. არსებობდა შესაბამისი თანამდებობა, რომელიც ამ ტერმინით აღინიშნებოდა **(სურგულაძე 1952:394)**.

თუ ჰეშმარიტად ჩავთვლით ამ მოსაზრებებს და გაერთიანების წინა ხანაში მოურავის სახელოს არსებობას ვაღიარებთ, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ სხვა სახის მოურავობასთან (სახასო მიწების გამგებელი, სამონასტრო მიწების გამგებელი, სასოფლო გამგებელი, ზოგადად—ადგილობრივი მოხელე) ერთად-არსებობდა ქალაქის მოურავიც. ე. ი. „მოურავი", რომელმაც XV საუკუნიდან, „ამირა", როგორც ქალაქის მმართველი შეცვალა, საკმაოდ ადრე მოქმედი სამოხელეო ტერმინია. დასაშვებია, რომ იგი ზოგადი მნიშვნელობით ერისთავსა ან ციხისთავსაც, ვითარცა გამგებლებს მიემართებოდა და კონკრეტული მოხელის აღსანიშნავად მისი გამოცალკევება გაცილებით გვიან (XIII საუკუნეში) მოხდა. უფრო დასაბუთებულად ამ საკითხზე მსჯელობისათვის ფაქტოლოგიური მასალა ხელთ არა გვაქვს.

„ამირა" კი ქართულში არაბულიდან შემოსული ტერმინია. VIII ს-ის შუა ხანებიდან ხალიფატი საქართველოში თავის ხელისუფალს—თბილისის ამირას ნიშნავს. ასე, რომ „ამირა" თავდაპირველად ქვეყნის გამგებლის სახელი იყო. IX—X საუკუნეებში, ქართული სამეფო-სამთავროების მომძლავრების შემდეგ, მათ საამიროს ტერიტორია ძლიერ შეავიწროვეს და აქაური ამირა, ფაქტობრივად მხოლოდ თბილისის მმართველიღა აღმოჩნდა. ასე შეიქმნა შთაბეჭდილება „ამირას", როგორც ერთი ქალაქის მმართველის შესახებ, ამიტომ საქართველოს გაერთიანების დამთავრების შემდეგ, „ამირას" სახელწოდება მეფის მიერ ქალაქის გამგებლად დანიშნულ ქართველ დიდებულთა წარმომადგენელზეც გადავიდა. იგი თბილისის „ამირად" იწოდებოდა. მაგრამ ძველი ტრადიცია, როცა „ამირა" მთელი ქართლის გამგებელი იყო კვლავ შემორჩა და მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ განთავისუფლების შემდეგ თბილისი კვლავ აღზევდა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად და წინა აზიაში ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად იქცა, მის ამირას ქართლი კვლავ ეძლეოდა საგამგეოდ. „ე. ი. ქალაქ თბილისთან ერთად იგი განაგებდა ახლომდებარე ტერიტორიებსაც" **(იქვე)**. ამის დასტურად იმოწმებენ თბილისის „ლურჯი მონასტრის" წარწერას, რომლის ივ. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილ ტექსტში, თამარის დროინდელი აბულასანი მოხსენიებულია „ამირათა-ამირად ქართლისა და ტფილისისა" **(ჯავახიშვილი 1982:337)**.

ამ ფაქტთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ „ამირათა-ამირად" წოდება ქალაქის ქვეყნითურთ გაცემას გულისხმობდა. XIII ს-ის ქართულ წერილობით ძეგლებში დაცულია ცნობა, რომ არსებობდა

ქუთაისის (იქვე: 338), გორის (ჯორდანია 1897:225), კარის[1] „ამირათა-ამირების" სახელოები. ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ქუთაისის ამირათა-ამირას ქალაქთან ერთად სამოქალაქოც ექვემდებარებოდა. გორისას—მისი მიმდგამი მხარე. ხოლო რაც შეეხება თამარის მიერ 1206 წელს კარის ამირად დანიშნულ ივანე ახალციხელს, აქ მემატიანის მიერ ყველაფერი პირდაპირაა ნათქვამი. იგი წერს: თამარ „მეფემან აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ათაბაგობა და ამირათა-ამირაობა... ივანესვე უბოძა კარული და მისი ქუეყანა" (ჭ. ცხ. 1959:92).

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით „ამირა" თბილისის შემოერთებამდე დამკვიდრებული სახელია. „ამირობა საქართველოს სამოხელეო წესწყობილებაში, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ იმ ხანაში უნდა შემოსულიყო, როდესაც ქართველებს თბილისი დაპყრობილი არ ჰქონდათ, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ წლებშივე „ლიპარიტ ამირა"-ა მოხსენიებული" (ჯავახიშვილი 1982:337—338) ასე, რომ ამირა... უფრო ადრე დამკვიდრებული ტერმინია, ვიდრე ამას ჯ. კოპალიანი ზევითმოტანილ ციტატაში მიუთითებს.

მოურავის (ამირას) გარდა საქალაქო მმართველობაში მონაწილეობდნენ სხვა უფრო დაბალი რანგის მოხელენი, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ამასთან საკმაოდ ადრე მოხსენიებული თანამდებობაა ციხისთავი. მცხეთის ციხისთავი „მოქცევაჲ ქართლისაჲ"ში მოხსენიებულია VI საუკუნის, ხოლო თბილისისა VI—VII საუკუნეთა მიჯნის ამბებთან დაკავშირებით. სხვადასხვა დოკუმენტებში ვხვდებით გორის, ატენისა და ქუთაისის ციხისთავებსაც (შესხია 1983:170). მათი კომპეტენცია შ. მესხიას ასე აქვს განსაზღვრული: „ქალაქის ციხისთავის მოვალეობას შეადგენდა ქალაქის ციხის უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც მას ჰყავდა სპეციალური სამხედრო გარნიზონი, რომელიც ციხეში იდგა, და საერთოდ „ქალაქის მცველები" „ქალაქის მცველები" იდგნენ ციხეებში, ქალაქის კარებთან და სხვა ადგილებში" (იქვე).

XI—XII საუკუნეებიდან ქალაქის მოხელეთაგან წერილობით ძეგლებში გვხვდებიან ქალაქის მოხელენი: „შურტა" (პოლიციის მოხელე), „გუსტასიბი" (შეესაბამება ქართულ „ნაცვალს"), რაისნი, ამადი, მწრონავები, მებაჟეები და ზოგი სხვაც. ვარაუდობენ, რომ შესაბამისი მოვალეობის შემსრულებელი პირები ადრეფეოდალურ ქალაქებშიაც იყვნენ, მაგრამ მათ შესახებ დოკუმენტური მასალის უქონლობის გამო, კონკრეტული მსჯელობის შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ.

ის ფაქტი, რომ საქართველოში ქართველ მეფეთა მიერ დანიშნული მოხელეებიც XI—XII სს. საბუთებში, უმთავრესად, არაბული სახელებით მოიხსენიებიან, შ. მესხიას მტკიცებით, „როდი ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე

[1] კარი, ქალაქ ყარსის ძველი ქართული სახელწოდება.

გვქონდეს მაჰმადიანური სამყაროს საქალაქო წესწყობილების საქართველოში მზამზარეულად გადმოტანასთან, მის ნასესხეობასთან. არაბული სახელწოდების ქართული სამოხელეო ინსტიტუტები თავისი ბუნებით (შინაარსით) განსხვავდებოდნენ ამგვარივე სახელწოდების მატარებელი აღმოსავლური ინსტიტუტებისაგან" **(იქვე: 172)**. ეს დასკვნა სადავო არ არის, მაგრამ მისი გათვალისწინებით იმის თქმაც შეიძლება, რომ საქალაქო მმართველობის მოხელეთა' ეს ტერმინოლოგია, ქართულ ქალაქებში სწორედ არაბთა ბატონობის ხანაში დამკვიდრდა, რაც ამ თანამდებობების ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების წინარე პერიოდში არსებობაზე მიუთითებს.

როგორც ვხედავთ, ქალაქების მმართველობის საკითხების გადმოცემისას ჩვენ ძირითადად ვარაუდების შესახებ მოგვიხდა მსჯელობა, რაც თავის მხრივ აჩვენებს, რომ ადრეფეოდალური ხანის ქართული ქალაქების ისტორიის ეს სფერო დამატებით შესწავლას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქები პოლიტიკური და საფორტიფიკაციო ცენტრები იყვნენ, მათი განვითარების მთავარ პირობას მაინც **ხელოსნობა და ვაჭრობა** წარმოადგენდა. ასე იყო ანტიკური ხანიდანვე. ქალაქები, წერს ლ. ჭილაშვილი „სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ ანტიკურ ხანაში. აქ ქალაქის მცხოვრებთა მოსაქმეობა ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობა იყო" **(ჭილაშვილი 1970:67)**.

ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა და მასთან დაკავშირებული მეურნეობის ნატურალიზაცია ადრეულ შუა საუკუნეებში, არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებისათვის. „ძლიერ შემცირებულია ამ ხანებში უცხოეთთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობაც" **(სინ 1973:118--119)**.

ამის გამო დაქვეითებას განიცდის ხელოსნური წარმოების ზოგი ძირითადი დარგი (კერამიკული წარმოება, მელითონეობა). სამაგიეროდ, ქალაქის ეკონომიკაში დიდ ადგილს იჭერს სასოფლო-სამეურნეო დარგები, ე. ი. იცვლება ეკონომიკური ძლიერების წყარო. ამის გამო ქალაქების ეკონომიკური შესაძლებლობანი კვლავ მაღალი რჩება.

ანტიკური ხანის ქართული ქალაქების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალს (ჩრდ. ინდოეთი—შუა აზია—კასპიის ზღვა—მდ. მტკვარი—სურამის უღელტეხილი—მდ. ფაზისი—შავი ზღვის ნავსადგურები). ამ გზამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებაში. ამას თვალსათლივ აჩვენებს ის ფაქტი, რომ ქართლის ქალაქები ძირითადად მდ. მტკვარზე წარმოიშვნენ და განვითარდნენ. ლ. ჭილაშვილის აზრით, ეს კონკრეტული შემხთვევა შემდეგნაირად უნდა აიხსნას: ხელოსნურ-სასაქონლო წარმოებისა და შრომის დანაწილებისათვის „ყველაზე უკეთესი პირობები იქმნება იქ, სადაც გზაა, სადაც მეტი ხალხი ტრიალებს, სადაც მეტია თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, მომხმარებელი, რაც იწვევს მეტი ხელოს-

ნურ-სასაქონლო პროდუქტების შექმნას და აჩქარებს შრომის დანაწილების პროცესს. უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ მდინარე, ხეობა, ეს გზაა და რამდენადაც მეტია გზა, იმდენად სწრაფია ეს პროცესი და ძლიერია აქ მდებარე პუნქტებით. ამის გამოა, რომ ძველი ქართული ქალაქები მტკვრის გაყოლებაზე აღმოცენდა და მტკვართან ხეობათა შესაყარზე (მცხეთა, სარკინე, კასპი). არანაკლები სამეურნეო ზონა იყო ძლიერი სამოსახლოებით მტკვრის მარჯვერა ნაპირებზედაც. მაგრამ აქ ქალაქები არ განვითარებულა. ეს იმიტომ, რომ გზა გადიოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე და რომ ის იყო არა სანაოსნო, არამედ სახმელეთო გზა. მარცხენა ნაპირზე გადიოდა იმიტომაც, რომ ყვირილის ხეობიდან გზა გადმოვიდოდა რა ქართლში, სწორედ მტკვრის მარცხენა ნაპირს მიადგებოდა" **(ჭილაშვილი 1968: 68--69)**.

ადრეფეოდალურ ხანიდან ახალი სოციალურ-ეკონომიკური ძალების განვითარებას დაემთხვა ირან-ბიზანტიის გამუდმებული ქიშპობა ამიერკავკასიისათვის, რამაც მოსპო მტკვრის ხეობის გზა. ამერკავკასიის საერთაშორისო ვაჭრობაზე უარყოფითად იმოქმედა არაბთა დაპყრობებმაც, იბერიის ქალაქებს დროებით მოეშალათ კაშირი დასავლეთის სამყაროსთან. ამან საგარეო ვაჭრობის აქცენტების შეცვლა გამოიწვია. რასაც შედეგად მოჰყვა ქალაქების ერთი რიგის დაცემა და სხვების დაწინაურება. ეს პროცესი დაჩქარდა ახალი პოლიტიკური ვითარების შექმნასთან დაკავშირებით.

IX—X საუკუნეებში სახალიფოს დასუსტების კვალდაკვალ ბიზანტიასთან ურთიერთობა თანდათან უმჯობესდება. იგი ხორციელდება ახლად გაძლიერებული მნიშვნელოვანი ტრასის ამოქმედებით. ეს გზა ტაოკლარჯეთზე გადიოდა და შავიზღვისპირეთს თბილისთან აკავშირებდა. „მისი მიმართულება მეტ-ნაკლები სიზუსტით ემთხვეოდა ახალქალაქობის დროს დაწინაურებულ ქალაქებს: თბილისი — სამშვილდე — ახალქალაქი—არტაანი—არტანუჯი" **(ჭილაშვილი 1970:83-84)**.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დონე აისახა ფულადი მიმოქცევის დარგშიაც. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა აჩვენებს, რომ IV—V საუკუნეებში, ქართლში მნიშვნელოვნად შემცირებულა ფულადი მასა. თ. გამსახურდიას დაკვირვებით —„თუ ძვ. წ. I საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე ახ. წ. IV საუკუნემდე აქ ხმარებულ მონეტათა ნიმუშები უწყვეტად არის წარმოდგენილი, III—IV საუკუნეთა მიჯნიდან თვალში საცემი ცვლილება იწყება. ამ პერიოდიდან V საუკუნის დასასრულამდე სასანურ და ბიზანტიურ მონეტათა მხოლოდ ზოგიერთი ეგზემპლიარებია დამოწმებული" **(სინ 1973:120)**.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების შესუსტების მაუწყებელია არქეოლოგიურ მასალაში იმპორტული ხელოსნური ნაწარმის სიმცირე. ის ზოგიერთი ფუფუნების საგანი, რომელიც ძლიერ იშვიათადაა აღმოჩენილი ადასტურებს, რომ მათი შემოტანა მხოლოდ არისტოკრატიის მოთხოვნილებას დასაკმაყოფილებლად ხდებოდა, რაც არსებით გავლენას, ცხადია, ვერ ახდენდა ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე.

ქართლის ეკონომიკისა და საქალაქო ცხოვრების დონეზე უფრო დიდი გავლენა შინაურ ხელოსნურ ნაწარმს ჰქონდა. ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში მისი წარმოებაც დაქვეითების გზაზე დგას. ხელოსნობის ძირითადი დარგების (მეთუნეობისა და მელითონეობის) ნაწარმი არქეოლოგიურ მასალაში ან მცირე რაოდენობათა, ანდა მდარე ხარისხოვანი ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ზევით დამოწმებული ავტორი მცხეთისა და ურბნისის სამეთუნეო ნაწარმის შესახებ ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ამგვარად, VI საუკუნის შემდეგ, პროდუქციის თანდათან გაუარესება ხელოსნობის ამ დარგის დაქვეითების მომასწავებელია“ **(იქვე: 122)**.

უკეთესი ვითარებაა სააღმშენებლო საქმეში. ეს დაკავშირებულია ახალი რელიგიის, ქრისტიანობის გავრცელებასთან. მან დიდი სტიმული მისცა საეკლესიო ხუროთმოძღვრების აღმავლობას. პირველი ქართული ტაძრები, არქიტექტურის ისტორიის სპეციალისტების აზრით, მცირე ზომისა იყო და თანაც, უმთავრესად ხის მასალისაგან იგებოდა, ამიტომ მათ ჩვენამდე ვერ მოაღწევს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებამ ვახტანგ გორგასალის დროს, ბიძგი მისცა სააღმშენებლო მოღვაწეობის აღმავლობას, „ამ ხანების ქართული არქიტექტურა ძირითადად ქვის არქიტექტურა იყო. ამიტომაც საქმეში დიდი როლი ქვის დამამუშავებელ ხელოსნებს განეკუთვნებოდათ“ **(იქვე:125)** ჩნდებიან: „ხით“, „ქვითა“ და „კირით ხურონი“, „ქვის მთლელნი“, „კალატოზნი“, „ძელით მჭადაკებელნი“, „სოფიის კენჭით“ ოსტატნი, „წარმწერელნი“ და სხვა.

სააღმშენებლო საქმე, რომ თვითდინებაზე მიშვებული დარგი არ იყო ამის მაჩვენებელია მცხეთაში მთავარი ხუროთმოძღვრის სახელოს IV საუკუნიდან არსებობა. ახ. წ. IV საუკუნის სერაფიტას ცნობილ წარწერაში დადასტურებულია მთავარი ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი ავრელიუს აქოლოსი. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოიხსენიება „გალატოზთა გამგებელი“ და „ხუროთმოძღვარი“

ქართული საამშენებლო საქმის აღმავლობის ამ საფეხურზე, V—VI საუკუნეებში, ჯერ იქმნება დიდი ზომის უგუმბათო შენობები, ბაზილიკური ეკლესიების ტიპისა. VI ს-ის დასასრულს კი უკვე ხუროთმოძღვრების კლასიკური ნიმუში — მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი იგება.

გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით IX საუკუნეში დაიწყო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ახალი ეტაპი **(ჩუბინაშვილი 1925:108)**, რაც სააღმშენებლო საქმის დიდ აღმავლობაში გამოიხატა. ამ დარგის მუშაკთა მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს, როგორც იმდროინდელი ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები, ასევე წერილობითი წყაროები და მშენებელ-ხელოსანთა შრომის ორგანიზაციაც. მაგალითად, ოშკის ტაძრის მშენებლობაზე, შემორჩენილი წარწერის მიხედვით, 70-ზე მეტი დაქირავებული კალატოზი, ხუროთ და მშენელი მუშაობდა. მათზე სურსათ-სანოვაგის გარდა ყოველწლიურად იხარჯებოდა 20 ათასი დრაჰმა, ე. ი. დაახლ. 4 ათასი მანეთი ოქროთი **(შესხია 1983:86)**.

მკვლევარები ხელოსნობის ისტორიის შესწავლისას საამშენებლო საქმეზე იმიტომ ამახვილებენ ყურადღებას, რომ მისი შედეგები მატერიალურად ხელშესახებია. დღემდე შემორჩენილი მასალით შიძლება ამ სფეროში მიღწეული დონის შესწავლა. სხვა დარგებიდან, ამ თვალსაზრისით, იგივე შეიძლება ითქვას მეთუნეობაზე. არქეოლოგიას მისი შესწავლისათვის ასევე მატერიალურად არსებულ მასალაზე უხდება მუშაობა. მაშინ, როცა ხელოსნობის ზოგიერთ დარგებზე ძირითადად წერილობით წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით თუ ხერხდება მსჯელობა. ხელოსნობის ასეთ დარგებს განეკუთვნება ქსოვა და განსაკუთრებით, აბრეშუმის ქსოვილის წარმოება. წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ ეს დარგი ძველთაგანვე საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა საქართველოში. ქართული აბრეშუმი ქვეყნის გარეთაც მოხმარების მაღალი დონით იყო ცნობილი და შესაბამისად, საშინაო თუ საგარეო ვაჭრობის ძირითად საგანს წარმოადგენდა. მაგრამ არქეოლოგიაში ასეთი ნაზი ქსოვილის დადასტურება თითქმის შეუძლებელია და სპეციალისტები მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამენ ამა თუ იმ საგნებთან თუ კულტურულ ფენებში მისი კვალის დადგენის შესახებ. მაგ., ლ. ჭილაშვილის თქმით: „რუსთავის XII—XIII საუკუნეების სამარხების გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძლიერ ნაზი ქსოვილის მცირე ანაბეჭდები სამკაულზე, რაც ვარაუდით აბრეშუმი უნდა იყოს“ **(ჭილაშვილი 1970:142)**.

ასეთი ვითარების გამო, უკეთესადაა კერამიკული ნაწარმის გამოვლენა-შესწავლის საქმე. უპირველესად აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალაქებს საკუთარი კერამიკული წარმოება ჰქონიათ. ასეთი დადასტურებულია: თბილისში, დმანისში, რუსთავში, უჯარმაში, ურბნისში. მოსალოდნელია ხელოსნობის ამ დარგის საკუთარი სახელოსნოები სხვა ქალაქებშიაც აყო. მაგრამ ისინი არქეოლოგიურად, ჯერჯერობით, ნაკლებ შესწავლილია.

ფეოდალურ ქალაქებში მეთუნეობის დონის შესახებ საუბრისას მისი ხარისხის საზომად მიღებულია მხატვრული კერძოდ, მოჭიქული კერამიკის ნაწარმის დამუშავების ტექნიკა და ხარისხი. ოსტატის საქმიანობა აქ ხელოსნობიდან ხელოვნების სფეროში გადადის.

ჭურჭლის ზედაპირის დასაფარავად მინისებური მასის — ჭიქურის გამოყენება, შუა საუკუნეების ეპოქის მიღწევა არ არის. იგი ეგვიპტეში უკვე V ათასწლეულიდან იცოდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ცნობილი ყოფილა საქართველოშიაც. მაგრამ არათუ წინაქრისტიანულ ხანაში, არამედ ჩვენი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარშიაც კი ჭურჭლის შემკობის ამ ხერხს განვითარების მაღალი დონისათვის არ მიუღწევია. მომდევნო ხანაში ვითარება გადაჭრით იცვლება. „თამამად შეიძლება ითქვას,—წერს ლ. ჭილაშვილი,—რომ IX—XIII საუკუნეების აღმოსავლეთის კულტურის ყველაზე დიდი ნაკადი მსოფლიოს მოედო თავისი ბრწყინვალე მოჭიქული კერამიკით. ამ უკანასკნელმა XII—XIII საუკუნეებში განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია“ **(იქვე:144)**.

ამ აღმოსავლურ ნაკადში მოჭიქული კერამიკის წარმოების ქართველი ოსტატების ნახელავსაც თავისი არამცირედი ხვედრითი წილი ჰქონდა. ეს

სადავო არ არის, ოღონდაც სპეციალისტებს შორის კამათია ქართული მოჭიქული კერამიკის ქრონოლოგიის საკითხებზე. კერძოდ, საქმე ეხება საქართველოში მრავალფეროვანი მოჭიქული კერამიკის მასიური წარმოების დათარიღებას.

ლ. მუსხელიშვილი დმანისში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმს X—XII საუკუნეებით ათარიღებდა. ვ. ჯაფარიძე ადარებდა რა დმანისურ კერამიკას გუდარეხსა, თბილისსა და რუსთავში აღმოჩენილთ, რომელიც თანჩაყოლილი მონეტებით თარიღდებოდა, ეთანხმებოდა ლ. მუსხელიშვილის ქრონოლოგიას. გ. ლომთათიძე უჯარმაში აღმოჩენილ დიდძალ მოჭიქულ ნაწარმში ზოგიერთს საკმაოდ ძველად მიიჩნევდა და მას ვახტანგ გორგასლის ეპოქით ათარიღებდა. ი. გრძელიშვილმა და ო. ტყეშელაშვილმა 1956-1957 წწ. თბილისში (ერეკლე II-ის სახელობის ბაღი და ანჩისხატის ეკლესიის მიდამოებში) გათხრების შედეგად მოპოვებული კერამიკული ნაწარმის შესწავლის შედეგად, როგორც ლ. ჭილაშვილი წერს: დაასკვნეს „რომ არავითარი წყვეტილი მოჭიქული ჭურჭლის წარმოებაში არ ყოფილა და საქმე უნდა გვქონდეს თანდათანობითი განვითარების კანონზომიერ მოვლენასთან" **(იქვე:146)**.

ლ. ჭილაშვილი არ ეთანხმება ამ შეხედულებას. მან მცხეთის, ურბნისის, რუსთავის არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ ეს მასალა V—VIII საუკუნეების მოჭიქულ კერამიკას არ შეიცავს. იგი იმოწმებს ზოგიერთ სხვა მონაცემსაც და დაასკვნის „რომ წყვეტილი ჭიქურის წარმოებაში რამდენიმე საუკუნოვანი არსებობდა" და ამიტომ ადრეფეოდალურ ხანაში ადგილი არ ჰქონია წინარე ხანიდან მის თანდათანობით უწყვეტ განვითარებას **(იქვე:147)**. მკვლევარი მოჭიქული კერამიკის მრავალფეროვანი სახეების წარმოებას ქართული ფეოდალური ქალაქის საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად განიხილავს და აღნიშნავს: „ირკვევა, რომ მოჭიქული კერამიკის ხელახალი აღორძინების და გაფურჩქვნის დრო დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასთან ფეოდალური ქალაქების წარმოშობასთან და საქალაქო მეურნეობის აღმავლობასთან, რის ქრონოლოგიური საწყისებიც ემთხვევა IX საუკუნეს" **(იქვე)**.

თ. გამსახურდია ეთანხმებოდა ასეთ დათარიღებას. მისი თქმით: „IX—X საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს რუსთავის, უჯარმის, დმანისის ნაქალაქარზე და თბილისში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის გარკვეული ნაწილი" **(სინ. 1973:355)**.

შუა საუკუნეების ქართულ კერამიკაზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ამ დარგის მიღწევები არ შემოიფარგლება მხოლოდ მოჭიქული ნაწარმით. უეჭველია, ასეთი კერამიკა მხატვრული შემკობით უფრო გამოირჩევა, მაგრამ „არანაკლებ დახვეწილ და მოხდენილ სახეებს ჰქმნის მოუჭიქავი ნაწარმიც. დიდი ხნის ხარვეზის შემდეგ კვლავ აწრმოებენ თხელკედლიან ნაზ ჭურჭელს, რომელსაც ხშირად რელიეფურად ამუშავებენ,

ანდა ხატავენ სხვადასხვა ფერის საღებავებით" (ჭილაშვილი 1970:149). მაშასადამე, არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ საქართველოში იწარმოებოდა, როგორც მოჭიქული, ისე მოუჭიქავი კერამიკა. იმავე მასალაში საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი ორივე სახის იმპორტული კერამიკული პროდუქციაც. რაც უცილობლად ადასტურებს, რომ ქართული ქალაქები უცხოური ნაწარმის აქტიური შემსყიდველები იყვნენ. და, რომ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზებით ამ ქალაქებიდან გაჰქონდათ და აქ შემოდიოდა კერამიკული ნაწარმის მრავალფეროვანი ნიმუშები.

X საუკუნიდან შეიმჩნევა სამშენებლო კერამიკის პროდუქციის მომრავლება. საეკლესიო თუ საერო მშენებლობაში გამოიყენება მრავალგვარი ფორმისა და ზომის კრამიტი, აგურები, ე. წ. „ქართული" ბრტყელი, კვადრატული, ასევე მოსაპირკეთებელი ფილები, შორენკეცები. „ქართული აგური" იმდენად არის დამახასიათებელი, — შენიშნავს ლ. ჭილაშვილი — შუასაუკუნეების მშენებლობისათვის და გავრცელებული დიდ ტერიტორიაზე, რომ მკვლევართა ერთი რიგი ვარაუდობს საქართველოდან აგურების ექსპორტსაც კი მეზობელ ქვეყნებში" (იქვე: 157).

მეთუნეობასთან ერთად ხელოსნობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო მელითონეობა. იგი ბევრი პროფესიის ხელოსანს აერთიანებდა. ამ დარგის ხელოსანთა საერთო სახელწოდების აღმნიშნველ ტერმინად „მჭედელი" იხმარებოდა. მათგან სპეციალიზებულნი იყვნენ „ჭურჭელთა მჭედელნი". ისინი სპილენძის, ვერცხლისა თუ ოქროსაგან ამზადებდნენ სხვადასხვა გვარ ჭურჭელს. სპილენძის ჭურჭლის მკეთებლებს „რვალით ხურო" ერქვათ. მათი პროდუქცია იყო: „ქუაბი", „სათბობელი" და „ლაგვინი" ვერცხლის მჭედელნი აკეთებდნენ: თასებს, კოვზებს, ბარძიმებს, ტაბაკებს, საცეცხლურებს. ოქრომჭედელთა ნაწარმი მათგან მასალით განსხვავდებოდა. სახეობა უმთავრეს შემთხვევაში იგივე იყო.

ადრეფეოდალურ ეპოქაში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება მინისა და ბროლის პროდუქცია. წერილობით ძეგლებში ასეთი სახის ნაწარმის შესახებ ცნობები შედარებით გვიან (XI—XII სს.) ჩნდება. მაგრამ არქეოლოგიური მასალა კი VII საუკუნიდან გვაქვს. ესაა ქვემო ქართლის სოფ. ორბეთში აღმოჩენილი მინის საწარმოს ნაშთი: ირკვევა, რომ იქ მრავალფეროვან მინის პროდუქციას.ამზადებდნენ. ვხვდებით: სხვადასხვაგვარ ჭურჭელს, სამკაულებს, სასარკმელე მინას, კენჭებს მოზაიკისათვის. ცალკე აღნიშვნის ღირსია მინანქრის საღებავებით მორთული სასმისები, რომლებიც ამგვარი ჭურჭლის პირველ ნიმუშებად ითვლება. „გაოცებას იწვევს,—წერდა თ. გამსახურდია,—აქ დამზადებული ფერადი მინა: წითელი, ლურჯი, ცისფერი, შავი, ყვითელი, ჭრელი. ორბეთში მოპოვებული სამოზაიკო „კენჭები", განსაკუთრებით ოქროცურვილი „კენჭები" დიდად ემსგავსება წრომის ტაძრის მოზაიკას" (სინ 1973:356).

მინისა და ბროლის წარმოებამ მომდევნო ეპოქაში გაცილებით უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. შეიქმნა მისი რამდენიმე ცენტრი. წერილობით

ძეგლებში გამოჩნდა „მინისა და ბროლის ნაწარმის განსასხვავებლად დამკვიდრებული ტერმინები: „მინის ხატები", მინის კანდელები" , „ბროლის ბარძიმი", „ ბროლის სასანთლე" და სხვა.

საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა ხელოსნობის ისეთი დარგები, როგორიცაა ქსოვა და კერვა. ძველი ქართული ძეგლები იხსენიებენ: „მღებართ", „მკერვალთ", „მეხამლეთ", „მკეცართ" და ზოგიერთ სხვა სპეციალიზაციით მქონე ხელოსნებს. მქსოველთა ნაწარმს „ნაქსოვი" ეწოდებოდა, მის აღსანიშნავად „ლარი"-ც იხმარებოდა. პროდუქციის ხარისხისათვის ოსტატის დახელოვნებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძაფსაც. იგი მზადდებოდა სელის, მატყლისა და აბრეშუმისაგან. „ძაფს,—წერს რ. მეტრეველი,—რომლითაც ლარი იქსოვებოდა „მკედი" ერქვა. მქსოველი-ხელოსნები სხვადასხვაგვარად ქსოვდნენ. ნაირგვარი მასალისაგან გამოუვანილი ძაფის ერთად მოქსოვას „შერეულად ქსოვა" ეწოდებოდა. ამგვარად მოქსოვილი ზოგჯერ „ჭრელად ნაქსოვი" იყო" **(სინ 1979:105)**.

ხელოსნობის ზევითხსენებული დარგები გავრცელებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მათი ამა თუ იმ მხარეში დაწინაურება დამოკიდებული იყო ნედლეულისა და ტრადიციის არსებობაზე. მაგრამ ხელოსნური წარმოების კონცენტრაციის ძირითად ცენტრებს ქალაქები წარმოადგენდნენ. „ახალქალაქობის" პერიოდში ქალაქების ვაჭრობისა და ხელოსნობის მსხვილ ცენტრებად გადაქცევა მნიშვნელოვნად განაპირობა სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის პროცესის შემდგომმა გაღრმავებამ **(მესხია 1983:51; შდრ სინ 1973:354)**.

ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება აისახა ფულის მასის ზრდაში. თუ ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში არქეოლოგიურ მონაპოვარში **ნუმიზმატიკური** მასალა თითქმის არ ჩანს[1], „სულ სხვა სურათია V ს-ის 60-იან 90-იანი წლებიდან, როდესაც იწყება სასანური და ბიზანტიური მონეტების ფართო გავრცელება" **(სინ 1973:120)**. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სასანური მონეტები, მოჭრილი ამ დინასტიის სხვადასხვა შაჰების ლეგენდით. VI საუკუნიდან, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში ვრცელდება ბიზანტიური მონეტები. მათი ცალკეული ნიმუშები აღმოსავლეთ საქართველოშიაც გვხვდება.

შ. მესხიას გამოკვლევით ეს პროცესი დაკავშირებულია სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური შრომის პროდუქტების უფრო მეტი რაოდენობით გატანასთან საშინაო თუ საგარეო ბაზარზე. „V—VI სს. იბერია და ეგრისი აქტიურად ებმება საგარეო ვაჭრობაში"-ო მიუთითებდა იგი **(მესხია 1983:78)**. იმპორტული მონეტა ველარ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნას. ამიტომ „VI ს. მიწურულსა და VII საუკუნის დამდეგს, ქართლის ერისმთავ-

---

[1] თ. გამსახურდია წერდა: „ჯერ კიდევ დაუდგენელია, თუ რა მონეტები იხმარებოდა IV—V საუკუნეებში და რამ გამოიწვია სასანური და ბიზანტიური მონეტების ასე გვიან შემოსვლა ქართლში" **(სინ 1973:120)**.

რებმა თბილისში დაიწყეს საკუთარი ქართულ-სასანური მონეტების მოჭრა" **(სინ 1973:357)**.

საგარეო ვაჭრობა ვერ ჩაშალა არაბთა დაპყრობითმა ომებმა. VIII—IX საუკუნეებში თბილისში მოჭრილი ე. წ. „თბილისურ-არაბული" დირჰემები, სხვა მონეტების განძებთან ერთად აღმოჩენილია ძველი რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე, ბალტიისპირეთში, ფინეთსა და შვეციაში. ფეოდალური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შემდეგ ადგილობრივი მიმოქცევაში უშვებდნენ საკუთარ ფულს. მას გავრცელება ჰქონდა საგარეო ბაზარზედაც. „შემთხვევითი როდია,—წერდა შ. მესხია,—რომ ტაო-კლარჯეთის მეფის დავით კურაპალატის მონეტები აღმოჩენილია ძველი რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნებში" **(მესხია 1983:86)**.

X ს-ის ნუმიზმატიკური მასალიდან ძლიერ საყურადღებოა დავით III-ისა და ბაგრატ III-ის მიერ მოჭრილი მონეტები, რამდენადაც ისინი დოკუმენტურად ამტკიცებენ, რომ ეს მეფეები ეკონომიკურად დაწინაურებული სახელმწიფოების სავსებით სუვერენული ხელისუფლები იყვნენ. როგორც ე. პახომოვი ამტკიცებდა, დიდი ხნის მშვიდრო ურთიერთობა მაჰმადიანურ საამიროებთან, ამიერკავკასიის ქრისტიანი ხელმწიფეებისათვის მაგალითად იქცა, დამოუკიდებლობის მოპოვება საკუთარი მონეტების გამოშვებით დაემტკიცებინათ **(Пахомов 1970:51)**. საქართველოსა და სომხეთში მოჭრილი ასეთი მონეტები ძლიერ მცირე რაოდენობითაა მიკვლეული. მათ შორისაა ქართველი მეფეების მიერ გამოშვებული ვერცხლის მონეტები.

დავით კურაპალატის სახელით მოჭრილი მონეტების სამი ეგზემპლარია მხოლოდ ნახული. მათს წინა პირზე იკითხება დაქარაგმებული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე დავით". ხოლო უკანა პირზე გაირჩევა—„კურაპალატი". სამი ქართველი დავით ბაგრატიონიდან, რომელთაც კურაპალატის წოდება ჰქონდათ, მონეტა შეეძლო მოეჭრა მხოლოდ დავით მესამეს (966—1001). ამ იდენტიფიკაციაში მკვლევართა შორის (ლანგლუა, ბროსე, ივერსენი) აზრთა სხვაობა არ არის **(იქვე: 53)**. მაშასადამე, დავით კურაპალატი პირველია ბაგრატიონთა შორის, ვინაც საკუთარი მონეტა მოჭრა.

რაც შეეხება ბაგრატ III-ის მონეტას, მისი მხოლოდ ერთი ეგზემპლარია მოღწეული. მასზე ასეთი ლეგენდაა: „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე". მონეტის ორივე პირზე ამოტვიფრულია წარწერები არაბული ენაზედაც. იგი ე. პახომოვის აზრით ქართველი ოსტატის მიერაა შესრულებული, რადგან დაშვებულია ორთოგრაფიული შეცდომები **(იქვე: 56)**. არაბული ლეგენდა ბაგრატის მონეტაზე აიხსნება იმით, რომ იგი მოჭრილია არაბული დირჰემების მიბაძვით. ეს საჭირო გახდა ვინაიდან იმპორტული მონეტების მასა ძლიერ შემცირდა და დირჰემების უკმარისობის შესავსებად დაიწყეს საკუთარი მონეტების მოჭრა, რომელთაც ორივე ენაზე უკეთებდნენ წარწერებს. ეს მონეტა, რომ მართლაც დირჰემების შესაცვლელადაა მოჭრილი ამ არაბული ლეგენდითაც მტკიცდება, რადგანაც მასში მუჰამედისადმი შესხმაა მოცემული. ასეთი ვითარება ქრისტიანულ ქვეყანაში არ

შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. მართლაც, ჩვენამდე მოღწეულ ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტებზე არაბული ლეგენდები ქრისტიანული სიმბოლოებითაა შეცვლილი (**იქვე: 57**).

ქართული წარწერა ადასტურებს, რომ ეს მონეტა ბაგრატ III-ის, მოჭრილია, რამდენადაც, მართალია, „აფხაზთა მეფე" მის გარდა კიდევ იყო ბაგრატ I (881—893), მაგრამ იგი არაბული ლეგენდით ფულს არ მოჭრიდა, ხოლო რაც შეეხება ბაგრატ III-ის პაპას ბაგრტ II-ს, იგი „აფხაზთა მეფის" ტიტულს არ ატარებდა. მაშასადამე, დასახელებული მონეტა მოჭრილია ბაგრატ III-ის მიერ. თანაც, ვიდრე იგი კურაპალატის ტიტულს მიიღებდა, ე. ი. 1001 წლამდე (**იქვე: 56**).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ გაეროიანებული საქართველოს მეფეებს საკუთარი ზარაფხანა უნდა ჰქონოდათ ქ. ქუთაისში (**სიხ 1979:110**). იმის გამო, რომ ბაგრატ III-ისა და მისი მემკვიდრეების მიერ მოჭრილ მონეტებზე მითითებული არ არის ზარაფხანის ადგილსამყოფელი, ჰიპოთეზა მხოლოდ ვარაუდად რჩება (**ლორთქიფანიძე 1994:158--159**). სამაგიეროდ ფაქტობრივად დადასტურებულია, რომ ქუთაისს, ეგრის-აფხაზეთის სატახტოდ გადაქცევის შემდეგ, როგორც მსხვილ სავაჭრო ცენტრს, კავშირურთიერთობა აქვს ბიზანტიასთან. რასაც აჩვენებს აქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები.

მაშასადამე, ნუმიზმატიკური მონაცემებით და სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ „ახალქალაქობის ხანაში" საქართველოს ქალაქებს (თბილისს, ქუთაისს, დმანისს, ახალქალაქს, რუსთავს...) სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ არაბებთან, ბიზანტიასთან, ძველ რუსეთთან, სომხეთთან და ზოგიერთ სხვა აღმოსავლეთის ქვეყანასთან. ექსპორტის საგანი იყო: ბამბის, მატყლის, აბრეშუმის ნაწარმი, სხვადასხვა სახის ქსოვილი, ტანისამოსი, ხალიჩები, კერამიკული ნაწარმი, ღვინო და სხვ. საქართველოში კი საქონელი შემოჰქონდათ, როგორც მუსულმანური ქვეყნებიდან, ასევე ბიზანტიიდან და სომხეთიდან. იმპორტის ძირითადი საგნები იყო: მრავალგვარი სახის ქსოვილი, ცხენის აღკაზმულობა, სანელებლები, შაქარი, ძვირფასი ქვები, საეკლესიო საღვთისმსახურო თუ საოჯახო ნივთები, მოჩუქურთმებული ჭურჭელი, საღებავები, ეტრატი და სხვ.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, საქალაქო ცხოვრების ზევით გადმოცემული არასრულყოფილი სურათი, ვფიქრობთ, აჩვენებს, რომ ვაჭრობა-ხელოსნობის აღმავლობა, საქალაქო ცხოვრების დაწინაურება, ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებდა საქართველოს ეკონომიკური ერთიანობისათვის, რაც პოლიტიკური გაერთიანების აუცილებელი პირობა იყო. ხელოსნობის განვითარებამ და ვაჭრობამ მნიშვნელოვნად შეარყია ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობა, გასცდა ფეოდალურად დაშლილი საქართველოს სამეფო-სამთავროთა საზღვრებს და ეკონომიკური ერთიანობის ელემენტები ჩამოაყალიბა, იმაზე უწინარეს, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება მთლიანად დამთავრდებოდა.

„იბრძოდეს ქართლსა ზედა"

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა მემატიანეს სათაურად გამოტანილი სიტყვებით აქვს დახასიათებული (ქ. ცხ. 1955:259). ამითვე აიხსნება ამ პროცესის თავისებურებაც. რაც იმაში მდგომარეობდა, რომ თუ დასავლეთ ევროპასა და აზიის ქვეყნების უმრავლესობაში ცენტრალიზებული სახელმწიფოები ერთი ცენტრის ირგვლივ პერიფერიების ტერიტორიის შემოკრების გზით შეიქმნენ, ცენტრისა, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოში თითქმის შებრუნებულ პროცესს ჰქონდა ადგილი. არაბ და ბიზანტიელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა აქ განაპირა მხარეებში წარმოშობილი სამეფო-სამთავროებიდან იწყება, ხოლო ამ ბრძოლაში წარმატებამოპოვებული ეს სახელმწიფო წარმონაქმნები, შემდეგში ერთმანეთს ებრძვიან ცენტრის (შიდა ქართლის) დაუფლებისათვის. მ. ლორთქიფანიძე ამ დროს შექმნილი ვითარების შესახებ შენიშნავს: „სამეფო-სამთავროები აწარმოებენ ბრძოლას ქვეყნის ცენტრალური რაიონისათვის და მთელი ქვეყნის მასშტაბით „მეფის" ხელისუფლებაც ძირითადი რაიონების გაერთიანების შემდეგ იქმნება" (**ლორთქიფანიძე 1963:136**).

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, რომ ასეთი გზით წარიმართა, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. საქართველოს ბუნებრივი, გეოგრაფიული, ეკონომიკური ცენტრი იყო შიდა ქართლი და თბილისი. საქართველოს გაერთიანებაც აქედან უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ეს რეგიონი იმხანად მტკიცედ ეპყრათ ხელთ არაბებს, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ თბილისისა და შიდა ქართლის საქართველოს გამაერთიანებელ ცენტრად გადაქცევას, რაც იმავდროულად ქვეყნის მათი უღლისაგან განთავისუფლებასაც ნიშნავდა. ხოლო ეს რეგიონი, რომ რეალურად წარმოადგენდა საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ ცენტრს, უეჭველი გახადეს ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროების მესვეურებმა, რომელთაც „ნათლად ჰქონდათ შეგნებული ქართლის მფლობელობის მნიშვნელობა ჰეგემონობისათვის ბრძოლაში რაც ცხადად ჩანს იქედან, რომ ეს ბრძოლა სწორედ ქართლის დაუფლებისათვის დაიწყო" (**მუსხელიშვილი 1980:213**).

IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ამ ბრძოლაში სომეხი ხელისუფლებიც ჩაერთნენ. ბრძოლის ასპარეზი და მიზანი გაფართოვდა, მაგრამ ობიექტი იგივე დარჩა. „თუ წინათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, — წერდა ივ. ჯავახიშვილი,—თუ რომელ ქართველ მთავარს დარჩებოდა საქართველოს მეთაურობა, ამიერიდან ბრძოლას უნდა გამოერკვია, ვის ჩაუვარდებოდა ხელში საქართველოსი და სომხეთის, ანუ მთელი კავკასიის მეთაურობა. **ქართლი ქვეყნის შუაგული იყო და თითოეული მთავრის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი იმას შერჩენოდა**" (**ჯავახიშვილი**

1983:101). დამოწმებულ ციტატაში ჩვენს მიერ ხაზგასმული სტრიქონები აჩვენებენ, რომ ქართლი კავკასიის ჰეგემონობისათვის ბრძოლაშიაც გადამწყვეტ როლს ასრულებდა.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა, რომ პერიფერიებიდან დაიწყო და არა ცენტრიდან, ეს ამ პროცესის ერთ-ერთი და არა ერთადერთი თავისებურება იყო. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან, თავისებურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საწყის ეტაპზე ეს ბრძოლა დაიწყო არა, როგორც გამაერთიანებელი მოძრაობა, არამედ იგი მიზნად ისახავდა წარმოშობილი ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროების ტერიტორიების გაფართოებას. ე. ი. ეს იყო მსხვილი ფეოდალური სენიორიის მფლობელის მიერ უფრო სუსტი ერთეულების თავის საპატრონყმო კუთვნილებაში დაპყრობის გზით მოქცევის მცდელობა, ანუ უბრალოდ — ფეოდალური უზურპაცია.

VIII საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ხუთი მსხვილი პოლიტიკური ერთეული იყო ჩამოყალიბებული: თბილისის საამირო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამთავრო, ეგრის-აფხაზეთის სამეფო და ქართველთა საკურაპალატო. მათ რიცხვს უნდა დაეუმატოთ მათთან ერთდროულად ჩამოყალიბებული სომხური სამთავროები, განსაკუთრებით კი – ქართველებით დასახლებული ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე შექმნილი ბაგრატუნიანთა სამფლობელო. მათ ურთიერთდამოკიდებულებას ივ. ჯავახიშვილი სწორედ ტერიტორიების მიტაცებისა და ბატონობის მოპოვებისათვის მისწრაფებით ხსნიდა. „თითოეული მათგანი ყოველ ღონეს ხმარობდა, – წერდა იგი, – სულ იმის საგონებელში იყო, თუ როგორ გაეფართოებინა თვისი სამფლობელო და სხვისი ხელში ჩაეგდო, როგორ შეერთებინა სხვადასხვა სამთავროები და თითონ ერთადერთ ბატონად გამხდარიყო; თითოეული ცდილობდა თავისთვის და სხვის მოქმედებას აფერხებდა; იბრძოდნენ ზოგჯერ ცალ-ცალკე, ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად შეკავშირებულნი და თანდათანობით, მაგრამ მედგრად ამ მიზნის განხორციელებასა ცდილობდნენ" (**იქვე:94**).

თუ, როგორ და როდის ვისი უპირატესობით წარიმართა ეს ბრძოლა ამის შესახებ ჩვენ ქვევით დაწვრილებით მოგვიწევს მსჯელობა. ამჯერად კი უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცესში ბაგრატიონების მონაწილეობამ იგი გამაერთიანებელ მოძრაობად გადააქცია და აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ბაგრატიონები, როგორც პოლიტიკური ხელისუფლები, ქართლის ერისმთავრების მემკვიდრეებად წარმოიდგინებოდნენ და არტანუჯში გადანაცვლების შემდეგაც ამ სტატუსით მოქმედებდნენ. ამდენად, მათ მიერ საკუთარი სამფლობელოს გაფართოება საერთო-ქართულ საქმედ განიხილებოდა, რამაც ასახვა ჰპოვა მებრძოლ მხარეთა ტიტულატურასა და სამფლობელოთა ძველი სახელების შენარჩუნებაში („აფხაზთა სამეფო", „კახეთის საქორეპისკოპოსო"). მაშინ, როცა ბაგრატიონები ჯერ „ქართველთა საკურაპალატოს", შემდეგ „ქართველთა სამეფოს" მესვეურებად იწოდებიან. პროცესის ამ თავისებურების შესახებ დ. მუსხელიშვილი შენიშნავს: „რომ ტაოელ ბაგრატონიანებს სრულიად განსაკუთრებული პრეტენზია ჰქონდათ ქართლის მიმართ, როგორც ქართლის ერისმთავრის

ჩამომავალთ და ეს მათი „კანონიერი“ უფლება, როგორც იურიდიული ნორმა, როგორც ჩანს, აღიარებული იყო იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში (კავკასია, ბიზანტია, არაბეთი)“ (**მუსხელიშვილი 1980:187**).

ირკვევა, რომ ამ თითქოსდა ტერმინოლოგიურ ნიუანსს, ძლიერი შინაარსობლივი დატვირთვა ჰქონდა. ნ. ბერძენიშვილის თქმით, ეს იყო არა მხოლოდ „ძველი ქართლის დაუფლებისათვის“ ბრძოლა, არამედ „არსებობდა და მოქმედებდა... ქართლის აღდგენის იდეა“ (**ბერძენიშვილი 1990:273**), რომელიც გულისხმობდა წარსულისა და მომავლის უწყვეტ კავშირს, ვინაიდან ეს პროცესი „ქართლის“ (იბერიის) ძველი კულტურულ-პოლიტიკური ერთეულის აღდგენასთან ერთად, ნიშნავდა ახალი ქვეყნის „საქართველოს“ ჩამოყალიბებას, ქვეყნისა რომლის შემადგენლობაში ქართლოსიანებთან ერთად შევიდოდა ჰერეთ-ეგრისი, ეთნიკურად ქართველი და არაქართველი ხალხები.

ამ პროცესის ზოგიერთი რეალურ-ისტორიული ასპექტის წარმოსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველისათვის შედარებით ვრცელი ინფორმაციის მიწოდება შემდეგ ორ საკითხზე: 1. რატომ იყო ქართლი მიზიდულობის ცენტრი და როგორ გარდაიქმნა იგი „საქართველოდ“; 2. ვინ იყვნენ ბაგრატიონები და რა გზა განვლეს მათ დასაბამიდან ბაგრატ მესამემდე.

1. „ქართლიდან“ „საქართველომდე“

ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური ერთეული „საქართველო“ ბაგრატ III-ის მოთავეობით ჩამოყალიბდა, ადრეფეოდალურ სამეფო-სამთავროთა ურთიერთქიშპსა და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, „რომ ეს ტერმინი („საქართველო“) შედარებით გვიან წარმოიშვა (X საუკუნეში, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც), მაგრამ სამწუხაროდ იმ ფაქტს არავინ უკვირდება, თუ რატომ სწორედ ამ დროს წარმოიშვა ეს ტერმინი“[1] (**ბერძენიშვილი 1975:200**).

თვით განსვენებული მეცნიერი კი ამის მიზეზად თვლიდა იმას, „რომ ძველმა ტერმინმა „ქართლმა“ ვერ მოიცვა ახალი ორგანიზაცია“.

რადგან წარმოქმნილი სახელმწიფო გადაცდა ეთნიკურ საზღვრებს, ახალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „ახალი სახელი მოითხოვა“ (**იქვე**).

ცხადია, ეს ახსნა საკმარისი არ არის. საჭიროა გაირკვეს რა დანიშნულების ტერმინი იყო „საქართველო“, ეთნიკური, პოლიტიკური, სოცია-

[1] ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ტერმინი „საქართველო“ XI საუკუნეში შემოვიდა „ყოველსა ქართველთა ნათესავისა“ აღსანიშნავად. იგი წერდა: „მეთერთმეტე საუკუნეში მწერლობაში ამ ცნებისათვის შესატყვისი სიტყვა შემოვიდა და ყოველი ქართლის მაგიერ ამბობდნენ და სწერდნენ „საქართველოჲ“, ყოველი საქართველოჲ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მაგ. ამბობს: ანდრია მოციქულმა შემოიტანა „ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა“ (**ჯავახიშვილი 1983: 30—31**).

ლურ-ეკონომიკური, კულტურულ-ეროვნული, თუ უბრალოდ, ლინგვისტური.

დ. მუსხელიშვილი განმარტავს, რომ „საქართველო" კულტურულ-პოლიტიკური ცნებაა" **(მუსხელიშვილი 1992:20)**. მაგრამ ესმის რა, რომ ასე მარტივად ამ ტერმინის განსაზღვრების საკითხი არ გადაწყდება, მოჰყავს უფრო სრული ამონაწერი ნ. ბერძენიშვილიდან: „საქართველო უფლებრივი ცნებაა, იმ ქვეყნის სახელია, რომელიც ათვისებული აქვს გარკვეულ ორგანიზაციას მეურნეობრივად, კულტურულად, პოლიტიკურად, სადაც ქართველი, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი მფლობელობს" **(ბერძენიშვილი 1975:199)**.

მაგრამ აქ საჭიროა გაკეთდეს რამდენიმე შენიშვნა. საქმე ისაა, რომ კულტურულ-პოლიტიკურად ასეთივე დანიშნულებისა იყო მერჩულეს „ქართლი". იგი კი განსხვავედებოდა „ქართლის" ლეონტისეული განმარტებისაგან. ტერმინი „საქართველო" ხომ „ქართლისა" და „ქართველისაგანაა" წარმოშობილი. ამიტომ საჭიროა მოკლედ მათზე შევაჩეროთ ყურადღება.

მართალია, „ქართლის მერჩულესეული განმარტება კლასიკურადაა მიჩნეული და ქრონოლოგიურადაც წინ უძღვის ლეონტისას, ამ უკანასკნელს („ქართლის" შესახებ) კონცეფციის ათვლის წერტილად აღიარება აუცილებელია, ბოლოს და ბოლოს ქართველი მემატიანე ხომ პირველი შეეცადა ტერმინ „ქართლის" ეტიმოლოგიაც კი აეხსნა.

ამ საკითხს მიუძღვნეს თავიანთი ძიებანი: ივ. ჯავახიშვილმა, ი. ყიფშიძემ, ს. კაკაბაძემ, ს. ჯანაშიამ, ს. ჟღენტმა, ნ. ბერძენიშვილმა, ა. ჩიქობავამ, გ. მელიქიშვილმა, დ. მუსხელიშვილმა...

ყურადღება მიექცა, რომ ლეონტი მროველის მიხედვით, „ქართლი" ერქვა იმ ადგილს, სადაც დაემკვიდრა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი ქართლოსი" **(სინ 1970:427)**. „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა", მოგვითხრობს ლეონტი **(ქ. ცხ. 1955:8)**.

თუ სად აღიმართა „პირველი სიმაგრენი" გაარკვია ნ. ბერძენიშვლმა. მისი აზრით, „გორა „ქართლი" თანდათან სხვა მის გარშემო გორათა გაერთიანების ცენტრად იქცა" იგი აღმართულია მცხეთის სამხრეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არმაზის ხევის თავში, ქართლის ხევსა და ნაქულბაქევს შორის **(ბერძენიშვილი 1990:215)**,

ამ ადგილის ლოკალიზაცია მოცემული აქვს ს. ჯანაშიასაც. «По представлению Л. Мровели, —წერდა იგი,—Картли первоначально являлось названием горы, непосредственно подступившей к Куре сюга у Мцхеты и устья р. Арагви и позднее переименованной в Армази по имени позднее воздвигнутого здесь идола» (Джанашия 1988:327).

აქვე ს. ჯანაშია იმოწმებდა 1392 წლის ერთ საბუთს, სადაც ქართლოსის შესაძლო დასახლების მეზობლად დასახელებულია სოფელი ქართლი. ეს სოფელი შემდეგში მოშლილა და მას უკვე აღარ იცნობს არც ვახუშტი და არც ხუთვერსიანი რუკა.

თვით ტერმინ ქართლის ეტიმოლოგია ჯერჯერობით დაუდგენლად ითვლება. გ. მელიქიშვილი მიუთითებს რა, რომ ასეთ ახსნას საფუძველი დაუდო ს. კაკაბაძემ, ამ სიტყვას უკავშირებს დასავლეთ-ქართულ, „დაუხურავ შემოზღუდულ ადგილს" — „ქართას". აქედან მიღებულია ქართველთა თვითსახელწოდება – „ქართა-ელი — ქართაველი (კეთილხმოვანებისათვის ხმოვნებს ჩაერთვის „ვ") — ქართველი, „საქართველო" და სხვა" **(სინ 1970:427)**.

დ. მუსხელიშვილის ტერმინის ასეთი განვითარება არ მიაჩნია დამაჯერებლად. ჯერ ერთი, ეთნონიმი „ქართი" არსად არ არის დამოწმებული და „ასევე საეშვოდ გამოიყურება „ქართლისაგან" უშუალოდ გამოყვანა ტერმინისა „ქართველი". „ქართლისაგან" ბუნებრივად იწარმოება „ქართელი" ფორმალური (ლინგვისტური) თვალსაზრისით მათი ურთიერთმიმართება, როგორც ვხედავთ, გაურკვეველია"-ო, წერს იგი **(მუსხელიშვილი 1992:6)**.

თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო „ქართუელი". იგი ნაწარმოებია „ქართუდან". აქ ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც „ქართლსა" და „ქართლელს" შორის". ამ ორ ეთნიკურ და გეოგრაფიულ ტერმინს აქვთ, როგორც ვიწრო ისე ფართო გაგება **(იქვე:6-7)**.

ნ. ბერძენიშვილი ლეონტის ცნობებზე დაკვირვებით მიუთითებდა: „ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი ქართლი რომელიმე IX–X საუკუნეში სამი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა"-ო **(ბერძენიშვილი 1975:239)**.

პირველი, ქართლოსის ქართლი. ესაა ის ქვეყანა, რომელიც თარგამოსმა მისცა ქართლოსს. მისი აღმოსავლეთი საზღვარია ჰერეთი და მდ. ბერდუჯი; დასავლეთი—პონტოს ზღვა; სამხრეთი —მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფი ქედი; ჩრდილოეთი— ღადოს მთა და ლიხის მთის დასაწყისი კავკასიონის ქედთან.

მეორე, მცხეთოსის ქართლი. მცხეთოსმა, რომელიც ძმათა შორის „უგმირემ" მიიღო არმაზი და „აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკუარისა და არაგვისასა, და უწოდა სახელი თვისი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგვითგან დასავლით ვიდრე ზღუამდე სპერისა" **(ქ. ცხ. 1955:9)**.

მესამე, უფლოსის ქართლი. ლეონტი წერს: „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე ფანავრადმდე..."-უწოდა ამას ქუეყანასა ზენას- სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა–ქართლი" **(იქვე: 10)**.

მაგრამ ამათ გარდა იყო: კახოსის ქართლი, კუხოსის ქართლი, გაჩიოსის ქართლი, გარდაბოსის ქართლი, ოძრახოსის ქართლი, ჯავახოსის ქართლი. როგორც ვხედავთ, ასკვნიდა ნ. ბერძენიშვილი—„ყველა ამ „ქართლებს", გარდა საერთო სახელისა „ქართლი", საკუთარი სახელი გააჩნიათ კახეთი,

კუხეთი, სამცხე (კლარჯეთით), ჯავახეთი; მხოლოდ სამ ქართლს (გარდაბოს, გაჩიოს და უფლოსის წილს) არ გააჩნიათ სხვა საკუთარი სახელი... ამრიგად გამოდის, რომ ქართლი ეწოდება განსაკუთრებით, გაჩიოს- გარდაბოს-უფლოსის წილს. სხვა საკუთარი სახელი ამ ქვეყნებს არა აქვს, მაშინ როცა ყველა დანარჩენს ასეთი საკუთარი სახელი აქვს" **(ბერძენიშვილი 1990:240)**.

რეალურ-ისტორიულად, აკონკრეტებს დ. მუსხელიშვილი, სწორედ ეს ქვეყანა იყო ქართლი, სხვა დანარჩენები კი პოლიტიკურ ქართლს წარმოადგენდნენ **(მუსხელიშვილი 1992:7)**.

ლეონტი მროველის ყველა ქართლი არის ქართლოსიანთა ქართლი, ე. ი. აქ მთავარია ეთნიკური ელემენტი.

ქართლის ორგვარი გაგება ჰქონდა ს. ჯანაშიასაც. სავსებით ცხადია შენიშნავდა იგი, რომ ქართლი აღნიშნავს არა მთელ ქვეყანას, არამედ შედარებით მცირე გეოგრაფიულ რაიონს, რომელიც როგორც ჩანს მცხეთას სამხრეთიდან ემიჯნებოდა **(ჯანაშია 1988:325)**.

მაგრამ უძველესი დროიდანვე, შენიშნავდა იგი, წერილებით ძეგლებში დამოწმებულია ტერმინ ქართლის უფრო ვრცელი პოლიტიკური მნიშვნელობა. «В политическом значении «Картли» обозначало, как это известно, государство, которое, начиная со II в. до Хр. эры, греки, а впоследствии по их стопам и римляне именовали «Иберией» или «Иверией» **(იქვე: 331)**.

ს. ჯანაშიას აზრით, შედარებით დავიწროებულია „ქართლის" მნიშვნელობა „შუშანიკის წამებაში" აქ იგი უდრის საპიტიახშოს. კერძოდ კი — მდ. ალგეთისა და ხრამის აუზს **(იქვე:332)**, ე. ი. შემდგომი ხანის - „ქვემო ქართლს"

მერჩულეს ქართლი კი მხოლოდ ეთნიკური, ქართლოსიანთა ქართლი არაა. მასში შემოდის ჰეროსისა და ეგროსის წილი ქვეყნებიც, ვინაიდან აქაც „ყამი ქართულითა ენითა შეიწირვოდა" „მაგრამ საქმე ამაზე შორსაც მიდიოდა,—წერდა ნ. ბერძენიშვილი, — ამ მოძმეთა მიღმაც შორს ვრცელდებოდა... ტაო, ჰანეთი, ალანები და სხვა მთიელები „ქართულ ქრისტიანობას" იღებდნენ და მერჩულეს ენით „ქართველდებოდნენ" **(ბერძენიშვილი 1990:277)**.

მართალია, მერჩულე კონფესიური მოტივით ასაფუძვლებს თავის განმარტებას, მაგრამ იგი დასავლეთ საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ იქ „ყამი ქართულად შეიწირვის", „ქართლად" არ ასახელებს და მას „აფხაზეთს" უწოდებს.

ნ. ბერძენიშვილი ამას შემდეგნაირად ხსნიდა: „ქართლი არ შერქმევია არცერთ არაეთნიკური ქართლის ქვეყანას, არამედ შეერქვა უფრო მოხერხებული ახალი ტერმინი „საქართველო"; ასე, რომ მერჩულეს ფორმულა „საქართველოს წინა ხანაა, რომ ის არსებითად უკვე შობილია, ოღონდ ტერმინოლოგიური გაფორმების პროცესშია..." **(იქვე:279)**.

ლეონტი მროველის ცნობებზე საუბრისას დ. მუსხელიშვილს საჭიროდ მიაჩნია განმარტოს ეთნიკურად რას გულისხმობდა ტერმინი „ქართველნი"

წინაქრისტიანულ ხანაში. მისი აზრით, ლეონტის წარმოდგენით, სისხლის მიერ წარმომავლობას „ქართველობისათვის" გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მემატიანემ ამ სიტყვის შინაარსში 4 კომპონენტი იგულისხმა: 1. ქართული ენის ფლობა, 2. ქართულ კულტურასთან თანაზიარობა, 3. ქართული ეროვნული მახსოვრობის მქონეობა, და 4. ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახური **(მუსხელიშვილი 1992:10)**.

ნ. ბერძენიშვილს კი ამ რეალურ-ისტორიული ვითარების გააზრებაში მროველის დამსახურება ასე აქვს წარმოდგენილი: „ლეონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან XI საუკუნის პოლიტიკურმა მოღვაწემ, ორთოდოქსმა ქრისტიანმა, შეძლო და წინაქრისტიანული „ქაროველის" ეთნო- კულტურული სახე მოხაზა... ჩამომავლობა — (ქართლოსიანობა),— **ენა** (ქართული), ტერიტორია - (ქართული),—**რჯული** (ქართლოსის საფლავი და მნათობები) და **ისტორია** (მამა-პაპათა ხსოვნის პატივისცემა) — ეს იყო ქრისტიანობამდელი ხანის ქართველი კაცის კულტურული სახე. ამრიგად, „ქართველი", რომელიც თავდაპირველად სადაურობის აღმნიშვნელი ცნება იყო და „ქართლოსიანი", რომელიც თავდაპირველად სისხლით მონათესაეობის აღმნიშვნელი ცნება იყო, ორივე ეს ცნება ერთიმეორეს გაუიდენტივდა ერთ კულტურულ ცნებაში—„ქართველი" **(ბერძენიშვილი 1990:382)**.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ტერმინის „ქართველი" კულტურულ-ისტორიულ შინაარსს დაემატა მართლმადიდებლური მრწამსისადმი კუთვნილების შინაარსიც და მან უფრო ფართო ცნების აზრი მიიღო, ზოგადი მნიშვნელობისა გახდა.

თუმცა ქართულ წყაროებში ამ ტერმინის უფრო ვიწრო გაგებით ხმარების შემთხვევებიც გვაქვს. მაგალითად, „ისტორიანისა და აზმანის" ავტორთან „ქართველი" ეთნოგრაფიული ქართლის მცხოვრებს ნიშნავს **(ქ. ცხ. 1959:16; იქვე:65 და ა. შ.)**. ამავე ავტორთან ამ გამოთქმას მხოლოდ შიდა ქართლის მცხოვრების მნიშვნელობაც კი აქვს.

ეს მოკლე მიმოხილვა საფუძველს გვაძლევს დავეთანხმოთ დ. მუსხელიშვილის დასკვნას, რომ ეთნონიმი „ქართველი" თავდაპირველი მნიშვნელობით ვიწრო ტომობრივ-ეთნოგრაფიული ტერმინი იყო... რომლითაც აღინიშნებოდა ერთ-ერთი ქართული ტომის, კერძოდ ქართლის (ქართუ) ტომის წარმომადგენელი, განსხვავებით სხვა ქართველური ტომების (გუგარნი, კახნი, მესხნი, ჯავახნი, შავშნი, ტაოელნი, კლარჯნი, ივერნი, კოლხნი, ზანნი, მეგრნი, სვანნი და სხვა) წარმომადგენელთაგან. ე. ი. თავდაპირველად სწორედ ეთნოგრაფიული ქართლის (ზენა და ქვენა სოფლის) მკვიდრ მოსახლეობას) ეწოდებოდა „ქართველნი" **(მუსხელიშვილი 1992:13)**.

ლეონტის მიხედვით თარგამოსი ქართლში არარატ-მასისის ქვეყნიდან მოვიდა. შემდეგ აქ დამკვიდრდა მისი შთამომავლობა („ქართლოსიანნი"). როდის შეიძლება მომხდარიყო ეს?

ნ. ბერძენიშვილი დიდძალი ტოპონიმიკური და არქეოლოგიური მასა-

ლის ანალიზისი საფუძველზე ასკვნიდა, რომ „ქართის ტომის შუა ამიერკავკასიიდან შემოტევა" შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარში) მომხდარა. ე. წ. „თრიალეთის კულტურა" და გ. მელიქიშვილის მიერ გამოვლენილი ურარტული წყაროები, მას ამის საბუთად მიიჩნდა **(ბერძენიშვილი 1990: 237)**.

დ. მუსხელიშვილი ამ მოსაზრების დამამტკიცებელ არგუმენტად მიიჩნევს სიტყვა „ცხოვრებას", რომელიც „ცხვარისაგან" არის წარმოშობილი და უშვებს, რომ „ცხოვრება" თავდაპირველად ნიშნავდა „მეცხვარეობას" „რამდენადაც დღეს ენათმეცნიერების, — შენიშნავს იგი,—ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და ისტორიული გეოგრაფიის ერთობლივი მონაცემების მიხედვით სრულიად უცილობელია ქართველურ ტომთა წინაპრების ავტოქტონობა კავკასიაში, ამდენადვე არქეოლოგიური თვალსაზრისით ერთადერთ პერიოდად, როდესაც ამ ტომთა სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში მეცხვარეობას არსებითი მნიშვნელობა უნდა შეეძინა, რომ იგი „ცხოვრების" სინონიმად ქცეულიყო, შეიძლება იყოს მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანა" **(მუსხელიშვილი 1992:14)**.

თუ დავუშვებთ, რომ „თრიალეთის კულტურის" ტომები, ძირითადად, ქართის ტომები უნდა ყოფილიყვნენ, მაშინ ტერმინ „ქართველის" არსებობა ამ დროიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ.

ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ შუა ბრინჯაოს ხანის „თრიალეთის კულტურა" არ შეწყვეტილა და იგი გადაიზარდა „მცხეთის ქართულ კულტურაში", რაც გვიან ბრინჯაოს კულტურად განიხილება. ამას თავისი საფუძველი გააჩნდა. ეს იყო „ქართის მეტი განვითარებულობა, ქართის ტომის მეტი ორგანიზებულობა, ქართლის ტომის ბუნებრივი (გეოგრაფიული) უპირატესობანი, გადამწყვეტი ხასიათისა შუა ბრინჯაოს ხანაში (მესაქონლეობა+მეხორბლეობა+მეტალურგია). ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი: ქართის ტომმა მცხეთა დაიპყრო და აქ შექმნა ახალი ქართლი" **(ბერძენიშვილი 1990:237)**,

ქართლის ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების გამო, რაც ინტენსიური საირიგაციო სოფლის მეურნეობის, მესაქონლეობისა და მეტალურგიის განვითარების უპირატეს საშუალებებს იძლეოდა, ქართველები სხვა მეზობელ ტომებთან შედარებით კიდევ უფრო დაწინაურდნენ. ამან განაპირობა მათი ჰეგემონობა მეზობელ ტომებზე. რის შედეგადაც ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წავიდა წინ. „ქართი ტომიყლაპია გახდა" **(იქვე)**.

ეთნიკური და სოციალ-ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად პოლიტიკური პროცესებიც ვითარდებოდა. ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულისათვის ქართლის სამეფო წარმოიშვა. იგი ქართლთან ერთად მოიცავდა კახეთს, ამიერკავკასიის მთიანეთს, მტკვრის სათავეებს, ჭოროხის აუზს და ეგრისსაც. ამ სამეფოს „ქართლი" (ბერძნული წყაროებით – „იბერია") ეწრ-

დებოდა. საგულისხმოა, რომ ჰეროდოტე ქართლს არ იცნობს, მაგრამ ასახელებს იბერების შესაბამის ტერმინ „სასპეირებს“

სასპერ-სპერ-იბერის ეტიმოლოგიურ ურთიერთკავშირზე სპეციალურ ლიტერატურაში რამოდენიმე ჰიპოთეზაა გამოთქმული **(ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი)**.

დ. მუსხელიშვილი კი ერთმანეთს უდარებს მეგასთენესა და ჰეროდოტეს ცნობებს და ფიქრობს, რომ ორივე ისტორიკოსი ერთსა და იმავე ვითარებას ასახავს—სასპერ-იბერების პოლიტიკურ ექსპანსიას და ჰეგემონობას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“, უკვე ძვ. წ. VI ს-ის პირველ ნახევარში.“ ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან კი არქეოლოგიური მასალა ცხადად აჩვენებს ქართლის ტომის ფართოდ გავრცელებულობას ძირითადი საცხოვრისიდან (შიდა ქართლი) ყველა მიმართულებით. „ეს უძველესი ხანიდან დაწყებული დიდი პროცესი, — შენიშნავს დ. მუსხელიშვილი, — რომელიც შემდგომშიაც, ადრეულ შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა, რაც კარგად საბუთდება ქართული ისტორიული ტოპონიმიკით (პროკოპი კესარიელის: არქეოპოლის-ნოქალაქევი, კუტატის-ქუთაისი, როდოპოლისს-ვარდციხე, იპპოს-ცხენისწყალი, ბოას-ყვირილა—ლაზიკაში; პტოლემაიოსის: თელება- თელავი, ალვანეთში) და სხვა ისტორიულ წყაროებშიაც, ცხადია გულისხმობს ქართული ენის გავრცელებასაც. ყველაფერი ამის შედეგად გასაგები უნდა იყოს ქართის (ქართუს) ტომების მეგრულ, მესხურ და ჰერულ ტომებთან შერწყმის ძლიერი ტენდენციის არსებობა უძველესი დროიდანვე“ **(მუსხელიშვილი 1992: 18)**.

გ. მერჩულე ქართლს განმარტავდა, როგორც კლტურულ-პოლიტიკურ ცნებას, რომელშიაც უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონოდა ენობრივ ფენომენს. იგულისხმება, რომ აქ ენა მხოლოდ „ჟამის შეწირვისა და ლოცვის“ ინსტრუმენტი კი არ არის, არამედ ქართველობა ქართულ ენაზე შექმნილი მთელი კულტურული მემკვიდრეობის ათვისებასაც ნიშნავს. ე. ი. მერჩულეს „ქართლს“ როგორც კულტურულ-პოლიტიკურ ცნებას ასეთივე „ქართველი“ შეესაბამება.

ასეთი „ქართველის“ დამახასიათებელი ნიშნებია: ქართულ ენაზე მეტყველება, მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღიარება, ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობა ანუ, როგორც ნ. ბერძენიშვილი განმარტავდა: „ქართველი“ იყო ის, ვინც ქართულ ეროვნულ კულტურას და ეთიკის ნორმებს იზიარებდა“ **(ბერძენიშვილი 1990:414)**.

ცნება „ქართველის“ და ქართველი კაცის ეროვნული ტიპის ჩამოყალიბება ათასწლოვანი პროცესი იყო. მის შემუშავებაში დიდი როლი შეასრულა არა მარტო ქართის ტომის ჰეგემონობამ, არამედ იმანაც, რომ ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ არაქართული ტომებიც: მათი მონაწილეობის შედეგად შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენა.

დ. მუსხელიშვილმა ამ პროცესზე დაკვირვებით კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი შეამჩნია: „ზემოხსენებული პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული კულტურულ-პოლიტიკური „ქართველი“, ისეთივე მიმართებაში

აღმოჩნდა ვიწრო ეთნიკურ „ქართველთან", როგორც სხვა დანარჩენებთან: მესხებთან, კახთან, მეგრელეთან, ტაოელთან, სვანთან..." **(მუსხელიშვილი 1992:14)**.

ქართის ტომის კულტურის სხვაგან შეღწევის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ მას ყველგან ქართული ეწოდებოდა. ამის მაგალითების დასახელება შეიძლება სვანეთიდან, ეგრისიდან, აფხაზეთიდან, ჰერეთიდან, ხუნძეთიდან, დვალეთიდან და დაღესტნიდანაც კი. ამასვე ადასტურებს X—XII საუკუნეთა ქართულ ლიტერატურაში დაცული უამრავი მითითებანი, როცა დასახელებულ ქვეყნებიდან გამოსული მოღვაწეები თავიანთ თავს დაჟინებით უწოდებენ „ნათესავით ქართველს"

ამ კულტურულ-პოლიტიკურ სიტუაციას მისი სრულად გამომხატველი ცნება შეესაბამებოდა. ასეთი ტერმინი გახდა „საქართველო". მისი დამკვიდრებით ცნება „ქართველმაც" და „ქართლმაც" უფრო განსაზღვრული მნიშვნელობა მოიპოვა. ამის ნიმუშია გ. მერჩულეს ფორმულის („ქართლად ფრიადის ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების") სხვადასხვაგვარი გაგება. მაგალითად, ნ. მარი მასში ხედავდა **„намек на то, что грузинский язык в Кларджии был лишь церковным, а не разговорною речью всего населения, даже в половине X-го века, как писал Георгий Мерчул» (Марр,1911, შეს., §-14)**.

ს. ჯანაშია იმოწმებდა გ. მერჩულეს თხზულების სხვა ადგილს სადაც ნათქვამია: „დაიწერა ცხოვრებაჲ ესე... ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნასე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისა, ძისა კონსტანტი მეფისასა" და ფიქრობდა, რომ „Мерчули, писатель середины X в., все-таки «картвелов» противопоставляет «абхазам», вкладывая в этот термин, конечно, политическое содержание (население Абхазского царства, включавшего в себя к тому времени всю Западную Грузию, а также некоторые районы и Восточной)» **(ჯანაშია 1988:337)**.

მერჩულეს ფორმულა „აფხაზეთის" საპირისპიროდ მიაჩნდა ნ. ბერძენიშვილსაც, მაგრამ იგი ამ მოვლენას სხვაგვარად ხსნიდა. კერძოდ მისი აზრით, მვრჩულეს განმარტება კულტურულ- პოლიტიკური კი არ არის, „არამედ მხოლოდ კულტურული. საქმე ისაა, რომ მერჩულე მოგვითხრობს მირონის კურთხევის „ქართლში" განწესების შესახებ იერუსალიმის პატრიარქის მიერ, IX ს-ის პირველ ნახევარში" **(ბერძენიშვილი 1966:50)**. მცხეთაში ნაკურთხი მირონი, რომ კლარჯეთში ისევე ვრცელდება, როგორც სხვა ქართულ მხარეებში, რომლებიც მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარება ეს სადავო არ არის. მაგრამ ჯერ კიდევ სადავოა „აფხაზეთი" (დას. საქართველო), რადგან სულ ბოლო დრომდე აქ იერუსალიმში ნაკურთხი მირონი კი არ იხმარებოდა, არამედ კონსტანტინეპოლისა. მერჩულე კი განმარტავს: ახლა „აფხაზეთშიაც" მცხეთის კათალიკოსის კომპეტენცია ვრცელდება, რამდენადაც „ქართლია" ყველგან, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზე სრულდება.

„ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრით ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" (იქვე: 51).

რაც შეეხება ტერმინ „საქართველოს" ხმარებაში შემოსვლის შემდეგ პერიოდს, აქ ჩვენ სავსებით გარკვეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ზედწოდება „ქართველი" ძველ ვიწრო გაგებასთან ერთად, იგულისხმება, იძენს ახალ უფრო ზოგად მნიშვნელობას, რომელიც სავსებით შეესაბამება პოლიტიკურ ტერმინს „საქართველოს" ამასთან დაკავშირებით ს. ჯანაშია მიუთითებდა: „Картвели" обозначает представителя феодальной общественности уже всего Грузинского царства, включая в него и Абхазию, и Кахетию, и Эрети и южные провинции» (ჯანაშია 1988:337).

„მატიანე ქართლისაჲ"ში" იმ ადგილზე, სადაც აღწერილია ბაგრატ III-ის „ქართველთა მეფედ" გამოცხადების შემდეგ მომხდარი მოვლენები, „ქართველებად" იგულისხმება ამ მეფის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ქვეყნის მთელი მოსახლეობა (ქ. ცხ. 1955:278). მიუთითებდა რა ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშიას მსგავსად ასკვნიდა: „თავდაპირველად იყო ეთნიკური ქართლი. აქედან წარმოდგა ეთნიკური ქართ-ვ-ელი. ქართლის გავლენა მეზობელ ტომებზე გავრცელდა. ქართველიზაცია განიცადა მეზობელმა მესხებმა, ჯავახებმა, კახებმა და სხვებმა. წარმოიქმნა ეროვნულ-კულტურული ქართველი და მისი ქვეყანა საქართველო" (ბერძენიშვილი 1990:286).

დ. მუსხელიშვილი განიხილავს რა ტერმინ „ქართველს", როგორც კულტურულ-პოლიტიკური შინაარსის მქონეს, აღნიშნავს, რომ „იგი შეიძლება ითქვას ზოგადი ფეოდალურ-ეროვნული ცნებაა და ამ თვალსაზრისით არსებითად ერთნაირ მიმართებაშია ისეთ ეთნოგრაფიულ ცნებებთან როგორიცაა: კახი, მესხი, ქართლელი („ქართველი"), მეგრელი, ტაოელი, სვანი, თუში, დვალი, აფხაზი და სხვადასხვა" (მუსხელიშვილი 1992:20).

ტერმინების—„ქართველის" და „საქართველოს" ხმარებაში შემოსვლის შემდეგ ნ. ბერძენიშვილის აზრით, უნდა ჩამოყალიბებულიყო მათი შესაბამისი ეროვნული ცნება „ქართველობა" „ქართველობა, — განმარტავს დ. მუსხელიშვილი, — ეს არის ინტელექტუალური, სულიერი, ზნეობრივი, სოციალური, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი კულტურის სპეციფიკური ეროვნული პრინციპების ერთობლიობა, რაც განასხვავებდა ამ ნიშნების მქონე კოლექტივს სხვათაგან" (იქვე).

XI—XII საუკუნეებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება ეროვნული თვითშეგნებაც. ჯერ გიორგი მთაწმინდელი მიუთითებს „ნათესავით ქართველთა" წრფელობასა და უმანკოებაზე, ხოლო შემდეგ გრგოლ ბაკურიანის ძემ ქართველობის მხედრობაში აღზრდილობას, სიმხნესა და „პირველულსა ცხოვრებასა ჩვეულებას" გაუსვა ხაზი.

ყველაზე სრულყოფილი სახე ქართველი კაცისა კი გამჟღავნდა „ვეფხისტყაოსანში", ამიტომ იყო, რომ ნ. ბერძენიშვილი ცნებას „ვეფხისტყაოსნის

კულტურა", ამ ზოგადეროვნული ფენომენის სრულიად აღმატებული ხარისხის გამოსახატავად ხმარობდა.

„ვეფხისტყაოსნის კულტურის" შექმნა შეუძლებელია მომხდარიყო ქართული ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაფუძნების გარეშე, ე. ი. სათაკვეებს აქ კვლავ ბაგრატ III-ის მოღვწეობასთან მიეყავართ.

2. ბაგრატიონები

ბაგრატიონების დინასტია კავკასიის სინამდვილეში იმდენად სახელოვანი გვარია, რომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება თუ მათ შესახებ თხრობას დავიწყებთ ამ გვარის წარმომავლობის კვლევის ისტორიით.

ბაგრატიონების წარმომავლობის საკითხის გარკვევით გასულ საუკუნეში დაინტერესებული იყვნენ — სენ-მარტენი, მ. ბროსე, **დ. ბაქრაძე**.ამ უკანასკნელმა დაიმოწმა მ. ბროსე და მოკლედ შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: კონსტანტინე პორფიროგენეტი 952 წელს დაწერილ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ იბერიის ბაგრატიონები თავის შთამომავლობას იწყებენ ებრაელი დედაკაცისაგან, რომელიც შეაცდინა მეფე დავით წინასწარმეტყველმა. აქედან გამოდის მათი ნათესაობა „წინასწარ-მეტყველის მეფე დავითისა და მაშასადამე თვით მისგან შთამომავალის ღვთისმშობლისა" **(ვახუშტი 1885:108)**. ბაგრატიონები თავიანთი ებრაული წარმოშობით ამართლებენ სისხლის აღრევით ქორწინებას. იერუსალიმიდან გამოსული მათი წინაპრები დავით და სპანდიატესი დამკვიდრებულან სპარსეთში. შემდეგ კი თავიანთი ხელისუფლება გაუვრცელებიათ ზემო სომხეთშიაც. პორფიროგენეტის ჩვენებით, იერუსალიმიდან ბაგრატიონთა გამოსვლა უნდა მომხდარიყო 452 ან 552 წლის ახლო ხანებში. დ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ „ქართლის ცხოვრება" არ იცნობის დავითს და სპანდიატს და არც მათ უკანონო შვილობას არ აღიარებს. მისი თქმით სომეხი ისტორიკოსი ლუკა ინჯიჯიანი სხვაგვარ სურათს გვიხატავს: სომეხთა მეფე ჰრაჩემ (ძვ. წ. 700-678) ნაბუქოდონოსორისაგან საჩუქრად მიიღო ტყვე შამბათი (სემბათი). მისი შთამომავალი იყო ბაგარატი ანუ ბაგრატი, რომელთანაც კეთილად იყო განწყობილი სომეხთა მეფე ვაჰარშაგი (ძვ. წ. 149—127). იგი გახდა მხედართმთავარი, პირველი კაცი სომეხ კეთილშობილთა შორის და მეფისათვის გვირგვინის დამდგმელი. ამ ბაგრატის სახელიდან წარმოდგა

---

[1] ქართულ სიტყვათხმარებაში „ბაგრატიონი" რამდენიმე განსხვავებული ფორმით გვხვდება. ამ გვარის ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე თავის თანამოგვარეთა აღსანიშნავად ხმარობს: „ბაგრატონიანნი", „ბაგრატონიანთა" ამას შეესაბამება გ. მერჩულეს -„ბაგრატონიანთა" და „ბაგრატუნიანი" თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს ფორმა— „პანკრატონიანი", „ბაგრატიანნი", რაც მიღებული უნდა იყოს ბაგრატიონიდან (ნაწარმოებია ისევე, როგორც „სასანიანი", „გორგასლიანი", „დავითიანი"). უფრო გვიანდელი ფორმა „ბაგრატიონი" კი, ვ. დონდუას ვარაუდით, აღმოსავლურ ქართულ (კახური) ენობრივ წრეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული იონ-სუფიქსის მისადაგებით, მსგავსად სიტყვებისა: მეფიონი, საყდრიონი, მაყრიონი, დროშიონი, არიფიონი და მისთ. **(ქრ. „კრებული ენათმეცნიერული", 1966:70)**

გვარი **„ბაგრატუნი"**, ქართველების - **„ბაგრატოვანი"** არტაშეს II-ის დროიდან (ძვ. წ. 30—20) მათ მიიღეს მეფის შემდეგ უპირველესი პირის წოდება და თითქმის ნახევარი სამეფოს გამგეობა. „ბაგრატიდები განაგებდნენ სპერის მხარეს, ტაიკისა ანუ ქართველების ტაოს-კარის შუაგულში" აქ მათი რეზიდენცია იყო ციხესიმაგრე სემბატავანი, მას ასე ერქვა, რადგან მის ამგები იყო ბიურატს შვილი სემბატი. ლ. ინჯიჯიანის ვარაუდით, ეს სუმბატი უნდა იყოს ის სუმბატ ბივრიტიანი, რომელსაც „ქ. ცხ.-ბა" იხსენიებს აზორიკისა და არმაზელის მეფობაში (მისი ქრონოლოგიით, 87—103 წწ. —გ. მ.) და, რადგან მათი რეზიდენცია სპერში იყო აქედან მომდინარეობს ბაგრატიდების ნათესაობა აფხაზთა მეფეებთან, ხოლო ისინი X-ს-ში საქართველოს მეფეებიც გახდნენ **(იქვე: 109--110)**.

ამ მოსაზრების დამოწმების შემდეგ დ. ბაქრაძე შენიშნავს: ჩვენ არ უარვყოფთ სომეხი ბაგრატიდების ნათესაობას ქართველ ბაგრატიონებთან, მაგრამ კონკრეტულად რაგვარი იყო ეს ნათესაობა სათანადო წყაროების უქონლობის გამო შეუძლებელია აღვადგინოთო. ასევე, იგი უარყოფს ბროსეს ცნობების ჰეშმარიტებად მიღების შესაძლებლობას, რადგან ისინი ჭოროხის ხეობის არქეოლოგიური მასალებით არ დასტურდებიან. პირიქით, შენიშნავდა დ. ბაქრაძე, აქ სომეხი ბაგრატიდების არავითარი კვალი არ ჩანსო **(იქვე: 110)**.

სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთას" ხანგრძლივი დროის მანძილზე იკვლევდა **ექვთ. თაყაიშვილი**. ეს ძეგლი პირველად მან გამოსცა 1890 წელს, მეორედ —1906 წელს. ხოლო მისეული უკანასკნელი მესამე გამოცემა 1949 წელს შედგა. ჯერ კიდევ 1890 წლის გამოცემაში მან ყურადღება მიაქცია ამ სადინასტიო სახლის გენეალოგიურ მონაცემებს, IX საუკუნეზე ადრინდელ პერიოდში. უკანასკნელში კი იგივე მონაცემები შეადარა ჯუანშერის ცნობებს და სხვა წყაროებს.

ამ გამოკვლევის შედეგად ექვ. თაყაიშვილმა შეადგინა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ორი გენეალოგიური ტაბულა, რომლის გაცნობა მკითხველს მკაფიო წარმოდგენას აძლევს გაარკვიოს რა სხვაობაა სუმბატის ცნობებსა და სხვა მასალას შორის, საქართველოს ისტორიისათვის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი გვარის გენეალოგიის გადმოცემაში, დააზუსტოს თავისი ცოდნა ამ საკითხზე. ასე რომ სუმბატის „ქრონიკის" შესწავლის დარგში მხცოვანი მეცნიერის მიერ გაწეულ ღვაწლზე, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გავავრცელოთ მისი დაუღალავი შრომის შესახებ, ნ. ბერძენიშვილის შემდეგი ნათქვამი: ექვთ. თაყაიშვილმა „საქმეს ამ მიმართულებით დასდო ისეთი ამაგი, რომ მისი ბადალი არც ერთ მღვაწეს არ გაუწევია" **(კრ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი", თბ., 1966:10)**.

ივ. ჯავახიშვილს ბაგრატიონთა წარმომავლობის ადრეული პერიოდი არ უკვლევია. პირველი ვისაც ის ბაგრატიონთაგან კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობაზე დაყრდნობით ასახელებს არის აშოტ დიდის მამა ადარნასე[1], მაგრამ იგი სუმბატ დავითის „ქრონიკის" მიხედვით შედგენილ „შტო-

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 113.

ში“ აღარ შეჰყავს. ამ გენეალოგიურ ტაბულას იგი აშოტით იწყებს და ბაგრატ III-ით ამთავრებს. რაც შეეხება სუმბატის „ქრონიკის“ დასაწყისში მოცემულ ბაგრატიონების წინაპართა სახელების სიას, რომლითაც ვითომ მტკიცდება ბაგრატოვანთა დავით წინასწარმეტყველისა და მეფისაგან შთამომავლობა, იგი ივ. ჯავახიშვილს „დაბადებიდან“ გადმოწერილად მიაჩნდა (**ჯავახიშვილი 1977:196**). „ქართველი ერის ისტორიის II ტომში ავტორს შესაძლო სისრულით აქვს მოთხრობილი მის მიერ „შტოდ“ წოდებულ ცხრილში დასახელებული თითქმის ყველა ბაგრატიონის შესახებ. ეს მონაცემები ჩვენ ქვევით არაერთხელ გვაქვს დამოწმებული.

ს. **ჯანაშია** კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობების განხილვასთან დაკავშირებით შეეხო ბაგრატიონთა გენეალოგიის საკითხს. უპირველესყოვლისა იგი შენიშნავდა, რომ გადმოცემა ამ გვარის წინაპრების იერუსალიმიდან გადმოსახლების შესახებ „ზღაპარია და ანგარიშგასაწევი არ არის“ (**ჯანაშია 1987:247**). ამასთან მან გაასწორა პორფიროგენეტის მიერ დაშვებული შეცდომა, რაც აშოტ დიდის მომდევნო სამი თაობის ბაგრატიონთა თანმიმდევრობის აღრევაში მდგომარეობდა. ჩვენი თემისათვის უფრო საყურადღებოა ს. ჯანაშიას მიერ ბაგრატიონ კურაპალატთა მემკვიდრეობითობის დაზუსტება. საქმე ისაა, რომ ვინაიდან ბაგრატიონოა გვარში, ერთი და იგივე სახელი ხშირად მეორდებოდა, გენეალოგიური ტაბულების შედგენისა და ნარატული თხრობის დროს, ამ სახელთა მატარებელი პირების წოდებებიც ერთმანეთში ერევათ ხოლმე. მაგ. გურგენი მხოლოდ ერთი იყო კურაპალატი, ასახელებენ კი ორს. ასევე, ასეთ წოდებას ატარებდა ორი ადარნასე და „შტოში“ კი შეჰყავთ სამი. ს. ჯანაშიამ გაასწორა ეს შეცდომები და დაადგინა: კურაპალატობა მემკვიდრეობით ყოველთვის ჰქონდა აშოტ დიდის ძის ბაგრატის პირდაპირ შთამომავლებს, გარდა ერთი შემთხვევისა, „რომელსაც ადარნასეს ძის კურაპალატობა წარმოადგენს“-ო (**იქვე: 255**).

ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ „გიორგი მერჩულეში“ ვრცელი მსჯელობა გამართა **პ. ინგოროყვამ**. იგი გადაჭრით უარყოფს მათ სომხურ წარმოშობას. იმოწმებს ქართულ, სომხურ, ბიზანტიურ წყაროებს და იძლევა ამ გვარის ორივე შტოს (ქართულისა და სომხურის) შესახებ არსებული ცნობების კრიტიკულ მიმოხილვას.

პ. ინგოროყვას მსჯელობის თანმიმდევრობა ასეთია: ბაგრატიონთა გვარის აღზევება იწყება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. შუა საუკუნეებში კი მათ მიიღეს მეფობა საქართველოსა და სომხეთში. ძველ ქართულ მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ნათქვამია, რომ არიან ქართლის მეფის ძემ აზომ მამის ქვეყნიდან მდაბიოთა ათასი სახლი და მამა-მძუძუეთა ათი სახლი წამოიყვანა და დამკვიდრდა მცხეთაში. ეს აზო იყო ქართველთა პირველი მეფე, ხოლო მის შემდეგ მეფე გახდა ფარნავაზი (**ინგოროყვა 1954:80**). ეს არის ვარიაცია კონსტანტინე პორფიროგენეტის მონათხრობისა ბაგრატიონთა იერუსალიმიდან გადმოსახლების შესახებ.

„რაკი ბაგრატიონთა გვარი ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდა, — დაასკვნის პ. ინგოროყვა — გასაგებია ამის

შემდეგ, რომ ბაგრატიონთა გვარის შესახებაც იმავე სახის თქმულება ყოფილა გავრცელებული, რაც ფარნავაზიანთა დინასტიის შესახებ" (იქვე: 82).

ამ თქმულებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მან სამი ცვლილება მაინც განიცადა. სწორედ მესამეში გაჩნდა ხსენება დავით წინასწარმეტყველისა. დავითი, რომ არ იყო დასახელებული ბაგრატიონთა წინაპრად, მაგრამ მათი წარმომავლობა რომ ჰურიასტანს უკავშირდებოდა, ამას ადასტურებს VII ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი.

დავით წინასწარმეტყველიდან წარმომავლობა თქმულებაში შევიდა მას შემდეგ, რაც ბაგრატიონები მეფეები გახდნენ. ამით საბუთდებოდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. რამდენადაც: ქართველთა სამეფოს მეთაურნი წარმოადგენდნენ პირდაპირ შტოს დავით წინასწარმეტყველისას, რომელიც მეფედ ცხებული და დადგენილი იყო თვით ღვთაების მიერ და, თანაც, მისგანვე ხორციელად წარმოდგებოდა თვით იესო ქრისტე (იქვე:83). პ. ინგოროყვას დაზუსტებული აქვს, რომ თქმულებაში ამ პასაჟის შეტანა მომხდარა აშოტ დიდის დროს. მისი აზრით, ამას ადასტურებს ოშკის ტაძრის ბარელიეფი 818 წლისა. აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის მიმართვა აშოტისადმი: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული ხელმწიფეო"

რაც შეეხება ქართველთა პირველ სამშობლოს „არიან ქართლს"(=„ჰურ-ქაშდიმ, ჰურ-ქართლი), როგორც გაუგებარი იგი შეიცვალა უფრო ნაცნობი ჰურიასტანით, იერუსალიმით (იქვე:86).

სომეხ და ქართველ ბაგრატიონთა ურთიერთმიმართების საკითხზე მის ხელთ არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე პ. ინგოროყვა ვარაუდობს: „სომხეთის ბაგრატიონთა შტოს გამოყოფა ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობიდან უძველეს ხანაში მომხდარა, ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქაში"-ო (იქვე:91). ამის მიზეზად მას მიაჩნია სომხეთის მიერ ანტიკური ხანის დასასრულს, II—III საუკუნეებში, ქართული პროვინციის ზემო სპერის მიტაცება. ამ პროვინციაში მმართველ მთავრებად დარჩა ბაგრატიონთა განშტოება. „სომხეთის ბაგრატიონთა ეს შტო დიდ როლს თამაშობს სომხეთის ისტორიაში. მათი გავლენა თანდათან იზრდება; ფართოვდება აგრეთვე მათი სამფლობელოები. მე-4 საუკუნის შემდეგ, როდესაც სომხეთში დაეცა არშაკიდების სამეფო სახლი, სომხეთის ბაგრატიონთა ხელში გადავიდა აირარატის მხარის" კონგისა და ბაგრევანდის პროვინციები. „ამრიგად ბაგრატიონთა გვარის სომხეთის შტო დროთა განმავლობაში ახლო დაუკავშირდა სომხეთის ქვეყანას: უფრო გვიან მათ სომხეთის მეფობაც მიიღეს" (იქვე: 91--92).

სომხეთის ბაგრატიონები, რომ არ არიან სომხური წარმომავლობისა ამას მათი კარის ისტორიკოსი მოსე ხორენელიც ადასტურებს, შენიშნავს პ. ინგოროყვა და მოჰყავს სომეხი ისტორიკოსის ასეთი მსჯელობა: „თვითნებურად ამბობენ, რომ გვირგვინის-დამდგმელთა ბაგრატოვანთა გვარი თითქოს მომდინარეობს ჰაიკიდან, ამაზე გეტყვი: არ ერწმუნო ასეთ სულე-

ლურ სიტყვებს იმიტომ, რომ ასეთ სიტყვებში არ არის არავითარი კვალი, არავითარი ნიშან-წყალი სიმართლისა" **(იქვე:93)**.

პ. ინგოროყვას ასეთ პრინციპულ პოზიციას „პროვინციული პატრიოტიზმი" უწოდა ჭალაქ ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორმა **კ. თუმანოვმა (თუმანოვი 1963:336)**. თუმცა არც მისი შეხედულებები გამოირჩევა მიუკერძოებლობით და „კოსმოპოლიტური პატრიოტიზმით". თუ პ. ინგოროყვა თავის დასკვნებამდე (რომლებიც კვლევის გრანდიოზული მასშტაბების გამო ყოველთვის პრეციზიული წარმოუდგენელია რომ იყოს) წყაროთა მისეული გაგების გზით მივიდა, კ. თუმანოვი სწორედ წინასწარდასახული მიზნით უვლის გვერდს ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობის შესახებ არსებულ ზოგიერთ მონაცემს და ასეთი გზით სურს დაამტკიცოს მათი სომხობა.

თუ ბ-ნ კ. თუმანოვს მისთვის არასასურველი მოსაზრებების გამოთქმის გამო პ. ინგოროყვასათვის კიდევ შეეძლო ტენდენციურობა დაებრალებინა, სრულიად უსამართლოა მისი მსჯელობა XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის მიმართ. შეუძლებელია ბაგრატიონთა მემატიანეს საკუთარი გვარის წარმომავლობა კ. თუმანოვზე უკეთ არ სცოდნოდა და უკვე XI საუკუნეში გაეყალბებინა, ვის დასჭირდებოდა XX ს-ში ბაგრატიონების სომხური წარმომავლობის უსაფუძვლოდ მტკიცება.

კ. თუმანოვის მცდარი თეორიული კონსტრუქციის განხილვას მიეძღვნა **გ. მამულიას** სტატია, სადაც ავტორს ამერიკელი მეცნიერის კრიტიკასთან ერთად მოცემული აქვს ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის საკუთარი კონცეფცია **(მამულია 1971)**.

გ. მამულია ერთმანეთთან აჯერებს სამის წყაროს „მოქცევაჲ ქართლისას", ლეონტი მროველის და მოსე ხორენელის ცნობებს. ამ უკანასკნელის მიხედვით, გოგარენეს პიტიახშთა სახლი „გამოსული იყო ნათესავით მიჰრდატისა, დაიჰერის ნახარარისა, რომელიც მოიყვანა ალექსანდრემ (მაკედონელმა. — გ. მ.) და დასტოვა მთავრად... იბერიელებზე". „მოქცევაჲ ქართლისა" კი გვაცნობებს, რომ „არიან ქართლის" მეფის ძე აზო იყო ქართლის პირველი მეფეო. ხოლო ლეონტი მიუთითებს ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზონის მცხეთაში დადგინების შესახებ. „რადგან, — წერს გ. მამულია, — მოვსეს ხორენაცის მიჰრდატი და „მოქცევაჲ ქართლისაჲს" და ლეონტი მროველის აზო-აზონი იგივე პირები არიან; გოგარენეს პიტიახშები კი ბაგრატიონთა სახლს ეკუთვნოდნენ და, ამრიგად, ბაგრატიონთა სახლის შვილები „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ენაზე რომ გადმოვიტანოთ, „არიან ქართლის" მეფის ძის — აზოს, ჩამომავლებად გვევლინებიან" **(მამულია 1971:183)**. ე. ი. მოხდა სამ წყაროში დასახელებული მიჰრდატის, აზოს და აზონის იდენტიფიკაცია.

ასეთი დასკვნის მიღებამდე გ. მამულიას გარკვეული აქვს: 1. „ბაგრატიონთა სახლი პიტიახშობით იყო ცნობილი და არა მარტო პიტიახშობით, არამედ ბივრიტიანობითაც, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ პიტიახშ-ბივრიტიანობით; 2. ბაგრატიონები იყვნენ გოგარენეს პიტიახშები, მათვე ეკუთვნოდათ ჰოროხის ხეობის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ სა-

ნახები და ოძრხის საერისთავო; 3. გოგარენეს საპიტიახშო ჩამოაყალიბა ტიგრან II-მ (95—56 წ. ძვ. წ.) იბერიის კუთვნილი მიწების დაპყრობის შემდეგ; 4. ტიგრან II-მ გოგარენეს პიტიახშს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მმართველობაც დააკისრა. ტიგრანის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები სირია და კილიკია. მათი მმართველი კი 83—69 წლებში ბაგადატი იყო. მას „სომეხ ბაგრატიონთა ნახარარული სახლის ფუძემდებლად მიიჩნევენ" **(იქვე: 182)**; 5. ეს ბაგადატი სომეხი ისტორიკოსის სებეოსის (VII ს.) მიერ მოხსენიებული იგივე ბაგრატ ფარნავაზიანია.

ყველა ეს მონაცემი შედარებით მოგვიანო ხანას ასახავს. ამ დროს „ბაგრატიონთა სამფლობელოებს ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონები წარმოადგენდნენ, რომელნიც გოგარენეს საპიტიახშოში შედიოდა. და რომლის მიწა-წყალზე საპიტიახშოს შექმნამდე ძვ. წ. IV ს-ის I ნახევრის დამდეგს „არიან ქართლის" სახელმწიფო წარმონაქმნი იყო. ალექსანდრეს მიერ ძველ მცხეთაში დადგენილი „არიან ქართლის" მეფის ძე - აზო, მოვსეს ხორენელთან დარიოს III (336—330) ყოფილი ნახარარით შიჰრდატით არის შენაცვლებული, რაც აზო (აზონსა) და მიჰრდატს შორის მჭიდრო ურთიერთ კავშირს ჰგულისხმობს, თავის მხრივ კი ისინი ორივენი ალექსანდრე მაკედონელზე დამოკიდებულნი ჩანან" **(იქვე: 183)**.

აზოს პიროვნება, ქართული წყაროების წყალობით ასე თუ ისე გარკვეულია. მიჰრდატს კი გ. მამულია ისტორიულ პირთა შორის ასეთ პროტოტიპს უძებნის: ძვ. წ. 334 წელს, როცა გარნიკთან ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის ჯარი დაამარცხა, მის მხარეზე გადმოვიდა სპარსეთის მეფის მოხელე, ქალაქ სარდესის გარნიზონის მეთაური მითრენი. 331 წელს, გავგამელასთან ბრძოლაში დარიოს III-ის საბოლოოდ განადგურების შემდეგ, ალექსანდრემ მითრენი სომხეთის სატრაპად დანიშნა.

ეს ხდებოდა „არიან ქართლის" საზღვრებთან ახლოს. ამ ქვეყნის ხელისუფალთ კი აინტერესებდათ აქემენიდური ირანის დასუსტება. ე. ი. ალექსანდრეს და, მათ ერთი ინტერესები ამოქმედებდათ. „ბერძნები" ამ დროს თვით იყვნენ დაინტერესებული კავკასიაში „მოკავშირის" შეძენით. „უცხო ძალის"; ე. ი. მაკედონელთა მოწვევით აზომ (აზონმა) წამოიწყო ბრძოლა ქართლის ერთიანი სამეფოს („ჰერეთიდან ეგრისწყალამდე") შესაქმნელად. აზო ისე ქართველთა მოძულე არ იყო, როგორც მას ლეონტი წარმოგვიდგენს. ალექსანდროფილი კი უნდა ყოფილიყო, რადგან მაკედონელის დახმარება ესაჭიროებოდა. ამ უკანასკნელის შორს ყოფნის გამო რეალური დახმარების აღმოჩენა მის მიერ სომხეთის სატრაპად დანიშნულ მითრენს შეეძლო. „აზო (აზონმა) „უცხო ძალა" მოიხმო და ქართლის ერთიანი სამეფოს საზღვრები მოხაზა („ჰერეთიდან ეგრისწყალამდე") და მითრენის „წყალობითაც" ალექსანდრეს იმპერიამ თავისი „ვასალი" აზო (აზონი)... ქართლის გაერთიანებული სამეფოს მეფედ იცნო" **(იქვე:184)**.

საგულისხმოა, რომ მოსე ხორენელის ცნობით, რომლის წყაროა გოგარენის პიტიახშთა საგვარეულო, ალექსანდრემ იბერიის მმართველად დარი-

ოსის ნახარარყოფილი მიჰრდატი დანიშნა და არა აზო ან ლეონტის აზონი. მიჰრდატი მიჰრის მოცემულს ნიშნავს. ამ სახელში ის პატივი აისახა, რომლითაც აზოს შთამომავალი ბაგრატიონები ეკიდებოდნენ ალექსანდრეს მიერ სომხეთის სატრაპედ დანიშნულ მიჰრს, რომელმაც თავისი „მფარველობით" აზო (აზონი) გაერთიანებული საქართველოს მეფე „გახადა"

ეს ტრადიცია ნაწილობრივ აისახა „მოქცევაჲ ქართლისაჲში" მას მკვეთრად უპირისპირდება ლეონტი მროველი. რომელიც ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას განიხილავს, როგორც „ქართის ტომის ხელისუფალის („=მცხეთოსს") ორი სახლის - „უფროსი სახლის" (ფარნავაზის) და „უმცროსი სახლის" აზო-(აზონის) ბრძოლის შედეგს" **(იქვე:185)**.

იმავე ლეონტის ცნობით, ქართლოსის შვილთა წილხვედრილ „ქუეყნებს" შორის „ყველაზე მსხვილი და განვითარებულ სახელმწიფო წარმონაქმნებს მცხეთოსის ძეთა (ქართლის ტომის ხელისუფლის) — უფლოსის („ზენა სოფლის", შიდა ქართლის) და ოძრახოს-ჯავახოსის („არიან ქართლის") სახელმწიფო წარმონაქმნები წარმოადგენდნენ" **(იქვე)**

როცა მიჰრის „წყალობით" აზომ „ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა" ხელისუფლება მიიღო, „მოქცევაჲ ქართლისას" ცნობით, ტახტი მცხეთაში დაიდგა. „და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, აზო, ძე არიან-ქართველთა მეფისაჲ" **(ძეგლები 1964:82)**.

„ამრიგად, -წერს გ. მამულია, — ბაგრატიონთა სახლის ფუძემდებელი აზო ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველ მეფედ გვევლინება და ბაგრატიონთა სახლის შვილები ეთნიურად ქართის ტომისა იყვნენ" **(მამულია 1971:186)**. ეს ფაქტი კი ერთი საუკუნით უსწრებს წინ ბაგრატიონთა სომხური ნახარარული შტოს ჩამოყალიბებას.

ფარნავაზისაგან გაქცეული აზო თავის სამკვიდრო მამულში, ოძრახოსის წილ კლარჯეთში წავიდა. ფარნავაზმა იგი დაამცირა. „მისი ქვეყანა ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოებად დაჰყო. ამ რანგში იყვნენ აზოს შთამომავლები (ბაგრატიონები), როცა მათ ტიგრან II-მ გოგარენის პიტიახშობა მისცა. ამ სახელოს მოპოვებით ბაგრატიონთა სახლი სომეხ ნახარართა შორის პირველ რიგებში მოექცა. ტიგრან II-მ ისინი სირია-კილიკიის მმართველადაც დააყენა.

„ბაგრატიონთა სახლის სომხეთში აღზევებით ამ სახლის მდგომარეობა ქართლშიც დიდად გაუმჯობესდა და აზოს შთამომავლები—ბაგრატიონთა სახლის შვილები, არმაზის პიტიახშებად ჩანან" **(იქვე:187)**.

არმაზის პიტიახშობის მიღწევის შემდეგ, ბაგრატიონთა სახლის შვილებს მათი კუთვნილი მიწა-წყლის ერისთავობის დაბრუნება აღარ გაჭირვებიათ და ვახტანგ გორგასალის დროს ოძრხის ერისთავობა ბაგრატიონთა სახლისშვილს — ბივრიტიან სეფე-წულს ეპყრო. ბივრიტიანის ეს სეფეწულობა კი მიუთითებს, რომ ბაგრატიდები ფარნავაზიანთა სამეფო გვარის „უმცროს სახლს" ეკუთვნოდნენ.

ბაგრატიონებმა, რომ ქართლსა და სომხეთში მეფობის გაუქმების ეპოქამდე ქრისტიანულ კავკასიაში ერთ-ერთი წამყვანი გვარის სახით მოაღწიეს, აზოს შთამომავლების პოლიტიკურ გამჭრიახობაზე მიუთითებს. „დი-

დი პოლიტიკური გამჭრიახობა იმაში გამოიხატა, — აღნიშნავს გ. მამულია, — რომ მათ გოგარენეს პიტიახშის სახელო მიიღეს. რადგან სწორედ პიტიახშობის სახელომ განაპირობა ბაგრატიონთა სახლის აღზევება სომხეთშიც და ქართლშიც, და სამეფო ხელისუფლებაც საქართველოში ბაგრატიონთა სახლმა თავისი ძირძველი მამულიდან — სწორედ იმ კლარჯეთიდან აღიდგინა, საიდანაც მათმა მამამთავარმა აზომ თორმეტი საუკუნის მილმა ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩაუყარა საფუძველი" **(იქვე)**.

ვახტანგ გორგასალის მომდევნო ხანაში ქართველ ბაგრატიონთა შთამომავლობის ისტორია, მათი გვარის მემატიანის სუმბატ დავითის ძის ქრონიკის წყალობით, იოლად თვალგასადევნებელია. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი სუმბატის სქემას მთლად ზუსტად არ მიიჩნევს **(მამულია 1976)**.

აზრთა სხვაობას იწვევს VI ს-ის II ნახევრის მოღვაწის გუარამ კურაპალატის ვინაობა[1]. სუმბატის მიხედვით იგი „ბაგრატიონთა მამა" იყო **(ქ. ცხ. 1955:373)**. ჯუანშერი გუარამ კურაპალატს ვახტანგ გორგასალის ბერძენი ცოლისაგან ნაშობად თვლის **(იქვე: 243)**. როგორც გ. მამულია ვარაუდობს, იგი უნდა ყოფილიყო ქართლის პირველი ერისმთავარი მეფობის გაუქმების შემდეგ **(მამულია 1976:120)**. ე. ი. ქართლის მომდევნო ერისმთავრები ვახტანგის სახლის „უმცროსი შტოს"— „გუარამიანთა" შთამომავლები იყვნენ, ვიდრე არჩილის ძის ჯუანშერის გარდაცვალებამდე. აქ „გუარამიანთა შტო შეწყდა. ქართლის ერისმთავრობა ამის შემდეგ ბაგრატიონზე გადავიდა. ეს თანამდებობა მათ მიიღეს ვინაიდან ადარნასე ბაგრატიონმა გუარამ II კურაპალატის ასული შეირთო ცოლად. თავიდან ადარნასემ „გუარამიანთა მამულის მხოლოდ მესამედი მიიღო, მაგრამ როცა არჩილის ძე ჯუანშერი „და მისი ცოლი, გუარამის ასული უძეოდ გადაშენდნენ, ადარნეასეს ცოლმა, გუარამის მეორე ასულმა ბაგრატიონებს „მზითევში" მოუტანა „გუარამიანთა" მთელი სამემკვიდრეო, „რადგან იგი ერთადერთი „გუარამიანი" იყო, რომელსაც მემკვიდრე აშოტ ბაგრატიონი ჰყავდა" **(იქვე:122)**.

„ადარნასეს კლარჯეთში მოსვლით, — განაგრძობს გ. მამულია, – (VIII ს-ის შუახანებში) დაიწყო ბაგრატიონთა აღზევება ქართლში". მისმა შთამომავლებმა X ს-ში საჭიროდ მიიჩნიეს „დაეძველებინათ" თავიანთი მიგრაცია და მათ თავიანთ პირდაპირ წინაპრად, ვახტანგ გორგასალის მიერ ოძრხის

---

[1] გუარამის წარმომავლობის შესახებ ს. ყაუხჩიშვილის შემდეგი მოსაზრება აქვს გამოთქმული: 572 წელს, ქართველმა ერისთავებმა ისარგებლეს სპარსეთში მომხდარი არეულობით, დაუკავშირდნენ ბიზანტიელებს, აჯანყდნენ და აღიდგინეს დამოუკიდებლობა. „სპარსეთისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას სათავეში ჩაუდგება გუარამი „დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა ბერძნის ცოლისაგან", მანამდე იგი მთავრობდა კლარჯეთსა და ჯავახეთს. ძველი ქართველი ისტორიკოსები აქედან იწყებენ ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობას საქართველოში. ეს ძველი ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიცია ცნობილია კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის, რომელიც თავის 952 წელს დაწერილ შრომაში გადმოგვცემს: „ხოლო იმ დროიდან როდესაც ისინი (ე. ი. ბაგრატიონები) იერუსალიმიდან იმ მიწა-წყალზე გადასახლდნენ, რომელიც ახლა არის მათ მიერ დასახლებული, გარდახდა 400 თუ 500 წელი დღევანდლამდე", 952 წლამდეო" **(ყაუხჩიშვილი 1957:116)**.

ერისთავად დადგენილ ბივრიტიანი სეფე-წული ჩათვალეს. მაშასადამე, თავისი საგვარეულო ქართლში V საუკუნეში დამკვიდრებულად გამოიყვანეს. აშოტ კურაპალატის დედით „გუარამიანობამ“ მათ ფარნავაზიანი გუარამ კურაპალატის ბაგრატიონად გამოცხადების საფუძველი მისცა.

სინამდვილეში აშოტი მხოლოდ დედით იყო „გუარამიანი“. მამამისი ადარნასე ბაგრატიონი სომეხთა მთავრის აშოტ ბრმის (გარდ. 761 წ.) ძის ვასაკის შვილი იყო. 772 წელს არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული ვასაკის უფროსი ძმა სუმბატი დამარცხდა. მის სახლისშვილებს სომხეთში აღარ დაედგომებოდათ და ადარნასე ვასაკის ძე, ბაგრატიონთა მამულში, რომელიც მათ სომხეთში გადასახლებამდე ეკუთვნოდათ კლარჯეთში დაბრუნდა **(იქვე : 118)**.

გ. მამულიას ეს კონსტრუქცია წყაროებით დაუდასტურებელ ორ პოსტულატს ეყრდნობა. პირველი, არცერთი წყარო არ აჩვენებს, რომ გუარამ კურაპალატს ჰყავდა მეორე ქალიშვილი, რომელიც ადარნასე ბაგრატიონმა შეირთო. უფრო სწორად ჩვენ არ ვიცით ვინ იყო აშოტ კურაპალატის დედის დედა. მისი გუარამ კურაპალატის ასულად ჩათვლა მხოლოდ ჰიპოთეზაა, რომელიც გონივრულობის მიუხედავად დაუსაბუთებელია. მეორე, აშოტ დიდის სომეხ ბაგრატიონთაგან წარმომავლობა გ. მამულიას აღებული აქვს კ. თუმანოვის ბრმენოფილური კონცეფციიდან **(თუმანოვი 1963: 351-354)**. ქართველი მეცნიერი გრძნობს ამ „საყრდენის“ გამო წარმოქმნილ უხერხულობას და შენიშნავს, რომ ბაგრატიონითა სომხური შტო, ძვ. წ. II საუკუნეში, კლარჯეთის ერისთავ-ბაგრატიონთა შთამომავლებს წარმოადგენდა და ადარნასეს სახით ისინი თავიანთ ძველ მამულში დაბრუნდნენ, მაგრამ კ. თუმანოვსა და მის ინფორმატორებს ადარნასე და აშოტი კლარჯეთში „წინაპართა მიწის ყივილის“ გამო კი არ მიუყვანიათ, არამედ მათ ამით ქართველ ბაგრატიონთა სომხური წარმომავლობა სურთ დაამტკიცონ. ქართველი მკვლევარი კი ნებსით თუ უნებლიეთ მათი თანამოაზრე გამოდის. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად ჩვენ ხელთ გვაქვს ქართული აუთენტიკური წყარო, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

ამ ძეგლის ავტორი, ჯუანშერის მიერ კლარჯეთისა და ჯავახეთის მთავრად დასახელებულ გუარამს (რომელიც ჩანართის მიხედვით **(ქ. ცხ. 1955:218)** დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი იყო), როგორც ვთქვით, ქართლის ერისთავად და ბაგრატიონთა მამად აცხადებს. „და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი,- განმარტავს იგი, — შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“ **(იქვე: 373)**. ამ გუარამს კურაპალატობის პატივი მისცა ბიზანტიის იმპერატორმა და მანვე დაადგინა იგი მცხეთაში, სადაც გუარამმა საფუძველი ჩაუყარა ჯვრის მონასტერს. მის შემდეგ ერისმთავრობა მიიღო მისმა შვილმა სტეფანოზმა, ამ მთავრის დროს ჯვრის მშენებლობას განაგრძობდა მისი ძმა დემეტრე. **(ქ.ცხ. 1975:223)**.

მომდევნო ერისმთავრები აღმავალი შტოთი ერთი მეორის პირდაპირი მემკვიდრენი იყვნენ. სტეფანოზ I შეცვალა მისმა შვილმა ადარნასემ, ეს კი — სტეფანოზ II-მ (მან დაამთავრა ჯვრის ტაძრის მშენებლობა).

„ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთაობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი. — განაგრძობს სუმბატ დავითის ძე, — შემდგომად მისსა ვარაზბაკურ, ძე მისი, ანტიპატოსი, რომელმან გარდაბანელნი მოაქცივნა. და მერმე ნერსე და ძენი მისნი, ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე. და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი" **(იქვე:376)**.

ივ. ჯავახიშვილს სამართლიანად მიაჩნია ექ. თაყაიშვილის დაკვირვება, რომ სუმბატ დავითის ძის წყაროს პირველ ბაგრატიონთა შესახებ „მოქცევაჲ ქართლისას" მატიანე წარმოადგენდა, „მაგრამ, — უმატებდა იგი,— (სუმბატს.—გ. მ.) უეჭველია სხვა წყაროებიც ჰქონდა, რომელნიც კარგ და სწორ ცნობებს შეიცავენ" **(ჯავახიშვილი 1977:196)**. ბ-ნი ივანეს ამ შენიშვნის ჭეშმარიტებას სწორედ „მოქცევაჲ ქართლისაში" დაცული **(ძეგლები 1964:97)** ქართლის ერისთავთა სია ადასტურებს. სუმბატს იგი აშკარად დაზუსტებული და გენეალოგიური ცნობით შევსებული აქვს.

ცხადია, რაღაც კორექტივების შეტანა ამ სიაში საჭიროა, მაგრამ ადარნასე და აშოტ დიდი, რომ გუარამ I კურაპალატის (ბაგრატიონის) შთამომავლები არიან, არა მგონია, ამაში ეჭვის შეტანა იყოს საჭირო.

ზევით კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ გ. მამულიამ აკადემიურობით გამორჩეული და ზომიერი ტონით დაწერილი მიმოხილვა მიუძღვნა კ. თუმანოვის წიგნს. მაგრამ არა გვგონია ასევე კორექტული იყოს მისი მსჯელობა, როცა პ. ინგოროყვას წყაროთა გაყალბებაში, ტენდენციურად შერჩევასა და კ. თუმანოვისებურად — „პროვინციულ პატრიოტიზმში" სდებს ბრალს **(გ. მამულია 1971:183)**.

ასეთის ერთ მაგალითად გ. მამულიას პ. ინგოროყვას მიერ სახელ ბაგრატის ქართულ ნიადაგზე ახსნა მიაჩნია. ამ სახელის „ირანული წარმოშობა მეცნიერებაში დიდი ხანია გადაწყვეტილად ითვლებაო": წერს იგი და იქვე განმარტავს: „მცხეთოსის „უმცროსი სახლი" თავის თავს მიჰრდატიანებს უწოდებდნენ დარიოს III მოხელის იმ მითრენის ანუ მიჰრის საპატივცემულოდ, რომელმაც მათი წინაპარი აზო ქართლის (იბერიის) მეფედ გახადა..." „მიჰრდატი მზის, სინათლის ღმერთის მოცემულსაც ნიშნავდა" აღზევებულმა აზოს შთამომავლებმა მიჰრდატი-მიჰრი, მზის, სინათლის „ღმერთის ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვით ბაგა-თი შეცვალეს და თავის თავს ღვთის-მოცემულთ ანუ ბაგადატს უწოდებდნენ" ასე ერქვა ტიგრან II-ის მიერ 83 წელს სირია-კილიკიის მმართველად დანიშნულ ხელისუფალს. „ამ ბაგადატიდან წარმოიშვა ბაგარატი, რომელიც ბაგრატიონთა სახლის დინასტიურ სახელად გვევლინება" **(იქვე:189)**.

ჩვენ კომპეტენტური არა ვართ ეჭვი შევიტანოთ ამ განმარტებაში. მაგრამ უნდა შევნიშნოთ: ეს მოსაზრება ნ. ადონცს ეკუთვნის და იგი ცნობილი იყო პ. ინგოროყვასათვის. სომეხი მეცნიერი ამ ახსნას იყენებდა ბაგრატიონთა გვარის ირანული წარმომავლობის დასამტკიცებლად. თუმცა წყაროს სადაც მიჰრი ბაგარატად იწოდა ან პირიქით, ისიც არ ასახელებს.

პ. ინგოროყვამ გარდა ბაგრატისა სხვა სახელებიც (აშოტი, სუმბატი,

ბივრატი) ახსნა, ამითაც არ დაკმაყოფილდა და უამრავი გვარის ეტიმოლოგიური ძიებანი წარმოადგინა. ამ ეტიმოლოგიებს ვერც დასაბუთებასა და ლოგიკურ გამართულობას დაუწუნებს მიუკერძებელი მკითხველი. საკითხავია, მკვლევარი თუ თავის მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზის დამტკიცებას მშობლიური ენის მასალით ცდილობს, თუნდაც, რომ ვერ დაამტკიცოს თავისი შეხედულების სისწორე, განა ეს „პროვინციულ პატრიოტიზმად" უნდა ჩაეთვალოს?

აშოტ დიდი კურაპალატიდან (გარდ. 826 წ.) წარმოდგა ორი შტოტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონები (**Джанашиа 1947:78**). მათი არსებობა გამოიხატა ორი ცენტრის ჩამოყალიბებაში. ერთი შტო დარჩა ქ. არტანუჯში, ამიტომ მათ „არტანუჯელ-კლარჯ ხელმწიფეებს" უწოდებენ.

ტაოს ხელისუფალთა ცენტრი კი ბანა უნდა ყოფილიყო (**ინგოროყვა 1954:54**). თანდათან გამოიკვეთა ამ შტოს ფორმალური უფროსობა. ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს — კურაპალატობასა[1] და „ქართველთა მეფობასაც" ისინი იმკვიდრებენ. მაგრამ კლარჯეთის შტო სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა იმათ არტანუჯელ-კლარჯთა ხელმწიფობა დაიმკვიდრეს და ერთხელ კურაპალატობაც მიიღეს.

პ. ინგოროყვა ამტკიცებდა, რომ მეფობა საქართველოში უკვე აშოტ I-ის დროს იქნა აღდგენილი (**ინგოროყვა 1954:56--58**). ამის საბუთად მას

---

[1] კურაპალატი — ბიზანტიური ტიტული, სიტყვა-სიტყვით სასახლის დაცვას ნიშნავს. თავიდან მას ასეთი დანიშნულების მოხელე ატარებდა. თვით ბიზანტიაში მან რეალური სამოხელეო რანგის დანიშნულება VIII საუკუნემდე შეინარჩუნა. მას იმპერატორები ანიჭებდნენ ვასალურ დამოკიდებულებაში, თუ მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების მმართველებს (**ცობილიანი 1969:19**).

ბიზანტიაში კურაპალატი ერქვა კარის მინისტრს, რომელიც საზეიმო სვლის დროს, ოქროს არგანით ხელში, წინ მიუძღოდა ძეფეს. იმპერიაში საკარისკაცო წოდებებით. დაჯილდოების ცერემონიალიც განსაზღვრული გახლდათ: მათ საზეიმო ვითარებაში სოფიოს ტაძარში მიაცილებდნენ და კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ კურთხევის შემდეგ, თუ ლაიკოსი იყო, თავის ქვეყანაში გაამგზავრებდნენ (**ბელიაევი 1892:52**).

VIII—X საუკუნეებში კურაპალატობა კესაროსის, სევასტოსისა და ნოველოსიმოსის შემდეგ მეოთხე რანგის საპატიო წოდებას წარმოადგენდა (**ტატიშვილი 1976:158**). ე. ი. არ იყო ზუსტი ს. ჯანაშია (**ჯანაშია 1947:78**), როცა მას უმაღლეს საკარისკაცო ტიტულად მიიჩნევდა. (ვ. კოპალიანი შენიშნავს, რომ კურაპალატი დ. ბაქრაძესაც ვასალური ქვეყნების მმართველთათვის მიცემულ პატივთა შორის ყველაზე დიდ და საპატიოდ მიაჩნდა, ამის დასტურად იგი იმოწმებს 1882 წელს გამოცემულ ბაქრაძის ნაშრომს (**ცობილიანი 1969:19**), მაგრამ დ. ბაქრაძემ შემდგომში დააზუსტა ეს მოსაზრება და წერდა: „კურაპალატის ღირსება ვიზანტიის იერარხიაში იყო განსხვავებული ღირსება. ხშირად კი მაგისტრს ეჭირა უპირატესი ადგილი"; (**ბაქრაძე 1885:110**).

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, საკარისკაცო წოდებით დაჯილდოებულებს „კისრები... საგანგებო მოციქულის ხელით შესაფერის ტანისამოსსა, სამკაულსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ ხოლმე" (**ჯავახიშვილი 1983:111**).

ქართველ ხელისუფალთაგან კურაპალატობა პირველად გუარამ ერისმთავარმა (VI ს-ის II

მოჰყავს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აშოტისა და მისი შვილებისათვის „მეფობით" მიმართვა.

მ. ლორთქიფანიძეს ეს საკმაო საბუთად არ მიაჩნია და ფიქრობს, რომ „ეს „მეფობა" ზოგადად ხელისუფლების აღმნიშვნელი ცნებაა" (სინ 1973:

ნახ.) მიიღო. აშოტ I დიდის დროიდან კი ეს წოდება საბოლოოდ ბაგრატიონთა გვარში დამკვიდრდა, იგი განუწყვეტლივ გადადიოდა ამ სახლის ერთი წევრიდან მეორეზე, ვიდრე დავით აღმაშენებელმა (რომელიც 1085 წლიდან ჯერ სევასტოსის და შემდეგ პანიპერსევასტოსის ტიტულით იხსენიება) უარი არ თქვა ბიზანტიურ საკარისკაცო წოდებებზე. ფიქრობენ, რომ ეს მოხდა რუის-ურბნისის კრების (1104) ახლო ხანებში (სტეფნაძე 1976:161).

ბაგრატიონთათვის ამ საკარისკაცო წოდების მინიჭების შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერდა: „კურაპალატობა აუცილებელი სამკაული იყო ამ საგვარეულოს უფროსი წევრისა და ქართველ მეფეთათვის, ისე რომ თითქმის მემკვიდრეობით კუთვნილებად გახდა. „მატიანე ქართლისაჲ" პირდაპირ აჩენებს, რომ „ძებნა პატივისა კურაპალატობისა... არს ჩუეულება და წესი სახლისა ქართველ ბაგრატიონთაო" (ჯავახიშვილი 1983:111).

წყაროებში ვხედებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა ბაგრატიონთა სახლის წევრები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების დანარჩუნებისათვის. კონსტანტინე პორფიროგენეტის გადმოცემით, ალარანსის კურაპალატის შვილები აღფოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ შეიტყეს კეისარი კურაპალატობას გურგენ ბაგრატიონს აძლევდა, რომელსაც „კაცი გაეგზავნა მეფესთან დიდძალი საჩუქრებით" (გეორგიკა 1952:283), თუმცა მემკვიდრეობით მას ეს წოდება არ ეკუთვნოდა.

„თავისდათავად კეისრის მიერ კურაპალატობის, მაგისტროსობისა ან სხვა ბიზანტიური საკარისკაცო პატივის წყალობა,— აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, — რასაკვირველია, ყმობის დამამტკიცებელი არ იყო იმიტომ, რომ ივიეე პატიჟი ბერძენთა მეფეებს არა ერთხელ მიუნიშებიათ ფრანგების, ბურგუნდების, ოსტგუთებისა და სხვათა მეფეებისათვისაც, თუმცა ისინი კეისრის ყმებად არ ითვლებოდნენ" (ჯავახიშვილი 1983: 111-112). მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდ მეცნიერს დასახელებული ქვეყნებისა და საქართველოს ხელისუფალთა დამოკიდებულება კეისრისაგან სრულიად თანაბრად როდი მიაჩნდა. იგი შენიშნავდა, რომ „კეისარი ქართველთა მფარველი იყო და არა ბატონი". მას „სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არა ჰქონია" და ქართველთა ქვეშევრდომობა „მხოლოდ გარეგნული ყოფილა და უფროს-უმცროს სამეფოთა შორის კავშირს უფრო უდრიდა, ვიდრე ნამდვილს პოლიტიკურ დამოკიდებულებას" (იქვე:113).

ეს დამოკიდებულება უფრო დაზუსტებული აქვს მ. ლორთქიფანიძეს. მას მოჰყავს სუმბატ დავითის ძის მითითება, რომ აშოტ I-ს გამარჯვება „მისცა ღმერთმან და განამტკიცა ხელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა" (ქ. ცხ. 1955: 376) და დასკვნის: „ამგვარად, აშოტის ხელმწიფების განმტკიცებისათვის აუცილებელია ბიზანტიის იმპერატორის დასტური, მისი ნება... აშოტი ბიზანტიის იმპერატორისაგან კურაპალატის ტიტულს იღებს, რაც მის ვასალობას, იმპერატორის მოხელეობას ნიშნავს" (სინ 1973:465). „ეს ვასალობა... მხოლოდ საზღვართა დაცვისა და სამხედრო კავშირში გამოიხატება"-ო, უმატებს იგი (იქვე: 467).

ნ. ბერძენიშვილს არ მიაჩნდა სწორად ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭება არ მოწმობდა კეისრისადმი მათ ვასალობას. იგი ფიქრობდა, რომ „იმ დროის საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით ქართველი კურაპალატი ტიპური ვასალია ანუ ყმადნაფიცი

456) და თუმცა, ქართულ და ბერძნულ წყაროებში „მეფობის" მოხსენიების დროს ერთი პრინციპი არ არის დაცული, საკითხის დაკონკრეტება მაინც შეიძლება. სუმბატ დავითის ძე არც აშოტს და არც მის შვილებს „მეფედ" არ იხსენიებს. „ქართველთა მეფედ" მას მხოლოდ აშოტიდან მეოთხე თაობა — ადარნასე[1] ჰყავს დასახელებული. შემდეგ უკვე ამ ტიტულს მისი მემ-

ბიზანტიის კეისრისა... კურაპალატობა რა თქმა უნდა, ვასალობის ერთ-ერთი სახეობა იყო"-ო, ხაზს უსვამდა განსვენებული მეცნიერი (ბერძნიშვილი 1956:130).

კურაპალატობა ტაო-კლარჯეთის ხელისუფალთა შორის რანგით უფროსობის დამამტკიცებელი პატივი იყო. ამის მიხედვით მათი სახელმწიფო მეფობის აღდგენამდე „ქართველთა საკურაპალატოდ" მოიხსენიებოდა. ის ფაქტი, რომ ამ დროს „კურაპალატობამ მეფობის პატივის თითქმის თანასწორი მნიშვნელობა მიიღო" (ჯავახიშვილი 1983:111), ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ამ წოდების მქონე პირის ქართველებით დასახლებულ მთელ მიწა-წყალზე სუვერენობას. ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა ისეთსავე შეფარდებასთან, როგორც „ქართველთა მეფის" კომპეტენციის პირობებში.

X საუკუნიდან, ტაოს ბაგრატიონები, ბიზანტიის კეისრისაგან დამოუკიდებლად (ვ. კოპალიანი 1972:174), კურაპალატობის წოდებას უმატებენ ფრაზას — „უოვლისა აღმოსავლისა", რაც მათი ამბატებულობის გამოხატვას ისახავდა მიზნად. პირველად ასეთი წოდებით ოშკის ერთ ხელნაწერში იხსენიება დავით III. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ეს წიგნი გადაიწერა „ძლიერისა ღვთის მსახურისა მეფისა და უოვლისა აღმოსავლისა კურაპალატისა დავითისათვის" (ცნ. ბაქრაძე 1889: 244 მიხედვით).

დამკვიდრებული მოსაზრების მიხედით, გიორგი I თითქოს ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს არ ატარებდა. მაგრამ ვ. კოპალიანის ვარაუდით, სწორედ ის უნდა იგულისხმებოდეს მანგლისის წარწერაში (კოპალიანი 1972:172), რომელიც ნ. ბერძენიშვილის გადმოცემით ასე იკითხება: „მეფობასა ღვთივდამყარებულისა გიორგი უოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა და თვითმპყრობელისა" (ბერძენიშვილი 1964:28). მაშასადამე, მეფე გიორგი უბრალოდ კურაპალატი კი არა, არამედ „უოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი" ყოფილა.

ერთხანს იგივე წოდება უტარებია მის შვილს ბაგრატ IV-ს (1027—1072). რომლის მეფობის პირველ ხანებში შედგენილ ერთ-ერთ საბუთში მას შიმართავენ: „ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო და, ნებითა ღმრთისაითა, უოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატო"-ო (ქსძ 1970:25). (ჯ. სტეფანიძის მოსაზრებით, კაცხის წარწერაში ნახსენები მეფეც ბაგრატ მეოთხე უნდა იყოს (სტეფნაძე 1976:159). მაგრამ წარწერა 1010—1014 წლებით თარიღდება (ქწძ II 1980:56). ამიტომ კაცხის წარწერა მხოლოდ ბაგრატ მესამეს (975—1014) შეიძლება მიეკარითებოდეს. (ამგვარად, ირკვევა, რომ მასაც „უოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატის" ზედწოდება ჰქონია). დაახლოებით 1052—1054 წლებიდან ბაგრატ IV-ს ახალი საკარისკაცო წოდება მიუღია და „აფხაზთა ქართველთა და უოველი აღმოსავლეთის ნოველისიმოსად" იხსენიება (სტეფნაძე 1976:159). დამოწმებული ავტორის მიხედვით: „დაახლ. 1060 წელს ბაგრატ IV უკვე სევასტოსის ტიტულს ფლობს" (იქვე).

ქართველ მეფეთა შორის უფლაზე მაღალი საკარისკაცო ტიტული კესაროსობა მხოლოდ გიორგი II-ს (1072—1089) ჰქონდა (პაპოშვილი 1970:65—69).

[1] თანამიმდევრობა ასეთი იყო: აშოტ I (გარდ. 826 წ.) — ბაგრატ I (გარდ. 876 წ.) — დავით I (გარდ. 881 წ.) — ადარნასე I (გარდ. 923 წ.).

კვიდრეები ატარებენ. მაშასადამე, მეფობა ქართლში X ს-ის დამლევს (888 წელს, ასახელებენ 897 ან 899 წლებსაც.) აღსდგა. „გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ზოგადად, „მეფე" და, კონკრეტულად, „ქართველთა მეფე" ერთი და იგივე არ არის. „მეფე", „ხელმწიფე" შეიძლება, საერთოდ, ხელისუფლების აღმნიშვნელ ტერმინად ეხმარათ, მაგრამ „ქართველთა მეფე" უკვე გარკვეულ შინაარსს გამოხატავს, ისევე როგორც რეალური და კონკრეტული შინაარსი აქვს „აფხაზთა მეფესა" და „კახთა მეფეს" „ქართველთა მეფობამდე" ბაგრატიონი მთავრების უზენაესი ტიტული იყო „ქართველთა კურაპალატი", რომელიც აშოტ I-ის შუათანა შვილის ჩამომავლობამ დაიმკვიდრა... „მეფე", ზოგადად, ყველა ბაგრატიონ მმართველს ეწოდებოდა, ისინი თავის თავს ბაგრატიონთა შორის უზენაესის, ანუ „მეფის" ხელისუფლების თანაზიარად თვლიდნენ" **(სინ 1973: 458)**.

„ქართველთა მეფობა" ყოველთვის მამიდან შვილზე არ გადადიოდა. ასეთ დროს ტახტზე ძმას ძმა ცვლიდა. თუ „ქართველთა მეფობამდე" ბაგრატიონი მთავრების უმაღლესი ტიტული „ქართველთა კურაპალატობა" იყო, მეფობის აღდგენის შემდეგ, ერთხანს, ორივე ეს თანამდებობა ერთ პიროვნებას ჰქონდა ხოლმე. მაგრამ X ს-ის შუა ხანებიდან „მეფობა" და „კურაპალატობა" ერთმანეთს დასცილდა და ერთად მხოლოდ ბაგრატ III-ს მიენიჭა. ასე, რომ იგი ამ მხრივაც გამაერთიანებელი იყო.

უკვე ითქვა, რომ კურაპალატობა და როცა აღსდგა „ქართველთა მეფობაც" ბაგრატიონთა ტაოს შტომ დაიმკვიდრა. აშოტის შემდეგ კურაპალატის ტიტული მიეცა მის შუათანა ძეს ბაგრატს. ამიტომ იგი ბაგრატ პირველად ითვლება. მისი გარდაცვალების მომდევნო 876—881 წლებში ზეობდა მისი ძე დავით I კურაპალატი. „ქართველთა მეფობის" აღდგენა მოხდა 888 წელს, დავით პირველის ძის ადარნასეს ხელმწიფობის დროს (881—923), მისგან „ქართველთა მეფობა" მეოთხე ვაჟზე დავით II-ზე გადავიდა (923—937). იგი უძეოდ გარდაიცვალა და ტახტი დაიჭირა მისმა ძმამ ბაგრატ მაგისტროსმა (937—945). იგი მეფეთა შორის ბაგრატ I-ად მოიხსენიება.

945—958 წწ. „ქართველთა მეფის" ტიტულს არც ერთი ბაგრატიონი არ ატარებს. 958 წელს, მეფედ გამოცხადდა უკანასკნელი მეფის ძმის სუმბატის ვაჟიშვილი ბაგრატ II (რქმევია მეორე სახელი დავითიც. წყაროებში იხსენიება „რეგვენად", როგორც ჩანს ასე შეერქვა ტახტზე ასვლის დროს მეტისმეტი ახალგაზრდობის გამო.). 994 წელს, როცა იგი გარდაიცვალა მისმა შვილმა გურგენმა ახალი ტიტული „მეფეთა-მეფობა" მიიღო. გურგენი დაქორწინებული იყო „აფხაზთა მეფის" გიორგის ასულ გურანდუხტზე. მათ პირმშოს ბაგრატს წილად ხვდა საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ.

როგორც ვთქვით, ბაგრატიონები მეფობის აღდგენამდე და მის შემდეგაც ატარებდნენ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს — კურაპალატისას. თავდაპირველად ეს ტიტული ტაოს ბაგრატიონებს ჰქონდათ. დავით I-ის

გარდაცვალების შემდეგ (881 წ.). იგი მიიღო კლარჯეთის შტოს წარმომადგენელმა გურგენ ადარნასეს ძემ (გარდ. 891 წ.). ივ. ჯავახიშვილი აჩვენებს, რომ კურაპალატები იყვნენ ამ გურგენის ძმიშვილი ბაგრატ არტანუჯელი და ამისი შვილი ადარნასე. ს. ჯანაშიას ეს შეცდომად მიაჩნდა, რადგან ბაგრატი საგვარეულო მატიანეში მხოლოდ მამფალად იხსენიება, ხოლო ადარნასეს „არავითარი პატივი არ ჰქონია" (**ჯანაშია 1941:76**).

891 წელს კურაპალატობა ტაოს ბაგრატიონებმა დაიბრუნეს. იგი მიიღო ადარნასე „ქართველთა მეფემ" 923[1]—954 წწ. კურაპალატის ტიტულს ატარებდა აშოტ II ადარნასეს ძე. მისგან ეს წოდება მიიღო მისმა ძმამ სუმბატ ადარნასეს ძემ (გარდ. 958წ.). ამ დროისათვის „მეფობა" და „კურაპალატობა" გაყოფილია.. 958-961 წწ. კურაპალატი იყო ადარნასე II[2]. 961-983 წლებში კი — ადარნასე სუმბატ კურაპალატის ძე.

კურაპალატთა შორის ერთ-ერთი სახელგანთქმული იყო ტაოს მეფე დავით III (გარდ. 1001 წ.). იგი ბაგრატ II-ის უფროსი ბიძის ბაგრატის შვილიშვილი, ხოლო 961 წელს გარდაცვლილი ადარნასე II კურაპალატის ვაჟიშვილი გახლდათ. მის შვილობილს ბაგრატ III-ს კურაპალატის ტიტული ბიზანტიის კეისარმა ბასილ II-მ მხოლოდ დიდი დივითის გარდაცვალების შემდეგ უბოძა.

3. ერთიანობის ყველაზე არსებითი პირობა

სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ერთიანი ეროვნული სახელმწიფოების შექმნის აუცილებელ საფუძვლებად ითვლება ენობრივი, გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები. მათგან ზოგჯერ ერთიც კი (მაგ., სამხედრო-პოლიტიკური) საკმარისია ვრცელი და დროებით ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის.

არ ვდაობთ, რომ ყველა ეს ფაქტორი მხედველობაშია მისაღები პოლიტიკური გაერთიანების შექმნის ფენომენის ასახსნელად. მაგრამ აუცილებელია აღნიშნოს, რომ ამა თუ იმ ხალხის პოლიტიკური გაერთიანებისაკენ სწრაფვაში და ამ გაერთიანების სიმტკიცეში, გადამწყვეტ როლს თამაშობს ეროვნულ თვითშეგნებაში დამკვიდრებული გენეტიკური ერთიანობის მძლავრი კოდი. ფაქტობრივად იგი განსაზღვრავს ცალკეული ტომობრივი გაერთიანებისაგან ერების ჩამოყალიბების ფენომენსაც.

ამ პროცესში დიდი ადგილი უჭირავს ენის ერთიანობას, რამდენადაც იგი ეროვნული თვითგამოხატვის მძლავრი საშუალებაა. მაგრამ ისტორიულად ცნობილია და ამჟამადაც ჩვენს თვალწინაა ხალხები და სახელმწი-

---

[1] მის მიერ კურაპალატობის მიღების შესახებ. **გეორგიკა 1952:330--331**. ხოლო გარდაცვალებამდე რომ ამ წოდებას ატარებდა—ჭ.ცხ.**1955:381**.

[2] შ.ამირანაშვილი მას ადარნასე III-დ იხსენიებს და კურაპალატობის დროდ 945—961 წლებს აჩვენებს (**ამირანაშვილი 1971:183**).

ფოები, რომელთაც ერთი ლიტერატურული ენა, მაგრამ სხვადასხვა ეროვნული თვითშეგნება აქვთ (მაგ. არსებობდა ბერძნულენოვანი და ლათინურენოვანი სამყაროები; არსებობს ინგლისურენოვანი და არაბულენოვანი ქვეყნები და სახელმწიფოები).

ეროვნულ თვითშეგნებაში ერთიანობის ფენომენის დამკვიდრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია რელიგია. დიდად გავრცელებული და პოპულარული მოსაზრების მიხედვით, ქართველობა ქრისტიანობამ გადაარჩინა, შეუნარჩუნა რა მას ეროვნული თვითმყოფობა. ეს მნიშვნელოვანწილად ჭეშმარიტი მოსაზრებაა. მაგრამ ასეთივე ჭეშმარიტებაა არაქრისტიანი ქართველობის არსებობაც, თავი რომ დავანებოთ იმის აღნიშვნას, რომ ქრისტიანობაც, მაჰმადიანობაც და ბუდიზმიც ზეეთნიკური რელიგიებია, ისინი უამრავ ხალხებსა და სახელმწიფოებს მოიცავენ, ქრისტიანობამ კი ქართველი ხალხის ცხოვრებაში იმიტომ იკისრა გადამრჩენის როლი, რომ საქართველო მარტო განსხვავებული ეთნიკური ერთეულებით კი არ იყო გარშემორტყმული, არამედ განსხვავებულ რელიგიების მქონე აგრესიული მეზობლებითაც. ხოლო, როგორც კი კონფესიურად ერთიან სახელმწიფოებთან ურთიერთობის ხანა დადგებოდა, რელიგიური ფაქტორი უკან იხევდა და წინა პლანზე ეთნიკური წამოიწევდა. ასეთის თვალნათლივი მაგალითია ბიზანტიასთან და რუსეთთან ურთიერთობა.

„ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისათვის უდავოდ დიდი, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხის ისტორიული ერთობის ისეთ არსებით ასპექტებს, როგორიცაა ტერიტორიული, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური, კულტურული ერთიანობა“ **(გორდეზიანი 1994:4)**. მაგრამ, როგორც ვთქვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში შემონახული ოდინდელი გენეტიკური ერთიანობის შეგნებაა. ასეთი ერთიანობისათვის დამახასიათებელია, მისი ისტორიულობა, რადგან იგი შეიძლება იყოს ხანგრძლივი და ხანმოკლე, ქართველი ხალხის გენეტიკური ერთობის წარსულისათვის დიდი ხანგრძლივობაა დამახასიათებელი, რამდენადაც იგი ერთ-ერთი უძველესი ხალხია მსოფლიოში.

თანამედროვე გამოკვლევების (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, რ. გორდეზიანი...) მიხედვით, ქართველთა ეთნიკური ერთობისათვის თვალისმდევნება უკვე გვიანბრინჯაოს ხანიდან შეიძლება. ამის შესაძლებლობას იძლევა არქეოლოგიური, ისტორიოგრაფიული, ენათმეცნიერული, მითოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები.

გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი —I ათასწლეულის დასაწყისი) ის პერიოდია, როცა საერთო-ქართული ენობრივი ერთობა დაშლილია. გამოყოფილია სვანური და მიმდინარეობს ზანურ-ჭანურის გამოცალკევება. მაგრამ ეს პროცესი ეთნიკური მთლიანობის შეგნების დიფუზიის გამომწვევი არ გამხდარა. პირიქით, სწორედ ამ დროდან იწყება ეთნოლოგიურ კულტურული კოინეს ანუ ერთობის არსებობა და მასზე დამყარებული კონსოლიდაციის პროცესი. ასე მსჯელობა ერთი შეხედვით რა პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, ისტორიული ფაქტია

და ქართულ საისტორიო მწერლობაში ლეონტი მროველის კონცეფციით არის წარმოდგენილი.

მართალია, ბიბლიური ქრონოლოგიით კავკასიელ ხალხთა წინაპარს — თარგამოსს ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში უნდა ეცხოვრა, მაგრამ ლეონტი მროველის მიერ აღწერილი თარგამოსიანთა მომდევნო თაობების დროს, ქართლში შექმნილი ვითარება, შედარებით მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. კერძოდ, ქართლოსიანთაგან „მათი დამბადებელი ღმერთის დავიწყება“ და „ხაზართა გამოსვლის“ გამო ქართლის დატყვევება-დახარკვა, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ამ ხანასთან გვაახლოებს „ქართლის ცხოვრების“ ორი სათარიღო მაჩვენებელი: 1. „ხაზართა გამოსვლა“ სინქრონული ამბების გათვალისწინებით „ვერაფრით ვერ გადმოსცილდება ძვ. წ.ა. II ათასწლეულს“ **(იქვე: 13)**; 2. ცოტა მოგვიანო მოვლენად ლეონტი მროველის მოსეს მიერ „ისრაელის ზღვაზე“ გადასვლა მიაჩნია. ბიბლიური ქრონოლოგიით ეს ძვ. წ. 1250—1230 წელს მომხდარა.

„ხაზართა გამოსვლის“ თარიღი იმით არის საინტერესო, რომ ამ დროისათვის ლეონტი მროველს კავკასიელ ტომთა დიფერენციაციისა და ცალკეულ ხალხებად ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებულად აქვს წარმოდგენილი. უფრო მეტიც, მემატიანის გადმოცემით, ამ ფაქტზე ადრე დაწყებულა ერთიანობის ეთნიკური თვითშეგნების განვითარება, რაც დაკავშირებული ყოფილა ქართლოსთან, რამეთუ „მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“ **(ქ. ცხ. 1955:11)**. ამის გარდა ლეონტის სხვა მონათხრობიც აჩვენებს, რომ იგი კავკასიის ხალხთა წარმოშობას ბიბლიურ გენეალოგიურ სიებთან დაკავშირებასთან ერთად, ისტორიულ სინამდვილესაც ასახავდა. ამასთან მან თავის კონცეფცია უკვე არსებულ სურათზე მოარგო. არსებობდა ქართლი და მის ეთნარქად გამოაცხადა ქართლოსი. იყო მცხეთა და მის დამაარსებლად მან მცხეთოსი დაასახელა, არსებობდა უფლისციხე და ამიტომ მისი აგება მემატიანემ უფლოსს მიაწერა და ა.შ. ჯავახოსი, ოძრახოსი, ეგროსი და სხვა.

ეს დასკვნა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა დაამკვიდრა ჩვენს მეცნიერებაში. ხოლო ნ. ბერძენიშვილი აზუსტებდა: „ლეონტის მიერ მოცემული სურათი (ეთნარქებისა და მათი სახელის ქვეყნებისა) მხოლოდ იმის შემოწმება შეიძლება იყოს, რომ ეს სურათი შექმნილია იმის შემდეგ რაც ასეთი ქვეყნები დიდი ხანია არსებობდნენ“ **(ნ. ბერძენიშვილი 1975:263)**.

მაგრამ ლეონტის მიზანი არსებული ტოპონიმიკური სურათის გადმოცემა როდი იყო. მას სურდა მის დროს დაწყებული გაერთიანებული საქართველოს საერთო-კავკასიურ სახელმწიფოდ გადაქცევის პროცესისათვის იდეოლოგიური დასაბუთება მიეცა და ქართველი ხალხი ამ პროცესის დასაბამითგანვე მონაწილედ წარმოედგინა. მაგრამ მის დროს უკვე არსებობდა მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“, სადაც სომეხთა დამოუკიდებელი კულტურულ-პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნის სურათი იყო წარმოდგენილი. ლეონტიმ არ დაიწყო ხორენელის უარყოფა. კავკასიის

ხალხთა წარმოშობა მან თარგამოსიანთა ურთიერთობის ფონზე გაშალა და თუ „ხორენელი ჩრდილოეთის ხალხებს არ ხედავს, — შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, — მისი ისტორია ამიერკავკასიის სამხრეთსა და აღმოსავლეთის ფონზეა გაშლილი. კავკასიის ხალხები აქ ჩრდილშია. ლეონტიმ სინათლე შეიტანა ამ ჩრდილში, ამიერკავკასიის ხალხები ისტორიაში შემოიყვანა ისე, რომ ამ ახალი სამყაროს ცენტრში ქართლი (ეგრის-ჰერეთით) მოათავსა" (იქვე:261).

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსე ხორენელის გავლენა ლეონტიმ მთლიანად ვერ დაძლია. კონცეფცია კავკასიის ხალხთა ერთიანობის შესახებ არმენოფილური გამოუვიდა, მაგრამ ამის გამო მას კავკასიის ხალხთა ერთიანობის მოქადაგეს, მშობლიური, ქართველური არ დაუმცირებია და მისი მოწინავეობის იდეას მიუძღვნა თავისი მატიანე. მიუხედავად იმისა, რომ ლეონტი მრავლის მონათხრობი, ვრცელ გეოგრაფიულ არეს მოიცავს, უმთავრესი ყურადღება იქ ქართლზეა გადატანილი. რ. გორდეზიანის სამართლიანი შენიშვნით „მართალია, „ქართლის ცხოვრებიდან" იგრძნობა, რომ ეგროსიდან ქუჯის მმართველობამდე დასავლეთ საქართველოში ბევრ წყალს ჩაუვლია, მაგრამ ინფორმაცია ფარნავაზამდე მაინც ძირითადად, ქართლის ამბების გადმოცემით იფარგლება" (**გორდეზიანი 1994:33**).

ამ ნაკლის შევსება უცხოური წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მოშველიებით ხერხდება. ეს აუცილებელია რადგან გვიანი ბრინჯაოს ხანაში ხმელთაშუაზღვეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში სახელმწიფო გაერთიანებების, ხალხთა კავშირების, დიდი საიმპერიო სტრუქტურების შექმნით აღინიშნა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით კი გამოდის, რომ ეს პროცესი საქართველოს ტერიტორიას არ შეხებია. არადა სწორედ სახელმწიფოებრივი გაერთიანებაა ის ძალა, რომელიც ხალხთა გენეტიკური ერთიანობის თვითშეგნებას არა მარტო განამტკიცებს, არამედ ახალ საფეხურზე აიყვანს კიდეც.

ქართველური მოდგმის ხანგრძლივ ისტორიაში ერთ-ერთი ასეთი ეტაპი იყო ლეგენდარული კოლხეთი. მართალია, მის შესახებ ჩვენ ბერძნული წერილობითი წყაროები ანტიკურ ეპოქამდე არ მოგვეპოვება, მაგრამ მითოლოგიური ქრონოლოგიის მიხედვით აიეტის ეპოქა, გვიან ბრინჯაოს ხანა, ძვ. წ. XIV—XIII სს. უნდა ყოფილიყო. ეს კოლხური გაერთიანება „აღმოცენებას იწყებს შუა ბრინჯაოს პერიოდის დასასრულისათვის და აგრძელებს არსებობას თითქმის ერთი ათასწლეულის განმავლობაში, ვიდრე ძვ. წ. ა. VIII—VII საუკუნეებში კიმერიულმა და სკვითურმა ექსპანსიამ, მსგავსად ძველი სამყაროს მრავალი რეგიონისა, მასაც არ მიაყენა მძიმე დარტყმა" (**იქვე:38**).

ძველი კოლხეთის ძლიერება მარტო მითებით როდი გადმოიცემა, მას მდიდარი არქეოლოგიური მასალაც (კოლხური ცულები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მიწათმოქმედებისა და მეტალურგიის მაღალი დონე) ადასტურებს.

როგორც ვთქვით, გვიან ბრინჯაოს ხანაში სვანური ენა უკვე გამოყოფილია საერთო ქართულისაგან და ასეთივე პროცესი მიმდინარეობს ქართულსა და ზანურ-ჭანურს შორის, რაც ეთნიკური განცალკევებულობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. ამ სეპარატიზმის შემაკავებელი სწორედ კოლხეთის სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო. რ. გორდეზიანი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ქართველთა თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა და მიმოიხილა ძველ კოლხეთთან დაკავშირებული ცნობები, ამ სახელმწიფოს უფრო დიდ მნიშვნელობასაც კი აღიარებს. „თუკი გავითვალისწინებთ, — წერს იგი, - არქეოლოგიურ მონაცემებს, ზემოთგანხილულ ანტიკურ ცნობებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლეგენდარული კოლხეთი მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო პირველი ქართველური სახელმწიფო გაერთიანება, რომელსაც ქართველური თვითშეგნების ფორმირების პროცესში გადამწყვეტი როლი აქვს შესრულებული“ **(იქვე: 39)**. როგორც ჩანს, ასეთი როლის შესრულება კოლხეთმა შეძლო იმის გამო, რომ იგი მოიცავდა სამივე ქართველურ ეთნიკურ ერთეულს: ქართულს, სვანურსა და ზანურ-ჭანურს. ისინი შეადგენდნენ მის ძირითად ბირთვს. „რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია ის, რომ ამ გაერთიანებამ მოიცვა სხვა კავკასიელი, პირველ რიგში კი აფხაზურ-ადიღეური ტომების ერთი ნაწილი მაინც და ისიც, რომ ქართველ ტომთა რაღაც ჯგუფი განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა“ **(იქვე:38)**.

ეს ცივილიზაცია არ იყო მოწყვეტილი გარე სამყაროს. მის საერთაშორისო კავშირებზე მიუთითებს მეფე აიეტის ეფირედან წარმოშობის ცნობა. ასევე, მისი სიძეების ელინობა[1]. ჰეროდოტეს ცნობა კოლხების ეგვიპტელებიდან წარმომავლობის შესახებ და ოქროს საწმისის მაგიური ძალა ქვეყნის აყვავებისა (სადაც იგია იქაა სიკეთე).

ადგილობრივი ბუნებრივი პირობები და ეს კავშირები განაპირობებდნენ კოლხეთის ტერიტორიაზე ხმელთაშუაზღვეთის (კრეტა-მიკენის) დონის ცივილიზაციის წარმოშობას. უფრო მეტიც, ლეგენდარული კოლხეთი ძველი სამყაროსათვის იდუმალი, შესაშური, მათი მითებისა და პოეზიისათვის დიდი იმპულსების მიმცემიც კი იყო. „შესაბამისად სავსებით ნათელია,—ასკვნის რ. გორდეზიანი, — თუ რატომ იქცა სწორედ ეს და არა მისი შემდეგდროინდელი კოლხეთი ქართველური სამყაროსათვის ერთიანობისა და სიძლიერის სიმბოლოდ, ჩვენ ვიტყოდით, კონსოლიდაციის ფაქტორად და გენეტიკური ერთიანობის რწმენის მიმცემ ძირითად იმპულსად, რამაც შემდგომ საუკუნეებში შეძლო ჯერ შეენარჩუნებინა რამდენადმე ამ სამყაროს ერთიანობა, ხოლო შემდგომ კი იგი ეთნიკური თვითშეგნების ახალ საფეხურზე აეყვანა“ **(იქვე:40)**.

გვიან ბრინჯაოს დასასრულისა და ადრე რკინის ხანაში წინა აზიასა და ამიერკავკასიაში დიდი ცვლილებები ხდება. „ხაზართა გამოსვლით“ შეივწ-

[1] ფრიქსოსი იყო ორქომენოსიდან. იასონი— თესალიიდან.

როებული ქაშქები და სხვა ქართველური ტომები ძლიერ გააქტიურდნენ ხეთების იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში. მალე ამას მოჰყვა ე.წ. „ზღვის ხალხების" შემოსევები. ამ გამანადგურებელმა შემოსევებმა დაამხო ხეთების იმპერია. რაც მის წინააღმდეგ ხანგრძლივად მებრძოლ ქართველ და მათი მოკავშირე სხვა ტომებისათვის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე განსახლების კარგ პირობებს ჰქმნიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პროცესს მოჰყვა შედეგად ახლად ათვისებულ ტერიტორიაზე ტომთა ახალი გაერთიანებების წარმოშობა. რის შესახებაც აიეტის კოლხეთისაგან განსხვავებით, რომელზედაც მხოლოდ ლეგენდარული ცნობები გვაქვს, ასურული წყაროები მოგვეპოვება.

ამ წყაროებში ფიგურირებს დაიაენის ქვეყანა. ურარტული სახელწოდებით – დიაუხი, ბერძნულით — ტაოხი. იგი იყო „ნაირის ქვეყნების" შორის ასურელებისათვის ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი ძალა. ჩვენთვის დაიაენი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი ქართველ ტომთა ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა.

ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (ძვ. წ. 1215—1177) ერთ (ე. წ. იუნჯალუს) თავის წარწერაში დაიაენიս ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, მის მიერ დაპყრობილ ქვეყნად ასახელებს კილხას **(სიხ 1970:369)**. ეს უნდა იყოს აღმოსავლურ წყაროებში კოლხეთის პირველი, ყველაზე ძველი მოხსენიება. ასურეთის ძლიერი ხელმწიფისათვის, რომ ასე საამაყოა ამ ქვეყნის დაპყრობა და კილხა, რომ დიაუხის სწორადაა მოხსენიებული, ეს ამ ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ჩათვლაზე მიუთითებს.

ამ სახელმწიფოთა და აგრეთვე, ისეთი ფენომენის არსებობა, როგორიც მთლიანად კოლხური კულტურა გახლდათ, აჩვენებს რამდენად საგრძნობი იყო მის შემქმნელ ტომთა ეთნიკური ერთიანობა. და რაკი დაიოხის და კოლხას ტერიტორია საუკეთესო პირობებს ჰქმნიდა მეურნეობის, კერძოდ, მესაქონლეობისა და მეტალურგიის განვითარებისათვის, თანაც, იგი ახლო იყო წინა აზიის ცენტრებთან აქ განვითარების ტემპი დაჩქარდა, რასაც შედეგად მოსახლეობის კონსოლიდაცია და უფრო მყარი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა მოჰყვა. სწორედ ასეთ კოლხეთთან აქვს დამოკიდებულება ძვ. წ. VIII ს-ის შუა ხანებიდან ურარტუს სამეფოს.

ურარტუ ერთადერთი ძლიერი სახელმწიფო იყო ამიერკავკასიასა და მის სამხრეთ პერიფერიაზე. მისი მეფეები მენუა (810—786) და არგიშთი (786—764) დიდ ხანს ებრძოდნენ დიაოხს და მის მოკავშირე სხვა ქართველ ტომთა გაერთიანებებს. როცა ამ ბრძოლაში დიაოხი დასუსტდა, მის წინააღმდეგ მეზობელი კოლხა გამოვიდა და მას საბოლოოდ ლახვარი ჩასცა. ურარტუს მეფე სარდურ II (764—735) უკვე გამეზობლებულ ამ სახელმწიფოს ებრძვის, მაგრამ კოლხამ შეძლო შეენარჩუნებინა არსებობა. სწორედ დიაუხისა და კოლხას ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა შექმნეს გვიან ბრინჯაოს ხანის განთქმული კოლხური კულტურა **(სიხ 1970:389)**.

მაშ ასე, ლეგენდარული კოლხეთის დიდების ხანას (XIV—XIII სს), ძვ. წ. XII ს-ის დასაწყისში, ანატოლიის ზეგანზე მომხდარი კატასტროფების შე-

დეგად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაქვეითება და დასუსტება მოჰ ყვა. მაგრამ X—VIII საუკუნეები მისი რეგენერაციის პერიოდი იყო. „და მართალია, ამ დროს უკვე საკმაოდ დიფერენცირებული და მთელს კავკასიაში განვრცობილი ქართველური სამყარო ძლიერ ურარტულ გავლენას განიცდის, იგი მაინც **ინარჩუნებს თავისთავადობას და ინახავს მახსოვრობაში ლეგენდარულ კოლხეთამდე ამავალი კავშირების შესახებ ინფორმაციას** (ხაზი ჩემია.—გ.მ.) და მაშინ, როდესაც საქართველოს გვერდით კვლავ ქრება დიდი სახელმწიფო ურარტუ, ქართველ ტომთა გაერთიანებები ისევ აქტიურად ფიგურირებენ ძველი სამყაროს ისტორიის ასპარეზზე" **(გორდეზიანი 1994:50)**.

ძვ. წ. VI საუკუნიდან წინა აზიაში ახალი მძლავრი და ვრცელი ტერიტორიის მქონე იმპერია — აქემენიანთა სპარსეთი ხდება ჰეგემონი. იგი განასახიერებდა მსოფლიო განვითარების აზიურ მიმართულებას, რომელსაც პირობითად მითოლოგიურს — არაანალიტიკურს უწოდებენ. მას უპირისპირდებოდა ევროპული მიმართულება, რომლის იდეოლოგია ელინურ სამყაროში ჩამოყალიბდა, როგორც თავისუფალ მოქალაქეთა მიერ შემუშავებულ მოქალაქეობრივ-ზნეობრივი ნორმებისა და მასზე დამყარებული საზოგადოების მართვის პრინციპების კომპლექსი. ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელია ჰეშმარიტების ძიება და მისი მხოლოდ გააზრების შემდეგ აღიარება.

ქართველობა ამ ორი სამყაროს გზაგასაყარზე აღმოჩნდა. მას, ისედაც დიფერენცირებულს, ტომთა მრავალი გაერთიანებებისაგან შემდგარს, არ შეეძლო რომელიმე ამ გზას მიმხრობოდა. რადგან ჰეროდოტესათვის ცნობილი ყველა ქართული ტომი აქემენიანთა XVIII და XIX სატრაპიებში შედიოდა, აქ სპარსეთის (აზიური გზის) გავლენა აშკარა იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა კოლხეთი. იგი არ შედიოდა სატრაპიებში. მისი დამოკიდებულება აქემენიანთაგან ხუთ წელიწადში ერთხელ ასი ყმაწვილისა და ასი გოგონას გაგზავნით გამოიხატებოდა. თავად კოლხეთის ტერიტორიაზე ბერძნული ფაქტორები არსებობდნენ და ამის გამო მისი მიდრეკილება განვითარების ევროპული გზისაკენ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამაზე მიუთითებს ჰეროდოტეს მიერ ევროპისა და აზიის საზღვრად მდ. ფაზისის (რიონის) მიჩნევა.

ამ ვითარების გათვალისწინებით ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოცემულ ეპოქაში ქართველთა სამყაროში ერთიანობის მყარი პრინციპების არსებობის თაობაზე: მით უფრო, რომ სპარსეთის ჰეგემონობის დასასრულისათვის შეინიშნება ქართული ტომებისა და რეგიონების სუვერენულობისაკენ სწრაფვა. მაგრამ რ. გორდეზიანი თვლის, რომ „მათი დიდი ნაწილის მეხსიერებაში შემორჩენილი ოდინდელი ერთიანობის რწმენის გათვალისწინებით სუვერენულობისაკენ სწრაფვა, კონსოლიდაციის ახალი ეტაპის დასაბამსაც მოასწავებდა" **(იქვე: 57)**.

ქართულ სამყაროში, რომ ეს იმპულსები მართლაც ძლიერი იყო ნათ-

ლად გამომჟღავნდა ახალ ეპოქაში, რომლის დასაწყისი ალ. მაკედონელის (356—323) სახელთანაა დაკავშირებული. მან ერთი დარტყმით შექმნა მსოფლიო იმპერია. ამ იმპერიაში მოხდა განვითარების ელინური და აღმოსავლური გზების სინთეზი. ფაქტობრივად წარმოიშვა ახალი, ელინისტური ცივილიზაცია, სადაც ოფიციალური კულტურული ენის ფუნქცია ბერძნულს დაეკისრა.

მართალია, ალ. მაკედონელს საქართველომდე არ მოუღწევია, მაგრამ ელინისტური ცივილიზაციის ამიერკავკასიაში მძლავრ ნაკადებად შემოჭრას თანამედროვე არქეოლოგია უდავო ფაქტად მიიჩნევს. ამასვე ადასტურებს ბერძნული ეპიგრაფიკის გაუხვება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ბერძნული ენის დიდმა გავლენამ, როგორც ჩანს, ხელი ვერ შეუშალა ადგილობრივის განვითარებას. ლეონტი მროველი სწორედ IV—III საუკუნეთა მიჯნაზე აჩვენებს ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნას, რაც მკვლევართა ვარაუდით უკვე არსებული ასომთავრულის ოფიციალურ დამწერლობად გამოცხადებას უნდა ნიშნავდეს. მემატიანე იმასაც უსვამს ხაზს, რომ აქამდე ქართლში გავრცელებული ექვსი ენიდან ფარნავაზის შემდეგ „არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“ **(ქ. ცხ. 1955:26),**

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში, ფარნავაზის მეთაურობით, იქმნება პირველი ქართული სახელმწიფო, რომელიც დასავლეთ საქართველოსაც მოიცავს. დასავლეთ საქართველოში მაშინ ერთგვაროვანი ენობრივ-დიალექტური სიტუაცია არ იყო. აქ ცხოვრობდნენ ქართები, სვანები, მეგრელ-ჭანები. მაგრამ ასეთი დიფერენციაციის მიუხედავად გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა იმდენად ძლიერია, რომ მხარის შესვლას ფარნავაზის სამეფოში რაიმე შეფერხება არ ჰქონია. პირიქით, ლეონტის ცნობით აქაური ხელისუფალი ქუჯი, რომელსაც ფარნავაზმა ძმობა შესთავაზა, თავისი ნებით გახდა ქართლის მეფის ვასალი. „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმაროებს უფლობა ჩემი... მე ვარ მონა შენი“ **(იქვე:22),** ეუბნება იგი ფარნავაზს. ჩვენ არ ვიცით ადგილობრივ რა ერქვა ფარნავაზის სამეფოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეგრისწყლის (ღალიძგა) ჩრდილოეთით და შავი ზღვის სამხრეთით მცხოვრები ტომები მასში არ შედიოდნენ, იგი საერთო-ქართული სახელმწიფო იყო.

ეს სახელმწიფო და აქ მწიგნობრობის ენად გამოცხადებული ქართული, რომ ძლიერი პოზიციების მქონენი იყვნენ, ამაზე მიუთითებს ქართული ნომენკლატურის ბერძნულში სახელდების ურარტულიდან ნასესხევობის ქართულით შეცვლა, ე.ი. თუ ადრე ბერძნები ქართულ ტოპონიმიკისა და სხვა სახელების სახელდებისათვის ურარტუელებს ესესხებოდნენ, IV საუკუნიდან დაწყებული სახელმდებლის ფუნქციას მათთვის ქართული ენა ასრულებდა. ამას ბერძნულში შესული ის ნომენკლატურაც ადასტურებს,

რომელიც მეგრელებით და სვანებით დასახლებულ ტერიტორიებს ეხება **(გორდეზიანი 1985:149)**. მაშასადამე „უკვე ფარნავაზის ეპოქაში მომზადდა იმის წინაპირობა, რომ ქართული ენა თანდათანობით კულტურული თვითგამოხატვის უნივერსალურ ნორმად ქცეულიყო გენეტიკურად ურთიერთდაკავშირებულ ტომებისაგან შექმნილი ქართველური ერთიანობის ფარგლებში" **(გორდეზიანი 1994:70)**.

ენა კი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი დედაბოძია. მასზე დამყარებით ელინისტური ეპოქიდან იწყება ინტეგრაციის ძლიერი პროცესი, რომელიც საერთო-ქართული სახელმწიფოს შექმნაში გამოიხატა.

მართალია, ჩვენთვის ცნობილი არაა ფარნავაზის მომდევნო ხანაში რამდენად იქნა შენარჩუნებული პირველი მეფის მიერ საფუძველჩაყრილი სახელმწიფოს კომპეტენცია, მაგრამ ახ. წ.-ის პირველ საუკუნეებში ქართლის სამეფოში შექმნილი სტაბილური სიტუაცია, რომ ეროვნული კონსოლიდაციისა და თვითშეგნების ამაღლების კარგ პირობებს ჰქმნიდა ამის ვარაუდი კი ნამდვილად შეიძლება.

ძვ. წელთაღრიცხვის 65 წლიდან იწყება იბერიასა და კოლხეთში რომის ექსპანსია: რომის ძალისხმევა შეექმნა მსოფლიო იმპერია, ფაქტობრივად ალ. მაკედონელის მიერ მოხსნილი ევროპა-აზიის დაპირისპირების ნეიტრალიზაციის ახალ პირობებში განხორციელების ცდა იყო. ეს პოლიტიკური კურსი უფრო წარმატებულად წარიმართა ვიდრე წინამორბედი, რომმა რამდენიმე საუკუნით მოახერხა ევროპა-აზიის ოპოზიციის განმხოლოება.

ახ. წ. I—II საუკუნეებში წინა აზიაში რომის გამუდმებული ბრძოლების „მოკავშირე" (არსებითად დასაყრდენი) იბერია იყო. მას რომის იმპერატორები ისე უყურებდნენ, როგორც ანგარიშგასაწევ ძალას. და თუ მათ კოლხეთში საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ციხესიმაგრეთა სისტემა შექმნეს, იბერიაში „მეგობარ" ქართლის მეფისათვის მცხეთის გალავნის გამაგრებისათვის იღწვოდნენ. ცხადია, რომს, რომ მოენდომებინა იბერიის დამორჩილება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ქართლის მეფები ახერხებდნენ გაეწონასწორებინათ ორივე მხარის ინტერესები და რომის უმცროსი პარტნიორის სტატუსი შეენარჩუნებინათ.

რომთან ურთიერთობის მეშვეობით ქართლის საზოგადოებას თვითშეგნების ახალ საფეხურზე ავიდა. თუ ფარნავაზის დროს ეთნიკური ერთიანობის ფენომენი რეგიონალური მასშტაბით, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აღიქმებოდა, ახლა ქართული სამყარო გლობალურ, მსოფლიო პოლიტიკის ფარვატერში მოექცა და ქართული თვითშეგნება ახალი ასპექტით ჩამოყალიბდა. ფარნავაზის დროს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ფორმირებული ერთიანობის იდეა, ამჯერად მძლავრ მაკოორდინებელ და მაინტეგრირებელ ფაქტორად იქცა, რამდენადაც იგი ქართული სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მოპოვებულ პოლიტიკურ მიღწევებს დაუკავშირდა.

ქართული ეთნიკური სამყაროს რომთან ურთიერთობა გაგრძელდა ბიზანტიის იმპერიის ხანაშიაც. მართალია, კონსტანტინეპოლი ჩაყლაპავას უპირებდა პატარა ქვეყანას, მაგრამ იგი მას მოკავშირედაც სჭირდებოდა სასანიანთა სპარსეთისა და კავკასიონის გადაღმიდან შემომტევი მომთაბარე ხალხების წინააღმდეგ. ქართლი ხომ ამ ქედის გადმოსასვლელებს აკონტროლებდა და ყოველთვის შეეძლო ნომადები იმპერიისათვის შეესია.

აღმოსავლეთ რომის პოლიტიკოსები არ სჯერდებოდნენ მხოლოდ სამხედრო ზემოქმედებას და ქართლ-ეგრისზე იდეოლოგიურ შეტევასაც ანხორციელებდნენ. ასეთ მძლავრ იარაღად ახალი რელიგია, **ქრისტიანობა** იქცა. ბიზანტიამ დასძლია მანიქეველობისა და მაზდეიანიზმის ამიერკავკასიაში გავრცელების სპარსული საფრთხე და აქაურმა ხალხებმა ქრისტიანობა მიიღეს. ეს ბიზანტიის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ამასთან ერთად იგი იყო ახლადგაქრისტიანებული ხალხების მიერ ევროპული ორიენტაციის საბოლოოდ არჩევაც **(იქვე:75)**.

ქრისტიანული რელიგიის გავრცელება საქართველოში დაემთხვა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის, ფეოდალური წარმოების წესის დამკვიდრების დასაწყისს. თანაც იგი უკეთესად პასუხობდა ახალ ეტაპზე ასული საზოგადოების მოთხოვნებს, ვიდრე წარმართობა. ამდენად ქრისტიანობა ისეთსავე წინსვლას წარმოადგენდა საზოგადოების სულიერ განვითრებაში, როგორც ფეოდალიზმი, წინამორბედ სოციალურ ურთიერთობებთან შედარებით.

მაგრამ ქრისტიანობას საქართველოში სხვა, ქართველი ხალხის ბედისათვის გადამწყვეტი ფუნქციაც გაუჩნდა. ეს იყო ქართველ ტომთა ეთნიკური გამთლიანების პროცესში მაორგანიზებელ ძალად მოვლინება. ამ საქმეში ქრისტიანობის მიერ გაწეული ღვაწლის გამო ეროვნული და სარწმუნოებრივი სისხლხორცეულად დაუკავშირდა ერთმანეთს და იმდენადაც კი „რომ მათი გამიჯვნა ხანდახან შეუძლებელი ხდება“ **(ლორთქიფანიძე 1963:285)**.

ამის მიღწევა კი შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ქრისტიანობა ეს კოსმოპოლიტიკური რელიგია, საქართველოში ეროვნულ ინტერესებს შეუხამდა. იგი, მართალია, სპობდა და ანადგურებდა იმას რაც მის საღვთო დოგმებს დიამეტრალურად უპირისპირდებაოდ, მაგრამ მიდიოდა კომპრომისებზედაც — წარმართული რწმენიდან ითვისებდა ბევრ ისეთ რამეს რისი დაძლევაც არ შეეძლო. ხალხის ზნე-ჩვეულებებში მტკიცედ ფეხგადგმულ ზოგიერთ რიტუალს იგი თავისად აცხადებდა და ამით მასებს საკუთარი გავლენის ქვეშ უფრო იოლად აქცევდა.

ქართული სულიერი კულტურის დიდი მცოდნე გ. ქიქოძე ამის გამო წერდა: „თუ ქრისტიანობას თავისი ისტორიული მისია წარმართული ხელოვნებისა და მწერლობის ძეგლების სრული განადგურებით დაეწყო, იგი ვიწრო ებრაულ სექტად დარჩებოდა და ვერასოდეს მსოფლიო რელი-

გიად ვერ გადაიქცეოდა. ქრისტიანობამ წარმართული კულტურა კი არ მოსპო არამედ გადალახა, ე.ი. ამ კულტურიდან უკუაგდო, რაც მისთვის მიუღებელი ჩანდა, და აითვისა, რაც მისთვის აუცილებელი იყო" **(ჯიქია 1946:73)**.

ამდენად ქრისტიანობა „გაქართულდა", ეროვნულ რელიგიად იქცა. ამ გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ გორგასალის მიერ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვებას (487—488 წწ.), სომხურ-სირიული კონფესიიდან გამოყოფას, დიოფიზიტობის განმტკიცებას. რაც, მართალია, ბიზანტიის მიერ აღიარებული მართლმადიდებლური მოძღვრებისადმი მხარდაჭერას ნიშნავდა, მაგრამ ქართველ თეოლოგთა წრეებში გაგებული იყო, როგორც სარწმუნეობრივი თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა.

ამ პროცესს ნ. ბერძენიშვილი შემდეგნაირად აფასებდა: „ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ. სომხებისა და ბერძნების გვერდით ეს იყო დიდი კულტურული გამარჯვება, დიდი კულტურული ძალის მოწმობა და ქართული ქრისტიანობის გავრცელება. ეს იყო ქართული კულტურის უცილობელი გამარჯვების აშკარა მოწმობა... ეს იყო დიდი ეროვნული საქმე" **(ბერძენიშვილი 1975:383)**.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროცესიდან გამორთული არ ყოფილა დასავლეთ საქართველო. მართალია, ჯუანშერის მიერ ჩამოთვლილ საეპისკოპოსოებში დასავლეთ საქართველო არ ჩანს, მაგრამ არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც „ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველო, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი ეკლესიურადაც ქართლის კათალიკოზისათვის დაუქვემდებარებია" **(მესხელიშვილი 1977:229)**. ადრეულ ეკლესიურ ერთობას უდავო ფაქტად მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილიც. „ იმიერ და ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთიანობა და მთლიანობის პროცესი უმზადებდა"-ო, წერდა იგი **(ჯავახიშვილი 1979:342)**. ამ ფაქტს არამცირედი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი სცილდებოდა სასულიერო ჩარჩოებს და ქართველი ხალხის სულიერი ამაღლების, მისი ეროვნული თავისთავადობის ჩამოყალიბების დიდ დანიშნულებას ემსახურებოდა.

ერთიანი ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრება ქართული ენისადმი დამოკიდებულებაშიაც აისახა. ჯერ ერთი, ქართულ ენაზე ქრისტიანობის აღმსარებლობა ქართიზაციის პროცესს უწყობდა ხელს და ამით ეთნიკურ ბარიერებს სპობდა. მეორეც, ქართული ენის სახელმწიფოებრივ რანგში აყვანა, გიორგი მერჩულეს მიერ ქართლში მისი ერთადერთ სარწმუნოებრივ ენად ჩათვალა, ხოლო იოანე-ზოსიმესაგან ყველა სხვა ენასთან შედარებით უპირატესად გამოცხადება, არ შეიძლება ქართველების უსაფუძვლო ამბიციებად ჩაითვალოს. ქართულ ენას კავკასიის მასშტაბით გავრცელების ისეთი ასპარეზი მიეცა, რომ მან შეძლო ჩამოეცილებინა სომხურის მეტო-

ქეობა და დაპირისპირებოდა ბერძნულს. ამის მიღწევა კი ერთიანი ქართული თვითშეგნების ახალ საფეხურზე ასვლის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა.

ენისა და რელიგიის ფაქტორებს, ქართული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში, გვერდით ედგა ეროვნული სახელმწიფო. დაუფასებელი ღვაწლი ამ მხრივ გასწია ვახტანგ გორგასალმა. ვერ ვიტყვით, რომ მან შეძლო ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, მაგრამ ისეთ მძიმე საერთაშორისო და საშინაო პირობებში, როგორშიაც მას მოუწია ჩვენი ქვეყნის გაძღოლა, შეიძლება ითქვას, მან უდიდესი პოლიტიკური ალღო და გამძლეობა აჩვენა. იგი ხომ პირველი ქართველი მეფე იყო ვინაც რეალურ-ისტორიულად შესძლო არა მარტო ქართველობით დასახლებული ყველა მიწის გაერთიანება, არამედ თავისი მფლობელობაში მოაქცია კავკასიის მთიანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ დაღესტანი და დასავლეთი ალბანეთი. იგი ქედს არ უხრიდა მაშინდელ მსოფლიოში უძლიერეს სპარსეთისა და ბიზანტიის იმპერიებს, შეძლო მათი დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და, რომ არა შინათგამცემლობა, ვინ იცის როგორ შედეგებს მოიტანდა მისი გიგანტური ბრძოლა ქვეყნისა და სარწმუნოების ერთიანობა-განმტკიცებისათვის.

ჩვენ ვერ შევუდგებით იმის მტკიცებას იყო თუ არა ვახტანგ გორგასალი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ტრაგიკული პიროვნება, როგორადაც მას დ. მუსხელიშვილი ახასიათებს **(მუსხელიშვილი 1977:223)**, მაგრამ იმის თქმა კი აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მის გოლიათურ ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია და მისგან გაღვიძებულმა თვითშეგნებამ, სახელმწიფოებრივი ერთიანობის კონცეფციამ და პატრიოტულმა თავდადებამ, უდავო ფაქტია წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართველი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში. ქართული ეთნოსის ერთიანობისა და თვითმყოფადობის ყველაზე მნიშვნელოვანი რელიქვია — ეროვნული დროშა ხომ „გორგასლიანად" და „დავითიანად" იწოდებოდა.

ეროვნული თვითმყოფობის ქართულ მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებთან დაკავშირებამ, შესაძლო გახადა აგრესიულად განწყობილი მეზობლების იდეოლოგიის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლა. ეკლესიამ ეროვნულობისათვის ბრძოლა განსაკუთრებული შეუპოვრობით VIII საუკუნიდან გაშალა. ამ დროს საჭირო გახდა ქართული ეკლესიის თვითმყოფობისა და სამოციქულო ეკლესიებთან თანასწორობის დასაბუთება. ბიზანტიის ეკლესია მხარს უჭერდა რა საკუთარ მთავრობას არ აღიარებდა ქართული ეკლესიის სიძველესა და აქ ცალკე განმანათლებლის მოღვაწეობას. ამიტომ, სწორედ VIII საუკუნიდან გაძლიერდა საქართველოში წმინდა ნინოს კულტი. ხოლო მომდევნო ხანებში გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა: გრიგოლ ხანძთელმა, იოანე- ზოსიმემ, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, ეფრემ მცირემ თავიანთი ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებებით შესაძლო გახდეს, „რომ ქართული ქრისტიანული ტრადი-

ციები და კულტურა ბიზანტიურს შეპირისპირებოდა. ქართული ეკლესიის თავისთავადობა" აღიარებული ყოფილიყო **(სურგულაძე 1989:396)**.

ჩვენი თემის ქრონოლოგიურ ფარგლებს სცილდება, მაგრამ, როგორც ყველაზე მკაფიო მაგალითი ამ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში ღირსეულ პოზიციაზე დგომისა, უნდა მივუთითოთ გიორგი მთაწმინდელის მიერ ანტიოქიის პატრიარქის თევდოსის გასაწბილებლად წამოყენებული მოსაზრება, რომ, მართალია, ეს პატრიარქი წმ. მოციქულ პეტრეს საყდარში იჯდა, მაგრამ ქართველთა განმანათლებელი, პეტრეს ძმა ანდრია, მასზე უფროსიც იყო და მისი მიმრქმელიც. „წმინდაო მეუფეო, — უთქვამს გიორგის პატრიარქისათვის, — შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს, მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ" **(ძვ. ქართ. მოთხ. 1973:407)**. ასე, რომ მ. ლებანიძის ნათქვამი: „გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად", რეალური ვითარების ასახვაა და არა მხოლოდ პოეტური ჰიპერბოლა.

მაშასადამე, ქართული ენის ფუნქციონირების მასშტაბის გაფართოებას, ქრისტიანული რელიგიის კანონიზაციას და ქართული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ქვეშ დროებით, მაგრამ მთელი ქართული სამყაროს მოქცევას, ეროვნული თვითშეგნების ახალი აღმავლობა, ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა და ამ სახელმწიფოში შემავალი ეთნიკური ერთეულების ქართველიზაცია მოჰყვა. ხოლო მოგვიანებით „როცა გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური ორგანიზაცია მისი ზრდის ზენიტში იმყოფებოდა,— წერდა ნ. ბერძენიშვილი, — ეს პროცესიც დასასრულს მიახლოვებულყო, ე.ი. მზადდებოდა პირობა (პოტენციური) ერის წარმოშობისათვის: ერთი ენა, ერთი ტერიტორია, ერთიანი კულტურა" **(ბერძენიშვილი 1975:406)**.

4. პოლიტიკური ისტორიის ასპექტები ვახტანგ გორგასლის წინ

ვახტანგ გორგასალის დროინდელი ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო მოშლა არაბთა დაპყრობებმა დაასრულა. ვახტანგის გარდაცვალების დროისათვის, საერთაშორისო ვითარება, საერთო-კავკასიური სახელმწიფოს შექმნის კი არა, ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის საწინააღმდეგოდაც კი იყო ჩამოყალიბებული. ორი დიდი იმპერიის ბიზანტიისა და სასანიანთა სპარსეთის დაინტერესება კავკასიით იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ ისინი აქ რამდენადმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულის ფუნქციონირებას ვერ მოითმენდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა სპარსეთი. მან ჯერ (428 წ.) სომხეთში, ხოლო შემდეგ (523 წ.) ქართლში გააუქმა მეფობა.

თავად ქართლის საზოგადოებაც არ აღმოჩნდა მზად ვრცელი სახელ-

მწიფოებრივი ერთეულის შენარჩუნებისათვის. არ არსებობდა ამის შესაფერისი სამეურნეო-ეკონომიკური საფუძვლები. ქართლის სახელმწიფოში რიგი პოლიტიკური ერთეულები შეიარაღებული ძალის გამოყენებით იყო შემოყვანილი და ასეთი ქვეყნები ცენტრიდან გაქცევას უფრო მეტ ენერგიას ახმარდნენ, ვიდრე ერთიანობის შენარჩუნებას.

მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალის სახელმწიფო მთლად სუსტი, ეფემერული გაერთიანება არ იყო. დიდი მეფის გარდაცვალების შემდეგ, არაბთა შემოსევამდე, მან ფორმალური ერთიანობა შეინარჩუნა. ორჯერ (523 და 572 წწ.) დიდი აჯანყება მოაწყო სპარსელთა წინააღმდეგ და ქართველმა პატრიოტებმა ერისმთავრობის სახით სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას მიაღწიეს **(ბოგვერაძე 1979:85)**

VII საუკუნე კიდევ უფრო ძნელი გამოდგა ამიერკავკასიის ხალხებისათვის. წინა აზიაში ახალი დამპყრობელი არაბთა ხალიფატი გამოვიდა ასპარეზზე. მან სპარსეთის სახელმწიფო იოლად ჩამოიცილა მეტოქეობის არენიდან, ხოლო ბიზანტიის იმპერია დიდად შეავიწროვა. როცა 654 წელს არაბებმა სომხეთში სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელთა სარდალი მავრიკიოსი, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ქართლში გამოქცეულიყო. არაბები მას თან შემოყვნენ **(იქვე:21)**.

არაბებს ჰაბიბ იბნ მასლამა სარდლობდა. ქართლს კი სათავეში ერისმთავარი ედგა. წყაროთ მისი სახელი არ შემოგვინახა, მაგრამ იგი რომ პატრიკიოზის ტიტულს ატარებდა ცნობილია. მან არაბთა სარდალს ელჩი გაუგზავნა და მშვიდობიანი მოლაპარაკება შესთავაზა. მასლამა კმაყოფილი დარჩა. ამ დიპლომატიურ ნაბიჯს შედეგად ცნობილი „დაცვის სიგელი" მოჰყვა **(სინ 1973:286)**.

მალე სახალიფოში სისხლისმღვრელი ომი ატყდა. არაბებს საქართველოსათვის აღარ ეცალათ და ქართლს გაეცალნენ. ქართველებმა, ალბანელებმა და სომხებმა დამპყრობლებს ხარკის მიცემაზე უარი უთხრეს. ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს არაბთა შესუსტებით ესარგებლათ. 686 წელს კეისარმა და ხალიფამ ზავი გააფორმეს. შეთანხმდნენ: შემოსული ხარკი გაეყოთ **(ბოგვერაძე 1979:96)**.

ქართველები არ შერიგებიან ამ ხვედრს. ერისმთავარმა ნერსემ სასტიკად დაამარცხა სომხეთში მდგომი არაბი სარდალი ბარაბა და გააქცია იგი. მაგრამ ახლა ბიზანტიელებმა მოიცეს ძალა. 688 წელს კეისარმა იუსტინე II-მ ამიერკავკასიაში დიდი ლაშქარი გამოგზავნა და ბიზანტიელთა ბატონობა აღადგინა.

საერთო გაჭირვებით ხაზარებიც სარგებლობდნენ. „არაბების ეს დაუძინებელი მტრები შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებს დასცემოდნენ თავზე" **(სინ 1973:288)**.

„სამი მხრით ხმლის ქნევა" **(ს. ჯანაშია)** დიდხანს გრძელდებოდა. იგი ამჯერად თავისუფლების მოპოვებით ვერ დასრულდა.

VIII საუკუნის დამდეგიდან არაბები განუწყვეტლივ ებრძვიან ხაზარებსა და ბიზანტიელებს. ისინი ამძიმებენ ადრე დაწესებულ გადასახადებს. სა-

კომლო გადასახად ხარაჯას ემატება გამოსაღებები მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე— ვენახზე, ბაღზე, დაუმუშავებელ მიწაზედაც კი. „არაბთა სახალიფოში, — წერს მ. ლორთქიფანიძე, — ცნობილი იყო ხარაჯის ორი ძირითადი სახე: ხარაჯა მისაჰა — გადასახადი მიწის ფართობის მიხედვით და ხარაჯა მუკასამა — გადასახადი მოსავლის რაოდენობის მიხედვით" **(ლორთქიფანიძე 1963:230)**. პირველად ქართლში ხარაჯა მუკასამა დაწესდა, შემდეგ კი უპირატესობა ხარაჯა მისაჰას მიენიჭა.

IX ს-ის II ნახევარში, პროგრესულად გრძელდებოდა ხალიფატის დაშლის პროცესი. სახალხო ლაშქრის დონეზე შეკრებილი შეიარაღებული ძალა ვეღარ უზრუნველყოფდა ხალიფების მიერ ხელისუფლების შენარჩუნებას. ამიტომ ხალიფა მამუნის დროს (813—833) კარგად გაწვრთნილი მონებისაგან შეიქმნა გულიამების (მამლუქების) გვარდია. ამ გვარდიამ მალე მოიპოვა დიდი გავლენა და თავისი შეხედულებისამებრ სვამდა და აგდებდა ტახტიდან ხალიფებს **(Всемирная история т, III, გვ. 119)**.

ხალიფატის დასუსტებით სარგებლობდნენ თბილისელი ამირები და თანდათანობით იპოვებენ დამოუკიდებლობას **(ჯავახიშვილი 1983:93)**. ისინი ზოგჯერ აკრეფილ ხარაჯასაც კი აღარ აგზავნიან სახალიფოში.

თავდაპირველად ხალიფები არ ურიგდებოდნენ თავიანთი ხელქვეითების ურჩობას და მათს ჩკუაზე მოსაყვანად დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნიდნენ. ამით, ცხადია, ადგილობრივი მოსახლეობა ზარალდებოდა.

ასეთთა შორის სისასტიკით გამოირჩეოდა ბუღა თურქის შემოსევა. არაბებმა ჯერ საფუძვლიანად მოაოხრეს სომხეთი. შემდეგ კი ბუღამ საქართველოსკენ იქცია პირი და 853 წ. „მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილებდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ქალაქი ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი" **(ქ. ცხ. 1955: 256; შდრ. ჯავახიშვილი 1983:97)**.

ბუღას ლაშქრობას ამიერკავკასიაში მძიმე შედეგები მოჰყვა. არაბებმა თბილისში 50 000 კაცი მოკლეს, ქალაქი გადაწვეს, „ქართლში, რომ გული მოიოხა, ბუღა ჭართალეთს გაემგზავრა" იქედან 300 მძევალი აიყვანა. უფრო დიდ უბედურებასაც დაატრიალებდა, მაგრამ მკაცრმა ზამთარმა და ქართველთა წინააღმდეგობამ შეუშალა ხელი. იგი ქვეყნის აოხრებას არ დასჯერდა. დარუბანდის გზით გამოიყვანა 300 ოჯახი ხაზარი, შამქორში ჩაასახლა. დარიალიდან გადმოსხმული 100 კომლი ოსი კი დმანისში დაამკვიდრა. ამით იგი თავის დასაყრდენ ძალას იჩენდა. მაგრამ ხალიფატში მისი გაძლიერებით შეშფოთდნენ და 855 წელს კავკასიიდან გაიწვიეს **(იქვე: 99)**.

ხალიფატისადმი ამირების ურჩობას ქართველი ხელისუფლები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ. ეს პოლიტიკური კურსი აშოტ I -ის დროს იყო საფუძველჩაყრილი. IX ს-ის 10 იან წლებში (813 წლის ახლოს) ერისმთავრობა ბაგრატიონთა სახლის ამ წარმომადგენელმა მიიღო. თბილისის ამირებს საქმის ასე შემობრუნება არ აწყობდათ. ერისმთავრობა ქართლის ერთიანობას განასახიერებდა. ამირას კი ქართლის განუყოფელ პატრო-

ნობაზე თვითონ ჰქონდა პრეტენზია. ამიტომ აშოტი იძულებული გახდა ამირას გასცლოდა და მან კლარჯეთში გადაინაცვლა. ეს, ფაქტობრივად, ახალი სამთავროს შექმნას უდრიდა. არაბებისაგან გაქცეული აშოტი ბიზანტიელებს მიუვიდა. კეისარი გულთბილად შეხვდა ამ ნაბიჯს და აშოტს კურაპალატობა უბოძა. ამით იგი თავის ხელდებულად გამოაცხადა.

აშოტი ამირასთან აშკარა ბრძოლას იწყებს. ამ უკანასკნელს კახეთის მთავარი გრიგოლი ეხმარება. აშოტი მარცხდება, მაგრამ ამის შემდეგ ბრძოლას მისი შვილები აგრძელებენ. ტაო-კლარჯეთი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის მონაწილე ხდება.

IX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის, ქარველებით დასახლებულ ტერიტორიაზე 5 პოლიტიკური ერთეული იყო ჩამოყალიბებული: თბილისის საამირო, ჰერეთის სამთავრო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ქართველთა საკურაპალატო და ეგრის-აფხაზეთის სამეფო. ამათგან „ქართლსა ზედა ბრძოლაში" ენერგიულად იყვნენ ჩაბმული უკანასკნელად დასახელებული სამი სახელმწიფო. შევჩერდებით მათი პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთ საკითხზე.

ა. კახეთის საქორეპისკოპოსო

როგორც ვნახეთ, აშოტ დიდის თანამედროვე კახეთის მთავარი იყო გრიგოლი. „ვისი მემკვიდრეა ეს გრიგოლი, — შენიშნავს ა. ბოგვერაძე, — რომლის დროს კახეთი ცალკე სამთავროდაა ქცეული არ ვიცით" (**ბოგვერაძე 1979:107**).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, კახეთის მთავრის ოფიციალური ტიტული „ქორეპისკოპოსი",[1] იყო. „მემატიანე სდუმს იმის შესახებ, — წერდა იგი,— თუ რა მდგომარეობაში იყო კახეთი წინათ, ან რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა გრიგოლი და როდის გამოცოცხლდა კახეთი" (**იქვე:94**).

ბატონი ივანეს მიერ დასმული ამ კითხვებზე დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსახვავებული პასუხია გაცემული.

მ. ლორთქიფანიძე მიუთითებს, რომ არ შეიძლება ვახუშტის მიერ კახეთის დამოუკიდებლობის თარიღად გამოცხადებული 787 წ. ზუსტი იყოს. რადგან ფეოდალური ქვეყნის ჩამოყალიბება არაა ისეთი მოვლენა, რომ იგი

---

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში ბერძნული ტერმინი ქორეპისკოპოსი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ახსნილია, როგორც უსაშუალო ეპისკოპოსი (გ. მელიქიშვილი). ეს გაგება მომდინარეობს ს.ს. ორბელიანისაგან, რომელსაც სწორად მიაჩნდა „ქორიკოზი", ხოლო ქორეპისკოპოსი უმეცარი მწერლის მიერ ჭარაგმის არასწორი ახსნის შედეგად გაგებულიაო. წერდა იგი. ასეთ გაგებას მხარს უჭერდნენ: ვახუშტი, ლ. მელიქსეთბეგი, ს. კაკაბაძე. მ. ლორთქიფანიძემ დაამტკიცა, რომ ქორეპისკოპოსი არაა შერყვნილი „ქორიკოზი". „ქართლის ცხოვრების" ყველა ავტორი და სომეხი ისტორიკოსებიც მხოლოდ „ქორეპისკოპოსს" ხმარობენ. ამდენად კახეთის მთავრებს „ქორეპისკოპოსები" ერქვათ და არა „ქორიკოზები" (ლორთქიფანიძე

ერთბაშად განხორციელდეს., VIII საუკუნის 70-იან წლებში ჯერ კიდევ არ უნდა არსებულიყო გაეროიანებული კახეთის სამთავრო. აქ ამ დროიდან დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა არაბებთან. იგი უნდა ეწარმოებინა კახეთის ოლქთა კავშირს, რომელსაც წანარები მოთავეობდნენ. ეს კავშირი მათივე ჰეგემონობით თანდათან გადაიზარდა სამთავროდ. ასე, რომ „IX ს. დასაწყისში კახეთი ნამდვილად ცალკე გამოყოფილი ფეოდალური სამთავროა“ **(ლორთქიფანიძე 1963:141)**.

დ. მუსხელიშვილი თვლის, რომ კახეთის „განდგომის“ შესახებ „ვახუშტის მიერ მოცემული თარიღი — 787 წ. — შესაძლებელია სავსებით სწორი იყოს“ **(მუსხელიშვილი 1980:132)**. იგი არ ეთანხმება მეცნიერ ბატონიშვილს იმაში, რომ ეს „განდგომა“ პირველი პრეცედენტი იყო, რადგან ამაზე

1963:152). ასევე „ქორეპისკოპოსად“ ჰყავს მოხსენიებული კახეთის მთავრები ქართველი და უცხოელი მწერლების უმრავლესობას.

ამ სიტყვების შინაარსობლივი სხვაობა გაარკვია თ. პაპუაშვილმა. „ქორიკოზი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მდაბიოს“, „სოფლელს“, „გლეხს“ ე.ი. იგი არ არის საეკლესიო-იერარქიული ტერმინი. „ქორეპისკოპოსი კი სწორედ ასეთი დანიშნულების სიტყვაა და ქართულ ეკლესიაში მას ეჭირა ადგილი მღვდელსა და ეპისკოპოსს შორის. ამ უკანასკნელთაგან კი იმითაც განსხვავდებოდა, რომ უმთავრესად სოფლის მღვდელ-დიაკონთა ზედამხედველი იყო (პაპუაშვილი 1982:266). საქართველოში „ქორეპისკოპოსის“ განსხვავებული გაგება იმაში გამოიხატებოდა, რომ ამ თანამდებობის მქონე პირი საერო ხელისუფლებასაც ფლობდა. თ. პაპუაშვილი არ ეთანხმება იმ მკვლევარებს (ს. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი), რომელთაც ქორეპისკოპოსის ხელისუფლება მთიელთა (სვანების, წანარების) ხევსბერების ხელისუფლების ტრანსფორმაციად მიაჩნიათ. მას ქართულ საისტორიო წყაროებში დაძებნილი აქვს მაგალითები, როცა სასულიერო პირებს საერო ხელისუფლებაც ჰქონდათ და ასკვნის, რომ „ქორეპისკოპოსი მეშკვიდრეობითად არის დაკავშირებული წინაფეოდალური ეპოქის სოციალურ და სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან და მას ახალი შინაარსი აქვს შეძენილი ფეოდალური წარმოების წესის პირობებში (იქვე: 279).

კახეთის მთავარი, რომელსაც საეკლესიო-იერარქიული ხასიათის ტიტული ჰქონდა, ამავე დროს ქვეყნის უმაღლეს საერო ხელისუფლებასაც ახორციელებდა. ე.ი მისი მეფლობელობა თეოკრატიული ხასიათისა იყო.

საერო და საეკლესიო ძალაუფლების შერწყმა კახეთში უფრო რელიეფურად ჩანდა, თორემ იგი საქართველოს სხვა მხარეებშიაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. ამას კარგად ადასტურებს დავით აღმაშენებლის მიერ შეკონდიდელი მთავარეპისკოპოსისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანება, რასაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მეფის მიერ საეკლესიო საქმეებზე ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობის მიღებით ხსნიან. ამ ღონისძიების საფუძველი უეჭველად იყო საქართველოში სასულიერო და საერო ხელისუფლების გაერთიანების ისტორიული გამოცდილება. ამის ერთ-ერთი, თანაც, უველაზე კლასიკური მაგალითი, სწორედ კახეთის ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის არსებობის რეალურ-ისტორიული ფაქტია.

ადრე ქართლის საერისმთავროს ჩამოშორდა ჰერეთი. მაგრამ „მაინც მეცნიერი ბატონიშვილის ცნობა ნიშანდობლივია და უნდა მიუთითებდეს, — წერს იგი,— რომ კახეთიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც „განუდგა“ ქართლს“ (იქვე: 130). ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო უფრო ადრე, ვიდრე VIII ს-ის მიწურულს, „აფხაზთა სამეფო“ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა. თარიღის დასაზუსტებლად მეცნიერი იშველიებს ქართულ და არაბულ წყაროებს და ასკვნის: „ამგვარად, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ კახეთის ქართლისაგან ცალკე სამთავროდ გამოყოფას VIII ს. 70-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისს შორს დავდებთ“-ო (იქვე: 131).

კახეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოს შექმნის საკითხი საგანგებოდ აქვს გამოკვლეული თ. პაპუაშვილს. იგი სამართლიანად აკრიტიკებს სომეხ მეცნიერს ა. მკრტუმიანს, რომელსაც მცდარად აქვს განმეორებული მ. ლორთქიფანიძის ზევით დამოწმებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს **„Кахетия представляла собой союз племен,[1] во главе с цанарами»**, რაც თ. პაპუაშვილის აზრით, სწორი არ შეიძლება იყოს, რადგანაც—„VIII—IX სს. მიჯნის კახეთი თავისი საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების დონით დიდი ხანია, რაც გამოსული იყო „ტომთა კავშირის“ სტადიიდან. იგი ამ დროს ტიპიურ ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა“ (**პაპუაშვილი 1982:147**). ჩვენს მკვლევარს კახეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბება ხანგრძლივ პროცესად ესახება. იგი შენიშნავს, რომ კახეთის სამთავროდ ჩამოყალიბებისათვის პირობები ჯერ კიდევ VI საუკუნეში მომწიფდა, როცა აქ ვახტანგ გორგასალის მემკვიდრის დაჩის ნათესავებმა, მეფე ბაკურის შვილებმა, კახეთ-კუხეთის საერისთავო შექმნეს. მაგრამ „საგარეო ხასიათის პოლიტიკურმა ფაქტორებმა ამ ხანად დააბრკოლეს ამ ერთეულის სამთავროდ ჩამოყალიბება“ (**იქვე: 154**). მომდევნო ასეთი შესაძლებლობა გაჩნდა VIII ს-ის I ნახევარში წმ. მოწამე არჩილის მოღვაწეობის დროს[2], როცა „სწორედ იმავე ვახტანგ გორგასალის ნათესავმა არჩილმა წარმატებით დააგვირგვინა მისი სახელოვანი წინაპრების წამოწყებული საქმე და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კახეთის სახელმწიფოს“ (**იქვე**).

კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესში საკამათოა წანარების მიერ შესრულებული როლის საკითხი. არც წანარების ეთნიკური კუთვნილებაა საბოლოოდ გარკვეული. საქმე ისაა, რომ თანადროულ არაბულ წყაროებში კახეთის აღსანიშნავად სანარია (ე.ი. წანარია) იხმარებოდა. „წანარეთი“ ცნობილი ტერმინია ქართული წყაროებისათვისაც. მაგრამ არც უცხოური და არც ორიგინალური ცნობები არ შეიცავს პირდაპირ მითითებას, იმის თაობაზე თუ ვინ იყვნენ ეთნიკურად წანარები და სად იყო მათი თავდაპირველი საცხოვრისი.

---

[1] ვფიქრობთ, საკითხის არსს ვერ ცვლის ის, რომ მ. ლორთქიფანიძეს ნახმარი აქვს „ოლქთა კავშირი“, ხოლო ა. მკრტუმიანს „ტომთა კავშირი“

[2] თ. პაპუაშვილი არჩილის ზეობის ხანად VIII ს-ის 30—50-იან წლებს თვლის (**პაპუაშვილი 1982:138**).

ეთნონიმ „წანარის“ (ფორმით „სანარი“) ყველაზე ადრეული მოხსენიებას პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“ ვხვდებით. „მოქცევაჲ ქართლისაში“ კი, VI ს-ის 30--40-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, დასახელებულია „წანარეთის ხევი“. ტომს სახელწოდებით „წანარქი“ იცნობს VII ს-ის „სომხური გეოგრაფიაც.“ მაგრამ წანართა ტომის ადგილსამყოფელის გარკვევისათვის უფრო მნიშვნელოვანია IX—X სს სომეხი ავტორების თომა არწუნისა და იოანე დრასხანაკერტელის მიერ მოწოდებული ცნობები, რომელთა მიხედვითაც, თ. პაპუაშვილს შესაძლებლად მიაჩნია იმსჯელოს წანარების ქვეყნის, ძირითადად, ალანთა (დარიალის) კარის მიდამოებში ლოკალიზაციის შესახებ (**იქვე: 29**). თ. მიბჩუანის აზრითაც, „აღნიშნული ცნობების მიხედვით წანარები ფლობენ კავკასიონის იმიერ და ამიერ კალთებს დარიალის ხეობის სექტორში“ (**მიბჩუანი 1989:100**).

ეს, შეიძლება ითქვას, წანარების ვიწრო მნიშვნელობაა. ხოლო ფართო მნიშვნელობით, თუ სომეხი ისტორიკოსის უხტანესის გადმოცემას გავითვალისწინებთ, ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები მთლიანად (**უხტანესი 1975:67**).

თუ ქართულ და უცხოურ „წყაროებში შემონახული მწირი ცნობების მიხედვით,—წერს თ. პაპუაშვილი,— ერთგვარად შესაძლებელი ხდება განისაზღვროს წანართა ადგილსაცხოვრისი, სამაგიეროდ იგივე ცნობები სრულიად არაფერს არ იძლევა წანართა ეთნიკური ან ენობრივი კუთვნილების საკითხის შესახებ“ (**პაპუაშვილი 1982:33**).

ამ საკითხს ირკვევდნენ ნ. მარი, ჯ. კლაპორტი, ა. გენკო, ს. კაკაბაძე, ვ. მინორსკი, ნ. ვოლკოვა, ჯ. გვასალია, ა. მკრტუმიანი, თ. პაპუაშვილი, თ. მიბჩუანი და სხვ. მათი მოსაზრებები მხოლოდ ჰიპოთეზური ხასიათისაა და ძირითადად წანართა სახელწოდების ამოხსნიდან ამოდის. ზოგიერთი მათგანი კი ტოპონიმიკურ მასალასაც ითვალისწინებს.

ნ. მარი, ს. კაკაბაძე და ჯ. გვასალია წანარებს სვანურენოვან ტომად თვლიდნენ. ს. ჯანაშია და თ. პაპუაშვილი მათს ჰანურ-მეგრულ წარმომავლობაზე მიუთითებენ. ვეინახურ ტომებს მიაკუთვნებდნენ წანარებს ა. გენკო, ნ. ვოლკოვა, ა. მკრტუმიანი. ჩრდილო დაღესტნის ხალხებს უკავშირებდა ამ ტომებს ვ. ბარტოლდი.

მოსაზრებათა ამ სიჭრელეში, წყაროთა სიმცირის გამო, ძნელია გადაჭრით დადგე რომელიმე მათგანის მხარეზე, მაგრამ არგუმენტაციის დამაჯერებლობით მათ შორის გამოირჩევა თ. მიბჩუანის პოზიცია. გარდა ფილოლოგიურ-ეტიმოლოგიური დასაბუთებისა მას დიდი რაოდენობით აქვს მომარჯვებული ტოპონიმიკური მასალაც. მათი და მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე, აყალიბებს საკუთარ ჰიპოთეზას არა მარტო წანარების ეთნიკური კუთვნილების შესახებ, არამედ იძლევა ცდას დასაბუთებულად განსაზღვროს ამ ტომის თერგის სათავეებსა და დარიალის ხეობაში ჩამოსახლების დრო და პირობები.

თ. მიბჩუანს იგი ასე აქვს წარმოდგენილი: წანარების განსახლების თავდა-

პირველი ტერიტორია იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი. ძვ. წ. VI—V საუკუნეებიდან მათ ჩრდილოეთისაკენ, ცხენის წყლის სათავეებში გადაინაცვლეს. წანარები პირველნი დაეუფლნენ სვანეთის ტერიტორიას და პირველებმა გადალახეს კავკასიონის ქედი და „მთლიანად თუ არა, მათი დიდი ნაწილი იმიერკავკასიის მთის ზოლს დაეუფლა მდ. მდ. ყუბანსა და თერგის სათავეებს შორის“ (**მიქაბერიანი 1989:127**). ახ. წ. VI ს-ის ბერძენი ავტორი მენანდრე იუწყება: სვანების ტომი კავკასიის გარშემო ცხოვრობსო. დასაშვებია, რომ მენანდრე მათში წანარებს გულისხმობდეს. იმიერკავკასიიდან წანარები თერგის სათავეებსა და დარიალის ხეობაში შემოვიდნენ. აქედან კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კახეთში გავრცელდნენ. რამაც „მათში სვანური ენის ქართიზაცია და საერთოდ მათი ქართლის ეთნიკურ პროდუქტად გადაქცევა განაპირობა... წანარების ქართველური ტომი კახეთის სამეფოს შექმნის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური ფორმირების პროცესში მის სისხლხორცეულ ელემენტად იქცა“ (**იქვე: 127--128**).

როგორც ცოტა ხნის წინათ ვთქვით, კამათის საგნადაა ქცეული წანარების მიერ კახეთის სამთავროს ისტორიაში შესრულებული როლიც. მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ წანარები სარგებლობენ ფაქტობრივი დამოუკიდებლობით, იღწვიან კახეთის გაერთიანება-შემომტკიცებისათვის, „რის შედეგადაც, VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში, კახეთის გაერთიანება წანართა მოთავეობით და არაბთა უღლისაგან განთავისუფლება მომხდარი ფაქტია“ (**ლორთქიფანიძე 1963:141**).

ამ თეზისს იზიარებს გ. მელიქიშვილიც. მას მიაჩნია, რომ წანარებმა არაბებთან ბრძოლაში დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს, ვინაიდან მათი საზოგადოება ჯერ კიდე სუსტად დიფერენცირებული და მონოლითური იყო, „რაც თავის მხრივ საწინდარი აღმოჩნდა მათი წარმატებისათვის ქვეყნის შიგნითაც, მან მათი ჰეგემონობით მსხვილი და მტკიცე საკმაოდ ცენტრალიზებული გაერთიანების წარმოქმნა განაპირობა“ (**მელიქიშვილი 1973:52**). მეცნიერის აზრით, წანართა დამსახურება მხოლოდ.ამით არ ამოიწურებოდა. „უეჭველია, — განაგრძობს იგი,— ამ მთიელებს უნდა მოეხდინათ კახეთის ბარის საზოგადოების ერთგვარი „გაახალგაზრდავება, თემური საკუთრების პოზიციები დასაწყისში კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო და ფეოდალიზაციის პროცესს კი შეფერხება უნდა განეცადა“ (**იქვე:53**).

წანარების როლის ასეთ გაზვიადებას არ იზიარებს თ. პაპუაშვილი. იგი შენიშნავს, რომ „კახეთის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე წანარების აქტიურად გამოჩენაზე გაცილებით ადრე კახეთი უკვე წარმოადგენდა სავსებით ჩამოყალიბებულ და დასრულებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს“ (**პაპუაშვილი 1982:148**). ამიტომ „წანარების ისტორიული როლი კახეთის ისტორიაში იმით განისაზღვრება, რომ ისინი იყვნენ კახეთის მფლობელთათვის მნიშვნელოვანი დამხმარე, „მეშველი“ პოლიტიკური ძალა; ეს გარემოება კი საფუძველს არ იძლევა წანარების კახეთის ფეოდალური სამთავროს შემქმნელებად გამოცხადებისათვის“ (**იქვე:149**).

მართლაც, მთლად ბუნებრივად ვერ მივიჩნევთ, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფმა მთიელებმა (წანარებმა), იმის გამო, რომ ისინი სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებას წარმოადგენდნენ, უფრო განვითარებულ ადრეფეოდალურ ქვეყანაში, ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო შექმნეს. უთუოდ სწორია თ. პაპუაშვილი, როცა წანარებს „მეშველ“ ძალად მიიჩნევს. იბერიის ისტორიაში ჯერ კიდევ ანტიკური დროიდანაა ცნობილი ანალოგიური ფაქტები. ბერძენი ავტორების ცნობებით დასტურდება, რომ ჩრდილოეთ კავკასიელ მომთაბარეებს ქართლის მეფეები სამხედრო ძალად იყენებდნენ ხოლმე. იბერიის სამხედრო პოლიტიკური ძლიერება საგრძნობლად იყო დაკავშირებული მთიელთა და მომთაბარეთა მოკავშირეობაზე. ასეთი დახმარების ჭრილში უნდა განვიხილოთ წანარების როლიც კახეთის სამთავროს ისტორიაში.

ამავე მიზეზის გამო წანარეთისა და კახეთის იდენტიფიკაცია არც ტერიტორიული და არც პოლიტიკური თვალსაზრისი გამართლებული არ არის. არაბი ავტორები, რომ კახეთს „სანარიად“ იხსენიებენ ეს მათი იგივეობის მტკიცების უდავო საფუძვლად არ გამოდგება. პოლიტიკურად კახეთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო წანარეთი და, როგორც ირკვევა, ასეც ყოფილა. ამას უნდა ადასტურებდეს „ხელმწიფის კარის გარიგების“ ის ადგილი, სადაც არსენ იყალთოელის მიერ ნაჭარმაგევს თორმეტი მეფის მოხმობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩამოთვლილ დავით აღმაშენებლის ქვეშევრდომებს შორის, ცალ-ცალკეა დასახელებული „კახთა მეფე“ და „წანართა მეფე“ **(ქსძ 1965:89)**. თუ ტრადიციის მიხედვით, XII ს-ის პირველ მეოთხედში, წანარეთი და კახეთი სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად ითვლებოდა, განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი IX ს-ში ასეთი არ იყვნენ?

მკვლევართა ერთი ნაწილის (მ. ლორთქიფანიძე, შ. ბადრიძე, ა. მკრტუმიანი) აზრით, კახეთის სამთავროს პირველი მმართველი დინასტია წანარებისაგან უნდა იყოს გამოსული, რასაც თ. პაპუაშვილი არ იზიარებს. მისი მტკიცებით, წანართა სოციალური განვითარების დონე (გვაროვნულ-ტომობრივი წყობა, კახეთის ფეოდალურ ურთიერთობის განვითარების საფეხურთან შედარებით იმდენად ჩამორჩენილი იყო, რომ აქაური „სამთავროს ფეოდალური საზოგადოება ვერ შეეგუებოდა ქვეყნის სათავეში სოციალური მდგომარეობით განსხვავებული ფენის მოქცევას“ **(იქვე:166)**.

ამდენად, კახეთის სამთავროს პოლიტიკური ისტორია ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მისი შემქმნელი იყო წმ. არჩილი, რომელიც დაახლოებით 761 გარდაიცვალა **(იქვე:161)**. იგი კახეთში შეცვალა მისმა ძემ ჯუანშერმა (761—787).[1] არჩილის მთავრობის დროინდელი ღონისძიებების შესახებ

[1] თ. პაპუაშვილის აზრით, არჩილი და ჯუანშერი ქართლის ერისმთავრები არ ყოფილან. „მატიანე ქართლისაში“ დაცულია ქართლის ერისმთავართა საკმაოდ მწყობრი სია. „ამ ნუსხაში არ იხსენიებიან არც მირი, არც არჩილი და არც ჯუანშერი“. VIII ს-ის შუა წლებში, წუაროების ერთხმა მოწმობით ერისმთავარია ნერსე, 781—785 წლებში კი მას ცვლის მისი დისწული

ჩვენ უკვე გვაქვს მოთხრობილი. რაც შეეხება ჯუანშერს, მისი ზეობის ხანიდან მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოცემებს ვფლობთ. ამასთან, ყველაზე კარგადაა შესწავლილი ხაზართა ხაკანის სპასალარ ბლუჩანის შემოსევა 764 წელს. მის მიზეზად „მატიანე ქართლისას“ ავტორი ასახელებს ხაკანის სურვილს შეერთო ჯუანშერის სილამაზით განთქმული და შუშანი. სამაგიეროთ იგი ქართველებს ჰპირდებოდა დახმარებას სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას ივ. ჯავახიშვილის აზრით, „მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საგულისხმიერო უნდა ყოფილიყო, მაგრამ სარწმუნოებრივს სიძულვილს წარმართთადმი დაუბრკოლებია ქართლის ერისთავის სახლობისათვის საღი პოლიტიკური მსჯელობის უნარი“ (ჯავახიშვილი 1983:80) და ხაკანსათვის სიძობაზე უარი უთქვამთ. შეურაცხყოფილმა ხაკანმა ბლუჩანის სარდლობით დიდი ლაშქარი გამოგზავნა. ხაზარები დარუბანდის გზით შემოიჭრნენ კახეთში. ალყა დაარტყეს ციხეს, სადაც ჯუანშერი და შუშანი იყვნენ თავშეფარებულნი. ისინი ტყვედ აიყვანეს. „შემუსრეს ქალაქი ტფილისი“ ააოხრეს ქართლი და „ყოველი ესე ქუეყანაჲ“ რის შემდეგაც დარიალის გზით, ტყვეებთან ერთად, თავისი ქვეყნისაკენ გაემართნენ. გზად შუშანიმ ბეშედში შენახული საწამლავით თავი მოიკლა. ბლუჩანმა მხოლოდ ჯუანშერი მიჰგვარა ხაკანს. როცა ძმამ დის სიკვდილის ამბავი მოუთხრო ხაზართა მბრძანებელს იგი გაურისხდა თავის სარდალს, რატომ შუშანის ცხედარი არ მომიტანე, რომ იგი მიცვალებული მაინც მენახაო. ბლუჩანი შეიპყრეს. ყელზე საბელი გამოაბეს, რომლის ბოლოები ორ ცხენოსანს მისცეს აქეთ-იქით გასაზიდად და ქართველთა ამაოხრებელს ასე წააწყვიტეს თავი. ხაკანმა ჯუანშერი 7 წლის შემდგომ დიდად დასაჩუქრებული გამოისტუმრა თავის ქვეყანაში (ქ. ცხ. 1955:249—250).

ხაზართა ამ ლაშქრობას ნაკლები რომანტიკულობით აგვიწერენ არაბი ისტორიკოსები იბნ ალ-ასირი და იაკუბი. საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ამავე ფაქტის შესახებ სომეხი ისტორიკოსი ლევონდიც, ოღონდაც ამ უკანასკნელთან ხაზართა სარდალს რაჟთარ ხანი ჰქვია, იაკუბთან--რასთარხანი, ხოლო იბნ ალ-ასირთან—ასთარხანი. ასევე ლევონდის ცნობის მიხედვით, ხაზარებს კახეთი (ცერძოდ-ჩელეთი, ველისციხე, თიანეთი, ხერკი) დაულაშქრავთ და უკან გაბრუნებულან. არაბული წყაროები კი მიუთითებენ, რომ დარუბანდიდან შემოსულმა ხაზარებმა თბილისიც აიღეს. ცხადია, აქ შემოსვლამდე ისინი კახეთზე გადმოივლიდნენ.

ხაზარეთიდან 771 წელს დაბრუნებულმა ჯუანშერმა ცოლად შეირთო ადარნასე ბაგრატიონის ასული ლატავრი (ქ. ცხ. 1955:251).

ჯუანშერის მმართველობის პირველსავე წლებში არაბებმა წანარები დაიმორჩილეს, მათ ხარკი დაადეს და დარიალის ხეობაში გარნიზონი ჩააყე-

---

სტეფანოზ გურგენის ძე (ბაბუაშვილი 1982:155). ამ მტკიცებას საეჭვოდ ხდის იმავე „მატიანე ქართლისას“ შემდეგი ცნობა: „რაჟამს აღესრულა წმინდა ნოწაძე არჩილ, დაშთეს შვილნი მისნი ... ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა“ (ქ. ცხ. 1955:249). მაშასადამე, ჯუანშერი და მისი დე... მხოლოდ კახეთში არ იმყოფებოდნენ, მათ ქართლიც ეკუთვნოდათ.

ნეს. ამით აბასიდ ხალიფა ალ-მანსურს (754—775) ამიერკავკასიაში ხაზართა მოულოდნელი შემოჭრა სურდა აღეკვეთა. ამ აქციამ წანართა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. რასაც 70-იან წლებში მათი აჯანყება მოჰყვა შედეგად. იგი უნდა მომხდარიყო 771—775 წლებს შორის **(ლორთქიფანიძე 1954:13)**. ეს აჯანყება იაკუბის გადმოცემის მიხედვით შესწავლილი აქვს ს. ჯანაშიას. ხალიფას მის ჩასაქრობად გამოუგზავნია ამიერკავკასიის მმართველი ალ-ჰასანი (771—775). იგი წანარებს დაუმარცხებიათ. რაც მას მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვნობით აუხსნია და ხალიფასათვის დამხმარე ძალა მოუთხოვია. ალ-მანსურს ამირ იბნ-ისმაილ ალ ჰარისის სარდლობით 20 ათასი მეომარი მოუშველებია. წანარებს სასტიკი ბრძოლა გაუმართავთ. მაგრამ ამჯერად არაბებმა სძლიეს მათ და მხოლოდ ერთ დღეს 16 ათასი წანარი ამოსწყვიტეს. წანართა დამარცხების შემდეგ ამირა ალ-ჰარისი თბილისზე სალაშქროდ წამოვიდა. გზად ყველა ტყვე, ვინაც თან ჰყავდა ამოწყვიტა და წანარებს ყოველი მხრიდან მდევარი გაუყენა **(ჯანაშია 1952:404)**. ასე დიდი ძალების მონაწილეობა აჯანყებასა და მის ჩაქრობაში მ. ლორთქიფანიძეს აეშვებს, რომ ამ მოძრაობაში მხოლოდ წანარების მონაწილეობდნენ. იგი ფიქრობს, რომ აღწერილ ბრძოლებში არაბთა წინააღმდეგ მთელი კახეთი გამოდიოდა, წანარების მოთავეობით **(ლორთქიფანიძე 1963:140)**.

უფრო ზოგად მნიშვნელობას ანიჭებს ამ ფაქტს თ. პაპუაშვილი. „771-775 წწ. აჯანყება კახეთის სამთავროში,—წერს იგი,—ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ეპიზოდია დიდი საერთო ბრძოლისა, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხები აწარმოებდნენ არაბი დამპყრობლებიის წინააღმდეგ. აჯანყების გამომწვევი მიზეზები, ცხადია, მარტო კახეთის სამთავროში შექმნილი ვითარებაში კი არ უნდა იყოს დამარხული, არამედ ისინი ჩვენ საერთოდ იმ დაპყრობით პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც აბასიანთა ხალიფები ატარებდნენ ამიერკავკასიის ხალხებში" **(პაპუაშვილი 1982:159)**. ამ თეზისის სისწორეს ადასტურებს ის ფაქტი, რომ კახეთის ეს აჯანყება, ერთადერთი არ ყოფილა ხალიფა ალ-მანსურის ზეობაში. სომეხი მემატიანის ლევონდის გადმოცემით 774—775 წწ. მრისხანე აჯანყება მოუწყვიათ არაბთა წინააღმდეგ სომხებსაც. ქართული წყაროებიდან კი ვიცით, რომ ზუსტად იმ ხანებში, 772 წელს, ხალიფამ ბაღდადს დაიბარა და მისვლისთანავე საპყრობილეში ჩააგდო ქართლის ერისმთავარი ნერსე. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა „ტყუილად არ იყო იგი ამ სიშორეზე დაბარებული" და დასჯილი **(ჯავახიშვილი 1983:81)**. როგორც ვხედავთ, VIII საუკუნის 70-იანი წლებში მთელი ამიერკავკასია არაბთა წინააღმდეგ ბრძოლებითაა მოცული.

VIII საუკუნის მიწურულს, არაბთა ბატონობა, მასლამას ბიზანტიაში მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, როგორც „მატიანე ქართლისა" გვაცნობებს საქართველოში საგრძნობლად შესუსტებულა. ამ დროს ჯუანშერი გარდაცვლილია და „გრიგოლ მთავრობდა კახეთს" **(ქ. ცხ. 1955:252)**. წერდა რა ამის შესახებ, როგორც ვთქვით, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა—მატიანე

დუმს, „რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა გრიგოლი", მაგრამ უეჭველია ხალხი არაბთა წინააღმდეგ გრიგოლზე ადრე ამოძრავდაო (ჯავახიშვილი 1983:94). ამ მთავრის შესახებ მემატიანე მხოლოდ იმას გვაცნობებს, რომ იგი წანართა და თბილისის ამირას დახმარებით ებრძოდა აშოტ კურაპალატს, მაგრამ დამარცხდა და თავისი სამფლობელო მდ. ქსანამდე დაჰკარგა.

ასეთი ლაპიდარული მონათხრობი მკვლევარებს საშუალებას არ აძლევს დაადგინონ კახეთის მთავარ გრიგოლის წარმომავლობა. ანალოგიურ შემთხვევებში ჩვეულებრივი მშველელი ვახუშტი ბაგრატიონიც სიტყვაძუნწია გრიგოლის შესახებ თხრობის დროს. მისი ცნობით, ჯუანშერ ერისთავთერისთავის გარდაცვალების (787 წ.) „შემდგომად მისსა განდგა გრიგოლ მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა, მთავრად ან ქორიკოზად" (ქ. ცხ. 1973:557). სხვაგან იგი ამავე საკითხზე წერს: „ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად (ე. ი. უკანასკნელი ხოსროიანის ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ.—გ. მ.)... განდგა გრიგოლი და მას ჟამსა შინა სხუანი არღარა იყო მეფეთა ნათესავი" (იქვე:565). თითქოს უფრო გარკვეულია ვახუშტისეული ასეთი ცნობა: „ხოლო უკეთუ გრიგოლისას იტყჳ იგი იყო თჳთ კახეთის ერისთავი და დაიპყრა კახეთი" (იქვე: 566). მაშასადამე, გრიგოლი გამთავრებამდე ადგილობრივი ერისთავი ყოფილა.

პ. ინგოროყვა პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ, რადგან კახეთის მთავრები მას VI საუკუნიდან მოყოლებული ყველა ბაგრატიონის გვარისად მიაჩნია, გრიგოლსაც ამ გვარის წარმომადგენლად უნდა თვლიდეს (ინგოროყვა 1963:112).

ასევე, გრიგოლზე პირდაპირ მიუთითებლად, მ. ლორთქიფანიძე და შ. ბადრიძე კახეთის ქორეპისკოპოსთა პირველ თაობას წანართა ტომიდან გამოსულად თვლიან.

გრიგოლის წარმომავლობის საკითხს ერცელ ექსკურსს უძღვნის თ. პაპუაშვილი და იგი საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მიდის: „გრიგოლი კახეთის წარჩინებულთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელსაც სუმბატ დავითის ძე და VIII ს-ის ანონიმი ბაგრატიონებს უწოდებენ" (პაპუაშვილი 1982:168). მეცნიერის აზრით, გრიგოლ ბაგრატიონის გამთავრება ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებში მოხდა. ამასთან „სოციალური წარმოშობით გრიგოლი სავსებით შესაფერისი კანდიდატურა იყო კახეთის ტახტზე" (იქვე: 169).

კახეთის მთავარს გრიგოლს აქტიური მონაწილეობა მიუღია ქართლისათვის ბრძოლაში. მას უსარგებლნია ქართლის ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონის შიდა ქართლიდან კლარჯეთში იძულებითი გადანაცვლებით და დაუპყრია არა მარტო ქსნის ხეობა, არამედ კიდევ უფრო დასავლეთით მდებარე ქართლის ტერიტორია. ეს არ იყო მხოლოდ სამთავროს ტერიტორიის მექანიკური გაფართოება. „ქსნის ხეობის დაპყრობას კახეთის მთავრებისათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა,—შენიშნავს თ. პაპუაშვი-

ლი,—იგი მათ საშუალებას აძლევდა გაეძლიერებინათ კონტროლი ამიერკავკასიის სავაჭრო გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადიოდა მდინარეების: ალაზნის, იორის და არაგვის ველებსა და ხეობებზე... დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა... დარიალის კარებზე კონტროლის დაწესებას" (იქვე: 170).

კლარჯეთში გადანაცვლებული აშოტი ისე მომძლავრდა ბიზანტიის დახმარებით, რომ დაკარგული პოზიციებისათვის ბრძოლა წამოიწყო. კურაპალატის მოკავშირე ამ ბრძოლაში მისი სიძე ეგრის-აფხაზეთის მეფე თეოდოსი II (798—825) იყო. ეს უკანასკნელი მხოლოდ ნათესავობის გამო როდი ეხმარებოდა სიმამრს. მას ამ შემთხვევაში ქართლიდან საშიში მეტოქის—კახეთის მთავრის განდევნის სურვილი ამოძრავებდა. აშოტის საწინააღმდეგოდ კი თბილისის ამირა ალი შუაბის ძე იყო განწყობილი. „ტფილისის მფლობელის გულში,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,—მაშასადამე, აშოტისადმი სიძულვილი და მტრული გრძნობა არ დამცხრალა; ხოლო კახეთის ქორეპისკოპოსის გაძლიერებას, როგორც ჩანს, იგი მოწყალე თვალით უცქეროდა და მფარველობას უწევდა" (ჯავახიშვილი 1983:95). ამიტომ მან გრიგოლის მხარე დაიჭირა.

კახეთის მთავარს წანარებიც ეხმარებოდნენ. ეს დაპირისპირება ბრძოლით ჯადაწყდა, „შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ,—წერს მემატიანე.—გააქციეს გრიგოლ მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსანამდის" (ქ. ცხ. 1955:252—253). რომელ წელს მოხდა ეს ბრძოლა დადგენილი არ არის. ივ. ჯავახიშვილი იმის მიხედვით, რომ მასში თეოდოსი II მონაწილეობდა, ამ ბრძოლის თარიღს, მისი ზეობის დროით 791—818[1] წლების შუა პერიოდით განსაზღვრავდა. ბრძოლის შედეგების მიხედვით ჩანს, რომ ჩაიშალა კახეთის ქორეპისკოპოსის სურვილი დაუფლებოდა შიდა ქართლს. შეერთებულმა ძალამ გრიგოლი აიძულა საიმთავროს ძველი საზღვრების ფარგლებში ჩატეულიყო. „გამარჯვებულმა აშოტ კურაპალატმა თავისის საბრძანებელი გააფართოვა და თავისი წინანდელი სამფლობელოს ერთი ნაწილი ქსნის ხეობამდის დაისაკუთრა" (იქვე: 96).

პირველი მარცხი გრიგოლს ამაზე ადრე ჰქონდა განცდილი. ვახუშტის ცნობით, ეს კახეთისაგან ჰერეთის სრული ჩამოცილებით გამოიხატებოდა. პროცესი უფრო ადრე, არჩილის დროს დაწყებულა. „ჰერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწუნეს თუალნი მამის ძმისა, და არჩილ მოწამემან მიუბოძა ამას შაკიხი და ცოლი აბუხოსროსი; და ამის ძეთა დაიპყრეს სრულიად ჰერეთი და იწოდეს მეფედ და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერვის" (ქ. ცხ. 1973:557). ჰერეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გადაქცევას კახეთის მთავრები ვერ ურიგდებოდნენ, გამუდმებით იბრძოდნენ მისი დაბრუნებისათვის, მაგრამ ამას XI ს-ის დასაწყისამდე ვერ მიაღწიეს.

მაგრამ ვახუშტის ცნობით, დაკარგული ტერიტორიების საკომპენსაცი-

[1] ასეთი იყო ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით თეოდოსი II-ის ზეობის წლები. (ჯავახიშვილი 1983:95)

ოდ, იმავე გრიგოლის მთავრობის პირველ ხანებში, კახეთი სამხრეთ-აღმოსავლეთით გაფართოებულა. მას გარდაბანი შემოუერთებია. ეს დასტურდება ვახუშტის ნაშრომიდან ზევით მოტანილ ციტატაში და ამიტომ მას აქ აღარ დავიმოწმებთ.

ქორეპისკოპოსის გრიგოლის დროს გრძელდებოდა ბრძოლები არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. არაბულ წყაროებში ამ მოვლენების აღწერის დროს ნაჩვენები არ არის კახეთი, მაგრამ იქ არაერთხელაა მოხსენიებული „სანარია" (წანარეთი), რაც ამ სამთავროს აღსანიშნავად იხმარებოდა. არაბი ავტორის იაკუბის მიერ აღწერილი ფაქტებიდან ჩანს, რომ წანარები ზოგჯერ თბილისის ამირას უჭერდნენ მხარს ხალიფას წინააღმდეგ ბრძოლაში. უფრო ხშირად კი დამოუკიდებლად იბრძვიან. მაგალითად, IX ს-ის ოციან წლებში, როცა არაბთა სარდალმა ხალიდმა თბილისის ამირა მუჰამედ იბნ-ატაბი დაამარცხა, წანარები ქართლის ტერიტორიაზე განაგრძობდნენ ბრძოლას. არაბთა სარდალმა მხოლოდ ძალების დიდი დაძაბვით მოახერხა მათი დამარცხება, „გააქცია ისინი, ხელთ ჩაიგდო მათი ჯოგები და ბოლოს, შემოირიგა იმ პირობით, რომ წანარები მისცემდნენ სამიათას ფაშატ ცხენსა და ოციათას ცხვარს. მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ ისინი კვლავ აჯანყდნენ" **(ჯანაშია 1952:405)**. აქ აღწერილ ამბებში, მართალია, არ ჩანს კახეთის ქორეპისკოპოსი გრიგოლი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ ეს მოვლენები მისი მთავრობის პერიოდში (ვახუშტის მიხედვით—787—827 წწ.) ხდება.

ქორეპისკოპოსის გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ კახეთში დინასტიის ცვლა მოხდა. ვახუშტის ქრონოლოგიით 54 წლის მანძილზე კახეთის მთავრები გარდაბანელი დონაურები არიან. „მატიანე ქართლისას" ავტორი ისე წერს, რომ დონაურების ხელისუფლების სათავეში მოსვლა შეთქმულების შედეგი უნდა იყოს. ეხება რა ხალიდ იბნ იაზიდის ქართლში პირველი ლაშქრობის შედეგს იგი გადმოგვცემს: „მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ჭორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა დასუეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური" **(ქ. ცხ. 1955:254)**. მ. ლორთქიფანიძის აზრით, მემატიანის გამოთქმა „განაჩინეს" ნიშნავს, „რომ მთავრის ხელისუფლება არჩევითია. ირჩევენ გარდაბანელნი, უკეთ, რომ ვთქვათ, გარკვეული ფენა გარდაბანელებისა ირჩევს თავის წრეში მთავარს" **(ლორთქიფანიძე 1963:153)**. მეცნიერი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ანალოგიას აკეთებს VI საუკუნეში მომხდარ ფაქტთან, როდესაც ქართლის ფეოდალებმა „განაჩინეს ერისმთავრად გუარამ". უნდა ითქვას, რომ თუ დაჩის გამთავრება არჩევით მოხდა ეს ერთეული ფაქტი ყოფილა, რადგან მომდევნო მთავარი სამოელ დონაური უკვე „დასუეს"[1] ქორეპისკოპოსად, ხოლო მესამე— გაბრიელ დინაური სამოე-

[1] პატ. მეცნიერს სამოელ დონაურზედაც „განაჩინეს" აქვს ამოწერილი **(იქვე)**, „მატიანეში" კი „დასუეს" წერია **(ქ. ცხ. 1955:254)**.

ლის ძმა (ვახუშტით-ძმისწული) იყო და ამ გზით მიიღო ხელისუფლება კახეთში.

ამ მთავრების შესახებ ვახუშტის მონათხრობი იმითაა საინტერესო, რომ იგი ყველა მათგანის ზეობის წლებს მიუთითებს, დაჩის იგი უწოდებს ვაჩეს და მიაჩნია, რომ ის მთავრობდა 827—839 წწ.; სამოელი—839—861 წწ. ზეობდა; ხოლო გაბრიელი 861—881 წლებში ყოფილა ქორეპისკოპოსად.

ამ „გარდაბანელ" მთავართაგან პოლიტიკური მოვლენებით ყველაზე მნიშვნელოვანია სამოელ დონაურის ქორეპისკოპოსობის პერიოდი, რამდენადაც ამ დროს არაბ დამპყრობლებთან ბრძოლა კულმინაციას აღწევს. IX საუკუნის ორმოციან წლებში თბილისის საამიროს ახლად დანიშნული საჰაკ ისმაელის ძე (831—853) უდგას სათავეში. ეს ამირა აკრეფილ ხარკს საბალიფოში აღარ აგზავნიდა. ამიტომ მის დასასჯელად ხალიფას, ქართლში უკვე ორჯერ ლაშქრად ნამყოფი სარდალი, ხალიდ იბნ იაზიდი გამოუგზავნია. მას ჯავახეთამდე მოუღწევია და სოფ. ხიზაბავრაში გარდაცვლილა (თუ მოუკლავთ). 842 წელს დამსჯელი ექსპედიციის სარდლის პოსტზე ხალიდი მისმა შვილმა მოჰამედმა შეცვალა. ამირას წინააღმდეგ ბრძოლაში მას ბაგრატ აშოტის ძე კურაპალატი შეუერთდა. რისთვისაც ქართლი მიიღო. მოკავშირეებმა უფლისციხე აიღეს. თბილისის ამირა გორთან ახლოს სოფ. რეხში დადგა. „მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საჰაკისა,—გვაცნობებს მემატიანე,—შეიბნეს რეხს და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. აიყარა მოჰამედ და წარვიდა ბარდავს" (ქ. ცხ. 1955:255).

ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობას უფრო სწორად მიიჩნევს; ვიდრე არაბი ავტორის იაკუბის მონათხრობს, რომლის მიხედვითაც მოჰამედს საჰაკი დაუმარცხებია და გაუქცევია. „ამირა საჰაკი რომ დამარცხებული ყოფილიყო მისი საგანგებოდ დამორჩილება საჭირო აღარ იქნებოდა"-ო, წერდა იგი (ჯავახიშვილი 1983:97).

ამ მოვლენებში თ. პაპუაშვილის ყურადღებას იმსახურებს საჰაკის მოკავშირედ გარდაბანელთა ყოფნა. „როგორც ჩანს,—წერს იგი,—კახთა ქორეპისკოპოსს სამოელ დონაურს ისჰაკ იბნ-ისმაელთან მჭიდრო კავშირი აქვს..; რაც ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ, კახეთის სამთავრო კავკასიის მასშტაბით წარმოადგენდა პოლიტიკურად მძლავრ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, თბილისის ამირასათვის მის მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა აქვს". ამ ეპიზოდში მეორე მხარეცაა საყურადღებო: ისევე, როგორც რეხთან ბრძოლაში, ახლაც კახთა მთავარი და ამირა ერთად არიან, ხოლო ხალიფას სარდალს აშოტ დიდის მემკვიდრე ბაგრატი უდგას გვერდით. ე. ი. ეს მარტო საჰაკის ბრძოლა კი არ არის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, არამედ „ქართლსა ზედა ბრძოლის" ეპიზოდიცაა. ბაგრატს ურჩევნია ქართლი და უფლისციხე არაბ სარდალს ემორჩილებოდეს, ვიდრე თბილისის ამირას ან მის მოკავშირე სამოელ დონაურს.

მომდევნო ხანის მოვლენების, ბუღა თურქის ლაშქრობების მიზეზად ივ. ჯავახიშვილს თბილისის ამირას საჰაკის რეხის ბრძოლიდან დაუმარცხებლად გამოსვლა მიაჩნია. „ხალიფა მუტევაკილმა საგანგებოდ სარ-

დალი გამოგზავნა, რომელსაც სომხეთის ერისთავებისა და თბილისის ამირა საჰაკ ისმაელის ძისათვის ჰკუა უნდა ესწავლებინა"-ო, წერდა იგი **(ჯავახიშვილი 1983:97)**.

ამ დროს სახალიფოს ფეოდალური დაშლის პროცესი უკუშეუქცევლად მიიწევდა წინ, ხალიფა მუტავაქილი (847—861) რეპრესიული ღონისძიებებით შეეცადა აღეკვეთა დაწყებული სეპარატისტული მოძრაობები. რასაც საწინააღმდეგო რეაქცია მოჰყვა, ახალი ძალით იფეთქა დაპყრობილ ხალხთა გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ. ხალიფა იმპერიის შენარჩუნების იმედს არ ჰკარგავდა და დამსჯელ რაზმებს გზავნიდა, როგორც სეპარატისტ არაბ ხელისუფალთა, ასევე აჯანყებული ქვეყნების წინააღმდეგ. ასეთი მიზნით, როგორც ზევითაც ვწერდით იყო გამოგზავნილი ამიერკავკასიის ქვეყნებში დიდი დამსჯელი ექსპედიცია ბუღა თურქის სარდლობით. ბუღამ 850—852 წლებში ჯერ „შემუსრა ყოველი სომხითი და ტყუე ყვნა ყოველი მთავარნი მათნი" **(ქ. ცხ. 1955:256)**, ხოლო 853 წლის გაზაფხულზე თბილისისაკენ გამოემართა, რათა ცენტრალური ხელისუფლებისაგან განმდგარი ამირა საჰაკ იბნ-ისმაელი დაესაჯა. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: „მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოხრნა ყოველნი არენი მისნი" **(იქვე)**. ს. ჯანაშია გვიამბობს რა ბუღას შემოსევის შესახებ სურათის სრულყოფისათვის უმატებს: „ტფილისის აღებას (853 წ. 5 აგვისტოს) თან ისეთი სისასტიკე სდევდა თურმე, რომ, არაბული ცნობებით, ამ ამბების დროს, 50000 კაცი დაღუპულა" **(ჯანაშია 1952:406)**.

წყაროები ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს გვაწოდებენ ბუღას ლაშქრობის შემდგომი ბედის შესახებ. ქართველი მემატიანის გადმოცემით, რომელიც უფრო სწორად მიაჩნია ს. ჯანაშიას, თბილისის აოხრების „შემდეგ ბუღას ჯარები საჰაკის მოკავშირეებს ადგილობრივ მეფე-მთავრებსაც ამარცხებენ" **(იქვე: 407)**. მაგრამ არაბი ავტორი იაკუბი, თ. პაპუაშვილის გადმოცემით, ამ საკითხზე გვაცნობებს: ბუღა გაემართა წანარების (კახეთის) წინააღმდეგ. შეებრძოლა მათ, გააქცია და დაამარცხეს წანარებმა ბუღა და გასცილდა ის მათ დამარცხებულიო **(პაპუაშვილი 1980: 181)**.

ბუღას წინააღმდეგ კახეთის სამთავროში გაშართული ბრძოლები დაწვრილებით აქვს აღწერილი სომეხ ისტორიკოსს თომა არწრუნს. მისი გადმოცემით, თბილისის ოპერაციის შემდეგ გაზვიადებულ ბუღა თურქს მარბიელი ძალები მოუფენია მთელს ქვეყანაში. თვითონ კი დიდი ჯარით წანარეთისაკენ წასულა და როცა ამ ქვეყნამდე მიუღწევია, გაუგზავნია წერილი, რომლითაც წანარებს მორჩილებისაკენ მოუწოდებდა. ძლიერ ციხე-სიმაგრეებში საიმედოდ გამაგრებულ მამაც წანარებს მორჩილების მაგივრად, მისი მოციქულები სასტიკად უცემიათ და ლანძღვა-გინებით გამოუყრიათ თავიანთი ქვეყნიდან.

განრისხებულ არაბ სარდალს თავისუფლებისმოყვარე ხალხის ბრძოლით ჰკუაზე მოყვანა გადაუწყვეტია და მთელი ძალებით შებმია მათ. მაგრამ წანართა დამარცხება შეუძლებელი გამხდარა. 9 დღის განმავლობაში 19

შეტევა არაბთა დამარცხებით დამთავრებულა, ბუღა თურქი დიდი დანაკლისის შემდეგ სირცხვილნაჭამი გამობრუნებულა ურჩი ქვეყნიდან.

თ. არწრუნის ამ მონათხრობში ბუღას წინააღმდეგ მებრძოლად წანარეზია დასახელებული. თ. პაპუაშვილის აზრით, არაბ სარდალს მოლაპარაკებაც და ბრძოლებიც სამოელ დონაურის ხელმძღვანელობით მეომარ მთელ კახეთთან უნდა ჰქონოდა. იმ უაღრესად ძნელბედობის ჟამს, რომელიც კახეთის სამთავროს ბუღა თურქის თავდასხმის დროს დაუდგა, წერს იგი, „ქორეპისკოპოსმა სამოელ დონაურმა შეძლო თავისი სამთავროს შინაგანი ძალების მაქსიმალური მობილიზაცია და მოზღვავებულ მტერს ღირსეულად გაუმკლავდა“ **(იქვე: 183--184)**.

კახეთის მთავრის სამოელ დონაურის საბოლოო ბედის შესახებ გ. ჩუბინაშვილი ვარაუდობდა, რომ იგი თითქოს ტყვედ ჩაუვარდა ბუღა თურქს. ამის საფუძველი გახდა „მატიანე ქართლისას“ ადგილი სადაც ნათქვამია: წანარებთან ნაბრძოლი ბუღა „შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს. და შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო, და შემუსრა გარდაბანი“ **(ქ. ცხ. 1955: 256)**. მაგრამ თ. პაპუაშვილმა დაამტკიცა, რომ მემატიანის ტექსტში დამოწმებული ტოპონიმი კახეთის სამთავროში შემავალი გარდაბანი კი არ არის, არამედ ესაა ალბანეთის ოლქი გარდმანი. ამასთან, თომა არწრუნის მიერ დასახელებულ ბუღა თურქის ტყვე-მთავრების საკმაოდ სრულ სიაში სამოელ დონაური დასახელებული არ არის **(პაპუაშვილი 1982:186)**.

„მატიანე ქართლისას“ და ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სამოელ დინაური ქორეპისკოპოსად ჩანს 861 წლამდე. ამ დროიდან კი მთავრად დასახელებულია გაბრიელ დონაური. მისი ზეობის ხანა ქართულ წყაროებში სრულიად გაუშუქებელია. მხოლოდ სინქრონული მოვლენების მიხედვით შეიძლება ზოგიერთი მომენტის გაცნობიერება. ასეთი გზით აქვს ეს საკითხები შესწავლილი ივ. ჯავახიშვილს. **(ჯავახიშვილი 1983:100)**. 881 წელს, როცა გაბრიელ დონაური, ვახუშტის ცნობით, გარდაიცვალა კახეთის ქორეპისკოპოსად, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, გახდა „ფადლა არემავნელი, კაცი ბრძენი და საქმის მცოდნე“ **(ქ. ცხ. 1955:259)**. იგი, როგორც ჩანს, გარდაბანელი არ იყო. პირიქით, უპირისპირდებოდა დონაურების გარდაბანულ დინასტიას. მემატიანე იუწყება: „ფადლა ქორეპისკოპოსი განძლიერდა და დაიმორჩილა გარდაბანელნი“-ო. რაც საბაბს აძლევს თ. პაპუაშვილს ივარაუდოს, „რომ ფადლა ეკუთვნოდა ბაგრატიონთა საგვარეულოს იმ სახლს, რომლიდანაც კახეთის მთავარი გრიგოლი იყო გამოსული“ **(პაპუაშვილი 1982:191)**. ე. ი. ბაგრატიონებმა 54 წლის წინად დაკარგული კახეთის მთავრის ტახტი კვლავ დაიბრუნეს. თითქოს ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტიც, როცა ფადლას მემკვიდრეების შესახებ წერს: „ქუეითნი მპყრობელნი კახეთისანი ამის ძენი და შთამომავალნი არიან, ვითარცა სახელით წარმოიჩინებიან“-ო **(ქ. ცხ. 1973:558)**.

არაბთა უკანასკნელ დიდ გაბრძოლებას კახეთის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ფადლას მემკვიდრე კვირიკე I-ის დროს (893—918). ეს იყო არაბი ამირა აბულ-კასიმ აბუ-საჯის ძის შემოსევა 914 წელს. მას დიდი ბრძოლები გადახდომია უჯარმის ციხესთან, სადაც 300 კაციან გარნიზონს მრავალი დღის განმავლობაში მოუგერიებია მტრის იერიშები. ციხე მხოლოდ მას შემდეგ დაცემულა, რაც დამცველები მისი შენარჩუნების უიმედობაში დარწმუნებულან და ღამით იგი მიუტოვებიათ **(იქვე: 307)**. უჯარმას ამ დროს უკვე დაკარგული აქვს ძველი ძლიერება. იგი, ცხადია, აღარ არის მთავრის რეზიდენცია. მემატიანის თქმით, იგი ბოჭორმასთან შედარებით აბულ-კასიმს „ბაკად" მოჩვენებია. ამიტომ გაკვირვებულა, როცა კახელებს ბოჭორმა უბრძოლველად დაუთმიათ. თ. პაპუაშვილის აზრით, ეს გამართლებული ნაბიჯი იყო, რადგან მან არაბი სარდალი ქართველების მიმართ ლმობიერად განაწყო. იგი დათანხმდა საომარი ოპერაციების შეწყვეტაზე და ქვეყანა აოხრება-განადგურებას გადაურჩა. „მატიანე ქართლისას" მიხედვით, აბულ-კასიმმა მასთან მისული ქორეპისკოპოსი კვირიკე I მშვიდობიანად გაუშვა, ბოჭორმა კი თავისთვის „დაიჭირა"

თ. პაპუაშვილი ვარაუდობს, რომ ბოჭორმა „ამ დროს, ალბათ აქაური მთავრის რეზიდენციას წარმოადგენდა" **(პაპუაშვილი 1982:193)**. ეს მოსაზრება უფრო ადრე დ. მუსხელიშვილმა გამოთქვა. მან გაარკვია, რომ VIII საუკუნის დამლევიდან კახეთის ძველი რეზიდენციის უჯარმის დეგრადაცია დაიწყო. „ეს პროცესი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პარალელურად და მასთან კავშირში ხდება. ძირითადად იგი მიმდინარეობს IX საუკუნეში. ამ საუკუნის ბოლოსათვის უჯარმას დაკარგული აქვს უწინდელი მნიშვნელობა და იგი მხოლოდ ციხე-სიმაგრის როლს ასრულებს" **(მუსხელიშვილი 1966:112)**. მაგრამ აქედან კახეთის მთავრებს რეზიდენცია უშუალოდ თელავში არ გადაუტანიათ. ამ მოვლენას შუალედი ეტაპები ჰქონდა. „ასეთად გვეჩვენება ჩვენ X ს-ში ბოჭორმა,—განაგრძობს იგივე ავტორი,—რომელიც წყაროთა მიხედვით ამ ხანებში თითქოს სამთავროს ცენტრი უნდა ყოფილიყო" **(იქვე:113)**.

მ. ლორთქიფანიძეს, კახეთის მთავრების თელავში გადასვლამდე, ნავარაუდევი აქვს მეორე შუალედური ცენტრიც. მისი აზრით ასეთი უნდა იყოს წყაროებში დასახელებული თიანეთის რაიონში მდებარე ბოდოჯის სასახლე. „ეს ბოდოჯი შეიძლება იყოს კახთა მეფეების საჯდომი (თელავში გადასვლამდე)", წერს იგი **(ლორთქიფანიძე 1963:148)**. ტოპონიმი ბოდოჯი ამჟამად აღარ არსებობს. მას არც ვახუშტი იცნობს. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, იგი შეიძლება იყოს დღეს „ცხრაკარას" სახელწოდებით ცნობილი ნანგრევები.

XI ს-ის დასაწყისისათვის კახეთის სამთავროს რეზიდენციის თიანეთში არსებობის შესაძლებლობა ნ. ბერძენიშვილსაც მიუნიშნებია. დ. მუსხელიშვილი იმოწმებს და იზიარებს ამ ჰიპოთეზას. „XI ს-ის დასაწყისისათვის კახეთის სამთავროს ცენტრი თიანეთშია საგულისხმებელი"-ო, წერს იგი **(მუსხელიშვილი 1966:112)**. თიანეთი კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, გვიან ვრცელი სანახების სახელწოდება გახდა, რომელშიაც ბოდოჯიც („ცხრაკარა") შევიდა.

მართალია კვირიკე პირველმა ბოქორმა დაჰკარგა, მაგრამ ბრძოლის უნარიანობა შეინარჩუნა. აბულ-კასიმის მიერ შექმნილი ხიფათისაგან გადარჩენილი ძალებით კახეთის მთავარი შემდეგ ენერგიულად იბრძვის საკუთარი სამფლობელოს გაფართოებისათვის, ახორციელებს შეტევებს ჰერეთის სამთავროს წინააღმდეგ.

ამ ბრძოლებს საკმაო სისრულით აღწერს ვახუშტი ბაგრატიონი. 915 წელს, ჰერეთის მთავრის ადარნასე პატრიკის წინააღმდეგ ლაშქრობაში, კვირიკე პირველი დაკავშირებია ეგრის-აფხაზეთის მეფეს კონსტანტინე III-ს (893—929). მოკავშირეებმა ორი მიმართულებიდან შეუტიეს მოწინააღმდეგეს. დამარცხებულმა ადარნასე პატრიკმა ზავი ითხოვა, კონსტანტინე III-ს მან დაუთმო არიში (დღევანდელი მთისძირი), გავაზნი (ღღევ. ახალსოფელი) და კვირიკეს—ორჯოხი (ადგილმდებარეობა დაუდგენელია). ამ კომპანიის შესახებ მატიანეში დადასტურებული ცნობების მიხედვით კვირიკე ქორეპისკოპოსის პოლიტიკას ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად აფასებს: „კახთა ბატონი ბრძნულად იქცეოდა და მარტო თავის სამფლობელოს გაფართოებას ვერ ბედავდა, რომ აფხაზთა მეფის შური არ აღეძრა; გამარჯვების შემდეგაც მან დათმობილი ქვეყნის მხოლოდ ერთი წილი აიღო, ორი წილი კი აფხაზთა მეფეს დაუთმო“ **(ჯავახიშვილი 1983:105)**. მართალია, კახეთის მთავარი ამჯერად შედარებით მცირე ტერიტორიას დაეუფლა, მაგრამ კახეთს ჰერეთის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მითვისებული ჰქონდა. „VIII ს. მიწურულისათვის...—აღნიშნავს დ. მუსხელიშვილი.—ჰერეთის სამთავრომ დასავლეთის პროვინციები (შიგნი კახეთი, გაღმა მხარის ჩრდილო-დასავლეთი) დაჰკარგა და ისინი კახეთს შეერწყა“ **(მუსხელიშვილი 1980:124—125)**. ე. ი. კვირიკე ქორეპისკოპოსი დაპყრობილი პუნქტებიდან მიღებული მესამედით იმიტომაც დაკმაყოფილდა, რომ ეს წინათ შემოერთებული ჰერეთის პროვინციების კახეთისათვის დამკვიდრებას ნიშნავდა.

კვირიკე I-ის მემკვიდრე ფადლა II ქორეპისკოპოსს ყურადღება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დასავლეთის საზღვრებზე გადააქვს. მისი პირველივე ღონისძიებები მამამისის მოკავშირე ეგრის-აფხაზეთის მეფის საწინააღმდეგოდაა მიმართული და „ქართლსა ზედა ბრძოლაში“ აქტიურად ჩართვას მოწმობს. „მატიანე ქართლისას“ გადმოცემით მას ქსნის მარცხენა სანაპიროზე აუგია ლოწობნის[1] ციხე. „ამ ციხეს სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული ადგილმდებარეობა აქვს, იგი ბატონობს ქსან-არაგვს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე **(პაპუაშვილი 1982:196)**.

ქართული და სომხური წყაროებიდან ირკვევა, რომ ფადლა II აქტიურად ებმებოდა მეზობელი ქვეყნების შინა პოლიტიკურ ბრძოლებში. 922 წელს იგი დახმარებია სომხეთის მეფეს აშოტ II ერკათს, მისი ქვეშევრდომი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: ჯერ გავარკვიე სად იყო ლოწობანთა ციხეო. თ. პაპუაშვილის ლოკალიზაციით მას ახლა ლოწობნის კლდეს უწოდებენ და მდებარეობს მდ. ქსნის ხეობაში, ალევს ქვემოთ.

უტიელი (ალბანეთი) მთავრის მოსეს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დახმარებას ბრძოლის სასწორი სომეხთა მეფის სასარგებლოდ გადაუწონია.

მმართველობის ბოლო წლებში კი, როგორც „მატიანე ქართლისას" ავტორი გადმოგვცემს, ფადლა II ტაოელ მეფეებთან ერთად დახმარებია ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს (929—957) განმდგარი მემკვიდრის კონსტანტინე ბატონიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში. კონსტანტინე უფლისციხეში ყოფილა გამაგრებული. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოკავშირეებმა ციხე მიბჯენით ვერ აიღეს. მაგრამ მამას შვილი გამოუტყუებია და სასტიკად დაუსჯია. მემატიანე გვიამბობს: „შეიპყრეს და მოჰგუარეს მეფესა, და მეფემან გააპატიჟა ბოროტად: პირველად თუალნი დასწუნეს და მერე გამოყუერეს, და მოკუდა" (ქ. ცხ. 1955:267—268).

ეგრის-აფხაზეთის მეფის გიორგი მეორისა და კახეთის მთავრის ფალდა მეორის მოკავშირეობა, რომ მყარ საფუძველზე არ იდგა და მოჩვენებითი იყო, აშკარა გახდა ახალი ქორეპისკოპოსის, ფადლას შვილის კვირიკე II-ის დროს (929—976). ამ უკანასკნელის ტახტზე ასვლისთანავე ახალი ძალით გაიშალა „ბრძოლა ქართლსა ზედა" ეს იყო ამ პროცესის დრამატული და დამამთავრებელი ეტაპი, რომელშიაც კახეთის ხელისუფლები თავდამცავის როლში გამოდიან და მეორე პლანზე დგანან. აშკარა ჰეგემონები კი ეგრის-აფხაზეთის მეფეები არიან. ამიტომ იმ დროს განვითარებულ მოვლენებზე ჩვენ ქვევით, ამ ბრძლების შესახებ მსჯელობის დროს გვექნება საუბარი.

ბ. ქართველთა საპატრიარქო

ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოს შემქმნელი იყო აშოტ I „დიდად" წოდებული[1]. ამ სახელმწიფოს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა. რამდენადაც, აშოტ ბაგრატიონი თავდაპირველად ქართლის ერისმთავარი იყო, ამიტომ როცა არაბთაგან შევიწროებულმა, მან შავშეთ-კლარჯეთში გადაინაცვლა მის სამფლობელოს სამთავროდ იხსენიებენ (ქ. ცხ. 1955:376). დაახლოებით 800-იანი წლებიდან აშოტი ქართულ წყაროებში იწოდება მეფედ. ამიტომ მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ მის დროს ქართლში აღდგენილ იქნა მეფობა (ინგოროყვა, 1954:42). მაგრამ, როგორც ზევით უკვე განვმარტეთ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში „მეფობა" ზოგადი ხასიათის აღმნიშვნელი ცნებაა, იგი ბაგრატიონთა სახლის რამდენიმე წევრს ერთდროულად მიემართება და უთანაბრდება „ხელმწიფობას". ხოლო მეფობის ინსტიტუტის აღდგენა ქართლში მოხდა 888 წელს, როცა ადარნასე ბაგრატიონმა მიიღო „ქართველთ მეფის" ტიტული. ამ

[1] ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ არაბებმა ქართლიდან აშოტი კი არა მისისამა ადარნასე განდევნეს, მაგრამ იგი კლარჯეთში ჩავიდა, როგორც კურო მფლობელი თავის საშობლოში (საქარ. ისტორია 1958:125). აშოტი კი, მაშისაგან განსხვავებით, ცალკე სახელმწიფო ერთეულს უდგება სათავეში.

დროიდან ეს სახელი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას მიემართება **(სინ 1973:458)**, აშოტს ზეობის ბოლო ხანებში მიანიჭეს „ქართველთა კურაპალატის" ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული, რომელსაც შემდეგ დავით აღმაშენებლამდე, რომელიმე ბაგრატიონი თანამიმდევრობით ღებულობდა. ამის გამო მათ სახელისუფლო ქვეყანასაც „ქართველთა საკურაპალატო" ერქვა. ამგვარად აშოტ დიდის მიერ საფუძველჩაყრილ სახელმწიფოს უწოდებენ: ტაო-კლარჯეთის სამთავროს, „ქართველთა სამეფოს" და „ქართველთა საკურაპალატოს" რადგან კურაპალატი ორი დანარჩენის (სამთავრო, სამეფო) არსებობის პერიოდშიც ფუნქციონირებდა, როგორც დანარჩენ ბაგრატიონებზე უზენაესი ხელისუფლების მქონე პიროვნების ტიტული, ამიტომ ჩვენ მის დაქვემდებარებაში შემავალი პოლიტიკური ერთეულისათვის „ქართველთა საკურაპალატოს" წოდება უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია.[1]

კამათობენ იმაზედაც, თუ როდის გაექცა არაბთა ძალმომრეობას აშოტი და გადავიდა შავშეთ-კლარჯეთში. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს მოხდა VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. პ. ინგოროყვა ასეთ თარიღად ასახელებს 813 წელს. კ. კეკელიძე თვლიდა, რომ აშოტმა კლარჯეთში გადაინაცვლა არა უადრეს 820 წლისა. ვ. კოპალიანი იმოწმებს სუმბატ დავითის ძეს და წერს, „რომ აშოტი და მისი ოჯახის წევრები ქართლიდან არაბებმა განდევნეს და ეს VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომხდარიყო" **(კოპალიანი 1969:12)**. დ. მუსხელიშვილი „არაბთაგან განთავისუფლებას და კიდევ ერთი დამოუკიდებელი ქართული სამთავროს ჩამოყალიბებას" IX ს-ის 10-იანი წლებით ათარიღებს **(მუსხელიშვილი 1980:158)**.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მოვლენის თარიღის VIII საუკუნეში გადატანა არ ხერხდება, რადგან სუმბატ დავითის ძის ცნობით აშოტს არაბთაგან ლტოლვის დროს ჰყავდა მხოლოდ ორი „ძენი ასაკითა ჩვილნი, უხუცესი ადარნასე და შემდეგი ბაგრატ. ხოლო უმრწმესი გუარამ ჯერეთ არა ესუა"[2] **(ქ. ცხ. 1955:376)**. ხოლო, როცა აშოტ კურაპალატი მოკლეს (იმავე მემატიანის ცნობით 826 წელს), „იყვნენ იგინი (აშოტის ძენი. —გ. მ.) უსრულ ასაკითა" ცხადია, თუნდაც უფროსი ძე ადარნასე, რომ ყოფილიყო VIII ს-ის მიწურულს დაბადებული, 826 წელს იგი სრულასაკოვანი იქნებოდა. ამიტომ მითითებულ თარიღთა შორის უფრო სწორი უნდა იყოს პ. ინგოროყვას მიერ დასახელებული 813 წლის ახლო ხანა. ამ მოსაზრების საბუთიანობას ადასტურებს იმ დროს ამიერკავკასიაში შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, რის გამოც აშოტს გაუადვილდებოდა დამოუკიდებლობის გა-

---

[1] დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ ამ სახელმწიფოსათვის ტაო-კლარჯეთის სამთავროს წოდება ნათლად არ გამოხატავს არც მის გეოგრაფიულ საზღვრებს და არც პოლიტიკურ შინაარსს. ამიტომ მას უნდა „ამიერიდან ვუწოდოთ IX საუკუნისათვის—„ქართველთა საკურაპალატო," ხოლო XI. დასაწყისიდან — „ქართველთა სამეფო" **(მუსხელიშვილი 1980:188)** მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება მიიახლოებით უფრო ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, ჩვენ სათაურად გამოსატანად მაინც „ქართველთა საკურაპალატოს" ვარჩევთ.

[2] ეს ფაქტი საეჭვო არ უნდა იყოს, რადგან მემატიანე მას მეორედ იმავე სიტყვებით იმეორებს **(ქ. ცხ. 377—378)**.

მოცხადება. მართალია სუმბატ დავითის ძე წერს: „გაძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა“-ო, მაგრამ სინამდვილეში ხალიფა „ჰარუნ არ-რაშიდის სიკვდილის (809 წ.) შემდეგ სამოქალაქო ომი არაბეთში 820 წლამდე გაგრძელდა“ **(მუსხელიშვილი 1980:158)**. ამ ურთიერთბრძოლით უსარგებლია აშოტს და არაბთა ქვეშევრდომობიდან თავი დაუღწევია.

სუმბატ დავითის ძის გადმოცემით, არაბთაგან ლტოლვილი აშოტი და მისი მხლებელნი „მრიწივნეს ხევსა შავშეთისასა... ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითა, და დაემკვიდრა მუნ“ **(ქ. ცხ. 1955:376)**. მემატიანის კონტექსტით ისე გამოდის, რომ შავშელებს შეეძლოთ არ „შეეწყნარებიათ“ (მიეღოთ) აშოტი. მაგრამ ტექსტის ასეთი გაგება სწორი არ იქნებოდა. საქმე ისაა, რომ შავშეთი და კლარჯეთი, როგორც მისი პაპის და მამის მამული აშოტს მემკვიდრეობით ეკუთვნოდა. „ვიდრე იგი ქართლის ერისმთავარი გახდებოდა, სამხრეთ-დასავლეთ პროვინციის, მაინცდამაინც, კლარჯეთის მფლობელად გვევლინება“ **(მუსხელიშვილი 1980:157)**. მაშასადამე, მას ამ მხარეში მცხოვრებთა მიერ „შეწყნარება“ არ სჭირდებოდა, იგი მათი პატრონი იყო.

სხვა საკითხია პოლიტიკურად ვის ექვემდებარებოდა აშოტის ეს სამემკვიდრეო მამული. მემატიანე გვატყობინებს, რომ ერისმთავარი არაბებს გაექცა „საბერძნეთად“ აქედან გამომდინარე მ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს: „იქნებ, არაბებს შავშეთ-კლარჯეთზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ„-ო **(სინ 1973:449)**. თანაც, სუმბატ დავითის ძისვე ცნობით, მისცა „ღმერთმან და განამტკიცა ხელმწიფობა მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“ და ბოლოს აშოტს კურაპალატობაც ებოძა, რაც თითქოს ადასტურებს, რომ „ქართველთა საკურაპალატო“ ბიზანტიის ვასალი იყო. მაგრამ ზოგიერთი სხვა მომენტი გვაფიქრებინებს, რომ არაბები აშოტის სამფლობელოს თავის ქვეშევრდომ ქვეყანად თვლიდნენ და იქ მოქმედების დროს ბიზანტიის კეისარს ანგარიშს არ უწევდნენ.

საქმე იმაშია, რომ არაბთა სარდლის მურვან ყრუს მიერ დარბევის შემდეგ ეს მხარე, მართალია, თითქმის გავერანებული და მცხოვრებთა გარეშეა დარჩენილი, მაგრამ აქ არაბთა ხელისუფლება ვრცელდება და არა ბიზანტიისა. სანამ იგი გავერანებული იყო არაბები მისდამი ინტერესს არ იჩენდნენ, არ ებრძოდნენ აშოტს აშკარად. ხოლო როცა „ქართველთა საკურაპალატო“ აშოტის ღონისძიებებით მოშენდა, ეკონომიკურად მომძლავრდა და თვითონ გადავიდა შეტევაზე, ძველად ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების ქვეშ მყოფი მიწების თავის მფლობელობაში დასაბრუნებლად, თბილისის ამირა ჯერ კახეთის ჭორეპისკოპოსს ეხმარება აშოტის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც როგორც ვნახეთ, მარცხით დამთავრდა. მაგრამ შემდეგ, არაბები საკუთარ სამფლობელოში, ნიგალის ხევში, დაესხნენ თავს კურაპალატს და ეკლესიის საკურთხეველზე ზვარაკივით დაჰკლეს.

ტაო-კლარჯეთი, რომ ბიზანტიის ქვეშევრდომი ქვეყანა ყოფილიყო მაშინ მათ ყველაფერი ეს უნდა აეცილებინათ აშოტისათვის, მაგრამ კეისრის „დახმარება“, ამ შემთხვევაში, მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ, როცა აშოტის შუათანა ძე ბაგრატი პოლიტიკურად მომძლავრდა მას კურაპალა-

ტობა ებოძა. შეეშინდათ იგი არაბთა მოკავშირე არ გამხდარიყო. თუმცა კურაპალატობას ბაგრატისათვის ხელი არ შეუშლია გვერდით დადგომოდა არაბთა სარდალს მოჰამედ ხალიდის ძეს, თბილისის ამირა საჰაკისა და კახეთის ქორეპისკოპოსის სამოელ დონაურის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც 842 წლის ახლო ხანებში გაიმართა. იგივე „ბაგრატ კურაპალატი 853 წელს აქ მოსული ბუღა თურქის მოკავშირედ გამოდის" **(სინ 1973:471)**.

მოსაზრებას, რომ „ქართველთა სამეფო", არ წარმოადგენდა ბიზანტიის ვასალს თავგამოდებით იცავდა პ. ინგოროყვა. მისი მტკიცებით: „აშოტ I საკუთარი ძალებით აუჯანყდა არაბებს და ფაქტიურ დამოუკიდებლობას მიაღწია... ბიზანტიას, როგორც ირკვევა, არ გაუწევია რაიმე რეალური დახმარება, როდესაც აშოტ I შავშეთ-კლარჯეთიდან ხელახლა შეუდგება იბერიის ქვეყნების შეკრებას. გაანთავისუფლა არაბთა მფლობელობისაგან შიდა ქართლი და ქვემო ქართლი და ქართველთა სამეფოს საზღვრები ბარდავის კარებამდე მიიტანა" **(ინგოროყვა 1954:59)**. წუაროები დუმან ბიზანტიელთა რაიმე დახმარების შესახებ, განაგრძობდა იგი და ეს იმიტომ, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ბიზანტიას აქტივობა გამოეჩინა თავის საზღვრებს გარეთ, მაშინ, როცა დასავლეთ საქართველო, დიდი ხნის განმავლობაში მისი ქვეშევრდომი, იმავე პერიოდში ისე გამოეყო მას, რომ იქ თავისი უფლებების დაცვა ვერ მოახერხა.

მეცნიერის დასკვნით, ტაო-კლარჯეთსა და ბიზანტიას შორის არსებობდა მოკავშირული დამოკიდებულება, რომელშიაც ქართული მხარე უმცროსი პარტნიორი იყო, მაგრამ იგი ძლიერ ჭირდებოდა ბიზანტიას, როგორც მეტად მნიშვნელოვანი ფლანგი არაბული ხალიფატის სანაპიროზე **(იქვე: 60)**.

მაშასადამე, ტაო-კლარჯეთი, როცა იქ აშოტ ბაგრატიონი დამკვიდრდა არ წარმოადგენდა ბიზანტიის პოლიტიკურ ქვეშევრდომს. იგი არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყანა იყო. აშოტ კურაპალატმა ეს რეგიონი გაანთავისუფლა არაბთა ბატონობისაგან, ფორმალურად მიიღო ბიზანტიის მოკავშირეობა და მასზე ამოფარებული წარმატებით ებრძოდა არაბებს.

სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს გადმოცემით, ტაო-კლარჯეთი მურვან-ყრუს შემოსევის შემდეგ გაუერანებულ და უკაცრიელ მხარეს წარმოადგენდა. არაბთა შემოსევებისა და ბატონობისაგან თითქმის მთელი საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცხადია, ასეთ ბედს ვერც სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გადაურჩებოდა, მაგრამ მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ ზევით დასახელებული ავტორები განზრახ ამუქებენ ფერებს და თავიანთი თხრობის გმირების, აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ ხანძთელის დამსახურების განდიდების მიზნით ტენდენციურად მძიმე სურათს ხატავენ **(სინ 1973:446-447)**.

მართლაც, იმავე ავტორების ნაწარმოებებიდან ირკვევა, რომ არც გრიგოლ ხანძთელს და არც აშოტ ბაგრატიონს მოღვაწეობა სრულიად ცარიელ ადგილზე არ დაუწყიათ. ადგილობრივ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი მოსახლეობა, რაც ჰქმნიდა საფუძველს აქ ცხოვრების აღორძინებისათვის. იყვნენ საერო ფეოდალები (გიორგი ჩორჩანელი, გაბრიელ დაფანჩული,

ბაგრატ კურაპალატი...), რომელებიც მატერიალურ დაბმარებას უწევდნენ „ახლადშენებას“.

გიორგი მერჩულესა და სხვა ქართველი ავტორების ნაწარმოებების მეოხებით ჩვენ ძვირფასი ცნობები მოგვეპოვება იმ დიდი სამონასტრო კოლონიზაციის შესახებ, რაც IX—X სს. გაიშალა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასვე ადასტურებს ჩვენამდე სრული, თუ ნანგრევების სახით მოღწეული ეკლესია-მონასტრები. შედარებით მკრთალი ცნობები გვაქვს საერო არქიტექტურისა და სოფელ-ქალაქების მშენებლობის პროცესის წარმოსადგენად, მაგრამ საერთოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის ქართველთა საკურაპალატო, IX—X სს. თავისი ეკონომიკური შესაძლებლობებით აშკარად გამოირჩეოდა და ამან გამოხატულება ჰპოვა მატერიალური კულტურის იმ უშესანიშნავესი ძეგლების შექმნაში, რომლითაც ასე მდიდარია ეს მხარე. მათი ერთი ნაწილის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის შესახებ ჩვენ კიდევ მოგვიწევს საუბარი.

აშოტ კურაპალატის პოლიტიკური მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მას მისივე თანამედროვენი „დიდ ხელმწიფეს“ უწოდებდნენ **(Марр 1911:ობ)**. მის პოლიტიკურ წარმატებებს ხელი შეუწყო სახალიფოში მიმდინარე შინაომლილობამ და ადრაბადაგანში წამოწყებულმა ჰურამტების მოძრაობამ ბაბეკის მეთაურობით. ანტიარაბული ფრონტის შექმნა კავკასიაში დააჩქარა აქ მმართველად ხალიფას მიერ დანიშნული სარდლის ხატიმ იბნ-ხარსამის გამოსვლამ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. „მატიანე ქართლისას“ ავტორის სიტყვებით, რომ ვოქვათ: „მოუძლურებულ იყვნენ სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურაპალატი“ **(ქ. ცხ. 1955:252)**. იგი იწყებს იმით რომ აღადგენს და თავის რეზიდენციად აქცევს არტანუჯს. ანახლებს იქ ვახტანგ გორგასალის დროს აგებულ ციხეს, აშენებს ქალაქს. აწყობს თავისთვის სასახლეს, კარის ეკლესიას, სასაფლაოს.

არტანუჯი ხდება ბაზა მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აშოტის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებისათვის. არაბები ზედიზედ კარგავენ შავშეთს, კლარჯეთს, ნიგალს, აჭარას, ტაოს, სპერს, სამცხეს, ჯავახეთს, არტაანს. შემდეგ აშოტი, თავისი სიძის, ეგრის-აფხაზეთის მეფის თეოდოსის (798—825) მოკავშირეობით, კახეთის ქორეპისკოპოსის და თბილისის ამირას კოალიციის წინააღმდეგ იბრძვის შიდა ქართლისათვის. იმარჯვებს ამ ბრძოლაში და იბრუნებს ადრე დაკარგულ ტერიტორიებს მდ. ქსანამდე **(იქვე: 253)**. ამით „ქართველთა საკურაპალატოს“, მიწა-წყალი განვრცობით უახლოვდება ქართლის საერისმთავროს.

პ. ინგოროყვას შეფასებით, აშოტს „უცქეროდნენ, როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტიარაბული ფრონტისას კავკასიაში **(ინგოროყვა 1954:50)**.

სუმბატ დავითის ძის ცნობით, ჯერ კიდევ არაბთაგან გაქცევამდე აშოტ პირველს ბარდავი და მისი მიმდგომი ქვეყანა „სახლად მისსად“ ჰქონებია

(ქ. ცხ. 1955:376). ხოლო ქართლის (გარდა თბილისის საამიროსი) არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, ალბანეთის მხარეს გაულაშქრია და „კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ **(იქვე:377)**. პ. ინგოროყვა დარწმუნებული იყო ამ ცნობის უეჭველობაში **(ინგოროყვა 1954:49)**. მ. ლორთქიფანიძის თქმით კი „სუმბატ დავითის ძის ეს ცნობა ცოტა გაზვიადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს“. მაგრამ ამასთან ერთად მეცნიერი ითვალისწინებს „მატიანე ქართლისას“ მითითებას: „მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა“-ო **(ქ. ცხ.955:253)** და ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „თუ აშოტი მართლაც იყო გარდაბანს და იქედან ლაშქრობდა „სარკინოზთა ზედა“, მაშინ შეიძლება ნაწილობრივ მაინც ვენდოთ სუმბატის ცნობას აშოტის სამფლობელოს ბარდავამდე გავრცელების შესახებ“-ო **(სინ 1973:450)**.

პ. ინგოროყვას მტკიცებით, 820—826 წწ. აშოტმა მეორედ შემოიერთა ალბანეთის ტერიტორია, „ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა“. თვით ბარდავი და მისი თემი აღებული არ ყოფილა, იგი არაბებს დარჩენიათ. „ე. ი.აშოტ I-ის სამფლობელოში ამ მეორე-გზის შედიოდა განჯის მხარე მთლიანად (ყარაბახის სექტორის მიუთვლელად)“-ო, წერდა იგი **(ინგოროყვა 1954:52)**.

რამდენადაც გაზვიადებული არ უნდა იყოს მემატიანის ცნობა აშოტის მიერ ვრცელი ტერიტორიების ფლობის შესახებ, შენიშნავს დ. მუსხელიშვილი, „მაინცდამაინც, ერთი რამ ცხადია, რომ გარდაცვალებამდე აშოტ კურაპალატს ეპირა შიდა ქართლი და, ცხადია, ტერიტორიაც, რომელიც მდებარეობს ტაო-კლარჯეთსა და შიდა ქართლს შორის“ **(მუსხელიშვილი 1980:175)**. რაც შეეხება სამხრეთის ტერიტორიებს, იგივე ავტორი იმოწმებს IX ს-ის სომეხ ისტორიკოსს ზენობ გლაკს და მისის ცნობების ანალიზის საფუძველზე ასკვნის: „აქედან კი ცხადი ხდება რომ ამ დროისათვის (IX ს-ის I მეოთხედი.—გ. მ.) ივერიის (ქართლის, უკეთ ქართველთა საკურაპალატოს) პოლიტიკური საზღვარი კარინამდე მიდიოდა, ე. ი. უეჭველია, რომ, მაინცდამაინც, ტაო იმიერიც და ამიერიც, მთლიანად ქართველთა საკურაპალატოს მიეკუთვნება“ **(იქვე: 174)**.

ამდენად, ძველი ქართველი და სომეხი ისტორიკოსები და თანამედროვე ქართველი მკვლევარები ერთხმად ადასტურებენ იმ დიდ წარმატებებს, რასაც აშოტ კურაპალატმა მიაღწია თავისი სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრების გაფართოების საქმეში.

„მატიანე ქართლისა“-ს ავტორი და სუმბატ დავითის ძე ერთი წყაროდან სარგებლობდნენ და ამიტომ მსგავსი ლექსიკით აგვიწერენ აშოტის ეკლესიის საკურთხეველთან მოკვლის ამბავს. შედარებისათვის მოვიტანოთ ორივე ტექსტი. „მატიანე ქართლისა“: „მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“ **(ქ. ცხ. 1955:253)**. სუმბატ დავითის ძე: როცა სარკინოზებმა აოტნეს იგი „წარმოემართა და მოიწია ხევსა ნიგალისასა... შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახვილი-

თა საკურთხეველსა ზედა და შეისუარჩა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ... და სისხლი იგი მისი დათხეული დღესაც საჩინოდ სახილველ არს" (იქვე:377).

დამოწმებულ ციტატებს ბუნებრივად მივყავართ აზრამდე, რომელიც მ. ლორთქიფანიძეს ასე აქვს ფორმულირებული: „აშოტი რომ ეკლესიაში მოკლეს, ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ სად, გარდაბანს თუ ნიგალისხევს." (სინ 1973:450). პ. ინგოროყვას კი მხოლოდ სუმბატ დავითის ძის გადმოცემა აქვს გაანალიზებული და ამიტომ მისი პასუხი ამ კითხვაზე ცალსახაა: აშოტი ნიგალისხევში მოკლეს, მაგრამ მასთან წინწამოწეულია ბაგრატიონთა გვარის მემატიანის მონათხრობის ის ადგილი სადაც ნათქვამია, რომ აშოტმა „არა უწყოდა ზაკუა" მის მიერ მოსაშველებლად მოხმობილი მოლაშქრეებისა, რომლებიც სინამდვილეში ხელმწიფის მოსაკლავად იყვნენ მოსულნი. „აშოტ I, როგორც ირკვევა,—ასკვნის იგი,—მოკლულ იქნა ღალატით ნიგალისხეველთა ერთი ჯგუფის მიერ, რომელნიც მოსყიდული ყოფილან არაბებისაგან"-ო (ინგოროყვა 1954:69). ამ დასკვნას პ. ინგოროყვა ამაგრებს გიორგი მერჩულეს მიერ ამავე საკითხზე შემდეგი ნათქვამით: როგორ მოხადო, რომ შენ დიდებული ხელმწიფე „მიეცი ხელთა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი იგი იუდაჲს მსგავსად, შენ, უფლისა თვისსა, მკვლელ იქმნეს" (იქვე).

მაშასადამე, აშოტ კურაპალატი მოკლულ იქნა მოღალატეთა მიერ. მოღალატეებს სუმბატ დავითის ძე „ოროზ-მოროზის" ძეებს უწოდებს. იყვნენ თუ არა ისინი მოსყიდულნი ან რა მოტივი ამოძრავებდათ მათ მემატიანე არ გვაცნობებს. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით ეს ოროზ-მოროზის ძენი, შეიძლება ყოფილიყო ადგილობრივი მესხი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო შემოსული „ქართის ერთეულში" (ბერძენიშვილი 1975:409). ე. ი. მათთვის ერთიანი ქართული შეგნება და აშოტ დიდის ბრძოლა არაბებისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად უცხო და „ოროზ-მოროზული" იყო.

შეიძლება თუ არა უფრო გარკვეულად დადგინდეს აშოტის მკვლელობის ადგილი? ვფიქრობთ ასეთის შესაძლებლობა არსებობს. საქმე ისაა, რომ კურაპალატის გარდაბანთან მოკვლის ფაქტს მხოლოდ ერთი წყარო, „მატიანე ქართლისა" იცნობს. ხოლო მკვლელობის ნიგალის ხევში ჩადენის შესახებ პირდაპირ მიუთითებს სუმბატ დავითის ძე და არაპირდაპირ გიორგი მერჩულე. მაგრამ ვიდრე ამ უკანასკნელის გადმოცემას შევეხებოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ ბაგრატიონთა მემატიანის მსჯელობის ისეთ დეტალებზე, რომელიც უფრო დამაჯერებელს ხდის მის ზევით დამოწმებულ მონათხრობს. ჯერ ერთი, სუმბატის გადმოცემით, აშოტი სალაშქრად კი არ იყო წასული, არამედ ემზადებოდა ბრძოლისათვის და „განავლინა ლაშქრის მაწვეველნი" (ქ. ცხ. 1955:377). ასეთი რამ გარდაბანთან მისვლის შემდეგ არაგონივრული ქცევა იქნებოდა; მეორე, აშოტის ერი (ლაშქარი), რომელიც დოლისყანაში იდგა, შეიტყობს რა „ოროზ-მოროზის ძეთაგან" კურაპალატის მოკვლას, დაედევნება მათ დაეწევა „სავანესა ზედა ჭოროხისა-

სა“, ამოწყვეტს ყველა მკვლელს და წამოიღებს დასასაფლავებლად აშოტის ნეშტს (იქვე). ასეთი ოპერაციის ჩატარება დოლისყანიდან გარდაბანში შეუძლებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ დასახელებულია ადგილი სადაც მკვლელები „მოისრნეს ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშთა ერთი მათგანი“; მესამე, სუმბატი ასახელებს ამ ფაქტის თარიღს (826 წლის ოცდაცხრა იანვარი). მემატიანე კი მხოლოდ იმას გვაცნობებს, რომ აშოტის მკვლელობა უკავშირდება ხალილ იაზიდის ძე არაბიელის კავკასიაში მოსვლას (იქვე: 253), თარიღს კი არ აჩვენებს. რაც შეეხება გიორგი მერჩულეს გადმოცემას, გრიგოლის სიტყვიდან, რომელიც ზევით დავიმოწმეთ, მტკიცდება, რომ აშოტი საბრძოლო შეტაკებაში კი არ მომკვდარა, როგორც ამას „მატიანეს“ ავტორი გულისხმობს, არამედ „უშჯულოთა და უნდოთა კაცთა“ მოკლეს, რაც მხოლოდ მის საკუთარ მიწაზე შეიძლებოდა მომხდარიყო და არა გარდაბანში, რომელიც აშოტს არ ეკუთვნოდა.

ჩვენ ის ფაქტიც საგულისხმოდ მიგვაჩნია, რომ აშოტი ნამდვილად ეკლესიაშია მოკლული და თანაც, ამბის პირველ გადმომცემს[1] ასეთი ცხოველი შთაბეჭდილებით აქვს დაფიქსირებული ეს ფაქტი. მას ხომ სისხლით მოსვრილი საკურთხევლის ხილვა ყოველდღიურ შესაძლებლობად ესახება. მაშასადამე, ის და მისი მკითხველი მკვლელობის ადგილთან ახლოს მცხოვრებნი და აშოტის გულშემატკივარნი არიან, რაც მათ გარდაბანელობას გამორიცხავს. ნიგალისხეველებსა და მათ მეზობლებს ყველაფერი ეს ხელეწიფებოდათ.

ვფიქრობთ ზევით მოტანილ არგუმენტაციას ჩვენ მივყავართ დასკვნამდე, რომ აშოტ კურაპალატის მკვლელობის ადგილი ნიგალისხევია და არა გარდაბანი. რაც შეეხება თარიღს, ასეთად დამკვიდრებულია 826 წელი, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ფაქტი შეიძლება მომხდარიყო ათი წლით გვიან, ე. ი. 836 წელს.

„ბაგრატიონთა სამთავრო ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის უძლიერესი აშოტ ბაგრატიონის დროს იყო. შემდეგ კი იგი თანდათანობით სუსტდება და მხოლოდ დავით დიდის (იგულისხმება დავით III (966-1001).—გ. მ.) დროს ახერხებს ისევ ინიციატივის ხელში ჩაგდებას“-ო, მიუთითებს მ. ლორთქიფანიძე (სიხ 1973:457). მკვლევარები ამ გარემოებას რამდენიმე გარემოებით ხსნიან. მ. ლორთქიფანიძეს ქართველთა სამეფოს დასუსტების მთავარ მიზეზად მისი ჩამოყალიბების დროს შექმნილი პოლიტიკური პირობები მიაჩნია. აშოტ კურაპალატმა თავისი სახელმწიფო დააფუძნა ახალ ადგილზე, სადაც მას დასაყრდენი ძალა არ ჰყავდა. მას არაბები ებრძოდნენ, ამიტომ მაშინდელი მეორე გავლენიანი იმპერიის, ბიზანტიის მხარ-

[1] იგულისხმება, რომ „მატიანე ქართლისას“ ავტორს და სუმბატ დავითის ძეს ერთი წყაროდან, თანაც ფაქტის თანამედროვესაგან, აქვთ აღებული საკურთხეველზე აშოტის სისხლის, როგორც ახალის ხილვა. ამის დამწერი მხოლოდ თანამედროვე შეიძლება ყოფილიყო, თორემ ჩვენი ავტორები „ეთაყვა ასალს“ როგორღა იხილავდნენ, ორი საუკუნის წინათ დანთხეულ სისხლს? მემატიანემ და სუმბატმა მხოლოდ მექანიკურად გადმოწერეს ძველი ავტორის ცნობა.

დაშერის გარეშე იგი არა თუ გააფართოვებდა თავის სამფლობელოს, არამედ იქ ხელისუფლებასაც ვერ შეინარჩუნებდა. ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია ბიზანტიისათვის და მისი ხელისუფლების უმაღლესობა ეცნო, მისი ვასალი ყოფილიყო. ამასთან, რადგან აშოტს სხვა დასაყრდენი ძალა არ გააჩნდა ანგარიში უნდა გაეწია არაბთაგან გამოქცევის დროს მასთან მყოფი შეიარაღებული ამალისათვის, რომლის საშუალებითაც მან მეზობელი მხარეების მიწები დაიპყრო. „ის, ალბათ,—შენიშნავს მეცნიერი,—იძულე-ბულია დიდი პრივილეგიები მისცეს მათ. საფიქრებელია, რომ შემდეგში ამალის წევრებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწაზე სხდებიან და ადგილობრივ ფეოდალებად იქცევიან“ **(სინ 1973:463)**.

მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, ქართველთა საკურაპალატოს დასუსტების სხვა მიზეზი ის იყო, რომ აშოტს სამი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა. ისინი მართალია, თავდაპირველად თითქოს ახერხებენ ერთმანეთში საერთო ენის გამონახვას და უფროსობას შუათანა ძმას უთმობენ, მაგრამ „მიუხედავად ამისა, არც თუ ისე უდებენ თავს გამორჩეულ ბაგრატს. ბაგრატი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ძმებს, წნააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წაართვან კიდეც მას „დიდი მთავრობა“ **(იქვე)**. ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებაც ხელს უწყობს ძმებისა და მათი შთამომავლობის დაპირისპირებას.

ასე, რომ სახელმწიფო მმართველობის ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც ტაო-კლარჯეთში შეიქმნა და სამთავრობო სახლის თავისებურებანი განაპირობებდნენ დეცენტრალიზაციის პროცესს და ასუსტებენ იმ ძალებს, რომლებიც არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლასა და სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. „ამ ქართული ადრეფეოდალური პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბების თავისებურმა პირობებმა განსაზღვრეს, როგორც სამთავროს ხელისუფლების ორგანიზაციის დანაწევრებული ხასიათი, ასევე ამ სამთავროს საერთაშორისო მდგომარეობაც“ **(იქვე: 464)**, აჯამებს ამ საკითხზე თავის არგუმენტაციას მ. ლორთქიფანიძე.

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, აშოტის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ შექმნილი სახელმწიფო არ დასუსტებულა „მეფე კურაპალატი ბაგრატ I, ძმათა თანამშრომლობით, სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ხელახლა შეკრების საქმეს“ **(ინგოროყვა 1954:70)** და მას ამ სფეროში, ისევე როგორც შინაურ მშენებლობაში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ძმების პოლიტიკური ხაზი ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვეოდა: ბაგრატი არაბებთან ურთიერთობაში უფრო ელასტურ-პოლიტიკას ატარებდა, ხოლო გუარამ მამფალი მთელი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე არაბთა წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი იყო. „აშოტის მემკვიდრეებმა,—აღნიშნავდა პ. ინგოროყვა,—ისევ შეკრიბეს ქართველთა სამეფოს ქვეყნები და აღადგინეს, როგორც მემატიანე ამბობს, „ნაქონები იგი მამისა მათისა“ აშოტ I-სა. ქართველთა სამეფოს ფარგლებში გაერთიანდა, როგორც მესხეთის ქვეყნები (შავშეთ-კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაონი, სპე-

რი, სამცხე, ჯავახეთ-არტაანი), ისე შიდა ქართლის ქვეყანა, ლიხთ-იმერი ქართლის თემით, და ქვემო ქართლი" (**იქვე: 71**). შემდგომი პერიოდის შესახებ მსჯელობისასაც განსვენებული მკვლევარი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმატებებზე ამახვილებს ყურადღებას, ხაზს უსვამს მათს ჰეგემონურ როლს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ტაო-კლარჯეთის სამთავროს შინა-პოლიტიკური სტრუქტურისა და საქართველოს გაერთიანების საქმეში მისი ადგილის შესახებ, ორიგინალური შეხედულება აქვს გამოთქმული გ. მელიქიშვილს, მაგრამ მასზე ჩვენ მკითხველის ყურადღებას ქვევით შევაჩერებთ, ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკურ ისტორიაზე თხრობის დროს.

ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგნად გამხდარ საკითხზე საყურადღებო შეხედულება აქვს გამოთქმული დ. მუსხელიშვილს. მისი აზრით, ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ სტრუქტურას განაპირობებდა ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის თავისებურებანი. მათგან მთავარი იყო ვახუშტის მიერ შენიშნული „მთისა და ბარის ახლორება", რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „ქმნიდა მყარ საფუძველს მცირე, ლოკალური თვითმყარი „ქვეყნების" წარმოქმნისათვის" (**მუსხელიშვილი 1980:203**). „ქართველთა საკურაპალატოში" მხოლოდ მდინარეთა სანაპიროებზე არსებობდა „ბარის" მცირე ზოლი. ეს დაბრკოლებას უქმნიდა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. რელიეფის თავისებურების გამო ამ მხარეში მიწათმოქმედება, ძირითადად, ტერასული ხასიათისა და მდინარეთა აუზების მიხედვით განლაგებული იყო. ეს ხელს უშლიდა დიდი, ერთიანი, შედარებით ცენტრალიზებული ერთეულის შექმნას, რომელიც ორგანულად გააერთიანებდა მტკვრის აუზის სათავეების ზეგანსაც და ჭოროხის აუზის ხეობებსაც, მსგავსად საქართველოს სხვა მხარეში წარმოქმნილი ადრეფეოდალური სამთავროებისა.

„ამგვარად,—დაასკვნის დ. მუსხელიშვილი,—„ქართველთა სამეფოს" შედარებითი პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და თვით ბაგრატოვანთა წრეში ადრევე შემუშავებული შეხედულება საერთო საგვარეულო კერძო საკუთრების შესახებ განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიის ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიით, კერძოთ, იმით, რომ აქ არ არსებობდა ბარის მძლავრი და ფართო ზონა, მსგავსად „აფხაზთა" თუ ჰერკახთა სამთავროებისა" (**იქვე:204**).

ამასთან ბ-ნ დავითს, აუცილებლად მიაჩნია აღნიშნოს, რომ მისი ნათქვამი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს „ქართველთა საკურაპალატო" „ქვეყნებისა" და „ხევების" მექანიკურ კონგლომერატს წარმოადგენდა. აქაც, ცხადია, არსებობდა ცალკეულ მხარეთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ოღონდაც, ეს ურთიერთობანი საკმარისი არ იყო ამ სახელმწიფოს ცენტრალიზაციის უფრო მაღალი ხარისხში აყვანისათვის.

ცხადია, დასახელებული ფაქტორები ანგარიშგასაწევია ქვეყნის გაერთიანების პროცესზე საუბრის დროს, მაგრამ იგივე ფიზიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული პირობები არსებობდნენ აშოტ პირველისა, გუარამ

ერისთავთერისთავისა და დავით III კურაპალატის დროს, და მიუხედავად ამისა მათ მაინც შეძლეს ვრცელი და ძლიერი ფეოდალური მონარქიების შექმნა. ე.ი.ამ შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს პიროვნების როლი, ვინაიდან გონიერ და ძლიერ ხელისუფალს შეუძლია ქვეყნის მცირე პოტენციური შესაძლებლობანიც კი გამოავლინოს და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც არამეორეხარისხოვანი როლი შეასრულა ტაო-კლარჯეთის შედარებითი დეცენტრალიზაციის საქმეში. ეს იყო კლარჯეთის ბაგრატიონთა მრავალშვილიანობა. მემკვიდრეობის არსებული წესის მიხედვით ყოველ ვაჟ უფლისწულს თავისი ფეოდალური მამული უნდა ჰქონოდა, რაც აუცილებლად ქმნიდა პარტიკულარიზმის საფუძველს. შეუძლებელი იყო გახელმწიფებულ ძმასა და უფლისწულ ძმას შორის ისეთივე პატრონყმური დაქვემდებარება ყოფილიყო, როგორიც მეფესა და აზნაურს შორის. პირველ შემთხვევაში თანასწორობის სინდრომი მოქმედებდა და ურჩობის საფუძველიც მეტი იყო.

ეს ფაქტორი მოქმედებდა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებშიაც, მაგრამ იქ „ზედმეტი“ ძმა-უფლისწულები არც თუ ხშირად იბადებოდა. ⌊ ილო, როცა ასეთს ჰქონდა ადგილი თითქმის ყოველთვის ძმებს შორის პოლიტი⌋კური ბრძოლა ჩაღდებოდა. გავიხსენოთ კახეთში ქორეპისკოპოსის კვირიკე II-ის (929—972) წინააღმდეგ მისი ძმის შურტას ბრძოლა. რომელიც მიემხრო აფხაზეთის მეფეს გიორგის, გადასცა მას უჯარმის ციხე **(ქ.ცხ.1955-:268)**. ძმის ეს გამოსვლა კვირიკე II-ს კახეთის სხვა ციხეების მტრისათვის გადაცემად და მის ვასალად გახდომად დაუჯდა. ანდა განა ძმათა შორის ბრძოლის კლასიკური მაგალითი არ არის ეგრის-აფხაზეთის მეფის დემეტრესა და მისი ძმის თეოდოსის ურთიერთდამოკიდებულება? „მატიანე ქართლისას“ ავტორის გადმოცემით, მათი მამა გიორგი აღრეულ შეეცადა დაეზღვია ისინი შესაძლო დაპირისპირებისაგან („რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა არა იყოს, მათ შორის ბრძოლა და ხდომა“) და უმცროსი შვილები თეოდოსი და ბაგრატი ბიზანტიაში გაგზავნა. ამან საქმეს ვერ უშველა. თეოდოსი ჯერ მეუხი აზნაურების, ხოლო შემდეგ კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკეს დახმარებით, ებრძოდა ძმას, მაგრამ დამარცხდა და დემეტრემ მას თვალები დასთხარა **(იქვე:272)**. ასეთი მაგალითების მოტანა საქართველოს ისტორიიდან კიდევ ბევრის შეიძლება მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი მოსაზრების დასტურად დამოწმებულებიც საკმარისია. ამრიგად, ქართველთა საკურაპალატოს შინაგანი სისუსტისა და დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი, არამეორეხარისხოვანი მიზეზი, აქაურ ბაგრატიონთა მრავალვაჟიანობაც იყო.

ამ სინდრომმა მაშინვე იჩინა თავი, როგორც აშოტის შვილები სრულწლოვანნი გახდნენ. სუმბატ დავითის ძე მათ შორის შუათანა ძმის, ბაგრატის უმაღლეს ხელისუფლად — კურაპალატად გამოცხადებას ისე მოგვითხრობს **(იქვე:378)**, რომ თითქოს ეს რაიმე გართულების გარეშე მოხდა. მაგრამ თუ მართლაც ასე იყო, მაშინ კურაპალატობა და „დიდი მთავრობა“

უფროს ძმას, ადარნასეს ეკუთვნოდა და არა ბაგრატს. შემდეგ კი უმცროსმა ძმამ გუარამმა ცალკე სახელმწიფო-სამამფლო შექმნა და ბაგრატს მხოლოდ ნომინალურად ექვემდებარებოდა. ფაქტობრივად კი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა.

ასეთი ურთიერთობის შედეგად ბაგრატიონთა სახლში საბოლოოდ გამოიკვეთა ორი მმართველი შტო—კლარჯეთისა და ტაოსი. შემდეგ ტაოს შტოც ორად გაიყო. მართალია, „ქართველთა მეფობაც" და კურაპალატობაც ტაოს შტოში დამკვიდრდა, რაც მათი უფროსობის დეკლარირებას წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს, ეს ნომინალური აღიარება იყო. „ფორმალურად კლარჯეთის სახლი, ემორჩილებოდა ტაოს სახლს, მაგრამ ფაქტიურად ის დამოუკიდებლობით სარგებლობდა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ძნელია თქმა, თუ რეალურად რაში გამოიხატება ამ ორ სახლს შორის უფროს-უმცროსობა" **(სინ 1973:455)**.

აშოტ I-ის მემკვიდრეთა უკვე მეორე თაობაში სისხლისმღვრელი ბრძოლა ატყდა ხელისუფლებისათვის. თრიალეთში დამკვიდრებულმა ლიპარიტ ბაღვაშმა ბაგრატ აშოტის ძის უფროსი ვაჟის დავით კურაპალატის ვასალად სცნო თავი. გუარამ მამფალი და მისი ძე ნასრე თრიალეთს თავის მამულად მიიჩნევდნენ. ფორმალურად თითქმის ყველაფერი თავის ადგილზე იდგა. დავითი, როგორც უზენაესი ხელისუფალი ნასრეს პატრონიც იყო და ლიპარიტისაც, მაგრამ გუარამის ძემ ეს ფაქტი თავისი მთავრული ხელისუფლების ხელყოფად ჩათვალა. ბიძაშვილებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა ატყდა. ჯერ ნასრემ მოკლა დავით კურაპალატი **(ქ.ცხ. 1955:378)**. შემდეგ კი მოკლულის შვილებმა გურგენმა და ადარნასემ ნასრე და მისი მოკავშირეები ამოწყვიტეს **(იქვე:382)**.

ასეთ დაპირისპირებათა შორის არანაკლებ შთამბეჭდავი ეპიზოდია ბაგრატ III-ის მიერ „კლარჯი ხელმწიფენი" სუმბატ და გურგენ ბაგრატიონების დატყვევება და ამოწყვეტა **(იქვე:382)**. რაზედაც ჩვენ თავის ადგილზე მოგვიხდება ყურადღების შეჩერება.

აშოტ კურაპალატი არაბ დამპყრობელებთან ბრძოლას შეეწირა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არაბებმა მისი სიკვდილისთანავე დაიკავეს მთელი მისი სამფლობელო. „და შემდგომად აშოტის სიკუდილისა,—წერს სუმბატ დავითის ძე,—მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქნდათ ძეთა აშოტისათა—წარუღეს სარკინოზთა ვიდრე უსრულოღა იყვნეს იგინი ასაკითა, იზარდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყვნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველივე ხევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათი ნაქონები" **(იქვე:378)**. ამ ცნობის მიხედვით დ. მუსხელიშვილს დადგენილად მიაჩნია, რომ „ფაქტიურად, აშოტის მამულიც (ტაოს გამოკლებით) არაბებს დაუმორჩილდა" **(მუსხელიშვილი 1980:176)**.

ამ ერთბაშად შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა ნელ-ნელა და დიდი სიძნელეების გადალახვით მიმდინარეობდა. ბაგრატ I-ს, რომე-

ლიც ძმათა შორის უზენაესი ხელისუფლებით სარგებლობდა ბრძოლით უხდებოდა დაკარგულის დაბრუნება. ამ საქმეში მას გარკვეულ ეტაპზე ძმებიც უშერდნენ მხარს. გიორგი მერჩულე გადმოგვცემს: „განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა ხელმწიფეთაჲ, რამეთუ შეწევნითვა ღმრთისაჲთა ხმლითა მათითა დაიპყრეს ფრიადი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი“ (**ძეგლები 1964:272**). აქ ზოგადად ნათქვამი „ფრიადი ქვეყნების“ დაპყრობა „მატიანე ქართლისას“ მონათხრობით, ხანგრძლივი პროცესიც ყოფილა. როგორც მკითხველისათვის უკვე ცნობილია, IX საუკუნის 30-იან წლებში ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოსული თბილისის ამირა საჰაკ ისმაილის ძის წინააღმდეგ ხალიფამ რამდენჯერმე გამოგზავნა დამსჯელი ექსპედიცია, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. 842 წელს გარდაცვლილი ხალიდ იეზიდის ძის მაგივრად დამსჯელი ჯარების სარდლად მისი შვილი მოჰამედი დაინიშნა. როცა იგი მოვიდა ქართლში მის მხარეზე დადგა ბაგრატი. მოკავშირეებმა აიღეს უფლისციხე. რეხს გამართულ ბრძოლაში არცერთი მხარე არ გამოსულა გამარჯვებული, მაგრამ ბაგრატმა ჯარაბებისაგან მიიღო ქართლი (იგულისხმება შიდა ქართლი), რომელიც მანამდე თბილისის ამირას ჰქონდა.

ბაგრატი ბუღა თურქსაც ეხმარებოდა ეგრის-აფხაზეთის მეფის თეოდოსის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან და ბუღას სარდალმა ზირაქმა გაიმარჯვეს კიდეც კუერცხობის ბრძოლაში. მაგრამ შემდეგ ბუღამ წააგო ომი წანარეებთან და ბაგრატს ამ მოკავშირეობისათვის რაიმე პოლიტიკური მოგება არ მიუღია. მისი ძმა გუარამ მამფალი კი, რომელიც ამ დროს ანტიარაბულ კოალიციაში იმყოფებოდა, იმდენად მომძლავრდა, რომ თბილისის ახალი ამირა გაბულოცი დააპატიმრა, ბიზანტიაში გაგზავნა და არაბებს ბრძოლით გამოსტაცა ჯავახეთი,თრიალეთი, ტაშირი, აშოცი და არტაანი (**ქ. ცხ. 1955:257**). ეს 870—876 წლებს შორის უნდა მომხდარიყო (**მესხელიშვილი 1980:138**).

ნათქვამიდან ჩანს, რომ აშოტის[1] ყოფილი სახელმწიფოს მისი შვილების მიერ „დაპყრობა“, როგორც ამ პროცესს გიორგი მერჩულე უწოდებს, IX ს-ის 70-იანი წლების შუახანებამდე გაგრძელებულა. თუმცა, ეს, ცხადია, აღარ წარმოადგენდა იმ სახელმწიფოს, სადაც აშოტი ერთადერთი ხელისუფალი იყო. როგორც ვთქვით გუარამ მამფალი[1] მხოლოდ ნომინალურად

---

[1] ივ.ჯავახიშვილის განმარტებით „მამფალი იმგვარადვე არის ნაწარმოები, როგორც დედოფალი (**ჯავახიშვილი 1983:113**). მ. ლორთქიფანიძე აზუსტებს, რომ ეს სიტყვა „გამოხატავს უფალთა მამობას, უფროსობას (**სან 1973:459**).

კიდევ უფრო თუ დავაზუსტებთ ეს ზედწოდება უნდა გავიგოთ, როგორც მამაკაცი უფალი „უფალი“ უფროსს კი არ უდრის, არამედ „პატრონს“. პ. ინგოროყვა „მამფალს“ პიტიახშის ინსტიტუტთან ათანაბრებდა (**ინგოროყვა 1954:72**). მაგრამ ეს დოკუმენტურად არ დასტურდება და მხოლოდ ვარაუდათ რჩება.

ივ. ჯავახიშვილს შეუძლებლად მიაჩნდა იმის გარკვევა თუ რით „განსხვავდებოდა „მამფლობა“ სხვა სახელისუფლო სახელისაგან, ან რად იყო იგი განსაკუთრებით არტახუელკლარჯ მთავრების სახელწოდება“ (**ჯავახიშვილი 1983.113**).

სცნობდა ძმის უმაღლეს ხელისუფლებას. ფაქტობრივად კი მის მიერ დაპყრობილი თემების („სამამფლოს") პატრონობის უფლებას არავის ანებებდა, ეს ტერიტორია მოცულობით უფრო დიდი იყო ვიდრე აშოტის ყოფილი სამფლობელოს დანარჩენი ნაწილი (იქვე:189).

გუჯარამ მამფალი, გიორგი მერჩულეს დახასიათებით, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება ყოფილა. საერთო განათლებასთან ერთად,იგი სჯულის საქმეთა და კანონიკური სამართლის კარგი ცოდნით და „ფრიადი სიტყვა-ხელოვნებით" გამოირჩეოდა-ო, აღნიშნავს მწერალი. რაც შეეხება გუარამის პოლიტიკურ მოღვაწეობას, პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია, რომ „ხანძთელის ცხოვრებაში" მას მიემართება ეპითეტი „დიდი", რაც მისთვის როგორც არაბთა წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლისათვის უწოდებიათ (ინგოროყვა1954:73).

გუარამის საქმიანობის ფართო მასშტაბურობის, მისი ძალისა და უფლებების დამადასტურებლად მ. ლორთქიფანიძეს მოჰყავს ის ფაქტი, რომ მამფალი ჩაერია ქართლის უმაღლესი საეკლესიო პირის კათალიკოსის არჩევის საქმეში, მოიწვია ჯავახეთის საეკლესიო კრება და თავისი კანდიდატურაც წამოაყენა. მართალია ეს პირი ვერ გავიდა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, გუარამის დასახასიათებლად ასეთი მცდელობაა უფრო მნიშვნელოვანი და არა შედეგი.

გუარამის სიცოცხლეშივე მის შვილს ნასრეს დიდი კონფლიქტი მოუხდა თავის ბიძაშვილთან დავით ბაგრატის ძე კურაპალატთან. ივ. ჯავახიშვილს ეს ფაქტი დაკავშირებული აქვს „ქართლსა ზედა ბრძოლასთან". როგორც ვიცით, კონფლიქტის მიზეზი გახდა ეგრის-აფხაზეთის მეფის გაძლიერებულ ხელისუფლებას გამოქცეული ლიპარიტ ბაღვაშის დამკვიდრება თრიალეთში და მისი დავით I-ის მიერ ვასალად მიღება. ეს გუარამის უფლების დარღვევას მოასწავებდა. თრიალეთი მისი საკუთრება იყო. დავითი ბიძის წინააღმდეგ მოქმედებდა, როცა ლიპარიტს მფარველობა გაუწია. მამის შელახული უფლების აღდგენისათვის ბრძოლა წამოიწყო ნასრე გუარამის ძემ. კონფლიქტმა მალე ფართო მასშტაბი მიიღო.. იგი ეგრის-აფხაზეთის მეფის ბაგრატისა სომეხთა ერისთავთერისთავის აშოტ ბაგრატუნის ომში გადაიზარდა. ამ უკანასკნელმა ქართლის დაპყრობა მოინდომა. ქართლი კი მაშინ ეგრის -აფხაზეთის სამეფოში შედიოდა.. მისი სომეხთა მიერ დაკავება გუარამ მამფალისათვის მიუღებელი იყო, რადგან ამის შემდეგ მისი სამფლობელოს, აშოცისა და ტაშირის დაკარგვის საშიშროება იქმნებოდა. ამიტომ გუარამი და ნასრე ეგრის-აფხაზეთის მხარეს დაადგნენ. დავით კურაპალატი კი, პირიქით, აშოტ ბაგრატუნის მოკავშირე იყო, რადგან ეგრის-აფხაზეთის მეფე მის მუდმივ მეტოქესა და ქართლის მიმტაცებელს წარმოადგენდა. მემატიანე გვაცნობებს: „დავით და ლიპარიტ უშველოდეს სომეხთაო" (ქ. ცხ. 1955:252).

ივ. ჯავახიშვილი საქმის ასე შემობრუნებას შემდეგნაირად აფასებს: „თუ

წინათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელ ქართველ მთავარს დარჩებოდა საქართველოს მეთაურობა; ამიერიდან ბრძოლას უნდა გამოერკვია, ვის ჩაუვარდებოდა ხელში საქართველოსა და სომხეთის, ანუ მთელი კავკასიის მეთაურობა" (ჯავახიშვილი 1983:101). მისივე გამოკვლევით: პირდაპირი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ, რადგან აშოტ ბაგრატუნმა ამ ბრძოლის შემდეგ „სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთავის" ტიტული მიიღო, სჩანს გამარჯვებულიც იგი გამოსულა.

ნასრე კი დავითს არ მოეშვა. „მოატყუა ნასრე ძემან გუარამისამან დავით ძე ბაგრატისი... და მოკლა იგი" (ქ. ცხ. 1955:259). სუმბატ დავითის ძე ამ ბოროტმოქმედების გამო შენიშნავს: „გუარამ მამფალი, მამის ძმა მისი, მამა ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისათა"-ო (იქვე:378). ეს სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, რადგან დავითის გამო შურის მაძიებლებმა გუარამს ხელი არ ახლეს. ნასრეს კი „შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი, და აშოტ ძმა დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი... გააქციეს, და მიუხუნეს ციხენი" (იქვე: 260). დამარცხებულმა კონსტანტინეპოლს გაქცევით უშველა თავს. ერთი წლის შემდეგ (882 წ.) გუარამი გარდაიცვალა. მას პირდაპირი მემკვიდრე საქართველოში აღარ ჰყავდა. ამიტომ „სამამფლო", აშოცს გარდა, დავით I-ის შვილებს უნდა დარჩენოდათ. აშოცი კი მან სიცოცხლეშივე გაუყო თავის ცოლისძმას, სომეხთა მეფეს.

ნასრესთან ერთად კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა მისი დის მომავალი ქმარი, აფხაზეთის მეფის ძე ბაგრატი. 888 წელს იგი აფხაზეთში გამეფდა. მან გამოიხმო ბიზანტიიდან ნასრე, მისცა მას თავისი ლაშქარი, მოკავშირედ გაუხადა ოსები და დიდი ძალებით გაგზავნა მამის სამფლობელოს დასაბრუნებლად. ნასრემ სამცხეში აიღო სამი ციხე: ოძრხე, ჯუარის ციხე და ლომსიანთა. მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდა დავით I-ის შვილი ადარნასე, გურგენ კურაპალატი[1] და სომხები. „ამგვარად, – წერდა ივ. ჯავახიშვილი,— ნასრისა და დავითის მემკვიდრეებს შორის ხერხიანად მოწყობილი ბრძოლა ნამდვილად აფხაზთა და სომეხთა ბრძოლა იყო". მასში „იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა" (ქ. ცხ. 1955:261). ნასრე კვლავ გაიქცა, მდევარი გაუყენეს. სოფ. ასპინძასთან დაეწივნენ და მოკლეს. გურგენ კურაპალატს ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის არტაანი მიეღია.

ამით დამთავრდა გუარამ მამფალის მემკვიდრეობის დანაწილება. მამფალის ტიტულიც ამიერიდან ადარნასე აშოტის ძის შტოში გადავიდა.

აშოტ I-ის მემკვიდრეთა მესამე თაობაში ბრძოლა ნასრეს სიკვდილით არ დამთავრებულა. ახლა კონფლიქტი ყოფილ მოკავშირეებს გურგენ კურაპალატსა და ადარნასე დავით I-ის ძეს შორის წარმოიშვა. ამ უკანას-

[1] გურგენი აშოტ კურაპალატის უფროსი ვაჟის ადარნასეს შვილი იყო. მას კურაპალატობა მიეღოდა დავითის მოკვლის შემდეგ. ეს ერთადერთი შემთხვევა გახლდათ, როცა კურაპალატობა აშოტის შუათანა შვილის შტოს არ მიენიჭა. მისი სამფლობელო იყო ტაო და შავშეთი (ქ. ცხ. 1955:379).

კნელს ბაგრატ არტანუჯელი ეხმარებოდა. მოკავშირენი თავს დაესხნენ გურგენს, არტაანის სოფ. მგლინავში. დაჭრეს და ტყვედ ჩაიგდეს იგი. გურგენი ჭრილობისაგან 891 წელს გარდაიცვალა **(იქვე:379)**. ამის შემდეგ კურაპალატობა მიიღო ადარნასე დავითის ძემ, რომელიც 888 წლიდან, როგორც ვიცით, „ქართველთა მეფე“ იყო.

აშოტ I-ის შთამომავალთა შუათანა შტოს შესახებ მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ ისინი „საგარეო პოლიტიკის საკითხებში საკმაოდ ინერტულნი არიან, რადგან არ ჩანს, რომ მათ სამფლობელოს საზღვრები გაეფართოებინოთ“ **(სინ 1973:475)**. მაგრამ ეს მათი ინერტულობის შედეგი კი არ იყო, არამედ იმის, რომ მათი პოლიტიკური შესაძლებლობანი უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლის საშუალებას არ იძლეოდა. ამას ადასტურებს ადარნასე ქართველთა მეფის ზეობის დროს (888—923) მომხდარი ფაქტები. 891 წელს გარდაიცვალა ზევით ნახსენები აშოტ ბაგრატუნი (სომხეთის (შირაქის) მეფე 887 წლიდან). იგი ადარნასეს მოკავშირე იყო. ეს კავშირი, რომ შეენარჩუნებინა ადარნასე სომეხთა მეფის ძესთან სუმბატთან მისასამძიმრებლად გაემგზავრა. გზად, ქ. კარში, გარდაცვლილის ძმას აბაზს ეწვია. ამ უკანასკნელს შირაქის მეფობა თვითონ სურდა. ამიტომ ქართველთა მეფეს შინ აღარ უშვებდა. მაგრამ ადარნასემ ძალით დააღწია თავი და სუმბატს ეწვია. ეს უკანასკნელი მეფედ თავის გამოცხადებას გლოვის ვადის გასვლამდე არ აპირებდა. მაგრამ ადარნასეს რჩევით ძაძები გაიხადა და სამეფო გვირგვინი დაიდგა. ამით გაბრაზებულმა აბაზმა შინ მიმავალი ქართველთა, მეფე დაატყვევა და ციხეში ჩასვა. სუმბატმა არ მიატოვა თავისი კეთილისმყოფელი. მის მაგივრად ბიძას მძევლებად თავისი შვილი და ძმისწული მისცა და ადარნასე გაანთავისუფლებინა.

ქართველთა მეფე ადარნასე კურაპალატსა და სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მტრობა აერთიანებდათ. 904 წელს „აფხაზთა მეფე“ კონსტანტინემ ქართლი დაიპყრო. სუმბატი დიდი ლაშქრით მოვიდა, მას ადარნასეც შეუერთდა. მოკავშირეებმა უფლის ციხე წაართვეს კონსტანტინეს. იგი მიუვალ ადგილს შეეხიზნა, მაგრამ შემდეგ საზავო მოლაპარაკებაზე დათანხმდა. კონსტანტინე ის იყო შეხვდა სომეხ ნახარარებს, რომ მას მოულოდნელად დაესხა თავს ადარნასე, დაატყვევა და მოკავშირე სომეხთა მეფეს გადასცა. სუმბატმა კონსტანტინე ანისში გაგზავნა. შემდეგ კი აფხაზეთში უფრო ძლიერი ხელისუფლის შესაძლო გამეფების შიშით კონსტანტინეს დაუმძახლდა, გაანთავისუფლა იგი და ქართლი უფლისციხესთან ერთად დაუბრუნა **(ქ. ცხ. 1955:262)**.

ქართველთა მეფე ადარნასე სუმბატის ასეთი ქცევის გამო სასტიკად განრისხდა. სომეხთა მეფესთან მისი მოკავშირეობა მტრობით შეიცვალა. მაგრამ მაშინვე ვერაფერი დააკლო და შესაფერ მომენტს დაელოდა. 914 წელს სომხეთს ამირა აბულ-კასიმი შეესია. ადარნასე და სუმბატის სხვა მტრები არაბთა მხარეს დადგნენ. სუმბატი თავის გადასარჩენად მთებს შეეფარა. ამირა დაედევნა მას, თბილისი და ქართლ-კახეთი მოაოხრა, უკან

გაბრუნებულმა სუმბატი ტყვედ ჩაიგდო და ქალაქ ღვინში ძელზე ჩამოკ კიდა (იქვე:264).

ადარნასე სუმბატის გაუბედურებას კი მოესწრო, მაგრამ აბულ-კასიმის ლაშქრობით მოგებული ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე აღმოჩნდა. მან არაბთა სარდლის წასვლის შემდეგ ქართლი კვლავ დაიპირა, ხოლო კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკეს მოკავშირეობით ჰერეთის ციხეები არიში და გავაზნი აიღო,› „ამგვარად აფხაზთა მეფეს ეხლა ქართლის გარდა ჰერეთშიაც ჰქონდა ფეხი მოდგმული“ (ჯავახიშვილი 1983:105).

ზევით ნათქვამი, ვფიქრობთ, აჩვენებს, რომ ადარნასეს საგარეო პოლიტიკური წარუმატებლობა მისი, ინერტულობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მან სამხედრო პოტენციალის სისუსტის გამო მეტის გაკეთება ვერ შეძლო.

ადარნასე ქართველთა მეფის მემკვიდრეები, მეფეები—დავითი (923—937) და მისი ძმა ბაგრატ მაგისტროსი (937—945), იმდენად უფერული პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ, რომ მემატიანეები მხოლოდ მათი გარდაცვალების ფაქტს გვაცნობებენ და ღირსად არ თვლიან მკითხველის ყურადღება შეაჩერონ ამ ორი ხელმწიფის 22 წლიანი ზეობის რაიმე სხვა მოვლენაზე[1]. კონსტანტინე პორფიროგენეტის მონათხრობშიაც ქართველთა ამ მეფეების შესახებ საგულისხმო არაფერია ნათქვამი[2]. (ჯანაშია 1986:250).

სამაგიეროდ, ხშირად იხსენიება და ძლიერ ხელისუფლადაა დახასიათებული გურგენ ერისთავთერისთავი (918—941). მის შესახებ წყაროებში (გობრონის ცხოვრება, სუმბატ დავითის ძის მატიანე, „მატიანე ქართლისა“, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, კონსტანტინე პორფიროგენეტის, არაბი ისტორიკოსის მასუდის, სომეხი ავტორების—იოანე დრასხანაკერტელის და სტეფანოზ ორბელიანის თხზულებები) არსებული ცნობები ერთმანეთთან შეჯერებული აქვს ს. ჯანაშიას (იქვე: 258--266).

ამ მასალიდან ირკვევა, რომ გურგენ ერისთავთერისთავი იყო მოკლული გურგენ კურაპალატის ვაჟის ადარნასეს ძე. აბულ-კასიმის შემოსევის დროს (914 წ.) იგი მოიხსენიება ყველისციხის პატრონად (ძეგლები 1964:176). 918 წელს, ბიძის აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ, იგი ერისთავთერისთავი გამხდარა. ამას პირდაპირ მიუთითებს გიორგი მერჩულე, გურგე-

---

[1] ბაგრატ მაგისტროსის ფრესკა ასომთავრული წარწერით: „ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე“, 1917 წელს, თურქეთში მოგზაურობის დროს აღუწერია ექვთ. თაყაიშვილს“ (ინგოროყვა 1954:108).

[2] ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა იმ პროტესტის შესახებ, რაც დავით ადარნასეს ძემ (მაგისტროსმა) და გურგენ მაგისტროსმა (918—941) გამოთქვეს, აშოტ კისკასის მიერ არტანუჯის ციხის ბიზანტიელებისათვის გადაცემის გამო (გეორგიკა 1952:285). ამ ფაქტის შესახებ ქვეთ კვლავ მოგვიწევს საუბარი. ხოლო, რაც შეეხება დასახელებული მეფეების პოლიტიკურ სისუსტეს იგი, ალბათ, ბიზანტიის ხელისუფლების მოქმედებითაც იყო გამოწვეული. იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტს განსაკუთრებული ხაზგასმით აქვს აღწერილი, თუ როგორი პომპეზურობით მიიპატიჟეს კურაპალატის წოდება დავით და ბაგრატ ბაგრატიონების მძმა აშოტს (იქვე 330-331), რომელიც ამ ტიტულს 923—958 წლებში ატარებდა. მაშასადამე, ქართველთა მეფეებს საერთაშორისო მხარდაჭერა არ ჰქონდათ. პირიქით, ბიზანტის იმპერია ყველა ღონეს მიმართავდა მათი დასუსტებისათვის.

ნის მიერ ხანძთის ეკლესიის მშენებლობის დამთავრების აღწერასთან დაკავშირებით **(იქვე:277)**. წყაროს დახასიათებით, იგი იყო „დიდი ხელმწიფე ფრიადითა ნათესავთანი".

დ. მუსხელიშვილს დაზუსტებული აქვს თუ რას ნიშნავს მემატიანის გამოთქმა, რომ გურგენმა „დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი". მას მემკვიდრეობით უნდა მიეღო პაპის გურგენ კურაპალატის ქვეყანა: ტაო (კალმახით), შავშეთი, არტაანი, მამულები კლარჯეთში და აგრეთვე, მამის ადარნასეს მემკვიდრეობა ჯავახეთში. ასეთი მტკიცების საფუძველი ის არის, რომ გურგენის ბიძა აშოტ კუხი (გარდ. 918 წ.) და ძმა დავით ერისთავთერისთავი (გარდ. 908 წ.) უმემკვიდრეოდ გარდავლინდნენ და მათი სამფლობელოები გურგენს დარჩა **(მუსხელიშვილი 1980:191)**.

გურგენმა 920-იანი წლებიდან დაიქვემდებარა მთელი კლარჯეთი. მაშინ მან თავის სიმამრს, აშოტ კისკასს ციხე-ქალაქი არტანუჯი გაუცვალა ყველის ციხესა და აჭარის წყლის აუზის ქვეყანაში. ხოლო შემდეგ საბადლოდ მიცემული მიწებიც დაიბრუნა **(გეორგიკა 1952:276)**.

არაბი ისტორიკოსის მასუდის ცნობით, მდ. მტკვარი სათავეს იღებს იმ ქართულ ქვეყანაში, რომლის მთავარიცაა ჯურჯინიმ, ე. ი. გურგენ ერისთავთერისთავი **(ჯანაშია 1986:262)**. მაშასადამე, კოლას მხარე, საიდანაც გამოედინება მდ. მტკვარი გურგენ დიდის სამფლობელო ყოფილა.

გურგენს რამდენჯერმე ახსენებს იოანე დრასხანაკერტელი. მის ცნობებში გურგენ ერისთავთერისთავის შესახები მასალის გამორჩევა რთულ საქმედ მიაჩნდა ს. ჯანაშიას **(იქვე)**. მაგრამ სხვა წყაროებთან შეჯერების გზით მან შეძლო დაედგინა, რომ გურგენსა და სომეხთა მეფეს აშოტ მეორეს (915-928) შორის მეგობრული დამოკიდებულება ყოფილა. ქართველი მთავარი რამდენჯერმე დახმარებია სომეხთა მეფეს, მისი ტახტის პრეტენდენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ შემდეგ გურგენს შეუცვლია ორიენტაცია და თავისის სიძის, აშოტ II-ის ძმისა და მეტოქის, აბას ერისთავთერისთავის მხარეზე გადასულა და სომეხთა მეფის მოკვლის მცდელობაც მოუწყვია. მომდევნო მონათხრობის მიხედვით, აშოტ II უკავშირდება ქართველთა მეფეს ადარნასეს და თავს ესხმის გურგენს. ამ უკანასკნელს კი სომეხთა სხვა მეფე აშოტ დვინელი და სიძე აბასი ეხმარებიან. იოანე სომეხთა კათალიკოსის მონათხრობის მიხედვით, სომეხთა მეფეების ნაცვალი გუგარეთის დაპყრობილ თემებში, ვასაკ გრთუნი ქართველთა მთავარს გურგენს, სხვა ციხესიმაგრის სანაცვლოდ უთმობს სამშვილდეს. აქ, რომ, მაინცდამაინც, გურგენ ერისთავთერისთავზეა საუბარი ამას ს. ჯანაშია შემდეგნაირად ასაბუთებდა: „სამშვილდის გადაცემა ქართველ ბაგრატიონთა შორის სწორედ ყველის ციხის პატრონისათვის იყო ყველაზე ბუნებრივი და შესაფერისი, რადგან სამშვილდის მხარე აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა გურგენის სამფლობელოს"–ო **(იქვე:265)**. მაშასადამე, სომეხი ისტორიკოსის ეს ცნობა ადასტურებს, რომ გურგენი ნამდვილად ფლობდა ჯავახეთს. ამავე ფაქტს უდავოდ ხდის ბოლნისის მახლობლად ნაპოვნი წარწერაც, რომელშიაც იხსენიება „გორგენ ერისთავთერისთავი". რადგან ქვემო ქართლის

მიმართ გურგენის პრეტენზიები სრულიად რეალურია„მაშინ მით უფრო სარწმუნო უნდა იყოს მის მიერ ჯავახეთის—ქვემო ქართლის დასავლეთიდან მომიჯნავე მხარის—მფლობელობა" **(მუსხელიშვილი 1980:143)**.

სომეხი ავტორის იოვანესვე გადმოცემით, აშოტ სომეხთა მეფის ყმა, უტის თემის მმართველი აბრამი გურგენ ერისთავთერისთავის ვასალობაში გადასულა **(ჯანაშია 1986:264)**. ეს ცნობა საფუძველს აძლევს პ. ინგოროყვას განაცხადოს, „რომ ალბანეთის ქვეყანა გურგენ ერისთავთერისთავმა გადაიბარა, ჩამოაშორა სომხეთს და ალბანეთის ნახარარები (მთავრები) თავის ვასალებად გახადა"-ო **(ინგოროყვა 1954:102)**.

გურგენ ერისთავთერისთავს ბიზანტიის კეისარისათვის დიდძალი საჩუქარი გაუგზავნია და უთხოვია მისთვის მიენიჭებია კურაპალატობა ან მაგისტროსობა. იმპერატორმა მას მაგისტროსობა უბოძა **(გეორგიკა 1952:283)**. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა გურგენს მალე გამოსულიყო ბიზანტიელთა წინააღმდეგ. ახლად გამაგისტროსებულის სიმამრმა, აშოტ კისკასმა, სიძის მტრობით გადაწყვიტა არტანუჯის ციხე კეისრისათვის გადაეცა. იგი ჩააბარა კიდეც მის მოხელეს კონსტანტინე პატრიკიოზს[1], რომელმაც თავის მბრძანებელს ხოტბა შეასხა და მისგან გამოტანებული დროშა არტანუჯის ციხის ქონგურზე დაარჭო. არტანუჯის ბიზანტიელების ხელში გადასვლა სწრაფად გახდა ცნობილი. იგი განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო გურგენ ერისთავთერისთავისა და დავით მაგისტროსისათვის (შემდეგში, ქართველთა მეფე). მათ იმპერატორს პროტესტის წერილი გაუგზავნეს და დაემუქრნენ: „თუ შენი მეუფება ამას დაუშვებს და ჩვენს მიწა-წყალში შემოიჭრება, შენი მეუფების მორჩილებიდან გამოვალთ და სარკინოზებს მივეკედლებით" არტანუჯსაც ავიღებთ და თქვენს წინააღმდეგ გამოვილაშქრებთო. მუქარამ გაჭრა. კეისარმა ყველაფერი თავის უდანაშაულო მოხელეს გადააბრალა. მასვე დაავალა არტანუჯი ადარნასე ქართველთა მეფის მესამე ვაჟის აშოტისათვის ჩაებარებინა. თვით იგი კი კონსტანტინეპოლს მიიწვია, სადაც კურაპალატობა მიანიჭა **(იქვე:286)**.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ მონათხრობის მიხედვით, ძნელია ისაუბრო გურგენის უპირატეს როლზე არტანუჯის ქართველთათვის დაბრუნების საქმეში, მაგრამ თუ მისსა და დანარჩენი ბაგრატიონების სამხედრო-პოლიტიკურ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიის კეისრის შეშინებაში მას არამცირედი ხვედრი ეკუთვნოდა.

ეკლესიათა მშენებლობაში გაწეული ღვაწლისა და აქტიური, მეტად წარმატებული საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელების გამო, გურგენს „სუმბატ დავითის ძე უშურველად ამკობს განმადიდებელი ეპითეტებით და ხან „დიდ გურგენს", ხან კი „დიდ ერისთავთ-ერისთავს" უწო-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე ამ ფაქტის გადმოცემისას წერს—„გურგენ ერისთავთერისთავმა... თავისი მფლობელობის განმტკიცების მიზნით არტანუჯის ბიზანტიელებისათვის გადაცემა მოინდომა. გურგენმა გადასცა კიდეც ის ბიზანტიელებს-ო" **(სინ1973:466)**. სინამდვილეში ბიზანტიელებს არტანუჯი გადასცა აშოტ კისკასმა **(გეორგიკა 1952:144; შდრ ჯაფაშვილი 1983:112)**.

დებს," შენიშნავს დ. მუსხელიშვილი (**მუსხელიშვილი 1980:189**). მისივე შეფასებით თანამედროვეთა შორის გურგენის მიმართ თიკუნ „დიდის"დამკვიდრება, გამოწვეული იყო „მიტაცებული ქართული მიწების შემომტკიცების მცდელობით" და „ჩვენც ამიერიდან გურგენ ერისთავთერისთავი საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ უნდა ვაღიაროთ" (**იქვე:193**).

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა გურგენის პოლიტიკური მემკვიდრეების მომდევნო თაობის დროს. ამ ეტაპზე გამაერთიანებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა დიდი სახელმწიფო მოღვაწე დავით მესამე კურაპალატი. მის შესახებ ჩვენს მონათხრობს მკითხველი ერთი პარაგრაფის შემდეგ გაეცნობა.

ბ. ეგრის-აფხაზეთის სამეფო

ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ ჩერდება ამ სამეფოს სახელწოდებაზე და ხაზგასმით აღნიშნავს რომ ეს ქვეყანა ეგრისი იყო, მაგრამ, რადგან ქუთაისში ტახტის გადმოტანამდე ლეონი აფხაზეთის ერისთავად ზეობდა, ამიტომ სამეფოსაც „აფხაზეთი" ეწოდა. ასე, რომ ქვეყანა ეგრისად დარჩა, ხოლო მისი მმართველი დინასტია განდა წარმომავლობით აფხაზური (**ქ. ცხ. 1973:742**).

ვახუშტის ამ განმარტებით იხსნება ის გარემოება, რასაც შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ წყაროებში, „აფაზეთისა" და „აფხაზთა მეფეების" ხსენება იწვევს. მათში ყოველთვის დასავლეთ საქართველო იგულისხმება. მ. ლორთქიფანიძე ამის გამო სრულიად სამართლიანად წერს: „აფხაზთა სამეფო" და „აფხაზთა მეფე" არ გულისხმობს საკუთრივ აფხაზეთს. ამდენად უფრო მართებულად მიგვაჩნია ამ სახლმწიფოს ეწოდოს ეგრის-აფხაზეთის სამეფო და მის მეფეებს ეგრის-აფხაზეთის მეფენი, როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებდა" (**სინ 1973:421**)

ზევით ჩვენი ვნახეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უძველესი დროიდან ქართველური ტომებით იყო დასახლებული, ხოლო ასევე ძლიერ ადრე მიმდინარეობდა არაქართული ტომების კულტურული ქართიზაცია. ქრისტიანობის გავრცელებამ ეს პროცესი გააღრმავა. რის შემდეგ მოსახლეობის ერთი ნაწილი მთლიანად გაქართველდა, ხოლო არაქართი ტომები (ზან-ჭანები, სვანები, აბხაზები) მკვიდრად შემოვიდნენ ქართულ კულტურულ სამყაროში და ქართველური თვითშეგნებისანნი გახდნენ.

ეგრის-აფხაზეთის სამეფო ამ ფენომენის ადეკვატს წარმოადგენდა—იგი ქართული სახელმწიფო იყო ტერიტორიით, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით, კულტურულ-ისტორიული თვითშეგნებით და რელიგიით. იგი არ წარმოადგენდა ეთნიკურ გაერთიანებას. ვთქვათ, როგორც ამას ზ. ანჩაბაძე ამტკიცებდა—აფხაზი ერის კონსოლიდაციის შედეგს. არამედ გამომდინარეობდა ქვეყნის შინაგანი განვითარებიდან. ნ. ბერძენიშვილის

თქმით, დაკავშირებული იყო „საზოგადოებრივი განვითარების უღრმეს ტეხილთან, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გაფორმებასთან“ (**ბერძენიშვილი 1990:159**).

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესი იყო. XI საუკუნის ქართველი ავტორები დასავლეთ საქართველოს ბარს ქართულ კულტურულ სამყაროში შემოსულად V საუკუნიდან თვლიან. ამ დროს არა მარტო ეგრისი, არამედ აფშილები და აბაზგებიც ლაზთა მეფის მორჩილნი და ქრისტიანები არიან.

VII—VIII საუკუნიდან ბიზანტიის პოლიტიკურმა ინტერესებმა აფხაზეთის გაძლიერება მოითხოვეს. ამ სამთავროს უნდა შეეწყო ხელი იმპერიის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დამკვიდრებისათვის, აქედან სპარსელთა ფეხის ამოკვეთისა და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების (ხაზარები, ოსები) იმპერიასთან დამოკიდებულების გაუმჯობესებისათვის. ბიზანტიის ხელშეწყობით აფხაზეთი გაძლიერდა. მთელ ეგრისს მიტაცებით დაემუქრა. მაშინ დასავლეთ საქართველოში ამ აგრესიის შემაკავებელი პოლიტიკური ერთეულები არ არსებობდნენ. მაგრამ ქართლი იმდენად ძლიერად იყო შეღწეული ეგრისში, რომ ნ. ბერძენიშვილის თქმით, მტკიცება „ქართებისა და ეგრების ერთკულტუროსნობის შესახებ“ რეალურ ვითარებას ასახავდა (**იქვე:590**). უკვე მომზადებული იყო „ის დიდი მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე, ის დიდი ნახტომი, რომელიც დას. საქართველოს საზოგადოებამ განიცადა, ის ღრმა მეტამორფოზი, როგორითაც ეს საზოგადოება წარმოდგა (ეგრისულ-აფხაზურიდან ქართულ ფეოდალურ საზოგადოებამდე)“ (**იქვე 578**)

ამის შესაბამისად ქართულ საისტორიო მწერლობაში (ლეონტი, ჯუანშერი) იქმნება შეხედულება, რომ ეგრისი ქართლის სამეფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე ფარნავაზიანების ქვეყანაში შემოდიოდა და, როცა ეს ასე არ იყო დაპყრობილი ჰყავდა ბიზანტიას (**ქ.ცხ. 1955:240**).

VIII საუკუნეში, ქართლის პოლიტიკური დასუსტების მიუხედავად, რაც გამოწვეული იყო მურვან ყრუს დამანგრეველი ლაშქრობებით, ქართლის პოზიციები ეგრის-აფხაზეთში იმდენად ძლიერი იყო, რომ კეისარი ავალებს აფხაზთა ერისთავს ლეონს კეთილად და პატივისცემით მოეპყრას ლტოლვილ ქართველ ხელმწიფეებს—არჩილსა და მირს—„ამერითგან ნუღარმცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანღით“ (**იქვე**).

ეს ფაქტობრივად ნიშნავდა რომ კეისარი ეგრისს ქართლის ხელისუფლის სახელმწიფოდ თვლიდა. თანაც მალე მოხდა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი—ბიზანტიის იმპერატორის ქვეშევრდომი, აფხაზთა ერისთავი ლეონი ქართლის „მეფე“ არჩილს ნებაყოფლობით ეყმო (**იქვე:242**). ნ. ბერძენიშვილი ჯუანშერის ამ ცნობებს საეჭვოდ მიიჩნევდა, მაგრამ მათი კრიტიკის გამო, არც სტეფანოზისა და მისი შვილების დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის უარყოფას თვლიდა მართებულად. რადგან, წერდა იგი: „ქვეყანა ერთიანი ქართული კულტურის ასპარეზი გამხდარიყო.

„აფხაზთა" მეფეები საქართველოს აშენებდნენ ეგრისში... და ხანა სჭიროდა ამ უცნაურ მოვლენას და ჩვენმა ავტორებმა ბუნებრივად გამართეს ფაქტები: ხოსროიანებმა შეამზადეს ძველი ეგრისის გამოსვლა ფეოდალური საქართველოს გამაერთიანებლის როლში აფხაზთა მეფის მოთავეობით" (**ბერძენიშვილი 1990:578**).

„აფხაზთა სამეფოს" წარმოქმნის პირობებისა და დროის საკითხი შეისწავლა ს. ჯანაშიამ. მისი აზრით, ამ სამეფოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ძირითადი პირობა იყო ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლების დასუსტება. ამას კი ადგილი ჰქონდა VIII ს-ის 90-იან წლებში. უფრო სწორედ 797 წლის შემდეგ, როცა იმპერატრიცა ირინამ (წარმოშობით ხაზარმა) თვალები დათხარა თავის შვილს კონსტანტინე VI-ს და თვითონ გახდა იმპერიის ერთადერთი მმართველი (**ჯანაშია 1952:341**). ამ შეხედულების დასასაბუთებლად განსვენებული მეცნიერი იშველიებდა „მატიანე ქართლისას", გადმოცემას, რომ აფხაზთა ერისთავის ლეონ II-ის განდგომა მოხდა „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი" (ბიზატიელნი). ამავე ვითარების გამო იგი უარყოფს ექვ. თაყაიშვილის მიერ აფხაზთა საერისთავოს ბიზანტიისაგან გამოყოფის თარიღს - 746 წელს, მიაჩნია რა ამ დროს ბიზანტიის ძლიერება ასეთი აქციის განმხორციელებელ მიზეზად. (**იქვე:329**).

ს. ჯანაშია ასევე უარყოფს ლეონ II-ის ზეობის ექვ. თაყაიშვილის მიერ წამოყენებულ წლებს (746—791), რომელსაც ივ. ჯავახიშვილიც ეთანხმებოდა (**იქვე:325**) და სინამდვილესთან უფრო მიახლოვებულად მიაჩნია ლეონის მეფობის დასაწყისად ვახუშტის მიერ დადგენილი 786 წელი (**იქვე:327**).

„აფხაზთა სამეფოს" ეთნიკურ-ტერიტორიული შემადგენლობის წარმოშობის პირობებისა და დროის გარკვევა საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხად მიაჩნდა პ. ინგოროყვას (**ინგოროყვა 1954:117**). პირველი მათგანის შესახებ მისი მოსაზრებანი ზევით მონათხრობის მიხედვით მკითხველისათვის უკვე ცნობილია. რაც შეეხება პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს „აფხაზთა სამეფოს" მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასა და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას, ასეთად მკვლევარს ბიზანტიის იმპერიის საშიანო სირთულეთა გარდა მიაჩნია, მურვან ყრუს მოკვლის (750 წ.) შემდეგ, არაბთა სახალიფოს ახალი დინასტიის (აბასიდების) უძლურება ძველებურად ებატონათ სახალიფოს განაპირა პროვინციებში (**იქვე:199**). რითაც ისარგებლა დასავლეთ საქართველოს მფლობელმა ლეონ II-მ და ჯერ არაბთაგან მოიპოვა დამოუკიდებლობა, ხოლო შემდეგ ბიზანტიის „ოპეკისაგანაც" გაინთავისუფლა თავი.

პ. ინგოროყვას თქმით დასავლეთ საქართველოში შექმნილი იყო ბიზანტიის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს საერთო ფრონტი არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ „მთავარი როლი დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში არაბთა ბატონობისაგან შეუსრულებია, როგორც ირკვევა დასავლეთ საქართალოს „აფხაზეთის" სამფლობელოს... რაც შეეხება ბიზანტიას, მისი დახმარება ამ შემთხვევაში... უფრო პოლი-

ტიკური თანაგრძნობით განისაზღვრებოდა, ხოლო რაიმე მნიშვნელოვანი მონაწილეობა თვით ბრძოლებში ბიზანტიას არ მიუღია“ (იქვე:200).

მას შემდეგ, რაც არაბთა ბატონობა გადაიგდო, დასავლეთ საქართველო ხელახლა გაერთიანდა ლაზების ყოფილი სამთავროს ქვეყნებისა და „აფხაზეთის“ მხარეების სახით, ერთ პოლიტიკურ ერთეულად—„აფხაზეთის სამეფოთ“.

კონსტანტინე VI-ისა და დედამისის ირინეს (797—802) იმპერატორობის წლებში, ბიზანტიაში გრძელდებოდა შინაური აშლილობა და პოლიტიკური კრიზისი. ეს დასავლეთ საქართველოს ხელისუფლებას შესაფერის მომენტად მიუჩნევია საუკუნეების წინათ დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ლეონ II-ს თავის დედულეთიდან, ხაზარეთიდან მოუშველიებია დამხმარე ძალები, განდგომია ბიზანტიის იმპერატორს და დამოუკიდებლობა გამოუცხადებია. ბიზანტიის ხელისუფლება არ შერიგებია დასავლეთ საქართველოს დაკარგვას. ამ მხარეში ნახევარი საუკუნის განმავლობაში აგზავნიდა სამხედრო ექსპედიციებს „ძველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით“, მაგრამ ყველა ეს ცდა „ბიზანტიელთა სასტიკი დამრცხებით დამთავრებულა“ (იქვე:217).

მას შემდეგ, რაც „გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“ („მატიანე ქართლისა“) ლეონ მეორემ თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა (იქვე:251). ლეონ II-ის მიერ განხორციელებულ ამ უმნიშვნელოვანეს აქტს პ. ინგოროყვა 786—797 წლებით ათარიღებს.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს წარმოშობა-გაძლიერების საკითხებზე მ. ლორთქიფანიძე დაახლოებით ისეთივე შეხედულებისაა, როგორიც მხოლოდ ახლა გავაცანით მკითხველს. ოღონდაც იგი ზოგიერთ დეტალს უფრო მეტად აზუსტებს და საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს. ასეთთა შორის ყურადღებას იქცევს ბიზანტია-აფხაზეთის ურთიერთობა. „ბიზანტია მას (აფხაზეთის საერისთაოს.—გ.მ.),—წერს იგი,—თავდაპირველად ზურგს უმაგრებდა როგორც თავის დასაყრდენს საქართველოში“ (სინ 1973:417). ადგილობრივმა ხელისუფლებმა კარგად გამოიყენეს ეს მხარდაჭერა დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულების წინააღმდეგ. ხოლო, როცა შესაძლებელი გახდა ბიზანტიისაგან ჩამოცილება, მის განსახორციელებლად მოიშველიეს ხაზართა ძალები. აფხაზთა ხელისუფლებმა, ამ შემთხვევაში, ისარგებლეს არა მარტო დინასტიური კავშირით[1], არამედ კავკასიაში ხაზარეთისა და ბიზანტიის ინტერესების დაპირისპირებით, რაც პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურ ასპექტებსაც შეიცავდა. მაშასადამე, ასეთი გზით ლეონ II, VIII ს-ის 80-იან წლებში, ბიზანტიის მხარდაჭერით, აერთიანებს ეგრის-აფხაზეთს. იმავე საუკუნის დასასრულს კი „ეს გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთი ითავისუფლებს თავს ბიზანტიელთა ვასალობისაგან და „სამეფოდ“ ყალიბდება“ (იქვე:418).

---

[1] „მატიანე ქართლისას“ გადმოცემით, ლეონ II ხაზართა ხაკანის ასულის წულა იყო (ქ-ცხ.1955:251). ს.ჯანაშიას ვარაუდით, რაღგან ბიზანტიის იმპერატორის ლეონ IV ხაზარის (750—780) დედაც ხაზართა ხაკანის ასული იყო, მოსალოდნელია ეს იმპერატორი და აფხაზთა ერისთავი ლეონ II დეიდაშვილებად ეკუთვნოდნენ ერთმანეთს (ჯანაშია 1952:330).

თვით ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების პროცესი მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით ნებაყოფლობით აქტი იყო. აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ „ხოსროიანებმა შეამზადეს ძველი ეგრისის გამოსვლა ფეოდალური საქართველოს გამაერთიანებლის როლში აფხაზთა მეფის მოთავეობით“ და, რომ არ შეიძლება ყურადღების, გარეშე დავტოვოთ არჩილის (სტეფანოზ-მიპრით) მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში, როგორც ამ „შემზადების“ კონკრეტული ფაქტი (**ბერძენიშვილი 1990:578**).

აჯამებდა რა, ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგნად გამხდარი პროცესების საერთო შედეგებს, განსვენებული მეცნიერი წერდა: „აფხაზეთმა ძველი ეგრისი მართალც გააერთიანა, მაგრამ ქართებზე დაყრდნობით... ამ ხანებისათვის ისეთი ვითარება მომწიფდა, რომ კავკასიის სარბიელზე ქართული ფეოდალური ურთიერთობა ძლიერად გამოვიდა და მან ძველ ეგრისში ისე ძლიერად მოიკიდა ფეხი, რომ საკუთრივ ქართლის უკიდურესი სივიწროვის პირობებში (არაბების ბატონობა) აქ ქართული სახელმწიფო იშვა, აფხაზთა დინასტიის მეთაურობით... ქართლის პოლიტიკური დახმარების გარეშე მეორე ქართლი (აფხაზეთი) წარმოიშვა“,... (**იქვე:590**).

სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი გახდა იმ მმართველი დინასტიის საკითხი, რომელიც ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სათავეში ედგა, ვიდრე ბაგრატ მესამე გამაერთიანებელი გამეფდებოდა. ამის მიზეზია შესაბამისი წყაროების უკიდურესი სიმწირე. როგორც ზევით დამოწმებულ ციტატაში ჩანს, მათ ნ. ბერძენიშვილი „აფხაზთა დინასტიას“ უწოდებდა. სხვაგან იგი ამ დინასტიის აღსანიშნავად „ლეონიდებს“ ხმარობს (**იქვე:586**),

დ. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ აფხაზთა მეფეების დინასტია ბერძნული წარმოშობისა შეიძლება იყო (**ვახუშტი 1885:133**). პ. ინგოროყვას მტკიცებით, აფხაზი მეფეები იყვნენ ეგრისის მთავრების, პატრიკიოზების, პირდაპირი შთამომავლები. ეგრისის მთავრები კი ლაზთა ერთ-ერთ გვარეულობას ეკუთვნოდნენ. ამ დინასტიას საფუძველი დაედო 600 -იანი წლების ახლო ხანებში. მათ დაუარსებიათ „აფხაზეთის სამეფო“ „ეგრეთწოდებული აფხაზთა დინასტია, ეს არის... იგივე დინასტია ლაზეთის მთავრებისა“ (**ინგოროყვა 1954:192**). ზ. ანჩაბაძე კონიუქტურული მოსაზრებით, მათი „აფხაზური“ წარმოშობის დასაბუთებას ცდილობდა, მაგრამ აღიარებდა, რომ აფხაზი მეფეები თავისი მოღვაწეობით ქართულ სახელმწიფოს ემსახურებოდნენ (**Анчабадзе 1959:80**). მ. ლორთქიფანიძის აზრით, „არც ერთი ეს მოსაზრება სათანადოდ დასაბუთებულად არ გამოიყურება, მაგრამ მათ („აფხაზთა მეფეების“.—გ.მ.) ეთნიკურ კუთვნილებას, არცა აქვს დიდი მნიშვნელობა“, რადგან თავიანთი საქმიანობით ხსენი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ (**სიხ 1973:420**).

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მმართველი დინასტიის ეთნიკურ წარმოშობას მართლაც არ უნდა მიეცეს დიდი მნიშვნელობა, რადგან მსოფლიო

ისტორია იცნობს უამრავ მაგალითს, როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს, მათ შორის დიდი სახელმწიფოების, სათავეში უცხოური დინასტიები იდგნენ და მიუხედავად ამისა, ისინი ქვეშევრდომი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების საუკეთესო გამომხატველებს წარმოადგენდნენ.რასაც მკვლევარები ერთხმად აღიარებენ ეგრის-აფხაზეთის მეფეთა დინასტიის მიმართაც. მაგრამ ქართულ წყაროებში ჩვენ გვაქვს დაცული მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ დინასტიას ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა ქართლის „მეფე" არჩილის ოჯახთან და ჰიპოთეზა მათი ქართული წარმომავლობის შესახებ, მთლად უკუსაგდებს არ უნდა წარმოადგენდეს. მხედველობაში გვაქვს ჯუანშერის გადმოცემა, რომ ლეონს არჩილმა ცოლად შეართო თავისი ძმისწული გურანდუხტი (ქ. ცხ. 1955:242). „მატიანე ქართლისა" კი ლეონ მეორის მიერ დასავლეთ საქართველოს ლიხის მთამდე დაკავებას უკავშირებს არჩილის უძეო შვილების იოვანეს გარდაცვალებასა და ჯუანშერის სიბერისაგან დაუძლურებას (იქვე:251). ქართლის სამეფოს ტერიტორიის ასეთი მემკვიდრეობითი გადაცემა კი ფეოდალურ საზოგადოებაში მხოლოდ ახლონათესაური კავშირის შედეგად ხდებოდა. რასაც პირდაპირი ჩვენებით ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი, როცა წერს, რომ სრულიად ეგრისი ლეონ მეორეს ემორჩილებოდა „მათთა (მირისა და არჩილის.—გ. მ.)-მეფისა მოყვრობისათვის" -ო (ქ. ცხ. 1973:795).

ეგრის—აფხაზეთის ეს ახლადშექმნილი სახელმწიფო აერთიანებდა მთელს იმ ტერიტორიას, რომელიც ჩვენ ამ წიგნის ქვეთავებში.„ქვემო ეგრისი", „ეგრისი" და „გარე ეგრისი" გვაქვს განხილული. ამდენად ეგრის-აფხაზეთის სამეფო ქართველური ტომებით უძველესი დროიდანვე დასახლებულ მიწა-წყალს წარმოადგენდა.

ვახუშტის გადმოცემით, ლეონ II-ს მეფედ გამოცხადების შემდეგ თავის სამფლობელოში გაუტარებია ადმინისტრაციული რეფორმა, დაუნიშნავს 8 ერისთავი. მეცნიერ ბატონიშვილს ლეონ II-ს საერისთავოები თავის ნაშრომში ასე აქვს ჩამოთვლილი: „ა. დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე; ბ. დასუა ცხომს და მისცა ეგრის (დ.მუსხელიშვილი ასწორებს—ეგრის წყლის.—გ.მ.)—იქითი ანაკოფია—ალანითურთ; გ. დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე; დ. ვინაითგან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის (დ. მუსხელიშვილი ასწორებს—რიონის.—გ.მ.) სამხრეთისანი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, უწოდა გურია, დასუა მუნ ერისთავი თვისი; ე. დასუა რაჭა-ლეჩხუმისა; ვ. დასუა სვანეთისა; ზ. შორაპნისაჲ, რიონისა და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგუეთისა, თ. დასუა ქუთაისის ვაკისა, ოკრიბისა და ხანის -წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლით ცხენისწყლამდე" (ქ.ცხ. 1973:796).

ამ საერისთავოების ლეონის გამეფების (დაახ.778 წ).[1] დროიდან არსებობას თანადროული წყაროები არ ადასტურებენ. მაგრამ, როგორც მ.

[1] ეს თარიღი ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანების დაახლოებით დროდ მიაჩნია დ. მუსხელიშვილს (მუსხელიშვილი 1980:140).

ლორთქიფანიძემ შენიშნა, თამარის ისტორიკოსი აჩვენებს სვანეთის, რაჭისა და თაკუერის, ცხუმის, არგუეთის, ოდიშის საერისთავოების არსებობას და იქ მსხდომ ერისთავების სახელებსაც ჩამოთვლის (**სინ 1973:419**). ხოლო დავით და კონსტანტინეს მარტვილობის მიხედვით, VIII ს-ის პირველ ნახევარში, რიონსა და ცხენისწყალს შორის ნამდვილად არსებობდა ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, რომელიც დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, „ვახუშტისეული ქუთაისის საერისთავოს წინამორბედია“ (**მუსხელიშვილი 1980:141**). მაშასადამე ვახუშტის ცნობა ლეონ II-ის საერისთავოთა შესახებ „ეჭვი არ არის რაიმე ძველ წყაროს, ანდა რეალურ-ისტორიულ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს“ (**იქვე**).

ზევით დამოწმებული ციტატის მომდევნო თხრობაში ვახუშტი იძლევა კიდევ ერთ საყურადღებო მითითებას: „ამანვე (ლეონ II-მ.—გ. მ.) აღაშენა ქუთაისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთაისი“ (**ქ.ცხ. 1973:796**),

ქუთაისის დასავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქად ხელახლა დაწესება შემზადებული იყო ამ ქალაქის მთელი წინანდელი ისტორიით. უკეთ, რომ ვთქვათ ქუთაისი, ლეგენდარული დროიდან ყოველთვის იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულის ცენტრი, გარდა მცირე გამონაკლისისა VI—VII საუკუნეებში, როცა ეგრისის სატახტო ქალაქს ციხე-გოჯი წარმოადგენდა (**ლორთქიფანიძე 1994:93**).

მაგრამ ამ დროსაც ქუთაისს მნიშვნელობა დაკარგული არ ჰქონდა. „ბერძნული წყაროებით ქუთაისის ციხე მეტად მნიშვნელოვანი ციხეა“ (**ბერძენიშვილი 1975:533**). და, თუ ციხე-გოჯმა დროებით წაართვა მას პოლიტიკური ცენტრის როლი, ამას ნ. ბერძენიშვილის აზრით, ის ახსნა შეიძლება ჰქონდეს, რომ ეგრისის სამეფო მთიანეთის გაბატონება იყო. „ამ მთიელების მთავარ საყრდენს ციხე-გოჯი წარმოადგენდა ქუთაისის საპირისპიროდ. ქუთაისსაც დაეუფლნენ და მთელ დასავლეთ საქართველოსაც, ოღონდ მთავარი ადგილსამყოფელი ძველი ციხე გოჯი შეინარჩუნეს“ (**იქვე:534**).

ქუთაისის ხელახლა დაწინაურება ახალი პოლიტიკური პროცესებით იყო გამოწვეული. ცხადია, აფხაზთა საერისთავო უფრო წარმოადგენდა „მთას“, ვიდრე ეგრისი, მაგრამ ეგრისის მასთან შეერთებით მან დაჰკარგა თავისი ეს თვისება და „ბარის“ ქვეყნად იქცა. მისი მაშინდელი ცენტრი ანაკოფია, არც გეოგრაფიული მდებარეობით და ეკონომიკური პოტენციალით, უკვე აღარ გამოდგებოდა ახალი სახელმწიფოს მეთაურის სატახტოდ. მას ამ მხრივ ვერც ციხე-გოჯი შეცვლიდა. ჯერ ერთი მთიელთა ის ძალები, რომლებმაც მის დაწინაურებას შეუწყვეს ხელი, წასულნი იყვნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. და მეორეც, ეს ქალაქი ისე დაანგრია და დაარბია მტრვან ყრუმ, რომ იგი არა თუ დედაქალაქად, არამედ ციხესიმაგრედაც კი ვეღარ აღდგა. ამისათვის ციხე-გოჯს შესაფერისი ეკონომიკური რეგიონიც არ გააჩნდა. ამიტომ მას არ შეეძლო შეესრულებინა მხარის პოლიტიკური ორგანიზატორის როლი. ამის შემდეგ, გასაგებია, ეგრის-აფხაზეთის მე-

ფეებმა, რატომ ამჯობინეს ქუთაისი ანაკოფიასა და ციხე-გოჯს: ქუთაისი ხომ „პირველ რიგში, დასავლეთ საქართველოს ინტენსიური მეურნეობის ფართო მხარის, ვაკე იმერეთის (ძვ. მოხერისის) ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი და ამდენადვე „აფხაზთა სამეფოს" ეკონომიკურ ფოკუსში იყო" (**მუსხელიშვილი 1980:204**). მაგრამ, ამასთან, ერთად ამ არჩევანში გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ ქუთაისი „VIII საუკუნის 30-იანი, 40-იანი წლებიდან ჩამოიცილებს ციხე-გოჯს და იმკვიდრებს ეგრისის ერთადერთი დედაქალაქის სტატუსს" (**მ. ლორთქიფანიძე 1994:107**). ხოლო, როცა ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება მოხდა, ქუთაისი ბუნებრივად გადაიქცა ახალი სახელმწიფოს სატახტო ქალაქად. ამ აქტში გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ ლეონ II ქართლის იმ ერისმთავრების, ხოსროიანების მემკვიდრე იყო, რომლებმაც „ისევ ქუთაისი წამოსწიეს" (**ბერძენიშვილი 1975:534**).

ქუთაისის გადედაქალაქების სხვა მიზეზების შესახებ ჩვენ ზევით უკვე გვქონდა საუბარი, ახლა ამ საკითხზე მსჯელობას დავამთავრებთ მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, რომელიც სრულყოფილად ასახავს ამ აქტის მნიშვნელობას. „ეგრის-აფხაზეთის სამეფო ქართული სახელმწიფო იყო არამხოლოდ თავისი ტერიტორიისა და მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის დიდი უმეტესობით. ამ სახელმწიფოს ქართულმა შინაარსმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ გაერთიანებისთანავე ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქად იქცა ქ. ქუთაისი, ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი" (**სინ 1973: 420**).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ქუთაისის დასავლეთ საქართველოს ერთადერთ დედაქალაქად დამკვიდრების თარიღის დადგენის რამდენიმე ცდა, სხვადასხვა მკვლევართა მიერ დასახელებულია: 792, 808, 816, 786, 792 წლები (**ჩაკვეტაძე 1960:73—74**). წერილობით წყაროებში ამ საკითხზე პირდაპირი მითითება არ არის. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ერთ რომელიმე წელს ეს არ მომხდარა. როგორც ვახუშტი წერს (იხ. ზევით), ლეონ II-მ აფხაზთა მეფის საყდრის ანაკოფიის მსგავსად „ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთაისი". ე. ი. თავდაპირველად ქუთაისთან ერთად სამეფოს ცენტრად ანაკოფიაც რჩებოდა. მაგრამ ქუთაისის უპირატესობანი იმდენად დიდი იყო, რომ დიდხანს ასეთი ორცენტრიანობა არ შეიძლებოდა გამართლებულიყო. ამდენად, ზევით დასახელებული კონკრეტული წლებიდან შედარებით უფრო დამაჯერებელია მ. ლორთქიფანიძის მიერ შემოთავაზებული თარიღი. რომლის მიხედვითაც ქუთაისი გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს ერთადერთი დედაქალაქი გახდა „VIII საუკუნის დასასრულისათვის" (**ლორთქიფანიძე 1994:114**).

ეგრის-აფხაზეთის სამეფო ერთ-ერთი კარგად ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო, მის თანადროულად წარმოშობილ ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის. ე. ი. ის არ წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში ადრე არსებული რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის შემთხვევითი გაერთია-

ნების გზით, ან სამხედრო საშუალებების გამოყენებით შექმნილ ქვეყანას. საისტორიო მეცნიერებაში ამას რამდენიმე მიზეზით ხსნიან. ზ. ანჩაბაძე ამტკიცებდა, რომ „აფხაზთა სამეფოს" წარმოშობა იყო აფხაზი ფეოდალური ერის კონსოლიდაციის შედეგი (**Анчабадзе 1959:69**). ამის გამო ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ არავითარი აფხაზი ფეოდალური ერის კონსოლიდაცია არ მომხდარა. ლეონ II-ის „დროს უკვე აღარ იყო დრო (ასეთი დრო გასული იყო) აფხაზი ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბებისათვის (აფხაზებზე გაცილებით ძლიერი და დიდი ტრადიციების მქონებელი ეგრისიც კი არ აღმოჩნდა ამისათვის მომზადებული)"-ო, წერდა იგი (**ბერძენიშვილი 1990:591**). ეგრისმა ეს ვერ შეძლო და არა-ერთი ეგრისული ტომი დაიკარგა, რაღგან ისინი მეურნეობრივადაც არ იყვნენ შეკავშირებულნი. ასევე, ამ დროს, აფხაზი ეროვნების კონსოლიდაცია კი არ მომხდარა, არამედ აფხაზეთი საბოლოოდ შემოვიდა ქართულ ფეოდალურ ეროვნებაში, და ეს იყო „ქართული ფეოდალური ეროვნების დიდი კულტურული და პოლიტიკური გამარჯვების ნიშანი" (**იქვე**).

ზ. ანჩაბიძის მტკიცება რომ მართალი იყოს, განაგძობდა განსვენებული-მეცნიერი, მაშინ უნდა შექმნილიყო აფხაზური ფეოდალური სახელმწიფო ენით, დამწერლობით, რელიგიით. მოხდა კი პირიქით, „ქართული ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზეთი"იშვა ქუთაისით სათავეში" (**იქვე:589**). და ეს მოხდა იმიტომ, რომ ქართლი „საკუთარი ეროვნული სახით ფეოდალური ურთიერთობის სიმაღლეზე" ავიდა (**იქვე; 591**). მაშინ, როდესაც აფხაზები საზოგადოებრივი განვითარების დონით დაწინაურებულნი არ იყვნენ, ამ მხრივ კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო მისი დასავლეთი, მთიანი ნაწილი (**იქვე:594**). ბ-ნი ნიკოს ეს ნააზრევი, როგორც ყოველთვის დამაჯერებელია. თანაც, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში, ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს) შექმნის პერსპექტიულობის მთავარ პირობად იგი აცხადებს ფეოდალური განვითარების დონის აუცილებელ სიმაღლეს, რომლის გარეშეც არა თუ მომთაბარეთა განვითარების დონეზე მყოფი ეთნიკური ჯგუფები, არამედ ძველი კოლხური ტრადიციების მქონე, ეგრისის ტომებიც კი ვერ ამაღლდნენ ფეოდალურ ერებად ჩამოყალიბების საფეხურამდე.

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონისა და პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმოშობას შორის არსებული კავშირის საკითხები ცალკე კვლევის საგნად გაიხადა გ. მელიქიშვილმა. მისი აზრით, VI ს-ის ლაზიკაში სპარსეთ-ბიზანტიის ომიანობის შემდეგ არ არსებობდა პირობები ადგილობრივი ფეოდალური კლასის სწრაფი მომძლავრებისათვის. ამიტომ „აქ VII—VIII საუკუნეებშიც მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც განვითარებული" (**მელიქიშვილი 1973:50**). საკუთრივ აფხაზებში ეს დონე კიდევ უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო. უშუალო მწარმოებელი ძირითადი მასა პირად თავისუფლებასა და საწარმოო საშუალებებს ფლობდა, ეკონომიკაში თემური საკუთრების ხვედრითი წილი საგრძნობლად მაღალი იყო.

მეცნიერის აზრით, აფხაზთა მთავრობის დასაყრდენი ბაზის სიფართოვეს განსაზღვრავდა „არა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მაღალი დონე, არამედ, პირიქით, ამ ურთიერთობის შედარებით განუვითარებლობა“ (იქვე: 51).

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შემაფერხებელ მიზეზად გ. მელიქიშვილს მიაჩნდა ის ფაქტიც, რომ ამ რეგიონში ადგილი ჰქონდა მთიელი ტომების მასობრივ ჩამოსახლებას, რის გამოც აქ მიმდინარეობს „ქვეყნის ერთგვარი ბარბარიზაციის პროცესი“ (იქვე: 34). თანაც, როცა ასეთ ბარბარიზებაზე ვსაუბრობთ არ უნდა გამოგვრჩეს მნიშვნელოვანი ხვედრითი წონის მქონე „სუსტად დიფერენცირებული სვანთა საზოგადოება“ (იქვე: 51). ამ მიზეზთა გამო დასავლეთ ქართული სახელმწიფოს („აფხაზეთი“) საკმაოდ „ახალგაზრდად“ გამოიყურებოდა „და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით ქართლსა და კლარჯეთთან შედარებით ბევრად უფრო ადრეულ ეტაპზე იმყოფებოდა“ (იქვე).

ამანვე შეუწყო ხელი „აფხაზეთს“ წარმატებით ეთამაშნა ჰეგემონის როლი მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საქმეში. სოციალურად სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებასა და თავისუფალ მწარმოებელთა ფართო მასაზე დაყრდნობამ, „კარგა ხნის მანძილზე განსაზღვრა ხელსაყრელი პირობების არსებობა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობისათვის ამ ადრეფეოდალურ, ძირითადად ქართულ სახელმწიფოში“ (იქვე).

თავის ამ შეხედულებაზე მელიქიშვილი აფუძნებს მეორე საკითხს—თუ რომელმა ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულმა შეასრულა ჰეგემონის როლი საქართველოს გაერთიანების საქმეში, ტაო-კლარჯეთმა თუ აფხაზეთის სამეფომ“. იგი საკითხს წყვეტს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. რამდენადაც, „აფხაზეთი“ თავისი სუსტი სოციალური დიფერენციაციის გამო, უფრო უკეთ ცენტრალიზებული იყო და ფეოდალური პარტიკულარიზმის დრო ჯერ არ დადგომოდა.

იმ საკითხის შესახებ, თუ როგორ წარიმართა საქართველოს გაერთიანების პროცესი, ჩვენ თავის ადგილზე გვექნება მსჯელობა, ხოლო რაც შეეხება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონეს და მის როლს პოლიტიკურ გაერთიანებათა ნაკლებ თუ მეტად ცენტრალიზაციის საქმეში, ვერ ვიტყვით რომ იგი გ. მელიქიშვილს დამაჯერებლად ჰქონდეს დასაბუთებული. საქმე ისაა, რომ, როგორც სხვა ქვეყნების ისტორია გვიჩვენებს ადრეფეოდალური პოლიტიკური გაერთიანებანი, მართლაც, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საწყის საფეხურზე წარმოიშობიან და არა მკვეთრად გამოხატული კლასობრივი დიფერენცირების შემდეგ (მაგ., კარლოს დიდის იმპერია, კიევის რუსეთი...), მაგრამ ისინი ფეოდალური ურთიერთობათა განვითარების ახალ საფეხურზე ასვლის შემდეგ ისევე იოლად იშლებიან, წვრილ ფეოდალურ ერთეულებად, როგორც გაერთიანდნენ. ხოლო ქართული ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროები, წვრილ ფეო-

დალურ ერთეულებად კი არ დაიშალნენ, არამედ უფრო მსხვილ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ (კახეთმა შეიერთა ჰერეთი; ტაო-კლარჯეთმა—თბილისის საამიროს ნაწილი, „ზემონი ქვეყანანი“ და არზრუმის მიმდებარე სომხური ტერიტორიები; „აფხაზთა სამეფომ“—ჯერ ქართლი და შემდეგ მთელი საქართველო). შემდეგ კი ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ახალ ეტაპზე, ურთიერთბრძოლაში ეგრის-აფხაზეთის სამეფომ საქართველოს გაერთიანების საქმე დააგვირგვინა. ასე, რომ ე. წ. „მთიური ფეოდალიზმისათვის“ რაიმე მნიშვნელოვანი როლის მინიჭება დასავლეთ საქართველოს (ისევე, როგორც მთელი საქართველოს) გაერთიანების პროცესში დაუსაბუთებლად გამოსჩანს. ძველი ქართველი ისტორიკოსები არ ასახელებენ ფაქტებს, როცა აფხაზმა მთიელებმა აგრესია გამოიჩინეს და სამხედრო ძალის გამოყენებით დაიპყრეს ქართლი. პირიქით, ჩვენ ხელთა გვაქვს ჯუანშერის ცნობა, რომ ლეონ მეორე თხოვს არჩილს მიიღოს იგი ქვეშევრდომად („შემრთე მეცა მონათა შენდა თანა“), ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს ღებულობს, როგორც გადაშენებულ ხოსროიანთა ნათესავი (ჭ. ცხ. 1955:251).

რაც შეეხება „მთისა“ და „ბარის“ ურთიერთობას დასავლეთ საქართველოში, ჩვენი აზრით, ეს საკითხი სავსებით დამაჯერებლად აქვს გააზრებული დ. მუსხელიშვილს. მისი მტკიცებით საერისთავოების ჩამოყალიბება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ამ უკანასკნელში არ მომხდარა მთისა და ბარის ერთ „ქვეყნად“ გაერთიანება. „აფხაზთა სამეფოს“ საერისთავოები, არსებითად, ცალ-ცალკე ჩამოყალიბდნენ მთისა და ბარის „ქვეყნებად“. თუმცა გამონაკლისი აქაც იყო. მაგალითად, ცხუმისა და გურიის საერისთავოები აერთიანებდნენ ბარსაც და მთასაც. მაგრამ „დასავლეთ საქართველოში მთისა და ბარის იმგვარად შერწყმა ერთ ფეოდალურ „ქვეყნად“, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს არ მომხდარა“ (**მუსხელიშვილი 1980:153**). მართალია, ამის მიზეზი იყო სუსტი ეკონომიკური კავშირი მთასა და ბარს შორის, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ არსებულ ტომობრივ განსხვავებას. ქართველ ტომთა ინტეგრაცია და არაქართველი წარმომავლობის ტომთა ასიმილაციის ხარისხი დასავლეთ საქართველოში, არ იყო იმ დონეს მიღწეული, როცა შესაძლებელი გახდებოდა ტომობრივი საზღვრების მოშლა და ერთ „ქვეყნად“ ჩამოყალიბება.

მ. ლორთქიფანიძის აზრით, ქართველთა სამეფო, კახეთის სამთავრო და ეგრის-აფხაზეთის სამეფო განვითარების ერთ საფეხურზე (ადრეული ფეოდალიზმი) შექმნილი ერთი ტიპის ქართული პოლიტიკური ერთეულები იყვნენ. ისინი შინაგანი სტრუქტურით განსხვავდებოდნენ და არა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონით. ხოლო სტრუქტურული განსხვავება გამოწვეული იყო ამ სახელმწიფოების შინაგანი ვითარებით და ჩამოყალიბების დროინდელი ორგანიზაციით.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ორგანიზაცია არაბთა ბატონობის წინააღმდეგ და ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების პირობებში

მიმდინარეობდა. აფხაზთა მეფემ იმავდროულად შეძლო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და მორჩილებაში მოიყვანა ადგილობრივი ფეოდალები. „ბიზანტიასთან და ადგილობრივ ფეოდალებთან ბრძოლაში ყალიბდება ეგრის-აფხაზეთის მეფის შედარებით ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლება"-ო, შენიშნავს მ. ლორთქიფანიძე **(სინ 1973:462)**.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი თავისებურება ისიც იყო, რომ დასავლეთ საქართველო მარტო პოლიტიკურად კი არ იყო დამოკიდებული ბიზანტიაზე, არამედ იგი ეკლესიურადაც კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა, ე. ი. იდეოლოგიური დამოუკიდებლობაც მოსაპოვებელი იყო და ეს ნაკლები სიძნელის ამოცანას როდი წარმოადგენდა. ვინაიდან, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება დიპლომატიურით თუ არა, სამხედრო ძალის გამოყენებით ერთბაშად შეიძლება, ხოლო იდეოლოგიური, კერძოდ ეკლესიური დამოუკიდებლობის მიღება ხანგრძლივი პროცესია დ დიდადაა განპირობებული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქვეყნის კულტურის დონითა და ეროვნული თვითშეგნების მზაობით, ასეთი დამოუკიდებლობისათვის. ეს პრობლემა ეკლესიის ისტორიის სფეროს განეკუთვნება, ამიტომ მას ქვევით შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ.

ეგრის-აფხაზეთის პირველი მეფე ლეონ II გარდაიცვალა 798 წელს. მისი მემკვიდრე თეოდოსი II (798—825) უკვე მონაწილეობს „ქართლსა ზედა ბრძოლაში" ამ ბრძოლის მსვლელობის ზოგიერთი მომენტი ჩვენ ზევით, როცა ტაო-კლარჯეთისა და კახეთის სამთავროების მასში მონაწილეობაზე ვსაუბრობდით, უკვე გადმოვეცით. ამის გამო მკითხველისათვის ცნობილია, რომ თეოდოსი II თავისი სიმამრის, აშოტ კურაპალატის მხარეზე მონაწილობდა კახეთის მთავრის გრიგოლის წინააღმდეგ, მდ. ქსანზე გამართულ ბრძოლაში, და, თუმცა, გრიგოლს წანარები ეხმარებოდნენ მოკავშირეებმა იგი დაამრცხეს.აშოტ კურაპალატმა დაიკავა შიდა ქაროლი მდ. ქსანამდე. ეგრის-აფხაზეთის მეფეს, ამჯერად, ტერიტორიული შენამატები არ მიუღია. მისი მონაწილეობა ამ კონფლიქტში, ალბათ, არც ისახავდა ასეთ მიზანს, რადგან მას დამოუკიდებლად არ შეეძლო ძლიერი მეტოქის ქართლიდან განდევნა. მთავარი ამოცანა კი სწორედ ამაში მდგომარეობდა. გრიგოლი არ უნდა დამკვიდრებულიყო ქართლში. ხოლო თუ აშოტ კურაპალატი მას აქედან „აფხაზთა" მონაწილეობის გარეშე ამოუკვეთავდა ფეხს, მაშინ ამ ქვეყანაზე ტაო-კლარჯეთის გაბატონებას თანამონაწილე არ ეყოლებოდა. ამგვარად, თეოდოსი სიმამრს უანგაროდ არ ეხმარებოდა. ეს უკვე იყო პრეტენზია ქართლის დაუფლებისათვის მეტოქეობაში მონაწილეობისა. ამ პირველი ნაბიჯის შემდეგ მისი ყველა მემკვიდრე თავგამოდებით იბრძოდა ფეოდალური საქართველოს ყველაზე მიმზიდველი ქვეყნის, ქართლის დაუფლებისათვის. ეგრის-აფხაზეთის მეფეებს „ქართლსა ზედა ბრძოლაში" დიდი ხნის მანძილზე გაცილებით უკეთესი წარმატებებიც ჰქონდათ, ვიდრე მათ მეტოქეებს.

ეგრის-აფხაზეთის ტახტზე უძეო თეოდოსი II-ის მემკვიდრე იყო მისი ძმა დემეტრე II (825—861). მან ძნელი ბრძოლები გადაიტანა ბიზანტიისა და არაბების წინააღმდეგ. თეოფანე ჟამთააღმწერლის გამგრძელებლის ცნობით, 832 წელს აფხაზები აჯანყებულან ისმაიტელთა (არაბთა) წინააღმდეგ. მათ დასახმარებლად ბიზანტიის იმპერატორს თეოფილეს (829—842) დიდძალი ჯარი გამოუგზავნია. მაგრამ ამის მიუხედავად აჯანყებულები და მათი მოკავშირეები სასტიკად დამარცხებულან **(გეორგიკა 1952:327)**.

დაახლოებით 843—844 წლებში ბიზანტიელებს დასავლეთ საქართველოში, ჯარი სულ სხვა მიზნით, ამ ქვეყნის თავის ქვეშევრდომობაში კვლავ დასაბრუნებლად გამოუგზავნიათ. ლაშქრობა ზღვით განხორციელებულა, თეოქტისტეს სარდლობით. ფლოტი ეგრისის სანაპიროზე გადმოსხდომამდე ქარიშხალს ძლიერ დაუზიანებია. ხოლო ხმელეთზე გადმოსულთ ადგილობრივ ძალებთან შეტაკებაში კიდევ უფრო დიდი უბედურება დატეხიათ თავს. თეოქტისტეს ამ ბრძოლიდან მცირე ხნის შემდეგ კვლავ გაუმეორებია ლაშქრობა „აფხაზეთში“, მაგრამ, ამჯერად, კიდევ უფრო დიდი მარცხი განუცდია, 40.000 კაცი დაუკარგავს **(იქვე:328-329)**.

ამ მოვლენების აღწერაში არა ჩანს თუ სახელდობრ ვის ებრძოლა ბერძენთა უიღბლო სარდალი, მაგრამ „მეფეთა დივანიდან“ ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ დროს ეგრის-აფხაზეთის ტახტზე დემეტრე I იჯდა. რადგან სხვა ცნობა არ მოგვეპოვება გამარჯვებულ მხარედ იგი უნდა ჩავთვალოთ.

სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე 853 წელს, ბუღა თურქის შემოსევასთან დაკავშირებით. ამ არაბმა სარდალმა 850—853 წწ. სასტიკად დაარბია სომხეთი, ალბანეთი და აღმოსავლეთ საქართველო. რადგან ბუღას მოკავშირე იყო აფხაზთა მეფის მოწინააღმდეგე და ქართლზე ბატონობის პრეტენდენტი, ბაგრატ აშოტის ძე კურაპალატი, ამიტომ მათთან საბრძოლველად გამოვიდა და კუერცხობს დადგა ეგრის-აფხაზეთის დიდი ლაშქარი. „მატიანე ქართლისას“ ავტორის თქმით: „ხოლო ბუღა„ ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თვისი, და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა: შეიბნეს და გააქციენეს აფხაზნი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ. და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა“ **(ქ. ცხ. 1955:256)**. ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობის განხილვის დროს შენიშნავდა, რომ „მეფეთა დივანის“ მიხედვით 853 წელს აფხაზეთში ტახტი დემეტრე II-ს უნდა სჭეროდა, თეოდოსი II კი დიდი ხნის (გარდ. 825) მკვდარი იქნებოდა, მაგრამ რადგან „მეფეთა დივანის“ ტექსტი არასრული და გადამწერთა მიერ ხშირადაა შერვყნილი, ხოლო „მატიანე ქართლისას“ ავტორი „უმაღლესი ნდობის ღირსია“, ამიტომ მის მიერ ბუღას წინააღმდეგ მებრძოლ მეფედ თეოდოსის დასახელება უცვლელად უნდა დავტოვოთო **(ჯავახიშვილი 1993:98)**.

ზ. ანჩაბაძე მთლიანად ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილ არგუმენტაციას, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მაინც უფრო სწორი „მეფეთა დივანის“ მონაცემები მიაჩნია, რადგან ეს დოკუმენტი „მატიანეზე“ გაცილებით ადრეა შედგენილი და მის ავტორებს, რომლებიც

უკეთ იცნობდნენ აფხაზთა მეფეების გენიალოგიას და ქრონოლოგიურადაც უფრო ახლო იდგნენ აღწერილ ამბებთან, უკეთ ეცოდინებოდათ ვის როდის და ვის შემდეგ ეჭირა ქუთაისის ტახტი. თანაც, „მატიანეს" ავტორი სხვა ადგილას, თითქოს საკუთარი თავის საწინააღმდეგოდო („დივანთან" სრული შესაბამისობით) „აფხაზთა მეფის" გიორგის შესახებ მიუთითებს, რომ იგი იყო „ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი" **(ქ.ცხ.— 258)**, მაშასადამე, აღიარებს მათი ზეობის ასეთ თანამიმდევრობას. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ბუღას წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა დემეტრე II და არა თეოდოსი **(ანჩაბაძე 1959:142)**. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება დამატებით არგუმენტაციას არ საჭიროებს.

დემეტრე II-ის გარდაცვალების შემდეგ მეფობდა მისი ძმა გიორგი I (861—868), რომელიც ტახტზე ასვლამდე აღწეფის თემს ფლობდა და ამიტომ „აღწეფელი" ეწოდებოდა. რატომ გამეფდა გიორგი და არა დემეტრეს ვაჟი ბაგრატი ცნობილი არაა. მ. ლორთქიფანიძე ამას ხსნის იმით, რომ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში ტახტის მემკვიდრეობის ის წესი„ რომლის მიხედვითაც მეფობა მამიდან შვილზე უნდა გადადიოდეს ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ დადგენილი **(სინ 1973:430)**.

გიორგი აღწეფელი თავისი წინაპრების მაგალითისამებრ, იბრძოდა ქართლის დაუფლებისათვის მას ამ მხრივ ერთგვარი წარმატებაც ჰქონია, თავისი ძმისწული, დემეტრეს ძე (მემატიანე სახელს არ ამჟღავნებს[1]) ჩიხაში ერისთავად დაუსვამს **(ქ.ცხ. 1955:258)**. ამით მას, როგორც ჩანს, ძმისწულის გამეფებისაკენ მისწრაფებების განელება სურდა. მაგრამ გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ დინასტიური ბრძოლა ტახტისათვის მაინც ატყდა. მეფობის პრეტენზიას ჩიხას ერისთავი და მისი მცირეწლოვანი ძმა ბაგრატი აცხადებდნენ. მათ წინააღმდეგ გამოვიდა გიორგი მეფის ქვრივი, რომელმაც ჩიხას ერისთავი მოკლა, ხოლო უმცროსი ძმა ბაგრატი ზღვაში ჩააგდო. მაგრამ იგი დახრჩობას გადარჩა და კონსტანტინეპოლს შეაფარა თავი. ეგრის-აფხაზეთის მეფე 868 წელს, გიორგი I-ის ქვრივის მხარდაჭერით გახდა იოანე მთავარი შავლიანისა. ამან თავის ძეს ადარნასეს ცოლად მოჰგვარა გურამ მამფალის ასული. შავლიანები აფხაზეთის ტახტის უზურპატორები იყვნენ და ბაგრატიონებთან დამოყვრებით, როგორც ჩანს, თავიანთი მეფობის კანონიერებას ფასადს უქმნიდნენ.

მაგრამ შავლიანები საბოლოოდ მაინც ვერ დამკვიდრდნენ ეგრის-აფხაზეთის ტახტზე ისინი დასუსტდნენ სომეხთა ერისთავთერისთავის აშოტ ბაგრატუნთან და მის მოკავშირე დავით ბაგრატ კურაპალატის ძესთან ბრძოლაში. IX ს-ის 70-იანი წლების მიწურულს, კი კონსტანტინეპოლიდან დაბრუნდა ბაგრატ დემეტრე II-ის ძე, რომელმაც ბიზანტიის ჯარის დახმარებით

[1] მ. ლორთქიფანიძე დემეტრეს ამ შვილად, შიდა ქართლის ერისთავად ბაგრატს მიიჩნევს **(სინ 1973:436)**. მაგრამ „მატიანეს ქართლისა" მკაფიოდ აჩვენებს, რომ აქ ორ ძმაზეა საუბარი. ჩიხას ერისთავი, რომელიც, როგორც ჩანს, უფროსი იყო მოკლეს, ხოლო „ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ" ზღვაში ჩააგდეს. „ღმერთმა გახარინა იგი" და გადარჩენილი კონსტანტინეპოლში აღმოჩნდა **(ქ. ცხ. 1955:258)**. 881 წელს მან შავლიანებს წაართვა ტახტი და 893 წლამდე მეფობდა.

დაამარცხა და მოკლა ადარნასე შავლიანი, თვითონ გამეფდა და გუარამ მამფალის დაქვრივებული ასული (ადარნასეს მეუღლე) ცოლად შეირთო (ქ. ცხ.1955:261). ასე დაემოყვრა ბაგრატ I ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს მის მოკავშირედ გამხდარ ნასრე გუარამ მამფალის ძეს. როგორც ვიცით, მან ცოლისძმა საბერძნეთიდან ჩამოიყვანა. მისცა მას ლაშქარი. ნასრემ თავის მეტოქე ბიძაშვილებს ოძრხის, ჯვარისა და ლომსიანთას ციხეებიც კი წაართვა. მაგრამ მისმა მოწინააღმდეგეებმა სომეხთა ძალები მოიშველიეს ნასრე, მისი მოკავშირე აფხაზები და ოსები ასპინძასთან ბრძოლაში დაამარცხეს (იქვე). ეს მოხდა იმავე 888 წელს, როცა ნასრეს მთავარმა მოწინააღმდეგემ ადარნასე ბაგრატიონმა თავი „ქართველთა მეფედ" გამოაცხადა. თვით ეს აქტი ეგრის-აფხაზეთის მეფეთათვის საგრძნობ დარტყმას წარმოადგენდა. ვინაიდან, ტაო-კლარჯეთის მთავრები ამიერიდან ქართლის ლეგიტიმისტურ ხელისუფლებად ცხადდებოდნენ, რაც „აფხაზთა მეფეებს" ამ ქვეყანაში „უცხოდ" აქცევდა.

დაკარგული პოზიციების აღდგენა იარაღით სცადა ბაგრატ I-ის მემკვიდრემ კონსტანტინე III-მ. მან ქართლი დაიკავა. მის წინააღმდეგ გამოვიდნენ სომხების მეფე სუმბატი და ქართველთა მეფე ადარნასე. ურთიერთობის გარკვევა დაპირისპირებულ ძალთა შორის გახანგრძლივდა. საბოლოოდ მასზე გადამწყვეტი გავლენა იქონია არაბთა სარდლის აბულ-კასიმის შემოსევამ, 914 წ. ამ ამბების შესახებ მოთხრობილი გვაქვს ზევით. საერთო შეღეგებზე კი უნდა ითქვას, რომ ბრძოლას შეეწირა სომეხთა მეფე სუმბატი. მისი მემკვიდრე აშოტ II ერკათი (914—929), ძირითადად, ჰერეთ-ალბანეთში თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლებით იყო გართული. ამით ისარგებლა „აფხაზთა მეფე" კონსტანტინე III-მ და ქართლში პოზიციები იმდენად განიმტკიცა, რომ კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე I (893—918) იძულებული გახდა მის ვასალობაზე დათანხმებულიყო. კონსტანტინე III-მ და კვირიკემ ერთად ილაშქრეს ჰერეთში, რის შედეგადაც მან მიიღო არიშისა და გავაზის ციხეები (იქვე: 264). „ამგვარად,—აფასებდა შექმნილ მდგომარეობას ივ. ჯავახიშვილი,—აფხაზთა მეფეს ეხლა ქართლს გარდა ჰერეთშიც ჰქონდა ფეხი შედგმული. ამიერიდან საქართველოში უპირატესობა და მეთაურობა აფხაზთა მეფეების ხელთ იყო" (ჯავახიშვილი 1983:105).

კონსტანტინე III-ის გარდაცვალების შემდეგ 918 დან 929 წლამდე ეგრის-აფხაზეთის ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლა მის შვილებს შორის მიმდინარეობდა. პირველი ცოლისაგან, გვარამ მამფალის ასულისაგან, მას ჰყავდა ვაჟი გიორგი. მეორე ქორწინებისაგან (სომეხთა მეფის სუმბატის ასულთან)—ბაგრატი. ამ უკანასკნელს, როგორც სიძეს ეხმარებოდა ტაო-კლარჯეთის ერისთავთერისთავი გურგენ დიდი (იქვე). ბრძოლები გაგრძელდა ბაგრატ II-ის გარდაცვალებამდე. მხოლოდ ამის შემდეგ დაიმკვიდრა ეგრის-აფხაზეთის მეფობა გიორგი II-მ (929—957).

თავისი გამეფების ახლო ხანებში გიორგი II-მ ქართლის ერისთავად განამწესა შვილი კონსტანტინე. მაგრამ სამი წლის შემდეგ მამასა და შვილს

შორის უთანხმოება ჩამოვარდა. კონსტანტინეს მეფობა სურდა. მას მხარს უჭერდნენ ტბელები და ქართლის აზნაურების მოზრდილი ჯგუფი. ურჩი უფლისწული უფლისციხეში გამაგრდა. გიორგი II-მ ამ ციხის აღება საკუთარი ძალებით ვერ შეძლო. მის დასახმარებლად მოვიდნენ „ტაოს მეფენი“ და კახეთის ქორეპისკოპოსი ფადლა II. რამოდენიმე თვის ალყის მიუხედავად კონსტანტინე და მისი მომხრეები არ დანებდნენ. მაშინ გიორგი II-მ მოღალატე აზნაურები მოისყიდა, კონსტანტინე ციხიდან გამოიტყუა და მტკვარზე ტივით გადასვლის დროს დაატყვევა. მოჯანყე უფლისწულს ჯერ თვალები დათხარეს და შემდეგ დაასაჭურისეს. მან ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა.-უფლისციხეში დარჩენილ მის მომხრე აზნაურებს მეფემ შეუნდო, მაგრამ ასფურაგანს გაასახლა (იქვე: 267-268).

უფლისციხესთან დატრიალებულ ამ ტრაგიკულ კოლიზიებში, ივ. ჯავახიშვილი აზნაურთა მიერ საქართველოს გაერთიანების საწინააღმდეგო მოძრაობაში, უფლისწულ კონსტანტინეს გამოყენებას ხედავდა. „თითოეული კუთხის აზნაურები თავიანთი,—წერდა იგი,—მეფისა და მთავრის დამოუკიდებელი არსებობის მონატრულ იყვნენ იმიტომ, რომ გაერთიანების შემდეგ მათ კლავინდებური ძალა და გავლენა დაეკარგებოდათ და მეფეს წინანდებურად თავის ნებაზე ვეღარ ათამაშებდნენ... განსაკუთრებით უმეფობას მიჩვეული ქართლის აზნაურები და უმეტეს შემთხვევაში აფხაზთა მეფეების გაერთიანების პოლიტიკის წინააღმდეგ და ადგილობრივი მეფის დამოუკიდებელი არსებობის დასაცავად ირჯებოდნენ. კონსტანტინე ბატონიშვილის განდგომილებაშიც მამის წინააღმდეგ „მრავალი აზნაური“ ქართლისანნი იღებდნენ მონაწილეობას, რასაკვირველია, იმავე მიზნითა და განზრახვით“ (ჯავახიშვილი 1983:106).

ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება გაამართლა ჯერ ქართლელ და შემდეგ კახელ აზნაურთა პოზიციამ იმავე „აფხაზთა მეფის“ გიორგი II-ისა და კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკე II-ის შეტაკებაში. უკანასკნელს გამეფებისთანავე განუდგნენ გარდაბნელი აზნაურები. მათ დახმარებისათვის მოუხმეს „აფხაზთა მეფეს“. გიორგი კახეთში შეიჭრა და სასტიკად დაარბია იგი. ამ დროს ქართლის ერისთავად გიორგის მეორე შვილი ლეონი ჰყავდა გამწესებული. მამამ მას დაავალა განმეორებით დაელაშქრა კახეთი და მისი მთლიანად შემოერთების უზრუნველსაყოფად კვირიკე ოჯახიანად დაეტყვევებინა. ეს განზრახვა ცნობილი გგახდა ქართლელი აზნაურებისათვის. მათ ამჯერად „აფხაზთა მეფეს“ უღალატეს და კვირიკეს შეატყობინეს რა საფრთხეც ელოდა. კვირიკე, რომელიც ზავის სათხოვნელად იყო მოსული, მალულად გაიპარა კახეთში და ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა. მაგრამ „აფხაზთა მეფის “ მხარეზე გადავიდა ქორეპისკოპოსის ძმა შურტა. მან კვირიკეს უღალატა და კახეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე უჭარმა მის მტერს გადასცა. გიორგი II კახეთში შეიჭრა და ამ ქვეყნის სხვა ციხეებსაც დაეუფლა გარდა ნახაჭევნის, ბოჭორმისა და ლოწობნისა[1] (ქ. ცხ. 1955:268)

[1] ვახუშტის ლოკალიზაციით კახეთის ნახაჭევანი უდრის ლალისყურის ციხეს. ხოლო ლოწობნის ციხე უხდა იყოს ბახტრიონი ანუ მაღრანი (ქ. ცხ. 1973:548-549).

მაშასადამე, კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი „აფხაზთა მეფის“ ხელში აღმოჩნდა. კახეთის დაპყრობაზე შეუძლებელია გიორგი II-მ იმიტომ შეძლო, რომ მიუხედავად ზოგიერთი აქაური აზნაურის მოლალატეობისა, მისი პოზიციები ქართლში საკმაოდ მყარი იყო. **(იქვე:285)**.

ამ მეფის მაღალი ავტორიტეტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონების პოლიტიკურ ცხოვრებაზედაც. დამამტკიცებელ მაგალითად ზ. ანჩაბაძე იმოწმებს კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილს გიორგი II-ისადმი, საიდანაც დასტურდება, რომ ამ მეფეს გადამწყვეტი როლი შეუსრულებია ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი უძლიერეს სახელმწიფოში, ალანთა ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებისა და იქ მისი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების საქმეში **(Анчабадзе 1959:128)**. ამ აქტს დიდად უნდა შეეწყო ხელი ოსი და ქართველი რელიგიური და სახელმწიფო მოღვაწეების დაახლოებისათვის, რაც საბოლოოდ ორი ხალხის ურთიერთობის გაუმჯობესებას მოასწავებდა.

ეგრის-აფხაზეთის მეფის მთავარ მოწინააღმდეგეს „ქართლსა ზედა ბრძოლაში“ ტაო-კლარჯეთის სამეფო წარმოადგენდა. მაგრამ იგი ამ დროს აღარ იყო მთლიანი პოლიტიკური ერთეული. მართალია, „ქართველთა მეფის“ ტიტულს დავით II ადარნასეს ძე (923—937) ატარებდა, მაგრამ უფრო ვრცელი ტერიტორიების ფლობით და პოლიტიკური გავლენით გამოირჩეოდა გურგენ დიდი ერისთავთერისთავი (918—941). ამიტომ „აფხაზთა მეფისათვის“ ძირითადი პოლიტიკური მოწინააღმდეგეც იგი იყო. გიორგი II თავად არ ჩაერთო გურგენთან ბრძოლაში. მაგრამ მას დაუპირისპირა აშოტ კისკასი [1], რომელიც მისი სიძე, დის ქმარი იყო. გურგენ დიდმა ამ უკანასკნელს ჯერ ქ. არტანუჯი წაართვა, ხოლო შემდეგ განდევნა იგი ტაო-კლარჯეთიდან. ლტოლვილმა აშოტ კისკასმა თავი ცოლისძმასთან, აფხაზეთს შეაფარა **(გეორგიკა 1952:277)**. მისი კუთვნილი ქვეყანა გურგენმა შეიერთა. 941 წელს, გურგენის გარდაცვალების შემდეგ არტანუჯი მის ქვრივს დარჩა, სხვა მიწებისათვის ბრძოლა ატყდა აშოტ კისკასს, გიორგი II-სა და ბაგრატ ქართველთა მეფეს (937—945). შორის. „ისინი მორიგდნენ და თითოეულმა წაიღო თავისი სამკვიდროს მეზობელი ქვეყანა“ **(გეორგიკა 1952:277)**.

ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II თავისი ზეობის დასასრულს კვლავ კახეთისათვის ბრძოლით იყო დაკავებული. ლოწობნის ციხეში, რომელიც

---

[1] ამ აშოტ კისკასს ზ. ანჩაბაძე პირველი „ქართველთა მეფის“ ადარნასეს შვილად მიიჩნევს, მას აშოტ კურაპალატს უწოდებს და მისი ზეობის წლებად 923—954 წწ. ჩაუნებს **(Анчабадзе 1959:180)**. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით კი აშოტ კისკასი იყო ბაგრატ არტანუჯელის (მამფალის, გარდ. 909 წ.) ვაჟი. მას ჰქონდა პატრიკიოზის და არა კურაპალატის წოდება. სუმბატ დავითის ძე ბაგრატ მამფალის შვილთა შორის ასახელებს აშოტს **(ქ.ცხ. 1955:380)**. მაგრამ „ქართული წუაროებისათვის უცნობია აშოტის მეტსახელი კისკასი“ **(გეორგიკა 1952:275)**. რაც შეეხება ადარნასეს ძე აშოტს იგი მართლაც იყო კურაპალატად (923-958 წწ). მაგრამ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ აღწერილ ამბებში მას მონაწილეობა არ მიუღია.

ადრე ვერ აიღო გიორგი მეფემ, გამაგრებული იყო ივანე არიშის ძე. მან „გაწირა პატრონი" ე. ი. როგორც ნ. ბერძენიშვილი განმარტავს—ქორეპისკოპოსის კვირიკე II-ის კუთვნილი ციხე (იგი მისი მამის ფადლას აგებული იყო), „აფხაზთა მეფეს" ჩააბარა (**ბერძენიშვილი 1975:121**).

მემატიანის ცნობით, ლოწობანს „აუგეს შურის-ციხე და დააყენეს შიგან ლაშქარი" (**ქ. ცხ. 1955:268**). თუ ივანე არიშის ძე ერთბაშად დანებდა ახალი ციხის აგება რატომღა გახდა საჭირო? მაშასადამე, ლოწობანის ციხისთავი მაშინ დანებდა, როცა მოწინააღმდეგის ძალა იგრძნო. ასევე უნდა მოქცეულიყო მისი ძმა მარანის ციხის პატრონი, ხახუა არიშის ძე, რომელიც „ლამობდა მსგავსად ძმისა თვისისა მკლავითა დაჭირვასა. მივიდა მეფე (გიორგი II.—გ. მ.), უბრძანა შებმა ლაშქართა, ხოლო მათ წარიღეს ხერხითა და ხახუს მოიყვანეს შეპყრობილი წინაშე მეფისა; და მეფემან წარსცა პყრობილად ჯიქეთს" (**იქვე**). ჯერჯერობით აუღებელი დარჩა ნახაშევანის ციხე, რომელიც „ჰქონდა ფადლასა, ძესა კვირიკესა. იგიცა გამაგრდა შიგან" (**იქვე**).

მემატიანის კონტექსტიდან ჩანს, რომ კვირიკე II ამ დროს ტყვედ ჰყავს გიორგი მეორის ძეს, ქართლის ერისთავს ლეონს. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ იგი დარწმუნდა „რამეთუ არღარა იყო ღონე მისი... და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა" (**იქვე:269**), შეთანხმების მიხედვით კვირიკე ახლავე გაღასცემდა „აფხაზთა მეფეს" ნახაშევანის ციხეს. თვითონ ბოჭორმის ციხეში შევიდოდა. ზამთარში იქ წასასვლელ სამზადისს დაამთავრებდა და ამ ციხესაც აღვსებისათვის (აღდგომისათვის) ჩააბარებდა. ამასთან, კახეთის ქორეპისკოპოსმა თავისი უმცროსი ვაჟი—დავითი მძევლად მისცა გიორგი II-ს. „წარვიდა მეფე აფხაზეთად და შევიდა კვირიკე ბოჭორმას. ეკაზმოდა და ლამობდა შემდგომად აღვსებისა წასვლასა" (**იქვე**). რომ სწორედ მაშინ ქართლისა და კახეთი 60-მდე აზნაური შეიკრიბნენ, შეაგროვეს ლაშქარი, შეუერთდნენ კვირიკეს და დაიწყეს მისი კუთვნილი ციხეების განთავისუფლება. „მცირეთდა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი: ღაარღვივნეს შურის-ციხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კვირიკე მამულსა თვისსა" (**იქვე**). ეს, ფაქტობრივად, „აფხაზთა მეფის წინააღმდეგ აჯანყებას წარმოადგენდა: მის ინიციატორთა და მონაწილეთა უმრავლესობას ქართლის აზნაურები შეადგენდნენ (**პაპუაშვილი 1982:200**). ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, მართალია, მათ კახეთის დამოუკიდებელი მეფობის მოსპობა პირადად არ შეეხებოდათ, მაგრამ, რამდენადაც ეს „აფხაზთა მეფის" გაძლიერებას მოასწავებდა და იგი, იმავე დროს ქართლის ბატონიც იყო, მისი განდიდება „ქართლის დიდებულ აზნაურთა წინანდელი პარპაშობისა და თვითსნება მოქმედების ფრთების შეკვეცას უქადდა; ამიტომაც იყო, რომ ქართლის აზნაურებმა იმის მაგიერ, რომ თავიანთი მეფისათვის ხელი შეეწყოთ და კახეთის შემოერთებაში მოჰხმარებოდნენ, იმათ, პირიქით, მოწყობილი და გათავებული საქმე ხელმეორედ ჩაუშალეს, კახთა ბატონი აფხაზთა მეფის საწინააღმდეგოდ წააქეზეს და თვიორონაც ატეხილ ამბოხებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს" (**ჯავახიშვილი 1983:107**).

; ამგვარად, ეგრის-აფხაზეთის მეფეს შემოერთებული კახეთი ხელახლა დასაპყრობი გაუხდა. კახეთში დატრიალებული ამბების შესახებ, რომ მოახსენეს გიორგი II-ს „დაუმძიმდა ფრიად" და მათ გაუბრაზდა ვინაც კვირიკე ქორეპისკოპოსის განთავისუფლება ურჩია. ზამთრის გასვლის შემდეგ, მან კახეთში ხელახლა გაგზავნა ლაშქარი, თავისი ძის ლეონის სარდლობით. უფლისწული კვლავ შეიჭრა კახეთში და დაიწყო მისი აოხრება. ლაშქრობის ძლევამოსილი აღმავლობის დროს ლეონმა მამის გარდაცვალების ამბავი შეიტყო. მან კვირიკეს მოსალაპარაკებლად მოუხმო. ბაზალეთის ტბასთან ერთდღიანი მოლაპარაკების შემდეგ კვირიკემ თავი „აფხაზთა მეფის" ვასალად სცნო. ლეონმა ახალ ვასალს თავისი ქალიშვილი რძლად შესთავაზა. თვითონ კი საჩქაროდ გაბრუნდა დასავლეთ საქართველოში სამეფო ტახტის დასაკავებლად **(ჯ. ცხ. 1955:270)**.

გიორგი II-ის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა ზ. ანჩაბაძე. მისი თქმით იგი „უველაზე გამოჩენილი (**видающийся**) ფიგურა იყო აფხაზეთის მეფეებს შორის. მისი მმართველობის პერიოდი გვეკლინება აფხაზეთის სამეფოს უველაზე მაღალი პოლიტიკური ძლიერების დროდ"-ო, წერდა იგი (**Анчабадзе 1959:128**). ასეთი განდიდების საფუძვლად ზ. ანჩაბაძეს მოაქვს ადგილი „მატიანე ქართლისადან", სადაც ამ მეფის გარდაცვალების გამო ნათქვამია, რომ მის ძეს ლეონს „მიართვეს ამბავი: მიცვალებისა დიდისა და ღმრთის-მოყუარისა გიორგი მეფისა" **(ჯ. ცხ. 1955:269)**.

განსვენებული მეცნიერის ეს მოსაზრება იმიტომ კი არ მოვიტანეთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ გიორგი II-ის დადებითი დახასიათებისა და თუნდაც განდიდებისა, (მკვლევარს, თუ ამის შესაძლებლობას ფაქტოლოგიური მასალა იძლევა შეუძლია. საკუთარი შეხედულება გააჩნდეს ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების შეფასების თაობაზე), არამედ იმის გამო, რომ ზ.ანჩაბაძის ეს ნათქვამი ტენდენციურად უსვამს ხაზს დასავლეთ საქართველოს მაშინდელ სამეფოს აფხაზურობას, გიორგი II-ის განადიდებს, როგორც აფხაზეთის მეფეს. რითაც ამზადებს წინაპირობებს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ისტორიის საქართველოს ისტორიისაგან ჩამოკვეთისათვის. გამოდის, რომ თუ გიორგი II აფხაზეთის მეფეთა შორის უველაზე დიდი ფიგურა იყო და, თუ მისი მეფობა აფხაზეთის ისტორიაში უველაზე უფრო დიდი პოლიტიკური ძლიერების პერიოდია, მაშინ ცალკე არსებულა საქართველოსაგან გამოყოფილი მხოლოდ აფხაზეთის სახელმწიფო, რომელსაც ხან ძლიერი „აფხაზი" მეფეები მართავდნენ და ხან კიდევ სუსტნი. ასეთი რამ იწერება ისეთი დროის შესახებ, როცა ისტორიამ არავითარი ცალკე აფხაზთა სახელმწიფოს არსებობა არ იცის და ქვეყანა რომელშიაც გიორგი II მეფობდა ქართული იყო ერთვნული შეგნებით, მოსახლეობით, კულტურით, რელიგიით, პოლიტიკური კურსით. გიორგი II „დიდი და ღვთისმოყვარე" მეფე, ქართველი მემატიანისათვის, უველა ამ ქართულ ფენომენთა გამოვლინების მიხედვით იყო და არა აფხაზობის გამო.

957—967 წლებში ეგრის-აფხაზეთის მეფე იყო ლეონ III. „მატიანე ქართლისას" ავტორი მას, რომელიც ღვთისმოყვარულ პიროვნებას, თავისი მა-

მის ღირსეულ მემკვიდრედ თვლის. ლეონ III-ს აუგია მოქვის ეკლესია და გადაუქცევია იგი საეპისკოპოსო ცენტრად. მანვე „აღუსრულა აღთქმა თვისი კვირიკე ქორეპისკოპოსსა და მისცა ასული თვისი ცოლად ძესა მისსა“ **(ჭ.ცხ. 1955:270)**. ამ ქორწინებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ურთიერთობის გაუმჯობესება ეგრის-აფხაზეთსა და კახეთს შორის. მაგრამ ლეონის ასული მალე გარდაიცვალა და ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტი განახლდა. იგი, როგორც ჩანს, ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა. მემატიანე მის მხოლოდ დამამთავრებელ ეტაპს აღწერს. მისი გადმოცემით ლეონ III დიდი ლაშქრით ჩართულა ბრძოლაში. „იგი ჩადგა არაგვის პირსა ასწყვიდა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი“ კვირიკეს მდგომარეობა კვლავ კრიტიკული შეიქმნა, მაგრამ ამ ბრძოლის დროს ლეონი ავად გახდა და გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ კვირიკე II-მ არათუ მთლიანად დაიბრუნა ბრძოლების დროს დაკარგული მიწები, არამედ თავისი სამფლობელოს საზღვარი არაგვის დასავლეთითაც კი გადაიტანა **(ლორთქიფანიძე 1963:164)**.

ლეონ III 967 წელს უძეოდ გარდაიცვალა. იგი ტახტზე შეცვალა ძმამ დიმიტრი II-მ (967—975), რომლის მეფობაშიაც დინასტიური ბრძოლების გამო ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო დასუსტდა. ამან იგი კარგა ხნით ჩამოაცილა „ქართლსა ზედა ბრძოლის“ პროცესს. ეგრის-აფხაზეთის მეფეთა თითქმის საუკუნოვანი წარმატებები ამ ბრძოლაში უქმი გამოდგა. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ინიციატივა მათ ტაო-კლარჯეთის ხელისუფლებს დაუთმეს. „ბრძოლა ქართლსა ზედა“ ახალ დამამთავრებელ ფაზაში შევიდა. ამ ეტაპზე გადამწყვეტი როლი დავით კურაპალატმა შეასრულა.

5. დავით III კურაპალატი

ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის დავით III ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნებაა. იგი აშოტ დიდიდან ბაგრატიონთა მეშვიდე თაობა იყო. (აშოტი, ბაგრატ I, დავით I, ადარნასე I, ბაგრატ მაგისტროსი, ადარნასე II, დავით III[1]). დავითი განსაკუთრებით დასაფასებელია იმის გამო, რომ მას მოღვაწეობა მოუხდა ისეთ მხარეში, სადაც არაქართული ეთნიკური ელემენტი საგრძნობლად ძლიერი იყო. ამასთან, მისი სამფლობელო ტაო ქართლისათვის განაპირა ქვეყანას წარმოადგენდა, ბერძნულ-სომხურ გარემოცვაში იმყოფებოდა და აქ ბიზანტიისა და არაბთა სახალიფოს ინტერესების შეჯახება აშკარად გამოკვეთილად განიცდებოდა. დავით III კი მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ თანასწორი პარტნიორისა და ზოგჯერ მხსნელის როლშიაც კი გამოდიოდა ამიტომაა, რომ მას, როგორც დიდ პატრიოტს, პოლიტიკური სვლების ოსტატსა და კულტურის გამოჩენილ მეცნატს, მაღალ შეფასებას აძლევენ მისი თანამედროვე ქართველი და უცხოელი ავტორები. ჩვენს დროში კი

[1] დავით II-დ ითვლება მისი ბიძა, „ქართველთა მეფე“ 923-937 წწ.

შექების ისეთმა ძუნწმა გამცემმა, როგორც ნ ბერძენიშვილი იყო დავით III-ს ხელგაშლილად უწოდა—„დიდი პოლიტიკოსი“, „დიდი პატრიოტი“, „ქართული ეროვნული შეგნების მესაჭე“, „დაუცხრომელი მებრძოლი ქართული ქრისტიანული ლტერატურის გაძლიერება-განვითარებისათვის“, რომელმაც „ქართული კულტურისათვის ესოდენი ჰირნახულობა იმით დააგვირგვინა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი დაუდო“ **(ბერძენიშვილი 1965:23—24)**.

X საუკუნის II ნახევარში, როცა დავით III მოღვაწეობდა „ქართველთა სამეფო“ (ტაო-კლარჯეთი) ფაქტობრივად სამ პოლიტიკურ ერთეულად იყო გაყოფილი. „ქართველთა მეფის“ ტიტული 958—994 წლებში ჰქონდა დავით III-ის ბიძაშვილს ბაგრატ II-ს. მისი სამფლობელო ჩრდილო (ანუ ამიერ) ტაოთი (ცენტრით, ბანაში) შემოიფარგლებოდა. სამხრეთ (ანუ იმიერ) ტაო, თორთუმი და ჩრ. ბასიანი დავით III-ეს ეკუთვნოდა. რაც შეეხება ბაგრატიონთა სამფლობელოს დანარჩენ ტერიტორიებს, კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობით **(გეორგიკა 1952:277)**, არტანუჯი (და, ალბათ, კლარჯეთიც მთლიანად) გურგენ ერისთავთერისთავის და მაგისტროსის გარდაცვალების შემდეგ (941 წ.) დარჩენია მის მეუღლეს, მაგრამ მისთვის წაურთმევია სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონს (გარდ. 988 წ.). რომელიც აშოტ დიდის უფროსი ვაჟის ადარნასეს, ე.ი. კლარჯეთის ბაგრატიონების შტოს ეკუთვნოდა.

ბაგრატიონთა სამფლობელოს ასეთი განაწილება პირობითი ხასიათისა იყო, რადგან ამ გვარში აშოტ დიდის გარდაცვალების დროიდან დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, „ქართველთა სამეფოს“ ტერიტორია საერთო დინასტიურ კუთვნილებას წარმოადგენდა და არა ერთი, რომელიმე პიროვნებისას, თუნდაც იგი მეფე ან კურაპალატი ყოფილიყო. ამიტომ გვარის წარმომადგენელთა შორის ტერიტორიების გადანაწილება ხშირ შემთხვევას წარმოადგენდა და თვით პიროვნებათა სიძლიერეზე იყო დამოკიდებული. ამის მაგალითები ჩვენ ზევით უკვე ვაჩვენეთ გურამ მამფალისა და გურგენ ერისთავთერისთავის სამფლობელოთა სახით. ხოლო დავით III-ს, რომ დასახელებულს გარდა სხვა მამულებიც ჰქონებია ეს ირკვევა „მატიანე ქართლისას“ ავტორის მონათხრობიდან, რომელიც მოგვიანო ამბებს შეეხება. კერძოდ, გიორგი I -სა და ბიზანტიის კეისრის ბასილს შორის, 1023 წელს, გაფორმებული ხელშეკრულებით, ბიზანტიელებს წაუღიათ „ქვეყანა, რომელ ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტაანთა და ჯავახეთს“ **(ქ. ცხ. 1955:288)**. მაშასადამე, დავით კურაპალატს ზევით დასახელებული ტაოსა და ბასიანს გარდა ჰქონია კოლა-არტაანი და ჯავახეთიც. როდის მიიღო მან ეს თემები ზუსტად არ ჩანს. კონსტანტინე პორფიროგენეტიდან ვიცით, რომ 941 წელს, როცა გურგენ ერისთავთერისთავი გარდაიცვალა და მისი სამფლობელო იარაღით გადაინაწილეს, ჯავახეთი „აფხაზეთის მთავარს“ გიორგი მაგისტროსს უნდა შეხვედროდა **(გეორგიკა 1952:277)**. მის შვილს ლეონს ეკუთვნის ეს მხარე

964 წლის კუმმურდოს წარწერის მიხედვითაც (**ცისკარიშვილი 1959:11**). 975 წლისათვის კი არა მარტო ჯავახეთი, არამედ, როგორც დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, ტაოელი ბაგრატიონების „ხელში უნდა გადასულიყო მთელი ტერიტორიაც ტაოსა და ქართლს (შიდა ქართლს) შორის" (**მუსხელიშვილი 1980:225**). მოგვიანო ხანაში (989 წ.) ჯავახეთი, რომ დავით III-ისა იყო ეს მტკიცდება „მატიანე ქართლისას" არაპირდაპირი მითითებით ამ მხარის მნიშვნელოვანი ცენტრის—დლივის ტაოს ლაშქრის ბანაკად გადაქცევის თაობაზე (**ქ. ცხ. 1955:277**).

დ. მუსხელიშვილი იშველიებს შატბერდის, ზარზმის და ყალა ბოინის წარწერებს და ქვეყნებს სადაც დავით კურაპალატის უზენაესობას ცნობდნენ მიათვლის — კლარჯეთს, სამცხესა და თრიალეთს (**მუსხელიშვილი 1980:225**).

ჩვენამდე მოღწეულმა წყაროებმა დავით III-ის ცხოვრების მხოლოდ ზოგიერთი მომენტი შემოგვინახეს. განსაკუთრებით მცირე ცნობები გვაქვს მისი მოღვაწეობის 975 წლამდელ პერიოდზე. სუმბატ დავითის ძის მიხედვით მას და მის ძმას ბაგრატს, მათი მამა, ადარნასე კურაპალატი (958-961) ძალად შეუყენებიათ ბერად. როცა ეს უკანასკნელი გარდაცვლილა (961 წ.) დავითი მოიხსენიება ერისთავთერისთავად (**ქ.ცხ. 1955:381**). პ. ინგოროყვას მიხედვით იმავე წელს მას მიუღია მაგისტროსის ტიტული (**ინგოროყვა 1954:105**).

მ. ლორთქიფანიძის აზრითაც, მამის ბერად იძულებით აღიკვეცის შემდეგ, „პირველ ხანებში ძმები ერთად მოღვაწეობდნენ. ისინი ერთად აშენებენ ოშკის ტაძარს. ხოლო ბაგრატ ერისთავთერისთავის გარდაცვალების შემდეგ (966 წ.) ბაგრატიონთა ამ შტოში უფროსი დავით ერისთავთერისთავია, რომელიც ჯერ მაგისტროსის ტიტულს იღებს, ხოლო შემდეგ, 977 წელს, კურაპალატისას" (**სი61973:475**).

ამ მოსაზრების კომენტირებისათვის შეიძლება მოვიხმოთ ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული რამდენიმე ცნობა. მათ მიხედვით ირკვევა, რომ თუმცა ოშკის ქტიტორულ წარწერაში ორივენი მეფეებად მოიხსენიებიან (**ქ წ I 1980:49**). მაგრამ მომდევნო საალმშენებლო წარწერებში მეფობასთან ერთად, დავითს მაგისტროსის ტიტული მიეკუთვნება (**იქვე**), ხოლო ბაგრატს ერისთავთერისთავისა[1] (**იქვე:50**). რაც უნდა ნიშნავდეს, რომ მათ ეს წოდებები გაყოფილი ჰქონდათ და დავითმა ძმის გარდაცვალების შემდეგ (966 წ.), დაიჭირა იმპერატაოს ერისთავთერისთავის ვაკანტური თანამდებობა. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, ვინაიდან, ერთ საერისთავთერისთავოში ორი ერისთავთერისთავი ხომ ვერ იქნებოდა, ხოლო სხვა ასეთი თანამდებობები დაკავებული იყო: ამიერტაო ბაგრატ II „ქართველთა მეფეს" ეჭირა, კლარჯეთი კი ამის ძმას ადარნასე სუმბატის ძეს—ქართველთა კურაპალატს (961–983) ეკუთვნოდა. მაშასადამე დავით III დაახლოებით

---

1. ბაგრატი მეფედ და ერისთავთერისთავადაა მოხსენიებული ოშკის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის ერთსტრიქონიან წარწერაშიაც (**ქწ I 1980:309**).

961 წლიდან იყო მაგისტროსი[1], ხოლო 966 წლიდან — ერისთავთერისთავი. რაც შეეხება მეფობას, მას ეს ტიტული მიეკუთვნებოდა, როგორც ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელს. ასეთი და ანალოგიური ვითარების შესახებ საკმაოდ გასაზიარებელი მოსაზრება აქვს გვამოთქმული მ. ლორთქიფანიძეს: „მეფე" ზოგადად უყოლა ბაგრატიონ მმართველს ეწოდებოდა,—წერს იგი, — ისინი თავის თავს ბაგრატიონთა შორის უზენაესის, ანუ „მეფის" ხელისუფლების თანაზიარად თვლიდნენ და ასეც იწოდებოდნენ წარწერებში. მაგრამ ეს „მეფე" სხვაა და სხვაა „ქართველთა მეფე", ე.ი. გარკვეული კონკრეტული ხელისუფალი, ტიტული, რომელიც ყოველთვის ერთის მიმართ იხმარება" **(სინ 1973:458)**. შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ბაგრატიონი მმართველები მარტო წარწერებში კი არა, არამედ ნარატულ ძეგლებშიაც ამავე მნიშვნელობით იწოდებიან მეფეებად. მაგალითად, „მატიანე ქართლისა" დავით კურაპალატის შესახებ წერს: იგი „უმეტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოსთა"-ო **(ქ.ცხ.1955:273)**.

რაც შეეხება დავითის წოდებების უცხოურ წყაროებში დამოწმებას, არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელი მას მეფის ტიტულით მოიხსენიებს **(Розен 1883:24)**. ასევე იქცევა ზოგიერთი სომეხი ავტორიც. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე კი მას „არქონტს" უწოდებს **(გეორგიკა 1963:30)**, რაც მთავარს უდრის და არა მეფეს (ბაზილევსს). ეს ივ. ჯავახიშვილის ახსნილი აქვს იმით, რომ ბიზანტიელი მწერლები თავიანთი მთავრობის მიწერ-მოწერის შესაბამისად, წინასწარგანზრახულად არ უწოდებენ მეფის სახელს ქართველ და სომეხ ხელისუფლებს, „რომელნიც თავიანთ ქვეყანშიაც და ყველგანაც მეფეებად ითვლებოდნენ" **(ჯავახიშვილი 1983:109)**. იმპერიის მთავრობა შეგნებულად იქცეოდა ასე. „ამით მას სურდა ეთქვა,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,—რომ ბიზანტიასთან შედარებით საქართველოს და სომხეთს საერთაშორისო ცხოვრებაში უფრო დაბალხარისხოვანი ადგილი ეკავათ" **(იქვე: 110)**. ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავდა, რომ კედრენეს მიერ „არქონტად" მოხსენიებული „დავით კურაპალატი მჭონე იყო მეფის სწორი ხელისუფლებისა" **(გეორგიკა 1963:30)**.

სპეციალურ ლიტერატურაში არც დავითის მიერ კურაპალატობის ტიტულის მიღების თარიღის შესახებაა ცალსახა შეხედულება. ივ. ჯავახიშვილი ასეთად თვლიდა 977 წელს. მას ეს თარიღი გამოჰყავდა ათონის მთაწმინდის ქართველთა მონასტერში დაცული ერთი, „სამოთხედ" წოდებული ხელნაწერიდან (ა. ცაგარელის აღწერილობით №69), რომელიც ოშკში ყოფილა გადაწერილი 977 წელს. სადაც ნათქვამია: „დავწერეთ წმიდა ესე წიგნი... სალოცავად და სადიდებლად ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლისა კურაპალატისა დავითისათვის" განსვე-

[1] დავითს, X ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში, მაგისტროსად მოიხსენიებს სომეხი ისტორიკოსი მოსე კალაკანტუელი. მას ამ დროს ჰერეთის მეფედ უცნია იოანე სენექერიმი და ამის დასტურად მისთვის გაუგზავნია სამეფო გვირგვინი და ბრწყინვალე პორფირი **(ბაბუაშვილი 1970:212-213)**.

ნებული აკადემიკოსი ამ გლოსას გამო წერდა: „ირკვევა, რომ დავითი 973 წ. მაგისტრი ყოფილა, 977 წ. კი უკვე კურაპალატად იწოდება. მაშასადამე, კურაპალატობა მას 973—977 წწ. უნდა ჰქონდეს მიღებული“-ო. ხოლო განიხილავდა რა ბარდა სკლიაროსის აჯანყების გამო ბიზანტიაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, ასკვნიდა, რომ კურაპალატობა დავით III-ს 977 წელს, წინასწარ მისცეს მომავალი დახმარების სამაგიეროდ (ჯავახიშვილი 1949:170). ამ თარიღს ეთანხმება მ. ლორთქიფანიძეც (სინ 1973:475). წყაროზე მიუთითებლად ერთი წლით უფრო ადრინდელ თარიღს (976 წ.) აჩვენებს ნ. შოშიაშვილი (ქწკ I 1980:56). ს. ყაუხჩიშვილი (გეორგიკა 1952:353), პ. ინგოროყვა (ინგოროყვა 1954:105) და ვ. კოპალიანი (კოპალიანი 1969:25) დავით III-ის მიერ კურაპალატობის წოდების მიღების წლად 978 წელს მიუთითებენ, ამ თარიღების სისწორე ეჭვს იწვევს ორი გარემოების გამო: ჯერ ერთი, ბიზანტიის საიმპერატორო კარს საეჭვოა წინასწარ მიეცა დავითისათვის კურაპალატის ტიტული[1] ვინაიდან, როგორც მაშინ შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან ჩანს, მთხოვნელი მხარე, მაინცდამაინც, დარწმუნებული არ უნდა ყოფილიყო ტაოს მეფის მხრივ დახმარების აუცილებლობაში. მაშასადამე უფრო გონივრულია, რომ თუ ამ ტიტულის მიღება დასახელებული აჯანყების ჩაქრობასთანაა დაკავშირებული, მაშინ იგი 979 წლის მარტში ქართველთა მიერ სკლიაროსის დამარცხებაზე ადრე არ უნდა მომხდარიყო[2]

მეორეც, თუ ეს აქტი დასახელებულ წელთაგან რომელიმე ერთაგანში მოხდა, მაშინ დარღვეულიან, დ. მუსხელიშვილის თქმით, „მტკიცედ განსაზღვრული წესი“, რომლითაც რეგულირდებოდა კურაპალატობის თაობიდან თაობაზე გადასვლის აუცილებლობა და ამ ტიტულის „მფლობელიც ყოველთვის მხოლოდ ერთ-ერთი ბაგრატიონი იყო“ (მუსხელიშვილი 1980:187). ამგვარად, იგი ორ პირს ერთდროულად ვერ ექნებოდა. მაშინ, როცა საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ 961—983 წლებში კურაპალატობა ადარნასე სუმბატის ძეს (ბაგრატ II-ის ძმას) ეპირა (ქ.ცხ. 1955:381).

ქართველ ბაგრატიონთა შორის დავით III არის პირველი, რომელიც „ქართველთა კურაპალატობის“ გარდა მოიხსენიება „ყოველისა აღმოსავალისა“ კურაპალატად. ხოლო სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი მას „სომეხთა კურაპალატსაც“ უწოდებს. რაც, ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ქართლსა ზედა ბრძოლის“ იმ ეტაპს ასახავს, როცა სომეხი მეფეების ცდა ამიერკავკასიის „სომხეთად“ გადაქცევისა, დავით ტაოელმა სომხეთის კუთვნილი მიწების

---

[1] თუნდაც წინასწარ რომ მიეცათ კურაპალატობა დავითისათვის, მაინც უნდა ვიგარაუდოთ 979 წელი, რადგან დახმარებისათვის ბასილი კეისარმა დავით III-ს სწორედ ამ წელს მიმართა (ქშე, ტ.9, გვ. 425). ივ. ჯავახიშვილის მიერ 977 წლის დასახელება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მისთვის ცნობილი ქრონოლოგიით ბარდა სკლაროსის აჯანყების დამარცხების თარიღად ამ წელს მიუთითებდნენ.

[2] შ. ბადრიძის ვარაუდით დავითს კურაპალატობა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ მისცეს (ბადრიძე 1973:336).

თავისი სამფლობელოსათვის შემოერთებით შეცვალა **(ბერძენიშვილი 1975:305)**.

ვ. კოპალიანის შენიშვნით—„სტ. ტარონელს მართლაც ჰქონდა საფუძველი ეთქვა, რომ X საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს სამხრეთ ტაოს მმართველი დავითი სომეხთა კურაპალატიც იყო. იმიტომ რომ დავითის სამფლობელოში სომეხთა მიერ დასახლებული დიდი ტერიტორია იყო გაერთიანებული და დავითი, რა თქმა უნდა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების მბრძანებელიც იყო“ **(კოპალიანი 1969:68)**.

რაც შეეხება დავით III-ის „ყოვლისა აღმოსავლისა“ კურაპალატის „ტიტულით მოხსენიებას, ვ. კოპალიანის აზრით, იგი „ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა“ და ეს ავტორთა ან წაწერათა შემსრულებელების „პირადი შეხედულების ნაყოფი უნდა იყოს“ **(კოპალიანი 1972:174)**. ასეთ მოსაზრებამდე მკვლევარი მიდის იმის გამო, რომ ბიზანტიელი და სომეხი ავტორები არ იცნობენ „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის ტიტულს. ისინი ყველა ქართველ ხელისუფალს მხოლოდ მარტივად „კურაპალატად“ იხსენიებენ.

მაგრამ არ გვგონია ვ. კოპალიანის მიერ საკითხის ასეთი სახით დასმა მისაღები იყოს. იგი ამას როგორც ჩანს, თვითონაც გრძნობს და იქვე განმარტავს, „რომ ყოველ აღმოსავლეთში“ მართლმადიდებელი „ყოველი საქართველო“ უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში გაურკვეველი რჩება საკითხი, როგორღა იყო დავით III „ყოველი საქართველოს“ კურაპალატი, როცა მას აფხაზეთი, ქართლი, კახეთი, ჰერეთი და თბილისის საამირო არ ექვემდებარებოდა? თანაც, ცნობილია, რომ „ყოვლისა აღმოსავლისა“, კურაპალატად იხსენიება გიორგი I, ხოლო ასეთსავე ნოველისიმოსად — ბაგრატ IV, რომლებიც „ყოველი საქართველოს“ მფლობელები არ ყოფილან.

ვფიქრობთ, დავით კურაპალატისა და სხვა ქართველი მეფეების „ყოვლისა აღმოსავლისა“ კურაპალატის (ან ნოველისიმოსის) ტიტულით მოხსენიება, შეიძლება ბიზანტიიდან გამომდინარეობდეს, რამდენადაც, იმ დროს, როცა ისინი ამ ტიტულს ატარებდნენ იმ აღმოსავლეთში, რომელიც ბიზანტიის გავლენის სფეროს ეკუთვნოდა, მათს გარდა სხვა კურაპალატები არ იყვნენ. ამდენად, ბიზანტიის ხელისუფლება აღმოსავლეთში მხოლოდ მათ ცნობდა კურაპალატებად (ნოველისიმოსად). ხოლო ეს ფორმულა „ყოვლისა აღმოსავლეთისა“, რომ ოფიციალურად არ არსებულიყო, შეუძლებელია იგი საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ავტორებს ასეთი სკუპოლოზურობით გაემეორებინათ, სხვადასხვა მეფეთა მიმართ[1]

თავისთავად, დავით მესამის „ყოვლისა აღმოსავლისა“ კურაპალატად

---

[1] „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატზე განსხვავებული შეხედულება აქვს გამოთქმული პ.ინგოროყვას. მისი აზრით „აღმოსავლეთში“ იგულისხმებოდა ის „ბიზანტია-რომის იმპერიის ძველი სამფლობელოები კავკასიის სანაპიროზე, რომელიც არაბთა ხალიფატის შექმნის წინარე ხანაში ბიზანტიას ეკუთვნოდა“ **(ინგოროყვა 1954:64)**. ამ მხარეებით ქართველი ხელისუფლები იმიტომ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ისინი ანტიკურ ხანაში ქართველებით დასახლებულ და საქართველოში შემავალ თემებს წარმოადგენდნენ.

ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას ანტიარაბულ ფრონტში ქართველთა მტკიცედ შეუ-

წოდება მიუთითებს ტაოს მეფის საერთაშორისო აღიარებასა და დიდ ავტორიტეტზე. ეს კი განპირობებული იყო მისი მთელი მოღვაწეობით. რის გამოც ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით „ვითარცა ძლიერმა ნების პატრონმა, გულადმა მეომარმა და მეტად ბრძენმა და შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკოსმა დაიპყრა დიდმა კურაპალატმა ყველას პატივისცემა დაიმსახურა და სახელი გაითქვა" (**ჯავახიშვილი 1983:128**).

დავით III-ის საგარეოპოლიტიკური ღონისძიებებიდან ყველაზე უფრო იღბლიანი იყო 979 წლის მარტში, მისი ლაშქრის მონაწილეობა ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის ჯარის განადგურებაში. მართალია ამ ფაქტმა, იმის გამო, რომ მას ბიზანტიური წყაროები სწორად არ აშუქებენ, უცხოურ (კერძოდ, რუსულ) ისტორიოგრაფიაში სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა, მაგრამ თანადამხვდურ ქართულ და სომხურ მწერლობაში შემონახული ცნობების გამოყენებით მას ქართულ ისტორიოგრაფიაში საგრძნობი ყურადღება აქვს დათმობილი[1] ამავე თემას ეძღვნება ქართული მხატვრული სიტყვიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედევრი აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი".

ბიზანტია—ტაო-კლარჯეთის ურთიერთობა ცვალებადი სცენარით ვითარდებოდა. იგი მნიშვნელოვან წილად იყო დამოკიდებული არაბთა სახალიფოს მიმართ ბიზანტიის იმპერიის მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსზე. ვიდრე სახალიფო ძლიერი იყო ბიზანტია მასთან თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდა და, ცხადია,ამიერკავკასიის ქვეყნები ამ ბრძოლაში მოკავშირეებად სჭირდებოდა. მაგრამ X საუკუნის შუა ხანებისათვის არაბთა სახელმწიფო დეცენტრალისტური ძალების მოქმედების გამო ცალკეულ საამიროებად დაიშალა და იმდენად დასუსტდა, რომ მის ურთიერთობაში ბიზანტიასთან მოხდა გარდატეხა, ბიზანტიის ხელისუფალთა სასარგებლოდ. X საუკუნის 50-იანი წლებიდან ბიზანტია შეტევაზე გადავიდა და არაბებისაგან

ვანის მიზნით, ქართველთა სამეფოსთან მიეცწევა შეთანხმებისათვის (რომელიც განახლდებოდა ხოლმე ყოველი იმპერატორის ტახტზე ასვლისა და ყოველი კურაპალატის მიერ ტიტულის მიღების დროს), რომლის მიხედვითაც, ქართველების საკუთრებად ცხადდებოდა მათ მიერ არაბთაგან გამოხსნილი „ალმოსავლეთის" ყველა ქვეყანა, რომელიც ადრე ბიზანტიას ეკუთვნოდა.

ასეთი ვითარების გათვალისწინებით, „ალმოსავლეთისა კურაპალატი" არის ხარისხი, არა მარტოოდენ დავით III-ისა, არამედ, როგორც ირკვევა, საერთოდ ასეთი პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა ქართველთა მეფეების ამ ტიტულს „კურაპალატი" (იქვე).

ვფიქრობთ, „ალმოსავლეთის" ცნების განსაზღვრის რაღაც ნაწილში განსვენებულ მეცნიერს თუ კიდევ შეიძლება დავეთანხმოთ, ასევე ვერ მოვიქცევთ საერთოდ ქართული კურაპალატებისათვის „ყოველი ალმოსავლეთის" ტიტულის პოლიტიკური შინაარსის მიკუთვნების საკითხში, რამდენადაც ეს საგრძნობლად დაგეკიცილებდა შეშმარიტებისაგან.

[1] იხ. **ს. ყაუხჩიშვილი**, გეორგიკა, V,თბ., 1963; **შ. კაბაძე**, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954; **ნ.ლომოური**, К истории восстания Варда Склира, თსუ „შრომები", ტ. 67, თბ, 1957; **გ. ქობალიანი**, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969; **შ. ბადრიძე**, ბარდა სკლეროსის აჯანყების ისტორიისათვის, „საისტორიო კრებული", 4, თბ; 1973.

ომის გზითვე დაიბრუნა: კუნძული კრეტა (961 წ.), მცირე აზიის ნაწილი, სირია და ზემო მესოპოტამია. იმპერიის საზღვრებმა კვლავ მიაღწიეს მდინარეების ევფრატისა და ტრიგროსის სანაპიროებამდე (**Всеобщая история, т III, М., 1957:220**).

კუნძულ კრეტაზე ლაშქრობაში ბიზანტიელების სარდალი იყო ნიკიფორე ფოკა, რომელიც 963 წელს გარდაცვლილი იმპერატორის , რომანოზ II-ის ნაცვლად ავიდა ტახტზე და, თანაც, ქვრივ დედოფალზე თეოფანოზე დაქორწინდა. მან კიდევ უფრო გააქტიურა შეტევა არაბთა წინააღმდეგ და მათ ხელიდან გამოსტაცა კუნძული კვიპროსი, სირიის დედაქალაქი ანტიოქია და კილიკაია.

ვ. კოპალიანის თქმით „თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში, რომელიც კი ამ პერიოდში ბიზანტიას აღმოსავლეთის ფრონტზე უწარმოებია ქართველთა ლაშქარი იღებდა მონაწილეობას" (**კოპალიანი 1969:23**). ბიზანტიელთა მხარეზე ქართველთა და სომეხთა ბრძოლის დოკუმენტური მტკიცების საბუთად მას მოჰყავს ბერძენი ისტორიკოსის კედრენესა და ზონარას შემდეგი მონათხრობი: „იმპერატორმა ნიკიფორემ, თავისი მეფობის მეორე წელს (964 წ.), ივლისში... რომაელთა დიდი ჯარით, მოკავშირეებთან—იბერიელებთან და სომხებთან ერთად, კილიკიაში გაილაშქრა... შეიჭრა და დაიპყრო ქალაქები ანაბარცა, როსი, ალანა და სხვა სიმაგრეები მნიშვნელოვანი რაოდენობით" (**იქვე**).

ამ ლაშქრობაში ქართველთა ჯარის მონაწილეობის შესახებ არაპირდაპირ ცნობას გვაწვდის გიორგი მთაწმინდელი. „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში" იგი გადმოგვცემს, თუ როგორ მოხვდა ექვთიმე საბერძნეთში. „ხოლო ვინაჲთგან მას ჟამთა შინა,—წერს იგი,–ბერძენთა მეფემან ზემონი ქვეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან, ცოლისძმათა მამისა იოვანესთა ძე მისი ეფთვიმე სხვათა თანა უფლისწულთა მძევლად მოჰგვარეს მეფესა" (**ძველი ქართული მოთხრობა 1979:328**).

განაბილავს რა ამ ცნობას ვ. კოპალიანი ვარაუდობს, რომ აქ ნახსენები „ზემონი ქვეყანანი" არაა ის „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისაჲ", რომელიც იმავე ავტორის გადმოცემით, როგორც ცნობილია, დავით კურაპალატმა 979 წელს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ბიზანტიის კეისრისაგან მიიღო" (**კოპალიანი 1969:24**). ექვთიმეს ბიოგრაფიის დეტალებისა და დასახელებული ტერიტორიების გამო ცემი ბიზანტიის კეისრის ვინაობის ჩვენების გზით მკვლევარი ადგენს, რომ „ზემონი ქვეყანანი", რომლის სანაცვლოდ ექვთიმე მძევლად მისცეს, სკლიაროსის დამარცხებამდე 13 წლით ადრე, 965 წელს, მიუღია დავით III-ს. ეს თარიღი ემთხვევა ნიკიფორე ფოკას ლაშქრობას კილიკიაში. „ამ ბრძოლის დროს ტაო-კლარჯეთი ბიზანტიისათვის ჯერ კიდევ საჭირო იყო,—წერს ვ. კოპალიანი,—ბიზანტიის მიერ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლების გამარჯვებით დამთავრებაში ტაო-კლარჯეთსაც გარკვეული წვლილი მიუძღოდა და ამიტომ მისცა „ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა" (**იქვე:25**).

გარკვევით თქმა იმისა თუ ამ შემთხვევაში რა ტერიტორიებზეა კონკრეტულად საუბარი შეუძლებელია. რადგან მას არც გიორგი მთაწმინდელი და არც რომელიმე სხვა წყარო არ გვაცნობებს. მაგრამ არაბთა წინააღმდეგ ბიზანტიის მიერ ამ ეტაპზე წარმოებულ ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობა, რომლის შესახებ ბერძენი ისტორიკოსები იტყობინებიან, ქართული წყაროთი დადასტურებულადაც უნდა ჩაითვალოს.

X საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან იმპერიას ბალკანეთში გაურთულდა მდგომარეობა. დუნაის ბულგარეთში, რომლის მოხარკეც იმპერატორი 927 წლიდან იყო, დაწყებული მძლავრი ანტიბიზანტიური მოძრაობის წინააღმდეგ, ნიკიფორე ფოკამ კიევის მთავარს სვიატოსლავს (957—973) მოუხმო. ბულგარეთთან ბრძოლაში ჩაბმის საფასურად მას თავისი წარმომადგენლის ხელიო სვიატოსლავისათვის 15 გირვანქა ოქრო გაუგზავნია (**Грсков 1959:368**). ბიზანტიელები ვარაუდობდნენ, რომ ბულგარელები და რუსები ბრძოლებში დიდ ზარალს მიაყენებდნენ ერთმანეთს და შედეგად ორი ძლიერი სახელმწიფოს ნაცვლად დასუსტებულ მეზობლებს მიიღებდნენ. მაგრამ სვიატოსლავმა ბულგარეთის უმნიშვნელოვანესი ცენტრები დაიკავა და კონსტანტინეპოლს აღებით დაემუქრა. ამასობაში, კონსტანტინეპოლში ნიკიფორე ფოკას საწინააღმდეგო შეთქმულება მომწიფდა. 969 წელს მისმა მეთაურმა იოანე ციმისხიმ იმპერატორი მოკლა და ტახტი თვითონ დაიჭირა. მან შეძლო გარდატეხა შეეტანა სვიატოსლავის წინააღმდეგ ბრძოლაში. 972 წელს მომგებიანი ხელშეკრულება გააფორმა მასთან. მანვე შეატყობინა პაჭანიკებს სვიატოსლავის ძალთა სიმცირისა და ადგილსამყოფელის შესახებ. რასაც კიევის მთავრის დაღუპვა მოჰყვა შედეგად (**იქვე:372**). ამ გზით იმპერიამ ჩამოიცილა ძლიერი მოწინააღმდეგე და მალე დუნაისპირეთის დამორჩილებაც შეძლო. ახლა ბიზანტიის ხელისუფლებამ შესაძლებლობა მიიღო ძირითადი ყურადღება კვლავ აღმოსავლეთში გადაეტანა. 974—975 წლებში იოანე ციმისხი ბაღდადისა და ეგვიპტის ამირების წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ სომხეთისა და ქართველთა სამეფოების დახმარებას აღარ საჭიროებდა. პირიქით, საიმპერიო ხელისუფლება მათი მთლიანად დამორჩილებისათვის ემზადებოდა. მაგრამ მალე პოლიტიკური ვითარება წინა აზიაში არსებითად შეიცვალა.

976 წელს იოანე ციმისხი ტახტზე ახალგაზრდა ბასილი II-მ (957—1025) შეცვალა. მის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო აზიის სამხედრო-ფეოდალურმა არისტოკრატიამ, რომელსაც სათავეში ბარდა სკლიაროსი ედგა. სკლიაროსი იოანე ციმისხის დროს დაწინაურდა. იმპერატორმა 970 წელს სწორედ მას მიანდო სვიატოსლავის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მთავარსარდლობა. ბალკანეთში ბიზანტიელთა წარმატებები მის სახელთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, ამ დამსახურებისათვის იოანე ციმისხიმ მას პარტიკიოსობა, აღმოსავლეთის სხოლათა დომესტიკოსობა და იმპერიის დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული მხარის, ქალდიის (ცენტრი—ტრაპეზუნტი) დუკას თანამდებობები უბოძა. სკლიაროსი ბასილ II-ის გამე-

ფებისთანავე აჯანყდა. ამის მიზეზად ასახელებენ უკმაყოფილებას ტრაპეზუნტიდან მისი ხანძითისა და ალ-ლიდიათის უმნიშვნელო ოლქების მმართველად გადანაცვლების გამო (**კოპალიანი 1969:29**). მაგრამ ეს სკლიაროსის აჯანყების საბაბი უნდა იყოს. მას საერთოდ ჰქონდა ხელისუფლების უზურპაციის მიდრეკილება და ამ მიზნით იოანე ციმისხის დროსაც აჯანყდა. მაგრამ მაშინ დამარცხდა და ბედს დროებით შეურიგდა. ახლა კი იცოდა რა, რომ აჯანყების შემთხვევაში მის მხარეზე იქნებოდნენ არა მარტო მაჰმადიანი, არამედ ბევრი ქრისტიანი ხელისუფალიც, დრო მოხერხებულად შეარჩია დიდი აჯანყება წამოიწყო. მან, მართლაც, მიიმხრო რიგი სომხური და მაჰმადიანური პროვინციების მმართველები, ნაწილიც დაამარცხა და ძალით გადმოიყვანა თავის მხარეზე. მაგალითად, ასოღიკის ცნობით, ასეთი ბედი წვნევია სომეხთა კავალერიას, რომელიც ტარონის მთავრის შვილების გრიგორისა და ბაგრატის და მოქის მთავრის აპრანიკის მეთაურობით სკლიაროსის ლაშქარში ბოლომდე იბრძოდნენ (**სტ. ტარონელი 1864:134**).

სომხეთის პროვინციების ხელთგდების შემდეგ ბარდა სკლიაროსმა კაპადოკიაში გადაინაცვლა. ეს მხარე მან უბრძოლველად დაიმორჩილა. „ამრიგად,—წერს ვ. კოპალიანი,—სულ მალე სკლიაროსის ხელში გადავიდა ანტიოქია, კაბადოკია, ტარონი, ტარსი, მელიტენა, ხანძითი და სანაპირო მხარეები— ალ-სუმური, ე.ი. კილკია და ჩრდილო-დასავლეთი კუთხე სირიისა" (**კოპალიანი 1969:30**).

სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილმა რამდენიმე სარდალმა იმპერატორს იმედები არ გაუმართლა. საფრთხე კიდევ უფრო საშიში ხდებოდა. ამიტომ ხელისუფლება იძულებული გახდა, იოანე ციმისხის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 7 წლის წინათ გადასახლებული, ნიკიფორე ფოკას ძმისწული ბარდა ფოკა შემოერიგებინა. ბასილ II-მ იგი ჯარების მთავარსარდლად დანიშნა და სკლიაროსის წინააღმდეგ გაგზავნა (**Розен 1883:3**).

978 წლის 9 ივნისს გამართულ ბრძოლაში სკლიაროსმა დიდი მსხვერპლის ფასად მიაღწია გამარჯვებას. ახლა იმპერიის აზიური ნაწილი მის ხელთ იყო, დედაქალაქს ფაქტობრივად დამცველი ძალები აღარ ჰყავდა. მაკედონელთა დინასტიის ბედი ბეწვზე ეკიდა. გიორგი მთაწმინდელის თქმით, სკლიაროსმა: „ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი (ბასილ II, კონსტანტინე VIII.—გ.მ.) და დედოფალი (მათი დედა თეოფანო.—გ.მ.) შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა" (**ძველი ქართ. მოთხრობა 1979:330**).

მომდევნო ხანში განვითარებულ მოვლენებს ქართული და ბიზანტიური წყაროები განსხვავებულად აშუქებენ. გიორგი მთაწმინდელის გადმოცემით საფრთხეში ჩავარდნილი იმპერატორი და დედოფალი თეოფანო იმ დასკვნადე მივიდნენ, რომ უკანასკნელი მხსნელი მხოლოდ ტაოს „არქონტი" დავით III შეიძლება ყოფილიყო. მარტიროლოგის გადმოცემით მათ უთქვამთ: „ჩვენი შემწე დავით კურუპალატისაგან კიდე არავინ არსო" (**ჭ-**

30). ასეთ დასკვნამდე მისვლა, ცხადია, საკმარისი არ იყო. სკლიაროსს ყველა გზები დაპყრობილი და ჩაკეტილი ჰქონდა. საქართველომდე ხმელეთით მოსვლა შეუძლებელი იყო. თანაც „არცა ვინ იყო ეგევითარი კაცი რომელმანცა სრულყო ნებაჲ გულისა მათისაჲ" **(იქვე)**. ე.ი. შესაფერისი მოციქულის კანდიდატურაც არ ჩანდა.

უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ ხელისუფლებს ესმათ იოვანესა და თორნიკეს შესახებ, რომლებიც ბერად აღკვეცის შემდეგ მთაწმინდაზე „ლავრასა დიდისა ათანასესსა" იმყოფებოდნენ[1]. მათ ცალ-ცალკე მისწერეს ათანასეს, იოვანეს და თორნიკეს, რომ ეს უკანასკნელი დედაქალაქში ჩასულიყო და შეხვედროდა კეისარს. ბერებისათვის გამოძახების მიზანი მაშინვე ცხადი იყო: თორნიკეს დავით III-სთან შუამავლობა უნდა ეკისრა. მაგრამ ბერად აღკვეცილს საერო საქმეებში ჩარევა აღარ სურდა. ქართველ ბერებს კარგად ესმოდათ, რომ თუ თორნიკე დაკისრებულ მისიაზე უარს იტყოდა, ხოლო ბიზანტიის ხელისუფლება ბარდა სკლიაროსს ქართველთა დახმარების გარეშე დაამარცხებდა, მაშინ ბალკანეთში მცხოვრები ქართველებსა დ განსაკუთრებით ბერებს მშვიდი ცხოვრება არ ელოდათ, გამარჯვებული მთავრობა მათზე შურისძიებას შეეცდებოდა. ამიტომ ათანასე დიდი (იგი დედით ქართველი იყო) და იოვანე მთაწმინდელი ერთი კვირის მანძილზე ევედრებოდნენ თორნიკეს წასულიყო კონსტანტინეპოლში და დაითანხმეს იგი ამ ნაბიჯზე.

გიორგი მთაწმინდელი მდგომარეობას დრამატულად ამძაფრებს და უნუგეშობაში ჩავარდნილ იმპერატორებს ბასილსა და კონსტანტინეს „წუთლა ყრმებს" უწოდებს. თუმცა ბასილი ამ დროს 19 წლის ვაჟკაცი იყო და სხვა შემთხვევაში ქვეყნის მართვის სადავეები ხელთ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ახლა დედამისის უზუპატორული მიდრეკილებების გამო, მთლიანად თეოფანოზე იყო დამოკიდებული. ამიტომ, როცა დედამ უბრძანა ის და მისი ძმა კონსტანტინე „ფეხრთა შეუვრდეს" თორნიკეს. რომელსაც ასეთი სცენის შემდეგ გარდა საქართველოში მოციქულად წამოსვლისა სხვა გზა აღარა ჰქონდა.

ასე აღწერს გიორგი მთაწმინდელი სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დავით III-ის ჩართვის ვითარებას. ბერძენი ისტორიკოსის გ. კედრენეს გადმოცემით კი ღავითი ბიზანტიას დახმარებია სკლიაროსის მიერ დამარცხებული ბარდა ფოკას თხოვნის, რომელიც თურმე ტაოს მეფეს მეგობრობდა ქალდიის დუკად ყოფნის დროიდან **(გეორგიკა 1963:30)**. მაგრამ შემდეგ გამარჯვების მთელ დიდებას თვით ფოკას ვაჟკაცობას მიაწერს და ქართველთა ბრძოლაში მონაწილეობაზე სიტყვას არ სძრავს.

---

[1] ვ. კოპალიანის შენიშვნით, როდესაც იოვანე მთაწმინდელი ბერად აღიკვეცა, მაშინ ქართველებს ათონის მთაზე მონასტერი არ ჰქონდათ. ამიტომ ისინი ათანასე დიდის მონასტერს ადარებდნენ თავს, მაგრამ იქ იმდენად ბევრი ქართველი ბერი აღმოჩნდა, რომ ცალკე დაეტივნენ და საკუთრო გახდა მაითუის ცალკე ეკლესიისა და სენაკების აშენება. ასე გაჩნდა „უდაბნოსა შეუნიერსა" იოანე მახარებლის ეკლესია. იოვანე—თორნიკე, იოანე მთაწმინდელი და სხვა ქართველი ბერები სკლიაროსის აჯანყების დროს აქ იმყოფებოდნენ და არა ათანასეს ლავრაში, როგორც ამას გიორგი მთაწმინდელი იუწყება **(კობალიანი 1969:33—34)**.

მაგრამ გარდა გიორგი მთაწმინდელის მონათხრობისა, ქართველთა მონაწილეობასა და თორნიკეს როლს მაშინ ბიზანტიის ხელისუფლების გადარჩენის საქმეში, ადასტურებენ ქართული დოკუმენტური მასალები და სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი (ასოღიკი). ამ უკანასკნელის მიხედვით, დედოფალმა თეოფანომ სთხოვა ტომით ქართველ თორნიკეს დროებით დაეტოვებინა მონასტერი და გაელაშქრა აჯანყებულთა წინააღმდგე. მან უარის თქმა ვერ გაბედა.მივიდა ტაოს კურაპალატთან დავითთან და მიიღო მისგან ათიათასიანი ლაშქარი და მთავართმთავარ ჯოჯიკთან[1] ერთად გაილაშქრა ბარდას წინააღმდეგ. დაამარცხა იგი და სდია მას. დამსახურების გამო დედოფალმა თეოფანომ დიდი მამულები უწყალობა ქართველებს **(სტ. ტარონელი 1864:135)**.

ჩვენამდე მოღწეულ ორ დოკუმენტშია ასახული სკლიაროსის წინააღმდეგ ლაშქრობა. ერთი, ეს არის ზარზმის ეკვდერზე ამ ლაშქრობის მონაწილის ივანე სულაჯს ძის წარწერა. ვისაც ეკვდერი აუშენებია „მას ჟამსა ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშუელა წმინდათა მეფეთა, და ჩუენ ყოველნი ლაშქარსა წარგვავლინა. სკლიაროსი გავაქციეთ მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი" **(ქწკ I 1980:280—281)**.

მეორე დოკუმენტი, რომელიც ამ მოვლენას ეხება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი გადამწერის მიერ ზუსტადაა დათარიღებული 977 წლით **(ს. ყაუხჩიშვილი)**, მაგრამ ამ ანდერძ-მინაწერის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ მასში ვპოულობთ ძვირფას მითითებებს თორნიკეს ვინაობის თაობაზე.

თორნიკეს ერისკაცობის პერიოდის ბიოგრაფია ჩვენთვის თითქმის უცნობია. მკვლევარები, ჯერჯერობით, იმაზედაც კი ვერ შეთანხმებულან წარმოშობით ჩორჩანელი იყო იგი თუ ჩორდვანელი **(ვაჩნაძე 1975:111)**. თორნიკეს სახელით X საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, შედგენილი დასახელებული ანდერძის მიხედვით ირკვევა, რომ მის მშობლებს რქმევიათ ჩორდვანელი და მარიამი. ძმებს: ვარაზვაჩე, ბაგრატი, აბუჰარბი და არშუშა. რამდენადაც თორნიკეს ძმების ვარაზვაჩესა და ბაგრატის შვილებსაც, აგრეთვე ჩორდვანელი რქმევიათ, ჩანს იგი მამაკაცის სახელი იყო და არა გვარი, ან სადაურობის მაჩვენებელი სიტყვა. იმავე ანდერძ-მინაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობდა, რომ „თორნიკე ერისკაცობაში დიდი თანამდებობის მქონე პირი იყო" **(გეორგიკა 1963:39)**.

გიორგი მთაწმინდელი კონკრეტულად არ აჩვენებს ვინ იყო თორნიკე ერისკაცობაში, მაგრამ მის მონათხრობში ვხვდებით ასეთ ფრაზას: „დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო სალაშქროთა საქმეთა...ჰამბავი უყ-

[1] ვ. კოპალიანის შენიშვნით, ჯოჯიკი უნდა ყოფილყო დავით კურაპალატის შეიარაღებული ძალების მეთაური. ამასთან, თუ სომეხთა სამეფო კარზე მთავართმთავრის კომპეტენციის ანალოგიას გავაკეთებთ, იგი პასუხისმგებელი იქნებოდა მეფის წინაშე ყველა ვასალის მოქმედებაზე. ჯოჯიკი დიდ ხელისუფლებასთან ერთად ეკონომიკურადაც ძლიერ პირთა წრეს ეკუთვნოდა. მას თავისი „მეგანძეთა-უხუცესიც" კი ჰყოლია **(კობალიანი 1963:39)**.

ვარდაო" (**ძველი ქართული მოთხრობა 1979:334**). საგულისხმოა ისიც, რომ ბიზანტიიდან მოსული თორნიკე დავით კურაპალატმა განსაკუთრებული პატივით მიიღო და დაუყოვნებლივ დანიშნა სპასალარად. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ თორნიკეს საერისკაცო პროფესიას მხედარმთავრობა წარმოადგენდა.

რაც შეეხება პოპულარულ ლიტერატურაში გავრცელებულ თორნიკეს ჩორჩანელობას და მის გენეალოგიურ დაკავშირებას, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დიდ მთავართან, გიორგი ჩორჩანელთან, კ. კეკელიძის თქმით, „არის შეცდომა, რომელიც ექვ. თაყაიშვილიდან მომდინარეობს" (**კეკელიძე 1960:99**).

„დიდი თორნიკ,—გადმოგვცემს გიორგი მთაწმინდელი,—თვისსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა." ბერად აღკვეცის შემდეგ მას ეწოდა იოვანე. მაგრამ, რადგანაც მთაწმინდაზე მაშინ თორნიკეზე უფრო ადრე შემონაზვნებული მეორე იოვანეც (ექვთიმე მთაწმინდელის მამა) იყო, ამიტომაც მისგან განსასხვავებლად გიორგი მთაწმინდელი მას თავის თხზულებაში, იოვანე-თორნიკის ანდა თორნიკის სახელით გვამცნობს. სხვათაშორის უფროსი იოვანე თორნიკესათვის სანიმუშო პიროვნება ყოფილა და რადგან იგი საბერძნეთში მოღვაწეობდა თორნიკეც იქ გაემგზავრა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ მთაწმინდაზე იპოვნა. „კურთხევად მონაზონობისად ხელთაგან იოვანესათა მიიღო" (**ძველი ქართ. მოთხრობა 1979:329**). მთაწმინდაზე მისულ თორნიკეს დიდი სიყვარულით შეხვდა არა მარტო იოვანე, რომელიც „თვისი მისი" იყო, არამედ აქაური მონასტრის დამაარსებელი დიდი ათანასეც, რადგან იგი შესანიშნავად იცნობდა „თორნიკის საქმესა და წარჩინებულობასა და ახოვანებასა".

როგორც ახლახან ნათქვამიდან ვიცით, სწორედ იოვანე მთაწმინდელისა და ათანასე დიდის რჩევით დათანხმდა თორნიკე ბიზანტიის კეისრის მოციქულად წარმდგარიყო დავით კურაპალატის წინაშე.

გიორგი მთაწმინდელი არ არჩენებს რომელი გზით ჩამოვიდა თორნიკე საქართველოში. იგი პირდაპირ წარმოადგენს რა დავით III-თან გამოცხადებულ თორნიკეს, მოკლედ ასე აღწერს მომხდარს: „ხოლო იხილა რაჲ იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთაჲ მიითვალა. და ყოველივე საქმე თორნიკ გააცადა. რომლისთვისაცა განზრახვაჲ ქმნეს, რაჲთა ლაშქარნი წარმოგზავნენ საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს. ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თვისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა. და მაშინ მისცეს მეფეთა ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰჭონდინ". თორნიკეს კი ომში მოპოვებული მთელი ნადავლის მიცემას დაჰპირდნენ (**იქვე:332**). გიორგი მთაწმინდელის ამ მოთხრობაში საეჭვო არაფერი მოჩანს, მაგრამ მაშინ შექმნილი ვითარების მიხედვით საქმე არც ისე მარტივად იყო, როგორც ავტორი გადმოგვცემს..

როგორც მოტანილი ტექსტიდან ირკვევა, დავით III-სა და თორნიკეს საკმაოდ მძიმე მოთხოვნები წაუყენებიათ იმპერატორებისათვის. კურაპა-

ლატი ბიზანტია-საქართველოს შორის „აღმოსავლეთის“ („ზემონი ქვეყანანი“) გამო, დიდხანს არსებული ტერიტორიული დავის, თავის სასარგებლოდ გადაჭრას მოითხოვდა. ეს უნდა იყოს „ნებაჲ კურაპალატისაჲ“ თუმცა არაა გამორიცხული, რომ დავითს სხვა მოთხოვნებიც ჰქონდა. მათ შორის კურაპალატის ტიტულის მისთვის, როგორც „ქართველთა სამეფოს“ „მოურავისათვის“,[1] გამონაკლისის სახით (რადგან კურაპალატად უკვე აღზევებული ადარნასე სუმბატის ძე ჯერ ცოცხალი იყო) ბოძება. ჩანს არც თორნიკეს პრეტენზიები იყო მცირე, თორემ რა საჭირო იყო იგი მკაცრად გაეფრთხილებინათ იმპერატორის მიერ გამოგზავნილ წერილში ხომ მის მიმართაა ნათქვამი „ნურა რას ორგულობო“ განა თუ არ თორნიკეს მიერ რაღაც საბაბის მიცემისა, მთავარსარდლად დანიშნულ ბერს, რომელზედაც მათი ბედი იყო დამოკიდებული ასე მიმართავდნენ?

თორნიკეს მხრივ ასეთი მოთხოვნების არსებობას ვარაუდობს ვ. კოპალიანიც. მისი თქმით კეისარის სასახლეში ყოფნის დროს, მას რაიმე მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ხოლო დავით კურაპალატის წერილთან ერთად გაგზავნილი ბარათით თორნიკემ ბრძოლაში მონაწილეობისათვის გარკვეული კომპესაცია მოითხოვა ბიზანტიის მთავრობისაგან. მან ტაოს მეფისათვის ტერიტორიებს დათმობის თანხმობასთან ერთად, მიიღო ომში მოპოვებული ნადავლის მის საკუთრებაში გამოცხადების დასტური (**კოპალიანი 1969:35--36**).

ამ ნაბიჯით ბიზანტიის ხელისუფლება თითქოს დიდ დათმობაზე წავიდა, მაგრამ „ასეთი გულუხვობით“ კეისარი თავისას არაფერს კარგავდა, სხვის მიწა-წყალსა და ქონებას ასაჩუქრებდა (**იქვე:36**).

გიორგი მთაწმინდელის მონათხრობში არც დავით მესამის თანხმობის სხვა მოტივებია ნაჩვენები. დავითი თვითონაც უნდა ყოფილიყო დიანტერესებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებით. რადგან აჯანყებული სარდალი დიდად გაძლიერდა და რაც მთავარია, ტაოს გაუმეზობლდა, მის მახლობელ სომხურ პროვინციებსა და ქართველებით დასახლებულ „აღმოსავლეთში“ გამაგრდა, საზღვაო და სახმელეთო გზები ჩაკეტა. იგი ტაოს მეფის უშუალო მეტოქედ იქცა (**Ломоури 1957:39**).

ამას დაემატა ისიც, რომ იმპერიის დასუსტებით ისარგებლა სომხური მხარეების ხლათისა და მაიაფარიკინის ამირა (მარტიროპოლის, ნეპეკერტის) ბადმა (რომელიც 968 წელს ბარდა ფოკამ განდევნა აქედან) და ეს მხარეები დაიბრუნა. ფანასკერტიც შემოიმტკიცა, მალე ტარონის მხარეც აიღო, გაძარცვა, ქრისტიანი ბერები ამოხოცა, მოსახლეობა ტყვედ წაასხა (**კოპალიანი 1969:32—33**).

ეს ყველაფერი სკლიაროსის აჯანყების ფონზე ხდებოდა და ამიტომ დავით მესამეს საწინააღმდეგო აღმკვეთი ღონისძიებებისაკენ უბიძგებდა, თორემ ქართველი ხელისუფალი, ცხადია, ვალდებული არ იყო ბიზანტიის

[1] ასეთი „მოურავობა“, რომ დავითს ფაქტობრივად ჰქონდა, ამას 975 წლის ამბების აღწერასთან დაკავშირებით ადასტურებს „შატიანე ქართლისა“ (ქ. ცხ. **1955:274**).

მთავრობის თხოვნა შეესრულებინა. მაგრამ პოლიტიკური ვითარება მას აიძულებდა გამოხმაურების გარეშე არ დაეტოვებინა იგი.

მ. ლორთქიფანიძემ ამ მომენტის ბიზანტიის ხელისუფლებისეულ გაგებას მიაქცია ყურადღება. „მცირე აზიაში შექმნილი ეს ვითარება,—აღნიშნავს იგი,—და ტაოს სამეფოს ინსტერესების შეჯახება სკლიაროსის ინტერესებთან ცნობილი უნდა ყოფილიყო საიმპერიო კარისათვის და, ალბათ, ამიტომაც მიმართეს დახმარებისათვის ტაოს მეფე დავითს“ (**სინ 1973:479**).

მიუხედავად ასეთი სიტუაციისა დავით მესამემ მაინც პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა გამოიჩინა, ბრძოლაში მონაწილეობისათვის, ჯერ იმპერიის ხელისუფლებისაგან ტერიტორიული დათმობების შესახებ თანხმობა მიიღო და შემდეგ ჩაება საომარ მოქმედებებში. ეს დასტურდება არა მარტო გიორგი მთაწმინდელის ზევით დამოწმებული არაპირდაპირი ცნობით, არამედ სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის მიერ იმ ტერიტორიების კონკრეტული დასახელებით, რომელსაც კეისარი წინასწარ დაჰპირდა დავით კურაპალატს, სკლიაროსზე გამარჯვების შემთხვევაში (**სტ. ტარონელი 1864:135**).

დავით მესამემ მხოლოდ კეისრისაგან „ზეემონი ქვეყანანის“ გადმოცემაზე წერილობითი დასტურის მიღების შემდეგ შეკრიბა 12 ათასი რჩეული მხედარი და თორნიკეს სარდლობით გაგზავნა ბარდა სკლიაროსთან საბრძოლველად.

გიორგი მთაწმინდელი არ აჩვენებს რა მარშრუტით გაემართა ქართული მხედრობა და სად შედგა ბრძოლა. ბიზანტიელ ისტორიკოსს გ. კედრენეს სკლიაროსის დამარცხების ადგილად დასახელებული აქვს მდ. ჰალისის სანაპიროზე მდებარე პანკალიის ველი (**გეორგიკა 1963:30**). ამ საკითხს თითქოს აზუსტებს ზარზმის ეკვდერის წარწერა, რომელშიაც ნათქვამია: „სკლიაროსი გავაქციეთ... მას ქუეყანასა, რომელსა ჰქუიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქუიან სარვენისნი“ (**ქწ I 1980:281**). მაგრამ მკვლევართა შორის აზრთა სხვაობა სწორედ ამ ტოპონიმების დადგენამ გამოიწვია. არსებობს მათი ლოკალიზაციის, რამდენიმე ცდა, რომელთაგან უფრო დამაჯერებლად ნ. ლომოურის მიერ მოცემული იდენტიფიკაცია გამოიყურება (**კოპალიანი 1969:41**).

მისი შეხედულებით, ზარზმის წარწერის ხარსანანი გაიგივებული უნდა იქნეს არა სომხეთში მდებარე არზანიასთან, არამედ კაპადოკიის თემთან ხარსიანთან, რომელიც მდ. ჰალსის ქვემო და შუა დინებაზე მდებარეობდა. რაც ნიშნავს, რომ კედრენესა და ივანე სულაქს ძის ჩვენება ბრძოლის ადგილის შესახებ ერთმანეთს ემთხვევა (**Ломоури 1957:37**). იზიარებს რა ამ ლოკალიზაციას ვ. კოპალიანი შენიშნავს, რომ კედრენე შეცდომას უშვებს, როცა მან პანკალიის ველი, რომელიც სკლიაროსისა და ფოკას პირველი შეტაკების ადგილი იყო, ჰალისის სანაპიროზე გადმოიტანა (**კოპალიანი 1969:42**). მაშასადამე, მან გააიგივა სკლიაროსთან ფოკასა და თორნიკეს ბრძოლების ადგილები. რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ

ბიზანტიელი ისტორიკოსი, როგორც ვნახეთ, სკლიაროსის საბოლოო დამარცხებასაც ბარდა ფოკას მიაწერს.

ბრძოლის ადგილის ნ.ლომოურისეული ლოკალიზაცია იმითაც დასტურდება, რომ რამდენჯერმე გამარჯვებული სკლიაროსი 979 წლის გაზაფხულზე სომხეთის ტერიტორიაზე ველარ იდგომებოდა, მან ხომ „ხმელით ყოველი კერძი დაიპყრა“და კონსტანტინეპოლს ემუქრებოდა. ე.ი. სადღაც სრუტეებთან ახლო იყო და არა სომხეთში. აქედანვე მეორე საინტერესო საკითხიც ირკვევა— „ქართველთა ლაშქარი მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიის დიდ სიღრმეში შეჭრილა, მცირე აზიის უდიდესი ტერიტორია გაუვლია და შემდეგ შეხვედრია მტერს“ **(იქვე)**.

ბრძოლის თარიღის შესახებაც სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ივ. ჯავახიშვილს დასახელებული აქვს 977 წელი **(ჯავახიშვილი 1983:128)**. პ. ინგოროყვას—978 წელი **(ინგოროყვა 1954:67)**. მ.ლორთქიფანიძე 979 წელს აჩვენებს **(სინ 1973:477)**. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად ეს თარიღია გაზიარებული. არსებობს ამ თარიღის კიდევ უფრო დაკონკრეტების შემთხვევებიც. მგალითად, გ.ღუდუშაურს, წყაროზე მიუთითებლად, ნაჩვენები აქვს 979 წლის მარტი **(ქსე, ტ.9, გვ:425)**. ხოლო ს. ყაუჩიშვილის გადმოცემით, გ. ოსტროგორსკის (ალბათ, გ.კედრენეზე დაყრდნობით.—გ. მ.) სკლიაროსის საბოლოო დამარცხების თარიღად მითითებული ჰქონია 979 წლის 24 მაისი, გელცერს კი ზოგადად, ამ წლის ზაფხული **(გეორგიკა 1963:35)**. ვფიქრობთ, როგორც გ. კედრენესაგან მომდინარე, სკლიაროსის დამარცხების თარიღად უფრო სავარაუდოა 979 წლის 24 მაისი.

თვით ბრძოლის ამბების გადმოცემისას გიორგი მთაწმინდელი ძლიერ სიტყვაძუნწია „მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მხედარი რჩეული თორნიკს. და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრემდე სპარსეთამდე მეოტ წარიქცია“-ო, წერს იგი **(ძველი ქართ. მოთხრობა 1979:332)**.

თუ კედრენეს მთლად არ უარვყოფთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველები მარტო არ ყოფილან სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. არამედ მათთან ერთად უნდა ემოქმედა ბარდა ფოკას დაქვემდებარებაში მყოფ ბიზანტიის ჯარის ნაწილებს[1], რომლებიც, მართალია, სკლიაროსთან ბრძოლებში რამდენჯერმე დამარცხებულნი და დემორალიზებულნი იყვნენ, მაგრამ ქართველთა დახმარების იმედით კვლავ ჩაებმებოდნენ ბრძოლაში.

ალბათ, ამას ითვალისწინებს ვ.კოპალიანი, როცა ყოველგვარი განმარტების გარეშე წერს „დასავლეთის ლაშქარმა, რომელსაც ბარდა ფოკა მეთაურობდა და იბერიის მხედრობამ ორ ფრონტზე გაუმართეს ბრძოლა აჯანყებულებს. დაამარცხეს აჯანყებულთა ძალები და მათი მეთაური სკლიაროსი სპარსეთში განდევნეს, რომელიც ბაღდადის ამირა იბნ-ხოსროსთან მივიდა და დახმარება სთხოვა“ **(კოპალიანი 1969:42)**[2]. სკლიაროსი დიდხანს

---

[1] შ. ბადრიძე იმოწმებს გ.კედრენეს და საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ სკლიაროსი თორნიკესა და ბარდა ფოკას შეერთებულმა ძალებმა დაამარცხეს **(ბადრიძე 1973:239)**.

[2] ვ. კოპალიანი ხაკისი შრომის სხვა ადგილას მიუთითებს, რომ ბაღდადის ამირას, რომელთანაც სკლიაროსი მივიდა, ერქვა ადუდ-ალ-დაული. ხოლო გარდაცვალების შემდეგ იგი შეუცვლია მის შვილს სამსამ-ალ-დაულის **(კოპალიანი 1969:52)**.

დარჩა დევნილებაში.. როგორც ჩანს, იგი მოკლებული იყო მოქმედების თავისუფლებას (СИЭ, т.2, стр.955), ასეთის საშუალება მას მიეცა 986 წელს, როცა ბასილ კეისრის ბულგარელებთან ბრძოლაში დამარცხების ამბავი შეიტყო. მას მაშინ ფიცი მიუცია ბაღდადის ამირა სამამ-ალ-დაულისათვის, რომ გამარჯვების შემთხვევაში დაუბრუნებდა იმ ციხე-სიმაგრეების ნაწილს, რომლებიც ბიზანტიელებს მაჰმადიანებისათვის ჰქონდათ წართმეული (კოპალიანი 1969:52). მის წინააღმდეგ კეისარმა ბიზანტიისა და იბერთა ლაშქარი გაგზავნა ბარდა ფოკას სარდლობით. მაგრამ მათ შორის ბრძოლა არ გამართულა. ფოკა სკლიაროსის მხარეზე გადავიდა. მოკავშირეები შეთანხმდნენ ბასილის დამარცხების შემთხვევაში მისი იმპერია ორად გაეყოთ. კონსტანტინეპოლი ფოკას უნდა დარჩენოდა. მაგრამ ამ უკანასკნელმა სკლიაროსი მოატყუა და დაატყვევა. ფოკა ამ აჯანყებას გადაჰყვა.მისი სიკვდილის შემდეგ სკლიაროსმა შეწყალება ითხოვა. იმპერატორმა იგი შეიწყალა. გარდაიცვალა სკლიაროსი 991 წელს.

ზევით ითქვა, რომ კეისარს სკლიაროსზე გამარჯვების შემთხვევაში დავით კურაპალატისათვის უნდა მიეცა „ზემონი ქვეყანანი". ასოლიკი იტყობინება—„ბასილი კეისარმა ეს ქვეყნები მართლა გადასცა დავით კურაპალატს"-ო (გეორგიკა 1963:44). ამავე ავტორს კონკრეტულად აქვს დასახელებული რომელ ქვეყნებზე იყო საუბარი. სომეხი ისტორიკოსის ტექსტის ეს ადგილი მრავალ მკვლევარს აქვს ციტირებული. ჩვენც შეგვეძლო იგი პირდაპირ დაგვემოწმებინა. მაგრამ, ვფიქრობთ, მისი საუკეთესო კომენტირებული ამონაწერი ეკუთვნის პ. ინგოროყვას, ამიტომ სწორედ მის აზრსს გავაცნობთ მკითხველს: „სახელდობრ,—წერდა იგი,—ამ დროს საქართველოს შემოუერთდა: I. სამხრეთ ბასიანის კანტონი, მდებარე მდინარე არაქსის სამხრეთ სანაპიროზე, და ამრიგად საქართველოს ფარგლებში მთლიანად გაერთიანდა ეს ძველი ქართული პროვინცია—საკუთრივ ბასიანის მხარე. II. საქართველოს შემოუერთდა ამასთან შემდეგი მხარეები, რომლებიც ისტორიულ წარსულში (ანტიკურ ხანაში) საქართველოს ეკუთვნოდნენ: ა) ქალაქი კარინი ანუ თეოდოსიოპოლი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს, ბ) ციხე ხალტოი-არჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დას. ევფრატის ხეობაში; გ) ჩორმაირის თემი—მდინარე ჭოროხის სათავეებთან; დ)ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი)—მდინარე არაქსის სათავესთან (იგივე „პარიადრის მთიანეთის მხარე" ანტიკური ხანისა). III. ზემოთ-ჩამოთვლილ ქართულ პროვინციებს გარდა, საქართველოს შემოუერთდა აგრეთვე სომხეთის ორი პროვინცია—ჰარიქისა და აპაჰუნის მხარეები,—რომლებიც მანამდე ბიზანტიას ჰქონდა დაჭერილი" (ინგოროყვა 1954:525).

დავით კურაპალატისათვის ამ ქვეყნების გადაცემა არა მარტო ქართველთა მიერ დიდი ხნის წინათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და, მაშასადამე, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იყო, არამედ ქართველთა საკურაპალატოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასაც ნიშნავდა. ტაოს მეფის მიერ მიღებულ

მიწებს სტრატეგიულად მოხდენილი ადგილი ეჭირათ წინააზიის რეგიონში. ისტორიულ წარსულში აქ არა ერთხელ შეჯახებია ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნების ინტერესები და გადაწყვეტილა სახელმწიფოთა არსებობის ბედი.

ხოლო იმის გასათვალისწინებლად თუ რა ეკონომიკური სარგებლობა შეიძლებოდა ჰქონოდა საქართველოსათვის ამ ტერიტორიულ მონაპოვრებს უნდა ვიცოდეთ, რომ აქ „გაივლიდა სახალიფოდან წამოსული უდიდესი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიასა და პონტოში მიემართებოდა.ამ გზაზე მრავალი სავაჭრო ცენტრი იყო და მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი არცნი[1] და კარნუ ქალაქი, იგივე თეოდოსიუპოლი, დღევანდელი არზრუმი" **(კოპალიანი 1969:43)**.

კეისრის წერილში აღნიშნული დაპირებისამებრ გამარჯვებულმა თორნიკემ „დაატყვევა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვით დაიმჭირა ნატყვენავი დიდძალი ფრიად: ოქროჲ და ვერცხლი და სტავრაჲ და სხვაჲ ესევითარი", გადმოქვცემს გიორგი მთაწმინდელი **(ძველი ქართ. მოთხრობა 1979:332)**. მისივე ცნობით, თორნიკე ბრძოლის შემდეგ მობრუნებულა საქართველოში. დავით კურაპალატს გამოთხოვებია და შემდეგ კონსტანტინეპოლში საიმპერატორო კარს სწვევია.

სხვა წყაროო იუწყება, რომ ამ შეხვედრის დროს „თორნიკეს ღვაწლის დასაფასებლად დედოფალმა შეაძლია მას საჩუქრები, მაგრამ თორნიკემ უარი განაცხადა" **(გეორგიკა 1963:41)**. ნადავლის თავისი წილი თორნიკემ მთაწმინდაზე ქართული მონასტრის მშენებლობას შესწირა. მისი ხარჯით მთაწმინდაზე მოღვაწე ბერებმა „ჰპოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმინდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესია". მათვე შეიძინეს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია „სადაყუდებულონი გარემოჲს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმიერად ზღვადმდე", რომელზედაც რამდენიმე სხვა მონასტერი მდებარეობდა. ხოლო „ღმრთისმსახურთა მეფეთა" გაიხსენეს ქართველთა დამსახურება და „რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველნი ოქრობეჭდითა დაუმტკიცნეს" **(ძველი ქართ. მოთხრობა 1979:333)**.

თორნიკესადმი ბასილ II-ის კეთილგანწყობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ კეისარმა მას 980 წლის ახლოხანებში სვინგელოზის წოდება უბოძა, რაც მისი პატრიარქის თანაშემწე ბერის რანგში აღზევებას ნიშნავდა **(გეორგიკა 1963:43)**. თორნიკეს გარდაცვალების თარიღად 985 წელს ახვენებენ.

ს. ყაუხჩიშვილს მიკვლეული აქვს მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ

---

[1] კარნუ ქალაქი (ერზრუმი, არზრუმი) ისედაც დიდი პოპულარობის გამო დამატებით რაიმეს თქმას არ მოითხოვს. ქ.არცნი კი მის მახლობლად მდებარეობდა ევფრატის სათავეში. იგი უდიდესი სავაჭრო ცენტრი ყოფილა. სადაც საქონელი მოჰქონდათ ინდოეთიდან, ირანიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან. ამ ქალაქის მასშტაბზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1049 წელს, მისი თურქ-სელჯუკების მიერ აოხრების შედეგად, 150 ათასამდე კაცი დახოცილა **(კოპალიანი 1969:42)**.

თორნიკეს ხსოვნას მთაწმინდაზე პატივს მიაგებდნენ, დიდი მხედართმთავრის გარდაცვალების შემდეგაც. მას მოჰყავს შემდეგი ამონაწერი 1903 წელს გამოცემული გ. ზმირნიკის წიგნიდან: „ქართველთა მონისტრის ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება ამ უმამაცესი მებრძოლის თორნიკეს ჯაჭვის პერანგის შესაკრავი და მისი ისარი თათრული სახისა, ნაწილობრივ შეჭყლეტილი“ **(იქვე:41--42)**.

ტიმოთე გაბაშვილს კი ათონის მთაზე ყოფნის დროს ქართველთა მონასტრის საგანძურში უნახავს—„თორნიკეს საჭურველნი: ზუჩი, ჯაჭვნი და აბჯარნი და ხრმალი. რაჟამს იგი მონაზვნობას შინა შეიმოსნა და შებმა უყო სპარსთა და განიოტნა იგინი“ **(იქვე:42)**.

ცხადია ასეთი მოწიწება თორნიკეს ხსოვნისადმი მოწმობს მისი დამსახურების ისეთ სიდიადეს, რომელიც ათეული საუკუნის მანძილზე არ გახუნდა და ასკეტი ბერების მრავალ თაობაში დარჩა მხედრული ვაჟკაცობის სიმბოლოდ. ჰეშმარიტად! „ვინ შეამკოს ქართველ გმირთა მხარმკლავები“!

ბიზანტიის ხელისუფლება, მართალია, კმაყოფილი იყო ბარდა სკლიაროსის განადგურებით, მაგრამ მას არ შეიძლება ასეთივე გრძნობა ჰქონებოდა იმპერიისათვის სტრატეგიულად და ეკონომიკურად მეტად მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკარგვის გამო. მაგრამ იმპერიის საშინაო მდგომარეობა ჯერ კიდევ არ იყო ისე განმტკიცებული, რომ ამის თაობაზე აშკარა პროტესტი გამოეთქვათ. მცირე აზიის მიწათმფლობელთა არისტოკრატია განაგრძობდა სეპარატისტული ზრახვების განხორციელებისათვის ზრუნვას. მათ კიდევ არა ერთხელ ააღებინეს ბასილ კეისარს იარაღი ხელში.

სკლიაროსის დამარცხების შემდეგდროინდელ ქართველთა და ბიზანტიელთა სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის განხილვისას, ვ. კოპალიანს საჭიროდ მიაჩნია დასვას საკითხი, ქართველთა ლაშქარი 979 წელსვე იქნა მთლიანად დემობილიზებული, თუ კიდევ დარჩა საიმპერიო ლაშქართან. ასეთი დაეჭვების საშუალებას მისი აზრით, იძლევა ზოგიერთი ცნობა, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ იბერთა ლაშქარი 80-იან წლებშიაც მონაწილეობდა იმპერიის მიერ წარმოებულ ომებში **(კოპალიანი 1965:47)**. კერძოდ, არაბი ისტორიკოსი ქემალედინი იტყობინება, რომ 983—984 წლებში, ბარდა ფოკას მიერ სირიაში ჩატარებულ ოპერაციებსა და ალეპოს ალყაში, ქართველები ბიზანტიის ჯარის შემადგენლობაში იბრძოდნენ. ეს მკვლევარს აძლევს საბაბს დაასკვნას: „ქართველთა ლაშქარი X ს-ის 80-იან წლებშიაც იმყოფებოდა ბიზანტიაში და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ბრძოლებში კეისრის მხარეზე. ეს ლაშქარი კიდევ დიდხანს დარჩა მცირე აზიაში“-ო **(იქვე:48)**.

თავად ამ ფაქტის ჰეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა გვაქვს, მაგრამ 80-იანი წლების მანძილზე მცირე აზიაში, რომ განუწყვეტლად იმ-

ყოფებოდა თორნიკეს დროს გაგზავნილი ლაშქარი, ეს კი წარმოუდგენლად მიგვაჩნია. ასეთი მუდმივმოქმედი, რეგულარული არმიები მაშინ არ არსებობდნენ. ლაშქრობებს კამპანიური ხასიათი ჰქონდა. ფეოდალური ლაშქრის დაქირავება მის მიერ მოკავშირული მოვალეობების შესრულება, ერთდროული ღონისძიება იყო და, ამდენად, შეუძლებელია ქართველთა ლაშქრის ერთი და იგივე კონტიგენტი რამდენიმე წლის მანძილზე გამუდმებით ყოფილიყო ბიზანტიის კეისარის დამხმარე ძალად. გიორგი მთაწმინდელი, რომ თავის ლაკონურ თხრობაში, თორნიკეს ბრძოლის შემდგომ დავით კურაპალატის წინაშე გამოცხადების შესახებ საგანგებოდ ჩერდება, ეს უნდა მიუთითებდეს, რომ იგი ლაშქართან ერთად დაბრუნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ტაოში მოსვლა საჭირო აღარ იყო. მას შეეძლო თავისი კუთვნილი ნადავლი წაეღო და კონსტანტინეპოლზე გავლით პირდაპირ მთაწმინდაზე წასულიყო. თანაც, „იოანესა და ევთიმეს ცხოვრების" ავტორი ხომ გარკვევით ამბობს დიდძალი ნადავლი თორნიკემ „ლაშქართა განუყო"-ო და, ამდენად, თუ ამ მხედრობის მცირე აზიაში ხანგრძლივად დარჩენას ვივარაუდებთ, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ეს მხედრობა წლების მანძილზე თან ატარებდა თავის კუთვნილ განძს. ამგვარად, სხვა მიზეზებს (ცხენოსანი ჯარის სხვის ტერიტორიაზე ხანგრძლივად შენახვის შეუძლებლობა და ა. შ.), რომ თავი დავანებოთ, ნათქვამიც საკმარისი უნდა აღმოჩნდეს იმის სავარაუდოთ, რომ მცირე აზიაში ბიზანტიელთა მხარეზე მოქმედი ქართველთა ლაშქრის კონტინგენტი საჭიროებისა და მხარეთა შეთანხმების მიხედვით პერიოდულად იგზავნებოდა.

როგორც ქემალედინის ზევით მოტანილი მონათხრობიდან ჩანს, ასე ყოფილა ეს X საუკუნის 80-იანი წლების დასასრულამდეც. მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ 989 წ. თუ ცოტა უფრო ადრე, დავით კურაპალატმა თავისი ლაშქარი კვლავ გაგზავნა მცირე აზიაში, იქ გაჩაღებულ ბრძოლებში მონაწილეობისათვის. თუმცა, ამჯერად, არა ბასილ II-ის დასახმარებლად, არამედ კეისრის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა ფოკას მხარეზე საბრძოლველად

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს იმ მოტივების დასაბუთების რამდენიმე ცდა, რომლებმაც დავით III აიძულეს გამოსულიყო აჯანყებულთა და არა კეისრის მხარეზე. ნ. ლომოურის აზრით, ტაოს მეფეს არცერთი მხარის ზედმეტად გაძლიერება არ სურდა და მათ შორის მანევრირებდა. როცა შეიტყო, რომ ფოკა უფრო მომძლავრდა მასთან მყოფი თავისი ჯარი გამოიწვია. ახალ სიტუაციაში კი კვლავ მას მიაშველა ლაშქარი. **(Ломоури 1957:40)**.

მ. კახაძეს მიაჩნდა, რომ დავითი აჯანყებულების გამარჯვებაში დარწმუნებული იყო და ამიტომ მათ მხარეზე გამოვიდა **(კახაძე 1954:41)**. ვ. კოპალიანის შეხედულებით, დავით კურაპალატი უკმაყოფილო იყო იმით, რომ კეისარმა მას „ზემონი ქვეყანანი" მემკვიდრეობით კი არ გადასცა, არამედ დროებით, რომ მხოლოდ „თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ". ხოლო ამ პი-

რობის აუცილებელ შესრულების საწინდრად ტაოელ აზნაურთა შვილები მძევლებად წაიყვანა. ამიტომ, ბუნებრივია, ტაოს მეფე და მისი ქვეშევრდომები ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე ბასილ კეისრის წინააღმდეგ იმოქმედებდნენ. ასეთი პოლიტიკური ვითარება მათ ბარდა ფოკას აჯანყების დროს დაუდგათ (**კოპალიანი 1969:50**). ამავე ავტორს დავით კურაპალატის ფოკას მხარეზე გამოსვლის მეორე და მთავარ მიზეზად მიაჩნია ის, რომ გამარჯვების შემთხვევაში აჯანყებულთაგან უფრო დიდი ტერიტორიული და პოლიტიკური მოგების მიღება შეიძლებოდა, ვიდრე კეისრის ხელისუფლებისაგან უკვე ჰქონდათ მიღებული (**იქვე: 59**). ამასთან, ალბათ,, „აჯანყებულთა გამარჯვება გარდაუვალად მიაჩნდათ დავითსა და მის მომხრეებს"-ო, ვარაუდობს იგი (**იქვე: 51**).

მ. ლორთქიფანიძეს ამავე საკითხზე ასე აქვს ჩამოყალიბებული თავისი მოსაზრება: „დავით ტაოს მეფემ, ეტყობა, იცოდა, რომ ბასილი იმპერატორისაგან „ზემონი ქვეყნებს" სამემკვიდრეო სამფლობელოდ ვერ მიიღებდა და ამიტომ მან აჯანყებული ფოკას მხარე დაიჭირა" (**სინ 1973:480**).

დასახელებული მიზეზები ანგარიშგასაწევია, იმ შემთხვევაში თუ ჩავთვლით, რომ დავით კურაპალატი თავიდანვე გადაჭრით იდგა აჯანყებულთა მხარეზე. მაგრამ ამაში ეჭვს იწვევს იაჰია ანტიოქიელის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ქართულმა ლაშქარმა, იმაზე ადრე, ვიდრე ბასილი კეისარი რუსეთის ჯარის დახმარებით ბარდა ფოკას ძირითად ძალებს დაამარცხებდა, ტრაპიზონთან გაანადგურა ბიზანტიის ლაშქრის ნაწილი, რომელსაც მაგისტრი ტარონიტი მეთაურობდა. მაგრამ როგორც კი ამ ჯარის სარდლობამ ფოკას დამარცხების ამბავი შეიტყო, მაშინვე თავის ქვეყანაში დაბრუნდა. დაბრუნებულებს გამარჯვების მიუხედავად დავით კურაპალატი გაჯავრებია და მათ თავის მართლება დასჭირვებიათ (**Розен 1883:24**). რაც ჩვენი ვარაუდით იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ქართველთა ლაშქრის სარდლობას არ ჰქონდა მიცემული, მაინცდამაინც, აჯანყებულთა მხარეზე გამოსვლის უფლება და მას შეეძლო ვითარების საბოლოო გარკვევამდე არ გაემჟღავნებინა კეისრის საწინააღმდეგო მოქმედება. ამაში შეიძლება უფრო დავრწმუნდეთ თუ ჩავთვლით, რომ ეს ლაშქარი მცირე აზიაში უფრო ადრე .იმყოფებოდა, ვიდრე ფოკა დავით III-ს დახმარებას თხოვდა[1] და მის სარდლობას ტაოს მეფისაგან აჯანყებულთა მხარეზე გამოსვლის ინსტრუქცია არ გააჩნდა. სხვა შემთხვევაში „რატომ უნდა-გაჯავრებოდა დავითი თავის გამარჯვებულ სარდლებს და რად უნდა დასჭირებოდათ მათ თავის მართლება?" (**კოპალიანი 1969:61**).

ე.ი. ძნელია თქმა, რომ დავით კურაპალატი გადაჭრით მიემხრო აჯანყებულებს და ბასილ კეისარს უღალატა. არც ბერძენი და არც სომეხი ისტორიკოსები დავითის ასეთი მოქმედებისა და ქართველთა ლაშქრის ფო-

[1] იაჰია ანტიოქიელის გადმოცემით, ბარდა ფოკამ თავისი შვილი ნიკიფორე გამოუგზავნა დავითს და დახმარება სთხოვა (**Розен 1883:24**).

კას ჯარების შემადგენლობაში ბრძოლის შესახებ არაფერს წერენ. ზევით გადმოცემულს მხოლოდ იაჰია ანტიოქიელთან ვხვდებით. მასვე ეკუთვნის ცნობა, რომ „ქართველთა მეფე დავითმა დანაშაულის პატიება და შენდობა სთხოვა“ ბასილ კეისარს (**Розен 1883:27**). მაგრამ მისივე თქმით, ვალდებულება, რომელსაც კურაპალატი ამ პატიების სანაცვლოდ აყენებდა არაფრით არ განსხვავდებოდა იმ პირობისაგან რაც 979 წლის შეთანხმებით არსებობდა. დავითი აღუთქვამდა ბასილ II-ს, რომ გარდაცვალების შემდეგ თავის სამფლობელოს (?!) საკეისროს შეუერთებდა (**იქვე**). ე. ი. რჩებოდა ფოკას აჯანყებამდელი სტატუს-კვო.

არაბი ისტორიკოსის ეს ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში ჭეშმარიტებადაა აღიარებული და თითქმის ყველა მკვლევარს დავით კურაპალატი, 989 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, დასჯილად ჰყავს წარმოდგენილი. უფრო მეტიც, დავითის ამ ნაბიჯმა მისი გარდაცვალების შემდეგ თითქოს გამოიწვია საუკუნოვანი ბრძოლა საქართველო-ბიზანტიას შორის „დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის.“ მაგრამ ასეთი მსჯელობის დროს გათვალისწინებული არ არის ორი გარემოება. ჯერ ერთი, ქართველებს 979 წელს მიღებული მიწები უნდა დაებრუნებინათ ბიზანტიისათვის დავით კურაპალატის გარდაცვალებისთანავე. და, თუ ამას არ გააკეთებდნენ (როგორც ამის ცდა 1001 წელს იყო) კონფლიქტი იმპერიასთან ისედაც გარდაუვალი იქნებოდა. მეორე, დავით კურაპალატი 989 წლის შემდეგ სრულიადაც არ იქცევა, როგორც „მომნანიებელი დამნაშავე“: იგი პირიქით შეტევაზე გადადის და არაბთა სამფლობელოების ხარჯზე აფართოებს თავის სახელმწიფოს. მისი ასეთი მოქმედება, მთლიანად მაინც გონივრული ვერ იქნებოდა თუ იგი დარწმუნებული იყო, რომ ქართველთა სისხლის ფასად მოპოვებული ეს მიწები, აუცილებლად ბიზანტიელების საკუთრება გახდებოდა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ტაოს მეფე მოქმედებდა ბიზანტია- საქართველოს შორის არსებული იმ შეთანხმების მიხედვით, რომლის თანახმადაც, აგარიანთაგან (არაბთაგან) ქართველი ხელისუფლების მიერ საკუთარი ძალებით განთავისუფლებული ტერიტორია, მათ რჩებოდათ „თავის ბატონობისა და მბრძანებლობის ქვეშ“ (**გეორგიკა 1952:269**).

ნათქვამი საფუძველს გვაძლევს დავეჭვდეთ იაჰია ანტიოქიელის ცნობაში „ქართველთა მეფე დავითის“ ბიზანტიის ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლისა და ამის გამო კეისრის მიერ მისი დასჯის შესახებ.

ვ. კოპალიანი იმის დასტურად, რომ ქართველთა ჯარი სწორედ კეისრის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, იმოწმებს სტეფანოზ ტარონელის (ასოღიკის) ცნობას, რომლის მიხედვითაც, ქართველთა ლაშქარი თორნიკეს ძმისწულის მაგისტროს ჩორდვანელის სარდლობით, ფოკას აჯანყების შემდგომაც განაგრძობდა ბრძოლას სომხური პროვინციების—დერჯანიისა და ტარონის მიდამოებში (**კოპალიანი 1969:61**), მაგრამ, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სომეხ ისტორიკოსს ქრონოლოგიური აღრევები ახასიათებს. და ამის გათვალისწინებით, ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია ასოღიკის მო-

ნათხრობი, რომ ჩორდვანელი 988 წელს, ანტიოქიის მიდამოებში, ბიზანტიელთა მხარეზე იბრძოდა ეგვიპტის ამირას წინააღმდეგ. ანტიოქიის მიდამოებში გამართული ბრძოლა მოკავშირეებმა წააგეს. მათი ლაშქრის დიდ ნაწილთან ერთად მაგისტროსი ჩორდვანელიც ტყვედ ჩავარდა (**სტ. ტარონელი 1864:190—191**). ასე, რომ იგი 990 წელს დერჯანსა და ტარონში ვეღარ იომებდა. ეს გარემოება ვ. კოპალიანსაც აეშვებს და ამიტომ ჩორდვანელის[1] შესახებ კითხულობს: „იქნებ ქრონოლოგიური შეცდომაა სტეფანოზ ტარონელის ცნობაში და უფრო ადრე დაატყვევეს იგი-"ო (**კოპალიანი 1969:63**). ასე, რომ ასოღიკიდან ვ. კოპალიანის მიერ დამოწმებული ცნობა, თვითონ მასვე არ მიაჩნია დამაჯერებელ საბუთად დავით კურაპალატსა და ბასილ კეისარს შორის არსებული ურთიერთობის გასარკვევად.

როგორც ითქვა, დავით კურაპალატი, X საუკუნის 90-იან წლებშიაც, აქტიურ საგარეპოლიტიკურ ურთიერთობას ეწეოდა. მისი სახელმწიფო „სამხრეთიდან დ სამხრეთ აღმოსავლეთიდან მტრული პოლიტიკური ერთეულებით იყო გარშემორტყმული" (**კოპალიანი 1969:65**). ერთ-ერთ ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენდა ხლათისა და მისი მეზობელი მხარეების (ნეპერკერტი, დიარბერქირი) საამირო. მისმა ამირამ ბადიმ, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ სკლიაროსის პირველი აჯანყების დროს (976—979) ჩაიგო ხელთ მანასკერტი, ტარონის მხარე და სახელი გაითქვა ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლით. 987 წელს სკლიაროსის მიერ მელიტენის მხარეში შეპრის შემდეგ, ბადი მას შეუერთდა (**იქვე: 52**). მიუხედავად სკლიაროსის ორივეჯერ დამარცხებისა, ამირა ბადიმ მის მოძრაობაში მონაწილეობით მნიშვნელოვანი მოგება მიიღო. სათანადო მასალების უქონლობის გამო დადგენილი არ არის შეინარჩუნა თუ არა მან 979 წელს დაკავებული მანასკერტი. მაგრამ 990 წელს, როცა ბადი გარდაიცვალა ეს ქალაქი, რომ მის საამიროში შედიოდა, ამას ამტკიცებს ასოღიკის ცნობა დავით კურაპალატის მიერ ამირას სიკვდილის შესახებ ცნობის მიღებისთანავე, მანასკერტისათვის ალყის შემორტყმის თაობაზე. ეს ბრძოლა საჭირო აღარ გახდებოდა შესრულებული რომ ყოფილიყო 979 წელს, ბიზანტიის კეისრის მიერ, ტაოს მეფისათვის ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთის მხარის აპაჰუნიქისა და მისი სამხრეთი რაიონების მანასკერტისა და ხლათის ჩათვლით, გადაცემის დაპირება. 990 წელს დავით III-ის ცდა გაენთავისუფლებინა მანასკერტი, ვ. კოპალიანის ვარაუდით, ნიშნავდა, რომ „ბარდა სკლიაროსის პირველი აჯანყების დროს, როცა ბადმა უკან დაიბრუნა თავისი სამფლობელო და მანასკერტიც შემოიმტკიცა შემდეგ სიკვდილამდე ხელიდან არ გაუშვია იგი" (**იქვე: 69**).

[1] მკვლევარს ჩორდვანელი გვარად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ იგი „ათონის მთაწმინდის ქართველთა მონასტერში ბერად შემდგარი იოვანე-თორნიკეს შვილი უნდა იყოს". ზეკით ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ჩორდვანელი მამაკაცის სახელია და იგი ერქვა თორნიკეს მამას და მის ორ ძმიშვილს.

მანასკერტი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის პირველხარისხოვანი პუნქტი იყო. მას, როგორც მსხვილ სავაჭრო ცენტრსა და გამაგრებულ ქალაქს, ერთ-ერთი გადამწყვეტი პოზიცია ეჭირა კარნუ-ქალაქზე (თეოდოსიპოლზე) გამავალ სატრანზიტო გზაზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მას აგარიანები განსაკუთრებული თავგამოდებით იცავდნენ და დავით კურაპალატს ხანგრძლივი, მწვავე ბრძოლა მოუხდა, მისი განთავისუფლებისათვის.

დავით კურაპალატი ცდილობდა ახლად შემოერთებული მიწა-წყალი გაეწმინდა მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან და ამ რაიონებში თავისი დასაყრდენი შეექმნა. იმავე ასოღიკის თქმით, ამ მიზნით დავითმა მანასკერტიდან გაასახლა მუსულმანები და მათ ადგილზე ქართველები და ქალკედონისტი სომხები დაასახლა (იქვე:191).

ქართული მოსახლეობის ისეთ შორეულ მხარეში დასახლება, როგორიც მანასკერტი და ვანის ტბის რაიონი იყო, დავით კურაპალატის პატრიოტული მოღვაწეობისა და ქრისტიანობის გავრცელებისათვის განუზრელი ზრუნვის დიდმნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენდა. ამ გზით იქმნებოდა დამცავი ფარი იმ ქრისტიანული მოსახლეობისათვის, რომელიც შედარებით შიდა პროვინციებში ცხოვრობდა. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ამ რაიონების მეზობელ რეგიონებში იმ დროს ქართული მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა მანასკერტში ქართველთა ჩასახლებას, თუ, ვთქვათ, ბასიანის მხარე არაქართველებით იყო დასახლებული. პ. ინგოროყვა ვარაუდობდა, რომ ბასიანის მხარეში, სადაც ადრე მუსულმანური ელემენტი ფართოდ იყო წარმოდგენილი, X საუკუნის II ნახევარში „მომხდარა მუსულმანი მოსახლეობის შეცვლა ქართული მოსახლეობით." (ინგოროყვა 1954:526).

დავით კურაპალატის ასე გაძლიერება და ქრისტიანთა წარმატებები არსებითად ცვლიდა გეოპოლიტიკურ ვითარებას მახლობელ აღმოსავლეთში. მაჰმადიანი მფლობელების გავლენისა და ძარცვის ასპარეზი მნიშვნელოვნად შეიზღუდა. პ. ინგოროყვას შეფასებით: „ქართველთა სამეფომ" ფართოდ გაშალა ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ კავკასიის სამხრეთ სანაპიროზე, გაანთავისუფლა მთელი რიგი სანაპირო მხარეები და ქართველთა სამეფოს საზღვრები ვანის ტბამდე მიიტანა" (იქვე:525).

X საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ძალთა თანაფარდობა სჩანს ისეთი იყო, რომ დაზარალებული ქართველთა წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავდა. საუკუნის დასასრულს კი, კიდევ ერთხელ, განმეორდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ცდა. 998 წელს დავით III-ის მიერ მანასკერტის აღებით და იქ გატარებული ანტიმუსულმანური ღონისძიებებით აღშფოთებულმა ადარაბადაგანის ამირა მამლანმა შემოიკრიბა ხორასნის ამირა და სხვა მაჰმადიანი ხელისუფლები და ტაოს მეფეს მანასკერტის დაცლის მოთხოვნით შუამავლები მიუგზავნა. მაგრამ დავითის დაშინება ვერ შესძლო.

ივ. ჯავახიშვილი ასოღიკის დამოწმებით შემდეგნაირად გადმოსცემს

მომხდარს: „ამ დროს, დავით კურაპალატი უკვე ძალზე მოხუცებული იყო, და ბძოლის ველზე თვითონ არ წასულა, მაგრამ მთელი თავისი მხედრობის წინამძღოლობა და მთავრობა სპასალარს გაბრიელს. ოჩოპიტრეს ძეს, ჩააბარა. ამასთანავე—დავითმაც მოკავშირენი მოიწვია და გურგენმა ქართუელთა მეფემ თავისი 6000 რჩეული მეომარი მოაშველა ფერის ჯოჯიკის ძის მეთაურობით, ამდენივე გამოგზავნა გაგიკ სომეხთა მეფემ; ჯარით მოეშველა აგრეთვე ვანანდის მეფე აბასი. ასოლიკის სიტყვით სპარსთა შეერთებულ ლაშქრობაში-კი 100000 მეომარი ყოფილა. რაკი ასეთი ძლიერი სპის წინააღმდეგ ქართველებსა და სომხებს მეტად მცირერიცხოვანი მხედრობა ჰყავდათ, ისინი შებმას ვერ ბედავდნენ. სპარსელებმა რომ ეს შეამჩნიეს, გათამამდნენ, და ერთს დღეს საბრძოლველად მოემზადნენ... ომის დაწყება ვერც მათ გაბედეს, მარტო ფალავნები იბრძოდნენ ორთავე მხრივ, ქართველთაგან ხუთი კაცი მოკვდა. სპარსელებმა იფიქრეს, დღეს ალბათ არაფერი იქნებაო, და აქეთ-იქით გაიფანტნენ. ამით ისარგებლეს ქართველებმა და სომხებმა, სწრაფად აღიჭურნენ, უეცრად სპარსელებს თავს დაეცნენ და მუსრი გაავლეს. ქართველთაგან ამ ბრძოლაში თავი ისახელეს მესხებმა, ძმებმა გამრეკელებმა. ამირა მამლანი გაიქცა. მაგრამ მას დაედევნენ, ქ. არშუშამდის მიჰყვნენ და მრავალი ჯარის კაცი დაუხოცეს. მერე უკან გამობრუნდნენ და მტრების მთელ ბანაკსა და განძს დაეპატრონენ" **(ჯავახიშვილი 1983:129)**.

როგორც ვხედავთ, დავით კურაპალატმა დიდ წარმატებებს მიაღწია მოსაზღვრე ქართული და სომხური პროვინციებიდან მაჰმადიანი მფლობელების განდევნის, შემოერთებული მიწა-წყლიდან გამაჰმადიანებული მოსახლეობის აყრისა და მათ მაგივრად თავისი მართლმადიდებელი ქვეშევრდომების ჩასახლების საქმეში. ეს ღონისძიებები დავით III-ის საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფრიად მნიშვნელოვანი მხარე იყო. დიდი კურაპალატი, რომ მათ თანამიმდევრულად და მიზანდასახულად ატარებდა ამას ადასტურებს მის მიერ შემოერთებულ ტერიტორიაზე ვალაშკერტის მართლმადიდებლური საეპისკოპოსოს დაარსება. საუკუნეთა მანძილზე მოქმედი ეს ეპარქია მცხეთის საკათალიკოზოს ექვემდებარებოდა **(ინგოროყვა 1954:525)**.

6. ბაგრატ III გამაერთიანებელი

ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა, ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის ოცდაათსაუკუნოვან ისტორიაში. მისი შემოქმედი დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც „წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოველითა განგებითა", ბაგრატ III იყო.

ბაგრატ III-ის მონარქია უსაფუძვლოდ და უტრადიციოდ არ გამოსულა ისტორიის ასპარეზზე. ჯერ კიდევ ძ.წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე, მეფე ფარნავაზმა გააერთიანა ქართველებით დასახლებული ტერიტორიების

უდიდესი ნაწილი ერთ სამეფოდ და ამით, ერთიანობის ეროვნულ თვითშეგნებას დიდი ტრადიცია შეუქმნა. მაგრამ ფარნავაზის სახელმწიფოს პოლიტიკურ ძლიერებაზე შეუძლებელია ვილაპარაკოთ, რადგან იგი მაინც ქართლისა და კოლხეთის არამყარ შეერთებას წარმოადგენდა, მტკიცე ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები არ გააჩნდა.

ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში დიდი როლი შეასრულა ვახტანგ გორგასალმა (438—491). მან შესძლო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და კავკასიის მთიანეთიც დაიმორჩილა. მან თავის სამეფოს ფაქტობრივი პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობაც მოუპოვა. ამით ქართველი ხალხის ერთიანობას იდეოლოგიური საფუძველი განუმტკიცა. ავტოკეფალური ქრისტიანული ეკლესია სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მძლავრი ფაქტორი გახდა. რაც საუკუნეების მანძილზე კვებავდა ქართველ ხალხს ეროვნული კონსოლიდაციის მუდმივმოქმედი იმპულსებით. მაგრამ „შინაგანი სოციალური განვითარებისა და გარეპოლიტიკური ვითარების შედეგად შექმნილ ძალთა განვითარების გამო ვახტანგ გორგასალის დიდი წამოწყება ნაადრევი აღმოჩნდა და, ფაქტიურად, მასვე გადაჰყვა" **(მუსხელიშვილი 1977:229)**.

ვახტანგ გორგასალის ამ დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმის სახელოვანი დამაგვირგვინებელი ბაგრატ III აღმოჩნდა. ეს არა მარტო ჩვენი დროის გადასახედიდან იხილება, არამედ კარგად ესმოდა მის ახლო თანამედროვეებსაც. „მატიანე ქართლისას" ავტორი, რომელსაც ნაკლები მიდრეკილება ჰქონდა პანეგირიკისადმი,საჭიროდ თვლის ბაგრატის შესახებ ხაზგასმით აღნიშნოს: „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებისა და ძალისა, და ყოვლისა გონებითა"-ო **(ქ.ცხ. 1955:282)**.

იმავე მემატიანის გადმოცემით, ბაგრატი 978 წელს, აფხაზეთში გამეფების დროს, „განსრულებულ იყო ჰასაკითა". თუ იოანე საბანის ძის მიერ ყრმობიდან ჭაბუკობაში გარდამავალ ასაკად მითითებულ 17—18 წელს სრულასაკოვნების დასაწყისად ჩავთვლით **(ძეგლები 1964:56)**, მაშინ ბაგრატი დაბადებულა დაახლოებით 960 წლის ახლოს. მისი მამა იყო გურგენი ბაგრატ II რეგვენად წოდებულის (958—994) ძე. ხოლო დედა გურანდუხტი „აფხაზთა მეფის" გიორგი II-ის (922—957) ასული. მისი ბავშვობის დროინდელი ცხოვრებიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ „ბაგრატ გაეზარდა შვილად" დავით III კურაპალატს. ტაოს მეფეს უფლისწულის შვილად აყვანის ეს ფაქტი თავიდანვე განზრახული ჰქონდა, როგორც პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიება. იგი ბაგრატს ზრდიდა „მპყრობელად ორსავე კერძოსა ტაოსა" **(ქ. ცხ. 1955:275)**.

საქმე ის იყო, რომ, როგორც ვთქვით , „ქართველთა სამეფო X ს-ის 60-

იან წლებში ორ ხელისუფალს შორის იყო გაყოფილი. მისი დიდი ნაწილი და იმიერტაო დავით III-ს ეკუთვნოდა, ამიერტაო და შავშეთი—ბაგრატ II-ს. დავითის ჩანაფიქრით ბაგრატ გურგენის ძე, როგორც მისი შვილობილი და ბაგრატ II-ის შვილიშვილი, „ორსავე კერძოთა ტაოსა“ კანონიერი მემკვიდრე გახდებოდა. იგი ხელახლა გააერთიანებდა ბაგრატიონთა სამფლობელოს. „მატიანე ქართლისას“ ავტორის გადმოცემით, ეს დავით III-ის სანუკვარი ოცნება იყო. იგი გასაგები გრძნობაა ფეოდალ-მესაკუთრისა და უშვილო მეფის თვალსაზრისითაც: წინაპართა დიდ სამკვიდროში, ისევე როგორც, ბაგრატ I კურაპალატიდან (გარდ. 876 წ.) იყო დამკვიდრებული. გაბატონებული კვლავ ტაოს ბაგრატიონთა შტო რჩებოდა.

მაგრამ არსთა გამრიგე ბაგრატს გაცილებით უფრო დიდად იღბლიან მომავალს უმზადებდა.

X ს-ის 70-იან წლების შუა ხანებში „აფხაზთა სამეფოს “ მეტად კრიტიკული პერიოდი დაუდგა. მეფე გიორგი II (922—957) თითქოს გრძნობდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს შორის ბრძოლა ატყდებოდა. ამიტომ თავისი ორი ვაჟი თეოდოსი და ბაგრატი გასაზრდელად ბიზანტიაში გაგზავნა. გიორგი ტაბტზე უფროსმა ძემ ლეონ III-მ შეცალა. იგი კახეთის ქორეპისკოპოსთან კვირიკე II-სთან (929—976) გაჩაღებული ბრძოლის დროს დაავადდა, 967 წელს უძეოდ გარდაიცალა. გამეფდა მისი ძმა დემეტრე II (967—975). მას ქვეყნის შიგნით ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. „კაცთა ვიეთნამე ამის ქვეყნისათა“ ბიზანტიაში მყოფ თეოდოსის მოუხმეს გამოსულიყო ძმის წინააღმდეგ.

ბიზანტიიდან თეოდოსი პირდაპირ სამცხეში მოვიდა. აქ მან მოახერხა მესხი აზნაურების მიმხრობა და კარგა ძალი ლაშქრის შეკრება. მაგრამ დემეტრე საჩქაროდ გაემართა მის წინააღმდეგ. მოულოდნელად დაესხა თავს თეოდოსისა და მისი მომხრეების ბანაკს. დაამარცხა და გაანადგურა ისინი. თეოდოსიმ მოასწრო გაქცევა და თავი შეაფარა ქართლის ერთ-ერთ დიდებულთან, ძმის მთავართან, ადარნასესთან. „შეიყვანეს იგი ძმის ციხესა და მუნით გამოღმართ ეძიებდა საქმესა თვისსა“, გადმოგვცემს ქართველი მემატიანე (**იქვე:271**).

ამ ამბების კომენტირებისას ივ. ჯავახიშვილი კვლავ „აფხაზთა მეფეების“ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართლის აზნაურების ჩარევის ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას. „ერთი სიტყვით,—წერდა იგი, — აქაც ქართლის აზნაურებმა აფხაზთა მეფის მეტოქესა და მტერს შეუწყეს ხელი და თავშესაფარი მისცეს, რომ ამით თავიანთი ბატონი დაეუძლურებინათ ან არა და თავიანთი მომხრე აეყვანათ ტახტზე“ (**ჯავახიშვილი 1983.107**).

მეფე დემეტრემ ახლა ქართლში გაგზავნა თავისი ლაშქარი. ალყა დაარტყა ძმის ციხეს. მოოხრდა მიმდგომი სოფლებიც. ალყაში ჩავარდნილებს გაუჭირდათ. ითხოვეს თეოდოსის უსაფრთხოდ გაშვება და ზავი. დემეტრე

დათანხმდა. თეოდოსი ტაოში წავიდა დავით III-სთან. იქ მან ერთი წელი დაჰყო. შემდეგ თეოდოსიმ დატოვა ტაო და კახეთში გადავიდა კვირიკე V-სთან. დემეტრემ შუამავლები მიუგზავნა ქორეპისკოპოსს. მოითხოვა თეოდოსის გადაცემა, ხელშეუხებლობისა და თავის თანამმართველად დასმის პირობით. კვირიკემ დაითანხმა თეოდოსი მიეღო ძმის მიერ წამოყენებული პირობები. თანაც აღუთქვა, რომ თუ დემეტრე მათ არ შეასრულებდა მაშინ ძალის გამოყენებით გაუსწორებდა მას ანგარიშებს.

თეოდოსი მიენდო კვირიკეს თავდებობას. მას დამატებითი გარანტიების მიზნით სვეტიცხოველის ტაძარში კათალიკოსმა, სხვა მღვდელთმთავრებმა და დიდებულებმა ფიცით დაუმტკიცეს აღთქმული. მაგრამ დემეტრემ, როგორც კი ჩაიგდო ხელში თეოდოსი ფიცი და დაპირებები დაივიწყა და ძმას თვალები დათხარა (ქ. ცხ. 1955:272).

ამის პასუხად დემეტრეს მოწინააღმდეგეებმა აჯანყება მოუწყვეს და მისი ძმის, რომელსაც „ერქუა ჩალა-მეფე" ტახტზე დასმა მოინდომეს. მაგრამ ვერ შეძლეს „რამეთუ დემეტრე მეფე იყო მხნე და ახოვანი" ჩანს დემეტრემ ენერგიული ღონისძიებებით აღკვეთა ოპოზიციონერთა გამოსვლა და ხელისუფლება განიმტკიცა.

· აღწერილი მოვლენები მიუთითებენ კრიზისულ ვითარებაზე, რაც „აფხაზთა სამეფოს" შეექმნა „ქართლსა ზედა ბრძოლაში". დემეტრე II-ს ნაცვლად ახალი ტერიტორიების შემოერთებაზე ზრუნვისა, თავდაცვითი ბრძოლები უხდება ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს მხარს უჭერენ მესხი აზნაურები, დავით III და კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე. ეს ძალები დემეტრე II-ს უპირისპირებენ მის ძმებს—თეოდოსის და ჩალა-მეფეს. ამ ძალებს სხვადასხვა მიზნები ამოძრავებდათ. თუ ქართლის დიდებულები, მესხი აზნაურები და დასავლეთ-ქართველი მათი თანამოძმენი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგენი იყვნენ და საქართველოს გაერთიანების პროცესს ამუხრუჭებდნენ, კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე II და დავით კურაპალატი თვითონ ოცნებობდნენ „ქართლისა ზედა ბრძოლაში" ჰეგემონობაზე და ამიტომ სურდათ „აფხაზთა მეფის" დასუსტება.

ამ ძალების ახალ გააქტიურებას დემეტრე II-ის სიკვდილმა მისცა ბიძგი. 975 წელს მათ ისარგებლეს ქუთაისის ტახტის უმემკვიდროდ დარჩენით და იქ მეფეთ თვალებდამწვარი თეოდოსი გამოაცხადეს. ეს ადგილობრივ დიდებულთა ინიციატივით მოხდა. მაგრამ იგი აწყობდა დავით III-საც. ის ფაქტი, რომ ბიზანტიიდან დაბრუნებული თეოდოსი პირდაპირ მესხეთში მივიდა და იქედან გააჩაღა ბრძოლა ძმის წინააღმდეგ შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. ტაოს მეფე მაშინ ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. მას დახმარებისათვის ბიზანტიის კეისარიც კი მიმართავდა და მისი მოკავშირეობა თეოდოსისათვის დიდი შემწეობა უნდა ყოფილიყო. გ. მე-

ლიქიშვილი აღნიშნავს იმ მჭიდრო ხანგრლივ კონტაქტს, რომელიც დავით კურაპალატსა და თეოდოსის შორის არსებობდა და „მატიანე ქართლისაში“ აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე თავისთავში პასუხის შემცველ, ბუნებრივად მოსალოდნელ, კითხვას სვამს: თეოდოსის ტახტზე ასვლისას ტაოს მეფემ ხომ არ აღმოუჩინა შემწეობაო? **(მელიქიშვილი 1973:10)**.

თეოდოსის გამეფებისთანავე გაირკვა, რომ ეგრის-აფხაზეთის სამეფო ქართლს ვერ შეინარჩუნებდა. საქართველოს ამ ცენტრალური რეგიონის ხელთგდება კახელებმა სცადეს. დაიწყეს მათ უფლისციხეზე შემოტევით. ქართლის ერისთავი ამ დროს იყო იოანე მარუშის ძე. ნ. ბერძენიშვილის თქმით იგი დემეტრე II-ის მომხრე და ანტისეპარატისტი მოღვაწე იყო. მეფესთან ერთად ებრძოდა თეოდოსის. „იოანე მარუშის ძე ქართლის ერისთავად თეოდოსის თვალთ დაბნელების შემდეგ დანიშნა დემეტრემ“ **(ბერძენიშვილი 1979:69)**.

იოან მარუშის ძე, განსხვავებით სხვა ქართველი ფეოდალებისაგან, საქართველოს გაერთიანების გულმხურვალე მომხრე და აქტიური მებრძოლი იყო. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ბაგრატ III-ის აღზევებასა და გაერთიანების პროცესის დაჩქარებაში. მიუხედავად ამისა, პროცესის საწყისი ეტაპის შემდეგ არც იოანე და არც მისი შთამომავლები ბაგრატის კარზე აღარ ჩანან, „აგეთი ნამსახური იოანე... ან მისი ჩამომავლობა რა იქნა-“ო, კითხულობდა ნ. ბერძენიშვილი **(იქვე)**. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ქართველ მემატიანეებს მეფეების გარდა სხვა მოღვაწეების საბოლოო ბედი იშვიათად აინტერესებდათ. ალბათ, ამ უმადურ ტრადიციას გადაჰყვა ეს უანგარო მოღვაწეც!

მართალია, პირდაპირი მითითება არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება ზოგიერთი ვარაუდი გამოვთქვათ იოანე მარუშის ძის წინაპრებისა და მემკვიდრეების შესახებ. იგი წარმოშობით დასავლეთელი ფეოდალი იყო. არაა გამორიცხული, რომ მისი წინაპრები „დალი-წებელდელი სვანები ყოფილიყვნენ“ **(ბერძენიშვილი 1990:607)**. აშავე ავტორის ძიხედვით, მათი გვარსახელის განვითარება ასე უნდა წარმართულიყო: მარუშიანი, მარუშის ძე, მარშანია **(იქვე)**. ეს გათვლა, რომ სწორია დასტურდება წებელდაში მე-19 საუკუნის დასასრულისათვის მარშანიების ძლიერი საგვარეულოს არსებობით **(მესხელიშვილი 1980:146)**. ივ. ჯავახიშვილსაც, მართალია, ამის შესახებ საგანგებოდ არ უმსჯელია, მაგრამ ამ ორ გვარს შორის განსხვავებას ვერ ხედავდა და ქართლის ერისთავს ხან მარუშიანად იხსენიებდა, ხანაც მარუშის ძედ **(ჯავახიშვილი 1984:90)**.

დ. ბაქრაძე და ვ. ცისკარიშვილი მარუშიანებს ფეოდალურ საგვარეულოდ მიიჩნევენ და მას მიაკუთვნებენ კემურდის 964 წლისა და დიდი გოგარეთის წარწერებში მოხსენიებულ ერისთავთერისთავს ზვიადს და ზვიად მარუშიანს. ნ.შოშიაშვილი უარყოფს იმ დროს მარუშიანთა საგვარეულოს

არსებობას და მიაჩნია, რომ მარუშიანი მამაკაცის სახელია, რომელიც გვხვდება სხვადასხვა საგვარეულოში. „რაც შეეხება დიდი გომარეთის წარწერაში ზვიად-მარუშიანის მოხსენიებას,—წერს იგი,—ჩვენის აზრით, აქ საქმე გვაქვს გაორმაგებულ სახელთან, რაც ხშირად გვხვდება ამ დროის ონომასტიკონში. ლივადის წარწერაში ზვიადის ძედ ვარდას ანუ ვარდანის მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ეს ზვიად ერისთავთ-ერისთავი, ისევე როგორც დიდი გომარეთის წარწერაში მოხსენიებული ზვიად-მარუშიანი და კემურდოს საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული ერისთავი ზვიადი ეკუთვნიან ვარდანის ძეთა საგვარეულოს“ **(შოშიაშვილი 1966:58)**.

ამ მოსაზრებაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჯავახეთის ერისთავთერისთავი 964 წლის ახლო ხანებში ყოფილა ზვიად მარუშიანი ვარდანის ძე. კუმურდოს წარწერიდან ჩანს, რომ იგი იქ წარმოადგენდა ეგრის-აფხაზეთის მეფის ლეონ III-ის ხელისუფლებას **(ქწკ I 1980:264)**. ამდენად, დასაშვებია, რომ დემეტრე II-ის მიერ ქართლის ერისთავად დანიშნული იოანე ამ ზვიად მარუშიანის შვილი იყო და ამიტომ იხსენიებს მას „მატიანე ქართლისას“ ავტორი მარუშის ძედ. ხოლო რამდენადაც ზვიად მარუშიანი ვარდანის ძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა **(დ.ბერძენიშვილი 1985:92)**, იოანე ვარდანის ძე იქნებოდა.

მომდევნო ხანის ამბების გათვალისწინებით ამ ვარაუდს შეიძლება გაგრძელება მოენახოს. ქართული ონომასტიკისათვის დამახასიათებელია შვილიშვილისათვის პაპის სახელის დარქმევა. ბაგრატ III-ის სიცოცხლის უკანასკნელ წლებსა და გიორგი I-ის დროის (1014—1027) ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწედ და მთავარსარდლად მოიხსენიება ზვიად ერისთავთერისთავი. მან წამოასვენა ბაგრატ III-ის ცხედარი ტაოდან და დამარხა ბედიას **(ქ. ცხ. 1955:283)**. გიორგი პირველმა კი ზვიად ერისთავი ბასიანში შემოჭრილ ბასილ კეისართან მიავლინა „სპითა მისითა და უბრძანა, რათამცა ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმშვირვა ადგილსა“, ე.ი. ზვიადს მოლაპარაკების გზით დროის გაყვანისათვის უნდა მიეღწია, თვითონ კი საბრძოლო მზადება დაიწყო, იმ შემთხვევისათვის თუ კეისართან მშვიდობის მიღწევა შეუძლებელი გახდებოდა **(იქვე: 287)**. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ზვიად ერისთავი იყო იოანე მარუშის ძის შვილი. მას ერქვა პაპის სახელი ზვიადი და ვარდანისძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი სხვა საბუთი არა გვქვს, მაგრამ თუ ეს ჩვენი ვარაუდი სინამდვილეს წარმოადგენს, მაშინ ნ. ბერძენიშვილის მიერ დასმული კითხვა,რატომ არ სჩანს ბაგრატის კარზე იოანე მარუშის ძის შთამომავლებიო—თავისთავად მოიხსნება.

ნ.ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფის დემეტრე II-ის მიერ დანიშნული ერისთავი იოანე მარუშის ძე, ცენტრალური ხელისუფლებისადმი თავისი დამოკიდებულებით, არასასურველი პიროვნება იყო არა მარტო ქართლის აზნაურთათვის, არამედ „ქართლსა ზედა მებრძოლი“

კახეთისა და სომხეთის ხელისუფალთათვისაც (**ბერძენიშვილი 1979:69**). არ ეყვარებოდა იოანე არც თეოდოსის, მხოლოდ მათი ძველი დამოკიდებულების გამო კი არა, იმიტომაც რომ მალე აღმოჩნდა ერისთავი თავისი შეხედულებისამებრ მოქმედებდა და მეფეს ანგარიშს არ უწევდა. რაც შეეხება დავით III-ს, გარკვეულ დროს მაინც, მისი და იოანე მარუშის ძის ზრახვები ერთმანეთს ემთხვეოდა.

ზევით დავიწყეთ საუბარი იმის შესახებ, რომ 975 წელს, თეოდოსის ხელისუფლების სისუსტით ისარგებლეს კახელებმა და ერისთავის რეზიდენციას, უფლისციხეს შემოერტყნენ. ერისთავი იოანე მარუშის ძე, მართალია, „კაცი ძლიერი და ერმრავალი" იყო, მაგრამ შემოსეულებს მარტო ვერ უმკლავდებოდა[1]. მან ნაცვლად თავისი სუზერენის თეოდოსისა, დახმარებისათვის დავით III-ს მიმართა. გაგზავნილ მოციქულს იოანემ ტაოს მეფესთან დააბარა, რომ იგი თავისი ლაშქრით მოსულიყო ქართლში, დაეკავებინა იგი და ან თავის სამფლობელოდ გაეხადა, ანდა მისი შვილობილის ბაგრატისათვის ებოძებინა (**ქ.ცხ. 1955:272**). მემატიანე მიუთითებს, რომ იოანე მარუშის ძე ამ მეორე ვარიანტს უფრო ემხრობოდა, რადგან „ეძებდა ბაგრატს მეფედ", ე.ი. მისი გამეფება სურდა.

ქართლის ერისთავი, ფაქტობრივად ეგრის-აფხაზეთის მეფისნაცვალი იყო ამ ქვეყანაში. იგი უფლისციხეში იჯდა (**მუსხელიშვილი 1980:224**). რაც ნიშნავდა, რომ მთელ ქართლს მართავდა. ამიტომ მისი საქციელი ამ შემთხვევაში, უცნაურად გამოიყურება. ვინაიდან, გ. მელიქიშვილის სამართლიანი შენიშვნით: იოანე მარუშის ძე „ისე თავისუფლად განაჩუქებს ქართლს, რომ მეფისნაცვლისთვის უეჭველად შეუფერებელ როლში გვევლინება" (**მელიქიშვილი 1973:9**). ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ქართლის ერისთავს, როგორც ჩანს, ყველაფერი თავიდან ჰქონდა გათვლილი. მან იცოდა ვის მფარველობაშიც (მოურავობაში) გადასცემდა ქართლს. დავით მესამე ის ხელისუფალი არ იყო ვისაც ბრძა თეოდოსი ქართლისათვის ბრძოლას გაუბედავდა. უფრო მეტიც, ტაოს მეფის მეოხებით თვით იოანე მარუშის ძეც დაუსჯელი დარჩა და „სახელმწიფოს ერთი ნაწილის გაჩუქების შემდეგ, იგი ჩანს, მშვიდად განაგრძობდა საქმიანობას საკუთრივ აფხაზეთში (**იქვე**).

დავით III მოწონებით გამოეხმაურა იოანე საბანის ძის თხოვნას. ლაშქრით მოვიდა ქუახვრელთან. ქართლის ერისთავი მიეგება მას და გადასცა უფლისციხე. დავითმა უფლისციხე და ქართლი ბაგრატს და მამამისს გურგენს უბოძა. მემატიანე შემდეგ აზუსტებს: რადგან ბაგრატი ჯერ კიდევ სრულასაკოვანი არ იყო, ამიტომ თანაგამგებლად მას მამა გურგენი მიუჩინაო. დავით III-მ ამ აქტს საჯარო სახე მისცა. „შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი" (**ქ. ცხ. 1955:274**). ტაოს მეფემ რამდენიმე

[1] მაშასადამე, საჭიროებით გაასაზარებელია ზ.პაპასქირის მტკიცება, რომ „ქართული ქვეყნების ბაგრატ უფლისწულის ირგვლივ შემოკრების იდეა შემუშავდა კახთა მოძალების სპირისპირად" (**პაპასქირი 1990:66**)

დღე დაჰყო ქართლში და შემდეგ თავის მამულში გაემგზავრა. კონფლიქტი ამჯერად ამით ამოიწურა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ფაქტის კომენტირებისას მთავარ ყურადღებას აქცევენ ბაგრატ III-ის ქართლში გამეფებას, რაც საქართველოს გაერთიანებისათვის საფუძვლის დამდები მოვლენა გახდა, რადგან ბაგრატი დედის მხრივ აფხაზეთის ტახტის მემკვიდრე იყო, მამით— „ქართველთა სამეფოსი", ხოლო დავით III-ის შვილობილობა მას „ორსავე ერძოსა ტაოსა" მპყრობელად გახდომის პერსპექტივას უქმნიდა. „შემთხვევით არ არის, —წერს მ.ლორთქიფანიძე, —რომ მათი (იოანე მარუშის ძისა და მისი მომხრე მოწინავე ქართველების.—გ.მ.) არჩევანი სწორედ ბაგრატზე შეჩერდა. გარდა საკუთარი ინტერესებისა, აუცილებელი იყო მეფობის კანდიდატისათვის გამეფების კანონიერი საფუძვლის არსებობა. ბაგრატ ბაგრატიონის გენიალოგია კი ასეთი კანონიერი საფუძვლის მოძებნის შესაძლებლობას იძლეოდა... ბაგრატი თავის პიროვნებაში საქართველოს ცალკეული კუთხეების ერთიანობის იდეას ახორციელებდა" **(სიხ 1973:512)**.

ასეთი შეხედულება სავსებით სწორია, მაგრამ, ჩემი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს ამ აქტთან დაკავშირებულ კიდევ ერთ გარემოებასაც. საქმე ისაა, რომ დავით მესამემ და იოანე მარუშის ძემ ქართლი აფხაზეთიდან გამოყვეს და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს. ე.ი. ბაგრატის გამეფება, გარკვეულ დრომდე, საქართველოს გაერთიანებისაკენ გადადგმული ნაბიჯი კი არ იყო, არამედ ქართულ მიწაზე, თანაც, მის შუაგულში, ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნას მოასწავებდა. თანაც ამ ერთეულს არც სოციალური საყრდენი და არც სამხედრო ძალა გააჩნდა „ქართლსა ზედა ბრძოლაში" ჩაბმისა და წარმატების მისაღწევად.

ეს მალე დამტკიცდა. ბაგრატის გამეფებიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, „ვითარცა არს ჩუეულება ქართლის აზნაურთა", ნაქურდეველნი და საბოტარელნი შეითქვენ, კახეთიდან მოიყვანეს ლაშქარი და გადასცეს მას უფლისციხე. ბაგრატი მისი დედ-მამით დაატყვევეს და კახეთს წაასხეს.

დავით კურაპალატმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი მაშინვე მთელი თავისი ლაშქრით გაემართა კახელების დასასჯელად. როცა მან მიაღწია თრიალეთს და ემზადებოდა კახეთში შესაჭრელად, მასთან გამოცხადდნენ კახთა მოციქულები და ზავი ითხოვეს. შეთანხმების პირობით ბაგრატი და მისი მშობლები განთავისუფლდნენ ტყვეობიდან. მათ დაუბრუნეს უფლისციხე და ქართლი. კახელებმა შეინარჩუნეს მხოლოდ წირქუალის ციხე და გრუი **(ქ.ცხ. 1955:275)**. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, იმავე 975 წელს უნდა მომხდარიყო, რომ ბაგრატ III ქართლში გამეფდა. ამას ადასტურებს „მატიანე ქართლისა", როცა ბაგრატის აფხაზეთში გამეფებას კახთა ტყვეობიდან მისი გამოხსნის მესამე წლით ათარიღებს **(იქვე)**. „მეფეთა დივანიდან" კი ირკვევა, რომ ბაგრატი ეგრის-აფხაზეთში 978 წელს დაჯდა სამეფო ტახტზე.

„მატიანეს" მიხედვით ეს შემდეგნაირად მოხდარა. ეგრის-აფხაზეთში ბრძა თეოდოსის წყალობით ისე აწეწილ-დაწეწილა და გაერანებულა ქვეყანა, რომ ყოველგვარი წესისა და რიგის დაცვა შეუძლო გამხდარა.

დასავლეთ-ქართველი დიდებულები დარწმუნებულან, რომ თეოდოსის ტახტზე დატოვების შემთხვევაში უფრო უარესიც იყო მოსალოდნელი. უკმაყოფილოებს კვლავ იოანე მარუშის ძე ჩაუდგა სათავეში. მან და მისმა მომხრეებმა მოამზადეს ნიადაგი თეოდოსის გადასაყენებლად. მისი შემცვლელი კი მხოლოდ ბაგრატ ბაგრატიონი შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან უსინათლო მეფეს სხვა უფრო კანონიერი მემკვიდრე არ ჰყავდა. თუმცა ეს საკითხი მთლად მარტივად გადასაწყვეტი არ იყო. „მატიანეს" ავტორი შემთხვევით არ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ იოანე მარუშის ძეს ამ აქციაში მხარს უჭერდნენ, აფხაზეთისა და ქართლის ყველა დიდებული, ერისთავი და აზნაური. ჩანს ასეთი ერთსულოვნება აუცილებლობას წარმოადგენდა ბაგრატის ქუთაისის ტახტზე აღზევებისათვის. მაგრამ საკმარისი ესეც არ აღმოჩნდა. ბაგრატის ეგრის-აფხაზეთში გამეფებას მისი „მოურავისა და თანაშემწის" დავით კურაპალატის თანხმობა ესაჭიროებოდა. ტაოს მეფემ კი ამჯერად ისე ოპერატიულად არ უპასუხა იოანე მარუშის ძისა და მისი მომხრეების თხოვნაზე, როგორც ეს ბაგრატის ქართლში გამეფების დროს გაკეთა. ივ. ჯავახიშვილი ამას დავით კურაპალატის სიფრთხილით ხსნიდა. გ. მელიქიშვილს კი ტაოს მეფის თავშეკავების მიზეზად სხვა მოტივები აქვს დასახელებული. მისი აზრით, 975 წელს ბაგრატის ქართლში გამეფება დავითს ესმოდა, როგორც საკუთარი სამფლობელოს გაფართოება. ე. ი. „ბაგრატი ისახებოდა ტაო-კლარჯეთ-ქართლის მომავალ მმართველად" **(მელიქიშვილი 1973:10)** და აფხაზეთში მისი გამეფება მაშინ გათვალისწინებული არ უნდა ყოფილიყო. ასეთი პერსპექტივა არც იყო ხელსაყრელი ტაოს მეფისათვის. აფხაზეთის სამეფო გაცილებით ძლიერი და ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ვიდრე ტაო-კლარჯეთი. ამიტომ მისი შემოერთების მიზნად დასახვა დეცენტრალიზებული ტაო-კლარჯეთის მმართველებისათვის თავის მოტყუება იქნებოდა. „პირიქით, ბაგრატის აფხაზეთში გამეფებით ქართლის დაუფლების იმედიც ქრებოდა და ეს უკანასკნელი მტკიცედ გადადიოდა აფხაზეთის ხელში" **(იქვე: 12)**.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ სულ სხვაგვარ პლანში უნდა წარმოვიდგინოთ დავით კურაპალატის როლი საქართველოს გაერთიანების პროცესში, რაც გარდა ინტუიტიური მიგნებისა სხვა დამატებით დასაბუთებასაც მოითხოვს. ისინი კი ჯერჯერობით მეცნიერულ მიმოქცევაში წარმოდგენილი არ არის[1] ამიტომ უფრო სწორად უნდა ჩავთვალოთ ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ დავით მეფე სიფრთხილეს იჩენდა. მას ამის საფუძველი ჰქონდა: ბაგრატი მართალია, სრულასაკოვანი, მაგრამ გამოუცდელი იყო. არასტაბილურ ქვეყანაში გამეფება მას ცხადია, საფრთხეს უქმნიდა. თანაც, ტაოს მეფეს კარგად ეხსომებოდა გაფრთხილების მიუხედავად, როგორ მოექცნენ მის შვილობილს ქართლის დიდებულები, როცა იგი მშობლებითურთ ჯახელებს ტყვედ ჩააბარეს. ამიტომ დავით კურაპა-

[1] ასეთი მსჯელობა ს. პაპასქირისაც არ მიიჩნია დამაჯერებლად და მისაღებად **(პაპასქირი 1990:22)**.

ლატი ბრძნულად მოიქცა: მან ვიდრე მძევლები არ ჩამოართვა აფხაზეთ-ქართლის დიდებულებს, თხოვნა არ აუსრულა. ამის შემდეგ ახალგაზრდა ბაგრატი ქუთაისში ჩაიყვანეს და „დალოცეს მეფედ“ (**ქ.ცხ. 1955:275**).

ნ. ბერძენიშვილს ცოტა ხნის გასვლის შემდგომ, ამ მოვლენაში კიდევ ერთი ნიუანსი აქვს შემჩნეული. ქართლში მყოფი ბაგრატი ჩქარობს დედის გურანდუხტის ჩაყვანას აფხაზეთში. ამის მიზეზს მემატიანე არ აჩვენებს, მაგრამ ბატონი ნიკო ვარაუდობდა „რომ აქ ლეგიტიმურობის საკითხი იდგა“ (**ბერძენიშვილი 1975:185**). ე.ი. ბაგრატი გურანდუხტის გარეშე აფხაზეთში მტკიცე ლეგიტიმურ საფუძვლებზე ვერ გრძნობდა თავს. იგი დედის ქუთაისში ყოფნით ოპოზიციონერების პრეტენზიებს, მათი მოქმედების კანონიერებას საფუძვლებს აცლიდა. გურანდუხტს ხელისუფლების უკანონოდ ფლობის ბრალდებას ვერავინ წაუყენებდა. იგი ეგრის-აფხაზეთის მეფეების პირდაპირი შთამომავალი, მეფე გიორგი II-ის ასული გახლდათ[1].

ზევით ითქვა, რომ ბაგრატის აფხაზეთში გამეფება მოხდა ქართლში მისი დამკვიდრების შემდგომ „ვითარ გარდახდა წელიწადი ამას შინა სამი“ (**ქ.ცხ.1955:275**), ე.ი. 978 წელს. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ამ თარიღის შესამოწმებლად არსებულ იმავე ავტორის მეორე ცნობას: ბაგრატ III „მეფობდა ოცდათექვსმეტ წელს და გარდაიცვალა მხცითა შუენიერითა შემკობილი ქორონიკონსა ორას ოცდათოთხმეტსა“ (**იქვე: 283**), რაც უდრის 1014 წელს (780+234=1014). მაშასადამე, ბაგრატი ეგრის-აფხაზეთში გამეფებულა 978 წელს (1014-36=978), „ამგვარივე თარიღი,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,—ჩანს ათონის მონასტრის ერთ ხელნაწერში (**ჯავახიშვილი 1983:125**). ეს თარიღი (978 წელი) საყოველთაოდ გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში (**სინ 1973:489**).

მემატიანის ცნობით, ბაგრატ III გამეფებისთანავე არ შედგომია ქვეყნის მოწესრიგებისა და მმართვის საქმეს. ივ. ჯავახიშვილი ამას იმით ხსნიდა, რომ „ჯერ საქმის მდგომარეობისა და ცხოვრების ვითარების გაგება იყო საჭირო (**ჯავახიშვილი 1983:125-126**). მაგრამ შეიძლება ამის მიზეზი სხვაც ყოფილიყო. ბაგრატის გამეფებისთანავე თეოდოსი ჩანს არ ჩამოცილებია ხელისუფლებას. მართალია, თეოდოსი უსინათლო და სხვათა ხელში სათამაშო ტიკინად ქცეული პიროვნება იყო, რომელმაც ქვეყანას ნგრევისა

---

[1] ირკვევა, რომ გურანდუხტი ეგრის-აფხაზეთის სამეფოში შვილთან ერთად გარდაცვალებამდე იოლებოდა ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლად. ამას ადასტურებს ბაგრატის ტაძრის სააღმშენებლო წარწერა. სადაც იკითხება: „შეწევნითა ღმრთისაჲთა, ბაგრატისაგან—ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა—გურანდუხტ დედოფლისა, აღეშენა წმინდაჲ ესე საყდარი ხელითა...“ (**ქწ II, 1980:53**). ეს წარწერა გაკეთებულია 1001-1008 წლებში. ამ დროს ცოცხალია მეფეთა-მეფე გურგენი, ბაგრატს ცოლიცა ჰყავს და შვილიც (ეს იმავე ტაძრის ჩრთილოეთის კედლის წარწერიდან ჩანს; **იქვე:54**), მაგრამ ტაძრის ქტიტორად მხოლოდ „აფხაზთა და ქართველთა მეფე“ და დედამისია გამოცხადებული. ჩანს გამეფებიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც, გურანდუხტის მოხსენიება ბაგრატის გვერდით მაინც აუცილებლად ყოფილა მიჩნეული. ტაძარი ხომ იმ ქვეყანაში შენდებოდა სადაც გურანდუხტი ერთადერთი ლეგიტიმისტური მემკვიდრე იყო.

და უსიამოვნების მეტი ვერაფერი მოუტანა, მაგრამ იგი, როგორც კანონიერი მეფე დიდ დასაყრდენს წარმოადგენდა ბაგრატის მოწინააღმდეგეებისათვის. ამიტომ ბაგრატ III-ს „უნდა იმ ორჭოფი მდგომარეობისათვის მიექცია ყურადღება, რომელმაც სახელმწიფო მართვა-გამგეობა ასე არევდარია. შეუძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ორი მეფე ყოფილიყო გამგეე" (იქვე:126). ბაგრატისაგან ეს ვითარება გადამჭრელ ღონისძიებას მოითხოვდა. მან ამ შემთხვევაშიაც(როგორც შემდეგ არაერთხელ) გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე. უსინათლო ბიძა თავის გამზრდელთან—დავით კურაპალატთან გაგზავნა. „რამეთუ ესე საქმე გამონახა უმჯობესად", რომ ამიერიდან „დიდთა და მცირეთა" მისი კრძალვა ჰქონოდათ (იქვე:127).

გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ბაგრატისაგან გამოძევებულმა თეოდოსიმ დავითს თვითონ შეაფარა თავი (მელიქიშვილი 1973:10). მაგრამ მემატიანე პირდაპირ მიუთითებს: ბაგრატმა თავისი დედის ძმა გამოგზავნა ტაოს მეფესთანო. ეს გადაწყვეტილება მას ძლიერ მოსწონს. ახლგაზრდა ბაგრატის ამ მოქმედებაში ხედავს მსგავსებას „პაპისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა, გინა თუ უმეტესადრე ვთქუა, რამეთუ ყოვლითურთ მიემსგავსებოდა ქცევასა გამზრდელისა თვისისასა, დიდისა მეფისა დავით კურაპალატისასა" (ქ.ცხ. 1955:275). ივ. ჯავახიშვილს ზუსტად აქვს მითითებული ამ ფაქტის თარიღი—980 წელი.

ამის შემდეგ ბაგრატმა თავისი ყურადღება ქართლისაკენ მიმართა. ქართლის მმართველად მას დატოვებული ჰყავდა დედამისი—გურანდუხტი. მის ხელისუფლებაში ქართლის აზნაურები თავს, როგორც ჩანს, შეღავათიანად გრძნობდნენ[1] ყოველ შემთხვევაში მემატიანე წერს: „თვითეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა"-ო. ბაგრატს ეს არ მოსწონდა, მისი აზრით, „საქმენი დაშლილნი ქართლისანი" უშუალოდ მეფის მმართველობას უნდა დაქვემდებარებოდა. ამიტომ იგი „გარდამოვიდა ქართლს" და „დადგა თიღვას". ქართლის აზნაურებს „არა ენება გადმოსვლა მისი". ეს მათი სურვილისამებრ მოქმედების საშუალების დაკარგვას მოასწავებდა. უფრო მეტიც, მემატიანის ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ ქართლი ბაგრატის აფხაზეთში გამეფების შემდეგ თითქოს აღარც კი ითვლება ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ნაწილად. ასე თუ არა, მაშ, როგორ უნდა გავიგოთ ის გარემოება, რომ ბაგრატმა მხოლოდ ბრძოლის გზით შეძლო „თავის სამეფოში" შესვლა.

ქართლის აზნაურებმა ბაგრატის თიღუას დადგომა შეიტყვესო,—გადმოგვცემს მემატიანე,—„იწინამძღურეს ქაეთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუხანა სპათა თვისთა, მივიდეს და შეებნეს. იოტნეს ქართველნი: რომელინიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს" (იქვე: 276).

[1] ზ. პაპასქირს დასაშვებად მიაჩნია, რომ ამ დროს „ქართლის აზნაურობა და გურანდუხტი ერთ ბანაკში იყვნენ" (პაპასქირი 1990:69).

ბაგრატ III-ის ამ პირველსავე საბრძოლო შეტაკებაში ჩანს, თუ როგორი „მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელი ნების პატრონ მეფეს ჩაუვარდა ხელში“ საქართველოს გაერთიანების საქმე (ჯავახიშვილი, 1983:126). ამ გზაზე შეხვედრილი წინააღმდეგობის რადიკალური მოქმედებით გადალახვა და მოწინააღმდეგეების დაუზოგველობა მისთვის უცხო ხილი მთელი ცხოვრების განმავლობაში არ ყოფილა: ბაგრატს მრისხანე და გაუტანელ ეპოქაში მოუხდა მეფობა და მისი მხრივ არაადეკვატური მოქმედება ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი უძლურების გამოვლინება იქნებოდა.

ცხადია, კომპრომისზე წასვლა ბაგრატს არც აღწერილ კონკრეტულ მომენტში შეეძლო—ქართლის აზნაურები მას ხომ ჭავთარ ტბელის მეთაურობით „ბრძოლად მოეგებნენ“. ახალგაზრდა მეფეს კარგად ეცოდინებოდა[1] თუ, როგორ უშრომდნენ სისხლს ქართლის აზნაურები მის წინაპარ „აფხაზთა მეფეებს“ და ამიტომაც მოექცა იგი მოწინააღმდეგეებს შეუბრალებლად. მემატიანე იმ ეპიზოდში ჭავთარ ტბელს შემთხვევით არ ასახელებს. ტბელები ჯერ ეგრის-აფხაზეთის, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის აზნაურების წინამძღოლები იყვნენ. ჯერ კიდევ ბაგრატის პაპის გიორგის დროს, X ს-ის 20-იან წლებში, „ტბელნი და სხუანნი აზნაურნი“ მიემხრნენ აფხაზთა მეფის მიერ ქართლში ერისთავად დანიშნულ მის ძეს უფლისწულ კონსტანტინეს. მათ სურდათ ქართლი ჩამოეცილებინათ ეგრის-აფხაზეთისათვის, ესარგებლათ ერისთავის სისუსტით და თავიანთ მამულებში შეუვალობა მოეპოვებინათ. გიორგიმ მთელი თავისი ლაშქრით, „ტაოელი მეფეებისა“ და კახეთის ქორეპისკოპოსის ფადლა II-ის (918-929) დახმარებით, ალყა დაარტყა უფლისციხეში გამაგრებულ კონსტანტინეს და აჯანყებულებს. რამდენიმე თვის მედგარი ბრძოლის შედეგად, მოკავშირეთა დახმარებით, მეფემ გაიმარჯვა. შვილი სასტიკად დასჯა. ხოლო ციხიდან მოტყუებით გამოყვანილ აზნაურებს შედარებით ლმობიერად მოეპყრო. განსაკუთრებით—ტბელებს, რომელნიც „განუტევა მშვიდობით და გაგზავნა იგინი ასფურაგანს“[2] (იქვე:268). ტბელებისადმი განსხვავებული მიდგომა მ. ლორთქიფანიძეს აფიქრებინებს, „რომ ტბელებს ამ დროს სხვა აზნაურებზე მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ქართლში“ (სინ 1973:524). ამავე ავტორს შიდა ქართლის ეპიგრაფიკის შესწავლის ნიადაგზე შესაძლებლად მიიჩნია დაუშვას, რომ ტბელების ფეოდალური გვარის გაძლიერება იწყება IX ს-ის დასაწყისიდან, ქართლში ერისმთავრობის გაუქმების შემდეგ (იქვე:528). ერედვის ეკლესიის 914 წლის საამშენებლო წარწერაში იხსენიება ქართლის „უფალი ივანე ტბელი“. იგი მეფის შემდეგ პირველი პირია შიდა ქართლში. 20-იანი წლებიდან ვითარება იცვლება და ტბელები, რო-

[1] ბაგრატ III ხომ „მეფეთა დივანის“ შემდგენელია, რომელსაც „აფხაზთა მეფეების ისტორიასაც“ უწოდებენ.

[2] ნ. შოშიაშვილის ვარაუდით, შესაძლოა ვასპურაკანში გადასახლებული ტბელების შთამომავალი იყოს XIII ს-ში, სტეფანოზ ორბელიანის თხზულებაში, მოხსენიებული ივანე ტბელი, რომელიც ვარპურაკანის დედაქალაქში დვინში ცხოვრობდა (ქსე, ტ. 9;680).

გორც ვნახეთ, ცენტრალურ ხელისუფლებას უპირისპირდებიან. ისინი ქართლის სხვა აზნაურთა შორის ლიდერებად გამოსჩანან.

შიდა ქართლის ეპიგრაფიკის მიხედვით შეიძლება დადგინდეს ტბელების რამდენიმე თაობა. ზევით დასახელებული ივანე ტბელის შვილად მიჩნეულია დოდოთის ეკლესიის წარწერის (914 წ. ახლო) ქავთარი, რომელიც ტბელად ჯერ არ იწოდება, არამედ მხოლოდ „ტბელის ძედ" (**ქწკ I 1980:177**). ქრონოლოგიურად მომდევნოა ტბეთის ეკლესიის X ს. შუა წლების წარწერის „ოქროპირ ძე ტბელისა" (**იქვე:181**). იმავე ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის შუა სარკმლის წარწერაში (თარიღდება X საუკუნის II ნახევრით) მოხსენიებულია ძმები ოქროპირ და ქავთარი (**იქვე:183**). სავარაუდოა ეს ქავთარი, რომელიც ჯერ ტბელად არ იწოდება, იყოს ის პიროვნება ვინაც „მატიანე ქართლისას" ცნობით (980 წელს) წინამძღოლობდა ქართლის აზნაურებს, ბაგრატ III-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცალკე გამოიყოფა ორ წარწერაში (**იქვე:180 და 182**) მოხსენიებული „ტბელი პატრიკი" საქმე ისაა, რომ ამ ტბელის სახელი დაქარაგმებულია. „ვ.თოფურია მას კითხულობდა „პატრიკმან", რ. მეფისაშვილი კი—„პეტრიკმან" და თვლის, რომ აქ ეს არ არის ტიტული „პატრიკი", არამედ ნიშნავს საკუთარ სახელს „პატრიკს" (**სინ1973:526**). ნ. შოშიაშვილის აზრით, „პატრიკი" ტბელთა საგვარეულოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი იყო, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ტბელებს IX ან მეათე საუკუნეში ჰქონდათ ბიზანტიური ტიტული პატრიკი, რომელიც შემდეგ საკუთარ სახელად იქცა ამ გვარში (**ქსე, ტ.9:680**)

მ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ სახელის „პატრიკის" არსებობა დასაშვებია, მაგრამ „არც ტბელების „პატრიკიოსობა" უნდა იყოს გამორიცხული" (**სინ 1973:526**). ასეთი რამ მით უფრო სარწმუნოა, რომ IX—X საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მმართველთათვის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების ბოძება საგრძნობლად მომრავლებულია. თანაც, ტბელის „პატრიკიოსად" აღზევება შეიძლება იყოს „ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატიური სვლა, მიმართული გაძლიერებული აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ" (**იქვე: 527**). მაგრამ მიუხედავად იმისა, დასახელებული ტბელი პატრიკიოსი იყო თუ არა, მ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ ტბელები შეიძლება შიდა ქართლის ერისთავებად ვიგულვოთ, ჯერ კიდევ აფხაზთა მეფეების მიერ საკუთარი ერისთავების დანიშვნამდე. ამას მხარს უჭერს დოდოთის ეკლესიის წარწერა, სადაც მოხსენიებულია „ივანე ტბელი ერისთავი" (**ОИГ 1988:364**).

ქართლში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დამკვიდრებას შედეგად მოჰყვა ტბელების შეზღუდვა. გიორგი II-მ ქართლში საკუთარი ერისთავების დანიშვნის პრაქტიკა დანერგა. ჯერ იქ იგი თავის შვილებს (კონსტანტი, ლეონი) სვამს ერისთავებად, შემდეგ კი ამ თანამდებობაზე იოანე მარუშის ძე ჩანს. ამიტომაც აგრე აქტიურობენ ტბელები ეგრის-აფხაზეთის მეფეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქავთარ ტბელისა და მისი ბანაკის განადგურების

შემდეგ ეს ფეოდალური გვარი თავისი პირდაპირი შტოთი ფაქტობრივად სწყვეტს არსებობას.

ნ. შოშიაშვილის ვარაუდით, ტბელთა გვარში საკუთარი სახელის „აბაზას" მოხსენიება, საფუძველს იძლევა ამ გვარს დავუკავშიროთ XI საუკუნის ქართლის ერისთავები—აბაზას ძენი. ზოგიერთი მონაცემებით, ტბელებს უკავშირებდა ქართლის მეორე წარჩინებული საგვარეულო-ფავნელები, რომელთა მემკვიდრეები—სურამელებიც ქართლის ერისთავები იყვნენ XIII საუკუნეში **(ქსე, ტ. 9:680)**. დოკუმენტურად დაუდასტურებლობის გამო ამ ვარაუდებს ავტორი კატეგორიული მტკიცების სახეს არ აძლევს. საერთოდ კი ამ საკითხზე მსჯელობისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ტბელების განადგურების შემდეგ ბაგრატ III-ს მნიშვნელოვნად გაუფართოებია ქართლის ერისთავის კომპეტენცია.

ქართლში, საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ფარნავაზის დროიდან არსებობდა სპასპეტის თანამდებობა, რომელიც „შემდგომად მეფისა, მთავრობით განაგებდეს ყოველთა ერისთავთა ზედა" **(ქ. ცხ. 1955:25)**. ვახტანგ გორგასალის კარზეც „ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა" იყო **(იქვე:115)**. ე.ი. სპასპეტობა მეფის შემდგომ მეორე თანამდებობაა სახელმწიფოში. ჩვენ მოკლებული ვართ, შესაძლებლობას კონკრეტულად განვსაზღვროთ ბაგრატ III-ის მიერ აღზევებული ქართლის ერისთავის სტატუსი. მაგრამ ნ. ბერძენიშვილი აფიქსირებს,რომ „ბაგრატ III-დან მოკიდებული, საქართველოში მეფის შემდეგ მეორე პირი ქართლის ერისთავი იყო". ეს ვითარება გრძელდებოდა დავით აღმაშენებლის მიერ ქართლის ერისთავის დამცირებისა და მწიგნობართუხუცესის განდიდებამდე **(ბერძენიშვილი 1973:45)**.

ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის დროს ქართლის ერისთავი-ერისთავის თანამდებობა ზვიადს ეპირა, რომელიც, როგორც ითქვა მარუშიან-ვარდანის ძე უნდა ყოფილიყო.

ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანებისას ქართლის ერისთავია ივანე აბაზას ძე **(ქ.ცხ. 1955:296)**. სწორედ მისი მამის სახელის მიხედვით ვარაუდობენ, რომ იგი შეიძლება ტბელთა გვარიდან იყოს. მაგრამ არ ჩანს, რომ ეს ივანე, როგორც ქართლის ერისთავი მეფის შემდეგ მეორე პირი იყოს სახელმწიფოში. არც ის ვიცით „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში" მოხსენიებულ აჯანყებულ აბაზას ძეთა შორის, ეს ივანე იმყოფებოდა თუ არა. „ცხოვრების" ავტორი აჯანყებულთა მიმართ სიძულვილის გრძნობას ვერ მალავს, მაგრამ მისი დახასიათებით აბაზას ძენი იყვნენ „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულნი და სიმრავლეთა ზედა ერისათა აღზევებულნი" **(ძვ. ქართ. მოთხრ. 1979:412)**.

გამოსვლა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ XI ს-ის შუა ხანებში მოეწყო. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ აჯანყებულ ხუთ აბაზას ძეთა შორის, რომელთაც მიზნად მეფის შეპყრობა ჰქონდათ, ერთი ქართლის ერისთავი იყო. **(ჯავახიშვილი 1983:166)**. ამჯერად მეფემ იმძლავრა და „ხუთნი ერთობით, ვითარცა უძლურნი რაჲმე და ყრმანი ჩვილნი, ეგრეთ შეიპყრა" **(ძვ.ქართ.**

მოთხრ. 1979:412). ეს განდგომა და მარცხი მათ ერისთავობის დაკარგვა დაუჯდათ. ამის შემდეგ აბაზას ძენი დაკნინდნენ და საისტორიო წყაროებში იშვიათად იხსენიებიან **(ქსე,ტ.1:11)**. როგორც ვთქვით, აბაზას ძეთა ტბელებისაგან პირდაპირი ჩამომავლობა დოკუმენტურად არ მტკიცდება მაგრამ აშკარაა, რომ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი ტბელების იდეურ და თანმიმდევრულ მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ.

რაც შეეხება ნ.შოშიაშვილის მეორე ვარაუდს ფავნელთა და სურამელთა ტბელების საგვარეულო სახელთან შესაძლო დაკავშირების შესახებ, იგი ამჯერად ჩვენი თემისათვის ნაკლებად საინტერესო საკითხს წარმოადგენს.

X ს-ის უკანასკნელ ოცწლეულში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ტბელთა საგვარეულოს დაქვეთების თანადროულად, აღზევებას იწყებს „სახლი განმამწარებელთა“ და „ორგულთა“ ბაღვიაშთა გვარი.

ბაღვიაშები, ან როგორც წყაროები იხსენიებენ ბაღვაშები დასავლეთ საქართველოში დიდად დაწინაურებული გვარი იყო. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ მათ VI—VIII საუკუნეებში, როცა ლაზიკაში „უმეფობა“ იყო შეიძლება „მიიღეს მეფის სახელწოდება“ **(ბერძენიშვილი 1990:651)**. ბაღვაშები არგვეთის, ზემო იმერეთის ძველი მფლობელობი იყვნენ. მათ რეზიდენციას კაცხი წარმოადგენდა. ამის გამო ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა რომ ისინი „შეიძლება ქვაკიხულ უფალ შამასახლისთა ჩამომავლობას“ ეკუთვნოდნენ.

IX ს-ის 80-იან წლებში, როცა ლეონ II ეგრის-აფხაზეთის მეფე გახდა ბაღვაშები ვეღარ შეურიგდნენ მეფის გაძლიერებულ ხელისუფლებას, „ვერ აღუდგნენ ეგრის-აფხაზეთის მეფეთა ცენტრალისტურ პოლიტიკას და თავისი მთავრულ-პარტიკულარისტული მიდრეკილებების შენარჩუნებისათვის... თრიალეთს დასახლდნენ“ **(სინ 1973:464)**. მ. ლორთქიფანიძის განმარტებით ასეთი გადანაცვლება მოხდა იმიტომ, რომ ქართველთა სამეფო, როგორც ნაკლებცენტრალიზებული ბაღვაშებმა მათი მიზნებისათვის შესაფერ ადგილად ჩათვალეს. ხოლო მათმა ჩამოსახლებამ აშოტის ჩამომავალთა შორის ბრძოლის გამწვავებასა და „სამთავროს დასუსტებას დიდად შეუწყო ხელი“ **(იქვე)**.

ნ. ბერძენიშვილი ბაღვაშთა ქართლში გადასახლებას სხვა მიზეზს უძებნის. მისი აზრით, ეს ხდება მაშინ, „როცა ქართლი საცილობელი ქვეყანა ხდება აფხაზთა მეფებსა და აშოტ კურაპალატის მემკვიდრეებს შორის... უპატრონო ქართლის დასაჭერად მოიწევდნენ ამ დროს არა მარტო აფხაზთ მეფენი, არამედ ტაო-კლარჯეთელი მთავრები, სომეხთა მეფენი, კახი მთავრები და სხვა უფრო მცირე ძალის მთავრები. ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლად ბატონობაზე ვერ იოცნებებდნენ და მფარველებს („პატრონებს“) ირჩევდნენ“ **(ბერძენიშვილი 1990:316)**. მაშასადამე, ბაღვაშები თრიალეთში „ბედის საძიებლად“ გადავიდნენ და ისინი აფხაზ მეფეთა ცენტრალისტური პოლიტიკის მსხვერპლნი არ გამხდარან.

განსვენებული მეცნიერის ეს მოსაზრება, რომ საფუძველმოკლებული არაა ამას ადასტურებს ბაღვაშთა მიერ თავიანთი მკვიდრი მამულის—კაცხის შენარჩუნებისათვის ზრუნვა და ტაო-კლარჯეთის მთავართა მფარველობაში პატრონყმური სტატუსით შესვლა. ე.ი. ეგრის-აფხაზეთში ისინი მესაკუთრე-ფეოდალებად რჩებოდნენ, ბაგრატიონებს კი ყმადნაფიცობის პირობით ემორჩილებოდნენ.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ სურთ თრიალეთი საკუთარ მამულად აქციონ. პირიქით ამ გვარის მთელი ისტორია, ფაქტობრივად, ყმადნაფიცობის პირობით, მიღებული ქვეყნის სამკვიდროდ გადაქცევის ისტორიაა. ქართლში გადასული პირველი ბაღვაში ლიპარიტი ახალ სამფლობელოში სიმკვიდრის დასამტკიცებლად იმთავითვე აგებს კლდეკარის ციხეს, რომელიც სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვან რეგიონს აკონტროლებს. მისი მემკვიდრეები ერისთავობას იჩემებენ და სამფლობელოს დიდად აფართოებენ. მათ შორის ბაგრატ III-ის თანამედროვეა რატი ბაღვაში. მან ხელთ იგდო აფხაზთა მეფეების სადგომი ციხე ატენისა „და ქართლისაგან მტკუარსა სამხრეთით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ხევი და სკვირეთი“ **(ქ.ცხ. 1955:276)**.

რ. მეტრეველის ვარაუდით, რატი იმ დიდგვაროვან აზნაურთა შორის იყო, რომლებიც ქავთარ ტბელის მოთავეობით მტრულად დახვდნენ ბაგრატ III-ის ქართლში გადმოსვლას **(ქსე, ტ. 8:308)**.

ნ. ბერძენიშვილს კი მიაჩნდა: „რატი ბაღვაში ბაგრატის წინააღმდეგ ომით არ გამოსულა“ და, ამიტომ მეფეს იგი შეწყნარებული ჰყავდა კლდეკარის ერისთავად **(ბერძენიშვილი 1990:319)**. მაგრამ ბაგრატსა და რატის შორის კონფლიქტი აუცილებელი იყო. ვინაიდან მათ ერისთავობა სხვადასხვაგვარად ესმოდათ. საქმე ისაა, რომ ამ დროს ერისთავთა შორის განსხვავება არსებობდა. ერთნი იყვნენ ერისთავები, რომლებიც ნებაყოფლობით შეეიდნენ მეფის ქვეშევრდომობაში და კუთვნილი მამულებიც შეიტანეს. ასეთი იყო აფხაზთა ერისთავი ლეონ I და ადარნასე ბაგრატიონი. ეს მოხელე-ერისთავები დიდებულ-მოსაკარგავეებად რჩებოდნენ. რატი ბაღვაშს კი მიაჩნდა, რომ მისი ერისთავობა ყმადნაფიცობას ნიშნავდა. იგი მისი წინაპრებისა და მის მიერ „ბედის ძიებით“ მოპოვებულ ქვეყანაში მთავრად რჩებოდა. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ამ კატეგორიებს არ არჩევდა. „ბაგრატი კი ყმადნაფიცებს,—წერდა ნ. ბერძენიშვილი,—მთავრებს არ ითმენდა და მხოლოდ „მოსწრაფედ მორჩილებს“, ერისთავ-მოსაკარგავეებს სცნობდა. **ეს იყო ის ახალი, რაც ბაგრატს შემოჰქონდა“ (იქვე)**. მეფემ ამ სიახლის მოწინააღმდეგეებს მწვავე ბრძოლა გაუმართა. მათ შორის მოხვდა რატი ბაღვაშიც, რომელიც „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“ **(ქ.ცხ. 1955:276)**.

გარდა ამისა ბაგრატის მოქმედებას განაპირობებდა მეორე ძლიერ მნიშვნელოვანი მიზეზიც—ჯავახეთის მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა, რაც მიზიდვის ცენტრი გახდა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ მხარეთა შორის.ის ფაქტი, რომ ჯავახეთი ეგრის-აფხაზეთის მეფეთა საუფ-

ლისწულო ტერიტორიას წარმოადგენდა დიდ უპირატესობას უქმნიდა მათ სხვა სამეფო-სამთავროებთან და ქართლის დიდგვაროვნებთან ბრძოლაში. ჯავახეთის მფლობელობით აფხაზთა მეფეების ხელში იყო მთავარი გზები, რომელთაც განშტოება ჰქონდათ მრავალი მიმართულებით. ამ გზებისა და ჯავახეთის მნიშვნელობას საქართველოს გაერთიანების პროცესში ნ. ბერძენიშვილი ასეთ შეფასებას აძლევდა: „გამტარ გზების სიმრავლით და ცენტრალური მდებარეობით მხოლოდ თრიალეთი თუ შეედრებოდა ჯავახეთს. თუ ჯავახეთი სამცხე-ტაო-კლარჯეთის მხრით ჰკეტავდა თრიალეთს, თრიალეთი ქართლ-კახეთის მხრით ჰკეტავდა მას. ამ ორი ქვეყნის ასე თუ ისე გაერთიანების გარეშე, მათ მფლობელთა ურთიერთშორის ქიშპის პირობებში საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება ფრიად ფერხდებოდა. აუცილებელი ჩანდა (ქვეყნის ეკონომიური განვითარება ამას მოითხოვდა): ან ჯავახეთის პატრონს (აფხაზეთის მეფეს) უნდა აეღო თრიალეთი, უნდა დაემორჩილებინა ის, ან კიდევ აფხაზთ მეფეს უნდა დაეთმო ჯავახეთი თრიალეთის პატრონისათვის და მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველოსაც გასცლოდა, ხოლო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე სხვას ეთავა, მაგრამ იმას, კი; ვინც უპირველეს ყოვლისა ამ ორ ქვეყნის ხელში აღებას შესძლებდა“ **(ბერძენიშვილი 1964:53)**.

ამის გათვლისწინებით, ცხადია, ბაგრატ III რატი ბაღვაშის დაუმორჩილებლობას ვერ მოითმენდა. მან მომენტი შეარჩია და მოქმედება დაიწყო. რატი ბაღვაშმა მისი წინაპრების მიერ ნაცად ხერხს მიმართა—დავით კურაპალატი გაიხადა მფარველად და ამით თავის გადარჩენა სცადა. გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ რატი დავითის მეშვეობით ბიზანტიის მფარველობასაც ეძიებდა. რატი ბაღვაშის ეს თითქოსდა „უმტკივნეულო“ დემარში დიდ კონფლიქტში გადაიზარდა.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ბაგრატმა ურჩი ფეოდალის დასასჯელად მთელი თავისი ლაშქარი შეკრიბა და „გამოვიდა ქაროლს“. მაგრამ ამ საომარი მზადების შესახებ უსწრაფესად აცნობეს დავით კურაპალატს და მას საქმე ისე წარუღგინეს, რომ ბაგრატი მის გასაანადგურებლად და მოსაკლავადაც კი მიდიოდა. ბაგრატთან ერთად სალაშქროდ იყო მამამისი გურგენიც. „ხოლო დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თვისსა და უხმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა. და მაშინ ჯერეთ ცოცხალ იყო პაპა ბაგრატისი, ბაგრატ ქართველთა მეფე, იგიცა მოვიდა დავით კურაპალატის წინაშე“ **(ქ.ცხ. 1955:277)**. ეს პაპა ბაგრატი შვილისა და შვილიშვილის წინააღმდეგ იმიტომ გამოდიოდა, რომ ეშინოდა გურგენს მისთვის სამეფო ტახტი არ წაერთმია. დავით კურაპალატისა და მისი მოკავშირეების მრავალრიცხოვანი მხედრობა ჯავახეთში, დლივს[1] დაბანაკდა. აქედან „გაგზავნნა ლაშქარნი გურგენს ზედა, მიეგებნენ წინა გურგენს,

[1] ნ.ბერძენიშვილს დლივი ლოკალიზებული აქვს სამხრეთ ჯავახეთში. ხანჩალის ტბის დასავლეთით, დაშლტაფას ძირზე **(ბერძენიშვილი 1966:109; დ. ბერძენიშვილი 1985:85)**.

და შეიბნეს გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა; გააქციეს გურგენ და შთაიხუეწა მეოტი" **(იქვე)**.

ამ დროს ბაგრატი თრიალეთში; კარუშეთს[1] იდგა. დავითის ბანაკში მოკიჭული გაგზავნა. მიიღო ცნობა იქ განლაგებული ლაშქრის მრავალრიცხოვნების შესახებ. მიატოვა თავისი მხედრობა, მარტო გამოცხადდა თავის მამობილთან. შენდობა თხოვა. თან განუმარტა, რომ თრიალეთში მის გამოლაშქრებას მხოლოდ რატის დამორჩილება ჰქონდა მიზნად. დავითს მოეწონა მისი პირდაპირობა და რატის წინააღმდეგ მოქმედების თავისუფლება მისცა **(იქვე)**.

მემატიანის ეს მონათხრობი ბევრ მკვლევარს აქვს განხილული და მისი გაგების სხვადასხვაგვარი ვარიანტი არსებობს. ამის შესაძლებლობას მარტო დამოწმებული ტექსტი კი არ იძლევა, არამედ ამავე ეპიზოდის სომეხი ისტორიკოსის სტ. ტარონელისეული (ასოღიკისეული) აღწერაც.

როგორც ვნახეთ, ქართველი მემატიანე გარკვევით არ მიუთითებს, თუ ვინ ჩააგონა დავით კურაპალატს შვილობილი „სიკუდილად შენდა" მოდისო. ორივე ტექსტზე დაკვირვების გზით ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ეს ინფორმატორი რატი ბაღვაში იყო **(ბერძენიშვილი 1973:19)**. ასეთი რომ გამორიცხული მართლაც არ არის, მაგრამ უფრო რთული გასარკვევია რამ გამოიწვია თავად დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის ასე მწვავე დაპირისპირება. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ეს კონფლიქტი ინსპირირებული იყო ბიზანტიის მიერ. ბასილ კეისარი ამ დროს ბარდა ფოკას აჯანყების ჩასაქრობად ყოველი ღონისძიებებით იბრძოდა. ფოკას მხარეზე გამოდიოდა დავით მესამის სამხედრო რაზმიც. ამიტომ შეიძლება მან სთხოვა ბაგრატს გაელაშქრა დავით კურაპალატის წინააღმდეგ **(სინ 1979:157)**.

გ. მელიქიშვილი ქართული და სომხური წყაროების მონაცემების შეჯერების შედეგად ასკვნის, „რომ ამჯერად შეტაკების ინიციატორი თვით დავით კურაპალატი ჩანს, რომელსაც შეუკრებია დიდი ძალები, რათა წინააღმდეგობა გაეწია ბაგრატის ცდისათვის—დაემორჩილებინა კლდეკარის ერისთავი რატი" **(მელიქიშვილი 1973:21)**. მან ამ მიზანს მიაღწია კიდეც. „ფაქტია რომ ამ კონფლიქტის შემდეგ ბაგრატი დაბრუნდა აფხაზეთში და რატის თავი დაანება" **(იქვე)**.

ვფიქრობთ, ამ საკითხზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელია ორი გარემოება: პირველი, რატი ბაღვაში ბაგრატ III-ის ერისთავი დარჩა კონფლიქტის შემდეგაც, ისევე როგორც მანამდე იყო, იგი დავით კურაპალატს ბაგრატისაგან არ გაუნთავისუფლებია და თავის ქვეშევრდომობაში არ შეუყვანია. პირიქით, დავითმა ეგრის-აფხაზეთის მეფეს ნება დართო რატის როგორც ეწადა ისე მოქცეოდა („დაიმორჩილე ვითარცა სახედ გწადია"). მაშასადამე, კლდეკარის ერისთავი ვერ გადარჩა, ოღონდაც დროებით „მოს-

[1] ნ. ბერძენიშვილის ლოკალიზაციით, კარუშეთი მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთ ჯავახეთში, მდ. მტკვრის აღმოსავლეთ სანაპიროზე **(ბერძენიშვილი 1966:108)**. თუმცა იგი არ გამორიცხავდა, რომ თრიალეთში, წალკის შემოგარენში მდებარე პუნქტი „კინისი ძველად უოფილა კარუშეთი" **(იქვე:99)**.

წრაფედ მორჩილი" არ გახდა. ეს კი ნიშნავს, რომ დავითისა და ბაგრატის კონფლიქტის მთავარი მიზეზი კლდეკარის საერისთავოს დაპატრონების საკითხი არ იყო. თრიალეთი ისედაც ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ბაგრატის ღონისძიებანი მისი ერისთავის „გასაწვრთნელად" აგრესიას არ წარმოადგენდა, ტაოს მეფის ინტერესებს არ ჰბღალავდა. მამობილ-შვილობილი ამის გამო ომს არ დაიწყებდნენ.

მათი შეტაკების მთავარი მიზეზი უნდა იყოს გურგენისა და მამამისის ბაგრატ II-ის დაპირისპირება[1] ქართველი მემატიანე გარკვევით ამბობს: ქართველთა მეფეს „ეშინოდა ძისა თვისისა გურგენისაგან წაღებისა მეფობისა-"ო **(ქ.ცხ.1955:277)**. ასოლიკი კი მიუთითებს ბაგრატ II-ის შვილს გურგენს მისი სამეფლობელოდან განდევნა უნდოდაო **(სტ. ტარონელი 1864:181)**. ბაგრატ III მამას სამხედრო ძალით უპერია მხარს. თუ მამა-შვილი გაიმარჯვებდნენ ამიერტაო და შავშეთი, რომელიც აქამდე ბაგრატ II-ს ეკუთვნოდა, დავითთან არაკეთილგანწყობილი გურგენის ხელში გადავიდოდა. ე.ი. ტაოს მეფეს ნაცვლად ბაგრატ II-ისა, რომელსაც თავისი უნიათობის გამო რეგვენს უწოდებდნენ, ბაგრატ III-საგან ზურგგამაგრებული გურგენი გაუმეზობლდებოდა, ისიც ნიშანდობლივია, რომ დავით III-მ როგორც კი შესაძლებლობა მიეცა სწორედ გურგენის წინააღმდეგ გაილაშქრა და არა ბაგრატისა. ეტყობა მისი დამარცხება უფრო საშური საქმე იყო, რადგან იგი ხელისუფლების ხელთგდებისა და ახალი მიწა-წყლის მიტაცებისათვის იბრძოდა. გურგენის დამარცხების შემდეგ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდა. ბაგრატ III მამობილს ეწვია, შენდობა ითხოვა. დავით III-ს მოეწონა მისი საქციელი და რატი ბაღვაშზე ბაგრატის პატრონობა უეჭვოდ ჩათვალა.

გ. მელიქიშვილი თვლის, რომ მემატიანის ამ ცნობას ძნელია ვერწმუნოთ. სინამდვილეში საკითხი დავით მესამის ძალთა უპირატესობამ გადაწყვიტა. ბაგრატ III-მ თავი მნიშვნელოვანი დათმობების გზით გადაირჩინა **(მელიქიშვილი 1973:21)**. ბ-ნი გიორგის აზრით, არც მემატიანის ის ცნობაა, მაინცდამაინც „სარწმუნო, რომ აფხაზეთში გაბრუნებულ ბაგრატ III-ს მიზნად ჰქონდა „უცაბედად თავს დატყდომოდა რატის" **(იქვე)** და საერთოდ, მემატიანე ცდილობს „ყოველმხრივ მიჩქმალოს ბაგრატსა და დავით კურაპალატს შორის დაპირისპირების რეალური საფუძველი და იგი უბრალო გაუგებრობად გამოაცხადოს" **(იქვე:22)**.

მ.ლორთქიფანიძეც შენიშნავს, რომ რადგან ქართველი ისტორიკოსი ბაგრატ III-ის აღფრთოვანებული შემფასებელია, იგი ცდილობს მეფის მოქმედება, როგორც არაკეთილსინდისიერი, გააბუნდოვანოს და რეალური ამბავი მიჩქმალოს **(სინ 1979:155)**. მაგრამ „მატიანე ქართლისა"-ს ავტორის მიმართ გადმოცემული ამბების შეგნებულად გაყალბებაში ეჭვის შეტანამ შეიძლება სინამდვილეს დაგვაცილოს. ივ. ჯავახიშვილი ამ ავტორს ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა და წერდა: „როგორც ხანგრძლივმა და ყო-

[1] მ. ლორთქიფანიძის აზრით, ბაგრატ II-სა და გურგენს შორის არსებული უთანხმოება, ხელშეწყობი მიზეზი იყო ბაგრატ III-ის დავით კურაპალატის წინააღმდეგ გამოსვლისა **(სინ 1979:157)**.

ველმხრივმა კრიტიკულმა განხილვამ დაგვარწმუნა, იგი უმაღლესი ნდობის ღირსია"-ო (ჯავახიშვილი 1983:98). ესეც არ იყოს, სომეხ ისტორიკოსს ასოღიკსაც ხომ ვერ დავაბრალებთ მიკერძოებას, როცა იგი თვით მ. ლორთქიფანიძის აღიარებით—„ამ კონფლიქტის (ბაგრატის დავით კურაპალატის წინააღმდეგ გამოსვლის.—გ.მ.) მთავარ მიზეზად აღნიშნულ უთანხმოებას (ბაგრატ II-სა და გურგენს შორის.—გ. მ.) თვლის (სინ 1979:157).

ამრიგად, ჩვენი აზრით, ბაგრატ III-ისა და დავით III-ის დაპირისპირება[1] გამოიწვია „ქართველთა მეფის" ტახტის მემკვიდრეობის საკითხმა. რაც, ფაქტობრივად, ამიერტაოსა და შავშეთის გურგენ ბაგრატიონისათვის გადაცემას ნიშნავდა. ეს აშკარად არ აწყობდა არც დავით კურაპალატსა და არც ბიზანტიას, რადგან ამ შემთხვევაში სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი რეგიონი, საბოლოო ჯამში, ეგრის-აფხაზეთის მეფის ბაგრატ III-ის ხელში ხდებოდა.

ასეთი მსჯელობის დროს გასაგებია, როგორი იქნებოდა ბიზანტიის პოზიცია. მაგრამ ისმება კითხვა: რატომ იყო 975 წლის აქტის ერთ-ერთი შემოქმედი დავით კურაპალატი, ბაგრატ III-ის ამიერტაოში ფეხის ჩადგმის წინააღმდეგი. ეს ხომ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საქართველოს გაერთიანების გზაზე? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემის საშუალებას წყაროები არ იძლევიან. ამიტომ ვარაუდათ რჩება გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც 975 წლის აქტი დავით კურაპალატისათვის საქართველოს გაერთიანებას კი არ ნიშნავდა, არამედ, აფხაზეთისაგან ქართლის ჩამოცილებას. ამიტომ იგი არც ეგრის-აფხაზეთში, 978 წელს, ბაგრატ III-ის გამეფების მიმხრე იყო, მაგრამ მისთვის ხელის შეშლა ვერ შეძლო (მელიქიშვილი 1973:12). ხოლო, როცა „აფხაზთა" მეფემ კლდეკარის საერისთავოს მტკიცედ შემოერთება სცადა მას დავითი გადაჭრით აღუდგა წინ (იქვე:20). ე.ი. ტაოს მეფე არ იყო საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი და პირიქით, „მთელი მონდომებით ცდილობს ხელი შეუშალოს ბაგრატს, იცავს გაერთიანების მოწინააღმდეგე დიდებულებს" (გაზ. „ლიტერატურული საქართველო" 1.4.1994 წ.). ამდენად, კორექტივებია შესატანი მკვლევართა მიერ „შექმნილ წარმოდგენაში დავით კურაპალატსა და ტაოზე, როგორც საქართველოს გაერთიანების ინიციატორსა და განმახორციელებელზე" (მელიქიშვილი 1973:24).

ეს მოსაზრებანი გახდა ერთ-ერთი მიზეზი მისი ავტორის მკაცრი და უსამართლო კრიტიკისა. უსამართლოსი არა იმიტომ, რომ ისინი ურყევ ჭეშმარიტებას წარმოადგენდნენ, არამედ იმის გამო, რომ მათი წამოყენებისათვის გ.მელიქიშვილს ბრალდება, იმ სავალალო მდგომარეობამდე ქართული ისტორიოგრაფიის მიყვანაში მნიშვნელოვნად ხელშეწყობა, რომელშიაც იგი თითქოსდა იმყოფება (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 11.3. 1994).

[1] ზ. პაპასქირი ვარაუდობს, რომ „დავით კურაპალატსა და ბაგრატ III-ს შორის მამაშვილური ურთიერთობა არ დარღვეულა" 988 წლის კონფლიქტის შემდეგაც (პაპასქირი 1990:43).

ჩვენს ამოცანას არ შეადგენს მოკამათე მხარეების მთელი არგუმენტაციის განხილვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ გ.მელიქიშვილის მოსაზრებებმა მნიშვნელოვანი ზიანი კი არ მიაყენეს ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ ისინი სერიოზულ სიახლედ გაისმა „უძრაობის პერიოდის“ მარქსისტული დოგმატიკით გაჟღენთილ ატმოსფეროში და საისტორიო აზროვნების საგრძნობი გამოცოცხლება გამოიწვიეს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათ ვიზიარებთ. განსაკუთრებით, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში დავით კურაპალატის როლის შეფასების საკითხში. ჩვენ ახლახან ვთქვით, რომ პირდაპირი მითითებანი, იმის თაობაზე თუ რა მოხდა გამზრდელსა და შვილობილს შორის, წყაროებში არ მოგვეპოვება. ამიტომ შექმნილი სიტუაციის მიხედვით, მხოლოდ ჰიპოთეტურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავითი ამ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ კი არ მოქმედებდა, არამედ ერთი მხრივ ბაგრატ II-ის ლეგიტიმურობას იცავდა და მეორე მხრივ იგი, როგორც კურაპალატი, ბიზანტიის მფარველობის ქვეშ მყოფი ქართული ქვეყნების „მოურავი“, იმპერიის ინტერესების საწინააღმდეგოდ აშკარად ვერ გამოვიდოდა. ბიზანტიას ტაო-კლარჯეთზე ხელი ჰქონდა დადებული და მისი სხვა სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში ეგრის-აფხაზეთის), თუნდაც გავლენის სფეროდ გახდომას არ შეურიგდებოდა. უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ამბავი ასოღიკის ცნობით, ხდება 988 წელს, როცა დავით კურაპალატსა და ბასილ კეისარს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ არაა მომხდარი და ტაოს მეფე კეისრის მიმართ გარეგნულ ერთგულებას ინარჩუნებს.

მაგრამ, ვფიქრობთ, უმთავრესი ამ შემთხვევაში მაინც ბაგრატ II-ის ტახტზე შენარჩუნების საკითხი იყო. დავით კურაპალატს თავის სიცოცხლეში არ შეიძლებოდა დაეშვა ჭარმაგად მყოფი მონარქის ძალდატანებით შეცვლის პრეცედენტი. ეს მისი ასეთივე გზით გადაყენების შესაძლებლობის დაშვება იქნებოდა. თუ ღვიძლი შვილი გურგენი მამას მეფობის წართმევით ემუქრებოდა, ნაშვილები ბაგრატი ვინ იცის, როგორ მოექცეოდა ხანდაზმულ კურაპალატს, მით უფრო, რომ იგი უკვე საქართველოს უდიდესი ნაწილის ხელმწიფე გახლდათ.

დავითი, ცხადია, ლეგიტიმისტური ცვლილებების წინააღმდეგი არ იყო. 994 წელს, როცა ბაგრატ რეგენი გარდაიცვალა, მის მაგივრად გურგენის გამეფებისათვის მას ხელი არ შეუშლია და ამით ამიერტაო და შავშეთი მის კანონიერ სამფლობელოდ აღიარა. ამ დროს კლდეკარის საერისთავო ბაგრატ III-ს „მოსწრაფედ მორჩილად“ შემომტკიცებული ჰქონდა.

ეს შემდეგნაირად მოხდა.989 წლის ზამთარში, დავით კურაპალატთან შეთანხმებისამებრ,. ბაგრატ III მოულოდნელად მიადგა კლდეკარის ციხეს. რატი მზად არ იყო ბრძოლისათვის. მას სხვა გზა აღარ დარჩენოდა „გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შეუდრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თვისი ბაგრატს, და თვით დაჯდა მამულსა

[1] ზ. ანჩაბაძე იმოწმებს ასოღიკას და აღნიშნავს, რომ კლდეკარის ერისთავად ბაგრატმა დაამტკიცა რატის შვილი ლიპარიტ ბაღვაში (**Анчабадзе 1959:168**).

თვისსა არგუეთს" (ქ. ცხ. 1955:277-278), ე.ი. რატი დამორჩილდა მეფეს. ბაგრატმა სრული გამარჯვება მოიპოვა. „დამარცხებული კლდეკარის პატრონის სამფლობელო ბაგრატ III თავის ერთგულ ზვიად მარუშიანს გადასცა, როგორც მოხელე ერისთავს" (სინ 1979:158).

რაც შეეხება რატი ბაღვაშის მომავალ ბედს მასზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. რ. მეტრეველის მიხედვით, რატის დაუბრუნეს კლდეკარის საერისთავო და იგი შემდეგში ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას. დაიღუპა სოფ. შირიმნთან ბრძოლაში, 1021 წელს (ქსე, ტ. 8, გვ. 30).

ს. ყაუხჩიშვილს დასახელებულ ბრძოლაში დაღუპული ბაღვაში რატი II-დ, ლიპარიტის ძედ მიაჩნია (ქ. ცხ. 1955: 416).

პ. ინგოროყვა ბაღვაშებსა და ორბელებს ერთ გვარად თვლიდა. აქედან გამომდინარე, გიორგი მთაწმინდელის მიერ 1056—1060 წლებში შედგენილ „საწელიწდო იადგარში" შესული ტიტე მოციქულის საგალობლის ავტორს, რატის მკვლევარი ორბელად მიიჩნევს და მას აიგივებს„ X საუკუნის 80-იანი წლების კლდეკართა ერისთავთან" რატისთან (ინგოროყვა 1965:372). ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, ბაგრატ III-ის თანამედროვე რატი ბაღვაშია. ვფიქრობთ, აკროსტიხად ერთხელ მიწერილი სახელის—„რატის" მიხედვით, საგალობელის ავტორის ვინაობის ზუსტად დადგენა და მით უფრო, მისი პოლიტიკურ ბიოგრაფიაზე საუბარი რეალურად ძნელი წარმოსადგენი რამ არის.

ზ. ანჩაბაძეს მიაჩნდა, რომ, მართალია, ბაგრატ III-ის აფხაზეთში გამეფების დროიდან, აფხაზეთის სამეფო ფორმალურად განაგრძობდა არსებობას, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, მაგრამ ფაქტობრივად, მის მმართველობას დავით კურაპალატი ახორციელებდა (Анчабадзе 1959:166). 988 წლის კონფლიქტი დავით კურაპალატსა და ბაგრატს შორის გამოიწვია იმან, რომ «Давид не хотел допустить чрезмерного усиления Баграта, так как опасался, что тот выйдет из-под его опеки» (იქვე:168—169).

ეს მოსაზრება ვარაუდის სფეროს არ სცილდება და წყაროებით არ დასტურდება.აფხაზეთში ბგრატის გამეფების შემდეგ არა ჩანს დავით კურაპალატის რაიმე ჩარევა, ბაგრატ III-ის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში. უფრო მეტიც, როცა 990 წელს ბასილ კეისარმა ტაოს მეფის დასასჯელად გამოილაშქრა (სინ 1979:157) დავით კურაპალატმა დახმარებისათვისაც კი არ მოუხმო თავის შვილობილს, რომელსაც ამ დროს დიდი რაოდენობით სამხედრო ძალის გამოყვანა შეეძლო. მემატიანის თქმით მან ხომ „განამრავლა ლაშქარი თვისი უმეტეს ყოვლისა ჟამისა" (ქ.ცხ. 1955:278). არ ჩანს, რომ ბაგრატს მონაწილეობა მიეღოს იმ სამხედრო ოპერაციებში, რომელსაც 990 წელს, დავით კურაპალატი ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიებზე ატარებდა მაჰმადიან მფლობელთა წინააღმდეგ.

დავით კურაპალატს, კარგა ხანს, დამოუკიდებელ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საქმეებში ჩარევა კი არა, არამედ მეზობელი ამიერტაოს ხელისუფ-

ლებისთვისაც კი არ შეეძლო თავს მოეხვია საკუთარი ნება. მაგალითად, როცა მას 998 წელს შემოსული აღრაბადაგანის ამირას მამლან აბელ-ხაჯისძის წინააღმდეგ დასჭირდა დახმარება, მან ისევე სთხოვა იგი ჩრთილოეთ ტაოს მეფეს გურგენს, როგორც სომეხთა მეფე გაგიკს, ე.ი. ორივე ამ პოლიტიკური ერთეულის მმართველთათვის დავით კურაპალატს მხოლოდ შეეძლო ეთხოვა, როგორც თანაბარი უფლებების მქონეთათვის. მათი ურთიერთობა ნებაყოფლობით პრინციპზე იყო დამყარებული (**კოპალიანი 1969:21**). ამიერტაო ასე თუ ისე მაინც ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნად ითვლებოდა, (იმ ბიზანტიისა რომლის კურაპალატსაც დავითი წარმოადგენდა) და მიუხედავად ამისა, თუ მასთან ურთიერთობა ასეთ პრინციპებზე იგებოდა, როგორ შეიძლებოდა დამოუკიდებელი ეგრის-აფხაზეთის მეფე ბაგრატ III მარიონეტი ყოფილიყო.

ისიც ცხადია, რომ ბაგრატ მესამე მამისა და გამზრდელის სიცოცხლეში მათი უფლებების ხელყოფას არ აპირებდა. 994 წელს, როცა მისი პაპა ბაგრატ II გარდაიცვალა, ტაოსა და შავშეთის მეფე ბაგრატ III-ის მამა გურგენი გახდა. ნიშანდობლივია, მან მეფეთა-მეფის ტიტულით დაიწყო ხელმწიფობა. სუმბატ დავითის ძე ამას იმით ხსნის, რომ გურგენის შვილი ბაგრატი მასზე ადრე გამეფდა აფხაზეთში და „ამისათვის გურგენს მეფეთა-მეფობა ეწოდა“-ო (**ქ.ცხ. 1955:381**). მაგრამ ნათელია, რომ გურგენის ეს ტიტული მას შვილის მიმართ უპირატესობას არ ანიჭებდა.არ არის გამორიცხული მეფეთა-მეფობის გურგენისათვის შერქმევა თვით ბაგრატის სურვილით მოხდა და მიზანი, ფორმალურად მაინც, ტაოსა და ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება იყო. ამ ორ სახელმწიფოს ამიერიდან ერთი მეფეთა-მეფე ჰყავდა. მაშასადამე „ქართველთა სამეფოს“ მემკვიდრეობის საკითხი ბაგრატის სასარგებლოდ გადაწყვეტილი იქნებოდა. გურგენის ეს ტიტული არაპირდაპირ დავით მესამესაც ეხებოდა. „მეფეთა-მეფე“ გულისხმობდა გურგენის ხელქვეით რამდენიმე მეფის ყოფნას. მარტო ერთი ბაგრატის მიმართ მრავლობითი რიცხვი საჭირო არ იყო. სხვა ხელისუფლები კი ვისზედაც გურგენი „მეფეთა-მეფე“ იქნებოდა დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის გარდა არ ჩანდა. გურგენის „მეფეთა-მეფობა“ არათუ უფლებრივად, არამედ ფორმალურადაც კი არ შეიძლება გავუთანაბროთ გაერთიანებული საქართველოს მონარქების შესაბამის ტიტულს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იგი ისე შინაარსგამოცლილი არ იყო, როგორც მას სუმბატ დავითის ძე წარმოგვიდგენს[1].

თუ ბაგრატ III-ის პაპის გარდაცვალება მემატიანეს შედარებით უმტკივნეულო ამბად აქვს გადმოცემული, დავით კურაპალატის სიკვდილმა 1001 წელს დიდი პოლიტიკური გართულებები გამოიწვია. ამ დროიდან დაიწ-

[1] ჯ. სტეფნაძის აზრით, „ქვეყანაში ორი „მეფეთა-მეფის“ არსებობა არ შეიძლებოდა“ (**სტეფნაძე 1976:161**). თუ შვილი მეფე იყო მამა ავტომატურად ხდებოდა „მეფეთა-მეფე“. ასევე თუ სახელმწიფოში მეორე სამეფო არ შემოდიოდა „მეფეთა-მეფის“ ტიტულს ქვეყნის მეთაური ვერ მიიღებდა. მაგ., გიორგი პირველმა დაკარგა კახეთ-ჰერეთი და ამიტომ იგი მხოლოდ „მეფედ“ მოიხსენიება (**ჯანაშ 158**).

ყო ბრძოლა მისი მემკვიდრეობისათვის, რომელიც, ხანგრძლივი წყვეტილებით, ერთი საუკუნე გაგრძელდა.

როგორც გავეცანით, არაბი ისტორიკოსის იაჰია ანტიოქიელის ცნობით, 990 წელს დავით მესამე იძულებული გახდა აღეთქვა ბასილ კეისრისათვის, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელო შეუერთდებოდა ბიზანტიის იმპერიას. ეს ცნობა ერთადერთია, რომლის მიხედვითაც ამ საკითხის გარკვევა შეიძლება, მაგრამ იგი თავად იწვევს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

იაჰია ანტიოქიელის ტექსტის ეს ადგილი ვ. როზენის გამოცემიდან ასე აქვს თარგმნილი ვ. კოპალიანს: „ქართველთა მეფე დავითმა დანაშაულის პატიება და შენდობა სთხოვა (ბასილ კეისარს—ვ. კ.) და აღუთქვა, როომ მისი (დავითის—ვ.კ.) გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც მას არ ჰყავს შვილი და არც სხვა ვინმე მემკვიდრე, და თვითონაც ძალზე მოხუცია, მისი სამფლობელო შეუერთდება მის (ბასილის —ვ.კ.)სახელმწიფოს.ამასთანავე სთხოვა იმპერატორს, რომ ნება მიეცა მისთვის გაეგზავნა იმპერატორის კარზე თავისი დიდებულები, რათა კეისარს შესაძლებლობა ჰქონოდა წინასწარ მიეღო მათგან ფიცი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი ხელმწიფის—დავითის გარდაცვალების შემდეგ ისინი ქალაქს (ალბათ სამხრეთი ტაოს სამეფოს რეზიდენცია ოლთისი იგულისხმება—ვ. კ.) კეისარს გადასცემდნენ" **(კოპალიანი 1969:65--66)**.

ივ. ჯავახიშვილს აქედან ასეთი აზრი გამოჰქონდა: „დავითმა კეისარს შენდობა თხოვა და თავი მხოლოდ იმით იხსნა, რაკი კვლავ მორჩილება აღუთქვა და დაჰპირდა, რომ მისი სიკვდილის შემდგომ მთელ თავის სამფლობელოს, ვითარცა უძეო და უმკვიდრო, ბიზანტიის კეისარს უანდერძებდა" **(ჯავახიშვილი 1983:128)**. მაშასადამე, ბ-ნი ივანეს მიხედვით, დავითი კეისარს მთელ თავის სამფლობელოს ჰპირდებოდა.

ს. ჯანაშიას ინტერპრეტაციით კი „დავითი იძულებული გახდა, სიკვდილის შემდეგ თავის სამფლობელოს იმპერატორს შეჰპირებოდა... არის საფუძველი ვფიქრობთ, დავითს ამ იძულებით „ნაანდერძევში" ლაპარაკი იყო ამას წინათ (ე.ი. 979 წელს.—გ. მ.) ბიზანტიისაგან მიღებულ მიწებზე **(Джанашия 1947:81)**. ე.ი. საუბრია არა მთელ სამფლობელოზე, არამედ მხოლოდ ე.წ. „ზემონი ქვეყნებზე"

მ. ლორთქიფანიძე იმოწმებს არისტარკეს ლასტივერტელის ერთ ცნობას და ვარაუდობს „რომ საქმე სწორედ მხოლოდ „ზემონი ქვეყანანი"-ს გადაცემას ეხება", რამდენადაც XI ს-ის 20-იან წლებში მეფე გიორგი I-სა და ბასილ. იმპერტორს შორის, არისტარკესის აღნიშვნით, „ბრძოლა იმ მიწებისათვის წარმოებდა, რომელნიც იმპერატორმა უწყალობა დავით კურაპალატს" **(სინ 1973:481)**.

ვ. კოპალიანს უფრო სწორი ჰგონია ივ. ჯავახიშვილის ინტერპრეტაცია. რადგან „ზემონი ქვეყანანი" დავით კურაპალატს მაინც უნდა დაებრუნებინა კეისრისათვის, ხოლო 989 წელს ფოკას აჯანყებისადმი მიმხრობის გამო ტაოს მეფე იმით დაისაჯა, რომ მთელი სამფლობელოს მემკვიდრეობით გადაცემის უფლება დაჰკარგა **(კოპალიანი 1969:67)**.

ქართველი მემატიანეები დავით კურაპალატის „ანდერძის" თაობაზე არაფერს წერენ. იაჰია ანტიოქიელი ფოკას აჯანყების შესახებ, მისი დამარცხებიდან თითქმის 50 წლის შემდეგ წერდა და მოვლენებს უფრო შედეგების მიხედვით აფასებდა, ვიდრე დოკუმენტური რეალურობის გათვალისწინებით. ამიტომ ყველა მისი ნათქვამის ერთადერთ ჰეშმარიტებად გამოცხადება მიზანშეწონილი არ არის. დავით კურაპალატი მას აღწერილ პასაჟში მხდალ და ახლომხედველ პოლიტიკოსად ჰყავს გამოყვანილი. მისი სიტყვით, როგორც კი გამოჩნდება ბასილ კეისარი, მასთან გამოცხადდება შეშინებული დავითი და მთელ თვის სამფლობელოს საჩუქრად მიართმევს. ამის შემდეგ მიუხედავად იმისა, რომ დავით კურაპალატს თითქოს „ანდერძით" აქვს კეისრისათვის გადაცემული „ზემონი ქვეყანანი" და იმიერტაოც კი, იგი მაინც იღწვის ამ მხარეების მოსახლეობის გაქართველებისათვის, ქმნის ქართულ საეპისკოპოსოს და უფრო მეტიც, მართალია, თავად მოხუცებულობის გამო ბრძოლაში მონაწილეობა აღარ შეუძლია, მაგრამ მოკავშირეების დახმარებით, 998 წელს, თავგამოდებით იცავს შემოერთებულ მიწებს, ადრაბადაგანის ამირას ხელყოფისაგან. ყველაფერ ამას დავით კურაპალატი იმიტომ აკეთებს, რომ ბოლოს მთელი თავისი კუთვნილი მიწა-წყალი ბიზანტიას დარჩეს. ახლა ვიანგარიშოთ, ასეთ მეფეს თუ შეარქმევდნენ დიდს და თუ შემოსავდნენ ისეთი შარავანდედით, რომლითაც თვით თანამედროვეთაგან მოყოლებული დავით კურაპალატი დამკვიდრდა ჩვენს ისტორიაში?

ქართველი მემატიანენი მიუთითებენ, რომ დავით კურაპალატს „არა ესუა ძე" **(ქ.ცხ.1955:382),** მაგრამ არსად არ შენიშნავენ, რომ ოდესმე მას უარეყოს ბაგრატ მესამე, როგორც ნაშვილები და მაშასადამე, შესაძლო მემკვიდრე. მაშ, საიდან გაჩნდა იაჰია ანტიოქიელთან თითქოსდა დავითის ნათქვამი—„მას არ ჰყავს შვილი და არც სხვა ვინმე მემკვიდრე"? ტაოკლარჯეთი ხომ „დინასტიურ საერთო საგვარეულო საკუთრებას და არა ბაგრატიონებს შორის ერთ რომელიმე პირის კუთვნილებას" წარმოადგენდა **(კოპალიანი 1969:11)** და თუ ბაგრატ III-ს არა, კლარჯ ბაგრატიონებსაც ხომ შეეძლოთ პრეტენზია გაეცხადებინათ დავითის მემკვიდრეობაზე? მათ ხომ ასეთი რამ თვით გაერთიანებული საქართველოს მეფის წინააღმდეგაც კი გამოამჟღავნეს, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ კიდეც?

, ასე, რომ დავით კურაპალატი უძეო კი იყო, მაგრამ უმემკვიდრეო არ ყოფილა და მას მთელი თავისი სამფლობელოს სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის უფლება არ ჰქონდა. ბიზანტიის იმპერატორიც დაუპყრობლად ამ მიწების მფლობელობაზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა. რაც შეეხება 979 წელს დავითის მიერ მიღებულ ტერიტორიას, როგრც ჩანს, მის კუთვნილებაზე ბიზანტიის იმპერატორის იურისდიქცია დროებით იყო შეჩერებული („რათა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ") და ტაოს მეფეს, ალბათ, მისი აუცილებელი დაბრუნების ხელახლა დადასტურება, რომ მოუხდა ეს ფაქტი უნდა ჰქონდეს დაფიქსირებული იაჰია ანტიოქიელს.

ვახუშტი ბაგრატიონიც თითქოს ადასტურებს, რომ ბაგრატ III ნაშვი-

ლების სტატუსით დავითის გარდაცვალების დროსაც სარგებლობდა. იგი წერს: „მოკვდა ესე წეფე დავით კურაპალატი,... და არა დაუტევა ამან ძე, თვინიერ ბაგრატ ნაშვილებისა თვისისა"-ო (ქ.ცხ. 1973:699).

სუმბატ დავითის ძე, რომლისთვისაც თხრობის ქრონიკული სტილია დამახასიათებელი და, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმაზე ჩერდება ვინ ვისი შვილი იყო და ვინ როდის მოკვდა, დავით კურაპალატის გარდაცვალების გადმოცემების შემდეგ მოულოდნელად ღალატობს წერის ამ მანერას და ნარატულ სტილზე გადადის. იგი იუწყება: „და აოხრდა იმიერტაო; და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისათა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა" (ქ.ცხ.1955:383). აქედან ირკვევა, რომ დავითის აზნაურებს იმიერტაოს აოხრების შემდეგ მიუციათ ბასილისათვის ციხეები. კეისარს იმეირტაო ძალის გამოყენებით დაუპყრია.[1] აქ ნახსენები არაა დასახელებული ქვეყნის გარდა რა ბედი ეწია დავითის სამფლობელოს სხვა მხარეებს.

ასოღიკის და იაჰია ანტიოქიელის ცნობებიდან ჩანს,რომ მათი დაკავებისათვის ბიზანტიის კეისარს დიდი წინასწარი მუშაობა ჩაუტარებია. ვიდრე ტაოში მოვიდოდა ბასილს თავის მხარეზე გადმოუბირებია ნეკეპერტისა და აპაჰუნიკის ამირა მუჰამედ-ად-დაული. დიდად დაუსაჩუქრებია იგი და მაგისტროსის ტიტულიც უბოძებია. ამის შემდეგ ბრძანება გაუცია ე.წ. „სომხეთის საბერძნეთში"[2] დაბანაკებული ბიზანტიელთა ლაშქარი საბრძოლოდ გაემზადებინათ (სტ. ტარონელი 1864:199-200). იმპერატორი ამასაც არ დასჯერდა. თან წამოიყვანა 6000 დაქირავებული რუსი მეომარი, ლაშქრითურთ იხმო ანტიოქიის მმართველი და ისე შემოვიდა ტაოში (Розен 1883:41).

ტაოში ბასილის მოქმედებას, 1001 წელს, შედარებით მშვიდობიან ნაბიჯად გვისახავს გ.კედრენე. მისი თქმით: ბასილი იბერიაში წავიდა, რადგან დავით კურაპალატი გარდაცვლილიყო და თავის სამფლობელოების მემკვიდრედ მეფე დაეწერა. იბერიაში რომ ჩავიდა; მიცემული მემკვიდრეობა დაადგინა. ხოლო კურაპალატის (ძმა) გიორგი, შიდა იბერიის მმართველი, დაარწმუნა დაკმაყოფილებულიყო, თავისი საკუთარი სამფლობელოთი და სხვისას არ შესეოდა, შეკრა მასთან ზავი, მძევლად მისი შვილი მიიღო და ფინიკიაში წავიდა" (გეორგიკა 1963:45—46).

ვ.კოპალიანი ვარაუდობს, რომ ამ ტექსტში დასახელებული გიორგის მაგივრად, ალბათ, გურგენი იგულისხმება (კოპალიანი 1969:74). მაგრამ

---

[1] ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით „დაპყრობა", რომელსაც ადრე სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა, XI საუკუნეში, როცა სუმბატი წერდა, უკვე „ძალით ხელში ჩაგდებას ნიშნავდა" (ყაუხჩიშვილი 1957:121). ასევე აქვს ეს ადგილი გაგებული ვ. კოპალიანს. „მემატიანის ცნობა—ბასილი კეისარს „მისცნეს... ციხენი აზაურთა ამა დავითისათა", არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ აზნაურებმა, რომელთა ციხეები კეისარმა დაიკავა, სურვილით გადასცეს ისინი იმპერატორს, მოსწყვიტა და მხარის დაპყრობის ინიციატორი ბიზანტიის ხელისუფლება იყო და ის არაფის მოუწვევია" (კოპალიანი 1969:80).

[2] ასე უწოდებდა დ. ბაქრაძე იმ სომხურ პროვინციებს რომელთაც ბიზანტია ფლობდა (ბახუშტი 1885:139).

ვფიქრობთ, ეს შესწორება საკმარისი არ არის. რა ვუყოთ იმას, რომ ეს გიორგი შიდა იბერიის მმართველადაა მოხსენიებული ან კიდევ, როგორ გავიგოთ იქვე ნათქვამი: კეისარმა „მძევლად მისი ვაჟი მიიღო"? კედრენეს ციტატა ქმნის შესაძლებლობას ვიფიქროთ, რომ ავტორმა აქ გადმოიტანა ოცი წლის შემდეგ მომხდარი მოვლენა, როცა გიორგი I-თან ზავის გაფორმების შემდეგ, იმპერატორმა მძევლად მისი ვაჟი წაიყვანა. მართალია, გ. კედრენე ამ ფაქტსაც აღწერს და იქ მძევლის სახელსაც (ბაგრატს) აჩვენებს **(გეორგიკა 1963:48)**, მაგრამ იმის გამო, რომ არცერთი ისტორიკოსი 1001 წელს, ბასილ კეისარსა და მეფეთა-მეფე გურგენს შორის ზავის გაფორმებისა და მძევლის წაყვანის შესახებ არაფერს წერს, კედრენეს ცნობიდან სხვაგვარი აზრის გამოტანა ჩვენ შესაძლებლად არ გვესახება. გურგენს, რომ მაშინ მძევალი არ გაუცია, ეს მისი მომდევნო იმ მოქმედებიდანაც ჩანს, რომელსაც მკითხველი სულ მალე გაეცნობა.

ახლა დავუბრუნდეთ ბასილ II-ის ტაოში ყოფნას. ქართული წყაროს გადმოცემით—„მოვიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენ" **(ქ.ცხ. 1955:382)**. მოსვლის მიზეზს სუმბატ დავითის ძე არ ასახელებს. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ეს ვოიაჟი მოხდა „ალბთ დავით კურაპალატის სამფლობელოს მიღების იმედით" **(ჯავახიშვილი 1983:130)**. ვ. კოპალიანის თქმითაც: „მამა და შვილი კეისართან საომრად არ წასულან" **(კოპალიანი 1969:75)**. თუმცა, ასოღიკის ცნობიდან ირკვევა, რომ ბაგრატსა და გურგენს ბასილთან შეხვედრისას საკმაოდ დიდი შეიარაღებული ძალა ჰყოლიათ. შეიძლება იგი საომარი მიზნით არ იყო წაყვანილი, მაგრამ მოსალოდნელია სამხედრო ძალის დემონსტრაციას კი ისახავდა მიზნად. სხვაგვარად ქართველი მეფეების კეისართან შეხვედრას რაიმე ხელსაყრელი შედეგი არც მოჰყვებოდა. თუ ისინი უძლურნი მთხოვნელის სახით წარსდგებოდნენ, ბასილი მათ თავისი სურვილისამებრ მოექცეოდა. ხოლო ლაშქრით ზურგგამაგრებულთ, მათ იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ იმპერატორი უფრო დამთმობი იქნებოდა.

მართლაც როგორც ჩანს, „ბასილმა გურგენ და ბაგრატ ბაგრატიონებს დიდებული შეხვედრა მოუწყო" **(იქვე)**. ცბიერი კეისარი ტერიტორიულ დათმობაზე არ წავიდა, მაგრამ დავით კურაპალატის მთელ ქონება-წოდებებზედაც არ უთხრა უარი ქართველ მეფეებს: ბაგრატი კურაპალატის ხარისხში აიყვანა, ხოლო გურგენს მაგისტროსობა უბოძა. ამით იგი ორ კურდღელს იჭერდა—მამა-შვილს შორის შუღლს აგდებდა[1] და თანაც, დამო-

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი რომ „ბიზანტიის კეისარს მხოლოდ მამა-შვილის ურთიერთწაკიდების მიზნით არ უბოძებია ბაგრატ „აფხაზთა" მეფისათვის კურაპალატის ტიტული. ეს აქტი გაცილებით უფრო სერიოზული პოლიტიკური მოშენებით იყო განპირობებული". ჯერ ერთი, ეს თვით გურგენის თანხმობით შეიძლება მომხდარიყო. მეორეც, ბიზანტიის იმპერატორი ამით თავის გავლენის სფეროს ფართოებდა და ფორმალურად მაინც ძლიერ ვასალს იძენდა **(მაისაძე 1990:74)**. უფრო მეტიც: „ბასილი II-ის მიერ „ბაგრატ III-ისათვის კურაპალატის ტიტულის ბოძება ნიშნავდა იმპერიის მიერ „აფხაზთა" სამეფოს ახალ საზღვრებში ცნობას და ბაგრატ III-ის ქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერად აღიარებას" **(იქვე:85)**.

უკიდებელი ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის მეფე ფორმალურად მაინც, თავის სამსახურში შეჰყავდა. საბოლოო ჯამში ბასილს ორივე ეს ანგარიში გაუცუდდა. გურგენი მიხვდა ბიზანტიელის მზაკვრობას და შვილის მაგივრად მას გადაეკიდა **(ქ.ცხ. 1955:382)**. ბაგრატ III კი თავის მოქმედებაში ბიზანტიაზე არავითარი დამოკიდებულების ნიშანს არ ამჟღავნებდა და კურაპალატობის ტიტულს ამაყად ატარებდა, ვითარცა კავკასიის ყველაზე ძლიერი ხელისუფალი **(იქვე:381)**.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართველი მეფეები კმაყოფილნი იყვნენ შეხვედრის საერთო შედეგებით. საკითხი უფრო პირიქით იდგა. ეს ვითარება კარგად აქვს შეფასებული ვ. კოპალიანს. „გასაგებია,-წერს იგი,—ქართველთა ბანაკი და პირველ რიგში გურგენი და ბაგრატი ძლიერ უკმაყოფილო დარჩებოდნენ ბიზანტიის ხელისუფლების მოქმედებით. განა იმისთვის შეხვდნენ ისინი ბიზანტიის მბრძანებელს, რომ საკეისროს მიერ ტაოს მიწა-წყლის დაპყრობას დასწრებოდნენ?რა თქმა უნდა, შეხვედრას სულ სხვა მიზანი ჰქონდა, მაგრამ ეს არ გამართლდა და კეისრის მოქმედებას ბაგრატისა და გურგენის გულისწყრომა და ზიზღი უნდა გამოეწვია ბიზანტიის ხელისუფლებისადმი“ **(კოპალიანი 1969:78)**.

უკმაყოფილებას მარტო ტერიტორიული დანაკარგები როდი იწვევდა. კედრენეს სიტყვით, ფინიკიაში წასულმა ბასილ II-მ „თან წაიყვანა იბერიის დიდგვაროვნები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ: ბაკურიანი, ფევდატე და ფერსი, ღვიძლი ძმები, რომელნიც მან პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა“ **(გეორგიკა 1963:46)**.

ვ. კოპალიანის სამართლიანი შენიშვნით, ბასილის მიზანს აქ ქართველ დიდებულთა პატრიკიოზად დაწინაურება კი არ შეადგენდა, არამედ იგი ტაოს ამით აქტიურ მებრძოლ, მისთვის არასანდო ძალას აცლიდა. მან ტაოდან „ყველაზე უფრო საშიში პირები წაიყვანა[1], ხოლო დარჩენილებს... მმართველად ბერძენთაგანი დაუნიშნა, მაგრამ არც დარჩენილები, აღმოჩნდნენ კეისრის ერთგულნი“ **(კოპალიანი 1969:74)**.

---

[1] მომდევნო მოვლენებმა ცხადჰყვეს, რომ ქართველებს შშობილურ მხარეს მოწყვეტის შემდეგაც გაუგრძელებიათ პატრიოტული საქმიანობა. რომლის საბოლოო მიზანს სამშობლოს მძიმე ხვედრის შეშსუბუქება წარმოადგენდა.

კერძოდ ტაოდან წაყვანილმა ფერის ჯოკიკის ძემ მონაწილეობა მიიღო ნიკიფორე ფოკასა და ქსიფეს აჯანყებაში, რომელიც სწორედ იმ დროს (1022 წელს) მოეწყო, როცა ბასილ კეისარი საქართველში ლაშქრობდა და გამარჯვებული მძიმე საზავო ხელშეკრულების განხორციელებისათვის რეპრესიულ ღონისძიებებს ატარებდა. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, აჯანყების დაწყების შეტყობამ „დიდად შეაძრწუნა ... ბასილი“ კეისარი. მაგრამ აჯანყებულთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ქსიფემ ნიკიფორე ფოკა მოაკვლევინა და კეისარი გადარჩა. დაიწყო მონაწილეთა დასჯა. საგულისხმოა, რომ აჯანყების ხელმძღვანელი, ანატოლიის მმართველი ქსიფე მხოლოდ გადასახლებას დაჯერეს. მისი თანამზრახველი ფერის ჯოკიკის ძე კი იმპერატორმა სიკვდილით დასჯა. როგორც ჩანს მისთვის, იგი უფრო საშიში იყო ვიდრე სხვები **(გეორგიკა 1963:300)**.

ფერისის მამა ჯოკიკი გამოჩენილი მხედართუფროსი იყო: იგი ბორნიკესთან ერთად სარდლობდა ბარდა-სკლიაროსის წინააღმდეგ დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილ ქართულ ლაშქარს. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ავტორის მიხედვით ფერის ჯოკიკის ძე განათლებული ქველმოქმედი პიროვნება ყოფილა. მას დიდი საუნჯე შეუწირავს ათონის ივერთა მონასტრისათვის **(ძვ. ქართ.მოთხ. 1973:380)**.

იმიერტაოს ბევრი აზნაური, რომ ამის შემდეგაც არ ურიგდებოდა ბიზანტიის მპყრობელობას ეს იქიდან ჩანს, რომ ხლათისა და ბაგრევანდის პროვინციებიდან გამობრუნებულ კეისარს, კვლავ ტაოში მოუხდა მობრუნება, „ბასილი ბაგრევანდიდან პირდაპირ ტაოს პროვინციის ქალაქ ოლთისში გამომგზავრებულა,—წერს ასოლიკის ცნობის მიხედვით ვ. კოპალიანი,— ტაოში მოსულს დიდი ბრძოლა დასჭირდა და დაიპყრა, ყველა სიმაგრე, მიუვალი ადგილები და ჩააბარა ისინი ერთგულ პირებს" **(იქვე: 80)**. ამის გარდა იმპერატორმა, ასოლიკის გადმოცემით, ყველა უნდო ტაოელი აზნაური აყარა და თან წაიყვანა ბერძენთა მიწაზე დასასახლებლად **(სტ. ტარონელი 1863:201)**. თავად ეს ღონისძიებაც აჩვენებს, თუ როგორი მძლავრი წინააღმდეგობა შეხვედრია კეისარის მიერ დავით კურაპალატის მემკვიდრეობის მიტაცებას.

როგორც ვთქვით, უკმაყოფილება აშკარა შეტევაზე გადასვლით გამოხატა მეფეთა-მეფე გურგენმა. ასოლიკი გადმოგვცემს: იგი „მთელი თავისი ლაშქრით თავს დაესხა ტაოს მხარეს (იმიერტაოს. — გ.მ.) და ის დაიპყრო. ალყა შემოარყა უხტიკის (ოლთისი) პატარა სიმაგრეს, მაგრამ მცირეოდენი ზიანიც ვერ მიაყენა ვერც ამ ციხესა და ვერც სხვა რომელიმე სიმაგრეს. ამის გამო მთელი თავისი მხედრობა მამრუანის ველებზე გაიყვანა და იქ დაბანაკდა: ეს რომ მეფემ გაიგო, უბრძანა კანიკლ მაგისტროსს, რომ ბერძენთა მთელი ლაშქრით გურგენის წინააღმდგ წასულიყო. კანკილი სომეხთა წელთაღრიცხვით 450 წელს (=1001) მოვიდა და ბასიანის მხარეში დაბანაკდა. ორივე მხარემ მთელი წელი დაჰყო იმ ადგილას. ზამთარი რომ დადგა, მაშინ კანკილმა მოლაპარაკება დაიწყო გურგენთან. ამბობენ იმპერატორი დათანხმდა, რომ შეასრულებდა მის (გურგენის) სურვილებს". **(ციტ. ვ. კოპალინის მიხედვით. დასახ. ნაშრ., გვ. 81)**. გარკვეული არ არის რაში გამოიხატა იმპერატორის თანხმობა.

გართულებების გარეშე არც ბასილისა და ქართველი მეფეების პირველი შეხვედრა დამთავრებულა. ასოლიკის გადმოცემით, მაშინ დიდი შეჯახება მომხდარა ქართველ და რუს მეომრებს შორის. ამ საკითხს რიგი ისტორიკოსებისა იკვლევდა და შესაბამისად არც გამოთქმულ მოსაზრებათა სიმწირე იგრძნობა. მკვლევართა დაინტერესებას იწვევს თუ რა იყო კონფლიქტის მიზეზი. სტ. ტარონელის თქმით — ბასილ II-სთან ბაგრატისა და გურგენის შეხვედრის უკანასკნელ დღეს, როცა ქართველი მეფეები გასამგზავრებლად ემზადებოდნენ, ბერძენთა ბანაკში მყოფ რუს მეომარს ქართველმა თივის წართმევა დაუპირა. ორივეს თავისიანები დაეხმარნენ.მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. ქართველები დამარცხდნენ. ბრძოლაში ოცდაათამდე ქართველი წარჩინებული მოკლეს „რადგან მათი ქედმაღლობისათვის ღვთის რისხვა ტრიალებდა მათ თავზე". **(სტ. ტარონელი 1863:201)**.

ვ. ვასილევსკი ვარაუდობდა და მას ეთანხმება ი. ციცკაძე, რომ ამ შეტაკების მიზეზი იყო რუსთა კორპუსის მიერ ბარდა ფოკას აჯანყების დროს ქართველთათვის წვნეული დიდი მარცხი. ამას გარდა, რუსები ბიზანტიაში

ქართველთა კონკურენტები გამოდგნენ. ბიზანტიის იმპერატორები მათ უფრო ეყრდნობოდნენ და ამით განაწყენებულმა ქართველებმა მოინდომეს შური ეძიათ **(ცინცაძე 1956:15--16)**.

რუსი ისტორიკოსის მიერ კონფლიქტის მიზეზის ასე ახსნა გასაკვირი არ არის. მას სურს ქართველები მტკუანად გამოიყვანოს და ამას სხვა საბაბს ვერ უძებნის. აბა, რუსებს ხომ არ გაამტყუნებს და ხომ არ იტყვის, რომ ისინი აგრესორს ეხმარებოდნენ და ტაოში მათი ყოფნა უკვე მათს საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ისინი მაშინ იქნებოდნენ მართლები ქართველები, რომ მათ დნეპრისპირეთში წაჰხუბებოდნენ.

მაინცდამაინც, არც ქართველი მეცნიერის მსგავსი მსჯელობაა გასაკვირი. ი. ცინცაძე ეთანხმება ვ. ვასილევსკის ტენდენციას და წერს: „სისხლისღვრა თვით ბერძნების ბანაკში მყოფ რუსებსა და ქარველებს შორის მოხდა, სახელდობრ **ქართველი ჯარისკაცის მედიდურობით** "-ო. **(იქვე:14)**. ცხადია, ამ ფრაზის ავტორს ჩემს მიერ ხაზგასმული სიტყვები ოფიციოზის გულის მოსაგებად აქვს დაწერილი. როცა მისი ნაშრომი იწერებოდა (სადოქტორო დისერტაციად მისი დაცვა მოხდა 1947 წელს), რუსისა და რუსეთის შესახებ მხოლოდ აღმატებით ხარისხში შეიძლებოდა აზრის გამოთქმა. ავტორმაც ეტყობა ქედი მოუხარა ამ პარტიულ განაწესს და ათი საუკუნის წინათ მომხდარი სისხლისღვრა, რომელსაც ათეულობით ქათველის სიცოცხლე შეეწირა და, რომელიც, ფაქტობრივად აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, „ქართველი ჯარისკაცის მედიდურობას" გადააბრალა. ვიმეორებთ, ეს მისთვის გასაკვირი არ არის ვისაც საბჭოთა ხელისუფლების დროინდელი ლენინურ-სტალინური იდეოლოგიური წნეხის არსი გაცნობიერებული აქვს. მისი ყოვლისშემძლეობის გამო, ერთი მცირე ეპიზოდი კი არა, ხალხების ისტორია შეიძლებოდა ყოფილიყო უგულვებელყოფილი, ან კომპარტიისათვის სასურველი ტენდენციით დაწერილი.

ჩვენ ვერ დავიჟინებთ სახელდობრ ამ ეპიზოდში ქართველთა გამტყუნებით იყო თუ არა უკმაყოფილო ი. ცინცაძის ნაშრომის ოფიციალური ოპონენტი ნ. ბერძენიშვილი, მაგრამ მისი რეცენზიიდან ნამდვილად ვიცით, რომ იგი დისერტანტს ვ. ვასილევსკის შეხედულების მოწონებას საყვედურობდა და მიაჩნდა, რომ რუსი მეცნიერი მართალი არ უნდა იყოს კონფლიქტის მიზეზის ახსნაში. „მაინცდამაინც ი. ცინცაძეს, — მოითხოვდა იგი,—უნდა ცხადეყო თავისი დამოკიდებულება აკად. ვასილევსკის თეზასთან, რომ რუს-ვარიაგები და ქართველები თითქოს თანაბარი ხარისხის მოვლენას წარმოადგენდნენ ბიზანტიის ლაშქარში" **(ბერძენიშვილი 1971:193)**. მაშასადამე, ნ. ბერძენიშვილისათვის ქართველები და რუსები არათანაბარი ხარისხის ძალები იყვნენ ბიზანტიის იმპერიაში.

თუ რა შეიძლებოდა ჰქონოდა ამ შემთხვევაში მხედველობაში განსვენებულ მეცნიერს მისი დაზუსტების მიზნით ვ. კოპალიანი განმარტავს: „ისინი (ქარველები და რუსები.— გ.მ.) ისევე არ წარმოადგენდნენ თანაბარი ხარისხის მოვლენას ბიზანტიის ლაშქარში, როგორც ამ დროის ბიზანტია-საქართველოსა და ბიზანტია-რუსთა ურთიერთობა არ იყო თანაბარი ხასია-

თის“ (კოპალიანი 1969:77). რუსები ხან დაჭირავებული და ხანაც მოკავშირის სახით ბიზანტიელთა ლაშქრის მიერ ყველა მხარეში გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ. ქართველები — კი მხოლოდ მათთან ახლო მდებარე აღმოსავლეთის პროვინციებში. ქართველები პოლიტიკურად უფრო ახლოს იდგნენ ბიზანტიასთან, ვიდრე რუსები. ამის გამო მხედართმთავრებად და პოვინციების მმართველებად მათი დანიშვნა უცხო მოვლენას არ წარმოადგენდა, რასაც რუსების შესახებ ვერ ვიტყვით (იქვე:78).

ჩვენი აზრით, სწორად აქვს გადმოცემული ვ. კოპალიანს რუს-ქართველთა შეტაკების მიზეზიც. მის მიხედვით ეს იყო უკმაყოფილება, რაც ქართველებში გამოიწვია ბიზნტიის კეისრის მიერ ტაოს მიტაცებამ. როგორც იგი წერს ამას ადასტურებს „ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ ორ ბანაკს შორის კონფლიქტი და სისხლისმღვრელი ბრძოლა ატყდა მას შემდეგ, რაც კეისრის ვერაგული მიზნები უკვე გარკვეული იყო“ (იქვე: 79). ასეთი ახსნის შემდეგ მკვლევარი სწყვეტს ამ კონფლიქტის შესახებ მსჯელობას და შეხვედრის საერთო შედეგების განხილვაზე გადადის.

ჩვენ კი თუ დავუბრუნდებით ამ კონფლიქტს, საჭიროდ მიგვაჩნია განმეორებით გავუსვათ ხაზი, რომ მისი მიზეზი იყო იმპერატორ ბასილი II-ის მიერ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ანექსია. ქართულ მხარეს უკმაყოფილების გამოხატვა კეისრის მთელ ძალებთან შებმით არ შეეძლო, მაგრამ მათ მხარდამჭერ რუსებთან დამოკიდებლებაში კი გამოავლინა თავისი ემოციები. ეს კონფლიქტი, ვფიქრობთ, ადასტურებს ჩვენს ზემოთ ნათქვამს იმის შესახებ, რომ ბაგრატსა და გურგენს ბასილთან შეხვედრის დროს მნიშვნელოვანი სმხედრო ძალა ახლდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზანტიელთა ბანაკში მყოფი 6 ათასი რუსი მეომრის წინააღმდეგ შებმას ქართველები ვერ გაბედავდნენ. თავისთავად კი გამარჯვებული მოწინააღმდეგის ბანაკის შუაგულში ბრძოლის გამართვა, იმ გმირობის ტოლფასია დიდგორის ბრძოლის დასაწყისში, რომ გამოიჩინა დავით აღმაშენებლის მიერ გაგზავნილმა ორასმა ქართველმა მეომარმა. ტაოშიაც და დიდგორშიაც ქართველთა თავდადება სამშობლოს ალტარზე საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანას ნიშნავდა.

მართალია, მათი უმრავლესობის ვინაობა ჩვენ არ ვიცით და აქამდე მხოლოდ ასოლიკის ეული ჩამოთვლით ორიოდე პირი თუა ცნობილი, მაგრამ 1000 წლის შემდეგ ამ სახელების განმეორება მათი თავდადებისადმი ნაწილობრივ ვალის მოხდას მაინც ნიშნავს. სტ. ტარონელი (ასოლიკი) წერს: „იქ დაიხოცნენ — დიდი მთავართა-მთავარი, რომელსაც პატრიქი ეწოდებოდა, ოჩოპენტრეს ორი ვაჟიშვილი — გაბრიელ და ივანე, აბულ-ხაბრის შვილიშვილი ჩორდვანელი და სხვა მრავალნი“ (სტ. ტარონელი 1963:201).

ბიზანტიის კეისრის 1001 წლის აგრესიაზე საუბრისას ისმება კითხვა ხომ არ შეიძლება გაირკვეს მაინც რა მიწა-წყალი მიითვისა იმპერატორმა? ამ მიზნით ჯერ უნდა გავიხსენოთ რა ტერიტორიას ფლობდა დავით კურაპალატი. როგორც ვიცით „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, მამულები

„ჰქონდა დავითსა კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს“ **(ქ. ცხ. 1955:288)**. ამას უნდა დაემატოს „საბერძნეთის სომხეთის“ კანტონები, რომლებიც ტაოს მეფემ თავისი სიცოცხლის დასასრულს ბრძოლით შემოიმტკიცა. როგორც ჩანს, ბასილ II-ს მთელი ეს ტერიტორიები არ დაუბერია. კერძოდ, დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით — „კოლა-არტაანი და ჯავახეთი“ კეისარმა კურაპალატობის ტიტულთან ერთად დაულოცა ბაგრატ III-ს. ამისათვის მკვლევარს ორი საბუთი მოაქვს. ერთი, არისტარკეს ლასტივერტელის ცნობა ბაგრატს III-ის სიკვდილის შემდგომი სიტუაციის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ იმპერატორს ბაგრატისათვის დავით კურაპალატის მემკვიდრეობიდან მამულების ნაწილი უწყალობებია **(მუსხელიშვილი 1980:230)**. მეორე საბუთი კი სუმბატ დავითის ძის მონათხრობია, სადაც კეისრის ტაოში შემოსვლასთან დავშირებით ნათქვამია: „აოხრდა იმიერ-ტაო... დაიპყრა ბასილ მეფემან მამული დავით კურაპალტისა“-ო. რომლის მიხედვითაც დ. მუსხელიშვილი წერს: „ამგვარად სავარაუდოა, რომ ბიზანტიამ ამჯერად (1001 წელს. — გ. მ.) დაისაკუთრა მხოლოდ იმიერტაო, დიდი ხნის სადავო ბასიანითურთ. ამასვე გვავარაუდევინებს ასოღიკისა და არისტარკესის ცნობებიც ბასილი კეისრის ძხოლოდ ოლთისში მოსვლის შესახებ“ **(იქვე)**.

ვფიქრობთ, ეს ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამება. მართალია, გარდა ნათქვამისა ჩვენ სხვა დოკუმენტები არ მოგვეპოვება კოლა-არტაანის მიმართ, მაგრამ ვიცით, რომ ჯავახეთი ადრიდანვე იყო აფხაზთა მეფეების დომენი **(ბერძენიშვილი 1985:98)** და იგი ასეთადვე დარჩა დავით III-ის გარდაცვალების შემდეგაც. ამის გარდა, არსებობს პირდაპირი მითითება ჯავახეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე უმნიშვნელოვანესი ცენტრის—დლივის 1008 წელს, ბაგრატ III-ის მფლობელობაში ყოფნის შესახებ. „მატიანე ქართლისაში“ ვკითხულობთ: „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი იყო მას ჟამსა (1008 წელს, კახეთზე გალაშქრების წინ.—გ.მ.) დლივს“-ო **(ქ. ცხ. 1955:278)**.

ამრიგად, ზევით დასმული კითხვის პასუხად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბასილ II-მ, 1001 წელს, ანექსია უყო იმიერტაოსა და ბასიანის მხარეს. ჯავახეთი და მოსალოდნელია, კოლა-არტაანიც ბაგრატ III-ს დარჩა.

მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე გამოთქმულია უფრო მაქსიმალისტური მოსაზრებაც. იგი ეკუთვნის მ. ბერძნიშვილს. ქ-ნი მამისა აღნიშნავს, რომ დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბიზანტიამ დაიბრუნა ტაოს მეფისათვის ნაბოძები „ზემონი ქვეყანანი“, ანუ კარინის, ბასიანის, მარდალის, ჰარქისა და აპაჰუნიკის ოლქები. „საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის ამჯერად მდ. ბანისწყალზე დაიდო. ეს მდინარე ორ ნაწილად ყოფდა ტაოს. ბანისწყალის ჩრდილოეთით ამიერტაო იყო, სამხრეთით იმიერტაო. იმიერტაო კვლავ შეუერთა საქართველოს ბაგრატ III-მ, უკვე გაერთიანებული ქვეყნის მეფემ. გიორგი I-ის დროს მთელი ტაო საქართველოს სახელწიფოს შემადგენლობაშია და სამხრეთი მეზობელი ქვეყანა ისევ ბასიანია“ **(სინ 1979:64)**. ასეთი დასკვნის საბუთად ამ ციტა-

ტის ავტორი იმ ფაქტს იმოწმებს, რომ სუმბატ დავითის ძის მიხედვით გიორგი I-ის საწინააღმდეგოდ წამოსულმა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმა ბასიანში, როგორც საქართველოს მეზობელ მხარეში დაიბანაკა.

სათანადო წყაროების უქონლობის გამო ჩვენ ვერ გამოვუდგებით ამ მოსაზრების ავ-კარგზე მსჯელობას. იგი იმიტომ მოვიტანეთ რომ მკითხველისათვის ასეთ მოსაზრების არსებობა გაგვეცნო. თანაც ბოდიშს ვუხდით მეტად საპატივცემულო მეცნიერს მისი შეხედულების „მაქსიმალისტურად" ხსენების გამო.

1001 წელს შექმნილი საგარეო-პოლიტიკური გართულებებით, როგორც ჩანს, კვლავ ისარგებლეს ბაგრატთან ოპოზიციაში მყოფმა ეგრის-აფხაზეთის ფეოდალებმა. მემატიანის ცნობით, მეფემ ამჯერადაც „მოიწუნა და განაგა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი: ურჩნი თვისანი შეცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა" (ქ. ცხ. 1955:278). ამგვარად, ბაგრატ III განცდილი საგარეო-პოლიტიკური მარცხის მიუხედავად მტკიცედ განაგრძობს თავის კურსს. არ ერიდება ქვეშევრდომთა „დიდებისაგან შეცვლას" და მათს ადგილზე „მოსწრაფედ მორჩილებს" აწინაურებს.

ქართული წყაროების მიხედვით, ბაგრატ III „ქართლსა ზედა ბრძოლაში" ახალ შეტევაზე მაშის—გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1008 წლიდან გადავიდა. იგი ამისათვის საფუძვლიანად მოემზადა. მემატიანის თქმით „განამრავლა ლაშქარნი თვისი უმეტეს ყოვლისა ჟამისა" (იქვე), საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ძველ მეტოქეთაგან ამ დროს ორი პოლიტიკური ერთეულილა რჩებოდა: კახეთის საქორეპისკოპოსო და თბილისის საამირო. ეს უკანასკნელი ტერიტორიულად ძლიერ შემცირებული გახლდათ და მაჰმადიან მფლობელთაგან მისი მფარველობის გამო, მასთან ურთიერთობის გართულება სასურველი არ იყო. თანაც, თბილისის საამირო დიდი ხანია გამოეთიშა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის ჰეგემონობისათვის წარმოებულ ბრძოლას.

რაც შეეხება კახეთის საქორეპისკოპოსოს, იგი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს არა მარტო უშუალო მეტოქე იყო ამ ბრძოლაში, არამედ დიდ შემაფერხებელ ძალას წარმოადგენდა ჰერეთის შემოერთების გზაზე. ამიტომაც ბაგრატ III-მ იგრძნო რა თავი მომზადებულად ამ პრობლემის გადაჭრისათვის, მთელი თავისი ლაშქრით ქართლში გადავიდა. იმჟამად კახეთის ქორეპისკოპოსი იყო დავითი (976—1009). მას მეფემ მოციქულები მიუგზავნა „ითხოვა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს" (იქვე). ამჯერად მოთხოვნა ფორმალურად კანონიერია. ბაგრატ იმ ციხეების დაბრუნების საკითხს აყენებს, რომლებიც კახელებმა 975 წელს, ბაგრატისა და მისი დედ-მამის ტყვეობიდან დახსნის შემდეგ არ დაუბრუნეს დავით კურაპალატს. ესენი იყო „წირქუალის ციხე და გრუი" (იქვე: 275). დავით ქორეპისკოპოსმა ძალთა თანაფარდობა ვერ გაითვალისწინა და მტკიცე უარი შემოთვალა. „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენს შორის დამაჯერებელ მკლავი

და ომი. ხოლო მე წინა მოგეგებო ქსანსა ზედა"-ო (იქვე: 278), იქადნებოდა იგი.

ბაგრატი ამ დროს ჯავახეთში[1], დლივს იდგა. მემატიანის სიტყვით გურგენ მეფეთა-მეფე ახალი გარდაცვალებული იყო და მეფე მემკვიდრეობით მიღებული მისი ყოფილი სამფლობელოსა (ამიერტაო, შავშეთი, სამცხე) და ჯავახეთ-ქართლის საქმეების განაგებდა (იქვე), მეფე ძალიან გაწყრა ქორეპისკოპოსის ავყია პასუხის გამო. მასთან მყოფი „ზემოთა ლაშქარი" არ იკმარა. ეგრის-აფხაზეთიდან და ქართლიდანაც მოუხმო მეომრებს. ურიცხვი სპა შეაგროვა და „იწყო ბრძოლად ციხეთა"

მემატიანეს მითითებული აქვს მარშრუტი, რომელიც ბაგრატმა დლივიდან გაიარა. იგი წერს: „წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ხიდი მცხეთისა,... დადგა თიანეთს" (იქვე: 279). აქ თითქო გასარკვევი აღარაფერია. დლივიდან მესხეთის ლაშქრის („ზემოთა ლაშქრითა") თანხლებით წამოსული მეფე ქართლში აღარ გამოივლის, მოდის თრიალეთზე მცხეთის ხიდის მიმართულებით. მაგრამ ნ. ბერძენიშვილმა მაინც საჭიროდ სცნო ბაგრატ III-ის მარშრუტის კიდევ უფრო დაზუსტება. რაც გამოიხატა შუალედური პუნქტების გამონახვაში, მემატიანის მიერ დასახელებულ ორიენტირებს შორის. ასეთი დაკონკრეტების შემდეგ იგი აღნიშნავდა: „აფხაზთა მეფის მარშრუტი იგივე.... გზაა თრიალეთიდან კლდეკარ-მანგლისის უელით დიდგორ-ჭილიტბის სერზე. აქ უნდა ვიფიქროთ, მეფემ კარსანზე გაიარა და უდაბნოს სერის გადაველით მცხეთის ხიდს მივიდა" (ბერძენიშვილი 1975:212).

ბაგრატმა საბრძოლო ოპერაციები თიანეთიდან დაიწყო. დავით ქორეპისკოპოსმა ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მეფემ კახეთი გადაიარა, ჰერეთი აიღო და იქ მთავრად აბულალი „განაჩინა" და უკან გამობრუნდა.

ეს ლაშქრობა მკვლევარებს ძლიერ მოკლედ აქვთ კომენტირებული. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი წერდა: ბაგრატი „მოკლე გზით ჯავახეთიდან კახეთში ჩავიდა, დაიპყრა ჰერეთი და იქ თავისი მთავარი აბულალი განაჩინა"-ო (ჯავახიშვილი 1983:131). მ. ლორთქიფანიძე ამას უმატებს „მატიანე ქართლისაში" დამოწმებულ სიტყვებს—„შემუსრა კახეთი"-ო (სინ 1979:159). მაგრამ მკვლევარი არ განმარტავს ეს გამონათქვამი ნიშნავს თუ არა მეფის მიერ კახეთის დაპყრობა-დამორჩილებას. ამ საკითხის გარკვევის ცდა მოცემული აქვს თ. პაპუაშვილს. იგი მემატიანის ტექსტს ასეთ კომენტარს უკეთებს: „1008 წლის ლაშქრობის დროს ბაგრატ III კახეთი არ დაუპყრია, არც ის ჩანს, რომ მას ქსნის ხეობაში მდებარე ქართლის ციხეები (წირქვალის, გრუის და სხვ.) უკან დაებრუნებინოს. საფიქრებელია ეს იყო ერთგვარი მანევრი, რომელზედაც უნდა გადაეტანა დავითის სამხედრო ძალების ყურადღება, რათა ამასობაში დაეპყრო ჰერეთი. ეს მიზანი ბაგრატ III კიდევაც განახორციელა" (პაპუაშვილი 1982:204).

---

[1] თ. პაპუაშვილს შეცდომით დლივი ტაოში აქვს ლოკალიზებული (პაპუაშვილი 1982:204). დლივის მდებარეობის განსაზღვრის შესახებ იხ. ზევით, გვ. 467.

ვფიქრობთ, მემატიანის ნათქვამი: „იწყო შემუსვრად კახეთისა“ და „ვერა წინააღუდგა დავით“ ნიშნავს, რომ ბაგრატმა დაამარცხა დავით ქორეპისკოპოსი და კახეთი დაიმორჩილა. მაგრამ აქ მას ისეთივე ღონისძიება არ გაუტარებია, როგორც ჰერეთში. სადაც, როგორც ქვევით ვნახავთ, სამეფო სახლის მამაკაცთა შტოს შეწყვეტის გამო, ახალი მთავრის დანიშვნა გახდა საჭირო. კახეთში კი ჩანს, დავითის ქორეპისკოპოსობიდან გადაყენება აუცილებლად არ სცნო, რის გამოც შემდეგში კახეთსა და ჰერეთში ახალი ლაშქრობის გამართვა დასჭირდა. ასე, რომ არა გვგონია აქ მოწინააღმდეგის ყურადღების მოდუნების მიზნით რაიმე მანევრზე შეიძლებოდეს ლაპარაკი. აბა, რა მანევრია, როცა ქვეყანას შემოჭრილი ლაშქარი შემუსრავს, ხოლო მისი დამცველი ქორეპისკოპოსის სამხედრო ძალა უსუსურია მას წინააღმდეგობა გაუწიოს?

ბაგრატ III-ის წამოსვლისთანავე „კაცნი ჰერეთისანი“ განუდგნენ „აფხაზთა“ მეფის მიერ დაყენებულ მთავარს აბულალს და ჰერეთი ქორეპისკოპოსს დავითს გადასცეს. მანაც შეიერთა. მეზობელი ქვეყანა. თ. პაპუაშვილს ეს მიაჩნია „რანთა და კახთა“ სამეფოს შექმნის ერთგვარ პრეცედენტად (იქვე:205). მაგრამ დავითს დიდხანს არ ჰქონია გაერთიანებული სამეფოს ხელმწიფედ ყოფნის ბედნიერება. იგი 1009 წელს გარდაიცვალა (ქ. ცხ. 1955:279). მემკვიდრე გახდა მისი შვილი კვირიკე III (1009—1037). იგი პირველია კახეთის ქორეპისკოპოსთა შორის ვინც მეფის ტიტულს ატარებს.

ჰერეთ-კახეთში ვითარების ასე შემობრუნებასა და კახეთის გაძლიერებას ბაგრატ III ვერ შეურიგდებოდა. „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს: „კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თვისითა ბაგრატ, აღიღო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თვისად, იწყო ძებნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწუხებდა კვირიკე ბოჭორმას, და დაუყენნა ციხესა გარშემო მცველნი წელიწდამდი, წარიღო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კვირიკე და დაიჭირა თვისსა კარსა ზედა“ (იქვე: 279).

მაშასადამე, ბაგრატ III-მ ორწლიანი (1010—1011) ბრძოლის შემდეგ თავის სამეფოს შემოუერთა კახეთი და ჰერეთი. ამჯერად ამ შემოერთების სიმტკიცისათვის მან ტყვედ წამოიყვანა ჰერეთის მმართველთა უკანასკნელი წარმომადგენელი დინარ დედოფალი და კახეთის მეფე კვირიკე III. და, როგორც ვახუშტი ამატებს დაპყრობილ ქვეყნებში „დასხნა ერისთავნი მისნი“ (ქ. ცხ. 1973:561).

---

[1] მკვლევარები (მ. ბროსე, გ. ჩუბინაშვილი, თ. პაპუაშვილი) ვარაუდობენ, რომ დინარ დედოფალი ამ დროს ცოცხალი აღარ იქნებოდა. დინარი წარმომავლობით კლარჯ ბაგრატიონთა სახლიდან, იყო ჰერეთის მეფის ადარნასე პატრიკიოზის (დაახლოებით 906—943) მეუღლე. დინარის მამა ადარნასე ბაგრატიონი გარდ. 896წ., ე.ი. მართლაც არ არის მოსალოდნელი, რომ თუნდაც ამ წელს დაბადებული იგი, 1010 წელს, ცოცხალი წამოეყვანა ბაგრატ III-ს. ამის გამო გ. ჩუბინაშვილი სწორად ვარაუდობდა ამ შემთხვევაში სხვა დინარის „თვისად დაჭერას“ ბაგრატ III-ის მიერ (Чубинашвили 1959:23). თ. პაპუაშვილი კი ეთანხმება მ. ბროსეს და კ. თუმანოვს, რომ ბაგრატს წმინდანად აღიარებული დედოფლის ნაწილი „თაყვის სამფლობელოში გადაუსვენებია“ (პაპუაშვილი 1982:215).

ეს აქტი დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში. ამიერიდან ბაგრატ III-ის სახელმწიფოს გარეშე მხოლოდ თბილისის საამირო რჩებოდა.

მემატიანის გადმოცემით, ბაგრატ III-ის მიერ ჩატარებული უკანასკნელი დიდი აქცია იყო განძის ამირა ფადლონის (985—1031) მოთვინიერება. ფადლონი შედადიანთა სადინასტიო სახლს ეკუთვნოდა. შედადიანები 951-დან 1088 წლამდე ედგნენ სათავეში არანის საამიროს. ამ სახელმწიფოს ფარგლები თ. პაპუაშვილს ასე აქვს განსაზღვრული: „შედადიანთა სამფლობელოს ჩრდილოეთი საზღვარი მდ. მტკვარზე იდო, მას სამხრეთით—მდ. არაქსი, აღმოსავლეთით ბაილაკანის ოლქი, დასავლეთით კი ციხე-ქალაქი ხუნანი“ შემოფარგლავდა (**პაპუაშვილი 1982:220**). საამიროს ცენტრი პარტავის (ქართ. ბარდავი) დაცემის შემდეგ იყო ქ. განჯა (განძა).

ფადლონმა დამარბეველი ლაშქრობები დაიწყო კახეთ-ჰერეთში. ძლიერ შეუვიწროებია იქ ბაგრატ III-ის მიერ დატოვებული ერისთავები. იგი „უამითი-ჟამად მეგობრობით და პარვით“ იკლებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. ჩანს ფადლონი არც მეზობელ სომეხთა სამეფოსთან იყო პირნათელი. განძის ამირას მიერ კახეთ-ჰერეთის დარბევით აღშფოთებული ბაგრატ მეფე გაემზადა სალაშქროდ. მოციქულები გაუგზავნა სომეხთა მეფე გაგიკს და ფადლონზე შურისძიებაში მონაწილეობა შესთავაზა. გაგიკს დიდად გახარებია ქართველთა მეფის მიწვევა და, სასწრაფოდ შეკრებილი ლაშქრით ძორაკერტში შეერთებია ბაგრატს. მოკავშირეების შეშოტევა, რომ შეიტყო „დიდად განლაღებული“ და „ქრისტეს მოძულე“ ფადლონი „წარვიდა და მიმართა სიმაგრეთა შესვლად“ (**ქ. ცხ. 1955:280**).

ბაგრატმა ძლევამოსილად დალაშქრა რანი. გარშემოერტყა ქ. შამქორს. ქართველმა მეომრებმა ხანმოკლე დროში ქვისსატყორცნებით დალეწეს ქალაქის ზღუდეები, შამქორი დაცემის პირას იდგა. ღამით ფადლონმა მოციქული გამოგზავნა. შენდობას ითხოვდა. მეფემ მოლაშქრე დიდებულები შეკრიბა და უბრძანა ქალაქი შეტევით აეღოთ. დარბაზისერთა ითათბირეს და ბაგრატს ფადლონის წინადადებებზე დათანხმება ურჩიეს. მეფემ შეიწყნარა ნათათბირევი და ზავის დასტური მისცა. აღფრთოვანებულმა ფადლონმა სიტყვით აღთქმული საქმითაც შეასრულა: „უძღუნა ძღვენი დიდი და მიუწვდომელი, აღავსნა ყოველნი დიდებულნი ნიჭითა მიუწვდომელითა, და წარმოვიდა (ბაგრატ III. —გ. მ.) შინა გამარჯვებული“ (**იქვე**).

რაიმე გარკვეულის თქმა ცნობათა სიმცირის გამო შეუძლებელია, მაგრამ უფრო სწორი გ. ჩუბინაშვილი უნდა იყოს. შეიძლება საქმე მართლაც სხვა დინარ დედოფალთან გვქონდეს. ამ აზრთან გვაახლოებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაც. მის მიხედვით—„კვირიკე შეიპყრა მეფემან ბაგრატ და დაიპყრა კახეთი თჳთ, ხოლო ჰერეთს მომკვდარ იყო იშხანიკ და არღარა—ვინ იყო მკვიდრი, თჳნიერ დინარ დედოფლისა. მოვიდა ბაგრატ მეფე, დაიპყრა თჳთ ჰერეთი და წარიყვანა დინარ დედოფალი და დასხნა ერისთავნი თჳსნი“ (**ქ. ცხ. 1973:560-561**). მაშასადამე, ჰერეთის მეფის იშხანიკ ადარნასეს ძის გარდაცვალების შემდეგ, დინარის გარდა სამეფო სახლიდან ცოცხალი აღარავინ იყო. ეს დინარი ძნელი წარმოსადგენია იშხანიკის დედა, რომ იყოს. დედოფლად კი დის პოხსენიებაც შეიძლება. ვახუშტის დამოწმებული გადმოცემა გვქონდა მხედველობაში, როცა ზევით ჰერეთის მმართველი დინასტიის მამაკაცთა შტოს შეწყვეტის შესახებ მივუთითებდით.

„მატიანე ქართლისას“ ავტორის ამ მონათხრობში თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა: აღწერილია ბაგრატ III-ის ძლევამოსილი ლაშქრობა ფადლონის წინააღმდეგ. მაგრამ ნ. ბერძენიშვილის მახვილმა თვალმა ამ მონათხრობში ზოგიერთი დაფარული საყურადღებო დეტალი აღმოაჩინა. უპირველეს ყოვლისა, ეს ისაა, რომ ბაგრატს, მართალია მორჩილი ფეოდალები ახლავან ლაშქრობაში, მაგრამ ისინი არ არიან მომხრენი მეფის უსაზღვროდ გაძლიერებისა. ბაგრატს კი ფეოდალთა მხარდაჭერის გარეშე საკუთარი ძალით ქალაქის აღება არ შეუძლია. იგი „იძულებულია „უბრძანოს“ ზავი“ **(ბერძენიშვილი 1979:73)**.

სხვა საკითხია რატომ არის ეს ზავი იძულებითი. ფადლონი ხომ დამორჩილებულია, ხარკს იძლევა და ქართველთა მტრების წინააღმდეგ ლაშქრობებში მონაწილეობას კისრულობს, ე. ი. უმადნაფიცი ხდება? ამ კითხვაზე ნ. ბერძენიშვილი პასუხობს: ბაგრატს „ფადლონის უმადნაფიცობა არ სურს. მას შანქორის ისეთივე შემოერთება უნდა, როგორც კახეთ-ჰერეთის და ტაო-კლარჯეთისა. მისი სახელმწიფო-პოლიტიკური ხაზი უმადნაფიცობის სისტემის წინააღმდეგია“ **(იქვე: 72)**. ამიტომაა, რომ იგი მოწვეულ დიდებულებს პირველად ქალაქის აღების წინადადებას აძლევს. მაგრამ რეალური ძალა ფეოდალთა ხელშია. მათ არ სურთ მეფისათვის აიღონ ქალაქი. მისი „ცენტრალისტური მიდრეკილებანი თავის საქმედ გაიხადონ“. ამის გამო ისინი არ უდასტურებენ ბაგრატს შამქორის უშუალოდ შემოერთებას. „ფადლონის უმადნაფიცობას ურჩევენ მეფეს... ეს ფაქტი ამყლავნებს იმას, თუ ვისგან შედგება ეს დარბაზი. სახლში საომრად განწყობილი ფეოდალები განძის მიმართ საზავოდ არიან განწყობილი, და მეფეც იძულებულია მათ წუევას დაემორჩილოს“ **(იქვე: 73)**.

ნ. ბერძენიშვილის ეს დაკვირვება ბაგრატ III-ის არანზე ლაშქრობის რეალური შედეგების ინტერპრეტაციის გზითაა მიღებული. ამდენად მას, როგორც მემატიანის ცნობის ლოგიკური ანალიზის რეზულტატს, დოკუმენტური მნიშვნელობა აქვს. ხოლო თუ ამ ლაშქრობის შესაძლო იმ შედეგებზე ვიმსჯელებთ, რომლებიც ბაგრატ III-ის საერთო ჩანაფიქრით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, შეიძლება ვთქვათ, რომ მოსალოდნელია, ქ. შამქორის აღებასა და ფადლონის სრულ დამორჩილებას, საქართველოს გაერთიანებისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები დართოდა. მათ შორის ყველაზე უფრო რეალურს თბილისის განთავისუფლების პერსპექტივა წარმოადგენდა. ფადლონის საამიროს სრული ლიკვიდაციისა და შემოერთების შემდეგ, თბილისის საამირო, სრულიად მოსწყდებოდა მაჰმადიან მეზობლებს და საქართველოს სახელმწიფოთი ყოველმხრივ გარემოცული ხდებოდა. ასეთ პირობებში, ცხადია, საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლება უაღრესად რეალურ და მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა.

ე. ი. შამქორთან ქართველი დიდებულების ბაგრატ III-ისადმი მხარდაუჭერლობას მარტო მეფის ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისათვის კი არ შეუშლია ხელი არამედ, ფაქტობრივად, მას შეეწირა საქართვე-

ლოს პოლიტიკური გაერთიანების მთლიანად დამოავრების პროგრესული საქმეც, თბილისის განთავისუფლება საუკუნეზე მეტი ხნით გადაიდო.

მაშასადამე, ბაგრატ III-ის ბრძოლა განძის ამირასთან არც ისე ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრებულა, როგორც ამას მემატიანე წარმოგვიდგენს. მაგრამ საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების დაცვისათვის და განსაკუთრებით, ჰერეთ-კახეთის უშიშროებისათვის, ქართველთა ამ ლაშქრობას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამის გარდა, ბაგრატ III-ის ამ აქციას სხვაგვარი პოლიტიკური გააზრებაც გააჩნდა — საქართველო გასცდა საკუთარ საზღვრებს და ამიერკავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოსვლა დაიწყო. განძის საამიროს ყმადნაფიცად გადაქცევა პირველი ნაბიჯი იყო საერთო-კავკასიური სახელმწიფოს შექმნის გრძელ გზაზე.

შექმნილმა ვითარებამ ასახვა ჰპოვა ბაგრატ III-ის ტიტულატურაში. ივ. ჯავახიშვილმა ათონის მონასტრის ერთი ხელნაწერის მიხედვით დაადგინა, რომ ამ მანუსკრიპტის გადაწერის დროს (1002 წ.) ბაგრატ მესამეს მიეკუთვნებოდა ტიტული „აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“[1] **(ჯავახიშვილი 1983:125)**. ვითარება შეცვლილია ნიკორწმინდის ტაძრის წარწერაში, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „ქრისტე ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე; და ქართველთა კურაპალატი, და გაზარდე ძე მათი გიორგი “ **(ქწკ II 1980:55)**

კამათს იწვევს ამ ცნობაში წარმოდგენილი ორი რეალია: რომელ ბაგრატზეა საუბარი და რას ნიშნავს „რანთა მეფე“. მ. ბროსეს ვარაუდით აქ უნდა იგულისხმებოდეს ბაგრატ IV (1027—1072). მაგრამ ეს მოსაზრება არ დადასტურდა და ახლა უდავოდ ითვლება, რომ ნიკორწმინდა აგებულია ბაგრატ III-ის მეფობაში 1014 წლის მახლობლად **(ამირანაშვილი 1971:239)**. მაშასადამე, მის კარიბჭეზე შესრულებულ წარწერაში სწორედ ეს მეფე იგულისხმება. ამის შესახებ ყველაზე ადრე მიუთითა გ. ბოჭოიძემ **(ბოჭოიძე 1930:194)**, ხოლო რაც შეეხება „რანთა მეფედ“ ბაგრატ III-ის მოხსენიებას, ამის საფუძვლად მიაჩნდათ მის მიერ 1010—1014 წლებში ჩატარებული ლაშქრობები, როცა მან რანი აიღო. კერძოდ ასეთ მოსაზრებას აყენებდა გ. ბოჭოიძე **(იქვე)**. მაგრამ თ. პაპუაშვილმა შეცდომად ჩათვალა განსვენებული მეცნიერის ეს ვარაუდი. მისი აზრით, რადგან ქართველი მეფის შამქორზე ზევით აღწერილი ლაშქრობა ზავით დამთავრდა, ამიტომ „ბაგრატ III ამ ლაშქრობის დროს რანი არ აუღია და ფადლონ I სამფლობელოები არ შემოუერთებია[2] აღნიშნული ლაშქრობა ბაგრატს ზავით დაუმთავ-

---

[1] ამის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „მაშინ იგი მხოლოდ აფხაზთა მეფედ ითვლებოდა, ქართლში კი ჯერ არა, იქ მას კურაპალატობის პატივი ჰქონდა“ „ქართველთა მეფობა“ ბაგრატმა მხოლოდ 1008 წელს, გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო **(ჯავახიშვილი 1983:125)**.

[2] ფიქრობთ, თუთ თ. პაპუაშვილის ეს მტკიცება არ არის სწორი. როგორც ვთქვით, ბაგრატ III-მ ფადლონთან ყმადნაფიცობის პირობით გააფორმა ზავი. მაშასადამე, რანი საქარ

რებია. ცხადია, „რანთა მეფის“ ტიტული მას ამიტომ არ ექნებოდა“ **(პაპუაშვილი 1970:217)**.

თ. პაპუაშვილი აყენებს ბაგრატ III-ის ტიტულატურაში „რანთა მეფის“ გაჩენის საკუთარ ვარაუდს. მისი აზრით, მართლია, ჰერეთის ცნება არ ფარავდა რანს (ეს უკანასკნელი აღმოსავლურ წყაროებში დამოწმებულ „არანს“ უდრიდა), მაგრამ ზოგიერთი ჰერეთის მეფე (საჰლ-სუმბატი, იშხანიკი) „არანშაჰის“ ანუ „რანთა მეფის“ ტიტულს ატარებდა. უფრო გვიან კი, XI ს-ის 20-იან წლებში, როცა ჰერეთი კახეთის მეფის კვირიკე III-ის ხელისუფლებაში გაერთიანდა „კახთა მეფეებმა ჰერეთთან ერთად თვით ჰერეთის მეფის ტიტულიც („რანთა მეფე“) მიითვისეს და გახდნენ „რანთა და კახთა მეფეები“ **(პაპუაშვილი 1982:220)**. მაშასადამე, ბაგრატ III-ის ტიტულატურაში „რანთა მეფე“ შეიძლებოდა მოხვედრილიყო მის მიერ ჰერეთის აღების შემდეგ.[1]

თუ ეს ვარაუდი სწორია მაშინ უნდა გაირკვეს ჰერეთის რომელ შემოერთებაზეა საუბარი. როგორც ვიცით, ბაგრატ III-მ კახეთ-ჰერეთში ორჯერ ილაშქრა. პირველად 1008 წელს, მეორედ კი ჰერი დიდებულების გამოსვლისა და ამ ქვეყნის ქორეპისკოპოს დავითის მიერ შეერთების შემდეგ. ნიკორწმინდის წარწერა თუ ამ მეორე ლაშქრობის შემდეგაა შესრულებული, რატომ არაა მასში შესული „კახთა მეფობა“? როგორც ეს ჩვენ გვაქვს ამ მოვლენების თანადროულ კაცის (ქ. ჰიათურის რეგიონი) ეკლესიის წარწერაში, რომელიც ასეთი სახისაა: „წმინდაო სამებაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოსა, და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი“ **(ქწ‍Ა II 1980:56)**. ამ წარწერის ის გამომცემელი ვისგანაც ჩვენ იგი დამოწებული გვაქვს მიუთითებს, რომ „დასახელებულ სამფლობელოთაგან ბაგრატ III ყველაზე ბოლოს—1010 წელს, კახეთი, ხოლო 1010—1014 წწ. შორის რანი შემოიერთა. ამის მიხედვით წარწერა 1010—1014 წწ. უნდა დათარიღდეს“ **(იქვე)**.

ბაგრატ III-ის კახეთ-ჰერეთში პირველი ლაშქრობის თარიღი დადგენილი აქვს შ. ბადრიძეს. მისი აზრით ეს მოხდა 1008-1009 წლების მიჯნაზე **(ბადრიძე 1961:183)**. თუ ეს თარიღი სწორია, მეორე ლაშქრობა, მემატია-

---

თველოს მეფის უმაღნაფიცი ქვეყანა გახდა. თუ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდში, ასეთი პირობით იყვნენ დამოკიდებული ქართველ მეფეებზე, შემოერთებულად არ ჩავთვლით, მაშინ რამდენი ქვეყნის სახელის ამოშლა მოგვიხდება გიორგი III-ისა და თამარის ტიტულატურიდან? როგორც ჩანს თ. პაპუაშვილმა გაიაზრა ეს უხერხულობა და თავის ახალ ნაშრომში, ამაზე საკითხზე მსჯელობის დროს იგი აღარ გაუმეორებია **(პაპუაშვილი 1982:206)**.

[1] ეს საკითხი უფრო ადრე აქვს განხილული დ. მუსხელიშვილს. მისი აზრით, აქ საქმე რანის აღება ან აუღებლობაში კი არ იყო, არამედ ბაგრატი „რანთა მეფის“ ტიტულს ჯერ შეიძენდა, რადგან ფადლონი „განძის ამირა“ იყო და არა „რანთა მეფე“ **(მუსხელიშვილი 1967:69)**, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ხელშემშლელ პირობად ჯერ გამოდგება, რადგან შეიძლება დასახელებული იქნეს არაერთი შემთხვევა, როცა უცხო სახელმწიფოთა ხელისუფლები, მიუხედავად მათი იქაური ტიტულისა, ქართულ წყაროებში „მეფედ“ იწოდებიან. ისიც საგულისხმოა, რომ ივ. ჯავახიშვილს ფადლონი „შარვანშაჰის“ ტიტულით ჰყავს მოხსენიებული **(ჯავახიშვილი 1982:287)**. ე. ი. მისი „რანთა (შარვანის) მეფედ“ წოდება შეიძლებოდა.

ნის აღწერის მიხედვით, შედგებოდა ღაახლოებით 1010 წელს. ამ დროიდან დიდათ დაცილებული არ უნდა იყოს ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლაც, რამდენადაც „მატიანე ქართლისას“ ავტორის გადმოცემით, იგი მოხდა „მას ჟამსა“, როცა კვირიკე ტყვედ წამოიყვანეს (ქ. ცხ. 1955:279). ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 1012 წლისა. სხვაგვარად გამოთქმა „მას ჟამსა“ ძლიერ ხანგრძლივი დრო გამოგვივა.

ამ თარიღებს მაშინ აქვთ მნიშვნელობა ზევით დამოწმებული წარწერების დათარიღებისათვის, თუ ჩავთვლით, რომ „რანთა მეფე“ ბაგრატ III-ის ტიტულატურას მხოლოდ შამქორზე ლაშქრობის შემდეგ დაემატა, ასეთ შემთხვევაში ვერ გამოიხახება მონაცემი მათ შორის ადრინდელის დასადგენად. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში თ. პაპუაშვილის მოსაზრებას, რომ ჰერეთის შემოერთება შეიძლებოდა გამხდარიყო საფუძველი ტიტულატურაში „რანთა მეფის“ შემოტანისათვის, მაშინ ნიკორწმინდის წარწერა უფრო აღრინდელი აღმოჩნდება, ვიდრე კაცხისა, რამდენადაც მეორეში მოხსენებულია „მეფე კახთა“, პირველში კი ასეთი რამ აღნიშნული არ არის. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ ბაგრატმა ჯერ ჰერეთი აიღო და შემდეგ კახეთი. მაშინ ნიკორწმინდის წარწერის თარიღის ზედა ზღვარი 1010 წელს არ გადმოსცილდება[1]

მაგრამ ხომ შეიძლება დაისვას კითხვა: ნიკორწმინდის წარწერაში არც ტაოა მოხსენებული, იმ დროს, როცა იგი 1008 წლიდან შემოერთებული ჰქონდა ბაგრატს? საქმე, ისაა, რომ ბაგრატმა დასახელებული წლიდან ამიერტაო მიიღო, რაც მას „ქართველთა მეფობას“ აძლევდა. მის პაპას და მამას ამ ქვეყნის ხელმწიფობისათვის ერქვათ „ქართველთა მეფენი“

აქ კვლავ ჩნდება საფუძველი ასეთი მსჯელობისათვის—მართლაც უფრო გვიანდელი ხომ არ არის კაცხის წარწერა და მისი ამოკვეთის დროისათვის იმიერტაოც ხომ არ დაიბრუნა ბაგრატ III-მ. ასეთი ვარაუდი მთლად უსაფუძვლო არ არის, ვინაიდან იმიერტაოს ხელისუფლებს „მეფის“ ტიტული ქართველთა მეფობისაგან დამოუკიდებლად ჰქონდათ. დავით კურაპალატი „მეფედ“ იწოდება ოთხთა ეკლესიის წარწერაში (ქწ I 1980:288). ის კი არა და 973 წელს გადაწერილ „პარხლის ოთხთავში“ იგი „მეფეთა-მეფედაც“ კი იხსენიება (ჯორდანია 1897:95). მაშასადამე, თუ ამიერტაოს ხელისუფლება „ქართველთა მეფობად“ იწოდებოდა, იმიერისა „ტაოს მეფე“ („მეფეთ-მეფე“) უნდა ყოფილიყო. „მატიანე ქართლისაში“, როგორც ზევითაც დავიმოწმეთ, X საუკუნის 30-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით დასახელებულია „ტაოელნი მეფენი“ ამ დროს ცალკე არსებობს „ქართველთა მეფე“. ეს თანამდებობა უჭირავს დავით II-ს (923—937).

---

[1] დ. მუსხელიშვილის აზრით, ბაგრატ III-მ ჰერეთი პირველად 1008 წელს აიღო და წარწერაც ამ წელსაა შესრულებული. „ამითვე დათარიღდება ნიკორწმინდის მთავარი ტაძრის აგების დროც“ (მუსხელიშვილი 1967:69). მკვლევარის ამ მოსაზრების გაზიარებას ხელს ის გარემოება უშლის, რომ იგი „მატიანე ქართლისა“-ს ავტორის შესაძლო ქრონოლოგიური ლაფსუსის დაშვებაზეა აგებული. ეს ლაფსუსი კი იმაში მდგომარეობს რომ თითქოს „ბაგრატის პირველი ლაშქრობა ჰერეთში ჯერ ისევ მამამისის სიცოცხლეში“ მოხდა (იქვე). მემატიანეს კი იგი გადმოცემული აქვს, როგორც გურგენის გარდაცვალების შემდგომი ფაქტი. ცხადია, ასეთი დაშვების გზით მიღებული თარიღი ზუსტი ვერ იქნება.

ეს მოსაზრებანი ჩვენ იქეთკენ გვიბიძგებს, რომ იმიერტაოს შემოერთება ქართველთა სახელმწიფოსთან ნიკორწმინდის წარწერის შემდეგ მოხდარ ფაქტად ვაღიაროთ. ხოლო თუ ამას იმავე წარწერაში კახეთის მოუხსენებლობასთან დავაკავშირებთ და ჩავთვლით, რომ კახეთი 1010 წელს იქნა შემოერთებული, მაშინ ნიკორწმინდის წარწერის ზედა თარიღად კვლავ 1010 წელი გამოდის. კაცხის წარწერისათვის კი ეს იქნება **terminus ante quem non**.

ორივე ქართველი ისტორიკოსი— „მატიანე ქართლისას" ავტორი და სუმბატ დავითის ძე, ვისი ცნობებიც ჩვენ მოგვეპოვება ბაგრატ III-ის მეფობის შესახებ, აღფროთოვანების სიტყვებს არ ზოგავენ მისი შექებისა და განდიდებისათვის. სუმბატ დავითის ძე ბაგრატს ისეთ დითირამბსაც კი მიუძღვნის, რომლის მსგავსითაც ერთი ან ორი ქართველი მეფისათვის თუ მიუმართავთ. როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, ბაგრატიონთა მემატიანის ეს ნათქვამი მაღალფარდოვანი ხასიათისაა **(სინ 1979:256)**, მაგრამ მასში უკვე მოცემულია თითქმის ყველა ის აღმატებული რანგი, რომლითაც ისტორიკოსები დავით აღმაშენებელსა და თამარს მიმართავდნენ. აქ არის „თვითმპყრობლობით" პყრობაც, სახელმწიფოს საზღვრების სიფართოვეც, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში სამხედრო თუ დიპლომატიური წარმატებანიც. ხოლო ბიზანტიის მიმართ ისეთი პრეტენზიული გამოთქმაა ნახმარი, რომელიც ქართველ მეფეთაგან არავის არ მიემართება. ნათქვამში დასარწმუნებლად გავეცნოთ სუმბატ დავითის ძის ტექსტს: „ესე ბაგრატ, აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი,—წერს იგი,—დაეუფლა ტაოს მამულსა თვისსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეოითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ხელმწიფებითა, ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა თვის მეგობრად და ერთგულად სიბრძნითა და ძლიერებითა თვისითა უფროს სახლეულთა თვისთასა, და ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე" **(ქ. ცხ. 1955:382)**.

აქ თითქოს განსაზღვრულია ის დიდება, რაც ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას უნდა წილხვდომოდა XII საუკუნეში. XI ს-ის 30-იან წლებში კი, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, რეალური საფუძვლების გარეშე, მხოლოდ წინასწარმეტყველებით იმის განსაზღვრა თუ რის მიღწევას შეძლებდნენ ბაგრატის შთამომავლები მისი გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ შეუძლებელი იყო.

დ. მუსხელიშვილს სრულიადაც არ მიაჩნია გაზვიადებულად სუმბატ დავითის ძის ზევით დამოწმებული ნათქვამი. მას საგანგებოდ აქვს განხილული ბაგრატის დამოკიდებულება ჩრდ. კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან და ამტკიცებს, რომ ჯიქები, ალანები და ქისტ-ღაღესტნელები ბაგრატის ვასალები იყვნენ[1] **(მუსხელიშვილი 1980:242)**. რაც შეეხება სუმბატის მიერ დასახელებულ ამიერკავკასიის ქვეყნებს ამის თაობაზე მკვლევარი წერს: „ადრაბადაგანის მოხარკეობაში იგი (სუმბატი.—გ. მ.), უეჭველია, არანის

[1] მოსაზრებას ბაგრატ III-ის მიერ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კავკასიაზე („გურგენამდე") კონტროლის შესახებ ზ. პაპასქირიც ეთანხმება **(პაპასქირი 1990:100)**

მფლობელის, ფადლონის მოხარკეობას გულისხმობს. მეორე მხრივ, ბუნებრივია, ბაგრატის გავლენა გაზრდილიყო სომხეთზე (ქვემო ქართლის კვირიკიანებზე, რომელთაც X ს. ბოლოს მეფის ტიტული მიითვისეს) და აგრეთვე შარვანზეც... არ არის გამორიცხული, რომ მეფობის ბოლო წლებში ბაგრატს შარვანიც მოხარკედ გაეხადოს" (იქვე: 242—243).

სუმბატთან შედარებით უფრო თავშეკავებულია, მაგრამ ბაგრატის არანაკლებ მოყვარული „მატიანე ქართლისას" ავტორი. მას არ ახასიათებს ისეთი პათეტიკური გამოთქმები და გრძელი ტირადები, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. ბაგრატის მთელ მოღვაწეობას და წარმატებებს იგი ღმერთისაგან მომადლებულად თვლის, ხოლო თავისი გადმონაცემი ისტორიკოსის ჩვეულებრივი მოვალეობის შესრულებად აქვს გააზრებული. ღმერთმან, წერს იგი, „მომადლა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა, და უკეთუ ვინმე ინებოს თვითოეულად წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, მოუძლურდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედი წარმოვთქუ ჟამთა სიგრძისაგან არა დავიწყებისათვის"-ო (იქვე: 281-282).

მემატიანეს მოცემული აქვს ბაგრატის მოღვაწეობის საერთო შეფასებაც: „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩენილ არს სხვა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებათა" (იქვე).

თანამედროვე ქართველ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ „მატიანე ქართლისას" ავტორი ჩქმალავს ბაგრატის ისეთ ქმედებებს, რომელთაც იგი არაკეთილშობილურად თვლის (სინ 1979:155), ანდა ზნეობრივად გაუმართლებლობის გამო მათზე საერთოდ დუმს (იქვე: 159). ამ უკანასკნელთა კატეგორიას განეკუთვნება ბაგრატ III-ის ურთიერთობა „კლარჯ ხელმწიფეებთან" მატიანე ამის შესახებ ერთი სიტყვითაც არაფერს ამბობს და ეს ეპიზოდი მხოლოდ სუმბატ დავითის ძის მონათხრობის მიხედვით ვიცით.

ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონიკის ავტორი გადმოგვცემს: „ბაგრატ კურაპალატმან მიიყვანნა კლარჯნი ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თვისნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შიგან თმოგვისასა" (ქ. ცხ. 1955:382). 1011 წელს სუმბატი და გურგენი პატიმრობაში გარდაიცვალნენ. ორი მათი შვილი—ბაგრატ სუმბატის ძე და დმეტრე გურგენის ძე კონსტანტინეპოლში, ბასილი კეისართან გაიქცნენ. ხოლო „რომელ დაშოეს ამა ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკვდილითა პატიმრობასა შინა" (იქვე).

როგორც ვხედავთ, სუმბატი არ აჩვენებს კონკრეტულად თუ რა დანაშაული მიუძღოდათ ასე სასტიკად დასჯილ კლარჯეთის ბაგრატიონებს. ივ. ჯავახიშვილი დარწმუნებული იყო, რომ ეს მოხდა მათი „სამფლობელოს ხელში ჩაგდების მიზნით" მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ კლარჯეთის შემოერთება ბაგრატს კლარჯეთელ ბაგრატიონთა ამოწყვეტის გარეშეც შეეძლო. ზევით მოთხრობილიდან ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბაგრატს მის წი-

ნააღმღეგ მებრძოლ ფეოდალთაგან ასეთ მძიმე სასჯელამდე არავინ არ მიუყვანია, თვით რატი ბაღვაში და ქავთარ ტბელიც კი, რომლებიც მას იარაღით ებრძოდნენ. „კლარჯი ხელმწიფეების" მთავარი დანაშაული ის იყო, რომ ისინი ბაგრატონები იყვნენ და ყოველთვის შეეძლოთ სამეფო ტახტზე პრეტენზია გაეცხადებიათ. მით უფრო, რომ ბაგრატის ერთადერთი ვაჟი გიორგი, ჯერჯერობით, მცირეწლოვანი იყო. რაც ბაგრატის მოწინააღმდეგეებს მისი გარდაცვალების შემთხვევაში, საუკეთესო საშუალებას უქმნიდა ბაგრატიონთა სხვა შტოს ხელისუფლების სათავეში მოსაყვანად. კლარჯეთელი ბაგრატიონები სწორედ ამ საშიშროებას შეეწირნენ. მათი ამოწყვეტის შემდეგ საქართველოში აშოტ დიდის შთამომავალთაგან არც ერთი მამაკაცი ბაგრატიონი, გარდა თვით ბაგრატ III-ისა და მისი ძის გიორგისა აღარ რჩებოდა.

ამის გათვალისწინებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტახტის მხოლოდ თავისი მემკვიდრისათვის შენარჩუნება იყო კლარჯეთელი ბაგრატიონების ამოწყვეტის მიზეზი. რომელიც უნდა დაემატოს მ. ლორთქიფანიძის მიერ ნავარაუდევ ბაგრატის ბრძოლას საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისათვის **(სინ 1979:159)**.

რადგან ჩვენ არ ვიცით რა იყო „კლარჯნი ხელმწიფენის" ასე მკაცრად დასჯის კონკრეტული საბაბი, ამიტომ ბაგრატ III-ის ამ ქმედებისათვის ცალსახა შეფასების მიცემა გართულებულია. ბაგრატის უმცროსი თანამედროვე ისტორიკოსები ამის საშუალებას თითქმის არ იძლევიან. რამდენადაც „მატიანე ქართლისას" ავტორი ამ საკითხთან დაკავშირებით დუმს. უნდა ვიფიქროთ, რომ მას იგი უარყოფითად აფასებდა და მის შესახებ მოთხრობით ბაგრატ III-ს ჩრდილი აღარ მიაყენა. სუმბატ დავითის ძე კი კლარჯეთელი ბაგრატიონების ტრაგიკულ ისტორიას ორდინალური ამბავივით გადმოგვცემს და ბაგრატს არც საყვედურობს და არც უწონებს ჩადენილს. გადაწყვეტით რაიმეს თქმის შესაძლებლობას არც ქვეტექსტზე დაკვირვება იძლევა. ჩანს სუმბატ დავითის ძეს თვითონაც არ მოეპოვებოდა ასეთი პასუხი.

შეიძლება ვიკითხოთ: თუ სუმბატი უარყოფითად აფასებდა აღწერილ ფაქტს, რატომ ისიც ისე არ მოიქცა, როგორც „მატიანე ქართლისას" ავტორი და საერთოდ არ მიჩქმალა იგი? ამ კითხვაზე პასუხის დროს უნდა გავიხსენოთ, რომ სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონთა გვარის ისტორიას წერდა და შეიძლება ამიტომ ვერ აუარა გვერდი კლარჯეთის ბაგრატიონების ბედის გადმოცემას. ამის გათვალისწინებით იგი შეიძლება ბაგრატის მომხრედაც კი ვიგულისხმოთ. თუ ჩავთვლით, რომ თვითონ სუმბატი სავარაუდოა ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს ეკუთვნოდა.[1] დასჯილები უფრო ახლო ნათესავები იქნებოდნენ მისი, ვიდრე ბაგრატ III და თავისი მოდგმის ამოწყვეტის საწინააღმდეგოდ ერთი სიტყვაც არ შემოუნახა ისტორიას.

---

[1] ეძვ. თაყაიშვილი ვარაუდობდა და მას ეთანხმებოდა ივ. ჯავახიშვილი, რომ სუმბატ დავითის ძე „ეკუთვნია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარის შვილი უნდა ყოფილიყო" (ჯავახიშვილი 1977:195). ტაოსშტოდან იგი ვერ იქსებოდა, რადგან ამ სახლს მხოლოდ ბაგრატ III-ის შთამომავლობა აგრძელებდა. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სუმბატ დავითის ძე კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლს ეკუთვნოდა

ახალ დროში ამ ფაქტს შეფასება მისცა ივ. ჯავახიშვილმა. მას ამოსავლად აღებული აქვს ორი პოსტულატი: მორალური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური. ქართველი კაცის ზნეობრივი კოდექსიდან და საკუთარი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ბატონი ივანე, უდავოა, ვერ მოიწონებდა მომხდარს. მას, როგორც ჩანს, განსაკუთრებით აწუხებდა ფორმა, რომელიც ბაგრატმა გამოიყენა თანამოგვარეთა დასაპატიმრებლად. რაც აშკარად ჩანს დიდი მეცნიერის ასეთ მსჯელობაში: „ბაგრატმა თავისი მამიდაშვილების ნათესავების, კლარჯეთის მფლობელთა საბრძანებლის ხელში ჩასაგდებად მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობის წმინდა მოვალეობაც-კი დაივიწყა და საზარელი ცბიერება და სივერაგე გამოიჩინა... ულმობელობითა და გულქვაობით იმსხვერპლა ამოდენა მახლობელი ნათესავების სიცოცხლე სახელმწიფოს გაფართოებისა და ერის გაერთიანების გულისათვის"-ო, წერდა იგი **(ჯავახიშვილი 1984:90)**. აქ ჩანს, რომ ბ-ნი ივანეს მიერ გაკიცხვა ნაწილობრივ შემსუბუქებულია ბაგრატის ქცევის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობით. ეს უკანასკნელი პოსტულატი კი მას უფრო რელიეფურად აქვს დაფიქსირებული თავის სხვა ნაშრომში, სადაც ზნეობრივი მოტივები ნახსენებიც კი აღარ არის. ამ შემთხვევაში ჰეშმარიტმა ისტორიკოსობამ, სძლია ყველა სხვა დანარჩენს და ივ. ჯავახიშვილს ასეთი სტრიქონები დააწერინა: „საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების განსამტკიცებლად ბაგრატ III ერთხელ უკიდურეს საშუალებასაც-კი მიმართა, რათა კლარჯეთში მშვიდობიანობა უზრუნველი ყოფილიყო და მოსალოდნელი განდგომის შიში მოესპო" **(ჯავახიშვილი 1983:130)**.

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ამ ფაქტის შეფასება უნაკლოა. ხოლო რაც შეეხება ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს განადგურების ზნეობრივ მხარეს მათზე დღევანდელ ეთნიკური ნორმების მიხედვით მსჯელობა ჰეშმარიტ შეფასებამდე ვერ მიგვიყვანს. ისტორიის ურყევი კანონის მიხედვით, ყოველი სახელმწიფო მოღვაწის მოქმედება უნდა შეფასდეს მისი თანამედროვე კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. თუ ფაქტობრივი მასალის განხილვის დროს ჰეშმარიტების დადგენა ობიექტურ კვლევაზეა დამოკიდებული, მოვლენებისათვის ეოიკურ-ზნეობრივი შეფასების მიცემა ეპოქის ფსიქოლოგიურ-მორალური განწყობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ხოლო თუ რას წარმოადგენდა საერთოდ ქართველი კაცისა და კერძოდ, ქართული საზოგადოების უმაღლესი არისტოკრატიის ფსიქოლოგია, ადრეულ შუა საუკუნეებში, ჯერ შესწავლილი არ არის.

როგორც ვიცით, ადრეული შუა საუკუნეები დღეის გადასახედიდან მკაცრი და დაუნდობელი ადამიანების ეპოქა იყო. მაგრამ იყვნენ კი ისინი მკაცრნი და დაუნდობელნი მაშინდელი გაგებით? თუ იყვნენ, მაშინ რატომ ინატრა აშოტ კურაპალატმა „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო" **(ძეგლები 1964:297)**, როცა გრიგოლ ხანძთელმა გულისწორი წაართვა და დედათა მონასტერში მონაზვნად ძალად აღკვეცა? ანდა უკვდავმა რუს-

ოაველმა, რენესანსისა და ჰუმანიზმის ამ გენიალურმა ბაირახტარმა, რატომ მოაკვლევინა ასე იოლად ტარიელს ხვარაზმშას სრულიად უდანაშაულო ძე? და თანაც, ამ შემთხვევაში მკვლელი ერთეულად მოქმედი პირი კი არ არის, არამედ სტუმრად მყოფ უფლისწულს (sic! აქაც სტუმარი და ისევ უფლისწული!) ტარიელი ნესტან-დარეჯანის დავალებით კლავს. მკვლელობის მოტივად კი გამოცხადებულია: „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“-ო.

შეიძლება გვითხრან, მხატვრული ლიტერატურის მაგალითები ისტორიულ ფაქტებთან შესადარებლად არ გამოდგებაო, მაგრამ მორალური კატეგორიების ასახვა მხატვრულ სახეებში ხომ უფრო ამაღლებულად შეიძლება, ვიდრე ეს სინამდვილეში ხდება ხოლმე. თანაც ხელოვნების ისეთი გენიალური ოსტატის ხელში, როგორიც რუსთაველი ბრძანდებოდა!

ამიტომ ასეთი შედარებიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ბაგრატიონების კლარჯეთის შტოს წევრებთან ბაგრატ III-ის ანგარიშსწორება უარყოფით ზნეობრივ აქტად არ ჩაითვლებოდა. ასეთი არ იყო იგი ურყევი ქრისტიანული ცნების „არა კაც კლას“ მიხედვითაც. ვინაიდან, „კლარჯი ხელმწიფენი“ არ მოუკლავთ ამ ცნების პირდაპირი გაგებით. მეფეს თავისი ქვეშევრდომების დაპატიმრებას რელიგია არ უკრძალავს. ხოლო თუ პატიმარი ციხეში მოკვდება, კანონმდებელს ეს ცოდვად არ ეთვლება.

მაშასადამე, თუ ჩვენ სწორად გვაქვს გაგებული მაშინდელი მორალის მოთხოვნები, ბაგრატ III-ეს ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოსთან ანგარიშსწორება, ზნეობასთან შეუფერებელ ქცევად არ ჩაითვლება, ხოლო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით შეესაბამებოდა საქართველოს ერთიანობის, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და სეპარატიზმთან ბრძოლის ინტერესებს.

ფანასკერტის ციხე, სადაც მან თავისი მამიდაშვილები დაატყვევა, საბედისწერო ადგილი აღმოჩნდა ბაგრატ მესამისთვისაც. 1013 წლის შემოდგომაზე მეფემ შემოიარა მთელი მისი სამეფო. ზამთარი„ ტაოსათა ხევში“ გაატარა. გაზაფხულზე ფანასკერტის ციხეში მივიდა. აქ იმყოფებოდა როცა სიკვდილმა უწია, 1014 წლის 7 მაისს, დღით პარასკევს (ქ. ცხ. 1955:383). მემატიანეები არ გვაცხობებენ რით გარდაიცვალა ჯერაც ჭარმაგი, 50 წელს ცოტაოი გადაცილებული ვაჟკაცი. „მატიანე ქართლისას“ ავტორი მხოლოდ იმას ამბობს, რომ „მეფობდა ოცდათექუსმეტ წელს და გარდაიცვალა შემკობილი მხეცითა შუენიერითა“-ო (იქვე:283).

გაერთიანებული საქართველოს პირველი დიდი მეფის ცხედარი, მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა, ერისთავთერისთავმა ზვიად მარუშიანმა მიაბარა ბედიის წმინდა მიწას, რომლის დიდებული ტაძარი ბაგრატ მეფის ნებით იქნა აგებული და საეპისკოპოსო კათედრად ნაკურთხი.

თუ მოკლედ შევაჯამებთ „ქართლსა ზედა ბრძოლის“ შედეგებს შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. ეს ბრძოლა წარმატებით დამთავრდა და ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო წლებისათვის საქართველოს უდიდესი ნაწილი გაერთიანებული იყო. ქარ-

თული სახელმწიფოს გარეთ რჩებოდა ბასიანის მხარე, სპერი და ქვემო ქართლის ნაწილი. მათგან ქ. თბილისის დაბრუნება მხოლოდ დროის საკითხად რჩებოდა. იგი ბაგრატ III-ის სამფლობელოებით ყოველმხრივ შემოსაზღვრულ მცირე აისბერგსღა წარმოადგენდა.

2. ამ დიდი წარმატებების განმახორციელებელი ბაგრატ III კურაპალატი იყო. „ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, ვაჟკაცურმა გულადობამ და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მტკიცე საფუძველი დაუდვა“ **(ჯავახიშვილი 1983:132)**. ასეთი დამსახურების გათვალისწინებით დ. მუსხელიშვილს მიაჩნია: „სრულიად სამართლიანია, რომ ამ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს საქართველოს გამაერთიანებელი ეუწოდოთ“ **(მუსხელიშვილი 1980: 243)**.

3. ვახტანგ გორგასალის „ქართლთაწ“ შედარებით, ბაგრატ III-ის მიერ შექმნილი სახელმწიფო, მხოლოდ სამხედრო ძალაზე დამყარებულ პოლიტიკურ ერთეულს კი არ წარმოადგენდა, არამედ გარკვეული სამეურნეო განვითარებითაც იყო განპირობებული. თუმცა, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა — „ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ის ტეხილი არ იყო მიღწეული, რომ შემდეგ ეკონომიკური განვითარების არსებითად დაუზიანებლად მას „ქვეყნებად“ დაყოფა არ შეძლებოდა“ **(ბერძენიშვილი 1975:143)**. ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ასეთი დონის მიღწევა არც შეიძლებოდა.

4. ბაგრატ III-ის საქართველო აღმავლობის გზაზე დამდგარ ქვეყანას წარმოადგენდა. აღმავლობა შეიმჩნეოდა არა მარტო სამეურნეო ცხოვრებასა და ტერიტორიულ ზრდაში, არამედ გაქართველების პროცესის გაღრმავებასა და გარდა საკუთრივ ქართველებით დასახლებული მიწებისა, ქართული ენისა და ქართული ქრისტიანობის გავრცელებაში. გ. მერჩულეს ფორმულა „ფრიადი ქართლის“ შესახებ, ამ ახალ საქართველოში ახალი შინაარსით შევსებულიყო და ბერძნულად „კირიელეისონის“ თქმაც აღარ იყო საჭირო.

5. ბაგრატ III-ის დროს დაიწყო ბიზანტიასთან დაპირისპირება, არა მისი გავლენისაგან გამოსვლის მიზნით. არამედ, როგორც იმპერიის მეტოქისა და „აღმოსავლური ექსპანსიის“ აღმკვეთისა. ფეოდალური საქართველო კავკასიის გაერთიანების მესვეურობას კისრულობდა და ამ მიმართულებით საგრძნობი წარმატებებიც ჰქონდა. სუმბატ დავითის ძე ამ ვითარების დამაჯერებელ კონსტატირებას იძლევა.

ადრეული ქართული კულტურის კონტურები

ყოველი ხალხი ფასდება არა იმის მიხედვით თუ რამდენი ომი აქვს მას მოგებული, არამედ იმ კულტურული ფასეულობებით, რითაც ერმა თავი ჩაიწერა მსოფლიო ცივილიზაციაში. ამ თვალსაზრისით ქართველი ხალხის ნაღვაწი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი სამართლიანად დგას დიდი ერების გვერდით და მხარს უსწორებს მოწინავე ხალხების გენიალურ შენამოქმედს. ამ შემთხვევაში ჩვენი ხალხის კულტურული პასპორტი უკვდავი რუსთაველია, მაგრამ იგი, როგორც ქართული ფეოდალური კულტურის მწვერვალი, შეამზადეს და შესაძლებელი გახადეს წინა საუკუნეების დიდმა ქართველმა მოღვაწეებმა, რმლებმაც წვეთ-წვეთად შეაესეს ის საწყაო, საიდანაც რუსთაველი ოქროს ნაკადად გადმოიღვარა.

ცნება „რუსთაველის კულტურა", როგორც ქართული ფეოდალური ცივილიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანის გამომხატველი, მეცნიერულ მიმოქცევაში ნ. ბერძენიშვილმა შემოიტანა. იგი მართლაც ტევადი ცნებაა, რომელიც ერთი შემოქმედის სახელქვეშ აერთიანებს განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში, კულტურის ყველა სფეროში მთელი ერის მიღწევებს, აჩვენებს მისი დონის აღმატებით ხარისხს.

ასეთ დონემდე მიღწევისათვის ქართულმა კულტურამ რთული და გრძელი გზა გამოიარა. ამ მანძილის გავლა მან შეძლო ქრისტიანული რელიგიის კეთილისმყოფელი გავლენის გამო. ქართული კულტურის ყოველი მოღვაწე რა დარგის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო იგი, თავის შემოქმედებას ღვთის სამსახურად მიიჩნევდა, გაკეთებულს ქრისტეს მიუძღვნიდა. ღმერთისადმი კი უსულგულოდ შექმნილის შეკადრება არ შეიძლებოდა. ამიტომ ყველა მორწმუნე, თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს აქსოვდა საქმეში. ნამუშევრის ღირსებაზე ხომ მისი სულის საუკუნო საიქიო არსებობა იყო დამოკიდებული.

ქრისტიანობა, მთელ ქვეყანაში გავრცელებული მონოთეისტური რელიგია, განაპირობებდა ეროვნული კულტურის განვითარებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ რელიგიური აღმსარებლობა ქართულ ენაზე სრულდებოდა. ამის გამო ქრისტიანობა მიუხედავად მისი კოსმოპოლიტური ბუნებისა „ქართულ რელიგიად" აღიქმებოდა. ხოლო ამ სარწმუნოებამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ქართული ენის განვითარებაზე, ხელი შეუწყო მის გადაქცევას სალიტერატურო ენად, გაამდიდრა მისი ლექსიკა, დააჩქარა მისი გავრცელების არეალის გაფართოება („ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხების"). X საუკუნისათვის ქართული ენა იმდენად განვითარდა, რომ იოანე-ზოსიმეს სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს... და მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა"-ო.

ენის ფენომენის მნიშვნელობა ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაში

განუსაზღვრელია. განათლება და მეცნიერება მხოლოდ ენის გამო ხდება ეროვნული. ხოლო მწერლობა ეროვნული ენის გარეშე საეროდ არ არსებობს. ქართული მწერლობის ფესვები იმიტომ არის გადგმული შორეულ საუკუნეებში, რომ ქართულმა ენამ შეძლო ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში შეექმნა საკუთარი ანბანური დამწერლობა. ეს ფაქტი თავისთავად იყო ქართული კულტურის უდიდესი მიღწევა.

შემოხვევითი არ არის, რომ ეროვნულ საისტორიო ტრადიციაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა ქართული სახელმწიფოებრიობის დაარსებას უკავშირდება. დამწერლობა, როგორც ფიქრობენ ფარნავაზამდე არსებობდა, მაგრამ, რადგან ქართველები ტომობრივად სამამასახლისოებად იყვნენ დაყოფილნი, დამწერლობის გამოყენების არეალი საგრძნობლად შემოფარგლული იყო. ფარნავაზის მიერ ქართველ ტომთა გაერთიანებამ, თუნდაც დეცენტრალიზებული, მაგრამ ვრცელი სახელმწიფოს შექმნამ, ქართული ენის მოქმედების ასპარეზის გაზრდასთან ერთად, ქართული დამწერლობის გავრცელების ნაყოფიერი პირობები წარმოშვა. ეს კი ქართული კულტურის აღმავლობის მძლავრ სტიმულს წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძის ლოზუნგი („მამული, ენა, სარწმუნოება"), რომ წარსულში გადავიტანოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სამმა ჰიპოსტასმა განსაზღვრა ერთიანი ქართული კულტურის შექმნა. ხოლო ერთიანმა ეროვნულმა კულტურამ უზრუნველყო ის ფაქტი, რომ ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა ეთნიკური ნიშნით გამოვლენილი სეპარატიზმი. ცენტრთან მებრძოლი ფეოდალი განდგომას თავისი სამფლობელოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის სურვილით ასაბუთებდა და არა კულტურულ-ტომობრივი განდგომილებით. „პოლიტიკურად დამოუკიდებლობა მოპოვებული არც ერთი,—წერდა ა. სურგულაძე,—ფეოდალი (სამთავრო) არ ცდილა უარეყო ქართული ფეოდალური კულტურა" **(სურგულაძე 1989:93)**.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობია დაინტერესება ქართული კულტურის ისტორიით. არის მისი დამოუკიდებელ მეცნიერებად გაფორმების ცდაც. მაგრამ პოსტსაბჭოურ პერიოდში, ჯერჯერობით, არ არსებობს პირობები არათუ მეცნიერების ახალი მიმართულებების შექმნისათვის, არამედ ხანგრძლივი ისტორიის მქონე მეცნიერებებიც ფაქტობრივად მძიმე კრიზისულ ეიფორიაში იმყოფებიან. ამის გამო შესასწავლი ეპოქის ქართული კულტურის ისტორიის საკითხებზე მსჯელობა გვეძნება ისტორიულ მეცნიერებაში დამკვიდრებულ ტრადიციული მეთოდებით. ჩვენი მონათხრობის მიზანია მიახლოებითი შეხედულება მაინც შევუქმნათ მკითხველს ადრეფეოდალური ხანის დასასრულის ქართული კულტურის დონის შესახებ.

1. განათლება და მწიგნობრობა

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში განათლების მიღების ორგანიზებული სისტემის უქონლობის გამო, ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის მდგომარეობის სრულყოფილი სურათის აღდგენა შეუძლებელია. იმავე მიზეზითაა გამოწვეული,რომ წყაროები ამ საკითხზე ძლიერ მწირე მასალას იძლევიან.

ეს განაპირობებს, რომ არსებული განათლების მდგომარეობის შესახებ მკვლევარებს შეუძლიათ მხოლოდ იმის მიხედვით იმსჯელონ თუ ამა თუ იმ პირმა რა გზით, როგორი განათლება მიიღო. ასეთი მაგალითების სიმცირის გამო, არსებული ვითარების რეკონსტრუქცია ფრაგმენტული ხასიათისაა.

არსებული მასალებიდან მტკიცდება, რომ განათლება ატარებდა, როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათს. საერო განათლების მიღება შეეძლო მხოლოდ საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებს. არავითარი ცნობები საერო სკოლების არსებობის შესახებ შემორჩენილი არ არის. სამეფო და ფეოდალური არისტოკრატიის სახლისშვილები საოჯახო განათლებას ღებულობდნენ. ასეთ შემთხვევაში, აღზრდა და სწავლება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებულს წარმოადგენდა „მამამძუძეობის" ინსტიტუტი. ამის ერთერთი მაგალითია ჯუანშერის მონათხრობი ვახტანგ გორგასალის აღსაზრდელად გაცემის შესახებ. ვახტანგის მამამ, მეფე მირდატმა, დიდად გაიხარა ძის შეძენის გამო. ამას მიეძღვნა „ყოველთა წარჩინებულთა" მრავალდღიანი „პურობა და განცხრომა,—გადმოგვცემს მემატიანე,—და ევედრებოდეს ყოველნი ღმერთსა აღზრდისათვის ყრმისა ვახტანგისსა. მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდიან" (ქ. ცხ. 1955:143).

ჩანს „მამამძუძეობა" მხოლოდ სამეფო ოჯახზე არ ვრცელდებოდა. იგი მიღებული წესი იყო არისტოკრატიულ ოჯახებში. „მამამძუძეობას" იცნობს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე და ლეონტი მროველი. ირკვევა, რომ „მამამძუძე" მხოლოდ ბავშვის აღმზრდელს არ ნიშნავდა. იგი შეიძლება ყოფილიყო მზრუნველი და მამის შემცვლელიც. იაკობ ხუცესის გადმოცემით შუშანიკმა სიკვდილის წინ უხმო ადგილობრივ ეპისკოპოსს აფოცს „ვითარცა მამასა და მამა-მძუძესა" (ძეგლები 1964:28), ცხადია აფოცი შუშანიკის აღმზრდელი არ იქნებოდა. იგი მამამძუძეა, გადატანითი მნიშვნელობით—მამაა, როგორც სულიერი მოძღვარი, ხოლო მამამძუძეა, როგორც მზრუნველი, მისი ინტერესების დამცველი.

მამამძუძე საერთოდ ხელმძღვანელობდა ძუძუმტეს აღზრდას. სწავლებას

სხვადასხვა საგნებში შეიძლებოდა გაძღოლოდა სხვა პირი. მამამძუძე ვერ შეძლებდა ყოველგვარი მეცნიერების საფუძვლების სწავლებას. ჯუანშერი აჩვენებს, რომ „ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა" **(ქ. ცხ. 1955:146)**, ე. ი. ღვთისმეტყველებას. სვ. გამსახურდია ვარაუდობდა, რომ თეოლოგია ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ისწავლებოდა ფილოსოფიასთან ერთად. ფილოსოფიას კი სწავლებაში ყოველთვის ძირითადი ადგილი ეჭირა **(გამსახურდია 1984:16)**.

არის კანტი-კუნტი ცნობები არასამეფო ოჯახიდან გამოსული პირების მიერ საერო განათლების მიღების შესახებ. ასეთია შიო მღვიმელის (VI ს-ნე) ცხოვრებაში დასახელებული ევაგრე. მის შესახებ აგიოგრაფი წერს, რომ იგი იყო „ქრისტეს მოყუარე და საღმრთო წიგნთაგან სწავლული და ქრისტიანეთა შვილი" („ასურელ მამათა ცხოვრების" წიგნთა ძველი რედაქციები, **ი. აბულაძის** რედაქცირით, **თბ., 1955:98)**.

„დავით და კონსტანტინეს ცხოვრების" ავტორი არგვეთის მთავრების შესახებ ამბობს, რომ ისინი იყვნენ: „მეცნიერ ძველისა და ახლისა სჯულისა, ჴშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა" **(ძვ. ქართ. მოთხრ. 1979:152)**. მაშასადამე, ამ საერო პირებს მრავალმხრივი აღზრდა ჰქონიათ მიღებული. სამხედრო საქმის სრულყოფილი ათვისება რომელსაც ცხოვრების ავტორი მიაწერს დავითსა და კონსტანტინეს, იმ დროს მოითხოვდა რიგიან ფიზიკურ განვითარებას, ხოლო ძველი და ახალი აღთქმის მეცნიერული ცოდნა თეოლოგიისა და ფილოსოფიის საგანგებოდ შესწავლის გარეშე ვერ მიიღწეოდა. მაშასადამე, დასახელებული თვისებები დავითსა და კონსტანტინეს მიერ სერიოზული სწავლა-აღზრდის მიღებაზე მეტყველებენ.

შედარებით მოწესრიგებული ვითარება ჩანს სასულიერო განათლების დარგში. სომეხი ისტორიკოსების კორიუნის და მოსე ხორენელის ჩვენებით, საქართველოში ასეთი განათლების მიღება სკოლებში ხდებოდა. ეს სკოლები, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ჩვენშიაც ელემენტალური პირველდაწყებითი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. სადაც ძირითადად საღვთო მსახურებს ამზადებდნენ. ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგიაა და ღვთისმსახურების შესრულება ელემენტარული განათლების გარეშე შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება უფრო მაღალი ტიპის სასულიერო სკოლებს, მათ შესახებ ცნობები მოღწეული არ არის. თ. პაპუაშვილი მიუთითებს: „საფიქრებელია, რომ ასეთი რამ VI—X სს არც იყო"-ო[1]. და ამის საბუთად მოჰყავს მაგალითი ქართლის კათალიკოსის კირონის სწავლის დასამთავრებლად მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლში 15 წელიწადს ყოფნის შესახებ **(სინ 1973:613)**.

სვ. გამსახურდია „შატბერდის კრებულის", მასში შესული გრიგოლ ნოსელის თხზულების „ქაცისა შესაქმისათვისა" და ე. წ. „სასწავლო წიგნის"

[1] ავტორი იმოწმებს კ. კეკელიძეს, მაგრამ ბატონ კორნელის V—VII საუკუნეები აქვს მითითებული.

ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ დასახელებული კრებული, სახელდობრ კი, „სასწავლო წიგნი“ მოიხმარებოდა საშუალო განათლების მისაღებად. მათი გამოყენება უპირატესად შეეძლო უფროსი ასაკის პიროვნებებს (**გამსახურდია 1984:25**).

ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ზოგიერთ მონასტერთან არსებული სკოლები საკმაოდ მაღალ განათლებას იძლეოდა და რიგიანი განათლების მისაღებად ყოველთვის არ იყო საჭირო საქართველოს საზღვრების მიღმა წასვლა. მართლაც, ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობები, რომ ისეთმა მაღალგანათლებულმა პირებმა, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი, გიორგი მერჩულე და სხვ. თავიანთი დიდი ცოდნა ადგილზე, საქართველოში შეიძინეს.

გიორგი მერჩულეს დახასიათებით, გრიგოლ ხანძთელი არ იყო მხოლოდ საღვთისმეტყველო საკითხებში ღრმადგანსწავლული პიროვნება, არამედ მან „კეთილად იცოდა „სიბრძნეჲცა ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ“. მწერლის ეს გამოთქმა პ. ინგოროყვას იმის დასტურად მიაჩნია, რომ გრიგოლ ხანძთელი „საერო ფილოსოფიასაც საფუძვლიანად გაცნობილი უნდა ყოფილიყო“ (**ინგოროყვა 1954:13**).

უცნობი ატორი ილარიონ ქართველის (822—875) აღზრდის შესახებ მიუთითებს, რომ იგი მამამ „მისცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთის მოყუარესა, რომელი იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა თვით იგი“ და ეს მოძღვარი ილარიონს ასწავლიდა „წიგნთა სულიერსა ან ღმრთის სულიერთა დღე და ღამე“ (**ძვ. ქართ. მოთხრ. 1979:448**). აქ მართალია ნათქვამი არ არის ღვთისმეტყველების გარდა ილარიონმა რა საგნები შეისწავლა, მაგრამ თხრობა შეეხება მცირეწლოვან ილარიონს, ხოლო იმის მიხედვით, რომ იგი შემდეგში მრავალმხრივ განათლებული პიროვნება იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საგანთა წრე საკმაოდ ფართო ყოფილა. მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი ხომ გარკვევით მიუთითებს: „წმინდა ილარიონი იყო ღრმთისმეტყველი, ფილოსოფოსი და საქართველოსა შინა პირველი მთარგმნელი ელინურისა ენისა ქართულად“-ო (**ციტ.: კეკელიძე 1957:157** მიხედვით).

პ. ინგოროყვას მიხედვით იმ დროს განათლებამიღებულმა პირებმა გარდა ბერძნულისა იცოდნენ სირიული და არაბული ენები. სწორედ ამაზე მიუთითებს, მისი აზრით, გიორგი მერჩულეს ნათქვამი გრიგოლ ხანძთელის შესახებ, რომ იგი „მრავალთა ენათა წურთნილ და მრავალ-მოსწავლე“-ს წარმოადგენდა (**ინგოროყვა 1954:13**). ამასვე გულისხმობს კ. კეკელიძის შემდეგი შენიშვნაც: „მეცხრე საუკუნემდე ჩვენ საღმრთო წერილიცა გვქონდა ნათარგმნი და სხვა თხზულებანიც, როგორც ბერძნულიდან, ისე სხვა საქრისტიანო მწერლობის ენიდან“ (**კეკელიძე 1957:157**).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ირკვევა, რომ მის თანამედროვე სასულიერო განათლების ერთ-ერთი ელემენტი იყო „ლიტურგიკა ან ღვთის-

[1] კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ ილარიონის „ცხოვრების“ ათონური რედაქციის ავტორი იყო ექვთიმე მთაწმინდელი (**კეკელიძე 1957:143**).

მსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა (კეკელიძე 1960:80). გრიგოლ ხანძთელი, ავტორის გადმოცემით, შესანიშნავად გალობდა, რადგან მას „ხმითა სასწავლელ" საეკლესიო გალობას ასწავლიდნენ (ძეგლები 1964:249--250). გამოთქმულია შეხედულება, რომ „ხმით" სწავლება მასალის ხმამაღლა დაზეპირებას გულისხმობდა. მაგრამ სავსებით სწორად შენიშნავს სვ. გამსახურდია, რომ „ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოი" სინამღვილეში იყო ჰიმნოგრაფიის, საერთოდ კი ლიტურგიის ათვისება და არა ხმამაღლა ზეპირობის მეთოდი (გამსახურდია 1984-22).

კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ თავდაპირველად, როცა ჩვენთან ქრისტიანული სკოლები იქმნებოდნენ, ისინი მოწყობილი უნდა ყოფილიყვნენ აღმოსავლეთში კარგად ცნობილი ნიზიბინის სკოლის ყაიდაზე. ამ სკოლისათვის დამახასიათებელი იყო პრაქტიციზმი, რაც სასწავლო მასალის შერჩევაში გამოიხატებოდა. იქ არ აძლევდნენ განყენებულ სისტემატურ ცოდნას. „უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზერტიკა, ესე იგი ბიბლიური ტექსტის შესწავლა და ახსნა-განმარტება, ჰომილეტიკა ან ეკლესიაში საჯაროლ სწავლა-მოძღვრების წარმოება" (კეკელიძე 1960:80). ამას ემატებოდა ზევით დახასიათებული ლიტურგიკა.

როგორც ვხედავთ, ასაოვისებელი სასწავლო დისციპლინები საკმაოდ რთულ ციკლს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, ბავშვებს სასწავლებლად ძალზე ადრე აბარებდნენ. მაგალითად, პეტრე მაიუმელს (V ს-ნე), მისი ბიოგრაფიის გაღმოცემით, რაშიაც კ. კეკელიძეს ეჭვი არ ეპარებოდა, სწავლა სამი წლის ასაკში დაუწყია (იქვე: 81). ილარიონ ქართველი „ექვსისა წლისა, მიეცა სწავლაღ" ქართლის კათალიკოსი არსენიც 6 წლის ასაკში გამხდარა შოწაფე. მართალია, მოგვიანებით მომხდარი ჟამჭტია, მაგრამ ტიპურად უნდა ჩაითვალოს, რომ გიორგი მთაწმინდელი და მისი და თეკლე შვიდი წლისანი იყვნენ როცა სწავლა დაიწყეს (გამსახურდია 1984:31).

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ახალგაზრდები სწავლას 16 წლისანი ამთავრებდნენ. ყოველ შემთხვევაში ეს ასაკია დასახელებული შიო მღვიმელისა და ილარიონ ქართველის ცხოვრებებში.

სწავლა-აღზრდისა და სასკოლო საქმის განვითარება მჭიდროდ უკავშირდებოდა სამონასტრო მოძრაობის გაფართოებას. პირველი მონასტრების დაარსება საქართველოში უკავშირდება ათცამეტ ასურელ მამათა მოღვაწეობას. მათ მოსვლამდე, ე. ი. VI საუკუნემდე, ჩვენში მონასტრები არ არსებულა (კეკელიძე 1960:88). მაგრამ მონასტერში სასკოლო საქმიანობის გაშლა უფრო მოგვიანებით, ილარიონ ქართველისა და გრიგოლ ხანძთელის მიერ, ფაროო სამონასტრო მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ მოხდა.

მონასტრები საერთოდ წარმოადგენდნენ კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობისა და შემოქმედებითი ცხოვრების შეშმარიტ ცენტრებს. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინდა ვისაუბროთ ამ კერებში სწავლა-განათლების

სფეროსთან დიდად დაკავშირებულ საქმიანობის, **მწიგნობრობის** შესახებ, რამდენადაც ეს დარგი წიგნიერებას, განათლებულობასაც მოიცავს.

მწიგნობრობის საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელი იყო მონასტრებში ჩამოყალიბებული მთარგმნელთა და კალიგრაფთა სკოლები. ჩვენამდე მოღწეული მათი ნამუშევრები აჩვენებენ ამ სფეროების ოსტატთა კვალიფიციურობის დონეს, შემოქმედებით ინტერესებსა და ეპოქის სულს. ცხადია, საქმიანობის ეს დარგები წარმოიშვა და განვითარდა ქრისტიანული რელიგიის საჭიროებისათვის. „ეკლესია თავისი გავლენის სფეროს გასაფართოებლად, ავტორიტეტის განსამტკიცებლად, რელიგიური იდეების პროპაგანდისა და მრევლის მოზიდვის მიზნით საჭიროებდა მწიგნობრობას" **(შენაბდე 1962:27)**.

მწიგნობრობა, რომ საგანგებო მომზადებასა და მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვდა ამას ავგაროზ ბანდაიძის, (XIV ს-ნე) ერთი ჩანაწერიც ადასტურებს. „წყალობითა ღმრთისაჲთა მომეცა,—წერს იგი,—თვინიერ მოძღურისა, ხელოვნება ესევითარი: პირველად ხელი სწავაჲ ხუცობისაჲ, ხელი მეორე მწიგნობრობისაჲ... წერაჲ ხუცურისაჲ... შექმნაჲ ეტრატისაჲ... შეკვრაჲ წიგნისაჲ... მხატვრობისაჲ... მკერვალობისაჲ... ტყავის კერვისაჲ... ხუროვნობისაჲ... ხელი მეათე მსოფლიო მუშაობისაჲ" **(ციტ.: შენაბდე 1962:41, მიხედვით)**.

ისევე, როგორც ყველა სხვა ქრისტიანი ერისა, ქართული სასულიერო მწერლობაც თარგმნილი ლიტერატურით იწყება. თარგმნის ობიექტი იყო ბიბლია ანუ ქართულად—დაბადება. ბიბლია ორი ნაწილისაგან (ძველი და ახალი აღთქმა) შედგება. ძველი აღთქმა 39 წიგნს შეიცავს. ისინი დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე, მხოლოდ ზოგიერთი, შედარებით გვიან დაწერილ წიგნში გვხვდება ჩანართები არამეულ ენაზე. მეორე ნაწილი ბიბლიისა—ახალი აღთქმა (27 წიგნი) ბერძნულ ენაზეა შედგენილი. ძველ აღთქმას ერთიანი სათაური არა აქვს. იგი იწერებოდა ძვ. წ. XII საუკუნიდან—ახ. წ. III საუკუნემდე. ახალი აღთქმა, რომელსაც ბერძნულად ევანგელე, ქართულად კი სახარება ჰქვია, დაწერილია ახ. წ. II—IV საუკუნეებში. მისი პირველი წიგნები ეკუთვნის ოთხ ავტორს: მათეს, მარკოზს, ლუკას და იოანეს. თითოეული მათგანის ნაწარმოები მიჩნეულია ცალკე თავად. ხოლო, როცა ოთხივე ავტორის ნაღვაწი ერთ წიგნშია მოქცეული მას „სახარება ოთხთავი"-ს სახელით მოიხსენიებენ.

კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ ბიბლიის წიგნებიდან „ყველაზე ადრე სახარება უნდა ეთარგმნათ. მართლაც,—წერდა იგი,—ახლახან აღმოჩენილი პალიმფსესტები უმთავრესად სახარების ტექსტს შეიცავს" **(კეკელიძე 1960:412)**.

სახარების ადრეული თარგმანის არსებობას ადასტურებს იაკობ ცურტაველი. იგი წერს, რომ შუშანიკმა „თანა წარიტანა ევანგელეჲ თვისი". სახარების ადრინდელი თარგმანები ჩვენამდე მთლიანი სახით მოღწეული არ არის. კ. კეკელიძის მიხედვით, მეცნიერთა განკარგულებაშია IX—X საუკუნეთა კრებულებში დაცული, ან ცალკე ხელნაწერად შემორჩენილი

სახარებაოა სრული თარგმანები: შატბერდის ანუ ადიშის (897 წლისა), ურბნისის (906), ოპიზის (913), ჯრუჭის (936), სინას მთის ოთხი ეგზემპლარი (978—979), წყაროსთავის, ქსნის (ორივე X ს-ის შუა წლებისა), პარხალის (973), ბერთას (988), ტბეთის (995).

როგორც ვხედავთ, დასახელებულ სახარებათა შორის უძველესია შატბერდის ანუ ადიშის ოთხთავი. კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ იგი გადაწერილია 897 წელს **(კეკელიძე 1945:338)**. ეს ხელნაწერი, რომ შატბერდშია გადაწერილი ამის პირდაპირი ცნობა დაცული არ არის. ლ. მენაბდე ვარაუდობს „რომ ის შატბერდულია და მისი მომგებელი სოფრონი მერჩულის მიერ მოხსენიებული სოფრონ შატბერდელი უნდა იყოს“ **(მენაბდე 1962:416)**. ამ სოფრონის შესახებ ვრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მისი დასახელების გარდა „არავითარი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება“ **(კეკელიძე 1960:145)**. მის მიერ „მოგებული“ ოთხთავი შატბერდიდან წამოუღიათ ნიკოლაოს ჯუმათელს. ერთხანს იგი დაცული იყო სოფელ ადიშის (სვანეთი) ეკლესიაში (ამიტომ ჰქვია მას ორი სახელი). ამჟამად ინახება მესტიის მუზეუმში. გადაწერილია ეტრატზე. გადამწერი ცნობილი არაა. გამოცემულია სამჯერ.

შატბერდის მონასტერთანაა დაკავშირებული მეორე კარგად ცნობილი ე. წ. ჯრუჭის სახარების (936) გადაწერაც. იგი შესრულებულია კალიგრაფის გაბრიელ შატბერდელის მიერ. გადაუწერია ეს დოკუმენტი ვინმე გრიგოლ მირდატის ძის შეკვეთით, გაბრიელ შატბერდელს. მას ჰყოლია ორი დამხმარე. ერთი, სახელად ასევე გაბრიელი, ხოლო მეორე—გიორგი. „გაბრიელი მშვენიერი კალიგრაფი იყო,—წერს ვ. ბერიძე,—მისი ნაწერი ოსტატური და ლამაზია. ასოები მსხვილია, სქელკონტურიანი, კვადრატული, ოდნავ შემაღლებული კონსტრუქციისა“ **(ბერიძე 1967:56)**.

გაბრიელის მიერ გადაწერილი ჯრუჭის სახარების მოხატვა ოთხი წლის შემდეგ დაუმთავრებია მხატვარ თევდორეს. ვ. ბერიძის დახასიათებით „თევდორე დახელოვნებული მხატვარი იყო. მის მიერ შესრულებული მინიატურები უპირველეს ყოვლისა, ნახატის ოსტატობითა და არტისტიზმით გამოირჩევა“ **(იქვე: 101)**.

ჯრუჭის ოთხთავი შეიცავს ქართული სახარების ერთ-ერთ ძველ ვარიანტს, რომელიც საფუძვლად დაედო გიორგი მთაწმინდელის საბოლოო რედაქციას.

შხატბერდელ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა შესანიშნავი კალიგრაფი იოანე ბერაჯა. რომელსაც ეკუთვნის ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ხელნაწერი—პარხლის ოთხთავი და შატბერდის კრებული. იოანე ბერაჯა ყოფილა დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქელ მოდრეკილის დისწული.

973 წელს, იოანე ბერაჯას შატბერდში გადაუწერია და ახლად აგებულ პარხლის მონასტრისათვის შეუწირავს სახარება. ეს ხელნაწერი კერძო მფლობელთან აღმოაჩინა და შეისწავლა, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ექვ. თაყაიშვილმა. შემდეგ იგი დაკარგულად ითვლებოდა. კ. კეკელიძისა და ა. შანიძის ძალისხმევით გერმანელმა კონსულმა 1922 წელს დაუთმო

თბილისის უნივერსიტეტს. ლ. მენაბდის შეფასებით: „წინაათონური რედაქციის სახარებაოა შორის პარხლის ოთხთავი ფრიად მნიშვნელოვანია. ჯრუშის სახარებასთან ერთად ის წარმოადგენს პროტოვულგატას"[1] **(მენაბდე 1962:417)**.

პარხლის ოთხთავის მინაწერებში დასახელებული სხვადასხვა პირების მიხედვით, მოხერხდა იოანე ბერაჲს ხელმძღვანელობით და მონაწილეობით გაღაწერილი შატბერდის კრებულის 973—976 წლებით დათარიღება **(ბერიძე 1967:121)**. მაგარ ეტრატზე, ლამაზი ხელით გადაწერილ ამ კრებულში შესულია: გრიგოლ ნოსელის, ეპიფანე კვიპროსელის, ბასილ კესარიელის ოხზულებები, სათაურწაბღალული თხზულება, რომლის ნაწილს ე წ. „სასწავლო წიგნი" წარმოადგენს. დავითის ფსალმუნები, იპოლიტე რომაელის ნაწარმოები და რაც ისტორიკოსთათვის ყველაზე საინტერესოა—„მოქცევაჲ ქართლისაჲ", ძველი ქართლის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ცხოვრების პირველხარისხოვანი მატიანე **(მენაბდე 1962:418—419)**.

მდიდარი ბიბლიოთეკის არსებობაა დადასტურებული შიომღვიმის მონასტერში. აქ სამონისტრო ცხოვრებას საფუძველი ჩაუყარა ერთ-ერთმა „ასურელმა მამამ"—შიომ. 547 წლის ახლოს იგი თბილისიდან 30 კმ-ით დაშორებულ მღვიმეში დამკვიდრდა. შემდეგ მას შეუერთდა ციხედიღელი მთავრის შვილი „წიგნთაგან სწავლული" ევაგრე. მათ ისე გაითქვეს სახელი, რომ შემონაზვნებულთა რიცხვმა 2000 მიაღწია. მომდევნო საუკუნეებში შიომღვიმე მძლავრ სამონასტრო ცენტრად და დიდ ფეოდალურ სენიორიად გადაიქცა. იგი სახელმწიფოს მხრივაც ყურადღების ცენტრში იყო. რაც კარგად აისახა ქართველ მეფეთა მიერ მონასტრისადმი გაცემულ მრავალ სიგელში, რომლებითაც შიომღვიმეს იმუნიტეტი და დიდძალი ქონება აქვს მინიშნებული.

მართალია, შიომღვიმის, როგორც მწიგნობრობის კერის შესახებ ადრეული ხანის ცნობები ნაკლებადაა შემონახული, მაგრამ გვიანდელი მონაცემებიდან ჩანს, მონასტერს ძლიერ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. დ. ბაქრაძის მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, 1804 წელს, შიომღვიმეში იმდენი ხელნაწერი ყოფილა დაცული, რომ 10 ურემიც კი ვერ დაიტევდა. მონასტერში არსებული ბიბლიოთეკის ნაწილი, მართალია, შემოწირულების გზით იყო შემოსული, მაგრამ უდიდესი უმრავლესობა ადგილზე იქმნებოდა.

ჩვენამდე მოღწეული შიომღვიმის მონასტრის ხელნაწერთა მდიდარი ფონდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ოლიმპოს ქართულ მონასტერში 978 წელს გადაწერილი კრებული **(მენაბდე 1962:195)**. სხვა ნუსხები შედარებით მოგვიანო ხანისაა.

ადრეული ფეოდალიზმის ხანის შიომღვიმელ მოღვაწეთაგან ლ. მენაბდე ასახელებს თვით შიო მღვიმელს და ბასილ კარიჭის ძეს. შიო მღვიმელს მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ჰქონია. ასკეტურ-მისტიკური ხასიათის მისი თხზულებები დაცული არ არის. ხოლო, როგორც ლ. მენაბდე ამბობს „ღრმა ლირიზმით აღსავსე" ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები „თქმულნი წმინ-

[1] პროტოვულგატა—აქ. პირველწყაროდანი

დისა და ნეტარისა შიოჲს მიერ“ კარგად შესწავლილი და გამოცემულიცაა **(იქვე: 191--192)**.

ხანძთის მწიგნობრულ სკოლას გრიგოლ ხანძთელმა ჩაუყარა საფუძველი. მას იმთავითვე უზრუნველია თავის დაარსებულ მონასტერში ბიბლიოთეკის შექმნისათვის **(ძეგლები 1964:268)**, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კლარჯეთის მრონასტერთა არქიმანდრიტს შესანიშნავად ესმოდა წიგნის მნიშვნელობა ბერმონაზონთა კულტურული დონის ამაღლებისათვის.

გიორგი მერჩულეს გადმოცემით, გრიგოლი მარტო განათლებული პიროვნება კი არ იყო, არამედ ორიგინალურ ნაწარმოებებსაც წერდა. პ. ინგოროყვას ვარაუდით, გრიგოლ ხანძთელი ნაყოფიერი პოეტი-ჰიმნოგრაფი იყო. მის მიერ შედგენილი „საწელიწდო იადგარი“ წარმოადგენს გრანდიოზულ ძეგლს. შეიცავს მრავალ ათეულ საგალობელს, გამართულს სხვადასხვა სალექსო საზომებით **(ინგოროყვა 954:548)**. გარდა ამისა გრიგოლ ხანძთელს სხვა ლიტერატურული შრომებიც ჰქონია: 1. პოეტური ძეგლი „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთანი“; 2. ეკლოლოგიური კრებული; 3. „წესი და განგებაჲ ხანძთის სავანისა“ და 4. შესხმა „ქებისაჲ ბაგრატ ქართველთა ხელმწიფისა“ ეს ორი უკანასკნელი ჩვენამდე მოღწეული არ არის **(იქვე: 549)**.

გრიგოლის მიერ საფუძველჩაყრილ მწიგნობრულ ტრადიციებს ხანძთაში აგრძელებდნენ: არსენ საფარელი, ეფრემ მაწყვერელი, მაკარი ლეთეთელი, გიორგი მერჩულე, მოსე და ბასილ ხანძთელები, ეპიფანე მოძღვარი და სხვ.

ზოგიერთ მათგანზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. აქ კი ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ქართული ეკლესიის გამოჩენილ მოღვაწეზე ეფრემ მაწყვერელზე (დაახლ. 825—895). გიორგი მერჩულეს გადმოცემით, იგი აღრეულ ასაკშივე გამხდარა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. შემდეგ, ეფრემი ნეძვის მონასტერში გადასულა. ლ. მენაბდის გამოკვლევით, დაახლოებით 855 წელს აწყურის ეპისკოპოსად უკურთხებიათ **(მენაბდე 1962: 482)**. აქედანაა ეფრემის ზედწოდება მაწყვერელი. ქართული ეკლესიის წინაშე მის დიდ დამსახურებად ითვლება იერუსალიმის ნაცვლად მცხეთაში მირონის კურთხევის უფლების მოპოვება. სხვა წყაროებთან ერთად, ამას გიორგი მერჩულეც აჩვენებს **(ძეგლები 1964:229)**. მაშასადამე, ქართული ეკლესიისათვის ეს ფრიადმნიშვნელოვანი აქტი IX ს-ის მეორე ნახევარში განხორციელებულა და იგი ეფრემის ღვაწლის შედეგს წარმოადგენს. ამიტომაა, რომ გიორგი მერჩულე მას „დიდი ეფრემის“ სახელით მოიხსენიებს. როგორც ჩანს, მერჩულეს გარდა ეფრემს სხვებიც ეპიტეტით „დიდი“ ამკობდნენ **(მენაბდე 1962:481)**.

ტაოს სავანეთა შორის ხუროთმოძღვრებითაც და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებითაც, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოშკის ტაძარს. მისი ასეთი ადგილი იმითაც არის განპირობებული, რომ „ძველი მონასტრის ტერიტორიაზე ყურადღებას იმსახურებს ერთი დიდი ნაგებობის ნანგრევი—სამნავიანი ბაზილიკა. რომელსაც ჩრდილოეთიდან დიდი

ოთხკუთხა ღარიბაზი ეკვრის. „ეს სემინარია-სასწავლებლის შენობა უნდა იყოს-ო, წერს ლ. მენაბდე (იქვე: 449). თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ჩვენ ოშკის სამონასტრო კომპლექსის სახით, საქმე გვექნება ერთ-ერთ პირველ ნიმუშთან, სადაც სწავლება ორგანიზაციულად გაფორმებულ სასკოლო დაწესებულებაში მიმდინარეობდა. რაც თავის მხრივ „ქართველთა სამეფოში“ კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგის—განათლების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ცნობილია რარიგერიმე ოშკელი მოღვაწე, რომლებიც ძირითადად მთარგმნელობითსა და კალიგრაფიულ მუშაობაში იყვნენ ჩაბმულნი. მათ შორისაა: გრიგოლ ოშკელი, იოანე ჩირაქ, სტეფანე დეკანოზი, კალიგრაფები, რომელთაც 978 წელს გადაუწერიათ ბიბლია და სხვ.

ვარაუდობენ, რომ გრიგოლ ოშკელი X ს-ის მოღვაწეა. იგი ძირითადად სომხური ენიდან თარგმნიდა. კერძოდ მას უნდა გადმოექართულებია გრიგოლ ღვთისმეტყველის „ევნომიანოსთა მიმართ და ღვთისმეტყველთაბთვის“ იგივე ოხზულება შემდეგში ეფრემ მცირემ ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო. კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ გრიგოლ ოშკელი სასულიერო ხარისხის მქონე პირი იყო, ოშკის ლავრის ერთ-ერთი ძმათაგანი და მას, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველის შემოქმედებით დაინტერესებულს შეიძლება სხვა მისი საკითხავებიც ჰქონდა თარგმნილი. კერძოდ, ასეთი უნდა იყოს „ქებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესარიოს ძმისა თვისისაჲს“ ჩვენამდე მოღწეული თარგმანი (კეკელიძე 1960:171).

ორი მნიშვნელოვანი ძეგლის გადაწერაა დაკავშირებული ოშკელი მოღვაწის სტეფანე დეკანოზის სახელთან. ერთი ესაა—სულისა მარგებელი თხზულება იოანე მოსხის „სამოთხე“ ანუ ლიმონარი, იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქალაგებათა კრებულით და ოშკის ბიბლიის 978 წლის ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც ახლანდელი ადგილსამყოფელის მიხედვით, ათონის ბიბლიად იწოდება.

„სამოთხე“ სტეფანე დეკანოზს, ათონელი მოღვაწის, სახელგანთქმული თორნიკესა და იოანე ვარაზვაჩეს შეკვეთით გადაუწერია. მინაწერით ზუსტდება შემკვეთიც, გადამწერიც, გადაწერის დროც (977 წელი) და ადგილიც (ბაქრაძე 1889:245—246). თორნიკე სარდალთან არის დაკავშირებული სტეფანე დეკანოზის მეორე ნაღვაწიც—ათონის ბიბლია. „მომგებელი ამ ბიბლიისა,—წერდა კ. კეკელიძე,—არის იოანე, თორნიკყოფილი, ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელი“ (კეკელიძე 1960:418). ეს ირკვევა ხელნაწერის ანდერძებიდან. ერთი მათგანი ასეთია: „დაიწერა წმინდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა უშკს (ოშკს.—გ.მ.), საყოფელსა წმინდასა ნათლისმცემლისასა, სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკ სვინგელოზისადმი და შვილთა მისთა“. ძეგლი გადაწერილია სამი მწერლის ხელით: მიქელის, გიორგისა და სტეფანესი. ამ უკანასკნელის ხელითაა „შემოსილი“ მთლიანად წიგნიც. ვ. ბერიძეს დამოწმებული ჰყავს ა. ცაგარელი და ვარაუდობს, რომ ამ ვეებერთელა წიგნის (960 გვერდი ეტრატზე) შრომა კალიგრაფებს შემდეგნაირად გაუნაწილებიათ: „მიქელის გადაწერილია მთლიანად პირ-

ველი ტომი (532 გვ.—გ.მ.), მეფეთა წიგნი—სტეფანეს ხელითაა ნაწერი, მეორე ტომის დანარჩენი წიგნები—გიორგის ხელით, ბოლოში კვლავ მიქელის ხელია" **(ბერიძე 1967:170)**. ლ. მენაბდე ბიბლიის გადამწერ სტეფანესა და სტეფანე დეკანოზს სხვადასხვა პირებად მიიჩნევს **(მენაბდე 1962:450)**. მაგრამ კ. კეკელიძესა **(კეკელიძე 1960:95--96)** და ვ. ბერიძეს **(ბერიძე 1967:206)** „სამოთხე" და ოშკის ბიბლია სტეფანე დეკანოზის ხელით გადაწერილ ძეგლებად აქვთ განხილული. ეს იდენტიფიკაცია, ჩვენი აზრით, საეჭვო არ უნდა იყოს.

ოშკის (ათონის) ბიბლია ჩვენამდე შემონახულ თარიღიან ნუსხათა შორის ერთ-ერთი სრული ხელნაწერია. თუმცა, კ. კეკელიძის მიხედვით, მასაც აკლია რამდენიმე წიგნი. ჩვეულებრივი ბიბლიისაგან იგი წიგნების დალაგების თანამიმდევრობითაც განსხვავდება.

ოშკის ბიბლიის გადამწერთა შორის დასახელებული მიქელი, კ. კეკელიძის აზრით, შეიძლება ყოფილიყო განთქმული ჰიმნოგრაფი მიქელ მოდრეკილი **(კეკელიძე 1960:175)**. მაშინ გამოდის, რომ მიქელ მოდრეკილი იყო ოშკელი მოღვაწე. ამ შეხედულებას ეთანხმება ლ. მენაბდეც. მაგრამ იგი აღიარებს, რომ მკვლევართა ნაწილს მიქელ მოდრეკილი შატბერდელ ჰიმნოგრაფად მიაჩნია. ამ მოსაზრებას თავგამოდებით იცავდა პ. ინგოროყვა. მისივე მოსაზრებით, მიქელ მოდრეკილის გადაწერილია შატბერდის კრებულში შესული „მოქცევაჲ ქართლისაჲ" **(ინგოროყვაა 1954:768)**. რაც შეეხება ათონის ბიბლიის გადაწერაში მიქელ მოდრეკილის მონაწილეობას, ამის შესახებ განსვენებული მკვლევარი არაფერს ამბობს.

არსებობს ალ. ცაგარელის ერთი დაკვირვება, რომელიც მიქელ მოდრეკილის ათონის ბიბლიის გადაწერაში მონაწილეობას საეჭვოდ ხდის. მეცნიერის აზრით, ბიბლიის სამ გადამწერთაგან მიქელის ნაწერი შესრულების ხარისხით ჩამორჩება ორი სხვა კალიგრაფის ნამუშევარს. მაშინ, როდესაც მკვლევარები ერთხმად აღიარებენ მიქელ მოდრეკილის სხვა ნამუშევრების შესრულების მაღალ დონეს. უდავოა, რომ, როგორც არ უნდა გადაწყდეს მიქელ მოდრეკილის მოღვაწეობის ადგილის საკითხი, იგი ქართულ მწერლობაში მაინც შესულია ვითარცა დიდი ჰიმნოგრაფი, ამიტომ მისი შემოქმედების შესახებ მსჯელობა ამ წიგნის სხვა პარაგრაფში გვექნება.

იოანე თორნიკეოფილისა და მისი ძმის იოანე ვარაზვაჩეს დაკვეთით, X ს-ის 70-იან წლებში, ოშკში მოღვაწე იოანე ჩარაჲს გადაუწერია იოანე ოქროპირის—ცხოვრება გიორგი ალექსანდრიის პატრიარქისა. ეს წიგნიც ახლა ათონის ივერიის მონასტერში ინახება. გამოცემული არ არის.

ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებს შორის ყველაზე ადრეულად საბაწმინდა ითვლება. ეს სავანე მდებარეობდა პალესტინაში, იერუსალიმიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, დაახლოებით, 15 კმ-ზე. საბას დიდი ლავრა გაშენებულია V ს-ის 80-იან წლებში. იქ რამდენიმე ასეული ბერი მოითვლებოდა. მათ შორის ყოფილან ქართველებიც. 532 წლიდან მათ საბაწმინდაში საკუთარი ეკლესიაც ჰქონიათ და საეკლესიო წიგნებსაც დედაენაზე კითხულობდნენ **(მენაბდე 1980:26)**. მიუხედავად არაბთა და

თურქ-სელჯუკთა დაპყრობებით გამოწვეული ძნელბედობებისა, საბაწმინდაში ბერ-მონაზვნური ცხოვრება გრძელდებოდა და ქართველები მასთან კავშირს არ წყვეტდნენ.

საბაწმინდაში VI—X საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მწიგნობართაგან რამოდენიმეს შესახებ ზოგიერთი ცნობა მოგვეპოვება. კერძოდ აქ უმოღვაწნიათ: მარტვირი საბაწმინდელს, სეითს, მაკარი ლეთეთელს, პიმენ კახს, ამონას, ილარიონ ქართველს, ბასილი საბაწმინდელს, გიორგი თბილელს, არსენს, იოანე-ზოსიმეს, სვიმონ მგალობელს და სხვ.

ქართული მწიგნობრობის ისტორიაში ყურადღებას აქცევენ საბაწმინდასთან დაკავშირებულ ორ საკითხს. ესაა: ბიბლიური წიგნების საბაწმინდური რედაქციის რაობა და საბაწმინდური ტიბიკონი (იქვე: 29). პირველი მათგანი დაისვა იმის გამო, რომ გიორგი მთაწმინდელის ანდერძში დასახელებულია ხანმეტი და საბაწმინდური სახარებები. ასახსნელი გახდა რა იგულისხმებოდა მათში. როცა ა. შანიძემ გაარკვია, რომ ხანმეტურია სახარების ის რედაქციები, რომლებსაც ახასიათებთ ასო ხ-ანის გამოყენება პრეფიქსად, საკამათო დარჩა „საბაწმინდურის“ არსი. ხანგრძლივი კვლევის შემდეგ კ. კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ IX ს-ში საბაწმინდაში შეიმუშავეს ოთხთავის რედაქცია, რომელიც ტექსტობრივად კი არ განსხვავდებოდა სხვებისაგან, არამედ ფონეტიკურად. ა. შანიძეც დაახლოებით ასევე მსჯელობდა. მისი აზრით VIII—IX საუკუნეებში საბაწმინდაში გაიშალა ანტიხანმეტური მოძრაობა. რასაც შედეგად მოჰყვა ხანმეტურის საპირისპიროდ, ენობრივად განსხვავებული ხ-ან დაკლებული ოთხთავის საბაწმინდური რედაქციის შექმნა. ლ. მენაბდე იზიარებს ამ მისაზრებებს და ვარაუდობს, რომ „საბაწმინდური ეწოდებოდა არა მხოლოდ ოთხთავს, არამედ უთუოდ ბიბლიის სხვა წიგნებსაც“ (იქვე:30).

რაც შეეხება ტიბიკონის საკითხს, იგი შემდეგში მდგომარეობდა: თავდაპირველად ქართული ეკლესია იერუსალიმურ საღვთისმსახურო წესებით ხელმძღვანელობდა. კერძოდ, ხმარებაში იყო VII—VIII საუკუნეებში თარგმნილი იერუსალიმური ტიბიკონი—„განჩინებაჲ და განწესებაჲ მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთაჲ, რომელსა ყოფენ იერუსალემს“ მაგრამ ეს არ წარმოადგენდა, ერთადერთ ტიბიკონს. დაახლოებით, 826 წელს, გრიგოლ ხანძთელის დავალებით მისთვის ჩამოუტანიათ „საბაწმინდის განგებაჲ“ ლ. მენაბდე ამის მიხედვით ფიქრობს, რომ საბაწმინდის ტიბიკონს საქართველოში უკვე IX საუკუნიდან იყენებდნენ, მაგრამ მას გაბატონებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა. ასეთი იგი დავით აღმაშენებლის დროიდან გახდა (იქვე: 30).

ეს ყველაფერი მიუთითებს იმ საგრძნობ გავლენაზე, რაც საბაწმინდის მწიგნობრულ სკოლას ჰქონდა ქართულ კულტურის განვითარებაზე.

საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებს შორის ხელნაწერთა მდიდარი, კოლექციით გამოირჩეოდა სინის მთის ქართული კოლონია. მისი მასალების შესწავლაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის: პ. უსპენსკის, ა. ცაგარელს, ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, რ. ბლეიკს და ჯ. გარიტს.

„სინის მთის ქართულ სიძველეთა შემსწავლელებმა,—წერს ლ. მენაბდე,—გაიცნეს და აღწერეს ქართული კოლონიის უაღრესად მდიდარი წიგნთსაცავი. რომელიც გაოცებას იწვევს თავისის მრავალფეროვნებით" **(მენაბდე 1980:58)**. სინის მთის ქართველ მოღვაწეებს უკვე X საუკუნეში ათვისებული ჰქონიათ მაღალი წიგნიერი კულტურა. ამას ადასტურებს მათ მიერ მდიდარი ბიბლიოთეკისათვის შეღგენილი წიგნების ნუსხა, რომელიც კატალოგის შემცველ აღწერილობას წარმოადგენს. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ წიგნთსაცავად მათ ცალკე ოთახი ჰქონიათ გამოყოფილი. არაჩვეულებრივი თავიდაპირველად ზრუნავდნენ ისინი არა მარტო წიგნადი ფონდის გამდიდრებისათვის, არამედ მათი დაცვისათვის. შემონახულია არა ერთი მინაწერი, სადაც წყევლა-კრულვაა აღვლენილი მათ მიმართ ვინც სინის ეკლესიის წიგნებს სხვაგან წაიღებს, დამალავს, გაყიდის ან დაკარგავს.

სინის მთაზე X საუკუნეში ნაყოფიერ მწიგნობრულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ: მიქელ ფანასკერტელი, იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუდელელი, იოანე მირჩხი, იოანე-ზოსიმე, მიქელ კათამონელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ჭობულიანის ძე და სხვ. სინას სავანე არსებითად მათი მეოხებით, ამ დროს გადაიქცა ქართული კულტურის დიდ კერად **(იქვე: 67)**.

სინის სავანის კოლექცია მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებით როდი ივსებოდა. აქ წიგნები შემოდიოდა სხვა ქართული ეკლესია-მონასტრებიდანაც. მაგალითად, 864 წლის ახლო ხანებში, სინის მთის ქართული წიგნთსაცავისათვის საბაწმინდაში გადაწერილი მრავალთავი შეუწირავს მაკარი ლეთეელს. ეს არის სახელგანთქმული სინის მრავალთავი, რომელიც უძველესი თარიღიანი ხელნაწერია აქაურთა შორის. მინაწერის მიხედვით, ეს ძეგლი გადაუწერია მაკარის დედის ძმისწულს ამონას. მაკარი ამ საქმის მხოლოდ წამომწყები ყოფილა. მაგრამ ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ღეთეელი მთავარი გადამწერიც უნდა იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ IX—X საუკუნეები იყო სამონასტრო კოლონიზაციის გაშლის პერიოდი. ამ დროს ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო სამონასტრო კომპლექსების მშენებლობაზე და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა უკვე დაარსებულ კერებში მხოლოდ იწყებოდა. ფაროთმასშტაბიანი შემოქმედებითი. ცხოვრება აქ მომდევნო პერიოდში გაჩაღდა: ამიტომ ზევით მოტანილ მსჯელობაში ჩვენ მოგვიხდა ქართული კულტურის კერებისა და მოღვაწეების მხოლოდ ნაწილზე შევჩერებულიყავით და მონათხრობში არ შევიდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი კერა (მაგ., ათონის ივერთა მონასტერი), რომლებშიაც დიდი კულტურული საქმიანობა XI საუკუნეში გაიშალა.

რაც შეეხება უკვე განხილულ კულტურის კერებსა და მწერალთა ორიგინალურ ლიტერატურულ საქმიანობას მათ ჩვენ ქვემოთ ცალკე საკითხად განვიხილავთ.

2. ეკლესია და ცხოვრება

ადრეფეოდალურ ხანაში ერთადერთი იდეოლოგიას რელიგია წარმოადგენდა. ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, IV საუკუნის 30-იანი წლებიდან, ქრისტიანულმა იდეოლოგიამ ქართლში ორგანიზაციული გაფორმება ჰპოვა. ეკლესიის სახით მის ხელში აღმოჩნდა მძლავრი პროპაგანდისტული აპარატი. და, რადგან მრევლის გაუნათლებლობის გამო, მისდამი კრიტიკული მიდგომა არ არსებობდა, ქრიტიანობის გავრცელების გავლენა მასების შემეცნებაზე განუზომლად დიდი იყო. ეს გავლენა არც მას შემდეგ შემცირებულა, რაც განათლება ასე თუ ისე ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოების ზედა ფენის ერთი ნაწილისათვის. ვინაიდან, მაშინ სწავლა-აღზრდა თავად იდგა რელიგიის სამსახურში. იგი დოგმატიკური იყო და ახალ, ალტერნატიული იდეოლოგიის წარმოშობის შესაძლებლობას ამუხრუჭებდა. ამ მხრივ ერთადერთი ყველაზე დიდი საზრუნავი ქრისტიანობისავის სხვა რელიგიების გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა გახლდათ. მაგრამ ამ ბრძოლის სიმწვავეს შედარებით ანელებდა საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ქრისტიანული ქვეყნების—სომხეთისა და ბიზანტიის მეზობლობა.

სომხეთი თვითონ ღებულობდა მაზდეიანიზმისა თუ მაჰმადიანობის პირველ დარტყმებს და იგი საქართველომდე შედარებით შესუსტებული აღწევდა. ხოლო ბიზანტიის მძლავრი ეკლესია ქრისტიანობას კარგად იყენებდა კავკასიაში თავისი გავლენის შენარჩუნებისათვის და ამით ასუსტებდა ჯერ სპარსული მაზდეიანიზმისა და შემდეგ არაბული მაჰმადიანიზმის ფრონტს. რაც შეეხება საქართველოს აღმოსავლეთ მეზობელს—ალბანეთს, აქ XI საუკუნემდე ქართველებისათვის პრობლემა მხოლოდ კონფესიური ხასიათისა იყო. ბრძოლა მიმდინარეობდა მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის. მახლობელი აღმოსავლეთისა და ბიზანტიის მასშტაბით მონოფიზიტობის დაძლევის პირობებში, ეს იდეოლოგია დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

ქრისტიანობის, როგორც სახელმწიფო რელიგიისა და იდეოლოგიის მნიშვნელობაზე, ჩვენ ზევით სხვადასხვა მომიჯნავე საკითხების გაშუქების დროს რამდენჯერმე შევაჩერეთ ყურადღება. ამიტომ ამჯერად თხრობა შეეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ, ჩვენი აზრით, არსებითი ხასიათის პრობლემებს.

ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების საწყის ეტაპზე ძლიერ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობის საკითხი. რამდენადაც აქ გავრცელებამდე ქრისტიანობას ამ სფეროში ჰქონდა საშისაუკუნოვანი გამოცდილება, ჩვენს ქვეყანაშიაც ისეთივე საეკლესიო ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბებულიყო, როგორიც სხვაგან უკვე აპრობირებულს წარმოადგენდა. ეს ასეც მოხდა.

ადრეული ქრისტიანობის იერარქიაში უველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელები ეპისკოპოსები იყვნენ. რომის იმპერიის ძლიერების ხანაში, ქრისტიანულ სამყაროში სახელმწიფოს უდიდესი ქალაქების—რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსები პირველობდნენ. IV საუკუნის დამდეგიდან, მახლობელ აღმოსავლეთში იწყება ეროვნული ეკლესიების ჩამოყალიბება. მათაც სათავეში ეპისკოპოსები უდგებიან.

ნიკეის საეკლესიო კრებაზე, 325 წელს, დადასტურდა ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები, ეროვნული ეკლესიების ეპისკოპოსთა თანასწორად და დამოუკიდებლად გამოცხადების შესახებ. მაგრამ უველა ეროვნულმა ეპისკოპოსმა დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. თანაც, ზოგიერთი ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, იქ მჯდომი ეპისკოპოსის მდგომარეობა გაცილებით პრივილეგირებული გახდა.

ასე ჩამოყალიბდა ე. წ. სამოციქულო და მათი „თანასწორი" ეკლესიები, რომელთა ეპისკოპოსებმა უფრო მაღალი იერარქიული წოდება—პატრიარქობა დაისაკუთრეს. აღმოსავლეთის ეკლესიაში ასეთი იყო ოთხი: ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსები. მათ შორის, როგორც იმპერიის დედაქალაქის ცენტრს, უპირატესობა კონსტანტინეპოლს ჰქონდა.

ქართლშიც თავდაპირველად შეიქმნა მცხეთის საეპისკოპოსო, მისი პირველი იერარქი იოანე, კაბადოკიის მთავარი ქალაქის კეისარიის ეპისკოპოსის ხელდასხმული უნდა იყოს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ანტიოქიის ეკლესიის ზემდგომობას აღიარებდა. „ასე, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიაზე დამოკიდებულება გარდაუვალი იყო" **(გოილაძე 1991:91)**.

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ კათალიკოსობის შემოღებამდე, მთელი საუკუნის განმავლობაში, ქართული ეკლესიის მეთაურთა ხელდასხმა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ ხდებოდა **(ჯავახიშვილი 1979:373)**. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მიუხედავად კონსტანტინეპოლის კრების 381 წლის გაღაწყვეტილებისა, რომლის მიხედვითაც, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს პირველი ადგილი მიეკუთვნა აღმოსავლეთში მდებარე ეკლესიებს შორის, მის იურისდიქციას არც ერთი ოლქი არ დაექვემდებარა. ხოლო, როცა 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრების დადგენილებით, თითოეული პატრიარქის სამწყსო მკაცრად განისაზღვრა, ქართლის ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის სამწყსოში დარჩა.

დადგენილი არ არის რა დროიდან გახდა ქართლის ეკლესიის მეთაური მთავარეპისკოპოსი[1]. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით გამოდის, რომ თითქოს ეს წოდება მათ თავიდანვე ჰქონდათ. იქ ვკითხულობთ: „ქართლის მოქცევიდან „მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარეპისკოპოს-

[1] კ. კეკელიძის აზრით, მთავარეპისკოპოსობა ქართლში კათალიკოსობის შემოღებამდე არ არსებობდა და ქართლის ეკლესია ერთ სამწყსოს წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში რიგითი ეპისკოპოსი ედგა **(კეკელიძე 1957:329--330)**.

ნი ათცამეტნი" (ძეგლები 1964:93). მაშასადამე, წყაროს ავტორს ცამეტივე მთავარეპისკოპოსად ჰყავს ჩათვლილი. იქვე ნათქვამია, რომ ვახტანგ გორგასალის სპარსეთში წასვლის წინ მთავარეპისკოპოსი იყო იოველი, ხოლო შვიდი წლის შემდეგ, როცა მეფე სამშობლოში დაბრუნდა, მთავარეპისკოპოსად უკვე მიქაელი დახვდა.

ივ. ჯავახიშვილმა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტისა და ჯუანშერის ცნობების მიხედვით აღადგინა ზევითმოხსენებული 13 ეპისკოპოსიდან 12-ის სახელი. მეცამეტეზე კი იგი ფიქრობდა, რომ შეიძლება მიქაელის წინ მთავარეპისკოპოსად მოხსენიებული იოველი იყოსო (ჯავახიშვილი 1979:348), მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე დასახელებულ თორმეტშია ჩათვლილი. ვფიქრობთ, მეცამეტე მთავარეპისკოპოსი ის სამოელია, რომელიც პირველ კათალიკოს პეტრესთან ერთად გაგზავნა ვახტანგ გორგასალმა დასამტკიცებლად. ამ სამოელს იცნობს იაკობ ცურტაველიც. 468 წლის 9 იანვრის ამბებთან დაკავშირებით იგი სამოელს რიგით ეპისკოპოსად იხსენიებს. ხოლო 475 წლისათვის მიუთითებს, რომ იგი „თავი ეპისკოპოსთაჲ" იყო (ძეგლები 1964:27). ვ. გოილაძის განმარტებით „ეპისკოპოსთა თავი" იგივე მთავარეპისკოპოსია" (გოილაძე 1991:180). ლ. ჯანაშიას მიხედვითაც „ეპისკოპოსთა თავი" ქართული ქრისტიანული ეკლესიის მეთაური იყო (სინ 1973:96).

ჯუანშერიდან ვიცით, რომ უკანასკნელი მთავარეპისკოპოსი მიქაელი ვახტანგმა საქაროველოდან გააძევა, დასასჯელად კონსტანტინეპოლში გაგზავნა, საღაც იგი სიკვდილის ღირსად ცნეს, რაც მონასტერში ბერად შედგომით შეეცვალა (ქ. ცხ. 1955: 197). გაძევება უნდა მომხდარიყო 468 წელს (გოილაძე 1991:180.). მაშასადამე, მიქაელის გაძევებიდან კათალიკოსობის შემოღებამდე მთავარეპისკოპოსი სამოელი იყო. ეს იცის „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორმა, ამიტომ იგი მთავარეპისკოპოსთა რიცხვს 13-ით განსაზღვრავს. ჯუანშერთან კი ასეთთა რაოდენობა 12 გამოდის (ჯავახიშვილი 1979:347). როგორც ჩანს, მას სამოელი მთავარეპისკოპოსად ჩათვლილი არა ჰყავს. ვ. გოილაძესაც სამოელი მე-13-ე მთავარეპისკოპოსად მიაჩნია, მაგრამ უარყოფს მისი გაიგივების შესაძლებლობას იაკობ ცურტაველის სამოელთან (გოილაძე 1991:150--152). მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ვახტანგ გორგასალმა ანტიოქიიდან მოსული 13 ეპისკოპოსიდან ერთი ნაწილი, მათ მიერ კათალიკოსობის შემოღებამდე დაკავებულ კათედრებზე დატოვა, მაშინ, აღმოჩნდება, რომ სამოელი, რომელიც ქარგა ხანს იყო „თავი ეპისკოპოსთა.", კათალიკოსად პეტრეს ხელდასხმის შემდეგ, კვლავ დარჩენილა მცხეთის ეპისკოპოსად. ამას პირდაპირ აჩვენებს ჯუანშერი. მისი სიტყვის „სამოელ ეპისკოპოსად დასვეს მცხეთასავე(!) საეპისკოპოსოსა" (ქ. ცხ. 1955:198)[1].

[1] ამას უნდა მიანიშნებდეს ის ფაქტიც, რომ მცხეთაში კათალიკოსობის დაწესების შემდგომაც ორი ეპისკოპოსი იყდა. ეს შენიშნული აქვს ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძეს. იგი წერს: ქართული წყაროების მიხედვით, „მცხეთაში იყდა ორი ეპისკოპოსი, ერთი იწოდებოდა კათალიკოს მთავარეპისკოპოსად და ის მეთაურობდა ეკლესიას, ხოლო მეორე ძველი ეპისკოპოსი სამთავროში იყდა. ეს ეპისკოპოსი კათალიკოსობის დაწესებამდე მეთაურობდა ქართულ ეკლესიას. კათალიკოსობის დაწესების შემდეგ მისი ტასტი არ გაუქმებულა და მცხეთაში ორი ეპისკოპოსი აღმოჩნდა" (ჯაფარიძე 1988:588).

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, რომელიც ამჟამად რეალურობის ასახვადაა აღიარებული **(გოილაძე 1991:147)**, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის (თვითმწყემსობის) მიღება ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის შედეგადაა მიჩნეული. ამ აქტის ისტორიას რამოდენიმე მასში შემავალი საკითხის გარკვევა უკავშირდება. მათგან ერთ-ერთი უპირველესია თარიღი, ვინაიდან, მის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ პირობებზე, რომლებმაც კათალიკოსობის შემოღების აუცილებლობა გამოიწვიეს; ვისგან იქნა მიღებული დასტური ავტოკეფალიის თაობაზე; რა პოლიტიკურ და კონფესიურ სიტუაციაში განხორციელდა იგი და სხვ.

ავტოკეფალიის მიღების თარიღზე გამოთქმულ შეხედულებათაგან ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ისეთებზე, რომლებიც ამ აქტს ვახტანგ გორგასალის ეპოქაში ათავსებენ. მ. ბროსე ავტოკეფალიის მოპოვების თარიღად 475—478 წლების შუა პერიოდს ასახელებდა **(ვახუშტი 1885:102)**. დ. ბაქრაძის მიხედვით ეს მოხდა 487 წელს **(ბაქრაძე 1889:169)**. ივ. ჯავახიშვილი იაკობ ხუცესთან „ეპისკოპოსთა თავად" სამოელის დასახელების გამო კათალიკოსობის შემოღების ქვედა ზღვრად 472 წელს იღებდა. ხოლო, რადგან ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების თარიღად 502 წელი მიაჩნდა ასეთი დასკვნა გამოჰქონდა: „კათალიკოსობა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა შეიძლება მხოლოდ 472—502 წ. შუა, უფრო კი ვახტანგის სპარსთა ყმადნაფიცობის წინააღმდეგ აჯანყებამდე ე.ი, 472—484 წ.-ში დაწესებულიყო" **(ჯავახიშვილი 1979:385)**. ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, რომ პირველი კათალიკოსი პეტრე ხელდასხმული იქნა 464—473 წლებს შორის **(კაკაბაძე 1928:20)**. კ.კეკელიძის აზრით, ვ. გორგასალმა კათალიკოსობა სპარსეთიდან დაბრუნებისთანავე 967 წელს შემოიღო **(კეკელიძე 1957:340)**. რადგან 475 წელს კათალიკოსად ჩანს სამოელი. იგი მეორე კათალიკოსია. „პირველი პეტრე, უეჭველია, უფრო ადრე უნდა გამხდარიყო კათალიკოზად" **(იქვე: 341)**. ბ. ლომინაძე იზიარებს კ.კეკელიძის არგუმენტებს და ვახტანგ გორგასალის რეფორმის გატარების თარიღად 466—479 წწ. მიუთითებს **(ქსე,ტ. 5, გვ. 317)**.

უკანასკნელ ხანს ქართლში კათალიკოსობის დაწესების („რაც ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას ნიშნავს"; **გოილაძე 1991:147**) თარიღზე საგანგებო კვლევა ჩაატარა ვ. გოილაძემ. უპირველესყოვლისა მან განიხილა და შეეცადა უარეყო ის არგუმენტები, რაც კ. კეკელიძესა და ბ. ლომინაძეს აქვს წარმოდგენილი ვახტანგ გორგასალის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის თარიღად 466—474 წლების ჩათვლის მიზნით და საკმაოდ დასაბუთებულად დაასკვნა: „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის 466—468 ან 466—474 წლებით განსაზღვრა ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება"-ო **(იქვე: 182)**. ამდენად, მას მიაჩნია, რომ საჭირო თარიღი უნდა იქნეს მოძებნილი 475—491 წწ. შორის[1] მაგრამ დროის ამ მონაკვე-

[1] ვ. გოილაძეს ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების თარიღად დადგენილი აქვს 491 წელი.

თიდანაც შეიძლება კიდევ რამოდენიმე წლის გამორიცხვა. საქმე ისაა, რომ ქართლის კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქს უნდა დაემტკიცებია. მაგრამ „468 წლის შემდეგ მშვიდობიანი მდგომარეობა ანტიოქიაში მხოლოდ 482 წლის შემდეგ დამყარდა" (**იქვე: 84**). ე.ი. ამ წლიდან შეიქმნა პირობები იქ ქართლის კათალიკოსის დამტკიცებისათვის. მაგრამ ახლო მომდევნო ხანაში მსოფლიო საეკლესიო კრების მოუწვევლობისა და ქართლში პოლიტიკური ვითარების გართულების გამო (ვახტანგის აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ 482—484 წწ.) ეს აქტი, როგორც ჩანს 487—488 წლებამდე არ განხორციელებულა. ამ წელს კი „ეს საქმე ანტიოქიის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ პეტრე ფულონის თავმჯდომარეობით დადებითად გადაწყვიტა" (**იქვე:185**). ამ თარიღს მხარს უჭერენ ქართული საისტორიო წყაროებიც, სადაც მითითებულია, რომ ქართლის მოქცევიდან კათალიკოსობის დაწესებამდე 170 წელი გავიდა[1] (**ძეგლები 1964:93**). იმის დასტურად, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია ნამდვილად ვახტანგ გორგასალის დროს მიიღო ვ. გოილაძე იმოწმებს ზ. ალექსიძეს და ივ. ჯავახიშვილს (**გოილაძე 1991:185**). პირველმა „ეპისტოლეთა წიგნის" ანალიზის საფუძველზე დაამტკიცა, რომ „VII ს-ის დამდეგს, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე ქართლის ეკლესია ავტოკეფალური იყო". ხოლო ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე ქართლის ეკლესიის მეთაური კათალიკოსად არის მოხსენიებული, რაც ნიშნავს დასტურს ავტოკეფალიის წინა საუკუნეში მოპოვების თაობაზე.

ეხებოდა რა ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობლის უფლებრივ მდგომარეობას ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ვახტანგ გორგასალისაგან საქართველოში კათალიკოსობის დაარსება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაწესებად უნდა ვიგულისხმოთ"-ო (**ჯავახიშვილი 1979:384**). მაგრამ ეს ავტოკეფალია, რომ სრულყოფილი არ იყო, მისივე აზრით, პირველი კათალიკოსების საბერძნეთიდან მოყვანით მტკიცდება. ვ. გოილაძე არასრულყოფილების მეორე ნიშანს, მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ავტოკეფალიის დაუმტკიცებლობასაც ასახელებს.

ორივე ეს ნაკლი შემდგომში აღმოიფხვრა. ჯუანშერი აჩვენებს, რომ საბერძნეთიდან მოყვანილი კათალიკოსის ჩერმაგის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის მეფემ მის ადგილზე დასვა და „აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსს საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს" (**ქ.ცხ. 1955:207**). ამ მოვლენის თარიღად ვ. გოილაძე VI ს-ის 20-იანი წლების შუახანებს ვარაუდობს (**გოილაძე 1991:187**). მასვე აქვს დადგენილი, რომ ასეთი ნებართვა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ბიზანტიის კეისარ იუსტინიანეს (527—565) ქართლის მეფე ფარსმანისათვის[2] წერილობით დაუდასტურებია 535 წელს (**იქვე**).

---

[1] ვ. გოილაძეს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად 317—318 წწ. აქვს დადგენილი (**გოილაძე 1991:63**).

[2] ვ. გოილაძის აზრით, მეფობა ქართლში გაუქმდა არა 523 წელს, როგორც ეს მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ დაახლ. 537 წელს (**იქვე: 86**).

მართალია, მეფობის გაუქმების შემდეგ ქაოლი პოლიტიკურად დაქვეითდა, მაგრამ აქაური საერო და სასულიერო ხელისუფლები მაინც განაგრძობდნენ ცდებს სრულყოფილი საეკლესიო ავტოკეფალიის მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ აღიარებისათვის. კონსტანტინეპოლის მეხუთე (533,553) და მეექვსე (580—581) მსოფლიო საეკლესიო კრებებს კანონები არ მიუღია. ამიტომ იქ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მიკუთვნების თარიღი გადაწყვეტილად არ ჩანს. ირკვევა, რომ V კრებაზე ეს ასეც მომხდარა. მაგრამ მეექვსეს ამ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება გამოუტანია. ასეთი მტკიცების საბუთს იძლევა ეფრემ მცირეს მონათხრობი, რომელიც დაახლ. 1057 წლით არის დათარიღებული და საფუძველი გახდა „ქართლის ცხოვრების" რამდენიმე ხელნაწერში შესული ზოგიერთი ჩანართისა. იქ წერია: მეექვსე მსოფლიო კრებამ დაადგინა „წმინდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმინდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი. და იყო კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა", როგორც „პირველთაგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებული იყო და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად" **(ქ. ცხ. 1955:232)**.

ვ. გოილაძემ ყურადღება მიაქცია მეორე ქართულ წყაროსაც, სადაც VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, ცნობა არის დაცული. ეს არის ექვ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი ე. წ. „მარტვილის ხელნაწერები". ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ ქართლის კათალიკოსი დამოუკიდებელი და თავისუფალი მამამთავარია კონსტანტინეპოლის კრების „ტახტიკონის" მიხედვით. ვ. გოილაძის ვარაუდით, მასში ის დოკუმენტი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც 681 წლის 16 სექტემბერს მიიღო VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ და, რომლითაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დაღასტურდა **(გოილაძე 1991:194)**.

ქართული წყაროების გარდა ვ. გოილაძე იმოწმებს XII საუკუნეში მცხოვრებ ბერძენი საეკლესიო მოღვაწის ბალსამონის და XIII ს-ის ბიზანტიელი კანონისტის მ. ბლასტარესის კანონიკური ხასიათის ნაშრომებსა და დაასკვნის, რომ მართალია, 680—681 წლების მსოფლიო საეკლესიო კრებას კანონები არ შეუმუშავებია, მაგრამ „კრებაზე დამსწრე ქართველ სასულიერო მოღვაწეთა მოთხოვნა კრებას მაინც განუხილავს და ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალია დაუდასტურებია. უეჭველია, კრებამ დადასტურების კანონიც გამოსცა. მართალია, ამ კანონის ბერძნული ან ლათინური ტექსტი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ იგი რომ არსებობდა ეს სხვა წყაროებით მტკიცდება" **(იქვე. 192)**.

მკვლევარის ეს მოსაზრება უთუოდ გასაზიარებელია, რასაც ვერ ვიტყვით მის მიერ ამ საკითხის განხილვის დროს გამოთქმულ იმ დებულებაზე, რომ „ამავე კრებამ საბოლოოდ დაუმტკიცა ქართლის ეკლესიას მირონის დამზადების ნებართვა" **(იქვე: 195)**. ჩვენ ზევით უკვე გვქონდა შესაძლებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით დაგვემოწმებინა ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულება, რომ მირონის მოხარშვის უფლება ქართლმა

ეკლესიამ IX ს-ის II ნახევარში მოიპოვა ეფრემ მაწყვერელის (დაახლ. 825-895) ღვაწლის შედეგად[1]. რასაც თავის თხზულებაში გიორგი მერჩულეც ადასტურებს **(ძეგლები 1964:290)**. ამ ცნობაში ეჭვის შეტანა საფუძვლიანი მხოლოდ მაშინ გახდება, თუ დამტკიცდება, რომ ქართლის ეკლესიამ 581 წელს მოპოვებული უფლება მირონის კურთხევისა რაღაც პერიოდში დაკარგა და IX ს-ის მეორე ნახევარში კვლავ მოიპოვა. რის შესახებაც ვ. გოილაძეს არაფერი აქვს ნათქვამი.

ქართული ეკლესიის ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა სომხურ ეკლესიასთან განხეთქილებისა და დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის ბრძოლის საკითხი.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ამ თემამ ფართო გამოხმაურება ვერ ჰპოვა. ზ. ალექსიძის დაკვირვებით, „განხეთქილების ფინალური სცენა... ქალკედონიზმმა თითქმის სრულიად დაივიწყა" **(უბტანესი 1975:7)**. საეკლესიო განხეთქილებას უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა, ვიდრე ეს „ეპისტოლეტთა წიგნიდან" ჩანს. სომხეთის ეკლესიის მესვეურები ქართველთა მიერ ავტოკეფალიის მიღების შემდეგაც ცდილობდნენ თავიანთი უზენაესობა მოეხვიათ თავს მცხეთის კათალიკოსისათვის. ქართველებიც იმის გამო, რომ ქვემო ქართლში შერეული მოსახლეობა იყო და ზოგიერთ საეპისკოპოსოში (მაგ. ცურტავის) ღვთისმსახურება სომხურ ენაზე სრულდებოდა, იძულებულნი იყვნენ ლოიალობა გამოეჩინათ და სომხეთის კათალიკოსთან დამოკიდებულებაში დამთმობ პოზიციას არჩევდნენ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება იმიტომაც მოხდა, რომ ეს სამწყსო იზიარებდა ქალკედონის 451 წლის, მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს, დიოფიზიტობის (ორბუნებიანობის) ერთადერთ სწორ აღმსარებლობად გამოცხადების შესახებ. ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ აღმოსავლეთ ამიერკავკასია სპარსეთის პოლიტიკურ ქვეშევრდომობაში მოექცა. სპარსეთი ცდილობდა იდეო-

---

[1] ეფრემის ღვაწლს მირონის მცხეთაში კურთხევის უფლების მოპოვების შესახებ სხვაგვარად ხსნის ეპისკ. ანანია ჯაფარიძე. მისი აზრით, გიორგი მერჩულეს მონათხრობში არა სწორადაა გაშიფრული ქარაგმა „ი-სა" (ეს შეიძლება გადამწერის შეცდომაც იყოს). იგი უნდა ამოეხსნათ, როგორც „აფხაზეთისა". ტექსტში კი გვაქვს „აღმოსავლისა". სწორად გაშიფვრის შემთხვევაში მივიღებდით, რომ ეფრემ ეპისკოპოსმა აფხაზეთის საკათალიკოსოს, ნაცვლად იერუსალიმისა, ქართლში მირონის კურთხევის უფლება მოუპოვა. მას, როგორც ახლად (VIII ს-ში) დაარსებულს ესაჭიროებოდა ასეთი უფლების მოპოვება, თორემ მცხეთის საკათალიკოსო თავიდანვე ავტოკეფალური იყო და მირონის კურთხევის უფლებაც დიდი ხანია ჰქონდა **(ჯაფარიძე 1988:148--150)**.

ამ ჰიპოთეზის გაზიარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ აფხაზეთის საეპისკოპოსოები, საკათალიკოსოს შექმნამდე და მის შემდეგაც, კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა და სავარაუდოა, რომ მირონსაც იქიდან ღებულობდნენ. მაშასადამე, აფხაზეთის ეპარქიას მირონის კურთხევის უფლება კონსტანტინეპოლიდან უნდა მიეღო. გიორგი მერჩულე კი აჩვენებს, რომ „ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით" **(ძეგლები 1964:290)**. ე. ი. ეს უფლება იერუსალიმის პატრიარქისაგან არის მიღებული და არა კონსტანტინეპოლისა.

ლოგიური საშუალებაც მის ხელთ ყოფილიყო და ამიტომ ბიზანტიის მიერ აღიარებულ დიოფიზიტობას მონოფიზიტურ კონფესიას უპირისპირებდა. შაჰი ქართველი, სომეხი და ალბანელი ხელისუფლებისაგან მათ ქვეყნებში მონოფიზიტური ქრისტიანობის აღიარებას მოითხოვდა. სომხეთის ეკლესია ამისათვის მზად აღმოჩნდა. ეფესოს 431 წლის მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება უკანასკნელი იყო რომელიც ცნობს სომხეთის ეკლესიამ. „ამის შემდეგ იგი სულ სხვა გზით წავიდა და არამცთუ მონაწილეობა არ მიუღია, არამედ მკვეთრად დაუპირისპირდა IV მსოფლიო (ქალკედონის) კრებას" **(იქვე: 302)**. სომხებმა მონოფიზიტობა თავიანთი განმანათლებლის გრიგოლის მოძღვრებად გამოაცხადეს და მას არა მარტო აღიარებდნენ, არამედ თავგამოდებით იცავდნენ.

506 წელს დვინში (სომხეთი), ბიზანტიის ინიციატივით, მოწვეულ სომეხ, ალბანელ და ქართველ მღვდელმთავართა კრებაზე დაგმობილი იქნა ნესტორიანობა და მიიღეს დიოფიზიტ-მონოფიზიტთა შემარიგებლური „ჰენოტიკონი" (ერთობა), რომელიც კრძალავდა ქრისტეს ბუნების შესახებ კამათს და ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოს დონეზე რჩებოდა" **(ალექსიძე 1973:162)**. მაგრამ ამ კრებაზედაც სომხური ეკლესიის წარმომადგენლები მონოფიზიტობის სასარგებლოდ იყვნენ განწყობილნი. ალბათ, ამის გამო იყოო, მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი, რომ ქართლის ეკლესიის დელეგაცია დვინში სრულად არ იყო წარმოდგენილი. კრებას „33 ქართველ ეპისკოპოსთაგან კათალიკოსიანად მხოლოდ 24 დასწრებია... ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველ ეპისკოპოსთა ერთ მეოთხედზე მეტის დაუსწრებლობა მხოლოდ შემთხვევითი მიზეზით იყოს გამოწვეული" მაშასადამე, დაასკვნიდა იგი, ქართველი მღვდელმთავრები, რადგან მონოფიზიტობას არ თანაუგრძნობდნენ განზრახ არ წავიდნენ დვინის საეკლესიო კრებაზე **(ჯავახიშვილი 1979:417)**.

ამის შემდეგ სომხური და ქართული ეკლესიები კიდევ უფრო დასცილდნენ ერთმანეთს. პირდაპირი მითითება არა გვაქვს, მაგრამ თუ ივ. ჯავახიშვილის შეხედულება იმის შესახებ, რომ VI საუკუნეში საქართველოში მოსული „ასურელი მამები" დიოფიზიტები იყვნენ სწორია, მაშინ მათ საგრძნობად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ ქართლში ამ კონფესიის განმტკიცების საქმეში. ეს „მამები", მართალია, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ დიდი ღვაწლი დასდეს სამონასტრო მშენებლობის გაჩაღებას, ჯერ კიდევ დარჩენილ ურწმუნოთა მოქცევასა და, რაც მთავარია, „სარწმუნოებისა მართლისა" განმტკიცებას. ეს კი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „იმას ნიშნავს, რომ (ასურელი მამები.—გ.მ.) ქალკედონიანობის განმტკიცებისათვის იბრძოლნენ" **(იქვე: 413)**. მაშასადამე, VI ს-ის II ნახევარში, ქართლში დიოფიზიტობას უპირატესი პოზიციები ეპყრა, ეს სომხურ ეკლესიასთან დაპირისპირების საფუძველს ჰქმნიდა.

რელიგიურ-დოგმატიკურ განსხვავებულობას პოლიტიკური ვითარებაც აღრმავებდა. ქართლს ირანის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევა მოკავშირის გარეშე არ შეეძლო. ბიზანტია კი მას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში დაუჭერდა თუ კი იგი იმ სარწმუნოებრივ დოგმას აღიარებდა, რომელიც იმპერიაში ერთადერთ შეწმარიტ კონფესიას წარმოადგენდა. ასეთი კი ქალკედონიზმი, ე.ი. დიოფიზიტობა იყო. ამგვარად, როგორც ზ. ალექსიძე აღნიშნავს „VII ს. დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ისეთი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, რომ ქართლს ირანის რელიგიური ზეგავლენისაგან გამოსვლა და საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნება მხოლოდ ქალკედონისტობის ოფციალური აღიარებით შეეძლო" **(ქსე,ტ. 8,გვ. 625)**.

კონფლიქტის დაწყება დააჩქარა ეროვნული პრობლემების გაჩენამაც. საკითხი შეეხებოდა ცურტავის საეპისკოპოსოში შექმნილ სიტუაციას. ეს სამწყსო ქართლის განაპირა მხარე იყო და მას სამხრეთიო სომხეთი ესაზღვრებოდა. იაკობ ცურტაველს აქ სომეხთა ცხოვრების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. VI ს-ის მიწურულისათვის კი ცურტავის საეპისკოპოსოში შერეული, ქართულ-სომხური მრევლი ყოფილა. „ეპისკოპოსადაც ზოგი ქართველი, ზოგი კიდევ სომეხი იყო ხოლმე" **(ჯავახიშვილი 1979:419)**. ზოგან ქართულ და ზოგანაც სომხურ ენაზე ტარდებოდა ღვთისმსახურება.

ასეთი ვითარება მიუღებლად მიაჩნდა ქართლის კათალიკოსს კირონ I-ს (599—614 ან 616). იგი წარმოშობით ქართველი, ჯავახეთიდან იყო, მაგრამ 15 წელი გაატარა სომხეთის ე.წ. ბერძნულ ნაწილში, ქ. ნიკოპოლისში, სადაც ბერძნული განათლება მიიღო და დიოფიზიტობის აღმსარებელი შეიქმნა. შემდეგ იგი გადავიდა დვინში, დაუახლოვდა კათალიკოს მოვსესს, რომელიც მონოფიზიტი იყო და კირონიც ამ რწმენაზე გადავიდა. დვინში მას მაღალი საეკლესიო თანამდებობები ეჭირა. სომხეთის პრომონოფიზიტურად და სპარსოფილურად განწყობილმა ძალებმა ცდა არ დააკლეს და კირონმა ქართლის კათალიკოსის ტახტი დაიჭირა. ამ სომხური წრეების იმედი, რომ კირონი ქართლში მონოფიზიტობას განამტკიცებდა, არ გამართლდა. კირონმა დაიწყო დიდი ეროვნულ-რელიგიური პროგრამის განხორციელება. იგი შეესაბამებოდა ქვეყნის წამყვანი სოციალური და პოლიტიკური ძალების ინტერესებს. კათალიკოსის ძალისხმევით ქართლმა პოლიტიკური ორიენტაციის კურსი ბიზანტიისაკენ აიღო, საბოლოოდ გაიმარჯვა დიოფიზიტობამ და ამით ქვეყანამ იდეოლოგიური დამოუკიდებლობა მოიპოვა.

კირონის საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა ეროვნულ პროგრამას, „რომლის მთავარი იდეა იყო,—წერს ზ. ალექსიძე,—ახლად აღდგენილი პოლიტიკური „ყოველი ქართლის" განსამტკიცებლად, სასაზღვრო პროვინციების შერეული მოსახლეობის საეკლესიო მსახურებაში ქართული ენის დამკვიდრება (დენაციონალიზებული ქართველების და არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად) და სხვადასხვა ქრისტიანული მრწამსის მოძღვართა ქალკედონისტობაზე დასაყოლიებლად უფრო მოქნილი ქრისტიანული დოქტრინის შემუშავება" **(ალექსიძე 1974:109)**. „წინდახედულებასა და უცილობელ დიპლომატურ ნიჭს" ივ. ჯავახიშვილიც კირონის დიდ ღირსებად მიიჩნევდა **(ჯავახიშვილი 1979:424)**.

კირონის ღონისძიებების გამო პირველი პროტესტი ცურტავის სომეხმა ეპისკოპოსმა მოსემ გამოთქვა. იგი მონოფიზიტი იყო და თავის სამწყსოში

მცხოვრებ ქართველ ქალკედონისტებს ავიწროებდა. კირონმა შეიტყო მისი „სულმდაბალი საქციელის შესახებ" და მოსე თავისთან დაიბარა. ეპისკოპოსი მიხვდა, რაც მოელოდა და ნაცვლად მცხეთისა დვინს წავიდა, რათა იქ სომეხთა კათალიკოსისათვის მიემართა. მაგრამ, რადგან სომეხთა კათალიკოსი მოვსესი გარდაცვალებულიყო იძულებული გახდა ჰოვანნავანქში შეჩერებულიყო და აქედან კათალიკოსის შემცვლელს ვრთანეს ქეროღლს წერილობით შესჩივლა, რომ მონოფიზიტობის მომხრეობისათვის ქართლიდან გამონდევნეს. ამით იწყება სომხურ ენაზე მიმოწერა კირონსა და სომეხ მღვდელთმთავრებს შორის, რომელიც შევიდა კავკასიაში საეკლესიო განხეთქილების ფინალური სტადიის ამსახველ უნიკალურ წყაროში—„ეპისტოლეთა წიგნში"[1]

ირკვევა, რომ კათალიკოს კირონსა და ეპისკოპოს მოსეს უთანხმოებას მარტო კონფესიური კი არა ენობრივი მოტივიც ჰქონდა. სომეხთა ახლად არჩეული კათალიკოსი აბრაამი პირველსავე ეპისტოლეში კირონს მარტო მონოფიზიტობის უარყოფას კი არ საყვედურობს, არამედ წერს იმას, რაც უფრო მძიმედ მიაჩნია: „გავიგე, რომ წმ. შუშანიკისათვის (ე.ი. ცურტავის სამწყსოში.—გ.მ.) დაწესებული სომხური წირვა-ლოცვაც მოგისპიათ. ეს თქვენი საქციელი სიკვდილისოდენად და უფრო უბოროტესადაც კი მეჩვენება"-ო **(უხტანესი 1975:123)**. აქედან ჩანს, რომ სომეხთა კათალიკოსს სომხურ ენაზე მღვდელთმსახურების მრსპობა უფრო აწუხებდა, ვიდრე დოგმატიკური საკითხები.

კირონმა გაქცეული მოსე ეპისკოპოსობიდან გადააყენა და სომხების მტრობა, რომ არ დაებრალებინათ, მის ადგილზე ქართველი კი არ დანიშნა ეპისკოპოსად, არამედ სირიელი, თუ სპარსელი, რომელსაც ქართულიც სცოდნია და სომხურიც, ხოლო შუშანიკის სამარტვილეში (ცურტავში) წირვა-ლოცვა სომხურთან ერთად ქართულადაც დაუწესებია **(ჯავახიშვილი 1979:430)**. ექსეპისკოპოს მოსეს მრევლიც ჩაურევია საქმეში. ცურტაველ მონოფიზიტ სომხებს სომეხთა კათალიკოსისათვის მიუმართავთ: „თქვენი დაუხმარებლივ და თქვენი მოშველიების გარეშე აქ ჩვენ დარჩენა არ შეგვიძლია, არამედ ჩვენი მიწა-წყლის მიტოვება და გამოქცევა მოგვიხდებაო" **(იქვე:418)**. მაგრამ წამოწყებული ღონისძიება ვერც ამან ჩაშალა და ცურტავის საეპისკოპოსოში წირვა-ლოცვის ორ ენაზე ჩატარება დაკანონდა.

რაც შეეხება დოგმატიკურ საკითხებს აქ უმთავრესი იყო დავა, თუ როგორ უნდა გაგებულიყო გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის მოძღვრება. სომეხთა კათალიკოსის ნაცვალი ვრთანესი (603—606) ირწმუნებოდა, რომ სომხები ახლაც იმ სარწმუნოებას მისდევენ, რომელიც გრიგოლმა იერუსალიმიდან მოიტანა, რამეთუ იგი ერთადერთი ჭეშმარიტი მოძღვრება არიოს. კირონი ამაზე პასუხობდა, თუ თქვენ მართალი ხართ, მაშინ იერუსალიმის პატრიარქს მივმართოთ და მან გადაწყვიტოს ვინ ჭეშმარიტი მორწმუნეა და ვინ შემცდარიო. ასეთი ძლიერი არგუმენტის გამო ახლად არჩე-

[1] „ეპისტოლეთა წიგნის" სომხურ-ქართული ტექსტი 1968 წელს გამოსცა ზ. ალექსიძემ.

ულმა კათალიკოსმა, აბრამ ალბათანელმა (607—615) შეცვალა კამათის მიმართულება. იგი იწერებოდა, მართალია, გრიგოლმა სარწმუნოება თქვენთანაც და ჩვენთანაც იერუსალიმიდან მოიტანა და „ჩვენ (ახლაც) იმასვე მივდევთ, მაგრამ კარგად გამოიძიეთ და მაშინ დაინახავთ, რომ არამცთუ იგივე სარწმუნოება არ გიპყრიათ, არამედ თქვენცა და ყველა სხვებმა წმინდა ქალაქის (ე. ი. იერუსალიმის) მცხოვრებლებითურთ ის შეცვალეთ, ჩვენ კი ეხლაც იერუსალიმის სარწმუნოება გვაქვს“-ო **(ციტ.: ჯავახიშვილი 1979:422-ის მიხედვით.)** ამგვარად, სომხეთის კათალიკოსს, გარდა სომხურისა, ყველა სხვა ეკლესია არაეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებლად მიაჩნდა.

კირონ ქართლის კათალიკოსის პასუხი გაცილებით საფუძვლიანი იყო. იგი მიუთითებდა, რომ ხუთივე საპატრიარქო, მოციქულთა მიერ ნაქადაგევი დოგმების აღიარებაზე იდგა. მათთან ქალკედონიანობა მართლმადიდებელ სარწმუნოებად აცხადდებოდა და განა შეიძლებოდა მათგან განმდგარი სომხური მონოფიზიტური რელიგია ეშმარიტი ყოფილიყო? მსოფლიო ეკლესია ხომ განუწყვეტელი სარწმუნოებრივი გადმოცემების შენარჩუნების პლატფორმაზე იდგა. მაშინ, როცა სომხეთის ეკლესიამ თავდაპირველად აღიარებული რწმენა შეიცვალა და ფაქტობრივად ქრისტიანობას უღალატა **(იქვე: 423)**.

ივ. ჯავახიშვილი ბრძნულად შენიშნავდა, რომ მიწერ-მოწერას თავიდანვე ეტყობოდა „სომეხთა ეკლესიის მესვეურთ განხეთქილების ჩამოგდება გადაწყვეტილი ჰქონიათ, თუ რომ საქმე მათი სურვილისამებრ არ მოგვარდებოდა“ **(იქვე: 427)**. ქართლის კათალიკოს კირონსა და ქართველ პოლიტიკოსებს თავი მართლად მიაჩნდათ და დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ. მცხეთის კათალიკოსმა აბრაამის მესამე წერილს პასუხად მას ოთხივე მსოფლიო კრების გადაწყვეტილებათა გადათარგმნილი ტექსტები გაუგზავნა და დაუმატა: „გნებავთ თუ არა გნებავთ, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“, თუ მის აღიარებაზე უარს იტყვით, მაშინ მიმოწერის გაგრძელებას აზრი არა აქვს „ნუღარ მომწერთ და ნუღარ დაშვრებით, თორემ პასუხს არ მიიღებთო“ **(უხტანესი 1975:143)**.

კამათის გაგრძელების უაზრობაში სომეხთა მხარეც დარწმუნდა. 609 წელს აბრაამ კათალიკოსმა ეპისტოლე გამოსცა, რომლითაც „ბერძნებზე პირველ მოძღვართა გამოტანილი დადგენილება“ ქართველებზედაც გავრცელდა: აიკრძალა სომეხთა სალოცავად წასვლა მცხეთასა და მანგლისში. ასევე, ქართველები არ უნდა შეეშვათ სომეხთა ეკლესიებში. მღვდლებს უფლება არ ჰქონდათ ჩაეტარებინათ სომეხი და ქართველი დაქორწინებული წყვილების ჯვრისწერა.

ივ. ჯავახიშვილი ქართველ სომეხთა კონფლიქტის შედეგებს შემდეგნაირად აჯამებდა: „პოლიტიკურ-კულტურული გეზისა და სიმპათიების გაყრასთან ერთად მათი სარწმუნოებრივი სარბიელის გზებიც ერთმანეთს დაშორდნენ“-ო **(ჯავახიშვილი 1979:428)**.

ქართული ეკლესიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფისა და მის მცხეთის საკათალიკოსოსთან გაერთიანების საკითხს. კონსტანტინეპოლის პატრიარქზე ეგრისის ეკლესიის დაქვემდებარების საკითხი უკავშირდება ლაზიკაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროის განსაზღვრას. საქმე იმაშია, რომ თუ ქრისტიანობა ეგრისში; როგორც უკანასკნელ ხანს ამტკიცებენ, IV საუკუნის I მესამედში გადაიქცა ოფიციალურ რელიგიად, მაშინ აქაური ეკლესია ვერ დაექვემდებარებოდა ბიზანტიის საპატრიარქოს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა იმპერიის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ხალხებზე ზემდგომობის უფლება მხოლოდ ქალკედონის 451 წლის, IV მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მიიღო **(გოილაძე 1991:119)**. ე. ი. ამ დრომდე მას ეგრისის ეკლესია ვერ დაექვემდებარებოდა.

შეხედულება, რომ კონსტანტინეპოლის იერარქიაში ეგრისის ეკლესია იმთავითვე შედიოდა, როგორც კი აქ ქრისტიანობის ლეგალიზაცია მოხდა, დამკვიდრდა, ამ ფაქტის თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში VI ს-ის 20-იანი წლების აღიარების გამო.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღების თარიღად ს. ჯანაშია **(1949:235)** და პ. ინგოროყვა **(1954:229)** 523 წელს მიიჩნევდნენ. მაინცდამაინც, ეს თარიღი იმიტომაა დასახელებული, რომ ამ წელს ეგრისის მეფე წათე I-მა ქრისტიანად ხელახლა მონათვლის შემდეგ, ბიზანტიის კეისარ იუსტინესაგან შვილად გამოცხადებულმა, მეფედ კურთხევა მიიღო **(გეორგიკა 1941:70)**.

ს. ჯანაშია აყენებდა რა ამ თარიღს შენიშნავდა, რომ სახელმწიფოს გაქრისტიანებას მხოლოდ მეფის მონათვლა უდებდა საფუძვლებს, ხოლო ახალი რელიგიის მიმდევრები ლაზიკაში, განსაკუთრებით მის ქალაქებში— ფაზისში, დიოსკურიაში, პიტიუნტში ადრევე იყვნენ და თანაც იმდენი, რომ „მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ზოგიერთ ამ ქალაქთაგანში უკვე საეპისკოპოსო კათედრაც-კი არსებობს" **(ჯანაშია 1949:230)**. ამასთან, მას არ მიუთითებია, თუ რომელ საპატრიარქოზე იყო დაქვემდებარებული ეგრისის ეკლესია.

პ. ინგოროყვას აზრით, ქრისტიანობას, რომ დასავლეთ საქართველოში უძველესი ტრადიციები ჰქონდა ამას აჩვენებენ მესამე და მეოთხე საუკუნეების ბერძენი ატორები (დოროთეოს კვირელი, სოფრონი, ეპიფანე კვირელი), რომლებმაც დაგვიტოვეს ლეგენდარული ხასიათის გადმოცემები „ანდრია მოციქულისა და მისი თანამოღვაწე მოციქულების მატათას და სიმონ კანანელის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში" **(ინგოროყვა 1954:225)**. VII ს-ის ავტორს ეპიფანე კონსტანტინეპოლელს კი ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულება შეუღგენია ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შესახებ. ეს თხზულება შემდეგ ამ მისიონერის „მოსახსენებლის" ქართულ ენაზე შედგენის დროს გამოუყენებია განთქმულ მწერალს ექვთიმე მთაწმინდელს. როგორც ირკვევა, ამ გადმოცემას იცნობდა იონე საბანის ძე. გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე, 1057 წელს, ანტიოქიის პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის

დამოუკიდებლობის შესახებ კამათის დროს სწორედ ეს გადმოცემა მოიშველია.

გადმოცემების მიხედვით ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს და მატათას ქრისტიანობა უქადაგნიათ სებასტოპოლისში, აფსაროსში, მდინარე ფაზისის მიდამოებში... ზევით დამოწმებულ ავტორებთან დასახელებულია ხალხები: იბერიელები, ლაზები, მეგრელები, ალბანელები (იქვე: 223--225). წერილობითი და მატერიალური კულტურის ძეგლები ადასტურებენ ამ გადმოცემების ძირითად დებულებას—კოლხეთში ქრისტიანობა ადრეული ხანიდანვე გავრცელებული იყო. ს. ყაუხჩიშვილს ამის საუკეთესო საბუთად მიაჩნდა 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა (**ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, 1948:42; შდრ. გეორგიკა 1961: 6—8**). მართალია, კ. კეკელიძე ამ საეპისკოპოსოს ადგილობრივი მოსახლეობის ეპარქიად არ თვლიდა და იგი ბერძენი კოლონისტების საჭიროებისათვის დაარსებულად მიაჩნდა, მაგრამ, როგორც ნ. ლომოური მიუთითებს „ამგვარი მტკიცებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს", ვინაიდან ბიჭვინთა კოლხური ქალაქი იყო და მისი „მითვლა ე. წ. ბერძნული კოლონისტებისადმი... ნამდვილად გაუგებრობაზეა დამყარებული" (**ლომოური 1968:119**). ყოველ შემთხვევაში ამ ქალაქსა და მხარეში ბერძენი კოლონისტების როლი ისე მნიშვნელოვანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მათთვის ცალკე ეპარქია დაეარსებინათ (**ОИГ 1988:137**).

შეხედულებას დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ადრევე გავრცელება-დამკვიდრების შესახებ დამაჯერებლობას ჰმატებს არქეოლოგიური მასალა. ასეთია ბიჭვინთაში გათხრილი ნახევრადწრიული, აფსიდიანი დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელსაც IV საუკუნის პირველი მესამედით ათარიღებენ და აქაური ეპისკოპოსის რეზიდენციად თვლიან. ამის გარდა იმოწმებენ ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკის ქრისტიანულ წარწერას და იქვე აღმოჩენილ IV—V საუკუნეებით დათარიღებული ჯვრის გამოსახულებიანი წითელლაკიან ჭურჭელს. ასეთსავე მასალას განეკუთვნება წებელდის ნეკროპოლის კერამიკული და მინის ჯვრისგამოსახულებიანი ჭურჭელი; IV ს-ით დათარიღებული, წებელდაშივე ნაპოვნი მედალიონი, ქრისტიანული შინაარსის წარწერით და აჭარაში დადასტურებული იმავე დროის ჯვარნიშნიანი კერამიკა (**იქვე**).

ყოველივე ეს უდავოდ წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელების დადასტურებას. თუმცა საკმარისი არ არის იმის სამტკიცებლად, რომ ლაზეთში ამ დროისათვის ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იყო ღეგალიზებული. მაგრამ არსებობს წერილობითი წყარო, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გარკვევისათვის. ეს არის V ს-ის დასასრულს მოღვაწე ავტორის გელასი კვიზიკელის ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ მის დროს ლაზთა გაქრისტიანება დიდი ხნის მომხდარ და იბერების მიერ ქრისტიანობის მიღების ერთდროულ ფაქტად ყოფილა ცნობილი (**ლომოური 1968:120**). ეს ჩანს ასეთ გადმოცემაში: „იმავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ

მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე იგი არა სწამდათ" **(გეორგიკა 1961:186)**.

ტექსტი, საიდანაც ეს ციტატა არის ამოწერილი, ს. ყაუხჩიშვილს გამოქვეყნებული აქვს გელასი კესარიელის სახელით. ეს უკანასკნელი კესარიის ეპისკოპოსი ყოფილა, დაახლოებით, 381-დან 400 წლამდე **(იქვე: 179 და 185)**. მას დაუწერია „საეკლესიო ისტორია", რომელიც მიჩნეული იყო რუფინუსის (IV—V სს. მიჯნა) ასეთივე სახელწოდების ლათინურ ენაზე დაწერილი შრომის ბერძნულ თარგმანად. ანტონ გლასმა დაამტკიცა, რომ „რუფინუსის „საეკლესიო ისტორიის" X—XI წიგნები, რომლებიც ორიგინალურ ნაწარმოებად იყო ცნობილი, წარმოადგენს ბერძნულის თარგმანს" გელასი კესარიელის იმავე სახელწოდების შრომიდან **(იქვე: 182)**.

მაგრამ თვით გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის" ბერძნულ ტექსტს მკვლევარები იცნობენ მხოლოდ გელასი კვიზიკელის „საეკლესიო ისტორიისა" და IX ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის (მონაზონის) „ქრონოგრაფიაში" დაცული ნაწყვეტებიდან. რადგან ზევით ციტატის სახით მოტანილი ცნობა გელასი კესარიელის ლათინურად მთარგმნელ რუფინუსს არა აქვს, ამიტომ ივანე ჯავახიშვილი სწორად ვარაუდობდა „რომ ცნობა ლაზების ამავე დროს მოქცევის შესახებ გელასი კესარიელის ნაშრომში არ უნდა ყოფილიყო და თვით გელასი კვიზიკელის საკუთარი დანართი უნდა იყოს" **(ჯავახიშვილი 1979:269)**. მაშასადამე, ეს უკანასკნელი იბერებისა და ლაზების გაქრისტიანებას ერთდროულ ფაქტად მიიჩნევდა. დამოწმებული ციტატის ავტორი სწორედ კვიზიკელის დანართის ასეთი ინტერპრეტაციის გამო ასკვნიდა, რომ V საუკუნის მესამე მეოთხედში, ლაზიკა ანუ დასავლეთ საქართველო, დიდი ხნის მოქცეულია ახალ რელიგიაზე „და ქრისტიანობის დასაწყისი იქ მაშინ IV ს-ის დროინდელად ყოფილა მიჩნეული" **(იქვე: 270)**. იგივე ცნობა მიუთითებს, რომ გადმოცემა წათე მეფის VI საუკუნეში მონათვლის თაობაზე „არასგზით ქვეყნისა და ერის მოქცევის შესახებ ამბავად არ შეიძლება იქმნეს მიჩნეული" **(იქვე)**. ნ. ლომოურს გელასი კვიზიკელის ზევით მოტანილი ჩანამატის რეალობა საეჭვოდ არ მიაჩნია და ასკვნის, რომ ეგრისში (ლაზიკაში) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას „IV ს. ჰქონდა ადგილი. ე. ი. დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც იბერიაში" **(ლომოური, 1968:120)**. იბერიაში ამ აქტის განხორციელების თარიღად მას დადგენილი აქვს 325—330 წლები **(ლომოური 1975:83)**. მაშასადამე, ეგრისის მოქცევაც ნ. ლომოურს ამ წლებში მომხდარ ფაქტად აქვს ნავარაუდევი.

ვ.გოილაძე კიდევ უფრო ადრეულ მოვლენად ვარაუდობს დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. იგი აღნიშნავს, რომ ეგრისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ადრევე მოექცა რომის ინტერესთა სფეროში. ამიტომ იგი უშუალოდ იყო ჩართული ამ იმპერიის კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებში და მეზობელ უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მქონე პონტო-კაპადოკიასთან „ერთიანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა" 311 წელს, რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების გამგებელმა გალერიუსმა ქრისტიანობის

შემწყნარებლობის ედიქტით ფაქტობრივად, ეს რელიგია ნება დართულად გამოაცხადა.ასეთი ტენდენცია ეგრისის სამეფო კარის წინაშე ბუნებრივად დასკამდა რელიგიური ორიენტაციის საკითხს. რამდენადაც პოლიტიკური თვალსაზრისით მიმართულება გარკვეული იყო, ხოლო ქრისტიანობა აქაური მოსახლეობისა და მმართველი წრეებისათვის ფეხმოდგმულ მმოძღვრებას წარმოადგენდა, მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც, ფაქტობრივად მომზადებული იყო. სწორედ ასეთი სულისკვეთების გამოხატულება უნდა იყოს გელასი კვიზიკელის ჩანამატი „პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრები იბერებისა და ლაზების“ გაქრისტიანების შესახებ, რაც გელასი კესარიელის ცნობით, ერთმა ტყვე დედაკაცმა მოახდინა კეისარ კონსტანტინეს (305—337) დროს **(გეორგიკა 1961:193)**.

ვ. გოილაძე ეძიებს ამ ფაქტის უფრო კონკრეტულ თარიღს. ამ მიზნით მის ყურადღებას იქცევს V ს-ის სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოზის , ცნობა, რომლის მიხედვითაც, ეგრისის, აფხაზეთისა და ბასიანის ეკლესიათა პირველი იერარქების დანიშვნა კაპადოკიის კეისარიის ეპისკოპოსის ლეონტის (314—325) ჩარევით მომხდარა **(გოილაძე 1991:115)**.

აგათანგელოზის მონათხრობის თანახმად ლეონტი კესარიის ეპისკოპოსს, სებასტიის ეპისკოპოს პეტრესათვის წერილობით დაუვალებია გრიგოლ პართელის სომეხთა ეპისკოპოსად აღზევებასთან ერთად „დაესვა ტახტზე, როგორც ამას საეკლესიო კანონები მოითხოვდა“, კაპადოკიური (ქართული) წარმომავლობის პირები, რომლებიც მან გრიგოლ პართელთან ერთად გამოაგზავნა. პეტრე სებასტიელმაც ეგრისში მიტროპოლიტად აკურთხა იბირ-ბ-ზ-ხუა, ბასიანთა ქვეყანაში ეპისკოპოსად ევთალიუსი, აფხაზეთში —სოფრონიუსი და ალანთა ქვეყანაში—თომა: „ესენი იყვნენ იმათგან, ვინც სებასტიიდან მოვიდნენ და წმინდა წიგნების მცოდნენი იყვნენ“ **(იქვე:117)**

როგორც აგათანგელიზის ამ ნაამბობიდან ირკვევა, ეგრისის პირველ მიტროპოლიტად განწესებული ყოფილა იბირ-ბ-ზ-ხუა. იქვე იგი დახასიათებულია ცხოვრების წესით სამაგალითო ღვთისმოსავ, საეკლესიო წიგნთა მცოდნე მღდელთმსახურად. 309 წლის 9 მარტს, როცა ქ. კესარიის დუქმა სებასტიაში 40 ქრისტიანი აწამა, მაშინ იგი დიაკონი ყოფილა **(იქვე)**. მისი სახელის აგათანგელოზთან დაწერილობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „რა სახელი იგულისხმება ამ არაბული ტრანსკრიპციით დაცულ ცნობაში ჯერჯერობით გამოსარკვევია-ო **(ჯავახიშვილი 1979:268)**. ნ. მარს კი ამ სახელის მეორე ნაწილი ზ-ნ-უა მეგრულ სიტყვა სკუად გაუაზრებია და ეპისკოპოსის გვარსახელად „იბერის ძე“ გამოუყვანია, რაც ნიშნავს, რომ ეს ეპისკოპოსი იბერი იყო-ო, იუწყებოდა იგი **(გოილაძე 1991:120)**.

რადგან სებასტიიდან მოსული ეგრისის ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობელის ქართველობა მისი სახელის ანალიზიდანაც დასტურდება, ამიტომ ვ. გოილაძე ვარაუდობს, რომ აფხაზეთის პირველ ეპისკოპოსად დანიშნული „კაბადოკიელი მღვდელი“ სოფრონიუსი და ბასიანის ეპისკოპოსი ევთალიოსიც შეიძლება წარმოშობით ქართველები იყვნენ. ამდენად, „აგათანგელოზის თხზულების ბერძნულ, განსაკუთრებით კი არაბულ ვერ-

სიაში შემონახული მონაცემები დას. საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის უნიკალურია" (იქვე:117).

ამ ციტატის ავტორს დადგენილი აქვს, რომ ქაროლი და სომხეთი ერთმანეთის თანადროულად, 318 წელს მოიქცა ქრისტიანობაზე. ხოლო, რადგან სომეხთა ეკლესიის პირველი მეთაური—გრიგოლ პართელი, ეგრისის ეკლესიის საშეთმპყრობელი „იბერის ძე", აფხაზეთისა—სოფრონიური, ბასიანისა—ევთალიუსი, ალბანეთისა—თომა, პეტრე სებასტიელის მიერ, ლეონტი კესარიის ეპისკოპოსის თხოვნით, ერთდროულად იქნენ ხელდასხმულნი, ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო გალერიუსისა და ლიცინიუსის 311—313 წლების ედიქტების გამოცემის შემდეგ, ჩქარა, 318 წლის ახლოს, 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამდე, ეს ზედა თარიღი დასახელებულია იმის გამო, რომ იმპერიის ეკლესიას ნიკეის კრების წინ დაუდასტურებია ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. ეს არ შეიძლებოდა უფრო გვიან მომხდარიყო, რადგან დასახელებულ ეპისკოპოსთა ხელდამსხმელი ლეონტი, 325 წელს, გადააყენეს კესარიის ეპისკოპოსობიდან. საგულისხმოა, ვ. გოილაძის დასკვნა, რომ „ამ წლისათვის, ეგრისში უკვე რამდენიმე ეპისკოპოსი იჯდა" (იქვე:121).

ამგვარად, გელასი კვიზიკელის ჩანართის ცნობას იბერიისა და ლაზეთის ერთდროულად გაქრისტიანების შესახებ, მხარს უჭერს აგათანგელოზის თხზულების მონაცემებიც. ამასვე ადასტურებს სპარსეთთან წარმატებული ომების შემდეგ გაფორმებული ნისიბინის (მესოპოტამია) 298 წლის, 40 წლიანი ხელშეკრულების მიხედვით, სპარსეთის მიერ იბერიასა და სომხეთზე რომის იმპერიის პროტექტორატის აღიარება. რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ კოლხეთზე რომის პოლიტიკური და იდეოლოგიური დაწოლა კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

ვ. გოილაძეს ეკუთვნის ეგრისის ეკლესიის პირველ მეთაურთა რეზიდენციის დადგენის ცდაც. იგი ეთანხმება ნ. მარს, რომელიც ვარაუდობდა, რომ შეიძლება ასეთი, ადგილი იყო მარტვილი, რადგან ეგრისის პირველი მიტროპოლიტი მოწამე და მონაწილე იყო სებასტიაში, 303 წელს, წამებული მარტვილების დაკრძალვისა, ამიტომ მას თავისი პირველი ეკლესია მათ სახელზე უნდა აეგო. სხვაგვარად სახელწოდება მარტვილი (ბერძნული „მარტურ" ქართულად წამებას ნიშნავს) გაუგებარი ხდება. მაგრამ ამ ჰიპოთეზას არ ეთანხმება მარტვილის ტაძრის ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე არსებობა. აქედან გამოსავალი იმის აღიარებით გამოინახა, რომ გამორიცხული არაა მარტვილის ტაძარი თავდაპირველად „ორმოც წამებულთა პატივსაცემად, რომ აეგო ეგრისის პირველ ეპისკოპოსს" (იქვე:122).

მაგრამ იგი შეიძლება მაინც არ იყო ეგრისის ეკლესიის მთავარი რეზიდენცია. ბოლო ხანების არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხე-გოჯში (არქაპოლისში) აღმოჩნდა, IV საუკუნეში, აგებული დიდი ზომის ერთნავიანი ბაზილიკა, რომელსაც შემდგომში რამდენჯერმე განუცდია გადაკეთება და ბოლოს გუმბათიან ეკლესიად ქცეული, დღემდეა მოღწეული და ორმოც წამებულთა სახელობისაა. „ვფიქრობ,— წერს ვ. გოილაძე,—საეჭვო

არ უნდა იყოს , დღემდე მოღწეული ეკლესიის წინამორბედი ბაზილიკებიც ორმოც წამებულის სახელობისა რომ უნდა ყოფილიყო" **(იქვე)**. ასეთი მასალების დამოწმებისა და იმის აღნიშვნის შემდეგ, რომ ციხე-გოჯი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროისათვის ეგრისის დედაქალაქს წარმოადგენდა, ვ.გოილაძე ასკვნის: „ცხადია, ეგრისის ეკლესიის მწყემსმთავარიც სატახტო ქალაქში დაიდებდა ბინას"-ო და ამდენად, „ციხე-გოჯში აღმოჩენილი დიდი ზომის ერთნავიანი ბაზილიკის ნაშთი ეგრისის პირველი ეპისკოპოსის მიერ აგებულ ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს" **(იქვე)**.

ამ შეხედულების გაზიარებას ხელს უშლის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. სადავოა, რომ IV ს-ის I ნახევარში ეგრისის სამეფოს სატახტო ქალაქს, მაინცდამაინც, ციხე-გოჯი წარმოადგენდა. მით უფრო, რომ სულ უკანასკნელ ხანს გამოთქმული შეხედულების მიხედვით, III—IV ს-ის დასავლეთ საქართველოს ქალაქებს შორის ყველაზე უფრო მასშტაბური ქუთაისი იყო. იგი წარმოადგენდა ეგრისის სამეფოს ეკონომიკურ და ბუნებრივ ცენტრს... „არაა გამორიცხული მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პრიორიტეტიც ამ პერიოდში, შესაძლოა ლაზ მეფეთა ადგილსამყოფელიც ციხე-გოჯ-არქეოპოლისის დაწინაურებამდე აქ ყოფილიყო და ბიზანტიელ ისტორიკოსებთან დაცული ტრადიცია ქუთაისის დედაქალაქობის თაობაზე სწორედ ამ პერიოდის გამოძახილი იყოს", წერს ო. ლანჩავა **(ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბ.-ქუთ., 1994:69)**.

ასე რომ ეგრისის ეკლესიის მეთაურის თავდაპირველი რეზიდენცია, ჯერჯერობით დაუდგენელი რჩება.

ეგრისის 523 წელს გაქრისტიანების მომხრეთათვის სადავოდ არ ითვლება, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია იმთავითვე კონსტანტინეპოლის პატრიარქის კომპეტენციაში შედიოდა **(ინგოროყვა 1954:230)**. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ფაქტი ნ. ლომოურმა და ვ. გოილაძემ თითქმის ორი საუკუნით უფრო ადრე მომხდარ მოვლენად ივარაუდეს, ამიტომ უნდა გავეცნოთ მათ შეხედულებას იერარქიული დაქვემდებარების შესახებაც. პირველი მათგანი თვლის, რომ ეგრისში ქრისტიანობის ლეგალიზაციის დროიდან, IV საუკუნის I ნახევარში, „ეგრისი ეკლესიურად კონსტანტინეპოლის პატრიარქს დაექვემდებარა" **(ქსე,ტ.4, გვ. 25)**. რაც შეეხება ბიჭვინთის საეპისკოპოსოს, იგი იმოწმებს ნიკეის საეკლესიო კრების ნუსხებს და ამ ეკლესიას პოლემონის პონტოს[1] ეპარქიაში შემავლად თვლის **(ლომოური 1968:71)**. ეს აზრი ყველაზე ადრე გამოთქვა ს. ყაუხჩიშვილმა **(გეორგიკა 1961:4)**. პ. ინგოროყვა კი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ბიჭვინთის საეპისკოპოსო ამ დროს (325 წ.) დაკავშირებული ყოფილა პოლემონის პონტოს

[1] პოლემონი იყო რიტორ ზენონის (ძვ.წ. I ს.) შვილი, ქ. ლაოდიკეიდან. ტრიუმვირმა მარკუს ანტონიუსმა, დაახლ. ძვ. წ. 40 წელს, მას უბოძა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პროვინციები. მისი სელისუკიდეებით დასავლეთით ვრცელდებოდა ქ. ფარნაკიამდე, მცირე სომხეთის ჩათვლით... აღმოსავლეთით კი ფლობდა კოლხეთსაც. ოქტავიანე აგუსტუსმა იგი დანიშნა ჯერ პონტისა და შემდეგ ბოსფორის მეფედ. ამ სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში შედარებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა, ეწოდა „პოლემონის პონტო" მისი დედაქალაქი

საეკლესიო ოლქთან, რომლის სათავეში იღგა ნეოკესარიის იერარქი" (**ინგოროყვა 1954:228**).

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ვ. გოილაძე. როგორც ვთქვით, მას შეუძლებლად მიაჩნია, 457 წლამდე იმპერიის გარეთ მდებარე რომელიმე ეკლესია დაქვემდებარებოდა კონსტანტინეპოლს. და, რადგან, ეგრისის ეპისკოპოსები თავდაპირველად კესარიის ეპისკოპოსმა ლეონტიმ აღაზევა, კესარია კი კაპადოკიის მთავარი ქალაქი იყო (**გეორგიკა 952:297**), ამიტომ ეგრისის ეკლესია მისი იერარქიის ქვემდებარე გახდებოდა. კაპადოკიის ეკლესია თავის მხრივ ანტიოქიის პატრიარქის სამწყსოში შედიოდა (**გოილაძე 1991:119**).

როგორც ჩანს ასეთი ვითარება გაგრძელდა 523 წელს ეგრისის მეფის წათეს კონსტანტინეპოლში მონათვლამდე. ამ დროიდან, ცხადია, ეგრისის ეკლესია კონსტანტინეპოლის პატრიარქს დაექვემდებარა. ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობდა და მას ნ. ლომოურიც ეთანხმება, რომ ამ მხრივ ბიჭვინთის ეპარქია გამონაკლისს წარმოადგენდა. დაახლოებით VII საუკუნიდან მოკიდებული იგი ჩამოცილდა ლაზიკის ეპარქიას და „აბაზგიის ავტოკეფალურ ეპარქიას" ექვემდებარებოდა (**გეორგიკა 1961:5; ლომოური 1968:72**).

VII საუკუნისათვის ასეთი ვითარება დოკუმენტურადაა დამტკიცებული ბასილი სოფენელის მიერ შედგენილ ნოტიციებში. მათგან ქრონოლოგიურად ყველაზე უადრესად, VII საუკუნისად მიჩნეულ VII ნოტაციაში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შემავალ ეპარქიებს შორის 27-ე ნომრით დასახელებულია ფასიდის მიტროპოლიტი, რომელიც ლაზიკის ეპარქიას მეთაურობს და 34-ე ნომრით—ავტოკეფალური სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსის სამწყსო—აბასგიის ეპარქია.ამათგან, პირველში შედის ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისისა, საისინთა (საიშისა), პეტრასი და ზიგანენსისა (**გეორგიკა 1952:140**). აქვე ჯიქეთის ავტოკეფალურ ეპარქიაში დასახელებულია ნიკოფსიის არქიეპისკოპოსი. ნოტიციების მიხედვით, ასეთი ვითარება შენარჩუნებულია VIII—IX საუკუნეებში (**იქვე: 184**). 901—907 წლების ვითარების ამსახველ ექთეზისებში კი ფოთის სამიტროპოლიტო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში აღარ აღირიცხება. ლაზიკის ეპარქიის მწყემსმთავრად იქ დასახელებულია ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი (**იქვე:176**).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ეპარქიები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში ერთ ორგანიზაციას არ წარმოადგენდნენ. ისინი სხვადასხვა დროსა და პირობებში იყვნენ წარმოშობილნი და შეფარდებულნი იყვნენ იმ პოლიტიკურ პირობებთან, რომ-

---

იყო ტრაპიზონი. პოლემონი ძვ.წ.14 წ. დაეუფლა ბოსფორის სამეფოს და ცოლად შეირთო მითრიდატე VI-ის ვაჟის ფარნაკის ასული დიდამია. ამასთან ერთად, ხელისუფლებას იხარჩუნებდა მცირე აზიაში. დარეჯა მცირე აზიელ ტომთან—ასპურგანებთან ბრძოლაში, ძვ.წ. 8 წ მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფოს აზიურ ნაწილს მართავდა მისი ცოლი პითოდორიდა. მასთან ქორწინების შედეგად წარმოიშვა პოლემონიდების დინასტია. რომელმაც შეუნარჩუნა ქვეყანას „პოლემონის პონტოს" სახელი. ან. წელთაღრიცხვის 63 წლიდან პოლემონის პონტო რომის პროვინცია გახდა (**Очерки истории СССР, Первобытно-общинный строй и древнейшие государства на территории СССР, მ., 1956:476**).

რიც მათ წარმოშობა-ჩამოყალიბების ჟამს ამ ქვეყანაში არსებობდა (**ბერძენიშვილი 1966:478**). საპატრიარქოსაგან გამოყოფაც ისე მოხდა, რომ ლიხთიმერეთის ეპარქიები ერთ საეკლესიო ორგანიზაციად არ გადაქცეულან. საეკლესო პოლიტიკის დარგში მაშინ ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებული ეპარქიის დაწესება შეუძლებელი გახდა. ამას ხელს უშლიდა მცხეთის საკათალიკოსოს კომპეტენციის ზრდა ლიხთიმერეთში, რასაც ეგრის-აფხაზეთის მეფეებიც უჭერდნენ მხარს.

ამ თითქოსდა პარადოქსულ ფაქტს („აფხაზთა მეფეებს" დასავლეთ საქართველოს ეკლესიური გაერთიანება უფრო უნდა სდომებოდათ) თავისი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, არგვეთის საერისთავო იმთავითვე მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს წარმოადგენდა. თანაც, V—VI ს-ის ბიზანტია-სპარსეთის ომების დროს და VIII საუკუნეში არაბთა ლაშქრობის შედეგად ლაზიკის მოსახლეობა შემცირდა. ხოლო არაბთა მძლავრობისაგან შევიწროების გამო, ქართლის ლტოლვილი მცხოვრებლები სწორედ ლიხთიმერეთში აფარებდნენ თავს და იქვე ხლებოდნენ იმიგრანტებად. „ხიზან მოახალშენეებს თან მიჰქონდათ ქართული ეკლესიაც,—შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი,—და ადგილობივი (მეგრული) მოსახლეობის ასიმილაციასთან ერთად აქამდისაც უცხო ბერძნულ ეკლესიას ნიადაგი კიდევ უფრო ეცლებოდა" (**იქვე:44**). ამის გამო მცხეთის ეკლესიას საუკეთესო პირობები ჰქონდა შექმნილი ლიხთიმერეთში შეტევის განვითარებისა და თავისი კომპეტენციის განუხრელი ზრდისათვის. **მეორე,** ეგრის-აფხაზეთის მეფეები სწორედ ამ კურსს უჭერდნენ მხარს. თუ ადრე მათი ასეთი პოლიტიკური კურსი იმით იყო გამოწვეული, რომ მცხეთის საკათალიკოსო დასავლეთ საქართველოში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველური იყო, ებრძოდა უცხო, მრევლისათვის გაუგებარ ენაზე მწირავ ბერძნულ კონფესიას და აქ ქართული ეკლესია შემოჰქონდა, გვიან, როცა ეგრის-აფხაზეთის მეფეები „ქართლსა ზედა ბრძოლაში" ჩაებნენ, მათ კიდევ უფრო აქტიურად უნდა ემოქმედნათ ქართლის კათალიკოსის სასარგებლოდ, ვინაიდან ამ უკანასკნელის მხარდაჭერის გარეშე „აფხაზთა მეფეების" აღმოსავლეთ საქართველოში მტკიცედ დამკვიდრება წარმოუდგენელი იყო. „ამიერიდან,— წერდა ნ. ბერძენიშვილი, — მცხეთის საკათალიკოზოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთიმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთ მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყურიდნენ საფუძველს" (**იქვე:50**).

ამ მოსაზრების ავტორი ფიქრობდა, რომ ასეთი ალიანსისათვის პირობების მომზადებამდე, პირველ ხანებში, როცა ეგრის-აფხაზეთის სამეფო შეიქმნა, „აფხაზთა მეფეები" მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხების გამო მდგომარეობის გამწვავებას კონსტანტინოპოლთან და „საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების თანხმობას მოთხოვდნენ". საპატრიარქოც მისი პოზიციების სისუსტის გამო ამ შედარებით უმტკივნეულო მოთხოვნის წინააღმდეგი არ წავიდოდა და „ლიხთიმერეთის ეკლესიათა ასეთი გაერთიანება აფხაზეთის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის მეთა-

ურობით უნდა მომხდარიყო... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროიდანვე (დაახლ. IX ს-ის I ნახევარი) ეწოდა აფხაზეთის არქიეპისკოპოსს, კათალიკოზი" (იქვე:49). როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა უაღრესად დასაბუთებული მოსაზრებებით, ამ შემთხვევაში თავის მსჯელობას მხოლოდ ვარაუდზე აგებს. ამის მიზეზია სათანადო წყაროების უქონლობა. იგი თვით მიუთითებდა, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორია „მასალებით ღარიბი და რაც მთავარია ჯერ შეუსწავლელი საკითხია და ჩვენც არ ძალგვიძს ამ მნიშვნელოვანი საკითხის არსებითი განხილვა და დიდი ხალისით გვერდს აუვლიდით, რომ აუცილებლობა არ გვაიძულებდეს რამდენადმე მაინც შევეხოთ მას"-ო (იქვე:41-42).

ამ სტრიქონების დაწერის შემდეგაც დიდად არ შეცვლილა ვითარება და აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობის XIII საუკუნემდელი ისტორიის საკითხები კვლავ გაურკვევლობითაა მოცული. მკვლევარები, ჯერჯერობით, იმაზედაც კი ვერ შეთანხმდნენ თუ როდის ჩამოყალიბდა იგი. აფხაზეთის კათალიკოსი წერილობით ძეგლებში პირველად XII ს-ში მოიხსენიება, (იქვე:47) სხვა შემთხვევებში კი მისი არსებობა მხოლოდ იგულისხმება, თუმცა ასეთი ნაგულისხმევიც XI ს-ის 30-იან წლებზე ადრინდელი არ არსებობს[1], რაც წოდება „აფხაზეთის კათალიკოსის" გვიან დამკვიდრებაზე მიუთითებს.

ნ. ბერძენიშვილი ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ შენიშნავდა: აფხაზეთის საკათალიკოსო, რომ XIII ს-ში დაარსებულიყო, მაშინ მეთაურს „იმერთა კათალიკოსი" ეწოდებოდა და არა „აფხაზეთისა"-ო. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მთლად უცილობელი საბუთი არ არის. ვინაიდან, „აფხაზეთის კათალიკოსი" ეწოდა „ექთეზისებში" მოხსენიებულ, აფხაზეთის ეპარქიის სებასტოპოლისის ყოფილ ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსს. მისი კათედრა იყო ბიჭვინთაში და ასეთ იერარქს „იმერეთის კათალიკოსს" როგორღა დაარქმევდნენ? მით უფრო, რომ მას ამ დროს იმერეთის მწყემსი ქუთაისელი მთავარეპისკოპოსი კი არა, შუონდიდელიც კი არ ექვემდებარებოდა[2] ვფიქრობთ, წოდება „აფხაზეთის კათალიკოსისა" გაჩნდა XI ს-ის 30-იანი

---

[1] უფრო ადრეულ ნიმუშად კ.კეკელიძეს დამოწმებული აქვს ბიჭვინთის ტაძრის XI ს-ის ფრესკები, სადაც „გამოხატულია ყოფილა კათალიკოზის საყდარი და მის გარშემო 12 მღვდელთმთავარი" (კეკელიძე, ეტიუდები, IV, თბ.,1957, გვ. 355), მაგრამ არაფრიდან არ ჩანს, რომ ფრესკებზე გამოსახულება აფხაზეთის კათალიკოსს წარმოადგენს და არა სხვა რომელიმეს.

[2] ნ. მარი, რომელიც „აფხაზეთის კათალიკოსის" არსებობას XIII ს-დან აღიარებდა, მიიჩნევდა, რომ იგი ადგილობრივი კათალიკოსი იყო და ემორჩილებოდა ქართლის კათალიკოსს (ბერძენიშვილი 1966:48). კ.კეკელიძის აზრით, „აფხაზეთის კათალიკოსი" ისეთივე დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი იყო თავის სამწყსოში, როგორც მცხეთის კათალიკოზი თავისაში" (კეკელიძე 1957:368). ფიქრობთ, აფხაზეთის კათალიკოზის კომპეტენციის გაზრდა უნდა მომხდარიყო XIII ს-ის 60-იანი წლებიდან, როცა დასავლეთ საქართველო დავით ნარინის დამკვიდრების შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ასეთ სახელმწიფოს ეკლესიაც დამოუკიდებელი ექნებოდა. ამის გამო, რომ წყაროებში „აფხაზეთის კათალიკოსის" სსენება ამ დროიდან ხშირდება. მანამდე იგი ადგილობრივი იერარქი უნდა ყოფილიყო. შუონდიდელი მთავარეპისკოპოსი მასზე წინაც კი იდგა, „ის იყო უწარჩინებულესი დას. საქართველოს ეპისკოპოსთა შორის" (ბერძენიშვილი (1966:55) და მწყემსობართუხუცესის სახელოს მიღების შემდეგ „არსებითად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ეპისკოპოსებისაგან" (იქვე:54).

წლების შემდეგ, როცა აფხაზეთის ნაწილი ანაკოფიითურთ ჯერ ბაგრატ მეოთხის ძმის დემეტრეს საუფლისწულო მამული გახდა, ხოლო შემდეგ ეს „ეს თავადი ციხე აფხაზეთისა" მან ბიზანტიელებს გადასცა (ქ.ცხ.1955:295). ამ გზით „ბიზანტიამ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრებში შემოდგა ფეხი" (კოპალიანი 1969:180). აქედან მათი ამოკვეთა და ანაკოფიის კვლავ დაბრუნება მხოლოდ XI ს-ის 70-იანი წლების შუა ხანებში (1073 წ) შეძლო მეფე გიორგი მეორემ (ქ.ცხ. 1955:317). მაშასადამე, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში მდებარე უველაზე მნიშვნელოვანი ციხე ანაკოფია (იგუდისხმება მისი მიმდებარე მხარით) 40 წლის განმავლობაში ბიზანტიელთა ხელში იყო[1] ამ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში ბიზანტიის ეკლესიას რევანშის საუკეთესო პირობები შეექმნა. გამორიცხული არ არის, რომ ამ დროსვე აფხაზეთის იერარქს, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის წოდებით მოიხსენიებოდა, თვითმწყემსობისათვის უფრო შესაფერი „აფხაზეთის კათალიკოსი" დარქმეოდა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ XI საუკუნეში, აფხაზეთის (სებასტოპოლის) საარქიეპისკოპოსო კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში რჩებოდა. „თუ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსთა X ს. ნუსხები იმდროინდელ მდგომარეობას სწორედ გვისურათებს,—წერდა იგი, — ირკვევა, რომ აფხაზეთის ერთი საარქიეპისკოპოსო საყდარი სებასტოპოლში მაშინაც კონსტანტინეპოლის მამამთავრის სამწყსოს ეკუთვნოდა ვითარცა ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი" (ჯავახიშვილი 1983:122). ხოლო სებასტოპოლის (სოხუმის) ეპისკოპოსი, რომ ანაკოფიაში შეიძლება მჯდარიყო ამას ადასტურებს დ. ბაქრაძე. იგი წერდა: „ძველად ანაკოფია წარმოადგენდა ცხუმის ეპისკოპოსად წოდებული იერარქის კათედრას" (დამოწ.: Анчабадзе 1959:145 მიხედვით). თანაც, აფხაზეთის ეკლესიის ამ დროს კონსტანტინეპოლზე დაქვემდებარებაზე უნდა მიუთითებდეს 1866 წელს ახალ ათონში აღმოჩენილი, ქვაზე შესრულებული ბერძნული წარწერა: „ წმ. თევდორეს ტაძარი ეკურთხა არქიეპისკოპოსის მიხეილის დროს, 16 აპრილს" ამ წარწერის გამომქვეყნებელი ექვ. თაყაიშვილი თვლის, რომ მასში მითითებული იერარქი არის კონსტანტინეპოლის პატრიარქი 1043—1069 წლებში, მიხეილ კელურარიუსი (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 22). რომელიც კონსტანტინეპოლის პატრიარქი სწორედ იმ პერიოდში იყო, როცა ბიზანტია ანაკოფიას ფლობდა. ვფიქრობთ, ეს მასალა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც უჭერს მხარს ჩვენს ვარაუდს „აფხაზეთის კათალიკოსის" შესახებ.

რაც შეეხება ჩვენს მოსაზრებას დასავლეთ საქართველოს ეპარქიების (ლაზეთისა და აფხაზეთისა) მცხეთის საკათალიკოსოში ცალ-ცალკე შესვლის შესახებ, მას ნამდვილს ხდის 820—829 წწ. შედგენილი ნოტიციები, სადაც ისინი ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში

[1] ზ. ანჩაბაძის თქმით, 1030—1073 წლებში, ბიზანტიელებს ანაკოფიასთან ერთად ეკავათ „აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი" (Анчабадзе 1959:145)..

მყოფ ცალ-ცალკე ეპარქიებადაა ჩამოთვლილი. მომდევნო ხანებში ფაზისისა და აფხაზეთის ეპარქიები ერთ სამწყსოდ მოხსენიებული კი არა, საერთოდ გამოსულა კონსტანტინეპოლის პატრიარქის კომპეტენციიდან, რის გამოც ნიტიციებში მათი დასახელება აღარაა შეტანილი.

იმ საკითხის გარკვევას ლაზიკისა და აფხაზეთის ეკლესიები გაერთიანებულნი იყვნენ, თუ ცალ-ცალკე, როდესაც მცხეთის საკათალიკოსოში შევიდნენ, დიდად შეუწყობდა ხელს თუ გვეცოდინებოდა როდის მოხდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიების დაქვემდებარება ქართლის საკათალიკოსოსაღმი. ამის თაობაზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულია რამდენიმე შეხედულება.

ივ. ჯავახიშვილი ვრაუდობდა, რომ საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების ეკლესიები ერთმანეთს უნდა შერწყმოდა თანდათანობითი დაახლოების გზით. რისთვისაც ბიძგი უნდა მიეცა ბიზანტიაში მიმდინარე ხატმებრძოლეობას. როდესაც კონსტანტინეპოლში სამღვდელმთავრო საყდრები ხატმებრძოლ პატრიარქების ეპყრათ, მცხეთაში ხელდასხმისათვის ისეთი შორეული მხარეებიდანაც კი მოდიოდნენ, როგორიც გუთების ქვეყანაა და, რა გასაკვირია რომ ასეთივე მიზნით, ანდა სხვა საეკლესიო რიტუალთან დაკავშირებით, მათთვის ლაზიკის სამიტროპოლიტოს მიემართნა, ხოლო აფხაზეთის ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსს მჭიდრო კავშირი ჰქონოდა. რაც შეეხება სამეგრელოსა და აფხაზეთის ეკლესიების მცხეთის კათალიკოსისადმი მთლიანად დაქვემდებარებას, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ „მაინცა-და- მაინც, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ეტყობა, აფხაზეთის ეკლესია შემოერთებული უნდა ყოფილიყო" **(ჯავახიშვილი 1982:122)**. თუ ბატონი ივანეს ამ ნააზრევთან ერთად გავითვალისწინებთ, მის ზევით დამოწმებულ ნათქვამს, რომ აფხაზეთის ერთი საარქიეპისკოპოსო (სებასტოპოლისა), XI საუკუნეში, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ქვემდებარე იყო, მაშინ გამოდის, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიები აღმოსავლეთისას ცალ-ცალკე შეეროებიან.

როგორც ითქვა, ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ აფხაზთა სამეფოს შექმნის დროს კი არა, არამედ უფრო გვიანაც—IX ს-ის I ნახევარში, დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები მთლიანად კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ და მათი გამოსვლა ამ დაქვემდებარებიდან მოხდა „აფხაზთა მეფის" ბაგრატ I-ის (861—873) დროს **(ბერძენიშვილი 1966:45)**. პ. ინგოროყვას ვარაუდით, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს უნდა ჩამოშორებოდა, დაახლოებით, IX ს-ის პირველ მესამედში, მაგრამ ეს პროცესი, ერთბაშად არ დამთავრებულა **(ინგოროყვა 1954:237)**.

ბასილ სოფენელის ნოტიციების[1] გამომცემელი და კომენტატორი ს. ყაუხჩიშვილი დაასკვნიდა: „მეათე საუკუნის პირველ წლებში ლაზეთის ეპარ-

[1] ამ დოკუმენტებს, გარდა ნოტაციებისა, მკვლევარები საეპისკოპოსოთა ხუსხებს, ეკთეზისებსა და ტაქტიკონებსაც უწოდებენ.

ქია თავისი ოთხი საეპისკოპოსო კათედრით უკვე აღარ ექვემდებარება კონსტანტინეპოლის პატრიარქს" და მცხეთის საკათალიკოსოში შედის (**გეორგიკა 1952:198**). ამ ვითარებას ასახავს X^3 ნოტიცია 901—907 წლებისა. რაც შეეხება იმავე ნუსხაში სებასტოპოლის (ცხუმის) საარქიეპისკოპოსოს კვლავ კონსტანტინეპოლის დაქვემდებარებაში მოხსენიებას, ბ-ნი სიმონი ამას ფორმალური მოტივით ხსნიდა და მიაჩნდა, რომ მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს სხვა ეპარქიები იქ აღარ იხსენიებიან „ძალიან საეჭვოა, რომ ერთი კათედრა ფაქტიურად დარჩენილიყოს კონსტანტინეპოლის პატრიარქის გამგებლობაში" (**იქვე:201**). ჩვენ კი ვფიქრობთ, ასეთი ვითარება სწორედ ფაქტობრივ მდგომრეობას უნდა ასახავდეს და ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთისა და ლაზიკის ეპარქიები ცალ-ცალკე შეუერთდნენ მცხეთის საკათალიკოსოს.

ზ. ანჩაბაძე წერდა, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან გამოყოფა , როგორც ჩანს, მოხდა IX ს-ის 40-იანი წლების ახლო ხანებში, მალე მას შემდეგ როცა აფხაზთა სამეფომ შეძლო ჩაეშალა ბიზანტიის მთავრობის ცდა იარაღის ძალით აღედგინა თავისი პოლიტიკური ბატონობა დასავლეთ საქართველოში (**Анчабадзе 1959:146**). ხოლო ორი ეკლესიის გაერთიანება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს X ს-ის შუა ხანებისა (**იქვე:150**). მ. ლორთქიფანიძე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან ეკლესიურად გამოყოფის საკითხს უკავშირებს დასავლეთ საქართველოს მიერ პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას. საეკლესიო გამოყოფა მას ხანგრძლივ პროცესად აქვს წარმოდგენილი. იგი ვარაუდობს, რომ ჯერ განხორციელდა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, „შემდეგ IX ს. მანძილზე საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინეპოლს და მცხეთის ტახტს უერთდება (**სიხ 1973:427**)

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან ჩამოშორებას, ისევე როგორც ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას საფუძველი მოუმზადა დასავლეთ საქართველოში ქართლის მეფედ წოდებული არჩილის მოღვაწეობამ. თუ არაბების მიერ ქართლიდან მისი გამოდევნის გამო პოლიტიკური ხელისუფლება ნომინლური გახდა, ეგრის-აფხაზეთში გაღმოსული კი იგი აქ რეალურად ფლობს ხელისუფლებას და „ლაზიკის მმართველი ხდება" (**Анчабадзе 1953:148**). აქ მისი მდგომარეობა იმდენად მყარია, რომ აფხაზეთის ერისთავი (თუ მთავარი) ლეონი თავისი ნებით აცხადებს თავს არჩილის ვასალად. ქვეყანა ამ დროს ახალი დარბეულია მურვან ყრუს მიერ. ბიზანტიამ არა თუ სამხედრო დახმარება, მფარველობაც კი ვერ აღმოუჩინა თავის ქვეშევრდომ ქვეყანას. ამას არ შეეძლო არ დაემცირებია იმპერიის პოლიტიკური წონა და არ შეერყია ავტორიტეტი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსათვის, რომელიც ლაზიკისა და აფხაზეთის ეპარქიებს ბერძნული ეკლესიის ორგანულ ნაწილად აცხადებდა. არჩილი და მისი კარი მღვდელმსახურებას ქართულ ენაზე და მცხეთის კათალიკოსისაგან მი-

ღებდნენ. ასევე უნდა მოქცეულიყო მისი ვასალი ლეონი და ასეთ პირობებში, თუ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურებს სურდათ საკუთარი კათედრების შენარჩუნება, მათ უნდა ეძიათ მცხეთის საკათალიკოსოსთან დაახლოების გზები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლება ერთ სამწყსოში ყოფილიყო, კულტის მსახურები კი ამ ეკლესიას მკვეთრად გამიჯვნოდნენ, ანტაგონისტურად განწყობილი დარჩენილიყვნენ მის მიმართ. მაშასადამე, VIII ს-ის შუა ხანებში ბიძგი უნდა მისცემოდა ლიხოიმიერ და ქაროლის ეკლესიების დაახლოებას. ამას ნათქვამის გარდა, ხელს უწყობდა ქართლის საკათალიკოსოს პოზიცია და ინტერესები დასავლეთ საქართველოში, რომლის საგრძნობლად მნიშვნელოვანი, აღმოსავლეთი ნაწილი იმთავითვე მის სამწყსოში შედიოდა.

წყაროებში პირდაპირ მითითება არა გვაქვს, მაგრამ ლეონ II-ის მიერ ქვეყნის ცენტრის ქუთაისში გადმოტანა და მეფის ტიტულის მიღება აფხაზეთის ეკლესიის ლოცვა-კურთხევით ვერ მოხდებოდა. არც მცხეთის საკათალიკოსო დაუშვებდა, რომ მის სამწყსოში სამეფო ტახტზე სხვა ეკლესიის მიერ აღიარებული ხელისუფალი მჯდარიყო. ასეთ ხელისუფალს ახალ ქვეყანაში არ შეიძლებოდა მყარად ეგრძნო თავი. ეს გარემოებაც ხელშემწყობი ფაქტორი იყო დასავლეთ საქაროველოს ეკლესიის მცხეთის საკათალიკოზოსთან დაკავშირებისა. ეგრის-აფხაზეთის მეფეები ამ შემთხვევაში ორი ეკლესიის გაერთიანების დამჩქარებლად გამოდიოდნენ. ეს კი „თვალნათლივ მიუთითებს თვით ამ სახელწიფოს აშკარად გამოხატულ ქართულ შინაარსზე" **(სინ 1973:426)**.

ქართული ეკლესიის პოზიციების დასავლეთ საქართველოში განმტკიცების ფაქტი დადასტურებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულა ქართლად იმ ქვეყნის ჩათვლისა სადაც ეკლესიაში მცხეთაში ნაკურთხი მირონი მოიხმარება და ლოცვა ქართულად აღევლინება, ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი მითითებით, ქართლის ეკლესიის აფხაზეთში ორგანიზაციულად გაბატონების დასასაფუძნებლად არის ნათქვამი. ოორემ საქართველოს სხვა ნაწილებში ისედაც დიდი ხანია „ქართლი" იყო, „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვოდა" და მცხეთაში მოხარშული მირონი მოიხმარებოდა. „აფხაზეთში" მღვდელმსახურება ბერძნულ ენაზე წარმოებდა და მირონი კონსტანტინეპოლიდან მოჰქონდათ. ამიტომ იყო მათთვის საჭირო იმის დამტკიცება თუ რომელ ქვეყანას ერქვა „ქართლი". ამგვარად, მერჩულეს ეს ფორმულა კულტურულ-პოლიტიკური კი არა, არამედ მხოლოდ კულტურული განმარტებაა **(ბერძენიშვილი 1966:50-51)** და, მაინცდამაინც, აფხაზეთს შეეხება. იგი IX ს-ის შუახანების ვითარებას ასახავს, მაგრამ ამის შესახებ გიორგი მერჩულე ერთი საუკუნის შემდეგ წერს. ე.ი. აფიქსირებს, რომ მისი დროისათვის დასავლეთ საქაროველოს ეკლესიის „გაქართულების" პროცესი იმდენად შორსწასული მოვლენაა, რომ ბერძნული „კვირიელეისონ" მხოლოდ აქა-იქ გაისმის. გ. მერჩულეს ეს ჩვენება, ამ მხარეში ქართული ეკლესიის დამკვიდრების დოკუმენტურ დასაბუთებას წარმოადგენს.

მაშასადამე, მცხეთის საკათალიკოსოსთან დასავლეთ საქართველოს ეპარქიების შეერთების საქმე ხანგრძლივი დროის მანძილზე მზადდებოდა, როგორც ქაროული ეთნოსისა და იდეოლოგიის ლიხთიმერეთში დამკვიდრების გზით, ასევე ეგრის-აფხაზეთის ხელისუფალთა პროქართული პოლიტიკური კურსის წყალობით და სწორი არიან ის მკვლევარები (ნ. ბერძენიშვილი ს. ყაუჩჩიშვილი, მ. ლორთქიფანიძე...), რომლებიც ამ მოვლენის თარიღად IX საუკუნის 60-70-იანი წლების მომდევნო ხანას (მაგრამ არა უგვიანეს ამ საუკუნის დასასრულისა) მიუთითებენ.

ეს თარიღი რომ სწორია და ორი ეკლესიის გაერთიანება ეგრის-აფხაზეთის მეფეების პოლიტიკური მხარდაჭერით მიმდინარეობდა, ამაზე მიუთითებს დასავლეთ საქართველოში ძველი ბერძნების მიერ დაარსებული საეპისკოპოსო კათედრების ნაწილის მოშლა და მათი ახლით შეცვლა, ან კიდევ, სრულიად ახალი საეპისკოპოსოების დაარსება. ჩვენ არ ვიცით ამ პროცესის სრული სურათი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ისეთი სიტყვაძუნწი მემატიანე, როგორიც „მატიანე ქაროლისაჲს" ავტორია, მაინც აუცილებლად თვლის რამდენიმე ასეთ შემთხვევა აღნუსხოს და მიუთითებს, რომ მათ სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ნ. ბერძენიშვილს ამ მემატიანის თხზულებიდან, მხოლოდ X ს-ის მანძილზე, ამოკრებილი აქვს ცნობები ოთხი საეპისკოპოსო ტაძრის აგების შესახებ. ესენია: „აფხაზთა მეფე" გიორგის (922—957) მიერ აგებული შუონდიდის ტაძარი, მისი ძის ლეონის მიერ მოქვის საყდრის და ბაგრატ III-ის დროს ბედიისა და ქუთაისის კათედრალების აგება. **(ბერძენიშვილი 1966:51)**. ამათ გარდა იქმნებოდა მნიშვნელოვანი ნაგებობანი. მაგ., IX-X საუკუნეების მიჯნის ძეგლი, სიმონ კანანელის სახელობის საყდარი ახალ ათონში **(Апчабадзе 1959:152)** და ნიკორწმინდის ტაძარი (რაჭაში).

პ. ინგოროყვა ამტკიცებდა, რომ ასეთი ცვლილებების მოხდენა იყო დასავლეთ-საქართველოს (აფხაზეთის) ხელისუფლების მიერ ბიზანტინოფილური წრეების საწინააღმდეგოდ გატარებული ყოვლისმომცველი რადიკალური ღონისძიება. რომლის შედეგადაც ასეთი ცვლილებები მოხდა: ა) გაუქმდა აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ცხუმსა და ნიკოფსიაში და მის ნაცვლად დაარსდა ბიჭვინთის კათედრა, რომელსაც შემდეგ სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის კათალიკოსი; ბ) ლაზეთის მიტროპოლიაში შემავალი ვარდციხის საეპისკოპოსო კათედრა გადაიტანეს ქუთაისში. ამ უკანასკნელის ეპისკოპოსს დაექვემდებარა გაუქმებული პეტრას საეპისკოპოსო კათედრის მრევლიც; გ) აფხაზთა მეფე გიორგის დროს, გაუქმდა ფაზისის კათედრა და მის ნაცვლად დაარსდა შუონდიდის საეპისკოპოსო; დ) მეათე საუკუნის დასასრულს გაუქმდა ძიღანევის (გუდაყვას) ეპარქია და მის მაგივრად საეპისკოპოსო ცენტრი გახდა ბედია; ე) ამათ გარდა ეგრის -აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებობა: მოქვის, ღრანდის, ცაგერისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრები **(ინგოროყვა 1954:248--249)**.

ნ.ბერძენიშვილს ეშვი შეჰქონდა ზოგიერთი ამ ცვლილების შეშმარიტებაში. მას არც სიახლეთა მიზეზად პ. ინგოროყვას მიერ დასახელებული

მოტივი მიაჩნდა სწორად. „ეს საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ უნდა გავიგოთ,—წერდა იგი,—რომ ეს ბერძნული კათედრების მარტივი ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიური) წარმოისახა, ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც ამის მიხედვით გაჩნდა" **(ბერძენიშვილი 1975:526)**. კონკრეტულად კი ფაზისიდან ლაზიკის საეკლესიო ცენტრი, რადგან იგი იქ გაუქმდა, გადმოიტანეს ქუთაისში და არა ჭყონდიდში. ამას ადასტურებს ე.წ. „პალიასტომის" ღვთისმშობლის ხატის ქუთაისში გადმოტანა და მისი რიგ წერილობით ძეგლებში „ქუთაისისა და პალიასტომის ღვთისმშობლის " სახელით მოხსენიება **(იქ-ვე)**.

ასევე ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობისა და ქართული კულტურის გავრცელების პირობებში, რამდენიმე სხვა ცვლილებაც მოხდა. კერძოდ, ძიღანევის საეპისკოპოსო ბედიაში გადაიტანეს, პეტრასი კი — ხინოში **(იქვე:598)**.

ვფიქრობთ, ცვლილებათა მიზეზების შესახებ პ. ინგოროყვას მოსაზრება უფრო დამაჯერებელია, რადგან რელიგიურ-კულტურული ასპექტები უფრო ზედაპირულად ჩანდა და თავის შესაბამის ორგანიზაციულ გაფორმებას მოითხოვდა. რაც შეეხება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასა და მისი შესაფერი ადმინისტრაციულ-საეკლესიო დაყოფის აუცილებლობას, ჩვენი აზრით, იგი X საუკუნეში, ასე რელიეფურად არ უნდა ყოფილიყო გამოვლენილი და ამიტომ აშკარად გამოხატულ ღონისძიებებსაც ვერ გამოიწვდა.

რაც შეეხება კონკრეტულად რომელი საეპისკოპოსო კათედრა სად გადაიტანეს, ამის დადგენა რთულია. „პალიასტომის ღვთისმშობლის" ქუთაისში შენახვა არ ნიშნავს, რომ აქ, მაინცდამაინც, კათედრების მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან დოკუმენტურად არ მტკიცდება, რომ ქუთაისის საეპისკოპოსო ლაზიკის დანარჩენი კათედრების მიმართ მეტროპოლია იყო. აქ საეპისკოპოსო ცენტრის ჭყონდიდთან შედარებით გვიან (1003 წ.) გადმოტანა და ჭყონდიდის საეპისკოპოსოს რიგი პრივილეგიები, განსაკუთრებით, მისი იერარქის მწიგნობართუხუცესად აღზევების შემდეგ, გვაფიქრებინებს ვივარაუდოთ, რომ ერთის მეორეზე დაქვემდებარებას არ ჰქონია ადგილი. ამიტომ უფრო სწორი უნდა იყოს პ. ინგოროყვა (ადრე ასე ვარაუდობდა ნ. ბერძენიშვილიც), რომ ქუთაისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა, ჭყონდიდმა კი—ფაზისისა. საფიქრებელია, გეოგრაფიული სიახლოვის გამო ჭყონდიდელს დაქვემდებარებოდა ცაიშისა და ძიღანევის საეპისკოპოსოებიც, რომლებიც ექთეზისების მიხედვით ლაზიკის ეპარქიაში შედიოდნენ, მაგრამ ჭყონდიდის დაარსების შემდეგ გაუქმებული ჩანან.

ის ფაქტი, რომ X ს-ის პირველ ნახევარში, ხელისუფლებას საშუალება ეძლევა მცხეთის საკათალიკოსოზე დაქვემდებარებული საეპისკოპოსო ცენტრები შექმნას, ხოლო ბერძნული გააუქმოს, ადასტურებს ქართლის საკათალიკოსოს საბოლოო ორგანიზაციულ გაბატონებას დასავლეთ საქართველოში.

მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ მცხეთის საკათალიკოსოს, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შეერთების დროისათვის, უკვე ემორჩილებოდა კახეთის, ჰერეთის და ტაო-კლარჯეთის ეპარქიები, ასე, რომ საქართველოს საეკლესიო გაერთიანებამ წინ გაუსწრო „საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას" **(სიხ 1973:427)**. ამ გაერთიანებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო, მაგრამ მას უკვე მყარი საფუძველი მოეპოვებოდა.

ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, **იდეოლოგიის** პრობლემატიკის კვლევა, მსოფლმხედველობრივ სფეროში გადაზრდილი კლასთა შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობების გამოვლინების, აუცილებლობამდე დაიყვანებოდა. კვლევის მიზანი იყო გამოეაშკარავებინა გაბატონებული ეკლესიის იდეოლოგიის რეაქციულობა, მისი მისწრაფება გაემართლებინა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და მეთოდოლოგიურად დაესაფუძვლებინა ასეთ საზოგადოებაში მოქმედი მორალური თუ იურიდიული ნორმები. ამასთან ერთად, მკვლევარი ვალდებული იყო წინა პლანზე წამოეწია ასეთ იდეოლოგიასთან დიამეტრალურად დაპირისპირებული ჩაგრული მასების იდეოლოგია, დაეხასიათებინა იგი, როგორც საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნის თეორიული საფუძველი, ყოველგვარი პროგრესის მამოძრავებელი ძალაა და დემოკრატიული კულტურის უმაღლესი მონაპოვარი.

რადგან რეალურ-ისტორიული პროცესი ასეთი კონსტრუქციის გამართვისათვის მასალას არ იძლეოდა მეცნიერი-თეორეტიკოსები ხშირ შემთხვევაში იძულებულნი ხდებოდნენ ცალმხრივად გაეშუქებინათ მოვლენები, ანდა საერთოდ აეცილოთ გვერდი იდეოლოგიური ხასიათის მსჯელობისათვის. ეს ვითარება შეეხება ადრეფეოდალური ხანის ქართული იდეოლოგიის შესწავლასაც. საკმაოდ კარგად არის დამუშავებული ამ ეპოქის ქართული ლიტერატურის, ხელოვნების ცალკეული დარგების, მატერიალური კულტურის ძეგლების მეცნიერული პრობლემატიკა, მაგრამ ქართული იდეოლოგიის, როგორც ყველა მათგანის საფუძვლისა და გამაერთიანებელის სრულყოფილი შესწავლა ჯერ არ ჩატარებულა.

ქართული სააზროვნო კულტურის განმაზოგადოებელი კვლევის ერთადერთ ცდას წარმოადგენს შ. ნუცუბიძის ორტომიანი ნაშრომი „ქართული ფილოსოფიის ისტორია". მაგრამ ზევით გადმოცემულ მიზეზთა გამო, ავტორმა მიუხედავად პიროვნული პროტესტანულობისა, მაინც ვერ აიცილა ეპოქის მეთოდოლოგიური დაღი და ქართული აზროვნების ისტორიაში აზნაურებისა და „მიწის მუშაკთა" ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგიის არსებობა დაუშვა. ეს, ცხადია, იყო ეპოქისადმი ხარკის მოხდა, რამაც მკვლევარს ხელი ვერ შეუშალა გადმოეცა ქართული აზროვნების (და არა ფილოსოფიის) უწყვეტი ისტორია, რომლის ფესვებიც მას მითოლოგიურ ეპოქამდე დაჰყავდა.

ადრერკინის ხანის მითოლოგიური ძეგლის „ამირანიანისა" და ანტიკურ ეპოქაში ქართული სააზროვნო კულტურის შესწავლის შედეგად, შ.ნუ-

ცუბიძემ ქართველი ტომების ფილოსოფიის ისტორია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობისად გამოაცხადა (**ნუცუბიძე 1983:25**). მანვე დიდი შრომა გასწია ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქრისტოლოგიის სამსახურში ჩაყენების, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოს ამოცნობისა და არეოპაგისტიკის არსის გარკვევისათვის.

ამ საფეხურების გავლით, ქართული აზროვნების ისტორია მივიდა საქართველოში ქრისტიანული იდეოლოგიის საბოლოო დამკვიდრებამდე, რაც დიოფიზიტობის გამარჯვებაში გამოიხატა.

ქალკედონური მიმართულების ქრისტიანობაზე კურსის აღება დოგმატიზმისაკენ გადადგმულ შემხვედრ ნაბიჯს წარმოადგენდა. ქართული ეკლესია იზიარებდა მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებს, როგორც დოგმატიკურ ნორმებს. 787 წელს, მართლმადიდებლური დოგმების მიღების დამთავრების შემდეგ, ქართველი ღვთისმეტყველები არა თუ უზენაეს ჭეშმარიტებად აღიარებდნენ ამ ნორმებს, არამედ მათი თავგამოდებული პროპაგანდისტებიც იყვნენ.

ქართულ სააზროვნო სფეროში შექმნილ ასეთ სიტუაციას დაემთხვა ახალი გართულებანი პოლიტიკურ ვითარებაში. იგი გამოწვეული იყო არაბთა დაპყრობითი ომებით. ამ ლაშქრობებმა მოშალეს ადრე არსებული სავაჭრო გზები და კომუნიკაციები, ხოლო ქართლზე არაბთა ბატონობის დამყარებას, ეკონომიკური სიღუხჭირის გაღრმავებასთან ერთად, შედეგად მოჰყვა მაჰმადიანური რელიგიის მებრძოლი მისტიციზმის შემოტევა ქრისტიანულ იდეოლოგიაზე.

დაპყრობითი ომების პირველ პერიოდში არაბები კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ. „ის, რაც არაბული კულტურის ცნებაში იგულისხმება,—წერდა შ. ნუცუბიძე,—შემდგომი ამბავია“ (**იქვე:428**). ფილოსოფიურ აზროვნებას არაბები ბერძნებისაგან გაეცნენ. იგი პირველად ქრისტიანმა არაბებმა აითვისეს. მათთან შეხება ჰქონდათ ქართველ მოღვაწეებსაც. ისახებოდა ქართულ-არაბული განათლებული წრეების ურთიერთობის განვითარების პერსპექტივა, მაგრამ ეს შესაძლებლობები ქრისტიანულმა და მაჰმადიანურმა სქოლასტიკამ დაასამარა. ბუნებრივია, რომ არაბებმა ახალი კულტურული ნაკადი კი არ შემოიტანეს, არამედ მხოლოდ „ხელი შეუწყვეს ობიექტურად ქართული აზროვნების დაკანონებას“ (**იქვე:429**).

ასეთ ვითარებაში საუკეთესო პირობები იქმნება დოგმატიზმის დამკვიდრებისათვის, რაც ბუნებრივად უწყობს ხელს ანტიკურობასთან კავშირის შესუსტებას, იწვევს ყოველგვარი დამოუკიდებელი ხასიათის აზროვნების დაკონსერვებას. ეკლესიის მიერ დაშვებულია მხოლოდ რელიგიური დოგმების თეორიული დასაბუთება. ეს ფილოსოფიას თეოლოგიის მსახურად ხდის, იგი ფაქტობრივად სქოლასტიკად იქცევა.

შ. ნუცუბიძის განსაზღვრით, პერიოდი VII—VIII საუკუნეთა მიჯნიდან XI საუკუნემდე, „ეს არის ხანა ქაოტურ აზროვნებაში სქოლასტიკის გამარჯვებისა“ (**იქვე:426**). მისივე თქმით, ამ პერიოდის სრულყოფილი დახასიათებაც გაძნელებულია, რადგან „ცხტა რამაა შემონახული სააზროვნო

კულ,ტურიდან" (იქვე:427). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სააზროვნო კულტურის ანტიკურობასთან ღრმა და უწყვეტმა კავშირმა, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებამ, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, შეუძლებელი გახადეს ჩვენს ქვეყანაში სქოლასტიზმის არსებობის გახანგრძლივება. იგი ხანმოკლე აღმოჩნდა. XI საუკუნიდან საქართველოში იწყება სქოლასტიკის დაძლევა და აღორძინების სიო უბერავს. მაშინ, როცა ევროპაში იგი XV საუკუნეშიაც გაბატონებული თეოლოგიურ მიმდინარეობად რჩებოდა.

ქართულ სქოლატიკას ევროპულისგან სხვა ნიშანიც განასხვავებს. ეს არის მისთვის დამახასიათებელი პატრიოტიზმი, რაც ევროპულმა არ იცის. ამ გრძნობითაა გამსჭვალული არა მარტო ქართული სქოლასტიკის დმწყები იოანე საბანის ძე, არამედ ტაო-კლარჯეთის სავანეებში მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი და მისი თანამოსაგრეებიც. ამის დამადასტურებელია, თუნდაც ის ფაქტი, რომ მათ შორის სრულყოფილმა ასკეტიზმმა ვერ გაიმარჯვა. ისინი საერო პირებთან დაახლოებულ, მათთან კონტაქტის მქონე ცხოვრებასაც კი ეწეოდნენ. რაც შეეხება მათ ღვაწლს მსხვილი სამონისტრო ცენტრების შექმნის სფეროში, მართალია, უველაფერი ეს ღმრთისადმი მსახურების სახელით კეთდებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, ქართული კულტურისადმი გაწეული დიდი სამსახური იყო, რადგან ეს მონასტრები მძლავრ განმანათლებლურ ცენტრებად გადაიქცნენ. მარტო ის რად ღირს, რომ იქ შექმნილი, სასულიერო ჰიმნოგრაფია მომდევნო საუკუნეებში დიდებული ქართული საერო პოეზიის პროლოგი გახდა.

შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, VIII—XI სს. ქართული სკოლასტიკა ჩვენამდე ძირითადად სამი ავტორის ნაწარმოებითაა მოღწეული. ესენია: იოანე საბანის ძე, გიორგი მერჩულე და არსენ საფარელი. მათგან ორი პირველად დასახელებული მხატვრული სიტყვის ოსტატები იყვნენ და, რომ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მსგავსად, მთელი მათი ნამოღვაწარი მხოლოდ იდეოლოგიის სფეროსადმი არ გამოგვივიდეს მიკუთვნებული, ამიტომ მათ შესახებ არსებითად საუბარი მომდევნო პარაგრაფში გვექნება.

შ ნუცუბიძე **იოანე საბანის ძეზე,** როგორც დოგმატიკოსზე მსჯელობისას ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ მისთვის ჰეშმარიტების ერთადერთი წყარო არის ქრისტეს ცნება. „ამ აზრის დოგმატიკურობა იმაშია, რომ თავისი დასაყრდენი საბანის ძეს შეურყეველად და ყოველივე მტკიცების გარეშე მიღებულად მიაჩნია (იქვე: 431). ი. საბანის ძემ ამით წამოაყენა ახალი დებულება – რწმენაა ცოდნის საფუძველი. რითაც მან საფუძველი დაუდო ქართულ სქოლასტიკას. ეს თავისთავად რეგრესული მოვლენა იყო, რამდენადაც აქამდე ქართული აზროვნება ანტიკურობის შემეცნებითი ათვისების პოზიციებზე იდგა და „სიბრძნე ბალავრისას" გაცნობით აღმოსავლურ სააზროვნო კონცეფციებთანაც არ გაუწყვეტია კავშირი. მაგრამ იოანე საბანის ძემ, როგორც მწერალმა, თავის შემოქმედებაში პატრიოტიზმისა და ეროვნული მოტივების გამოყენებით, სცადა ქართველ ხალხში აღეზარდა სიმტკიცე და მამულის თავისუფლებისათვის თავდადება, რაც „აძლევს

ი. საბანისძის მოღვაწეობას და მწერლობას, პროგრესულობის შარავანდედს" (იქვე:432).

იოანე საბანის ძე მკვეთრად ჩამოყალიბებული რელიგიური იდეოლოგიის წარმომადგენელია. ამქვეყნიური ცხოვრების ყველა მოვლენაში იგი ღვთის ხელს ხედავს. ცოდნის, მეცნიერების საფუძველს სარწმუნოება შეადგენს. ყველაფერი რაც ხდება ღვთის ნების აღსრულებაა. ადამიანს რაც გააჩნია „ღმრთივმომადლებულია." „ქრისტიანობა მისი სიტყვით, — წერდა კ. კეკელიძე, — „საუნჯე დიდ არს", „ქრისტიანეთა სარწმუნოება დიდი მოძღვრება არს," ის არის საზომი ეროვნული სიდიადისა და მთლიანობისა" (კეკელიძე 1954:87). იოანე საბანის ძე ეროვნული თვითმყოფის დასამტკიცებლად რწენით საკითხსაც კი იყენებს. ამ მიზნით იგი არ ერიდება პაექრობის გამართვას ისეთ სარწმუნოებრივ – დოგმატიკურ ავტორიტეტებთან, როგორსაც ბერძნები წარმოადგენდნენ. იგი მათს გასაგონად თამამად აცხადებს: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე მღვთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა. ამათ მკვიდრთა... აჰა ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედაღ წმიდათა, რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვით მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა"-ო (ძეგლები 1964: 55).

მწერლის ამ პოზიციას შ. ნუცუბიძე ასეთ შაფასებას აძლევდა: „ საბანის ძეს სრულიად არ სურს დაუთმოს ბერძნებს პირველობა და, საზოგადოდ, მასწავლებლის როლი სარწმუნოების საკითხებში, იგი ამტკიცებს, რომ მისი და მისთა „ნათესავთა", ე. ი. თანამემამულე ქართველთა, რწმენა არაფრით არ ჩამოუვარდება ბერძნულ გაგებას და აშკარა მეტოქეობას უცხადებს მას" (ნუცუბიძე 1983:433). ყველაფერი რის შესახებაც იოანე საბანის ძე წერს ერთი მიზნისაკენაა მიმართული, აჩვენოს არაბთა სარწმუნოებრივი რეჟიმის დამღუპველობა და გამოაღვიძოს ეროვნული თვითშეგნება, კ. კეკელიძის თქმით იოანე საბანის ძე „პირველი ქართველია, რომელიც მწერლობაში გამოდის ასეთ მკვეთრად გამოთქმული ეროვნული ლოზუნგით" (კეკელიძე 1954:78).

როგორც ითქვა, ამით . საბანის ძე თითქოს არღვევს სქოლასტიკის პრინციპებს. გამოდის მისი შეზღუდულობიდან. მაგრამ მთელი მისი ნაწარმოები ქრისტიანული რელიგიის ურყევი უპირატესობისა და სარწმუნოებრივი აქსესუარების მტკიცე დაცვითაა დაწერილი. ს. ჯანაშია გამართლებას უძებნის მწერლის ამ მოქმედებას. „სხვანაირად აზროვნება VIII ს. მწერლისათვის შეუძლებელი იყო, — წერდა იგი,'— იდეოლოგიის აუცილებელი გარსი იმ დროს რელიგიაა და საბანისძისათვისაც „სარკინოზთა ერი" და „ქართველი ერი", უწინარეს ყოვლისა, გარკვეული საეკლესიო კონფესიონალური კოლექტივებია, მაგრამ ამ კოლექტივების ურთიერთობა ყველაზე მწვავე პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სფეროშია. ბრძოლაც აქ მიმდინარეობდა და თავისი მსვლელობის პროცესში იმოსებოდა საეკლესიო კონფესიონალური იერით" (ჯანაშია 1952:398—399).

ი. საბანის ძის ღირსებაც სწორედ ისაა, რომ მან ღრმად მორწმუნე ქრისტიანმა-სქოლასტიკოსმა სარწმუნოება იდეოლოგურ გარსად კი არ გამოიყენა, არამედ რელიგიისათვის თავდადება ეროვნულ საქმედ გამოაცხადა. დაამტკიცა, რომ სარწმუნოებრივი გადაგვარების დაშვება არ შეიძლებოდა, რადგან იგი ეროვნულ გადაგვარებას გამოიწვევდა. მწერალი შეშფოთებული იყო იმით, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსა“, ე. ი. არაბებს, „რომელთაგან ვისწავლეთ საქმენი მათნიო“ ეს კი ხდება იმ დროს, როცა „ახალი ეგე ქრისტეს მორწმუნე“ აბო, „ თესლი არაბიელთა მამულად და დედულად“, შეეწირა ქრისტეს რჯულს. განა ეს მაგალითად არ უნდა გვქონდეს ქართველებს, რომლებიც ხუთას წელზე მეტია ქრისტიანები ვართ და ამიტომაც გაცილებით მეტი სიმტკიცე და თავდადება გვმართებს იმ რწმენისადმი, რომლისთვისაც არაბი აბო ეწამა, ქადაგებდა იოანე საბანისძე. სასულიერო ლიტერატურის დიდი მცოდნის კ. კეკელიძის შეხედულებით, „აბოს წამება“ „წარმოადგენ.ს არა შაბლონულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც ჩვეულებრივ სავსეა ბიბლიური ტექსტებით... არამედ გარკვეული გეგმით დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებს“ **(კეკელიძე 1954:86)**.

ასეთ პირობებში რჩება თუ არა ადგილი ი. საბანის ძესთან დოგმატიზმისათვის? შ. ნუცუბიძის აზრით არა თუ რჩება, არამედ „ესაა დოგმატიზმის უკიდურესად ნათელგამოხატულება“, რამდენადაც „მუსულმანობას საბანისძე აცხადებს ისეთ სარწმუნოებად, რომელიც ზღაპრობას ემყარება. თვითონ საბანისძეს კი სურს აირჩიოს ისეთი გზა, სადაც ჭეშმარიტება უნდა იქნეს. ყოველგვარი კამათისა და პაექრობის გარეშე“ **(ნუცუბიძე 1983:435)**.

სქოლასტიკურ, მაგრამ ი. საბანისძისაგან განსხვავებულ დებულებას აყენებდა **გიორგი მერჩულე**. თუ საბანისძისათვის ღმერთია ჭეშმარიტების წყარო, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორის მიხედვით, ცოდნის წყარო არის რწმენა. „არსად ისე არ ჩანს გაბატონებული თეოკრატიის იდეოლოგია, — წერდა შ. ნუცუბიძე,— როგორც იმ განსხვავებაში, რომელიც სუფევს საბანისძის დებულებასა, რომ ჭეშმარიტების წყარო ღმერთია და ხანძთელ-მერჩულეს დებულებას შორის, რომლის თანახმად ჭეშმარიტების წყაროდ ჭაპისკოპოსია აღიარებული“ **(იქვე: 444)**. ამ დებულების არსს ის წარმოადგენდა, რომ მიღებული ცოდნიდან დამოუკიდებელი აზრის გამოტანისა და მისი საჯაროდ განცხადების უფლება არავის აქვს. ვის წინაშეც ვალდებული ხარ იგი გააცნო არის ეპისკოპოსი, მხოლოდ მას აქვს უფლება განსაზღვროს, არის თუ არა შენი ცოდნა სხვებისათვის გაზიარების საგანი.

ეს გახლდათ საეკლესიო ავტორიტარიზმი, საიდანაც აუცილებლად გამომდინარეობდა ეკლესიისა და მის მესვეურთა უცდომელობა. გ. მერჩულეს ეს დებულება აბსოლუტურად მოქმედი არ იყო. აგიოგრაფი წერს, რომ გრიგოლ ხანძთელმა „მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათა“ და „სიბრძნეთა ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად“ მაშასადამე, მას ღრმა ცოდნა მიუღია და, თანაც, არა მხოლოდ სასულიერო ხასი-

ათისა, არამედ ფილოსოფიურიც. გრიგოლი, რომ თუნდაც მხოლოდ აღმოსავლური საეკლესიო აზროვნებას გაცნობოდა, „მაინც იძულებული იქნებოდა შეესწალა ანტიკური ფილოსოფიის ძეგლები" **(იქვე:455)**. ამით მან დაარღვია დოგმატიკური მოთხოვნა, იმის თაობაზე, რომ ცოდნის მოპოვება ხელს არ უწყობს რწმენის სიმტკიცეს. მაგრამ გ. მერჩულეს ამავე ცნობით, დასტურდება, რომ საეკლესიო მოღვაწენი საქართველოში რაგინდ სქოლასტიკოსი ან დოგმატიკოსიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, სწავლობდნენ ფილოსოფიას. შ. ნუცუბიძის შეხედულებით, საეკლესიო მოღვაწეოათვის ეს „გარეშე" სიბრძნეს წარმოადგენდა. „როგორც თანმიმდევარი სქოლასტიკოსი, იგი (გრ. ხანძთელი. — გ.მ.) ვალდებული იყო მყისვე გაეგდო ეს „გარეშე", მაგრამ მისი არსწავლა, არცოდნა არ შეიძლებოდა" **(იქვე:446)**. „გარეშე" ანტიკურ, ე.ი. წარმართულ ფილოსოფიას ნიშნავდა და უპირისპირდებოდა საეკლესიო მოძღვრებას. მაგრამ თუნდაც იმისათვის, რომ იგი დაძლეული ყოფილიყო, მისი ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენდა. ამითაა გამართლებული „გარეშე" ფილოსოფიის შესწავლა გრ. ხანძთელისა და სხვა ქართველი მწიგნობრების მიერ.

საეკლესიო ავტორიტარიზმი გ. მერჩულეს მიხედვით, მარტო სასულიერო სფეროში მოქმედი ფენომენი კი არ არის, არამედ იგი ვრცელდება საერო ხელისუფლებაზეც. ეს აისახა მის მიერ საერო და სასულიერო ძალაუფლების ურთიერთმიმართების საკითხის გადაწყვეტაში. ცხადია, საქართველოში ე. წ. „ცეზარო-პაპიზმი" ისეთი სიმწვავით, როგორც მას ადგილი ჰქონდა დასვლეთ ევროპაში, არასოდეს არ მდგარა, მაგრამ VIII—IX საუკუნეების საქართველოში, ახლად წარმოშობილი სამეფო-სამთავროების გაძლიერებასთან ერთად, ბუნებრივად იჩმებოდა მეფე- მთავართა და საერო ხელისუფალთა შორის უპირატესობის საკითხი. გ. მერჩულეს მიხედვით იგი შედარებით მწვავედ დამდგარა ტაო-კლარჯეოის სამთავროში. თუმცა მწერალი მოჩვენებითად მშვიდ ტონში გადმოგვცემს მომხდარს, მაგრამ კამათის თემა აჩვენებს, რომ საკითხი არც ისე მარტივი ყოფილა. ბაგრატ კურაპალატს (გარდ.876 წ.) საბან იშხნელისათვის წვევის ბარათი გაუგზავნია და უთხოვია მასთან მოსულიყო. იშხნელს უარი შემოუთვლია. იგი კურაპალატს მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის ჩარევის შემდეგ შეხვედრია. ბაგრატს მისთვის უსაყვედურებია: ხელმწიფის ურჩობა რად გამოიჩინეო. ბერის პასუხში საეკლესიო ძალაუფლების უპირატესობის დოგმატური დასაბუთებაა გადმოცემული. „დიდებულო მეფეო,— უთქვამს საბა იშხნელს,— შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტეჲ ყოველთა დაბადებულთაჲ"-ო **(ძეგლები 1964:274)**.

სასულიერო ხელისუფლების ასეთი უპირატესობის აღიარებამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ იგი ძალთა რეალურ შეფარდებს გამოხატავდა. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია მ. ლორთქიფანიძის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ IX—X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში გაშლილმა სამონასტრო მოძრაობამ წარმოშვა ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგო-

რიც იყვნენ: საბან იშხნელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი და, განსაკუთრებით, გრიგოლ ხანძთელი „რაც აგრეთვე ასვამს დაღს დამოკიდე-ბულებას საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის" **(ლორთქიფანიძე 1963: 267)**. ტაო-კლარჯეთის ახალგაზრდა ხელისუფლები, ცხადია, მოკრძალებას იჩენდნენ ასეთი ავტორიტეტების წინაშე.

არსებობდა სხვა გარემოებებიც რის გამოც საერო ხელისუფლება დროებით იძულებული იყო შეგუებოდა ასეთ განცხადებებს. ეკლესიას რეალური ხელისუფლება არ ჰქონდა. მხოლოდ ზნეობრივი გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა საზოგადოებაზე. სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის გაერთიანების საქმეში ეკლესიის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ამიტომ იგი მის ეკონომიკურ გაძლიერებასაც უწყობდა ხელს. უფრო გვიან კი გაერთიანებული საქართველოს მეფეებს ეკლესიის მსახურები ანალოგიურ შეგონებებს ველარ უკითხავდნენ. დავით აღმაშენებელმა ისინი მეორეხარისხოვან თანრიგში ჩააყენა. ხოლო თამარის დროს, მართალია, კათალიკოსმა მიქაელ მირიანის ძემ მწიგნობართუხუცესობა „მოივერაგა", მაგრამ ამით იგი მეფეზე მაღლა არ დამდგარა და კათალიკოსისათვის ასეთი თანამდებობის ქონება მისი, როგორც საერო მოხელის მეფისადმი დაქვემდებარებას ნიშნავდა.

თუ დავუბრუნდებით გ. მერჩულეს მიერ აღწერილ პასაჟს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მან ტაო-კლარჯეთის მეფეთა გაძლიერებაში, საეკლესიო ავტორიტარიზმის დამსაფლავებელი ძალა დაინახა და მას პროტესტით შეხვდა. საერთოდ კი, როგორც ამასთან დაკავშირებით შ. ნუცუბიძე მიუთითებდა, „ქართული სქოლასტიკა ცოცხლობდა, სუნთქავდა სამონასტრო დიქტატურის წიაღში, რომლის გარეთ მას არათუ აზრი, ძალაც ეკარგებოდა. გიორგი მერჩულემ ეს გარემოებაც საკმაოდ ნათლად გადმოგვცა და ამაშია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე მისი ნაწარმოებისა" **(ნუცუბიძე 1983:449)**.

ქართველ სქოლასტიკოსთა შორის ასახებელენ **არსენ საფარელს,** თუმცა მისი არც ბიოგრაფიაა დადგენილი და იმ ერთადერთი თხზულებით, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, მას „ახალი არაფერი შეუტანია ქართულ თეოლოგიურ მწერლობაში დოგმატიზაციის თვალსაზრისით" **(იქვე)**. ამ ნაწარმოებს თვით ავტორი უწოდებს „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა" იქვე ნათქვამია, რომ ეს თხზულება არის „თქმული წმინდისა მამისა ჩუენისა არსენისაჲ, მცხეთელ კათალიკოზისაჲ, რომელ იყო სანახებთაგან, სამცხისათა საფარით"

IX—XIII საუკუნეებში ქართლის კათალიკოსებიდან სამას ერქვა არსენი. თ. ჟორდანიას აზრით, რომელსაც ეკუთვნის დასახელებული თხზულების პირველი პუბლიკაცია, ძეგლის ავტორი არის არსენ II (955—980). მაგრამ ნაწარმოებში დამოწმებული რეალიების მიხედვით ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე ვარაუდობდენ, რომ „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისას" ავტორია კათალიკოსი არსენ პირველი. იგი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებულია არსენ დიდად. თუ ეს იდენტიფიკაცია სწორია, მაშინ გ. მერჩულეს თხზულებიდან ირკვევა მისი ბიოგრაფიის რამდენიმე დე-

ტალი. კერძოდ, არსენი წარმოშობით ყოფილა დიდი აზნაურების წრიდან, მირიანის ძეთა გვარიდან. იგი მამამისს, საეკლესიო კრების დაუკითხავად, გამოუცხადებია ქართლის კათალიკოსად. ქართლის ეპისკოპოსებმა მოიმხრეს გუარამ მამფალი (გარდ. 882 წ). და მისი გადაყენების მიზნით საეკლესიო კრება მოიწვიეს. კრებაზე გრიგოლ ხანძთელმა, თავის აღზრდილს არსენს დაუჭირა მხარი და იგი კათალიკოსად დაამტკიცეს[1] **(ძეგლები 1964:287-289)**. იქედანვე ირკვევა არსენის ცხოვრების დროც. იგი გრიგოლ ხანძთელთან მონასტერში მიიყვანეს 6 წლისა, აშოტ კურაპალატის გარდაცვალების წელს. ე.ი. დაბადებულა 820 წელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კათალიკოსად 30 წელზე ნაკლები ასაკის პირის კურთხევა არ შეიძლებოდა არსენს ეს თანამდებობა დაუკავებია დაახლოებით 854 წელს. მისი კათალიკოსობა გაგრძელებულა 27 წელიწადი **(იქვე: 290)** ე. ი. არსენი გარდაცვლილა 871 წელს.

გიორგი მერჩულე არ აჩვენებს, რომ არსენ დიდი, რომლის შესახებაც იგი მოგვითხრობს სამწერლობო მოღვაწეობას ეწეოდა. მაგრამ იგი არც სხვა მის მიერ დასახელებული პირების მწერლობაზე ჩერდება და, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, ეს გარემოება იმის დამამტკიცებას, რომ ამ არსენს ნაწარმოებები ჰქონდა ხელს ვერ შეუშლის **(ჯავახიშვილი 1977:94)**.

„განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა" წარმოადგენს ქართული ეკლესიის (დიოფიზიტობის) პოზიციებიდან დანახულ ამ მოვლენის ისტორიას. კ. კეკელიძის აზრით, ასეთ ნაწარმოების „საჭიროებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მეცხრე საუკუნის დამდეგს" ხოლო ამ საკითხით დაინტერესება განსაკუთრებით დიდი იყო ტაო-კლარჯეთში, ვინაიდან იგი იმ დროს წარმოადგენდა სომეხი ქალკედონისტების თავშესაფარს **(კეკელიძე 1960:140)**.

ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებდა არსენ საფარელის ნაწარმოების მედავეობა-პარტიულობაზე და იგი ამ მიზნით შექმნილ ერთ-ერთ ძველ ძეგლად მიაჩნდა. მისი თქმით, რადგან სომეხი ისტორიკოსები და ღვთისმეტყველები „მედავეობითი მიკერძოებითა და სარწმუნოებრივი მძულვარებით ნაკარნახევ" თხზულებებს წერდნენ, არსენის პასუხიც არ შეიძლებოდა „პირუთვნელი და მიუდგომელი" ყოფილიყო **(ჯავახიშვილი 1977:101)**. ამის გამო მან ქართლისა და სომხეთის ეკლესიების გაყოფის ისტორია კი არ დაწერა, არამედ როგორც თვითონ აჩვენებს, გადმოგვცა „განყოფაჲ სომეხთა ქართლისაგან"[2] ე. ი. სომეხთა განდგომა მართლმადიდებლობისაგან.

[1] ეს აქტი გ. მერჩულეს ისე აქვს აღწერილი, რომ სურს აჩვენოს სასულიერო ხელისუფლების უპირატესობა საეროზე. აქაც გრიგოლ ხანძთელის ჩარევით წყდება საკითხი და გვარამ მამფალი იძულებულია დაემორჩილოს მას. მაგრამ თვით ფაქტი, რომ კათალიკოსის საკითხი მხოლოდ სამცხის მთავარს მირიანს შეუძლია გადაწყვიტოს, ხოლო საბოლოოდ იგი ტაო-კლარჯეთის მხოლოდ ერთი ნაწილის მფლობელს გვარამ მამფალის დასტურზეა დამოკიდებული, სასულიერო ხელისუფლების უპირატეს ძლიერებაზე არ მეუთითებს. ე.ი. გიორგი მერჩულეს მოსაზრება ავტორის სურვილს საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა.

[2] როგორც ვნახეთ, სომეხთა ისტორიკოსმა უხტანესმაც თავის ნაწარმოებს უწოდა „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან", ე.ი. ის გულისხმობდა, რომ ქართველები განდგნენ ჭეშმარიტი რელიგიისაგან.

შ. ნუცუბიძე არსენ საფარელის მოღვაწეობაში ორ გარემოებას აქცევს ყურადღებას. 1. სქოლასტიკის თვალსაზრისით იგი ხანძთელ-მერჩულესთან უფრო ახლოსაა, ვიდრე იოანე საბანიძესთან. „ნამდვილი რწმენის წყაროდ" მას მიაჩნია ის, რაც დადგენილია „წმინდა მოციქულთაგან ურყევად". ამასთან, როგორც სქოლასტიკოსი არსენ საფარელი, თავის წინამორბედებზე უფრო დაცილებულია ანტიკურ მემკვიდრეობასთან. 2. არსენის სახელთანაა დაკავშირებული ის საცენზურო-გადამკეთებლური მუშაობა, რომელსაც იმდროინდელი ტერმინოლოგიით მეტაფრასტირება ერქვა და რაც არსებული ნაწარმოებების შესწორებასა და შემოკლება-განვრცობას გულისხმობდა. რადგან ჩვენამდე არ მოაღწია მეტაფრასტირებული თხზულებების დედნებმა „ძნელია იმის გარკვევა თუ რა ცვლილებები მოხდა ძველ ძეგლებში არსენის საცენზურო მოღვაწეობასთან დაკავშირებით" **(ნუცუბიძე 1983:449)**. მაგრამ, ცხადია იგი უნდა შეხებოდა იდეოლოგიურ-დოგმატიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშების გასწორებას, ადრინდელი თხზულებებიდან განდევნილი უნდა ყოფილიყო ანტიკურობისა და წარმართობის ამსახველი სიუჟეტები და პასაჟები.

კ. კეკელიძე არ იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ არსენ საფარელს შეეძლებოდა მონაწილეობა მიეღო მეტაფრასული ჟანრის ნაწარმოებების შექმნაში. „რადგან მეტაფრასული მიმართულება ბიზანტიაშიაც კი, საიდანაც იგი ჩვენში გადმოვიდა, მხოლოდ 982 წლიდან იწყება" **(კეკელიძე 1960:161)**.

არსენ კათალიკოზს მიეწერება მეორე ნაწარმოებიც — „ცხოვრება და მატრვილობა აბიბოს ნეკრესელისა", მაგრამ ისიც მეტაფრასულია და ამიტომ შეიძლება ასეთი შრომა მართლაც ჰქონოდა არსენ დიდს.ჩვენამდე მოღწეული კი გვიანდელი მეტაფრასული რედაქციაა და არაა მისი ხელიდან გამოსული. ამდენად, წერდა კ. კეკელიძე, „საბინინის მიერ გამოცემული რედაქცია არ შეიძლება არსენის შრომა იყოს"-ო **(იქვე: 142)**,.

მაშასადამე, ჯერჯერობით, არსენ საფარელის კალამს უსათუოდ უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ ერთი ნაწარმოები — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა", სადაც ავტორი უკვე გამარჯვებული ქალკედონზმის პოზიციებიდან აშუქებს საქართველოსა და სომხეთის ეკლესიების ისტორიის კარდინალურ პრობლემებს. ჩვენ ზევით ვისაუბრეთ ძირთადად რა საკითხებზე იყო დავა სომეხ-ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს შორის. თუ როგორ წყვეტს ყველა მათგანს არსენ საფარელი აქ ვერ განვიხილავთ. მაგალითისათვის შევჩერდებით, მხოლოდ ერთ, ქართველთა განმანათლებელის საკითხზე. როგორც ვიცით, კათალიკოსი კირონი უშვებდა, რომ გრიგოლ პართელი ქართველთა განმანათლებელიც იყო. არსენი კი გრიგოლს მხოლოდ სომეხთა განმანათლებლად მიიჩნევს. მის დროს უკვე ჩამოყალიბებულია შეხედულება ქართველთა საკუთარი განმანათლებლის შესახებ. თუმცა იგი წმინდა ნინოს ჯერ არ იხსენიებს **(ჯავახიშვილი 1983:97)**.

ამრიგად VIII—X სს. ქართული აზროვნების დეპრესიის პერიოდია. ამ დროს ქრისტოლოგიაში, რომელიც ძირითადი იდეოლოგიური მიმდინა-

ყოფებოდა თორნიკეს დროს გაგზავნილი ლაშქარი, ეს კი წარმოუდგენლად მიგვაჩნია. ასეთი მუდმივმოქმედი, რეგულარული არმიები მაშინ არ არსებობდნენ. ლაშქრობებს კამპანიური ხასიათი ჰქონდა. ფეოდალური ლაშქრის დაქირავება მის მიერ მოკავშირული მოვალეობების შესრულება, ერთდროული ღონისძიება იყო და, ამდენად, შეუძლებელია ქართველთა ლაშქრის ერთი და იგივე კონტიგენტი რამდენიმე წლის მანძილზე გამუდმებით ყოფილიყო ბიზანტიის კეისარის დამხმარე ძალად. გიორგი მთაწმინდელი, რომ თავის ლაკონურ თხრობაში, თორნიკეს ბრძოლის შემდგომ დავით კურაპალატის წინაშე გამოცხადების შესახებ საგანგებოდ ჩერდება, ეს უნდა მიუთითებდეს, რომ იგი ლაშქართან ერთად დაბრუნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ტაოში მოსვლა საჭირო აღარ იყო. მას შეეძლო თავისი კუთვნილი ნადავლი წაეღო და კონსტანტინეპოლზე გავლით პირდაპირ მთაწმინდაზე წასულიყო. თანაც, „იოანესა და ევქთიმეს ცხოვრების" ავტორი ხომ გარკვევით ამბობს დიდძალი ნადავლი თორნიკემ „ლაშქართა განუყო"-ო და, ამდენად, თუ ამ მხედრობის მცირე აზიაში ხანგრძლივად დარჩენას ვივარაუდებთ, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ეს მხედრობა წლების მანძილზე თან ატარებდა თავის კუთვნილ განძს. ამგვარად, სხვა მიზეზებს (ცხენოსანი ჯარის სხვის ტერიტორიაზე ხანგრძლივად შენახვის შეუძლებლობა და ა. შ.), რომ თავი დავანებოთ, ნათქვამიც საკმარისი უნდა აღმოჩნდეს იმის სავარაუდოთ, რომ მცირე აზიაში ბიზანტიელთა მხარეზე მოქმედი ქართველთა ლაშქრის კონტინგენტი საჭიროებისა და მხარეთა შეთანხმების მიხედვით პერიოდულად იგზავნებოდა.

როგორც ქემალედინის ზევით მოტანილი მონათხრობიდან ჩანს, ასე ყოფილა ეს X საუკუნის 80-იანი წლების დასასრულამდეც. მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ 989 წ. თუ ცოტა უფრო ადრე, დავით კურაპალატმა თავისი ლაშქარი კვლავ გაგზავნა მცირე აზიაში, იქ გაჩაღებულ ბრძოლებში მონაწილეობისათვის. თუმცა, ამჯერად, არა ბასილ II-ის დასახმარებლად, არამედ კეისრის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა ფოკას მხარეზე საბრძოლველად

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს იმ მოტივების დასაბუთების რამდენიმე ცდა, რომლებმაც დავით III აიძულეს გამოსულიყო აჯანყებულთა და არა კეისრის მხარეზე. ნ. ლომოურის აზრით, ტაოს მეფეს არცერთი მხარის ზედმეტად გაძლიერება არ სურდა და მათ შორის მანევრირებდა. როცა შეიტყო, რომ ფოკა უფრო მომძლავრდა მასთან მყოფი თავისი ჯარი გამოიწვია. ახალ სიტუაციაში კი კვლავ მას მიაშველა ლაშქარი. **(Ломоури 1957:40)**.

მ. კახაძეს მიაჩნდა, რომ დავითი აჯანყებულების გამარჯვებაში დარწმუნებული იყო და ამიტომ მათ მხარეზე გამოვიდა **(კახაძე 1954:41)**. ვ. კოპალიანის შეხედულებით, დავით კურაპალატი უკმაყოფილო იყო იმით, რომ კეისარმა მას „ზემონი ქვეყანანი" მემკვიდრეობით კი არ გადასცა, არამედ დროებით, რომ მხოლოდ „თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ" ხოლო ამ პი-

საუკუნოვანმა მყარმა ეთნიკურმა ტრადიციებმა, ხანგრძლივმა ბრძოლამ თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის და ქალკედონისტური ქრისტიანობის საბოლოოდ დამკვიდრებამ, ეროვნული თვითშეგნების ახალი აღმავლობა გამოიწვია. თანაც, VIII—X საუკუნეებში იგი კულტურის სფეროში ისეთ დონეზე ავიდა, რომ, როგორც „საქართველოში ისტორიის ნარკვევებშია“ აღნიშნული „ქართველები ამ დროს არა მარტო ბერძნების თანასწორუფლებიანად თვლიან თავს, ქართული კულტურა ამ დროს არა მარტო მხარს უსწორებს მსოფლიო ცივილიზაციის უმთავრეს მესვეურს—ბიზანტიას, არამედ გარკვეულ მეტოქეობასაც უწევს მას“ **(სინ 1973:574)**.

VIII—X საუკუნეების ქართული ლიტერატურის უმთავრესი ჟანრია აგიოგრაფიული მწერლობა. სწორედ ამ მიმართულების ორიგინალური ნაწარმოებები აჩვენებენ ძველი ქართული მწერლობის მაღალ დონეს. ზოგიერთი მათგანი იმდენად უნიკალურია, რომ კ. კეკელიძეს საფუძველს აძლევდა ისინი მსოფლიო ლიტერატურის შედევრების გვერდით დაეყენებინა. ასეთად მას მიაჩნია იოანე საბინეს ძის „აბო თბილელის მარტვილობა“ და, განსაკუთრებით, გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. რომლის გამოც იგი წერდა „თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ სამაგალითო ნაწარმოებს, პირდაპირ მარგალიტს, მსოფლიო აგიოგრაფიის ისტორიაშიც იშვიათად ვხვდებით“. **(კეკელიძე 1960:53)**.

იოანე საბინის ძის ნააზრევის იდეოლოგიური მიმართულების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ „აბოს მარტვილობა“ უპირველესად ყოვლისა ბელეტრისტულ ძეგლსა და ეპოქის ამსახველ საისტორიო თხზულებას წარმოადგენს. ასეთი მრავალმხრივი ნაწარმების ავტორის შესახებ ჩვენთვის, ფაქტობრივად სახელისა და მამის სახელის გარდა არაფერი არ არის ცნობილი. „არც ის ვიცით დანამდვილებით ,— წერდა კ. კეკელიძე, – სასულიერო პირი იყო ის თუ საერო“. თუმცა მკვლევარი უფრო იქით იხრებოდა, რომ იოანე საბანის ძე „საღმრთო წიგნთა მეცნიერი“ საერო პირი ყოფილა **(კეკელიძე 1954:861)**. მკვლევარები ერთხმად აღიარებენ იოანე საბანის ძის ნიჭიერებასა და მხატვრული სიტყვის ოსტატობას. აგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელი იყო შაბლონური თხრობა და ნაწარმოებების გადატვირთვა „საღვთო წერილიდან“ მოტანილი ან ავტორის მიერ შეთხზული სასწაულებითა და დაუჯერებელი ამბებით. ამგვარი ნაწარმოებების ავტორები მონურ თაყვანისცემას იჩენდნენ არსებული სქემების მიმართ, ერიდებოდნენ პოეტური სილამაზის ჩვენებას, პირქუში სტილით წერდნენ თავიანთ თხზულებებს. რაც მათ ნაწარმებებს მიმზიდველობას უკარგავდა და უფერულს ხდიდა. იოანე საბანის ძემ დასძლია ეს დაბრკოლებანი. „მხოლოდ განსაკუთრებული ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული მწერალი თუ შესძლებდა ამგვარ შემზღუდველ პირობათა დაძლევას და თავის ადამიანურ გრძნობა აზროვნობის გამომძღავნებას. ამ იშვიათ პიროვნებათა გუნდს ეკუთვნოდა სწორედ აბო ტფილელის მარტვილობის გამომთქმელი იოანე ძე საბანისი“-ო, აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი **(ჯავახიშვილი 1971:77)**.

ქ. კეკელიძეც მაღალ შეფასებას აძლევდა იოანე საბანის ძის ბელეტრისტულ ოსტატობას. მისი თქმით: „სიტყვიერი მარაგი ავტორისა მეტად მდიდარია. მის თხზულებაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე მიმობნეულია მოხდენილი შედარებანი, მეტაფორები, ეპიოეტები და ფიგურები, მოცემულია აქ არა ერთი და ორი ზემოქმედი სურათი და სახე" **(კეკელიძე 1954:89)**. სხვა აგიოგრაფიული ნაწარმოებებისაგან იოანე საბანის ძის თხზულებას ისიც გამოარჩევს, რომ იგი დაწერილია გარკვეული გეგმით, ავტორს ყველაფერი წინასწარ აქვს გაზომილი და გაანგარიშებული. იგი მოგვითხრობს მარტივად, მაგრამ მკაცრი თანმიმდევრობით, რომანტიკულად, მაგრამ გულწრფელად, საზეიმო სტილით, მაგრამ დარბაისლურად.

არაბი აბო იოანე საბანის ძისათვის ჩვეულებრივი მარტვილი არ არის. იგი „საკვირველებამან აღიყუანა დიდებასა სასუფეველისასა". ე.ი. ზენაარი ძალის მოვლენილია, აქედან მოდის მისი განსაკუთრებული სიმტკიცე და თავდადება. აბო ცოცხალი მაგალითია ქართული საზოგადოებისათვის. მაგრამ თუ ეს საზოგადოება, მასში ჩვეულებრივ მოწამეს ხედავდა, ი. საბანის ძემ იგი განსაკუთრებულ მოვლენად წარმოადგინა. „მან თავის თანამედროვეებს დაანახვა,— წერდა ივ. ჯავახიშვილი, — რა მნიშვნელობა და აზრი ჰქონდა ქართული ეკლესიისა და საზოგადოებისათვის მარტვილობას. მან... ცხოვრების ყოველდღიურს, კერძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანებით აღსავსე თვისება და გარემოება შეჰნიშნა" **(ჯავახიშვილი 1977:80)**. ბ-ნი ივანეს აზრით, საბანის ძემ აბოს უფრო დიდი მისია დააკისრა: იგი ქართული ეკლესიის აღმსარებელია, ვინაიდან მისმა მარტვილობამ ქართველი ქრისტიანები გამოაფხიზლა. ქრისტეს სიყვარული ჩვენდამი და რწმენა ჩვენი მის მიმართ განაახლა. „ეს მოვლენა ქართველთა მიძინებულ სარწმუნოებრივ გრძნობის გამოფხიზლებისა და გაცხოველების მიზეზად უნდა გამხდარიყო" **(იქვე: 81)**.

ძლიერ საყურადღებოა იოანე საბანის ძის თხზულება, როგორც საისტორიო წყარო. ამ ნაწარმოების ღირსება განსაკუთრებით იზრდება იმის გამო, რომ იგი ერთ-ერთი ადრინდელია ქართულ საისტორიო წერილობით წყაროთა შორის[1] ამასთან, იოანე საბანის ძე წარმოგვიდგება, როგორც მომწიფებული აზროვნების ისტორიკოსი, რომელიც „რთული საისტორიო მეთოდით სარგებლობს" **(ივ. ჯავახიშვილი)**. როგორც ჭეშმარიტ ისტორიკოსს შეეფერება, იგი ჯერ ქართლის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სარწმუნოებრივ მდგომარეობას აშუქებს და შემდეგ გადმოგვცემს თავის ძირითად თემას— აბოს მარტვილობის ამბავს.

წინამდებარე ნაშრომში, სადაც ეს ჩვენი თემისათვის საჭირო იყო, იოანე საბანის ძის მიერ მოწოდებული საისტორიო ხასიათის მასალა დამოწმებული და გამოყენებული გვაქვს. ამიტომ აქ მათს განმეორებით განხილვას აღარ შევუდგებით.

---

[1] ქართულ მეცნიერებაში გაზიარებულია ქ. კეკელიძის შეხედულების მიხედვით, იოანე საბანის ძეს „აბო თბილელის წამება" დაწერილი აქვს 786—790 წლებს შორის **(კეკელიძე 1954:86)**.

„აბოს მარტვილობის“ ავტორზე საუბრის დასასრულ უნდა ვქთვათ, რომ მისი საისტორიო ხასიათის ცნობები არ იფარგლება მხოლოდ მშობლიური ქვეყნით. იოანე საბანის ძის ნაწარმოები „შესანიშნავ ისტორიულ წყაროს წარმოადგენს მეზობელი ქვეყნების: ხაზარეთის, ოსეთის, ბიზანტიისა და არაბეთის სოციალ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. სწორედ ამითაა გამოწვეული ის დიდი ინტერესი, რომელსაც აღნიშნული ნაწარმოების მიმართ იჩენენ უცხოელი მეცნიერები“ **(სინ 1973:589)**.

აგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრს განეკუთვნება, მაგრამ „აბო თბილელის მარტვილობისაგან“ ნაწილობრივ განსხვავებულია **ბასილი ზარზმელის** თხზულება — სერაპიონ ზარზმელის შესახებ. განსხვავება აქ იმაშია, რომ ნაცვლად წმინდანის წამებისა აქ საეკლესიო მოღვაწის ცხოვრებაა გადმოცემული. ნაწარმოების ავტორის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბასილი მისივე გადმოცემით, სერაპიონის უფროსი ძმისშვილი ყოფილა. იგი ზარზმის[1] მონასტერში სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მოსულა და ამ სავანის წინამძღვრობა მიუღია. ექვ. თაყაიშვილი მას აიგივებს ზარზმის მონასტრის ჩრდილოეთ კედლის წარწერის „წინამძღვარ ბასილთან“.

იმის გამო, რომ ბასილის ნაწარმოებში არც ერთი თარიღი არ არის მითითებული, ძლიერ გაძნელებულია სერაპიონის ცხოვრების დროის დადგენა. მკვლევართა მოსაზრებანი ამ საკითხზე ძირითადად ორ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ერთი, უფრო მიღებული ქრონოლოგიით, სერაპიონ ზარზმელი IX საუკუნის მოღვაწეა. ამ აზრს მეტ-ნაკლები ამპლიტუდით ეთანხმებიან: მ. ჯანაშვილი, ექვ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, ლ. მენაბდე, ნ. ვაჩნაძე. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღად VI—VII საუკუნეებს, ზოგიც VIII საუკუნეს მიიჩნევენ: ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, გ. ჩუბინაშვილი, შ. ნუცუბიძე, ვ. ბერიძე, ა. ბოგვერაძე. ყველა ზევით დასახელებულ მკვლევარს თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად გააჩნია მეტნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტაცია. ასე, რომ ამ თემაზე ვრცელი ლიტერატურაა შექმნილი, პრობლემა კი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის.

ვფიქრობთ, აზრთა მთელს ამ კალეიდოსკოპში ყველაზე უფრო დამაჯერებელია კ. კეკელიძის მოსაზრება, რომელიც ითვალისწინებს წინამორბედ მკვლევართა პოზიტიურ თუ ნეგატიურ დასაბუთებას და საბოლოოდ ასეთ დასკვნებამდე მიდის: „ირკვევა, რომ სერაპიონს მოღვაწეობა დაუწყია 850 წლის ახლო ხანებში, ზარზმა აუშენებია 861—868 წლებში, ხოლო გარდაცვლილა ის არა უადრეს 900 წლისა, სერაპიონის „ცხოვ-

---

[1] სერაპიონის ცხოვრებაში ამ სახელის წარმოშობა ასეა ახსნილი: ადგილობრივი მცხოვრებნი მონასტრის მშენებლობაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდნენ, რაც მათ სასწაული მოევლინათ, „მიერთგან. — წერს ბასილი, – ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა აღგილსა მას, რამეთუ ეწოდა **ზარზმა**, ერია მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იუნეს“ **(ძველები 1964:333)**.

რება" მის ძმიშვილს, ბასილს, რომელსაც წინამძღვრობა მიუღია პავლეს[1] შემდეგ (დაახლ. 916—926 წწ.), დაუწერია დახლოებით მეათე საუკუნის მეორე ათეულის მიწურულში, ოციოდე წლით ადრე, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება დაიწერებოდა" **(კეკელიძე 1954:109)**.

ვფიქრობთ, ამ თარიღების სისწორეს ადასტურებს თვით ბასილი ზარზმელის ერთი ცნობაც, რომლის მიხედვითაც, სერაპიონს მონაწილეობა აქვს მიღებული ოპიზის 864—868 წლების ე. წ. „მეორედ აშენებაში" ძეგლში ვკითხულობთ: ოპიზაში მისული სერაპიონი „იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა (შენებისათა.—გ.მ.) და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისაჲთა" **(ვაჩნაძე 1975:174)**.

ბასილის ნაწარმოებიდან ცნობილია, რომ სერაპიონ ზარზმელისათვის მშენებლობა უცხო ხელობა არ იყო და ოპიზაში, რომ იგი „იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა", ამაში გასაკვირი არაფერია. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ, როგორც კ. კეკელიძე ვარაუდობდა, ოპიზის რესტავრაცია („მეორედ აშენება") 864—868 წლებში მოხდა **(კეკელიძე 1935:114)** და მასში სერაპიონის მონაწილეობა ზარზმელის მოღვაწეობის დროის განსაზღვრის საბუთად შეიძლება გამოვიყენოთ.

მკვლევარების მიერ შ ემჩნეულია, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" აღწერილი ზარ ხმის ეკლესია საამშენებლო მასალით და მშენებლობის მასშტაბით ვერ შეედრება მის თანადროულ ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ძეგლებს. ბასილი აჩვენებს, რომ შესაფერი საამშენებლო მასალის უქონლობის გამო სერაპიონი და „ძმები" იძულებულნი იყვნენ „წყლისაგან რასმე ღონიერობდეს უშუერისა და რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს" **(ვაჩნაძე 1975: 170)**. მათ ადგილობრივი ფეოდალის გიორგი ჩორჩანელის რჩევით, საქმის გასააღვილებლად, მასალად გამოუყენებიათ სოფელ უმწის დანგრეული ეკლესიის ქვები. ამ გზით ააშენეს საკმაოდ მარტივი (ალბათ ერთნავიანი ან ბაზილიკა) ეკლესია. მისი უფრო პროფესიულად აღწერა შეუძლებელია, რადგან ჩვენამდე არ მოუღწევია **(ბერიძე 1967:64)**.

ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ბასილს თავისი თხზულება დაუწერია სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღეს, 29 ოქტომბერს ეკლესიებში წასაკითხავად **(ჯავახიშვილი 1977:134)**. მაგრამ ბასილი ზარზმელის თხზულება თავისი არსით სცილდება ჩვეულებრივი საეკლესიო საკითხავების შინაარსს და ძვირფას წყაროს წარმოადგენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების შესასწავლად. „სერაპიონის ცხოვრებაში" სამცხის ისტორიასთან ერთად აღწერილია იქაური ბუნება, ფეოდალების, მათზე დამოკიდებული, თუ ჯერ კიდევ თავისუფალ „ქვეყნის მოქმედთა" ყოფა, ამ მხარეში ეკლე-

---

[1] პავლე იყო ზარზმის მონასტრის მეოთხე წინამძღვარი. მასზე ადრე მამასახლისები ყოფილან: სერაპიონი, გიორგი და მიქელი (**ძეგლები 1964:344—345**).

სია-მონასტების აღმოცენება, გამოჩენილ საეკლესიო პირთა (მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სხვა) ცხოვრება.

კ. კეკელიძეს საჭიროდ მიანჩია აღენიშნა, რომ ბ. ზარზმელი ცოცხალი, რეალისტური თხრობის ოსტატია, კერძოდ, მას განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიაჩნდა სურათი ნადირობისა და მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ დადიან ბერები ვინმე იასა და გაბანელის თანხლებით მონასტრისათვის შესაწირი ადგილების მოსახილველად. „ავტორი ამასთანავე პეიზაჟის დიდი ოსტატია,— წერდა იგი, — ყოველი კუთხე, ყოველი ადგილი, სადაც კი ბერებს ფეხი დაუდგამთ, ცხოველი აღებავებითაა მოხაზული. ეხერხება მას აგრეთვე მხატვრული გამოთქმები და შეთანხმებანი." (კეკლიძე1954:113).

ზევით ითქვა, რომ ბასილი ზარზმის მონასტერში სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მისულა. თავისი ნაშრომისათვის მას ცნობები სხვადასხვა გზით უნდა შეეგროვებინა. ავტორის ნათქვამიდან ჩანს, რომ მას მთხრობელებიც ჰყოლია და სხვა მასალაც ჰქონია ხელთ. ირკვევა მთხრობელთაგან იგი მასალის უბრალო გადმოცემით არ კმაყოფილდებოდა. ნათქვამის ფიცით დამტკიცებას მითხოვდა (ვაჩნაძე 1975:181).

ბასილი ზარზმელის მიერ გამოყენებული წყაროები გამოვლენილი და შესწავლილი აქვს ივ. ჯავახიშვილს. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „ბასილ ზარზმელს თავისი თხზულებისათვის კარგი და სანდო წყაროები შეუკრებია და მეთოდების მხრივაც მას როგორც ისტორიკოსს თავისი მოვალეობა ჩინებულადა ჰქონია გათვალისწინებული" (ჯავახიშვილი 1977:137). მიღებული შედეგების შესახებ კი მენაბდე წერს: „აღნიშნული მასალების ჯეროვანი გამოყენებით, მწერალმა მოგვცა ზარზმის სავანის დამაარსებლის სრული ბიოგრაფია" (მენაბდე 1962:497).

ივ. ჯავახიშვილი ბასილ ზარზმელის, როგორც ისტორიკოსის მუშაობის მეთოდის სხვა მხარეებზედაც მიუთითებს. ასეთებია: წინასწარ დასახული გეგმით წერა, „წიაღსვლების" მიუხედავად თხრობის მთავარი საგნის არდავიწყება, ისტორიული მასალის სანდოობა. „მას ამბავი, — აღნიშნავდა ბ-ნი ივანე, – ქრონოლოგიურად კი არა აქვს დალაგებული, ჯამდე მხოლოდ შინაარსისდა მიხედვით, ავტორს მიზნად არ დაუსახავს სერაპიონის მთელი თავგადასავალი აღეწუსხა" (ჯავახიშვილი 1977:137). „თვითმხილველობა", რომელსაც ბასილი აუცილებლად მიიჩნევს ბიოგრაფიული ნაწარმოების შედგენის დროს, მართლაც, ძლიერ მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ აქ ყოველთვის მოსალოდნელია სუბიექტური მიკერძოება. ასეთისაგან თავი ვერ დაუღწევია თვით „ფიცით მომთხრობელ" გიორგი მაწყვერელსაც. მას ორი ისეთი სასწაული აქვს გადმოცემული, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რეალური იყოს. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, გიორგი მაწყვერელს რწმენამ ეჭვის თვალი დაახუჭვინა და სერაპონისათვის სასაწულმოქმედის ურანის მიწერის სურვილმა სიცრუე ათქმევინა. ბასილიც, რომელსაც არანაკლებ სურდა ბიძის განდიდება ბრმად მიენდო მას (იქვე:

140). მაგრამ ეს არ არის ბასილის ნაშრომის ერთადერთი ნაკლი. უფრო მნიშვნელოვანია მისი უთარიღობა. სერაპიონის ცხოვრების წლები ჩანს მას თვითონაც არ სცოდნია, მაგრამ წარმოუდგენელია ავტორისათვის ცნობილი არ იყოს მის მიერვე აღწერილი არც ერთი ფაქტისა და მოვლენის თარიღი. შეიძლება ეს იმის ბრალი იყოს, რომ ბასილ ზარზმელის თხზულების ორიგინალი ჩვენამდე მოღწეული არაა. ის, რაც მ. ჯანაშვილმა აღმოაჩინა და გამოსცა 1909 წელს, არის ბასილის შრომის მეტაფრასული გადაკეთება. კ. კეკელიძის აზრით, იგი შესრულებული უნდა იყოს XI საუკუნეში **(კეკელიძე 1960: 146)**. მეტაფრასტის მიერ რა სამუშაოა შესრულებული ორიგინალის უქონლობის გამო შეუძლებელია დადგინდეს. მხოლოდ ზოგიერთი ადგილის გარჩევა შეიძლება, რომელიც ავტორისა არ უნდა იყოს. ეს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაზე" მსჯელობის დროს მხედველობაში მისაღებ გარემოებად მიიჩნია ივ. ჯავახიშვილს.

ბასილი ზარზმელი, როგორც თანამიმდევარი სასულიერო მოძღვარი თავისი ნაწარმოების გამჭოლ ხაზად აყენებს ეკლესიისა და ბერ-მონაზონთა ხელუხლებლობისა და უპირატესობის იდეას, ეს ისე მკვეთრადაა გამოხატული მასთან, რომ კ. კეკელიძეს საბაბი ეძლეოდა სამონასტრო-საეკლესიო დიქტატურის არსებობაზე ესაუბრა. ეკლესიის მოღვაწეთა ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, წერდა იგი: ბასილი „ღვთაებრივი ტერორის ქვეშ აყენებს ყველას; ვინც ბერმონაზვნობისადმი უყურადღებობასა და გულგრილობას იჩენს და ამით იდეოლოგიურ ბაზას ქმნის სასულიერო წოდების საზოგადოებრივ-ეკონომიური ყოფის განსამტკიცებლად" **(კეკელიძე 1954:112)**.

ბასილის შრომასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე ჩვენ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. მკითხველს შევახსენებთ, რომ ზევით ჩვენ ეს ავტორი არა ერთხელ გვყავს დამოწმებული. განსაკუთრებით კი— სამცხის ისტორიული გეოგრაფიის საკითხების განხილვის დროს.

დიდი ქართველი პროზაიკოსის **გიორგი მერჩულეს** — „შრომაჲ და მოღვაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცოისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ხსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ" ნიკო ჩუბინაშვილმა აღმოაჩინა 1845 წელს. 1911 წელს, როცა ნიკო მარმა ეს ძეგლი რუსული თარგმანითურთ შესანიშნავად გამოსცა, ძველი ქართული პროზა ერთბაშად წარმოჩნდა თანადროული მსოფლიო კულტურის დონის ფენომენად.

გიორგი მერჩულემ მიზნად დაისახა ძეგლი დაედგა დიდი ქაროველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელისათვის და ბრწყინვალედაც შეასრულა ეს ამოცანა. მაგრამ ამ თავისი შრომით მან თვითონ უფრო დიდი ძეგლი დაიდგა ქართული კულტურის ისტორიისათვის ამჟამად გიორგი მერჩულე უფრო მნიშვნელოვანი მოღვაწეა, ვიდრე გრიგოლ ხანძთელი.

ძნელია ქართულ მწერლობაში მოიძებნოს მეორე ნაწარმოები, გარდა უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა", რომლისოვისაც ქართული ფილოლოგიისა და ისტორიოგრაფიის დიდ მკვლევარებს: ნიკო მარს, ივანე ჯავახიშვილსა

და კორნელი კეკელიძეს ისეთი მაღალი შეფასება მიეცეს, როგორიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ" დაიმსახურა. ხოლო სახელოვანმა პ. ინგოროყვამ გიორგი მერჩულეს გრანდიოზული მონოგრაფია მიუძღვნა. ამ მონოგრაფიის მნიშვნელობაზე ჩვენი თემისათვის და გიორგი მერჩულეს ნაწარმოების იდეურ მიმართულებაზე, ჩვენ ზევით ცალ-ცალკე მოგვიხდა შეჩერება. ამიტომ ამჯერად ჩვენი მსჯელობა შედარებით მოკლე იქნება.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" ბევრ ქართულ თხზულებათაგან იმითაც გამორჩეული ძეგლია, რომ მისი ავტორის ვინაობისა და დათარიღებისათვის საჭირო ცნობებს თავადვე გვაწვდის. გიორგი მერჩულე ყოფილა ხანძთის მონასტრის ბერი. მას თავისი თხზულების წერა დაუმთავრებია 950 წელს. პ. ინგორყვას გამოთვლით, მწერალი დაახლოებით ცხოვრობდა 875—885-დან 950—960 წლებში **(ინგოროყვა 1954:13)**. რაც შეეხება გრიგოლ ხანძთელს იგი, მისი ბიოგრაფის ცნობით, 102 წლის ასაკში გარდაიცვალა 1860 წლის 5 ოქტომბერს, ე. ი. დაბადებულა 758 წელს **(ძეგლები 1964:317)**.

თხზულების სათაურიდან ჩანს, რომ გიორგი მერჩულეს არ სურვებია მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა, არამედ უნდოდა გადმოეცა „მისთანა მრავალთა ნეტართაჲ"-ცა მოღვაწეობაც, რომელნიც იყვნენ „მოყუასნი და მოწაფენი მისნი" **(იქვე:248)**. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით მთელი ნაწარმოებიდან გრიგოლის ცხოვრებას უჭირავს 65 გვერდი, ხოლო მოწაფეებისას 17. ეს იმან გამოიწვია, რომ „ჩვენს ისტორიკოსს მოთხრობის გაჭიანურებისა ეშინოდა და როცა - კი შეიძლებოდა ამბავს ამოკლებდა" მაგრამ მიუხედავად ამისა „ავტორმა მოათავსა მრავალი ძვირფასი ცნობა იმდროინდელ შესანიშნავ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებისა და სასულიერო მწერლებზე" **(ჯავახიშვილი 1977:195)**.

მრავლისმეტყველებისადმი მორიდების გამო, რასაც ივანე ჯავახიშვილი მის. „უებრო თვისებად" თვლიდა, მერჩულეს არა მარტო იმ საეკლესიო მოღვაწეთა ბიოგრაფიები შეუმცირებია, რომელთა, შესახებაც მწერალს უეჭველია ნათქვამს გარდა გაცილებით მეტი ცნობები ჰქონდა, არამედ თავის ნაწარმოებში არ შეუტანია თხრობა სასწაულმოქმედებათა შესახებ, რაც აგიოგრაფიული თხზულებისათვის, ესოდენ აუცილებლად ითვლებოდა. ეს იმდენად დიდ ნაკლად მიუჩნევიათ, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" იგი დავით III დიდი კურაპალატის ძმას ბაგრატ ერისთავთერისთავს (958-966) ჩაუმატებია. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ასეთი პროცესი გამორიცხული არაა თვით ავტორის მონაწილეობით მომხდარყო. ამიტომ ინტერპოლატორის ჩანართის გამოყოფა გიორგი მერჩულესეული ტექსტიდან მეტად გაძნელებულია.

შეიძლება ამ ინტერპოლაციით იყოს გამოწვეული ნაწარმოების ფაბულური მთლიანობის უქონლობა, რაც კ. კეკელიძის აზრით, შეიმჩნევა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". სხვა მხრივ კი ამ თხზულების მის მიერ მოცემული ზოგადი დახასიათება ასეთია: „იგი შესანიშნავი ნაწარმოებია ძველი ქართული მწერლობისა. მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ნამდვი-

ლი სიტყვაკაზმული ნაწარმოები, ისეთი უნარით და მეთოდითაა ის დაწერილი. მკითხველს აქ ხიბლავს სადა მარტივი ენა და სტილის ვირტუოზულობა, ფართო ისტორიული პერსპექტივები, სიუჟეტის რეალისტური და დრამატული განვითარება. აქ ჩვენ ვხედავთ მოვლენების სიმართლითა და დეტალურად აღწერას. წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს აქ მოცემული მხატვრულად გამოკვეთილი სახეები, განსაკუთრებით თვით გრიგოლისა" **(კეკლიძე 1954:114)**.

ივ. ჯავახიშვილს, რომელსაც მიზნად ჰქონია მერჩულეს ძეგლი დაეხასიათებინა, როგორც საისტორიო თხზულება, თავს ვერ იკავებს, არ აღნიშნოს მწერლის დიდი პოეტური ნიჭი, ფაქიზი სიყვარული ბუნებისა, თხრობის მშვენიერი ხატოვანება და ფერადოვნება. „საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს ჩვენი ისტორიკოსის თხზულების ის ადგილები, სადაც მას შატბერდისა, ხანძთისა და დანარჩენი მონასტრების მიდამოები აქვს აღწერილი, რომ შეიტყოს, რამდენად ჰყვარებია მას ბუნება, რამდენად ფაქიზი და ნაზი ესთეტიკური გემოვნების ყოფილა იგი. მისი აღწერა ბუნების „ქება" და შესხმაა" **(ჯავახიშვილი 1977:124)**.

გიორგი მერჩულესათვის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გადმოცემისას მთავარი თემა მაინც ის დიდი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობაა, რომელსაც კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტმა ჩაუყარა საფუძველი. გრიგოლს ამ საქმიანობაში მხარს უჭერდნენ საერო პირებიც (აშოტ კურაპალატი, ბაგრატ კურაპალატი, გაბრიელ დაფანჩული და სხვ.). თვითონ გრიგოლმა კლარჯეთში ააშენა ოთხი მონასტერი (ხანძთა, შატბერდი, გუნათლე და მერე) და ერთიც ეგრის-აფხაზეთში (უბეჯ).

მისი საქმიანობა მისაბაძი გახდა სხვა ქართველი მოღვაწეებისათვის, რომელნიც გრიგოლის მოწაფეები ან თანამოაზრენი იყვნენ. „მაგალითად,— წერს ლ. მენაბდე, — საბამ აღადგინა იშხანის ძველი ტაძარი, დავითმა დააარსა მონასტერი მიძნაძორში, ზაქარიამ—ბარეთელთაში, ილარიონმა—წყაროსთავში (სამივე კლარჯეთშია), თევდორემ — ნეძვში, ქრისტეფორემ — კვირიკეწმინდაში (ქართლში)" **(მენაბდე 1962:403)**.

მონასტრების აგება მარტო ასკეტ ბერებისათვის საცხოვრებელ თავშესაფრის გჩენას როდი ისახავდა მიზნად. გრიგოლის ჩანაფიქრით, სამონასტრო მშენებლობა არაბთა მიერ აოხრებულ მხარეში საკოლონიზაციო მოძრაობის გაშლას და მწიგნობრობის კერების შექმნის საფუძველი უნდა გამხდარიყო. მართლაც, მის მიერ დაარსებული ხანძთა და შატბერდი ქართული განათლებისა და მწიგნობრობის კერებად გახდნენ. აქ იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, ითარგმნებოდა აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ბიბლიური, ეგზერეგეტიკული და ფილოსოფიური თხზულებები, ვითარდებოდა სახვითი ხელოვნების დარგები.

გიორგი მერჩულეს დროს მწვავედ დასმულა ე. წ. „თეთრი" და „შავი" სამღვდელოების, ე. ი. ბერ-მონაზონთა და სამრევლო ეკლესიების მსახურთა შორის დამოკიდებულების საკითხი. ავტორი მეტისმეტად უყურებს „მსოფლიოთა" (სამრევლოს ეკლესიების მსახურთ) და მხოლოდ ბერები

მიაჩნია პატივისცემის ღირსად (**კეკლიძე 1960:155**). იგი საგანგებოდ ჩერდება იმ შემთხვევაზე, როცა გრიგოლ ხანძთელს ორჯერ შესთავაზეს ეპისკოპოსობა, მაგრამ მან უარი თქვა, რაღგან მისი რწმენით, ეპისკოპოსობა „ხორციელ დიდებად" ითვლება. გრიგოლი ასეთი შეთავაზების გამო ფრიად განაწყენებულია და განმარტავს: „ვითარმედ მსოფლიოთა მათ წმიდათა საყდართა არა უმრწემეს არიან მწყემსნი წმინდანი უდაბნოთჱ ეკლესიანი, საყდარნი წმიდისა დიდებისანი", არამედ პირიქით მადლის ძლიერებით მონასტრები პირველს აღემატებიანო (**ძეგლები 1964:282**). ეს განმარტება ერთეული შემთხვევა არ არის. გიორგი მერჩულეს მოელ თხზულებას აზის ბერ-მონაზონთა იდეალიზაციის ბეჭედი. ნაწარმოების გამჭოლი ხაზია გრიგოლის სიტყვები: „ჳეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ხელმწიფებასა ქუეშე არიან" .

მაგრამ ეს არ ნიშნავს არა თუ „მსოფლიოთა" სამღვდელოების სრულ უგულვებელყოფას, არამედ მცოდნე საერო პირების მოსაზრებათა გაუთვალისწინებლობასაც კი. პ. ინგოროყვამ შენიშნა, რომ გ. მერჩულეს მონათხრობი გუარამ მამფალის მიერ კათალიკოსის ასარჩევად მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, შესაწყნარებლად მიუჩნევიათ „წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი" ერისკაცების ცოდნის გათვალისწინება „წმინდა წიგნების" კომენტირების დროს და, რომ ასეთი პირები „ერსა უსწავლელსა ასწავებდეს" (**იქვე:289**). „აღსანიშნავია ამასთან ის გარემოება, — წერდა პ. ინგოროყვა, — რომ თვით ჯავახეთის საეკლესიო კრებაზედაც წარმოდგენილი ყოფილან „წესისა და შჯულისა (რჩულისა) მასწავლელნი", რომელნიც „წესსა დაუდებდეს ერსა" (**ინგოროყვა 1954:26**).

აქვე უნდა აღინიშნოს: გიორგი მერჩულეს აზრით, თეოლოგია და ქრისტიანული საწესო ნორმები ქართულ ეკლესიაში, ისეთ დონეზე ყოფილა ამაღლებული, რომ გუარამ მამფალის კითხვაზე საჭიროა თუ არა გავეცნოთ და გავითვალისწინოთ იერუსალიმის ან სხვა წმინდა ადგილებში მოქმედი სავალდებულო საღვთისმეტყველო ნორმებიო, ქართველ მღვდელმსახურებს ერთხმად უპასუხნიათ: „ტვირთი შჯულისა და წესი ქრისტიანობისაჲ, რომელი ქუეყანასა ჩუენსა უპყრეს, ფრიად კეთილ არს"-ო (**ძეგლები 1964:289**). მაშასადამე, სხვებისათვის მისაბაძი ჩვენ არაფერი გვჭირსო.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ქართველები მოწყვეტილნი იყვნენ გარესამყაროს. ავტორის გადმოცემით, გრიგოლმა თავის დეიდაშვილის საბასა და კიდევ ერთი მოწაფის თანხლებით იმოგზაურა კონსტანტინეპოლში, „თაყუანი სცა ძელსა ცხორებისასა", მოინახულა იქაური წმინდა ადგილები მანვე იერუსალიმში მიიმავალ პირს დაავალა და ჩამოატანინა საბაწმინდის მონასტრის ტიბიკონი და მის მიხედვით „განაწესა წესი თჳისსა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ" (**იქვე: 265**). გრიგოლ ხანძთელის მიერ შედგენილი ეს „განგებაჲ" მოღწეული არ არის (**ინგოროყვა 1951:549**).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" საყურადღებო ძეგლია ქართული საეკლესიო მწერლობის შესწავლისათვის. აქ დასახელებულია თარგმნილი და ორიგინალური მწერლობის ზოგიერთი ისეთი ძეგლი, რომელთაც ჩვე-

ნამდე არ მოუღწევია და მათი არსებობის შესახებ არც გვეცოდინებოდა ისინი, რომ გიორგი მერჩულეს არ ჰქონდეს ნახსენები. ავტორს აქვს მათი ერთი ნაწილის ასეთი კლასიფიკაცია: „დაბეჭდულნი" (ე. ი. კანონიკური.—გ. მ.) წიგნნი ძველისა და ახლისა შჯულისანი და „დაუბეჭდველნი წიგნნი წმინდათა მოძღუართა თქმულნი აღურაცხელნი" **(ძეგლები 1964:282)**. როცა ავტორი განმარტავს თუ რატომ იდო თავს ისეთი ძნელი საქმე, როგორიც დიდი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერაა, იგი ასახელებს მეცხრე—მეათე საუკუნეთა რამდენიმე მწერალს, რომელთაც უფრო ეკუთვნოდათ ამ მძიმე შრომის გაწევა, ვიღრე მას. ამით ჩვენ ვიტყობთ მათ სახელებს ვინც მაშინდელი ქართული მწერლობის ელიტაში შედიოდნენ. გ. მერჩულეს მიხედვით ასეთნი ყოფილან: სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი. ცხადია, ეჭვი არ გვეპარება ამ მოღვაწეთა შესაძლებლობებში, მაგრამ არა გვგონია, რომ რომელიმე მათგანს უფრო უკეთესი ბელეტრისტული უნარი გამოეჩინათ და უკეთ დაეძლიათ ეს თემა, ვიდრე ახლა ხელთა გვაქვს გიორგი მერჩულეს დიდებული თხზულების სახით. ივ. ჯავახიშვილს შეფასებით, ჩვენი ავტორი ხომ ისეთი „ხელოვანია, რომ მას ვერც ერთი სხვა ქართველი ისტორიკოსი ვერ შეეღრება" **(ჯავახიშვილი 1977:125)**.

გიორგი მერჩულეზე საუბარი უპრიანი იქნება ისევ ბატონი ივანეს შემდეგ სიტყვებით დავასრულოთ: „გულდასმითმა განხილვამ დამარწმუნა, რომ გიორგი მერჩულის ნაწარმოები, რამდენადაც სხვა წყაროებითგან ცნობილს პირებსა და მოღვაწეებს შეეხება, საზოგადოდ სანდო თხზულებაა და ნამდვილ უტყუარს ცნობებს შეიცავს" **(იქვე: 129)**.

შატბერდის 973—976 წლებში გადაწერილ კრებულში შესულია ქართული მწერლობის საყურადღებო ძეგლი **„მოქცევაჲ ქართლისაჲ"**. იგი ერთერთი უძველესი საისტორიო თხზულებაა, რომელშიაც გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობის ისტორია ძვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. IX საუკუნემდე. ამ ნაწარმოებს, ჩვეულებრივ, ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ნაწილად ჰყოფენ. ერთს უწოდებენ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანეს, ხოლო მეორეს—„ნინოს ცხოვრების" შატბერდულ ვარიანტს **(ჯავახიშვილი 1977:103 და 112)**.

კ. კეკელიძე ასეთ დაყოფას უმართებულოდ თვლიდა. მისი აზრით, ორივე ნაწილს, რომ ერთი სათაური აქვს და ისინი „გენეტიკურადაა ერთმანეთს შორის დაკავშირებული... მათგან ერთი მთლიანი თხზულების შედგენილობას" ნიშნავს **(კეკელიძე 1960:525)**. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ლ. მენაბდეც. პ. ინგოროყვა არა თუ შეტბერდის კრებულში „მოქცევა ქართლისას" სახელით შესულ ნაწარმოებს ჰყოფდა ორად, არამედ სხვების მიერ პირველ ნაწილად მიჩნეულს, კიდევ ოთხ შემადგენლად ანაწილებდა **(ინგოროყვა 1978: 312)**.. „ნინოს ცხოვრებას" ძირითად ტექსტად თვლიდა VII ს-ის 40-იან წლებამდე, ხოლო დანარჩენს გვიან დამატებულად აცხადებდა **(იქვე: 235)**.

ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს რამდენ ნაწილად

დავყოფთ ამ თხზულებას. ერთი რამ კი ცხადია, ნინოს ცხოვრებამდე მასში მოთხრობილი მასალა უფრო სამოქალაქო ისტორიას წარმოადგენს, ვიდრე საეკლესიოს. ამიტომაც იყო, რომ მას ივ. ჯავახიშვილი „უძველეს სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად“ მიიჩნევდა (**ჯავახიშვილი 1977:112**).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავ-კარგზე მსჯელობა მას შემდეგ უფრო საფუძვლიანი გახდა, რაც ამ ნაწარმოების შედარებით უფრო სრული, XVII ს-ში გადაწერილი ვარიანტი აღმოაჩინა და 1909 წელს გამოსცა ამბ. ხელაიამ.

ექვ. თაყაიშვილი და პ. ინგოროყვა ამ ნაწარმოებს VII ს-ში შედგენილად მიიჩნევენ. ივ. ჯავახიშვილი კი თვით თხზულებაში არსებული რეალიებით ამტკიცებდა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არ შეიძლება დაეწერათ IX საუკუნეზე ადრე. ხოლო რადგან იგი X ს-ის 70-იან წლებში გააწერილ კრებულში უკვე გადაკეთებულია შეტანილი „ ამის გამო ჭკუაზე უფრო ახლო იქმნება ვიფიქროთ, რომ მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე IX საუკუნეშია შედგენილი“ (**იქვე:114**).

ლეონტი მროველის და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შედარებით შესწავლა იძლევა სფუძველს დავასკვნათ, რომ არსებულა სხვა უფრო ვრცელი მატიანე, საიდანაც ორივე მათგანს უსარგებლნია (**ინგოროყვა 1978:319**). თუმცა, რადგან ორივეს სხვადასხვა მიზანი ჰქონდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ თხრობა უფრო კონსპექტურადაა გადმოცემული. მისი ავტორი მოგვითხრობს ქართლის სამეფოს ზოგად ისტორიას, გვიამბობს ქართველთა გაქრისტიანების თაობაზე. უმთავრეს ყურადღებას აქცევს უძველესი და ქრისტიანობამდელი ხანის მოვლენებს. თხზულებაში გადმოცემულია ანტიკური ხანის ქართველ მეფეთა, დიდ ერისთავთა და გაქრისტიანების მომდევნო დროის კათალიკოზთა სიები.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შინაარსობლივი თვალსაზრისით მეტად ღარიბი და ერთფეროვანი ნაწარმოებია. ავტორი ჩამოთვლას უფრო მეტ ადგილს უთმობს, ვიდრე ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემას. მონათხრობშიც მძიმე შეცდომებს უშვებს. ამიტომ მკვლევარი „ამ მატიანის ცნობებს დიდის სიფრთხილით უნდა მოეპყრას და მხოლოდ თითოეული ცნობის ღირსება-ნაკლოვანებათა აწონ-დაწონის შემდეგ ისარგებლოს“ (**ჯავახიშვილი 1977:116**).

შატბერდის კრებულში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სათაურქვეშ გაერთიანებულია **ნინოს ცხოვრება**. ნინოს ბიოგრაფიის ეს ტექსტი უძველესია ჩვენამდე მოღწეულთა შორის. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ თხზულება „იმ სახით, როგორადაც იგი შატბერდისეულ ხელნაწერშია შენახული, უფრო IX საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, ვიდრე X-ში“. (**იქვე: 109**). კ. კეკელიძის აზრით „მოქცევაჲ ქართლჲსა“, რომლის ორგანული ნაწილია „ნინოს ცხოვრება“ „შედგენილია არაუადრეს მეათე საუკუნისა“ (**კეკელიძე 1960:531**). პ. ინგოროყვა „ნინოს ცხოვრების“ შედგენის თარიღად ასახელებს VIII ს-ს შუა წლებს (**ინგოროყვა 1978:441**).

როგორც ზევით არსენ საფარელზე საუბრის დროს უკვე ვთქვით, მის

თხზულებაში „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ აღარ მოიხსენიება გრიგოლ პართელი, როგორც ქართველთა განმანათლებელი. მაგრამ ავტორი ჯერ ნინოსაც არ იცნობს. არსენი უარდაიცალა 871 (თუ 887) წელს. მაშ, მის დროს რომ ნინოს კულტი ჩამოყალიბებული ყოფილიყო მცხეთის კათალიკოსი მას აუცილებლად გამოიყენებდა სომეხ ოპონენტებთან კამათში. ე. ი. თქმულება ნინოს შესახებ და მისი ცხოვრებაც მომდევნო ხანის IX ს-ის II ნახევრის პროდუქტია.

შეხედულებას ქართველთა საკუთარი განმანათლებლის არსებობის შესახებ საკმაოდ ვრცელი გზა გაუვლია. ჯერ ქართველებმა უარყვეს, რომ გრიგოლი პართელი არ იყო მათი განმანათლებელი. მაშინ გაჩენილა ვერსია, რომლითაც უარყოფილია ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვდომილება. ეს გამოსჭვივის ნინოსადმი მიმართვაში „ გვისწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყველნი პირველ მოსვლამდე მისა ღმრთისა ქუეყნად და მერე მოციქულნი ათორმეტ და კუალად სამეოცდაათორმეტი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან გარნა შენ“ (ციტირ. **ჯავახიშვილი 1977:104** -ის მიხედვით.)

მაგრამ ქართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ არსებობდა ქართველთა მოქცევის ბერძნული და სომხური ვარიანტები. პირველის მიხედვით, ქართველები გაანათლა ვიღაც ტყვე ქალმა და საბერძნეთიდან მოწვეულმა სამღვდელოებამ. მეორეთი კი — ქართველები სომეხი მისიონერების მეოხებით გაქრისტიანდნენ. სომეხმა ისტორიკოსმა მოსე ხორენელმა გადმოსცა ამ ორი თქმულების სინთეზი, რომლის მიხედვითაც რიფსიმე-გაიანეს[1] მეგობარმა ქალმა ნუნემ გრიგოლ პართელის დავალებით და დახმარებით გააქრისტიანა ქართველები.

პაექრობა ქართველებსა და სომხებს შორის საეკლესიო საკითხებზე განსაკუთრებით გამწვავდა IX ს-ში, როცა სომხეთში მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მონოფიზიტები და ქალკედონისტები. დოფიზიტები ქართლში ჰპოვებენ თანაგრძნობას და რეალურ დახმარებასაც კი. რამდენადაც, ამ დროს ქართლის კათალიკოსის იურისდიქცია არაქსამდე, ქალკედონისტ სომეხთა ეპარქიებზედაც ვრცელდება (**კეკელიძე 1956:77**). ამ მოვლენათა გავლენით წარმოიშვა შესაძლებლობა არა მარტო გრიგოლ პართელის მისიონერობის უარყოფისა, არამედ საკუთარი განმანათლებლის კულტის შექმნისა. ეს განმანათლებელი მოციქული ვერ იქნებოდა. ამიტომ შეიქმნა ნაწარმოები მოციქულთასწორის—ნინოს შესახებ, „რომელსაც გრიგოლ სომეხთა განმანათლებელთან არავითარი კავშირი არ ჰქონ-

[1] რიფსიმე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით შეხვდრია ეფესოდან წამოსულ ნინოს. ორი წელი ისინი ერთად ყოფილან. შემდეგ კი დედამძუძე გაიანესთან და ორმოცდაათ სხვა ლტოლვილთან ერთად სომხეთში მოსულან. აქ თრდატ მეფეს რიფსიმე, გაიანე და სხვა ლტოლვილები სიკვდილით დაუსჯია. ნინოს აყვავებული ვარდის ბუჩქისათვის შეუფარებია თავი. ვერ უნახავთ და ცოცხალი გადარჩენილა (**ძეგლები 1964:114-115**).

და"[1] **(ჯავახიშვილი 1977:104)**. სწორედ ასეთი თხზულებაა შატბერდისეული „ნინოს ცხოვრება" [2]

„ნინოს ცხოვრება" არ წარმოადგენს კომპოზიციურად შეკრულ ერთ ნაწარმოებს. ამიტომ მას არ ჰყავს და არც შეიძლება ჰყოლოდა ერთი ავტორი. თხზულებაში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ნინო თვითონ ჰყვება თავის ბიოგრაფიას, ხოლო მისი თანამოღვაწენი—სალომე უჯარმელი და პეროჯავრი სივნიელი იწერენ მის ნაამბობს. ამით ნაწარმოების შემდგენლებს სურთ მკითხველი დაარწმუნონ, რომ ყველაფერი რაც იქაა მოთხრობილი ჭეშმარიტი და შეურყეველი სინამდვილეა. ეს საჭიროა რამდენადაც ნაწარმოების შემდგენლებს უხდებოდათ ძველი ტრადიციების შეცვლა და ახალ შეხედულებათა დამტკიცება „და იმ მიზნით, რათა ახალ შეხედულებებს ავტორიტეტი მოეპოვებია ფართო წრეებში, ავტორს ნინოს ეს განახლებული ბიოგრაფია გამოუცხადებია უძველესი ხანის, თვით თანამედროვეთა მიერ აღწერილ დოკუმენტების კრებულად" **(ინგოროყვა 1978:437)**.

მაგრამ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს განზრახ ჩაფიქრებული მეთოდი საქმეს ვერ შველის და ნაწარმოები, მართალია, ვითომცდა ნინოს ნაამბობი და მისი თანამშრომლებისაგან ჩაწერილი მთხრობებისაგან შედგება, მათ სათაურებიცა აქვთ და ილუზიაც თითქოს სასურველი იქმნებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ყალბი, ფსევდოპიგრაფიკულია და „ნდობის ღირსი არ არის" **(ჯავახიშვილი 1977:106)**.

კრიტიკული დამოკიდებულება „ნინოს ცხოვრების" მიმართ კიდევ უფრო დასაბუთებულად წარმოგვიდგინა კ. კეკელიძემ.. მან აღნიშნა, რომ ნაწარმოებში ჩამწერთა სახელებიც კი არეულია. მაგალითად, პეროჯავრ სივნიელის ჩანაწერი არა ჩანს და მის მაგივრად ჩნდებიან: აბიათარი, სიდონია და იაკობი. თანაც „ეს პირები დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ მათ ჩაწერილი ამბები საკუთარი თვალით ნახეს; ნამდვილად კი ისინი ისეთ რამეებს მოგვითხრობენ, რასაც ვერ ნახავდნენ, ვინაიდან რამდენიმე საუკუნით არიან დაშორებულნი იმ ლეგენდარული ამბებისაგან... აქედან ცხადია, ეს ნაწარმოებნი ან, უკეთ, რომ ვთქვათ, თავები, არის ფსევდოპიგრაფიკული, ცრუ და ყალბი, და ნამდვილად ამ პირთა მიერ მოთხრობილი და ჩაწერილი არაა, ვისი სახელიც აწერია მათ" **(კეკელიძე 1960:530)**.

„ნინოს ცხოვრების" მიმართ ასეთი მიდგომა სამართლიანად არ მიაჩნია ვ. გოილაძეს. მისი აზრით, ბევრი რამ, რაც ამ ნაწარმოებშია მოთხრობილი

[1] ლ. ჯანაშიამ შენიშნა, რომ ასეთი მოსაზრება უსაფუძვლო არ იყო. „იმ წყაროთა შორის,— წერდა იგი,—რომლებიც ქართლის გაქრისტიანებას აღწერენ, უძველესია ბერძნული-რომაული. ისინი თითქმის მხოლოდ ნახევარი საუკუნით არიან დაცილებულნი თვით ქართლის მოქცევას. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ამ უძველეს წყაროებში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ქართლის გაქრისტიანება რითიმე ყოფილიყოს დაკავშირებული სომხეთის გაქრისტიანებასთან" **(სინ 1973:76)**.

[2] მ. ჩხარტიშვილის აზრით, რომელსაც ეთანხმება ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძეც, „ნინოს ცხოვრება" დაწერილია IV საუკუნეში, პირველი ქრიტიანი მეფის მირიანის ძის, რევის მეუღლის სალომე უჯარმელის მიერ **(ჩხარტიშვილი 1987:153; ჯაფარიძე 1988:255)**. ასე, რომ ნინოს განმანათლებლობა გაცილებით ძველი წარმოშობისად უნდა მივიჩნიოთ.

მტკიცდება სხვა წყაროებით და სინქრონული მოვლენებით. ამიტომ ამ ძეგლში „არსებულ ცნობებს ახლა სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ მათში მეტი რეალურობის ამსახველი მასალის გამოვლენა უნდა ვცადოთ" **(გოილაძე 1991:52)**. ასეთი მიდგომა მისი აზრით, შეეხება საკითხებს: ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღს, ნინოს წარმოშობისა და სადაურობის შესახებ „ცხოვრებაში" არსებულ ჩვენებებს **(იქვე: 21)**.

ივ. ჯავახიშვილი ნინოს წარმოშობით კაპადოკიიდან, ეროვნებით ბერძნად მიიჩნევდა **(ჯავახიშვილი 1977:104)**. ვ. გოილაძის აზრით, ნინოს ეროვნება საკამათო არ უნდა იყოს. „მი'ა თანამედროვეთა მიერ ნინო ქართველად იყო მიჩნეული **(გოილაძე 1991:19)**. მითითება იმის თაობაზე, რომ იგი კაპადოკიელია ნიშნავს ქართველობას. რადგან კაპადოკია უძველესი დროიდან ქართველებით იყო დასახლებული. მის ერთ ნაწილში მესხები ცხოვრობდნენ, მეორეში კი—ლაზ-ჭანები. ნინო რომ იძულებული იყო მცხეთელებს უცხო ენაზე დალაპარაკებოდა ეს იმიტომ, რომ მისი მშობლიური ენა ჭანურ-ლაზური იყო **(იქვე:22)**.

„ნინოს ცხოვრებასთან" დაკავშირებით სხვა საკითხებიც აღიძვრის. ისინი მარტივად გასარკვევი არ არის. არც კ. კეკელიძე და არც ივ. ჯავახიშვილი არ იყვნენ მომხრენი „ცხოვრების" ცნობათა ხელაღებით უარყოფისა. ოღონდაც, მათ ეს ნაწარმოები სხვა ქართულ საისტორიო თხზულებების ბადალად არ მიაჩნდათ. ბ-ნი ივანე აღნიშნავდა, რომ შატბერდულ-ჭელიშური ხელნაწერების ტექსტების შესწავლა და თავდაპირველი დედნის აღდგენა, როგორც დიდად საყურადღებო და საჭირო საქმე, მას მიზნად ჰქონდა დასახული. მაგრამ, ცნობილია, მან ამ სამუშაოს შესრულება ვერ მოასწრო.

წარმოუდგენელია ადრეფეოდალური ხანის ქართულ მწერლობაზე საუბარი მისი უმნიშვნელოვანესი ჟანრის **ჰიმნოგრაფიის** გარეშე. ჰიმნოგრაფია სასულიერო პოეზიის ერთ-ერთი დარგია. იგი ლიტურგიკული, საღვთისმსახურო დანიშნულების ნაწარმოებებს შეიცავს. ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე, ღვთისმსახურების დროს გალობისათვის ტექსტები საგანგებოდ არ იწერებოდა. არადა გალობა ღვთისმსახურების აუცილებელი ნაწილია. ამიტომ გალობდნენ დავითნის ანუ ფსალმუნების სხვადასხვა ადგილს. V—VI საუკუნეებში გაჩნდა ჰიმნები ანუ საგალობლები. მაგრამ მონასტრებში მათ უარყოფითად შეხვდნენ. ბერებს მიაჩნდათ, რომ ჰიმნების გამოყენება დასაშვები იყო სამრევლო ეკლესიებში, მონასტრებს კი იგი არ შეშვენის. შემდეგში ბერძნულ პოეზიაში თანდათან მომრავლდა სასულიერო ჟანრი. მან მონასტრებშიაც გაიკაფა გზა. ლიტურგიკული პრაქტიკის შემდგენელ ელემენტად ქცევამ კიდევ უფრო აამაღლა ჰიმნოგრაფიის დონე და იგი გახდა „ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ბერძნული პოეზიისა" **(კეკელიძე 1960:588)**.

ქართულ ეკლესიაში ჰიმნოგრაფიის დანერგვა VII საუკუნიდან იწყება. ამ დროიდან გვაქვს ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგია და ბერძნულიდან თარგმნილი საგალობლები. მათი ადრეული ნიმუშები პროზაული სახისაა,

ამიტომ პოეტიკის ნორმები, გარდა აკროსტიხისა, დაცული არ არის. კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზიის ეს ორი სახე არსებობდა. ერთი, იამბიკური — დამყარებულია ტაეპში მარცვალთა რაოდენობაზე. იგი შედგება სალექსო ტაეპისაგან, თითოეული ტაეპი შეიცავს 12 მარცვალს (**იქვე:591**). მაგრამ ხელნაწერებში ამათ გარდა გვხდება გაბმულად, პროზაული ქმნილების სტრიქონების მსგავსად დაწერილი ჰიმნები, რომლებიც პოეტური ნაწარმოების შთაბეჭდილებას არ ახდენენ. ისინი ჰიმნოგრაფიული ძეგლებია, მაგრამ შინაგანი პოეტური კანონზომიერება არ ახასიათებთ (**იქვე: 590**).

სხვაგვარი შეხედულებისა იყო ამ ჰიმნებზე პ. ინგოროყვა. მისი აზრით, „ქართული ჰიმნოგრაფიაში... მიღებულია „თავისუფალი" რთული მეტრი, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის „თავისუფალი" მეტრის გავლენით არის შემუშავებული" (**ინგოროყვა 1978:398**). თანაც, ეს საგალობლები, რომ პოეტური მეტრით დაწერილი ნაწარმოებებია დასტურდება მათი ტექსტებისათვის სანოტო ნიშნების (ნევმების) დართვით, „რომლებიც გადმოგვცემენ საგალობელთა მუსიკას" (**ინგოროყვა 1965:435**). პ. ინგოროყვას ასეთი მტკიცებანი კ. კეკელიძის მხრივ მკაცრ კრიტიკას იწვევდა, მაგრამ ჰიმნების გალობით შესრულების დროს საგანგებო ნიშნების არსებობას, რომლებიც ნოტების ფუნქციებს ასრულებდნენ, ისიც არ უარყოფდა. თანაც, მისი აზრით, ქართველებს ეს ნიშნები საკმაოდ ადრე, ყოველ შემთხვევაში, მეათე საუკუნემდე შემოუღიათ (**კეკელიძე 1960:603**).

თარგმნილთან ერთად განვითარდა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია. მის სათავეებს VIII საუკუნიდან დებენ და ასეთად მიაჩნდათ იოანე საბანის ძის „აბო თბილელის მატვილობის" III თავი. თავისი განვითარების ზენიტს ქართულმა ორიგინალურმა ჰიმნოგრაფიამ მეათე საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია. ჰიმნოგრაფების ელიტა წარმოდგენილია მიქელ მოდრეკილის მიერ 978—988 წლებში შედგენილ კრებულში. „ძველი ქართული სასულიერო პოეზიიდან მხოლოდ ამ კრებულს რომ მოეღწია დღემდე, — წერს ლ. მენაბდე, — ჩვენ მაინც გარკვეული წარმოდგენა გვექნებოდა ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის მრავალფეროვნებასა და სიღრმეზე" (**მენაბდე 1962:453**). მაგრამ ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობა კიდევ უფრო გაფართოებულია პალესტინაში, საბაწმინდაში, ათონის ქართველთა მონასტერში და სხვ. დაცული ჰიმნოგრაფიული პოეზიის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებით. ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთი მაგალითი ლ. ხაჩიძის მიერ, მეათე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის იოანე მინჩხის 77 პოეტური შედევრის ამოკითხვა და შესწავლაც გამოგვადგება (**ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987**), რამდენადაც მიქელ მოდრეკილის კრებულში ამ ავტორის მხოლოდ 14 საგალობელის შეტანა იყო ცნობილი (**ინგოროყვა 1965:285**).

ზევით ჩვენ ვთქვით, რომ საბოლოოდ დადგენილი არ არის მიქელ მოდრეკილი ოშკში მოღვაწეობდა თუ შატბერდში. იგი ყოფილა არა მარტო სხვისი ჰიმნების შემკრები, არამედ ნიჭიერი პოეტი — ჰიმნოგრაფიც, კომპო-

ზიტორი, მგალობელი და კალიგრაფი. მის მიერ შედგენილი კრებული უნიკალურია, როგორც შედგენილობის, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით (**ქსე, ტ. 7, გვ. 25**).

კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ მიქელ მოდრეკილი იყო ექვთიმე ათონელის უფროსი ძმა. ხოლო ზედწოდება „მოდრეკილი" უნდა ნიშნავდეს, დაყუდებულს (**კეკელიძე 1960:175**). მიქელს დაუმკვიდრებია პოეზიის ახალი სახე მეხუთრი საგალობლები, რაც ჰიმნების ხმით შესრულებას ნიშნავს (**იქ-ვე:606**). პ. ინგოროყვას გამოკვლევით, მიქელ მოდრეკილს თავისი კრებულისათვის შეუგროვებია და შეუტანია ყველა საგალობელი, რომელიც მის დროს ქართულ ენაზე არსებობდა. კრებულში წარმოდგენილია: გრიგოლ ხანძთელის (საწელიწდო იადგარი); თვით მიქელ მოდრეკილის (31 საგალობელი დიდი და 151 მცირე ფორმისა); გიორგი მერჩულეს (შესაბამისად 21 და 46); იოანე მტბევარის (14 და 49), იოანე მინჩხის (3 და 11); სტეფანე სანანოისძე – ჭყონდიდელის (1 და 4); ეზრასი (1 და 3); იოანე ქონქოზის ძის (1 და 1); ბასილი ხანძთელის, კუდანაი-კვირიკესა და მაკარი ლეთეთელის თითო საგალობელი. ამის გარდა კრებულში შეტანილი 52 დიდი ფორმისა და 211 მცირე ჰიმნის ავტორები დადგენილი არ არის (**ინგოროყვა 1965:233-235**).

ქართული ჰიმნოგრაფიის შესწავლა საფუძველს იძლევა ითქვას, რომ ქართველ პოეტთა ნიჭიერების შედეგად, მათი შემოქმედება გასცდა საკულტო-ეკლესიურ ჩარჩოებს, დასძლია კლერკალიზმისათვის დამახასიათებელი ასკეტური კარჩაკეტილობა და რელიგიური მრწამსის დამკვიდრებასთან ერთად, მსმენელთა შემეცნებაში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებასაც უწყობდა ხელს: ამის გათვალისწინებით და დიდი შემოქმედებითი ღირსებების გამო, „ქართული ჰიმნოგრაფია საესებით სამართლიანად იმსახურებს კლასიკურის სახელს" (**სიხ 1973:583**).

ამდენად, გადაჭარბებულად არ შეიძლება ჩაითვალოს ადრეფეოდალური ეპოქის ქართული პოეზიის გამოკვლევის შედეგად გამოთქმული ასეთი დასკვნა: „გასაგებია ყოველივე ამის შემდეგ. რომ ქართული ლიტერატურის განვითარება საშუალო საუკუნეებში დაგვირგვინდა ისეთი დიადი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენით, როგორიც არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" (**ინგოროყვა 1965:14**).

4. საეკლესიო-სამრწასტრო მშენებლობანი

ქართული ხელოვნების დარგებს შორის, მისი ისტორიის შესასწავლად, ყველაზე მეტი მასალა მოგვეპოვება ხუროთმოძღვრების სფეროში. ამას განაპირობებს არა ის, რომ საისტორიო წყაროები ჭარბ ცნობებს გვაწვდიან ამ თემაზე, არამედ ამ შემთხვევაში მთავარ ინფორმატორს თვით მატერიალური კულტურის ძეგლები წარმოადგენენ. ისინი თვითონ გვიამბობენ თავიანთ თავზე.

მიუხედავად ამისა, აღრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის ისტორია სათანადოდ ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. ამის უმთავრესი მიზეზი აქამდე იყო ის ფაქტი, რომ IX—XI საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების დიდი, ტაო-კლარჯეთში აგებული ნაწილი, თურქეთის ტერიტორიაზეა და 1918 წლიდან მათი შესწავლისათვის არავითარი პირობები არ იყო. ადრე დაგროვებული მასალა (გ. ყაზბეგის, პ. პავლინოვის, დ. ბაქრაძის ნ. მარისა და ექვთ. თაყაიშვილის) კი მოძველდა და მეცნიერული მოთხოვნილებებს ვეღარ პასუხობს (**ამირანაშვილი 1971:170**). უკანასკნელ ხანს მიღებული ცნობების მიხედვით, ეს ხარვეზი შეუვსია ამერიკაში მცხოვრებ ქართველ მეცნიერს ვახტანგ ჯობაძეს. მაგრამ მისი ნაშრომი რამდენადაც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია (**იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1992, №1-2, გვ. 244**) ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამიტომ VIII—X სს. ქაროული საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის ისტორიის გადმოცემისას ჩვენ ძირითადად დავკმაყოფილდებით ხელოვნების ისტორიის მკვლევარების (გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე, ვ. ცინცაძე, რ. მეფისაშვილი და სხვ.). მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების მონაცემებით.

საეკლესიო არქიტექტურის შექმნა ქრისტიანული რელიგიის საჭიროებამ მოითხოვა. ქართული ხუროთმოძღვრების ეს დარგი ორი წინამორბედი მაგალითიდან იმუშავებდა სტილს. ჩვენში საეკლესიო მშენებლობის ტრადიცია არ არსებობდა. ქრისტემ ხორციელი ცხოვრება პალესტინაში გაატარა. ამიტომ ეკლესიების მის მიერ „ნაკურთხ" ნიმუშებად იერუსალიმში არსებული ბაზილიკები[1] იყო აღიარებული. საქართველოში კი წაგრძელებულ შიგნით სვეტების მწკრივით დაყოფილს შენობებს არ აშენებდნენ. აქ გავრცელებული იყო ე. წ. „ცენტრალური" ტიპის შენობები. ე.ი. ისეთი, რომლის აღნაგობა უმთავრესად შვეული ღერძითაა განსაზღვრული. იგი მთავრდება ხუთსაფეხურიანი გუმბათოთ ანუ „გვირგვინით", რომლის შუაში სარკმელია ჩატანებული, სინათლის შემოსასვლელად და კვამლის გასასვლელად. ასეთი შენობების ტიპიურ სახეს გლეხის საცხოვრებელი სახლი „დარბაზი" წარმოადგენდა.

საქართველოში აგებული პირველი ეკლესიების მშენებლები ცდილობდნენ სამლოცველოები გარეგნულად მაინც მიემსგავსებინათ ბაზილიკებისათვის[2]. ინტერიერში კი სვეტების გრძელ მწკრივებს არ აკეთებდნენ და შუა ამაღლებული ნავი უფრო გვირგვინის მსგავსი იყო, ვიდრე ბაზილიკური ტიპის გადახურვისა. „დარბაზმა არსებითი როლი შეასრულა,— წერს ვ. ბერიძე,—ქაროული მონუმენტური საეკლესიო ხუროთმოძღვრების

[1] ბაზილიკა (ქართ.— მეფის სახლი) —სწორკუთხედის ფორმის უგუმბათო შენობა, რომელსაც შიგნით ხეტების რიგი სამ ან ხუთ ნავად ჰყოფს. შუა ნავი სხვებზე მაღალია და სინათლე შემოდის მისი კედლების ზედა ნაწილში ჩატანებული ფანჯრებიდან.

[2] ნ. პოკროვსკის დაკვირვებით, ადრეული ხანის ქრისტიანობა შორის დიდად გავრცელებული იყო ტაძრის მიმსგავსება ხომლდთან. ამიტომ მას უკეთად წაგრძელებული ფორმა უნდა ჰქონოდა. ასეთი ფორმისას წარმოადგენს ნოეს კიდობანი და სოლომონის ტაძარი იერუსალიმში, რომლებიც ნიმუშები გახლდნენ პირველი ქრისტიანული ტაძრებისათვის. ბაზილიკური ტიპის ტაძრების წარმოშობის ამ და სხვა საკითხების შესახებ იხ. **Н. Покровский. Происхожение древне-христианской базилики. СПб. 1880.**

შემუშავებისათვის" (**სინ 1973:620**). ეს განსაკუთრებით რელიეფურად წარმოდგინდა მას შემდეგ რაც საეკლესიო დანიშნულებით გუმბათიანი შენობების აგება დაიწყეს. საქართველოში შენობათა ასეთმა ტიპმა უპირატესობა VI საუკუნიდან მოიპოვა[1]. დასავლეთ ევროპის ხუროთმოძღვრებაში კი იგი X საუკუნიდან დამკვიდრდა (**იქვე: 619**), როგორც უგუმბათო, ისე გუმბათიანი საეკლესიო ნაგებობანი საქართველოში ნათესაობას ამყარებენ მთელ ქრისტიანულ სამყაროში და განსაკუთრებით წინა აზიაში გავრცელებულ საკულტო შენობებთან. ამის მიზეზი იყო საერთო ქრისტიანული მსოფლმხედველობა, დოგმატიკური რიტუალი და მჭიდრო კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. მაგრამ ნაგებობათა ტიპებს შორის შემჩნეული ეს ნათესაობა არ ნიშნავს აღმოსავლური საეკლესიო არქიტექტურის ბრმა კოპირებას და არც იმას, რომ ქართული ხუროთმოძღვრება რომელიმე სხვა ქვეყნის (თუნდაც—ბიზანტიის) ხელოვნების სახესხვაობას წარმოადგენს.

ქაროული ხუროთმოძღვრების თვითმყოფობა სწორედ მსგავსი ტიპის შენობების ორიგინალური ვარიანტების დამუშავება"ში გამოიხატა. არსებობდა საკმაოდ მძლავრი მიდრეკილება საქართველოში აგებული ჯვრის ტიპის ტაძრების სომხურიდან გამომდინარეობის გამოცხადებისა, რაც ქართული და სომხური ძეგლების არასწორ ანალიზს ეყრდნობოდა. მაგრამ ქართველი ხუროთმოძღვრების მიერ შექმნილი ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ნაგებობები თავად მეტყველებენ დიუბუა დე მონპერეს მიერ წამოყენებული ამ მოსაზრების უსაფუძვლობაზე. სომხეთში მდებარე ავანისა და წმ. რიფსიმეს ტაძრების და მცხეთის ჯვრის შედარებითი მეცნიერული ანალიზის შედეგად მიღებული, ყოველმხრივ დასაბუთებული დასკვნა კი შ. ამირანაშვილს შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული: „ორივე ხეგლი თავისი მხატვრული თავისებურებებით მკვეთრად განსხვავდება მცხეთის ჯვრისაგან. ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ ლაპარაკიც კი შეიძლება ქართულ-სომხური არქიტექტურის გენეტიკური ურთიერთობის შესახებ" (**ამირანაშვილი 1971:137**).

---

[1] ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისის შესახებ განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამენ ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი და ბ. მშვენიერაშვილი (**გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1995, №51; 1996, №2**). ისინი უარყოფენ გ. ჩუბინაშვილისა და მის სკოლის წარმომადგენელთა მოსაზრებას საეკლესიო არქიტექტურის განვითარებაში შემოქმედებითი მოსამზადებელი საფეხურების არსებობის თაობაზე (მათი კვალიფიკაციით—„ევოლუციური თეორია"), რამეთუ — „ევოლუცია და შემოქმედება შეუთავსებელი ცნებებია" (**ზ. კიკნაძე, „ლს", 1996, №2**) მათი აზრით, ქართველი ისტორიკოსებისა და განსაკუთრებით ხელოვნების ისტორიკოსების შეხედულებანი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის საკითხებზე, წარმოადგენენ ახალგაზრდობისათვის ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შეცნობის „გზის დახშობას" (**თ. მირზაშვილი, „ლს", 1995, №5**). თავიანთი მოსაზრებების დასასაბუთებლად მათ მოჰყავთ არგუმენტები ((სვეტიცხოვლისა და ბოლნისის სიონის აგების თარიღება, თავდაპირველი მშენებლები და სხვ.), რომელთა ერთი ნაწილი უეშმარიტებასთან ახლო დგას. მაგრამ მათივე მსჯელობის გამაღიზიანებელი ტონი და ხელოვნების ისტორიკოსთათვის, „ევოლუციური თეორიის" საბაბით, გამოგონებული ბრალდებების წაყენება, ინტელექტუალური მკითხველის შებრუნებულ რეაქციას იწვევს და უბიძგებს არ გაიზიაროს მათი ნათქვამი.

საამშენებლო ტექნიკისა და საამშენებლო მასალების გამოყენების სურათი აღრექრისტიანული ხანიდანვე ტრადიციულია—შენობები იგება ქვისაგან. საქართველოს ყველა მხარე მდიდარია ისეთი საამშენებლო ქვებით როგორიცაა: კირქვა, ქვიშაქვა, ტუფი, ბაზალტი, მარმარილო. ყველა ისინი მშენებლობაში გათლილი სახით მოიხმარებოდა. კახეთში, სადაც ასეთი მასალა ნაკლებადაა, ტაძრებს აგებდნენ რიყითა და ნატეხი ქვისაგან. ქართველ მშენებელთა საყვარელი მასალას წარმოადგენდა გლუვად თლილი კირქვა, ან ბაცი და თბილი ტონების ქვიშაქვა. ამდენად, მთელი მონუმენტური არქიტექტურა — ქვის ხუროთმოძღვრებაა.

შ. ამირანაშვილი ამტკიცებდა, რომ ტრადიციული შეხედულება ქართული კულტურის დონის დაცემის შესახებ არაბთა ბატონობისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანაში, მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება. სამეფო-სამთავროების წარმოშობის „შემღეგ ქართული ხელოვნება ვითარდება გასაოცარი შინაგანი ძლიერებითა და წარმატებით" (იქვე:162).

მართლაც, თუ გავითვალისწინებთ სამეფო-სამთავროთა პოლიტიკურ დაწინაურებას, ამის შესაბამისად და ზოგჯერ უპირატესადაც კი ფეოდალური კულტურის დიდად დაწინაურებასთან გვაქვს საქმე. ყოველი ასეთი პოლიტიკური ერთეულის მესვეური ცდილობს თავისი ხელისუფლება განამტკიცოს არა მარტო იარაღის საშუალებით, არამედ იდეოლოგიურადაც. ამ მიზნით, შექმნას კულტურული კერა, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში მძლავრი ცენტრიც კი. გამარჯვებული ფეოდალიზმის პირობებში, ცხადია, ასეთი ცენტრები საეროო-სახელმწიფოებრივ ჰეგემონიას ვერ აღწევენ, მაგრამ საქართველოს გაერთიანების შემდეგ, ცალკეულ მხარეებში შექმნილი კულტურა, როგორც ერთ ეთნიკურ თვითშეგნებაზე დაფუძნებული, ზოგადქართულ კულტურად ისე ჩამოყალიბდა, რომ მასში კუთხურობის ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნეოდა. მიუხედავად უდიდესი ცდისა „ვეფხისტყაოსნის" დიალექტოლოგიური აქცენტებიც კი ვერ იქნა აღმოჩენილი. ხოლო ოშკის, ხახულის, ბაგრატის ტაძრის, ნიკორწმინდის, სვეტიცხოველის, ალავერდისა და სხვათა ხუროთმოძღვრებაში ყველაფერი გარდა საამშენებლო მასალისა, ზოგადქართული და უცხოურისაგან მკვეთრად განსხვავებულია.

არქიტექტურის ისტორიკოსების მიერ ღადგენილია, რომ VII ს-ის II ნახევრიდან X საუკუნის II ნახევრამდე მიმდინარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ახალი სტილის ჩამოყალიბების რთული, შინაგანი წინააღმდეობებით მდიდარი პროცესი. ამ შემოქმედებითი ძიების გზაზე ბევრია მნიშვნელოვანი მხატვრული მონაპოვარიც. დამახასიათებელია, ხუროთმოძღვრული თემებისა და ფორმების დიდი მრავალფეროვნება. „სამშენებლო ტექნიკისა და საშენ მასალებში არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა. გარდამავალ ხანაში თლილი ქვის ნაცვლად ხშირად ხმარობდნენ დაუმუშავებელს; ზოგჯერ ეს ეკონომიკური მოსაზრებებითაც იყო გამოწვეული. შემდეგ X საუკუნის მეორე ნახევრიდან, თლილი ქვის პერანგი კვლავ წინანდელ უფლებებს მოიპოვებს. საკმაოდ დიდხანს XI ს. მანძილზე მაინც,

თლილი ქვისაგან რჩება კედლების შიგა პირი, მხოლოდ უფრო გვიან კედლებს სუფთად აღარ ამუშავებენ, რადგან იგი მაინც მხატვრობას უნდა დაეფარა. საბურავის მასალად ამიერიდან უმეტესად ქვის ფილებს იყენებენ. კახეთში წინანდებურადვე თლილი ქვის პერანგი უცნობია. საეკლესიო შენობებში ყველგან კვლავ კამარები, გუმბათები, თაღები იხმარება. სასახლეებში — ამ კონსტრუქციებთან ერთად ზოგჯერ ბრტყელი ჭერიც გვხვდება" **(სინ 1973:636)**.

ამ ხანის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები საქართველოს ყველა მაშინ არსებულ პოლიტიკურ ერთეულშია დარჩენილი. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ეგრის-აფხაზეთის ძეგლებიდან გამოიყოფა მარტვილისა და ბიჭვინთის ტაძრები. ამ უკანასკნელს X—XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლადაც მიიჩნევენ. მაგრამ იგი ამ დროს გადაკეთებული უნდა იყოს. თუმცა, გარდამავალი ხანის სტილი შენარჩუნებულია. ბიჭვინთის მთავარი ტაძარი (ნაქალაქარის ტერიტორიაზე შესწავლილია IV—VII საუკუნეების კიდევ რამდენიმე ბაზილიკა და ტაძარი) ჯვარ-გუმბათიანი შენობაა. გუმბათი ორ თავისუფლად მდგარ ბურჯს და საკურთხევლის აფსიდის კედლის შვერილებს ეყრდნობა. გეგმით მას მოგრძო სწორკუთხედის მოყვანილობა აქვს. აღმოსავლეთის ფასადს ამშვენებს წინ გამოწეული სამი აბსიდი. დასავლეთის მხრიდანაც ტაძარს მიდგმული აქვს დიდი ზომის კარიბჭე-ნართექსი. კედლები ამოყვანილია აგურისა და ქვის მონაცვლე რიგებით.

მცხეთის ჯვართან ახლომდგომი ძეგლია მარტვილის ტაძარი. გ. ჩუბინაშვილი მას VII საუკუნით ათარიღებდა **(Чубинашвили 1948: 59)**. ოღონდაც მიაჩნდა, რომ X საუკუნეში იგი საფუძლიანად გადააკეთეს. ამ გზით შენობა ჩაისვა მოგრძო სწორკუთხედში, გადაკეთდა კედლები და დაიდგა გუმბათი, რომლის დიამეტრი უფრო ვიწროა, ვიდრე მცხეთის ჯვრისა. ამ გადაკეთების გამო იგი გარედან აღარ მოგვაგონებს ჯვრის ტიპის ძეგლს. შ. ამირანაშვილს უფრო ჭეშმარიტად მიაჩნდა „მატიანე ქართლისას" ცნობა, რომლის მიხედვით მარტვილის ტაძარი აგებულია ეგრის—აფხაზეთის მეფის გიორგი მეორის დროს (922—957). ხოლო მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული წარწერის მიხედვით, რომელიც ახლა დაკარგულია, ბაგრატ III-ის დროს, 996 წელს ტაძრისათვის დასავლეთიდან ნართექსი მიუშენებიათ **(ამირანაშვილი 1971:178)**.

მარტვილის ხუროთმოძღვარმა მიმართა თემის თავისუფალ ინტერპრეტაციას და ფაქტობრივად დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ მარტვილის ტაძარი მცხეთის ჯვარზე მცირეა, ცალკეულ ნაწილთა შეფარდების შედეგად შექმნილია დიდი და მსუბუქი შინაგანი სივრცის შთაბეჭდილება. მარტვილის ტაძრის ოთხივე ფასადზე ჯვრის მკლავები წინაა წამოწეული. მკლავებს შორის მოთავსებულია ნიშები. ამ ნიშების სილრმემ ხუროთმოძღვარს საშუალება მისცა მკლავების ქიმები ხუთწახნაგოვანი გაეკეთებინა. „ეს ნიშები მარტვილში გაცილებით დაბალია,–წერდა შ. ამირანაშვილი,—ვიდრე ჯვარში (ე. ი. მცხეთაში.—გ. მ.)

და ამის გამო მკლავებს შორის სადგომების კედლების ბრტყელი ზედაპირი ფასადზე, არქიტექტურული თვალსაზრისით გაცილებით უკეთესად არის დაკავშირებული აფსიდების ქიმებთან" (იქვე:177). მარტვილის აღმოსავლეთი და დასავლეთის ფასადები შემკულია რთული რელიეფური კომპოზიციების ფრიზით. ეს დეკორაციული ზოლი ცვლის უფრო ადრინდელი ძეგლების ფასადებზე შესრულებულ რელიეფურ კომპოზიციებს.

ქართლის ძეგლებიდან უკეთაა შესწავლილი ქსნის ხეობის VIII—IX საუკუნეთა ტაძრები: არმაზი, წირქოლი (წირქვალი) და კაბენი. პირველ ორს, მრავალი საერთო ნიშანი ახასიათებთ, თუმცა აშკარად დამოუკიდებელ ძეგლებს წარმოადგენენ. ისინი ისეა გადახურული ორკალთიანი სახურავით, რომ უგუმბათო ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენენ. არსებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, აქ გუმბათს ყელი არა აქვს. არმაზის ტაძარში ცენტრალური სივრცე კვადრატული სახისაა, რომლის კუთხეებში, კედლის მახლობლად მოთავსებულია რვაწახნაგოვანი სვეტები. სამხრეთიდან და დასავლეთიდან შენობას აქვს ვიწრო მინაშენი. არმაზის შენობის აბსიდი, თაღები და ყველა კედელი აგებულია რიყის ქვისაგან. ქვის წყობის ხარისხი შესამჩნევად მაღალია.

წირქოლის ტაძარი შემოქმედებითი ძიების ახალი მხატვრული ფორმესადმი მისწრაფების ნიშნებს ატარებს. იგი ე. წ. „დარბაზული" ტიპის, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ ნაგებობას წარმოადგენს. ტაძრის ძირითად სივრცეს გუმბათის კვადრატი შეადგენს. წირქოლის ფასადების, ბოძებისა და სვეტისთავების მასალად გამოყენებულია ნასვრეტოვანი ტუფი. კედლის კამარები და გუმბათი რიყის ქვისაა. გ. ჩუბინაშვილის შეფასებით წირქოლი მხატვრული იდეით, ფასადებისა და ცალეული არქიტექტურული დეტალით საამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით უფრო მაღალ დონეზე დგას ვიდრე არმაზი (**Чубинашили 1942:18**). ეს უკანასკნელი უძველესი ქართული ნაგებობაა, რომელსაც თარიღი 864 წელი, ზედვე აქვს წარწერილი. წირქოლი კი სტილისტური ნიშნებით VIII საუკუნის ძეგლადაა მიჩნეული.

VIII—IX საუკუნეებით თარიღდება **კახეთის** ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლი—გურჯაანის ყველაწმინდა და ვაჩნაძიანის ყველაწმინდა. გურჯაანის ტაძარი ადრინდელიდან განვითარებულზე გარდამავალი ხანის ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. აქ ერთმანეთთან შერწყმულია სამნავიანი ბაზილიკისა და ორგუმბათიანი ეკლესიის ელემენტები. ტაძრის ცენტრალური სივრცე აღმოსავლეთის მხრიდან გაფორმებულია ნალისებური მოყვანილობის საკურთხევლის აფსიდით, ორივე გუმბათი დადგმულია რვაწახნაგოვან დაბალ ყელზე. წინა დროის ძეგლებთან შედარებით სიმაღლის მომატება შესამჩნევია. აღმოსავლეთ ფასადზე კარგადაა შენახული მხატვრული გაფორმება. გურჯაანის ტაძარში, რომელიც თავისი ფორმებით გენეტიკურადაა დაკავშირებული კახეთის სხვა ძეგლებთან, შარბადაა შემორჩენილი ადრინდელი არქიტექტურის ელემენტები. მთავარი რაც სა-

ეროოდ განასხვავებს გურჯაანის ტაძარს სხვა ძეგლებიდან ისაა, რომ აქ ერთის ნაცვლად ორი გუმბათია გაკეთებული. „ეს ერთადერთი შემთხვევაა საქართველოში, — წერს ვ. ბერიძე,— რადგან ორგუმბათოვანი ტაძრის თემა ჩვენში ვერ განვითარდა და გურჯაანი განცალკევებულ ცალად დარჩა“ **(სინ 1973:638)**.

ვაჩნაძიანის „ყველაწმინდაც“ გურჯაანიდან 8 კმ-ზე მდებარეობს, სოფ. შრომის, რომელსაც ვაჩნაძიანი ერქვა, მახლობლად უსიერ ტყეში. იგი გრანდიოზულ გუმბათოვან „დარბაზს“ წარმოადგენს. ამ ადგილზე VI—VII საუკუნეებში სამნავიანი ბაზილიკა მდგარა. იგი მეწყერს გაუნადგურებია და მის ნაცვლად VIII ს-ის დასასრულსა და IX ს-ის დასაწყისში აუგიათ „ყველაწმინდას“ ტაძარი. მის ძირითად სივრცეს შეადგენს დიდი გრძელი დარბაზი, შუა ნაწილში აღმართული გუმბათით. მთლიანად ვაჩნაძიანი წარმოადგენს გუმბათოვან ტაძრად გარდაქმნილ სამეკლესიან ბაზილიკის ტიპის ნაკეთობას **(Чубинашвили 1959:287-320)** მისი კედლები ამოყვანილია რიყის ქვით და ნასვრეტიანი ტუფით. თაღები, კამარები და გუმბათის ყელი აგურისაა. ტაძრის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ნავს, რომლის ცენტრში აღმართულია გრძივი, კედლის შვერილებზე დაყრდნობილი გუმბათი. ინტერიერის პროპორციები სრულიად ახლებურადაა გადაწყვეტილი. სივრცე დავიწროებული და ამაღლებულია. საერთო აღნაგობა, ნაწილთა ურთიერთშეხამება ჰარმონიულია: ვაჩნაძიანი გარდამავალი ხანის ყველაზე მნიშვნელოვან და მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება.

„ქართველთა საკურაპალატოში“ აშოტ I-ის დროიდან, VIII—IX სს. მიჯნიდან, შესაძლებელი გახდა საკოლონიზაციო საქმიანობის გაშლა. საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობას აქ გამოუჩნდა ისეთი ენთუზიასტი და ორგანიზატორი; როგორიც იყო გრიგოლ ხანძთელი. გრიგოლის დაუღალავი საქმიანობის, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების შრომის შედეგად კლარჯეთში განახლდა და ხელახლა ან ახლად აიგო „ოცი განთქმული სავანე“ **(ამირანაშვილი 1971:169)**. პ. ინგოროყვამ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით გაარკვია, რომ მათგან VII—IX საუკუნეებში დაარსებული და აღდგენილია რიცხვით 12 სავანე. ამიტომ არის, — წერდა იგი, — რომ ძველქართულ წყაროებში ისინი კლარჯეთის „ათორმეტ“ (ე.ი. თორმეტ) **სავანეთა** სახელით არის ცნობილი“ **(ინგოროყვა 1954:304)**. ეს თორმეტი სავანე გაშენებული იყო ერთ განცალკევებულ, კლარჯეთის პროვინციის ჩრდილოეთ მხარეში. კლარჯეთის ეს სექტორი თანადროულ წერილობით ძეგლებში „საქართველოს „სინას“ სახელით მოიხსენიება. რითაც ხაზგასმულია ამ ეკლესია-მონასტერთა მნიშვნელობა. ხოლო მხარე შედარებულია ბიბლიურ თქმულებათა სინას მთასთან, წმინდა ადგილთან, რომელიც რწმენისა და განათლების სიმბოლოდ ითვლებოდა.

კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე თურქეთის შემადგენლობაში მოხვედრის შემდეგ გავერანდა. ბევრი ძეგლი დაინგრა და ცნობა მისი ადგილმდებარეობის გამო დაიკარგა. 1878 წელს თურქთა ბატონობისაგან

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, შესაძლებელი გაზდა მხარის ისტორიულ სიძველეთა შესწავლის დაწყება. ამას შედეგად მოჰყვა კლარჯეთის სავანეთა ადგილმდებარეობის თანდათანობით დადგენა. ჯერ კიდევ, თურქთა ბატონობის დროს, 1874 წელს, გ. ყაზბეგმა აღწერა ოპიზა. 1879 წელს დიმიტრი ბაქრაძემ შეისწავლა დოლისყანა და დამატებითი ცნობები შეაგროვა ოპიზის შესახებ. 1888 წელს კლარჯეთში მოგზაურობდა ა. პავლინოვი. მან გარდა ზევით დასახელებულებისა, ფორთისა და ბერთის ტაძრების არქიტექტურული აღწერილობა გააკეთა.

1902 წელს, ნიკო მარმა იერუსალიმი ჯვრის მონასტრის კოლექციაში აღმოაჩინა გიორგი მერჩულეს თხზულების სრული დედანი. 1904 წელს მან იმოგზაურა კლარჯეთსა და შავშეთში იმ ადგილების მოსანახულებლად, რომელიც ამ ძეგლშია აღწერილი. მის მოგზაურობამდე უკვე გარკვეული იყო კიდევ სამი სავანის—ჯმერკის, წყაროსთავისა და დაბას ადგილმდებარეობა, ე.ი. სულ შვიდისა. დანარჩენი ხუთიდან ძველი სახელები შემორჩენილი აღმოჩნდა სამისა. ესენია: პარეხი, მიძნაძორი და ბარელთა. რაც შეეხება ორს — ხანძთასა და შატბერდს, ნ. მარმა ადგილობრივ შესწავლის გზით მათი ადგილმდებარეობის შესახებაც წარმოადგინა საკუთარი მოსაზრება **(Марр 1911: 125—156)**

გიორგი მერჩულეს ცნობით, კლარჯეთის „ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზაჲ“ **(ძეგლები 1964: 282)**. მართლაც, ჯუანშერი წერს, რომ ოპიზის მონასტერი ვახტანგ გორგასალის ბრძანებით ააგო არტანუჯის ერისთავმა არტავაზმა **(ქ.ცხ. 1955: 178)**. მურვან ყრუს ლაშქრობის დროს, კლარჯეთის სხვა პუნქტებთან ერთად ოპიზაც გაერანებულა. მაგრამ მისი მცირე ეკლესია ნათლიმცემლისა გადარჩენილა. დაახლოებით 780 წელს, ოპიზაში მოვიდა გრიგოლ ხანძთელი. აქ მას დახვდა ოპიზის მესამე წინამძღვარი ამბა-გიორგი. მკვლევარები კამათობენ ამ დროს აგებული იყო თუ არა ოპიზის ის ტაძარი, რომელიც პირველად გ. ყაზბეგმა, ხოლო შემდეგ სხვა მეცნიერებმა აღწერეს. პ. ინგოროყვას მიაჩნდა რომ ტაძარი განახლდა VII ს - ის 60 - იან წლებში **(პ. ინგოროყვა 1954: 341)**. კ. კეკელიძისა და ლ. მენაბდეს აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ერთი საუკუნით გვიან **(მენაბდე 1962: 389)**. უფრო სწორი უნდა იყოს ექვთ. თაყაიშვილის მოსაზრება, რომელიც ოპიზადან ჩამოტანილ ბარელიეფს ეყრდნობა. ბარელიეფზე გამოსახულია გვირგვინოსანი დიდი ტაძრის მოდელით ხელში. ექვთ. თაყაიშვილის ვარაუდით, ეს არის აშოტ კურაპალატი (გარდ. 826 წ.), რომელსაც ქრისტესათვის მიაქვს მის მიერ აგებული ტაძარი ოპიზისა[1] **(თაყაიშვილი 1905: 58)**.

---

[1] ქტიტორთა გამოსახვა ტაძრის მოდელით ხელში, ქართულ საეკლესიო მხატვრობაში საკმაოდ გავრცელებული პასაჟი ყოფილა. გარდა გელათის ცნობილი ფრესკისა, "შეგვიძლია დავასახელოთ ასეთის კიდევ რამდენიმე მაგალითი. 1: შაშეთში, 954—958 წწ. კურაპალატმა სუმბატ I-მა ააგო დოლისყანის ტაძარი. მისი გუმბათის ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე დაცულია ქტიტორის რელიეფური გამოსახულება. ტაძრის მოდელით ხელში **(ამირანაშვილი 1971:172)**. 2. ბეღიაში მას მიერ აგებულ კათედრალებს სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ბაგრატ III, ასევე ხელში ტაძრის მოდელითაა გამოსახული **(ქსე, ტ. 2, გვ. 265)** და ა. შ.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" მოთითებულია მშენებელთა სახელებიც. იქ ვკითხულობთ: „აღეშენა... წმიდად და დიდი უდაბნოდ ოპიზად მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი" **(ძეგლები 1964: 322)**. ოპიზა წარმოადენდა სამონასტრო კომპლექსს. მისი მთავარი ჯვარგუმბაოვანი ეკლესია „აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით უჩვეულოდ დაგრძელებული ნაგებობაა. გუმბათის ყელი კედლების შვერილებს ეყრდნობა,რომლებიც გაკეთებულია დიდი ბურჯების სახით. დასავლეთის მკლავი ერთიან, გრძელ დარბაზს წარმოადგენს, შიგნით კედლები შემოსილია თლილი ქვის კვადრებით. გუმბათის ყელი აღუდგენიათ X ს-ის I ნახევარში. იგი 12 წახნაგოვანია და ყოველი წახნაგი საკუთარი ფრონტონით არის აღჭურვილი. გუმბათის „სახურავი სანახევროდ გაშლილ ქოლგას მოგვაგონებს" **(Бердзе 1967: 42)**. შენობას არა აქვს ცენტრალური შესასვლელი. მისი უბრალო კარი პატარა მინაშენში გამოდის:

ოპიზაში აღინიშნება სამონასტრო კომპლექსის სხვა ნაგებობანიც. ერთი მათგანია დიდი სამნავიანი შენობა, რომელიც ბერების სატრაპეზო ადგილი უნდა ყოფილიყო. ლ. მენაბდე ვარაუდობს, რომ ეს ნაგებობა სასწავლო დაწესებულებათაც (სემინარიისათვის) გამოიყენებოდა **(მენაბდე 1962: 389)** სატრაპეზოს თაღები და კამარები სუფთად გათლილი ქვითაა ნაგები. კედლები კი— უფრო უხეშად დამუშავებულით.

ქრონოლოგიურად მომდევნო სავანე კლარჯეთში არის **ხანძთა**. მისი ადგილმდებარეობა საბოლოოდ დაუდგენელია. ნ. მარმა ხანძთად მიიჩნია მდ. იმერხევის მიდამოებში, მდ. კარჩხალის ძნელად მისადგომ ნაპირზე მდებარე ე.წ. „ნუკა- საყდარი" პ. ინგოროყვამ უარყო ეს იდენტიფიკაცია. მისი აზრით, ხანძთა არის სოფელ ფორთის მთავარი ტაძარი, რომელსაც ნ. მარი შატბერდად თვლიდა. **(ინგოროყვა 1954: 311)**. შ. ამირანაშვილს პ. ინგოროყვას მტკიცებანი სავსებით ზუსტად მიაჩნდა და ფორთას ტაძარს განიხილავდა როგორც ხანძთას **(ამირანაშვილი 1971:170)**. ჩვენი აზრით პ. ინგოროყვას მტკიცების სისწორეს აძლიერებს ფორთის ტაძრის კედლების წარწერაში ხუროთმოძღვარ ამონას მოხსენიება **(ქსე, ტ. 9, გვ.366)**.

გრიგოლმა IX საუკუნის 60-იან წლებში ხანძთაში ააგო ხის ეკლესია **(ძეგლები 1964:251)**. ხოლო ახალი ტაძრის აშენება დაიწყო ერისთავთერისთავმა აშოტ კუხმა (გარდ. 918 წ.). მისი მშენებლობა დამთავრებულა ერისთავთერისთავის გურგენის (გარდ. 941 წ.) დროს. გიორგი მერჩულეს გადმოცემით ტაძრის ხუროთმოძღვარი ყოფილა „სიბრძნითა მშენებელი" ამონა **(იქვე:277)**. ა. პავლინოვის აღწერით, ფორთის ტაძარი არის ჯვარგუმბათოვანი შენობა. გეგმაში მას დაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობა აქვს. ჯვარედინზეა ამოყვანილი გუმბათი, რომელიც ოთხ ბურჯს ეყრდნობა. შიგნით მკაფიოდ არის გამოყოფილი მაღალი ჯვაროვანი შუა სივრცე და უფრო დაბალი ნაწილები კუთხეებში. გუმბათს ამკობს დეკორაციული თაღები და ხერხის მაგვარი კარნიზი. გუმბათის სახურავს აქაც ნახევრად გაშლილი ქოლგის სახე აქვს. ტაძრის პროპორციები გამოირჩევა კლა-

სიკური სისწორით და სილამაზით. ქვის წყობა არის მეტად დახვეწილი და მაღალხარისხოვანი. ჩუქურთმა მხოლოდ ფანჯრების წარბებზეა გამოყენებული. ხუროთმოძღვარ ამონას ნამუშევარი, შ. ამირანაშვილის შეფასებით „საერთოდ საამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეს ადასტურებს“ **(ამირანაშვილი 1971:170)**.

გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწემ საბამ ანუ საბანმა არაბთაგან დარბევის შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა აღადგინა **იშხანის** სავანე. იგი VII საუკუნის 30-იან წლებში იყო აგებული, ეროვნებით სომეხი, ქალკედონისტი ეპისკოპოსის ნერსესის მიერ. იგი წარმოადგენდა მრგვალი ტიპის ნაგებობას. რომლის ცენტრი იყო მაღალი ტენტრაკონქი, გარშემო წრის სახით შემოვლებული გალერეით. გარეგნულად ასეთი შენობები დიდად ეფექტურ ნაგებობას წარმოადგენდნენ, მაგრამ მოკლებული იყვენენ სიმტკიცეს და ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერიათ. ასეთი ბედი გაიზიარა იშხანმაც. 826 წლის ახლო ხანებში იშხანი გაიარეს გრიგოლ ხანძთელმა და მისმა დისწულმა საბამ. საბას მოეწონა იშხანი და გადაწყვიტა იქ დამკვიდრებულიყო, რისი თანხმობაც მიიღო გრიგოლისაგან. საბასთან ერთად იშხანში დაემკვიდრა მოახალშენეები ხანძთიდან.

საბასაგან დაწყებულ მშენებლობას მხარი დაუჭირა ბაგრატ კურაპალატმა (826—876). მის დროსვე იშხანში დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა. პირველი ეპისკოპოსი საბა გახდა. საბას დროს განახლდა VII საუკუნის შენობა და ახალი კათედრალი არ ყოფილა აგებული. იშხანის ახალი კათედრალი პ. ინგოროყვას აზრით, აგებულია X ს-ის შუა ხანებში **(ინგოროყვა 1954:589)**. საბოლოო სახე მან მიიღო ბაგრატ IV -ის დროს, 1032 წ. იშხანი მდებარეობს ტაოში, ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

იშხანის ტაძარი ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმნილებაა. იგი აგებულია ძველს ადგილზე. თანაც წინანდელიდან მასში ჩატანებულია ერთი ნაწილი (მრგვალი აფსიდი რვა სვეტზე). ტაძარი თვალსაჩინოდ წაგრძელებული ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობაა; რომლის ჯვარისებური მოხაზულობა თითქმის მთლიანად ისახება გარედანაც, მიწის დონეზე. მკლავები გარდა აღმოსავლეთისა სწორკუთხაა. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს მცირე აფსიდებით დასრულებული სადიაკვნე და სამკვეთლოა. დასავლეთის მკლავი წარმოადგენს სწორკუთხა დარბაზს. ჩრდილოეთით მიშენებულია უაფსიდო სადგომი. გუმბათი ეყრდნობა ცალკე მდგომ ოთხ ბოძს. რომელთაც ჩუქურთმებით შემკობილი ბაზისები და სვეტისთავები აქვთ. „იშხანის ტაძარი ორნამენტის მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და ხარისხით თავისი დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლია“ **(ქსე, ტ. 5, გვ. 288)**.

გვიანი ხანის ბაზილიკები წარმოდგენილია ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ტაძრით – ოთხთა ეკლესიით და პარხალით. **ოთხთა ეკლესია** მდებარეობს მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. წერილობითი წყაროების მიხედვით იგი აგებული ყოფილა IX ს-ში. ზუსტად იმ დროს, როცა საბან იშხნელმა განაახლა იშხნის ტაძარი. ნაგებობის ძირითადი საშენი მასალა ყოფილა კვად-

რატული ფორმის დიდი („ქართული“) აგური და რიყის ქვა. XI ს-ის II ნახევარში, დავით III კურაპალატს ტაძრის დასავლეთ ნაწილში მიუშენებია პატრონიკონი (ბერთა სადგომები), კედლები შეუმოსავს მორუხო-მოყავისფრო ქვის პერანგით, ფასადები შეუმკია კამარებით. ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო და დიდი სამნავიანი შენობაა. ფიქრობენ, რომ იგი სემინარიისათვის იყო განკუთვნილი **(Беридзе 1967:93)**.

პარხალი მდებარეობს ტაოში, ჭოროხის მარცხენა შენაკადის მდ. პარხლის წყლის ხეობაში. სავანე შესწავლილი აქვს ექვ. თაყაიშვილს. ტაძრის ღირსშესანიშნაობით გ. ყაზბეგიც აღფრთოვანებული იყო. აღინიშნება კედლების წარწერების სიუხვე.

პარხალი აუშენებია დავით კურაპალატს, ოთხთა ეკლესიის მიბაძვით. რადგან ქტიტორი წარწერებში მოხსენიებულია მაგისტროსის წოდებით, პარხალი X ს-ის 70-იან წლებში უკვე დამთავრებული ჩანს. უფრო აზუსტებს ამ თარიღს იოანე ბერაჲს მიერ 973 წელს გადაწერილი ოთხთავი, რომლითაც დასტურდება, რომ სახარება ქალიგრაფს გაუმზადებია „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დასადებად“ ე.ი. ტაძარი ამ დროს ახალი დამთავრებული ყოფილა.

გვიანდელ ბაზილიკებს – ოთხთა ეკლესიას და პარხალს განსხვავებით ადრინდელისაგან ინტერიერი გაცილებით უფრო ვრცელი აქვთ. ამასთან, როგორც შუათანა ისე გვერდით ნავებში ფანჯრების დიდი რაოდენობაა ჩატანებული. „ამრიგად, — წერდა შ. ამირანაშვილი,— ბაზილიკური თემა განმეორებულია IX—X საუკუნეებში ახალი სახით, ვინაიდან მრავალი არსებითი ცვლილებაა შეტანილი ნაგებობების კონსტრუქციასა და მხატვრულ გაფორმებაში“ **(ამირანაშვილი 1971:175)**.

გარეგნული არქიტექტურული კონსტრუქციებითა და ფორმებით ტაო-კლარჯეთის ტაძრებისაგან განსხვავებულია **ბანა**[1]. იგი აგებულია მეფე ადარნასე კურაპალატის (888—923) მიერ. სუმბატ დავითის ძის ცნობით: „და ამან ადარნასე... აღაშენა ბანა ხელითა კვირიკე ბანელისათა, რომელ იგი იქმნა პირველ ეპისკოპოსს ბანელ“ **(ქ. ცხ. 1955:379)**. ბანა მდებარეობს ტაოში, ოლთისისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ახლანდელი სოფ. ბენიაკის ახლოს. თუმცა, როგორც ვნახეთ, სუმბატის ცნობით, სავსებით გარკვეულია ბანას აგების დრო, გ. ჩუბინაშვილი მაინც მიიჩნევდა, რომ ბანა VII ს-ის ძეგლს წარმოადგენდა და IX—X საუკუნეებში მხოლოდ მისი რესტავრაცია მოხდა **(ჩუბინაშვილი 1936:178)**.

პ. ინგოროყვა ანალოგიას ხედავდა იშხანისა და ბანას შენობების აღნაგობაში, ერთი ტიპის შენობებად მიიჩნდა ისინი და თუ ბანას ტაძარმა საუკუნეებს გაუძლო[2] ხოლო იშხანი ადრე დაინგრა ამის მიზეზად ასახელებდა იმას „რომ ბანის გენიოს ხუროთმოძღვარს თავიდან აუცილებია

[1] ა. შანიძის გამოკვლევით ამ პუნქტის ადრინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ბანაკი. ქ-ს ჩამოცილებით მიღებულია ბანა.

[2] ბანა ძლიერ დაზიანდა მხოლოდ ტაოს მხარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის (1878 წ.) წინ.

ის კონსტრუქციული დეფექტები, რომელიც ძველ იშხანს ჰქონია. ბანის ხუროთმოძღვარმა შექმნა მხატვრულად კიდევ უფრო სრულყოფილი, ხოლო კონსტრუქციულად ბევრად უფრო მკვიდრი ნაგებობა" **(ინგოროყვა 1954:336)**.

ბანა წარმოადგენს მრგვალი სამსართულიანი ტიპის რთული კონსტრუქციის ნაგებობას. მისი ცენტრი იყო წრეში ჩაწერილი ჯვარი, რომელიც ოთხი აფსიდით მთავრდებოდა. ამ ჯვარისებურ სივრცეს ირგვლივ შემოვლებული აქვს გალერეა. მრგვალი ტიპის ტაძრებს აგებდნენ სომხეთშიაც, მაგრამ ისინი, როგორც იშხანი, ხანმოკლე დღისანი აღმოჩნდნენ. რაც გამოწვეული იყო ძირითადი კონსტრუქციების გადაჭარბებული სირთულით. ბანას ხუროთმოძღვარმა გაითვალისწინა ეს საშიშროება და თითოეულ აფსიდს დაუყენა მრგვალ სვეტებზე აგებული კამარების რიგი. საკურთხევლის აფსიდში იყო ექვსი სვეტი. დანარჩენებში—ოთხ-ოთხი. შენობა, ფაქტობრივად, უზარმაზარ ტენტრაკონქს წარმოადგენდა. „ტეტრაკონქს შემოვლებული ჰქონდა წრიული გარშემოსავლელი, — წერდა შ. ამირანაშვილი, — შემორკალული დერეფნის სახით, რომელიც დიდ სიმყარეს აძლევდა ნაგებობას" **(ამირანაშვილი 1971:181)**.

ტაძრის სიმყარე გარანტირებული იყო გუმბათების საყრდენებითაც. ასეთად გამოიყენებოდა ოთხი საყრდენი სქელი კედელი. გუმბათი მათ გარეგან ნაწილს ეყრდნობოდა. წრიული გარშემოსავლელი საჭირო იყო სიმყარის შესაქმნელად. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა სამსართულიან გუმბათის ბურჯებსაც. გუმბათოვანი გადახურვის დიამეტრი 9 მეტრს აღემატებოდა. ჯვრის ოთხი თანაბარი სიდიდის მკლავის სიმაღლე ოთხჯერ მეტი იყო ვიდრე სიგანე. შენობას მთელი სიმაღლე 30 მეტრზე მეტი ჰქონდა. ტაძრის ხუროთმოძღვრული დეტალები და მორთულობა ტექნიკური ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. ფასადის მთელ პერიმეტრს მისდევს დეკორაციული თაღედი. თაღებს ზემოთ და სვეტისთავებზე მცენარეული ჩუქურთმებია ამოკვეთილი.

დავით კურაპალატის სააღმშენებლო მოღვაწეობა არ ამოიწურება ოთხთა ეკლესიისა და პარხალის აგებით. მის დროსაა აშენებული ქართული ხუროთმოძღვრების კიდევ ორი შედევრი – ოშკი და **ხახული**. ამ უკანასკნელის თაობაზე საგანგებოდ ჩერდება მემატიანე. დავით კურაპალატზე საუბრისას სწერს: იგი იყოო „ეკლესიათა მშენებელი... ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღრმთისა, წმინდა ეკლესია ხახულისა" **(ქ. ცხ. 1955:274)**. „ქართლის ცხოვრების" ზოგიერთი ნუსხისა და ვახუშტის მიხედვით, ხახულში ტაძარი აუგია დავით I-ს (876—881). ლ. მენაბდე ფიქრობს, რომ მან ააგო მცირე ეკლესია, ხოლო დავით III-მ დიდი ტაძარი **(მენაბდე 1962: 454—455)**. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოშკის, 961 წლის სააშენებლო წარწერაში დავით კურაპალატი (მაშინ მაგისტროსი) მოხსენიებულია მამასთან და ძმასთან (ბაგრატ ერისთავოერისთავი) ერთად და თანაც, გავიხსენებთ „მატიანე ქართლისას" ზევით მოტანილ ცნობას, სადაც დავით III-ის მიერ მხოლოდ ხახულის ტაძრის აგებაზეა საუბარი, უნდა ვივარაუ-

დოთ—მან ეს ტაძარი თავისი ერთმმართველობის დროს, ე.ი. 966—1001 წლებს შორის ააგო. ვახუშტის გადმოცემით, ხახულის ტაძარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობისა იყო (ქ. ცხ. 1973:686).

ხახული, რომ მნიშვნელოვანი ძეგლი იყო, ამას მარტო „მატიანე ქართლისას“ ავტორისაგან მისი აგების საგანგებოდ აღნიშვნა არ გვიჩვენებს, არამედ გიორგი მცირეს მიერ „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“, სხვებისაგან განსხვავებით, ამ ტაძრის „დიდ ლავრად“ მოხსენიებაც ადასტურებს. ხახული მდებარეობს ისტორიულ ტაოში, მდინარე თორთუმის მარცხენა შენაკადის ხახულისწყლის, მარცხენა ნაპირზე.

ხახულის ტაძარი ეკუთვნის ჯვარის სახის ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობების ჯგუფს. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე შენობის მკლავებს აქვს სწორკუთხედის მოყვანილობა. გუმბათი აღმოსავლეთის მხრიდან ეყრდნობა კედლის მომრგვალებულ ბოლოს, დასავლეთი მხრით კი — ორ-ორ თავისუფლად მდგომ ბოძს. გუმბათი გადახურულია მოჩიქუნლი კრამიტით. ტაძრის დასავლეთი მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. საკუთრხეველის აფსიდის კედლის ქვედა ნაწილში დატანებულია ცხრა საკმაოდ მაღალი ნიში.

გუმბათის ყელი პროპორციულია, იგი მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს. გარედან გუმბათის ყელის ზედაპირი შემკულია 16 კამარით. მათგან რვაში გაჭრილია სარკმელი. კამარები ეყრდნობა ორმაგ გრეხილ სვეტებს, რომელთა ბაზა და სვეტისთავები მოჩუქურთმებულია. ტაძარი საერთოდ მდიდარია ჩუქურთმებით და რელიეფებით. „გამოირჩევა სამხრეთის შეწყვილებული სარკმლის კომპოზიცია. სარკმლის თავზე ორი ფერის ქვით გამოყვანილი რადიალურად გაშლილი სხივებია, ხოლო მათ ფონზე შეწყვილებული სარკმლის თაღებშუა ჩასმულია არწივის ჰორელიეფური გამოსახულება“ (ქსე, ტ. 11, გვ. 448). რადგან ტაძარში ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდანაა, ფასადებს შორის უკეთ გაფორმებულიც სამხრეთის ფასადია. შესასვლელი კარის ზემოთ გამოსახულია რელიეფიური კომპოზიცია—ჯვრის ამაღლება. ტაძარი შიგნიდანაც უხვად არის შემკული ჩუქურთმებით. შემორჩენილია ფერწერის ფრაგმენტებიც. ტაძარი ყურადღებას იპყრობს პროპორციულობით, კედლის სიბრტყე არქიტექტორის მიერ მკვეთრადაა აქცენტირებული. ფასადებზე არაა გამოყოფილი ნიშები, რომელიც დაარღვევდა კედლის სიბრტყეს, ეს კი შენობის ხედის მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ზრდის. „ერთი სიტყვით,—წერდა შ. ამირანაშვილი,— ხახულის ტაძარი წარმოადგენს X ს. ქართული არქიტექტურის თვალსაჩინო ნაწარმოებს, ტიპიურს ტაო-კლარჯეთის მხატვრული სკოლისათვის. ხახულის ტაძრის არქიტექტორი დიდი შემოქმედებითი ნიჭის ხელოვანია...მისი მხატვრული გემოვნება მეტისმეტად დახვეწილია და თავშეკავებული“ (ამირანაშვილი 1971:186).

ხახულის სამონასტრო კომპლექსში გარდა მთავარი ტაძრისა შედიოდა კიდევ რვა მცირე ეკლესია. ხუთი-გალავანს შიგნით, ხოლო სამი-გარეთ. მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა მთავარი ტაძრის სამხრეთით მდებარე ბაზილიკა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან ხუროთ-მოძღვრულ ძეგლად, მკვლევარების მიერ მიჩნეულია **ოშკი**. ეს არის ფეოდალურ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საკულტო ნაგებობა. მოცულობით მას ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი და ალავერდი თუ შეედრება. ოშკი მდებარეობს ხახულის ახლოს. იგი აგებულია თორთუმისწყლის მარცხენა შენაკადის ხახულისწყლის ხეობაში. ასეთი სიახლოვე და ძველ ქართულ წყაროებში ოშკის მოუხსენებლობა ნ. შოშიაშვილს აფიქრებინებს, რომ „ოშკი და ხახული იყო გაერთიანებული ერთ დიდ მონასტრად, ხახულის სახელწოდებით" **(ქწქ I 1980:46)**.

ცოტა ხნის წინათ ვთქვით, რომ მთავარი სააშშენებლო წარწერის მიხედვით, ოშკის ქტიტორები იყვნენ აღარნასე კურაპალატის (გარდ. 961 წ.) ძეები—ბაგრატ ერისთავთერისთავი (გარდ. 966 წ.) და დავით მაგისტროსი (შემდეგში ტაოს მეფე (966-1001) დავით III, დიდი კურაპალატი)[1]. ოშკში 20-ზე მეტი წარწერაა შესწავლილი. ერთ მათგანში ქტიტორთა მამა ადარნასე კურაპალატად და ცოცხლად იხსენიება. მან ეს წოდება მიიღო 958 წელს, ხოლო გარდაიცვალა სამი წლის შემდეგ. ე.ი. ტაძრის მშენებლობა 961 წელს ვერ გადმოსცილდება **(თაყაიშვილი 1917:49--51)**. მეორე დაზიანებულ წარწერაში ნაჩვენებია, რომ ტაძარი შენდებოდა 10 წლის განმავლობაში **(ქწქ I 1980:303)**. ამ მონაცემების გაგებაში სხვაობის გამო, მკვლევარები (მ. ბროსე, ივ. ჯავახიშვილი, ექ. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ვ. ჯობაძე, ნ. შოშიაშვილი აგების სხვადასხვა თარიღს ასახელებენ. ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია მკვლევართა მოსაზრებების აწონ-დაწონვისა და წარწერების სრულყოფილი ანალიზის შედეგად მიღებული ნ. შოშიაშვილის დათარიღება: „ამრიგად ოშკის ტაძარი შენდებოდა დაახლოებით 950-960 წლებში"[2] **(იქვე: 55)**.

ცნობილია ოშკის მშენებლის სახელიც. ტაძრის სამხრეთის მკლავის კარის ტიმპანზე საღებავებით შესრულებულ წარწერაში მოხსენებული „გრიგოლ საქმისა ზედამდგომი", ე.ი. ტაძრის მშენებლობის გამგებელი, გაიგივებულია ეფრემ მცირესთან დასახელებულ საღვთისმეტყველო წიგნების მთარგმნელ გრიგოლ ოშკელთან და ითვლება ტაძრის მშენებლად. **(ბერიძე 1967:75)**.

ოშკი ახალი დროის ტიპიური ნაწარმოებია. იგი საკმაოდ ასახავს იმ მხატვრულ მიმდინარეობას, რომელიც წარმოიშვა ჩვენში X საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს. ტაძარი წინა ხანის ძეგლებისაგან სიდიდით და პროპორციებითაც გამოირჩევა. ოშკის ტაძრის გეგმა ჯვრისებრი მოხაზულობისაა. ნაგებობა წარმოადგენს ტეტრაკონქს, ე.ი, ჯვრის სამი მკლავი (აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი) ნახევარწრიული აფსიდებით მთავრდება, დასავლეთისა კი წაგრძელებულია და უაფსიდო. თითოეულ აფსიდს ორივე მხრიდან მიშენებული აქვს კამერები. შენობის ფასადის

[1] **ქართული წარწერების კორპუსი**, I, 1980, გვ. 50

[2] ვ. ჯობაძის გამოკვლევით, ოშკი აგებულია 963-973 წწ. შორის (ჟურნ. **„ლიტერატურა და ხელოვნება"**, 1993, №1-2, გვ. 247).

სამივე მხარეს მოთავსებულია ღრმა ნიშები. სამხრეთის კედელს გასდევს ღია გალერია. რომლის ორ მწკრივად განლაგებული სვეტები მორთულია ჩუქურთმებით და რელიეფებით. ტაძრის კედლების სიმაღლე შენობის კორპუსის სიგანესთან შეფარდებით გაზრდილია. გუმბათის ყელი ამაღლებულია. მას დაბალი წახნაგები აქვს, ცილინდრული ფორმისაა და დეკორაციული თაღებით 14 არედ არის დაყოფილი. გუმბათის ყელში 4 ნაცვლად 12 სარკმელია. „შენობის პერანგი, თლილი ქვის მშვიდრო წყობით, მთლიან მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს" **(ამირანაშვილი 1971:182)**. ტაძარს ორი შესავალი კარი აქვს. ერთი დასავლეთ კედელშია დატანებული, მეორე—მთავარი ნავის ჩრდილოეთ კედელში.


„ტაძარი უხვადაა შემკული ჩუქურთმებით, ხოლო რელიეფების სიმდიდრით ოშკს ერთ-ერთი უპირველესი აღგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა შორის" **(ქსე, ტ. 7, გვ. 620)**. ამ მხრივ უველაზე საყურადღებოა მთავარი, სამხრეთის ფასადი, სადაც გამოსახულია ქტიტორები და მაშენებელი—გრიგოლი. სამხრეთის კარიბჭის ერთ სვეტზე დაცულია ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს რელიეფური ქანდაკება. იგი უველაზე ადრინდელი და ერთადერთია საქართველოში **(მენაბდე 1962:448)**. უველა დასახელებული რელიეფი „ვედრების" პოზაშია შესრულებული. გარდა ადამიანებისა მრავლადაა ცხოველების (ხარები, ირმები, ფრინველები) რელიეფები. მრავალი მოტივი წინაქრისტიანული წარმოშობისაა. მაგრამ ისეთები, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის მიერ ნებადართულნი იყვნენ. „დეკორაციული ქამარების გამოყენება შენობის ფასადების მხატვრულ გაფორმებაში,—წერდა შ. ამირანაშვილი,—სარკმელთა ჩარჩოებსა და წარბების მოჩუქურთმება, შენობის მორთულობაში ფერების გამოყენება, უველა ეს, ოშკის ტაძრის, როგორც სრულყოფილი ხელოვნების ნაწარმოების, დამახასიათებელი ნიშანია" **(ამირანაშვილი 1971:183)**.

მთავარი ტაძრის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით აუგიათ სამონასტრო კომპლექსში შემავალი კიდევ ორი ეკლესია. მათი მშენებლობა დაუწყიათ 963 წელს და დაუმთავრებიათ 966 წელს **(ქწქ I 1980:45)**. ისინი მთავარ ტაძართან ერთად, 1917 წელს, შეისწავლა ექვ. თაყაიშვილმა. მისი აზრით, ერთი დიდი ნაგებობის ნანგრევი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. მას ეკვრის სფერისებრი გუმბათით დახურული, დიდი ოთხკუთხა დარბაზი, რომლის განპირება ხდება ზედა ცენტრალური სარკმლიდან. ამ დიდ დარბაზში ეწყობოდა ბერების შეკრებები. იგი გამოიყენებოდა სატრაპეზოდაც, მაგრამ იგი, ძირითადად, სემინარიის სამეცადინო ოთახს წარმოადგენდა. გუმბათიან დარბაზში კი მოწყობილი იყო ბიბლიოთეკა. აქ მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა **(Бериdзе 1967:47)**.

შ. ამირანაშვილის აზრით, ოშკისა და ხახულის ტაძრების ძირითადი კომპოზიცია დაედო საფუძვლად ქართული არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპს **(ამირანაშვილი 1971:229)**. ხოლო ვ. ბერიძის მიხედვით, რომლის პერიოდიზაციითაც, „X ს. ბოლო ათეული წლებიდან და XI საუკუნის

სამების ტაძარი

სამხრეთ-დასავლეთის ფასადის თვალსაწიერი ფოტოების ალბომის ერთ-ერთი ფოტოსურათი



ბედიის ტაძარი

სრული რესტავრაციის პროექტი ი. გარსოშაშვილისა

დასაწყისიდან უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ახალი სტილის—განვითარებული შუა საუკუნეების სტილის—სრული ჩამოყალიბების შესახებ" **(სინ 1973:639)**. ასეთი სტილის მიკუთვნების გამო იგი ოშკსა და ხახულს უკვე ამ პერიოდის ქმნილებებად განიხილავს. რადგან ეს კონცეფცია ეჭვს არ იწვევს, უფრო მეტი დამაჯერებლობით შეგვიძლია მივაკუთვნოთ განვითარებული (უფრო სწორად—კლასიკური) ხანის არქიტექტურას ბაგრატ მესამის ზეობაში აგებული სამი ტაძარი: ნიკორწმინდა, ბედიისა და ჭუთაისის კათედრალები.

ნიკორწმინდა მდებარეობს საქართველოს ისტორიული პროვინციის რაჭის, ამბროლაურის რაიონში. მისი აგების თარიღი ირკვევა საალმშენებლო წარწერით, რომელშიაც დასახელებული ისტორიული პირების (კერძოდ—ბაგრატ III-ის) ტიტულატურის კომპონენტები აზუსტებენ ტაძრის აგების საკითხს. ამ თემაზე ჩვენ ზევით უკვე გვქონია საუბარი, სადაც ვთქვით, რომ ნიკორწმინდის მშენებლობა დამთავრებულა 1010—1014 წლებს შორის. სწორედ ეს თარიღია დადგენილი ტაძრის საალმშენებლო წარწერის უკანასკნელ გამოცემაში **(ქწ I 1980.55)**.

ნიკორწმინდა მიჩნეულია კლასიკური პერიოდის ქართული არქიტექტურის ტიპიურ ნიმუშად, მაგრამ აჩვენებს ზოგიერთ განსხვავებულ ნიშანსაც და მას მსგავსებას უძებნიან მასავით განსხვავებულ ნიმუშებთან (კუმურდო, ოლთისი, ბოჭორმა, კაცხი). იგი არის ექვსაფსიდიანი ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობა, რომლის შინაგანი სივრცე, თანახმად ხუროთმოძღვრის გააზრებისა, ერთიან შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძარი შესამჩნევადაა დაგრძელებული მთავარი ღერძის გასწვრივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. გარედან კი ტაძარი მრავალკლავებიანი ჯვრის ფორმისაა.

ნიკორწმინდის საკურთხეველის აფსიდი ამოყვანილია გუმბათის ქვეშ მოთავსებული ექვსწახნაგოვანი ფუძის მიხედვით. გუმბათი ეყრდნობა ექვს აფსიდს შორის მოთავსებული კედლის შვერილს, რომელსაც ნახევარსვეტის ფორმა აქვს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავი შენობისა უფრო გრძელია ვიდრე ჩრდილოეთისა და სამხრეთის. სადგომები და კარიბჭე ტაძრისა მიშენებულია სამხრეთის ფასადიდან. კარიბჭე დასავლეთის მხრიდანაც აქვს შენობას. ზოგი მკვლევარის ვარაუდით, ისინი მშენებლობის დამთავრების შემდეგ უნდა იყოს აგებული. ისევე როგორც XI საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ყველა მნიშვნელოვან ტაძარს, ნიკორწმინდასაც აქვს სამხრეთის მინაშენი. შ. ამირანაშვილის განმარტებით: „XI საუკუნიდან ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ნაგებობის ზოგად კომპოზიციაში სამხრეთის მინაშენს, რომელიც საგანგებო დანიშნულების გარდა, სამხრეთის ფასადის მხატვრულ გაფორმებაში განსაკუთრებით კი არქიტექტურული მასების განაწილებასა და შეფარდებაში, წამყვან როლს ასრულებს" **(ამირანაშვილი 1971:240)**.

ნიკორწმინდის ტაძრის ფასადები შემოსილია კარგად გათლილი ქვით და დამუშავებულია უწყვეტი თაღებით. ასეთივე თაღებით არის დამუშავებული 12 სარკმლიანი გუმბათის ყელიც. ნიკორწმინდა დღემდე შემორჩენილ ძეგლთა შორის უნიკალურია ჩუქურთმებისა და რელიეფების რაო-

დენობით. ეს იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება საჭირო არ არის. დავასახელებთ მხოლოდ მრავალფიგურიან ბიბლიურ რელიეფებს—„ფერისცალებას“ „მეორედ მოსვლას“ და „ჯვრის ამაღლებას“.

„მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის მიხედვით, ბაგრატ III-მ **ბედიაში** ააგო ტაძარი, აქ გუდაყვიდან გადმოიტანა საეპისკოპოსო კათედრა. ტაძარი სანიმუშო ყოფილა სამკაულებით. მეფეს უზრუნვია მონასტრის ქონებრივი მდგომარეობის განმტკიცებისათვის. შეუწირავს მისთვის სოფლები და ხევები (**ქ.ცხ. 1955:281**). ზვიად ერისთავმა ტაოში გარდაცვლილი ბაგრატ III ბედიაში დაასაფლავა. ამ ცნობასთან დაკავშირებით, ზ.ანჩაბაძე საგანგებოდ ჩერდება ბედიის მნიშვნელობაზე. იგი ბედიას ახასიათებს, როგორც თავდაცვისათვის მოხერხებულ ადგილს და მიიჩნევს, რომ იგი ბაგრატის ერთერთი პოლიტიკური რეზიდენცია იყო (**Анчабадзе 1959:170**). წერილობითი ცნობით, ან სხვა მასალით ეს არ მტკიცდება. აქამდე მოღწეულ ტაძრის ძველ ნაშენებ შრეებში კი შემორჩენილია X—XI სს. ფრაგმენტები, რაც კარგად ამტკიცებს მემატიანის გადმოცემას, რომ ბაგრატმა ბედია, მართლაც, მნიშვნელოვან საკულტო კერად გადააქცია.

ბედიის ტაძარს, როგორც ხუროთმოძღვრულ ძეგლს ჩვენ არ შევეხებით, ვინაიდან იგი XII—XIV საუკუნეების ნაგებობაა და სცილდება ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ არეალს.

ბაგრატის ტაძრის ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა ჩვენ ამ წიგნის წინათქმაში გვაქვს ჩამოყალიბებული. რაც შეეხება ტაძრის, როგორც ხუროთმოძღვრული ქმნილების მეცნიერულ შესწავლას იგი, ჯერჯერობით, საწყის მდგომარეობაშია. მართალია, ჩატარებულია მნიშვნელოვანი საკონსერვაციო სამუშაოები და ახლახან ტაძრის აღდგენის ფონდიც შეიქმნა, მაგრამ აქამდე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში აღწერილობითი ხასიათის მასალა ჭარბობს და ტაძრის ინტერიერის იატაკიც კი არ არის გაწმენდილი თავი, რომ დავანებოთ შენობის ბალავრისა და კედლების მდგომარეობის გამოკვლევას, მათი მომავალი ბედის გასათვალისწინებლად.

როგორც ვნახეთ, „მატიანე ქართლისას“ ავტორი საგანგებოდ შერჩეული ლექსიკით მოგვითხრობს ბაგრატ III-ის მიერ ბედიის ტაძრის აშენებისა და სარგოს გაჩენის შესახებ. მაგრამ იგი იქვე უფრო საზეიმო-პანეგირიკული ტონით გვიამბობს ქუთათისის კათედრალის აგებისა და კურთხევის თაობაზე. „ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწვდომელითა,—წერს იგი,—რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველი ხელმწიფენი დ კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღვარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“ (**ქ.ცხ. 1955:281**). როგორც ვხედავთ, ბაგრატს ქუთაისის ტაძრის კურთხევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუნიჭებია. და ეს არც იყო გასაკვირი. ამ ცერემონიალით მკაფიოდ გამოიხატებოდა საქართველოს გაერთიანების საქმეში მოპოვებული დიდი წარმატებანი, ხოლო გრანდიოზული

კათედრალის, მაინცდამაინც, ქუთაისში მშენებლობით და მისი კურთხევის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიცემით, აღინიშნებოდა სამხრეთ საქართველოში დამკვიდრებული დიდი სამონასტრო კერებისათვის ქუთაისში ღირსეული პარტნიორის გაჩენა. პარტნიორისა, რომლის ავტორიტეტი უფრო მაღალი იყო გაერთიანებული ქვეყნის სატახტო ქალაქში ყოფნისა და მეფის უშუალო მეურვეობა— მხარდაჭერით. ქუთაისის კათედრალის უპირატესობებს აძლიერებდა ის ფაქტიც, რომ სვეტიცხოვლის აგება მხოლოდ იწყებოდა, ხოლო ქუთათელი ეპისკოპოსი, თანდათან იკვეთება, გაერთიანებულ საქართველოში, როგორც მცხეთის კათალიკოსის შემდეგ მეორე იერარქი. იგი ხომ სახელმწიფოს სატახტოში ზის და თანაც კათედრა ისეთ ტაძარში უდგას, რომელზე დიდებულიც სამეფოში ჯერ არ აგებულა.[1]

მაგრამ ბაგრატ მეფე არ ფიქრობდა მიღწეულით დაკმაყოფილებას. „თუკი ქუთაისის კათედრალის მშენებლობა შეიძლება მისი დედაქალაქობის სიმბოლურ გამოხატულებად ვცნოთ, —წერს დ. მუსხელიშვილი.—იმავე ბაგრატ III-ის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის აგება აშკარად უნდა მიუთითებდეს მისი სახელმწიფოებრივი მშენებლობის კურსის მომავალ მიმართულებაზე" **(მუსხელიშვილი 1980:232--233)**. ამ მოსაზრებას შეიძლება დავუმატოთ, რომ ბაგრატ III-ის დროს უკვე დასახელებულ ტაძართა გარდა აიგო ან დაიწყო მშენებლობა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, კერძოდ ისეთებისა, როგორცაა: კუმურდოს, კაცხის ალავერდის, სამთავისის ტაძრები და საერო დანიშნულების შენობები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაგრამ მათი არსებობა უცილობლად შეიძლება მივიჩნიოთ. ბაგრატ III-ის ზეობის ეპოქა, რომ მართლაც დიდ მშენებლობათა ხანა იყო და მეფე უშუალო მონაწილეს წარმოადგენდა ამ პროცესში, ეს ჩანს იქედანაც, რომ მისთვის თანამედროვეებს საქართველოს მეფეთა შორის პირველისათვის „აღმაშენებელი" შეურქმევიათ **(ქსძ 1963:464)**. ეს ზედწოდება ბაგრატ მეფისათვის მის შესახებ მემატიანის ცნობებთან შეჯერებით ღირსეულად მიკუთვნებულად მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს **(ჯავახიშვილი 1982:87)**. ხოლო თუ ეს თიკუნი მომდევნო თაობებში საბოლოოდ აღარ დამკვიდრდა, ამაში „ბრალი მიუძღვის" უფრო დიდ აღმაშენებელს—მეფე დავით მეოთხეს, რომლის „დიდნი საქმენი" **(ქ.ცხ. 1955:355)** ჩრდილში აყენებენ მის წინანდელ თუ მომდევნო ქართველ მეფეებს.

ქუთაისის კათედრალის აგების თარიღი ირკვევა მისივე წარწერებით. ტაძრის ჩრდილოეთ კედელში სარკმლის ქვემოთ მოთავსებულ დიდი ზომის ქვის ფილაზე მარჯვენა მხარეს იკითხება „ოდეს განმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223". ეს წარწერა იმითაც არის საყურადღებო, რომ

[1] ა. ნატროშვილს, რომელსაც ეკუთვნის ჯერჯერობით გამოცემულთა შორის უკეთაზე სრულყოფილი ნაშრომი სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ, საჭიროდ მიაჩნდა აღენიშნა, რომ ბაგრატის ტაძარი «Превосходил Мцхетский изяществом архитектуры и ценностью материала, так как был построен из белого мрамора и украшен множеством орнаментов и изваяний» **(Натроев 1900:206)**.

რიცხვები გადმოცემულია ე. წ. არაბული ციფრებით და არა ასოებით. ეს პირველი შემთხვევაა ქართულ წერილობით ძეგლებში. ქრონიკონი ნიშნავს 1003 წელს, რადგან ქრონიკონული წელთაღრიცხვა დაიწყო 780 წელს და 223 მას უნდა დაემატოს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძეგლის მშენებლობა განხორციელდა 2 ეტაპად. თავდაპირველად „განუმტკიცებიათ" იატაკი. უგუმბათოდ გადაუხურავთ შენობა და ამგვარი სახით გამოუყენებიათ, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ისევ დაუწყიათ ტაძრის დასამთავრებელი სამუშაოები. მაგრამ პირვანდელ პროექტში ზოგიერთი კორექტივი შეუტანიათ: „ახალი არქიტექტორი შენობის სხეულს აგვირგვინებს თორმეტკუთხიანი და ამდენივე სარკმლიანი გუმბათით, ხოლო ჯვრის მკლავების დაბოლოებებთან უშენებს მდიდრულად გაფორმებულ მკლავებს" **(Н. Северов, Г.Чубинашвили, Памятники грузинской архитектуры, М., 1947,ст.25)**. რამდენად სარწმუნოა ეს ვარაუდი ძნელი სათქმელია, რადგან გუმბათი ისეთ სვეტებზე იყო დაყრდნობილი, რომ მაინ დამოავრებულ, ტაძარში დადგმა წარმოუდგენელია.

ჩვენ, როგორც არა სპეციალისტი თავს ვიკავებთ ამ კამათში ჩაბმისაგან, მხოლოდ მოვიტანთ არქიტექტორ ვ. ცინცაძის აზრს იმის თაობაზე, თუ როგორ ჰქონდა გადაწყვეტილი ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარს თავისი ქმნილებისათვის გუმბათის დადგმის პრინციპი. მკითხველი თავად მიხვდება, რომ გუმბათი თავიდანვე იყო მშენებლობის მთავარი კომპონენტი. პროფ. ვ. ცინცაძე წერდა: „უფრო ადრინდელ ძეგლებში ტექტონიკური მასის ძირითად მზიდ ელემენტს ბრტყელზედაპირიანი კედლები წარმოადგენდა.ბაგრატის ხუროთმოძღვარი უარყოფს ამ პრინციპს. გუმბაოი მან მაღალ ბოძებზე დააყრდნო, ფასადებზე კი სიბრტყიდან სიბრტყეზე, ფასადიდან ფასადზე გადავლებული არკატურის ერთიანი სისტემა იხმარა. მშენებლობის ხელოვნებაში ეს იყო სიახლე ნაკარნახევი განვითარებით" **(ცინცაძე 1964:8)**.

რაც შეეხება ტაძრის კურთხევის შემდეგ მისი სრულყოფის მიზნით ჩატარებულ სააღშენებლო სამუშაოებს, იგი მართლაც შეუსრულებიათ, რაც მშენებლობის შრეების მეცნიერულ შესწავლით დასტურდება. ასეთ მინაშენებად ითვლება—ტაძრის სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან მიშენებული დიდი ზომის პარადული კარიბჭეები და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში აგებული სამსაროლიანი საცხოვრებელი კოშკი, სამივე საროულზე თითო ოთახით, ბუხრებით და თახჩებით. ეს კოშკი უნდა ყოფილიყო ქუთათელი ეპისკოპოსის საცხოვრებელი.

იმის ნაწილობრივად მაინც გასათვალისწინებლად, თუ რას წარმოადგენდა ბაგრატის ტაძარი კვლავ ვ. ცინცაძეს მივმართოთ: „ბაგრატის ხუროთმოძღვარმა წერდა,—იგი:— შენობის გრანდიოზული ფორმები ჯვრის წაგრძელებული ფორმის გეგმაზე გამართა და კომპოზიციის ცენტრი გუმბათით დააგვირგვინა. ტაძარში შემსვლელი აღმოჩნდებოდა ვრცელ ხალვათ სივრცეში, რომლის ცენტრში მაყურებლის თვალს იტაცებდა მაღლა

შუქით უხვად გაკაშკაშებული გუმბაოი. გუმბაოი ოოხ თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობოდა. ცილინდრული თაღით გადახურული ტაძრის შინაგანი სივრცე აღმოსავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით კონქით დახურულ ნახევრადწრიული მომრგვალებით—აფსიდით—მთავრდებოდა. დასავლეთის მკლავი სამი ნაწილისაგან შედგებოდა: შუათანა—რომელიც დანარჩენი მკლავების დონეზე გამოდიოდა, და გვერდითა—ორი, რომელიც ორ-ორ სართულიან მოცულობას ქმნიდა. ეს მეორე სართულის სათავსოები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მკლავის დასავლეთის ნაწილში შექმნილი ფართო გადასასვლელით. მეორე სართულზე ჩრდილოეთის მონაკვეთში მოთავსებული კიბით ადიოდნენ. ორსართულად იყო განთავსებული აგრეთვე აღმოსავლეთის—საკურთხევლის გვერდითა სათავსოები. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავი გუმბათქვეშა კვადრატის მიმართაა მთელ სიგანესა და სიმაღლეში განვითარებული. ამგვარად: ე. წ. ტრიკონქის გეგმაზე ამართული იყო მაღალი ჯვრის ფორმის სივრცე. შინაგანი სივრცის ეს გადაწყვეტა მკვეთრად არის გამოვლინებული გარეთა მასებში. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები გამოსულია ფასადების დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილების შემაერთებელ ხაზებიდან, ეს ხაზს უსვამს ჯვარგუმბათიან გეგმის მასათა კონცეპციას. ხუროთმოძღვარი მკლავების გამოწევით შექმნილ უბეებს გონებამახვილად იყენებს: ქმნის მასათა განლაგებაში დამატებით საფეხურს, დასავლეთის ნაწილში სამივე ფასადზე გარშემოსასვლელის მოთავსებით" **(ცინცაძე 1964:7-8)**.

ქუთაისის კათედრალის ფასადების გაფორმებაში ძირითადი მნიშვნელობა აქვს დეკორაციული კამარების მოხერხებულ გამოყენებას. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის მხრიდან ჭართულ ტაძრებს, რადგან იქ მოთავსებული იყო საკურთხეველი,[1] კარიბჭეები და შესასვლელები არ უკეთდებოდა. გარედან იგი სარკმლებიან კედელს წარმოადგენდა. სამაგიეროდ მას განსხვავებული მორთულობა ჰქონდა. ბაგრატის ტაძარზე ამ ფასადის საერთო სამკაულია ხუთი დეკორაციული თაღი, რომელთაგან ყველაზე მაღალი შუათანაა. მის ორივე მხარეს ჩამწკრივებული შედარებით მომცრო თაღები სილამაზეს სძენს სამკუთხა ფორმის ორ ნიშს.

---

[1] აღმოსავლეთი ჯერ კიდევ წარმართობის დროდან ითვლებოდა ღვთაების სიმბოლოდ. ამ სიმბოლიკის გავლენით ძველი ქრისტიანები ლოცვის დროს მიპყრობილნი იყვნენ აღმოსავლეთისაკენ. ამიტომაც, ტაძრებში საკურთხეველი აღმოსავლეთის მხარეზე ყოფილა. ძველ სწავლულთა ერთი ნაწილი აღმოსავლეთს საერთოდ განასხვავებს, როგორც სიკეთისა და უბნეობის განსახიერებას და უპირისპირებს ჩასბოროტების აღმნიშვნელ დასავლეთს. ეფახველისტები კი აღმოსავლეთში ხელავდნენ განპირობებულ ქრისტეს, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი უწოდებდა შუქმარიტ მზეს, ეფახველისტი იოანე—თვალშეუდგამ სითელს, ხოლო ლუკა—თვალუწვდენელ აღმოსავლეთს. ამით აიხსნება ძველთაგანვე დამკვიდრებული ჩვეულება ნათლობის დროს, სატასისაგან გამოჯანის ნიშნად ჯერ დასავლეთისაკენ მიბრუნება, ხოლო შემდეგ ქრისტესთან შეკრების აღსანიშნავად—აღმოსავლეთისაკენ მიპყრობა. ასევე, სადღესასწაულო პროცესებისა და ჯვრისწერის დროს დაწესებულია მოძრაობა აღმოსავლეთისაკენ. ასეთი სიმბოლური რწმენის გაცნობით გაჩნდა ლოცვის დროს პირით აღმოსავლეთისაკენ დგომის ჩვეულება. რასაც მოკლედ ქრისტიანული ტაძრებში საკურთხევლის აღმოსავლეთის მხარეზე აღმართვა **(Покровский 1880:178)**.

მიშენებულ კარიბჭეთავან სამხრეთისა ჩვენამდე სრულადაა მოღწეული. იგი საყურადღებო არქიტექტურული ქმნილებაა. მას ამშვენებს დიდი ისრისებური ღია კამარა, რომლის უკან, ორ წახნაგოვან სვეტზე, მოთავსებულია სამი კამარა, სვეტების ბაზა და სვეტისთავი, რომელსაც აქვს კვეთილი პირამიდის ფორმა. სვეტების თავები და ბაზები მოროთულია საუცხოო ჩუქურთმებით.

„სამხრეთის კარიბჭე საგანგებო დანიშნულების,—წერდა დ. ჩაკვეტაძე,—ე. ი. მეფე-დედოფლისათვის განკუთვნილი შესასვლელი ყოფილა. ამ შესასვლელშია ნაშთი საფლავისა, რომელიც შესაძლოა გიორგი პირველისა, ბაგრატ მესამის ძისა იყოს“ **(ჩაკვეტაძე 1964:40)**.

რაც შეეხება მეორე მინაშენს, დასავლეთის კარიბჭეს, იგი მთლიანად დანგრეულია. მისი იერსახის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მოღწეული ფრაგმენტებისა და ნ. ჩერენცოვის მიერ 1874 წელს შესრულებული ჩანახატების მიხედვით.

რუსი ელჩების ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლიევის (იმერეთში იყვნენ 1650—1652 წწ.) აღწერილობისა და ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემის მიხედვით, ბაგრატის ტაძრის კედლები და იატაკი უხვად ყოფილა მოხატული მოზაიკით. ვახუშტი წერს: ქუთაისის „ეკლესია შუენიერი გუმბათიანი, სრულიად სოფიის კენჭით (ე.ი.მოზაიკით.—გ.მ.) შინაგან ქმნული და მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და ჴრელითა, და სუეტებითა მისითავე, და ყოვლითა შემკობილებითა სრული და ფრიად დიდი“ **(ქ.ცხ.1973:761)**. იატაკის მოზაიკა ახლაც შეინიშნება. ტაძარი აგებული იყო ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ვახუშტის დროს მას უბრალოდ უწოდებდნენ—„ყოვლადწმიდას“

შ. ამირანაშვილი ტაძრის შესახებ საერთო თხრობას ასე ამთავრებდა: „შენობის მთლიანი კორპუსი მოთავსებულია მაღალ მონუმენტურ პოსტამენტზე, რომელსაც საფეხურები აქვს. ნაწარმოების პროპორციები გამოირჩევა მწყობრი მოყვანილობითა და სილამაზით, მაღალ სარკმელთა ორმაგი მოჩუქურთმება ამშვენებს შენობის ფასადებს, საკურთხეველის აფსიდის სარკმელს და აგრეთვე ჩრდილოეთ ფასადზე მოთავსებულ ერთ სარკმელს აქვს მოჩუქურთმებული წარბი ჰორიზონტალური ქუსლით“ **(ამირანაშვილი 1971:233)**.

ვახუშტის გადმოცემით, ტაძარი პირვანდელი სახით იდგა 1691 წლამდე. ამ დროს მეფე-პოეტი არჩილ II (1647—1713) იმერეთის ტახტისათვის იბრძოდა. ქუთაისის ციხეში მჯდომი თურქები მის მეტოქეს ალექსანდრე IV-ს უჭერდნენ მხარს. სამეგრელოს ფაქტობრივი გამგებელი გიორგი ჩიქოვანიც (ლიპარიტიანი) ოსმალებთან იყო დაკავშირებული. მისი წაქეზებით ოსმალები ციხიდან გამოვიდნენ და ბაგრატის ტაძარი „შემუსრეს“ ეკლესია გაძარცვეს, იქ დაცული დიდძალი ძვირფასეულობა დაიტაცეს. ეს მოხდა 1691 წელს **(ქ.ცხ.1973: 854)**. ტაძრის დანგრევის საქმე „დააგვირგვინა“ რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფმა გენერალმა გოტლიბ-კურტჰენრიხ ტოტლებენმა. 1770 წლის აგვისტოში ქუთაისის ციხის აღების შემ-

დეგ, მან ციხესთან ერთად ბაგრატის ტაძარიც დაანგრია. აფეთქების დროს ჩამოინგრა გუმბათი და სახურავი.

1952 წლიდან, ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით, დაიწყო ბაგრატის ტაძრის აღდგენა-კონსერვაცია. ამჟამად ეს სამუშაოები დამთავრებულად ითვლება. ისახება ტაძრის აღდგენისა თუ რეგენერაციის მომავალი გეგმები.

ამით ჩვენ ვამთავრებთ თხრობას შესასწავლი ეპოქის საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობათა შესახებ საქართველოში.

ადრეფეოდალური ქართული კულტურის ჩვენს მიერ გადმოცემული ეს ზერელე ექსკურსიც კი აჩვენებს, რომ იგი ისეთივე ღრმავალი იყო, როგორც გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური გეზი. ვეფხი ირაოს აკეთებდა და რუსთაველისკენ გადასახტომად ემზადებოდა.

ГЕОРГИЙ МЧЕДЛИДЗЕ

ГРУЗИЯ БАГРАТА ТРЕТЬЕГО

(РЕЗЮМЕ)

Труд представляет собой историко-географический, экономический, социальный, политический и культурно-исторический обзор истории Грузии IX-X вв. Он состоит из предисловия, пяти глав, обширного списка использованной литературы и карты «Грузия в 1014 году»

В первой главе дан обзор источников и литературы, имеющихся по данной теме. Автор не имел возможности выявить новые источники, но во время общей характеристики данного материала вместе с традиционно утвержденными методами в специальной литературе большое внимание уделяет выявлению тех сведений, которые связаны с его темой, и не уклоняется от прений с оппонентами по проблемам источниковедения и библиографии.

Вторая глава - «Территория и население» представляет собой историко-географический очерк. В ней по тогдашней номенклатуре рассмотрен территориальный объем краев, входивших в Грузию, их границы и этнический состав, а также вопросы этногенеза отдельных грузинских племен и сведения о них, выявленные у грузинских и иностранных авторов; показано современное состояние этих проблем в исторической литературе. В отдельных случаях автор высказывает оригинальное мнение по тому или иному вопросу и старается аргументированно представить его. Именно в этом плане рассмотрены этническо-географические проблемы следующих исторических краев Грузии: Нижняя, Внутренняя и Внешняя Эгриси, Такверн, Гурия, Нижняя и Внутренняя Картли, в которую входили Самцхе, Джавахети, Артаани, Аджара, Шавшети, Кларджети, Тао и Спери; Кахетия (с Кухетией) и Эрети (с областями: Камбечани, Суджети, Цукети).

При разборе этих вопросов рассмотрено большое количество специальной литературы и засвидетельствованы суждения и гипотезы многих исследователей. Автор не пощадил сил и энергии для полноценного освещения вопросов, отвечающих названию второй главы.

В исторической географии Грузии самым злободневным является вопрос населения и территории современной Абхазии и Южной Грузии. На территории исторической Абхазии, которая в дневнегрузинских источниках именуется «Южная Эгриси», несколько раз произошла миграция населения. Античные источники утверждают, что абхазы (сами они себя наз-

ывают «ансуа»), являются пришельцами. Ингороква П. И. убедительно утверждал, что абхазы, живущие здесь с древнейших времен и давшие имя этой стране, были иберскими племенами. А там, где в Абхазии в настоящее время живут ансуа, то они переселились из Северокавказского нагорья не ранее XVII века. По второму, более распространенному мнению, население, которое жило на территории исторической Абхазии и называлось апсилами и абхазами, поселилось здесь в разное время. Впервые - на рубеже старого и нового летоисчисления, а затем в XVII веке. (Н. А. Бердзенишвили, М. Д. Лордкипанидзе и др.). Автор, анализируя эти и другие соображения, более справедливым считает мнение о том, что на историческую территорию Абхазии ансуа переселились в позднее средневековье.

Что касается Южной Грузии, то мы, в этом случае, имеем дело с претензиями, представленными со стороны Армении, на провинции Южной Картли и Тао-Кларджети и признание тамошнего населения не грузинским, а армянским. Эти необоснованные претензии особенно усилились после того, как в позднее средневековье на территории Грузии и Армении произошла агрессия кочующих номадов (османо-турков), в силу которой, став изгнанниками в своей стране, армянское население вынуждено было найти убежище на грузинской территории. Это вызвало изменение демографической ситуации в пользу армян, как Южной Картли, так и в Тао-Кларджети, что стало поводом для утверждения аборигенства армян на этой территории.

В представленной работе решительно отвергнута эта лженаучная концепция и, опираясь на древние источники исторического характера и на достижения современной науки, определена не только принадлежность грузинскому миру названных провинций, но и доказано, что они всегда представляли собой неотъемлемую часть Грузии, и именно эти провинции стали колыбелью грузинской цивилизации, откуда берет начало классическая грузинская национальная культура.

Также широк круг вопросов, разработанных в третьей главе «Хозяйство и социальное положение». В ней, прежде всего, уделяется внимание определению вопроса, что представлял собой социальный строй Грузии в период объединения страны. На основе анализа существующего материала делается заключение, что к концу X века в нашей стране закончилась ступень раннего феодализма и социальные отношения вошли в этап развитого феодализма. Этот процесс нашел свое отражение как в изменениях, происходящих в вассалитетных (патронкмоба) отношениях, так и в поднявшейся качественно на новую ступень хозяйственной жизни страны.

На основе изучения этих процессов, автор приходит к заключению, что подъем возникших феодальных отношений в этот период происходил эволюционным путем. Поэтому он не вызвал резкого перелома, суще-

твующей общественной жизни. Находившиеся на подъеме новые отношения без значительных классовых столкновений занимают передовое место в общественной жизни и создают соответствующую политическую надстройку.

Вместе с этим автор подчеркивает, что не все регионы и края страны находились на одном уровне развития. Наоборот, между ними были существенные различия. В труде показана неправомерность этого уровня, но здесь же отмечается, что такое положение не было препятствием для объединения страны, а в некоторых случаях оно даже выступало в качестве ускорителя этого процесса.

При суждениях о сельском хозяйстве в книге дается описание сдвигов, происходивших в сельскохозяйственной технике. Охарактеризован тот процесс, который достиг в этой области грузинский хозяйственник.

Здесь выявлены те характерные особенности, которые способствовали дальнейшему улучшению существующих экономических связей между отдельными краями. Известно, что такие отношения способствуют политическому объединению страны. Экономические и культурные единства, утвердившиеся тогда, оказались настолько жизнеспособными, что грузинская экономика и культура остались одним неотделимым организмом и после раздробления Грузии на отдельные царства и княжества.

В труде, по мере возможности, охарактеризованы все социальные группы, слои, классы, составляющие общество переходного периода от раннего на развитой феодализм. На основе анализа соответствующих источников и литературы показана их роль и место в общественно-историческом процессе, описано положение собственности, прав и обязанностей этих социальных групп, их интересы и отношение к процессу политического объединения страны.

Сам процесс объединения, его необходимость, факторы, способствующие его ускорению, и политическая история эпохи изложены в четвертой главе. В частности, в ней показана роль Баграта III в этом процессе. История Грузии вряд ли знает такой крупный перелом, каким являлось политическое объединение. Несмотря на то что отрицание роли народных масс в исторических процессах равносильно игнорированию общеизвестной истины, следует обязательно учесть тот факт, что большие переломы в истории народов и государств в политических и культурных областях связаны с именами великих личностей. В этом отношении Баграт III занимает одно из первых мест среди выдающихся исторических деятелей Грузии. Кроме того, что во время его правления произошел большой поворот в длительной истории нашего народа в виде политического объединения, с деятельностью Баграта III связано решение такой проблемы, без которой это объединение оказалось бы эфемерным и его наследникам пришлось бы начинать все заново. Ею являлась ликвидация отдельных государственных

образований на территории Грузии, кроме «Грузинского царства», которое он сам возглавил. Поэтому для полноценного осмысления заслуг царя-объединителя обязательным является всестороннее научное исследование его деятельности. Такой работы в грузинской историографии пока нет. Монографического исследования о Баграте III не имеется. Это можно объяснить некоторыми причинами, среди которых главной является факт, что об эпохе деятельности и социально- политическом положении Баграта III у ученых имеется очень скудный источниковедческий материал.

Несмотря на это, грузинскими исследователями изучено множество фактов и явлений по этому вопросу, что и подготовило почву для создания обобщающего труда о великом царе. Именно в четвертой главе нашей работы сделана попытка собрать воедино весь этот материал и помочь читателю правильно и легко осмыслить вопросы данной тематики.

На первый взгляд Баграт III не является популярной личностью нашей истории. Он, по сравнению с такими блистательными образами, как Давид Строитель, или царица Тамара, стоит так или иначе в тени. В жизни нередки случаи, когда великий потомок затмевает предка, чуть меньшей величины, чем он. Такая ли судьба постигла Баграта III? Нет! Мы не можем сказать, что он забыт, так как его имя, благодаря построенному им кафедральному собору в Кутаиси, каждодневно находится в словоупотреблении.

Храм Баграта- явно чудесное творение гениального зодчего, но не менее изумительно то, что этот шедевр, построенный во имя успения Богоматери, народ упоминает именем царя. В Грузии и в других местах храмы строили многие цари и царицы, но вряд ли где-нибудь они названы именами их ктиторов. Более того, грузинский народ помещения, крепости, мосты и жилищные пещеры, дошедшие до нас из средних веков, приписывает царице Тамар, несмотря на то, что часть из них построена до или после царствования великой правительницы. Но ни один храм не носит ее имени. У Кутаисского кафедрального собора другого названия, кроме Храма Баграта, в памяти народа нет. И в этом отношении особенно примечательно то, что именно с храмом связано имя царя Баграта. Примечательность этого заключается в том, что храмом народ называет самое святое, самое возвышенное и самое сокровенное для него.

Храм Баграта являлся материальным воплощением уровня духовной культуры грузинского общества эпохи объединения. Он представляется рукотворным памятником деятельности Баграта III. Но основной областью царя-объединителя является его государственно-политическая деятельность. В этой области у него уже в юности были замечательные успехи. Он беспощадно боролся против сепаратизма глав царств и княжеств, а также с феодальным партикуляризмом. В этой борьбе Баграт III отличался от своих предшественников. Он использовал новые методы и способы, что явилось

новшеством. Н. А. Бердзенишвили отмечал, что он не терпел непокорных вассальных князей и эриставов и на их места ставил тех, кто беспрекословно повиновался ему. «Это было то новое, - писал он, - что Баграт вводил». Для феодального общества эта новизна являлась значительной перестройкой. Патронкмоба (вассалитет) постепенно оставляла арену. Происходило утверждение нового социального строя. Это начинание Баграта завершил Давид Строитель. Он не только царей и князей, а даже эриставэриставов не определял на должности на земли, полученные ими по наследству или ими присоединенные.

Во внешнеполитической сфере Баграт III был продолжателем одного из первых реальных осуществителей идей об объединении Кавказских народов Вахтанга Горгасала. Появление в его титулатуре звания «царь ранский» наглядно показывает, что компетенция Баграта III безусловно распространялась на значительную часть Кавказской Албании. Документально доказано, что этому грузинскому царю платили дань и подчинялись некоторые народы Северного Кавказа (Д. Л. Мусхелишвили).

В борьбе за объединение Грузии Баграт III не был одиноким. История сохранила имена тех деятелей, которые всё свои силы и энергию целиком посвятили делу консолидации грузинских земель под единым скипетром. Среди них особенно выделялись царь Тао Давид III Куропалат (966-1001) и эристав Картли Иоан Мруцнидзе. О последнем автор собрал и проанализировал весь до нас дошедший материал. Давиду III посвящается отдельный параграф.

Отдельным параграфом в работе выделена история царствующего дома Багратионов. Это обосновано тем, что эта династия выступала организующей и объединяющей силой духовных и материальных возможностей грузинского народа. Эта изумительная династия в течение тысячи лет властвовала не только в объединенной Грузии, но даже и после раздробления ее на отдельные государства во всех грузинских царствах на трон возводились только представители этой династии. Беспрецедентным является факт, что после восстановления титула «грузинский царь» в 888 году на всей исторической территории Грузии ни один представитель другой фамилии, кроме Багратионов, не мог возвеличить себя именем царя.

Основным фактором объединения Грузии автор считает то сознание национального единства, которое в грузинских племенах сформировалось еще в античную эпоху. В борьбе с иноземными захватчиками оно закалялось. Именно благодаря этому сознанию, грузинский народ как самобытная этническая единица, в течении веков сохранил себя и спасся от ассимиляции. Более того, единство грузинского национального сознания обусловило тот замечательный вклад, который грузинский народ, несмотря на малочисленность, внес в сокровищницу мировой цивилизации.

В формировании и сохранении сознания национального единства ре-

ющую роль сыграла верно взятая с древнейших времен культурно-идеологическая ориентация.

По «Сказаниям» об Амиране и аргонавтах грузинский мир, особенно Колхида, еще в доисторический период имел западную ориентацию. Но в VIв. до н. э. в Ближней Азии начинается гегемония новой могущественной и имевшей просторную территорию Ахеменидской Персии. Она олицетворяла азиатскую направленность мирового развития, которую условно называют мифологической или неаналитической. Ей противопоставляется европейское направление, идеология которого образовалась в Европе, как нравственно-гражданские нормы и основанный на них комплекс принципов направления общества, выработанный свободными гражданами. Этому направлению свойственен поиск истины и признание ее только после осмысления.

Грузия оказалась на перепутии этих двух миров. Она, итак разрозненная, состоявшая из многих объединенных племен, не могла стать на какой-либо из этих путей. Восточная Грузия была вынуждена оказаться под влиянием азиатского направления, а Колхида - под эллинским.

Вследствие этих обстоятельств, мы не можем говорить о существовании в данной эпохе твердых принципов единения грузинского мира. Но в результате походов Александра Македонского (356-323гг) произошел синтез восточного и западного направления. Фактически возникла новая эллинистическая цивилизация. Ее влияние распространилось на всю Грузию.

Распространение христианства стало подтверждающим фактором окончательной победы западно-европейского направления. После победы ее диофизической конфесии Грузия явно превратилась в страну европейской ориентации.

Распространение христианской религии в Грузии совпало с возникновением новых общественных отношений - феодального способа производства. Вместе с тем оно лучше отвечало требованиям общества, вышедшего на новую ступень развития, чем язычество. Следовательно, христианство являлось таким же шагом вперед в духовном развитии общества как феодализм - по сравнению с предшествующими формациями.

Но христианство в Грузии приобрело и другую, решающую для грузинского народа, функцию. Оно стало организующей силой победительного процесса грузинских племен, кровно связывающей между собой национальное и религиозное. Это имело немаловажное значение, так как произошел выход из церковных рамок, послуживший духовному возвышению грузинского народа, что способствовало формированию его национальной самобытности.

Для установления единого национального сознания неоценимое значение имел грузинский язык. Это стало особенно ощутимо после того, как он стал единым религиозным, государственным и литературным языком всей Грузии.

Бок о бок с факторами единения языка и религии в деле укрепления грузинского самосознания стояло национальное государство. Политическое объединение феодальной Грузии было бы невозможным, если бы не существовали традиции единой государственности времен Парнаваза и, особенно, Вахтанга Горгасала.

Названные факторы способствовали успешному завершению процесса политического объединения Грузии во главе с Багратом III. В 1014 году, когда скончался царь-объединитель, вне границ грузинского государства из населенных грузинских земель остались Басианский край, Спери и часть Южной Картли. Из них освобождение города Тбилиси считалось лишь делом техники, так как он со всех сторон был окружен владениями Баграта III и до его взятия оставались считанные месяцы.

В пятой главе книги сделан обзор некоторых областей грузинской культуры времен политического объединения. Среди них выдвинуты такие вопросы как идеология, история церкви, литература и церковная архитектура. Уже достаточно отметить, что в этот период творили такие известные писатели и мыслители как Иоанэ Сабанисдзе, Георги Мерчул, Григорий Хандзтийский, Арсен из Сапари, Микаэль Модрекили, Иоан Зосиме и др. Именно их деятельность подготовила почву для создания такого шедевра мировой литературы как «Витязь в тигровой шкуре» бессмертного Шота Руставели.

Уровень грузинской культуры переходного периода более реально выражен в церковном зодчестве IX-XIвв. Достаточно назвать великолепные храмы, построенные в это время. Среди них следует выделить такие, как храм Хахули, Бана, Ошки, Никорцминда, Бедиа, Отхта Эклесиа, Опиза и Кутаисский кафедральный собор.

Таковы основные вопросы, разработанные в данной книге. Правда, резюме, ввиду своей лаконичности, не может дать полное отображение всех тех проблем, положений и выводов, выдвинутых автором в своем труде, но цель его — незнающему грузинского языка читателю дать представление о Грузии периода Баграта III.

MCHEDLIDZE GEORGE

GEORGIA OF 'BAGRAT III

SUMMARY

This work represents the historical and geographical, economical, social, political and cultural review of Georgian history of IX-X cc. It consists of preface, five chapters, voluminous list of literature and the map"Georgia in 1014".

In the first chapter there is given the review of sources and literature, existing on the subject. The author had no opportunity to reveal some new sources, but during the general characterization of the given material alongside the traditionally established methods in special literature, pays a great deal of attention to the revealing of the information, which is connected with his theme. He doesn't deviate from debates with his opponents, working on problems of study of sources and bibliography.

The chapter II is" Territory and population". It represents historical and geographical essay. In this chapter according to the nomenclature, existed in that period is considered the territorial size of the lands joining Georgia, their frontiers and ethnic structure and also the points of ethnoginesis of individual Georgian tribes and the information about them, revealed by Georgian and foreign authors; there is shown the modern state of these problems in historical literature. In some cases the author expresses his original opinion about one or the other questions and tries to present it with the help of arguments. Exactly in this plan were considered the ethnic and geographical problems by the following historical lands of Georgia: lower, Inner and External Egrisie, Tackverie, Guria, Lower and Inner Kartli, which included Samtskhe, Javakheti, Artaani, Ajara, Shavsheti, Klarjeti, Tao and Speri; Kakheti (with Kukheti) and Hereti (with districts: Kambechani, Sugeti, Tsucketi).

A great amount of special literature was discerned during the analysis of these points, and the judgments and hypothesis of many investigators were testified. The author spared neither strength nor

energy to brighten the questions of full value, answering the title of the chapter II.

The burning issue in the historical geography of Georgia is the question of population and territory of modern Abkhazia and South Georgia. The migration of population took place several times on the territory of modern Abkhazia (which in Old Georgian original sources is named as the" South Egrisie"). The antique original sources affirmed that the Abkhazians (they named themselves"apsua") are the strangers Ingorokva P.I. asserted that the Abkhazians, who had lived here since old times and had given name to this country, were the Iberian tribes. And in the place, where the"Apsua" live at the present moment in Abkhazia, they settled from the mountains of North Caucasus no earlier than XII c. According to the second, more spread opinion, the population, who lived on the territory of historical Abkhazia and were called Apsilians and Abkhazians, settled here in different periods. At first it was on the boundary of old and new chronology and then in XYII c. (N. Berdzenishvili, M. Lordkipanidze and others). The author, having investigated these and other opinions, considers that Apsua moved on the historical territory of Abkhazia in late Middle Ages.

As to South Georgia, in this case we have to do with pretensions on the part of Armenia about provinces of South Kartli and Tao-Klarjeti and declaration of the inhabitants not Georgian but Armenian. These groundless pretensions became stronger after the aggression of the nomddes (Osman-Turkes) on the territory of Georgia and Armenia in the late middle ages. After this aggression the Armenian population being exiles in their country were obliged to take the refuge on the territory of Georgia. It changed the demographic situation in favour of Armenians both in South Kartli and in Tao-Klarjeti, and it became the occasion for the Armenian aborigines on this territory.

This preudoscientific conception is decidedly rejected in the presented work and with leaning on the old historical original sources is determined not only the belonging of the named regions to Georgia but is proved that they always were the inseparable parts of Georgia. Exactly these regions became the cradle of Georgian civilization and classical Georgian national culture springs from it.

Also there is a wide range of questions investigated in **the Chapter III** "Economy and social position." First of all here is paid a great attention to the determination of the question what the social

system of Georgia was in the period of the unification of the country. On the basis of analysis of the existed material we can conclude that the stage of early feudalism has finished in our country by the end of X c., and social relations entered the stage of the developed feudalism. This process has found a reflection both in the changes, taking place in the vassaled (patronkmoba) relations and in the social life of the country, risen on the new stage.

On the basis of the studies of these processes the author concludes that the raising of the feudal relations was taking place by evolutional way in this period. So it didn't call the sudden change of being social life. The new relations being on the raising take first place in the social life without considerable class contradictions and making conformable political superstructure.

At the same time the author underlines that not all the regions and districts of the country were on the one standard of development. On the contrary, there were considerable differences between them. In the work there is showed the illegality of the standard, but here is also noted, that such position wasn't the obstacle for the unification of the country, and in some cases it played the role of the accelerator of the process.

By the judgements about an agriculture in the book there is given the description of the displacements taken place in an agricultural techniques and is characterised the progress which Georgian farmer has made in this sphere. There are revealed those characteristic features which promoted the further improvement of the existed economical links between seperated lands.

It is known that such relations promote the political unification of the country. The economical and cultural unites established at that time became so viable that the Georgian economics and culture remained like one inseparable organism after the breaking up of Georgia to the separate kingdoms and principalities.

In the work as far as possible are characterised all social groups, layers and classes forming the society of transitional period from early to the developed feudalism. On the basis of analysis of the corresponding original sources and literature there is showed their role and place in the social and historical process and is described the condition of property, rights and duties of these social groups, their interests and attitudes to the process of the political unification of the country.

The process of the unification itself, its necessity, the factors

promoting its acceleration and the political history of the epoch are stated in chapter IY, It is doubtful whether Georgian history knows so great change as it was the political unification. In spite of denied of the role of people masses in historical processes is equal to the ignoration of the social truth, it should be taken into the consideration that the great changes in the history of nations and countries in the political, ideological and cultural spheres are connected with the names of outstanding persons.

In this respect Bagrat III keeps one of the first places among the notable historical persons of Georgia. Besides the great overturns In the side of the political unification, which took place during his governing time, the solution of the problem, without which the unification would be ephemeral and his heirs would have to begin all anew, is connected with the activity of Bagrat III. It was the liquidation of the separate state formations on Georgian territory except"Georgian Kingdom" which he headed himself. That's why it is necessary to make a thorough scientific investigation of his activities in order to comprehend the merit of the King. Such work doesn't exist in Georgian historiography yet. There isn't a monographic investigation about Bagrat III. That may be explained by few causes among which the main is the fact that the scientists have very scanty material about the activity and social and political condition of the epoch of Bagrat III.

In spite of this Georgian investigators have learned many facts and phenomena of this question, what prepared the considerable ground for the creation of generalized work about the great King. Exactly in chapter IY of work the attempt is made to collect all this material and to help the reader to comprehend the questions of present work correctly and easily.

At first sight Bagrat III isn' t the famous person of our history. In comparison with those brilliant figures as David Builder or Queen Tamar he remains in the background in any case

There are frequent cases in life when one great descendant puts his ancestor in the shade who is slightly of less value than he is Had Bagrat III such fortune ? No! We can't say he is forgotten because his name is unforgettable due to the cathedral built by him in Kutaisi.

The Bagrati Cathedral is a wonderful creation of the generous architect but no less exciting is that this masterpiece was built in the name of the mother of God, nevertheless people refer it to the

King's name. Many kings and queens in Georgia and in other places built the cathedrals but in other places hardly they are named after their governors. Moreover, the Georgian people in spite of the fact that the part of the lodgings, fortresses, bridges and living caves of Middle Ages was built before or after the reign of the great ruler still ascribe to Queen Tamar. But none of the cathedrals is named after her name. In people's memory there isn't any other name for Kutaisi Cathedral but the Bagrati Cathedral. In this case it is especially remarkable that the name of King Bagrat is connected with this cathedral. The noteworthy is the fact that people call the cathedral the most saint, most elevated and most innermost for them. The Bagrati Cathedral was the material incarnation of the level of spiritual culture of Georgian society in the epoch of the unification. It presents itself as the monument of the activity of Bagrat III. But the state and polices are the main spheres of the king's activities. In this field he had already the great successes in his youth. He fought ruthlessly against the feudal particularism too

Bagrat III differed from his ancestors in this fight. He used new methods and ways what was the innovation. N. A. Berdzenishvili noted that he didn't stand disobedient vassal princes and eristavs and on their places he used to appoint those who showed him absolute submission. It was quite new what Bagrat was introducing -- he wrote. This innovation was the considerable reconstruction for feudal society. Patronkmoba (vassalitet) was gradually leaving the arena. The consolidation of new social structure was taking place. David the Builder finished this beginning of Bagrat. He didn't give places on the lands having by will or joining, he gave them neither to the kings and princes nor eristavs

In the sphere of foreign policy Bagrat III was the successor among those who realized the ideas of king Vakhtang Gorgasali about the unification of Caucasian people. Appearance in his title the name.

King of Ran clearly shows that competence of Bagrat III was spreading undoubtedly on the considerable part of Caucasian Albania (D. L.. Muskhelishvili).

It is documentarily proved that this king was paid tribute and was obeyed by some peoples of North Caucasus.

Bagrat III wasn't alone in the fight for unification of Georgia. The history kept the names of those statesmen who devoted all their strength and energy to the cause of consolidation of Georgian lands under one sceptre. Among them we must especially mention David

III Kurapalat,the king of Tao, (966-1001) and Eristavi of Kartli Ioahn Marushisdse. About the latter the author has collected and analysed all the material come to us. The separate paragraph is dedicated to David III.

In the separate paragraph of the work there is the story of the house of the Bagrationi .It is grounded by the fact that the dynasty represented the organized and consolidated strength of the spiritual and material opportunities of Georgian people. This wonderful family had been ruling for thousand years not only in unificated Georgia but after its breaking up on the separate state as well. They enthroned the representatives only of this dyhasty in all Georgian kingdoms. There is an unprecendented of the title "King of Georgia" in 888, no one except the Bagrations could glorify himself by the name of King on the whole territory of historical Georgia.

The author considers the main factor of the unification of Georgia the sense of national unity has formed in Georgia tribes as far back as antique epoch .It was tempered in the fight against the foreign aggressors.

Just due to this sense Georgian people kept itself as the original ethnic unit and saved itself from the assimilation. Moreover the unity of Georgian national sense stipulated for the great contribution which the Georgians in spite of their scanty number entered the treasury of world civilization. The decisive role in the formation and keeping of the sense of national consolidation played the cultural and ideological orientation rightly taking from old times.

By legends about Amiran and Argonauts the Georgian world, especially Kolkhida, still in prehistoric period had western orientation. But in YI c. B. C. In Near Asia begins the hegemony of new powerful country Akhemenid Persia, which had spacious territory. It personified the Asian direction of world development which is conditionally named the mythical or nonanalytical. The European trend opposes to it and this ideology was formed in Europe as the moral and civil standards and based on them the complex of principles stating of society which was worked by the free citizens. This trend is characterised by the search of truth and recognition of it only after its comprehending.

Georgia found itself on the cross-roads of these two words. It had been separated, consisting of many united tribes and couldn't follow any of these ways. Eastern Georgia was forced to find itself under the influence of the Asian direction and Kolkhida under Hellenic.

Because of these we can't speak about the existence of stable principles in the unification of Georgian world in this epoch. But in consequence of the campaign of Alexander Makedonian (356-323) the synthesis of Estern and western trends took place.

The spreading of Christianity became the confirmed factor of the final victory for the west European direction. After the victory of a diofizical confession Georgia turned into the country of European orientation.

The spreading of Christianity in Georgia coincided with the formation of new social relations - the feudal way. of production. At the same time it more corresponded to the society demands which came on the first step of the development than the heathenizm. Consequently Christianity was such step ahead in the spiritual development of the society as the feudalism - in comparison with previous social formations.

But Christianity in Georgia acquired another decisive function for Georgian people. It became the organizing strength of the unification process of Georgian tribes, bloodly connected to each other the national and religious. It had important meaning because occured the going out from church limits what promoted the spiritual rising of Georgian people and the formation of its national originality.

Georgian language had invaluable meaning for the establishing of indivisible national sense. It appeared especially perceptible after it became the single religious, state and literary language of the whole Georgia.

The national state stood side by side with the fact of unification of the language and religion in the case of strengthening the Georgian self-consciousness.

The political unification of the feudal Georgia couldn't be possible if there were no traditions of united state from times of Parnavaz and especially Vakhtang Gorgasali.

These factors promoted the successful completion of the process of the political unification of Georgia by Bagrat III in the head of it. In 1014 when the king died some Georgian lands as Basian district, Speri and the part of South Kartli remained out of Georgian country. The liberation of Tbilisi from these lands was considered to be only the case of technique, as it was surrounded by Bagrat III possesions from all sides and there remained few months till its taking.

In **chapter Y** of the book there is given the survey of some branches of Georgian culture at times of the political unification.

Among them there are raised such questions as ideology, the history of church, literature and architecture of churches. It's enough to note that in this period worked such famous Georgian Writers and scientists as Ioahn Sabanisdze, George Merchule,Grigol Khandzteli, Arsen from Sapari, Michael Modreckili, Ioahn Zosime and others. Exactly their activity prepared the basis for the creation of such masterpiece of the world literature as"The Knight in the Panther's Skin" by immortal Shota Rustaveli.

The level of Georgian culture of transition period was more really expressed in church architecture of IX-X cc. It is enough to name remarkable temples built in that time. Among them should be noted such as the temple khakhuli, Bana, Oshcki,Nikortsminda,Bedia, Otkhta, Ecklesia, Opiza and Cathedral in Kutaisi.

These are the main questions elaborated in this book. In spite of the fact that the resume because of its laconic feature can't give the full reflection of all problems, positions and conclusions by the author in his work. But his aim is to give the idea about the Georgia of the period of Bagrat III to the reader, not knowing Georgian language.

ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974.

ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, 1973, №3.

ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI ს-ის კავკასიაში, მაცნე, ისტორიის სერია, 1974, №1.

შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.

მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, თბ., 1960.

ი. პ. ანთელავა, დავითისა და თამარის სახელმწიფო, თბ., 1991.

ი. პ. ანთელავა, XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988.

ი. პ. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს., თბ., 1983.

გ. ახვლედიანი, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურ. „მნათობი", 1957, № 2.

თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, პტბ, 1848.

შ. ბადრიძე, ბარდა სკლიაროსის აჯანყების ისტორიისათვის, „საისტორიო კრებული", 4, თბ., 1973.

შ. ბადრიძე, მცირე შენიშვნები ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერაზე, ჟურნ. „მნათობი", 1961, №6.

შ. ბადრიძე, სარგის კაკაბაძე, თბ., 1986.

ა. ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1991.

ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ. 1966.

არჩ. ბარამიძე, კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები XIX საუკ. ქართულ ისტორიოგრაფიაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, №5.

დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.

დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკუნის დასასრულამდე), ტფ., 1889.

ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII—XVI სს., თბ., 1955.

ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967.

თ. ბერაძე, რაჭა ფეოდალურ ხანაში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV თბ., 1975.

დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964.

დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი—თორი, ჯავახეთი, თბ., 1985.

დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ნაკვ. I, ქვემო ქართლი, თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V თბ., 1975.

ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.

ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვას წიგნის „გიორგი მერჩულეს" გამო, ჟურნ. „მნათობი", 1956, №12.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964; III, თბ., 1966; IV, თბ., 1967; V, თბ., 1971; VI, თბ., 1973; VII, თბ., 1974; VIII, თბ., 1975 და 1990; IX, თბ., 1979.

ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.

ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1948.

მ. დ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.

მ. მ. ბერძნიშვილი, გლეხთა გამოსაღებები XI—XII სს. საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1964.

მ. მ. ბერძნიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI—XII ს-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ., I, 1960.

მ. მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI-XII საუკუნეებში, თბ., 1970.

ა. ბოგვერაძე, ისევ „სერაპიონ ზარზმელის" თარიღის გამო, კრ. საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1986.

ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961.

ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979.

მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით, ტფ., 1895.

მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ტ. II, ტფ., 1900.

ვ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981.

სვ. გამსახურდია, საზოგადოებრივ-ისტორიულ აზრის განვითარება XI საუკუნის საქართველოში, თბ., 1966.

თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატრიმ სახელთა ისტორიიდან („აფხაზ-აბაზგ" და „აბაზა-აფსუა" ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), მაცნე, ისტორიის... სერია, თბ., 1991, №2.

მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961.

მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956.

გ. გელაშვილი, სუმბატ დავითის ძე და მატიანე ქართლისა, თსუ შრომები, ტ. 87, 1960.

გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.

გეორგიკა, ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქათველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, თბ., 1965; ტ. III, თბ., 1936; ტ. IV ნაკვ. I, თბ., 1941; ნაკვ. II თბ., 1952; ტ. V, თბ., 1963.

ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975.

ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია, ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგკ, VI, თბ., 1982.

ჯ. გვასალია, ფრონეს ხეობათა ისტორიულ გეოგრაფიის საკითხები, სიგკ,VII, თბ., 1989.

ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგკ, III, თბ., 1967

ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991.

ს. გორგაძე, ბაგრატის ტაძარი, ტფ., 1911.

რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1994.

რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.

გ. გრიგოლია, ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები, სიგკ, VII, თბ., 1989.

კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.

კ. გრიგოლია, რეცენზია წიგნისა—გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 11. 3. 1994.

კ. გრიგოლია, ლეონტი მროველი—XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, თსუ შრომები, ტ. 87, თბ., 1960.

ლ. დეკარპელევიჩი, შოთა რუსთაველის ეპოქის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938.

ვ. დონდუა, ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, კრ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი", თბ., 1966.

ვ. დონდუა, ლეონტი მროველისმიერი პროტოისტორიის ზოგიერთი ამოსაკითხი, კრ. „საისტორიო ძიებანი", თბ., 1967

იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ვ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965.

მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ.,1953.

მ. დუმბაძე, ვასალიტეტი საქართველოში XIII—XIV სს. (ქართულ-ევროპული ვასალიტეტის შედარებითი შესწავლის ცდა), კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", V, თბ., 1986.

გ. ერაძე, ნუ უფრთხით სიტყვა „აფსუას", გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1994, №№ 177, 178.

გ. ერაძე, აფხაზი და საქართველო, თბ., 1994.

ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.

ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი პირველი, ტფ., 1885.

ბასილი ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ძველი ქართული მოთხრობა, თბ., 1979.

მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1911.

ექვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, ტფ., 1907.

ექვ. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?, „ჟურნ. „მნათობი" ,1948, №8.

ექვ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა), ტფ., 1890.

ექვ. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, თბ., 1949.

თ. თოდრია, ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982.

პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1975.

კ. თუმანოვი, ქრისტიანული კავკასიის ისტორიის საკითხები (ინგლ. ენაზე), 1963.

მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, მაცნე, ისტორიის... სერია, თბ., 1992. №№1,2.

მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1992.

ა. ინაიშვილი, პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის, ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბ., 1971.

პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. I თბ., 1963; ტ. III, თბ., 1965; ტ. IV, თბ., 1978.

პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი ქართველი ისტორიკოსი „ჰამბავთა მწერალი" მე-8 საუკუნისა, „ენიმკის მოამბე", ტ. 10, თბ., 1941.

ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959.

ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, თბ., 1924.

ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, სა-

ისტორიო მოამბე, თბ., 1924.

ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, საისტორიო კრებული, წიგნი II, თბ., 1928.

მ. კახიძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954.

კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935.

კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, IV, თბ., 1957.

კ. კეკელიძე, მთავართა და ერისთავთა დადგინების წესი ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, III, თბ., 1955.

კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), ეტიუდები, IV, თბ., 1957.

კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები, II, თბ., 1945.

კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1954.

კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.

კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.

კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ეტიუდები, IV, თბ., 1957.

კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში (ძეგლთა დათარიღებისათვის), ეტიუდები, II, თბ., 1945.

კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, I, თბ., 1956.

ვ. კოპალიანი, საქათველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969.

ვ. კოპალიანი, „ყოვლისა აღმოსავლეთისა" კურაპალატის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1972, №3.

ვ. კოპალიანი, მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982.

ო. ლანჩავა, ციხე-ქალაქი ქუთაისი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სისტემაში, კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბ.-ქუთ., 1994.

გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955.

ქ. ლომთათიძე, ჯფხაზთა ვინაობისა და განლაგების საკითხის შესახებ (პ. ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულეს" გამო), ჟურნ „მნათობი", 1956, №12.

ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.

ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975.

მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966.

მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.

მ. ლორთქიფანიძე, გლეხების ეკონომიური მდგომარეობა (VIს.—XIII ს. დამდეგამდე), კრ. „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან", თბ., 1967.

მ. ლორთქიფანიძე, მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX-X სს. საქართველოში, კრ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 34, თბ., 1962.

მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.

მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954.

მ. ლორთქიფანიძე, ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი, კრ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, თბ. -ქუთ., 1994.

მ. ლორთქიფანიძე, ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX—X საუკუნეების საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე, №1, თბ., 1960

ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.

ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

გ. მამულია, ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა, ჟურნ. „მნათობი", 1971, №2.

გ. მამულია, არჩილ „მეფის" (VIII ს.) რეფორმების ლეგენდის გენეზისი და მისი პოლიტიკური ტენდენცია, კრ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ., 1976.

გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, თბ., 1964.

გ. მელიქიშვილი, ათასეული წლების ბრძოლით მოპოვებული ერთიანობა, გაზ. „კომუნისტი", 25.3. 1989.

გ. მელიქიშვილი, ისევ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1. 4. 1994.

გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.

ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1962.; ნაკვ. II თბ., 1962; ტ. II, თბ., 1980.

შ. მესხია, ვახუშტი და ძველი ქართულ მწერლობა, „ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I თბ., 1947.

შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1982; ტ. II თბ., 1983.

შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XIII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.

რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.

რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.

რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.

გიორგი მთაწმინდელი, იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება, ძველი ქართული მოთხრობა, თბ., 1979.

თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.

თ. მიბჩუანი, აფხაზეთი ანუ სამეგრელო XVI საუკუნეში, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 3.3. 1994.

თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.

დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, სიგკ, III, თბ., 1967.

დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977; II, თბ., 1980.

დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, თბ., 1989, №№2,3.

დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966.

ჯ. ნადირაძე, არქეოლოგიური ნარკვევები, თბ., 1972.

ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, წიგნი I, თბ., 1990.

ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

შ. ნუცუბიძე, შრომები, ტ. VII, თბ., 1983.

ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV, თბ., 1965; ტ. IV, თბ., 1966.

ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.

თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972.

თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

გ. ჟორდანია, მეხურელნი, თბ., 1956.

თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892; II, ტფ., 1897.

საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970; ტ. II, თბ., 1973; ტ. III, თბ., 1979; ტ. IV, თბ., 1973.

ი. სიხარულიძე, ვაკე-იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის მასალები, სიგკ, VI, თბ., 1982.

ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I, თბ., 1958; წიგნი II, თბ., 1959.

ი. სიხარულიძე, ფერსათის ისტორიული გეოგრაფიიდან, სიგკ, VII, თბ., 1989.

ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952.

ჯ. სტეფნაძე, XI—XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985.

თ. ტატიშვილი, მასალები ტანის ხეობის იტორიული გეოგრაფიისათვის, სიგკ, II, თბ., 1964.

პ. უშაკოვი, საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X, 1940.

უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გამოცემა ზ. ალექსიძისა, თბ., 1975.

კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973.

ნათ. ფოფხაძე, სინამდვილე კი ასეთია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა ", 20. 4. 1994.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959; ტ. IV, (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა), თბ., 1973.

ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, I, თბ., 1963; II თბ., 1965; III თბ., 1970.

ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—Xსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980; II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIIIსს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1946.

თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, მაცნე, ისტორიის... სერია, 1980, №№ 3,4.

თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

ს. ყაუხჩიშვილი, „გიორგი მერჩულის" გარშემო, ჟურნ. „მნათობი", 1957, №2.

ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1961.

გ. ყორანაშვილი, ვიდრე „სხვა დარგის წარმომადგენლებს მივმართავდეთ", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 11. 6. 1994.

ა. შანიძე, ხალხური ეტიმოლოგია ლიტერატურაში, დამატ.„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1979, №4.

ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ. „ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი", თბ., 1966.

დ. ჩაკვეტაძე, აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1958.

დ. ჩაკვეტაძე, ძეგლი უქიმერიონზე, თბ., 1964.

ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960.

გ. ჩართოლანი, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1992, №2.

გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წ., „მიმომხილველი", 1, თბ., 1949.

გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940.

გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936.

გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი, კრ. „არილი", ტფ., 1925.

მ. ჩხარტიშვილი, „ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციის ატრიბუტიკა, „მნათობი", 1987, №8.

ი. ციხაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956.

ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1954.

ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964; II, თბ., 1967; III, თბ., 1971.

ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968; II, თბ., 1970.

კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი, თბ., 1991.

ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979; II, თბ., 1983; V თბ., 1986; VI, თბ., 1982; VII, თბ., 1984; VIII, თბ., 1977; X, თბ., 1992.

ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, ტფ., 1930.

ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, კრ. „ისტორიული რარიტეტები", თბ., 1989.

მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო", ტ. II, ტფ., 1913.

ნ. ლ. ჯანაშია, ლაზარე ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

ნ.ლ. ჯანაშია, „შუშანიკის წამება“ (ისტორიულ–წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), 1, თბ., 1980.

ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თსუ შრომები, ტ. XVIII, თბ., 1941.

ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949; ტ. II, თბ., 1952; ტ III, თბ., 1959; ტ. VI თბ., 1988.

გ. ჯაფარიძე, ვახუშტი და XII—XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 205, თბ., 1979.

ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ახალციხე, 1988.

ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969.

ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1975.

Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв) Сух., 1959.

Анчабадзе З. В., История и культура Древней Абхазии, М., 1964.

Анчабадзе З. В., Очерк этнической истории абхазского народа, Сух., 1976.

Бакрадзе Д. З., Об отношениях Армении и Грузии к Византии вообще и в Хв. в особенности, Известия Кавк. Общ. истории и археологии, Тб., 1882.

Бакрадзе Д. З. , Три месяца в Турецкой Грузии Г. Н. Казбека, («Кавказ» 1877 г., №№ 1,3,4,7,8...).

Белокуров С. А., Материалы для русской истории, М., 1988.

Беляев Д. Ф., Очерки, материалы и заметки по византийским древностям, кн. I, СПб., 1892.

Беридзе В. В., Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века, Тб., 1967.

Всеобщая история Степаноноса Таронского, писателя XI столетия, перевод Н. Эмина, М., 1864.

Гамсахурдия С. В., История просвещения в Грузии, Тб., 1984.

Греков Г. Д., Избранные труды, т. II, М., 1959.

Джанашиа С. Н., Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства», მაცნე, ისტორიის... სერია, თბ., 1991, №2.

Джанашиа С. Н., Об одном примере искажения исторической правды, Журн. «Вопросы истории», 1947, №5.

Джанашиа С. Н., О времени и условиях возникновения Абхазского царства, ენიმკის მოამბე, т. VIII, 1940.

Еремян С. Т., Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XIII вв., Сборник «Кавказ и Византия», I, Ер., 1979.

Инал-Ипа Ш. Д., Абхазы (историко-этнографические очерки), Сух., 1965.

Иоселиани П. Е., Города, существовавшие и существующие в Грузии., Тб., 1850.

История Агван Моисея Каланкатваци, писателя X века, перевод К. Патканова, СПб., 1897.

История Армении Моисея Хоренского, новый перевод под редакцией Г А. Халатьянца, М., 1893.

История Византии, т. II, М., 1967.

Какабадзе С. Н., Из социально-экономических вопросов средневековой Грузии, ИКИАИ, т. V, Тб., 1927.

Какабадзе С. Н., Краткий обзор истории Грузии, Сух., 1941.

Кекелидзе К. С., Иерусалимский канонир VII века (грузинская версия), ეტიუდები, XIII, თბ., 1974.

Ломоури Н. Ю., К истории восстания Барды Склира, თსუ, შრომები, ტ. 67.

Меликишвили Г. А., Древневосточные материалы по истории народов Закавказья, 1, Наири-Урарту, Тб., 1954.

Меликишвили Г. А., К истории Древней Грузии, Тб., 1959.

Меликишвили Г. А., Наименование города Фазиса и вопрос об этническом составе населения древней Колхиды, ВДИ, 1966, №1

Мескиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии, Тб. ,1959.

Михайкова В., Вопросы истории культуры Армении и Грузии в работах Н. Я. Марра, журн. «Вопросы истории», 1950, №2.

Мусхелишвили Д. Л., Из исторической географии Восточной Грузии (Шаки и Гогарена), Тб., 1982.

Мусхелишвили Д. Л., Основные вопросы исторической географии Грузии, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975.

Мусхелишвили Д. Л., Город Уджарма, სიგჟ, II, თბ., 1964.

А. Натроев, Мцхет и его Собор Свети-Цховели, Тб., 1900.

Очерки истории Грузии, том. I, Тб., 1989; т. II. 1988.

Пахомов Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970.

Н. Покровский, Происхождение древнехристианской базилики, СПб, 1880.

Розен В. Р., Император Василий Болгаробойца, СПб, 1883.

Сванидзе А., Материалы по истории Аланодийских племен, Тб., 1937.

Семенов С. А., Происхождение земледелия, Л., 1974

Стенли Лэн-Пуль, Мусульманские династии, перевод В. Бартольда, СПб, 1899.

Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, СМДОМИПК, вып. I, Тб., 1905.

Такайшвили Е. С., Зарзмский монастырь, его реставрация и фрески, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXXV, Тб., 1905.

Такайшвили Е. С., Описание рукописей «Общества распространения

грамотности среди грузинского населения», т. II, вып., 1—4, Тб., 1912.

Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии. Исследование развития архитектуры в восточной провинции Грузии в IV—XVIII вв., Текст, Тб., 1959.

Чубинашвили Г. Н., Архитектурные памятники VIII и IX веков в Ксанском ущелье, ქართული ხელოვნება, ტ. I, თბ., 1942.

Чубинашвили Г. Н., Памятники типа «Джвари», Тб., 1948.

ძირითადი შემოკლებანი

1. გეორგიკა,-- ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტტ. I—VIII, ტექსტები თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა.

2. ენიმკის მოამბე — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალურ კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

3. სიგგ—საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.

4. სინ—საქართველოს იტორიის ნარკვევები.

5. სტრაბონი—თ. ყაუხჩიშვილი, სტარბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

6. ქეი—ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია.

7 ქსე—ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

8. ქსძ--ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ს. დოლიძემ.

9. ქ. ცხ.—ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

10. ქწკ--ქართული წარწერების კორპუსი ლაპადარული წარწერები, I, აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველო, თბ., 1980; II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX—XIII სს.), თბ., 1980.

11. ძეგლები—ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I-II-III.

12. ВДИ—Вестник Древней истории.

13. ОИГ—Очерки истории Грузии.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა.....3

თავი პირველი

წყაროები და ისტორიოგრაფია.....9

1. წყაროები.....9

2. ისტორიოგრაფია.....17

თავი მეორე

ტერიტორია და მოსახლეობა.....32

I. ქვემო ეზრისი (ნიკოფსიიდან ეზრისუალამდე).....33

II. ეზრისი.....67

III. ზარე ეზრისი (არგვეთი, ზურია, თაკვერი).....94

1. არგვეთი.....94

2. თაკვერი.....108

3. ზურია.....114

IV. ქართლი.....120

1. ქვემო ქართლი.....121

2. შიდა ქართლი.....132

3. ზემო ქართლი.....141

ა. სამცხე.....143

ბ. ჯავახეთი.....148

გ. არტაანი.....153

დ. აჭარა.....156

ე. ნიგალი.....161

ვ. შავშეთი.....163

ზ. კლარჯეთი.....165

თ. ტაო.....173

ი. სპერი.....181

V. კახეთ-ჰერეთი.....188

1. კახეთი (ცენტრალური).....188

2. ჰერეთი.....191

ა. კამბეჩანი.....196

ბ. სუჯეთი.....203

გ. წუქეთი.....209

თავი მესამე

მეურნეობა და სოციალური მოთარება.....220

1. ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობა.....222

2. „ქეყანასა მოყმენი“.....251

3. აზნაურ-წარჩინებულნი....280
4. „ახალქალაქობა". ხელოსნობა ვაჭრობა....308

თავი მეოთხე

„იბრძოდეს ქართლსა ზედა"....333
1. „ქართლიდან" „საქართველომდე"....335
2. ბაგრატიონები....344
3. ერთიანობის ყველაზე არსებითი პირობა....358
4. პოლიტიკური ისტორიის ასპექტები გეორთიანების წინ....370
ა. ქახეთის საკორეპისკოპოსო....373
ბ. ქართველთა საკურაპალატო....389
გ. ეგრის-აფხაზეთის სამეფო....408
5. დავით III კურაპალატი....427
6. ბაგრატ III გამეორთიანებელი....451

თავი მეხუთე

აღმაგალი ქართული კულტურის ძირნტურები....497
1. განათლება და მწიგნობრობა....499
2. ეკლესია და თეოლოგია....511
3. მწერლობა....546
4. საეკლესიო სამონასტრო მშენებლობანი....562
რეზიუმე (რუსულ ენაზე)....584
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)....591
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა....599
პირითადი ზემოქლებანი....610
ჩანაკეთზე — რუკა (საქართველო 1014 წ.)

გამომცემლობის რედაქტორი ელგუჯა თაყბერიძე
მხატვარი რომან წიფურია
ტექნიკური რედაქტორი გოჩა ჩიტაძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 04.12.95 ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.09.96, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 38,25, ზომა 60X90 1/16, ტირაჟი 500, შეკვეთის №1909

ფასი—სახელშეკრულებო.